ჩარლზ დიკენსი

პიკვიკის კლუბის ჩანაწერები

ჩარლზ დიკენსი (1812-1870)

მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსი, XIX საუკუნის ერთ-ერთი უდიდესი ინგლისურენოვანი პროზაიკოსი ჩარლზ ჯონ ჰაფემ დიკენსი დაიბადა 1812 წლის 7 თებერვალს ქალაქ ლენდპორტში შეძლებული ჩინოსნის, მაგრამ ერთობ გულარხეინი კაცის ოჯახში, რასაც მისი გაკოტრება და პატიმრობაც კი მოჰყვა. მომავალი მწერლის დედა მარტო შეეჭიდა სიდუხჭირეს, ხოლო პატარა ჩარლის ფეხსაცმლის საცხის ფაბრიკაში მუშაობამ მოუწია. ამ გარემოებებით განცდილი ტკივილი და შეურაცხყოფის განცდა დიკენსს მთელი ცხოვრება გაჰყვა და, ბუნებრივია, უმძიმეს წლებზე საუბარი არ უყვარდა, მაგრამ სწორედ მაშინ ჩაეყარა საფუძველი უპოვართა მიმართ მის განსაკუთრებულ თანაგრძნობას და პატივმოყვარეობას, რომელიც საზოგადოებაში ღირსეული ადგილის დამკვიდრებისკენ სწრაფვას ასაზრდოებდა.

შემოქმედებითი ცხოვრება ჟურნალისტური საქმიანობით დაიწყო. ქვეყანაში მიმდინარე ბობოქარი პოლიტიკური ცხოვრების პირობებში, მოკლე ხანში გამოამჟღავნა რეპორტიორისთვის შესაშური თვისებები: ხატოვანი გამოთქმებით მდიდარი, სხარტი ენა, თხრობის ინდივიდუალური სტილი, ირონია. იმთავითვე კარგად ესმოდა, რომ ჟურნალისტობა არა მარტო საზოგადოებისთვის საკუთარი შეხედულებების გაზიარების შესაძლებლობას აძლევდა, არამედ მომავალი ლიტერატურული შემოქმედების საფუძვლის ჩაყრაში ეხმარებოდა.

რეპორტიორობას მოჰყვა ზნე-ჩვეულებების ამსახველი ნარკვევები, რომლებიც 1836 წელს გამოიცა. მაგრამ ნამდვილი დი-

დი წარმატება წინ ელოდა: ის „პიკვიკის კლუბის ჩანაწერების“ პირველივე თავების გამოქვეყნებამ მოუტანა.

ორიოდე წლის შემდეგ ეს წარმატება ჯერ „ოლივერ ტვისტის თავგადასავალმა“, შემდგომ კი „ნიკოლას ნიკლბიმ“ განამტკიცა. განსაკუთრებული რეზონანსი ქვეყანაში „ოლივერ ტვისტმა“-გამოიწვია. მისი გამოსვლის შემდგომ, ლონდონის ე.წ. შრომით სახლებში შექმნილი მდგომარეობის რამდენიმე სკანდალური განხილვაც კი გაიმართა: ეს სახლები ხომ მოზარდების უმოწყალო ექსპლუატაციას ეწეოდა და ლამის საპატიმრო დაწესებულებებად იყო ქცეული.

40-იანი წლების დასაწყისში ჩარლზ დიკენსმა ამერიკაში იმოგზაურა, სადაც სამშობლოზე არანაკლები პოპულარობით სარგებლობდა. სამწერლო შემოქმედებასთან ერთად, კვლავაც განაგრძობდა ჟურნალისტურ საქმიანობას და მოგზაურობიდან დაბრუნების შემდეგ გაზეთ Daily News-ის მთავარ რედაქტორადაც დანიშნეს.

„ოლივერ ტვისტის“, „დევიდ კოპერფილდის“, მწერლის სხვა რომანების პოპულარობა საქართველოშიც მუდამ ძალზე დიდი იყო, ამიტომ განსაკუთრებულად აღვნიშნავთ დიკენსის „რჩეულში“„სააღდგომო ნოველების“ შეტანის ფაქტს, რომელთა შექმნასაც ლიტერატურისმცოდნეები და მკითხველები ოჯახის კულტის, ლამაზი ტრადიციების, სიმყუდროვისა და კომფორტისაკენ ლტოლვის გამოხატულებად მიიჩნევენ. სწორედ ამიტომ გადავწყვიტეთ, ამ მშვენიერი ნაწარმოებებით დაგვესრულებინა „ჩემი რჩეული მსოფლიოს“ დიკენსის შვიდტომეული.

თავი I - პიკვიკელები

უკვდავი პიკვიკის საზოგადოებრივი მოღვაწეობის ადრინდელი ხანა წყვდიადითაა მოცული. პირველი სხივი, რომელმაც ნათელი მოჰფინა ამ უკუნეთს, კლუბის ოქმების ქვემოთ მოყვანილი ამონაწერის განხილვისას აღმობრწყინდა. აღნიშნული წერილების გამომცემელი ამ ოქმებს უდიდესი სიამოვნებით შესთავაზებს მკითხველს, ვინაიდან ისინი ჭეშმარიტად ავლენენ იმ საგულდაგულო დაკვირვების უნარს, დაუზოგავ თავგამოდებასა და გასაოცარ შორსმჭვრეტელობას, რომელიც ამ ღირსეულმა ადამიანმა მისდამი მინდობილი საბუთების გამოკვლევისას გამოიჩინა.

„მაისი, 12, 1827. თავმჯდომარე - ჯოზეფ სმგერსი, ესკვაირი მ.ვ.პ.პ.კ.წ.[1]

ერთხმად დაადგინეს:

რომ აღნიშნულმა ასოციაციამ უდიდესი კმაყოფილებით მოისმინა და ერთხმად მოიწონა მისტერ პიკვიკის, ესკვაირის, მ.პ.პ.კ.წ.-ის მოხსენება, სათაურით: „მოსაზრებები ჰემპსტედის ტბორების სათავეებზე და მახათას თეორიის საკითხებზე ზოგიერთი შენიშვნის დართვით“. რის გამოც აღნიშნული ასოციაცია უღრმეს მადლობას უცხადებს ხსენებულ სამუელ პიკვიკს, ესკვაირს, მ.პ.პ.კ.წ.-ს;

---

[1] მუდმივი ვიცე-პრეზიდენტი, პიკვიკის კლუბის წევრი.

რომ აღნიშნული ასოციაცია, ნათლად ითვალისწინებს რა იმ სარგებლობას, რასაც ზემოხსენებული შრომა და, რა თქმა უნდა, არანაკლებ, თვით სამუელ პიკვიკის დაუცხრომელი კვლევაძიება ჰორნსსა, ჰაიგეიტსა, ბრიგსტონსა და კემბერუელში, მოუტანს მეცნიერებას, დამაჯერებლად აცხადებს, რომ პატივცემული სწავლული, უთუოდ ფასდაუდებელ სამსახურს გაუწევს კაცობრიობას, თუ ვინიცობაა, თავის გამოკვლევებს უფრო ვრცელ ასპარეზზე გადაიტანს, გააფართოებს დასახული მოგზაურობების გეგმას და, მაშასადამე, განავრცობს თავისი ძიების სფეროსაც მეცნიერების პროგრესისა და საკაცობრიო ცოდნის გამდიდრების მიზნით;

რომ, ამ მოსაზრებათა გამო, აღნიშნულმა ასოციაციამ საფუძვლიანად განიხილა ზემოხსენებული სამუელ პიკვიკის, ესკვაირის, მ.პ.პ.კ.წ-ისა და სამი ქვემოთ დასახელებული პიკვიკელის მიერ წამოყენებული წინადადება იმის შესახებ, რომ შეიქმნას პიკვიკელთა ახალი მიმდინარეობა შემდეგი სახელწოდებით: „პიკვიკის კლუბის საკორესპონდენტო საზოგადოება“;

რომ წამოყენებული წინადადება მოწონებულია და მიღებულია აღნიშნული ასოციაციის მიერ;

რომ ამიერიდან საკორესპონდენტო საზოგადოება ჩამოყალიბებულია და, რომ იგივე სამუელ პიკვიკი, ესკვაირი, მ.პ.პ.კ.წ., ტრესი ტაპმენი, ესკვაირი, პ.კ.წ., ავგუსტუს სნოდგრასი, ესკვაირი, პ.კ.წ. და ნათენიელ უინკლი, ესკვაირი, პ.კ.წ. დასახელებულნი და მიღებულნი არიან ხსენებული საზოგადოების წევრებად; რომ მათ ევალებათ ხანგამოშვებით წარმოადგინონ პიკვიკის კლუბში, რომელიც ქ. ლონდონში მდებარეობს, თავიანთ მოგზაურობათა და გამოკვლევათა უტყუარი ანგარიშები და ხალხსა და მის ზნე-ჩვეულებებზე დაკვირვების შედეგები. მათ უკლებლივ უნდა აღწერონ თავიანთი თავგადასავლები ყველა

იმ ამბისა და ჩანაწერის დართვით, რომელსაც საფუძვლად ადგილობრივი სანახაობა და ამ ნიადაგზე წარმოშობილი ფიქრები დაედება;

რომ აღნიშნული ასოციაცია გულწრფელად ესალმება იმ დადგენილებას, რომლის ძალითაც საკორესპონდენტო საზოგადოების ყოველი წევრი ვალდებულია, თვითონვე დაფაროს მოსალოდნელი სამგზავრო ხარჯები და, რომ მას, აღნიშნულ ასოციაციას, არაფერი აქვს საწინააღმდეგო, თუ ხსენებული საზოგადოების წევრები საკუთარ კვლევა-ძიებას თავიანთი სურვილისამებრ უფრო მეტხანსაც განაგრძობენ, რა თქმა უნდა, იმავე პირობებში;

აქვე აცნობებენ ზემოხსენებული საკორესპონდენტო საზოგადოების წევრებს, რომ მათი თხოვნა საკუთარი წერილების გადასაგზავნი და ამანათების გადასაზიდი ხარჯების დაფარვის შესახებ განიხილა აღნიშნულმა ასოციაციამ, და, ვინაიდან, პიკვიკის კლუბის პატივცემული წევრების აზრით, ეს შესანიშნავი წინადადება მართლაცდა ჭეშმარიტად შეეფერება იმ დიად ადამიანებს, რომელთა გონების ნაყოფსაც იგი წარმოადგენს, აღნიშნული ასოციაცია - თხოვნაზე სრულ თანხმობას აცხადებს.

შემთხვევითი დამკვირვებელი, - უმატებს მდივანი, რომლის ჩანაწერებსაც უნდა ვუმადლოდეთ ქვემოთ მოყვანილი ცნობებისათვის, - შემთხვევითი დამკვირვებელი, შესაძლოა, ღირსშესანიშნავს ვერაფერს იპოვიდა მელოტ თავსა და მრგვალ სათვალეში, რომლებიც ზემოხსენებულ გადაწყვეტილებათა კითხვისას დაჟინებით მისჩერებოდნენ მას (მდივანს), მაგრამ მათთვის, ვინც კი იცოდა, რომ ამ შუბლის ქვეშ პიკვიკის დიადი ტვინი აზროვნებდა და რომ ამ სათვალეს იქით, პიკვიკის სხივოსანი თვალები კიაფობდნენ, ეს სანახაობა ჭეშმარიტად მომაჯადოებელი გახლდათ.

აქ იჯდა ის შესანიშნავი ადამიანი, რომელმაც დასაბამამდე გამოიკვლია ჰემპსტედის დიდებული ტბორები და თავისი მახათას თეორიით მეცნიერების სამყარო შეარყია, იჯდა მშვიდი და უძრავი, როგორც თიხის ქილის სიღრმეში მიყუჟული მახათას მარტოხელა წარმომადგენელი ან სუსხიან დღეს ხსენებული ტბორების ღრმა წყალი.

ახლა წარმოიდგინეთ, რამდენად საინტერესო გახდა სანახაობა, როდესაც ამ დიადი პიროვნების ერთგულმა მიმდევრებმა ერთხმად დაჰქუხეს „პიკვიკ“. ამ შეძახილისთანავე ბრწყინვალე ადამიანი უეცრად გამოცოცხლდა და ცეცხლივით აენთო. შემდეგ კი მის მიერვე დაარსებული კლუბის წევრებს სიტყვით მიმართა.

ეს ამაღელვებელი სურათი ჭეშმარიტად მხატვრის შთაგონების ღირსი გახლდათ! შესანიშნავ მჭევრმეტყველს, მისტერ პიკვიკს, ცალი ხელი მოხდენილად ამოედო ფრაკის კალთებქვეშ, ხოლო მეორეს თან აყოლებდა თავის მგზნებარე სიტყვას. სახელდახელოდ მოწყობილი ტრიბუნიდან თვალწარმტაცად მოჩანდა ამ დიდებული ადამიანის შემოტკეცილი შარვალი და პაჭიჭები, რომელსაც უბრალო მომაკვდავზე უთუოდ ვერავინ შეამჩნევდა, და ახლა, როდესაც ხსენებული მოკაზმულობა მისტერ პიკვიკს ამშვენებდა, - უნებლიეთ, თუ შეიძლება ასე ვთქვათ, მაყურებელს უდიდეს მოწიწებასა და მოკრძალებას შთააგონებდა.

ბელადს მხარს უმშვენებდნენ მეგობრები, რომლებმაც ნებაყოფლობით მოისურვეს მის მოგზაურობათა ხიფათის გაზიარება და რომლებიც შემდეგში მისი დიადი აღმოჩენების დიდების მოზიარენიც გახდნენ. მარჯვნივ იჯდა მისტერ ტრესი ტაპმენი, მგრძნობიარე ტაპმენი, რომელიც ადამიანის ყველაზე მომხიბვლელ და ადვილად მისატევებელ სისუსტეში - სიყვარულში წლობით დაგროვილ სიბრძნესა და გამოცდილებასთან ერთად

ახლაც ჭაბუკურ აღფრთოვანებას იჩენდა. მართალია, ჟამთა უწყალო მსვლელობამ და მგლურმა მადამ მის ოდესღაც წერწეტა ტანს განი შემატა, შავი აბრეშუმის ჟილეტი თანდათანობით გაფართოვდა, ჟილეტის ქვედა ჯიბიდან გადმოკიდებული ოქროს ძეწკვი თანდათანობით მიიფარა ტაპმენის თვალთახედვიდან და ვეებერთელა ღაბაბი ნელ-ნელა ქათქათა საყელოს გარეთ გადმოძვრა, მაგრამ მისტერ ტაპმენს გული მაინც არ შესცვლია - მშვენიერთა ტრფიალი კვლავინდებურად ასულდგმულებდა მას. დიდი წინამძღოლის მარცხნივ იჯდა პოეტური სულის სნოდგრასი და მის გვერდით სპორტსმენი უინკლი. პირველი გახამებულსაყელოიან იდუმალ ლურჯ წამოსასხამში გახვეულიყო, რაც პოეტურ იერს მატებდა მას, ხოლო მეორე - ახალ მონადირის მწვანე ქურთუკს, უჯრედებიან ყელსახვევსა და შემოსალტულ შარვალს უჩვეულო ბრწყინვალებას სძენდა.

ამ თავყრილობაზე მისტერ პიკვიკის მიერ წარმოთქმული საზეიმო სიტყვა და კამათი, რომელიც მას მოჰყვა, კლუბის ოქმებშია შეტანილი. ერთიც და მეორეც მოგვაგონებს სხვა სახელგანთქმულ ასოციაციათა დისკუსიებს; და რადგან უდავოდ, ყურადღების ღირსია იმ მსგავსების აღმოჩენა, რომელიც დიდ ადამიანთა საქმეებს შორის არსებობს, ჩვენც შემდეგ ამონაწერს მოვიყვანთ ოქმებიდან.

„მისტერ პიკვიკმა აღნიშნა (ამბობს მდივანი), რომ დიდება ყველა ადამიანისათვის ძვირფასია; ასე, მაგალითად, პოეტის დიდება მის მეგობარს - მისტერ სნოდგრასს ასულდგმულებს; გულთამპყრობლის სახელი უთუოდ ასევე ძვირფასია მისტერ ტაპმენისთვის. სახელის მოხვეჭა სპორტის სხვადასხვა სახეობაში, ხმელეთზე იქნება ეს, წყალში თუ ჰაერში, მის მეგობარს, მისტერ უინკლს აღაფრთოვანებს და ბოლოს, თავადაც (მისტერ პიკვიკი) ვერ უარყოფს, რომ მის გულშიც ბობოქრობს ადამიანუ-

რი ვნებანი, რომლის წინაშე ის სრულიად უმწეო გახლავთ (ტაში)... დიახ, უმწეო გახლავთ ამგვარი სისუსტის წინაშე (ხმამაღალი შეძახილები - „არა“). ერთ რამეში კი გამოტყდება: თუ ოდესმე მასაც სწვავდა თავის თავზე დიდი წარმოდგენის ცეცხლი, კაცობრიობისთვის სიკეთის მოტანის სურვილი ამ ცეცხლს მუდამ აქრობდა. კაცთმოყვარეობა - აი, ის მიზანი, რომელსაც მან თავი შესწირა; ქველმოქმედება - აი, მისი დამზღვევი სალარო (მქუხარე ტაში)... დაე, მისმა მტრებმა რაც უნდათ, თქვან, მან კი უდიდესი სიამაყე იგრძნო - დიახ, გულწრფელად აღიარებს, უდიდესი სიამაყე იგრძნო, როდესაც ქვეყანასა და ხალხს თავისი მახათას თეორია უწყალობა. შესაძლოა, ამ თეორიამ არც მოიხვეჭა სახელი... (წამოძახილი: „მოიხვეჭა, მოიხვეჭა“ და მქუხარე ტაში). დიახ, როგორც პატივცემულმა პიკვიკელმა დაუმოწმა, ამ თეორიამ მართლაც მოიხვეჭა სახელი, მაგრამ ამ შრომის ქება--დიდებას მსოფლიოს უშორეს კუთხეშიც რომ მიეღწია, უთუოდ მაშინაც - იგი (მისტერ პიკვიკი), როგორც ხსენებული ტრაქტატის ავტორი და შემოქმედი, ისე ამაყად, ისე ბედნიერად ვერ იგრძნობდა თავს, როგორც ამჟამად, მისი ცხოვრების უძვირფასეს წუთში გრძნობს. თუმცა ის პატარა კაცია (შეძახილები: „არა“, „არა“), მაგრამ პატივცემულმა წევრებმა მას მაინც დიდად საპატიო და ცოტა არ იყოს, სახიფათო საქმე მიანდეს.

როგორც მოგეხსენებათ, მოგზაურობა ახლა საშიში გახლავთ და მეეტლეებიც მეტად ახირებული ჭკუის პატრონები არიან, კეთილ ინებონ და ღირსეულმა ჯენტლმენებმა გადახედონ ქვეყნის შორეულ კუთხეებს და სამართლიანად განსაჯონ, თუ რა ხდება მათ გარშემო: სამგზავრო ეტლები ყოველ ნაბიჯზე ყირავდება, ცხენები ფრთხება, ნავები პირქვე ბრუნდება და ორთქლის ქვაბები სკდება (ტაში. შეძახილი: „არა“) არა? (ტაში), აბა გამობრძანდეს ის პატივცემული პიკვიკელი, რომელმაც დაიძახა „არა-

ო“ და უარყოს მისი ნათქვამი. ნეტავ, რომელი იყო? (მქუხარე ტაში). ნუთუ ამ დიდების ამაო მაძიებელს და იმედგაცრუებულ კაცს, - არა, არ ამბობს შარიანიო (ძლიერი ტაში), შეშურდა ქებადიდება, რომლითაც მისი (მისტერ პიკვიკის) გამოკვლევები შეამკეს, შესაძლოა, სრულიად დაუმსახურებლადაც. იმ საცოდავს, უთუოდ შეელახა თავმოყვარეობა, რომ მისტერ პიკვიკთან მისი შეცილების უბადრუკი ცდები საზოგადოებამ გაკიცხა და მიწასთან გაასწორა და აი, ახლაც საზიზღარ ცილისწამებას...

მისტერ ბლოტონი (ოლდგეიტიდან) წესრიგისაკენ მოუწოდებს სხდომას, თან კითხულობს - შემთხვევით მას ხომ არ გულისხმობს პატივცემული პიკვიკელი? (შეძახილები: „წესრიგი დაიცავით; თავმჯდომარე... დიახ... არა... განაგრძეთ... შეწყვიტეთ“ - და სხვა.).

მაგრამ მისტერ პიკვიკს ყვირილით ვერ შეაშინებ: დიახ, იგი, ნამდვილად გულისხმობს პატივცემულ პიკვიკელს (დიდი მღელვარება).

მისტერ ბლოტონი მხოლოდ იმას აღნიშნავს, რომ იგი ზიზღით უარყოფს პატივცემული ჯენტლმენის ცრუ და უმართებულო ბრალდებას (მოწონების შეძახილები). პატივცემული ჯენტლმენი მკვეხარა გახლავთ (დიდი აღშფოთება და ხმამაღალი შეძახილები „თავმჯდომარე, წესრიგი დაიცავით“).

ამჯერად მისტერ სნოდგრასი მოუწოდებს წესრიგისაკენ. იგი მარდად ადის სკამზე და მიმართავს თავმჯდომარეს. მას სურს გაიგოს („მოუსმინეთ“): მოეღება თუ არა ბოლო ამ სამარცხვინო შელაპარაკებას კლუბის ორ წევრს შორის? (შეძახილები: „მოუსმინეთ, მოუსმინეთ“).

თავმჯდომარე სავსებით დარწმუნებულია, რომ პატივცემული პიკვიკელი უკან წაიღებს თავის სიტყვებს.

მისტერ ბლოტონი უპასუხებს, რომ, მიუხედავად თავმჯდომარისადმი უღრმესი პატივისცემისა, იგი არავითარ შემთხვევაში არ გადათქვამს თავის სიტყვას.

თავმჯდომარე თავს ვალდებულად მიიჩნევს პატივცემულ ჯენტლმენს ჰკითხოს: სიტყვები, რომელიც მას წამოსცდა პირდაპირი მნიშვნელობით იყო თუ არა ნათქვამი.

მისტერ ბლოტონი უყოყმანოდ უპასუხებს, რომ მან ეს სიტყვები მხოლოდ პიკვიკური მნიშვნელობით იხმარა („მოუსმინეთ, „მოუსმინეთ“). ის იძულებულია, აღიაროს, რომ იგი პირადად, ღირსეულ ჯენტლმენს დიდად აფასებს და უღრმეს პატივს სცემს, და რომ პატივცემულ პიკვიკს მხოლოდ წმინდა პიკვიკური მნიშვნელობით თვლის „ტრაბახად“ („მოუსმინეთ, მოუსმინეთ“).

მისტერ პიკვიკი სავსებით კმაყოფილდება ძვირფასი მეგობრის გულწრფელი და სამართლიანი განმარტებით. იგი სთხოვს საზოგადოებას, გაითვალისწინოს ის გარემოება, რომ მის (მისტერ პიკვიკის) შენიშვნებსაც მხოლოდ პიკვიკური მნიშვნელობა გააჩნია“.

ამით მთავრდება ამონაწერი და ეჭვიც არ გვეპარება, რომ დასრულდა თვით კამათიც მას შემდეგ, რაც მან ესოდენ საგულისხმო და დამაკმაყოფილებელ შედეგებს მიაღწია.

ამბები, რომლებიც შემდეგ თავშია მოთხრობილი, ჩვენ მიერ შემოწმებული და ჭეშმარიტად დადასტურებული წერილების, ჩანაწერებისა და სხვა წყაროებიდანაა ამოკრეფილი, რაც საშუალებას გვაძლევს, თანამიმდევრულად გადმოგცეთ პიკვიკელების შესანიშნავი თავგადასავალი.

თავი II

პირველი დღის მოგზაურობა; პირველი საღამოს თავგადასავალი და მისი შედეგები

ის იყო სამყაროს ერთგული მსახური - მზე ამობრწყინდა და შუქი მოჰფინა 1827 წლის 13 მაისის დილას, რომ მისტერ პიკვიკმაც მეორე მზესავით დაჭყიტა ძილისაგან დამძიმებული თვალები. ოთახის სარკმელი გამოაღო და ქვეყანას გადახედა. მის ფეხთით გოსუელ-სტრიტი გაშლილიყო; მარჯვნივაც, სადამდეც თვალი მიუწვდებოდა იგივე გოსუელ-სტრიტი მოჩანდა. მარცხნივ - იგივე გოსუელ-სტრიტი და გზის გადაღმაც ისევ და ისევ გოსუელ-სტრიტი მიემართებოდა.

„ასეთივეა - გაიფიქრა მისტერ პიკვიკმა, - იმ ფილოსოფოსთა ვიწრო მსოფლმხედველობა, რომლებიც მხოლოდ საგნების თვალხილული მხარის ასახვას სჯერდებიან და მათში დაფარულ ჭეშმარიტებას კი ვერ სწვდებიან. განა შეიძლება მეც რომ გოსუელ-სტრიტს შევაჩერდე და არც კი შევეცადო, შევიჭრე თუნდაც იმ ადგილებში, რომელიც მას გარს აკრავს“. გამოთქვა რა ეს დიდებული აზრი, მისტერ პიკვიკმა გაჭირვებით ჩატენა ჩამრგვალებული სხეული ტანსაცმელში, ხოლო სამგზავრო ნივთები - ჩემოდანში.

დიდი ადამიანები მორთვა-მოკაზმვას იშვიათად თუ აქცევენ ჯეროვან ყურადღებას. მისტერ პიკვიკმაც, პირის გაპარსვა და ჩაცმა მალე მოათავა, ყავაც გადაკრა. ერთ საათსაც არ გაუვლია და მან ჩემოდნით ხელში, პალტოს ჯიბეში გაჩრილი დურბინდი-

თა და ჟილეტში ჩამალული უბის წიგნაკით (რომლის ფურცლებზე ამ დიდებული ადამიანის ყოველი ახალი აღმოჩენა უნდა აღბეჭდილიყო) სენტ-მარტინზე ეტლების სადგომს მიაშურა.

- კებ! - გასძახა მისტერ პიკვიკმა.

- აქეთ მობრძანდით, სერ! - იღრიალა ტილოს ხალათსა და იმავე ნაჭრის წინაფარში გამოწყობილმა ადამიანთა მოდგმის ფრიად უცნაურმა ნიმუშმა, რომელსაც თითქოს უცხოურ საოცრებათა სიაში ყოფილიყოს აღრიცხული - კისერზე სპილენძის ბალთა და ნომერი ეკიდა.

- აქეთ მობრძანდით, სერ! - აბა, სწრაფად პირველი კები!

მკვირცხლად გამოათრიეს სამიკიტნოდან პირველი კების მეეტლე, სადაც იგი განცხრომით აბოლებდა ჩიბუხს და მისტერ პიკვიკიც ჩემოდნებთან ერთად ეტლში შეაგდეს.

- გოლდენ-კროსი! - დაიძახა მისტერ პიკვიკმა.

- მხოლოდ ერთი შილინგის საქმეა, ტომი, - კუშტად გადასძახა მეეტლემ თავის მეგობარ კაცს, ეტლების ზედამხედველს, როდესაც ცხენი დაიძრა.

- რა ხნისაა თქვენი ცხენი, მეგობარო? - ჰკითხა მეეტლეს მისტერ პიკვიკმა და გადასახდელად მომარჯვებული შილინგით ცხვირი მოისრისა.

- ორმოცდაორის, - უპასუხა მეეტლემ და მგზავრს ცერად გადახედა.

- რაო? - იყვირა მისტერ პიკვიკმა და ხელი უბის წიგნაკს წაავლო.

მეეტლემ ნათქვამი გაიმეორა. მისტერ პიკვიკი დაჟინებით ჩააშტერდა მეეტლეს და რადგან უკანასკნელის სახეზე არც ერთი კუნთი არ შეტოკებულა, მან მნიშვნელოვანი ფაქტი საჩქაროდ ჩაინიშნა უბის წიგნაკში.

- შეუსვენებლად რამდენ ხანს დაგყავს ასე შებმული? - კვლავ ჰკითხა მისტერ პიკვიკმა, რომელიც მოუთმენლად ელოდა შემდეგ ცნობებს.

- ორი-სამი კვირა, - მშვიდად მიუგო კაცმა.

- კვირა?! - გაოცდა მისტერ პიკვიკი და უბის წიგნაკი კვლავ ამოიღო.

- როცა სახლში გვყავს, პენტონვილში დგას, - გულგრილად აღნიშნა მეეტლემ, - საჯინიბოში იშვიათად თუ ვაყენებთ - ძალიან სუსტია.

- სუსტიაო! - გაიმეორა დაბნეულმა პიკვიკმა.

- ეტლიდან რომ გამოვხსნით, სულ ეცემა, - განაგრძო მეეტლემ, - მაგრამ საბმელს მაგრად რომ შემოუჭერ და სადავეს მოუჭიმავ, აბა როგორღა დაეცემა? ორი დიდი ჩინებული ბორბალიც მოვარგეთ. როცა ცხენი მოძრაობს, ეს ბორბლები ლამის ზედ შეაჯდნენ საცოდავს და ისიც, რა გაეწყობა, მიდის...

მისტერ პიკვიკმა უბის წიგნაკში შეიტანა ყოველი სიტყვა - უნდოდა, ესოდენ მძიმე პირობებში ცხენის ამტანობის იშვიათი მაგალითი კლუბის წევრებისთვის ეცნობებინა.

ის იყო ჩაწერაც დაასრულა, რომ ეტლიც გოლდენ-კროსს მოადგა.

გადმოხტა მეეტლე და გადმობრძანდა მისტერ პიკვიკიც. მისტერ ტაპმენი, მისტერ უინკლი და მისტერ სნოდგრასი, რომლებიც მოუთმენლად ელოდნენ დიდებული ბელადის მობრძანებას, გარს შემოეხვივნენ მას და მხურვალედ მიესალმნენ.

- აი, თქვენი ქირა, - თქვა მისტერ პიკვიკმა და მეეტლეს ერთი შილინგი გაუწოდა.

ახლა წარმოიდგინეთ ჩვენი დიდებული სწავლულის გაოცება, როდესაც ამ ახირებულმა კაცმა ფული ქვაფენილზე დაახეთ-

ქა და „ხატოვან“ გამოთქმებში განუცხადა, დამაცა, მე შენ გაგის-წორდებიო.

- გიჟი ხომ არა ხართ! - წამოიძახა მისტერ სნოდგრასმა.

- ან ნასვამი! - დაუმატა მისტერ უინკლმა.

- მართალი რომ ვთქვათ - ერთიცა და მეორეც, - თქვა მისტერ ტაპმენმა.

- აბა, გამოდი! - დაიძახა მეეტლემ და მუშტები მომართული მექანიზმივით აამუშავა, - ოთხივე გამოდით ერთის წინააღმდეგ!

- აი, სეირი! - შესძახა ექვსიოდე მეეტლემ, - აბა, სემ, საქმეს შევუდგეთ, - და ექვსივემ მხიარული ყიჟინით ალყა შემოარტყეს პიკვიკელებს.

- რა აყალმაყალია, სემ? - იკითხა შავი ყალამბრის სახე-ლოებიანმა ჯენტლმენმა.

- აყალმაყალი! - გამოაჯავრა მეეტლემ, - მაშ, ჩემი ნომერი რისთვის დასჭირდა?

- მე სრულებით არ მჭირდება თქვენი ნომერი, - წაილუღლუ-ღა გაოცებულმა პიკვიკმა.

- მაშ, რად ჩაინიშნეთ? - იკითხა მეეტლემ.

- არსადაც არ ჩამინიშნავს, - განაცხადა მისტერ პიკვიკმა.

- აბა, ერთი მითხარით, - მიუბრუნდა მეეტლე ხალხს, - რას იფიქრებთ ეტლში ვიღაც ჯაშუში რომ ჩაგიჯდეთ, ჩაინიშნოს მარ-ტო თქვენი ნომერი კი არა, ყოველი თქვენი სიტყვა... (მისტერ პიკვიკს თავში გაუელვა - უთუოდ უბის წიგნაკის ბრალიაო!).

- მართლა ჩაინიშნა, თუ? - ჰკითხა პირველმა მეეტლემ მეორეს.

- რა თქმა უნდა! - უპასუხა პირველმა, - ჯერ იმ ზომამდე მიმიყ-ვანა, რომ გაცოფებული საჩხუბრად ვეცი, და ახლა, უცბად, სამი მოწმე არ დამაყენა, რომ შარი მომდოს? მაგრამ დამაცადოს... მაგას ვუჩვენებ სეირს. ექვსი თვეც რომ მომისაჯონ, ჭკუას ვას-

წავლი, აბა, გამოდი!.. გამოდი!.. - მეეტლემ ქუდი მიწას დაახეთ-ქა, რითაც სამარცხვინო დაუდევრობა გამოიჩინა პირადი სა-კუთრებისადმი, საცოდავ პიკვიკს ჯერ სათვალე ჩამოუგდო, შემ-დეგ მისდგა და მუშტები დაუშინა: ერთი ცხვირში უთაქა, მეორე გულში, მესამე მისტერ სნოდგრასს თვალში მიარტყა, მეოთხე - ერთფეროვნების თავიდან ასაცილებლად - მუცელში (მისტერ ტაპმენს) უთავაზა, შემდეგ გზაზე გადახტა, კვლავ ქვაფენილზე შემობრუნდა და... ყოველივე ეს სულ რამდენიმე წამის განმავ-ლობაში მოხდა.

- სად არის პოლიციელი? - იკითხა მისტერ სნოდგრასმა.

- ოთხივეს ცივი წყალი მოიყვანდა გონზე! - ურჩია მეეტლეს ცხელი ღვეზელებით მოვაჭრემ.

- იცოდეთ, ძვირად დაგიჯდებათ ეგ უწესობა, - ძლივს მოით-ქვა სული მისტერ პიკვიკმა.

- ჯაშუშები! - იყვირა ბრბომ.

- გამობრძანდი, გამობრძანდი! - ყვიროდა მეეტლე, რომე-ლიც შეუსვენებლად იქნევდა მუშტებს.

აქამდე მაყურებლები გულგრილად შესცქეროდნენ მუშტი-- კრივს, მაგრამ როგორც კი ყური მოჰკრეს, - პიკვიკელები ჯაშუ-შები არიანო, მსწრაფლ გაცხოველებული კამათი გამართეს - რამდენად მიზანშეწონილი იქნება ფიცხი მეღვეზელეს წინადა-დება რომ განვახორციელოთო. ვინ იცის, რა ძალას იხმარდა გაცხარებული ბრბო, რომ მოულოდნელად ჩხუბში ახალშემოს-წრებული არ ჩარეულიყო.

- რა აურზაურია? - იკითხა მწვანე სერთუკში გამოწყობილმა ხმელ-ხმელმა, საკმაოდ მაღალმა ახალგაზრდამ, რომელიც ის იყო, ბაკებიდან გამოვიდა.

- ჯაშუშები! - კვლავ იღრიალა ბრბომ.

- არა ვართ ჯაშუშები, არა! - ისე საცოდავად დაიბღავლა მისტერ პიკვიკმა, რომ მის სიმართლეში გულგრილი მაყურებელიც კი დარწმუნდებოდა.

- მართლა არ ხართ, არა? - მიმართა ახალგაზრდამ მისტერ პიკვიკს, იდაყვებით გასწი-გამოსწია მაყურებლები და ალყაშემორტყმულებისკენ გზა გაიკაფა.

დიდებულმა მეცნიერმაც არ დააყოვნა და ჯენტლმენს საქმის ნამდვილი ვითარება გააცნო.

- წამოდით, - თქვა მწვანესერთუკიანმა, მისტერ პიკვიკს მკლავში ხელი წაავლო და ცნობისმოყვარე ბრბოდან ძალით გამოათრია, სასტუმროსკენ წაიყვანა და თან განუწყვეტლივ ელაპარაკებოდა.

- აგერ, #924... მიიღე შენი ქირა და გაეთრიე. პატივცემული ჯენტლმენი, კარგად ვიცნობ, აბა, სისულელეებს თავი დაანებე!.. აქეთ, სერ... თქვენი მეგობრები სად არიან?.. უთუოდ გაუგებრობაა, სერ... არა უშავს... ყველას შეიძლება შეემთხვეს... საუკეთესო ოჯახებშიც კი... არ შეშინდეთ... რა გაეწყობა, ბედმა გიმტყუნათ... რომ ჩააყუდებენ, მაშინ ნახოს, რა დღეში ჩავარდება... ეგ, თაღლითი არამზადა!

ასეთი ნაწყვეტ-ნაწყვეტი ფრაზების ფრქვევით უცნობი მგზავრების მოსაცდელ ოთახში შევიდა. მისტერ პიკვიკი და მისი ერთგული მოწაფეები მორჩილად მიჰყვებოდნენ მოულოდნელ მფარველს.

- აბა, მსახურო! - დაიღრიალა უცნობმა და რაც ძალა და ღონე ჰქონდა, ზარს ჩამოჰკრა. - ჭიქები... ცხელ-ცხელი გროგი

, მაგარი ტკბილი... ბლომად... თვალი დაიშავეთ, სერ?.. მსახურო! უმი ხორცის ნაჭერი ჯენტლმენის თვალისათვის... დაჟეჟვის დროს უმ ხორცს არაფერი სჯობს, სერ. ფარნის ბოძიც კარგია, - მაგრამ, ცოტა არ იყოს მოუხერხებელია... სისულელეა,

აბა რა... თვალით ფარნის ბოძს მიეკრა და ნახევარი საათი ქუ-ჩაში იდგე... დიდებულია არა?.. ჰა, ჰა, ჰა! - უცნობმა სულმოუთ-ქმელად გადახუხა ორთქლიანი გროგის ნახევარი პინტა და ვი-თომც აქ არაფერი მომხდარაო, უდარდელად ჩაეშვა სავარძელ-ში.

ვიდრე სამი პიკვიკელი ერთმანეთს არ აცლიდა და ბედნიერი გადარჩენისათვის მხურვალე მადლობას უხდიდა ახალ ნაც-ნობს, მისტერ პიკვიკი გულმოდგინედ ათვალიერებდა მის გა-რეგნობასა და ტანსაცმელს. უცნობი შუატანის კაცი იყო, მეტის-მეტად გამხდარი. სხეული და გრძელი ფეხები მას უფრო მა-ღალს აჩენდა. მწვანე სერთუკი, ეტყობა, ოდესღაც კოხტა და ლა-ზათიანი უნდა ყოფილიყო, თუმცა აშკარად ჩანდა, რომ უკეთეს დროშიც ეს ტანსაცმელი უფრო დაბალი ტანის კაცს მოსავდა - უცნობს კი ჭუჭყიანი და გადახუნებული სახელოები მაჯებამდეც ძლივს სწვდებოდა. ყელამდე შებნეული სერთუკი სივიწროვის გამო ზურგზე გადახეთქას ლამობდა. ყელზე ძველი ჰალსტუხი ეკეთა, პერანგის საყელოს ნასახიც არსად ჩანდა. მოკლე შავი შარვალი, რომელიც პრიალა ლაქებით იყო აჭრელებული - უთუოდ ხანგრძლივი ხმარების შედეგად - უცნობს მაგრად ჩაეტენა მრავალგზის დაკერებულ ფეხსაცმელში; ყმაწვილი, ეტ-ყობა, თეთრი ჭუჭყიანი წინდების დაფარვას ლამობდა, მაგრამ ამაოდ - ისინი მაინც მოჩანდა. ძველი, დაჭმუჭნილი ქუდიდან სა-ხის ორივე მხარეს უწესრიგოდ გამოსჩროდა გრძელი, შავი თმა. სახე გამხდარი და მოქანცული ჰქონდა და მაინც, ამ კაცს, თავი-დან ფეხებამდე, უაღრესად თავდაჯერებული და აუწერლად თავ-ხედური იერი დასდევდა.

ასეთი გახლდათ პიროვნება, რომელსაც მისტერ პიკვიკი და-ჟინებით მისჩერებოდა სათვალიდან (ბედზე, ის სადღაც იპოვა). როდესაც მისმა მეგობრებმა მადლობის მთელი მარაგი ამოწუ-

რეს, ამ დიადმა ადამიანმაც, თავის მხრივ, დახვეწილი ენით უცნობს გაწეული დახმარებისათვის მხურვალე მადლობა გადაუხადა.

- არაფერია, - სწრაფად შეაწყვეტინა სიტყვა უცნობმა, - არ ღირს სალაპარაკოდ... კმარა, კმარა; ყოჩაღი ბიჭი ყოფილა მეეტლე... მუშტებს მაგრად ურტყამდა... მაგრამ იმ თქვენი მეგობრის ადგილას რომ ვყოფილიყავი, მწვანე ქურქი რომ აცვია, ეშმაკმა წამიღოს, თუ იმ არამზადას თავს არ გავუხეთქდი!.. გეფიცებით ღმერთს, ერთ წუთში! ღვეზლის გამყიდველსაც ზედ მივაყოლებდი, კვეხნა არ მიყვარს.

ეს დახვეწილი სიტყვა როჩესტერის მეეტლის შემოსვლამ შეაწყვეტინა. უკანასკნელმა გამოაცხადა, რომ კომოდორი გამგზავრებას აპირებსო.

- კომოდორი! - შესძახა უცნობმა და ფეხზე წამოხტა, - ჩემი ეტლი... ადგილი შეკვეთილია... ერთი, ზედა... უფლებას გაძლევთ გროგის ფული გადაიხადოთ. ხუთგირვანქიანი უნდა დავახურდავო... ყალბი ვერცხლია... ბრამეჯემის ღილები

. არ გამოუვათ, ვერ გამაცურებენ... - და უცნობმა ეშმაკურად გააქნია თავი.

მოხდა ისე, რომ მისტერ პიკვიკმა და მისმა თანამგზავრებმა პირველად როჩესტერში გადაწყვიტეს შეჩერება. აღნიშნული გადაწყვეტილება ახალშეძენილ მეგობარსაც გაუზიარეს და შეთანხმებდნენ, რომ ყველანი ერთად ეტლის ზედა ადგილებს დაიკავებდნენ.

- მეც თქვენთანა ვარ, მაღლა, - წამოიძახა უცნობმა და ისე სწრაფად შეასკუპა მისტერ პიკვიკი ეტლის სახურავზე, რომ ხსენებულ ჯენტლმენს დარბაისლური იერი საგრძნობლად შეელახა.

- ბარგი გაქვთ, სერ? - ჰკითხა მეეტლემ უცნობს.

- ვის, მე? ქაღალდში გახვეული ამანათი, ესაა და ეს, დანარ-ჩენი ბარგი გემით გავგზავნე... დალურსმული სკივრები, თითო - სახლის ტოლა, მძიმე, დასწყევლოს ეშმაკმა, საშინლად მძიმე, - უპასუხა უცნობმა და რაც შეიძლებოდა ღრმად ჩაიტენა ჯიბეში ამანათი, რომელსაც ეტყობოდა, რომ შიგ ერთი პერანგისა და ერთი ცხვირსახოცის მეტი არაფერი უნდა ყოფილიყო.

- თავები, თავები! თავებს გაუფრთხილდით! - ყვიროდა ენა-ჭარტალა უცნობი, როდესაც ეტლი ბაკების კარის თაღის ქვეშ გადიოდა, - საშინელი ადგილია... ფრიად სახიფათო... ამას წი-ნათ ხუთი ბავშვი... დედა... მაღალი ქალი სანდვიჩს მიირთმევ-და... დაავიწყდა, რომ თაღი იყო... ბრახ-ბრუხ... ბავშვებმა მიიხედ-მოიხედეს... დედას თავი აღარ აქვს - სანდვიჩი ხელში შერჩა... საცოდავს პირი სადღა ჰქონდა, რომ სანდვიჩი ჩაედო - ოჯახის უფროსი უთავოდ... შემაძრწუნებელია, შემაძრწუნებე-ლი!.. უაიტჰოლს ხედავთ, სერ?.. მშვენიერი ადგილია... პატარა ფანჯარა... მანდაც წააგდებინეს ერთს თავი, გახსოვთ, სერ?

- ახლა ვფიქრობდი სწორედ, - თქვა მისტერ პიკვიკმა, - თუ რამდენად მუხთალია ადამიანის ბედი.

- მივხვდი, მივხვდი: ერთ დღეს კარიდან შეხვალ სასახლეში, მეორე დღეს კი ფანჯრიდან გადმოგაბრძანებენ... ფილოსოფოსი ბრძანდებით არა, სერ?

- ადამიანთა ბუნებას ვუკვირდები მხოლოდ, - უპასუხა მის-ტერ პიკვიკმა.

- მართლა? მეც სერ, მეც... ადამიანთა უმეტესი ნაწილი ასე იქცევა, სერ, როდესაც საქმე ცოტა აქვს, შემოსავალი კი უფრო ნაკლები... პოეტი ბრძანდებით, სერ?

- ჩემი მეგობარი, მისტერ სნოდგრასი, დიდ მიდრეკილებას იჩენს პოეზიისადმი, - უპასუხა მისტერ პიკვიკმა.

- მეც, ბატონო, მეც, - თქვა უცნობმა, - ეპიკური პოემა... ათი ათასი სტრიქონი... ივლისის რევოლუცია... იქვე დავწერე, სადაც მოხდა... დღისით მარსი, ღამით... აპოლონი, საველე ქვემეხების გრუხუნი - ჩანგლის ჟღერა...

- თქვენი თვალით ნახეთ ეს შესანიშნავი სანახაობა, სერ? - იკითხა მისტერ სნოდგრასმა.

- ჩემი თვალით! რა თქმა უნდა!.. თავშიც ახალმა აზრმა გამიელვა... ღვინის სარდაფში შევვარდი. დავწერე... ისევ გარეთ გამოვვარდი... ტყვიების ზუზუნი, ქვემეხების გრუხუნი... კვლავ ახალი აზრი... კვლავ ღვინის სარდაფი... მელანი და კალამი... კვლავ გარეთ... გასჭერ, გააპე... დიდებული დრო იყო, სერ, დიდებული... სპორტსმენი ბრძანდებით, სერ? - მოულოდნელად მოუბრუნდა უცნობი მისტერ უინკლს.

- ვცდილობ, სერ, - უპასუხა ამ ჯენტლმენმა.

- დიდებული საქმეა, სერ, დიდებული; ძაღლები გყავთ, სერ?

- ამჟამად არა, - უპასუხა მისტერ უინკლმა.

- ოჰ! ძაღლები უნდა იყოლიოთ, ძაღლები... საუცხოო პირუტყვია... გონიერი პირუტყვი... ძაღლი მყავდა... პოინტერი... საოცარი ალღო ჰქონდა... ერთ დღეს ვნადირობდით... შემოღობილში შევედით... დავუსტვინე... ძაღლი შეჩერდა... კვლავ დავუსტვინე... „პონტო“... ძაღლი ადგილიდან არ დაძრულა... ადგილზე გაშეშდა... დავუძახე: „პონტო, პონტო“... არც კი გაინძრა... სვეტივით დაერჭო და ფიცარს შეჰყურებს... ავიხედე, წარწერა შევნიშნე: „დარაჯს ნაბრძანები აქვს მოკლას ყველა ძაღლი, რომელიც შემოღობილში შემოვა!“ ... არამც და არამც არ შემოვიდა... საოცარი ძაღლი იყო... ფასდაუდებელი პირუტყვი... ფრიად!

- მართლაც და საოცარი შემთხვევაა! - წამოიძახა მისტერ პიკვიკმა, - ნება მიბოძეთ, ჩავინიშნო, სერ?

- სიამოვნებით, სერ, სიამოვნებით... ათასგვარი ამბავი ვიცი მაგ ძაღლის შესახებ... მშვენიერი გოგონაა, არა, სერ? - მოულოდნელად მიმართა უცნობმა მისტერ ტრესი ტაპმენს, რომელიც სრულიად არაპიკვიკურად შესცქეროდა გზის პირას მდგომ ახალგაზრდა ქალს...

- ძალიან! - დაეთანხმა მისტერ ტაპმენი.

- ინგლისელი ქალები ისეთი ლამაზები არ არიან, როგორიც ესპანელები... უაღრესად კეთილშობილი არსებანი... შავი გიშერივით თმა... შავი თვალები... კოხტა ტანი... უზომოდ მომხიბლავი... მშვენიერი.

- ყოფილხართ ესპანეთში, სერ? - ჰკითხა უცნობს მისტერ ტაპმენმა.

- წლობით მიცხოვრია.

- უთუოდ ბევრი გამარჯვებაც გხვდათ წილად, არა? - არ ეშვებოდა მისტერ ტაპმენი.

- გამარჯვება? ათასობით!.. დონ-ბოლერო ფიცვიგი... გრანდი... ერთადერთი ქალიშვილი... დონა ქრისტინა... მშვენიერი არსება... გაგიჟებით ვუყვარდი... ეჭვიანი მამა... სულგრძელი შვილი... ლამაზი ინგლისელი... დონა ქრისტინა სასოწარკვეთილია... ციანიდის მჟავა... ჩემს ჩემოდანში კუჭის ამოსარეცხი ზონდი... კუჭი ამოვურეცხე... მოხუცი ბოლერო აღტაცებულია... თანხმობა განაცხადა ჩვენს ქორწინებაზე.... ხელი-ხელს შეაერთა და წამოვიდა ცრემლთა ნიაღვარი... რომანტიკული ამბავია... ფრიად!

- ახლა ის მანდილოსანი ინგლისშია, სერ? - იკითხა მისტერ ტაპმენმა, რომელზედაც აღწერილი ქალის მშვენიერებამ ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა.

- გარდაიცვალა, სერ, გარდაიცვალა, - უპასუხა უცნობმა და მარჯვენა თვალზე მოვის ცხვირსახოცის შელახული ნაგლეჯი მიიფარა.

- კუჭის ამორეცხვის შემდეგ ვეღარ გამოკეთდა... დაილია... ზონდმა იმსხვერპლა.

- მამამისი? - იკითხა პოეტურმა სნოდგრასმა.

- სინდისის ქენჯნამ და სასოწარკვეთილებამ დაადნო, - უპასუხა უცნობმა, - უეცრად გაქრა... მთელი ქალაქი ალაპარაკდა... ყველგან დაძებნეს, მაგრამ ამაოდ... მოულოდნელად დიდ მოედანზე შადრევანი დაშრა... გადის ერთი კვირა, ორი, სამი... მაინც არ მუშაობს... მის გასაწმენდად მუშები დაიქირავეს... წყალი ამოტუმბეს... სიმამრი აღმოაჩინეს... მთავარ მილში გაჩხირული თავით... მარჯვენა ჩექმაში აღსარება ჩაუტენია... გვამი გამოიღეს და შადრევანი ისევ ამუშავდა.

- ნებას მომცემთ, ეს პატარა რომანი ჩავინიშნო, სერ? - შეევედრა უცნობს გრძნობამორეული სნოდგრასი.

- რა თქმა უნდა... თუ გნებავთ კიდევ ორმოცდაათს მოგიყვებით... უცნაურია ჩემი ცხოვრება... საკმაოდ საინტერესო... განსაკუთრებული თუმც არაფერია, მაგრამ მაინც უცნაური.

უცნობი შეუჩერებლად რატრატებდა, ვიდრე ეტლმა როჩესტერის ხიდს არ მიაღწია. თანაც გზადაგზა, ცხენების ცვლის დროს, ყოველ ამბავს შესავალ სიტყვად თითო ჭიქა ელს წაუმძღვარებდა ხოლმე. ამ ხნის განმავლობაში მისტერ პიკვიკისა და მისტერ სნოდგრასის უბის წიგნაკები სრულად შეივსო იმ ღირსშესანიშნავი ამბებისა და შემთხვევების აღწერით, რომელიც ოდესმე თავს გადახდენია უცნობს.

- დიდებული ნანგრევებია! - წამოიძახა მისტერ ავგუსტუს სნოდგრასმა მისთვის ჩვეული პოეტური აღტაცებით, როდესაც ლამაზი ძველებური ციხე-კოშკი გამოჩნდა.

- რა საინტერესო მასალაა არქეოლოგისათვის! - აღტაცებით შესძახა მისტერ პიკვიკმა, როდესაც დურბინდი თვალზე მიიდო.

- საუცხოო ადგილია, - თქვა უცნობმა, - დიდებული შენობაა. მოღუშული კედლები... ჩამონგრეული თაღები... ბნელი კუნჭულები... დამპალი კიბეები... ძველისძველი ეკვდერი... მიწის სუნი... პილიგრიმების ფეხებისგან გაცვეთილი საფეხურები... პატარა საქსონური კარები... თეატრის სალაროსავით პაწაწინა სააღმსარებლო... უცნაური ხალხია ეგ ბერები, პაპები, სახელმწიფო ხაზინადარები და სხვა მრავალნი - წითური სახეებითა და ჩატეხილი ცხვირებით. კამეჩის ტყავის კურტაკები... კაჟი თოფები... სარკოფაგი. საუცხოო ადგილია... ძველი თქმულებანი... უცნაური ამბები... დიდებულია.

ვიდრე ეტლი ჰაი-სტრიტზე სასტუმრო „ხართან“ არ შეჩერდა, უცნობს არ შეუწყვეტია თავისი მონოლოგი.

- თქვენ აქ გაჩერდებით, სერ? - ჰკითხა მისტერ ნათენიელ უინკლიმ უცნობს.

- აქ?.. არა... თქვენთვის კი უკეთესია, აქ დარჩეთ... კარგი შენობაა... მშვენიერი საწოლები... აქვე რაიტის სასტუმროა... ძვირია, ძალიან ძვირი... საკმარისია მსახურს შეხედო, რომ თქვენს ანგარიშს ნახევარი კრონი დაემატება... მეგობრებთან ერთად თუ ისადილეთ, კიდევ უფრო მეტი დაგეხარჯებათ, ვიდრე სასტუმროში. ახირებული ხალხია - ფრიად!

მისტერ უინკლი მისტერ პიკვიკს მიუბრუნდა და რამდენიმე სიტყვა ჩასჩურჩულა; ჩურჩული მისტერ სნოდგრასს გადაეცა, მისტერ სნოდგრასიდან მისტერ ტაპმენს და ბოლოს თანხმობის ნიშნად ყველამ თავი დაუქნია ერთმანეთს.

მისტერ პიკვიკმა უცნობს მიმართა:

- ამ დილას თქვენ დიდი სამსახური გაგვიწიეთ, სერ, - თქვა მან, - ნება მიბოძეთ, შემოგბედოთ თხოვნა, რომელიც სულ ოდ-

ნავ ძალიან მცირედ გამოხატავს ჩვენს უღრმეს მადლობას: - პატივი დაგვდეთ და დღეს ჩვენთან ისადილეთ!

- დიდი სიამოვნებით... შეკვეთა რა საკადრისია, მაგრამ შემწვარი ქათამი სოკოთი... ჩინებული იქნება! რომელ საათამდე?

- ვნახოთ, ახლა რა დროა, - თქვა მისტერ პიკვიკმა და საათს დახედა: - სამი სრულდება. ხუთისთვის რომ შევთანხმდეთ?

- ჩინებულია, ჩინებული... ზუსტად ხუთზე... ჯერჯერობით კი ნახვამდის, - უცნობმა მოთელილი ქუდი რამდენიმე გოჯით გადაიწია, შემდეგ მარჯვედ მოიგდო გვერდზე, ჯიბიდან გამოჩრილი ამანათით მკვირცხლად გადაჭრა ეზო და ჰაი-სტრიტზე შეუხვია.

- ეტყობა, ბევრი ქვეყანა მოუვლია და კარგად დაჰკვირვებია ხალხსაც და მათ ზნე-ჩვეულებებს, - შენიშნა მისტერ პიკვიკმა.

- ნეტავ ერთი მისი პოემა მაჩვენა, - ინატრა მისტერ სნოდგრასმა.

- ნეტავ ის ძაღლი მაჩვენა, - თქვა უინკლმა.

მისტერ ტაპმენს ხმა არ ამოუღია, მაგრამ გულში კი დონა ქრისტინაზე, კუჭის ამოსარეცხ ზონდსა და შადრევანზე ფიქრობდა. თვალები ცრემლებით აევსო.

პიკვიკელებმა ცალკე სასტუმრო ოთახი დაიქირავეს, ინახულეს საწოლი ოთახები, შეუკვეთეს სადილი და ქალაქისა და მისი გარეუბნების დასათვალიერებლად გაემგზავრნენ.

თუ ყურადღებით გადავსინჯავთ მისტერ პიკვიკის შენიშვნებს ოთხი ქალაქის - სტრაუდის, როჩესტერის, ჩეტემისა და ბრომპტონის შესახებ, ჩვენ დავინახავთ, რომ მისი შთაბეჭდილებანი არსებითად არ განსხვავდება იმ მოგზაურთა შთაბეჭდილებებისაგან, რომელთაც იგივე ქალაქები ინახულეს. ამიტომ ჩვენც ოდნავ შევამოკლებთ მის აღწერას. „როგორც ჩანს, ამ ქალაქების მთავარი ნაწარმია ჯარისკაცები, მეზღვაურები, ებრაელები,

ცარცი, გარნელი, ოფიცრები და პორტის მოხელეები. ხალხით გაჭედილ ქუჩებში გამოფენილია: ძველი სახომალდო მოწყობილობები, ნუშის ყანდი, ვაშლები, ქამშალა და ხამანწკა. ქუჩებში დიდი ფუსფუსი და გამოცოცხლებაა, რაც უმთავრესად, სამხედროების გულღია ხასიათსა და მათ მხიარულ გუნებას უნდა მივაწეროთ. კაცთმოყვარე გონება ჭეშმარიტად აღტაცებულია, როდესაც შეჰყურებს ამ მამაც ვაჟკაცებს, ღონე რომ ერჩით და შეზარხოშებულნი დაბარბაცებენ ქუჩებში. მათი ცქერა მით უფრო დაუამებს გულს მაყურებელს, თუ მოაგონდება, რომ ქალაქელი ბიჭებისათვის სამხედროების დევნა და მათთან ლაზღანდარობა სრულიად უწყინარი და იაფფასიანი გასართობია. ქვეყანაზე (უმატებს მისტერ პიკვიკი) არაფერს შეუძლია მათი კეთილი განწყობილების წახდენა... დახლიდარმა ქალმა ერთ-ერთ ოფიცერს სასმლის განმეორებით მოთხოვნაზე ცივი უარი განუცხადა. პასუხად ვაჟკაცმა (რა თქმა უნდა, ხუმრობით) ხიშტი იმარჯვა და გოგონა მხარში დაჭრა. წარმოიდგინეთ, მეორე დილას ეს მშვენიერი ყმაწვილი თავის ფეხით მოვიდა დუქანში და განაცხადა, რომ რაც მოხდა-მოხდა, მზად ვარ ყოველივე დავივიწყო და მომხდარ ამბავს ყურადღებაც არ მივაქციოო...

„თუთუნის შთანთქმა ამ ქალაქებში (განაგრძობს მისტერ პიკვიკი), როგორც ჩანს, ფრიად მნიშვნელოვანია. თამბაქოს მწეველს ჭეშმარიტად ნეტარებას ჰგვრის სურნელება, რომლითაც ქალაქის ქუჩებია გაჟღენთილი. ზერელე დამკვირვებელს, შესაძლოა, თვალში ეცეს სიბინძურე, რომლითაც გამოირჩევა აღნიშნული ქალაქები. მაგრამ ის, ვინც ამ ჭუჭყს სამიმოსვლო გზების განვითარებისა და ვაჭრობის აყვავების ნიშნად მიიჩნევს, უთუოდ სრულიად კმაყოფილი დარჩება“.

უცნობი ზუსტად ხუთ საათზე გამოცხადდა და სულ მოკლე ხანში სადილიც გაჩნდა. ქაღალდის ამანათი სტუმარს თავიდან

მოეშორებინა, მაგრამ ტანსაცმელი არ გამოეცვალა და წარმოიდგინეთ, კიდევ უფრო მეტს ლაქლაქებდა.

- ეს რა არის? - იკითხა მან, როდესაც ლაქიამ ერთ-ერთი ქვაბის სახურავი ასწია.

- ზღვის ენა გახლავთ, სერ.

- ზღვის ენა, იფ!.. დიდებული თევზია... ლონდონიდან მოაქვთ... სამგზავრო ეტლების პატრონები პოლიტიკურ სადილებს მართავენ... ზღვის ენის გადმოზიდვა... ათეულობით კასრი... მარჯვე ბიჭები არიან... თითო ჭიქა, სერ?

- სიამოვნებით, - უპასუხა მისტერ პიკვიკმა.

უცნობმა სულმოუთქმელად შესვა ჯერ მისტერ პიკვიკის სადღეგრძელო, შემდეგ მისტერ ტაპმენის, მისტერ უინკლის, მისტერ სნოდგრასისა და ბოლოს ყველასი ერთად.

- ლაქია, კიბეზე დიდი ფაციფუცია, - თქვა უცნობმა. - სკამებს მაღლა ეზიდებიან... ხუროები ქვევით ჩამორბიან... ლამპები, ჭიქები, ქნარები... რისთვის ემზადებიან?

- ბალს აწყობენ, სერ, - უპასუხა ლაქიამ.

- კონცერტს, არა?

- არა, სერ, საქველმოქმედო ბალს.

- ხომ ვერ მეტყვით, სერ, ლამაზი ქალი ბევრია ამ ქალაქში? - იკითხა ღრმად დაინტერესებულმა ტაპმენმა.

- ბრწყინვალე! შესანიშნავი!.. კენტი, სერ!.. ვინ არ იცნობს კენტს, ვაშლები, ალუბალი, სვია და ქალები... თითო ჭიქა, სერ?

- დიდი სიამოვნებით, - უპასუხა მისტერ ტაპმენმა. უცნობმა ჭიქა შეავსო და დაცალა.

- მართლაცდა ძალიან მინდა წასვლა, ძალიან, - კვლავ საღამოს შესახებ ჩამოუგდო საუბარი მისტერ ტაპმენმა უცნობს, - გულით მინდა წასვლა.

- ბილეთები სასადილოს დახლში იყიდება, სერ, - ჩაურთო ლაქიამ, - თითო ნახევარი გინეა, სერ.

მისტერ ტაპმენმა კვლავ დიდი სურვილი გამოთქვა საღამოზე წასულიყო, მაგრამ, როდესაც მისტერ სნოდგრასის ამღვრეულ თვალებში და მისტერ პიკვიკის გამოთაყვანებულ სახეზე თანაგრძნობა ვერ ამოიკითხა, კვლავ მიუბრუნდა პორტვეინსა და ტკბილეულს, რომელიც ის იყო, სუფრაზე მოიტანეს. ლაქია გავიდა და მეგობრები მიეცნენ განცხრომას, რომელიც მუდამ თან მოჰყვება ნოყიერ სადილს.

- ბოდიშს ვიხდი, სერ, - თქვა უცნობმა, - ბოთლი ტყუილა ცდება... ერთიც შემოვატაროთ... მზის მიმართულებით... ბოლომდე დაცალეთ... ქობა არ ჩატოვოთ... - მან წუთით ადრე შევსებული ჭიქა დაცალა და ხელახლა შეავსო - ეტყობოდა, მერიქიფეობას ნაჩვევი იყო.

ღვინო დალიეს და კიდევ შეუკვეთეს. სტუმარი შეუსვენებლად ლაქლაქებდა, პიკვიკელები უსმენდნენ: მისტერ ტაპმენს სულ უფრო და უფრო წვავდა ბალზე დასწრების სურვილი; მისტერ პიკვიკს საქველმოქმედო ზრახვებისგან სახე სულ აულაპლაპდა; მისტერ უინკლსა და მისტერ სნოდგრასს ტკბილად ეძინათ სუფრაზე.

- მგონი იწყებენ მაღლა, - თქვა უცნობმა, - გესმით? - ვიოლინოს აწყობენ... აი, ახლა ქნარს... უკრავენ კიდეც.

მუსიკის ხმამ, რომელიც სასადილოში შემოიჭრა, მსმენელებს პირველი კადრილის დაწყება აუწყა.

- ოჰ, როგორ მინდა წასვლა! - წამოიძახა მისტერ ტაპმენმა.

- არც მე ვიტყოდი უარს, - უპასუხა უცნობმა, - ეშმაკმა დასწყევლოს ჩემი ბარგი... ძლივ-ძლივს მოტივტივებს... ჩასაცმელი არაფერი მაქვს... აფსუს!

ახლა უნდა მოგახსენოთ, მკითხველო, რომ პიკვიკური თეორიის ერთ-ერთ მთავარ დებულებას კეთილმოსურნეობა შეადგენდა და არც ერთი წევრი ისე გულმოდგინედ არ იცავდა მას, როგორც მისტერ ტრესი ტაპმენი. ძნელად დასაჯერებელია საზოგადოების ოქმებში მოხსენებულ შემთხვევათა რიცხვი, როდესაც ეს შესანიშნავი ჯენტლმენი იმ პირებს, რომელთაც ის წყალობის თვალით უყურებდა, კლუბის სხვა წევრებთან გზავნიდა დაძენძილი ტანსაცმლისა და ფულადი დახმარებისათვის.

- ბედნიერად ჩავთვლიდი თავს, ჩემი ფრაკი რომ მოგრგებოდათ, - თქვა მისტერ ტაპმენმა, - სამწუხაროდ, თქვენ, ცოტა არ იყოს, გამხდარი ბრძანდებით, და მე კი...

- ცოტა არ იყოს, ჩამრგვალებული, პირდაპირ დავაჟკაცებული ბახუსი... ჭეშმარიტად კასრიდან გადმობრძანებული ბახუსი... ფოთლოვან გვირგვინჩამოცლილი და მაუდში გამოწყობილი... ჰა, ჰა, ჰა, ჰა!.. ღვინო გადმომაწოდეთ!

ეწყინა მისტერ ტაპმენს ის, რომ უცნობმა ბრძანებითი კილოთი მოსთხოვა ღვინო, თუ შეურაცხყოფილად იგრძნო თავი, როდესაც სტუმარმა იგი, პატივცემული პიკვიკელი, კასრიდან გადმობრძანებულ ბახუსს შეადარა, კლუბის ოქმებისდა მიხედვით ჯერაც არ არის საბოლოოდ დადგენილი. ჯენტლმენმა უცნობს ღვინო გადააწოდა, დაჟინებით ჩააშტერდა და ორჯერ ჩაახველა. მაგრამ სტუმარს წარბიც არ შეუხრია; მან არხეინად გაუძლო მასპინძლის გამჭოლ მზერას და მისტერ ტაპმენიც მოლბა - კვლავ საღამოს შესახებ ჩამოუგდო საუბარი.

- იმის თქმას ვაპირებდი, სერ, - დაიწყო მან, - რომ ჩემი ფრაკი მართლაცდა დიდი მოგივათ. მაგრამ იქნებ ჩემი მეგობრის, მისტერ უინკლის ფრაკი მოგერგოთ.

უცნობმა თვალით აზომა მისტერ უინკლი და სახე გაუბრწყინდა.

- ზედგამოჭრილი იქნება! - შესძახა მან.

მისტერ ტაპმენმა მიმოიხედა: ღვინო, რომელმაც მისტერ სნოდგრასსა და მისტერ უინკლზე ძილისმომგვრელი ძალა გამოიჩინა, ეტყობა, მისტერ პიკვიკსაც შეუჯდა თავში. თანდათანობით მან განვლო ყველა საფეხური, რომელიც წინ უსწრებს ნოყიერი სადილისაგან გამოწვეულ ლეთარგიას. ნეტარების მაღალი მწვერვალიდან იგი ნელ-ნელა სასოწარკვეთის უფსკრულში დაეშვა და სასოწარკვეთის უფსკრულიდან კვლავ ნეტარების მწვერვალს აფრინდა. ქუჩის ფარანივით, რომელიც ქარის წამოქროლაზე წამიერად იელვებს, მისტერ პიკვიკიც, უეცრად მჭევრმეტყველ ქადაგად იქცა, ცეცხლივით აენთო; შემდეგ ერთბაშად შუქი მოაკლდა - ბრწყინვალე ქადაგება გაუგებარ ლუღლუღში გადაუვიდა; ოდნავი შეყოვნება და იგი კვლავ გაჩაღდა, შემდეგ კვლავ შეტორტმანდა, ჩაიბჟუტა და საბოლოოდ ჩაქრა; თავი განიერ მკერდზე ჩამოუვარდა და ამიერიდან ამ დიდსულოვანი ადამიანის არსებობაზე მხოლოდ გამუდმებული, დროდადრო ხუთვანარევი ხვრინვაღა ღაღადებდა.

მისტერ ტაპმენს გულს უღრღნიდა მხოლოდ ერთი სურვილი - საღამოს დასწრებოდა და კენტის მშვენიერი მანდილოსნები თავისი თვალით ეხილა (ცდუნება მართლაცდა ძლიერი გახლდათ); თანაც გულით უნდოდა უცნობიც წაეყვანა, რადგან არც ქალაქს იცნობდა და არც მის მცხოვრებლებს.

სტუმარს კი ისეთი დაწვრილებითი ცნობები გააჩნდა როგორც ერთის, ისე მეორის შესახებ, თითქოს ბავშვობიდან ამ ქალაქში ყოფილიყოს გაზრდილი. მისტერ უინკლს ტკბილად ეძინა და მისტერ ტაპმენმა საკუთარი გამოცდილებიდან იცოდა, რომ გამოღვიძებისთანავე, ძილისაგან დარეტიანებული მეგობარი კვლავ საწოლს მიაშურებდა. ვეღარ გადაეწყვიტა, როგორ მოქცეულიყო.

- ჭიქა შეავსეთ და ბოთლი გადმომაწოდეთ, - გაახსენა დაუღალავმა სტუმარმა.

მისტერ ტაპმენმა თხოვნა შეუსრულა და უკანასკნელი ჭიქის გამამხნევებელმა ბიძგმა მას საბოლოო გადაწყვეტილებაც მიაღებინა.

- უინკლის საწოლ ოთახში ჩემი ოთახიდან შეიძლება გასვლა, - თქვა მან, - ახლა რომ გავაღვიძო, სულერთია, ვერაფერს გავაგებინებ! მაგრამ დანამდვილებით ვიცი - სამგზავრო ჩანთაში ფრაკი უდევს. თუ დღევანდელ საღამოზე მის ჩაცმას ინებებთ და დაბრუნებისთანვე გაიხდით, მე ტანსაცმელს უკანვე ჩავდებ და უინკლს ამით სულაც არ შევაწუხებ.

- საუცხოოა! - წამოიძახა უცნობმა, - დიდებული გეგმაა... პირდაპირ სასაცილო ამბავია... კაცს თოთხმეტი წყვილი ტანსაცმელი ჰქონდეს და სხვისას იცვამდეს... დიდებული აზრია... ფრიად!

- ბილეთები უნდა შევიძინოთ, - თქვა მისტერ ტაპმენმა.

- არ ღირს გინეის გაყოფა... მოდით, კენჭი ვყაროთ, რომელმა გადაიხადოს ორივეს ნაცვლად... ჯერ თქვენ ააგდეთ... ქალია ქალი... მშვენიერი ქალი... - ოქროს ფულმა მაგიდაზე დაიჩხარუნა. მის ზემოთა პირზე ამოჭედილი იყო ურჩხული, რომელსაც უცნობმა ზრდილობიანად „ქალი“ უწოდა.

მისტერ ტაპმენმა ზარი დარეკა, ბილეთები შეიძინა და სანთლები მოითხოვა. თხუთმეტი წუთიც არ იყო გასული, რომ უცნობი თავით-ფეხებამდე მისტერ ნათენიელ უინკლის ფრაკში გამოეწყო.

- ახალთახალია, - ეუბნებოდა მისტერ ტაპმენი უცნობს, რომელიც უდიდესი კმაყოფილებით ათვალიერებდა თავის გამოსახულებას კედლის სარკეში, - პირველი ფრაკია ჩვენი კლუბის ნიშნით, - პიკვიკელმა სტუმარს მიუთითა დიდ მოოქრულ ნიშან-

ზე, რომლის შუაგულში მისტერ პიკვიკის ბიუსტი იყო გამოსახული, ხოლო აქეთ-იქით ასოები „პ.კ.“.

- „პ.კ.“ - თქვა უცნობმა, - უცნაური სამკაულია... ჩვენი ბერიკაცის სურათი და „პ.კ.“ - რას ნიშნავს „პ.კ.“? პირადი კოსტუმი?

მისტერ ტაპმენი გაბრაზდა, მაგრამ თავი შეიკავა და სტუმარს დინჯად აუხსნა მისტიკური წარწერის მნიშვნელობა.

- ცოტა არ იყოს, წელში მოკლეა, არა? - თქვა უცნობმა, სარკის წინ შეტრიალდა და ირიბად გახედა ფრაკის უკანა ღილებს, რომლებიც წელის ნაცვლად შუა ზურგზე მოუვიდა, - წერილების დამტარებლის ხიფთანსავითაა... უცნაური ხიფთნები აქვთ... ყველა ერთი ზომისაა... ცნობილია ბედის ხრიკები... დაბალ კაცებს გრძელი ხიფთნები ხვდებათ და მაღლებს - მოკლე.

უცნობი სხაპასხუპით ისროდა წინადადებებს და თანაც თავის ან, უფრო სწორად რომ ვთქვათ, მისტერ უინკლის ფრაკს ისწორებდა.

ჩაცმა-გასინჯა მოთავდა და უცნობიც მისტერ ტაპმენის თანხლებით დარბაზისკენ მიმავალ კიბეს აჰყვა.

- თქვენი გვარები, სერ? - ჰკითხა კართან მდგომმა ლაქიამ.

ის იყო მისტერ ტაპმენმა დააპირა საკუთარი სახელისა და წოდების გამოცხადება, რომ უცნობმა შეაჩერა.

- არავითარი გვარები, - შესძახა მან და შემდეგ მისტერ ტაპმენს ჩასჩურჩულა: - სახელები არ გამოდგება, არ გვიცნობენ; კარგი სახელებია, მაგრამ ფართო საზოგადოება არ გვიცნობს - საუცხოო სახელებია პატარა წვეულებისათვის, მაგრამ ასეთ დიდ საღამოზე არავითარ შთაბეჭდილებას არ მოახდენს. ინკოგნიტოდ, უეჭველად, ინკოგნიტოდ... ჯენტლმენები ლონდონიდან... გამოჩენილი უცხოელები... ასე აჯობებს.

კარი გაიღო: მისტერ ტრესი ტაპმენი და უცნობი დარბაზში შევიდნენ.

ეს იყო შინდისფერი ავეჯით გაწყობილი გრძელი ოთახი და ბროლის ჭაღებში სანთლებით გაჩირაღდნებული. ორი თუ სამი წყვილი გაუთავებლად ცეკვავდა კადრილს, მუსიკოსებისთვის საიმედო ადგილი მოეძებნათ - შემაღლებულზე დაესვათ. მომიჯნავე ოთახში ბანქოს სათამაშო ორი მაგიდა იყო გაშლილი, სადაც ხანში შესული მანდილოსნების ორი წყვილი ჩასუქებული ჯენტლმენების იმავე რაოდენობასთან ვისტს თამაშობდა.

ცეკვა უკვე დამთავრებულიყო და მოცეკვავენი დარბაზში დასეირნობდნენ. მისტერ ტაპმენი და მისი თანამეინახე საზოგადოების დასათვალიერებლად ოთახის ერთ-ერთ კუთხეში მოთავსდნენ.

- საუცხოო ქალები არიან, - თქვა მისტერ ტაპმენმა.

- მოიცათ, მოიცათ, - უპასუხა უცნობმა, - სეირი ახლა იწყება... თავკაცები ჯერ არ მობრძანებულან. უცნაური ადგილია: ნავსადგურის მაღალი წოდების მოხელეები არ ცნობენ დაბალი წოდების მოხელეებს. დაბალი წოდების მოხელეები არ ცნობენ წვრილ აზნაურობას... წვრილი აზნაურობა, თავის მხრივ, არ ცნობს ვაჭრებს, ნავსადგურის უფროსი ხომ აღარავის არაფრად აგდებს!

- ერთი მიბრძანეთ, ის პატარა ბიჭი ვინ არის, სამასკარადო სამოსელში გამოწყობილი, ღია ფერის თმა რომ აქვს და მოწითალო თვალები?

- ჩუმად, გევედრებით... მოწითალო თვალები... სამასკარადო სამოსი... პატარა ბიჭი... სისულელეა... 97-ე პოლკის პრაპორშჩიკია... პატივცემული უილმოტ სნაიპი... დიდებული გვარია... სნაიპი... ფრიად!

- სერ თომას კლაბერი, ლედი კლაბერი და მის კლაბერი! - ხმამაღლა დასჭექა ლაქიამ.

შემოსასვლელ კარში გამოჩნდნენ ლურჯ, ბრჭყვიალაღილე-ბიან ფრაკში გამოწყობილი მაღალი მამაკაცი, ზორბა მანდი-ლოსანი იმავე ფერის ატლასის სამოსელში და ორი, დედასავით მსხვილი ქალიშვილი მოდურ კაბებში. დარბაზში დიდი ჩოჩქო-ლი ატყდა.

- სახელმწიფო კომისარია... ნავსადგურის უფროსი... დიდი კაცია, ძალიან დიდი კაცია, - ყურში ჩასჩურჩულა მისტერ ტაპ-მენს უცნობმა, როდესაც საქველმოქმედო საქმეთა კომიტეტმა სერ თომას კლაბერი ოჯახითურთ დარბაზის საპატიო კუთხემდე მიაცილა.

პატივცემული უილმოტ სნაიპი და სხვა გამოჩენილი ჯენ-ტლმენები ღრმა პატივისცემის ნიშნად კლაბერების წინ ჩამომ-წკრივდნენ. სერ თომას კლაბერი სარგადაყლაპულივით გაიჭი-მა და შავი ყელსახვევის ზემოდან მედიდურად გადახედა დამ-სწრე საზოგადოებას.

- მისტერ სმითი, მისის სმითი და მის სმითი! - გამოაცხადა ლაქიამ.

- ვინაა ეგ მისტერ სმითი? - ჰკითხა უცნობს მისტერ ტრესი ტაპმენმა.

- ნავსადგურში მსახურობს, - უპასუხა უცნობმა.

მისტერ სმითმა დიდი მოწიწებით დაუკრა თავი სერ თომას კლაბერს და ეს, უღრმესი პატივისცემის დამამტკიცებელი საბუ-თი, უკანასკნელმა, როგორც კუთვნილი წილი, აშკარა მოწყა-ლებით მიიღო. ქალბატონმა კლაბერმა ლორნეტით გულმოდგი-ნედ აათვალიერ-ჩაათვალიერა მისის სმითი ოჯახითურთ; მისის სმითი კი, თავის მხრივ, მიაჩერდა რომელიღაც ლედის, რომ-ლის ქმარი სულაც არ მსახურობდა ნავსადგურში.

- პოლკოვნიკი ბალდერი, მისის ბალდერი და მის ბალდერი, - ხმამაღლა წარმოთქვა ლაქიამ.

- გარნიზონის უფროსია, - აუხსნა უცნობმა, როდესაც მისტერ ტაპმენის ცნობისმოყვარე მზერა დაიჭირა.

ქალიშვილი კლაბერები გულთბილად შეხვდნენ მის ბალდერს; მისის ბალდერი და ლედი კლაბერი დიდი სიყვარულით მიეგებნენ ერთმანეთს; პოლკოვნიკმა ბალდერმა და სერ თომას კლაბერმა კი ერთმანეთს თამბაქო შესთავაზეს და ისე თავმომწონედ გადახედეს დანარჩენებს, გეგონებოდათ „ყოველის სულიერისა და უსულოს“ მბრძანებელნი ყოფილიყვნენ.

ვიდრე ადგილობრივი დიდკაცობა დარბაზის ერთ კუთხეში ასე თავგამოდებით იცავდა თავის ღირსებას, მეორე კუთხეში საზოგადოების სხვადასხვა ფენის წარმომადგენლები გულმოდგინედ ჰბაძავდნენ მათ. 97-ე პოლკთან შედარებით უფრო დაბალი წოდების ოფიცრებმა მთელი ყურადღება ნავსადგურის შედარებით უფრო ნაკლებმნიშვნელოვან მოხელეთა ოჯახებს შესწირეს; ღვინით მოვაჭრის მეუღლე და ვექილების მეუღლეები სათავეში ჩაუდგნენ კიდევ უფრო დაბალ ფენას (ლუდსახდელი ქარხნის მეპატრონის მეუღლე ბალდერებთან დადიოდა ხოლმე); მისის ტომელნსონი კი საფოსტო კანტორის პატრონი, როგორც ჩანს, საერთო შეთანხმებით სავაჭრო ჯგუფის მეთაურად ითვლებოდა.

თავის წრეში ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი წევრი გახლდათ ბურთივით მრგვალი პაწია კაცუნა, რომლის თავს შავი გაჩეჩილი თმის არშია ამშვენებდა, შიგნით კი, საქოჩრეზე, მოლაპლაპებული ფართო მინდორი მოუჩანდა. ეს იყო მისტერ სლემერი - 97-ე პოლკის სამხედრო ექიმი. ექიმი ერთდროულად ყველაფერს ასწრებდა: - ვის ელაზღანდარებოდა, ვისთან თუთუნს ყნოსავდა; იქ ცეკვავდა, აქ ოხუნჯობდა, თამაშობდა ვისტს და გულიანად ხითხითებდა. ამ მრავალნაირ საქმიანობასთან ერთად, არ ივიწყებდა ყველაზე უფრო მნიშვნელოვანს: - გულმოდგინედ და თავგამოდებით ემსახურებოდა პაწია, ხნიერ ქვრივს, რომ-

ლის მდიდრული მორთულობა და სამკაულების სიუხვე მცირე ჯამაგირის პატრონს ფრიად სასურველ დანამატს უქადდა.

სწორედ ამ წყვილს მისჩერებოდნენ მისტერ ტაპმენი და უცნობი, როდესაც უკანასკნელმა სიჩუმე დაარღვია.

- ფული ჩეჩქივით... თუმცა ბებრუხანაა... გაბრიყვებული ექიმი... ცუდი არ იქნება, თუ... აი, სეირს მაშინ უყურეთ! - ნაწყვეტ-ნაწყვეტად ისროდა უცნობი ძნელად მისახვედრ წინადადებებს. მისტერ ტაპმენი უცნობს ცნობისმოყვარედ მიაშტერდა.

- ქვრივს უნდა ვეცეკვო, - თქვა უცნობმა.

- ვინ არის ეგ ქვრივი? - ჰკითხა მისტერ ტაპმენმა.

- წარმოდგენა არ მაქვს!.. აქამდე არასოდეს მინახავს... ვცადოთ, ექიმი გავაძევოთ...

უცნობმა ოთახი გადაჭრა, ბუხარს მიეყრდნო და პაწია მანდილოსნის ბუნჩულა სახეს უღრმესი მოწიწებითა და სევდიანი აღტაცებით სავსე თვალები მიაპყრო. გაოცებისგან ენაჩავარდნილი ტაპმენი თვალს არ აშორებდა შეუდრეკელ უცნობს, რომელმაც სულ მოკლე ხანში დიდ წარმატებას მიაღწია. პაწია ექიმი ვიღაც სხვა მანდილოსანთან ცეკვავდა; ქვრივს მარაო დაუვარდა; უცნობმა სტაცა ხელი და პატრონს მიართვა - ღიმილი - თავის დაკვრა - რევერანსი... და საუბარიც გაიმართა. უცნობი თამამად მივიდა ცეკვების ავან-ჩავანთან და იგი ქვრივს მოჰგვარა; გაცნობის მოკლე უსიტყვო სურათი... და მისის ბაჯერი უცნობთან ერთად კადრილის მოცეკვავეთა რიგებს შეუერთდა.

უსაზღვრო გახლდათ მისტერ ტაპმენის განცვიფრება საქმის ასეთი სწრაფი დაბოლოების გამო, მაგრამ პაწია ექიმის გაოცებამ ათასჯერ და კიდევ ათიათასჯერ გადააჭარბა მას. უცნობი ახალგაზრდა იყო; ეს სიამოვნებდა ქვრივს; იგი ყურადღებას აღარ აქცევდა ექიმის არშიყობას და მისმა გაჯავრებამ არავითარი გავლენა არ იქონია აღუშფოთებელ მეტოქეზე. ექიმი სლემე-

რი გაშეშებული იდგა. იგი, 97-ე პოლკის ექიმი სლემერი, გააძევეს, და მერე ვინ? - ვიღაც ვიგინდარამ, რომელიც მანამდე არავის უნახავს და რომელსაც ახლაც არავინ იცნობს! ექიმ სლემერს - 97-ე პოლკის ექიმ სლემერს - უარი სტკიცეს! შეუძლებელია! არამც და არამც არ იქნება! მაგრამ, ვაი რომ, ასეა... აგერ ერთად არიან. რაო! მეგობარსაც აცნობს?! დაუჯეროს თვალს? კვლავ გაიხედა და გულისტკივილით დარწმუნდა, რომ სათვალე მართლაც არ ტყუოდა - მისის ბაჯერი მისტერ ტრესი ტაპმენთან ცეკვავს. - არა, არ ცდება! აგერ ქვრივი უჩვეულო სიმკვირცხლით დაკუნტრუშობს ხან ზევით და ხან ქვევით, მისტერ ტრესი ტაპმენი კი მის გარშემო დახტის; პატივცემულ პიკვიკელს სახეზე ყოველი ძარღვი დასჭიმვია, ისე ცეკვავს, გეგონებათ კადრილი თავშესაქცევი გართობა კი არა, საშინელი გამოცდა იყოს, რომელიც შემსრულებლისგან შეუდრეკელ სიმტკიცეს მოითხოვს.

უსიტყვოდ და საოცარი მოთმინებით აიტანა ყოველივე პაწია ექიმმა: - ნიგესის მირთმევ-მორთმევა, ჭიქებისა და ნამცხვრის გაფაციცებით ძებნა, ქვრივის პრანჭვა-გრეხა და ბოლოს - არშიყობა, მაგრამ, რამდენიმე წუთის შემდეგ, როდესაც უცნობი უეცრად გაქრა - მისის ბაჯერი ეტლამდის უნდა მიეცილებინა - სამხედრო მკურნალის დაგუბებულმა ბრაზმა სახის თითოეული ფორიდან ოფლად გამოხეთქა და პაწია ექიმიც ბურთივით გავარდა ოთახიდან. უცნობი გასახდელ ოთახში დაბრუნდა; გვერდით მოჰყვებოდა მისტერ ტაპმენიც. პირველი ჩუმად უყვებოდა რაღაცას პიკვიკელს და გულიანად ხითხითებდა.

პაწია ექიმს სული ყელში ებჯინებოდა: ოჰ, როგორ სწყურია უცნობის სისხლი! ის ვიგინდარა მხიარულად ბრძანდება! იგი გამარჯვებას ზეიმობს!

- სერ! - დაისისინა პაწია ექიმმა, უცნობს სადარბაზო ბარათი გაუწოდა და გასახდელი ოთახის კუთხისაკენ დაიხია, - მე სლე-

მერი გახლავართ, ექიმი სლემერი, 97-ე პოლკის მკურნალი, ჩეტემის ყაზარმიდან... აი, ჩემი ბარათი, სერ, ჩემი ბარათი... - კიდევ რაღაცის თქმა უნდოდა, მაგრამ მოწოლილმა ბრაზმა კინაღამ დაახრჩო.

- ოჰ! - ცივად მიუგო უცნობმა, - დიდად დამავალეთ... რითი დავიმსახურე ასეთი ყურადღება?.. ჯერჯერობით ავად არ ვარ.. სლემერ... თუკი გავხდები, უეჭველად დაგიძახებთ.

- თქვენ... ვი... ვიგინდარა ხართ!.. სერ... - ძლივსღა ითქვამდა სულს გააფთრებული მკურნალი, - მშიშარა... გაიძვერა... მატყუარა... ოჰ, ესეც არ გაიძულებთ, სერ, მომცეთ თქვენი ბარათი?

- ო, მესმის, მესმის, - თქვა უცნობმა, - ძალიან მაგარი ნიგესია აქ... გულუხვი მასპინძელი... სისულელეა, ჩემმა მზემ... ფრიად... ლიმონათი სჯობს... ოთახებში ცხელა... ხნიერი ჯენტლმენი... ტანჯვა-წამებას დილით უყურეთ... თავი რომ ლამის გაგისკდებათ... მერწმუნეთ, ფრიად უსიამოვნოა, მაგრამ რა გაეწყობა, - და უცნობმა კიბეზე შედგა ფეხი.

- თქვენ ხომ ამ სასტუმროში მოეწყვეთ, სერ? - შესძახა გაცოფებულმა პაწია მკურნალმა, - ახლა ნასვამი ხართ, სერ. დილით მოგაკითხავთ, მაინც გიპოვით, სერ, სადაც უნდა იყოთ, უეჭველად გიპოვით!

ამ სიტყვებზე პაწია ექიმმა მძვინვარედ გადახედა მეტოქეს. ბრაზმორეულმა ქუდი მთელი ძალით ჩამოიფხატა თავზე და ქუჩაში გავარდა. მისტერ ტაპმენი და უცნობი კი ტაპმენის საძინებელში ავიდნენ, რომ უგრძნობელი უინკლისათვის დაებრუნებინათ მისი მოკაზმულობა.

რადგან უინკლს საღათას ძილით ეძინა, ფრაკიც უდავიდარაბოდ, სასწრაფოდ იქნა დაბინავებული. უცნობი ერთობ მხიარულ განწყობაზე იყო. მისტერ ტაპმენი, რომელიც ღვინის, ნიგესის,

სინათლისა და ქალებისგან გაბრუებულიყო, მომხდარ ამბავს შესანიშნავ ოინად თვლიდა.

უცნობი წავიდა. პატივცემულ პიკვიკელს, ცოტა არ იყოს, გაუჭირდა ჩაჩის დახურვა - ვერა და ვერ მოახერხა თავზე მისი სწორად ჩამოცმა. ამ ჯაჯგურ-ჯაჯგურში შანდალი გადმოუბრუნდა. საცოდავმა დიდი წვალებით მიაღწია საწოლამდე და იმწამსვე ძილს მისცა თავი.

ის იყო, მეორე დილას საათმა შვიდჯერ დარეკა, რომ მისტერ პიკვიკის ყოვლისაღმქმელი გონება კარზე დაბრახუნებამ ღრმა ძილისგან გამოარკვია.

- ვინ არის? - იკითხა მისტერ პიკვიკმა და საწოლზე წამოჯდა.

- მსახური გახლავართ, სერ.

- რა გნებავთ?

- გეთაყვა, სერ, ხომ ვერ მეტყვით, თქვენი ნაცნობებიდან რომელი ატარებს ღიალურჯ ფრაკს მოოქრული ნიშნით, რომელზედაც ინიციალებია „პ.კ.“?

„უთუოდ გასაწმენდად მისცეს და ახლა მსახურს დაავიწყდა, რომელია პატრონი“, - გაიფიქრა მისტერ პიკვიკმა, - მისტერ უინკლი, - ხმამაღლა დაიძახა მან, - მარჯვნივ, მესამე ოთახში მიაგნებთ.

- გმადლობთ, სერ, - უპასუხა მსახურმა და კარს მოშორდა.

- რა მოხდა? - დაიძახა მისტერ ტაპმენმა. ახლა მის კარზე გაისმა კაკუნი და ძილი დაუფრთხო მას.

- თუ შეიძლება, სერ, მისტერ უინკლთან დამალაპარაკეთ, - მოისმა გარედან მსახურის ხმა.

- უინკლ, უინკლ! - გასძახა მეორე ოთახში მისტერ ტაპმენმა.

- ჰელო! - მოისმა საბნის ქვეშიდან უინკლის მიკნავებული ხმა.

- თქვენ გკითხულობენ, ვიღაცაა კართან, - ამოილუღლუღა მისტერ ტაპმენმა და კვლავ განაგრძო ძილი.

- მე მკითხულობენ? - წამოიძახა მისტერ უინკლმა, საჩქაროდ საწოლიდან გადმოხტა! - მკითხულობენ!.. და ისიც ასე შორს ლონდონიდან?.. საკვირველია... ნეტავ, ვინ ეშმაკს დავჭირდი?

- ვიღაც ჯენტლმენია, სერ, სასადილო ოთახში გელოდებათ, - უპასუხა მსახურმა, როდესაც მისტერ უინკლმა კარი გამოაღო და მის წინ გაჩერდა, - ჯენტლმენი ამბობს, რომ დიდხანს არ დაგაყოვნებთ, მხოლოდ თქვენს უნახავად ვერ წავა.

- საოცარია! - თქვა მისტერ უინკლმა, - ახლავე ჩამოვალ.

პატივცემულმა პიკვიკელმა სასწრაფოდ გადაიცვა დილის ხალათი, პლედში გაეხვია და ძირს ჩავიდა. მოხუცი ქალი და ორი მსახური სასადილო ოთახს ასუფთავებდნენ, ვიღაც ფორმაში გამოწყობილი ოფიცერი ფანჯარაში იყურებოდა. როდესაც მისტერ უინკლი ოთახში შემოვიდა, იგი მობრუნდა და ახალმოსულს ცივად დაუკრა თავი; შემდეგ მსახურებს უბრძანა გარეთ გასულიყვნენ, კარი ფრთხილად მიხურა და მისტერ უინკლს მიმართა:

- თუ არ ვცდები, მისტერ უინკლი ბრძანდებით, არა?

- დიახ, სერ, მაგ სახელს ვატარებ.

- უთუოდ არ გაგიკვირდებათ, სერ, თუ მოგახსენებთ, რომ ჩემი მეგობრის, 97-ე პოლკის ექიმის, სლემერის, დავალებით გეახელით.

- ექიმ სლემერის? - გაიმეორა მისტერ უინკლმა.

- დიახ, ექიმ სლემერის. მან მთხოვა მოგახსენოთ, რომ თქვენი წუხანდელი საქციელი ყოვლად უმსგავსოა; რომ ჭეშმარიტად კეთილშობილი ჯენტლმენი არასოდეს შეჰკადრებს მეორე ჯენტლმენს ისეთ უღირს სიტყვებს, როგორიც თქვენ გიკადრებიათ ექიმ სლემერისათვის... პატივცემული მკურნალისათვის.

იმდენად გულწრფელი იყო მისტერ უინკლის განცვიფრება, რომ ექიმ სლემერის მეგობარმა, რომლის გამჭრიახ თვალს არაფერი გამოჰპარვია, მშვიდად დასძინა: - ჩემმა მეგობარმა მთხოვა აგრეთვე, ზემოთ ნათქვამს კიდევ ერთი რამ დავუმატო: ექიმი სლემერი ღრმად დარწმუნებულია, რომ წუხელ ნასვამი ბრძანდებოდით და, ადვილი შესაძლებელია, ამჟამად თავს ანგარიშსაც არ აძლევდეთ იმ დიდ დანაშაულში, რომელიც პატივცემული ჯენტლმენის წინაშე მიგიძღვით. ამიტომ, თუ გასამართლებელ საბუთად სიმთვრალეს მოიყვანთ, ამ შემთხვევაში ექიმი სლემერიც დაკმაყოფილდება მხოლოდ წერილობითი ბოდიშის მოხდით, რომელსაც ახლა კეთილინებებთ და ჩემი კარნახით დაწერთ.

- წერილობითი ბოდიში! - გაიმეორა მისტერ უინკლმა გაოცებით.

- უარის შემთხვევაში თქვენთვის ცნობილია საქმის ვითარება, - ცივად მიუგო ოფიცერმა.

- ერთი მიბრძანეთ, გეთაყვა, ეს საქმე ნამდვილად ჩემთვის გადმოსაცემად მოგანდეს?.. პირადად ჩემთვის?.. - უცნაურმა საუბარმა საცოდავს თავგზა აუბნია.

- პირადად მე არ დავსწრებივარ საღამოს, - უპასუხა მოსულმა, - რამდენადაც ვიცი, ექიმმა სლემერმა გუშინ საღამოს სადარბაზო ბარათი მოგთხოვათ, მაგრამ თქვენ ცივი უარი განუცხადეთ. ამიტომ, პატივცემულმა ჯენტლმენმა მთხოვა, დავადგინო იმ პირის ვინაობა, რომელიც ფრიად უცნაურ ფრაკს ატარებს: ღიალურჯი ფერის ზედატანს მოოქრული ნიშნით, რომელზედაც ვიღაცის ბიუსტია გამოსახული ასოებით „პ.კ.“

მისტერ უინკლს ელდა ეცა: სტუმარმა სიტყვასიტყვით აღწერა მისი საკუთარი ფრაკი.

ექიმ სლემერის მეგობარმა განაგრძო:

- ეს-ეს არის, სასტუმროს მსახურმა დამიდასტურა, რომ ამ ფრაკის პატრონი სამი ჯენტლმენის თანხლებით გუშინ ნაშუადღევს ჩამოვიდა. იმწამსვე კაცი ავგზავნე ჯენტლმენთან, რომელიც ეტყობა ხსენებული ოთხეულის წინამძღოლი უნდა იყოს და მან პირდაპირ თქვენზე მიმითითა.

სტუმრის ნათქვამმა ისე გააოცა, ისე გააოგნა მისტერ უინკლი, რომ თვით როჩესტერის ციხის მთავარი კოშკი რომ საძირკვლიანად წამოსკუპებულიყო ფანჯრის წინ, სადაც უინკლი იდგა, საცოდავს, ალბათ, ასე ძლიერად არც კი გაუკვირდებოდა. „იქნებ მომპარეს ფრაკი“... - გაიფიქრა მან.

- ძალიან გთხოვთ, ერთი წუთი მომიცადოთ, - წამოიძახა მან.

- სიამოვნებით, - უპასუხა დაუპატიჟებელმა სტუმარმა.

მისტერ უინკლმა მკვირცხლად აირბინა კიბე და თვალის დახამხამებაში თავის ოთახში გაჩნდა. ხელის კანკალით გახსნა ჩემოდანი, ფრაკი თავის ადგილას იდო, გულმოდგინედ გადასინჯა და დარწმუნდა, რომ წინაღამით ვიღაცას ჩაუცვამს იგი.

- უთუოდ ასეა! - წამოიძახა მან, - სადილის შემდეგ ძალიან ბევრი დავლიე, ახლა ბუნდოვნად მაგონდება, რომ ქუჩებში დავეხეტებოდი, სიგარას ვეწეოდი... ერთი რამ ცხადია - ძალიან მთვრალი ვყოფილვარ... ტანსაცმელიც გამომიცვლია... უთუოდ ქუჩაში ვინმეს შეურაცხყოფა მივაყენე... ცხადზე უცხადესია... და აი, შედეგიც. - ამ სიტყვებით მისტერ უინკლი სასადილოსკენ გაემართა. გულში ნაღვლიანად გადაწყვიტა, უბედურებას ვაჟკაცურად დახვედროდა, შეუდრეკლად მიეღო მამაცი ექიმის გამოწვევა და თავი სავალალო, იქნებ საშინელი შედეგებისათვის შეემზადებინა... პატივცემულმა პიკვიკელმა ეს გმირული გადაწყვეტილება შემდეგ მოსაზრებათა გამო მიიღო: უპირველეს ყოვლისა, მისი რეპუტაცია კლუბში: ის ხომ სპორტისა და ფიზიკური ვარჯიშების საკითხებში - იქნება ეს შეტევა, დაცვა თუ სხვა რამ, -

დიდ ავტორიტეტად ითვლება და აი, ახლა, თუ პირველ გასაჭირსავე მხდალივით გაექცა, უეჭველად ბელადის თვალში სახელი გაუტყდება და კლუბის წევრებსაც სამუდამოდ გამოეთხოვება. მეორეც, გამოცდილი ხალხისგან გაუგონია, რომ სეკუნდანტების სათანადო მორიგების შემდეგ დამბაჩებს დატენა აღარც კი სჭირდებათ. კიდევ ერთი მოსაზრება: თუ მისტერ სნოდგრასს სთხოვს სეკუნდანტად დაუდგეს და მოსალოდნელ საფრთხეს მუქ ფერებში დაუხატავს, მისმა გულჩვილმა მეგობარმა, შესაძლოა, ეს ამბავი მისტერ პიკვიკს მოახსენოს; ბელადი კი თავის მხრივ, იმწუთშივე ადგილობრივ მთავრობას აცნობებს და ამგვარად თავის მოწაფეს გადაარჩენს სიკვდილისგან, ან დასახიჩრებისგან მაინც.

ამ მტკიცე გადაწყვეტილებით მან სასადილოს კარი შეაღო და სტუმარს მოახსენა, რომ მზად არის, პატივცემული სლემერის გამოწვევა მიიღოს.

- ხომ ვერ მიმითითებთ მეგობარს, რომელსაც შეხვედრის ადგილისა და დროის შესახებ მოველაპარაკები? - ჰკითხა ოფიცერმა.

- ზედმეტად მიმაჩნია, - ამაყად მიუგო მისტერ უინკლმა, - დანიშნეთ დრო და ადგილი, მე თან მოვიყვან მეგობარს.

- ვთქვათ, ამ საღამოს, მზის ჩასვლისას?

- კეთილი და პატიოსანი, - უპასუხა უინკლმა, გულით კი სულ სხვა რამ სურდა.

- პიტის გალავანი უთუოდ გინახავთ.

- დიახ, გუშინ დავათვალიერე.

- კეთილინებეთ და მინდორს გამოჰყევით, რომელიც თხრილს ესაზღვრება; შემდეგ მარცხნივ მიმავალ ბილიკს დაადექით, სანამ გალავნის ბოლომდე არ ჩახვალთ; აქედან პირდაპირ წამოხვალთ და მე დამინახავთ. იქ დაგელოდებით და

ერთ უდაბურ ადგილზე გაგიყვანთ, სადაც განზრახულ საქმეს დავაბოლოებთ. დარდი ნუ გექნებათ, ხელს არავინ შეგვიშლის.

„დარდი ნუ გექნება!“ გაიფიქრა მისტერ უინკლმა.

- ვგონებ, ყველაფერი მოვაგვარეთ, - თქვა ოფიცერმა.

- რამდენადაც მესმის, ყველაფერი. - უპასუხა მისტერ უინკლმა.

- ნება მიბოძეთ, დაგემშვიდობოთ.

- ბედნიერად ბრძანდებოდეთ, - უპასუხა უინკლმა.

ოფიცერი მხიარული სტვენით გავიდა გარეთ.

დილის საუზმემ პირქუშად ჩაიარა. მისტერ ტაპმენი უჩვეულოდ გატარებული ღამის შემდეგ ლოგინიდან ვეღარ წამოდგა; მისტერ სნოდგრასი პოეტურ ჭმუნვას მოეცვა; თვით დიდებული პიკვიკიც კი რატომღაც დიდ მიდრეკილებას იჩენდა სიჩუმისა და სოდიანი წყლისადმი.

მისტერ უინკლი მოუთმენლად ელოდა ხელსაყრელ შემთხვევას და დიდხანს არც მოუხდა ცდა. მისტერ სნოდგრასმა მეგობრებს როჩესტერის ციხის დასათვალიერებლად წასვლა შესთავაზა. წინადადებას მისტერ უინკლის მეტი არავინ გამოეხმაურა და ორივე მეგობარი გზას გაუდგა.

- სნოდგრას, - დაიწყო მისტერ უინკლმა, როგორც კი მეგობრებმა ხალხმრავალი ქუჩიდან გადაუხვიეს, - სნოდგრას, ჩემო ძვირფასო მეგობარო, შეგიძლიათ თუ არა საიდუმლო შემინახოთ? - თქვა ეს და გულში კი ფიქრობდა - იქნებ ვერ შეძლოს და უარი მითხრასო.

- რა თქმა უნდა, - უპასუხა სნოდგრასმა, - თუ გნებავთ, დავიფიცებ...

- არა, არა, - შეაწყვეტინა უინკლმა. საცოდავს გულზე შემოეყარა - მეგობარმა რომ მართლა ფიცი დადოს და საიდუმლო არავის გაუმჟღავნოს, ხომ დავიღუპებიო.

- არ დაიფიცოთ... არ დაიფიცოთ, გეთაყვა... არაა საჭირო.

მისტერ სნოდგრასს პოეტური აგზნების დროს ზეაპყრობილი ხელი, რომლითაც თითქოს მოწმედ უნდოდა ზეცა მოეხმო, ძირს ჩამოუვარდა. შემდეგ უინკლს მიუბრუნდა და ყურადღებად იქცა.

- ჩემო ძვირფასო მეგობარო, თქვენი დახმარება მჭირდება ერთ ფრიად სახიფათო საქმეში, რომელიც ჩემს სახელსა და პატიოსნებას შეეხება, - წარმოთქვა მისტერ უინკლმა.

- კიდეც დაგეხმარებით, - მიუგო მისტერ სნოდგრასმა და მეგობრის ხელი გულმხურვალედ ჩაბღუჯა.

- ექიმ... ექიმ სლემერთან... 97-ე პოლკის ექიმ სლემერთან, - მისტერ უინკლი ცდილობდა მომხდარი ამბავი რაც შეიძლება უფრო მუქ ფერებში გადმოეცა, - დუელი ოფიცერთან... სეკუნდანტიც ოფიცერი... ამ საღამოს, მზის ჩასვლისას... უდაბურ მინდორში... პიტის გალავნის გადაღმა.

- თქვენს განკარგულებაში ვარ, მიმსახურეთ, - შესძახა მისტერ სნოდგრასმა. მას, მართალია გაუკვირდა, მაგრამ გული სულაც არ სტკენია. პირდაპირ საოცარია, მოწინააღმდეგეთა გარდა, რამდენად გულგრილად ეკიდებიან დუელს სხვა მონაწილენი. ეს გარემოება უინკლს სრულიად დაავიწყდა - მეგობრის გრძნობებს ის თავის განცდებისდა მიხედვით სჯიდა.

- შესაძლოა, ეს საქმე ცუდადაც დამთავრდეს, - განაგრძო მისტერ უინკლმა.

- იმედი მაქვს, რომ ასე არ მოხდება, - მიუგო მისტერ სნოდგრასმა.

- ეტყობა, ექიმი ჩინებული მსროლელია.

- სამხედროების უმეტესობა საუცხოო მსროლელია, - მშვიდად დაუმოწმა მისტერ სნოდგრასმა, - მაგრამ თქვენც ხომ კარგად ისვრით, არა?

უინკლმა თანხმობის ნიშნად თავი დააქნია და, როდესაც დარწმუნდა, რომ მეგობარი ამ ამბავს ძალიან არ შეუწუხებია, სხვა ხერხს მიმართა.

- სნოდგრას, - დაიწყო მან და მღელვარებისგან ხმა აუკანკალდა. - თუ მომკლეს... ამანათში, რომელსაც მე გადმოგცემთ, თქვენ ნახავთ ბარათს... მამაჩემისთვის.

ამ ხერხმაც არ გაჭრა. მისტერ სნოდგრასი შეწუხდა, მაგრამ... ბარათის გადაცემა ისე მხურვალედ აღუთქვა, თითქოს მთელ თავის სიცოცხლეში წერილების ტარების მეტი არაფერი ეკეთებინოს.

- თუ მომკლეს, - განაგრძო კვლავ მისტერ უინკლმა, - ან თუ ექიმი სლემერი შემომაკვდა, თქვენ, დიახ თქვენ, ჩემო ძვირფასო მეგობარო, პასუხს აგებთ, როგორც თანამონაწილე. უეჭველად გადაგასახლებენ. უეჭველად, და განა მე ჩემს თავს უფლებას მივცემ მეგობარი გავწირო, იქნებ სამუდამოდაც?

ამ სიტყვების გაგონებაზე მისტერ სნოდგრასი ოდნავ შეკრთა, მაგრამ მისი გმირული სული არც ამ საფრთხის წინ შედრკა.

- მეგობრის გულისთვის, - აღტაცებით მიუგო მან, - ყოველგვარ ხიფათს ავიტან.

რამდენიმე ხანს ხმას არ იღებდნენ და ისევ მიიწევდნენ წინ. თითოეული საკუთარ ფიქრებს მისცემოდა. ო, როგორ სწყევლიდა მისტერ უინკლი გულში მისტერ სნოდგრასის თავდადებულ მეგობრობას, მის ერთგულებას.

დილა მიიწურა და მისტერ უინკლიც სასოწარკვეთას მიეცა.

- სნოდგრას, - მიმართა მან უკანასკნელ ხერხს, - სნოდგრას, ამ საქმეში არ მიმტყუნოთ. არ შეატყობინოთ ადგილობრივ ხელისუფალთ, არ დაიხმაროთ პოლიცია, რომ მე ან 97-ე პოლკის მკურნალი ექიმი სლემერი... რომელიც ამჟამად ჩეტემის ყაზარმაში ცხოვრობს... სატუსაღოში წაგვიყვანონ. ამით ხომ დუელს

შეუშლით ხელს... გევედრებით... რა თქმა უნდა, თქვენ არ გაგ-ვცემთ... არავითარ შემთხვევაში!

მისტერ სნოდგრასმა მეგობარს გულთბილად ჩამოართვა ხე-ლი და აღტაცებით უპასუხა: - არავითარ შემთხვევაში!

საცოდავ უინკლს ჟრუანტელმა დაუარა. ვერაფერი ქნა - მე-გობარში შიში ვერ აღძრა. ახლა კი საბოლოოდ გადაწყდა მისი ბედი - დღეს საღამოს ვიღაც სლემერმა იგი, პატივცემული პიკ-ვიკელი, ცოცხლად ნიშანში უნდა ამოიღოს და ვინ იცის, რა მოხ-დება...

მისტერ უინკლმა მეგობარს საქმის ნამდვილი ვითარება გა-აცნო და შემდეგ ორივე იარაღის შესაძენად მესაჭურვლესთან შევიდა. მათ ქირით გამოართვეს საპირისწამლე, დამბაჩის ყუ-თი, ბლომად ტყვია-წამალი და აჩქარებული ნაბიჯით დაბრუნ-დნენ სასტუმროში.

მოღრუბლული საღამო იყო, როდესაც ისინი სახიფათო საქ-მის სისრულეში მოსაყვანად გაემართნენ.

მისტერ უინკლი უზარმაზარ წამოსასხამში შეიფუთნა, არ უნ-დოდა გამვლელ-გამომვლელის ყურადღება მიექცია; მისტერ სნოდგრასი კი ლაბადის ქვეშ სასიკვდილო იარაღებს მიათრევ-და.

- ხომ ყველაფერი მოიმარაგეთ? - ხმის კანკალით ჰკითხა თა-ნამგზავრს მისტერ უინკლმა.

- ყველაფერი, - უპასუხა მისტერ სნოდგრასმა. - ტყვია-- წამალი ბლომად მომაქვს, იქნებ პირველმა გასროლამ ფუჭად ჩაიაროს და დამბაჩის ხელახლა დატენა დაგვჭირდეს. ყუთში მე-ოთხედი გირვანქა ტყვია-წამალია. დასატენად ორი გაზეთიც წა-მოვიღე.

ამგვარი მეგობრული მზრუნველობა მუდამ უღრმესი მადლობის ღირსი გახლავთ, და მისტერ უინკლიც, უთუოდ გრძნობამორეული, ხმის ამოღებას ვეღარ ახერხებდა.

- სწორედ რომ დროზე მოვედით! - შესძახა მისტერ სნოდგრასმა, როდესაც ღობეს მიუახლოვდნენ, - მზე ჩადის.

მისტერ უინკლმა ჩამავალ პრიალა ბურთს გაჰხედა და გულისტკივილით გაიფიქრა, - შესაძლოა, სულ მალე ჩემი მზეც ჩაესვენოსო.

- აგერ ოფიცერიც, - წამოიძახა მისტერ უინკლმა ცოტა ხნის შემდეგ.

- სად? - იკითხა მისტერ სნოდგრასმა.

- აგერ... ლურჯ ლაბადაშია გახვეული.

მისტერ სნოდგრასმა თვალი გააყოლა მეგობრის გაშვერილ თითს და შორიახლოს ზემოხსენებულ სამოსელში შეფუთნილი ჯენტლმენი შენიშნა. ოფიცერმა სალმის ნიშნად მოსულებს ოდნავ დაუქნია ხელი და გზას გაუდგა. მეგობრები მცირე მანძილის მოშორებით მიჰყვნენ უკან.

საღამო უფრო მოიღუშა და უფრო სევდიანად აზუზუნდა ქარი უდაბურ მინდვრებში - გეგონებოდათ, ვიღაც გოლიათი სტვენით უხმობსო თავის ძაღლს. როცა თხრილს მიჰყვებოდნენ, მისტერ უინკლი უნებლიეთ შეხტა - ჩაგრძელებული ორმო უზარმაზარ საფლავად მოეჩვენა.

უეცრად ოფიცერმა ბილიკიდან გადაუხვია, მესერზე გადაძვრა, ხერგილი გადალახა და უკაცრიელ მინდორზე გავიდა. იქ ორი ჯენტლმენი იცდიდა: ერთი - დაბალი, ღიპიანი კაცი, ხოლო მეორე - მოსირმულ სერთუკში გამოწყობილი, წარმოსადეგი მამაკაცი, რომელიც არხეინად განისვენებდა საკეც სკამზე.

- აგერ მოწინააღმდეგე, და, მგონი, ექიმიც, - თქვა მისტერ სნოდგრასმა, - გირჩევთ, ცოტა ბრენდი გადაკრათ.

მისტერ უინკლმა ხარბად წაავლო ხელი მათარას, რომელიც მეგობარმა შესთავაზა და გამამხნევებელი ნექტარი გადაკრა.

- ჩემი მეგობარი, სერ, მისტერ სნოდგრასი, - გააცნო მისტერ უინკლმა მეგობარი ოფიცერს, რომელიც მიუახლოვდა მათ. ექიმ სლემერის სეკუნდანტმა მისტერ სნოდგრასს თავი დაუკრა და ისეთივე ყუთი ამოიღო, როგორიც პატივცემულმა პიკვიკელ-მა მოიტანა.

- მგონი, მოსალაპარაკებელი არაფერი გვაქვს, სერ, - ცივად შენიშნა ოფიცერმა და ყუთი გახსნა, - ბოდიშის მოხდაზე გადაჭ-რით განაცხადეთ უარი.

- დიახ, შერიგებაზე ლაპარაკიც ზედმეტია, - უპასუხა მისტერ სნოდგრასმა, რომელსაც, ცოტა არ იყოს, გუნება წაუხდა.

- მაშ, დავიწყოთ! - თქვა ოფიცერმა.

- რა თქმა უნდა, დავიწყოთ! - დაეთანხმა მისტერ სნოდგრასი.

მანძილი გადაზომეს და საჭირო სამზადისიც მოათავეს.

- ჩვენი დამბაჩები სჯობს თქვენსას, - თქვა მოწინააღმდეგის სეკუნდანტმა და თავისი დამბაჩები ამოიღო - ხომ დაინახეთ, რომ დავტენე? წინააღმდეგი ხომ არ იქნებით, რომ ისინი ვიხმა-როთ!

- რა თქმა უნდა, არა, - უპასუხა მისტერ სნოდგრასმა. საქმის ამგვარმა დაბოლოებამ პატივცემული პიკვიკელი დიდი უხერხუ-ლობისგან იხსნა. მას ხომ დამბაჩის დატენის შესახებ მეტად ბუნ-დოვანი წარმოდგენა ჰქონდა.

- ვფიქრობ, უკვე შეუძლიათ ჯენტლმენებს თავ-თავიანთ ად-გილებზე დადგნენ, - შენიშნა ოფიცერმა ისე გულგრილად, გე-გონებოდათ, მოწინააღმდეგენი ჭადრაკის ფიგურები ყოფილიყ-ვნენ და სეკუნდანტები კი - მოთამაშენი.

- მეც ასე ვფიქრობ, - უპასუხა მისტერ სნოდგრასმა. პატივცე-მული პიკვიკელი ყველაფერში ეთანხმებოდა თავის კოლეგას,

რადგან წარმოდგენაც არ ჰქონდა თუ როგორ უნდა გამართულიყო დუელი. ოფიცერი ექიმ სლემერთან მივიდა, მისტერ სნოდგრასი კი - მისტერ უინკლთან.

- ყველაფერი მზადაა, - თქვა მისტერ სნოდგრასმა და მეგობარს დამბაჩა გაუწოდა, - ლაბადა მომეცით.

- ამანათი ხომ მიიღეთ, ჩემო ძვირფასო მეგობარო? - საცოდავად წაილუღლუღა მისტერ უინკლმა.

- მივიღე, მივიღე, დარდი ნუ გექნებათ, - დაამშვიდა მისტერ სნოდგრასმა, - ყოჩაღად იყავით და მხარში დაუმიზნეთ.

მისტერ უინკლს უნებურად მოაგონდა ის შეძახილები, რომლითაც ამხნევებენ ხოლმე მაყურებლები ქუჩაში მოჩხუბარ პატარა ბიჭებს. სახელდობრ: „აბა, ბიჭო, მიდი, მიდი, წააქციე, ნუ გეშინია“ დიდებული რჩევაა, როდესაც იცი, როგორ გააკეთო ეს. მისტერ უინკლმა უხმოდ გადაიძრო ლაბადა, რომლის შეხსნასაც, ცოტა არ იყოს, დიდხანს მოუნდა და დამბაჩა აიღო. სეკუნდანტები განზე გადგნენ და საკეც სკამზე წამომჯდარმა ჯენტლმენმაც მათ მაგალითს მიჰბაძა. მოწინააღმდეგენი ერთმანეთს მიუახლოვდნენ.

მისტერ უინკლი თვალდახუჭული უახლოვდებოდა საბედისწერო ადგილს და ამიტომაც ვერ შეამჩნია ექიმ სლემერის ფრიად უცნაური და სრულიად გაუგებარი მოქმედება. პაწია ექიმმა რამდენიმე ნაბიჯი გადადგა წინ, მოწინააღმდეგეს დააშტერდა, შემდეგ უკან დაიხია, თვალები მოიფშვნიტა, კვლავ დააშტერდა და ბოლოს შესძახა: „შეჩერდით, შეჩერდით!“

- რას ნიშნავს ეს? - შესძახა, როდესაც მისმა სეკუნდანტმა და მისტერ სნოდგრასმა გულისხეთქით მოირბინეს მასთან, - ეს ის კაცი არ არის!

- ის არ არის?! - წამოიძახა ექიმ სლემერის სეკუნდანტმა.

- ის არ არის?! - გაიმეორა მისტერ სნოდგრასმა.

- ის არ არის? - წარმოთქვა ჯენტლმენმა, რომელსაც იღ-ლიაში დასაკეცი სკამი ჰქონდა ამოჩრილი.

- რა თქმა უნდა, არა, - უპასუხა პაწია ექიმმა, - ეს არ არის ის კაცი, რომელმაც შეურაცხყოფა მომაყენა.

- პირდაპირ საოცარია! - წამოიძახა ოფიცერმა.

- ფრიად! - დაემოწმა დასაკეცსკამიანი ჯენტლმენიც, - მაინც დასადგენია, შეიძლება თუ არა აღნიშნული პიროვნება, რო-გორც ასეთი, ჩაითვალოს დამნაშავედ, - გამოთქვა რა ეს აზრი, ჯენტლმენმა თუთუნი დაყნოსა და დამსწრე საზოგადოებას თავ-მომწონედ გადახედა, თითქოს უნდოდა ეთქვა - ერთი შეხედეთ, რა დიდებული გამოცდილება მაქვს ამგვარ საქმეშიო.

რა წამს მისტერ უინკლმა გაიგონა, რომ მოწინააღმდეგემ საომარი მოქმედების შეწყვეტა მოითხოვა, თვალებიც დააჭყიტა და ყურებიც ცქვიტა. უეჭველია, რაღაც გაუგებრობა მოხდა. უეც-რად მოისაზრა - მოსვლის ნამდვილ მიზეზს თუ არ გამოამჟღავ-ნებს, უთუოდ, აქაც და კლუბშიც ვაჟკაცობით სახელს მოიხვეჭს. ამიტომ, მან მედგრად წადგა ნაბიჯი წინ და განაცხადა:

- დიახ, ვიცი, მე არ გახლავართ დამნაშავე.

- თუ ასეა, - თქვა დასაკეცსკამიანმა ჯენტლმენმა, - ეს ახალი შეურაცხყოფა ექიმ სლემერის მიმართ სრულიად საკმარისია, რომ დაუყოვნებლივ განვაგრძოთ დუელი.

- გთხოვთ, დაწყნარდეთ, ჰეინ, - სიტყვა ჩამოართვა ექიმს სე-კუნდანტმა, - რატომ დილითვე არ მითხარით ამის შესახებ, სერ?

- მართლაც, მართლაც, - გაბრაზებით დაემოწმა დასაკეცსკა-მიანი ჯენტლმენი.

- იმიტომ, სერ, რომ, - მიუგო მისტერ უინკლმა, რომელმაც პასუხის მოფიქრებაც მოასწრო, - იმიტომ, სერ, რომ, როგორც თქვენ განაცხადეთ, იმ უზრდელ, გალეშილ პიროვნებას სწორედ ისეთი ფრაკი სცმია, რომელსაც, მაქვს პატივი არამცთუ ვატა-

რებდე, არამედ, მე თვითონ გამოვიგონე პიკვიკის კლუბის წევრებისათვის. მე ვალდებულად მივიჩნევ თავს, ყველგან და ყოველთვის დავიცვა აღნიშნული სამოსის სახელი და სწორედ ამიტომ, უყოყმანოდ მივიღე პატივცემული ჯენტლმენის გამოწვევაც.

- ჩემო ძვირფასო, სერ, - შესძახა კეთილმა, პაწია ექიმმა და უინკლს ხელი გაუწოდა, - დიდად ვაფასებ თქვენს მამაცობას! ნება მიბოძეთ, სერ, მოგახსენოთ, რომ თქვენმა რაინდულმა საქციელმა პირდაპირ აღტაცებაში მომიყვანა. მერწმუნეთ, გულით და სულით ვნანობ, რომ ტყუილუბრალოდ გაგსარჯეთ და ასეთ უხერხულ მდგომარეობაში ჩაგაყენეთ.

- ოჰ, სათქმელადაც არ ღირს, სერ, - მიუგო მისტერ უინკლმა.

- პირდაპირ ვამაყობ თქვენი გაცნობით, სერ, - შესძახა გრძნობამორეულმა მკურნალმა.

- მეც დიდად ნასიამოვნები ვარ, რომ გაგიცანით, სერ, - ზრდილობიანად მიუგო მისტერ უინკლმა და ხელი ჩამოართვა ექიმს, შემდეგ ლეიტენანტ ტეპლტონს (ექიმის სეკუნდანტს), შემდეგ დასაკეცსკამიან ჯენტლმენს და ბოლოს მისტერ სნოდგრასს; ეს უკანასკნელი აღტაცებული იყო მეგობრის გმირული საქციელით.

- მგონი, შეიძლება დავიშალოთ კიდეც, - თქვა ლეიტენანტმა ტეპლტონმა.

- რა თქმა უნდა, - დაუმოწმა ექიმმა.

- იმ პირობით, - ჩაერია დასაკეცსკამიანი ჯენტლმენი, - თუ პატივცემული მისტერ უინკლი შეურაცხყოფილად არ გრძნობს თავს; წინააღმდეგ შემთხვევაში, მერწმუნეთ, მას სრული უფლება, აქვს მოწინააღმდეგეს პასუხი მოთხოვოს.

სულგრძელმა უინკლმა თავაზიანად განაცხადა, რომ მზად არის პატივცემულ მოწინააღმდეგეს ეს მცირე გაუგებრობა მოუტევოს.

- ან იქნებ, - განაგრძო დასაკეცსკამიანმა ჯენტლმენმა, - მისტერ უინკლის სეკუნდანტს ეწყინა ის შენიშვნები, რომელიც მე შეხვედრისას მივეცი მას. თუ ასეა, ბედნიერად ჩავთვლიდი თავს, დაუყოვნებლივ გავცე პასუხი.

მისტერ სნოდგრასმა არ დააყოვნა, გულწრფელად ჩამოართვა ხელი ჯენტლმენს, თან დასძინა, რომ იგი სრულიად კმაყოფილია საქმის ამგვარი დაბოლოებით და ამიტომ, იძულებულია, უარი განაცხადოს მის წინადადებაზე.

სეკუნდანტებმა ყუთები ჩაკეცეს და მტერ-მოყვარემ გაცილებით სწრაფად დატოვა ბრძოლის ველი, ვიდრე მისკენ მიეშურებოდა.

- დიდხანს დარჩებით აქ? - ჰკითხა ექიმმა სლემერმა მისტერ უინკლს, როდესაც ისინი ტკბილ ბაასში გართულნი გაუდგნენ გზას.

- ვფიქრობ, ზეგ გავემგზავრებით, - მოესმა პასუხად.

- იმედი მაქვს, თქვენ და თქვენი მეგობარი დიდად მასიამოვნებთ და ბინაზე მესტუმრებით. ამ უხერხული ფათერაკის შემდეგ, მე მგონია, საღამოს ჩინებულად გავატარებთ, - განაგრძო პაწია ექიმმა, - თავისუფალი ბრძანდებით ამ საღამოს?

- ჩვენ რამდენიმე მეგობარი გვყავს აქ, - მიუგო მისტერ უინკლმა, - და არ მინდოდა მათი მარტო დატოვება. იქნებ თქვენ და თქვენი მეგობარი შემოგვიერთდეთ სასტუმრო „ხარში“?

- დიდი სიამოვნებით, - უპასუხა პაწია ექიმმა, - ათ საათზე რომ შემოგირბინოთ, გვიანი ხომ არ იქნება?

- სრულიადაც არა! - შესძახა მისტერ უინკლმა, - უთუოდ ბედნიერად ჩავთვლიდი თავს, რომ მომეცემა საშუალება, გაგაცნოთ ჩემი მეგობრები მისტერ პიკვიკი და მისტერ ტაპმენი.

- მერწმუნეთ, რომ დიდად მასიამოვნებთ, - უპასუხა პაწია ექიმმა, - მას ფიქრადაც არ მოსვლია, ვინ იყო მისტერ ტაპმენი.

- ხომ უეჭველად მობრძანდებით? - ჰკითხა მისტერ სნოდგრასმა ექიმს.

- ოჰ, უეჭველად, რა თქმა უნდა.

ერთმანეთს გულთბილად დაემშვიდობნენ და დასცილდნენ. ექიმი სლემერი თავისი ყაზარმის გზას გაუდგა, მისტერ უინკლი და მისტერ სნოდგრასი კი სასტუმროში დაბრუნდნენ.

თავი III

ახალი ნაცნობობა:
მოხეტიალე მსახიობის ნაამბობი
უსიამოვნო შეხვედრა

ორი მეგობრის ასეთმა მოულოდნელმა დაკარგვამ მისტერ პიკვიკში გაურკვეველი ეჭვი აღძრა. დილას, საუზმობისას, მათმა უცნაურმა ქცევამ ეს ეჭვი კიდევ უფრო გაუძლიერა. როდესაც მისტერ უინკლმა და მისტერ სნოდგრასმა მოამთავრეს საგმირო საქმენი და სასტუმროში დაბრუნდნენ, მისტერ პიკვიკი მათ მეტად გულთბილად შეხვდა და განსაკუთრებული ცნობისმოყვარეობით გამოჰკითხა დაგვიანების მიზეზი. ის-ის იყო, მისტერ სნოდგრასი მოემზადა ზემოხსენებული ამბების ისტორიული მიმოხილვის გადმოსაცემად, რომ უეცრად შეკრთა - ოთახში მისტერ ტაპმენისა და წინადღით ეტლში გაცნობილ ჯენტლმენის გარდა ვიღაც მეტად უცნაური გარეგნობის მამაკაცი შენიშნა. მის მოღლილ და ჩაყვითლებულ სახეზე უცნაურად ელავდა ღრმად ჩაცვენილი, გამჭრიახი თვალები, რომლებსაც კიდევ უფრო უცნაურს ხდიდა ფართოდ გამოწეული ყვრიმალის ძვლებზე ბღუჯად გადმოკიდებული შავი გაფშეკილი თმა. მოგრძო, გამხდარი ყბები ისე შევარდნოდა, გეგონებოდათ, ლოყის კუნთები განგებ დაუჭამია და ხორცი შიგ შეუწევიაო; მხოლოდ გაშეშებული სახე და დაღებული პირი გამცნობდათ, რომ ეს მისი ჩვეული გამომეტყველება იყო. ყელზე შემოხვეული ჰქონდა მწვანე შალი, რომლის განიერი ბოლოები გულზე გადმოეშვა და ჟილეტის ღილის გაცვეთილ კილოებს შიგნიდან აქა-იქ გამოსჩროდა.

გრძელი შავი სერთუკი ეცვა. ქვემოდან მოუჩანდა განიერი ხავერდის შარვალი და უზარმაზარი ფეხსაცმელი, რომელსაც ლამისაა, ძირი გავარდნოდა.

მისტერ უინკლმა მზერა სწორედ ამ უცნაურ პიროვნებაზე შეაჩერა. მისტერ პიკვიკმა სტუმრისკენ გაიშვირა ხელი და თქვა:

- ჩვენი მეგობრის მეგობარი. ამ დილით გავიგეთ, რომ ჩვენი მეგობრის საქმიანობა ნაწილობრივ თეატრთანაა დაკავშირებული, თუმცა ამის გახმაურება, მისი აზრით, საჭირო არაა; ეს ჯენტლმენიც ხსენებული დაწესებულების წევრი გახლავთ. ახლა აპირებდა მსახიობების შესახებ ერთი ამბის მოყოლას, რომ თქვენც შემოხვედით.

- ამბები რამდენიც გინდა, - ჩასჩურჩულა ყურში წინადღით გაცნობილმა სტუმარმა მისტერ უინკლს. - ახირებული კაცია... მძიმე სამუშაოს ასრულებს... მსახიობი არ გახლავთ... უცნაური კაცია, ჩემმა მზემ... ბევრი უბედურება გადაუტანია... „პირქუში ჯემი“, ასე ვეძახდით თეატრში.

მისტერ უინკლი და მისტერ სნოდგრასი თავაზიანად მიესალმნენ ახალ სტუმარს, რომლისთვისაც მართლაცდა მოსწრებულად შეურქმევიათ „პირქუში ჯემი“, და შემდეგ მეგობრების მაგალითს მიჰბაძეს - გროგი მოითხოვეს და მაგიდას შემოუსხდნენ.

- გეთაყვა, სერ, ძალიან დაგვავალებთ, თუ დაპირებულ ამბავს მოგვიყვებით, - მიმართა უცნობს მისტერ პიკვიკმა.

პირქუშმა კაცმა ჯიბიდან გაქონილი ქაღალდის ხვეული ამოიღო, მიუბრუნდა მისტერ სნოდგრასს, რომელსაც უბის წიგნაკი ხელში უკვე მოემარჯვებინა და ყრუ ხმით (ეს ხმა სავსებით ეხამებოდა მის უცნაურ გარეგნობას) შეეკითხა: - პოეტი ბრძანდებით?

- მე... მე... ცოტ... ცოტას ვცოდვილობ, - უპასუხა მისტერ სნოდგრასმა. მოულოდნელმა შეკითხვამ პიკვიკელი პოეტი ცოტა არ იყოს დააბნია.

- ოჰ! პოეზიას ცხოვრებისთვის ისეთივე მნიშვნელობა აქვს, როგორიც განათებასა და მუსიკას - სცენისთვის. მოაცილეთ ერთს ყალბი მორთულობა, მეორეს - ცრუ ოცნება, და რაღა დარჩება ნამდვილი და ჭეშმარიტი, რის გულისთვისაც ღირდეს ცხოვრებაცა და სიყვარულიც?

- სრული სიმართლეა, სერ, - მიუგო მისტერ სნოდგრასმა.

- როდესაც რამპის წინ ზიხარ, - განაგრძო პირქუშმა კაცმა, - ასე გგონია, მეფის კარზე დიდებულთა წვეულებას ესწრები და აღტაცებით შეჰყურებ სამკაულებსა და ფერად-ფერად ფარჩეულში გამოწყობილ ბრბოს. რამპის მიღმა კი იმ ადამიანად იქცევი, ვინც ქმნის ამ სამკაულებს, მაგრამ თვითონ ყველასთვის უცნობი და ყველასაგან მივიწყებულია. არავის ედარდება მისი ბედი: გაუძლებს იგი ცხოვრების ორომტრიალს, თუ ჩაიხრჩობა მასში, მოკვდება შიმშილით თუ ვაი-ვაგლახით გაათრევს ამ წუთისოფელს.

- ნამდვილად, ნამდვილად, - მაშინვე დაემოწმა მისტერ სნოდგრასი, რადგან პირქუში კაცის ჩაცვენილი თვალები მასზე შეჩერდა და პატივცემულმა პიკვიკელმაც იგრძნო, რომ საჭირო იყო ორიოდე სიტყვა მაინც ეთქვა პასუხად.

- განაგრძეთ, ჯემი, - თქვა ესპანელმა მოგზაურმა, - რაიმე შავთვალა სუზანას შესახებ დაუნსში რომ იყო... ოღონდ გარკვევით ილაპარაკეთ... და ცოტა ცოცხლად, ცოცხლად. - კიდევ ერთ ჭიქას ხომ არ მიირთმევთ, სერ? - მიმართა მისტერ პიკვიკმა სტუმარს.

პირქუშმა კაცმა დიდხანს არ ახვეწნინა, ბრენდი წყალში გაურია და სვენებ-სვენებით ნახევარი ჭიქა გადაყლაპა. შემდეგ

ქაღალდის ხვეული გადახსნა და ხან კითხვით, ხან მოყოლით, დამსწრე საზოგადოებას მოახსენა ის, რაც კლუბის ოქმებში „მოხეტიალე მსახიობის ნაამბობის“ სათაურითაა ცნობილი.

მოხეტიალე მსახიობის ნაამბობი

ამბავი, რომელსაც მოგახსენებთ, - დაიწყო პირქუშმა კაცმა, - არაფერ უჩვეულოსა და საკვირველს არ წარმოადგენს. ზოგიერთისთვის გაჭირვება და ავადმყოფობა იმდენად შეჩვეულ ჭირად იქცა, რომ ადამიანი შეეგუა და ყურადღებას აღარც კი აქცევს მას. ეს ნათქვამი შეეხება კაცს, რომელსაც ახლოს ვიცნობდი წლების განმავლობაში და რომელიც ზნეობრივად ჩემ თვალწინ გაიხრწნა; თანდათან საცოდავი საშინელ გაჭირვებაში ჩავარდა და ბოლოს დაიღუპა კიდეც.

პიროვნება, რომლის შესახებაც მოგახსენებთ, პანტომიმის მეორეხარისხოვანი მსახიობი გახლდათ, და როგორც ამავე პროფესიის ყოველი ადამიანი - გამოუსწორებელი ლოთი.

უკეთეს დროში, ვიდრე ლოთობა ძვალ-რბილში გაუჯდებოდა და სნეულება დააუძლურებდა, კარგ ჯამაგირს იღებდა, და ფრთხილად და გონივრულად რომ მოქცეულიყო, დიდხანს თუ არა, რამდენიმე წლის განმავლობაში მაინც შეინახავდა თავს. რამდენიმე წელს-მეთქი - ვამბობ, იმიტომ, რომ ასეთი მსახიობები ან ადრე იხოცებიან, ანდა მეტისმეტად გადატვირთულნი ადრევე კარგავენ იმ ფიზიკურ თვისებებსა და ენერგიას, რომელიც მათ ერთადერთ საარსებო წყაროს შეადგენს. ჩვენ მსახიობსაც წყეული სენი ისე დასჩემდა, რომ მისი თამაში პანტომიმაში ყოვლად შეუძლებელი გახდა. მსახიობს სამიკიტნო ანდამატივით იზიდავდა და საცოდავიც ცდუნებას ვეღარ უძლებდა... უსაშველო სიღატაკე და ფესვგადგმული სნეულება მის უცილობელ

ხვედრად იქცა და, თუკი ამგვარ ცხოვრებას თავს არ მიანებებდა, ცხადია, სიკვდილიც არ ასცდებოდა. სამწუხაროდ, ლოთობას თავი ვერ დაანება და შედეგსაც ადვილად მიხვდებით - სამუშაო ვეღარ ნახა და ლუკმაპური სანატრელი გაუხდა.

ვინც კი თეატრის ამბებს კარგად იცნობს, უთუოდ გაუგონია ან თავად უნახავს რომელიმე დიდი თეატრის გარშემო ჩამოგლეჯილი, სიღატაკით დაბეჩავებული მოხეტიალე მსახიობების ბრბო. მათ მუდმივი სამსახური არ აქვთ: ხან ბალეტში მონაწილეობენ, ხან ჯამბაზებად გამოდიან. ზოგჯერ ასეთ მსახიობებს პროცესიისთვის ქირაობენ. ქირაობენ პანტომიმაში ან სააღდგომო წარმოდგენაში მონაწილეობის მისაღებად; შემდეგ დაითხოვენ, ვიდრე კვლავ არ დასჭირდებათ რაიმე წარმოდგენისთვის. ჩემი ნაცნობიც ასე ცხოვრობდა. ყოველ ღამე რომელიმე მეორეხარისხოვან თეატრში იჯდა, რაც მის კვირეულ შემოსავალს თითო-ოროლა შილინგს მატებდა და უბედურს საშუალება ეძლეოდა, კვლავ და კვლავ დაეკმაყოფილებინა თავისი დამღუპველი მიდრეკილება. მაგრამ მალე ამ შემოსავალმაც უმტყუნა: თავაშვებულმა ცხოვრებამ ეს სამოწყალო ხელფასიც მოუსპო და საცოდავი შიმშილის პირას მიიყვანა. მეტი რაღა დარჩენოდა - ცოტ-ცოტას ძველი მეგობრებისგან სესხულობდა, ან მცირე როლის შესრულებაში იღებდა. ნაშოვნი კაპიკები კი კვლავ სასმელში მიდიოდა.

თითქმის ერთმა წელმა განვლო მას შემდეგ და არავინ იცოდა, რით ირჩენდა თავს ის საცოდავი. იმ დროს მეც მოკლევადიანი ხელშეკრულება მქონდა დადებული ერთ-ერთ თეატრთან, რომელიც მდინარე ტემზის გადაღმა სორეის მხარეს მდებარეობს. იმ კაცსაც სწორედ იქ გადავეყარე კვლავ. კარგა ხანია, მის შესახებ არაფერი მსმენოდა: ბოლო დროს მაინც სულ თვალთახედვიდან დამეკარგა - მე პროვინციებში ვმოგზაურობდი, ის კი

ლონდონის ვიწრო ქუჩებსა და შესახვევებში დახეტიალებდა. ის იყო, ჩავიცვი და თეატრიდან წამოსვლას ვაპირებდი, რომ სცენაზე გავლისას ვიღაცამ მხარზე დამკრა ხელი. ჩემს სიცოცხლეში არ დამავიწყდება ის გულშემზარავი სურათი, რომელიც თვალწინ წარმომიდგა! სიკვდილის ფერხულში ჩაბმული აჩრდილები, ჯოჯოხეთივით საზარელი, დაღრეჯილი სახეები, რომელიც ნიჭიერ მხატვარს ოდესმე ტილოზე გამოუსახავს, ამ სანახაობასთან შედარებით ალბათ ნაკლებად შემაძრწუნებელი იქნებოდა. მსახიობი, ეტყობა, პანტომიმისათვის გამოწყობილიყო მასხარის ტანსაცმელში. შეშუპებული სხეულისა და გამხდარი, მოკაკული ფეხების სიმახინჯეს ხსენებული ფანტასტიკური სამოსელი კიდევ უფრო აძლიერებდა. უსიცოცხლო თვალები საზარელ კონტრასტს ქმნიდა საღებავით სქლად შეთხუპნილ სახესთან. უცნაურად შემკული თავი ავადმყოფურად უცახცახებდა, გრძელი გამხდარი ხელები ცარცით ჰქონდა გათეთრებული. ყოველივე ეს ენითაუწერელ, საშინელ შთაბეჭდილებას ტოვებდა მაყურებელზე. ახლაც, ის სურათი რომ მაგონდება, ტანში ჟრუანტელი მივლის... გვერდზე გამიხმო საცოდავმა და ყრუ, აკანკალებული ხმით უთავბოლოდ ჩამომითვალა გაჭირვებათა გრძელი ნუსხა, რაც მას ტანჯავდა. ეს არეულ-დარეული ლუღლუღი, როგორც ყოველთვის, იმით დამთავრდა, რომ ცოტაოდენი ფული მთხოვა სესხად. მეც რამდენიმე შილინგი ხელში ჩავუდე და როცა გამოვტრიალდი, მაყურებლების ხარხარი მომესმა, რაც მასხარის სცენაზე გამოჩენამ გამოიწვია.

გავიდა რამდენიმე დღე. ერთ საღამოს ვიღაც ბიჭმა ხელში ქაღალდის ჭუჭყიანი ნაგლეჯი მომაჩეჩა; ზედ ფანქრით იყო დაჯღაბნილი რამდენიმე სიტყვა, რომელიც მაუწყებდა, რომ ჩემი ნაცნობი მძიმედ იყო ავად და მთხოვდა, წარმოდგენის დამთავრების შემდეგ მენახა ამა და ამ ქუჩაზე - დამავიწყდა კიდეც ქუ-

ჩის სახელი - მახსოვს, მხოლოდ სადღაც, თეატრის ახლოს იყო. იმ ბიჭის პირით შევუთვალე, რომ გავთავისუფლდებოდი თუ არა, მაშინვე შევუსრულებდი თხოვნას. მართლაც, იმავე საღამოს, დაეშვა თუ არა ფარდა, სამწუხარო მისიის შესასრულებლად გავემგზავრე.

უკვე საკმაოდ გვიანი იყო, რადგან ბოლო მოქმედებაში ვთამაშობდი. გარდა ამისა, იმ დღეს საქველმოქმედო საღამო გახლდათ და წარმოდგენაც განსაკუთრებით გაჭიანურდა. უმთვარო, ცივი ღამე იდგა; ნოტიო, გამჭვალავი ქარი ირიბად ასხამდა წვიმას ჩაბნელებული შენობების მინებს. ვიწრო ქუჩებში, სადაც ხალხი იშვიათად მიდი-მოდიოდა, წყლის გუბეები დამდგარიყო, გზაზე აქა-იქ გაბნეულ ნათურებში ზუზუნა ქარს სინათლეები ჩაექრო. ასეთ ამინდში სეირნობა არამცთუ უსიამოვნო, სახიფათოც კი იყო. ბედზე, თავიდანვე სწორ გზას დავადექი და მალე მივაგენი სახლს, რომელიც მითითებული იყო წერილში - ეს გახლდათ ნახშირის სარდაფი, რომელსაც დაშენებული ჰქონდა ერთი სართული. აქ, ერთ-ერთ უკანა ოთახში იწვა.

კიბეზე საწყლად ჩაცმული ავადმყოფის ცოლი შემომეგება. ეს-ეს არის, ჩაეძინაო, მითხრა, ფეხაკრეფით შემიძღვა ოთახში და სკამი ავადმყოფის საწოლთან დამიდგა. რადგან საცოდავს ჩემი მისვლა არც გაუგია - პირი კედლისაკენ ჰქონდა შებრუნებული - მეც ჩამოვჯექი და ოთახს შევავლე თვალი.

ავადმყოფი იწვა ძველ საწოლზე, რომელსაც ეტყობა, დღისით კეცავდნენ ხოლმე. საცოდავი ქარს რომ არ შეეწუხებინა, ცოლს უჯრედებიანი ფარდის ნაგლეჯები საწოლის თავთან მიემაგრებინა, მაგრამ უბადრუკ ოთახში კარის ნახვრეტებიდან ქარი მაინც იჭრებოდა და დაგლეჯილ ნაჭრებს მოუსვენრად არხევდა. ჩამონგრეულ, ჩაჟამებულ ბუხარში ოდნავღა ღვიოდა ნაკვერჩხლები; ბუხრის წინ იდგა სამკუთხა შეღებილი მაგიდა,

რომელზეც წამლის რამდენიმე შუშა, გაბზარული ჭიქა და რამდენიმე საოჯახო ნივთი ეწყო. იატაკზე, სახელდახელოდ მოწყობილ საწოლში, პატარა ბავშვს ეძინა. მის გვერდით დაბალ სკამზე, ქალი ჩამომჯდარიყო. ერთ-ერთ კედელზე ორი თარო იყო მიმაგრებული, ზედ თეფშები, ფინჯნები და ლამბაქი ელაგა. თაროებს ქვეშ ორი ცალი დაშნა და სათეატრო ფეხსაცმელი ეკიდა; ოთახის კუთხეებში მიყრილ-მოყრილი იყო ორიოდე ბოხჩა და ნაკუწების გროვა. ეს იყო ამ უბადრუკი სადგომის მთელი ავლადიდება.

დრო ბევრი მქონდა. მეც საგულდაგულოდ ვათვალიერებდი ყოველ ზემოხსენებულ წვრილმანს და დროგამოშვებით ავადმყოფსაც ვაკვირდებოდი. საცოდავი მძიმედ ქოშინებდა და სიცხისგან ბორგავდა. ის იყო, თავი წამოსწია - თითქოს უნდოდა უფრო მოხერხებულად დაედო და საშინელი ტანჯვა ოდნავ მაინც შეემსუბუქებინა, - რომ საწოლიდან გადმოკიდებული ხელი უცაბედად ჩემს ხელს შეეხო. შეკრთა და დაჟინებით მომაჩერდა.

- ეს მისტერ ჰატლია, ჯონ, - ჩასძახა ცოლმა, - ხომ სცნობ... მისტერ ჰატლი... შენ რომ კაცი გაუგზავნე.

- ოჰ! - წამოიძახა ავადმყოფმა და შუბლზე ხელი გადაისვა, - ჰატლი... ჰატლი... დამაცადე... - ერთხანს ცდილობდა აზრი მოეკრიბა, შემდეგ მკლავში მაგრად ჩამაფრინდა და წაილუღლუღა: - არ დამტოვო... არ დამტოვო, მეგობარო; ის მომკლავს, ვიცი... ნამდვილად ვიცი, რომ მომკლავს, - ავადმყოფმა ცოლზე მიმანიშნა.

- დიდი ხანია, რაც ასეთ დღეშია? - მივმართე ქალს, რომელიც უხმოდ ქვითინებდა.

- გუშინდელი ღამის შემდეგ, - მიპასუხა მან, - ჯონ, ჯონ, ვერა მცნობ?

- არ მოუშვა, - წამოიძახა ავადმყოფმა, საბრალოს მთელ სხეულში შიშის ჟრუანტელმა დაუარა, როცა ცოლი თავზე წამოადგა, - გააგდე, გააგდე... ვეღარ ვიტან... - იგი გიჟივით მიაშტერდა ქალს და მის თვალებში რაღაც პირუტყვული შიში გამოჩნდა. ყურში ჩამჩურჩულა: - გუშინ ვცემე, ჯემ... სხვა დროსაც ბევრჯერ მიცემია... შიმშილით მოვკალი ეგეც და ბიჭიც... ახლა უძლური ვარ... სრულიად უმწეო, ჯემ... და ახლა მომკლავს... უსათუოდ მომკლავს... შენ რომ გენახა, როგორ ტიროდა, ჯემ... დამიჯერებდი, უსათუოდ დამიჯერებდი... მომაშორე, აქედან მომაშორე, - დაიგმინა ბოლოს, ხელი შემიშვა და ღონემიხდილი ბალიშზე გადაესვენა.

მივხვდი, თუ რას ნიშნავდა ეს უთავბოლო ლუღლუღი, მცირეოდენი ეჭვიც რომ შემპაროდა, საბრალო ქალის გადაფითრებული სახე და უდროოდ დამჭკნარი სხეული ნამდვილი მიზეზის შესახებ უსიტყვოდ მეტყველებდა.

- სჯობს, მოშორებით დაჯდეთ, - ვუთხარი საცოდავს, - შველით მაინც ვერაფერს უშველით და რომ ვერ დაგინახავთ, იქნებ ცოტათი დაწყნარდეს.

ქალმა ოდნავ დაიხია, ისე, რომ ქმარს ვეღარ დაენახა იგი. ავადმყოფმა თვალი გაახილა და მოუსვენრად მიმოიხედა.

- წავიდა? - მოუთმენლად მკითხა.

- წავიდა, წავიდა, - ვუპასუხე მე, - ნუ გეშინია, ის არაფერს დაგიშავებს.

- აი, რა გითხრა, ჯემ, - ჩუმად წარმოთქვა ავადმყოფმა, - დამიჯერე, რომ მიშავებს... მის თვალებში რაღაც ისეთი იმალება, რაც გულში უზომო შიშს მიღვიძებს... ლამისაა გავგიჟდე... მთელი ღამე მელანდებოდა მისი დაჭყეტილი თვალები და გაფითრებული სახე: ისინი ყველგან დამდევდნენ, სულს მიხუთავდნენ. საითაც მივბრუნდებოდი, ისინიც ბრუნდებოდნენ... როცა ვიღვი-

ძებდი, მუდამ ჩემს საწოლთან იჯდა და შემომცქეროდა, - ახლოს მიმიზიდა და აღშფოთებით ჩამჩურჩულა - უთუოდ ავი სულია, ჯემ... ეშმაკი! ჰმ!.. ვიცი, ნამდვილად ვიცი... ქალი რომ ყოფილიყო, დიდი ხანია მოკვდებოდა... ვერც ერთი ქალი იმას ვერ აიტანს, რაც მან აიტანა...

გული მეტკინა, როდესაც წარმოვიდგინე, რამდენად უხეში და საშინელი უნდა ყოფილიყო ქმრის უწყალო მოპყრობა და ცოლის დაბეჩავებული მდგომარეობა, რომ ახლა, ამ ლოგინად ჩავარდნილ, ზნედაცემულ ადამიანსაც კი სინდისი ქენჯნიდა და მოსვენებას არ აძლევდა. ვერაფერი ვუპასუხე, ან კი რა უნდა მეთქვა? ვის შესწევდა ძალა, ნუგეში ეცა ამ უბედურისათვის ან ოდნავ მაინც დაეიმედებინა?

ავადმყოფთან თითქმის ორი საათი გავატარე. ამ ხნის განმავლობაში საცოდავი სულ ბორგავდა. ხან კვნესოდა ტკივილისგან, ხან შეჰკივლებდა ხოლმე, თანაც ხელებს აქეთ-იქით აფათურებდა და საწოლზე მოუსვენრად ტრიალებდა. ბოლოს ჩასთვლიმა - ბოდვა დაიწყო. ეს იყო ძილ-ღვიძილი, როდესაც გაცრიატებული აზრი შფოთვით დაეხეტება ერთი ადგილიდან მეორეზე, სანახაობიდან სანახაობაზე და მაინც ვერ გაუყუჩებია მწვავე ტკივილი, რომელსაც სხეული განიცდის.

როცა დავრწმუნდი, რომ მდგომარეობა ჯერჯერობით არ გაუარესდებოდა, სახლში წამოვედი. საბრალო ქალს დავპირდი, რომ ავადმყოფს მეორე დღესაც ვინახულებდი და თუ საჭირო იქნებოდა, ღამესაც გავუთევდი.

დაპირება მართლაც შევუსრულე. განვლილმა ოცდაოთხმა საათმა ავადმყოფში საშინელი ცვლილება მოახდინა: ჩაცვენილი, უაზრო თვალები ისე საზარლად უბრწყინავდა, რომ თვალს ვერ გაუსწორებდი, საცოდავს სიცხისგან ტუჩები გაუხმა, სახეზე

ალმური ასდიოდა. გიჟური, პირუტყვული შიში ამოვიკითხე მის თვალებში.

იმავე სკამზე ჩამოვჯექი, სადაც წინადღეს ვიჯექი ავადმყოფის ლოგინთან. ვიჯექი და საათების განმავლობაში ვუსმენდი მომაკვდავის საზარელ ბოდვას, რომელიც გულქვა, შეუბრალებელ ადამიანსაც კი მოალბობდა და ცრემლს მოჰგვრიდა. ექიმისგან შევიტყვე, რომ მდგომარეობა უიმედო იყო. საბრალო კაცის გადარჩენა უკვე შეუძლებელი იყო. და აი, ახლა მეც მის სარეცელთან ვზივარ, შევყურებ მის დალეულ სხეულს, რომელიც სულ რამდენიმე საათის წინ, მახინჯ სამოსში გამოწყობილი მყვირალა იარუსებს ართობდა, ახლა კი საშინელი სიცხისგან იგრიხებოდა. კვლავ მესმის მასხარის ყურთასმენის წამღები ხარხარი, რომელიც მომაკვდავის ჩუმ ბუტბუტში გადადის.

გული სიბრალულით გევსება კაცს, როდესაც ხედავ ლოგინად ჩავარდნილ, სნეულებისგან დაუძლურებულ სხეულს და ამავე დროს, გესმის ბურანში გახვეული გონების ბოდვა: იგი კვლავ წარსულ დღეებს დასტრიალებს, კვლავ იმ ჩვეულ ხელობასა და ყოველდღიურ საქმიანობას იგონებს, რომელსაც მისდევდა ადრე, როცა ჯერ კიდევ საღი და ჯანმრთელი იყო. ეს მოგონება მით უფრო მძიმე შთაბეჭდილებას ტოვებს მსმენელზე, რაც უფრო ნაღვლიანისა და პირქუშის საწინააღმდეგო ცნებებთანაა დაკავშირებული ეს საქმიანობა. ავადმყოფი სულ თეატრსა და სამიკიტნოზე ბოდავდა: საღამოა, წარმოდგენაში უნდა ითამაშოს. უკვე გვიანია და უნდა იჩქაროს. ნეტავ რატომ იჭერენ? რატომ არ უშვებენ? ფული დაეკარგება, უნდა წავიდეს. არა! მაინც არ უშვებენ! ღონემიხდილმა სახე გახურებულ ხელებში ჩამალა და აქვითინდა - საცოდავი საკუთარ უძლურებას დასტიროდა. ერთხანს დადუმდა, შემდეგ რაღაც უხეირო ლექსი წარმოთქვა, ალბათ უკანასკნელად რაც გაიზეპირა. შემდეგ უეცრ-

რად ზეზე წამოიჭრა, დამჭკნარი კიდურები გაჭიმა და საზარელი მანჭვა-გრეხა დაიწყო. ამწუთას იგი სცენაზე იყო და თამაშობდა... კვლავ დადუმდა, მერე რომელიღაც მხიარული სიმღერის მისამღერი წამოიწყო - აგერ, როგორც იქნა, მიაღწია ძველ სამყოფელს - ოჰ, როგორ ცხელა ოთახში, ძალიან მძიმედ იყო ავად, ძალიან, მაგრამ ახლა კარგადაა და ბედნიერიცაა. - აუვსეთ ჭიქა! - ვინ იყო, ვინ გამოსტაცა ხელიდან სასმისი? ისევ ის კაცია, წეღან რომ მოსდევდა... ბალიშზე დაეცა და ღრმად ამოიკვნესა. ცოტა ხანს ბურანშია და... აგერ მიხეტიალებს დაბალთაღებიანი ოთახების დაუსრულებელ მწკრივში... თაღები ზოგან ისეთი დაბალია, მუხლებზე უხდება ხოხვა. ოთახები ბნელია და ვიწრო. საითაც მიბრუნდა, ყველგან რაღაც დაბრკოლება ეღობება და სიარულს უშლის. მის ფერხთით მატლები იკლაკნებიან და თვალს არ აშორებენ უბედურს - მთელ სივრცეს ავსებენ და სიბნელეში საშინლად ელავენ. ჭერი და კედლები თითქოს ამოძრავდა, თაღი საოცრად ამაღლდა... საზარელი აჩრდილები აქეთ-იქით დაფრინავენ... აგერ, მათ შორის, მისი ნაცნობები იჭყიტებიან... გახურებული შანთებით დაეძებენ მას... თავი თოკებით გაუკრეს... ისე მაგრად, რომ სისხლმა გადმოხეთქა... თავგანწირულად იბრძვის, იბრძვის სიცოცხლისათვის...

ერთ-ერთი ასეთი გაბრძოლების შემდეგ, როდესაც კვლავ საწოლში ჩავაწვინე ავადმყოფი, როგორც მომეჩვენა, ჩასთვლიმა. უძილობითა და ბრძოლით დაქანცულმა ის იყო, წუთით მეც თვალი მივლულე, რომ უცებ ვიგრძენი - ვიღაც მხარში ჩამაფრინდა: სწრაფად გამოვფხიზლდი. ავადმყოფი საწოლზე წამომჯდარიყო. ეტყობა, გონს მოვიდა - ნამდვილად მიცნო. პატარა ბავშვი, რომელიც მამის ბოდვამ შეაწუხა, ლოგინიდან წამოხტა და მამისკენ გაექანა. დედამ საჩქაროდ სტაცა ხელი და შეაჩერა - ეშინოდა, მამას სიგიჟის დროს ბავშვი არ დაეშავებინა. ავადმყოფმა მხარ-

ში ჩამჭიდა ხელი, მეორე გულში ჩაირტყა - ეტყობა, რაღაცის თქმა უნდოდა, მაგრამ ვერაფერი თქვა. მაშინ საბრალომ ცოლ--შვილისკენ გაიშვირა ხელი, უკანასკნელი ძალ-ღონე მოიკრიბა და კვლავ შეეცადა დამლაპარაკებოდა. ყელში რაღაცამ გაიტკაცუნა, ავადმყოფმა თვალები გადმოკარკლა, გულიდან ნახევრად დახშული კვნესა აღმოხდა და... უსულოდ დაეცა საწოლზე.

* * *

რა ბედნიერად ჩავთვლიდი თავს, რომ შეგვძლებოდა მკითხველისთვის გადმოგვეცა პატივცემული მისტერ პიკვიკის აზრი მოსმენილი ამბის შესახებ და ეჭვიც არ გვეპარება, რომ უთუოდ მოვახსენებდით კიდეც, ერთი ფრიად უსიამოვნო შემთხვევა რომ არა.

ის იყო, მისტერ პიკვიკმა მაგიდაზე დადგა ჭიქა, რომელიც თხრობით გატაცებულს ხელში შერჩენოდა და აზრის გამოსათქმელად მოემზადა (მისტერ სნოდგრასის უბის წიგნაკის ავტორიტეტული დამოწმებით, დიდებულმა წინამძღოლმა პირიც კი დააღო), რომ ოთახში მსახური შემოვიდა და გამოაცხადა:

- ვიღაც ჯენტლმენები მობრძანდნენ, სერ.

მისტერ პიკვიკი, რომელმაც სამწუხაროდ, თავისი ფრიად მნიშვნელოვანი შენიშვნების გადმოცემა ვეღარ მოასწრო, ჯერ მსახურს შეაჩერდა და შემდეგ დამსწრე საზოგადოებას გადაავლო თვალი - თითქოს ელოდა, რომ მეგობრები მოახსენებდნენ ახალმოსულთა ვინაობას.

- ოჰ! - წამოიძახა მისტერ უინკლმა და წამოდგა, - ეს ჩემი მეგობრები გახლავთ. შემოიყვანეთ - დაუმატა მან, როდესაც მსახური გავიდა, - 97-ე პოლკის ოფიცრები. ამ დილას გავიცანი და

რომ იცოდეთ, რა უცნაურ პირობებში გადავეყარე. მერწმუნეთ, ძალიან მოგეწონებათ.

მისტერ პიკვიკს გულზე მოეშვა. მსახურმა სამი ჯენტლმენი შემოიყვანა.

- ლეიტენანტი ტეპლტონი, - თქვა მისტერ უინკლმა, - ლეიტენანტო ტეპლტონ - მისტერ პიკვიკი; ექიმი ჰეინი - მისტერ პიკვიკი; მისტერ სნოდგრასი - უკვე იცნობთ მას. ჩემი მეგობარი მისტერ ტაპმენი - ექიმი ჰეინი; ექიმი სლემერი - მისტერ პიკვიკი; მისტერ ტაპმენი - ექიმი სლე...

მისტერ უინკლი უცებ შეჩერდა - მისტერ ტაპმენსა და მისტერ სლემერს დიდი აღელვება შეატყო.

- ეს ჯენტლმენი ადრეც შემხვედრია, - ხაზგასმით აღნიშნა ექიმმა სლემერმა.

- მართლა? - წამოიძახა მისტერ უინკლმა.

- და... და... თუ არ ვცდები, ეს ვაჟბატონიც, - წარმოთქვა ექიმმა და მწვანესერთუკიან უცნობს მიაშტერდა, - სწორედ ამ ვაჟბატონს წუხელ ერთი ფრიად მნიშვნელოვანი წინადადება შევთავაზე, მაგრამ მან ცივი უარი მტკიცა, - ექიმმა მუქარის თვალით გადახედა უცნობს და თავის მეგობარს, მისტერ ტეპლტონს რაღაც ჩასჩურჩულა.

- ყოვლად შეუძლებელია! - წამოიძახა უკანასკნელმა, როდესაც ჩურჩული შეწყდა.

- გარწმუნებთ, რომ ასეა, - უპასუხა ექიმმა სლემერმა.

- ახლავე, აქვე უნდა გაუსწორდეთ, - დაჟინებით წასჩურჩულა მეგობრებს დასაკეცსკამიანმა ჯენტლმენმა.

- დარდი ნუ გაქვს, ჰეინ, - გააწყვეტინა სიტყვა ლეიტენანტმა, - ნება მიბოძეთ, გკითხოთ, სერ, - მიუბრუნდა ის მისტერ პიკვიკს, რომელიც სახტად დარჩენილი მისჩერებოდა ამ მიზანსცენას, -

ნება მიბოძეთ, გკითხოთ, სერ... ეს პიროვნება თქვენი ასოციაციის წევრი გახლავთ?

- არა, სერ, - უპასუხა მისტერ პიკვიკმა, - ჩვენი სტუმარია.

- თქვენი კლუბის წევრია, თუ არა?

- რა თქმა უნდა, არა, - უპასუხა ისევ მისტერ პიკვიკმა.

- და არც თქვენი კლუბის ნიშანს ატარებს? - დაჟინებით განაგრძობდა კითხვების დასმას.

- არა, არასდროს! - უპასუხა გაოცებულმა პიკვიკმა.

ლეიტენანტი ტეპლტონი ექიმ სლემერს მიუბრუნდა და მხრები აიჩეჩა, თითქოს უნდოდა ენიშნებინა - უთუოდ შეგეშალაო. განრისხებული ექიმი ცოტა არ იყოს დაიბნა. მისტერ ჰეინმა გაბრაზებით გადახედა მისტერ პიკვიკის გაბადრულ სახეს, რომელსაც წარმოდგენა არ ჰქონდა, რა ხდებოდა მის გარშემო.

- სერ, - ისეთი გულშემზარავი ხმით მიმართა ექიმმა სლემერმა მისტერ ტაპმენს, რომ უკანასკნელი შეკრთა, თითქოს ვიღაცამ მზაკვრულად გაუყარა წვივში ქინძისთავიო. - სერ, თქვენ ხომ ბრძანდებოდით წუხელ ბალზე?

მისტერ ტაპმენმა თანხმობის ნიშნად რაღაც ჩაიბურტყუნა და მისტერ პიკვიკს გადახედა.

- ეს ვაჟბატონი ხომ გახლდათ თქვენ? - უცნობზე მიუთითა. უკანასკნელი არხეინად და გულგრილად შეჰყურებდა ატეხილ ალიაქოთს - თითქოს ნათქვამი მას კი არა, სრულიად უცხოს ეხებოდა.

მისტერ ტაპმენმა დაადასტურა ფაქტი.

- მაშ, სერ, - მიმართა ექიმმა უცნობს, - აი, ამ ჯენტლმენების თანდასწრებით კვლავ გეკითხებით - გადმომცემთ თუ არა თქვენს სადარბაზო ბარათს, რომ ისე მოგექცეთ, როგორც ნამდვილ ჯენტლმენს შეჰფერის... თუ მაიძულებთ, სერ, აქვე საჯაროდ გაგისწორდეთ?

- შეჩერდით, სერ, - შესძახა მისტერ პიკვიკმა, - ვიდრე დამსწრეთაგან ზოგიერთ ახსნა-განმარტებას არ მოვისმენ, ნებას არ მოგცემთ, აქ ასეთი აურზაური ატეხოთ. ტაპმენ, კეთილი ინებეთ და მოგვიყევით ყოველივე, რაც მოხდა.

რაღა გაეწყობოდა, მისტერ ტაპმენმა რამდენიმე სიტყვით გააცნო დამსწრეებს საქმის ვითარება. ფრაკის გადაცმის ამბავი მხოლოდ გაკვრით ახსენა, დიდხანს მოუნდა იმის მტკიცებას, რომ ყოველივე „სადილის შემდეგ“ მოხდა; ბოლოს ცოდვაც მოინანია და უცნობი ბედის ანაბარა მიაგდო - კისერი იტეხოს და როგორც უნდა, ისე იმართლოს თავიო.

ის იყო, უცნობმა პასუხის გაცემა დააპირა, რომ ლეიტენანტმა ტაპლტონმა მოულოდნელად ზიზღით წარმოთქვა:

- თუ არ ვცდები, თეატრში მყავხართ ნანახი, სერ?

- ნამდვილად, - მშვიდად მიუგო უცნობმა.

- ეს ხომ მოხეტიალე მსახიობია, - ზიზღით გაიმეორა ლეიტენანტმა და ექიმ სლემერს მიუბრუნდა:- ეს ვაჟბატონი იმ წარმოდგენაში თამაშობს, 52-ე პოლკის ოფიცრები ხვალ საღამოს რომ დგამენ როჩესტერის თეატრში. თავი დაანებეთ, სლემერ, თქვენ არ შეგშვენით პასუხი მოსთხოვოთ მას - ეს შეუძლებელია.

- რა თქმა უნდა, - თავმომწონედ დაუმოწმა ჰეინმა.

- ძალიან ვწუხვარ, რომ ასეთ უხერხულ მდგომარეობაში ჩაგაყენეთ, - მიმართა ლეიტენანტმა ტაპლტონმა მისტერ პიკვიკს, - ნება მიბოძეთ, ერთი რჩევა მოგცეთ, - ამიერიდან უფრო ფრთხილად შეარჩიეთ მეგობრები. ღამე მშვიდობისა, სერ!..

- მე კი ნება მიბოძეთ, სერ, მოგახსენოთ, - წამოიძახა გულფიცხმა ჰეინმა, - ლეიტენანტ ტაპლტონის ან ექიმ სლემერის ადგილას რომ ვყოფილიყავი, თქვენცა და თქვენს მეგობრებსაც ცხვირს ამოგინაყავდით, დიახ, სერ, ყველას ამოგინაყავდით. ჩემი გვარი - ჰეინია, სერ, 43-ე პოლკის ექიმი ჰეინი. ღამე მშვიდო-

ბისა, სერ! - სამი უკანასკნელი სიტყვა მწივანა ხმით დააბოლოვა, თავმომწონედ გადახედა დამსწრე საზოგადოებას და დინჯი ნაბიჯით გაჰყვა ლეიტენანტს. ექიმმა სლემერმა ჯენტლმენებს მრისხანე თვალი გადაავლო, თითქოს ყველას შეჭმას უპირებსო და უკან გაჰყვა ერთგულ მოკავშირეებს.

მისტერ პიკვიკის სათნო გულში ისეთი ბრაზი ბობოქრობდა, რომ მის ჟილეტსაც კი გასკდომის საფრთხე მოელოდა. პატივცემული პიკვიკელი ჯერაც გონს ვერ მოსულიყო სამხედროების თავხედობისგან და სახტად დარჩენილი ერთ ადგილას გაშეშებულიყო. კარის ჯახუნზე გამოფხიზლდა, თვალებში ცეცხლი აუთამაშდა, გააფთრებით მივარდა კარს და სახელურს სტაცა ხელი. წუთიც და, ექიმ ჰეინს სწვდებოდა ყელში, მაგრამ ამ დროს მისტერ სნოდგრასმა დიდებულ წინამძღოლს სერთუკის ბოლოებში წაავლო ხელი და შეაჩერა.

- დაიჭირეთ, დაიჭირეთ! - დაიძახა მისტერ სნოდგრასმა, - უინკლ, ტაპმენ, - ასე ტყუილუბრალოდ მისი ძვირფასი სიცოცხლე სასიკვდილოდ არ უნდა გავიმეტოთ!

- გამიშვით! - გაჰყვიროდა მისტერ პიკვიკი.

- მაგრად დაიჭირეთ, მაგრად! - ყვიროდა მისტერ სნოდგრასიც.

როგორც იქნა, მისტერ პიკვიკი სავარძელში ჩააგდეს.

- სჯობს, მარტო დატოვოთ, - თქვა მწვანესერთუკიანმა უცნობმა, - გროგი მოართვით, გროგი... მეტად ფიცხია, მეტად მამაცი ჯენტლმენია... ერთი ეს გადაკარით... იფ! დიდებული რამ არის! - უცნობმა ჯერ თვითონ გასინჯა სასმელი, რომელიც პირქუშ კაცს მოემზადებინა, შემდეგ კი პიკვიკის ტუჩებს მიადო და მანუგეშებელი სასმელი ელვის სისწრაფით გაქრა.

ერთხანს სიჩუმე ჩამოვარდა. გროგმა თავისი დანიშნულება შეასრულა - მისტერ პიკვიკმა კვლავ ჩვეულებრივი კეთილი გამომეტყველება მიიღო.

- ისინი თქვენი ყურადღების ღირსი არ არიან, სერ! - მიმართა მას პირქუშმა კაცმა.

- მართალს ბრძანებთ, - უპასუხა მისტერ პიკვიკმა, - ღირსი არ არიან, პირდაპირ მრცხვენია, ასე რომ გავცხარდი. მოიწიეთ მაგიდასთან, სერ.

პირქუში კაცი ხალისით დაეთანხმა. ყველანი მაგიდას შემოუსხდნენ და კეთილი განწყობილება სულ მცირე ხანში აღდგა. სადღაც, გულის სიღრმეში, მისტერ უინკლი ალბათ ნაწყენი იყო ფრაკის დროებითი გატაცების გამო, თუმცა ჭეშმარიტ პიკვიკელს გულის მოსვლა ასეთი მცირე და უმნიშვნელო მიზეზის გამო განა შეჰფეროდა და ან ეკადრებოდა? სუფრაზე კვლავ სიტკბომ და მყუდროებამ დაისადგურა და კეთილად დაწყებული საღამო ასევე ბედნიერად დამთავრდა.

თავი IV

საველე მანევრები და ბანაკი. ახალი მეგობრები და მიპატიჟება სოფელში

ზოგიერთ მწერალს ჰგონია, რომ არამც და არამც არ უნდა გაამჟღავნოს წყაროები, საიდანაც ამა თუ იმ ნაწარმოებისათვის მნიშვნელოვან ცნობებს სესხულობს. რა თქმა უნდა, ჩვენ ამ სულელურ და, უფრო სწორად რომ ვთქვათ, უპატიოსნო აზრს არ ვიზიარებთ. აი, ახლაც, გულწრფელად ვაცხადებთ, რომ ჩვენ, როგორც პიკვიკის კლუბის წერილების გამომცემელნი, შევეცადეთ მხოლოდ კეთილსინდისიერად შეგვესრულებინა ნაკისრი ვალდებულება. კიდეც რომ დიდი სურვილი გვქონოდა, თავი ამ ღირსშესანიშნავი ჩანაწერების ავტორად გამოგვეცხადებინა, სიმართლის გრძნობა არავითარ შემთხვევაში ამის უფლებას არ მოგვცემდა. ერთადერთი დამსახურება, რომელიც ამ წერილების გამოცემისას მიგვიძღვის - ეს არის ფაქტების თანამიმდევრულად დალაგება და აღნიშნული მასალისადმი მიუკერძოებელი დამოკიდებულება.

წარმოიდგინეთ, თითქოს ეს წერილები ძვირფასი საბადოებია და ჩვენ ამ საბადოების მეპატრონე ფირმა.

ზოგიერთ პირთა ბეჯითმა შრომამ მნიშვნელოვანი ფაქტების დიდი მარაგი შეგვმატა და ჩვენც ამჟამად ამ ფაქტებს ერთიან, დალაგებულ მოთხრობად შევთავაზებთ საზოგადოებას, რომელსაც პიკვიკელთა ღირსშესანიშნავი თავგადასავლის მოსმენა სწყურია.

მტკიცედ ვახორციელებთ რა მიღებულ გადაწყვეტილებას - გულახდილად ვაღიაროთ ჩვენი ვალი ზოგიერთი ავტორიტეტის წინაშე, რომელთაც სასარგებლო რჩევა-დარიგება მოგვაწოდეს, ამჟამადაც სრულიად გულწრფელად მოგახსენებთ, რომ ახლა, და შემდეგ ორ თავში მოთხრობილი ამბისათვის, მისტერ სნოდგრასის უბის წიგნაკს უნდა ვუმადლოდეთ... რაკი სინდისის წინაშე ვალი მოვიხადეთ, დაუყოვნებლივ შევუდგებით აღნიშნული ამბების გადმოცემას.

მეორე დილას როჩესტერისა და მის ახლომდებარე ქალაქების მთელი მოსახლეობა უთენია ფეხზე იდგა. იგი დიდი ფაციფუცითა და აურზაურით ემზადებოდა საველე მანევრებისთვის, რომელიც როჩესტერის მახლობლად, ტრიალ მინდორში იყო დანიშნული. იქ სარდალს, თავისი გამჭრიახი, არწივისებური თვალით პირადად უნდა შეემოწმებინა ექვსიოდე პოლკის შეტევა, რომელიც უნდა მოეწყოთ ციხეზე და შემდეგ აეღოთ იგი; ამ მიზნით სიმაგრეებიც ააგეს და, როგორც ამბობდნენ, ნაღმიც კი უნდა აეფეთქებინათ.

წინა თავში მოხსენიებული ქალაქ ჩეტემის მოკლე აღწერიდან მკითხველი უთუოდ მიხვდებოდა, რომ მისტერ პიკვიკი არმიის მხურვალე თაყვანისმცემელი გახლდათ. ჭეშმარიტად არც ერთი სანახაობა ისე ძლიერ არ აღაფრთოვანებდა პატივცემულ პიკვიკელს, როგორც საველე მანევრები და ამ აღტაცებას ერთსულოვნად იზიარებდნენ მისი მეგობრებიც. ამიტომ, ხსენებულ დილას, ოთხივე ადრიანად წამოიჭრა ზეზე და გასწიეს ბრძოლის ველისაკენ, საითაც სხვადასხვა ჯურის ხალხი უკვე ჯგუფ-ჯგუფად მიეშურებოდა.

მოედანზე ერთი ალიაქოთი იყო - ეტყობოდა, მომავალი ცერემონიის ჩატარებას დიდი ზეიმითა და ბრწყინვალებით აპირებდნენ. გუშაგები ჯარებისთვის ფართობს აკავებდნენ, ბატარე-

ებზე მსახურები თავგამოდებით იცავდნენ ადგილებს მანდილოსნებისათვის; სერჟანტები, იღლიაში ამოჩრილი ტყავგადაკრული წიგნებით, გადარეულებივით დაძრწოდნენ აქეთ-იქით. საზეიმო ფორმაში გამოწყობილი პოლკოვნიკი ბალდერი ცხენს თავმომწონედ დააჭენებდა წინ და უკან: ხან მაყურებლებს მიაწყდებოდა, ხან მოედნის ცენტრისკენ გააჯირითებდა, ათამაშებდა, აცეკვებდა და კისრისსატეხ ნახტომებს აკეთებინებდა; თანაც ისე საშინლად გაჰკიოდა, რომ ხმა სულ ჩაეხრინწა და სახე აუღაჟღაჟდა, თუმცა, გულახდილად რომ მოგახსენოთ, ყვირილისთვის არანაირი მიზეზი ან საბაბი არ გააჩნდა. ოფიცრებიც ქარივით დაქროდნენ; ჯერ პოლკოვნიკ ბალდერს ეთათბირებოდნენ, შემდეგ მიღებულ ბრძანებას სერჟანტებს გადასძახებდნენ და ელვის სისწრაფით თვალს ეფარებოდნენ. პრიალა კონდახებშემართულ ჯარისკაცებსაც კი თვალებში უჩვეულო საზეიმო განწყობილება უკრთოდათ, რაც ერთხელ კიდევ მოწმობდა, რომ მოსალოდნელი ამბავი განსაკუთრებით საინტერესო უნდა ყოფილიყო.

მისტერ პიკვიკი თავისი სამი მეგობრით მაყურებლების წინა რიგში მოთავსდა და მოთმინებით ელოდა მანევრების დაწყებას. ბრბო თვალდათვალ იზრდებოდა და პატივცემული პიკვიკელებიც მთელი ორი საათის განმავლობაში თავგამოდებით იცავდნენ რის ვაი-ვაგლახით დაკავებულ პოზიციებს. ხანდახან ზურგიდან ბრბო მთელი ძალით მოაწვებოდა და მისტერ პიკვიკს უჩვეულო სისწრაფითა და მოქნილობით ბურთივით გაისროდა ხოლმე მაყურებლების რიგიდან, რაც მის დარბაისლურ იერს ჩრდილს აყენებდა. წუთიც არ გავიდოდა, რომ გაისმოდა თავაზიანი მოთხოვნა - უკან დაიხიეთო - და მუშკეტის კონდახი პატივცემულ ჯენტლმენს ან ზედ ფეხის ცერზე შეადგებოდა, ანდა შიგ გულში ეტაკებოდა და ძალაუნებურად, გაცემული ბრძანების

შესრულებას უზრუნველყოფდა. მარცხნივ ვიღაც მხიარულმა ახალგაზრდებმა მისტერ სნოდგრასს გვერდი ჩაულეწეს, საცოდავი აუტანელ გასაჭირში ჩააგდეს, თან ურცხვად გადასძახეს - სად მიძვრებიო. ის იყო, მისტერ უინკლმა სასტიკი აღშფოთება გამოთქვა ასეთი, სრულიად უსამართლო შეტევის გამო, რომ ვიღაცამ „თავაზიანად“ ჩამოაფხატა თვალებზე ქუდი და მიაძახა, „კეთილი ინებეთ, ხმა ჩაიკმინდეთ“. ცალკე ასეთმა გახუმრებამ და ცალკე მისტერ ტაპმენის გაუჩინარებამ (რომელიც უეცრად სადღაც გაქრა და მისი ადგილსამყოფელი არავინ იცოდა), პატივცემული პიკვიკელები არასახარბიელო მდგომარეობაში ჩააყენა.

ბოლოს მძლავრმა გუგუნმა ხალხის ტალღა შეარხია - ნანატრი წუთი ახლოვდებოდა. ყველას თვალი იმ კარს მიაჩერდა, საიდანაც ჯარებს იერიში უნდა დაეწყოთ. რამდენიმე წამმა დაძაბულ მოლოდინში განვლო და... ჰაერში მხიარულად აფრიალდა დროშები, მზეზე აელვარდა საჭურველი და მინდორზე რაზმეული რაზმეულს შემოჰყვა. პოლკები დაეწყო. მთელ ხაზზე გაისმა ბრძანება; მუშკეტები ერთხმად აჩხარუნდა და ჯარი მისასალმებლად მოემზადა. სარდალი, პოლკოვნიკ ბალდერისა და სხვა ოფიცრების თანხლებით, მსუბუქად დაიძრა ფრონტისკენ. უეცრად იგრიალა სამხედრო ორკესტრმა. ცხენები ყალყზე შედგნენ, შეითამაშეს და კუდების ქნევით აქეთ-იქით გაქანდნენ. აყეფდნენ ძაღლები, აღრიალდა ბრბო, ჯარისკაცებმა მუშკეტები მხარზე გაიდეს და ორივე მხარეს, ადგილზე გაქვავებული წითელი მუნდირებისა და თეთრი შარვლების მეტი აღარაფერი მოჩანდა რა.

მისტერ პიკვიკი მიწაზე ფეხს ვეღარ იკიდებდა, ცხენებს ფეხებში ებლანდებოდა და, კაცმა არ იცის, რა სასწაულით - მაინც უვნებელი რჩებოდა. პატივცემული ჯენტლმენი ამ რთული ხრი-

კებით ისე გაერთო, რომ საყურებლად აღარც კი ეცალა და როდესაც, მრავალი უშედეგო ცდის შემდეგ, როგორც იქნა, მიწაზე კვლავ ფეხი მოიკიდა, სიხარულით ცას ეწია.

- აბა, რა შეედრება ამ საუცხოო და წარმტაც სანახაობას! - აღტაცებით მიმართა მისტერ უინკლს.

- არაფერი, - უპასუხა ხსენებულმა ჯენტლმენმა, რომელმაც ის იყო, თავი დააღწია ვიღაც ტანმორჩილ უცნობს; უკანასკნელი უკვე თხუთმეტი წუთია, ორთავ ფეხზე შესდგომოდა და არხეინად გაჰყურებდა მანევრებს.

- მართლაცდა დიდებული, ბრწყინვალე სანახაობაა, - შესძახა მისტერ სნოდგრასმა, რომლის გულში სწრაფად გაღვივდა პოეტური ნაპერწკალი. - შეხედეთ ქვეყნის მამაც მცველებს, ბრწყინვალე სამოსელში გამოწყობილნი მშვიდობიან მოქალაქეთა წინ რომ ჩამწკრივებულან! ერთი შეხედეთ, მათ სახეებს მამაცური შეუბრალებლობის ნაცვლად, ლმობიერება ასხივოსნებს; თვალებს კი ძარცვისა და შურისძიების ცეცხლის მაგივრად გონიერებისა და კაცთმოყვარეობის ნათელი მოსავს.

მართალია, მისტერ პიკვიკმა ღირსეულად შეაფასა ამ ქებათა ქების არსი, მაგრამ მთლიანად მაინც ვერ დაეთანხმა მას; გონიერების ნათელი ოდნავ თუ ღვიოდა მეომართა თვალებში, რადგან გაისმა ბრძანება „სმენა!“ და მაყურებლებს უეცრად მიაჩერდა გამოშტერებულ თვალთა რამდენიმე ათასი წყვილი, რომელშიც ჭკუის ნატამალიც აღარ მოჩანდა.

- აი, ახლა კი დიდებულად მოვეწყვეთ, - თქვა მისტერ პიკვიკმა და მიიხედ-მოიხედა. მართლაც, ახლომახლო ხალხი თანდათანობით შეთხელდა. მიმოიფანტა და მინდორზე პატივცემული პიკვიკელების მეტი აღარავინ დარჩა.

- მართლაცდა, დიდებულად! - ერთხმად შესძახეს მისტერ სნოდგრასმა და მისტერ უინკლმა.

- ნეტავ, ახლა რაღას აპირებენ? - იკითხა მისტერ პიკვიკმა და სათვალე გაისწორა.

- მე... მე... მგონი, - წაილუღლუღა მისტერ უინკლმა და გაფითრდა. - მე მგონი, სროლას აპირებენ.

- სისულელეა, - ჩაიბურტყუნა მისტერ პიკვიკმა.

- მეც... მეც ასე მგონია, ნამდვილად სროლას აპირებენ, - კვერი დაუკრა უინკლს შეშფოთებულმა სნოდგრასმა.

- შეუძლებელია! - განაცხადა მისტერ პიკვიკმა, მაგრამ თქმაც ვერ მოასწრო, რომ ექვსივე პოლკმა მუშკეტები მოიმარჯვა და - თითქოს ერთი საერთო ნიშანი ჰქონდათ - მიზანში პირდაპირ პიკვიკელები ამოიღო. გაისმა ისეთი შემზარავი, ყურთასმენის წამღები ბათქი, რომ ჩვენს პატივცემულ ჯენტლმენებს ეგონათ, დედამიწაც და მათი გულებიც შუაზე გაიპოო.

სწორედ ამ გასაჭირში მისტერ პიკვიკმა, რომელიც ფუჭი მუხტების სეტყვაში იყო გახვეული და მოპირდაპირე მხარეს ჩამწკრივებული ჯარი შეტევით ემუქრებოდა, გამოიჩინა ის დიდებული სიმშვიდე და თავდაჭერა, რომელიც მუდამ აქვს ყოველ ჭეშმარიტად დიდსულოვან ადამიანს. მან მისტერ უინკლს მკლავში წაავლო ხელი, ჩადგა ამ ჯენტლმენსა და მისტერ სნოდგრასს შორის და თავგამოდებით შეუდგა მათ გამხნევებას, ნუ დაივიწყებთ, რომ ასეთი სროლა ჩვენთვის სახიფათო არ არისო, ერთადერთი, რაც შეიძლება მოხდეს, დაგვაყრუებს და ეგ იქნებაო.

- მაგრამ... მაგრამ... ვთქვათ, რომელიმე მათგანმა შემთხვევით ნამდვილი ტყვია ისროლოს, - არ ცხრებოდა მისტერ უინკლი, და ნათქვამი რომ წარმოიდგინა, მთლად გაფითრდა. - აი... ამ წუთში ჰაერში რაღაცამ გაიზუზუნა... საზარლად გაისისინა... ზედ ჩემს ყურთან...

- პირქვე ხომ არ დავემხოთ? - შესძახა მისტერ სნოდგრასმა.

- არა, არა, უკვე დამთავრდა ყველაფერი, - შესძახა ამ დროს მისტერ პიკვიკმა. ვინ იცის, იქნებ მასაც აუკანკალდა ტუჩი, ან სახე გაუფითრდა, მაგრამ ამ უკვდავ ადამიანს არც ერთი სიტყვით, არც ერთი მოძრაობით არ გამოუმჟღავნებია შიში ან თუნდაც ოდნავი აღელვება.

პატივცემულმა პიკვიკმა მართალი ბრძანა - სროლა შეწყდა, და ის იყო, საკუთარი თავისთვის უნდა მიელოცა ეს ამბავი, რომ წინა ხაზზე სწრაფი მოძრაობა შეამჩნია. ვიღაცის ხრინწიანმა ხმამ გასცა ბრძანება და, ვიდრე რომელიმე პიკვიკელი ჯარების ახალ მანევრს გაიაზრებდა, ექვსივე პოლკი ხიშტშემართული შაშხანებით შეტევაზე გადავიდა და ორივე მხრიდან პირდაპირ პიკვიკელებისაკენ გაქანდა.

ადამიანი მხოლოდ და მხოლოდ მოკვდავია და ამიტომ არსებობს საზღვარი, რომელსაც მისი მამაცობა ვერ გადალახავს. ერთხანს მისტერ პიკვიკი სათვალიდან გაჰყურებდა მეომართა მოწოლილ ზვავს, შემდეგ კი ზურგი შეაქცია და... არ ვამბობთ, გაიქცაო - უპირველეს ყოვლისა, ეს გამოთქმა სამარცხვინოა, მეორეც - მისტერ პიკვიკის სხეული სრულიად არ ეგუებოდა უკან დახევის ამგვარ სახეს; ბრძოლის ველიდან კუნტრუშ--კუნტრუშით გაქანდა, თანაც ისეთი სისწრაფე განავითარა, რაც ძალა და ღონე შესწევდათ მის ფეხებს, და გვიანღა მოისაზრა, რომ ამგვარმა მოქმედებამ მის განთქმულ სიდინჯესა და დარბაისლობას საგრძნობი ზიანი მიაყენა.

მოწინააღმდეგეთა ჯარები, რომელთა მოძრაობამ რამდენიმე წუთის წინ თავზარი დასცა მისტერ პიკვიკს, ციხესიმაგრეზე იერიშისა და მოგერიების გასათამაშებლად დაეწყვნენ. მათი მოძრაობის შედეგი ის გახლდათ, რომ სრულიად მოულოდნელად, მისტერ პიკვიკმა და მისმა ორმა მეგობარმა თავი ამოყვეს ჯარების ორ გრძელ მწკრივს შორის - პირველი სწრაფი ნაბიჯით

უახლოვდებოდა ვითომ ასაღებ სიმაგრეს, ხოლო მეორე, მტკიცედ დარაზმული, მტერთან შებმას ელოდებოდა.

- ჰეი! - შეჰყვირეს მოიერიშე რაზმის ოფიცრებმა.

- გზიდან ჩამოგვეცალეთ! - დასძახეს მომგერიებელი რაზმის ოფიცრებმა.

- საით წავიდეთ, საით? - იკივლეს აღშფოთებულმა პიკვიკელებმა.

- ჰეი, ჰეი, ჰეი! - გაისმა პასუხად და ყოველივე აირია - ფეხის ხმაური, საშინელი ნჯღრევა, თავშეკავებული სიცილი. მოიერიშეებმა უკვე ნახევარი გზა გაიარეს და პატივცემული პიკვიკის ფეხები ჯერ კიდევ ჰაერში მოჩანდა.

მისტერ სნოდგრასმა და მისტერ უინკლმა უნებურად საოცარი სიმკვირცხლით მალაყი გააკეთეს და მიწაზე გაიშხლართნენ. ის იყო, პირველმა ყვითელი აბრეშუმის ცხვირსახოცით სინჯა ცხვირიდან მომდინარე სიცოცხლის წყარო შეეჩერებინა, რომ უეცრად თვალი მოჰკრა პიკვიკის კლუბის ღირსეულ წინამძღოლს, რომელიც ქლოშინით მისდევდა საკუთარ ქუდს; უკანასკნელი კი პატრონს ხელიდან უსხლტებოდა, ნიავს ეთამაშებოდა და გაშლილ მინდორზე მხიარულად მიკუნტრუშებდა.

საკუთარი ქუდის დევნა - ეს არის ადამიანის ცხოვრებაში ჭეშმარიტად იშვიათი განსაცდელი - სასაცილო და, ამავე დროს, სამწუხარო - რომელიც მაყურებელში ესოდენ მცირე თანაგრძნობას იწვევს. ქუდის დაჭერა არცთუ ისე ადვილია და ამ საქმეში კაცს უთუოდ დიდი მოთმინება და ჭკუის მოხმარება მართებს; თუ ძალიან აჩქარდა - დევნის საგანს გადაასწრებს, თუ მეორე უკიდურესობაში გადავარდა, სულაც დაკარგავს მას. ამ შემთხვევაში კაცი მეტად ფრთხილად და წინდახედულად უნდა მოიქცეს; არამც და არამც დევნის საგანს არ უნდა ჩამორჩეს, ხელსაყრელი შემთხვევა შეურჩიოს, თანდათან გადაასწროს

ქუდს, შემდეგ სწრაფად ჩაიმუხლოს, ცაში ჩააფრინდეს და თავზე მაგრად დაიხუროს, თანაც ამ ხნის განმავლობაში სულ მხიარულად უნდა იღიმებოდეს, თითქოს ეს ამბავი როგორც სხვებისათვის, ისე მისთვისაც, მხოლოდ თავშესაქცევი ოინი იყოს და მეტი არაფერი.

ნაზი სიო მინდორს ელამუნებოდა და მისტერ პიკვიკის ქუდსაც მხიარულად მიაგორებდა წინ. ქარი ფშვინავდა, მისტერ პიკვიკი ქშინავდა და ქუდი კი ხტუნვა-ხტუნვით ისე სწრაფად მიქროდა წინ, ისე უდარდელად, თითქოს ცქვიტი დელფინი ყოფილიყოს, ძლიერი მოქცევის დროს წყალში რომ შეითამაშებს ხოლმე. ვინ იცის, როდემდე გაგრძელდებოდა ეს თავგანწირული შეჯიბრება, რომ ბედზე, მოულოდნელ დაბრკოლებას არ შეეჩერებინა იგი.

ის იყო ღონემიხდილ პიკვიკელს ხელი უნდა აეღო დევნაზე, რომ ქარმა უეცრად ქუდი ჰაერში აიტაცა და რიგში ჩამწკრივებული ეტლების ერთ-ერთ ბორბალს მიახეთქა. მისტერ პიკვიკმა დრო იხელთა, ელვის სისწრაფით ჩააფრინდა ძვირფას საუნჯეს, თავზე ჩამოიფხატა და სულის მოსათქმელად შეჩერდა. წუთსაც არ გაუვლია, რომ ვიღაცის ძახილი მოესმა; ხმით მისტერ ტაპმენი შეიცნო, მაღლა აიხედა და სანახაობამ, რომელიც თვალწინ გადაეშალა, გული სიამითა და ნეტარებით აუვსო.

ოთხთვლიან ღია ეტლში, რომლიდანაც ცხენები გამოეხსნათ, ხნიერი წარმოსადეგი ჯენტლმენი იდგა ბრჭყვიალაღილებიან ლურჯ სერთუკში გამოწყობილი. ხავერდის შარვალი და გადაკეცილი ჩექმები ეცვა. მას გვერდს უმშვენებდა ფერად-ფერად ფრთებსა და ფარჩაში გამოწყობილი ორი ყმაწვილი ქალი. ახალგაზრდა ჯენტლმენი - აშკარად შეყვარებული ერთ-ერთ „ფრთოსან“ ქალიშვილზე. გაურკვეველი ასაკის მანდილოსანი (ქალიშვილების მამიდა) და ბოლოს - მისტერ ტაპმენი, ლაღი და

უდარდელი ტაპმენი, რომელიც, როგორც ჩანს, ახალ მეგობრებს შორის ისე შინაურულად გრძნობდა თავს, თითქოს აკვნიდან მათთან ყოფილიყოს შეზრდილი. ეტლის ბოლოს დამაგრებული იყო კარგა მოზრდილი თავდახურული კალათა, რომელიც ყოველი შორსმჭვრეტელის გონებაში ფრიად სასიამოვნო აზრებს აღძრავდა, ვთქვათ - ცივად მოხარშული ქათმის, შემწვარი ენისა და ღვინის ბოთლების შესახებ. ეტლის კოფოზე წამოსკუპებულიყო ღაჟღაჟა, ლოყებგაფუებული ყმაწვილი, რომელიც ტკბილად თვლემდა. ჭეშმარიტად უგულისყურო დამკვირვებელიც კი მიხვდებოდა, რომ ეს ახალგაზრდა ზემოხსენებული კალათის შიგთავსის მუდმივი გადამმუშავებელი გახლდათ, როდესაც კი მისი განადგურების ჟამი დაჰკრავდა ხოლმე.

ის იყო, მისტერ პიკვიკმა ქურდულად შეავლო თვალი საოცნებო კალათას, რომ კვლავ ერთგული მოწაფის ხმა მოესმა.

- პიკვიკ, პიკვიკ, - გაჰკიოდა მისტერ ტაპმენი, - ამოდით, ჩქარა, ჩქარა!

- მობრძანდით, სერ, მობრძანდით, - თქვა ახოვანმა ჯენტლმენმა, - ჯოუ... დასწყევლოს ეშმაკმა, კიდევ სძინავს?.. ჯოუ, ჩაუშვი კიბე.

სქელი ყმაწვილი მძიმედ ჩამობობღდა კოფოდან, საფეხური დაუშვა და სტუმარს თავაზიანად გაუღო ეტლის კარი.

ამ დროს ეტლს მისტერ სნოდგრასი და მისტერ უინკლიც მოადგნენ.

- ადგილი ყველასთვისაა, ბატონებო, - წამოიძახა ახოვანმა ჯენტლმენმა, - ორი შიგნით და ერთიც კოფოზე. ჯოუ, კოფოზე ერთ-ერთი ჯენტლმენისათვის ადგილი გაათავისუფლე. ამობრძანდით, სერ, - სტუმართმოყვარე მასპინძელმა ხელი დასტაცა ჯერ მისტერ პიკვიკს, შემდეგ მისტერ სნოდგრასს და ძალით აიტაცა ეტლში. მისტერ უინკლი კოფოზე ავიდა. ჩასუქებულმა

ყმაწვილმა კვლავ თავისი ადგილი დაიკავა და მაშინვე ძილს მისცა თავი.

- დიდად მოხარული გახლავართ, რომ გაგიცანით, ბატონებო, - აღტაცებით წარმოთქვა ახოვანმა ჯენტლმენმა, - ჭეშმარიტად დიდად მოხარული გახლავართ. კარგად გიცნობთ, ბატონებო, თუმცა თქვენ შესაძლოა არც გახსოვდეთ. შარშან რამდენიმე საღამო გავატარე თქვენს კლუბში... ამ დილას სრულიად მოულოდნელად ჩემს მეგობარს, მისტერ ტაპმენს გადავეყარე და მართალი გითხრათ, გულით გამიხარდა მისი ნახვა. დიახ, სერ... როგორ ბრძანდებით? - მიუბრუნდა მასპინძელი მისტერ პიკვიკს. - მერწმუნეთ, საუცხოოდ გამოიყურებით.

მისტერ პიკვიკმა მასპინძელს ქათინაურისთვის მადლობა გადაუხადა და გულთბილად ჩამოართვა ხელი.

- თქვენ როგორ ბრძანდებით, სერ? - მამაშვილური მზრუნველობით ჰკითხა ახოვანმა ჯენტლმენმა მისტერ სნოდგრასს, - დიდებულად, ხომ?.. კეთილი და პატიოსანი. თქვენ, სერ? (მიმართა მისტერ უინკლს) კარგადო, ამბობთ, დიდად მოხარული გახლავართ, მერწმუნეთ, დიდად მოხარული! ესენი ჩემი ქალიშვილები არიან, ბატონებო, ჩემი გოგონები; აქეთა კი ჩემი და გახლავთ. მის რეიჩელ უორდლი, დიახ, ჯერ კიდევ მის, თუმცა ასაკით... ჰა, ჰა, ჰა, მიმიხვდით სერ? - ახოვანმა ჯენტლმენმა მისტერ პიკვიკს გვერდში იდაყვი წაჰკრა და გულიანად გადაიხარხარა.

- გეყოფა, ძამიკო, - ნაძალადევად გაიღიმა შინაბერა ასულმა და ძმას ვედრებით გადახედა.

- ტყუილია, თუ? - წამოიძახა მასპინძელმა, - ვერც უარყოფ ამას. ბატონებო, ბოდიშს ვიხდი - ჩემი მეგობარი მისტერ ტრანდლი. ახლა კი ყველა გაგაცანით. გთხოვთ, შინაურულად მოეწყოთ და მანევრებს ვუყუროთ.

ახოვანმა ჯენტლმენმა სათვალე გაიკეთა, მისტერ პიკვიკმა დურბინდი მოიმარჯვა და ყველა წამოდგა, რომ ხალხის თავების ზემოდან მანევრებისათვის მიეწვდინათ თვალი.

უნდა მოგახსენოთ, რომ ეს მანევრები ძალზე უცნაურად მიმდინარეობდა: მეომართა ერთი რიგი მეორე რიგის მეომრების თავებს ზემოთ ჰაერში ისროდა და უკან გარბოდა; იმავეს იმეორებდა მეორე რიგი მესამის მიმართ. შემდეგ ჯარისკაცები ოთხკუთხად მოეწყვნენ, ოფიცრები კი მათ შუაგულში ჩადგნენ. შემდეგ ჯარისკაცები ერთი მხრიდან კიბეებით თხრილში ჩავიდნენ და იმავე საშუალებით მეორე მხრიდან ამოვიდნენ, დალეწეს კალათებისგან აშენებული ბარიკადები და დიდი მამაცობაც გამოიჩინეს. შემდეგ ბატარეებზე რაღაც ხელსაწყოებით დატენეს უზარმაზარი ზარბაზნები, მოემზადნენ სასროლად და ისეთი ამბით ისროლეს და ისეთი გამაყრუებელი ზრიალი ატყდა, რომ ჰაერი ქალების წივილ-კივილმა შესძრა. მისტერ უორდლის ქალიშვილებს ბათქის ისე შეეშინდათ, რომ მისტერ ტრანდლმა, თავისდა უნებურად, ერთ-ერთი მათგანი გულში ჩაიკრა, მეორე კი მისტერ სნოდგრასს მკლავზე ჩამოეკიდა. მის რეიჩელიც მეტად შეშფოთდა და მისტერ ტაპმენმაც, როგორც მშვენიერთა სქესის ერთგულმა რაინდმა, გასამხნევებლად საბრალო ასულს წელზე ხელი შემოხვია. აღელვება ყველას დაეტყო, გარდა ბიჭისა, რომელიც კვლავ განაგრძობდა ტკბილად თვლემას, თითქოს მისთვის ზარბაზნების გრუხუნი დედის ტკბილი იავნანა ყოფილიყოს.

- ჯოუ, ჯოუ! - დაიძახა ახოვანმა ჯენტლმენმა, როდესაც ციხესიმაგრე აიღეს და მოიერიშეებიც და ალყაშემორტყმულებიც სუფრას შემოუსხდნენ.

- დასწყევლოს ეშმაკმა, ისევ დაიძინა. გეთაყვა, სერ, ერთი უჩქმიტეთ ფეხში, სერ, ფეხში, მაგას სხვა არაფერი უშველის... გმადლობთ, სერ, გახსენი კალათა, ჯოუ.

მისტერ უინკლმა ორი თითით მაგრად უჩქმიტა ბოკვერას წვივზე და მძინარეც სასწრაფოდ გამოფხიზლდა, ჩამოცოცდა კოფოდან და კალათის გახსნას შეუდგა, თანაც მისი სიზანტისგან რომ არ მოელოდებოდი, ისეთი სიმარჯვე და სიმკვირცხლე გამოიჩინა.

- ახლა, როგორმე უნდა გავიჭირვოთ და ყველანი დავეტევით, - მიმართა მასპინძელმა სტუმრებს.

ჯენტლმენებმა ბევრი იოხუნჯეს, სივიწროვეში ქალიშვილებს სახელოები დაესრისებათ და მოდი, ისევ მუხლებზე დაგვისხდნენო. ამ მასხრობამ მშვენიერ ასულებს სიწითლე მოჰგვარა და ბოლოს, როგორც იქნა, ყველა მოეწყო. ახოვანი ჯენტლმენი შველოდა მსახურ ბიჭს, რომელიც მაღლა ამძვრალიყო კალათის გასახსნელად, ხელიდან ართმევდა მას სანოვაგეს და ეტლში აწოდებდა.

- დანა-ჩანგალი მოიტა, ჯოუ!

მოართვეს დანა-ჩანგალი და მასპინძელმაც მანდილოსნები და ჯენტლმენები ეტლის შიგნით, ხოლო მისტერ უინკლი კოფოზე ამ დიდად სასარგებლო იარაღით მოამარაგა.

- თეფშები, ჯოუ, თეფშები!

ჩამორიგდა თეფშებიც - ახლა კი ქათამი მოგვართვი, ჯოუ. დასწყევლოს ეშმაკმა, ჯოუმ ისევ დაიძინა. ჯოუ, ჯოუ! - რამდენიმე მუჯლუგუნი უთავაზა თავში და ბოკვერაც ძლივს გამოერკვა საღათას ძილიდან, - ცოცხლად, საუზმე მოგვართვი.

უკანასკნელი სიტყვის გაგონებაზე ბოკვერა სრულიად გამოფხიზლდა და ფეხზე წამოხტა; გამობურთული ლოყების ზემო-

დან სიხარულით გამოანათა მისმა ჭროღა თვალებმა და მსუნაგ-მაც კალათიდან ამოლაგებულ საჭმელს ეშმაკურად გაუღიმა.

- აბა, გაინძერი, ცოცხლად, - კვლავ დაუყვირა მისტერ უორ-დლმა მსახურს, როდესაც შეამჩნია, რომ მუშაობის ნაცვლად, იგი სიყვარულით მისჩერებოდა მსუქან ყვერულს - ეტყობა მას-თან დაშორება ძალიან უმძიმდა. პატრონის შეძახილზე ბიჭმა ღრმა ოხვრით უპასუხა, გულდამწვარმა ერთხელ კიდევ დახედა ჩასუქებულ ფრინველს და მისტერ უორდლს უგულოდ მიაჩეჩა.

- აი, ასე, ყოჩაღად იყავი. ახლა ენა მოიტა, მტრედის პაშტე-ტი... ფრთხილად, ფრთხილად, ხბოს ხორცი და ლორი არ დაგი-ვარდეს, ასთაკვებიც არ დაგავიწყდეს, ხელსახოციდან სალათა ამოიღე და ბარემ საწებელიც გადმომაწოდე.

მისტერ უორდლი სხაპასხუპით ისროდა ბრძანებებს, თან სტუმრებს ზემოხსენებულ საჭმელებს აწოდებდა და თეფშებს აჩეჩებდა.

- ო, დიდებული არ არის განა? - იკითხა ამ კეთილმა ადამიან-მა, როდესაც სტუმარ-მასპინძელი მორთმეულის განადგურებას შეუდგა.

- საუცხოოა! - დაუდასტურა მისტერ უინკლმა, რომელიც კო-ფოზე ფრინველს ჭრიდა.

- ღვინოს ხომ არ მიირთმევთ? - ამოსძახა მისტერ უორდლმა.

- დიდი სიამოვნებით.

- სჯობს, ერთი ბოთლი მანდვე იქონიოთ კოფოზე, სერ, არა?

- ბატონი ბრძანდებით.

- ჯოუ!

- გისმენთ, სერ, - ბოკვერა აღარ თვლემდა, მან თეფშიდან დაითრია ხორცის ღვეზელი და გემრიელად შეექცეოდა.

- აბა, სწრაფად, ერთი ბოთლი ღვინო მიართვი ჯენტლმენს კოფოზე. ნამდვილად მოხარული ვარ ჩვენი შეხვედრის, სერ, ნამდვილად.

- გმადლობთ, - მისტერ უინკლმა ერთი ჭიქა გამოცალა და ბოთლი გვერდზე მოიდგა.

- ნება მიბოძეთ, თქვენთან ერთად დავლიო, სერ, - მიმართა მისტერ ტრანდლმა მისტერ უინკლს.

- დიდი სიამოვნებით, - უპასუხა მისტერ უინკლმა და ორივემ შესვა სადღეგრძელო. თითო ჭიქა ყველამ მიირთვა, მათ შორის ქალებმაც.

- ერთი შეხედე, ჩვენი საყვარელი ემილი უცხო ჯენტლმენს როგორ ეარშიყება, - ჩასჩურჩულა ძმას შინაბერა მანდილოსანმა და სიტყვებში გადაბერებული ქალწულის მთელი გესლი ჩააქსოვა.

- მერედა რა მოხდა, - უპასუხა გულმხიარულმა ჯენტლმენმა, - მე მგონი, სრულიად ბუნებრივია... მისტერ პიკვიკ, ღვინო მიირთვით, სერ!

მისტერ პიკვიკი, რომელიც მტრედის პაშტეტის შემადგენლობას იკვლევდა, აღნიშნულ წინადადებას სიამოვნებით დაეთანხმა.

- ემილი, ჩემო ძვირფასო, - მფარველობით გადასძახა შინაბერა მამიდამ, - ასე ხმამაღლა ნუ ლაპარაკობ, გენაცვალე!

- ოჰ, მამიდა!

- მამიდა და ის ბებრუხანა ლაპარაკს აღარავის აცლიან, - ჩასჩურჩულა მის იზაბელა უორდლმა ემილის. ახალგაზრდა ქალებმა გულიანად გადაიკისკისეს, შინაბერამ კი ორაზროვნად გაიღიმა.

- ახლანდელ დროში ქალიშვილები მეტად თავაშვებულები არიან, - უთხრა მის უორდლმა მისტერ ტაპმენს ისეთი შემაძრწუ-

ნებელი ხმით, თითქოს მხიარულება სამარცხვინო დანაშაული ყოფილიყოს და ადამიანი, რომელიც კეთილ განწყობილებას არ მალავს - დიდი ცოდვილი და ბოროტმოქმედი.

- დიახ, დიახ, - მისტერ ტაპმენმა ვერ მოისაზრა, რა პასუხს ელოდნენ მისგან, - საუცხოოა, საუცხოო.

- ჰმ! - უნდობლად წამოიგმინა მის უორდლმა.

- ნება მიბოძეთ, - ტკბილად წარმოთქვა მისტერ ტაპმენმა, ცალი ხელით მშვენიერი რეიჩელის თითებს შეეხო და მეორით ბოთლი აიტაცა, - ნებას მომცემთ? - მისტერ ტაპმენმა მუდარით გადახედა მის უორდლს.

- ოჰ, სერ! - მშვენიერ რეიჩელს ეშინოდა, კვლავ არ გამეორებულიყო სროლა. ასეთ შემთხვევაში მას უეჭველად კვლავ დასჭირდებოდა კეთილშობილი რაინდის დახმარება.

- როგორ გგონიათ, ჩემი ძმისწულები ლამაზები არიან? - ჩასჩურჩულა კეთილმა მამიდამ მისტერ ტაპმენს.

- მათი მამიდა რომ აქ არ იყოს, უთუოდ ლამაზები მეგონებოდნენ, - უპასუხა ენამოსწრებულმა პიკვიკელმა და კეკლუც ქალწულს მწველი თვალები შეანათა.

- ო, თქვე ეშმაკო, მართლაც, ოდნავ უკეთესი ფერი რომ ჰქონოდათ, უთუოდ კარგი გოგონები იქნებოდნენ საღამოს შუქზე, არა?

- დიახ, შესაძლოა, რომ ასეც იქნებოდა, - რაც შეიძლება გულგრილად მიუგო მისტერ ტაპმენმა.

- ოჰ, რა ეშმაკი ბრძანდებით, მე კარგად ვიცი, რაც გინდოდათ, გეთქვათ.

- რა, ქალბატონო? - ჰკითხა მისტერ ტაპმენმა, რომელსაც ფიქრადაც არ მოსვლია, კიდევ რამე ეთქვა.

- თქვენ გსურდათ გეთქვათ, რომ იზაბელა მოხრილი დადის, ვიცი, ვიცი, უთუოდ, ეგ უნდა გეთქვათ. მამაკაცის თვალს ხომ

არაფერი გამოეპარება, დიახ, ასეა, ასე. სამწუხაროდ, მეც ვერ უარვყოფ, რომ ქვეყანაზე არაფერი ისე არ აუშნოებს ქალიშვილს, როგორც მოხრილი სიარული. ხშირად მითქვამს მისთვის, რომ რამდენიმე წლის შემდეგ პირდაპირ საშინელი შესახედი იქნება. თქვენ კი უთუოდ დიდი ეშმაკი ბრძანებით.

მისტერ ტაპმენს არაფერი ჰქონდა საწინააღმდეგო გამჭრიახი გონების კაცის სახელი ასე იოლად რომ მოიხვეჭა, ამიტომ მან ქათინაურიც შეიფერა, წელში გაიმართა და უცნაურად გაიღიმა.

- ოჰ, რა დამცინავი ღიმილია! - აღტაცებით შესძახა რეიჩელმა, - გულწრფელად ვაღიარებ, რომ პირდაპირ მეშინია თქვენი.

- გეშინიათ?

- ო, თქვენ მე ვერაფერს დამიმალავთ, მე კარგად მესმის, თუ რას ნიშნავს ეგ ღიმილი.

- რას? - თვით მისტერ ტაპმენს წარმოდგენა არ ჰქონდა, რომ მის ღიმილს ესოდენ საიდუმლო მნიშვნელობას მიაწერდნენ.

- თქვენ გინდათ თქვათ, რომ იზაბელას მხრებში მოკუზვა არც ისე დიდი ცოდვაა ემილის მოურიდებელ ქცევასთან შედარებით. მართალი ბრძანდებით, სერ, მეტად თავაშვებულია და ვერ წარმოიდგენთ, როგორ მაღონებს ეს... ხანდახან საათობით ვტირი ხოლმე. ჩემი ძმა ისეთი გულკეთილია, ისე ადვილად ენდობა ყველას, რომ ვერაფერს ამჩნევს... რომ გაიგოს, მერწმუნეთ გული გაუსკდება! ნეტავ, ეს მხოლოდ ცუდი ჩვევის ბრალი იყოს და არა... ნეტავი, ნეტავი.

აქ კეთილმა მამიდამ ღრმად ამოიოხრა და უიმედოდ გაიქნია თავი.

- დარწმუნებული ვარ, მამიდა ჩვენზე ლაპარაკობს, - ჩასჩურჩულა მის ემილი უორდლმა თავის დას, - ეჭვიც არ მეპარება. შეხედე, სახეზე სულ ბრაზის ალმური ასდის.

- მართლა? - უპასუხა იზაბელამ, - ჰმ!.. მამიდა, გენაცვალე!

- რა იყო, ჩემო კარგო?

- მამიდა, გენაცვალე, - გაიმეორა მან, მეშინია, არ გაცივდეთ. აბრეშუმის თავშალი მაინც მოიხვიეთ ჭაღარა თავზე, ჩემო ძვირფასო! თქვენს ასაკში უთუოდ გმართებთ თავის მოფრთხილება.

თუმცა მის უორდლმა კუთვნილი ხურდა მიიღო, მაგრამ უნდა ითქვას, ამაზე მკაცრ შურისძიებას ძნელად თუ ვინმე მოიფიქრებდა და არავინ იცის, რა სახით გადმოანთხევდა პატივცემული მამიდა გულში ადუღებულ წყრომას, რომ ამ დროს მისტერ უორდლს ჯოუსთვის არ დაეძახა და ამ დაძახებამ საუბრის თემაც შემთხვევით შეცვალა.

- დასწყევლოს ეშმაკმა, - შესძახა მისტერ უორდლმა, - ისევ ჩასძინებია.

- პირდაპირ საოცარი ბიჭია, - თქვა მისტერ პიკვიკმა, - სულ ასე სძინავს?

- სძინავს?! - წამოიძახა მასპინძელმა, - ნამდვილად ძილისგუდაა! გაგზავნი სადმე - სძინავს, სუფრაზე გვემსახურება - ხვრინავს.

- რა საკვირველია! - თქვა მისტერ პიკვიკმა.

- მართლაც საოცარია! - უპასუხა მისტერ უორდლმა, - პირდაპირ ვამაყობ ამ ბიჭით და მერწმუნეთ, არაფრის გულისთვის თავიდან არ მოვიშორებ. საოცრებაა, ნამდვილი საოცრება! ჯოუ! ჯოუ! აალაგე სუფრა და ერთი ბოთლი კიდევ გახსენი, გესმის?

ბოკვერა წამოდგა, თვალები მოიფშვნიტა, ღვეზლის ვეებერთელა ლუკმა, რომელსაც ჩაძინებისას ღეჭავდა, გადაყლაპა და აუჩქარებლად შეუდგა ბატონის ბრძანების ასრულებას. თეფშები სუფრიდან აალაგა და კალათაში ჩააწყო, თანაც, ხარბად შეაცქერდა ნადიმის ნარჩენებს.

კალათა კვლავ ძველ ადგილას დადეს და ბოკვერაც კვლავ კოფოზე აცოცდა; ჯენტლმენებმა ახალგახსნილი ბოთლი სწრაფად გამოსცალეს, დურბინდი და სათვალეები მოიმარჯვეს და - მანევრებიც განახლდა. ტყვიები ზუზუნებდნენ, ზარბაზნები გრუხუნებდნენ და შეშინებული მანდილოსნები კიოდნენ და წიოდნენ. დასასრულ, ყველას გულის გასახარად, ნაღმიც ააფეთქეს. გაიფანტა კვამლი და გაიფანტნენ მაყურებლებიცა და ჯარებიც.

- არ დაგავიწყდეთ, გეთაყვა, - თქვა ხნიერმა უორდლმა, როდესაც მისტერ პიკვიკს ხელი ჩამოართვა და მანევრების მიწურულს დაწყებული საუბარი დაასრულა. - ხვალ ჩვენ უნდა გვესტუმროთ.

- უეჭველად, - უპასუხა მისტერ პიკვიკმა.

- მისამართი ხომ გაქვთ?

- მეინორის ფერმა დინგლი-დელი

, - ამოიკითხა უბის წიგნაკში მისტერ პიკვიკმა.

- მართალია, მართალი, - დაუდასტურა მისტერ უორდლმა, - და აქედანვე იცოდეთ, რომ ერთ კვირაზე ადრე არსად გაგიშვებთ. ყველაფერი უნდა დაგათვალიერებინოთ, რაც კი ყურადღების ღირსია. თუ გსურთ სოფლის ცხოვრებას გაეცნოთ, ჩემთან მოდით და გული იჯერეთ... ჯოუ!.. დასწყევლოს ეშმაკმა, კიდევ ჩასძინებია, ჯოუ, ტომს მოეხმარე ცხენები შეაბას.

ცხენები შეაბეს; მეეტლე კოფოზე ავიდა, ბოკვერამ მის გვერდით მოიკალათა, სტუმარ-მასპინძელი ერთმანეთს დაემშვიდობა და ეტლიც გაქანდა.

პიკვიკელები ერთხელ კიდევ შესცქეროდნენ გზად მიმავალ ახალ მეგობრებს. ჩამავალი მზე ოქროსფერ შუქს უხვად აფრქვევდა ეტლში მსხდომთა სახეებს და თავით-ფეხებამდე ანათებდა ბოკვერას, რომელსაც თავი ჩამოვარდნოდა და კვლავ ტკბილად თვლემდა.

თავი V

მოკლე ამბავი, რომელიც მოგვითხრობს, როგორ იკისრა მისტერ პიკვიკმა ეტლის მართვა, ხოლო მისტერ უინკლმა - ცხენით მგზავრობა და როგორ შეასრულეს ეს საქმე

საუზმის მოლოდინში, როჩესტერის ხიდის მოაჯირს მიყრდნობოდა მისტერ პიკვიკი და ბუნების სიმშვენიერით ტკბებოდა. ცა ელვარებდა, ჰაერი სურნელებას გამოსცემდა და გარშემო ყველაფერს საამო იერი დასდებოდა. ჭეშმარიტად წარმტაცი სანახაობა, რომელიც გულგრილ მაყურებელსაც კი აღტაცებაში მოიყვანდა, მით უფრო ხიბლავდა და აჯადოებდა ბუნების მხურვალე თაყვანისმცემელ პიკვიკელს.

მარცხნივ დანგრეული გალავანი მოჩანდა, რომელიც ზოგან წყდებოდა, ზოგან კი უხეშ, მძიმე ლოდებად ჩამოსწოლოდა მდინარის პირს. მჭრელ წაწვეტებულ ქვებზე დაკიდული უზარმაზარი წყალმცენარეები სიოს ყოველ წამოქროლაზე ირხეოდნენ. მწვანე სურო ძაძასავით შემოხვეოდა კედლის დანგრეულ და ჩაშავებულ ქონგურებს. გალავნის გადაღმა ამართულიყო ძველებური ციხე-დარბაზი, რომლის სახურავახდილი კოშკები და მორღვეული კედლები ამაყად მოგვითხრობდნენ წარსულ დიდებასა და ძლიერებაზე, მოგვითხრობდნენ იმ დროზე, როდესაც (დაახლოებით შვიდასი წლის წინ) ციხე-დარბაზი იარაღის ჟღარუნით ზანზარებდა და ლხინისა და ნადიმის ხმას სასახლის ყოველი კუთხე ბანს აძლევდა. მდინარე მედუეის ორივე ნაპირზე, სანამდეც კი კაცს თვალი მიუწვდებოდა, ყანები და საძოვრები იყო გა-

დაჭიმული. მათ შორის ზოგან ქარის წისქვილი მოჩანდა, ზოგან შორეული საყდარი. დილის მზის შუქზე მიცურავდნენ თხელი ღრუბლები და მიწაზე ცვალებად ჩრდილებს აჩენდნენ, ეს კიდევ უფრო ალამაზებდა ისედაც მდიდარ და მრავალფეროვან სანახაობას. ცის ანარეკლისგან ლურჯად მოლაპლაპე მდინარე უხმოდ მიიზლაზნებოდა; მეთევზეების ნიჩბები მწყობრი, წკრიალა ხმაურით ეშვებოდნენ წყალში; მძიმე, მაგრამ ლამაზი ნავები ნელა მისრიალებდნენ წყალდაღმა.

ბუნების სილამაზით გატაცებული და ოცნებაში გადავარდნილი პიკვიკი მხარზე ხელის შეხებამ და ღრმა ამოოხვრამ გამოაფხიზლა.

იგი შემობრუნდა - მის გვერდით პირქუში კაცი იდგა.

- ბუნებით ტკბებით? - დაინტერესდა პირქუში კაცი.

- დიახ, - უპასუხა მისტერ პიკვიკმა.

- და ალბათ, ადრე ადგომასაც ულოცავთ თავს?

მისტერ პიკვიკმა თანხმობის ნიშნად თავი დააქნია.

- ოჰ, კაცი უთუოდ ადრე უნდა ადგეს, რომ მზე მთელი თავისი ბრწყინვალებით იხილოს. მისი მშვენება ხომ მთელ დღეს არ გასტანს. დღის დილა და სიცოცხლის დილა ერთობ წააგავს ერთმანეთს - ორივე მეტად მოკლეა.

- მართალს ბრძანებთ, სერ, - დაეთანხმა მისტერ პიკვიკი.

- ხომ არსებობს ასეთი გამოთქმა, - განაგრძო პირქუშმა კაცმა, - „დილა მეტისმეტად მშვენიერია და ამიტომაცაა ასე მოკლეო“. იგივე შეიძლება ითქვას ჩვენს ცხოვრებაზეც... ღმერთო! რას არ მივცემდი, რომ ჩემი ბავშვობის დღეები დამიბრუნდებოდეს... ან სამუდამოდ მიეცეს დავიწყებას!..

- გეტყობათ, ბევრი სიმწარე გამოგიცდიათ, სერ! - თანაგრძნობით უთხრა მისტერ პიკვიკმა.

- ბევრი, - აჩქარებით უპასუხა პირქუშმა კაცმა, - დიახ, ბევრი რამ... გაცილებით მეტი, ვიდრე დაიჯერებდნენ ისინი, ვინც ახლა მხედავენ, - ერთ წუთს შეჩერდა და შემდეგ აღელვებით წამოიძახა:

- ასეთ მშვენიერ დილას განა ოდესმე გიფიქრიათ, რომ თავის დახრჩობა ბედნიერებასა და სიმშვიდეს მოგიტანდათ?

- ღმერთმა დამიფაროს, არასდროს! - უპასუხა მისტერ პიკვიკმა და მოაჯირიდან ოდნავ უკან დაიხია. თავში საშინელმა ფიქრმა გაუელვა: ვინ იცის, ამ პირქუშ კაცს მოეპრიანოს, საცდელად ხელი მკრას და წყალში გადამიძახოსო.

- მე კი ხშირად მიფიქრია, - დაიწყო პირქუშმა კაცმა, რომელმაც მისტერ პიკვიკის მოძრაობა ვერ შენიშნა, - მშვიდი, ცივი წყალი თითქოს ჩურჩულით მეპატიჟება, რომ დამამშვიდოს და სამუდამოდ მომასვენოს. ერთი ნახტომი... თქაფანი... ხანმოკლე შებრძოლება; ერთ წამს მორევი დატრიალდება და თანდათან წრეებად გაიშლება. აი, წყალი თავზე გადაგეფარა და ქვეყანამაც ზურგი აქცია შენს უბედურებასა და ვაი-ვაგლახს, - ლაპარაკის დროს პირქუში კაცის ჩაცვენილი თვალები ცეცხლივით აენთნენ, მაგრამ წუთიერი აღელვება სწრაფად გაქრა. ის მშვიდად მობრუნდა და თქვა:

- ესეც ასე. კმარა! სულ სხვა განზრახვით მოვედი თქვენს სანახავად. გახსოვთ, გუშინწინ ღამით თქვენ მთხოვეთ, რომ ის ფურცლები წამეკითხა... ამბავიც გულდასმით მოისმინეთ.

- დიახ, მახსოვს... - უპასუხა მისტერ პიკვიკმა, - და, რა თქმა უნდა, ჩემი აზრით...

- მე აზრი არ მაინტერესებს, - სიტყვა შეაწყვეტინა პირქუშმა კაცმა, - და არც მჭირდება. თქვენ ხომ იმიტომ მოგზაურობთ, რომ გაერთოთ და თანაც რაიმე შეისწავლოთ. ვთქვათ, მე გადმოგეცით უცნაური ხელნაწერი... უცნაური იმიტომ კი არა, რომ

ის რაიმე შეუძლებელსა და საშინელს შეიცავს, არამედ იმიტომ, რომ ის ცხოვრების უტყუარი წიგნის ერთ-ერთი ფურცელია. ხომ გადასცემთ ამ ხელნაწერს თქვენს კლუბს, რომლის შესახებაც იმ დღეს მესაუბრეთ?

- თუკი ინებებთ, უეჭველად გადავცემ, - თქვა მისტერ პიკვიკ-მა, - და იგი კლუბის ოქმებშიც შევა.

- მაშ, თქვენ მას მიიღებთ, უეჭველად! - უპასუხა პირქუშმა კაცმა, - თქვენი მისამართი? - და როდესაც პატივცემული პიკვი-კელისგან მოსალოდნელი მგზავრობის გეგმას გაეცნო, მან გულმოდგინედ ჩაინიშნა ყველაფერი გაქონილ უბის წიგნაკში. შემდეგ დაემშვიდობა მასპინძელს, რომელიც დაჟინებით სთხოვდა, ერთად ვისაუზმოთო და ქუჩას გაჰყვა.

მისტერ პიკვიკს სამივე მეგობარი ზეზე დახვდა. მის მოლო-დინში ისინი მოუთმენლად შესცქეროდნენ მაგიდაზე მაცდუნებ-ლად გაშლილ საუზმეს. პიკვიკელები სუფრას შემოუსხდნენ და საუზმეს შეექცნენ. საოცარი სისწრაფით ქრებოდა შემწვარი ლორი, კვერცხი, ჩაი, ყავა და სხვა მრავალი, რაც მომხმარებ-ლების მშვენიერ მადასა და შესანიშნავ ჯანმრთელობას მოწმობ-და.

- მეინორის ფერმაზე რას იტყვით! - იკითხა მისტერ პიკვიკმა, - როგორ გავემგზავროთ?

- უმჯობესია, მსახურს მოელაპარაკოთ, - თქვა მისტერ ტაპ-მენმა. მოუხმეს მსახურს.

- დინგლი-დელი, ბატონებო? თხუთმეტი მილი იქნება იქამ-დე... გზაჯვარედინი უნდა გადაჭრათ. საფოსტო ეტლი მოგარ-თვათ?

- საფოსტო ეტლში ხომ ორ კაცზე მეტი ვერ მოთავსდება, - შე-ნიშნა მისტერ პიკვიკმა.

- როგორ არა, სერ, ბოდიშს ვიხდი. მშვენიერი ოთხთვლიანი ეტლია. ორი ადგილი უკან, ერთი წინ იმ ჯენტლმენისთვის, რომელიც მართავს. ოჰ, კიდევ ბოდიშს ვიხდი, სერ, ეს ხომ მხოლოდ სამს შეადგენს.

- როგორ მოვიქცეთ? - თქვა მისტერ სნოდგრასმა.

- იქნებ ერთ-ერთმა ჯენტლმენმა ცხენით წაბრძანება ინებოს, სერ? - თქვა მსახურმა და მისტერ უინკლს გადახედა, - ჩინებულად შეკაზმული ცხენებია, სერ. მისტერ უორდლის მსახური მათ როჩესტერიდან უკან წამოიყვანს, სერ.

- ჩვენც სწორედ ეს გვინდა, - თქვა მისტერ პიკვიკმა, - უინკლ, წამოხვალთ ცხენით?

მისტერ უინკლს მოაგონდა თავისი მხედრული სიმარჯვე და სადღაც გულის კუნჭულში შიშმა გაჰკრა, მაგრამ ამ სისუსტის გამოჩენა არ უნდოდა. პატივცემული პიკვიკელი არავის ათქმევინებს, რომ ის ლაჩარია, ჯაბანი, - ამიტომ მან თამამად უპასუხა:

- რა თქმა უნდა, მოხარულიც ვიქნები!

სხვა გზა არ იყო, მისტერ უინკლი ბედს შეეჭიდა.

- თერთმეტი საათისათვის გამოგვიგზავნეთ, - მიმართა მსახურს მისტერ პიკვიკმა.

- ბატონი ბრძანდებით, - უპასუხა მსახურმა და გავიდა.

საუზმე დამთავრდა და მოგზაურები თავ-თავიანთ ოთახებში ავიდნენ, რომ რამდენიმე ხელი ტანსაცმელი ჩაელაგებინათ წასაღებად.

მისტერ პიკვიკი, რომელსაც ყველაფერი წინდაწინ მოემზადებინა, სასადილოს ფარდებს იქით ქუჩაში გამვლელ--გამომვლელს ათვალიერებდა, როდესაც მოსამსახურე შემოვიდა და მოახსენა, ეტლი კართან დგასო. ეს განცხადება დაადასტურა თვით ეტლმაც, რომელიც ზემოხსენებული ოთახის ფანჯრების წინ გამოჩნდა.

ეს იყო ოთხ თვალზე შემდგარი, უცნაური მწვანე კოლოფი, უკან გოდორის მსგავსი დასაჯდომით ორი კაცისათვის და წინ ამაღლებული ქანდარით.

კოლოფში შებმული იყო ვეებერთელა ცხენი. იქვე იდგა მეჯინიბეც, რომელსაც სადავეებით ეჭირა მისტერ უინკლისთვის შეკაზმული მეორე, ასეთივე ვეებერთელა ცხენი, რომელიც უთუოდ, პირველის ახლო ნათესავი უნდა ყოფილიყო.

- ღმერთო, შენ შემიწყალე! - წამოიძახა მისტერ პიკვიკმა, - ღმერთო, შენ შემიწყალე! ეტლი ვინ უნდა მართოს, რომ არ ვიცი? ამაზე არც კი მიფიქრია.

- ოჰ, რა თქმა უნდა, თქვენ, - თქვა მისტერ ტაპმენმა.

- უეჭველად, - დაუმატა მისტერ სნოდგრასმაც.

- მე?! - შესძახა მისტერ პიკვიკმა.

- მცირეოდენი შიშიც არ გაივლოთ გულში, სერ, - ჩაერია ლაპარაკში მეჯინიბე, - თავდებად დავდგები, რომ თვინიერია, სერ, ძუძუმწოვარა ბავშვიც კი მოერევა მას.

- მფრთხალი ხომ არ არის?! - იკითხა მისტერ პიკვიკმა.

- მფრთხალი, სერ? კუდმომწვარი მაიმუნებით სავსე ურემიც რომ შეხვდეს, მაშინაც არ დაფრთხება.

ამ დასაბუთებამ უკანასკნელი ეჭვი გაფანტა. მისტერ ტაპმენი და მისტერ სნოდგრასი გოდორში ჩასხდნენ. მისტერ პიკვიკი კი ქანდარაზე ახოხდა და ფეხები ტილოგადაკრულ საფეხურზე ჩამოაწყო, რომელიც, ეტყობოდა, სწორედ ამისათვის გაეკეთებინათ.

- აბა, ლაპლაპა უილიამ (ასე უწოდებდნენ უთუოდ იმიტომ, რომ პრიალა სახე და გადასლექილი თმა ჰქონდა), - უთხრა მეჯინიბემ თავის თანაშემწეს, - ჯენტლმენს სადავეები გადაეცი.

ლაპლაპა უილიამმა მისტერ პიკვიკს მარცხენა ხელში სადავეები ჩასჩარა, მთავარმა მეჯინიბემ კი მარჯვენა ხელში მათრახი მიაჩეჩა.

- აჩუუ! - შეჰყვირა მისტერ პიკვიკმა, როდესაც მაღალმა ოთხფეხმა სასადილოს ფანჯრებისკენ დახევა განიზრახა.

- აჩუუ! - ბანი მისცეს გოდრიდან მისტერ ტაპმენმა და მისტერ სნოდგრასმა.

- ცელქობს, ბატონებო, ცელქობს! - გაამხნევა უფროსმა მეჯინიბემ.

- დაიჭირე, დაიჭირე, უილიამ.

თანაშემწემ ფიცხი ცხენი შეაკავა, უფროსი მეჯინიბე კი გაიქცა მისტერ უინკლის მისაშველებლად, რომელიც ცხენზე შეჯდომას აპირებდა.

- მეორე მხრიდან მიუდექით, გეთაყვა, სერ.

- მიწამ ჩამიტანოს თუ იმ ჯენტლმენს აქეთა მხრიდან არ უნდოდა შეჯდომა, - სიცილით ჩასჩურჩულა წერილების დამტარებელმა ბიჭმა მსახურს, რომელიც სეირის მოლოდინში გამოუთქმელ კმაყოფილებას გრძნობდა.

ამგვარად გაფრთხილებულმა მისტერ უინკლმა ისეთი ვაი--ვაგლახით მიაღწია უნაგირს, გეგონებოდათ, უდიდესი სამხედრო გემის კიდეზე აფოფხდაო.

- ხომ ყველაფერი რიგზეა? - იკითხა მისტერ პიკვიკმა, გულში კი გრძნობდა, რომ არაფერი არ იყო რიგზე.

- დიახ, - მისუსტებული ხმით უპასუხა უინკლმა.

- აბა, მიუშვით, - დაიყვირა მეჯინიბემ, - მაგრად გეჭიროთ, სერ.

დაიძრა ეტლი, დაიძრა შეკაზმული ცხენი - ერთის კოფოზე მისტერ პიკვიკი, მეორის ზურგზე მისტერ უინკლი. მთელი ეზო ხარხარით აცილებდა მათ.

- ნეტავ, ვიცოდე გვერდულად რატომ მივდივართ! - გოდრიდან გამოსძახა მისტერ სნოდგრასმა უნაგირზე წამოსკუპებულ უინკლს.

- ვერ გამიგია! - უპასუხა მისტერ უინკლმა.

მისი ცხენი ქუჩაში მართლაც გვერდულად მიჩანჩალებდა. თავი ქუჩის ერთ მხარეს მიექცია, კუდი კი მეორე მხარეს.

მისტერ პიკვიკს აღარც მეგობრებისთვის ეცალა და არც სხვა რამისათვის. მთელი მოხერხება და ყურადღება ეტლში შებმული ცხოველის მართვაზე გადაეტანა. ცხენი უთუოდ მაყურებელთა გასახარებლად და ეტლში მჯდომთა სავალალოდ, უსიამოვნოდ და მოუხერხებლად აქიცინებდა თავს და სადავეს ისე მძლავრად ეწეოდა, რომ საცოდავი მეეტლე ძლივსღა აკავებდა. ფრიად უცნაურ ზნეს იჩენდა პირუტყვი: უცებ გზის ერთ მხარეს მიაწყდებოდა, ცოტას შეჩერდებოდა და შემდეგ რამდენიმე წუთის განმავლობაში ეტლს წინ მიაქანებდა ისეთი სისწრაფით, რომ მისი შეკავება ყოვლად შეუძლებელი იყო.

- ნეტავ რა დაემართა? - იკითხა მისტერ სნოდგრასმა, როდესაც ცხენმა მეოცედ შეასრულა ზემოხსენებული მანევრი.

- არ ვიცი, - უპასუხა მისტერ ტაპმენმა, - მგონი, მფრთხალი უნდა იყოს, არა?

ის იყო მისტერ სნოდგრასმა პასუხის გაცემა დააპირა, რომ უეცრად მისტერ პიკვიკის ყვირილი მოესმა.

- ნწუ... - ყვიროდა ხსენებული ჯენტლმენი, - მათრახი დამივარდა.

- უინკლ, - შესძახა მეგობარს მისტერ სნოდგრასმა, როდესაც ვეებერთელა ცხენზე წამოსკუპული მხედარი ჩორთით მიუახლოვდა ეტლს. საცოდავ უინკლს ქუდი თვალებზე ჩამოფხატოდა და სწრაფი ჭენებისგან მთელი სხეული უკანკალებდა. ასე ეგონა, სადაც არის ნაწილ-ნაწილ დავიშლებიო.

- უინკლ, გეთაყვა, მისტერ პიკვიკს მათრახი მიაწოდე.

მისტერ უინკლმა ისე მძლავრად მოსწია სადავე, რომ კისრის ძარღვები სულ დაეჭიმა და სახე ჩაუშავდა. როგორც იქნა, ვეებერთელა ცხოველი შეაჩერა, ჩამოვიდა, მათრახი მისტერ პიკვიკს გადასცა და უნაგირზე შესახტომად მოემზადა.

დაბეჯითებით ვერ გეტყვით, რა ზრახვები ამოძრავებდა ამ ახირებულ პირუტყვს. იქნებ ბუნებით ანცმა განიზრახა, მისტერ უინკლს გასთამაშებოდა, ანდა მიხვდა, რომ უმხედროდაც მშვენივრად იმგზავრებდა - გულწრფელად ვაღიარებთ, ამგვარ საკითხებში ნათელი და საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანა არ შეგვიძლია - მაგრამ მოხდა შემდეგი:

როგორც კი მისტერ უინკლმა სადავეს სტაცა ხელი, ცხენმა ისინი თავზე გადაიგდო და გველნაკბენივით განზე გახტა.

- ჩემო ლურჯა, ჩემო ლამაზო, - მოულაქუცა მისტერ უინკლმა, - ჩემო საბრალო პირუტყვო...

უთუოდ „საბრალო პირუტყვს“ პირფერობა არაფრად ეჭაშნიკა. რაც უფრო უახლოვდებოდა უინკლი ცხენს, მით უფრო გვერდზე მიხტოდა იგი. არავითარმა ალერსმა, არავითარმა ლაქუცმა და პირფერობამ არ გაჭრა - მთელი ათი წუთის განმავლობაში მისტერ უინკლი და მისი ბედაური ერთმანეთის გარშემო დარბოდნენ. აღნიშნული დროის მონაკვეთის მიწურულს, პატივცემული პიკვიკელი, ისევე შორს გახლდათ ცხენიდან, როგორც დასაწყისში. წარმოიდგინეთ, ასეთი უბადრუკი მდგომარეობა და ისიც უდაბურ ადგილას, სადაც საშველსაც არსაიდან მოელი!

- რა ვქნა ახლა, რა? - იყვირა მისტერ უინკლმა, როდესაც ადგილზე ტკეპნა საკმაოდ დიდხანს გაგრძელდა, - რა ვქნა, ახლოსაც არ მიკარებს!

- გირჩევთ, საყარაულომდე სადავემოშვებული წამოიყვანოთ, - უპასუხა ეტლიდან მისტერ პიკვიკმა.

- და რომ არ მომყვება? - იღრიალა მისტერ უინკლმა, - გადმობრძანდით ერთი და სცადეთ მისი დაჭერა.

მოგეხსენებათ, მისტერ პიკვიკი სიკეთისა და ადამიანობის განსახიერება გახლდათ. როდესაც მეგობარი გასაჭირში დაინახა, საჩქაროდ ხელი უშვა სადავეს, ძირს გადმოვიდა, ეტლი ფრთხილად მისწია გზის ნაპირისკენ, რომ გზა არ ჩაეხერგა, მისტერ უინკლი და მისტერ ტაპმენი მიატოვა და მხედარს მიაშურა.

ცხენმა მოჰკრა თუ არა თვალი მისტერ პიკვიკს, რომელიც მას მათრახით ხელში უახლოვდებოდა, მაშინვე უკან დახევა გადაწყვიტა და აღნიშნული გადაწყვეტილება ისე მტკიცედ შეასრულა, რომ საცოდავი უინკლი, რომელიც სადავეს არ ეშვებოდა, კარგ მანძილზე გაათრია.

მისტერ პიკვიკი მეგობრის საშველად გაიქცა, მაგრამ... რაც უფრო წინ მირბოდა იგი, მით უფრო სწრაფად იხევდა უკან ცხენი, ატყდა ფეხების თქარათქური და ჰაერში მტვრის კორიანტელი დადგა. როგორც იქნა, თავგზააბნეულმა უინკლმა სადავეს ხელი უშვა და ისიც დროულად, თორემ უთუოდ კიდურები სახსრებიდან ამოუვარდებოდა. ცხენი შედგა, გაიხედ-გამოიხედა, თავი დააქიცინა, მობრუნდა და ნელი ჩორთით როჩესტერისკენ გასწია. განცვიფრებისგან დამუნჯებული მისტერ უინკლი და მისტერ პიკვიკი სასოწარკვეთით მისჩერებოდნენ ერთმანეთს. უეცრად შორიახლოს რაღაც ჩოჩქოლი მოესმათ, გაიხედეს.

- ღმერთო, შენ შემიწყალე! - წამოიძახა უბედურმა პიკვიკმა, - მეორე ცხენიც მირბის.

პატივცემულმა პიკვიკმა სრული სიმართლე ბრძანა. ვეებერთელა პირუტყვი ხმაურმა შეაკრთო, სადავე ზურგზე ჰქონდა გადაგდებული და შედეგსაც ადვილად მიხვდებით - ცხენი ოთხთვლიანი ეტლით, რომელშიც მისტერ ტაპმენი და მისტერ სნოდგრასი ისხდნენ, ადგილს მოსწყდა და თავის ძმობილს

გაედევნა, მაგრამ ჭენება დიდხანს არ გაგრძელებულა. მისტერ ტაპმენი ბუჩქებში გადაეშვა და მისტერ სნოდგრასიც მას მიჰყვა. ცხენმა ეტლი ხის ხიდს მიახეთქა. ძარა ბორბლებს მოსწყდა, კოლოფი ქანდარას - ცხენი კი სვეტივით დაერჭო, თითქოს უნდოდა ენახა რა ფათერაკიც დაემართა.

გადარჩენილმა პიკვიკელებმა მაშინვე ბედუკუღმართ მეგობრებს მიაშურეს, დიდი გაჭირვებით ბუჩქნარიდან ამოათრიეს და თავით ფეხამდე შეათვალიერეს. გასინჯვისას აღმოჩნდა, რომ გარდა რამდენიმე ნახვრეტისა ტანსაცმელში და ეკლის ნაკაწრებისა, მძიმედ არც ერთი არ დაშავებულიყო. გახარებულმა მეგობრებმა ერთმანეთს იოლი გადარჩენა მიულოცეს და ცხენის გამოხსნას შეუდგნენ.

მოათავეს რა ეს რთული საქმე, დაქანცულმა პიკვიკელებმა ეტლი ბედის ანაბარა მიატოვეს, ცხენი წინ გაიგდეს და თვითონ ჩანჩალით გაჰყვნენ უკან.

ერთი საათიც არ იყო გასული, ბაკებს რომ მიადგნენ, რომლის შესასვლელს ორიოდე თელა, ცხენის გეჯა და ბოძზე გაკრული აბრა ამშვენებდა. შენობის უკან თითო-ოროლა ჩამონგრეული თივის ზვინი ამართულიყო. გვერდით ბაღჩა მოჩანდა და გარშემო უწესრიგოდ აჩხორგილი დამპალი ფარდულები.

ბაღჩაში მუშაობდა წითურთმიანი კაცი, რომელსაც მისტერ პიკვიკმა შესძახა:

- გამარჯობა!

წითურთმიანი კაცი წელში გასწორდა, თვალი ხელით მოიჩრდილა და არხეინად შეაჩერდა ახალმოსულებს.

- გამარჯობა, ძმობილო! - კვლავ მიესალმა მისტერ პიკვიკი.

- გაგიმარჯოს! - უპასუხა წითურთმიანმა.

- დინგლი-დელი შორს არის?

- კაი შვიდი მილი იქნება.

- გზა კარგია?

- ნწ... ცუდია, - ამოიბლუყუნა უკანასკნელი სიტყვა და პიკვიკელებს მიაჩერდა. გული რომ იჯერა, კვლავ მუშაობას შეუდგა.

- გეთაყვა, ძმობილო, ეს ცხენი დროებით აქ გვინდა დავტოვოთ, - მიმართა მას მისტერ პიკვიკმა, - მგონი, ამით არაფერი დაშავდება.

- აქ გინდათ დატოვოთ? - გაიმეორა წითურთმიანმა კაცმა და ბარს დაეყრდნო.

- რა თქმა უნდა, - უპასუხა მისტერ პიკვიკმა, რომელიც ღობეს მიადგა ცხენით.

- ქალბატონო! - უეცრად იღრიალა წითურთმიანმა, ბაღჩიდან გამოვიდა და ცხენს მიაშტერდა, - ქალბატონო!

ძახილზე სასტუმროდან მაღალი, სარგადაყლაპულივით წელში გამართული დედაკაცი გამოვიდა, რომელსაც გამხდარ მხრებზე უხეში ტილოს ლურჯი წამოსასხამი მოეხვია, კაბის წელი კი იღლიამდე ჰქონდა ამოჩრილი.

- გეთაყვა, შეიძლება თუ არა ეს ცხენი დროებით აქ დავტოვოთ? - ალერსიანად შეაპარა მისტერ ტაპმენმა და წინ წამოიწია.

მანდილოსანმა არაფერი უპასუხა. იგი დაჟინებით მისჩერებოდა დაუპატიჟებელ სტუმრებს. წითურთმიანმა რაღაც ჩასჩურჩულა. ქალი დაფიქრდა და ცოტა ხნის შემდეგ მიუგო:

- არა, მეშინია.

- გეშინიათ?! - შესძახა მისტერ პიკვიკმა, - ნეტავ რისი გეშინიათ?

- ამას წინათ მაგ ცხენმა ხიფათს გადაგვკიდა, - თქვა ქალმა და სახლისკენ გაბრუნდა, - ლაპარაკიც ზედმეტია.

- ჩემს სიცოცხლეში ამაზე უცნაურს არაფერს გადავყრივარ! - წამოიძახა გაოცებულმა მისტერ პიკვიკმა.

- მე... მე... მგონი, - წასჩურჩულა მისტერ უინკლმა იქვე მდგომ მეგობრებს, - მაგათ ჰგონიათ, ეგ ცხენი უპატიოსნო გზით შევიძინეთ.

- რაო?! - იყვირა გაცოფებულმა პიკვიკელმა.

მისტერ უინკლმა დიდის რიდითა და კრძალვით გაიმეორა ნათქვამი.

- შენ, ძმობილო! - დაიძახა გააფთრებულმა პიკვიკმა, - ხომ არ გგონია, რომ ეგ ცხენი მოვიპარეთ?

- არ იცი, რომ მგონია? - უპასუხა წითურთმიანმა და ისე გაიღმიჭა, რომ პირი თითქმის ყურებამდე გადაეხა. შემდეგ, მოათავა რა ეს ზრდილობიანი პასუხი, სახლში შევიდა და რაც ძალა და ღონე ჰქონდა, მიიჯახუნა კარი.

- პირდაპირ სიზმარში მგონია თავი, - შესძახა მისტერ პიკვიკმა. საშინელ სიზმარში. მთელი დღე ამ ოხერ ცხენს დავათრევ და თავიდან ვერაფრით მომიშორებია.

გულდამძიმებული პიკვიკელები გაუდგნენ გზას, რომელთაც კუდში წყეული, ჭირის დღესავით საზარელი ოთხფეხა მიჩანჩალებდა.

ნაშუადღევს უკვე კარგა გადაცილებული იყო, როდესაც მეგობრებმა და მათმა ოთხფეხა თანამგზავრმა მეინორის ფერმისაკენ მიმავალ გზას გადაუხვიეს.

ალბათ მალე მისტერ უორდლის სახლიც გამოჩნდებოდა, მაგრამ საბრალო პიკვიკელებს თავიანთი უბადრუკი, პირდაპირ სასაცილო მდგომარეობა რომ ახსენდებოდათ, სტუმართმოყვარე მასპინძელთან შეხვედრა აღარცთუ ისე ახარებდათ. წარმოიდგინეთ დაგლეჯილი ტანსაცმელი, მტვრიანი ფეხსაცმელი, დაკაწრული სახეები, ღონემიხდილი, სევდიანი თვალები და ბოლოს - საზარელი ოთხფეხა. ოჰ, როგორ სწყევლიდა მისტერ პიკვიკი შავბედით ჯაგლაგს! დროგამოშვებით იგი თვალს შეავ-

ლებდა ხოლმე კეთილშობილ პირუტყვს და გული ბოღმითა და შურისძიებით ევსებოდა. არაერთხელ გამოითვალა კიდეც, თუ რა თანხით იზარალებდა, ცხენისათვის ყელი რომ გამოეჭრა. აი, ახლაც მაცდურმა ჟინმა მოუარა: უნდა მოსპოს, შემუსროს წყეული ოთხფეხა, ანდა ბედის ანაბარა გაუშვას.

უეცრად მოსახვევში ორი მამაკაცი გამოჩნდა და მისტერ პიკვიკის სისხლმწყურვალ ფიქრთა დენაც შეწყდა. ახალმოსულები აღმოჩნდნენ თვით მისტერ უორდლი და მისი განუყრელი თანამგზავრი - მსუქანი ბიჭი.

- სად ხართ? სად დაიკარგეთ? - მიმართა პიკვიკელებს სტუმართმოყვარე მასპინძელმა, - მთელი დღეა, გიცდით. ოჰ, გეტყობათ დაღლილი ხართ. ეს რაღა არის, ნაკაწრი? იმედია... არ დაშავდით... ოჰ, როგორ მიხარია, რომ გადარჩენილხართ. ეტლმა გადმოგაგდოთ, ალბათ? არა უშავს, არ ინაღვლოთ. ჩვენს მხარეში ეს ჩვეულებრივი ამბავია. ჯოუ... კიდევ ჩასძინებია! ჯოუ, ჯენტლმენს ცხენი ჩამოართვი და საჯინიბოში წაიყვანე.

მასპინძელი სტუმრებს პირდაპირ სამზარეულოსკენ გაუძღვა. გზაში პიკვიკელებმა მისტერ უორდლს უამბეს უბედური შემთხვევის შესახებ იმდენი, რამდენიც საჭიროდ ჩათვალეს და უკანასკნელმაც მეგობრებს გულთბილი თანაგრძნობა გამოუცხადა. მსუქანი ბიჭი წყეული ოთხფეხათი ზანტად მიჩანჩალებდა პიკვიკელთა კუდში.

შევიდნენ სამზარეულოში.

- აქ უფლებებს აღგიდგენთ, - თქვა კეთილმა უორდლმა, - და შემდეგ სასტუმროში შეგროვილ საზოგადოებას გაგაცნობთ. ემა, ალუბლის ნაყენი შემოიტანე; შენ კი, ჯენ, ნემსი და ძაფი მომიტანე, პირსახოცი და წყალი, მერი, აბა, გოგონებო, დატრიალდით.

სამი თუ ოთხი მკვირცხლი გოგონა აქეთ-იქით გაიქცა, რომ პატრონისთვის საჭირო ნივთები მოეტანათ. მამრობითი სქესის ორიოდე დიდთავა და პირმრგვალი წარმომადგენელი წამოდგა ბუხრის პირიდან (მაისის საღამო იყო, მაგრამ ისინი ისეთი სიამოვნებით ეკვროდნენ ბუხარს, თითქოს შობის დღე ყოფილიყოს) და ოთახის ბნელი კუნჭულებიდან ზუმბურზეთი და ექვსიოდე ჯაგრისი გამოათრია.

- აბა, სწრაფად, დატრიალდით! - კვლავ წაახალისა ბავშვები ხნიერმა ჯენტლმენმა. მაგრამ შეგონება საჭიროც აღარ იყო. პირველმა გოგონამ ალუბლის ნაყენი ჩამოასხა, მეორემ კი პირსახოცები შემოარბენინა. ერთ-ერთი მსახური კაცი მისტერ პიკვიკს სწვდა ფეხში, ჩექმა გახადა და ჯაგრისით იმდენ ხანს უპრიალა ფეხსაცმელი, სანამ საცოდავ ჯენტლმენს ფეხის კოჟრები არ აუწვა.

მეორე მსახური მისტერ უინკლს ეცა და ტანისამოსის ჯაგრისით დაუწყო წმენდა, თანაც უსტვენდა, როგორც მეჯინიბეებმა იციან ხოლმე ცხენების გახეხვის დროს.

ამასობაში მისტერ სნოდგრასიც განიბანა, ზურგი ბუხარს შეაქცია, განცხრომით მოწრუპა ალუბლის ნაყენი და სამზარეულოს შეავლო თვალი. როგორც მისი აღწერიდან ჩანს, ეს იყო დიდი ოთახი, წითელი აგურით მოგებული იატაკითა და უზარმაზარი ბუხრით. სამზარეულოს ჭერზე ეკიდა ლორი, ხახვის ასხმულები. კედლებს ამშვენებდა რამდენიმე შოლტი, ორი თუ სამი აღვირი, უნაგირი და ერთი ჩაჟანგული ძველისძველი მუშკეტი წარწერით. საათი, რომელიც კვირაში ერთხელ იმართებოდა, დინჯად წიკწიკებდა კუთხეში. სამზარეულოს თაროს ერთ-ერთ კაკვზე ასეთივე მამაპაპური ჯიბის საათი ეკიდა.

- მზად ხართ? - ჰკითხა მისტერ უორდლმა სტუმრებს, როდესაც პიკვიკელები დაბანეს, გაწმინდეს და ცოტათი შეაჭიკჭიკეს კიდეც.

- სავსებით, - უპასუხა მისტერ პიკვიკმა.

- მაშ, წამობრძანდით!

რამდენიმე ბნელი დერეფანი გაიარეს, სადაც მათ მისტერ ტამპენი დაეწია და სასტუმრო ოთახს მიადგნენ.

- კეთილი იყოს თქვენი მობრძანება! - მხიარულად წარმოთქვა სტუმართმოყვარე მასპინძელმა, კარი ფართოდ გააღო და სტუმრებს შეუძღვა, რომ საზოგადოებისათვის პატივცემული პიკვიკელები წარედგინა.

- კეთილი იყოს თქვენი მობრძანება მეინორის ფერმაში!

თავი VI

ქაღალდის ძველისძველი თამაში; მღვდლის ლექსები, მსჯავრდადებულის დაბრუნების ამბავი

მისტერ პიკვიკისა და მისი მეგობრების შესვლისთანავე სასტუმრო ოთახში თავმოყრილი საზოგადოება ფეხზე წამოდგა. ვიდრე მოთავდებოდა გაცნობის ცერემონია, რომელიც მიღებული წესისა და რიგის მიხედვით ჩატარდა, მისტერ პიკვიკს საშუალება ჰქონდა, დაკვირვებოდა შეკრებილთ. იგი შეეცადა თითოეული მათგანის ხასიათი და პროფესია ამოეცნო. ეს დაკვირვება მას ისევე, როგორც ბევრ სხვა დიდბუნებოვან ადამიანს, უდიდეს სიამოვნებას ჰგვრიდა.

ბუხრის მარჯვენა კუთხეში საპატიო ადგილას იჯდა ღრმად მოხუცებული მანდილოსანი, უთუოდ მისტერ უორდლის დედა, რომელიც გახუნებულ აბრეშუმის კაბასა და კოპწია ქუდში იყო გამოწყობილი. კედლებზე მოჩანდა ნივთები, რომლებიც მოწმობდნენ, რომ ამ ქალს ახალგაზრდობაში შესაფერისი აღზრდა მიეღო და ახლაც არ ივიწყებდა ამას. აქ იყო სიძველის ნიმუშები, შალის ძაფით ნაქარგი ძველისძველი პეიზაჟები და შედარებით ახალი დროის ღიაწითელი ფერის აბრეშუმის სახელურები ჩაიდნისათვის. შინაბერა მამიდა, ორი ახალგაზრდა შვილიშვილი და თვით მისტერ უორდლიც თავდადებით ემსახურებოდნენ მხცოვან მოხუცს და მის სავარძელს დაჰფუსფუსებდნენ: ერთს სასმენი მილი ეჭირა ხელში, მეორეს ფორთოხალი, მესამეს საყნოსავი მარილით სავსე შუშა; მეოთხე დროდადრო გულმოდგი-

ნედ უსწრებდა და უბერტყავდა ბალიშებს, რომლებიც მოხუცს ზურგს უმაგრებდა.

ბუხრის მეორე კუთხეში სათნო სახის, მელოტი ჯენტლმენი იჯდა, დინგლი-დელის მღვდელი. მას გვერდს უმშვენებდა მეუღლე - ჩასუქებული, წითელლოყება ასაკოვანი მანდილოსანი, რომელსაც აშკარად ეტყობოდა, რომ გარდა იმისა, რომ გაწაფული იყო ახლობლებისათვის შინაური ნაყენების დამზადებაში, საკუთარ ნახელავს თავადაც ხშირ-ხშირად უსინჯავდა გემოს. მოპირდაპირე კუთხეში მოუსვენარი, სავსესახიანი კაცუნა ჭაღარაშერეულ მამაკაცს ესაუბრებოდა. ორი თუ სამი ხანდაზმული ჯენტლმენი და იმავე ასაკის რამდენიმე მანდილოსანი სარგადაყლაპულივით მისჩერებოდნენ მისტერ პიკვიკსა და მის მეგობრებს.

- დედა, ეს მისტერ პიკვიკია, - ჩასძახა მილში მისტერ უორდლმა დედაბერს.

- ოჰ, არაფერი მესმის! - წამოიძახა მოხუცმა და თავი გაიქნია.

- მისტერ პიკვიკია, ბები! - ერთხმად იკივლეს შვილიშვილებმა.

- ოჰ! - კვლავ დაიგმინა დედაბერმა, - რა უჭირს მერე თუ ვერ გავიგე. ჩემისთანა ბებერთან მაგას რა ესაქმება?

- ქალბატონო, - დასძახა მისტერ პიკვიკმა ისე ხმამაღლა, რომ უჩვეულო დაჭიმვისგან კეთილი სახე ჭარხალივით აუღაჟღაჟდა, - მერწმუნეთ, ქალბატონო, რომ ამ ქვეყნად ისე არაფერი გამახარებდა, როგორც თქვენისთანა მხცოვანი მანდილოსნის დანახვა... თქვენ, რომელიც მრავალი წლის განმავლობაში ასეთ მშვენიერ ოჯახს უძღვებით და ამასთანავე ასე მხნედ... ასე ახალგაზრდად გამოიყურებით!

- ოჰ! - გაისმა მოხუცის ოხვრა ცოტა ხნის დუმილის შემდეგ, - ეჭვი არ მეპარება, რომ დიდებული მჭევრმეტყველი ბრძანდებით, მაგრამ მე კი არაფერი მესმის.

- ამ ბოლო ხანებში ბებია ცოტა შეუძლოდ გახლავთ, - ხმადაბლა წარმოთქვა იზაბელა უორდლმა, - მაგრამ, სერ, იმედს ნუ დაკარგავთ, მერე უეჭველად გამოგელაპარაკებათ.

მისტერ პიკვიკმა თავის დაქნევით ანიშნა ყმაწვილ ქალს, რომ მუდამ მზად ვარ სიბერით გამოწვეულ უხიაგობას უსიტყვოდ დავემორჩილოო და მამაკაცების საუბარში ჩაერია.

- რა წარმტაცია ეს მიდამო! - წარმოთქვა მან.

- დიდებულია! - ერთხმად აჰყვნენ წინამძღოლს მისტერ სნოდგრასი, მისტერ ტაპმენი და მისტერ უინკლი.

- ოღონდაც რომ საუცხოოა, - კვერი დაუკრა პიკვიკელებს მისტერ უორდლმა.

- მთელ კენტში ამაზე უკეთეს ადგილს ვერ მონახავთ, სერ, - დასძინა სავსესახიანმა კაცუნამ, - ჭეშმარიტად, ვერ მონახავთ, სერ... დარწმუნებული ვარ, დიახ, ვერ მონახავთ, - მან ისე ამაყად მიმოიხედა ირგვლივ, თითქოს ვიღაცას ცხარედ ეკამათებაო და ბოლოს გამარჯვება მას დარჩაო, - მთელ კენტში უკეთეს ადგილს ვერ მონახავთ, - კვლავ ნიშნის მოგებით გაიმეორა მან ცოტა ხნის შემდეგ.

- მალინზ-მედოუს გარდა, - დინჯად შენიშნა მსუქანმა ჯენტლმენმა.

- მალინზ-მედოუს! - ზიზღით წამოიძახა პირველმა.

- მართლაცდა საუცხოო ადგილია, - ჩაერია საუბარში მეორე მსუქანი ჯენტლმენი.

- ჭეშმარიტად ასე გახლავთ, - წარმოთქვა მესამე მსუქანმა ჯენტლმენმა.

- საყოველთოდ ასეა მიღებული, - დაეთანხმა მათ ახოვანი მასპინძელიც.

სავსესახიანი კაცუნა ერთ წუთს თითქოს შეყოყმანდა, მაგრამ რომ დარწმუნდა, უმცირესობა მიჭერს მხარსო, აღარაფერი თქვა და მხოლოდ მრავალმნიშვნელოვნად გადახედა მოწინააღმდეგეებს.

- რაზე საუბრობენ? - ხმამაღლა ჰკითხა მხცოვანმა დედაბერმა ერთ-ერთ შვილიშვილს. როგორც საერთოდ ყრუებს სჩვევიათ, მოხუცს ეგონა, სხვასაც არაფერი ესმისო და ამიტომ განგებ ხმამაღლა ლაპარაკობდა.

- ადგილების შესახებ, ბებია.

- მერედა, ადგილებთან რა ესაქმებათ? ხომ არაფერი შეემთხვათ?

- მისტერ მილერმა ბრძანა, რომ ჩვენი ადგილი ბევრად სჯობს მალინზ-მედოუს.

- კი მაგრამ, თავად მას რა ესმის? - გაანჩხლდა დედაბერი, - მილერი ხომ გაბერილი ტიკი-ტომარა... თუ გსურს, ჩემგან ასეც გადაეცი.

მოხუც მანდილოსანს ფიქრადაც არ მოსვლია, რომ იგი ჩურჩულის ნაცვლად, ყველას გასაგონად ლაპარაკობდა. ახლაც მოათავა თუ არა ლაპარაკი, წელში გასწორდა და ერთი შეხედვით მოსპო, გაანადგურა თავმომწონე არამზადა.

- კმარა, კმარა, - დაფაცურდა მასპინძელი და საუბარი საჩქაროდ სხვა საგანზე გადაიტანა, - მისტერ პიკვიკ, რა მოხდება, თითო ხელი რობერი რომ ვითამაშოთ?

- დიდი სიამოვნებით, - უპასუხა ხსენებულმა ჯენტლმენმა, - მაგრამ, გეთაყვა, მარტო ჩემ გამო ნუ შეწუხდებით.

- ო, სრულიადაც არა; ეგ თამაში დედაჩემსაც ძალიან უყვარს, - უპასუხა უორდლმა, - ითამაშებთ, დედა?

მხცოვანმა დედაბერმა, რომელიც რობერის გაგონებაზე არ-ცთუ ისე ყრუ აღმოჩნდა, დაუყოვნებლივ განაცხადა თანხმობა.

- ჯოუ, ჯოუ! აბა, ცოცხლად, ბანქოს სათამაშო მაგიდები გაშა-ლე!

ბოკვერას მეორედ გაღვიძება აღარ დასჭირდა. მან სწრაფად გაშალა ორი მაგიდა: პირველი პოპ-ჯონის სათამაშოდ, ხოლო მეორე ვისტისათვის.

ვისტში შეამხანაგდნენ, ერთი მხრივ, მისტერ პიკვიკი და მხცოვანი მანდილოსანი, და მეორე მხრივ - მისტერ მილერი და ერთ-ერთი მსუქანი ჯენტლმენი. დანარჩენი სტუმარ-- მასპინძელნი მეორე, მრგვალ მაგიდას შემოუსხდნენ.

რობერს თამაშობდნენ დინჯად, წყნარად, როგორც საერთოდ ამგვარ თამაშს შეჰფერის. ვისტი ანუ რობერი საზეიმო ზნე-- ჩვეულებაა, რომელსაც, უდავოდ, უმართებულოცაა და სათაკი-ლოც, „თამაში“ ვუწოდოთ. მრგვალ მაგიდაზე ისეთი გულიანი სიცილ-კისკისი გაისმოდა, რომ საცოდავ მილერს სულ თავგზა აებნა. ვერ იქნა, თამაშს გული ვერ დაუდო და ისეთ უხეშ შეცდო-მებს უშვებდა, რომ მსუქანი ჯენტლმენი კინაღამ ბრაზმა დაახ-რჩო, ხოლო მხცოვანი მანდილოსანი საუცხოო გუნებაზე დადგა.

- შეხედეთ! - შესძახა გახარებულმა მილერმა, როდესაც თა-მაშის მიწურულს უკანასკნელი აღება მოხვეტა, - ჩემს თავს მინ-და მივულოცო. აბა, ამაზე უკეთ რომელი გაითამაშებდა! მეტის აღება შეუძლებელია!

- მილერს თულფად აგური უნდა გამოეცხადებინა არა, სერ? - ჰკითხა მოხუცმა მანდილოსანმა პიკვიკს.

მისტერ პიკვიკმა თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია.

- აგური უნდა გამომეცხადებინა? - წაილუღლუღა საცოდავმა მილერმა და ეჭვის თვალით გადახედა მსუქან ჯენტლმენს.

- დიახ, ბატონო, - დაისისინა უკანასკნელმა.

- ბოდიშს ვიხდი, სერ; მერწმუნეთ, ძალიან ვწუხვარ, სერ, - ძლივს აღმოხდა თავზარდაცემულ მილერს.

- ძალიან არ მიშველოს ახლა თქვენმა ბოდიშმა, - წაიბურტყუნა მსუქანმა ჯენტლმენმა.

- ორი ქულა მოგვემატა... მაშ, ახლა - რვას ვართ, - წარმოთქვა მისტერ პიკვიკმა.

ხელახლა ჩამოარიგეს.

- იტყვით ერთს? - ჰკითხა მოხუცმა მანდილოსანმა მისტერ პიკვიკს.

- დიახ, და ორმაგსაც, - უპასუხა უკანასკნელმა.

- ბედი უნდა ყველაფერს, - წამოიძახა მისტერ მილერმა.

- ჯერ არ მქონია ასეთი ქაღალდი, - დასძინა მსუქანმა ჯენტლმენმა.

ერთხანს სიჩუმე ჩამოვარდა. მისტერ პიკვიკს ხუმრობის მადა გაეღვიძა, მოხუც მანდილოსანს სახეზე მშვიდი იერი გადაეკრა, მსუქანი ჯენტლმენი ანცობის გუნებაზე დადგა და საცოდავ მილერს შიშით კანკალი აუვარდა.

- კიდევ ორმაგი, - ზეიმით გამოაცხადა მანდილოსანმა და გამარჯვების ნიშნად ექვსი პენსი და გაქონილი ნახევარი პენსი შანდლის ქვეშ ამოდო.

- ორმაგი, სერ, - კვერი დაუკრა მისტერ პიკვიკმა.

- თვითონაც კარგად ვხედავ, სერ, - შეუღრინა მსუქანმა ჯენტლმენმა.

კვლავ გაითამაშეს და როდესაც იგივე შედეგი მიიღეს, საცოდავმა მილერმა გადაჭრით განაცხადა უარი, იმავე ფერის ქაღალდს არამც და არამც არ ჩამოვალო, რაზეც მსუქანი ჯენტლმენი საშინლად გაცეცხლდა. თამაში დამთავრდა თუ არა, იგი კუთხეში მიიყუჟა და მთელი საათი და ოცდაშვიდი წუთი ხმა არ ამოუღია. აღნიშნული დრო რომ მიიწურა, ხსენებული პირი

თავშესაფრიდან გამობრძანდა და მისტერ პიკვიკს ბურნუთი შესთავაზა იმის ნიშნად, რომ „გადავწყვიტე, ქრისტიანულად მოგიტევო მიყენებული შეურაცხყოფაო“. მხცოვან დედაბერსაც ყურთასმენა საგრძნობლად გამოუკეთდა. მხოლოდ მისტერ მილერს არაფერი ეშველა: მთელი საღამოს განმავლობაში საცოდავი ისე უხერხულად გრძნობდა თავს, როგორც თავისი სამყოფლიდან გაძევებული და გამომწყვდეული დელფინი.

ამასობაში მრგვალი მაგიდის გარშემო გახურებული თამაში იყო. შეამხანაგდნენ იზაბელა უორდლი და მისტერ ტრანდლი, ემილი უორდლი და მისტერ სნოდგრასი, ხოლო მისტერ ტაპმენმა ქალბატონ რეიჩელთან ერთად ფიშკებისა და ქათინაურების სააქციო საზოგადოება შეკრა.

მასპინძელი საუცხოო გუნებაზე იყო და თამაშს სულ ხუმრობა-ოხუნჯობაში ატარებდა. ქალებსაც მოგება იმდენად უხაროდათ, რომ მთელ სახლში ჟრიამული არ წყდებოდა. ერთ ხნიერ მანდილოსანს მუდამ ექვსიოდე ქაღალდი რჩებოდა ხელზე, რაზედაც დანარჩენებს გულიანად ეცინებოდათ. თვით ხსენებული მოხუციც საერთო მხიარულებას არ ჩამორჩებოდა და მწივანა ხმით ხითხითებდა. როდესაც შინაბერა მამიდა მისტერ ტაპმენთან შეამხანაგდა, ყმაწვილმა ქალებმა კიდევ უფრო ხმამაღლა გადაიკისკისეს. ამან კეკლუცი რეიჩელი საშინლად გააბრაზა, მაგრამ ამ დროს მაგიდის ქვეშ იგრძნო მისტერ ტაპმენის ხელის ალერსიანი შეხება და შავი ღრუბელი წამსვე გადაეყარა. გაიღიმა და ისე თავმომწონედ გადახედა მოთამაშეებს, თითქოს ეუბნებოდა: „ნუ გგონიათ ქორწინების საიდუმლოებანი ისე შორს იყოს ჩემგან, როგორც ზოგიერთი ფიქრობსო“. ამაზე კიდევ უფრო გულიანი სიცილი-ხარხარი ატყდა. ყველაზე ხმამაღლა თვით მისტერ უორდლი იცინოდა, რადგან ხუმრობა--ოხუნჯობაში ახალგაზრდებს არაფრით ჩამორჩებოდა. არც მის-

ტერ სნოდგრასი იყო მოწყენილი: მთელი საღამო თავის მოკავშირეს ლამაზ-ლამაზი ქათინაურებით ამკობდა, რის გამოც ერთ-ერთმა მოხუცმა ჯენტლმენმა გაიხუმრა: „შეამხანაგება მარტო ქაღალდის თამაშის დროს კი არა, ხანდახან ცხოვრებაშიც ხდებაო“, თანაც ყველას ეშმაკურად ჩაუკრა თვალი და ისე გულიანად ჩაიხითხითა, რომ მოთამაშეთ კიდევ უფრო ხმამაღლა გაეცინათ და მათ შორის ყველაზე მეტად თვით ხსენებული ჯენტლმენის მეუღლე კისკისებდა.

საერთო მხიარულებას არც მისტერ უინკლი ჩამორჩა: საზოგადოებას ბევრ ისეთ ანეკდოტს მოუყვა, რომლებმაც ქალაქში დიდი ხანია დრო მოჭამეს, ხოლო სოფლად კი არავის გაუგონია. თითოეულის მოსმენისას ყველა, მიზეზით თუ უმიზეზოდ, გულიანად იცინოდა და გულწრფელად აცხადებდა „საუცხოო ანეკდოტიაო“. მისტერ უინკლმა გაიფიქრა, ნამდვილად დიდ პატივში ვარო, და კიდევ უფრო გამხიარულდა. კეთილი მღვდელიც კარგ გუნებაზე დადგა, რადგან გარშემო მხოლოდ ბედნიერ და კმაყოფილ სახეებს ხედავდა. ყველამ გულით მოილხინა, და, როგორც ჭეშმარიტ მხიარულებას შეეფერება, საერთო მოლხენამ დიდი ხმაური და აურზაური გამოიწვია.

ზემოხსენებულ ხალისში საღამო სწრაფად მიიწურა. როდესაც უბრალო, მაგრამ ნოყიერი ვახშამი მოამთავრეს, და მთელმა საზოგადოებამ ბუხრის წინ მოიყარა თავი, მისტერ პიკვიკმა გულწრფელად განაცხადა: „არასოდეს ასე ბედნიერად არ მიგრძნია თავი და, თუმც სწრაფად მიმავალი, მაგრამ მეტად საამო წუთებით ასე გულით არ მომილხენია“.

- მეც სწორედ ასეთი წუთები მიყვარს, - წარმოთქვა სტუმართმოყვარე მასპინძელმა, რომელიც ერთ-ერთი სარგალაყლაპული მოხუცი მანდილოსნის გვერდით იჯდა, - ჩემი სიცოცხლის უბედნიერესი წუთებიც ამ ბუხრის პირას გავატარე. ეს ბუხარი

ისე მიყვარს, რომ ახლაც, წლის რა დროც არ უნდა იყოს, შიგ ცეცხლს ვანთებინებ და მანამდე ვუკეთებ შეშას, ვიდრე კარგად არ გაჩაღდება და ოთახში აუტანლად არ დაცხება ხოლმე... ჩემი საყვარელი დედაც ბევრჯერ მჯდარა ამ ბუხრის პირას ჯერ კიდევ მაშინ, როცა პაწია გოგონა იყო... აქ არ იჯექი, დედა?

მოხუცი ქალის თვალს დაუპატიჟებელი ცრემლი მოადგა, როდესაც წარსული დროის მოგონებანი და განვლილი წლების ბედნიერება ზღვასავით მოეჯარა გულს. დედაბერმა თავი გააქნია და ნაღვლიანად გაიღიმა.

- მომიტევეთ, მისტერ პიკვიკ, იქნებ ამ საუბრით თავი შეგაწყინეთ, - მცირე ხნის დუმილის შემდეგ წარმოთქვა მასპინძელმა, - ძალიან მიყვარს ეს მამაპაპური სავანე. იქნებ იმიტომ, რომ სხვა არც მქონია. აი, ახლაც, ასე მგონია, ეს ძველისძველი სახლები, ეს მინდვრები ჩემი ცოცხალი მეგობრები არიან. ასევე მიყვარს ჩვენი ძველისძველი ეკლესია, რომლის ქვის კედლებს სურო ეხვევა... სხვათა შორის, ჩვენმა კეთილმა მეგობარმა ამ სუროს საუცხოო ლექსი მიუძღვნა, როდესაც პირველად ესტუმრა ჩვენს მხარეს. მისტერ სნოდგრას, ჭიქა ცარიელი ხომ არა გაქვთ?

- არა, გმადლობთ, ჯერ კიდევ საკმაოდ დამრჩა, - უპასუხა ხსენებულმა ჯენტლმენმა. მისტერ უორდლის უკანასკნელმა შენიშვნამ მასში პოეტური ცნობისმოყვარეობა გამოაღვიძა.

- მომიტევეთ, სერ, მაგრამ ვგონებ ბრძანებთ, რომ თქვენმა მეგობარმა დაწერა სიმღერა სუროს შესახებ?

- აი, იმ ჯენტლმენს შეეკითხეთ, ჩვენ პირდაპირ რომ ზის, - უპასუხა მასპინძელმა და თავით მღვდლისკენ მიუთითა.

- სერ, კადნიერებად არ ჩამომართვათ და გულით მინდა მოვისმინო ეს ლექსი. თუ ინებებთ და ჩვენც გაგვიმეორებთ, ძალი-

ან, ძალიან დაგვავალებთ, - შეევედრა მღვდელს მისტერ სნოდ-გრასი.

- რატომაც არა, - მიუგო მღვდელმა. - ეს ადვილი საქმეა. ერთადერთი გარემოება, რომელიც საბოდიშოდ მხდის, რომ ამ ლექსის დაწერა გავბედე, გახლავთ ის, რომ იმ დროს მეტად ყმაწვილი გახლდით... კარგია თუ ცუდი ჩემი ლექსი, ახლავე მოგახსენებთ და თქვენ თვითონ განსაჯეთ.

პასუხად ცნობისმოყვარეთა ჩურჩული გაისმა.

მოხუცმა ჯენტლმენმა, თავისი მეუღლის შეხსენებით შემდეგი სტრიქონები წაიკითხა:

- მე ლექსს ვუწოდე -
მწვანე სურო
მშვენიერი მცენარეა სურო,
ნანგრევებში რომ დაცოცავს მარად,
რჩეულ საზრდოს გარდა არ ისურვოს
სხვა რაიმე გულის გასახარად.
კედლებს რღვევა, ქვებსაც დაშლა ელით;
სურომ ჟინი რომ მოიკლას, აცხროს,
ნამუსრევი დროის მსახვრელ ხელით
უქცევია უსაყვარლეს საზრდოდ.
იქ დაცოცავს, სადაც უკაცურობს,
იშვიათი მცენარეა სურო.
სწრაფად ცოცავს, თუმც არა აქვს ფრთები,
ერთგულებას ავლენს ერთობ უხვად,
მოხვევია, ჩაჯდომია გზნებით
და შეზრდია ბებერ, ჯმუხა მუხას.
რომ გაჰყვება მიწას ნება-ნება
თავის ფოთლებს ნაზ-ნარნარად არხევს,

სურო მდიდრის საფლავს ეტანება
და გარშემო მწვანე ხლართებს ახვევს.
იქ დაცოცავს, სად სიკვდილი სუფევს.
ძველისძველი მცენარეა სურო
რაოდენ დროს მოღებია ბოლო,
გარდასულა რაოდენი ერი,
უვნებელად დარჩენილა მხოლოდ
მწვანე სურო, მარად მშვენიერი;
გარდასულით, როგორც მარტოხელი,
ხარობს იგი, დროს არ კარგავს უქმად,
ყოველივე კაცის აგებული,
ბოლოს სუროს გადექცევა ლუკმად.
მისთვის თალხით დრო ვერ დაიბუროს,
ძველისძველი მცენარეა სურო.

კითხვა დაამთავრა თუ არა, გაისმა აღტაცებული ტაში. მისტერ სნოდგრასმა მაშინვე ჯიბიდან უბის წიგნაკი ამოაცურა და ავტორს შეევედრა, გეთაყვა, ეგ შესანიშნავი ლექსი ჩამაწერინეთო.

ვიდრე მოხუცი ჯენტლმენი ზემოხსენებულ სტრიქონებს მისტერ სნოდგრასს უკარნახებდა, მისტერ პიკვიკი გულდასმით აკვირდებოდა მღვდლის სახეს. როდესაც პირველმა მოამთავრა ლექსის კითხვა, მეორემ კი უბის წიგნაკში მისი ჩაწერა, მისტერ პიკვიკმა დინჯად წარმოთქვა:

- მომიტევეთ, სერ, რომ ესოდენ ვკადნიერდები და შენიშვნას გაძლევთ, თუმცა, ჯერ კიდევ საკმაოდ კარგად არ გიცნობთ. მაგრამ ვფიქრობ, თქვენ, როგორც მოძღვარს, ცხოვრებაში ბევრი რამ გინახავთ და ბევრიც პირადად გადაგხდენიათ, რაც მეტად

საყურადღებოა და უდავოდ ღირსია, რომ უბის წიგნაკებში ჩავინიშნოთ.

- დიახ, სერ, - მიუგო მოხუცმა ჯენტლმენმა. - მე ბევრი რამ მინახავს, მაგრამ უნდა მოგახსენოთ, რომ ჩემი საქმიანობის არე საკმაოდ შეზღუდულია და ამიტომ ამბებიც ჩვეულებრივია და მოქმედი პირნიც ჩვენისთანა მოკვდავნი გახლავთ.

- თუ არ ვცდები, თქვენ ჯონ ედმუნდსის თავგადასავალი ჩაინიშნეთ, არა? - შეეკითხა მღვდელს მისტერ უორდლი, რომელსაც ძალიან უნდოდა სტუმრების თავშესაქცევად მეგობარს რაიმე ამბავი მოეყოლა.

მოხუცმა ჯენტლმენმა თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია და ის იყო, დააპირა საუბრის სხვა საგანზე გადატანა, რომ მისტერ პიკვიკმა შესძახა:

- კვლავ მომიტევეთ, სერ, მაგრამ ნება მიბოძეთ, მაინც გკითხოთ, ვინ არის ეს ჯონ ედმუნდსი?

- მეც სწორედ ეგ მინდოდა მეკითხა, - აჰყვა მისტერ სნოდგრასი.

- ახლა კი ვეღარ გადაგვირჩებით, - თქვა მასპინძელმა. - ადრე თუ გვიან ამ ჯენტლმენების ცნობისმოყვარეობა უნდა დააკმაყოფილოთ, ამიტომ სჯობს, ხელსაყრელი შემთხვევით ისარგებლოთ და ედმუნდსის ამბავი ახლავე გვიამბოთ.

მოხუცმა ჯენტლმენმა კეთილად გაიღიმა და სავარძელი ბუხრისკენ მისწია. დანარჩენებმაც მის მაგალითს მიჰბაძეს. განსაკუთრებით ახლოს მიადგეს სკამები მისტერ ტაპმენმა და შინაბერა მამიდამ; შემდგომ ამ წყვილს მღვდლის ნაამბობიდან ერთი სიტყვაც არ გაუგონია. შვილიშვილებმა მხცოვან ბებიას სასმენი მილი გაუსწორეს; მისტერ მილერი, რომელიც ლექსის კითხვის დროს ტკბილად თვლემდა, იმ წამსვე გამოფხიზლდა, როგორც კი მაგიდის ქვეშ მსუქანმა ჯენტლმენმა, რომელიც ქაღალდის

თამაშის დროს მისი მოკავშირე გახლდათ, გაფრთხილების ნიშნად ფერდში მწარედ უჩქმიტა. ყოველგვარი შესავალის გარეშე მოხუცმა მღვდელმა დამსწრეთ გადმოსცა ამბავი, რომელსაც ჩვენ თამამად ვუწოდეთ:

მსჯავრდადებულის დაბრუნება

ეს იყო ოცდახუთი წლის წინ, - დაიწყო მღვდელმა. - ამ სოფელში პირველად რომ დავსახლდი, ჩემს სამრევლოში ყველაზე ცნობილი პიროვნება გახლდათ ვინმე ედმუნდსი, რომელსაც აქვე მახლობლად ერთი პატარა ფერმა ჰქონდა აღებული იჯარით. ეს ედმუნდსი მეტად პირქუში და გულქვა კაცი იყო, გარყვნილ ცხოვრებას ეწეოდა. ორი თუ სამი თავზე ხელაღებული არამზადის გარდა, რომელთანაც მინდვრებსა და სამიკიტნოებში დახეტიალებდა და ლოთობდა, მას არც ახლობელი ჰყავდა, არც ნაცნობი და არც მეგობარი. ედმუნდსის ყველას ეშინოდა და გულში ეზიზღებოდა კიდეც. დალაპარაკებაც კი არავის სურდა... ერთი სიტყვით, ედმუნდსს ყველა ერიდებოდა.

ამ კაცს ჰყავდა ცოლი და ერთადერთი ვაჟი, რომელიც ჩემი აქ მოსვლისას დაახლოებით თორმეტის უნდა ყოფილიყო. ენით აუწერელია ის აუტანელი ტანჯვა, პირუტყვული მორჩილება, რომელსაც უბედური ცოლი იჩენდა. სიტყვით ვერ გადმოვცემ ზრუნვის იმ სიმწარეს, რომლითაც დედა შვილს თავს ევლებოდა. მომიტევოს ზეცამ, თუკი ეს ფიქრი უწყალოა, მაგრამ გულით მჯერა, რომ მრავალი წლის განმავლობაში ედმუნდსი ყოველ ღონეს ხმარობდა, ყოველ ხერხს მიმართავდა, რომ საბრალო ქალს ბოღმით გული გასკდომოდა, მაგრამ ქალი შვილის გამო ყოველივეს ითმენდა, და, იქნებ ეს აზრი უცნაურადაც მოგეჩვენოთ, ითმენდა თვით ქმრის გამოც, რადგან მიუხედავად მისი

მხეცური, არაადამიანური მოპყრობისა, მაინც უყვარდა. საბრალოს ვერ დაევიწყებინა, რომ ედმუნდსი ოდესღაც მისთვის ძვირფასი იყო და ეს მოგონება მის ტანჯვით ჩაფერფლილ გულში მოთმინებისა და მორჩილების გრძნობას აღვიძებდა. ამგვარი მოთმინება მხოლოდ დედაკაცს თუ შეუძლია ჰქონდეს, რადგან ეს ღვთის მიერ გაჩენილ სხვა არსებისათვის სრულიად უცხოა.

ძალიან უჭირდათ. სხვანაირად როგორ იქნებოდა, როდესაც ოჯახის უფროსი ამგვარ ცხოვრებას ეწეოდა. მაგრამ დედაკაცის გულმოდგინე მეცადინეობამ, მისმა დაუღალავმა შრომამ დილით თუ საღამოთი, შუადღისას თუ ღამე, ოჯახი სიღატაკის პირს მაინც არ მიიყვანა. ამის მიუხედავად, ქმარი სამაგიეროს ცუდად უხდიდა. სოფლელებს, რომელნიც ედმუნდსის სახლს საღამოობით და ხანდახან გვიან ღამითაც ჩაუვლიდნენ ხოლმე, მუდამ გასილაქების ტყლაშუნი და დედაკაცის მწარე კვნესა--ქვითინი ესმოდათ ხოლმე. არაერთხელ მომხდარა, როდესაც შუაღამე კარგა ხნის გადასული იყო, პატარა ბიჭუნა უჩუმრად უკაკუნებდა მეზობლის კარს: საცოდავი დედა შვილს გულქვა, ლოთი მამის გააფთრებას არიდებდა და მეზობლებში გზავნიდა.

მთელი ამ ხნის განმავლობაში საბრალო დედაკაცი ყოველ კვირას, დილით და ნაშუადღევს, ჩვენს ეკლესიაში დადიოდა; ბავშვთან ერთად მუდამ ერთსა და იმავე სკამზე ჯდებოდა. მიუხედავად იმისა, რომ ღატაკები იყვნენ, ორივეს მუდამ სუფთად და ფაქიზად ეცვა. წირვა-ლოცვას მისის ედმუნდსი არც მაშინ აკლდებოდა, როდესაც ქმრის მხეცური მოპყრობის დაღი, რომელსაც უბედური ვეღარ ფარავდა, აშკარად მოჩანდა მის გამხმარ სხეულსა და დამჭკნარ სახეზე. მრევლის თითოეული წევრი მუდამ ცდილობდა გულთბილი სალმით ან ტკბილი სიტყვით ენუგეშებინა, გაემხნევებინა საცოდავი ქალი. ხანდახან წირვის

დამთავრებისას სიტყვის სათქმელად მეზობელთან შეჩერდებოდა თელების პატარა ხეივანში, რომელიც ეკლესიის კარამდე მიდიოდა; ხანაც უკან ჩამორჩებოდა, რომ მშობლიური სიამაყის გრძნობით და სიყვარულით დაეტკბო თვალი თავისი ჯანმრთელი, სიცოცხლით სავსე ბიჭუნას ცქერით, რომელიც რამდენიმე ნაბიჯით წინ მხიარულად მიკუნტრუშებდა მეგობრებთან. ამ წუთებში საბრალო დედაკაცს ტანჯვით დაღარული სახე გულწრფელი მადლობის გრძნობით გაუნათდებოდა ხოლმე, და თუ ვერ იტყოდით, რომ ბედნიერი და მხიარულიაო, ყოველ შემთხვევაში, ამ წუთებში მშვიდი და კმაყოფილი მაინც იყო.

გავიდა ხუთი თუ ექვსი წელი. პატარა ბიჭუნა ჩასკვნილ ვაჟკაცად იქცა. იმავე დრომ, რომელმაც მოზარდის სუსტი სხეული დაავაჟკაცა და მის უძლურ ნაკვთებს მამაკაცური ძალ-ღონე შემატა, საცოდავი დედამისი წელში მოკაკვა, მუხლები დაუსუსტდა. მაგრამ ეს არაფერი, საბრალო დედაბრის ცხოვრება ახლა უფრო აუტანელი გახდა: მარჯვენა, რომელიც დედას მხარში უნდა ამოსდგომოდა, უკვე მკლავს აღარ უმშვენებდა; სახე, რომელსაც იგი სიბერეში უნდა გაემხნევებინა, მშობელს ზედაც არ უყურებდა. დედაბერი სახარებას კვლავ უფრთხილდებოდა. ეკლესიაში იმავე ადგილას იჯდა, მაგრამ გვერდით კი აღარავინ ჰყავდა, რომ მუშაობით თითქმის დაბრმავებულისათვის ლოცვანი წაეკითხა. საბრალო ქალის ცხარე ცრემლები ღაპაღუპით ეწვეთებოდა გადაშლილ წიგნს. სიტყვებს შლიდა, ფურცლებს აჭუჭყიანებდა. მეზობლები კვლავ გულთბილად ექცეოდნენ, მაგრამ ახლა მათთან შეხვედრას თვითონ ერიდებოდა. უწინდებურად აღარ ჩერდებოდა თელების ხეივანში, რადგან მომავალი ბედნიერების წინათგრძნობა ნუგეშად აღარ ევლებოდა მის ტანჯულ გულს. მარტოხელა აჩქარებული ნაბიჯით სახლისაკენ მიეშურებოდა.

უთუოდ თქვენც მიხვდებით, რომ ახალგაზრდა ვაჟი ჩვილობიდან ხედავდა მხოლოდ საშინელ გაჭირვებას და მამის მხეცურ საქციელს, რომელსაც დედამისი შვილის გამო უსიტყვოდ იტანდა. მაგრამ თვით შვილი არაფრად აგდებდა დედის თავდადებას; არ წუხდა, რომ ამდენი უბედურებისაგან, შესაძლოა, დედას გული გასტეხოდა; რამდენი ამაგი დასდო მას დედამ, რამდენი ტანჯვა გადაიტანა მის გამო. ჯონი გარყვნილ, თავზე ხელაღებულ ავაზაკებს გადაეკიდა და კისრისტეხით მიექანებოდა ფსკერისკენ. ცხადი იყო, რომ ამგვარი ცხოვრება მას სიკვდილის პირს მიიყვანდა, დედამისს კი სამუდამოდ სამარცხვინო დაღს დაასვამდა.

მალე საბრალო დედაკაცის ტანჯვისა და უბედურების ფიალა აივსო: სოფელში ხმა დაირხა, მახლობლად რამდენიმე ქურდობა მოხდაო. დამნაშავენი ვერ აღმოაჩინეს და ავაზაკები უფრო გათამამდნენ. დიდი ხანი არ გასულა, კვლავ რამდენიმე მოსახლე გაძარცვეს. ახლა კი პოლიციამ ისეთი სიფხიზლე და სისასტიკე გამოიჩინა, რომელსაც თვით ბოროტმოქმედნიც არ მოელოდნენ. ეჭვი ახალგაზრდა ედმუნდსსა და მის მეგობრებზე მიიტანეს; დაიჭირეს, გაასამართლეს და სიკვდილის განაჩენი გამოუტანეს.

ეს საშინელი განაჩენი რომ გამოაცხადეს, სასამართლოს დარბაზში ქალის კივილი გაისმა. ეს კივილი ახლაც საზარლად მიწივის ყურებში. ვერ წარმოიდგენთ რა დაემართა ედმუნდსს: დედის კივილმა თავზარი დასცა არამზადას, რომლის გული ვერც გასამართლებამ, ვერც საშინელმა განაჩენმა და ვერც სიკვდილის მოახლოებამ ვერ შეაკრთო; ტუჩები, მთელი ამ ხნის განმავლობაში ჯიუტად რომ დუმდა, ახლა კანკალმა აიტანა; სახეზე ნაცრისფერი დაედო და სხეულის ყოველი ფორიდან ცივმა

ოფლმა გადმოხეთქა. ჩასკვნილი ტანის ყოველი ნაკვთი აუცახცახდა და ბოროტმოქმედი საბრალდებო სკამზე დაბარბაცდა.

სულიერი ტანჯვის პირველ წუთებში უბედურმა დედამ ჩემ ფეხთით მოიყარა მუხლი და მხურვალედ შეევედრა ყოვლისშემძლე ღმერთს, რომელიც ყოველ გაჭირვებაში მისი ერთადერთი ნუგეშისმცემელი იყო, ოღონდ ჩემს პირმშოს სიცოცხლეს ნუ მოუსპობ და თუნდაც ამწამსვე სიხარულით გამოვესალმები ამ ბედუკუღმართ წუთისოფელსო. მაგრამ ეს იყო მხოლოდ პირველ წუთებში, შემდეგ საბრალო ენით უთქმელმა ნაღველმა შეიპყრო და... მის ტანჯულ გულში ატყდა საშინელი სულიერი ჭიდილი, რომელიც ღმერთმა აშოროს ყველა ჩვენგანს... ვიცოდი, გული ნაკუწ-ნაკუწ ემსხვრეოდა, მაგრამ მის ტუჩებს ჩივილის მაგვარიც კი არა დასცდენიათ რა.

პირდაპირ გული დაგეთუთქებოდათ, რომ დაგენახათ საპატიმროს ეზოში როგორ ცდილობდა საბრალო დედაბერი ალერსითა და ვედრებით მოელბო თავნება შვილის გული; მაგრამ არაფერმა გაჭრა: არამზადა კვლავ ჯიუტობდა; კვლავ ისეთივე კუშტი და გულქვა რჩებოდა. მისი პირქუში, მრისხანე სახე ოდნავადაც არ განათდა, როდესაც სასიკვდილო განაჩენი თოთხმეტი წლის გადასახლებით შეუცვალეს.

დედაბრის ტანჯვის ამტანი, მორჩილი სული ვეღარ უმკლავდებოდა სხეულის უღონობასა და სისუსტეს. ერთ დღეს ავად გახდა. ძლივს მიათრია საპატიმრომდე უძლური სხეული, რომ ერთხელ კიდევ მოეკრა თვალი შვილისთვის, მაგრამ გზაში ძალამ უმუხთლა და საბრალო იქვე ქანცმილეული ჩაიკეცა მიწაზე.

ახლა კი ედმუნდსის გულგრილობასა და მიუკარებელ სიცივეს ნამდვილი განსაცდელი ერგო: ახალი სასჯელი ლოდივით დაეცა უწყალო გულს. მთელ დღეს უცდიდა მშობელს, მაგრამ დედა არ მოვიდა; აგერ მეორე დღეც მიიწურა - დედა კვლავ არ

ჩანდა. დადგა მესამე საღამო - დედა კვლავ არ მოსულა. კინაღამ შეიშალა; ოცდაოთხ საათში გაასახლებენ, დედას შორდება, ვინ იცის, სამუდამოდ. ოჰ! - წარსული დღეების მოგონებანი, რომელნიც თავაშვებული ცხოვრების დროს დიდი ხნის მივიწყებული ჰქონდა, არეულ გონებას ახლა ფუტკრებივით შემოესია. ედმუნდსი გალიაში დამწყვდეული ნადირივით წინ და უკან დარბოდა ციხის მუშტისხელა ეზოში. თითქოს ჩქარი სირბილით ტანჯვის შემსუბუქებას ლამობდა. როცა დედის ავადმყოფობის ამბავი შეიტყო, მარტოობისა და უმწეობის შეგრძნებამ კიდევ უფრო გაუმწვავა ნაღველი: დედა, მისი ერთადერთი მშობელი ლოგინად ჩავარდა, ვინ იცის კვდება ამ წუთს, სულ ახლოს; აქედან სახლამდე ხომ ერთი მილიც არ არის. ნეტავ ახლა თავისუფალი იყოს და ეს საშინელი ბორკილები ხელებსა და ფეხებში არ ჰქონდეს გაყრილი... ოჰ, ერთ წამსაც არ დააყოვნებდა, მშობელთან გაჩნდებოდა... ალაყაფის კარს მივარდა, სასოწარკვეთისგან გაათკეცებული ძალით რკინის წნელებს დაეჭიდა და ისე ძლიერად შეანჯღრია, რომ ყველა ერთად ააზანზარა. თავით კედელს ეკვეთა, თითქოს უნდოდა ქვა გაერღვია და ავადმყოფი მშობლისკენ გზა გაეკვლია, მაგრამ სალი კლდის შენობა თითქოს დასცინოდა მის უძლურ შეტევებს... ბრძოლით მოიქანცა. რომ ვერაფერს გახდა, სიმწრით მკლავები დაიგრიხა და ბავშვივით აქვითინდა.

ჩემი პირით გადავეცი ვაჟიშვილს დედის პატიება და დალოცვა. მე თვითონვე შევატყობინე ავადმყოფს შვილის მონანიება და მხურვალე ვედრება, რომ დედას მიეტევებინა მისთვის წარსული ცოდვანი. ამ გულწრფელ მონანიებას რომ ვუსმენდი, ძალიან მებრალებოდა საცოდავი პატიმარი. უბედური, ათასგვარ გეგმას აწყობდა, თუ როგორ ამოუდგებოდა დედას მხარში და ყოველ ღონეს იხმარდა, რომ მშობელს სამუდამოდ დავიწყებოდა მწარე

წარსული. მაგრამ მე კი დანამდვილებით ვგრძნობდი, რომ რამდენიმე თვეში, ვიდრე პატიმარი გადასახლების ადგილს მიაღწევდა, დედამისი უკვე ცივ სამარეს მიაბარებდა საბრალო, ტანჯულ სულს.

ედმუნდსი იმავე ღამეს წაიყვანეს. გავიდა რამდენიმე კვირა და საბრალო დედამისმა განუტევა ტანჯული სული, რომელიც, ეჭვიც არ მეპარება, იმ სამყოფელში მოხვდა, სადაც შვება და ბედნიერება სუფევს. ახლა იგი ჩვენი პატარა ეკლესიის ეზოში განისვენებს. მართალია, ხალხი მოწმე იყო მისი აუტანელი ჭირვარამისა, მაგრამ მისი სათნოება მხოლოდ მაღალმა ზეცამ შეიცნო.

მსჯავრდადებულთან წინდაწინ დავთქვი, რომ როგორც კი ნებას მისცემდნენ, უმალვე დედას წერილს გამოუგზავნიდა ჩემს სახელზე, რადგან მამამისმა, როგორც კი შვილი დააპატიმრეს, გადაჭრით უარი განაცხადა მის ნახვაზე - მისთვის სულერთი იყო, შვილი ცოცხალი იქნებოდა თუ მკვდარი.

განვლო მრავალმა წელმა. ახალგაზრდა ედმუნდსისგან ამბავი არ მოდიოდა. როდესაც მისჯილი ვადის ნახევარზე მეტი გავიდა, და მსჯავრდადებულისაგან ერთი წერილიც ვერ მივიღე, მისი დაბრუნების იმედი დავკარგე, ვიფიქრე, უთუოდ სადმე ჩაკვდა-- მეთქი. ღმერთმა მომიტევოს ეს ფიქრი, მაგრამ მერჩია კიდეც, რომ ასე მომხდარიყო.

მაგრამ ედმუნდსი არ მომკვდარა. იგი შორეულ კოლონიაში გადაასახლეს და უთუოდ ამ გარემოებას უნდა მივაწეროთ ის ამბავი, რომ მას თურმე, რამდენიმე წერილი გამოუგზავნია და არც ერთ მათგანს ჩემამდე არ მოუღწევია. კოლონიაში თოთხმეტი წელი დაყო. მთელი ამ ხნის განმავლობაში არ დავიწყებია დედისადმი მიცემული სიტყვა და ძველი გადაწყვეტილება. გაუვიდა თუ არა ვადა, ინგლისში დაბრუნდა. გზაში ბევრი სიძნელე,

ბევრი გაჭირვება გადაიტანა და ბოლოს მაინც მშობლიურ მიდამოს მოადგა.

აგვისტოს ერთ თბილ საღამოს (კვირადღე იყო) ჯონ ედმუნდსმა ფეხი შემოდგა თავის სოფელში, რომელიც ესოდენ სამარცხვინოდ დატოვა ჩვიდმეტი წლის წინ. უმოკლესი გზა სასაფლაოზე გადიოდა. საცოდავ მსჯავრდადებულს გული ბოღმით აევსო ქვის კიბე რომ აიარა და სასაფლაოს ჭიშკარი შეაღო. მაღალმა, ხნიერმა თელებმა წარსული დღეები მოაგონა. უხვად დაჩრდილულ ბილიკზე ჩამავალი მზე უკანასკნელ სხივებს სტყორცნიდა აქა-იქ. ედმუნდსს მოაგონდა თავისი ბავშვობა, დედის ხელს რომ ეჭიდებოდა და გულდამშვიდებული ეკლესიისკენ მხიარულად მიკუნტრუშებდა; მოაგონდა, როგორი ალერსით შესცინებდა დედის გადაფითრებულ სახეს; როგორი სიყვარულით მისჩერებოდა დედა თავის პაწია ჯონს და თვალები ცრემლით ევსებოდა; ისიც გაახსენდა ღაპაღუპით რომ ეცემოდა მის შუბლს დედის მწარე ცრემლები, როდესაც ეს უკანასკნელი მის საკოცნელად დაიხრებოდა ხოლმე. დედის ცრემლები ბავშვსაც ატირებდა, თუმც მაშინ არც ესმოდა და არც გრძნობდა მათ დიდ სიმწარეს; მოაგონდა ისიც, თუ როგორ უდარდელად დარბოდა ტოლ-მეგობრებში ამ დაჩრდილულ ბილიკზე, თანაც ხშირ--ხშირად უკან იხედებოდა, რომ დედის ღიმილი დაეჭირა ან მისი ტკბილი ხმა გაეგონა. უეცრად მის მეხსიერებას თითქოს ბნელი პირბადე ჩამოხადეს: ჯარივით შემოუტია მშობლის კეთილმა სიტყვებმა, რომელიც მან, მისმა პირმშომ უპასუხოდ დატოვა, გაფრთხილება, რომელიც მან ზიზღით უარყო და დაპირებანი, რომელიც არ შეუსრულა.

მოგონებები ლოდივით შემოაწვა, გული დაუმძიმდა.

ეკლესიაში შევიდა. წირვა დიდი ხნის დასრულებული იყო და მრევლიც გაფანტულიყო, მაგრამ ეკლესია ჯერ ღია იყო. შიგნით

ისეთი მყუდროება სუფევდა, რომ ედმუნდსი შეკრთა. მთელ შენობაში მის ნაბიჯებს მხოლოდ ცარიელი კედლები ეხმაურებოდა. მიმოიხედა: თითქოს დაპატარავებულიყო ეკლესია, სხვა ცვლილება არც შეუნიშნავს. იგივე ქანდაკებები, რომელთათვის მრავალჯერ ბავშვური შიშით შეუხედავს: იქვე იდგა პაწია კათედრა, ზედ გადახუნებული ბალიში იდო: იქით ტრაპეზი მოჩანდა, რამდენჯერ მდგარა მის წინ და მხურვალე გულით ლოცვანი გაუმეორებია, ის ლოცვანი, რომელთაც პატივს სცემდა ბავშვობისას, ჭაბუკობის ჟამს კი სრულიად მიივიწყდა.

თავის სკამს მიუახლოვდა: რა ცივია, ობლად მიტოვებული... ზედ აღარც ბალიში დევს და აღარც სახარება. იქნებ დედამისი ახლა უკანა რიგში ზის. ან ვინ იცის, ისე დაუძლურდა, რომ მარტო ვეღარ დადის ეკლესიაში. ფიქრადაც ვერ გაევლო ის, რისიც ყველაზე მეტად ეშინოდა... გამობრუნდა. გულში სიცივე იგრძნო, თავით ფეხამდე აცახცახდა.

კარში მოხუცი შეეჩეხა. ედმუნდსი შეკრთა და უკან დაიხია: იცნო მოხუცი, რომელიც მესაფლავედ მუშაობდა. რამდენჯერ თავისი თვალით უნახავს, როგორ თხრიდა ეს კაცი საფლავს. აი, ახლა, ნეტავ რას ეტყვის მოხუცი დაბრუნებულ მსჯავრდადებულს? მაგრამ... მოხუცმა შეხედა, „საღამო მშვიდობისა“ უსურვა და ეკლესიაში შევიდა - ვერ იცნო.

ედმუნდსი ფერდობზე დაეშვა, სოფელში შევიდა. სამუშაოდან დაბრუნებული ხალხი მყუდრო საღამოთი ტკბებოდა. ზოგი პარმაღზე ჩამომჯდარიყო, ზოგი კი თავის ბაღში დასეირნობდა. ბევრმა მათგანმა გადახედა უცნობს, ბევრს თვითონაც შეაპარა ეჭვის თვალი, აბა ვინმე თუ მიცნობს ან იქნებ რომელიმემ განგებ პირი შეიბრუნაო, მაგრამ ეტყობა, ყველას დავიწყებოდა. თითქმის ყველა სახლში უცნობ სახეებს ხედავდა. ზოგიერთში მაინც ამოიცნო დავაჟკაცებული ტოლ-მეგობრები, რომელთაც

მხიარული ყიჟინით გარს ეხვეოდა ბავშვების ხროვა. ზოგან, ზედ კოტეჯის კართან, რბილ სავარძელში ჩამჯდარიყო დაუძლურებული მოხუცი, რომელიც მის აქ ყოფნისას ჯან-ღონით სავსე ბეჯით მუშად ახსოვდა. ის კი ვერავინ იცნო, ვერავინ... ყველას დავიწყებოდა...

ჩამავალი მზის უკანასკნელი ნათელი დაეცა მიწას და ოქროსფერ ძნებში კაშკაშა სხივებად გაიფანტა. ხეხილის ბაღებში უკვე გრძელი ჩრდილები ჩამოწვა, როდესაც მსჯავრდადებულმა თავის სახლს მიაღწია.

ენით უთქმელი სიყვარულით მოისწრაფოდა ედმუნდსი ამ სადგომისაკენ, სადაც ბავშვობის ტკბილი დღეები გაუტარებია, მოისწრაფოდა მთელი არსებით ტყვეობის იმ უბედური წლების განმავლობაში, რომელნიც თანდათანობით ჯან-ღონეს ულევენ და გულს უწვრილებენ ადამიანს. აგერ მიადგა დაბალ მესერს, რომელიც ბავშვობისას მაღალ კედლად ეჩვენებოდა. ძველ ბაღში გადაიხედა: ბევრი ახალი, უფრო მხიარული ყვავილი დაერგათ, ბილიკები აგურით შეეფერადებინათ. მაგრამ აქვე იდგნენ ბებერი ხეები, ის ხეები, რომელთა ჩრდილქვეშ, მზეში თამაშით დაქანცული, ათასჯერ წამოწოლილა და შეუმჩნევლად მისცემია ბავშვობის ტკბილ ძილს. სახლიდან მხიარული ჟრიამული შემოესმა. გაუკვირდა: კარგად იცოდა, რომ მისი საბრალო დედა ვერ გაიხარებდა, თუ შვილი გვერდზე არ ეგულებოდა. უეცრად კარი გაიღო და ბავშვების ხროვა ჟივილ-ხივილით გამოცვივდა გარეთ. მამაც თოთო ბავშვით ხელში პარმაღზე გამოვიდა. შვილები გარს შემოეხვივნენ, პაწაწინა ხელებით ტაში შემოჰკრეს, მამას კალთაში დაეჭიდნენ, რომ ისიც შეერთებოდა თამაშს. მოაგონდა მსჯავრდადებულს რამდენჯერ გამოქცეულა აქ, ამავე ადგილას; მამის დანახვით თავზარდაცემულს, აკანკალებულს, რამდენჯერ თავი ჩაურგავს საბანში, რომ მამის გინება და საბ-

რალო დედის ქვითინი არ გაეგონა... სახლს მოშორდა... შემოწოლილი ბოღმისაგან კბილები დააკრაჭუნა, მუშტები მოკუმშა და ხმამაღლა ასლუკუნდა.

აი, ესეც - დაბრუნება! რომელსაც იგი მოუთმენლად ელოდა მრავალი მწარე ტანჯვით სავსე წლების განმავლობაში; რომლის გამოც უთქმელად იტანდა ყველაფერს. არც ერთმა სახემ არ შესცინა, მხიარულად არ შეეგება მსჯავრდადებულს; ვერც ერთ თვალში პატიება ვერ ამოიკითხა; არც ერთი კარი არ გაღებულა მის მისაღებად; არც ერთი ხელი არ გამოწვდილა დახმარებისათვის იმ სოფელში, სადაც დაიბადა და გაიზარდა. მაშ, რაღა უკვირდა, რომ ტყვეობაში ტანჯვით გატარებული წლების განმავლობაში ობლად გრძნობდა თავს, მარტოობას უჩიოდა.

ახლა მიხვდა, რომ იქ, მონობისა და სირცხვილის შორეულ მიწაზე, ბევრჯერ თვალწინ გადაშლია მშობლიური მხარე ისეთივე მომხიბლავ სურათებად, მრავალი წლის წინ, წასვლისას რომ დატოვა. ის სურათები არაფრით ჩამოჰგავდა აი, ამ სოფელს, რომელიც დაბრუნებისას დახვდა. მწარე სინამდვილემ გული გაუწვრილა, სულიერად დასცა. იმდენი გამბედაობაც არ ეყო, რომ ვინმესთვის დედის ამბავი გამოეკითხა, ან მისულიყო იმ ერთადერთ ადამიანთან, რომელიც შესაძლოა, ტკბილად მიგებებოდა და შეიბრალებდა დაკარგულ შვილს.

ბარბაცით გაუდგა გზას და, რადგან გამვლელებს ერიდებოდა, ნაცნობი მინდვრისკენ გადაუხვია. სიმწრისგან სახე ხელებში ჩამალა და ბალახზე დაეცა.

ვერ შენიშნა, რომ გვერდით, მდინარის პირას ვიღაც იწვა. როდესაც უცნობი მობრუნდა და მალვით შეაპარა თვალი ახალმოსულს, ედმუნდსმა თავი წამოსწია.

უცნობს ჩაყვითლებული სახე ნაოჭებით დაღაროდა, წელში ორად მოკაკულიყო. ტანისამოსზე ეტყობოდა, რომ დავრდო-

მილთა თავშესაფრის ბინადარი უნდა ყოფილიყო. ერთი შეხედვით ღრმა მოხუცი გეგონებოდათ, სინამდვილეში კი ავადმყოფობას და თავშეუკავებელ ლოთობას უფრო მოეტეხა ადრიანად, ვიდრე ჟამთა გამანადგურებელ სვლას.

მოხუცი ედმუნდსს დააშტერდა. უცბად უსიცოცხლო, გაოგნებულ თვალებში შფოთის ალმა იელვა, კვლავ დააშტერდა ისეთი დაჟინებით, რომ გეგონებოდათ, თვალის კაკლები სადაც არის, ბუდეებიდან ამოუცვივდებაო. ედმუნდსიც ერთხანს ხმის ამოუღებლად შეჰყურებდა უცნობს.

თანდათანობით მოხუცს მკვდრისფერი დაედო. ბარბაცით წამოდგა. ედმუნდსიც წამოვარდა და მოხუცს წინ გადაუხტა. მოხუცი შეკრთა, უკან დაიხია.

- გევედრებით, ხმა ამოიღეთ, - ხრინწიანი ხმით თქვა მსჯავრდადებულმა.

- გამეცალე, - შეჰკივლა მოხუცმა და შემდეგ მისი პირიდან უშვერი სიტყვების კორიანტელმა გადმოხეთქა. შიშისგან გააფთრებულმა ჯოხი მოიქნია და ედმუნდსს მძიმედ ჩასცა სახეში.

- მამავ... წყეულო, - წაიჩურჩულა მსჯავრდადებულმა და კბილები გააკრაჭუნა. გიჟივით ეცა, ყელში სწვდა... უეცრად მოაგონდა, რომ მშობელი იყო და... ხელი უღონოდ ჩამოუვარდა.

მოხუცმა დაიღრიალა. მისი ღრიალი მინდორში ავი სულის ყმუილივით გაისმა. სახე გაუშავდა, პირიდან და ცხვირიდან სისხლმა გადმოხეთქა, ბალახი წითლად შეღება. მოხუცი წაბარბაცდა და დაეცა... ვაჟი შეეცადა წამოეყენებინა მშობელი შედედებული სისხლის გუბიდან, მაგრამ ამაოდ: ხელში უსულო გვამიღა შერჩა...

* * *

მოხუცი ჯენტლმენი ერთხანს დადუმდა და მერე წყნარად დაუმატა, - სასაფლაოს იმ კუთხეში, რომელიც წეღან ვახსენე, ერთი კაცი მარხია. ეს კაცი სამი წლის განმავლობაში ჩემთან მსახურობდა. ამ ამბის შემდეგ, მე რომ ახლა მოგახსენეთ, მეტად მორჩილი, მონანიე იყო. ვიდრე ცოცხალი იყო, მისი ვინაობა არავინ იცოდა, იგი ჯონ ედმუნდსი გახლდათ, დაბრუნებული მსჯავრდადებული...

თავი VII

მოგვითხრობს, მისტერ უინკლმა, იმის ნაცვლად, რომ მტრედისთვის ესროლა და ყვავი მოეკლა, როგორ ესროლა ყვავს და დაჭრა მტრედი; როგორ შეეჯიბრა დინგლი-დელის კრიკეტისტების კლუბი მაგლტონის გაერთიანებულ გუნდს; როგორ გადაიხადა სადილი დინგლი-დელმა მაგლტონის პატივსაცემად; აქვე ვეცნობით ჭკუის სასწავლებელ და სხვა ძალზე საინტერესო ამბებს...

დამქანცველი დღის ბრალი იყო, თუ მღვდლის ნაამბობისა, რომელიც თვლემას ჰგვრიდა ადამიანს, მისტერ პიკვიკს ძილი მოერია და კოხტა საწოლ ოთახში შეიყვანეს თუ არა, ხუთ წუთსაც არ გაუვლია, საღათას ძილს მისცა თავი. ამ საამო მდგომარეობიდან იგი მზემ გამოაფხიზლა, რომელიც ეტყობა, კარგა ხანია, თითქოს საყვედურით გზავნიდა ოთახში დილის კაშკაშა სხივებს. მისტერ პიკვიკი ზანტი არასოდეს ყოფილა და ამიტომ, ახლაც ისე მარდად წამოხტა ლოგინიდან, როგორც საგანგაშო საყვირის ხმაზე გამოვარდება ხოლმე მეომარი საბრძოლო კარვიდან.

- რა თვალწარმტაცი მხარეა! - ნეტარებით ამოიოხრა, როდესაც ფანჯარა გამოაღო, - განა შეუძლია ადამიანს, რომელმაც ერთხელ მაინც იხილა ეს წარმტაცი ხედი, ყოველ ცისმარე დღეს მხოლოდ აგურსა და კრამიტს უყუროს? განა შეიძლება ცხოვრება იქ, სადაც ცოცხალი პირუტყვის ნაცვლად, მხოლოდ მათი ქანდაკებები გხვდება და მწვანეს მხოლოდ მემწვანილის დუქანში

ხედავ? ვინ აიტანს ცხოვრების მძიმე ტვირთს ასეთ ადგილას, გეკითხებით, ვინ აიტანს-მეთქი?

მოჰკითხა რა პასუხი სიჩუმეს, რომელიც მის გარშემო სუფევდა, მისტერ პიკვიკმა თავი ფანჯარაში გაყო და გარშემო მიმოიხედა.

ზვინებად დაწყობილი თივის ტკბილი სურნელება მისი ოთახის სარკმელს სწვდებოდა; ფანჯრის წინ გაშლილი ყვავილნარიც ჰაერში საამო გუნდრუკს აკმევდა. ცვარს დაენამა აბიბინებული კორდები, ბრწყინავდა ყოველი ფოთოლი, რომელსაც ნაზი სიო ოდნავ არხევდა, ჩიტები ისე მომაჯადოებლად გალობდნენ, თითქოს ნამის ყოველი ბრჭყვიალა წვეთი მათთვის შთაგონების წყარო ყოფილიყო.

მისტერ პიკვიკი ტკბილ ოცნებებში გაეხვია.

- დილა მშვიდობისა, მეგობარო! - მოესმა ვიღაცის ძახილი.

მისტერ პიკვიკმა მარჯვნივ გაიხედა, მაგრამ ვერავინ დაინახა; შემდეგ მარცხნივ გაიხედა და სივრცეს თვალი მოავლო, მაგრამ იქაც ვერავინ შენიშნა. ახლა ზეცას მიაპყრო თვალი, მაგრამ ეტყობოდა, იქაც ჯერ არავის ეცალა მისთვის; ბოლოს გააკეთა ის, რითაც დაიწყებდა ყოველი ჩვეულებრივი მოკვდავი - ბაღში ჩაიხედა და იქ მისტერ უორდლი იხილა.

- როგორ ბრძანდებით? - ჰკითხა სტუმარს კეთილმა მასპინძელმა, რომელიც სულს ღრმად ითქვამდა მომავალი სიამოვნების მოლოდინში, - საუცხოო დილაა, არა? მიხარია, რომ ასე ადრე ამდგარს გხედავთ. ჩქარა ჩამოდით დაბლა, აქ დაგელოდებით.

მისტერ პიკვიკს მეორედ არ დასჭირდა მიპატიჟება; ათ წუთში მოათავა ჩაცმა-დახურვა და მოხუცი უორდლის გვერდზე გაჩნდა.

- დილა მშვიდობისა, - მიესალმა მისტერ პიკვიკი და შენიშნა თუ არა, რომ მისი კომპანიონი თოფით იყო შეიარაღებული, ხოლო მეორე ბალახზე დაედო, მასპინძელს უმალვე ჰკითხა: - რას აპირებთ?

- თქვენს მეგობარსა და მე საუზმის წინ ჭილყვავები გვინდა დავხოცოთ. ამბობენ, შესანიშნავი მსროლელიაო, არა?

- გამიგია მისგან - კარგად ვისვრიო, მაგრამ თავად არ მინახავს, - მიუგო მისტერ პიკვიკმა.

- რატომ აგვიანებს ნეტავ? - შეშფოთდა მასპინძელი, - ჯოუ, ჯოუ!

სახლიდან ბოკვერა გამოგორდა, ეტყობა ამ მაცოცხლებელი დილის გავლენით მხოლოდ სამი მეოთხედითა და ერთი მეათედით სთვლემდა.

- ერთი, ადი და ჯენტლმენს დაუძახე, უთხარი, რომ მე და მისტერ პიკვიკს საჭილყვავეში გვნახავს. გზა უჩვენე, გესმის?

ბიჭი ბრძანების შესასრულებლად გაემართა, მასპინძელმა კი თოფები მხარზე გაიდო და სტუმარს ბაღის ჭიშკრისკენ გაუძღვა.

- აგერ აქ არის, - თქვა მოხუცმა ჯენტლმენმა, როდესაც რამდენიმე წუთის სიარულის შემდეგ ორივენი გრძელ ხეივანში აღმოჩნდნენ. თქმა არც იყო საჭირო: ჭილყვავების გამუდმებული ჭყივილი, რომელთაც წარმოდგენა არ ჰქონდათ, რა განსაცდელი მოელოდათ ახლო მომავალში, აშკარად ამცნობდა ყველას მათ ადგილსამყოფელს.

მოხუცმა ჯენტლმენმა ერთი თოფი მიწაზე დადო და მეორის გატენას შეუდგა.

- აგერ, მოდიან კიდეც, - წარმოთქვა მისტერ პიკვიკმა, როდესაც შორით თვალი მოჰკრა მისტერ ტაპმენს, მისტერ სნოდგრასსა და მისტერ უინკლს. თურმე ნუ იტყვით, ბოკვერას, რომელიც არ იყო დარწმუნებული, რომელი ჯენტლმენისათვის უნდა

დაეძახა, განსაკუთრებული გამჭრიახობა გამოუჩენია და შეცდომის თავიდან ასაცილებლად, სამივე ერთად წამოუყვანია.

- აბა, მობრძანდით, - გასძახა მოხუცმა ჯენტლმენმა მისტერ უინკლს, - თქვენისთანა მგზნებარე მონადირე დიდი ხანია უკვე ფეხზე უნდა იყოს, თუნდაც ასეთი უბრალო საქმისთვის.

მისტერ უინკლმა ნაძალადევად გაიღიმა. თოფს რომ მოჰკიდა ხელი, მისმა სახემ ისეთი გამომეტყველება მიიღო, რომელიც იმ ბედშავ ჭილყვავს უფრო შეეფერებოდა, რომელიც წინასწარ გრძნობდა, რომ სიკვდილი მოელოდა. შესაძლოა, უინკლის გულს ნადირობის ცეცხლი სწვავდა, მაგრამ გარეგნულად სახეზე გამოხატული გრძნობა დარდს უფრო წააგავდა.

მოხუცმა ჯენტლმენმა ნიშანი მისცა. მაშინვე ორი ჩამოფლეთილსამოსიანი ბიჭუნა, რომლებიც უორდლს მოჰგვარეს ნორჩი ლემბერტის პირადი მეთვალყურეობით, თვალის დახამხამებაში ორ ხეს ეცა და ზედ აცოცდა.

- ამ ბიჭუნებს რაღა უნდათ აქ? - იკითხა მისტერ პიკვიკმა, რომელიც ცოტა არ იყოს შეშფოთდა. მას არაერთხელ გაუგონია სოფლის მოსახლეობის დუხჭირი ცხოვრების შესახებ და ახლაც გაიფიქრა, - ვაითუ, ეს ორი პაწია სოფლელი ბიჭიც, გაჭირვებამ აიძულა საარსებო წყაროს ძებნაში მიემართათ ესოდენ სახიფათო საშუალებისათვის - ცოცხალ მიზნად დასდგომოდნენ გამოუცდელ მონადირეებს.

- ესენი მხოლოდ თამაშის დასაწყებად არიან, - მიუგო მისტერ უორდლმა სიცილით.

- რისთვის? - კვლავ იკითხა მისტერ პიკვიკმა.

- თქვენებურად რომ ვთქვათ, ჭილყვავების დასაფრთხობად.

- ო, სულ ეს არის?

- დაკმაყოფილდით პასუხით?

- სრულიად.

- კეთილი... მე დავიწყო?

- დიახ, დიახ, თუ შეიძლება, - აჩქარებით მიუგო მისტერ უინ-კლმა.

- მაშ, განზე გადექით. აბა, შევუდგეთ!

ერთ-ერთმა ბიჭმა დასჭყივლა, შემდეგ ტოტი შეარხია, რო-მელზედაც ჭილყვავების ბუდე იყო. ბუდიდან უმალვე ექვსიოდე ბარტყი ამოფრინდა, საშინელი ნჯღრევის მიზეზი რომ გაეგოთ. მოხუცმა ჯენტლმენმაც არ დააყოვნა და სროლით უპასუხა. ძირს ერთი ჩიტი ჩამოვარდა, დანარჩენებმა თავს უშველეს.

- აიღე, ჯოუ, - თქვა მოხუცმა ჯენტლმენმა.

ბოკვერა ჩიტს მიუახლოვდა თუ არა, სახეზე ღიმილი აუთა-მაშდა: თვალწინ წარმოუდგა ჭილყვავების ხორცისგან დამზადე-ბული გემრიელი პაშტეტი. ეს ფრინველიც კაი ჩასუქებული იყო და ბიჭს გულიანად გაეცინა.

- ახლა კი, მისტერ უინკლ, - დაიძახა მასპინძელმა და თავისი თოფის ხელახლა დატენას შეუდგა, - ახლა კი თქვენი ჯერია, გა-ისროლეთ.

მისტერ უინკლმა წინ გადადგა ნაბიჯი და დაუმიზნა. მისტერ პიკვიკი და მისი მეგობრები უნებურად მოიკუნტნენ - უთუოდ იმიტომ, რომ შეეშინდათ, მეგობრის გამანადგურებელი გასრო-ლის შედეგად მოკლული ჭილყვავების მთელმა ხროვამ თავი არ გაგვიტეხოსო.

სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. გაისმა შეძახილი... ატყდა ფრთების ფარფატი... რაღაცამ ოდნავ გაიტკაცუნა.

- რა მოხდა? - შესძახა მოხუცმა ჯენტლმენმა.

- არ ისვრის? - ჰკითხა მსროლელს მისტერ პიკვიკმა.

- თოფმა მიმტყუნა, - თქვა მისტერ უინკლმა, რომელსაც მკვდრის ფერიედო, უთუოდ იმიტომ, რომ ასე მწარედ გაუცრუვ-და იმედი.

- უცნაურია, - წარმოთქვა მოხუცმა ჯენტლმენმა და თოფი აიღო.

- არასოდეს უმტყუნია... კი მაგრამ, ფისტონი სადღაა?

- ღმერთო ჩემო, - წამოიძახა მისტერ უინკლმა, - ფისტონი სულ დამავიწყდა!

ეს მცირე დაუდევრობა სწრაფად გამოასწორეს. მისტერ უინკლმა მტკიცე და შეუპოვარი გამომეტყველებით კვლავ გადმოდგა ნაბიჯი წინ. ის იყო ხეს ამოფარებულმა მისტერ ტაპმენმა გამოიხედა, რომ ბიჭმა იყვირა. აფრინდა ოთხი ჩიტი და მისტერ უინკლმაც გაისროლა... გაისმა ჭყივილი, მაგრამ ჭილყვავების კი არა, ადამიანის. მისტერ ტაპმენმა გმირულად გადაარჩინა სიკვდილს ათობით უდანაშაულო ფრინველი და ჭილყვავებისათვის განკუთვნილი საფანტის ნაწილი მარცხენა მკლავში მიიღო.

შეუძლებელია ენით აღვწეროთ ის დაბნეულობა, რომელიც ამას მოჰყვა; როგორ უწოდა ბრაზმორეულმა მისტერ პიკვიკმა უინკლს „არამზადა“, რა საცოდავად გაიშხლართა მიწაზე მისტერ ტაპმენი; როგორ დაეცა მუხლებზე მის გვერდით შიშით თავზარდაცემული უინკლი; როგორ დასცდა ღონემიხდილ ტაპმენს ვიღაც მანდილოსნის სახელი, რის შემდეგაც, მან ჯერ ერთი თვალი გაახილა, მერე მეორეც, მაგრამ უეცრად თავი კვლავ უკან გადააგდო და ორივე თვალი დახუჭა, - ყოველივე ამის დაწვრილებით აღწერა ისევე ძნელია, როგორც გადმოგცეთ ის, თუ როგორ მოსულიერდა საცოდავი დაჭრილი, როგორ შეუხვიეს მას მკლავი ცხვირსახოცით, როგორ ამოუდგნენ მხრებში დაღვრემილი მეგობრები და ტაატით წააბრძანეს სახლისკენ.

სახლს მიუახლოვდნენ. მანდილოსნები უკვე ჭიშკართან ელოდებოდნენ. შინაბერა მამიდა წინ გამოვიდა და ხელი დაიქნია - უფრო ჩქარა წამოდითო. აშკარაა, რომ მან არაფერი იცო-

და მომხდარი უბედურების შესახებ! საცოდავი! ჭეშმარიტად არის ხოლმე წუთები, როდესაც უცოდინრობა ნამდვილი ნეტარებაა!

პროცესია კიდევ უფრო მიუახლოვდა ჭიშკარს.

- იმ ბებრუხანას რა დაემართა ნეტავ? - იკითხა იზაბელა უორდლმა.

შინაბერა მამიდამ ყურიც არ ათხოვა შეკითხვას, მას ეგონა, რომ ნათქვამი მისტერ პიკვიკს ეხებოდა, რადგან მის თვალში ტრესი ტაპმენი ჯერ კიდევ ჭაბუკობის ხანს არ გადასცილებოდა; ამ ვაჟკაცის ასაკს მანდილოსანი უთუოდ ბევრად დამაპატარავებელი შუშით თუ უყურებდა.

- არ შეგეშინდეთ, - დაუყვირა ქალებს შორიდან მოხუცმა მასპინძელმა, რომელიც დარდობდა - ვაითუ, გოგონებს შეეშინდეთო. მამაკაცების ჯგუფი ისე მჭიდროდ შემოჰკვროდა დაჭრილს, რომ მანდილოსნები ვერ მიმხვდარიყვნენ, რა მოხდა.

- არ შეგეშინდეთ, - გაიმეორა კვლავ მასპინძელმა, - ტაპმენს პატარა უბედურება შეემთხვა, ეს არის და ეს.

აქ კი შინაბერა მამიდამ გამყინავი ხმით წამოიკივლა, შემდეგ ისტერიკული სიცილი წასკდა და ბოლოს გულშეწუხებული ძმისწულების მკლავებზე გადაესვენა.

- ცივი წყალი გადაასხით, - ურჩია ქალებს მოხუცმა უორდლმა.

- არა, არა, - წაიჩურჩულა შინაბერა მამიდამ, - ახლა უკეთ ვარ... ბელა, ემილი, ჩქარა, ექიმი! დაჭრილია?.. მოკვდა?.. ნუთუ... ჰა, ჰა, ჰა, ჰა! - აქ კი დაიწყო შეტევა ნომერი ორი - შინაბერა მამიდას კვლავ კივილნარევი სიცილი აუტყდა.

- დამშვიდდით, - წაილუღლუღა მისტერ ტაპმენმა, რომელსაც გული აუჩუყდა, მისი ტანჯვისადმი ესოდენ დიდი თანაგრძნობა

რომ დაინახა, - ძვირფასო, ძვირფასო ქალბატონო, გემუდარებით დამშვიდდით.

- ეს ხომ მისი ხმაა! - წამოიძახა შინაბერა მამიდამ და ახლა მესამე შეტევის აშკარა ნიშნები დაეტყო.

- ნუ აღელდებით, გემუდარებით, ჩემო ძვირფასო ქალბატონო, - ვედრებით წარმოთქვა მისტერ ტაპმენმა, - მერწმუნეთ, მხოლოდ ოდნავ ვარ დაშავებული.

- მაშ, ცოცხალი ხართ, არ მომკვდარხართ?! - წამოიძახა ისტერიკულმა მანდილოსანმა, - ო, მითხარით, მითხარით, რომ ცოცხალი ხართ!

- ნუ სულელობ, რეიჩელ! - უხეშად ჩაერია საუბარში მისტერ უორდლი, რაც სულაც არ შეეფერებოდა ესოდენ პოეტურ, გულისამაჩუყებელ სურათს, - ნეტავ, რა ეშმაკად გინდა გითხრას, არ მოვმკვდარვარო?

- არა, არა, არ მოვმკვდარვარ, ცოცხალი ვარ, - თქვა მისტერ ტაპმენმა. - თქვენ გარდა მე არავის დახმარება არ მჭირდება... ნება მიბოძეთ, მკლავზე დაგეყრდნოთ, - შემდეგ ჩურჩულით დაუმატა: - ო, მის რეიჩელ!

აღელვებულმა მანდილოსანმა მკლავი შესთავაზა და ორივენი იმ სასტუმრო ოთახისკენ გაემართნენ, სადაც სუფრა იყო გაშლილი. მისტერ ტრესი ტაპმენმა ნაზად მიიკრა ტუჩებთან ქალის ხელი და დივანზე დაეშვა.

- ცუდად ხართ? - შეშფოთდა რეიჩელი.

- არა, - მიუგო მისტერ ტაპმენმა, - არაფერია... მალე გამოვკეთდები, - და თვალები მილულა.

ოც წამსაც არ გაუვლია, რომ შინაბერა მამიდამ წაიჩურჩულა - ჩაეძინა... ძვირფასო, ძვირფასო მისტერ ტაპმენ!

მისტერ ტაპმენი წამოხტა.

- ო, კვლავ გაიმეორეთ ეს სიტყვები, გემუდარებით! - თქვა მან.

მანდილოსანი შეკრთა.

- ნუთუ გაიგონეთ? - დარცხვენით წარმოთქვა მან.

- რა თქმა უნდა, გავიგონე, - მიუგო მისტერ ტაპმენმა, - გაიმეორეთ, გეთაყვა... თუ გნებავთ, რომ გამოვკეთდე, გაიმეორეთ.

- ჩუ, ჩემი ძმა მოდის, - წასჩურჩულა შინაბერამ.

მისტერ ტრესი ტაპმენი კვლავ დივანზე გადაესვენა. ოთახში მისტერ უორდლი შემოვიდა. მას ექიმი ახლდა.

მკლავი გაუსინჯეს, ჭრილობა შეუხვიეს და საყოველთაოდ გამოაცხადეს, საშიში არაფერიაო. ამ სიტყვების გაგონებაზე მთელი საზოგადოება მხიარულად შეუდგა გაღვივებული მადის დაშოშმინებას. მხოლოდ მისტერ პიკვიკი იჯდა უბრად. მისი სახე ეჭვსა და დარდს მოეცვა, რადგან მეგობრისადმი რწმენა სამუდამოდ შეერყა დილით მომხდარი ამბის გამო.

- კრიკეტს თუ თამაშობთ? - ჰკითხა მისტერ უორდლმა მარჯვე მსროლელს.

სხვა დრო და სხვა პირობები რომ ყოფილიყო, მისტერ უინკლი აუცილებლად დადებით პასუხს გასცემდა, მაგრამ ახლა იგრძნო, რომ მეტად უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდა და ამიტომ მორიდებულად უპასუხა:

- არა.

- თქვენ, სერ? - ჰკითხა მასპინძელს მისტერ სნოდგრასმა.

- ოდესღაც ვთამაშობდი, მაგრამ კარგა ხანია, მივატოვე. აქაური კლუბის წევრიც კი ვარ, თუმცა თავად არ ვთამაშობ.

- ვფიქრობ, დღეს დიდი მატჩი უნდა გაიმართოს, - შენიშნა მისტერ პიკვიკმა.

- დიახ, - მიუგო მასპინძელმა, - თქვენც უთუოდ ინებებთ დასწრებას, არა?

- მე, სერ, - მიუგო ხაზგასმით მისტერ პიკვიკმა, - მე, სერ, სიამოვნებით დავესწრები ნებისმიერი სპორტულ თამაშს, თუკი მას ისე ჩაატარებენ, რომ მაყურებლებს არავითარ ზიანს არ მიაყენებენ, და თუკი გამოუცდელ მოთამაშეთა უმწეო ცდები გარშემო მყოფთ სიცოცხლეს არ გამოასალმებს.

მისტერ პიკვიკი შეჩერდა და მისტერ უინკლს მიაშტერდა. უფროსის გამჭვალავი შემოხედვისგან საცოდავი უინკლი თავით ფეხამდე აცახცახდა. მხოლოდ რამდენიმე წუთის შემდეგ მოაცილა მას თვალი დიადმა ადამიანმა და დაუმატა:

- შეიძლება ჩვენი დაჭრილი მეგობარი მანდილოსნების ზრუნვას რომ მივანდოთ?

- ამათზე უკეთეს მომვლელს ვერც მიშოვიდით, - დასძინა მისტერ ტაპმენმა.

- მართალს ბრძანებთ, - კვერი დაუკრა მისტერ სნოდგრასმა.

ამგვარად შეთანხმდნენ, რომ მისტერ ტაპმენი მანდილოსნების მეთვალყურეობით შინ დარჩებოდა, ხოლო დანარჩენი სტუმრები მისტერ უორდლის ხელმძღვანელობით იმ ადგილზე გაემგზავრებოდნენ, სადაც უნდა გამართულიყო შეჯიბრება კრიკეტში. ამ შეჯიბრებამ მთელი მაგლტონი ფეხზე დააყენა და ეს ციებ-ცხელება დინგლი-დელსაც გადაედო.

მაგლტონამდე გზა ორ მილს არ აღემატებოდა და სულ დაჩრდილულ ორღობეებსა და ტყიან ბილიკებზე გადიოდა. საუბარშიც ხშირად იხსენიებდნენ იმ მომხიბლავ ბუნებას, რომელიც იშლებოდა მათ წინ გზის ორივე მხარეს და მისტერ პიკვიკმაც გულწრფელი სინანული გამოთქვა, როდესაც მგზავრობა დასრულდა და მაგლტონის მთავარ ქუჩაზე ამოყო თავი.

ყველა ადამიანს, რომელსაც კი ოდესმე ტოპოგრაფიისადმი ინტერესი გამოუჩენია, კარგად მოეხსენება, რომ მაგლტონი კორპორაციული ქალაქი გახლავთ, რომელსაც ჰყავს საკუთარი ქალაქისთავი, საკუთარი მოქალაქენი საარჩევნო უფლებით და ფრიმენებით. ვინც კი გასცნობია მაგლტონის ქალაქისთავის მიმართვებს მისი ფრიმენებისადმი ან ფრიმენების მიმართვას თავისი ქალაქისთავისადმი, ან და ორივესი ერთად - კორპორაციისადმი, ან სამივეს ერთად პარლამენტისადმი, მიხვდება იმას, რაც კარგა ხანია უნდა სცოდნოდა, სახელდობრ, რომ მაგლტონი ძველისძველი და ერთგულ ქვეშევრდომთა საპარლამენტო ქალაქია, რომელიც თავგანწირვით ემსახურება ქრისტიანულ პრინციპებს და თავგამოდებით იცავს სავაჭრო უფლებებს, რის დასამტკიცებლადაც ქალაქისთავმა, კორპორაციამ და დანარჩენმა მცხოვრებლებმა პარლამენტს სხვადასხვა დროს წარუდგინეს არანაკლებ ათას ოთხას ოცი თხოვნისა საზღვარგარეთ ზანგებით ვაჭრობის წინააღმდეგ და იგივე რიცხვი ასეთივე პეტიციებისა, საშინაო საფაბრიკო სისტემაში ჩარევის წინააღმდეგ; სამოცდარვა თხოვნა - საეკლესიო ბენეფიციების გაყიდვის სასარგებლოდ და ოთხმოცდაექვსი - კვირაობით ქუჩაში ვაჭრობის აკრძალვისათვის.

იდგა მისტერ პიკვიკი ამ დიდებული ქალაქის მთავარ ქუჩაზე და ცნობისმოყვარე თვალით შეჰყურებდა საგნებს, რომელნიც მას გარშემო ეკრა. მის წინ სწორკუთხედად იშლებოდა ბაზრის მოედანი; მოპირდაპირე მხარეს დიდი სასტუმრო იდგა ზედ მიკრული აბრით. ამ აბრაზე ისეთი საგანი იყო გამოხატული, რომელიც სიმართლე უნდა ითქვას, ხშირად გვხვდება ხელოვნებაში, მაგრამ ბუნებაში კი არასოდეს, სახელდობრ - ლურჯი ლომი ზემოთ აშვერილი სამი თათით, რომელიც წონასწორობას მეოთხე თათის შუა ბრჭყალით იკავებდა. სასტუმროს მახლობლად იყო

აუქციონერისა და ცეცხლდამზღვევი კანტორები, ხორბლით მოვაჭრე კანტორა, თეთრეულის მაღაზია, სპირტის გამომხდელისა და მეუნაგირის დუქნები, კოლონიური საქონლით მოვაჭრე და ფეხსაცმელის მაღაზიები, - ეს უკანასკნელი ქალაქის მცხოვრებლებს ასევე ამარაგებდა ქალისა და მამაკაცის ქუდებით, ტანსაცმლით, ბამბის ნაჭერგადაკრული ქოლგებითა და ფრიად სასარგებლო ცოდნით. აქვე იდგა წითელი აგურის სახლი ქვით მოკირწყლული ეზოთი, რომელიც უდავოდ ვექილს ეკუთვნოდა და კიდევ ერთი წითელი აგურის შენობა ვენეციური დარაბებითა და კარზე მიკრული სპილენძის ბრჭყვიალა წარწერით, რომელიც გარკვევით აუწყებდა მომსვლელთ, რომ ეს სახლი მკურნალის პირად საკუთრებას წარმოადგენდა.

რამდენიმე ახალგაზრდა კრიკეტის სათამაშო მოედნისკენ მიეშურებოდა. ორი თუ სამი მედუქნეც, რომლებიც თავ--თავიანთი დუქნის კართან ატუზულიყვნენ, ისეთი თვალით გაჰყურებდნენ მიმავალთ, რომ ეტყობოდათ, მათაც სულითა და გულით უნდოდათ წასვლა.

მისტერ პიკვიკი, მცირე ხნით შეჩერდა. უნდოდა ყველაფერს კარგად დაჰკვირვებოდა და უფრო მოხერხებულ დროს ყოველივე უბის წიგნაკში ჩაენიშნა, შემდეგ კი გაეშურა, რომ კვლავ მეგობრებს შეერთებოდა, რადგან მათ უკვე გადაუხვიეს მთავარი ქუჩიდან და ბრძოლის ველს უახლოვდებოდნენ.

მინდორზე კარი უკვე დაემაგრებინათ. აქვე ორი თუ სამი კარავიც გაეშალათ, სადაც შეჯიბრებაში მონაწილენი დაისვენებდნენ და შენაყრდებოდნენ. თამაში ჯერ არ დაწყებულიყო. ორი თუ სამი დინგლი-დელელი და მაგლტონელი თავს იმით იქცევდნენ, რომ უგულისყუროდ აწოდებდნენ ერთმანეთს ბურთს. მათსავით გამოწყობილი რამდენიმე ჯენტლმენი - ჩალის ქუდებში, ფლანელის ქურქებსა და თეთრ შარვლებში (მართალი გით-

ხრათ, ამ ტანსაცმელში ისინი უცოდინარ ქვისმთლელებს უფრო ჰგავდნენ) - კარავებს შორის გაფანტულიყო.

მისტერ უორდლი თავის სტუმრებს ერთ-ერთი კარვისკენ წაუძღვა. მოხუცი ჯენტლმენის შესვლას მხიარული შეძახილებით შეხვდნენ. „როგორ ბრძანდებითო“, მიაძახეს აქეთ-იქიდან. დაიწყო ჩალის ქუდების მოხდა. დინგლი-დელელმა მემამულემ მოთამაშეებს თავისი ლონდონელი სტუმრები წარუდგინა, თანაც დასძინა, ჩემს სტუმრებს დიდი სურვილი აქვთ, შეჯიბრებას დაესწრონ და მე ეჭვი არ მეპარება, რომ თამაში მათ ჭეშმარიტ სიამოვნებას მოჰგვრისო.

- უმჯობესია, კარავში შემობრძანდეთ, სერ, - შესთავაზა ერთ-ერთმა ძალიან მსუქანმა ჯენტლმენმა. მისი სხეული ფლანელის უზარმაზარი შეკვრის ნახევარს მოგაგონებდათ, რომელსაც ფეხების ნაცვლად ქვემოდან თითქოს ჰაერით გაბერილი წყვილი ბალიშისპირი ჰქონდა შედგმული.

- აქ უკეთესად იგრძნობთ თავს, სერ, - დაუმატა მეორე მსუქანმა ჯენტლმენმა, რომელიც ძალიან ჰგავდა ზემოხსენებული ფლანელის შეკვრის მეორე ნახევარს.

- გმადლობთ, თქვენ მეტად კეთილი ბრძანდებით, - მიუგო მისტერ პიკვიკმა.

- აქეთ მობრძანდით, - წარმოთქვა პირველმა, - აქ ქულებს ითვლიან. ეს საუკეთესო ადგილია მთელ მოედანზე, - კრიკეტისტი ქშენით შეუძღვა სტუმრებს კარავში.

- დიდებული თამაშია... საუცხოო სპორტი... სასარგებლო ვარჯიშია... ფრიად! - ეს იყო სიტყვები, რომელიც ჩაესმა მისტერ პიკვიკს, როგორც კი კარავში შედგა ფეხი. მართლაც, პირველი საგანი, რომელიც მას თვალში მოხვდა, მისი მწვანესერთუკიანი მეგობარი აღმოჩნდა, როჩესტერის ეტლში რომ გაიცნო. იგი შეუჩერებლად ლაქლაქებდა, როგორც ჩანს, მაგლტონის რჩე-

ულთა წრის გულის გასახარად და ჭკუისსასწავლებლად. ჩაცმულობაში ცოტა რამ შეეცვალა, ახლა უფრო კოპწიად გამოიყურებოდა.

უცნობმა იმავე წამს იცნო თავისი მეგობრები. თვალის დახამხამებაში წინ ისკუპა, მისტერ პიკვიკს მკლავში სწვდა და მისთვის ჩვეული აჩქარებით სკამისკენ წაათრია, თანაც ისე თავმომწონედ ქაქანებდა, თითქოს თამაშისთვის მთელი მზადება მისი უშუალო მეთვალყურეობით ჩაეტარებინათ.

- აქეთ, აქეთ... დიდებული გასართობია... ლუდი ზღვასავით... კასრებით... ხორცი გორებად... მთელ-მთელი ძროხები და ხარები... მდოგვი ურმებით... დიდებული დღეა... დასხედით... შინაურულად მოეწყვეთ... ფრიად მოხარული ვარ, რომ გხედავთ... ფრიად!

მისტერ პიკვიკი დაბრძანდა იმ ადგილზე, რომელიც შესთავაზეს; მისტერ უინკლიცა და მისტერ სნოდგრასიც უცნობი მეგობრის თხოვნას დაემორჩილნენ. მისტერ უორდლი გაოცებით შეჰყურებდა ყველას.

- მისტერ უორდლი, ჩემი მეგობარი, - გააცნო უცნობს მისტერ პიკვიკმა.

- თქვენი მეგობარი?.. ძვირფასო სერ, როგორ ბრძანდებით? ჩემი მეგობრის მეგობარი... მომეცით ხელი, სერ, - და უცნობმა ისე გულთბილად ჩამოართვა მისტერ უორდლს ხელი, გეგონებოდათ დიდი ხნის მეგობრები ყოფილიყვნენ. შემდეგ ერთი თუ ორი ნაბიჯით უკან დაიხია, თითქოს იმისთვის, რომ უკეთ შეეთვალიერებინა მოხუცის სახე და ტანი, და მერე კიდევ უფრო მეტი სიყვარულით, რამდენადაც ეს შესაძლებელია, კვლავ ჩამოართვა ხელი.

- აქ როგორ მოხვდით? - ჰკითხა მას მისტერ პიკვიკმა, რომლის გულშიც უცნობისადმი კეთილგანწყობას გაკვირვება ერეოდა.

- როგორ მოვხვდი? - მიუგო უცნობმა, - „გვირგვინში“ გავჩერდი... „გვირგვინი“ მაგლტონშია... კომპანიას გადავეყარე... ფლანელის ქურქებს - თეთრშარვლიანებს... სანდვიჩები სარდალა თევზით... პილპილმოყრილი შემწვარი თირკმლები... საუცხოო ბიჭები არიან...

მისტერ პიკვიკი უკვე საკმაოდ გაწაფული გახლდათ უცნობის საუბრის „სისტემაში“ და ამიტომ იმავ წამს დაასკვნა მისი სწრაფი და არეული ლაპარაკიდან, რომ მწვანესერთუკიანმა, როგორღაც მოახერხა მაგლტონის გაერთიანებული გუნდის წევრების გაცნობა და ეს ნაცნობობა მალე მტკიცე მეგობრობადაც აქცია, რის შედეგადაც, უკვე ძნელი აღარ იყო სადილზე მიპატიჟების მიღებაც. დაიკმაყოფილა რა ამგვარად ცნობისმოყვარეობა, მისტერ პიკვიკმა სათვალე გაიკეთა და თამაშის საყურებლად მოემზადა, რომელიც ის-ის იყო დაიწყო.

თამაშს იწყებდნენ მაგლტონელები. მაყურებელთა ყურადღება დაიძაბა, როდესაც მისტერ დამკინზი და მისტერ პოდერი, მაგლტონის ცნობილი კლუბის ორი სახელმოხვეჭილი მოთამაშე, ტაფელით ხელში, თავ-თავიანთი კარისკენ გაემართნენ. მისტერ ლაფის, დინგლი-დელელების საუკეთესო მარგალიტს, წილად ხვდა ბურთის სროლა მრისხანე დამკინზის წინააღმდეგ, ხოლო მისტერ სტრაგლსი აირჩეს იმავე სასიამოვნო მოვალეობის შესასრულებლად დღემდე დაუძლეველი მისტერ პოდერის მიმართ. რამდენიმე მოთამაშეს მინდვრის სხვადასხვა ადგილას უნდა „ეყარაულა“. მოგეხსენებათ, კრიკეტის ყოველი მოთამაშე მუდამ ასე იქცევა.

მსაჯები კარს უკან მოთავსდნენ, მთვლელები კი გადარბენის აღსარიცხავად მოემზადნენ. სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. მისტერ ლაფიმ რამდენიმე ნაბიჯით დაიხია არხეინად მდგარი პოდერის კარის უკან და სამი თუ ოთხი წუთის განმავლობაში ბურთი ზედ მარჯვენა თვალთან გააჩერა. დამკინზი, რომელიც მედგრად ელოდა მის მოსვლას, თვალს არ აშორებდა მისტერ ლაფის მოძრაობას.

- ვაწოდებ! - დაიძახა უეცრად ბოულერმა. ბურთი შურდულივით მოსწყდა მის ხელს და პირდაპირ კარის შუა პალოსკენ გადაფრინდა. მაგრამ დიდებული დამკინზის თვალს ეს არ გამოჰპარვია: ტაფელი მარჯვედ აიქნია და ბურთი შორს გადაისროლა სკაუტების თავებს გადაღმა, რომლებიც დაიხარნენ, რომ ბურთი გადაეტარებინათ...

- გაიქეცით... გაიქეცით... კიდევ ერთხელ... ახლა უკუაგდეთ... შეჩერდით... ასე, კიდევ ერთხელ... არა... კი... არა... უკუაგდეთ, უკუაგდეთ!

ამგვარი შეძახილები მოჰყვა დამკინზის დარტყმას, რის შედეგადაც მაგლტონელებს ორი ქულა დაეწერათ. მეგობარს არც პოდერი ჩამორჩა - დაფნის გვირგვინით შეამკო მაგლტონი და საკუთარი თავიც. იგი აჩერებდა საეჭვო ბურთებს, უშვებდა ცუდებს, იღებდა კარგებს და სტყორცნიდა მათ მინდვრის სხვადასხვა კუთხეში. სკაუტები სულ ოფლში იწურებოდნენ, ბოულერები ერთმანეთს ცვლიდნენ, თანაც თითოეული იმდენჯერ აწოდებდა, ვიდრე მკლავები ასტკივდებოდა. მაგრამ დამკინზსა და პოდერს ვერავინ სძლია. თუ რომელიმე შუახნის მსუქანი ჯენტლმენი შეეცდებოდა, ბურთი შეეჩერებინა, იგი ფეხებს შორის გაუგორდებოდა, ანდა ხელის თითებს შორის გაუსხლტებოდა; ახლა თუ გამხდარ-გამხდარი ჯენტლმენი შეეცდებოდა მის დაჭერას, ბურთი შიგ ცხვირში მოხვდებოდა და კიდევ უფრო მეტი ხალისით,

მხიარულად მიხტოდა მინდორზე; გამხდარ-გამხდარ ჯენტლმენს კი თვალები ცრემლით ევსებოდა და საცოდავად იკლაკნებოდა ტკივილისგან. თუ ბურთს შიგ კარში ისროდნენ, დამკინზი მას მუდამ ბევრად წინ უსწრებდა. ერთი სიტყვით, როდესაც დამკინზი დაიჭირეს და პოდერი წააქციეს, გაერთიანებულ მაგლტონელებს უკვე ორმოცდათოთხმეტი ქულა ეთვლებოდათ, ხოლო დინგლი-დელელების ანგარიში თამაშის ბოლოს ისევე არაფრისმეტყველი გახლდათ, როგორც მათი დაქანცული სახეები.

უპირატესობა იმდენად აშკარა გახლდათ, რომ სამაგიეროს გადახდაზე ფიქრიც კი ზედმეტი იყო. თავს არ ზოგავდნენ მგზნებარე ლაფი და აღფრთოვანებული სტრაგლსი, ყოველ ზომას მიმართავდნენ, რასაც კი მათ საკუთარი გამოცდილება და ოსტატობა უკარნახებდა, რომ როგორმე კვლავ ჩაეგდოთ ხელში მოედნის ის ნაწილი, რომელიც თამაშის დროს დაკარგეს. ყოველივე ამაო იყო. დინგლი-დელელებმა მეტოქეს ცოტა ხანს კიდევ გაუწიეს წინააღმდეგობა და საბოლოოდ დანებდნენ, რითაც ერთხელ კიდევ აღიარეს მაგლტონის გაერთიანებული გუნდის უპირატესობა.

ამ ხნის განმავლობაში უცნობი საჭმელს შეექცეოდა, თან სვამდა და ლაქლაქებდა. ყოველ კარგ დარტყმაზე მოთამაშეებთან ისეთი მფარველური და მოწყალე ტონით გამოთქვამდა მოწონებასა და სიამოვნებას, რომელსაც არ შეიძლება დაინტერესებული მხარის გული არ მოეგო; ყოველ უხეირო ცდაზე კი, დაეჭირათ ან შეეჩერებინათ ბურთი, იგი რისხვას დაატეხდა უბედურ მოთამაშეს: „ო, სულელო“, „ხელებზე დამბლა ხომ არ დაგცემია“, „დოყლაპია“, „მკვეხარა“. ამგვარმა შეძახილებმა მას ყველას თვალში საუკეთესო და მიუკერძოებელი მსაჯის სახელი მოუხვეჭა, რომელიც კრიკეტის თამაშის კეთილშობილი ხელოვნების ყველა საიდუმლოებაშია გაწაფული.

- საუცხოო თამაშია!.. კარგადაც ითამაშეს... ზოგიერთი დარტყმა ჩინებულია... - წარმოთქვა უცნობმა, როდესაც თამაშის დამთავრებისას ორივე მხარემ კარავში მოიყარა თავი.

- გითამაშიათ კრიკეტი, სერ? - ჰკითხა მას მისტერ უორდლმა, რომელსაც ძალიან ართობდა უცნობის ენაწყლიანობა.

- მითამაშიაო?!.. წარმოიდგინეთ, რომ ათასჯერ... აქ კი არა... დასავლეთ ინდოეთში... კარგი თამაშია... ცეცხლს რომ მოგიკიდებს... ფრიად!

- ძნელი საქმეა ასეთ სიცხეში თამაში, - შენიშნა მისტერ პიკვიკმა.

- სიცხეშიო?! პაპანაქებაა... გავარვარებულია... იწვის ყველაფერი. ერთხელ, ერთ მატჩში ვმონაწილეობდი - შეუცვლელად კართან ვიდექი... ჩემს მეგობართან, პოლკოვნიკთან... სერ თომას ბლაზოსთან... დავნაძლევდით, ვინ უფრო მეტ გადარბენებს გააკეთებდა... კენჭი ვყარეთ... ვიწყებ მე... დილის შვიდი საათია... ექვსი ადგილობრივი მოსახლე დგას „ყარაულზე“... დავიწყე, მაგრად ვდგავარ... მოსახლეებს გული წაუვიდათ... მინდვრიდან გაათრიეს... ახალ ნახევარ დუჟინს უხმეს... იმათაც წაუვიდათ გული... ბლაზო ურტყამს... ორი მოსახლე ეხმარება... ვერ გამომიყვანა მწყობრიდან... იმასაც გული წაუვიდა... პოლკოვნიკთან მოვრჩი საქმეს... მაინც არ ვეშვები... ერთგული მსახური... კვენკო სემბა... მზე ისე აცხუნებს, რომ ტაფელი სულ აიბურცა... ბურთი გაშავდა... ხუთას სამოცდაათი გადარბენა... მართალი გითხრათ, მოვიქანცე... კვენკომ უკანასკნელი ძალა მოიკრიბა... დამძლია ბოლოს... აბაზანა მივიღე და სადილად წავედი.

- იმას, სერ, იმას რაღა დაემართა? - ჰკითხა მოხუცმა ჯენტლმენმა.

- ბლაზოს?

- არა, მეორე ჯენტლმენს.

- კვენკო სემბას?

- დიახ, სერ.

- საცოდავი კვენკო... ვეღარ გამობრუნდა... მე კი ამომაგდო, მაგრამ თვითონ ჩავარდა - თქვენი ჭირი წაიღო, სერ.

აქ უცნობმა სახე ყავისფერ ტოლჩაში ჩამალა, მაგრამ დაბეჯითებით ვერ გეტყვით, რისთვის - იქნებ იმიტომ, რომ მღელვარება დაემალა, ან იქნებ იმიტომაც, რომ შეემოწმებინა, რა იყო ტოლჩაში. ის კი დანამდვილებით ვიცით, რომ იგი ერთბაშად შეჩერდა და ცოტა არ იყოს, შეშფოთებულმა გადახედა დინგლი--დელის კლუბის ორ მთავარ წევრს, რომლებიც მისტერ პიკვიკს მიუახლოვდნენ და შემდეგი სიტყვებით მიმართეს:

- სერ, „ლურჯ ლომში“ ვაწყობთ მეგობრულ სადილს. იმედი გვაქვს, რომ თქვენ და თქვენი მეგობრებიც შემოგვიერთდებით.

- რაღა თქმა უნდა, - პიკვიკის ნაცვლად მიუგო მისტერ უორდლმა, - მეგობართა შორის, რა თქმა უნდა, ვთვლით მისტერ... - მოხუცმა უცნობს გადახედა.

- ჯინგლი, - სწრაფად მოუგო მოხერხებულმა ჯენტლმენმა, რომელიც წამსვე მიუხვდა სათქმელს, - ალფრედ ჯინგლი, ესკვაირი, არსად-ჰოლიდან.

- გარწმუნებთ, დიდად მოხარული ვიქნებით, - უპასუხა მიპატიჟებაზე მისტერ პიკვიკმაც.

- მეც მოხარული ვარ, - მიუგო მისტერ ალფრედ ჯინგლმა. ცალი ხელი მისტერ პიკვიკს გაუყარა, მეორე მისტერ უორდლს და პირველს საიდუმლოდ ჩასჩურჩულა:

- დიდებული სადილია... ცივი, მაგრამ საუცხოო... ამ დილით ოთახში შევიჭვრიტე... ფრინველი, პაშტეტი და სხვა ამგვარი... შესანიშნავი ბიჭები არიან... კარგად გაზრდილი - ფრიად!

როდესაც წინასწარი სამზადისი მოთავდა, მთელი საზოგადოება ორ-ორ და სამ-სამ-კაციან ჯგუფებად დაიყო და ქალაქის-

კენ გასწია; თხუთმეტ წუთსაც არ გაუვლია, რომ ყველანი უკვე მაგლტონის სასტუმრო „ლურჯი ლომის“ დიდ დარბაზში ისხდნენ. მისტერ დამკინზი თამადად აირჩიეს, ხოლო მისტერ ლაფი მის მოადგილედ.

დარბაზში ხმამაღალი საუბარი გაიმართა და დანა--ჩანგლებისა და თეფშების რაჩხუნი ატყდა. სამი უთავბოლო ლაქია აქეთ-იქით დარბოდა; სუფრაზე სწრაფად ქრებოდა სასმელ--საჭმელი. ყველაფერში, რაც კი აურზაურს უწყობდა ხელს, მონაწილეობდა დაუღალავი ჯინგლი და არანაკლებ ექვსი ჩვეულებრივი მოკვდავის მაგივრობასაც სწევდა.

როდესაც ყველამ იმდენი მიირთვა, რამდენიც კი შეეძლო, სუფრა აალაგეს. მაგიდაზე გაჩნდა სასმელები და ტკბილეულობა. ლაქიები გავიდნენ, რომ „მოესუფთავებინათ“ ჭურჭელი, ანუ პატივი ეცათ საკუთარი თავისათვის სასიამოვნო საჭმელ--სასმლის იმ ნარჩენებით, რომელიც ხელთ იგდეს.

საერთო საუბარსა და სიცილ-ხარხარში, რომელიც სადილს მოჰყვა, არ მონაწილეობდა მხოლოდ ერთი გაბერილლოყებიანი კაცუნა, რომლის სახეზე აშკარად ეწერა: „არაფერი მითხრათ, თორემ შეგეკამათებითო“. იგი მხოლოდ გადახედავდა ხოლმე დამსწრეთ, შემდეგ თითქოს დააპირებდა რაღაც დიდმნიშვნელოვნის თქმას და დროდადრო მოკლედ ჩაახველებდა. ბოლოს, როდესაც სუფრაზე შედარებით სიჩუმე ჩამოვარდა, პაწია კაცმაც დრო იხელთა და ხმამაღლა, საზეიმო კილოთი დაიძახა:

- მისტერ ლაფი!

ყველა გაჩუმდა, როდესაც მისტერ ლაფიმ მიუგო:

- გისმენთ, სერ.

- მინდა რამდენიმე სიტყვით მოგმართოთ, სერ, თუკი ინებებთ და ჯენტლმენებს შესთავაზებთ, ჭიქები შეავსონ.

მისტერ ჯინგლმა მოწყალე ხმით დაიძახა - „უსმინეთ, უსმინეთო“. როდესაც ჭიქები შეავსეს, თამადის მოადგილემ ღრმააზროვნად წარმოთქვა:

- გისმენთ, მისტერ სტემპლი!

- სერ, - დაიწყო კაცუნამ და წამოდგა, - იმით, რის თქმასაც ვაპირებ, მინდა პირადად თქვენ მოგმართოთ და არა ჩვენს ღირსეულ თავმჯდომარეს, რადგან ჩვენი ღირსეული თავმჯდომარე ნაწილობრივ... არა, მთლიანად წარმოადგენს მთავარ საგანს იმისას, რის თქმასაც ვაპირებ ან რაც შეიძლება...

- განვაცხადო, - უკარნახა მისტერ ჯინგლმა.

- დიახ, განვაცხადო, - განაგრძო კაცუნამ, - მე მადლობას ვწირავ ჩემს პატივცემულ მეგობარს, თუკი იგი ნებას მომცემს ასევე ვუწოდო (გაისმა ოთხი „უსმინეთ“ და ერთი მათგანი ეჭვგარეშეა მისტერ ჯინგლს ეკუთვნოდა), დახმარებისათვის... სერ, მე დელელი, დინგლი-დელელი გახლავართ (მოწონების შეძახილები). მე არ მაქვს ბედნიერება ვითვლებოდე მაგლტონის მოქალაქედ და, სიმართლე გითხრათ, არც ვიღვწი ამ ბედნიერებისათვის... მოგახსენებთ კიდეც რატომ, სერ: („უსმინეთ“) სიამოვნებით ვუთმობ მაგლტონს ყველა იმ დამსახურებასა და პატივს, რომელიც მას უფლება აქვს, მიისაკუთროს. ისინი იმდენად ცნობილი და მრავალრიცხოვანია, რომ ჩამოთვლას არ საჭიროებს... მაგრამ, სერ, ვიდრე გახსოვს, რომ მაგლტონმა დაბადა დამკინზი, დაე, ნურც იმას დავივიწყებთ, რომ დინგლი-დელმა შეიძლება იამაყოს ლაფითა და სტრაგლსითაც (მხურვალე ოვაციები). ნუ გამიგებენ ისე, თითქოს მე მინდოდეს პირველი ორი ჯენტლმენის ღირსების დამცირება. სერ, ჭეშმარიტად მე მშურს ის დიდი გრძნობები, რომელნიც დღევანდელი შეჯიბრების გამო მათ გულში ბობოქრობს (მოწონების ნიშნად ტაში). ყოველი ჯენტლმენი, ვინც კი ამჟამად მე მისმენს, შესაძლოა, იცნობდეს პა-

სუხს, რომელიც განაცხადა ერთმა პიროვნებამ, ვინც, მდაბიო გამოთქმას თუ ვიხმართ, კასრში შეკუნჭულმა, იმპერატორ ალექსანდრეს მიუგო: „მე რომ დიოგენე არ ვიყო, ალექსანდრედ ყოფნას ვისურვებდიო“. ვფიქრობ, რომ ხსენებულ ჯენტლმენებსაც შეუძლიათ თქვან: „მე რომ დამკინზი არ ვიყო, ლაფად ყოფნას ვირჩევდი... მე რომ პოდერი არ ვიყო, სტრაგლსად ყოფნას ვისურვებდიო“ (საერთო აღფრთოვანება)... მაგრამ, მაგლტონის ჯენტლმენებო! განა მარტო კრიკეტის თამაშში მჟღავნდება თქვენს მოქალაქეთა უპირატესობა? ნუთუ არასოდეს გაგიგონიათ, რომ დამკინზი და მტკიცე ნებისყოფა ერთ მთლიანობას შეადგენს? ნუთუ არ შეეჩვიეთ, რომ პოდერის სახელი და კერძო საკუთრების უფლების დაცვა განუყოფელია (ძლიერი ტაში)... გაიხსენეთ, როდესაც იბრძოდით საკუთარი უფლებების, თავისუფლებისა და პრივილეგიებისთვის. განა წუთით მაინც არ დაუსადგურებია სასოწარკვეთას თქვენს გულში?.. და აი, სწორედ ამ დროს, როდესაც დარდმა დაგჯაბნათ, განა დამკინზის სახელი კვლავ არ აღვივებდა თქვენს გულში ცეცხლს, რომელიც სადაც იყო, უნდა ჩამქრალიყო? განა არ კმაროდა ერთი სიტყვაც ამ ჯენტლმენის მიერ ნათქვამი, რომ თქვენს გულში კვლავ დანთებულიყო ისეთი დიდი კოცონი, რომელიც თითქოს და არც აპირებდა ჩაქრობას (მხურვალე ოვაციები)?.. ბატონებო, გთხოვთ ორი სახელი, დამკინზისა და პოდერის, შევამკოთ აღფრთოვანებული ტაშის ბრწყინვალე შარავანდედით!

აქ პაწია კაცი დადუმდა და მთელმა საზოგადოებამ დიდი ყვირილი და მაგიდაზე ბრახუნი ატეხა, რომელიც დიდხანს გაგრძელდა. შეისვა ახალი სადღეგრძელოებიც: მისტერ ლაფი და მისტერ სტრაგლსი, მისტერ პიკვიკი და მისტერ ჯინგლი სათითაოდ დიდი ხოტბა-დიდების საგნად იქცნენ. ყველა მათგანმა საპა-

სუხოდ დამსწრეთ წესისამებრ დიდი მადლობა გადაუხადა პატივისცემისათვის.

* * *

თუმცა დიდად აღფრთოვანებული გახლავართ იმ კეთილშობილი საქმით, რომლისთვისაც გადავდეთ თავი, მაგრამ კიდევ უფრო მეტ სიამაყეს ვიგრძნობდით იმის გამო, რომ შევქმენით ისეთი რამ, რაც უკვდავყოფს ჩვენს სახელს (რაც ამჟამად არ გაგვაჩნია), რომ შეგვეძლოს ჩვენს მკითხველს შევთავაზოთ თუნდაც ზერელე ანგარიში სამადლობელი სიტყვებისა. მისტერ სნოდგრასმა ჩვეულებისამებრ ბევრი რამ ჩაინიშნა უბის წიგნაკში, რომელიც ეჭვგარეშეა, ბევრ მეტად სასარგებლო და ძვირფას ცნობებს მოგვაწვდიდა ამ საკითხში, მაგრამ არ ვიცით, წარმოთქმული სიტყვების მხურვალე მჭევრმეტყველებამ თუ ღვინის აღმგზნებმა გავლენამ აღნიშნულ ჯენტლმენს ხელი ისე აუკანკალა, რომ ახლაც ძლივს ვარჩევთ ხელნაწერს, და რასაც ვარჩევთ, მისი შინაარსიც სრულიად უაზროა. დიდი ხნის გამოკვლევის შედეგად ჩვენ შევძელით ამოგვეკითხა მხოლოდ ზოგიერთი ცალკეული სიტყვა, რომელიც ოდნავ თუ მოგვაგონებს ორატორთა სახელებს. გავარჩიეთ აგრეთვე რომელიღაც სიმღერის ჩანაწერი (უთუოდ მას მისტერ ჯინგლი მღეროდა). სიმღერაში ხშირად პატარ-პატარა ინტერვალების გამოშვებით, მეორდება სიტყვები: „ფიალა“, „შუშხუნებს“, „ლაღი“, „მხიარული“, „ღვინო“. მაგრამ უნდა მოგახსენოთ, რომ რამდენადაც ყველა ჰიპოთეზა, რომელიც კი ამ ჩანაწერების საფუძველზე შეგვეძლო აგვეგო, მხოლოდ მიხვედრებს თუ დაეყრდნობა. ჩვენც არ გვსურს ალალბედზე გამოვიტანოთ დასკვნები, რომლებსაც საფუძვლად მხოლოდ ეს მონაცემები შეიძლება დაედოს.

აი, რატომ ვუბრუნდებით კვლავ მისტერ ტაპმენს. მხოლოდ ერთს დავუმატებთ, რომ შუაღამეს სულ რამდენიმე წამი აკლდა, როდესაც მაგლტონის ქუჩებში კვლავ გაისმოდა დინგლი--დელისა და მაგლტონის რჩეულ მოქალაქეთა ხმა; გრძნობამორეული კომპანია აღფრთოვანებით გაჰკიოდა მშვენიერსა და ჭეშმარიტად გულისამაჩუყებელ მშობლიურ სიმღერას:

არ დავიშლებით დილამდე,
არ დავიშლებით დილამდე,
არ დავიშლებით დილამდე -
ვიდრე არ მოვა აისი!

თავი VIII

თვალნათლივ გვიჩვენებს, რომ ჭეშმარიტი სიყვარულის გზა რკინიგზასავით გლუვი არ გახლავთ

დინგლი-დელის საამო მყუდროებამ, მშვენიერი სქესის წარმომადენელთა სიმრავლემ, ზრუნვამ და გულისყურმა, რომელიც მათ დაჭრილისადმი გამოიჩინეს - ყოველივემ ერთად, საგრძნობლად შეუწყო ხელი იმ ნაზი გრძნობების გაღვივებასა და გაძლიერებას, რომელიც ღრმად ჩასახულიყო მისტერ ტრესი ტაპმენის გულში და რომელთაც ახლა განგების ძალით თავი მოეყარათ ერთ მომხიბლავ არსებაში. მართალია, ყმაწვილი ქალები ეშხიანები იყვნენ, ქცევაც მეტად სასიამოვნო და გულითადი ჰქონდათ, ხასიათი ხომ - უკეთესს ვერაფერს ინატრებს კაცი, მაგრამ ამ ასაკში მათ როდი გააჩნდათ ის „ხელი არ მახლო“ და ის ღირსებით აღსავსე სიდარბაისლე, რომელიც მათ შინაბერა მამიდას ჰქონდა; სწორედ ეს თვისებები გამოარჩევდა მას ყველა იმ ასულთაგან, რომელიც კი მისტერ ტაპმენს ოდესმე უნახავს. ნათელია, რომ ისინი - რეიჩელი და ტრესი, ბუნებით ენათესავებოდნენ ერთმანეთს და მათ შორის რაღაც იდუმალი ერთსულოვნება, გულთბილი თანაგრძნობა არსებობდა! განა ამ ასულის სახელი არ იყო პირველი სიტყვა, რომელიც მისტერ ტაპმენს დასცდა, როდესაც დაჭრილი ბალახზე იწვა? განა ისტერიკული სიცილი არ იყო პირველი ბგერა, რომელიც მის ყურს მოხვდა შინ დაბრუნებისას? მაგრამ... ვინ იცის, ქალის წუხილი გამოწვეული იყო მხოლოდ და მხოლოდ ნაზი და გულითადი

მგრძნობელობით, რომელსაც ყოველი მანდილოსანი გამოიჩენს ხოლმე ასეთ შემთხვევაში ან იქნებ ამ წუხილის მიზეზი იყო უფრო ძლიერი, ვიდრე მგზნებარე გრძნობა, რომელიც ყველა მოკვდავთა შორის მხოლოდ მან, ტრესი ტაპმენმა გამოიწვია მის გულში?

ამგვარი ეჭვები უღრღნიდა გულს დაჭრილს, როდესაც იგი გაშოტილი იწვა დივანზე. ბოლოს გადაწყვიტა: რადაც უნდა დაუჯდეს, დაუყოვნებლივ, ამწამსვე სამუდამოდ უნდა გაფანტოს ეს ეჭვები.

საღამოა. იზაბელა და ემილი მისტერ ტრანდლთან ერთად სასეირნოდ წავიდნენ. ყრუ მოხუც მანდილოსანს თავის სავარძელში ჩაეძინა. სამზარეულოდან ისმის ბოკვერას ჩუმი და ერთფეროვანი ხვრინვა; ცქვიტი, კოპწია მსახური ქალები სამზარეულოს გარეთა კართან ტრიალებენ და ტკბებიან მშვენიერი საღამოთი და სასიამოვნო ფლირტით, რომელიც ყველა წესის ზუსტი დაცვით აქვე ფერმის მოჯამაგირეებთან გაუბამთ.

აგერ აქ, სასტუმრო ოთახში ზის მშვენიერი წყვილი, კაცისა და ქვეყნისაგან მიტოვებული; ეტყობა მათაც დავიწყებიათ ყველა და მხოლოდ ერთმანეთზე ოცნებობენ; ქალ-ვაჟი ისე ჩაკვრია ერთმანეთს, როგორც ორი თხელი ტყავის ხელთათმანი.

- უჰ, სულ არ მიმავიწყდა ჩემი ყვავილები, - წამოიძახა უცებ შინაბერა მამიდამ.

- ახლა მორწყეთ, - სთხოვა მისტერ ტაპმენმა.

- ო, არა, საღამო გრილია და გაცივდებით, - ალერსიანად შეეპასუხა შინაბერა.

- არა, არა, არ გავცივდები, - თქვა მისტერ ტაპმენმა და წამოდგა, - პირიქით, მომიხდება კიდეც. ნება მომეცით, გამოგყვეთ.

მანდილოსანმა შეუსწორა არტახი, რომელზეც ტაპმენს მარცხენა მკლავი ეკიდა, მარჯვენაში თავად გაუყარა ხელი და ბაღისკენ გაუძღვა.

ბაღის შორეულ კუნჭულში ფანჩატური იდგა მაღალყურძენათი, ჟასმინითა და სხვა მცენარეებით სავსე - ერთ-ერთი საამო თავშესაფარი, რომელსაც კეთილი ადამიანები ობობათა თავშესაფრად აგებენ.

შინაბერა მამიდამ აიღო ფანჩატურის ერთ-ერთ კუთხეში მიგდებული ვეებერთელა წითელი სარწყავი და ის იყო დააპირა გარეთ გამოსვლა, რომ უეცრად მისტერ ტაპმენმა შეაჩერა და იქვე სკამზე მოისვა გვერდში.

- მის უორდლ! - წარმოთქვა მან.

შინაბერა მამიდა ისე აკანკალდა, რომ კენჭები, რომლებიც შემთხვევით წყალს ჩაჰყოლოდა სარწყავში, ბავშვის ჩხარუნასავით ახმაურდა.

- მის უორდლ, - წარმოთქვა მისტერ ტაპმენმა, - თქვენ ანგელოზი ხართ!

- მისტერ ტაპმენ! - დაიჩურჩულა რეიჩელმა და თან ისე გაწითლდა, რომ სარწყავისფერი დაედო სახეზე.

- არა, კიდევ მეტიც, მე კარგად ვიცი, რომ კიდევ მეტიც ხართ! - განაგრძო ენამჭევრმა პიკვიკელმა.

- ამბობენ ყველა ქალი ანგელოზიაო, - ეშმაკურად შენიშნა მანდილოსანმა.

- თუ ასეა, მაშინ თქვენ, თქვენ, რაღა უნდა იყოთ? ან ვის უნდა შეგადაროთ? - მიუგო მისტერ ტაპმენმა, - განა ოდესმე ყოფილა ქალი, რომელიც თქვენ ოდნავ მაინც გგავდათ? სად შეიძლება კიდევ ვნახო სილამაზისა და სათნოების ესოდენ იშვიათი შერწყმა? სად შეიძლება კიდევ ვნახო... ოჰ! - აქ მისტერ ტაპმენი და-

დუმდა და გრძნობამორეულმა მოუჭირა ხელს, რომელსაც ბედნიერი სარწყავი ეკავა.

ქალმა პირი მიიბრუნა.

- კაცები ისეთი მატყუარები არიან, - ნაზად ჩაიჩურჩულა მან.

- მართალი ბრძანდებით, არიან, განა არ არიან, - წამოიძახა მისტერ ტაპმენმა, - მაგრამ ყველა ასეთი როდია... მერწმუნეთ, ამქვეყნად ერთი არსება მაინც ცოცხლობს, რომელიც არასოდეს გიმტყუნებთ... რომელიც მზადაა, მთელი თავისი სიცოცხლე თქვენს ბედნიერებას შესწიროს... რომელიც ცოცხლობს მხოლოდ მაშინ, როდესაც თქვენს მშვენიერ თვალებს უმზერს... რომელსაც მხოლოდ თქვენი ღიმილი ასულდგმულებს... რომელიც ცხოვრების მძიმე ტვირთს მხოლოდ თქვენ გამო ზიდავს!

- ასეთი ადამიანი რომ შემხვედროდა... - დაიწყო მანდილოსანმა.

- კიდევაც შეგხვდათ, ნამდვილად შეგხვდათ! - სიტყვა შეაწყვეტინა მგზნებარე ტაპმენმა, - იგი თქვენ წინ დგას, მის უორდლ! - წარმოთქვა ეს სიტყვები და ვიდრე შინაბერა მამიდა განზრახვას მიუხვდებოდა, მისტერ ტრესი ტაპმენი მის წინ მუხლებზე დაეცა.

- აბრძანდით, მისტერ ტაპმენ! - წამოიძახა რეიჩელმა.

- არასოდეს! - გაისმა რაინდული პასუხი, - ო, რეიჩელ! - მან ხელი სტაცა ქალის ისედაც ადვილად დამყოლ ხელს და ტუჩებზე მიიკრა. სარწყავი ძირს დავარდა, - ო, რეიჩელ! მითხარით, რომ გიყვარვართ!

- მისტერ ტაპმენ, - წარმოთქვა შინაბერა მამიდამ და სახე მორცხვად მიიბრუნა, - მერწმუნეთ, ამ სიტყვებს ძლივს ვამბობ, მაგრამ... მე მგონი... მე მგონი... არც მე ვარ თქვენდამი გულგრილად განწყობილი.

როგორც კი გაიგონა მისტერ ტაპმენმა ეს პასუხი, უმალვე შეუდგა იმის შესრულებას, რასაც მისი მგზნებარე გრძნობები უკარნახებდა და რასაც, რამდენადაც გაგვიგონია (რადგან მართალი გითხრათ, ამ საქმეში დიდად გაწაფული არ გახლავართ), მიმართავს ყველა ადამიანი ასეთ პირობებში. იგი წამოხტა, შინაბერას კისერზე შემოეხვია და მის ტუჩებზე მრავალი კოცნა აღბეჭდა, რაც მანდილოსანმა ჩვეული და კანონიერი შებრძოლებისა და წინააღმდეგობის გაწევის შემდეგ, იმდენად უყოყმანოდ მიიღო, რომ ვინ იცის, გულმხურვალე შეყვარებული კიდევ რამდენჯერ გადაკოცნიდა ქალს, რომ უეცრად რეიჩელი შეხტა და ახლა კი ნამდვილად შეშინებული ხმით შესძახა:

- მისტერ ტაპმენ, შეხედეთ, გვითვალთვალებენ! დაგვინახეს კიდეც!..

მისტერ ტაპმენმა უკან მოიხედა: მის წინ ბოკვერა ატუზულიყო და თვალებგადმოქაჩული ფანჩატურში იყურებოდა; მაგრამ, უნდა ითქვას, რომ მისი სახე ოდნავადაც არ გამოხატავდა იმ გრძნობას, რომელსაც გამოცდილმა ფიზიონომისტმა შეუძლია უწოდოს განცვიფრება, ცნობისმოყვარეობა ანდა სხვა ცნობილი გრძნობა, რომელიც ჩვეულებრივ მომაკვდავთა გულს აღელვებს.

მისტერ ტაპმენი ბოკვერას ჩააცქერდა, ბოკვერა კი მისტერ ტაპმენს დააშტერდა. რაც უფრო დიდხანს უმზერდა მისტერ ტაპმენი ბოკვერას უაზრო სახეს, მით უფრო რწმუნდებოდა, რომ ბიჭს ან არაფერი დაუნახავს, ანდა არ იცოდა რასაც ნიშნავდა ის, რაც მის თვალწინ ხდებოდა.

დარწმუნდა რა ამაში, მან მტკიცედ წარმოთქვა:

- აქ რა გინდათ, ყმაწვილო?

- ვახშამი მზად გახლავთ, სერ, - ისე სწრაფად მიუგო ბოკვერამ, რომ თვალიც არ დაუხამხამებია.

- ახლა მოხვედი? - ჰკითხა მისტერ ტაპმენმა და თვალი თვალში გაუყარა.

- ამწუთას მოვედი, - მიუგო ბოკვერამ.

მისტერ ტაპმენი კვლავ ჩააშტერდა, მაგრამ რადგან ბიჭის სახეზე წარბიც არ შერხეულა, გულდამშვიდებულმა შინაბერა მამიდას გაუყარა ხელი და სახლისკენ გასწია. შეყვარებული წყვილის უკან ბოკვერა მიჩანჩალებდა.

- წარმოდგენაც არა აქვს იმაზე, რაც აქ მოხდა, - ჩასჩურჩულა მისტერ ტაპმენმა მანდილოსანს.

- მართლაც არაფერი შეუმჩნევია, - მიუგო შინაბერამ.

უეცრად მათ ზურგს უკან გაისმა რაღაც ხმაური, რომელიც თითქოს მიყრუებულ ხითხითს გავდა. მისტერ ტაპმენი სწრაფად მოტრიალდა. არა, შეუძლებელია, რომ ბიჭი ყოფილიყო, მას სიცილის ნატამალიც არ ემჩნეოდა და საერთოდ მისი სახე არაფერს გამოხატავდა სიმსუქნისა და ჯანმრთელობის გარდა.

- უთუოდ ეძინა, - ჩასჩურჩულა კვლავ მისტერ ტაპმენმა თანამგზავრს.

- ეჭვიც არ მეპარება, - კვერი დაუკრა შინაბერა მამიდამ.

ორივეს გულიანად გაეცინა.

მაგრამ მისტერ ტაპმენი ცდებოდა: ბოკვერას ამჯერად არ ეძინა! იგი ფხიზელი გახლდათ, სრულიად ფხიზელი და ამიტომ ნანახიდან არაფერი, თვით იოტისოდენაც კი არ გამოჰპარვია!

ვახშამმა ისე ჩაიარა, რომ არავის სურდა საერთო საუბრის გამართვა. მოხუცი ლედი დასაძინებლად ავიდა; იზაბელა უორდლმა მისტერ ტრანდლისთვის გადადო თავი; შინაბერა მამიდა მხოლოდ მისტერ ტაპმენს ევლებოდა თავს, ემილის ფიქრები კი, ეტყობა, რაღაც შორეულ საგანს დასტრიალებდა და ვინ იცის, ისინი წასულ სნოდგრასს გაჰყვნენ თან.

გახდა თერთმეტი, თორმეტი, მერე პირველმაც ჩამოჰკრა. ჯენტლმენები კი არსად ჩანდნენ. ყველას სახე დაუდარდიანდა: ვაითუ, გზაში ვინმე დაუხვდათ და გაძარცვაო? ხომ არ დაგზავნონ კაცები სანათებით იმ გზაზე, რომლითაც შეიძლება ისინი სახლისკენ წამოსულიყვნენ? ან იქნებ... ჩუ! აგერ, მოვიდნენ... ნეტავ რატომ დააგვიანდათ? ვიღაც უცხოს ხმაც ისმის!.. ნეტავ, ვინ უნდა იყოს?..

ყველამ სამზარეულოს მიაშურა. სულ მალე გამოირკვა საქმის ნამდვილი ვითარება.

მისტერ პიკვიკი, რომელსაც ხელები ჯიბეში ჩაეწყო და ქუდი მარცხენა თვალზე ჩამოეფხატა, ზურგით ბუფეტს მიყრდნობოდა, თავს აქეთ-იქით აქნევდა და გარშემო უხვად აბნევდა ალერსიან და მოწყალე ღიმილს ყოველგვარი მიზეზისა და საბაბის გარეშე. ღვინისგან აღაჟღაჟებული მოხუცი უორდლი გულთბილად ართმევდა ხელს უცხო ჯენტლმენს და თანაც ბურტყუნით განუყრელ მეგობრობას ეფიცებოდა; მისტერ უინკლი საათს მიყრდნობოდა, რომელსაც კვირაში მხოლოდ ერთხელ სჭირდებოდა მომართვა და მიკნავებული ხმით განადგურებას უქადდა ოჯახის იმ წევრს, რომელიც გაბედავდა და მას დასაძინებლად წასვლას ურჩევდა. მისტერ სნოდგრასი სავარძელში ჩასვენებულიყო. მისი მეტყველი სახის ყოველი ნაკვთი ისეთ მძიმე და უიმედო სევდას გამოხატავდა, რომელიც კი შეუძლია წარმოიდგინოს ადამიანის გონებამ.

- რა მოხდა? - იკითხა სამივე მანდილოსანმა ერთად.

- არაფერიც არ მომხდარა, - მიუგო მისტერ პიკვიკმა, - ჩვენ... ჩვენ... ჩინებულად გახლავართ, ჩინებულად... არა, უორდლ?

- ოღონდაც, - კვერი დაუკრა მხიარულმა მასპინძელმა, - ჩემო ძვირფასებო, აგერ გახლავთ ჩემი მეგობარი, მისტერ ჯინგლი,

მისტერ პიკვიკის მეგობარი... მისტერ ჯინგლი... შემთხვევით გავიცანი... ცოტა ხნით აი, აქაც გვესტუმრა.

- მისტერ სნოდგრასს რაღა დაემართა, სერ? - აღელვებით იკითხა ემილიმ.

- არაფერი არ დამართნია, ქალბატონო, - მიუგო უცნობმა, - კრიკეტისტებთან ვისადილეთ... ჩინებული ხალხია... საუცხოო სიმღერები... ძველისძველი პორტვეინი... კლარეტი... დიდებულია, დიდებული... ღვინის ბრალია, ქალბატონო, ღვინის!

- ღვინის ბრალი არ არის, - ნაწყვეტ-ნაწყვეტად წაილუღლუღა მისტერ სნოდგრასმა, - ეს თევზის ბრალია, თევზის (მოგეხსენებათ, მკითხველო, ასეთ დროს ღვინოს ბრალს არ სდებენ ხოლმე).

- ქალბატონო, უმჯობესი არ იქნება, რომ ახლავე დაიძინონ? - შენიშნა ემიმ, - ორი მსახური მათ ახლავე აიყვანს მაღლა.

- არ დავწვები! - მტკიცედ წარმოთქვა მისტერ უინკლმა.

- ვერც ერთი ცოცხალი არსება ვერ ამიყვანს მაღლა, - გადაჭრით განაცხადა მისტერ პიკვიკმაც და კვლავ გაიღიმა.

- ვაშა! - წაილუღლუღა მისტერ უინკლმა.

- ვაშა! - ბანი მისცა მისტერ პიკვიკმა, ქუდი მოიხადა და მიწას დაანარცხა; მერე, თითქოს შეიშალაო, სათვალე სამზარეულოს შუაგულში მოისროლა და ამ ოინზე თვითონვე გულიანად გადაიხარხარა.

- მოდით... ერთი ბოთლიც დავლიოთ... - თქვა მისტერ უინკლმა. თუმც წინადადება მეტად ხმამაღლა დაიწყო, მაგრამ ძლივს გასაგონი ჩურჩულით დაამთავრა; თავი მკერდზე ჩამოუვარდა; ერთხელ კიდევ წაილუღლუღა მტკიცე გადაწყვეტილება - არამც და არამც არ დავწვებიო, მწარედ ინანა „რატომ დილით ბებერი ტაპმენი არ ჩავაძაღლეო“ - და იქვე მიიძინა. ამ მდგომარეობაში აიტანა იგი საწოლ ოთახში ორმა გოლიათმა

მსახურმა ბოკვერას პირადი მეთვალყურეობით და მისტერ სნოდგრასმაც საბოლოოდ ამ ყმაწვილის ზრუნვას მიანდო თავისი ძვირფასი არსება.

მისტერ პიკვიკს სახეზე კვლავ ღიმილი უთამაშებდა. იგი დაეყრდნო ხელს, რომელიც მას ტაპმენმა შესთავაზა და უჩუმრად გაქრა. მისტერ უორდლი ისე გულაჩუყებული დაემშვიდობა მთელ ოჯახს, თითქოს სახრჩობელაზე მიჰყავთო; მერე მოწყალედ დართო ნება მისტერ ტრანდლს კიბეზე აეცილებინა და ოთახიდან გავიდა, თანაც, რაც ძალა და ღონე ჰქონდა, ცდილობდა შეენარჩუნებინა დარბაისლური და საზეიმო იერი.

- რა საძაგელი სანახაობაა! - წამოიძახა შინაბერა მამიდამ.

- ამაზრზენი! - წამოიძახა ორივე ყმაწვილმა ქალმა.

- შემაძრწუნებელი! - ღრმაააზროვნად დაუკრა კვერი მისტერ ჯინგლმა, თუმცა თვითონ დანარჩენებზე ბოთლ-ნახევრით მეტი მაინც ექნებოდა დალეული, - ფრიად ამაზრზენი სანახაობა... ფრიად!

- რა თავაზიანი კაცია! - ჩასჩურჩულა შინაბერა მამიდამ მისტერ ტაპმენს.

- კარგი შესახედიცაა! - წაიჩურჩულა ემილი უორდლმა.

- ნამდვილად! - დაეთანხმა შინაბერა მამიდა.

მისტერ ტაპმენს უეცრად როჩესტერის ქვრივი მოაგონდა და შეშფოთდა. ვერც ნახევარსაათიანმა საუბარმა დაამშვიდა მისი აფორიაქებული სული. უცნობი მეტად ტკბილი მოსაუბრე აღმოჩნდა და ანეკდოტების რიცხვს, რომელსაც ის ჰყვებოდა, მის მიერვე ნათქვამი კომპლიმენტის რაოდენობა თუ აღემატებოდა. მისტერ ტაპმენი თვალნათლივ რწმუნდებოდა, რომ რაც უფრო იზრდებოდა მისტერ ჯინგლის პოპულარობა, მით უფრო იჩრდილებოდა თვითონ (მისტერ ტაპმენი). წაუხდა გუნება: ნაძალადევად იცინოდა და ცდილობდა ყველას წინაშე მხიარულად მოეჩ-

ვენებინა თავი. ბოლოს, როდესაც ატკივებული საფეთქლები ბალიშზე დადო, ბოროტი სიხარულით გაიფიქრა - რა კარგი იქნება ახლა ჯინგლის თავი ამ ლეიბსა და ყურთბალიშს შუა გამაჭყლეტინაო.

მეორე დილას, ადრიანად, უცნობი უკვე ზეზე იყო, მაშინ, როცა მისი თანამესუფრენი, წინაღამის ქეიფით დაქანცულნი, ჯერ კიდევ საწოლში ნებივრობდნენ. საუზმეზე თავი არ დაზოგა, რომ მასპინძლები გაემხიარულებინა, და თქვენ წარმოიდგინეთ, დიდ წარმატებასაც მიაღწია: ისე მარჯვედ წარმართა საქმე, რომ თვით მხცოვანმა მანდილოსანმაც კი მოითხოვა - ერთი ან ორი საუკეთესო ანეკდოტი ყურის მილაკში მომიყევითო; შემდეგ კი შინაბერა მამიდას გადაუჩურჩულა, დიდი ანცი რამ არისო! (ნამდვილად ჯინგლს გულისხმობდა). ეს შეხედულება ყველამ ერთხმად გაიზიარა.

მხცოვან ქალბატონს ჩვეულებად ჰქონდა - ზაფხულის მზიან დღეებში იმ ფანჩატურისკენ გაისეირნებდა ხოლმე, სადაც, როგორც მოგახსენეთ, ესოდენ დიდი გმირობა ჩაიდინა მისტერ ტაპმენმა. ეს გასეირნება შემდეგნაირად ეწყობოდა: უპირველეს ყოვლისა - ლურსმნიდან, რომელიც ქალბატონის საწოლი ოთახის კარის უკან იყო მიჭედებული, ბოკვერა ჩამოიღებდა ხოლმე შავი ატლასის ქუდს, ბამბის თბილ შალსა და მძიმესახელურიან სქელ ჯოხს. მოხუცი ქალბატონი აუჩქარებლად დაიხურავდა ქუდს, წამოისხამდა შალს, ცალი ხელით ჯოხს დაეყრდნობოდა, მეორით ბოკვერას მხარს და დინჯად გასწევდა ფანჩატურისკენ. მისვლისთანავე ბოკვერა მანდილოსანს ნახევარი საათით მარტო დატოვებდა, რომ ქალბატონი სუფთა ჰაერით დამტკბარიყო. მიიწურებოდა თუ არა აღნიშნული დრო, ბიჭი ბრუნდებოდა და სახლში მიჰყავდა.

დიდი ქალბატონი ზედმიწევნით ზუსტი და პუნქტუალური გახლდათ. უკვე ზედიზედ მესამე ზაფხული იყო, რაც აღნიშნული ცერემონია უცვლელად სრულდებოდა და წარმოიდგინეთ მისი გაოცება, როდესაც ხსენებულ დილას ბოკვერამ, იმის ნაცვლად, რომ ქალბატონი დაეტოვებინა და ფანჩატურიდან წასულიყო, მხოლოდ რამდენიმე ნაბიჯით დაიხია უკან, ფრთხილად მიიხედ-მოიხედა, ფეხაკრეფით მიუახლოვდა ქალბატონს და საიდუმლო გამომეტყველებით ჩააშტერდა.

უნდა მოგახსენოთ, რომ მხცოვანი ლედი, როგორც ყველა მოხუცი ქალი, მეტად მშიშარა გახლდათ და ამიტომ ახლაც უპირველესად თავში გაუელვა, - ვაითუ, ამ გაბერილ ბიჭს განუზრახავს სასტიკად დამაშავოს, რომ ხელში ჩაიგდოს ჩემი ნაღდი ფულიო. შეშინებულს უნდოდა დაეყვირა, მიშველეთო, მაგრამ ასაკსა და უძლურებას დიდი ხანია წაერთმია მისთვის კივილის უნარი და ამიტომ ახლა მხოლოდ შეძრწუნებული შეჰყურებდა ბიჭის ყოველ მოძრაობას. ძრწოლამ არამც და არამც არ იკლო, როდესაც ბიჭი ზედ მიადგა მოხუცს და აღელვებული და კიდევ, როგორც მოხუცს მოეჩვენა, მუქარით სავსე ხმით ყურში ჩასძახა:

- ქალბატონო!

მოხდა ისე, რომ სწორედ ამ დროს ფანჩატურის ახლოს ბაღში მისტერ ჯინგლი დასეირნობდა. მის ყურსაც მისწვდა შეძახილი „ქალბატონო“, და ამიტომ შეჩერდა, უნდოდა გაეგო, რა მოჰყვებოდა ამ შეძახილს. ასე მოიქცა სამი მიზეზის გამო: ჯერ ერთი - ცნობისმოყვარე გახლდათ და გასართობი კი იმ წუთს არაფერი ჰქონდა; მეორეც, მეტისმეტად მორიდებული მაინცდამაინც არასოდეს ყოფილა, და ბოლოს მესამე და უკანასკნელიც - მეტად მოხერხებულ თავშესაფარში აღმოჩნდა - გაშლილი ბუჩქები თა-

ვით ფეხამდე ფარავდნენ მას გამვლელ-გამომვლელთაგან. ისიც გაირინდა და ყური მიუგდო.

- ქალბატონო! - ჩაჰყვირა კვლავ ბოკვერამ.

- რა დაგემართა... ჯოუ? - ძლივს წამოილუღლუღა აკანკალებულმა მანდილოსანმა. - შენ მიმართ... მგონი... მუდამ კეთილი ქალი... ქალბატონი ვიყავი, ჯოუ... მუდამ კეთილად გექცეოდი... სამუშაოთი მაინცდამაინც არ მომიკლავხარ... საჭმელ--სასმელიც ბლომად გაქვს.

ამ უკანასკნელმა მოსაზრებამ ეტყობა ბოკვერას გულში უნაზესი სიმი აათრთოლა და გულაჩუყებულმა უმალვე მიუგო:

- ვიცი, განა არ ვიცი.

- მაშ, რას მიპირებ, ჯოუ? - ცოტა გულს მოეშვა მოხუცს.

- მინდა სულ ჟრუანტელმა დაგიაროთ, - მიუგო ბიჭმა.

მართალი გითხრათ, ფრიად უწყალო ხერხია ამგვარად გადაუხადო კაცს მადლობა. მოხუცი ლედიც კარგად ვერ მიხვდა, რა საშუალებით მიაღწევდა მსახური ასეთ შედეგს და ამიტომ ში-ში კვლავ განუახლდა.

- როგორ გგონიათ, რა ვნახე წუხელ აქ, აი ამ ფანჩატურში? - ჰკითხა მოხუცს ბოკვერამ.

- ღმერთო, შენ შემიწყალე, რა ნახე? - წამოიძახა მოხუცმა ლედიმ. ჩასუქებული ყმაწვილის უცნაურმა ქცევამ კიდევ უფრო შეაშფოთა იგი.

- უცხო ჯენტლმენი, აი ის, ხელში რომ დასჭრეს, ეხვეოდა და კოცნიდა...

- ვის, ჯოუ? მოახლეს ხომ არა?

- უფრო უარესი, - იღრიალა ბოკვერამ ზედ მოხუცის ყურთან.

- ნუთუ ერთ-ერთ ჩემს შვილიშვილს?

- უარესი.

- ამაზე უარესიც, ჯოუ? - წამოიძახა მოხუცმა ლედიმ; ამაზე საშინელი ბოროტმოქმედება მას ვერც კი წარმოედგინა, - მაშ, ვინ იყო ის ქალი, ჯოუ? მე უნდა ვიცოდე, თქვი!

ბოკვერამ კვლავ ფრთხილად მიმოიხედა და როდესაც მოთვალიერება მოათავა, მოხუც ლედის ყურში ჩასძახა:

- მის რეიჩელს!

- რაო?! - გამყივანი ხმით იკივლა მოხუცმა, - უფრო ხმამაღლა თქვი.

- მის რეიჩელს! - იღრიალა ბოკვერამაც.

- ჩემს ქალიშვილს?!

ნათქვამის დასამტკიცებლად ბიჭმა თავი დააქიცინა, მსუქანი ლოყები სასაცილოდ აუთამაშდა.

- მერედა, როგორ აიტანა! - წამოიძახა მოხუცმა ლედიმ.

ბოკვერა ეშმაკურად გაიკრიჭა და დინჯად უპასუხა:

- თავადაც კოცნიდა ჯენტლმენს, ჩემი თვალით ვნახე.

საფრიდან მისტერ ჯინგლს რომ არ დაენახა, რა გამომეტყველება მიიღო მოხუცის სახემ ამ ამბის გაგონებაზე, უთუოდ სიცილი წასკდებოდა და ამით ნამდვილად გასცემდა თავს. მაგრამ იგი მხოლოდ გულდასმით უსმენდა მანდილოსნის გაჯავრებულ შეძახილებს, რომელიც ნაწყვეტ-ნაწყვეტად სწვდებოდა მის ყურს: „ჩემი ნებართვის გარეშე!“ „მის ასაკში!“ „ვაი, უბედურო დედაბერო!“ „ვერ მოიცადა, ვიდრე მოვკვდებოდი...“ და სხვა ამგვარი; შემდეგ გარკვევით მოისმა ბოკვერას ფეხის ხრაშახრუში ქვიშაზე - ეტყობა, ბიჭი ფანჩატურიდან გავიდა და ქალბატონი მარტო დატოვა.

შესაძლოა ასეთი დამთხვევა უცნაურიც მოგეჩვენოთ მკითხველო, მაგრამ ფაქტი მაინც ფაქტად რჩება (ჭეშმარიტებას, აბა, სად გაექცევი), რომ წინა ღამით ხუთი წუთის მოსულიც არ გახლდათ მისტერ ჯინგლი მეინორის ფერმაზე და გულში უკვე ერთი

მტკიცე გადაწყვეტილება მიეღო - დაუყოვნებლად იერიში მიეტანა შინაბერა მამიდის გულზე; თანაც ცოტა ხნის დაკვირვებამ დაარწმუნა, რომ შეტევის მშვენიერი საგანი სულაც არ კიცხავდა მის მოურიდებელ ქცევას. ესეც რომ არ იყოს, მას თითქოს ეჭვიც კი არ ეპარებოდა, რომ ხსენებულ მანდილოსანს ერთი მეტად სასურველი და შესანიშნავი ღირსება გააჩნდა: საკუთრად მას კაი გვარიანი ქონება უნდა ჰქონოდა, ამიტომ ახლაც მისტერ ჯინგლს უმალვე თავში გაუელვა, რომ საჭირო იყო როგორმე გზიდან ჯერ მეტოქე ჩამოეშორებინა; გადაწყვიტა, დაუყოვნებლივ შესდგომოდა საქმეს და წარმატებითაც დაეგვირგვინებინა. მისტერ ჯინგლმა საუცხოოდ იცოდა, რომ ყმაწვილი კაცები შინაბერა მამიდებისთვის იგივეა, რაც ანთებული აისი - დენთისთვის. ამიტომ გადაწყვიტა - დაუყოვნებლივ მოეხდინა აფეთქება.

მიიღო თუ არა ეს მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება, სამალავიდან გამოცოცდა და სახლისკენ გასწია, თან ზემოხსენებულ ბუჩქებს ეფარებოდა. ეტყობა, მის ჩანაფიქრს თვით ბედი სწყალობდა. შორიდანვე მოჰკრა თვალი, რომ მისტერ ტაპმენი და დანარჩენი ჯენტლმენები ბაღის ჭიშკრიდან გადიოდნენ; ისიც იცოდა ჯინგლმა, რომ ყმაწვილმა ქალებმაც საუზმის შემდეგ ტყისკენ გაისეირნეს.

გზა ხსნილია!

სასტუმრო ოთახის კარი ნახევრად ღიაა. შიგნით შეიჭყიტა; შინაბერა მამიდა ქსოვს.

ჯინგლმა ჩაახველა. ქალმა თავი ასწია და გაუღიმა. მისტერ ალფრედ ჯინგლს მეტიც არ უნდოდა (მოგეხსენებათ, ყოყმანი არასოდეს სჩვეოდა). მან საიდუმლოდ მიიდო თითი პირზე, ოთახში შევიდა და კარი მიიხურა.

- მის უორდლ, - განგებ პირქუშად მიმართა მან მანდილოსანს, - მომიტევეთ თავხედურად რომ შემოვიჭერი, რაც გინდა

იყოს, ახლახან გაგიცანით... მაგრამ ცერემონიების დრო არ არის... ყოველივე გამოაშკარავდა!

- სერ! - შესძახა შინაბერა მამიდამ, რომელიც გააოცა ამ მოულოდნელმა გამოჩენამ და ახლა თავში გაუელვა - ეს კაცი ხომ არ შეიშალაო.

- ჩუმად! - თეატრალური ჩურჩულით წამოიძახა მისტერ ჯინგლმა, - ზორბა ბიჭი... მთვარესავით სახე... მრგვალი თვალები... არამზადა! - აქ მან მეტყველად გააქნია თავი, შინაბერას კი ღელვისგან კანკალი აუვარდა.

- უთუოდ ჯოზეფს გულისხმობთ, სერ, არა? - ჰკითხა ჯინგლს და თანაც შეეცადა როგორმე დამშვიდებულიყო.

- დიახ, ქალბატონო, ეშმაკსაც წაუღია ის თქვენი ჯოზეფი! ძაღლია, მოღალატე!.. ყველაფერი მოხუც ქალბატონს ჩაუკაკლა... ქალბატონი გაფითრდა... გაცოფდა... იქვე ფანჩატურში უთხრა, ტაპმენი კოცნიდა და ეხვეოდაო - და სხვა ამგვარები... რას იტყვით, ქალბატონო?

- მისტერ ჯინგლ, - წარმოთქვა შინაბერა მამიდამ, - სერ, თუ აქ იმისთვის მობრძანდით, რომ შეურაცხყოფა მომაყენოთ...

- ო, სულაც არა, მერწმუნეთ, აზრადაც არ მომსვლია, - ურცხვად მიუგო მისტერ ჯინგლმა, - შემთხვევით გავიგონე... მოვედი, რომ გაგაფრთხილოთ საშიშროების შესახებ... ჩემი სამსახური შემოგთავაზოთ... აურზაური რომ არ ატყდეს... ნუ შეწუხდებით... თუკი შეურაცხყოფად თვლით, ამ წამსვე წავალ... - მისტერ ჯინგლი მიბრუნდა, თითქოს დაუყოვნებლივ აპირებდა სისრულეში მოეყვანა მუქარა.

- რაღა მეშველება! - შესძახა საცოდავმა შინაბერამ და მწარედ აქვითინდა, - ჩემი ძმა გაგიჟდება!

- ჰო... გაგიჟდება, - დაუკრა კვერი მისტერ ჯინგლმა, - დიახ, აღშფოთდება.

- ო, მისტერ ჯინგლ, რა უნდა ვქნა? - წამოიყვირა შინაბერამ და თვალთაგან კვლავ გადმოხეთქა სასოწარკვეთის ნიაღვარმა.

- თქვით, დაესიზმრა-თქო, - მშვიდად მიუგო მისტერ ჯინგლმა.

ამ რჩევის გაგონებაზე იმედის შუქმა გაუნათა შინაბერას გული. მისტერ ჯინგლმა ეს მაშინვე შენიშნა და ხელსაყრელი შემთხვევა ხელიდან არ გაუშვა.

- სისულელეა!.. ამაზე ადვილი რა არის... ცუღლუტი ბიჭი... მომხიბლავი მანდილოსანი... იმ სქელ ყმაწვილს ერთი კარგა მითეთქვავენ... თქვენ დაგიჯერებენ... გათავდა და მორჩა.

ვერ გეტყვით შინაბერას რამ უფრო შეუმსუბუქა დარდი: იმან, რომ ასე ადვილად გადაურჩებოდა ამ გამჟღავნების მძიმე შედეგებს, თუ იმან, რომ „მომხიბლავი მანდილოსანი“ უწოდეს; ეს კია, რომ ოდნავ გაწითლდა და მადლიერი თვალებით გადახედა მისტერ ჯინგლს...

გაქექილმა ჯენტლმენმა ღრმად ამოიოხრა, შინაბერას სახეს ერთი-ორი წუთით ნაღვლიანად ჩააშტერდა, მერე თითქოს შეკრთა და თვალები დახარა.

- გეტყობათ, თქვენც იტანჯებით, მისტერ ჯინგლ, - წარმოთქვა შინაბერამ, - ნება მიბოძეთ, მადლობის ნიშნად თქვენი ესოდენ კეთილი ჩარევისათვის ჩემს საქმეში, გკითხოთ - რა არის თქვენი დაღონების მიზეზი... იქნებ მეც რამეთი შეგიმსუბუქოთ დარდი?

- ოჰ! - ამოიოხრა მისტერ ჯინგლმა, - შემიმსუბუქოთ! შემიმსუბუქოთ დარდი მაშინ, როდესაც თქვენ, თქვენ უღირსი ადამიანი გიყვართ, ადამიანი, რომელიც არ აფასებს მინიჭებულ ნეტარებას... რომელიც ახლაც კი გეგმებს აწყობს, რომ როგორმე თავი შეაყვაროს იმ მშვენიერი არსების ძმისწულს, რომელიც... მაგრამ არა! ის ხომ ჩემი მეგობარია... არ მინდა ვამხილო მისი ბოროტება... მის უორდლ, მშვიდობით!

დაასრულა თუ არა სიტყვა (რომელიც, მართალი გითხრათ, ყველაზე უფრო დალაგებული გამოუვიდა, რაც კი ოდესმე წარმოუთქვამს), მისტერ ჯინგლმა თვალებზე მიიფარა ცხვირსახოცი და კარისკენ გაბრუნდა.

- შეჩერდით, მისტერ ჯინგლ! - შეევედრა შინაბერა მამიდა, - წეღან თითქოს მისტერ ტაპმენს გადაჰკარით... ამიხსენით, გეთაყვა, რას ნიშნავს ეს?

- არასოდეს! - წამოიძახა მისტერ ჯინგლმა თეატრალური ტონით, - არასოდეს! - და რომ ეჩვენებინა, ამ საკითხზე მეტი არაფერი მკითხოთო, თავისი სკამი შინაბერას სკამს მიჯრით მიუდგა და დაჯდა.

- მისტერ ჯინგლ, - წარმოთქვა შინაბერამ, - გევედრებით, გემუდარებით, თუკი რაიმე, თუნდაც საშინელი საიდუმლო იცით, რომელიც უშუალოდ მისტერ ტაპმენს ეხება, გამიმჟღავნეთ.

- როგორ შემიძლია, - წარმოთქვა მისტერ ჯინგლმა და თვალები კვლავ შინაბერას სახეს მიაპყრო, - როგორ შემიძლია მშვიდად ვუმზირო მომხიბლავ არსებას, როდესაც მას მსხვერპლად სწირავენ... საშინელ სიხარბეს! - რამდენიმე წამის განმავლობაში მის გულში თითქოს საწინააღმდეგო გრძნობების ჭიდილი გაიმართა. ბოლოს ყრუდ წარმოთქვა:

- ტაპმენს მხოლოდ თქვენი ფული უნდა!

- არამზადა! - წამოიძახა შინაბერამ გაბრაზებით.

მისტერ ჯინგლის ეჭვები საბოლოოდ გაიფანტა: ქალს მართლაც ჰქონია კარგა მოზრდილი თანხა!

- კიდევ მეტიც, - წარმოთქვა ჯინგლმა, - სხვა უყვარს.

- სხვა?! - წამოიძახა შინაბერამ, - მერედა, ვინ?

- დაბალი გოგონა - შავთვალა, ძმისწული ემილი.

ერთხანს სიჩუმე ჩამოვარდა.

უნდა მოგახსენოთ, რომ, თუ ქვეყნად არსებობდა ადამიანი, რომელსაც შეეძლო სამკვდრო-სასიცოცხლო შური გამოეწვია შინაბერას გულში - ეს სწორედ ზემოხსენებული ძმისწული გახლდათ. შინაბერას ღაწვები შეუფაკლდა, ენით გამოუთქმელი ზიზღით გააქნია თავი, თხელი ტუჩები მოიკვნიტა, ცხვირი მაღლა ასწია და წარმოთქვა:

- შეუძლებელია, ვერ დავიჯერებ!

- თვალყური ადევნეთ, - ურჩია ჯინგლმა.

- კეთილი, - დაეთანხმა შინაბერა.

- განსაკუთრებით მის თვალებს დააკვირდით.

- კეთილი.

- ყური უგდეთ მის ჩურჩულს.

- კეთილი.

- ნახეთ... სუფრაზე გვერდით მიუჯდება.

- მიუჯდეს!

- ქათინაურებს ეტყვის!

- უთხრას!

- არშიყობას დაუწყებს.

- დაუწყოს!

- თქვენ კი მიგატოვებთ.

- მიმატოვებს! - იკივლა შინაბერა მამიდამ, - მიმატოვებს, არა? - იმედგაცრუებული ასული ჯავრით აცახცახდა.

- მაშინ ხომ დარწმუნდებით? - ჰკითხა ჯინგლმა.

- დავრწმუნდები.

- მაგრად დაუდგებით?

- დავუდგები!

- და აღარ შეურიგდებით?

- არ შევურიგდები!

- სხვას გაჰყვებით?

- გავყვები!

- გაჰყვებით?

აქ მისტერ ჯინგლი მუხლებზე დაეცა და მთელი ხუთი წუთის განმავლობაში ფეხზე აღარ წამომდგარა. როდესაც ზეზე წამოიჭრა, იგი უკვე შინაბერას აღიარებული შეყვარებული გახლდათ, ოღონდაც იმ პირობით, თუ აშკარად დარწმუნდებოდა ტაპმენის ღალატში.

დამტკიცების ტვირთი, რაღა თქმა უნდა, თვით მისტერ ჯინგლს დაეკისრა. მანაც არ დააყოვნა - დასამტკიცებელი საბუთი შინაბერას იმ დღესვე, სადილზე წარუდგინა. შინაბერა მამიდა თვალს არ უჯერებდა: მისტერ ტრესი ტაპმენი ემილის მოუჯდა, თვალებს უპაჭუნებდა, ეჩურჩულებოდა, უღიმოდა, ერთი სიტყვით, ყველაფერში სნოდგრასს ეჯიბრებოდა. ერთხელაც არ შეუხედავს, ერთი სიტყვაც არ უთქვამს მისთვის... იმისთვის, ვისაც წინა საღამოს მხურვალე სიყვარული შეჰფიცა.

„დასწყევლოს ღმერთმა იმ ბიჭის თავი, - გაიფიქრა მოხუცმა უორდლმა, რომელსაც დედამ გაანდო ბოკვერას მოყოლილი ამბავი, - ეტყობა, მართლაც სძინებია, მოელანდა რაღაც“.

„მოღალატე! - ამბობდა გულში შინაბერა, - საყვარელმა ჯინგლმა არ მომატყუა... ო, როგორ მეზიზღება ეგ არამზადა!“

* * *

საუბარი, რომელსაც ახლა მოვიყვანთ, აუხსნის მკითხველს იმ მართლაც და გაუგებარ ცვლილებას, რომელიც მისტერ ტრესი ტაპმენის საქციელს დაეტყო.

საღამოა. მოქმედების ადგილი - ბაღი. ბილიკზე ორი მამაკაცი დასეირნობს: ერთი დაბალ-დაბალი და სქელი, მეორე

მაღალ-მაღალი და გამხდარი. ესენი მისტერ ტაპმენი და მისტერ ჯინგლი გახლავთ.

საუბარს მსუქანი ჯენტლმენი იწყებს.

- როგორ მეჭირა თავი? - ეკითხება იგი მოსაუბრეს.

- საუცხოოდ, ბრწყინვალედ!.. მეც კი უკეთ ვერ ვითამაშებდი!.. ხვალაც იგივე უნდა გაიმეოროთ... ყოველ საღამოს, ვიდრე შემდეგ განკარგულებას არ მიიღებთ.

- ასე სურს რეიჩელს?

- რაღა თქმა უნდა... გულში თვითონაც არაფრად ეჭაშნიკება ეს ამბავი, მაგრამ ასეა საჭირო... ეჭვი უნდა აიცდინოს თავიდან... ძმის ეშინია. ასე ამბობს... რა გაეწყობაო... კიდევ რამდენიმე დღეც... მოხუცებს რომ თვალს ავუხვევთ, თქვენ საქმესაც ბედნიერად დავაგვირგვინებთ!

- კიდევ რა დაგაბარათ?

- დიდი სიყვარული... უნაზესი მოკითხვა... კვლავ ერთგულებას გეფიცებათ... თქვენგან რა გადავცე?

- ჩემო ძვირფასო მეგობარო, - მიუგო მისტერ ტაპმენმა და მხურვალედ ჩამოართვა „მეგობარს“ ხელი. საცოდავს წარმოდგენაც არ ჰქონდა, თუ რა მახე დაუგო ჯინგლმა, - გადაეცით ჩემი მხურვალე სიყვარული. აუხსენით, თუ რა ძნელია ჩემთვის თვალთმაქცობა, გადაეცით კიდევ... ყოველივე კეთილი და კარგი. მაგრამ ისიც დაუმატეთ, რომ მე კარგად მესმის იმ რჩევის საჭიროება, აუცილებლობა, რომელიც მან თქვენი პირით შემომითვალა ამ დილით. უთხარით ისიც, რომ თაყვანს ვცემ მის სიბრძნესა და წინდახედულობას.

- კეთილი. კიდევ რა გნებავთ?

- არაფერი! მხოლოდ ისიც დაუმატეთ, თუ როგორ მოუთმენლად ველი იმ წამს, როდესაც მას ჩემად ვუწოდებ და როდესაც საჭირო აღარ იქნება თავის ასეთი მოკატუნება.

- რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა. კიდევ რა გნებავთ?

- ო, ჩემო მეგობარო! - წამოიძახა გრძნობამორეულმა ტაპმენმა და მოსაუბრეს კვლავ ჩამოართვა ხელი, - უდიდეს მადლობას გწირავთ პირადად თქვენ უანგარო სამსახურისთვის. მაპატიეთ, თუ ოდესმე, თუნდაც ფიქრებში მაინც, შეურაცხყოფა მოგაყენეთ და გულში გავივლე ეჭვი, რომ თქვენ თითქოს გზაზე მეღობებოდით. ჩემო ძვირფასო მეგობარო, ნუთუ შევძლებ ოდესმე რამეთი სამაგიერო გადაგიხადოთ?

- გასახსენებლადაც არ ღირს, - მიუგო მისტერ ჯინგლმა, უცბად შეჩერდა, თითქოს რაღაც მოაგონდაო, - სხვათა შორის, - თქვა მან, - ხომ არ შეგიძლიათ მასესხოთ ათი გირვანქა? ფრიად საჭირო საქმეა... სამ დღეში დაგიბრუნებთ.

- მე მგონი შემიძლია, - ხალისიანად მიუგო მისტერ ტაპმენმა, - ამბობთ, სამი დღითო, არა?

- მხოლოდ სამი დღით, ყოველივე მოწესრიგდება... დაბრკოლება არავითარი!

მისტერ ტაპმენმა მეგობარს ფული ხელში ჩაუთვალა და ჯინგლმაც ოქრო თითო-თითოდ ჩაიცურა ჯიბეში.

ორივე სახლისკენ გაემართა.

- ფრთხილად იყავით, - თქვა მისტერ ჯინგლმა, - ერთხელაც არ შეხედოთ.

- თვალსაც არ დავახამხამებ, - მიუგო მისტერ ტაპმენმა.

- სიტყვაც არ უთხრათ.

- არც კი წავუჩურჩულებ.

- მთელი ყურადღება ძმისწულზე შეაჩერეთ... მამიდას უხეშადაც კი მოეპყარით...

- შევეცდები... - ხმამაღლა წარმოთქვა მისტერ ტაპმენმა.

„მეც შევეცდები“, - თქვა გულში მისტერ ჯინგლმა. ორივე სახლში შევიდა.

სურათი, რომელიც სადილზე გათამაშდა, იმავე საღამოს განმეორდა და კიდევ მომდევნო სამ დღესა და სამ საღამოს. მეოთხე საღამოს მასპინძელი კვლავ საუცხოო გუნებაზე დადგა, რადგან საბოლოოდ დარწმუნდა, რომ ყოველგვარი ეჭვი მისტერ ტაპმენის წინააღმდეგ უსაფუძვლო გამოდგა. მისტერ ტაპმენიც ჩინებულად გრძნობდა თავს, რადგან მისტერ ჯინგლმა შეატყობინა - გადამწყვეტი საათი ახლოვდებაო; კარგ ხასიათზე გახლდათ მისტერ პიკვიკიც, რადგან იგი იშვიათად, რომ ცუდ გუნებაზე ყოფილიყო. მხოლოდ მისტერ სნოდგრასი იყო უგუნებოდ, რადგან მის გულში მეგობრის მიმართ ეჭვმა იფეთქა. საუცხოო გუნებაზე გახლდათ მოხუცი ქალბატონიც, რადგან იმ საღამოს ქაღალდის თამაშში სოლიდური თანხა მოიგო. ასევე ჩინებულად გრძნობდნენ თავს მისტერ ჯინგლიცა და მის უორდლიც იმ მიზეზების გამო, რომელიც იმდენად მნიშვნელოვანი და საინტერესო გახლავთ, რომ მათ შესახებ შემდეგ თავში მოგახსენებთ.

თავი IX

საიდუმლოს გამომჟღავნება და დევნა

ვახშამი უკვე მზად იყო, სკამები მაგიდის გარშემო შემოაწყვეს, ბოთლები, დოქები და ჭიქები ბუფეტზე ჩაამწკრივეს. ახლოვდება მთელ დღე-ღამეში ყველაზე უფრო მხიარული საათი.

- რეიჩელი სად არის? - იკითხა მისტერ უორდლმა.

- ჯინგლიც არ ჩანს, - დაამატა მისტერ პიკვიკმა.

- ღმერთო ჩემო! - შესძახა მასპინძელმა, - აგერ უკვე ორი საათი იქნება, რაც მისი ხმა არ გამიგონია. ემილი, ჩემო ცუგრუმელა, ერთი ზარი დარეკე.

ზარი დაირეკა თუ არა, ბოკვერა გამოჩნდა.

- სად არის მის რეიჩელი?

ბიჭმა არ იცოდა.

- მაშ, ეს მითხარი, მისტერ ჯინგლი სადღაა?

არც ეს იცოდა ბოკვერამ.

ყველამ განცვიფრებით გადახედა ერთმანეთს. უკვე გვიანაა - თერთმეტს გადასცდა. მისტერ ტაპმენი უჩუმრად იღიმება: უთუოდ სადმე შეჩერდნენ და მასზე, ტრესიზე საუბრობენ. ჰა, ჰა, ჰა! ჭეშმარიტად დიდებული მოფიქრებაა. ბრწყინვალე!

- არაფერია, - თქვა უორდლმა ცოტა ხნის შემდეგ, - მე მგონი, სადაცაა მოვლენ. ვახშამს კი არავის გამო არ დავაგვიანებ - ასე მაქვს წესად შემოღებული.

- ჩინებული წესია, საუცხოო! - შენიშნა მისტერ პიკვიკმა.

- გთხოვთ დაბრძანდეთ, - თქვა მასპინძელმა.

- სიამოვნებით, - დაეთანხმა მისტერ პიკვიკი.

ყველა მაგიდას მიუჯდა.

სუფრას გემრიელად შემწვარი ძროხის ხორცი ამშვენებდა, რომლიდანაც მისტერ პიკვიკს კარგა მოზრდილი ნაჭერი ჩამოუჭრეს. ჩვენმა გმირმაც ჩანგალი აიღო და პირიც დააღო, რომ უეცრად სამზარეულოდან რაღაც ხმები მოისმა. მისტერ პიკვიკი შეჩერდა და ჩანგალი დადო. მისტერ უორდლმაც უნებურად ხელი უშვა დანას და მისტერ პიკვიკს გადახედა.

დერეფანში ფეხის ხმა გაისმა. უეცრად დარბაზის კარი ფართოდ გაიღო და ოთახში სწორედ ის მსახური შემოვარდა, რომელმაც ჩამოსვლის დღეს მისტერ პიკვიკს ფეხსაცმელები გაუწმინდა. მას მოსდევდა ბოკვერა და დანარჩენი მსახურნი.

- ეს რას ნიშნავს, დასწყევლოს ეშმაკმა? - წამოიძახა მასპინძელმა.

- ემა, ემა, სამზარეულოს საკვამურში ცეცხლი ხომ არ გაჩნდა? - ჰკითხა შვილიშვილს მხცოვანმა მანდილოსანმა.

- ღმერთო ჩემო, არა, არა, ბებია!

- აბა, რა მოხდა? - დასჭექა მასპინძელმა.

მსახურმა სული მოითქვა და მორიდებით მიუგო:

- წავიდნენ, ბატონო... სულ წავიდნენ, სერ!

ამ სიტყვების გამგონე მისტერ ტაპმენს მკვდრისფერი დაედო და დანა-ჩანგალი ხელიდან გაუვარდა.

- ვინ წავიდა, ვინ? - მკაცრად იკითხა მისტერ უორდლმა.

- მისტერ ჯინგლი და მის რეიჩელი... სამგზავრო ეტლი, სასტუმრო „ლურჯი ლომიდან“, მაგლტონში რომ არის. იქ გახლდით, მაგრამ ვერ შევაჩერე. ისევ აქეთ გამოვწიე, რომ თქვენთვის შემეტყობინებინა.

- ღმერთო, ღმერთო, მე... მე ჩემი ხელით მივეცი სამგზავრო ფული! - აღმოხდა მისტერ ტაპმენს. საცოდავი გიჟივით წამოვარ-

და, - ათი გირვანქა დამტყუა, შეაჩერეთ, გეხვეწებით! გამაბრიყვა, მომატყუა... ამას კი ვერ ავიტან... სამაგიეროს ვუზღავ, პიკვიკ! არა, ვერ ავიტან, ამ შეურაცხყოფას! - არეულად ისროდა სიტყვებს გააფთრებული ტაპმენი და ციბრუტივით ტრიალებდა ოთახში.

- ღმერთო, შენ შეგვიწყალე! - შესძახა მისტერ პიკვიკმა, რომელიც გაოგნებული შეჰყურებდა მეგობრის უცნაურ ქცევას, - ნამდვილად გაგიჟდა! რაღა ვქნათ?

- რა ვქნათო? - წამოიძახა მოხუცმა მასპინძელმა, რომელმაც მხოლოდ ბოლო სიტყვები გაიგონა, - ახლავე ცხენი შეაბით ორთვალაში. სასტუმრო „ლურჯ ლომში“ სამგზავრო ეტლს ვიშოვი და უკან დავედევნები მათ. სად არის ჯოუ... სად არის ის არამზადა?

- აქ გახლავართ, მაგრამ მე არამზადა არ ვარ, - გაისმა პასუხად ბოკვერას ხმა.

- ერთი მაგასთან მიმიშვით, პიკვიკ! - იყვირა უორდლმა და ბიჭისკენ გაიწია, - უთუოდ ეგ იმ გაიძვერა ჯინგლმა მოისყიდა, აქ რომ ზღაპრები გამიბა ჩემს დასა და თქვენი მეგობრის, მისტერ ტაპმენის შესახებ (ამ ამბის გაგონებაზე ღონემიხდილი ტაპმენი სკამზე მოწყვეტით დაეშვა). მიმიშვით ერთი!

- არ მიუშვათ! - კიოდნენ მანდილოსნები, მაგრამ მათ წივილს საცოდავი ბოკვერას სლუკუნი ფარავდა.

- არ გაბედოთ, ნუ მაკავებთ! - ყვიროდა მოხუცი უორდლი, - მისტერ უინკლ, ხელები მომაშორეთ! მისტერ პიკვიკ, გამიშვით, გეთაყვა!

ჭეშმარიტად დიდებული სანახავი გახლდათ ამ აურზაურსა და არეულობაში მისტერ პიკვიკი, რომელსაც დაძაბულობისგან სახე გასწითლებოდა, მაგრამ მაინც ღრმააზროვანი და ფილოსოფიური იერი შერჩენოდა. მედგრად აკავებდა ახოვან მასპინ-

ძელს, სანამ იქ მყოფმა მანდილოსნებმა უიღბლო ბოკვერა კინწისკვრით გააგდეს ოთახიდან.

ის იყო, მისტერ პიკვიკმა ხელი უშვა მასპინძელს, რომ მსახური დაბრუნდა და განაცხადა - ორთვალა მზად არისო.

- მარტო ნუ გაუშვებთ! - შეჰკივლეს მანდილოსნებმა, - ვინმე შემოაკვდება!

- მე გავყვები, - თქვა მისტერ პიკვიკმა.

- კარგი ადამიანი ხართ, პიკვიკ, - წარმოთქვა მასპინძელმა და გულთბილად ჩამოართვა ხელი, - ემა, მისტერ პიკვიკს ერთი შალი მოურბენინე, ყელზე რომ შემოიხვიოს. აბა, სწრაფად! გოგონებო, ბებიას მიხედეთ, გული წასვლია... მზად ხართ?

- მზად ვარ, - უპასუხა პიკვიკმა.

საჩქაროდ ჩახტნენ ორთვალაში.

- ძალ-ღონე არ დაზოგო, ტომ, - შესძახა მეეტლეს მასპინძელმა და ორთვალაც სწრაფად გაქანდა შარაზე, ხტებოდა ორმოებზე, აქეთ-იქით ღობეებს ეხეთქებოდა.

- რამდენით გაგვისწრეს? - იკითხა მისტერ უორდლმა, რა წამსაც „ლურჯი ლომის“ კართან შეჩერდნენ. იქ უკვე ხალხი შეკრებილიყო, მიუხედავად იმისა, რომ გვიანი იყო.

- ორმოცდახუთ წუთზე მეტი არ იქნება, - უპასუხა ყველამ ერთხმად.

- ეტლი და ოთხი ცხენი, სწრაფად! ორთვალას მერე წავიყვანთ, - გასცა ბრძანება უორდლმა.

- აბა, ბიჭებო, დატრიალდით! - შესძახა სასტუმროს პატრონმა, - ეტლი და ოთხი ცხენი, ცოცხლად, გაინძერით!

მეჯინიბეები და ფორეიტორები თავქუდმოგლეჯილები გაიქცნენ ბრძანების შესასრულებლად. შეიქმნა ერთი ფაციფუცი: ნათურების ციმციმა შუქი ხან აქ გაიელვებდა და ხან იქ; მსახურები ეზოს სხვადასხვა კუთხეს აწყდებოდნენ; ცხენები ფლოქვებით

თქარუნებდნენ უსწორმასწოროდ მოკირწყლულ ზედაპირზე. როგორც იქნა, რიხინ-რიხინით გამოათრიეს ეტლი.

- ეღირსება მაგ ეტლს გამოსვლა თუ არა? - იყვირა უორდლმა.

- უკვე ეზოში გახლავთ, სერ, - მიუგო მეჯინიბემ.

გამოიყვანეს ეტლი, შეაბეს ცხენები, მათ ზედ მოასხდნენ ფორეიტორები, ეტლში კი მგზავრები ჩასხდნენ.

- გახსოვდეთ, შვიდმილიანი გადასარბენი - ნახევარ საათში! - დაუყვირა ფორეიტორებს უორდლმა, - აბა, გასწით!

ფორეიტორებმა დეზები და მათრახი შემოჰკრეს, ლაქიებმა შეჰყვირეს, მეჯინიბეებმა გასამხნევებლად კიჟინა დასცეს და ეტლი და ცხენები დაფეთებულებივით გაქანდნენ.

„ჩინებული მდგომარეობაა, ღმერთმანი, - გაიფიქრა მისტერ პიკვიკმა, როდესაც წუთით აზროვნების უნარი დაუბრუნდა, - ჩინებული მდგომარეობა პიკვიკის კლუბის პრეზიდენტისათვის: ნესტიანი ეტლი - გადარეული ცხენები - საათში თხუთმეტი მილი, და თანაც შუაღამისას!“

პირველი სამი თუ ოთხი მილი ისე გაიარეს, რომ ხმა არ ამოუღია არც ერთს. ყოველი მათგანი ღრმა საგონებელს მისცემოდა და მოსაუბრისთვის არ ეცალა. მაგრამ აღნიშნული მანძილი რომ გაიარეს და შეხურებული ცხენები უფრო ენერგიულად შეებნენ თავის საქმეს, ჩქარმა ჭენებამ იმდენად აღაფრთოვანა მისტერ პიკვიკი, რომ მან სიჩუმე დაარღვია.

- მე მგონი, ნამდვილად დავეწევით.

- ღმერთმა ქნას, - მიუგო თანამგზავრმა.

- დიდებული ღამეა! - დასძინა მისტერ პიკვიკმა და კაშკაშა მთვარეს მიაშტერდა.

- მით უარესი, - მიუგო უორდლმა, - მათ ის უპირატესობა აქვთ, რომ მთვარიან ღამეში იმოგზაურებენ, ჩვენ კი მთვარე დიდხანს ვერ გაგვინათებს, ერთ საათში ჩავა.

- მერედა, სიბნელეში ასეთი გადარეული ჭენება არცთუ ისე სასიამოვნო იქნება, არა? - ჰკითხა პიკვიკმა.

- ნამდვილად ასეა, - ცივად დაუკრა კვერი მეგობარმა.

მისტერ პიკვიკის აღფრთოვანებამ თანდათანობით იკლო, როდესაც ნათლად წარმოიდგინა იმ მგზავრობის მთელი საფრთხე, რომელშიც ესოდენ დაუფიქრებლად იკისრა მონაწილეობა. ამ ფიქრებიდან პირველი ფორეიტორის ყვირილმა გამოარკვია.

- აჩუ-აჩუ-აჩუ! - გაჰკიოდა პირველი ფორეიტორი.

- აჩუ-აჩუ-აჩუ! - აჰყვა მეორეც.

- აჩუ-აჩუ-აჩუ! - ხალისიანად მისცა ბანი მოხუცმა უორდლმა და ეტლის ფანჯრიდან ნახევრად გადაეკიდა.

- აჩუ-აჩუ-აჩუ! - მისტერ პიკვიკმაც შესძახა ერთი, თუმცა ვერ გაეგო - რისთვის დასჭირდათ ამდენი შეძახილები. ამ „აჩუ-აჩუს“ ძახილში ეტლი უეცრად შეჩერდა.

- რა მოხდა? - ჰკითხა თანამგზავრს მისტერ პიკვიკმა.

- საგუშაგოა, - მიუგო მოხუცმა უორდლმა, - აქ უთუოდ ამბავს შევიტყობთ გაქცეულების შესახებ.

მთელ ხუთ წუთს კარზე კაკუნსა და ბრახუნს მოუნდნენ, ბოლოს ჯიხურიდან ვიღაც მოხუცი გამოვიდა პერანგისა და შარვლის ამარა.

- რამდენი ხანი გავიდა, რაც სამგზავრო ეტლმა ჩაიარა? - შეეკითხა მისტერ უორდლი.

- რამდენი ხანი?

- უჰ! - აღმოხდა უორდლს.

- მაგას ზუსტად ვერ მოგახსენებთ. დიდი ხანი არ უნდა იყოს, თუმცა არც მოკლე ხანია... დიახ, სწორედ ამ ორს შორის გახლავთ, სერ.

- იქნებ ეტლს არც ჩაუვლია?

- როგორ არა, ჩაიარა.

- დიდი ხანია, ძმობილო? - ჩაერია პიკვიკი, - ერთი საათი თუ იქნება?

- მე მგონი, რომ იქნება, - მიუგო დარაჯმა.

- იქნებ ორიც იყოს? - შეეკითხა ფორეიტორი, რომელიც უკანა ცხენზე იჯდა.

- იქნებ ასეც იყოს, - თითქოს დაეჭვდა მოხუცი.

- გასწით, ბიჭებო, - შესძახა ფიცხმა უორდლმა, - ნუღარ დავკარგავთ დროს ამ ბრიყვთან საუბარში.

- ბრიყვიო! - ჩაილაპარაკა თავისთვის მოხუცმა და ჩაიცინა. შუა გზაზე გაჩერებულიყო და თვალს ადევნებდა ეტლს, რომელიც თანდათან პატარავდებოდა, - არა, არც ისეთი ბრიყვი გახლავართ! ათი წუთი ხომ აქ დაგაკარგვინეთ და სასიკეთო მაინც ვერაფერი გაიგეთ. თუკი ყველა გუშაგი, რომელიც გასამრჯელოდ გინეას მიიღებს, შეეცდება ისევე პატიოსნად დაიმსახუროს იგი, როგორც მე, იმ ეტლს წმინდა მიხეილის დღესაც ვერ დაეწევი, შე ღიპიანო ბებერო!

მოხუცმა ერთხელ კიდევ ჩაიხითხითა, შემდეგ ჯიხურში შევიდა და კარი შიგნიდან გადარაზა.

ამასობაში ეტლი შეუნელებელი სიჩქარით მიქროდა გადასარბენის ბოლოსკენ. როგორც უორდლმა იწინასწარმეტყველა, მთვარე მართლაც მალე ჩავიდა. მძიმე, შავი ღრუბლები ნელ-ნელა გადაეკრა ცას. წვიმის მსხვილი წვეთები, ხანგამოშვებით ფანჯრის მინას რომ უკაკუნებდნენ, მგზავრებს აუწყებდნენ ავდრიანი ღამის მოახლოებას; ქარი, რომელიც სახეში სცემდათ,

ვიწრო მისახვევ-მოსახვევში შმაგობდა და ნაღვლიანად სისინებდა გზის პირას ჩაყოლებულ ხეებს შორის.

მისტერ პიკვიკი უფრო მაგრად გაეხვია პალტოში, ეტლის კუთხეში მოიკუნტა და ტკბილად ჩაიძინა. გამოეღვიძა მხოლოდ მაშინ, როდესაც ეტლი შეჩერდა, მეჯინიბემ ზარი ააწკარუნა და ხმამაღლა შესძახა:

- აბა, სწრაფად, ცხენები!

მაგრამ დახეთ უბედურებას: ფორეიტორებს ისე მაგრად ჩასძინებოდათ, რომ ხუთი წუთი მოანდომეს მის გაღვიძებას. ახლა მეჯინიბეს დაეკარგა საჯინიბოს გასაღები და როცა ბოლოს და ბოლოს იპოვეს, ორ ნამძინარევ თანაშემწეს აკაზმულობა აერია და ხელახლა მოუხდათ ცხენების შებმა. მისტერ პიკვიკი მარტო რომ ყოფილიყო, ეს გაუთავებელი დაბრკოლებები დიდი ხანია ააღებინებდა დევნაზე ხელს, მაგრამ მისტერ უორდლის დაშინება არც ისე ადვილი აღმოჩნდა. მან ენერგიულად მოჰკიდა საქმეს ხელი - ერთს წაუთაქა, მეორეს - წიხლი ჰკრა, აქეთ ბალთა შეკრა, იქით - საბმელი გადაუჭირა - და ეტლის შებმა გაცილებით ადრე მოათავა, ვიდრე ამდენი დაბრკოლების შემდეგ იყო მოსალოდნელი.

განაგრძეს გზა. პერსპექტივა არცთუ ისე სახალისო გახლდათ: გადასარბენი თხუთმეტ მილს შეადგენდა, წყვდიადი ღამე იყო, ძლიერი ქარი ქროდა და კოკისპირულად წვიმდა. შეუძლებელია ჩქარი სვლა, როდესაც ერთად ამდენი დაბრკოლების გადალახვა გიწევს.

პირველი საათი გახდა.

გადასარბენის გავლას თითქმის ორ საათს მოუნდნენ. მაგრამ აქ, სადგურში, ისეთი საგანი მოხვდათ თვალში, რამაც კვლავ იმედი გაუღვიძა მოღუშულ მგზავრებს და სულიერად დაცემულნი კვლავ აღაფრთოვანა.

- ეს ეტლი როდის ჩამოვიდა? - იკითხა მისტერ უორდლმა, საჩქაროდ გადმოხტა ეტლიდან და მიუთითა ლაფში ამოთხვრილ ორთვალაზე, რომელიც ეზოში იდგა.

- თხუთმეტიოდე წუთიც არ იქნება, სერ, - მიუგო მეჯინიბემ, რომელსაც უორდლმა შეკითხვით მიმართა.

- შიგ ლედი და ჯენტლმენი ისხდნენ? - კვლავ იკითხა უორდლმა, რომელიც მოუთმენლობისგან სულს ძლივს ითქვამდა.

- დიახ, სერ.

- მაღალი კაცია, ფრაკი აცვია, გრძელფეხა, ხმელი?

- დიახ, სერ.

- ზეცას გეფიცებით ისინი არიან, პიკვიკ... ისინი არიან! - შესძახა უორდლმა, - იუპიტერს ვფიცავ, ნამდვილად ისინი არიან! აბა, ცოცხლად, ეტლი და ოთხეული! ვიდრე მეორე სადგურს მიაღწევდნენ, უეჭველად დავეწევით. თითოეული გინეას მიიღებთ ბიჭებო, აბა, დატრიალდით, ცოცხლად ყმაწვილებო!

მოხუცი ჯენტლმენი ისე ფაციფუცობდა და ისეთი აღელვებული და აფორიაქებული იყო, რომ ეს „აღგზნება“ მისტერ პიკვიკსაც გადაედო. ისიც გაშმაგებული ეცა მეჯინიბეებს, რომ აკაზმულობის რთულ მანიპულაციებში დახმარებოდა, მაგრამ უეცრად თავად გაეხლართა ცხენებსა და ეტლის ბორბლებს შორის.

- ამოდით, ამოდით! - დაიძახა მოხუცმა უორდლმა, რომელიც ეტლში ჩაჯდა, - იჩქარეთ, სწრაფად!

ვიდრე მისტერ პიკვიკი მიხვდებოდა, თუ რას უპირებდნენ, მან იგრძნო როგორ შეტენეს ისიც ეტლში მეორე კარიდან! ერთი მხრივ, თვით მოხუცმა უორდლმა უბიძგა, მეორედან კი მეჯინიბემ ჰკრა მუჯლუგუნი.

ეტლმა კვლავ განაგრძო გზა.

- ახლა კი ნამდვილად მივფრინავთ! - აღფრთოვანებით წამოიძახა მოხუცმა ჯენტლმენმა.

მართლაც „მიფრინავდნენ“, რასაც მისტერ პიკვიკიც დაგიმოწმებდათ, რადგან ყოველ წამს ხან ეტლის ხის კედელს ეხეთქებოდა და ხან თანამგზავრის ჩასუქებულ სხეულს.

- თავი შეიკავეთ! - ურჩია ახოვანმა უორდლმა, როდესაც მისტერ პიკვიკი ერთხელ კიდევ თავით მის განიერ მკერდს დაეძგერა.

- ჩემ დღეში ასეთ ნჯღრევაში არ მოვყოლივარ.

- არა უშავს, - გაამხნევა თანამგზავრმა, - ცოტაც და, ყველაფერი დამთავრდება. აბა, ყოჩაღად, ყოჩაღად იყავით!

მისტერ პიკვიკიც რაც შეიძლება მაგრად ჩაჯდა თავის კუთხეში. ეტლი კი უფრო მეტი სისწრაფით გაქანდა წინ.

დაახლოებით სამი მილი ექნებოდათ გავლილი, როდესაც მისტერ უორდლმა, რომელიც ყოველ ორ წუთში ფანჯრიდან იხედებოდა, უეცრად ლაფში მოთხვრილი სახე შემოყო და შესძახა:

- აგერ ისინიც!

მისტერ პიკვიკმა იმავე წამს თავი გადაყო ფანჯარაში. მართლაც მათგან შორიახლოს ჩორთით მიექანებოდა ეტლი და ცხენების ოთხეული.

- გასწით, გასწით, - შეჰკივლა მოხუცმა უორდლმა, - ორი გინეა თითოეულს, ბიჭებო, არ გაუშვათ ხელიდან. დაეწიეთ, დაეწიეთ!

- აგერ მის თავს ვხედავ, - დაიძახა გაანჩხლებულმა მოხუცმა ჯენტლმენმა, - დასწყევლოს ეშმაკმა, ნამდვილად მის თავს ვხედავ!

- მეც ვხედავ, - კვერი დაუკრა მისტერ პიკვიკმა, - ნამდვილად ის არის.

მისტერ პიკვიკი არ ცდებოდა. მისტერ ჯინგლის სახე, რომელიც ბორბლებიდან ამოსროლილ ტალახს მთლიანად დაეფარა,

ნათლად მოჩანდა პირველი ეტლის ფანჯარაში. ეტყობა წახალისების მიზნით, იგი გაშმაგებით უქნევდა ხელს ფორეიტორებს, რომ მათ უფრო სწრაფად გაერეკათ ცხენები.

აღგზნებამ და დაძაბულობამ მწვერვალს მიაღწია. ცხენები გაშმაგებით მიაჭენებდნენ მგზავრებს. ყანები და ხეები მათ თვალწინ ისეთი სისწრაფით მიქროდა, თითქოს ქარიშხალს აუტაციაო ჰაერში.

თითქმის დაეწივნენ კიდეც პირველ ეტლს, ბორბლების გრიალში ცხადად ისმოდა ჯინგლის ხმა, რომელიც კვლავ და კვლავ აჩქარებდა ფორეიტორებს. მოხუცი უორდლი ბრაზისა და მოუთმენლობისგან სულს ძლივს ითქვამდა; გაჰყვიროდა: „არამზადა“, „გაიძვერაო“ და მუშტებს უქნევდა თავისი რისხვის საგანს. მისტერ ჯინგლი კი უორდლის მუქარას მხოლოდ დამცინავი ღიმილით პასუხობდა, ხოლო როდესაც მისმა ცხენებმა, დეზებითა და მათრახით გამხნევებულებმა, კიდევ უფრო სწრაფად გააქანეს იგი - მხიარული კიჟინა დასცა.

მისტერ პიკვიკმა თავი შემოყო და ყვირილისგან ქანცგამოლეულმა უორდლმაც მის მაგალითს მიჰბაძა, რომ საშინელმა ჯახმა ორივე მგზავრი ერთბაშად ეტლის წინა კედელს მიახეთქა. ეტლი შეხტა, გაისმა ძლიერი ტკაცანი... ცალი ბორბალი გვერდზე გადაგორდა და ეტლი გადაყირავდა.

რამდენიმე წუთის დაბნეულობისა და ჩოჩქოლის შემდეგ, მისტერ პიკვიკმა იგრძნო, რომ ვიღაცამ ხელი სტაცა და დამსხვრეული ეტლის ნაფოტებიდან გამოათრია. როდესაც ფეხზე წამოდგა და თავი პალტოს გადახლართულ კალთებს დააღწია, მთელი სიცხადით გადაეშალა თვალწინ თავზე დამტყდარი უბედურება.

მის გვერდით მოხუცი უორდლი იდგა. ტანსაცმელი რამდენიმე ადგილას გადახეოდა. მის ფერხთით ეტლის ნამსხვრევები

ეყარა. ფორეიტორები, რომელთაც დროულად მოასწრეს და საადავეები გადაჭრეს, სწრაფი ჭენებისგან ლაფში ამოგანგლულნი და თმააბურძგნილნი თავ-თავიანთ ცხენებს ამოსდგომოდნენ.

დაახლოებით ას ნაბიჯზე მეორე ეტლი მოჩანდა. როდესაც საშინელი ტკაცანი გაისმა, ისიც შეჩერდა. მისი ფორეიტორები უნაგირზე შესკუპულნი მოწინააღმდეგეს შეჰყურებდნენ და ხარხარებდნენ. მისტერ ჯინგლიც აშკარა სიამოვნებით შეჰყურებდა ეტლის სარკმლიდან მოწინააღმდეგის კარეტის ნამსხვრევებს. თენდებოდა და გარიჟრაჟის გაცრეცილ შუქზე ნათლად მოჩანდა მთელი სურათი.

- ეი, ყური მიგდეთ! - შესძახა ურცხვმა ფათერაკის მაძიებელმა, - ხომ არავინ დაშავებულა? რაც გინდა იყოს, ხნიერი ჯენტლმენები არიან... წონით არცთუ ისე მჩატე... სახიფათო საქმეა... ფრიად!

- გაიძვერა, არამზადა! - იღრიალა უორდლმა.

- ჰა, ჰა, ჰა! - გადაიხარხარა პასუხად ჯინგლმა და მოწინააღმდეგეს ცერით ეტლის შიგნით მიუთითა, - ყური მიგდეთ... ის საუცხოოდ გრძნობს თავს... ყველას მოკითხვას გითვლით... ტაპს გადაეცით, რომ თავი არ შეიწუხოს... აბა, გასწით, ბიჭებო!

ფორეიტორებმა ეტლი კვლავ რიხინ-რიხინით გააქანეს წინ. მისტერ ჯინგლი სარკმლიდან უქნევდა ცხვირსახოცს დამარცხებულ მოწინააღმდეგეს.

უნდა მოგახსენოთ, რომ ეტლის გადაყირავებამაც კი ისე არ შეაშფოთა მისტერ პიკვიკის მშვიდი და დინჯი ბუნება, როგორც იმ ადამიანის გაიძვერობამ, რომელიც ჯერ ფულს ესესხა მის ერთგულ მოწაფეს, ხოლო მერე გაბედა და სახელი „ტაპით“ შეუმოკლა. ეს კი უკვე მეტისმეტია! მოთმინების ფიალა აივსო! სიბრაზისგან სახე წამოუჭარხლდა, როდესაც დინჯად, მაგრამ ხაზგასმით წარმოთქვა:

- თუ ეგ კაცი ოდესმე კიდევ შემხვდა სადმე...

- დიახ, დიახ, - სიტყვა შეაწყვეტინა უორდლმა, - მაგრამ ვიდრე ჩვენ აქ ლაპარაკს ვუნდებით, ისინი ლიცენზიასაც

მიიღებენ და დაქორწინდებიან კიდეც ლონდონში.

მისტერ პიკვიკი დადუმდა, მაგრამ შურისგების გრძნობა მაგრად ჩაიბეჭდა გულში.

- რა მანძილია შემდეგ სადგურამდე? - ჰკითხა მისტერ უორდლმა ერთ-ერთ ფორეიტორს.

- ექვსი მილი იქნება, არა, ტომ?

- ცოტა მეტიც.

- ექვს მილზე ცოტა მეტია, სერ.

- რა გაეწყობა, ფეხით უნდა წავიდეთ, პიკვიკ, - თქვა უორდლმა.

- რას იზამ, - მორჩილად მიუგო ამ ჭეშმარიტად დიადმა ადამიანმა.

ერთ-ერთი ფორეიტორი ცხენით გაგზავნეს, რომ ახალი ეტლი და ცხენები ეშოვა, მეორეც იქვე ადგილზე დატოვეს დამტვრეული კარეტის საყარაულოდ. თავად კი მხნედ გაუდგნენ გზას...

თავი X

გაფანტავს ყოველგვარ ეჭვს (თუ ასეთი ვინმეს ჰქონდა) და საბოლოოდ გამოააშკარავებს, რამდენად უანგარო გახლდათ მისტერ ჯინგლი

ლონდონში ახლაც გვხვდება ძველისძველი სასტუმროები, რომლებთაც თავიანთი ცნობილი სადგომები ჰქონდათ. ასეთმა სასტუმროებმა დიდი ხანია დრო მოჭამეს და ახლა მხოლოდ პროვინციიდან ჩამოსული ურმები და ურიკები თუ შეაფარებენ ხოლმე მას თავს შესასვენებლად ან დასატვირთად. ახლა ამაოდ დაუწყებს ადამიანი ძებნას ასეთი ყაიდის შენობებს დიდ, ახალ სასტუმროებს შორის, რომლებიც ამაყად გამოჭიმულან ლონდონის საუკეთესო ქუჩებზე და, თუ მაინც მოინდომა ვინმემ ერთ-ერთი ასეთი ძველი სადგომის მონახულება, ქალაქის უფრო ბნელ უბნებს უნდა მიაშუროს. მხოლოდ იქ, განმარტოებულ კუნჭულებში მიაგნებს ის რამდენიმე შენობას, სამომავლოდ განწირულს, რომლებიც ჯიუტად განაგრძობენ არსებობას ახალაშენებულ სახლებსა თუ სასტუმროებს შორის.

განსაკუთრებით ბოროში ჯერ კიდევ დგას ექვსიოდე ასეთი ძველი ყაიდის სასტუმრო, რომელთაც თითქმის უცვლელად შემოუნახავთ ჩვეული ელფერი და რომლებიც ბედზე გადაურჩნენ ადგილობრივი მმართველობის მანიას ქალაქის კეთილმოწყობისათვის და სასპეკულაციო ციებ-ცხელების დაჟინებულ შეტევას. უცნაურად ნაგები გახლავთ ეს სასტუმროები: ფართო და

დახავსებული დერეფნები, ტალანები და კიბეები მდიდარ მასალას იძლევა ასეულობით ლიტერატურული ჩანახატისთვის...

ერთ-ერთი ასეთი სასტუმროს, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, ცნობილი „თეთრი ირმის“, ეზოში ვიღაც მამაკაცი დილაადრიანად, წინა თავში მოთხრობილი ამბების მეორე დღეს, გულმოდგინედ წმენდდა ფეხსაცმელებს. შუშის ღილებით გაწყობილი ზოლიანი ჟილეტი, რუხი ფერის შარვალი და პიჯაკი ეცვა, ხელზე შავი კოლენკორის სამკაულები ეკეთა. ღიაწითელი ყელსახვევი, ეტყობა, გამოუცდელი ხელით განასკვული, დაუდევრად შემოეკრა კისერზე; თავს ძველი თეთრი ქუდი უმშვენებდა, ისიც უდარდელად მოქცეოდა გვერდზე. მის წინ ჩამწკრივებული იყო ფეხსაცმელების ორი რიგი, ერთი გაწმენდილი და მეორე - გასაწმენდი. როცა გაწმენდილების რიგს ემატებოდა ფეხსაცმელი, მამაკაცი წამით გაშეშდებოდა და თავმომწონედ უმზერდა ნამუშევარს.

ეზოში ვერ შენიშნავდით დიდ ფაციფუცსა და მისვლა--მოსვლას. ორი თუ სამი საზიდარი მაღალი საჩიხის ქვეშ დაედგათ ეზოს ერთ კუთხეში. კიდევ ერთი საზიდარი, რომელიც ეტყობა ამ დილით უნდა გამგზავრებულიყო, ეზოს შუაგულში იდგა. სასტუმროს ორივე მხარეს, მდგმურების ოთახების გასწვრივ, გაცვეთილმოაჯირიანი დერეფნების გრძელი მწკრივი ჩაჰყვებოდა. რამდენიმე ორთვალა და სამგზავრო ეტლი ფარდულებსა და საჩიხებს ქვეშ შეეგდოთ. საფორნე ცხენის მძიმე თქაფათქუფი და ჯაჭვების ჩხარუნი, რომელიც დროდადრო ეზოს უშორესი კუთხიდან მოისმოდა, დაინტერესებულ პირთ აუწყებდა, რომ საჯინიბო იმ მხარეს უნდა ყოფილიყო. ამას თუ დავუმატებთ შემდეგს, რომ სამუშაო ხალათებში გამოწყობილი რამდენიმე ყმაწვილი განცხრომით გაშოტილიყო ჩალის გროვებზე გაბნეულ ვეებერთელა ფუთებსა თუ მატყლით სავსე ტომრებზე, სრულად

გვექნება აღწერილი ხსენებულ დილას იმ „თეთრი ირმის“ ეზოს საერთო ხედი, რომელიც ბოროში ჰაი-სტრიტზე მდებარეობს.

ზარმა დაიწკარუნა და იმავე წამს ზემო სართულის დერეფანში კოპწია მსახური გამოჩნდა. მან ერთ-ერთ კარზე მიაკაკუნა, მდგმურის თხოვნა მოისმინა, მოაჯირზე გადმოდგა და ფეხსაცმლის მწმენდავს გადმოსძახა:

- სემ!

- რა გინდა? - მიუგო თეთრქუდიანმა მამაკაცმა.

- #22. ჩექმებს ითხოვს.

- შეეკითხე ერთი, ახლავ ინებებს ფეხსაცმელს, თუ მოიცდის, ვიდრე არ მიართმევენ, - გაისმა სემის პასუხი.

- კარგი, გეყოფა, სემ, - მოელაქუცა მსახური ქალი, - ჯენტლმენს ჩექმები ახლავე სჭირდება.

- ვიცი, ვიცი, მოთაფლვა ნუ გიყვარს, - უპასუხა ფეხსაცმელების მწმენდავმა, - მაგრამ, აბა ამ ჩექმებსაც შეხედე - თეთრმეტი წყვილია. აგერ ერთი წაღაც, ხისფეხიანისა, #6-დან გახლავს. თერთმეტ წყვილს მოაკითხავენ ცხრის ნახევარზე, წაღას კი ცხრაზე. ეგ #22 კი რა წითელი კოჭი მყავს, რომ მის გამო სხვები დავჩაგრო? არა, „მხოლოდ რიგრიგობით“, როგორც ჯეკ კეჩმა ბრძანა, როდესაც კაცებს სახრჩობელაზე კიდებდა... ბოდიშს ვიხდი, სერ, ამდენ ხანს რომ გალოდინეთ, ამ წუთს მოგემსახურებით, - ამ სიტყვებით თეთრქუდიანი მამაკაცი გაათკეცებული ძალით შეუდგა მაღალყელიანი ფეხსაცმლის წმენდას.

კვლავ დაიწკარუნა ზარმა და იმავე წუთს მოპირდაპირე დერეფანში გამოვარდა „თეთრი ირმის“ მოხუცი დიასახლისი.

- სემ, - დაიძახა მან, - ნეტავ სად ეშმაკშია ის უქნარა, ზანტი?.. აგერ არ ყოფილა? სემ, ხმა რატომ არ გამეცი?

- უთუოდ იმიტომ, რომ უზრდელობად ჩამომართმევდით უფრო ადრე რომ მეპასუხა, ვიდრე თქვენ ლაპარაკს მოათავებდით, - ბუზღუნით მიუგო სემმა.

- ახლავე გაწმინდე ფეხსაცმელი #17 მდგმურისათვის და აუტანე ცალკე სასტუმრო ოთახში #5, მეორე სართულზე.

დიასახლისმა მსახურ ქალს ერთი წყვილი ფეხსაცმელი გადმოუყარა და საჩქაროდ გავიდა დერეფნიდან.

- #5, - წარმოთქვა სემმა, როდესაც ფეხსაცმელები აკრიფა, ჯიბიდან ცარცი ამოიღო და ძირებზე მათი დანიშნულება აღნიშნა. - ქალის ფეხსაცმელი და ცალკე სასტუმრო ოთახი? დარწმუნებული ვარ, ეს მაინც არ ჩამოვიდოდა საზიდარით.

- ამ დილას ჩამოვიდა, ადრიანად, - ჩამოსძახა მსახურმა ქალმა, რომელიც კვლავ მოაჯირს გადმოყუდებოდა, - დაქირავებული ეტლით ჩამობრძანდა ჯენტლმენთან ერთად. აი, სწორედ ამ ჯენტლმენს სჭირდება ფეხსაცმელი. შენც აიღე და გაწმინდე.

- მერედა, ადრე რატომ არ მითხარი? - შეუტია სემმა და მის წინ ჩამწკრივებული გროვიდან ის ფეხსაცმელი გამოარჩია, რომელზეც მოახლემ მიუთითა, - მეგონა, ის სამ პენსადაც არ ღირდა და შეხედეთ - ცალკე სასტუმრო ოთახი, მანდილოსანიც ახლავს! ის თუ ოდნავ მაინც ჩამოჰგავს ჯენტლმენს, დღეში ეს საქმე ნაღდად თითო შილინგი დაუჯდება. სხვა დავალებები რომ არ ჩავთვალოთ.

ამით წაქეზებული ისე თავგამოდებით შეუდგა საქმეს, რომ რამდენიმე წუთის შემდეგ ქალის ფეხსაცმელიცა და კაცის ჩექმებიც ისე აპრიალდა, რომ თვით პატივცემულ მისტერ უორენსაც კი შურით აევსებოდა გული („თეთრ ირემში“ მხოლოდ დეისა და მარტინის ზუმბურზეთს ხმარობდნენ).

მოათავა თუ არა წმენდა, სემი იმწამსვე ორივე წყვილით #5 კართან გაჩნდა.

- მობრძანდით, - გაისმა მამაკაცის ხმა, როდესაც სემმა კარზე მიაკაკუნა.

შეაღო თუ არა კარი, სემი შუახნის მანდილოსნისა და ყმაწვილი ჯენტლმენის პირისპირ აღმოჩნდა. ისინი საუზმეს შეექცეოდნენ. სემმა, რაც შეიძლება მეტი თავაზიანობით დაუკრა თავი ორივეს, შემდეგ ჩექმები ჯენტლმენს მიუწყო აქეთ-იქით, ფეხსაცმელი კი მანდილოსანს და კარისკენ დაიხია.

- მსახურო! - დაუძახა ჯენტლმენმა.

- გისმენთ, სერ, - მიუგო სემმა და კარი მიხურა, მაგრამ სახელურისათვის ხელი არ მოუცილებია.

- ხომ არ იცით... რა ჰქვია იმას... დოქტორ-კომონზი?

- როგორ არა, სერ.

- სად არის?

- პოლზ-ჩერჩიარდზე, სერ; დაბალ თაღს რომ გაივლით, ერთ კუთხეში წიგნის მაღაზიაა, მეორეში - სასტუმრო, შუაში კი ორი მეკარე - მუშტარჭერია.

- მუშტარჭერია?! - შესძახა ჯენტლმენმა.

- დიახ, მუშტარჭერია, - მიუგო სემმა, - ორი ზორბა ვაჟკაცია თეთრი წინსაფრებით. რომ შედიხარ - ქუდს გიხდიან. „ლიცენზიისთვის მობრძანდით, სერ? ლიცენზიისთვის?“ - გეკითხებიან. უცნაური ბიჭებია, მათი პატრონებიც, სერ - პროქტორები... პირდაპირ ზედგამოჭრილნი ოლდ-ბეილისთვის. - მიზანს არასოდეს ააცდენენ.

- მერედა, რას აკეთებენ? - შეეკითხა ჯენტლმენი.

- აკეთებენო! თქვენ თვითონ გაკეთებინებენ, სერ, ტყავს გაძრობენ! მაგრამ ხანდახან უარესიც ხდება: მოხუც ჯენტლმენებს ისეთ აზრებს უდებენ თავში, რომელიც მათ არც დაესიზმრე-

ბათ... მამაჩემი, სერ, მეეტლე გახლდათ, იმსისქე, იმსისქე, რომ რაღა! ამ რამდენიმე წლის წინ მეუღლე მოუკვდა და 400 გირვანქა დაუტოვა. ჰოდა, ჩემო ბატონო, მოდის იგი ამ დოქტორ-კომონზში, ვექილი უნდა ინახულოს, ფული რომ გამოიტანოს. გამოიპრანჭა: გადასაკეცი ჩექმები, ღილ-კილოში ყვავილი, ფართოფარფლიანი ქუდი, მწვანე შარფი - პირწავარდნილი ჯენტლმენია, რა! თაღიან კარში შედის, თანაც ფიქრობს, სად და როგორ დააბანდოს ფული. აგერ მოდის მუშტარჭერია, ქუდს უხდის. „ლიცენზიისთვის მობრძანდით, სერ?“ - ეკითხება. „ეგ რაღაა?“ - ეკითხება მამაჩემიც. - „საქორწინო ლიცენზია“, - პასუხობს მუშტარჭერია. „ეშმაკსაც წაუღია, ფიქრადაც არ მომსვლია“, - ამბობს მამაჩემი. „მე კი მგონია, სწორედ ლიცენზია გჭირდებათ“. მამაჩემიც შეჩერდა და ცოტა ხნით დაფიქრდა. „არა, - ამბობს. - ეშმაკმა დასწყევლოს, რა დროს ჩემი ცოლია, დავბერდი... ესეც რომ არ იყოს, ძალიან მსუქანიც ვარ“. - ამბობს იგი. „გარწმუნებთ, რომ არა, სერ“, - ეუბნება მუშტარჭერია. „მართლა?“ - ეკითხება მამაჩემი. „ეჭვიც არ შეგეპაროთ, - პასუხობს მუშტარჭერია. - წინა ორშაბათს ისეთ ჯენტლმენს დავწერეთ ჯვარი, რომელიც თქვენზე ორჯერ მსუქანი იყო“. „ნუთუ მართლა?“ - ამბობს მამაჩემი. „ნამდვილად დავაქორწინეთ“, - პასუხობს მუშტარჭერია. - მასთან შედარებით თქვენ ჩვილი ბავშვი ბრძანდებით... აქეთ მობრძანდით, სერ, აქეთ!“ მამაჩემიც მიჰყვა იმ კაცს, როგორც მოშინაურებული მაიმუნი დაჰყვება ხოლმე არღანს. შედიან პატარა ოთახში, რომლის ფანჯრები ეზოს გადაჰყურებს. იქ საწერ მაგიდასთან, ქაღალდის ჭუჭყიან გროვებსა და ცარიელ თუნუქებს შორის, ვიღაც ვაჟბატონი ზის და მიმსვლელთ თავს ისე აჩვენებს, თითქოს ძალიან მოუცლელი იყოს. „გთხოვთ, დაბრძანდეთ, ვიდრე ცნობებს ჩამოგართმევდეთ“, - ეუბნება ვექილი. „გმადლობთ, სერ“, - ამბობს მამაჩემი. დაჯდა,

პირდაფჩენილი შესჩერებია უცხო წარწერებს, რომელიც კოლოფებზეა მიკრული. „თქვენი სახელი, სერ?“ - ეკითხება ვექილი. „ტონი უელერი“, - პასუხობს მამაჩემი. „რომელ სამრევლოს ეკუთვნით?“ - ეკითხება ვექილი. „ბელ-სევეჯის“, - ეუბნება მამაჩემიც, რადგან მუდამ ამ სასტუმროში ჩერდება ხოლმე თავისი ეტლით, სამრევლოებისა კი არა გაეგება. „მანდილოსანს რა ჰქვია?“ - ეკითხება ვექილი. თითქოს კეტი დაჰკრესო - გაშეშდა მამაჩემი. „ეშმაკმა დასწყევლოს, მე რა ვიცი!“ - ამბობს იგი. „არ იცით?“ - ამბობს ვექილი. „მეც იმდენი ვიცი, რამდენიც თქვენ, - ამბობს მამაჩემი, - არ შეიძლება სახელი მერე ჩავწეროთ?“ „არანაირად“, - პასუხობს ვექილი. „რა გაეწყობა, - ცოტა ხნის ფიქრის შემდეგ ამბობს მამაჩემი. - ჩაწერეთ მისის კლარკი“. „რომელი კლარკი?“ - ეკითხება ვექილი და კალამს მელანში აწობს. „სუზან კლარკი „მარკიზ გრენბიდან დორკინზში“, - უპასუხებს მამაჩემი. „თუ ვთხოვ, უეჭველად გამომყვება... ჯერ სიტყვაც არ მითქვამს, მაგრამ გამომყვება“. ლიცენზია შეავსეს, ქალი მართლაც გაჰყვა მამაჩემს, და რაც ყველაზე სავალალოა, ახლაც თავს ევლება. მე კი იმ ოთხასი გირვანქიდან კაპიკიც არ მერგო, ბედი არ გინდა!.. მომიტევეთ, სერ, - დაუმატა სემმა, როდესაც თხრობა მოათავა. - მაგრამ ეს წყენა რომ მახსენდება, წყალივით ვიღვრები ხოლმე და შეუჩერებლად მივგორავ, როგორც ახალთახალი ურიკა გაზეთილი ბორბლებით.

მოათავა ლაპარაკი თუ არა, სემი ცოტა ხნით შეჩერდა, რომ გაეგო, კიდევ რამე ხომ არ უნდა ჩემგანო, და ოთახიდან გავიდა.

- ათის ნახევარია უკვე... დროა წავიდე... ახლავე წავალ, - თქვა ჯენტლმენმა, რომელიც, როგორც მკითხველი უთუოდ მიხვდებოდა, თვით მისტერ ჯინგლი გახლდათ.

- დროა რისთვის? - ეშმაკურად შეეკითხა შინაბერა მამიდა.

- ლიცენზიის მოსატანად, ჩემო ძვირფასო ანგელოზო, ეკლესიაშიც უნდა განვაცხადო, რომ ხვალ უკვე ჩემი იყოთ, - წარმოთქვა მისტერ ჯინგლმა და შინაბერა მამიდას ხელი ნაზად მოუჭირა.

- ლიცენზია! - შესძახა რეიჩელმა და ლოყები აუწითლდა.

- დიახ, ლიცენზია, - გაუმეორა მისტერ ჯინგლმა, და დაამღერა:

„გავეშურები ლიცენზიისთვის -
წუთში, დინგლი-დორ, კვლავ აქ გავჩნდები!“

- როგორ ისწრაფვით, - თქვა რეიჩელმა.

- ვისწრაფვი რას მიქვია... სისწრაფე მერე უნდა ნახოთ; საათები, დღეები, კვირები, თვეები და წლები... რომ შევერთდებით, აი, დრო მაშინ როგორ გაფრინდება... თვით ათასცხენისძალიანი ორთქლის მანქანა მასთან შედარებით არაფერი იქნება.

- არ შეიძლება... არ შეიძლება ჯვარი ხვალ დილამდე დავიწეროთ? - შეეკითხა რეიჩელი.

- შეუძლებელია... ვერ მოხერხდება... ეკლესიას უნდა შევატყობინო. დღეს ლიცენზიას ვიშოვი... ცერემონია კი ხვალ ჩავატაროთ, - უპასუხა მისტერ ჯინგლმა.

- ვშიშობ, ჩემმა ძმამ არ მოგვაგნოს, - თქვა ისევ რეიჩელმა.

- მოგვაგნოს?.. სისულელეა! კაი მაგრად შეინჯღრა, ეტლი რომ გადმობრუნდა... გარდა ამისა, სიფრთხილით მოვიქეცით... სამგზავრო ეტლი მივაგდეთ... ფეხით ვიარეთ... ქალაქისკენ მიმავალი ვიქირავეთ და ბოროში ჩამოვედით... ფიქრადაც არ მოუვა, რომ აქ ვართ. ჰა, ჰა, ჰა! დიდებული აზრია, ჩემმა მზემ... ფრიად!

- დიდი ხნით ნუ დამტოვებთ, - ალერსიანად ჩასჩურჩულა შინაბერამ, როდესაც მისტერ ჯინგლმა დაჭმუჭნილი ქუდი თავზე ჩამოიცვა.

- დიდი ხნით როგორ დაგტოვებთ თქვენ, უწყალო ჯადოქარო! - ამ სიტყვებით მისტერ ჯინგლი მხიარულად მიკუნტრუშდა შინაბერა მამიდასთან, უბიწო ამბორი აღბეჭდა მის ტუჩებზე და ოთახიდან სულ ცეკვა-ცეკვით გავარდა.

„რა საყვარელი კაცია“, - გაიფიქრა შინაბერამ, როდესაც კარი მიიხურა.

- სასაცილო ბებრუხანა! - წარმოთქვა მისტერ ჯინგლმა გავიდა თუ არა ტალანში.

უთუოდ გული გეტკინებათ, მკითხველო, თუ დაუფიქრდებით ახლობლების ცბიერებას და ამიტომ ვარჩევთ არ მივყვეთ მისტერ ჯინგლის ფიქრთა დინებას, როდესაც იგი დოქტორ--კომონზისაკენ მიეშურებოდა. ჩვენ მიერ დასახული მიზნისათვის ისიც იკმარებს თუ მოგახსენებთ, რომ იგი მშვიდობით გადაურჩა თეთრწინსაფრიანი ურჩხულის ხრიკებს, ამ მოჯადოებული ადგილის შესასვლელს რომ იცავს, მშვიდობით მიაღწია მთავარი ქორეპისკოპოსის ოთახს და მიიღო კიდეც პერგამენტზე დაწერილი საქებარი დახასიათება კენტერბერის არქიეპისკოპოსისგან, რომელიც „ყოველივე კეთილს უსურვებდა თავის ერთგულ და საყვარელ ერთმორწმუნეთ ალფრედ ჯინგლსა და რეიჩელ უორდლს“. მან ფრთხილად შეინახა ჯიბეში ჯადოსნური საბუთი და ზეიმით გასწია ბოროსკენ.

ჯერ კიდევ შუა გზაზე იქნებოდა მისტერ ჯინგლი, როდესაც ორი მსუქანი ჯენტლმენი და ერთიც ხმელ-ხმელი სასტუმრო „თეთრი ირმის“ ეზოში შევიდნენ და აქეთ-იქით დაიწყეს ცქერა. ეტყობა, ვინმე საიმედო პირს ეძებდნენ, რომელსაც გამოჰკითხავდნენ, რაც მათ აინტერესებდათ. მოხდა ისე, რომ სწორედ ამ

დროს მისტერ სამუელ უელერი აპრიალებდა ფერადგადასაკეციან ჩექმებს, რომელიც ერთ-ერთი ფერმერის პირადი საკუთრება იყო. ამჟამად ეს ფერმერი, ბოროს ბაზრობით დაქანცული, სასადილოში ბრძანდებოდა და შეექცეოდა მსუბუქ საუზმეს (ორი გირვანქა ცივად მოხარშული ძროხის ხორცი და ერთი თუ ორი ტოლჩა პორტვეინი).

ეზოში შემოსვლისთანავე ხმელ-ხმელმა ჯენტლმენმა პირდაპირ სამუელ უელერს მიმართა:

- ჩემო მეგობარო, - დაიწყო მან.

„ეტყობა, მიჩვეული ხარ ყველაფრის მუქთად მიღებას, თორემ ასე უცბად თაფლივით არ დატკბებოდი“, - გაიფიქრა სემმა, ხმამაღლა კი უპასუხა: - გისმენთ, სერ.

- ჩემო მეგობარო, - წარმოთქვა კვლავ ჯენტლმენმა ახლა უფრო ალერსიანად, - ამჟამად სასტუმროში ბევრი მდგმური გყავთ? უთუოდ სამუშაოც ბევრი გექნებათ, არა?

სემმა ჯენტლმენი შეათვალიერა. ეს იყო შავგვრემანი, დაბალი და ხმელ-ხმელი მამაკაცი, გამხდარ დანაოჭებულ სახეზე ცნობისმოყვარე პაჭუა ცხვირის ორივე მხარეს მოუსვენარ, მოციმციმე შავ თვალებს გამუდმებით ახამხამებდა - მათ თითქოს კეკემალულობას გაუთავებელი თამაში გაებათ ერთმანეთს შუა აღმართულ ცხვირთანო. მამაკაცი თავით ფეხამდე შავებში იყო გამოწყობილი. სერთუკს ქვემოდან გაქათქათებული არშიაშემოვლებული პერანგი და თეთრი ყელსახვევი მოუჩანდა. საათის ჯიბიდან ოქროს ძეწკვი გადმოჰკიდებოდა. ფეხზე შავი წაღები ეცვა, რომლებიც ისევე ბრწყინავდნენ, როგორც მისი თვალები. ხელში შავივე ტყავის ხელთათმანი ეჭირა. როდესაც ლაპარაკობდა, ხელებს სერთუკის კალთებქვეშ ამოიდებდა ხოლმე და თანაც მისი სახე ისეთ გამომეტყველებას იღებდა, თითქოს ამ-

ბობდა - დიდად გაწაფული ვარ უძნელესი შეკითხვების მიცემაშიო.

- მაშ, საქმე ბევრი გაქვთ, არა? - ჰკითხა კვლავ პაწია ჯენტლმენმა.

- ყელამდე, სერ, - მიუგო სემმა, - არაფერი გვიჭირს... გაკოტრებით არ გავკოტრდებით და გამდიდრებითაც - არ გავმდიდრდებით. მოხარშულ ცხვრის ხორცს ჯონჯოლის გარეშეც კარგად გეახლებით და თუ ძროხის ხორცი გვაქვს, პირშუშხას აღარ დავეძებთ.

- რა მასხარა ყოფილხართ, - თქვა პაწია ჯენტლმენმა.

- ჩემი უფროსი ძმაც იმავე სატკივარს უჩიოდა, სერ, - შენიშნა სემმა, - ეტყობა, გადამდები ყოფილა. პატარაობისას ერთად გვეძინა.

- რა ძველთაძველი და უცნაური შენობაა ეს თქვენი სასტუმრო, - შენიშნა ისევ პაწია ჯენტლმენმა და მიმოიხედა.

- წინასწარ რომ შეგეტყობინებინათ, მოვდივართო, უთუოდ შევაკეთებდით, - თვალიც არ დაახამხამა, ისე მიუგო სემმა.

სემის პასუხებმა პაწია ჯენტლმენი ცოტა არ იყოს დააბნია. ერთხანს იგი ორ მსუქან ჯენტლმენს ეთათბირებოდა რაღაცის შესახებ და ეს რომ მოათავა, ვერცხლის პორტსიგარიდან ბურნუთის ერთი მწიკვი ამოიღო და ის იყო, მოემზადა სემთან საუბრის გასაგრძელებლად, რომ ამ დროს საუბარში ერთ-ერთი მსუქანი ჯენტლმენი ჩაერია. აღნიშნულ ჯენტლმენს მეტად კეთილი სახე ჰქონდა.

- საქმე ის გახლავთ, - დაიწყო კეთილსახიანმა ჯენტლმენმა, - რომ აი, ეს ჩემი მეგობარი (მეორე მსუქან ჯენტლმენზე მიუთითა), ნახევარ გინეას მოგცემთ, თუ თქვენ გვიპასუხებთ ერთ ან ორ...

- როგორ გეკადრებათ, ჩემო ძვირფასო სერ, - შესძახა პაწია ჯენტლმენმა, - გთხოვთ, ჩემო ძვირფასო სერ, ასეთ საქმეებში მუდამ შემდეგი პრინციპი დაიცვათ: თუ საქმე პროფესიონალს მიანდეთ, არამც და არამც მის მსვლელობაში არ უნდა ჩაერიოთ, თქვენ ბრმად უნდა მიენდოთ თქვენს ვექილს. მერწმუნეთ მისტერ (იგი მეორე მსუქან ჯენტლმენს მიუბრუნდა)... თქვენი მეგობრის სახელი დამავიწყდა.

- პიკვიკი, - მიუგო მისტერ უორდლმა, რადგან ეს მსუქანი ჯენტლმენი მართლაც ჩვენი მხიარული, სიცოცხლით სავსე დინგლი-დელელი მემამულე გახლდათ.

- დიახ, პიკვიკი. მერწმუნეთ, მისტერ პიკვიკ, ჩემო ძვირფასო სერ, რომ მე დიდად ბედნიერი ვიქნები, თუ თქვენგან რაიმე სასარგებლო რჩევას მივიღებ როგორც amicus curiae, მაგრამ ისიც უნდა მიიღოთ მხედველობაში, რომ არ შეგფერით ჩაერიოთ ჩემ მიერ წარმოებულ საქმეში, მით უმეტეს, ისეთი ad captandum არგუმენტით, როგორიცაა ნახევარი გინეას შეთავაზება. დამიჯერეთ, ჩემო ძვირფასო, სერ, რომ ეს ნამდვილად ასეა.

აქ პაწია კაცმა ბურნუთის კარგა მოზრდილი მწიკვი ამოიღო და მისმა სახემ ზედმიწევნით ღრმააზროვანი გამომეტყველება მიიღო.

- სერ, მე მხოლოდ მსურდა, რაც შეიძლება მალე მომეთავებინა ეს მეტად არასასიამოვნო საქმე, - შენიშნა მისტერ პიკვიკმა.

- მართალი ბრძანდებით, მართალი ბრძანდებით, - კვერი დაუკრა პაწია ჯენტლმენმა.

- და სწორედ ამ განზრახვით, - განაგრძო მისტერ პიკვიკმა, - მივმართე ისეთ არგუმენტს, რომელიც როგორც არაერთხელ

უკარნახია ჩემთვის ადამიანთა ზნე-ჩვეულების ცოდნას, საუკეთესოდ ჭრის ყველა საქმეში.

- დიახ, დიახ, ასეც არის, ჩინებულია, ჩინებული, - წარმოთქვა პაწია ჯენტლმენმა. - მაგრამ ეს თქვენ პირადად ჩემთვის უნდა გერჩიათ. ჩემო ძვირფასო სერ, სრულიად დარწმუნებული ვარ, რომ თქვენთვისაც ცნობილია, თუ რა დიდი ნდობით უნდა სარგებლობდეს ჩვენი პროფესიის ადამიანი. თუკი საჭიროა რაიმე ავტორიტეტული ფაქტის დასახელება, ნება მიბოძეთ მოგახსენოთ დიდად ცნობილი ბარნუელის საქმე და..

- თავი დაანებეთ მაგ ჯორჯ ბარნუელს, - სიტყვა შეაწყვეტინა სემმა, რომელიც გაოცებული შეჰყურებდა ამ შეხლაშემოხლას, - ყველამ კარგად იცის რა ხილიც იყო ის, მაგრამ, მე რომ მკითხოთ, იმ კაცის ნაცვლად ის ყმაწვილი ქალი უნდა ჩამოეხრჩოთ... ასეა თუ ისე, ახლა აღარც მწვადია და აღარც შამფური... როგორც მიგიხვდით, თქვენ გინდათ ნახევარი გინეა მომცეთ. კეთილი და პატიოსანი, მეც უარს არ ვამბობ. ამაზე უკეთესი აბა, რა გითხრათ სერ? (აქ მისტერ პიკვიკს გაეღიმა). შემდეგი შეკითხვა: „რა ეშმაკები გინდათ ჩემგან“, როგორც ერთმა ჯენტლმენმა წამოიძახა, როდესაც მოჩვენება ესტუმრა.

- ჩვენ გვინდა გავიგოთ... - დაიწყო მისტერ უორდლმა.

- როგორ გეკადრებათ, როგორ გეკადრებათ, ჩემო ძვირფასო სერ, - ჩაერია საუბარში პაწია საქმოსანი.

მისტერ უორდლმა მხრები აიჩეჩა და დადუმდა.

- ჩვენ გვსურს ვიცოდეთ, - ზვიადად წარმოთქვა პაწია კაცმა, - ...და ამას პირადად თქვენ იმიტომ გეკითხებით, რომ იქ, შიგნით, განგაში არ ატყდეს. მაშ, ჩვენ გვსურს, ვიცოდეთ ვინ დგას ამ სასტუმროში ამჟამად.

- ვინა დგას სასტუმროში? - შესძახა სემმა, რომლის ფიქრებში მდგმურები წარმოდგენილი იყვნენ მხოლოდ ტანსაცმლის იმ

ნაწილის სახით, რომელსაც უშუალოდ ის განაგებდა, - #6-ში ხისფეხიანი გახლავთ, #13-ში - ტყავის პაჭიჭების წყვილი... ორი წყვილიც ყელმოკლე წაღებისა - სავაჭრო ოთახში; აგერ ეს ფეერადგადასაკეციანი ჩექმა - ბუფეტთან რომ პატარა ოთახია და ხუთი წყვილი ჩექმაც - სასადილო ოთახი.

- მეტი არ არის? - ჰკითხა კვლავ პაწია კაცმა.

- მოიცათ, - მიუგო სემმა, რომელსაც უცებ თითქოს რაღაც გაახსენდა, - დიახ, არის. უელინგტონის ჩექმების ერთი წყვილი, კაი მაგრად გაცვეთილი და დედაკაცის ფეხსაცმელი მეხუთე ნომერში.

- როგორი ფეხსაცმელია? - იკითხა უორდლმა, რომელიც აქამდე მისტერ პიკვიკვთან ერთად გაოცებული უგდებდა ყურს სასტუმროს მდგმურების ამ უცნაურ სიას.

- სოფლის ნაკეთობაა, - მიუგო სემმა.

- მკერავის სახელი?

- ბრაუნი.

- საიდან?

- მაგლტონიდან.

- ისინი არიან, - წამოიძახა მისტერ უორდლმა, - ზეცას ვფიცავ, მიგვიგნია და ეგ არის!

- ჩუ! - თქვა სემმა, - უელინგტონები დოქტორ-კომონზში წაბრძანდნენ.

- ნუთუ მართლა? - შესძახა პაწია კაცმა.

- დიახ, ლიცენზიისთვის.

- დროზე მოგვისწრია! - თქვა მისტერ უორდლმა, - აბა, სწრაფად ერთი იმ ოთახში აგვიყვანე. წუთიც არ უნდა დავკარგოთ!

- გთხოვთ, ჩემო ძვირფასო სერ, გთხოვთ, - თქვა პაწია კაცმა, - სიფრთხილე გმართებთ.

შემდეგ ჯიბიდან წითელი აბრეშუმის ქისა ამოიღო, იქიდან სოვერენი ამოაცურა და სემს მრავალმეტყველად გადახედა.

სემს სახეზე ღიმილი გადაეკრა.

- ახლავე იმ ოთახში აგვიყვანე ისე, რომ არ გაგვაცხადო, - უთხრა მას პაწია კაცმა, - და აი, ეს შენი იქნება.

სემმა მაშინვე ფერადგადასაკეციანი ჩექმები კუთხეში მიაგდო და უცნობები ჯერ ბნელ დერეფანში გაატარა და მერე ფართო კიბით მეორე სართულზე აიყვანა, მეორე დერეფნის ბოლოს შეჩერდა და ხელით ერთ-ერთ კარზე მიუთითა.

- მიიღე, - წასჩურჩულა ვექილმა და ფული სემს ხელში ჩაუგორა.

მსახურმა კიდევ რამდენიმე ნაბიჯი გაიარა და კართან შეჩერდა. მას მიჰყვნენ ორი მეგობარი და მათი კანონიერი მრჩეველიც.

- ეს ოთახია? - წაიბუტბუტა პაწია ჯენტლმენმა.

თანხმობის ნიშნად სემმა თავი დაუქნია.

მისტერ უორდლმა კარი შეაღო და სამივე ჯენტლმენი ოთახში შევიდა სწორედ იმ წუთს, როდესაც ახალდაბრუნებული მისტერ ჯინგლი ლიცენზიას უჩვენებდა შინაბერას.

შემოსულების დანახვაზე შინაბერამ ერთი იკივლა, სავარძელში ჩაეშვა და სახე ხელებში ჩამალა. მისტერ ჯინგლმა ქაღალდი მოკუჭა და ჯიბეში ჩაიდო.

დაუპატიჟებელი სტუმრები ოთახის შუაგულში გაჩერდნენ.

- თქვენ დიდი გაიძვერა ხართ, დიახ, გაიძვერა! - წამოიძახა უორდლმა, რომელიც ბრაზისგან ძლივს ითქვამდა სულს.

- ჩემო ძვირფასო სერ, ჩემო ძვირფასო სერ, - შეევედრა პაწია კაცი და ქუდი მაგიდაზე დადო, - გემუდარებით, გონს მოდით. პიროვნების შეურაცხყოფა, სარჩელი მიყენებული ზარალის გამო... დამშვიდდით, ძვირფასო სერ, გემუდარებით...

- როგორ გაბედეთ ჩემი დის წამოყვანა სახლიდან? - დასჭექა მოხუცმა უორდლმა.

- აი ასე, აი ასე, ძალიან კარგია, - თქვა პაწია ჯენტლმენმა, - ამის კითხვა შეგიძლიათ. მართლაც და როგორ გაბედეთ, სერ?

- ეს ვინღაა? - ისე მძვინვარედ იკითხა მისტერ ჯინგლმა, რომ პაწია ჯენტლმენმა თავისდა უნებურად ორი ნაბიჯით უკან დაიხია.

- ეს ვინ არის, არამზადავ? - ჩაერია საუბარში მისტერ უორდლი, - ეს ჩემი ვექილი გახლავთ, მისტერ პერკერი, გრეისინიდან. პერკერ, ეს ვაჟბატონი პასუხისგებაში უნდა მივცე, გავასამართლებინო... მე მაგას... მე მაგას... დასწყევლოს ეშმაკმა, მოვსპობ, გავანადგურებ! შენ კი, - მიუბრუნდა დას, - შენ კი, რეიჩელ, შენი ხნის ქალს, მეტი ჭკუა გმართებს ამგვარ საქმეებში. რამ გაფიქრებინა გაქცეულიყავი ამ არამზადასთან ერთად? ოჯახი შეგვირცხვინე და თავიც გაიუბედურე. ახლავე ადექი, ქუდი დაიხურე და წამოდი... სამგზავრო ეტლი დაიქირავეთ და ამ ქალბატონის ანგარიშიც გამომიტანეთ.

- მესმის, სერ, - მიუგო სემმა, რომელიც დაძახებისთანავე ისე სწრაფად გაჩნდა ოთახში, რომ უთუოდ ყველა გაოცდებოდა, ვინც კი არ იცოდა, რომ მთელი ზემოხსენებული დიალოგის განმავლობაში მას თვალი არ მოუშორებია გასაღების ჭუჭრუტანისთვის.

- ადექი, ქუდი დაიხურე, - გაუმეორა მისტერ უორდლმა დას.

- არ დაუჯეროთ, - წარმოთქვა მშვიდად ჯინგლმა, - მიბრძანდით ოთახიდან, სერ... თქვენ აქ არაფერი გესაქმებათ... ქალბატონი ისე მოიქცევა, როგორც მას სურს... ორმოცდაერთი ხომ შეუსრულდა...

- ორმოცდაერთსაც გადასცდა, - დაცინვით წამოიძახა უორდლმა.

- ტყუილია, - შეეპასუხა შინაბერა, რომელმაც ის იყო, დააპირა გაეთამაშებინა გულის წასვლა, მაგრამ ბრაზმა სძლია.

- ტყუილიაო? - მიუგო მისტერ უორდლმა. - ორმოცდაათს ერთი საათიც არ გიკლია.

აქ კი შინაბერა მამიდამ მაგრად შეჰკივლა და გული წაუვიდა.

- ჭიქით წყალი, ჩქარა, - წარმოთქვა გულმოწყალე მისტერ პიკვიკმა და სასტუმროს დიასახლისს უხმო.

- ჭიქითო?! - წამოიძახა გააფთრებულმა უორდლმა, - კასრით მოიტანეთ და გადაასხით, იქნებ ჭკუაზე მოვიდეს, მოუხდება!

- უუ, რა მხეცი ყოფილხართ! - წამოიძახა გულკეთილმა სასტუმროს დიასახლისმა. - საცოდავი, საბრალო ქალი! აგერ წყალი, გენაცვალე, დალიეთ, ძვირფასო... ოდნავ მაინც მოსვით... მოგიხდებათ... ნუ იკლავთ ასე თავს... ასე, საყვარელო... - ჩასძახოდა დიასახლისი და რაც ძალი და ღონე შესწევდა, მსახური ქალის დახმარებით, შინაბერას ძმრით უსრესდა შუბლს, ურტყამდა ხელებში, უღიტინებდა ცხვირში, შეუხსნა კორსაჟი და მიმართა კიდევ სხვა მრავალ დამამშვიდებელ საშუალებას, რასაც იყენებენ ხოლმე გულშემატკივარი მანდილოსნები იმ ქალების მიმართ, ისტერიკის ატეხას რომ აპირებენ.

- ეტლი მზადაა, სერ, - განაცხადა სემმა, რომელიც ის იყო, კარში გამოჩნდა.

- მაშ, წავიდეთ! - დაიძახა უორდლმა.

ამ წინადადების გაგონებაზე შინაბერას კვლავ ისტერიის გაორკეცებული შეტევა დაემართა.

სასტუმროს დიასახლისი მოემზადა, რომ მაგრად შეეტია უორდლისთვის და უკვე შეეკითხა „ქვეყნის ყოვლისშემძლე შემქმნელი ხომ არ გგონიათ თავიო“, რომ ამ დროს საუბარში მისტერ ჯინგლიც ჩაერია.

- მსახურო, - თქვა მან, - პოლისმენს დაუძახე.

- მოითმინეთ, - შესძახა პაწია მისტერ პერკერმა, - დაფიქრდით, სერ, დაფიქრდით, აწონ-დაწონეთ.

- ასაწონ-დასაწონი არაფერი მაქვს, - მიუგო ჯინგლმა. - ის ხომ თავის ბატონ-პატრონია... ერთი ვნახოთ, ვინ გაბედავს და წაიყვანს აქედან... თუ, რაღა თქმა უნდა, თვითონ არ ინება.

- ძალითაც კი ვერავინ წამიყვანს აქედან, - ამოილუღლუღა შინაბერა მამიდამ, - არ მსურს წასვლა! - და კვლავ განმეორდა ისტერიკა.

- ჩემო ძვირფასო სერ, - დაიწყო პაწია კაცმა დაბალი ხმით, როდესაც მისტერ უორდლი და მისტერ პიკვიკი გვერდზე გაიხმო, - ჩემო ძვირფასო სერ, ფრიად უხერხულ მდგომარეობაში ვართ. მეტად არასასიამოვნო ამბავია, მეტი რომ აღარ შეიძლება, ამაზე უარესი ჯერ არა შემხვედრია რა... მაგრამ, სერ, იცოდეთ, რომ ჩვენ მართლაც არ ძალგვიძს, კონტროლი გავუწიოთ ამ მანდილოსნის მოქმედებას. ვიდრე აქ ჩამოვიდოდით, ხომ გაგაფრთხილეთ, ჩემო ძვირფასო სერ, რომ ერთადერთი გამოსავალი ისევ კომპრომისია-მეთქი.

ცოტა ხნით სიჩუმე ჩამოვარდა.

- რა სახის კომპრომისს გვირჩევდით? - შეეკითხა მისტერ პიკვიკი.

- ხომ ხედავთ, სერ, ჩვენი მეგობარი ფრიად არახელსაყრელ მდგომარეობაშია, ზედმიწევნით არახელსაყრელ მდგომარეობაში. ამიტომ მოგვიხდება ისევ ფულადი მსხვერპლის გაღება.

- ყოველივეს ვიღონებ, ოღონდ ეს სირცხვილი თავიდან ავიცდინო და სამუდამოდ არ გავაუბედურო ეს ქალიც, თუმცა სულელი კი არის, - თქვა მისტერ უორდლმა.

- აბა, მაშინ, ვფიქრობ, ყოველივე მოგვარდება, - უპასუხა ფუსფუსა პაწია საქმოსანმა. - მისტერ ჯინგლ, ხომ არ ინებებთ ერთი წუთით მეორე ოთახში გამოგვყვეთ?

მისტერ ჯინგლმა თანხმობა განაცხადა და ჯენტლმენების კვარტეტი თავისუფალ ოთახში გავიდა.

- ახლა, სერ, - წარმოთქვა პაწია კაცმა, როდესაც კარი მიხურა, - ნუთუ არ არის საშუალება, რომ ეს საქმე მოვაგვაროთ?.. აქეთ მობრძანდით, სერ, ერთი წამით, აგერ აქ, ფანჯარასთან, სერ, აქ არავინ შეგვიშლის ხელს, მარტო ვიქნებით, გთხოვთ, გემუდარებით დაბრძანდით, სერ... ახლა, ჩემო ძვირფასო სერ, ჩვენ შორის დარჩეს და კარგად ვიცით, რომ ეს მანდილოსანი ფულის გამო გაიტაცეთ. წარბს ნუ იკრავს, სერ, წარბს ნუ იკრავთ, ხომ გითხარით - ჩვენ შორის დარჩეს-თქო. მე და თქვენ გამოცდილი კაცები ვართ და კარგად ვიცით, რომ ესენი ჩვენი მეგობრები არ არიან... ჰმ?

მისტერ ჯინგლის სახეზე თანდათანობით გადაიყარა ღრუბელმა და საუბრის ბოლოს მარცხენა თვალიც კი ჩაუკრა პაწია ვექილს.

- კეთილი, კეთილი, - წარმოთქვა პაწია კაცმა, როდესაც შენიშნა, რა შთაბეჭდილება მოახდინა მისმა ნათქვამმა, - მაგრამ უნდა მოგახსენოთ, რომ ჩვენს მანდილოსანს პირადად, გარდა რამდენიმე ასეული გირვანქა სტერლინგისა არაფერი, ან თითქმის არაფერი გააჩნია... ვიდრე დედამისი არ გარდაიცვლება. საუცხოო მოხუცი მანდილოსანია დედამისი, ჩემო ძვირფასო სერ.

- მოხუცია, ძალზე მოხუცი! - მოკლედ, მაგრამ ხაზგასმით აღნიშნა ჯინგლმა.

- დიახ, დიახ, - მიუგო ვექილმა და ოდნავ ჩაახველა, - მართალსა ბრძანებთ, კარგა ხნის გახლავთ. მაგრამ, ჩემო ძვირფა-

სო სერ, ნუ დაგავიწყდებათ, რომ ძველისძველი ოჯახიდანაა, ძველისძველი - ამ სიტყვის ყველა გაგებით. მათი გვარის დამაარსებელი კენში ჩამოვიდა ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც იულიუს კეისარი ბრიტანეთის კუნძულებს შემოესია. იმ დროიდან მოყოლებული, მხოლოდ ერთმა ვერ იცოცხლა ოთხმოცდახუთ წლამდე და ისიც იმიტომ, რომ ერთ-ერთმა ჰენრიმ მოჰკვეთა თავი. მოხუცი ლედი ამჟამად მხოლოდ სამოცდაცამეტის გახლავთ, ჩემო ძვირფასო სერ.

პაწია კაცი დადუმდა და ბურნუთის მწიკვი ამოიღო.

- მერე? - შესძახა მისტერ ჯინგლმა.

- მერედა, ჩემო ძვირფასო სერ, ბურნუთს ხომ არ ინებებთ?.. ო, მით უკეთესი... ეს ჩვეულება, სერ, კარგა ძვირი მიჯდება... დიახ, ჩემო ძვირფასო სერ, თქვენ საუცხოო ყმაწვილი ბრძანდებით, საზოგადოებაში მიღებული; ფული რომ გქონდეთ, შეგიძლიათ ჩინებული მდგომარეობაც შეიქმნათ, არა?

- მერე? - კვლავ იკითხა მისტერ ჯინგლმა.

- ხომ მიმიხვდით?

- არცთუ ისე.

- როგორ ფიქრობთ, ჩემო ძვირფასო სერ... მე მხოლოდ მინდა აგიხსნათ: ორმოცდაათი გირვანქა და თავისუფლება ბევრად უკეთესი არ არის, ვიდრე მის უორდლი და მოლოდინი?

- არ გამოვა! ორჯერ მეტსაც არ ავიღებ, - თქვა მისტერ ჯინგლმა და წამოდგა.

- არა, არა, ჩემო ძვირფასო სერ, - შეეპასუხა პაწია ვექილი და ჯინგლს სერთუკის ღილში სწვდა. - მოგეხსენებათ, ორმოცდაათი გირვანქა - საკმაოდ კარგი თანხაა. თქვენისთანა მოხერხებული კაცი მას იმწამსვე სათანადოდ გამოიყენებდა. მერწმუნეთ, ბევრი რამის გაკეთება შეიძლება ორმოცდაათი გირვანქით.

- ასორმოცდათით კიდევ უფრო მეტსაც გააკეთებს კაცი, - მშვიდად მიუგო მისტერ ჯინგლმა.

- კეთილი, ჩემო ძვირფასო სერ, არ ღირს დროის დაკარგვა ასეთი მცირე რამის გამო. მოდით, ვთქვათ - სამოცდაათი.

- არ გამოვა! - მტკიცედ წარმოთქვა მისტერ ჯინგლმა.

- ნუ მიდიხართ, ჩემო ძვირფასო სერ, გემუდარებით, ნუ აჩქარდებით, - მიმართა მას პაწია კაცმა, - ოთხმოცი და კმარა, ჩეკს ახლავე გამოგიწერთ.

- არ გამოვა! - მიუგო მისტერ ჯინგლმა.

- კეთილი, ჩემო ძვირფასო სერ, კეთილი, - წამოიძახა პაწია კაცმა და ჯინგლი კვლავ შეაჩერა, - მაშ, მითხარით, ზუსტად რამდენი გინდათ?

- ძვირი საქმეა, - თქვა მისტერ ჯინგლმა, - ფული ჯიბიდან ქრება: საფოსტო ცხენები ცხრა გირვანქა, ლიცენზია - სამი; ეს უკვე თორმეტს შეადგენს. პირგასამტეხლო ასი გირვანქა - ას თორმეტი; პატიოსნების შეურაცხყოფა და ქალის დაკარგვაც...

- კეთილი, ჩემო ძვირფასო სერ, - წარმოსთქვა პაწია კაცმა და ჯინგლს მიაშტერდა. - ორ უკანასკნელ პუნქტს ნურც მოიხსენიებთ. მაშ, დარჩა - ას თორმეტი. მოდით ვთქვათ, ასი.

- და ოციც, - დაუმატა მისტერ ჯინგლმა.

- კარგი, კარგი, ჩეკს ახლავე გამოგიწერთ, - დათანხმდა პაწია კაცი და დაპირების შესასრულებლად მაგიდას მიუჯდა.

- გადაგიხდით ზეგ, - ცოტა ხნის შემდეგ წარმოთქვა პაწია კაცმა და მისტერ უორდლს გადახედა, - ამასობაში კი მანდილოსანს წავიყვანთ.

მისტერ უორდლმა თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია.

- მაშ, ასი, - თქვა პაწია კაცმა.

- ოციც, - დაუმატა ისევ ჯინგლმა.

- ჩემო ძვირფასო სერ... - შეეპასუხა პაწია კაცი.

- მიეცით და გაგვეცალოს, - ჩაერია მისტერ უორდლი.

- ჩემო ძვირფასო სერ, - შეევედრა პაწია კაცი.

- და გახსოვდეთ, - განაგრძო მისტერ უორდლმა, - რომ არაფრის გამო ამ კომპრომისზე არ წავიდოდი, თვით ოჯახის სახელისთვისაც კი, დარწმუნებული რომ არ ვიყო, როგორც კი ჯიბეში ფული გაგიჩნდებათ, მაშინვე ჯოჯოხეთში მოხვდებით, და უფრო ადვილადაც, ვიდრე ახლა, როცა გროში არ გაგაჩნიათ.

- ჩემო ძვირფასო სერ, - კვლავ შეევედრა პაწია კაცი.

- დამშვიდდით, პერკერ, - წარმოთქვა უორდლმა, - გასწით აქედან, სერ.

- ამწამსვე გავემგზავრები, - მშვიდად მიუგო თავხედმა ჯინგლმა, - ბაი-ბაი, პიკვიკ!

რომელიმე მიუკერძოებელ მაყურებელს რომ დაენახა ხსენებული საუბრის დასასრულს იმ ბრწყინვალე ადამიანის სახე, რომლის სახელი აღნიშნული ნაშრომის თავფურცელს ამშვენებს, უთუოდ გაოცდებოდა, თუ რისხვის ცეცხლმა, რომელიც თვალებიდან მან მოწინააღმდეგეს სტყორცნა, როგორ არ დაადნო სათვალის მინები - ესოდენ დიდი გახლდათ მისი გულისწყრომა. როდესაც გაიგონა, რომ არამზადამ „პიკვიკო“ უწოდა, აღშფოთებისაგან ნესტოები დაებერა და უნებურად მუშტები მოკუმშა.

- აი, - განაგრძო უსირცხვილო გაიძვერამ და ლიცენზია მისტერ პიკვიკს ფეხებთან დაუგდო, - აგერ ესეც, გამოგადგებათ, სახელი შეუცვალეთ მხოლოდ... ქალიც სახლში წააბრძანეთ... ტაპის გამოადგება.

მისტერ პიკვიკი ფილოსოფოსი გახლდათ, მაგრამ, მოგეხსენებათ, ფილოსოფოსნიც, თუმცა ფილოსოფიური ჯავშნით დაცულნი, მაინც ადამიანები არიან. ჯინგლის ნასროლი ისარი შიგ მიზანში მოხვდა, გაჭრა ჯავშანი და გულში შეიჭრა. გააფთრე-

ბულმა პიკვიკმა, რაც ძალი და ღონე შესწევდა, ჰაერში ისროლა სამელნე და თვითონაც ზედ მიჰყვა. მაგრამ მისტერ ჯინგლი უკვე გაუჩინარდა და ჩვენი გმირიც სემის მკლავებში აღმოჩნდა.

- ერიჰაა, - წარმოთქვა ამ უცნაურმა მსახურმა, - ეტყობა თქვენს მხარეში ავეჯი ძალიან იაფი ღირს. სერ, ეს თვითმწერი მელანია, აგერ თქვენ მაგივრად მოაწერა ხელი კედელზე. დამშვიდდით, სერ. აბა, რას გარგებთ გაეკიდოთ კაცს, რომელსაც ბედი სწყალობს და რომელიც ახლა უკვე ბოროს მეორე თავსაა გასული.

როგორც ყოველი ჭეშმარიტად დიადი ადამიანი, მისტერ პიკვიკიც შეგონებას ადვილად ემორჩილებოდა და სწრაფად და მტკიცედ წყვეტდა საკითხებს. ამიტომ ახლაც, წუთით დაფიქრდა თუ არა, მიხვდა, რომ ამაო იყო ასეთი გააფთრება. ამიტომ მისი ბრაზიც ისევე მალე ჩაქრა, როგორც აინთო.

განა ღირს გადმოგცეთ, მკითხველო, ის გოდება, რომელსაც მის უორდლი მოჰყვა, როდესაც გაიგო, რომ ორგულმა ჯინგლმა მიატოვა? ნუთუ საჭიროა გამოვიტანოთ დღის სინათლეზე ამ გულგამგმირავი სურათის მაღალმხატვრული აღწერა, რომელიც მისტერ პიკვიკმა მოგვცა? აგერ ახლა, ჩვენ წინ მისი ცრემლებით დანამული უბის წიგნაკი დევს. ერთი სიტყვაც კმარა და იგი გამომცემლის ხელში აღმოჩნდება. მაგრამ, არა! ჩვენ გვმართებს სიმტკიცე გამოვიჩინოთ და არამც და არამც არ დავუტანჯოთ გული ჩვენს მკითხველს ამ საშინელი წამების აღწერით.

მეორე დღეს მაგლტონის ვეებერთელა ეტლით ნელ-ნელა გაუდგნენ გზას დაღონებული მეგობრები და მზაკვრულად მიტოვებული ლედი. ზაფხულის ღამის მქრქალი და უღიმღამო ჩრდილები პირქუშად ჩამოწვა, როდესაც მათ მიაღწიეს დინგლი-დელს და მეინორის ფერმის კართან შეჩერდნენ.

თავი XI

მოგვითხრობს კიდევ ერთი მოგზაურობისა და არქეოლოგიური აღმოჩენის შესახებ. მისტერ პიკვიკის გადაწყვეტილება, დაესწროს არჩევნებს. შეშლილის ხელნაწერი

ღამის სიმშვიდემ და დინგლი-დელის ღრმა მყუდროებამ, მეორე დილით კი საამო და სუფთა ჰაერზე სეირნობამ მთელი ერთი საათის განმავლობაში, სავსებით განკურნა მისტერ პიკვიკი ფიზიკური დაღლილობისა და შეშფოთებისაგან. მთელი ორი დღე გასულიყო, რაც ამ დიდებულ ადამიანს თავისი ერთგული მეგობრები და მიმდევრები არ ენახა. ამიტომ, ჭეშმარიტად დიდი სიამოვნებითა და ნეტარებით, რომელიც, შესაძლოა, უბრალო მოკვდავმა ვერც ვერასოდეს იგრძნოს, მიეგება იგი მისტერ უინკლსა და მისტერ სნოდგრასს, რომელთაც ადრიანი სეირნობიდან დაბრუნებისას გზაზე გადაეყარა. ამ სიამოვნებას მისი მეგობრებიც აშკარად იზიარებდნენ, ან კი როგორ შეეძლო ვისმეს მისტერ პიკვიკის გაბრწყინებული სახისთვის ეცქირა და თვითონაც იგივე გრძნობა არ განეცადა? მაგრამ დიადმა წინამძღოლმა უმალვე შენიშნა, რომ ორივე პიკვიკელის სახე რაღაც იდუმალ დარდს დაენისლა. აღარ იცოდა რა ეფიქრა. ორივეს საიდუმლო იერი გადაჰკრავდა და ეს გარემოება იმდენად უჩვეულო გახლდათ, რომ მისტერ პიკვიკი სერიოზულად შეაშფოთა.

- როგორ არის ტაპმენი? - იკითხა მისტერ პიკვიკმა, როდესაც მეგობრებს ხელი მაგრად ჩამოართვა და გულთბილად მიესალმა.

მისტერ უინკლმა, რომელსაც თითქოს უშუალოდ ეხებოდა შეკითხვა, პასუხი არ გასცა, სახე შეიბრუნა და რაღაც სევდიან ფიქრებს მიეცა.

- სნოდგრას, - სერიოზულად წარმოთქვა მისტერ პიკვიკმა, - როგორ არის ჩვენი მეგობარი? ავად ხომ არ გახდა?

- არა, - მიუგო მისტერ სნოდგრასმა და როგორც ფანჯრის ჩარჩოზე წვიმის წვეთები, ისე აციმციმდა ცრემლი მის მგრძნობიარე ქუთუთოებზე, - არა, ავად არ გახლავთ.

მისტერ პიკვიკი შედგა და ხან ერთ მეგობარს მიაშტერდა, ხან მეორეს.

- უინკლ... სნოდგრას, - წარმოთქვა მან, - რას ნიშნავს ეს? სად არის ჩვენი მეგობარი? რა მოხდა? თქვით, გთხოვთ, გემუდარებით... არა, გიბრძანებთ, რომ თქვათ.

მისტერ პიკვიკის მიმართვაში იმდენი ადამიანური ღირსება, იმდენი სიდარბაისლე იგრძნობოდა, რომ მეგობრები გამოტყდნენ.

- წავიდა, - წარმოთქვა მისტერ სნოდგრასმა.

- წავიდა? - შესძახა მისტერ პიკვიკმა, - წავიდა?

- წავიდა, - გაიმეორა მისტერ სნოდგრასმა.

- სად?

- აი, ამ ბარათიდან მივხვდებით, - მიუგო მისტერ სნოდგრასმა, ჯიბიდან წერილი ამოიღო და მეგობარს გაუწოდა, - გუშინ დილას, როცა მისტერ უორდლისაგან მივიღეთ წერილი, რომელშიც გვატყობინებდა, რომ ამაღამ ვბრუნდებით და რეიჩელიც თან მოგვყავსო... მთელი დღე არ გამოჩენილა; საღამოს კი აი, ეს წერილი ამოგვიტანა მეჯინიბემ სასტუმრო „გვირგვინიდან“, მაგლტონში რომ არის. ტაპმენს ეს წერილი თურმე მისთვის დაუტოვებია და თანაც სასტიკად უბრძანებია - არამც და არამც დაღამებამდე არ აუტანო ჩემს მეგობრებსო.

მისტერ პიკვიკმა წერილი გახსნა. იგი მართლაც მისი მეგობრის ხელით იყო დაწერილი. აი, რას იტყობინებოდა წერილი:

„ჩემო ძვირფასო პიკვიკ!

თქვენ, ჩემო ძვირფასო მეგობარო, ჭეშმარიტად მაღლა დგახართ ყოველგვარ ადამიანურ სისუსტესა და უგუნურობაზე, რომელნიც ჩვეულებრივ მოკვდავთ არ ძალუძთ სძლიონ. თქვენ უთუოდ არც იცით, თუ რა საშინელია, როდესაც უეცრად, მოულოდნელად მიგატოვებთ მშვენიერი, მომხიბლავი არსება... და როდესაც თვითონ თქვენ, ვიღაც არამზადის ეშმაკური ხრიკების მსხვერპლად იქცევით... არამზადის, რომელიც ცბიერ ღიმილს მეგობრობის ნიღბით ფარავს... ვფიქრობ, რომ ასეთი რამ თქვენ არასოდეს დაგემართებათ.

იცოდეთ, რომ ყოველ წერილს, რომელსაც კენტში გამოგზავნით კობჰემის სასტუმრო „ტყავის მათარაში“, უეჭველად პირადად გადმომცემენ... იმ შემთხვევაში, თუ ცოცხალი დავრჩი. ვისწრაფვი გავშორდე ქვეყანას, რომელიც ესოდენ საზარელი გახდა ჩემთვის და თუ კიდეც მოვისურვებ მასთან სამუდამოდ დაშორებას... შემინდეთ და... მომიტევეთ. სიცოცხლე, ჩემო ძვირფასო პიკვიკ, აუტანელი გახდა ჩემთვის. სული, რომელიც ჩვენში ანთია, მზიდავის თასმაა, რაზედაც ამქვეყნიური ზრუნვისა და გაჭირვების მძიმე ტვირთს ვკიდებთ. და როდესაც ეს სული გვღალატობს, ტვირთი მაშინ მეტად მძიმე ასატანი ხდება. მისი სიმძიმის ქვეშ ვიღუნებით, წელში ოთხად ვიკეცებით. გადაეცით რეიჩელს... ო, ეს სახელი!..

ტრესი ტაპმენი“.

- დაუყოვნებლად უნდა გავემგზავროთ აქედან, - თქვა მისტერ პიკვიკმა, როგორც კი ბარათი მოკეცა, - ჩვენი აქ დარჩენა იმის

შემდეგ, რაც მოხდა, პირდაპირ თავხედობა იქნება. და ესეც რომ არ იყოს, ჩვენ ხომ მოვალენი ვართ, მეგობრის საძებნელად გავეშუროთ.

ამ სიტყვებით პიკვიკი მეგობრებს სახლისკენ გაუძღვა.

ეს გადაწყვეტილება მალე ყველამ შეიტყო. ატყდა ერთი ხვეწნა-მუდარა - ცოტა ხნით მაინც დარჩითო, მაგრამ მისტერ პიკვიკის გადაწყვეტილება ურყევი იყო - „საქმე მოითხოვს პირადად ჩემს დასწრებას“, - განაცხადა მან.

ამ ლაპარაკს მოხუცი მღვდელიც ესწრებოდა, - ნუთუ მართლა მიბრძანდებით? - დაინტერესდა იგი და მისტერ პიკვიკი განზე გაიხმო.

მისტერ პიკვიკმა მიღებული გადაწყვეტილება კვლავ გაუმეორა.

- აგერ, აქ, - თქვა მოხუცმა მღვდელმა, - აგერ აქ მაქვს ერთი პატარა ხელნაწერი, რომელიც გულით მსურდა პირადად თქვენთვის წამეკითხა. იგი ერთ-ერთი ჩემი მეგობრის გარდაცვალების შემდეგ ჩამივარდა ხელში. ეს მეგობარი ექიმი გახლდათ და ჩვენი საგრაფოს ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მსახურობდა. ამ ხელნაწერს შემთხვევით წავაწყდი სხვა ქაღალდებს შორის, რომელთა დახევის ან შენახვის უფლება მე მომანდეს - რა თქმა უნდა, იმისდა მიხედვით, თუ როგორ ვცნობდი საჭიროდ. მე თვითონაც ეჭვი მეპარება, რომ ეს ხელნაწერი ნამდვილ ამბავს მოგვითხრობდეს და არც ჩემი მეგობრის ხელით არის ნაწერი. მაგრამ როგორც უნდა იყოს - არის ის, მართლაც ვიღაც მანიაკის ავადმყოფი ფანტაზიის ნაყოფი, თუ ჭეშმარიტად უბედური არსების ბოდვა (რაც მე პირადად უფრო შესაძლებლად მიმაჩნია), წაიკითხეთ და თავად განსაჯეთ.

მისტერ პიკვიკმა ხელნაწერი ჩაიბარა და კეთილმოსურნე მოხუც ჯენტლმენს გულთბილად დაემშვიდობა.

ბევრად უფრო მძიმე აღმოჩნდა გამოთხოვება თვით მეინორის ფერმის მკვიდრებთან, რომელთაც სტუმრებს ესოდენ გულუხვი მასპინძლობა გაუწიეს. მისტერ პიკვიკმა ყმაწვილი ქალები გადაკოცნა - გვინდოდა გვეთქვა მამაშვილურადო, მაგრამ აბა, ვინ იცის, იქნებ მან უფრო მეტი გრძნობა ჩააქსოვა ამ გამოთხოვებაში და მაშინ უთუოდ ჩვენი შედარებაც შეუფერებელი აღმოჩნდება; შემდეგ შვილივით გადაეხვია მოხუც მანდილოსანს; მსახური ქალებიც არ დაივიწყა: ლოყებზე ხელი მოუცაცუნა, როგორც ეს ნამდვილ მხცოვან მშობელს შეჰფერის. მოხუც მასპინძელსა და მისტერ ტრანდლთან დამშვიდობებამ კიდევ უფრო გულითადად ჩაიარა და უფრო ხანგრძლივად გასტანა. ისიც უნდა ითქვას, რომ მისტერ სნოდგრასის დაძახებაც არაერთხელ დასჭირდათ, ვიდრე ხსენებული ჯენტლმენი ერთ-ერთი ბნელი დერეფნიდან არ გამოძვრა. მას მოსდევდა ემილი, რომლის ციმციმა თვალებს უჩვეულო ნისლი გადაჰკვროდა. მხოლოდ ყოველივე ზემოხსენებულის შემდეგ, სამი მეგობარი, როგორც იქნა, გაშორდა თავიანთ კეთილ მასპინძლებს. როცა ნელი ნაბიჯით დაჰყვნენ გზას, სამივემ არაერთხელ მოხედეს სახლს, სადაც გულითადი მეგობრები დარჩათ. მისტერ სნოდგრასმა მრავალი კოცნა გაგზავნა ნიშნად იმისა, რომ შენიშნა მანდილოსნის ცხვირსახოცი, რომელსაც შენობის ზედა ფანჯრიდან უქნევდნენ მანამდე, ვიდრე ბილიკის მოსახვევში სახლი თვალს არ მოეფარა.

მაგლტონში როჩესტერს მიმავალი ეტლი იქირავეს.

იმ დროისათვის, როდესაც მათ დასახლებულ ადგილს მიაღწიეს, მათი სევდის სიმწვავე იმდენად შენელდა, რომ ადრიანი სადილიც მადიანად მიირთვეს. ხოლო ნაშუადღევს, მიიკითხოიკითხეს რა გზა სოფლისკენ, სამივე მეგობარი ფეხით დაადგა გზას კობჰემისაკენ.

ფეხით გასეირნება მეტად სასიამოვნო აღმოჩნდა: ივნისის საამო ნაშუადღევი იყო; გზა დაბურულ ტყეზე გადიოდა. ნელი სიო ხეების ფოთლოვან სამოსს ნაზად აშრიალებდა და გარშემო სიგრილეს აფრქვევდა. ბებერ ხეებს სქლად აჰყოლოდა სურო და ხავსი, დაბლა კი აბრეშუმის ხალიჩასავით გაშლილიყო მობიბინე მოლი. მგზავრებმა მალე ღია პარკში ამოჰყვეს თავი, რომლის შუაგულშიც აღმართულიყო ძველებური სასახლე - დედოფალ ელისაბედის დროის არქიტექტურის უცნაური და თვალსაჩინო ნიმუში. ყოველი მხრიდან მოჩანდა ახოვანი მუხებისა და თელების გრძელი ხეივანი. ირემთა ჯოგი მადიანად წიწკნიდა ახლად აბიბინებულ ბალახს. დროდადრო დამფრთხალი კურდღელი გადაირბენდა ბილიკს ისე სწრაფად, როგორც მზიან ლანდშაფტზე მიქრიან ხოლმე ჩრდილები, რომელსაც მჩატე, ზაფხულის სწრაფმავალ სუნთქვასავით მსუბუქი ღრუბლები აჩენენ.

- თუკი ეს გახლავთ ის სამყოფელი, - შენიშნა მისტერ პიკვიკმა, როდესაც გარემოს მოავლო თვალი, - თუკი ეს გახლავთ ის სამყოფელი, რომელსაც მოაშურებს ყოველი არსება, ვისაც კი ჩვენი მეგობრისთანა სატკივარი გაუჩნდება, ეჭვი არ მეპარება, რომ მის გულში კვლავინდებურად იფეთქებს ძველი სიყვარული ამ ქვეყნისადმი.

- მეც ასე მგონია, - დაეთანხმა მისტერ უინკლი.

- და მართლაც, - დაუმატა მისტერ პიკვიკმა, როდესაც ნახევარი საათის სიარულის შემდეგ სოფელს მოადგნენ, - მართლაც, მიზანთროპის არჩევანისა არ იყოს, ამაზე უფრო ლამაზი და უფრო საამო ადგილსამყოფელი აგერ მეც არ შემხვედრია.

დაახლოებით იგივე აზრი გამოთქვეს მისტერ უინკლმაც და მისტერ სნოდგრასმაც.

მოგზაურებს მიასწავლეს გზა სასტუმრო „ტყავის მათარისაკენ“, რომელიც სუფთა და ხალვათი სოფლის ყავახანა აღმოჩ-

ნდა! შესვლისთანავე სამივემ მოიკითხა ჯენტლმენი, რომელსაც სახელად ტაპმენი ერქვა.

- ერთი სასტუმრო ოთახში შეიყვანე ესენი, ტომ, - უბრძანა მსახურს სასტუმროს დიასახლისმა.

ჩასუქებულმა ყმაწვილმა დერეფნის ბოლოს შეაღო კარი. სამივე მეგობარი შევიდა გრძელ, დაბალჭერიან ოთახში, რომელშიც კარგა ბლომად ეწყო უცნაური ფორმის მაღალზურგიანი ტყავგადაკრული სკამები; კედლებს ძველი პორტრეტები ამშვენებდა და არცთუ ისე ძველი, უხეშად შეფერადებული გრავიურები. ოთახის შუაგულში ქათქათა სუფრაგადაფარებული მაგიდა იდგა, რომელიც თითქმის მთლიანად იყო დაფარული შებრაწული ქათმებით, ლორით, სასმლითა და სხვა ამგვარი სანოვაგით. მაგიდასთან იჯდა მისტერ ტაპმენი, რომელიც, მართალი გითხრათ, სულაც არ ჰგავდა ადამიანს, რომელიც სამუდამოდ ეთხოვებოდა სააქაოს.

მეგობრების დანახვაზე ხსენებულმა ჯენტლმენმა დანა--ჩანგალს ხელი უშვა და მგლოვიარე იერით შეეგება მათ.

- არ მოველოდი, რომ აქ მომაკითხავდით, - თქვა მან, როდესაც მისტერ პიკვიკს გულთბილად ჩამოართვა ხელი, - თქვენი აქ მოსვლა ჭეშმარიტად დიდი სიკეთე გახლავთ.

- უჰ! - ამოისუნთქა მისტერ პიკვიკმა, სკამზე ჩამოჯდა და შუბლის წმენდას შეუდგა, რომელზედაც დიდი ხნის სიარულისგან ოფლი გადასდიოდა, - მოათავეთ სადილი და გარეთ გამომყევით. მინდა მარტო მოგელაპარაკოთ.

მისტერ ტაპმენმა წინამძღოლს თხოვნა დაუყოვნებლივ შეუსრულა. თვით მისტერ პიკვიკმაც, ვიდრე მეგობარი სადილს შეექცეოდა, გასაგრილებლად ელიც გადაჰკრა. სადილობა მალე მოთავდა და ორივენი კარში გამოვიდნენ.

* * *

მთელი ნახევარი საათი მეგობრები სასაფლაოზე დასეირნობდნენ. უთუოდ მიხვდებოდით, რომ ამ ხნის განმავლობაში მისტერ პიკვიკი ცდილობდა შეერყია მეგობრის საშინელი გადაწყვეტილება. ამაო იქნება გავიმეოროთ ყველა ის არგუმენტი, რომელიც მეგობრის დასარწმუნებლად მოიყვანა ამ დიადმა ადამიანმა, რადგან ვის ძალუძს სიტყვებით გამოხატოს ის ძალა და ენერგია, რომელიც იგრძნობოდა მათ პირველშემქმნელის ნათქვამში! დანამდვილებით ვერ გეტყვით, მისტერ ტაპმენს უკვე მოჰბეზრდა მარტოობა, თუ ვერ გაუძლო თავისი უფროსის მეტყველ ჩაგონებას - ამას არცთუ დიდი მნიშვნელობა აქვს, - მაგრამ ასეა თუ ისე, იგი მალე დანებდა.

მისთვის უკვე სულერთია, განაცხადა მან, სად გაატარებს იგი თავისი უბედური სიცოცხლის დარჩენილ დღეებს და რადგან მისი ძვირფასი უფროსი ესოდენ აფასებს მის მეგობრობას, ისიც მზადაა, გაიზიაროს ყოველი ის ფათერაკი, რაც მის წინამძღოლს შეხვდება.

მისტერ პიკვიკმა გაიღიმა. მეგობრებმა ერთმანეთს ხელი ჩამოართვეს და კვლავ სოფლისკენ გზას დაადგნენ, რათა დანარჩენებს შეერთებოდნენ.

და აი, სწორედ ამ დროს ეკუთვნის მისტერ პიკვიკის უკვდავი აღმოჩენა, რომლითაც მუდამ ამაყობდნენ და თავს იწონებდნენ მისი მეგობრები და რომლითაც მას შეეძლო შური გამოეწვია ჩვენი თუ სხვა ქვეყნის ყველა არქეოლოგში.

მეგობრებმა შეუმჩნევლად ჩაუარეს სასტუმროს კარს და უკვე სოფლის შარაგზას დაჰყვნენ, როდესაც მოაგონდათ, რომ ის ადგილი, სადაც ყავახანა იყო, უკან დარჩათ. ის იყო, გამობრუნდნენ, რომ უეცრად მისტერ პიკვიკმა თვალი მოჰკრა ქვის პატა-

რა ნატეხს, რომელიც ერთ-ერთი კოტეჯის კარის წინ ნახევრად მიწაში იყო ჩამარხული. მისტერ პიკვიკი შეჩერდა.

- რა უცნაურია, - წარმოთქვა მან.

- რა არის უცნაური? - ჰკითხა მისტერ ტაპმენმა, რომელმაც გულდასმით მოათვალიერა მის გარშემო მყოფი ყოველი საგანი, გარდა იმისა, რაზედაც უნდა შეეხედა, - ღმერთო, შენ შემიწყალე, რა მოხდა?

ეს წამოძახილი უკვე აშკარა განცვიფრებას გამოხატავდა, რადგან ტაპმენმა დაინახა, რომ მისტერ პიკვიკი უცებ მუხლებზე დაეცა პატარა ქვის წინ და ცხვირსახოცით მისი ზედაპირიდან მტვრის გადაწმენდას შეუდგა.

- აგერ აქ წარწერაა, - წარმოთქვა მან.

- ნუთუ მართლა?! - წამოიძახა მისტერ ტაპმენმა.

- ვარჩევ კიდეც, - განაგრძო მისტერ პიკვიკმა და რაც ძალი და ღონე შესწევდა ერთხანს ცხვირსახოცით ხეხა ქვა და ბოლოს სათვალიდან დაჟინებით დააშტერდა მის ზედაპირს, - აგერ აქ ვარჩევ... ჯვარია, შემდეგ ასო „ბ“, და შემდეგ ასო „ტ“... ეს ფრიად მნიშვნელოვანია. - განაგრძო მისტერ პიკვიკმა და უცბად წამოხტა, - ეტყობა, ეს ძველისძველი წარწერაა, რომელიც დიდი ხანია აქ უნდა იყოს - ჯერ კიდევ ადრე, ბევრად ადრე, ვიდრე დავრდომილთა უძველესი თავშესაფარი დაარსდებოდა ამ მიდამოში... ტაპმენ, ეს ქვა არამც და არამც არ უნდა გავუშვათ ხელიდან.

მისტერ პიკვიკმა კოტეჯის კარს მიუკაკუნა. კაკუნზე ვიღაც მუშა გამოვიდა.

- ძმობილო, ხომ ვერ მეტყვი, ეს ქვა როგორ მოხვდა აქ? - ჰკითხა მას კეთილმოსურნე პიკვიკელმა.

- ვერა, სერ, ვერაფერს გეტყვით, - თავაზიანად მიუგო კაცმა, - ეს ქვა უკვე დიდი ხანია, რაც აქ არის. მე არც კი ვიყავი ჯერ დაბადებული და მგონი არც სხვა რომელიმე ჩვენი სოფლელი.

მისტერ პიკვიკმა ზეიმით გადახედა თავის მეგობარს.

- ვფიქრობ... ვფიქრობ... იმედი მაქვს, რომ თქვენთვის სულერთია, ეს ქვა აქ იქნება თუ არა? - წარმოთქვა მისტერ პიკვიკმა და მღელვარებისგან ხმა აუკანკალდა, - ხომ არაფერი გექნებათ საწინააღმდეგო, რომ გაყიდოთ ის... აი, ახლავე?

- კი მაგრამ ვინ იყიდის? - ჰკითხა მუშამ და თავისი ჭკუით, მეტად ეშმაკურად გაიღიმა.

- ათ შილინგს მოგცემთ, თუ ახლავე ამოთხრით, - უპასუხა მისტერ პიკვიკმა.

ახლა წარმოიდგინეთ მთელი სოფლის გაოცება, როდესაც ქვა ბარის ერთი დარტყმით ამოაგდეს მიწიდან და მისტერ პიკვიკმა თავისი ხელით, დიდი წვალებითა და ვაი-ვაგლახით მიიტანა იგი სასტუმროში, ფრთხილად გადაარეცხვინა და მაგიდაზე დაასვენა.

პიკვიკელების აღტაცებასა და სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. ქვის ზედაპირი აქა-იქ მომტვრეული და ოღროჩოღრო აღმოჩნდა; ზედ თვით ასოებიც უსწორმასწოროდ იყო გაბნეული, მაგრამ წარწერის ნაწილი მაინც ნათლად გამოირჩეოდა...

მისტერ პიკვიკი მისჩერებოდა განძს, რომელიც თვითონ აღმოაჩინა და თვალები სიხარულით უციმციმებდა. როგორც იქნა, მიაღწია მისი ოცნების ერთ-ერთ უდიდეს მიზანს: სწორედ იმ საგრაფოში, რომელიც საყოველთაოდ ცნობილია ძველისძველი ნანგრევებითა და გასული საუკუნეების ნაშთებით, სწორედ იმ სოფელში, რომელშიც ჯერ კიდევ მოიპოვებოდა წარსული დროის არაერთი ძეგლი, მან, პიკვიკის კლუბის თავმჯდომარემ, აღმოაჩინა დიდი ხნის სიძველის უცნაური და მეტად საინტერე-

სო წარწერა, წარწერა, რომელიც სრულიად გამოეპარა მრავალი სწავლულის თვალს - მასზე ადრე ამ ადგილს რომ ესტუმრნენ. საკუთარ თვალს არ უჯერებდა - ნუთუ ყოველივე ეს ცხადი იყო?!

- ეს... ეს შემთხვევა, - წარმოთქვა მან, - მაიძულებს შემდეგი გადაწყვეტილება მივიღო: ხვალვე, ხვალვე ქალაქში უნდა დავბრუნდეთ.

- ხვალვე! - დაუყოვნებლივ დაუკრეს კვერი მისმა აღტაცებულმა თაყვანისმცემლებმა.

- დიახ, ხვალვე, - შესძახა მისტერ პიკვიკმა, - ეს განძი სასწრაფოდ ისეთ ადგილას უნდა მოვათავსოთ, სადაც მას საფუძვლიანად გამოიკვლევენ და შეისწავლიან. ამ ნაბიჯის გადადგმას კიდევ ერთი რამ მაიძულებს. სულ რამდენიმე დღეში უნდა შედგეს არჩევნები ქალაქ იტენსვილში, რომელშიც მისტერ პერკერი, ჯენტლმენი, რომელიც დიდი ხანი არ არის, რაც გავიცანი, არჩეულია ერთ-ერთი კანდიდატის რწმუნებულად. ჩვენ არა მარტო საკუთარი თვალით ვიხილავთ, არამედ დაწვრილებით გამოვიკვლევთ კიდეც მოვლენას, რომელიც მეტად ძვირფასია ყოველი ჭეშმარიტი ინგლისელისთვის.

- ასეც მოვიქცევით, - გაისმა სამივე პიკვიკელის აღფრთოვანებული ხმა.

მისტერ პიკვიკმა მოიხედა, თანამიმდევრების სიყვარულმა მის გულში ენთუზიაზმის დიდი კოცონი გააჩაღა, ის ხომ მათი წინამძღოლი იყო და აი, ახლა, ამ ყოველივეს მთელი გულით გრძნობდა.

- მოდით, მხიარული სადღეგრძელოებით აღვნიშნოთ ეს ბედნიერი საღამო, - წარმოთქვა მან.

როგორც პირველმა, ისე ამ წინადადებამაც მეგობრების ერთსულოვანი მოწონება დაიმსახურა. მისტერ პიკვიკმა თავისი

ხელით ჩადო ღირსშესანიშნავი ქვა ფიჭვის პატარა ყუთში, რომელიც ამ მიზნით სასტუმროს დიასახლისისგან შეიძინა და შვებით ჩაეშვა სავარძელში, მაგიდის თავში.

მთელი საღამო მეგობრებმა ქეიფსა და ტკბილ საუბარში გაატარეს.

უკვე თერთმეტს გადაცილებული იყო, რაც საკმაოდ გვიან საათად ითვლება კობჰემის პატარა სოფელში, როდესაც მისტერ პიკვიკი საძინებელში ავიდა, რომელიც საგანგებოდ მისთვის გაემზადებინათ. რიკულებიანი ფანჯარა გამოაღო, სანთელი მაგიდაზე დადგა და დაფიქრდა იმ მშფოთვარე ამბებზე, რომელიც წინა ორ დღეს მოხდა.

ფიქრისთვის ხელს უწყობდა დროც და ადგილიც. მისტერ პიკვიკი მხოლოდ მაშინ გამოერკვა, როდესაც საათმა თორმეტჯერ ჩამოჰკრა. პირველი დარტყმა კუშტად გაისმა მის ყურში, მაგრამ როდესაც რეკა შეწყდა, სიჩუმე უფრო აუტანელი მოეჩვენა; უეცრად ისეთმა გრძნობამ შეიპყრო, თითქოს მეგობარი გამოსცლოდეს ხელიდან. აშკარად ატყობდა თავს, რომ მეტად აღელვებული იყო.

საჩქაროდ გაიხადა ტანთ, სანთელი ბუხარზე შემოდგა და ლოგინში ჩაწვა.

უთუოდ ყველას გამოგიცდიათ უსიამოვნო შეგრძნება, როდესაც დაღლილი სხეული ამაოდ ებრძვის უძილობას. სწორედ ასეთ მდგომარეობაში იყო მისტერ პიკვიკი: ჯერ ერთ გვერდზე გადაბრუნდა, შემდეგ მეორეზე; თვალიც ჯიუტად ხუჭა, თითქოს უნდოდა ძილზე დაეყოლიებინა, მაგრამ არაფერმა უშველა. ვერ გეტყვით, იმიტომ მოხდა ეს, რომ იმ დღეს მეტად გადაიქანცა, თუ სიცხემ ან სასმელმა იმოქმედა, მაგრამ, მისდაუნებურად, ფიქრები კვლავ და კვლავ სასტუმრო ოთახის პირქუშ სურათებ-

სა და იმ ძველისძველ ამბებს დასტრიალებდა, რომელზეც სწორედ იმ საღამოს ილაპარაკეს.

ნახევარი საათი ამ წვალებაში გაატარა და ბოლოს იმ უნუგეშო დასკვნამდე მივიდა, რომ ძილზე ფიქრიც კი ამაო იყო. ლოგინიდან წამოდგა და ნახევრად ჩაიცვა კიდეც. სჯობდა, ასე ყოფილიყო, ვიდრე კვლავ ლოგინში ჩაწოლილს სხვადასხვა საზარელ ამბავზე ეფიქრა. ფანჯარაში გაიხედა. ბნელოდა. ოთახი შემოიარა - ძალზე მიყრუებულად მოეჩვენა.

რამდენჯერმე კარსა და ფანჯარას შორის გაიარ-გამოიარა და უცებ მოაგონდა მღვდლის ხელნაწერი. ჭეშმარიტად დიდებული აზრი იყო: კიდევაც რომ არ დაინტერესებულიყო, ძილს ხომ მაინც მოჰგვრიდა!

სერთუკის ჯიბიდან ხელნაწერი ამოიღო, საწოლთან პატარა მაგიდა მიიწია, სანთელს თავი შეუსწორა, სათვალე გაიკეთა და კითხვას შეუდგა.

უცნაური ხელით იყო ნაწერი. ქაღალდი სულ გაქონილი იყო. სათაურმა შეაკრთო, უნებურად კვლავ ოთახს მოავლო თვალი, მაგრამ თავი შეიკავა: ერთი უდავო ჭეშმარიტება მოაგონდა - ჭკვიან კაცს არ შეჰფერის აჰყვეს ამგვარ სულელურ ფიქრებსო. კვლავ თავი შეუსწორა სანთელს და კითხვას შეუდგა.

შეშლილის ხელნაწერი

დიახ, შეშლილის! როგორ ლახვარივით დამეცემოდა ეს სიტყვა ამ ორიოდე წლის წინ! ამ სიტყვის გაგონებაზე ძრწოლა ამიტანდა ხოლმე, ძარღვებში სისხლი მეყინებოდა, თავით ფეხებამდე სიმწრის ოფლს მასხამდა და შიშისგან მუხლები მიცახცახებდა. ახლა უკვე შევეჩვიე მას - შევიყვარე კიდეც. დიდებული სიტყვაა „გიჟი“! მაჩვენეთ მეფე, რომლის წყრომას ისე გაურბოდნენ,

როგორც შეშლილის შემოხედვას, რომლის თოკი და ცული მსხვერპლისთვის იმდენად საიმედო იყოს, როგორც შეშლილის შემოხვევა. ჰო, ჰო, ჰო! დიდებული რამ არის სიგიჟე! რკინის რიკულის გადაღმა რომ მოგჩერებიან, თითქოს ლომი იყო. კბილებს აკრაჭუნებ; ბნელ, მყუდრო ღამეში გაისმის შენი ღმუილი; ყურს უგდებ, როგორ მხიარულად ჩხარუნებს ჯაჭვი და ამ საამო მუსიკის ხმაზე ჩალაზე გორაობ, იგრიხები... ოჰ! იშვიათი სამყოფელია!.. ვაშა სიგიჟეს!..

მაგონდება დღეები, როდესაც მეშინოდა გაგიჟების. ხშირად უეცრად მეღვიძებოდა, მუხლმოყრილი ვლოცულობდი, ვლოცულობდი - ღმერთო, მაშორე ჩემი გვარეულობის წყეული სენი-- მეთქი. მაშინ გავურბოდი ყოველგვარ მხიარულებასა და სიამოვნებას, განმარტოებულ ადგილას ვიმალებოდი და გულის გამაწვრილებელი საათების განმავლობაში იმ სენის გაძლიერებას ვაკვირდებოდი, რომელსაც სულ მალე უნდა შთაენთქა ჩემი გონება. ესეც კარგად ვიცოდი, რომ სიგიჟე თვით ჩემს სისხლში, ძვალ-რბილში იყო გამჯდარი, რომ წინა თაობაში ეს ჭირი არ გამოჩენილა და ახლა მე პირველი უნდა გავმხდარიყავი მისი მსხვერპლი. ვიცოდი, დაბეჯითებით ვიცოდი, რომ ასე უნდა ყოფილიყო, ადრეც ასე ყოფილა და მომავალშიც ასე იქნებოდა.

როდესაც ხალხმრავალი დარბაზის ბნელ კუნჭულში ვიკრუნჩხებოდი, გარშემო ვხედავდი, როგორ მაშტერდებოდნენ, რაღაცას ჩურჩულებდნენ და ერთმანეთს ჩემზე მიუთითებდნენ. ოჰ, ვიცოდი, როგორ არ ვიცოდი, რას ეუბნებოდნენ ერთმანეთს: აი, ეს კაცი განწირული შეშლილიაო. ამიტომ ისევ მარტოობას ვარჩევდი, რომ გულზე შემოწოლილი ნაღველი ოდნავ მაინც შემემსუბუქებინა სხვის შეუმჩნევლად.

ამ ტანჯვაში მრავალმა, მრავალმა წელმა განვლო. ახლაც დიდია ღამეები, საშინლად გრძელი, მოსაბეზრებელი. მაგრამ

მაინც ვერ შევადარებ იმ მშფოთვარე ღამეებსა და საშინელ სიზმრებს, რომელთაც იმ დროს ვხედავდი: - აგერ, ოთახის ყოველი კუნჭულიდან დაცინვით იღრიჭებიან უზარმაზარი, ბნელი ლანდები. რა ცბიერი სახეები აქვთ! ღამღამობით ჩემს საწოლს გადმოჰყურებენ და უცნაურად იკრუნჩხებიან. მამაპაპური სახლის იატაკი, რომელზედაც სული დალია მამაჩემის მამამ, სისხლითაა შეღებილი. ეს სისხლი მან მძაფრი შეშლილობის დროს, საკუთარი ხელით დაღვარა. თითებით ორივე ყურს ვიცობ, მაგრამ არაფერი მშველის. პირდაპირ თავზე დამწივიან ლანდები. მათი კივილისგან მთელ ოთახს ზანზარი გააქვს. წივიან, რომ ბაბუაჩემის ერთი თაობით ადრე სიგიჟეს ეძინა, მაგრამ მისი ბაბუა წლობით ცოცხლობდა მიწაზე მიჯაჭვული მკლავებით, რომ საკუთარი თავი ნაკუწებად არ დაეგლიჯა. ვიცოდი, რომ მართალს ამბობდნენ, განა არ ვიცოდი? მე ეს დიდი ხნით ადრე გავიგე. თუმცა ყველა ცდილობდა, ეს ამბავი ჩემგან დაემალა. ჰა, ჰა, ჰა! როგორი ეშმაკი გამოვდექი, თუმცა ყველას შეშლილი ვეგონე.

ბოლოს მეც მესტუმრა სიგიჟე და მიკვირდა, ასე ძალიან რატომ მეშინოდა მისი. ახლა მეც შემეძლო ქვეყნად სიარული, სიცილი, ყვირილი რჩეულთა შორის.

ახლა მე უკვე ვიცოდი, რომ გიჟი ვიყავი, იმათ კი ეჭვიც არ ჰქონდათ. მახსოვს, როგორი აღტაცებით ვულოცავდი თავს, როდესაც მაგონდებოდა ის ოინები, რომლებსაც ვუწყობდი მათ, ვინც უწინ თავად ჩემზე მიუთითებდა და დაცინვით იღრიჭებოდა. მე მხოლოდ მაშინ მეშინოდა, როდესაც ჯერ არ ვიყავი გიჟი, მეშინოდა, რომ ერთ მშვენიერ დღეს ეს სენი დამემართებოდა... როგორ გულიანად ვხარხარებდი, როდესაც მარტო ვრჩებოდი და ვფიქრობდი: „ჩემო ძვირფასო მეგობრებო, სიმართლე რომ იცოდეთ, ხომ ერთ წუთში ყველა შემომეცლებოდით“. როდესაც როხროხა მეგობართან ვსადილობდი, რამდენჯერ მინდოდა აღ-

ტაცებით შემეკივლა, რომ წარმოვიდგენდი - როგორ გააფ-თრდებოდა, თავქუდმოგლეჯილი მოკურცხლავდა ერთი რამ რომ სცოდნოდა: ის ძვირფასი მეგობარი, რომელიც ამჟამად გვერდზე უზის და ბრჭყიალა დანას ლესავს - გიჟია, ნამდვილი გიჟი, გიჟია თავით ფეხამდე. მხოლოდ მას კიდევ შერჩენია ნე-ბისყოფის ნატამალი, რომ ეს დანა პირდაპირ გულში არ ჩაგცეს. ოჰ! რა მხიარულად ვატარებდი დროს!

ქონება დიდი დამრჩა, სიმდიდრე თავსაყრელი მქონდა და მეც განცხრომასა და სიამოვნებას ვეძლეოდი. ამ ბედნიერებას ის ფიქრი აასკეცებდა, რომ ესოდენ საუცხოოდ ვინახავდი ჩემს საიდუმლოს. კანონი, თვით არწივისთვალა კანონი მოვატყუე; უამრავი ფული, რომელთა კუთვნილებაც სადავო იყო, ხელში ჩამიგდეს მე, შეშლილს! სად არის იმ საღად მოაზროვნე ადა-მიანების გამჭრიახობა, რომელთაც ესოდენ შორსმჭვრეტელი გონება გააჩნიათ: სადღაა ვექილების მოხერხება, ფანდი, ეშმა-კობა, რომელთაც უმცირესი ნაკლიც კი არ გამოეპარებათ? გად-მომილოცეს სამემკვიდრეო მამულ-დედული იმიტომ, რომ ყვე-ლას აჯობა შეშლილის ეშმაკობამ.

ფული ჩეჩქივით მეყარა. ო, რომ იცოდეთ, როგორ მეფერე-ბოდნენ, მელაქუცებოდნენ! მე ფულს არ ვზოგავდი, ისინი ქება--დიდებას არ მაკლებდნენ, ო, როგორ იმცირებდნენ თავს ჩემთან სამივენი... სამივე ძმა! მათი მოხუცი, ჭაღარა მამაც! რა პატივის-ცემა, რა რიდი და კრძალვა, თავდადებული მეგობრობა, პირდა-პირ თაყვანისცემა! - მოხუც კაცს ქალიშვილი ჰყავდა, ახალგაზ-რდა ვაჟებს - და. სამივე ღარიბი იყო, მე კი მდიდარი. ქალი რომ შევირთე, შევნიშნე - გაჭირვებულ მოყვრებს სიხარულით გაუბ-რწყინდათ სახე. ბრიყვები დარწმუნებულნი იყვნენ, რომ მოხერ-ხებულად დამიგეს მახე და სათანადო გასამრჯელოც მიიღეს. ეს მე უნდა გამხარებოდა და გულიანად გადამეხარხარა, თმები და-

მეგლიჯა და მიწაზე მეკოტრიალა მხიარული კიჟინით - მათ ხომ აზრადაც არ მოსდიოდათ, რომ ქალი შეშლილს, ნამდვილ შეშლილს მიათხოვეს.

...კიდეც რომ სცოდნოდათ, მერე რა, განა გადაარჩენდნენ? დის ბედნიერება თუ მისი მეუღლის სიმდიდრე? ეს ხომ უმსუბუქესი ფრთაა შედარებით იმ მხიარულ მოჟღარუნე, მძიმე ჯაჭვთან, რომელიც ჩემს სხეულს ამშვენებს ახლა!

მიუხედავად მთელი ჩემი ეშმაკობისა, ერთ რამეში კი მოვტყუვდი. თუმცა შეშლილებს საკმაოდ მახვილი გონება გვაქვს, მაგრამ ხანდახან ჩვენც ვიბნევით. გიჟი რომ არ ვყოფილიყავი, უთუოდ მივხვდებოდი, რომ ის გოგონა ათასჯერ ამჯობინებდა, ტყვიის კუბოში წოლილიყო ცივი და გახევებული, ვიდრე ჩემს მდიდრულ, გაჩირაღდნებულ სასახლეში შემოსულიყო როგორც პატარძალი, რომელსაც ყველა შენატრის. უნდა მცოდნოდა ისიც, რომ მის გულს ის შავთვალა ჭაბუკი დაუფლებოდა, რომლის სახელიც, თვითონვე გავიგონე - ერთხელ მშფოთვარე ძილში წამოსცდა. უნდა მცოდნოდა ისიც, რომ ის უბედური მე შემომწირეს, რათა სიღატაკისგან დაეხსნათ თავი მის ჭაღარა მოხუც მამასა და გულზვიად ძმებს.

ახლა აღარც მისი ნაკვთები, არც სახე არ მაგონდება, მაგრამ ის კი ვიცი, რომ ქალი ლამაზი იყო, ნამდვილად ვიცი, რომ ლამაზი იყო. რადგან აი ახლაც, ნათელ, მთვარიან ღამეებში, როდესაც უეცრად გამეღვიძება ხოლმე და ჩემ გარშემო მყუდროება სუფევს, მუდამ ვხედავ იქ, ჩემი საკნის ერთ-ერთ კუნჭულში ჰაეროვან, მიმქრალ სხეულს. ზურგზე დაყრილ მის გრძელ გიშრის დალალებს არაამქვეყნიური სიო არხევს. ისე დაჟინებით მომჩერებია, რომ ერთხელაც არ მოხუჭავს თვალს, წამწამს არ დაახამხამებს... ჩუ! ძარღვებში სისხლი მეყინება, როდესაც ამ სტრიქონებს ვწერ... ეს ხომ მისი სხეულია! როგორ გაჰფითრე-

ბია სახე, თვალებსაც შუშის ბრჭყვიალი დასდევს. ო, კარგად ვიცნობ მათ! მისი სხეული არასოდეს ინძრევა, არც კოპებს იკრავს და არც იღმიჭება, როგორც სხვა სახეები, რომელნიც ხანდახან ავსებენ ამ ოთახს. მაგრამ ეს გარინდებული არსება უფრო საზარელი, უფრო შემაძრწუნებელია ჩემთვის, ვიდრე ის სულები, წლების განმავლობაში მრავალჯერ რომ დამდევდნენ და მაცდენდნენ. ეს მოჩვენება პირდაპირ საფლავიდან წამომდგარა და თვითონაც სიკვდილს მაგონებს.

თითქმის ერთი წელი ვუყურებდი თანდათანობით როგორ უფითრდებოდა სახე; თითქმის ერთი წლის განმავლობაში ვხედავდი, როგორ ჩამოსდიოდა ცრემლები დამდნარ ღაწვებზე, მაგრამ მიზეზი კი არ ვიცოდი... ბოლოს ესეც გავიგე... დიდხანს ვერ დამიმალეს საიდუმლო... ქალს თურმე არასოდეს ვყვარებივარ, თუმცა მე არც მეგონა, რომ ვუყვარდი. ეზიზღებოდა ჩემი სიმდიდრე და სძულდა, გულით სძულდა ის ფუფუნება, რომელშიც ცხოვრობდა... იმას კი არ ველოდი, რომ სხვა უყვარდა. არ მეგონა, არც გამივლია თავში. უცნაური გრძნობები ამეშალა, საშინელი ფიქრები დამესია კრაზანებივით. თითქოს მათ რაღაც იდუმალი ძალა ეწეოდა ჩემკენ და ისინიც გონების გარშემო გაშმაგებულ ფერხულს უვლიდნენ... არ მძულდა ჩემი ცოლი, ის შავთვალა ბიჭი კი მეზიზღებოდა, მძაგდა, რადგან ის იყო ქალის ცრემლების მიზეზი. მებრალებოდა... დიახ, მებრალებოდა საცოდავი იმიტომ, რომ უბედურ დღისთვის გაწირეს გულქვა ნათესავებმა. ისიც ვიცოდი, რომ ასეთი ცხოვრება დიდხანს ვერ გასტანდა... მაგრამ იმ ფიქრმა, რომ იქნებ სიკვდილის წინ ჩემსავით ავბედითი არსება ეშობა, არსება, რომელსაც მემკვიდრეობით დაჰყვებოდა სიგიჟე, საშინელი გადაწყვეტილება მიმაღებინა - უნდა მოვკლა, უეჭველად ჩემი ხელით უნდა მოვკლა-მეთქი.

თვეების განმავლობაში ჯერ შხამზე ვფიქრობდი, შემდეგ დახრჩობაზე, მერე დაწვაზე. ო, რა ბრწყინვალე სანახავი იქნება დიდებული სასახლე ცეცხლის ალში გახვეული და შიგ შეშლილის დანაცრულ-დანახშირებული ცოლი.

ეს აზრი ხშირად მომდიოდა თავში, მაგრამ მალე თავი ვანებე ამ ფიქრს; ავადმყოფ გონებაში უფრო წარმტაცი სურათი გადამეშალა. განა უფრო მწვავე სიამოვნებას არ ვიგრძნობ, თუ ყოველდღიურად დანას ავლესავ, მჭრელ პირს მოვსინჯავ და წარმოვიდგენ... დიახ, წარმოვიდგენ ყოველდღე დანის წვერის ერთი დაკვრა რა ღრმა ჭრილობას მიაყენებს მის ქათქათა მკერდს.

ბოლოს ისევ ჩემმა ძველმა ნაცნობებმა, ავმა სულებმა, რომელნიც ახლა უწინდელზე უფრო ხშირად მეწვეოდნენ ხოლმე, მეგობრულად ყურში ჩამჩურჩულეს: „დროა, გადამწყვეტმა საათმა დაჰკრა“, და გალესილი დანა ხელში ჩამჩარეს. ძლიერ ჩავეჭიდე დანას, ჩუმად წამოვდექი ლოგინიდან, ფეხაკრეფით შევიპარე ცოლის საწოლ ოთახში და თავზე დავადექი... პაწია სახე მკლავებში ჩაემალა, მშვიდად ეძინა, ხელები ფრთხილად გადავუწიე, ორივე უსიცოცხლო მკერდზე დაუვარდა. ეტყობა, ნამტირალევი იყო - ცრემლის ნაკვალევი სველ ლაქებად უპრიალებდა ღაწვებზე. სწორედ იმ დროს, აგზნებული თვალით რომ დავყურებდი, ფერმკრთალ სახეზე მშვიდმა ღიმილმა გადაურბინა. ხელები კვლავ ფრთხილად დავადე მხარზე... შეხტა, მაგრამ სიზმრიდან ვერ გამოერკვა. მისკენ დავიხარე. ერთი შეჰკივლა და გაიღვიძა.

ხელის ერთ მოქნევაც კმაროდა და კრინტს აღარასდროს დასძრავდა... - მაგრამ თვალები მომაშტერა და შევშინდი, ო, როგორ შევშინდი. უნებლიეთ უკან დავიხიე. ახლაც არ ვიცი, რა დამემართა: მისმა თვალებმა სულ თავგზა ამიბნია, დამაფრთხო - დამატყვევა... მოვიკრუნჩხე, დავილიე. ქალი საწოლიდან ნელ-

ნელა წამოდგა, თვალს არ მაშორებდა, დაჟინებით მომჩერებოდა... კანკალმა ამიტანა. დანა ხელში კი მეკავა, მაინც ვერ ვინძრეოდი, გაქვავებული ვიდექი... კარისკენ წავიდა... ვეფხვივით წინ გადავუხტი, მკლავში ხელი ვტაცე. შეჰკივლა და იატაკზე ჩაიკეცა. ახლა ჩემ ხელში იყო... მაგრამ სახლში უკვე განგაში ატყდა, კიბეზე ფეხის ხმა მომესმა. დანა კვლავ ყუთში შევინახე, კარი გამოვაღე და „მიშველეთო“ დავიძახე.

შემოვიდნენ, აიყვანეს და ფრთხილად დააწვინეს საწოლზე. რამდენიმე საათის განმავლობაში სიცოცხლის ნიშანწყალი არ ემჩნეოდა... ბოლოს, როდესაც გონზე მოვიდა და მეტყველების უნარი დაუბრუნდა, აღმოჩნდა, რომ... ჭკუაზე შერყეულიყო. შეშლილი ადამიანის ბოდვაღა იყო მისი ლაპარაკი.

საჩქაროდ ექიმებს უხმეს. ბევრი დიდად განსწავლული პირი მეწვია მსუბუქი ეტლით, რომელშიც საუცხოო ცხენები იყო შებმული; კოფოზე ზიზილ-პიპილებში გამოწყობილი მსახურები აყუდებულიყვნენ... ეს სწავლულები რამდენიმე კვირის განმავლობაში მის სასთუმალს დასტრიალებდნენ... დიდი თათბირი გამართეს. ბოლოს ერთ-ერთმა, რომელიც ყველაზე ჭკვიანი და სახელგანთქმული იყო მათ შორის, გვერდზე გამიყვანა და გამაფრთხილა - ცუდი ამბის მაუწყებელი ვარო. მითხრა, მე, შეშლილს, თქვენი ცოლი გიჟია და არავითარი იმედი არ არის მისი განკურნებისო. ჩემგან სულ ახლოს იდგა, ორიოდე ნაბიჯის დაშორებით, ფანჯარასთან; თვალებში ჩამცქეროდა, ხელი ჩემს მკლავზე ედო... ერთი ხელის მოსმა და პირდაპირ ქუჩაში გადაუძახებდი. ო, რა დიდებული სურათი იქნებოდა, მაგრამ თავი შევიკავე: ამით ხომ ჩემს საიდუმლოს გავცემდი და ჩემს განზრახვას ვეღარ ავასრულებდი...

რამდენიმე დღის შემდეგ მითხრეს, ავადმყოფს მომვლელი უქირავეო. მინდორში გავედი, სადაც ვერავინ მომისმენდა და

იმდენი ვიცინე, იმდენი ვიყვირე, რომ ჩემი კივილით ჰაერი აზანზარდა.

მეორე დღეს მოკვდა. ჭაღარა მოხუცი სასაფლაომდე მოჰყვა და ამპარტავანმა ძმებმაც დის უსულო გვამს თითო ცრემლი შეაწიეს. მხოლოდ ახლა შეაწიეს, სიცოცხლის დროს კი არ გაახარეს. მის აუტანელ ტანჯვას გულგრილად შეჰყურებდნენ. ყოველივე ეს ჩემს გულში მიმალულ სიხარულს ასაზრდოებდა და მეც, სახლში დავბრუნდი თუ არა, პირზე ცხვირსახოცმიფარებული ვიცინოდი, იმდენს ვიცინოდი, რომ თვალები ცრემლით მევსებოდა.

თუმცა გულის წადილი ამისრულდა, მაინც მოსვენება ვერ ვპოვე. რაღაც თითქოს მაწუხებდა, მაწვალებდა. მიზეზსაც მივხვდი მალე: მეტის მოთმენა აღარ შემეძლო, სადაც არის, ჩემი საიდუმლო გამომჟღავნდებოდა. ვეღარ ვუმკლავდებოდი წყეულ სენს, ვეღარ ვმალავდი მძაფრ სიხარულსა და ნეტარებას, რომელსაც ხშირად ვგრძნობდი გულში... შინ მარტო რომ ვრჩებოდი ეს გრძნობა ბავშვივით მახტუნავებდა, ხელებს ერთმანეთზე შემომაკვრევინებდა, მაცეკვებდა, მაკივლებდა. როდესაც ქალაქში გავდიოდი და თვალს ვადევნებდი ბრბოს, რომელიც ქუჩებში აქეთ-იქით დაეხეტებოდა, ან თეატრში მივდიოდი და ვუსმენდი მუსიკის ნაზ ჰანგებს, ვხედავდი მოცეკვავე ხალხს, - ისეთ შვებას ვგრძნობდი, ისეთ ნეტარებას, რომ მინდოდა თითოეულს ყელში ვცემოდი, ლუკმა-ლუკმად დამეგლიჯა და მხიარული ყიჟინით შემეკივლა... მაგრამ კბილებს სიმწრით ვაკრაჭუნებდი, ფეხს იატაკს ვუბაკუნებდი და ფრჩხილებს ღრმად ვასობდი ხელისგულებს, რომ თავი შემემაგრებინა... იმ დრომდე ჯერ კიდევ ეჭვი არავის ჰქონდა, რომ გიჟი ვიყავი.

მახსოვს, თუმცა ეს უკვე უკანასკნელია, რაც მე მაგონდება, რადგან ახლა სინამდვილე ოცნებასთან მერევა... თანაც იმდენი

საქმე მაქვს, სასწრაფო საქმე, რომლის გაკეთებას სულ მაჩქარებენ, მაჩქარებენ, და დრო აღარ მრჩება სიზმარს ცხადი დავაშორო, ყველაფერი მერევა... თითქოს დღეს მომხდარიყოს, ისე კარგად მახსოვს, თუ როგორ გამოვამჟღავნე ჩემი საიდუმლო... ჰა, ჰა, ჰა! ასე მგონია, ახლაც მათ შეშინებულ სახეებს ვხედავ. თითქოს ახლაც ვგრძნობ იმ ნეტარებას, რომელიც მაშინ განვიცადე, როდესაც ისინი ჩემგან შორს გავტყორცნე და მოღერებული მუშტები შიგ გადაფითრებულ სახეში დავუშინე... მერე რა მოხდა?.. მახსოვს, შურდულივით მოვწყდი ადგილს, ყველანი მივატოვე... როგორ მომჩხაოდნენ უკან, მომწიოდნენ... ამ წუთს რომ ვიგონებ, ახლაც სხეულში გოლიათის ძალას ვგრძნობ. აგერ, ეს რკინის გისოსიც ვერ მიძლებს, წნელივით იღუნება, როდესაც ხელს ვუჭერ და ვგრეხ... მაგრამ იქ, გარეთ, გრძელი, გრძელი ტალანებია... რკინის ალაყაფის კარი... ასე მგონია, იქ გზას ვერ გავიგნებ... კიდეც რომ გავიგნო, იქ, დაბლა ხომ უზარმაზარი ალაყაფის კარია, სულ რკინის, რომელიც მუდამ მძიმე ურდულებითაა გადარაზული... ყველას კარგად ახსოვს, რა ჭკვიანი შეშლილი ვიყავი და ახლა აქ მაგრად დამამწყვდიეს.

მოიცა, უნდა მოვიგონო... რას ვამბობდი?.. დიახ, სათქმელს გადავუხვიე. ერთხელ ღამის გვიანი საათი იყო, შინ რომ დავბრუნდი... სტუმარი დამხვდა. ცოლის სამივე ძმიდან, ყველაზე უფრო ამპარტავანი ძმა მოსულიყო, ჩემი ნახვა უნდოდა. „სასწრაფო საქმე მაქვს თქვენთან“, - მითხრა... ნათლად მახსოვს... გვიან ღამით დავბრუნდი... ეს კაცი კი ძალიან მძულდა, მძულდა ისე, როგორი სიძულვილიც მხოლოდ შეშლილმა იცის - უგნური, მაგრამ სამკვდრო-სასიცოცხლო. ო, რამდენჯერ მომწყურებია მისი ნაკუწ-ნაკუწ აკეპვა... როდესაც მითხრეს - აქ გელოდებაო, კიბეზე სწრაფად ავირბინე... გვიანი იყო, ძალიან გვიანი... სულ

მარტო დავრჩით... ეს პირველი შემთხვევა იყო ჩემს სიცოცხლეში.

ჯერ თვალს ვარიდებდი, არ მინდოდა იმას მიმხვდარიყო, რაც მარტო მე ვიცოდი და მას აზრადაც არ მოსდიოდა... მაგრამ ვგრძნობდი, რომ ჩემს თვალებში სიგიჟე ცეცხლივით ანათებდა და ვნეტარებდი, სიხარულით ცას ვწვდებოდი... რამდენიმე ხანს სიტყვა არ დაგვიძრავს, ბოლოს საუბარი თავად წამოიწყო: თურმე ქალაქში ხმა დარხეულა, რომ მე კვლავ ლოთობას მივყავი ხელი, რომ მისი დის სიკვდილის შემდეგ, ჩემ შესახებ უცნაური მითქმა-მოთქმა გავრცელდა; რომ ეს მითქმა-მოთქმა მისი დის ხსოვნას შეურაცხყოფას აყენებდა. ახლა მან მრავალი გარემოება შეაჯამა, რომელსაც ადრე ვერ ამჩნევდა და მიხვდა, რომ მე კარგად არ ვექცეოდი თურმე ჩემს ცოლს... „ახლა, იმისთვის მოვსულვარ, - დაამატა, - რომ დანამდვილებით გავიგო, სწორია თუ არა ჩემი დასკვნა... განგებ ხომ არ გინდათ თქვენ ჩემი დის ხსოვნას შეურაცხყოფა მიაყენოთ და მთელ ოჯახს სამარცხვინო დაღი დაასვათ?“ მუნდირი, რომელიც მას აცვია, განაცხადა მან, ავალებს განმარტება მომთხოვოს.

ეს კაცი ადრე არმიაში მსახურობდა, ოფიცრის წოდება ჩემი ფულითა და საკუთარი დის უბედურების წყალობით მიიღო. ყველაზე უფრო დიდ მონაწილეობას ის იღებდა შეთქმულებაში; უთუოდ გულით უნდოდა ჩემი მახეში გაბმა და მთელი სიმდიდრის ხელში ჩაგდება. სწორედ ეს კაცი გახლდათ მამოძრავებელი ზამბარა, რომელმაც აიძულა უბედური და, მე გამომყოლოდა. მან მშვენივრად იცოდა, რომ დის გული ვიღაც ქეციან ბიჭბუჭს მოეჯადოებინა. ახია, ახია მის თავს! ახია მის ოფიცრის წოდებას! შევხედე... ვეღარ გავუძელი: ხმა არ ამომიღია, მაგრამ თვალებში სიძულვილმა იფეთქა.

ეს კი შევამჩნიე: შემომხედა თუ არა, ფერი ეცვალა. თამამი კაცი იყო, მაგრამ ფერი მაინც წაუვიდა და სკამიანად უკან დაიხია... უფრო ახლოს მივუჯექი და როდესაც ხარხარი ავტეხე, შევნიშნე, რომ გააჟრჟოლა. ახლა კი აშკარად ვიგრძენი, სიგიჟე მერეოდა... მას კი ჩემი ეშინოდა.

„გეტყობათ, როგორ ძალიანაც გიყვარდათ თქვენი და, - დავისისინე, - სულ თავს არ ევლებოდით, როდესაც ცოცხალი იყო?“

უმწეოდ მიიხედ-მოიხედა... შევხედე, როგორ ჩააფრინდა თითებით სკამის ზურგს, მაგრამ არაფერი მიპასუხა.

„შე არამზადავ, - ვუთხარი, - როგორც იქნა, სააშკარაოზე გამოგიყვანე... მე, მე თვითონ აღმოვაჩინე ჯოჯოხეთური მახე, რომელიც მე დამიგე... განა არ ვიცი, რომ მისი გული სხვას ეკუთვნოდა, ვიდრე თქვენ აიძულეთ მე გამომყოლოდა... ვიცი, ყველაფერი ვიცი!“

უცებ სკამიდან წამოხტა, მაღლა მოიქნია უსულო ნივთი და მიბრძანა, უკან დაიხიეო, რადგან ლაპარაკის დროს თანდათან სულ ახლოს მივიწევდი.

ლაპარაკი აღარ შემეძლო, ვკიოდი, რადგან ვგრძნობდი, ძარღვებში როგორ მძვინვარებდა ვნებები, ნაცნობი ავი სულები როგორ მეჩურჩულებოდნენ, მახელებდნენ, ამ კაცს გული ამოჭგლიჯეო.

„დაგწყევლოს ეშმაკმა, - შევკივლე ერთი, წამოვხტი და ვეცი, - შენი და მე მოვკალი, მე... მე გიჟი ვარ, შეშლილი... შენც გაგათავებ... სისხლი, სისხლი მწყურია!“

ერთი ხელის დაკვრით ავიცილე სკამი, რომელიც შიშით ზარდაცემულმა მესროლა და შევები. გაისმა მძიმე ჭახაჭუხი; ორივენი იატაკზე გავგორდით.

ო, რა დიდებული ბრძოლა გაიმართა! წარმოიდგინეთ მაღალი, ჯან-ღონით სავსე მამაკაცი, რომელიც სიცოცხლისათვის იბრძვის... მე, მე კი შეშლილი, რომელსაც, მოსისხლე მტრის განადგურება სწყურია. ისიც ვიცოდი, განა არ ვიცოდი, რომ ჩემს ღონეს არა ძალა შეედრებოდა. ღონე თითქოს გამიასკეცდა კიდეც, ვერ გამიძლო. თანდათან ჭიდილი შეასუსტა, მოდუნდა სხეული. მუხლი ზედ მკერდზე დავაჭირე და მზით დამწვარ ყელში ხელები წავუჭირე... ორივე ხელი რკინის სალტესავით შემოეჭდო... სახე აუღაჟღაჟდა, თვალები გადმოკარკლა... ენაგადმოგდებული, თითქოს დამცინოდა... უფრო მაგრად მოვუჭირე თითები.

უცებ კარი ფართოდ გაიღო, ხმაური შემომესმა და ოთახში ხალხი შემოცვივდა. ყვიროდნენ არიქა, შეშლილი გააკავეთო!..

ჩემი საიდუმლო გამჟღავნდა... ახლა თავისუფლებისთვის უნდა მებრძოლა. ფეხზე წამოვიჭერი და ვიდრე ვინმე ხელის დაკარებას მოასწრებდა, ჩემს მოწინააღმდეგეებს ვეცი... გზა გავიკვლიე, ღონიერი მკლავებით ისე ვკვეთდი მათ, თითქოს ხელში ცული მჭეროდეს... როგორც იქნა, კარს მივაღწიე, პირდაპირ მოაჯირზე დავეშვი და თვალის დახამხამებაში უკვე ქუჩაში ვიყავი.

პირდაპირ გავიქეცი. ისე სწრაფად მივრბოდი, რომ შეჩერება ვერავინ გაბედა... მესმოდა ზურგს უკან ფეხების ხმა... სიჩქარეს ვუმატე... თანდათანობით ხმაური მიწყდა. მაინც ქარივით მივქროდი გუბეებსა და წყაროებს იქით. ღობეებსა და კედლებს გადაღმა. მივქროდი გულშემზარავი ყიჟინით, უცნაური არსებანი მეხვივნენ გარს. ისინი ბანს აძლევდნენ ჩემს ყიჟინს, ბგერებს აათკეცებდნენ ისე, რომ ყვირილისგან ჰაერი ზანზარებდა. ამ დემონების მკლავებში ვიყავი ჩამწყვდეული. ისინი მიმაქროლებდნენ წინ, გადადიოდნენ ნაპირებსა და ხერგილებზე, ციბრუ-

ტივით მატრიალებდნენ; თავბრუ მეხვეოდა, სული მეხუთებოდა... ბოლოს მძლავრად ამიტაცეს, შორს გადამისროლეს და მთელი სიმძიმით მიწაზე დამანარცხეს... გონს რომ მოვედი, აქ აღმოვჩნდი... აქ, ამ მხიარულ საკანში, სადაც მზის შუქი იშვიათი სტუმარია და მთვარეც ქურდულად გზავნის სხივებს. ეს სხივები ვერ ფანტავენ გარსშემოკრულ ბნელ ჩრდილებს; მხოლოდ იმ უსიტყვო არსებას ანათებენ იქ, კუთხეში რომ მიყუჟულა... როცა თვალღია ვწევარ, შენობის სხვადასხვა კუთხიდან უცნაური წივილ-კივილი მესმის... ვინ კივის, არ ვიცი. მაგრამ ის კი ვიცი, რომ ფერმიხდილი არსება არ კივის, ხმას არ იღებს, არც სხვის კივილს აქცევს ყურადღებას... ბინდის პირველი ჩრდილებიდან განთიადის პირველ სხივამდე დგას უძრავად, გარინდებული, დგას ერთსა და იმავე ადგილას და ყურს უგდებს ჩემი რკინის ბორკილთა მუსიკას... თვალს არ მაშორებს, როდესაც საწოლზე ვიგრიხები...

* * *

ხელნაწერის ბოლოს სხვისი ხელით მიწერილი იყო შემდეგი შენიშვნა: „ეს უბედური ადამიანი, რომლის ბოდვა ამ ხელნაწერშია აღწერილი, წარმოადგენს სიყმაწვილეში უქმად დახარჯული ენერგიის დამღუპველობისა და ხანგრძლივი თავაშვებულობის სამწუხარო ნიმუშს. როგორც ვხედავთ, ყოველივე ამის შედეგიც სავალალო აღმოჩნდა. თავზე ხელაღებულობამ, ლოთობამ, დროს ტარებამ და გარყვნილმა ცხოვრებამ სიგიჟე გამოიწვია. ამ შეშლილობის პირველი ნიშანი იმით გამოიხატა, რომ იმ კაცს მცდარი აზრი აეკვიატა. ეს აზრი ემყარება ცნობილ თეორიას მედიცინაში; ზოგი მას გაცხარებით იცავს, ზოგიც თავგამოდებული უარყოფს. მისი არსი შემდეგში მდგომარეობს: ეს საცოდავი კა-

ცი დარწმუნებული იყო, რომ მის გვარში მემკვიდრეობით გადადიოდა სიგიჟე. ამან მძიმე ნაღველი გამოიწვია, რომელიც შემდგომ მძაფრ შეშლილობად იქცა. ამბავი, რომელიც მან დაწვრილებით გადმოგვცა თავის ხელნაწერში, დაავადმყოფებული გონების გამო ნაწილობრივ დამახინჯებულია, მაგრამ მაინც ნამდვილად მომხდარა ამ რამდენიმე წლის წინ. იმ პირებს, რომელნიც მოწმენი არიან ამ საცოდავის თავაშვებული ცხოვრებისა სიყმაწვილის ჟამს, ახლაც უკვირთ, რომ მისმა აშლილმა ვნებებმა, რომელთა მართვაზეც თვით გონებამ აიღო ხელი, კიდევ უფრო საშინელი რამ არ ჩაადენინეს მას“.

* * *

ის იყო შანდალში სანთელიც დაილია, რომ მისტერ პიკვიკმა მღვდლის ხელნაწერის კითხვა დაასრულა; უეცრად სანთელი სულ ჩაქრა, ისე, რომ წინასწარ ერთხელაც არ დაუციმციმებია გასაფრთხილებლად. შესანიშნავი ადამიანის აღელვებული გონება შიშმა აიტანა, საჩქაროდ გაიძრო ტანსაცმელი, დამფრთხალი თვალი ოთახს მიმოავლო, საბანში მუთაქასავით გაეხვია და მალე საღათას ძილს მისცა თავი.

როდესაც გაეღვიძა, დილა იწურებოდა. მზე კაშკაშა სხივებს აფრქვევდა ოთახს და ყოველ კუნჭულს ანათებდა. გაქრა სიბნელე, რომელიც ღამით ლოდივით შემოსწოლოდა გულს; გაქრნენ უკვალოდ ის ბნელი აჩრდილებიც, რომლებიც სუდარასავით გადაჰკვროდნენ ჩაძინებულ დედამიწას. ახლა მისტერ პიკვიკის ფიქრებიცა და გრძნობებიც ამ მშვენიერ დილასავით ნათელი და მხიარული იყო.

ნოყიერი საუზმის შემდეგ ოთხივე ჯენტლმენმა გრეივსენდისგან გასწია. თან კაცი ახლდათ, რომელსაც ფიჭვის ყუთით მოწი-

წებით მიჰქონდა მისტერ პიკვიკის დიადი აღმოჩენა. მას უბრძანეს, ამანათი პირდაპირ ლონდონში გაეგზავნა, თავად კი დღის პირველ საათზე როჩესტერში ჩავიდნენ. ბედზე საფოსტო ეტლში მაშინვე ზედა ადგილები იშოვეს და იმავე საღამოს ლონდონს ჩავიდნენ ისე, რომ თავზე ერთი ბეწვიც არ შერხევიათ.

მეორე დღე მზადებაში გაატარეს - ორ-სამ დღეში ქალაქ იტენსვილის არჩევნებზე უნდა გამგზავრებულიყვნენ. ყოველივე შენიშვნა ამ ღირსშესანიშნავი მოვლენის შესახებ, ცალკე თავს მოითხოვს. ამიტომ რამდენიმე სტრიქონში, რომელიც ახლა დაგვრჩა, მოკლედ გადმოგცემთ, თუ რა ბედი ეწია შესანიშნავ არქეოლოგიურ აღმოჩენას.

კლუბის ოქმები მოწმობენ, რომ მისტერ პიკვიკმა ამ აღმოჩენის შესახებ წაიკითხა მოხსენება კლუბის გაერთიანებულ კრებაზე, რომელიც პიკვიკელთა ლონდონს დაბრუნებისას მეორე საღამოსვე გაიმართა. დიადმა ადამიანმა მრავალი საზრიანი და მეცნიერულად დასაბუთებული მოსაზრება გამოთქვა ამ წარწერის შინაარსის შესახებ. ოქმებიდანვე ირკვევა, რომ ერთ-ერთმა დახელოვნებულმა მხატვარმა ზუსტად გადაიღო ქვაზე ამოკვეთილი უცნაური წარწერის ასლი და იგი სამეფო საანტიკვარო საზოგადოებასა და სხვა მეცნიერულ დაწესებულებებს წარუდგინა; ისიც ირკვევა, რომ დიდი შური და მტრობა გამოიწვია კამათმა, რომელიც ამ საკითხის გარშემო გაიმართა; შემდგომ თვით მისტერ პიკვიკმა დაწერა ბროშურა, რომელიც ოთხმოცდათექვსმეტ გვერდს შეიცავდა და ხსენებული წარწერის ოცდაშვიდ სხვადასხვანაირ განმარტებას იძლეოდა; სამმა ღრმად მოხუცებულმა ჯენტლმენმა უფროს ვაჟებს მხოლოდ იმიტომ ჩამოართვა მემკვიდრეობა, რომ მათ გაბედეს და ეჭვი მიიტანეს ამ წარწერის სიძველეში. ერთ-ერთი მგზნებარე ენთუზიასტი სიცოცხლეს გამოასალმეს იმის გამო, რომ ვერ ჩასწვდა წარწერის ღრმა შინა-

არსს; ამ შესანიშნავი აღმოჩენის წყალობით მისტერ პიკვიკი აირჩიეს ჩვიდმეტი მშობლიური და უცხოური საზოგადოების პატივცემულ წევრად; თუმცა ვერც ერთმა ამ ჩვიდმეტთაგანმა წარწერას ვერც თავი გაუგო და ვერც ბოლო, მაგრამ ჩვიდმეტივე ერთხმად შეთანხმდა, რომ იგი ფრიად მნიშვნელოვან ამბავს შეიცავდა.

მისტერ ბლოტონმა (ო, როგორი ზიზღით გაიხსენებენ ამ სახელს ის პირები, რომელნიც დიად მიზნებს ემსახურებიან) ჩვეულებისამებრ შურიანობა გამოიჩინა და ისეთი ეჭვები გამოთქვა აღნიშნული წარწერის შესახებ, რომელნიც მხოლოდ ზედმიწევნით უმეცარი გონებისგანაა მოსალოდნელი. წარმოიდგინეთ, ხსენებული ვაჟბატონი შეეცადა სასაცილოდ აეგდო დიდებული პიკვიკი. რაღა თქმა უნდა, რომ მისტერ ბლოტონს სამარცხვინო სურვილი ამოძრავებდა: მას უნდოდა ლაფში ამოესვარა მისტერ პიკვიკის უკვდავი სახელი. იგი პირადად წაბრძანდა კობჰემს და დაბრუნებისას, კლუბში წარმოთქმულ სიტყვაში, დაცინვით აღნიშნა: ის კაცი, რომლისგან ქვა შეისყიდა მისტერ პიკვიკმა, პირადად გავიცანიო; რომ იმ კაცმა, თუმცა დაადასტურა, რომ ქვა ძველისძველია, მაგრამ გადაჭრით უარი თქვა წარწერის სიძველეზეო, რადგან, როგორც მისივე სიტყვებიდან გამოაშკარავდა, აღნიშნული ასოები თვითონვე ამოუკვეთია ქვაზე დიდი ვაი-ვაგლახით; რომ თურმე ამ ასოებიდან შემდეგი უბრალო წინადადება გამოდის: „ბილ სტამპსს, საკუთარი ხელით“; მაგრამ ვინაიდან მისტერ სტამპსი საკუთარი შთაგონებით წერდა სიტყვებს, წერისას უფრო მათი წარმოთქმა მიიღო მხედველობაში, ვიდრე ორთოგრაფიის ულმობელი კანონები; ამ გარემოების გამო, თავისი სახელის ბოლო ასო სრულიად გამორჩენია.

პიკვიკის კლუბმა, როგორც შეეფერებოდა ესოდენ განათლებულ დაწესებულებას, ამ განცხადებას ზიზღი გამოუცხადა. მან დაუყოვნებლივ გარიცხა პიკვიკელთა საზოგადოებიდან თავხედი და ურჩი ჯენტლმენი და მისტერ პიკვიკს ნიშნად ღრმა პატივისცემისა და ერთსულოვანი მოწონებისა, ოქროს ჩარჩოიანი სათვალე მიართვა. მადლობის ნიშნად მისტერ პიკვიკმა დაახატვინა თავისი სურათი და კლუბის მთავარ დარბაზში ჩამოაკიდებინა. და თუმცა დროთა განმავლობაში მისტერ პიკვიკს წლები ემატებოდა, მან მაინც არ მოინდომა ჩამოეხსნა ეს სურათი.

მართალია, მისტერ ბლოტონი გააძევეს, მაგრამ ვერ ჩააჩუმეს. მან დაწერა ბროშურა, რომელშიც ჩვიდმეტ მეცნიერულ საზოგადოებას მიმართავდა. აღნიშნულ ბროშურაში ავტორი იმავე დებულებებს იცავდა, რომელნიც ადრე წამოაყენა, თანაც წიგნის თითქმის ყოველ გვერდზე აღნიშნული იყო, რომ ზემოხსენებული ჩვიდმეტი მეცნიერული დაწესებულება ცრუ და თაღლითი დაწესებულებანი არიანო. რაღა თქმა უნდა, რომ ამ განცხადებამ გამოიწვია ჩვიდმეტი სამეცნიერო საზოგადოების სამართლიანი წყრომა და ხალხმა და ქვეყანამ კვლავ ახალი ბროშურები იხილა; უცხოურმა სამეცნიერო საზოგადოებებმა მიწერ-მოწერა გააჩაღეს სამამულო სამეცნიერო საზოგადოებებთან. შემდეგ სამამულო სამეცნიერო საზოგადოებებმა თარგმნეს უცხოურ სამეცნიერო საზოგადოებათა ბროშურები ინგლისურად; უცხოურმა სამეცნიერო საზოგადოებებმა, თავის მხრივ, თარგმნეს სამამულო სამეცნიერო საზოგადოებათა ბროშურები თავთავიანთ ენებზე; და აი, ამგვარად დაიწყო ის ცნობილი სამეცნიერო დისკუსია, რომელიც საყოველთაოდ ცნობილია, როგორც „პიკვიკელთა დისკუსია“.

მაგრამ, მოგეხსენებათ, მისტერ პიკვიკის შეურაცხყოფისა და აბუჩად აგდების უღირსი ცდის შედეგი ისევ მის შავბედით მოწი-

ნააღმდეგეს დაატყდა თავს. ჩვიდმეტივე მეცნიერულმა საზოგადოებამ მისტერ ბლოტონი ერთხმად გამოაცხადეს უმეცარ აბეზარად და უფრო მეტი მონდომებით შეუდგნენ ახალი სამეცნიერო ტრაქტატების წერას. ის ქვა დღემდე შემონახულია კლუბში, როგორც მისტერ პიკვიკის სიდიადის ღირსშესანიშნავი ძეგლი და მისი მტრების სულიერი სიმდაბლის დამამტკიცებელი საბუთი.

თავი XII

მისტერ პიკვიკის ღირსშესანიშნავი ნაბიჯი, რომელმაც მთელი გადატრიალება მოახდინა არა მარტო მის ცხოვრებაში, არამედ პიკვიკელთა თავგადასავალშიც

მისტერ პიკვიკის ბინა გოსუელ-სტრიტზე, თუმცა მოცულობით არცთუ ისე დიდი, ძალიან კოხტა და მყუდრო იყო. იგი თითქოს განგებ მოეწყოთ იმ ადამიანისათვის, რომელსაც დაკვირვების ესოდენ შესანიშნავი უნარი და ნიჭი გააჩნდა. სასტუმრო ოთახი, რომლის ფანჯრები ქუჩას გადაჰყურებდა, მოთავსებული იყო პირველ სართულზე, საწოლი ოთახი კი მეორე სართულზე. ისიც ქუჩის პირას. ამგვარად, სადაც უნდა ყოფილიყო პიკვიკის კლუბის დიადი წინამძღოლი, იჯდა იგი სასტუმრო ოთახში საწერ მაგიდასთან, თუ იდგა საწოლ ოთახში სარკის წინ, მას მუდამ საშუალება ეძლეოდა, გულდასმით დაჰკვირვებოდა ადამიანთა ბუნების იმ მრავალფეროვან გამოვლენებს, რომელთაც ისინი ხალხმრავალ ქუჩაში იჩენენ. მისტერ პიკვიკის სახლის პატრონი, მისის ბერდლი, საბაჟო მოხელის ქვრივი და მისი ანდერძის ერთადერთი აღმასრულებელი, გარეგნობით მეტად სანდომიანი მანდილოსანი გახლდათ. იგი სულ მუდამ ფუსფუსებდა, საჭმლის დამზადებისა და შეკაზმვის დიდი ნიჭი გააჩნდა. ეს ნიჭი განსაკუთრებული შესწავლისა და დიდი ხნის წვრთნის შედეგად საოცრად განვითარებოდა და დახვეწოდა. მთელ შენობაში არც ბავშვები იყვნენ, არც მსახურები და არც ფრინველები; გარდა მისტერ პიკვიკისა, იმ სახლში მხოლოდ ორადორი მობინადრე

ცხოვრობდა: ერთი - ახმახი მამაკაცი და ერთიც - პატარა ბიჭი. პირველს ცალკე ოთახი ეჭირა, მეორე კი თვით მისტერ ბერდლის ერთადერთი პირმშო გახლდათ. ახმახი კაცი ყოველდღიურად ზუსტად ათ საათზე ბრუნდებოდა შინ და მაშინვე პატარა საწოლში წვებოდა, რომელიც უკანა ოთახში იდგა; რაც შეეხება მისტერ ბერდლს (უმცროსს), მისი საბავშვო გასართობებისა და ფიზკულტურულ ვარჯიშობათა არე სახლის წინ მდებარე ქვაფენილებითა და თხრილებით ისაზღვრებოდა. მთელ სახლში მყუდროება და სისუფთავე სუფევდა და მისტერ პიკვიკის სიტყვა კანონად იყო ქცეული.

ყოველი პიროვნება, რომელიც სახლის შინაგანაწესს იცნობდა და იცოდა აგრეთვე მისტერ პიკვიკის საოცარი სიდინჯე, უთუოდ გაკვირვებული დარჩებოდა, რომ დაენახა ამ კდემამოსილი ადამიანის სახის გამომეტყველება და საქციელი იმ დილით, რომელიც წინ უძღოდა პიკვიკელთა გამგზავრებას ქალაქ იტენსვილში. ეს საოცრად დინჯი ადამიანი ჩქარი ნაბიჯით ბოლთას სცემდა ოთახში, ყოველ წუთში ფანჯრიდან იხედებოდა, ხშირ--ხშირად აჩერდებოდა საათს და მოუთმენლობის კიდევ სხვა მრავალ ნიშანს ამჟღავნებდა. აშკარად ჩანდა, რომ მისი ნათელი გონება რაღაც მძიმე ფიქრს შეეპყრო, მაგრამ რას წარმოადგენდა ეს „რაღაც“, თვით მისის ბერდლმაც ვერ გამოარკვია.

ის იყო ხსენებულმა მანდილოსანმა მტვრის მეტად ხანგრძლივი და გულმოდგინე წმენდა მოათავა და ოთახიდან გასვლა დააპირა, რომ მისტერ პიკვიკმა შეაჩერა.

- რა გნებავთ, სერ, - შეეხმიანა მისის ბერდლი.

- რაღაც თქვენი ვაჟი იგვიანებს, - თქვა მისტერ პიკვიკმა.

- რატომ, სერ? მოგეხსენებათ, ბორომდე კარგა დიდი მანძილია, სერ, - შეეპასუხა მისის ბერდლი.

- დიახ, ეგ მართალია, - დაეთანხმა მისტერ პიკვიკი და გაჩუმდა.

მისის ბერდლი კვლავ მტვრის წმენდას შეუდგა.

- მისის ბერდლ, - დაიწყო მისტერ პიკვიკმა რამდენიმე წუთის შემდეგ.

- გისმენთ, სერ, - უპასუხა მანდილოსანმა.

- როგორ ფიქრობთ, ბევრად აღემატება ორი კაცის შესანახი ხარჯები ერთი კაცის შესანახ ხარჯებს?

- ო, მისტერ პიკვიკ, - წამოილუღლუღა მისის ბერდლმა და ყურებიანად გაწითლდა. მას მოეჩვენა, თითქო მდგმურის თვალებში უეცრად ცოლის შერთვის სურვილმა ინათა. - მისტერ პიკვიკ, რატომ მეკითხებით?

- არა, გთხოვთ, კითხვაზე მიპასუხოთ, - გაიმეორა მისტერ პიკვიკმა.

- ეს დამოკიდებულია... - დაიწყო მისის ბერდლმა და მტვრის საწმენდი პირდაპირ მისტერ პიკვიკის იდაყვს შემოახვია, რომლითაც უკანასკნელი მაგიდას ეყრდნობოდა. - ხომ იცით, მისტერ პიკვიკ, ეს თვით პიროვნებაზეა დამოკიდებული... რამდენად ხელმომჭირნეა, ყაირათიანი პიროვნებაა, სერ.

- დიახ, დიახ, თქვენ მართალი ბრძანდებით, - კვერი დაუკრა მისტერ პიკვიკმა. - მაგრამ პიროვნება, რომელიც მე მხედველობაში მყავს, ჩემი აზრით, სწორედ ამ თვისებებითაა აღჭურვილი. გარდა ამისა, ქვეყნის ავკარგიანობაშიც საკმაოდ ერკვევა... მეტად გონებამახვილიცაა...

- ო, მისტერ პიკვიკ, - წამოიძახა მისის ბერდლმა და სიწითლე თვით არახჩინის არშიებამდე შეეპარა.

- ამაში მე დარწმუნებული გახლავართ, - წარმოთქვა მისტერ პიკვიკმა ისეთი აღფრთოვანებით, როგორც ჩვეულებრივ იცოდა ხოლმე, როდესაც საუბარი მისთვის საინტერესო საკითხს შეეხე-

ბოდა, - ნამდვილად დარწმუნებული ვარ... მართალი მოგახსენოთ, მისის ბერდლ, უკვე გადავწყვიტე კიდეც.

- ღმერთო, შენ შემიწყალე, რას ბრძანებთ, სერ? - წამოიძახა მისის ბერდლმა.

- უთუოდ გაგიკვირდებათ, - მორიდებით თქვა მისტერ პიკვიკმა და მოსაუბრეს ალერსიანად გადახედა. - უთუოდ გაგიკვირდებათ, რომ ამ საკითხზე უწინ არასოდეს თქვენთან არ მისაუბრია... არც კი მიხსენებია, ვიდრე დღეს თქვენი ბიჭი განგებ არ გავისტუმრე სახლიდან. ხომ ასეა?

მისის ბერდლმა პასუხის გაცემა მხოლოდ თვალებითღა შეძლო. დიდი ხანია, რაც შორიდან ეტრფოდა მისტერ პიკვიკს... აი, ახლა, სრულიად მოულოდნელად, უცებ ისეთ მწვერვალზე აიტაცეს, რომელსაც მისი ყველაზე უფრო სულელური, გიჟური ოცნებაც კი არ მისწვდომია... აშკარაა, მისტერ პიკვიკი სადაცაა წინადადებას მისცემს... წინდაწინ გეგმაც კი შეუმუშავებია... ბიჭი ბოროში გაგზავნა, რომ ხელი არ შეეშალა მათთვის... რა ჭკვიანად, რა წინდახედულად მოქცეულა...

- აბა, ახლა პასუხად რაღას მიბრძანებთ? - ჰკითხა კვლავ მისტერ პიკვიკმა.

- ო, მისტერ პიკვიკ, - წაილუღლუღა მისის ბერდლმა და აღელვებისაგან თავით ფეხამდე აცახცახდა. - თქვენ... თქვენ ძალიან კეთილი ბრძანდებით, სერ...

- ბევრ საზრუნავსაც გადარჩებით, არა? - თქვა მისტერ პიკვიკმა.

- ო, ზრუნვასა და შეწუხებაზე არასოდეს მიფიქრია, სერ, - მიუგო მისის ბერდლმა. - უფრო მეტ საზრუნავსაც ვიდებ თავს, ოღონდ თქვენ გასიამოვნოთ, მისტერ პიკვიკ. რა კეთილი ბრძანდებით, როს ესოდენ გაუწიეთ ანგარიში ჩემს მარტოობას.

- დიახ, ასეა, თუმცა, - თქვა მისტერ პიკვიკმა, - მე არასოდეს მიფიქრია ამაზე. როდესაც ქალაქში წავალ ხოლმე, თქვენ ყოველთვის გეყოლებათ მოსაუბრე. დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ ეს მუდამ ასე იქნება.

- მუდამ მჯეროდა, რომ ნამდვილად ბედნიერ ვარსკვლავზე ვიყავი დაბადებული, - აღტაცებით წამოიძახა მისის ბერდლმა.

- და თქვენი პაწია ბიჭუნა...

- ო, ღმერთმა მისი თავი გამიზარდოს, - სიტყვა გააწყვეტინა მისის ბერდლმა და ჭეშმარიტად დედური ზლუქუნი ამოუშვა.

- მასაც აწი ამხანაგი ეყოლება, - განაგრძო მისტერ პიკვიკმა, - მერედა როგორი სიცოცხლით სავსე, მხიარული. გარწმუნებთ, ერთ კვირაში ისეთ ოინებს შეასწავლის, რომ სხვასთან ერთ წელშიც ვერ შეითვისებდა.

მისტერ პიკვიკს სახეზე კეთილმა ღიმილმა გადაჰკრა.

- ო, ძვირფასო, - წარმოთქვა ტკბილად მისის ბერდლმა.

მისტერ პიკვიკი შეკრთა.

- ო, კეთილო... ძვირფასო... საყვარელო ხუმარავ! - წამოიძახა მისის ბერდლმა, თვალის დახამხამებაში სკამიდან წამოიჭრა და... ორივე მკლავით მისტერ პიკვივს ყელზე ჩამოეკიდა. თვალებიდან წამოვიდა ცრემლთა ნიაღვარი, რომელსაც აქა-იქ ზლუქუნი ერეოდა.

- ღმერთო, შენ შემიწყალე, - აღმოხდა გაოგნებულ პიკვიკს. - მისის ბერდლ, ძვირფასო... დამშვიდდით, გემუდარებით... ნუ ტირით, ნუ... დაწყნარდით... ვაითუ, ვინმე შემოვიდეს!

- ო, შემოვიდეს, შემოვიდეს, რა ვუყოთ მერე, - თავდავიწყებით წამოიძახა მისის ბერდლმა, - არასოდეს არ მოგშორდები, ჩემო საყვარელო სულიკო... - მისის ბერდლი უფრო მაგრად ჩაეკრა მისტერ პიკვიკს.

- ღმერთო, შენ შემიწყალე, ღმერთო, შენ შემიწყალე... - ლუღლუღებდა გაოგნებული პიკვიკი და რაც ღონე შესწევდა ცდილობდა თავი დაეღწია გულჩვილი მანდილოსნის მკლავებიდან. - ვაიმე, ფეხის ხმა მესმის... ვიღაც კიბეზე ამოდის... ქალბატონო, გემუდარებით, თავი დამანებეთ... თავი დამანებეთ.

არც მუდარამ, არც წყრომამ არ გაჭრა: მისის ბერდლს მისტერ პიკვიკის მკლავზე გული შეუღონდა. ვიდრე დატანჯული მასპინძელი მოასწრებდა უგრძნობი მანდილოსნის სავარძელში ჩასვენებას, ოთახში უმცროსი ბერდლი შემოვიდა; მას ფეხდაფეხ მოჰყვნენ მისტერ ტაპმენი, მისტერ უინკლი და მისტერ სნოდგრასი.

მისტერ პიკვიკი გაშრა, ენა დაება. საცოდავი ოთახის შუაგულში იდგა საამო ტვირთით, რომელიც მკლავებზე ესვენა და გაშტერებული შესცქეროდა მეგობრებს; ხმას არ იღებდა არც სალმის მისაცემად და არც შექმნილი მდგომარეობის ასახსნელად. სამი პიკვიკელიც განცვიფრებული შეჰყურებდა დიდებულ წინამძღოლს. ბერდლი უმცროსი კი თვალებგადმოკარკლული მისჩერებოდა ხან დედას და ხან მისტერ პიკვიკს.

იმდენად ძლიერი იყო პიკვიკელების განცვიფრება და იმდენად აშკარა თვით მისტერ პიკვიკის დაბნეულობა, რომ დამსწრეთაგან კარგა ხანს ვერც ერთი გონს ვერ მოვიდა. ამასობაში გულშემოყრილი მანდილოსანიც მოსულიერდა. თვალი გაახილა თუ არა, შვილი შენიშნა და წამს გულში კეთილშობილი გრძნობები აეშალა, მწარედ აქვითინდა.

მისის ბერდლის ძვირფასი პირმშო ჯერ კარში შედგა გაოცებული; მერე გონებაში გაუელვა: „დედაჩემს რაღაც საშინელი რამ დამართეს და დამნაშავე თვით მისტერ პიკვიკიაო“. ერთგულმა შვილმა ერთი შემაძრწუნებლად დაიგმინა, ხარივით

თავი დახარა და მასპინძელს პირდაპირ ზურგსა და ფეხებში შეუტია; გააფთრებულმა არც წიხლები და არც ჩქმეტა დააკლო.

- მომაშორეთ, მომაცილეთ ეს ეშმაკის ფეხი, - შესძახა გამწარებულმა პიკვიკმა.

- რა მოხდა? - ძლივს ამოილუღლუღეს პიკვიკელებმა.

- არ ვიცი, - გაბრაზებით მიუგო მისტერ პიკვიკმა, - თუ ღმერთი გწამთ, ეს ბიჭი მომაშორეთ...

მისტერ უინკლმა, როგორც იქნა, ბიჭი ოთახის უშორეს კუთხეში გაათრია.

- ახლა, გეთაყვა, მომეხმარეთ, - განაგრძო მისტერ პიკვიკმა, - ეს მანდილოსანი ერთი ძირს უნდა ჩავიყვანოთ.

- ო... ახლა უკეთ ვარ, - დაიკნავლა მისის ბერდლმა.

- ნება მიბოძეთ, ძირს ჩაგაცილოთ, - შესთავაზა კეთილშობილმა ტაპმენმა.

- გმადლობთ, სერ... გმადლობთ, - ისტერიკულად იკივლა მისის ბერდლმა.

ერთგულმა პიკვიკელმა მანდილოსანი თავის ქორფა ბიჭუნათი პირველ სართულამდე ჩააცილა.

- ახლაც გონს ვერ მოვსულვარ, - წარმოთქვა მისტერ პიკვიკმა, როდესაც მეგობარი კვლავ ოთახში შემობრუნდა, - ვერ გამიგია, რა დაემართა ამ ქალს. ის იყო ჩემი განზრახვა გავუზიარე მსახურის აყვანის შესახებ, რომ უცნაური რამ დაემართა. ხომ დაინახეთ, რა მოუვიდა? პირდაპირ საოცარია!

- საოცარია, საოცარი, - კვერი დაუკრა მეგობარმა.

- რა უხერხულ მდგომარეობაში ჩამაყენა, - განაგრძო მისტერ პიკვიკმა.

- ძალიან, - ერთხმად მიუგეს ერთგულმა თანამიმდევრებმა. ხმამაღლა ჩაახველეს და ერთმანეთს ეჭვით გადახედეს.

მისტერ პიკვიკს არ გამოეპარა მეგობრების საქციელი, კიდევ მეტიც, აშკარად შეამჩნია, რომ მისი ნათქვამი არც ერთს არ სჯეროდა. ეტყობა, რაღაც ეჭვიც აიღეს.

- ტალანში ვიღაც კაცია, - გაახსენა მისტერ ტაპმენმა მასპინძელს.

- სწორედ ის კაცი გახლავთ, მე რომ გელაპარაკეთ ამას წინათ, - თქვა მისტერ პიკვიკმა, - დილით ბოროში კაცი გავუგზავნე. სნოდგრას, გეთაყვა, თუ შეიძლებოდეს, აქ შემოიყვანეთ.

მისტერ სნოდგრასმა თხოვნა შეუსრულა. ხუთ წუთსაც არ გაუვლია, რომ ოთახში სამუელ უელერი გაჩნდა.

- მგონი, გახსოვვართ, მეგობარო? - ჰკითხა მას მისტერ პიკვიკმა.

- როგორ არა, სერ, - მიუგო სემმა და ეშმაკურად ჩაუკრა თვალი. - ცუდი საქმე დაგმართიათ, მაგრამ რა გაეწყობა. აბა, თქვენ იმასთან რას მოხვალთ, სერ?.. ეშმაკი კაცია, ხომ? ერთხელ დასუნა, ერთხელ უჩქმიტა და...

- ახლა სხვა საქმეზე მინდა მოგელაპარაკოთ, - ნაჩქარევად გააწყვეტინა სიტყვა მისტერ პიკვიკმა. - ის საქმე ხომ სახსენებლადაც არ ღირს... დაჯექით.

- გმადლობთ, სერ, - უპასუხა სემმა.

ხვეწნა არ დასჭირვებია, მაშინვე სკამზე წამოსკუპდა ძველი თეთრი ქუდი შემოსვლისთანავე კარებთან დატოვა.

- შესახედად მაინცდამაინც არაფერი შვილია, - განაგრძო სემმა, - მაგრამ ხმარებაში დიდებულია. სანამ ფარფლები შემოუცვდებოდა, ძალიან ლამაზი იყო, თუმცა ახლაც არაა დასაწუნი. ჯერ ერთი, უფარფლებოდ ძალიან მჩატეა, და მეორეც, ყოველ ხვრელში ჰაერი გადი-გამოდის... ვენტილაციითაა.

გამოთქვა ეს დიდებული აზრი და პიკვიკელებს სანდომიანად გაუღიმა.

- ახლა კი იმ საქმეზე მოვილაპარაკოთ, რომლისთვისაც კაცი გამოგიგზავნეთ, - თქვა მისტერ პიკვიკმა, - ჩემს მეგობრებს უკვე მოვეთათბირე თქვენ შესახებ.

- კეთილი და პატიოსანი, სერ, - მიუგო სემმა, - იმისი არ იყოს, ერთმა მამამ რომ უთხრა შვილს, აბა, ცოცხლად, დაყაჭეო, როდესაც ბალღმა ფული გადაყლაპა.

- პირველ ყოვლისა, ჩვენ გვინდა ვიცოდეთ, ხართ თუ არა უკმაყოფილო თქვენი ახლანდელი მდგომარეობით? - ჰკითხა მისტერ პიკვიკმა.

- ვიდრე კითხვაზე გიპასუხებდეთ, ბატონებო, ერთი ეს მიბრძანეთ, - თქვა სემმა. - შეგიძლიათ თქვენ უკეთესი შემომთავაზოთ?

კეთილმოსურნეობის შუქმა მისტერ პიკვიკს სახე გაუნათა და მან შემდეგი პასუხი გასცა:

- რატომაც არა, მეგობარო, აბა, რას იტყოდით, მსახურად რომ ამეყვანეთ?

- თქვენთან? - ჰკითხა სემმა.

თანხმობის ნიშნად მისტერ პიკვიკმა თავი დაუქნია.

- ჯამაგირი? - კვლავ ჰკითხა სემმა.

- წელიწადში თორმეტი გირვანქა, - მიუგო მისტერ პიკვიკმა.

- ტანსაცმელი?

- ორი ცვლა.

- სამუშაო?

- მე უნდა მემსახუროთ და ჩემთან ერთად იმოგზაუროთ. ეს ბატონებიც ჩვენთან იქნებიან.

- მოხსენით განცხადება, - ხაზგასმით წარმოთქვა სემმა, - მორჩა და გათავდა: გამაქირავეს მარტოხელა ჯენტლმენზე. პირობები ხელშეკრულების მიხედვით.

- იღებთ თუ არა ამ პირობებს? - შეეკითხა მისტერ პიკვიკი.

- რაღა თქმა უნდა, - მიუგო სემმა. - თუკი ტანისამოსიც ისევე ჩინებულად მომერგება, როგორც ადგილი, ჩემს ბედს ძაღლიც არ დაჰყეფს.

- დახასიათებას ხომ ვერ მომიტანთ? - კვლავ ჰკითხა მისტერ პიკვიკმა.

- ეგ „თეთრი ირმის“ პატრონს მოჰკითხეთ, სერ, - მიუგო სემმა.

- შეგიძლიათ ამ საღამოსვე გადმოხვიდეთ?

- მაგაზე არ გაწყენინებთ. თუკი ტანსაცმელი მზადა, ახლავე გადავიცვამ, - მკვირცხლად მიუგო უელერმა.

- მაშ, საღამოს რვაზე მოდით, - უთხრა მისტერ პიკვიკმა. - ამასობაში მეც მივიკითხ-მოვიკითხავ თქვენ შესახებ და თუ დადებითი პასუხი მივიღე, ტანსაცმელს არ დაგიგვიანებთ.

თუ არ ჩავუთვლით ერთ უწყინარ ცოდვას, რომელსაც „არშიყობას“ უწოდებენ, მისტერ უელერის რეპუტაცია მართლაცდა უმწიკვლო აღმოჩნდა და მისტერ პიკვიკმაც იმავე საღამოს მოაწერა ხელშეკრულებას ხელი. სულ მოკლე ხანში ყოველივე ეს ისე სწრაფად და ენერგიულად მოგვარდა, როგორც საერთოდ სჩვეოდა პიკვიკელთა დიად წინამძღოლს არა მარტო საზოგადოებრივ გამოსვლებში, არამედ შინაურ საქმეებშიც. მოვიდა თუ არა ახალი მსახური, მისტერ პიკვიკმა მაშინვე დიდ მაღაზიაში წაიყვანა, სადაც მამაკაცის როგორც ახალი, ისე ნახმარი ტანსაცმელი იყიდებოდა. აზომვის მოსაბეზრებელი პროცედურაც უმალ მოთავდა. ჯერ კარგა შეღამებულიც არ იყო, რომ მისტერ უელერს მაღაზიიდან მოართვეს დიდებული ნაცრისფერი სერთუკი, რომელსაც ოქროსფერი ნიშანი ამშვენებდა, წარწერით „პ.კ.“ შავი კოკარდიანი ქუდი, პირისფერი ზოლიანი ჟილეტი, ღია ფერის შარვალი, პაჭიჭები და სხვა მრავალი საჭირო ნივთი, რომელთა სრული აღრიცხვა ჩვენს ძალას აღემატება.

- ნეტავ, რა მოვალეობას დამაკისრებენ? - წარმოთქვა ახალგამომცხვარმა მსახურმა, - ლაქია ვიქნები, დარაჯი, მეჯინიბე, თუ შიკრიკი? რაღაც ისეთი პირი უჩანს საქმეს, რომ მგონი ყველა ზემოხსენებულის ნარევი უნდა ვიყო... არა უშავს, ბევრ რამეს ვინახულებ, ჰაერსაც გამოვიცვლი და საქმეც ცოტა მექნება. ჩემმა მზემ, ყველაზე ძალიან ეს მაწყობს, ჩემზეა ზედგამოჭრილი. მაშ, გაუმარჯოს პიკვიკს!

თავი XIII

ზოგიერთი ცნობა ქალაქ იტენსვილზე, მისი საარჩევნო პარტიებისა და იმ სრულუფლებიანი წევრის არჩევნების შესახებ, რომელიც პარლამენტში უნდა წარმოედგინა ამ ძველისძველ, სამშობლოსადმი თავდადებულ ქალაქს

გულწრფელად უნდა ვაღიაროთ, რომ ვიდრე პიკვიკის კლუბის მრავალტომიან ფურცლებს არ ჩავუჯექით, ქალაქ იტენსვილის შესახებ არაფერი გვსმენია. გულახდილად უნდა მოგახსენოთ ისიც, რომ აღნიშნულ წერილებში ამაოდ ვეძიეთ რაიმე დამამტკიცებელი საბუთი, არსებობს თუ არა ამჟამად ეს ქალაქი. თუმცა ჩვენთვის ცნობილია, თუ რა დიდი ნდობით უნდა მოვეკიდოთ დიადი პიკვიკის ყოველ ცნობას ან შენიშვნას და, მით უმეტეს, ამ დიდბუნებოვან ადამიანს ვერც შევკადრებთ, რომ მის ჩანაწერებს ოდნავად მაინც ეჭვის თვალით შევხედოთ, მაგრამ ხომ ამბობენ: „სიფრთხილეს თავის არა სტკივაო“, და ამიტომ ამ საკითხის გარშემო პირადად მოვეთათბირეთ ცალკეულ ავტორიტეტულ პირებს, რომელნიც კი ჩვენთვის ხელმისაწვდომი აღმოჩნდნენ. ასევე გულდასმით გამოვიკვლიეთ თითოეული სახელწოდება გეოგრაფიულ ცნობარში, მაგრამ იტენსვილს ვერსად წავაწყდით. ამის შემდეგ, დაკვირვებით გადავსინჯეთ საგრაფოთა ჯიბის რუკების ყოველი კუნჭული (ჭეშმარიტად, ეს რუკები ჩვენმა სახელოვანმა გამომცემლებმა საზოგადოების საკეთილდღეოდ გამოაქვეყნეს), მაგრამ შედეგი იგივე მივიღეთ. ამიტომ სათანადო დასკვნაც გამოვიტანეთ. მისტერ პიკვიკმა უთუ-

ოდ განგებ შეცვალა იმ ადგილის ნამდვილი სახელწოდება, სადაც მან დაკვირვება აწარმოა; ვინაიდან, როგორც ეს საყოველთაოდაა ცნობილი, იგი ზედმიწევნით ფაქიზი გრძნობების პატრონი გახლდათ და, რაღა თქმა უნდა, არამც და არამც არ მოისურვებდა ვინმესთვის შეურაცხყოფა მიეყენებინა. ერთი პატარა გარემოება, თავისთავად უმნიშვნელო და ზერელე, მაგრამ ამ შემთხვევაში, როდესაც საკითხს ზემოხსენებული თვალსაზრისით განვიხილავთ, მეტად საგულისხმო, კიდევ უფრო გვარწმუნებს ჩვენი ნაფიქრის სიმართლეში. მისტერ პიკვიკის უბის წიგნაკში, იქვე თავშივე, აღმოვაჩინეთ შენიშვნა იმის შესახებ, რომ მისტერ პიკვიკისა და მისი თანამიმდევრების მოგზაურობის ადგილები რეგისტრირებული ყოფილა ნორვიჩის საფოსტო კანტორის მიერ. შემდეგში ეს შენიშვნაც ამოუშლიათ, თითქო სურდათ მიმართულებაც კი დაემალათ, საითაც ეს ქალაქი მდებარეობს, ამიტომ აღარც ჩვენ შევთავაზებთ მკითხველს რაიმე სავარაუდო მოსაზრებას, ავტორიტეტული პირების მიერ გამოგზავნილი წერილობითი აღწერით დავკმაყოფილდებით და ამჟამად, პირდაპირ პიკვიკელების თავგადასავალს განვაგრძობთ.

საერთოდ, როგორც ეს პატარა ქალაქების მოსახლეობას სჩვევია, იტენსვილის მცხოვრებლებიც თავიანთ თავს განსაკუთრებულ მნიშვნელობასა და ძლიერებას მიაწერდნენ. ყოველი იტენსვილელი, იღებდა რა მხედველობაში იმ დიდ გავლენას, რომელსაც მის თითოეულ ნაბიჯს მიაწერდნენ თანამოქალაქენი, თავს მოვალედ თვლიდა, გულითა და სულით შეერთებოდა ერთ-ერთ საარჩევნო პარტიას, რომელიც მთელ ქალაქს ორ დიდ ბანაკად ჰყოფდა, ლურჯებად და ყვითლებად. რაღა თქმა უნდა, ლურჯები ხელსაყრელ შემთხვევას არ უშვებდნენ, რომ ყვითლებს რაიმე საკითხის გარშემო არ შედავებოდნენ; თავის მხრივ, არც ყვითლები აკლებდნენ. დღე არ გავიდოდა, რომ

ლურჯებს კრიჭაში არ ჩასდგომოდნენ. შედეგიც, მოგეხსენებათ, ის გახლდათ, რომ ლურჯებსა და ყვითლებს შორის, სადაც უნდა შეხვედროდნენ ისინი ერთმანეთს, ქალაქის დარბაზში, სახალხო მიტინგზე თუ ბაზრობაზე, უმალ სასტიკი შეხლა-შემოხლა იმართებოდა და ხშირად ორივე პარტია სალანძღავ სიტყვებსაც არ იშურებდა მეტოქის დასამცირებლად.

ვთქვათ, ყვითლებმა წამოაყენეს წინადადება: „ბაზარს შუშის სახურავი გადავხუროთო“, ლურჯები ხელად მიტინგებს აწყობდნენ და ამ ღირსშესანიშნავ წინადადებას წირვას გამოუყვანდნენ; ახლა, თუკი ლურჯები განიზრახავდნენ ახალი წყალსადენის ტუმბოს დადგმას ქალაქის მთავარ ქუჩაზე, ყვითლები ერთხმად მორთავდნენ ყვირილს, ასეთი უგუნური რამ თავში როგორ მოგვივიდათო. ქალაქში იყო ლურჯი მაღაზიები და ყვითელი მაღაზიები, ლურჯი სასტუმროები და ყვითელი სასტუმროები, ეკლესიაც კი არ დაინდეს. იქაც დაყვეს ადგილები: ერთ მხარეს სკამები ლურჯებს ეკუთვნოდა, მეორე მხარეს კი - ყვითლებს.

ახლა არსებითად საჭირო და აუცილებელი გახლდათ, რომ თითოეულ ამ უძლიერეს პარტიას ღირსეული წარმომადგენელი ჰყოლოდა რჩეული ბეჭდვითი ორგანოს სახით. მართლაც, ქალაქში ორი გაზეთი გამოდიოდა: „იტენსვილის გაზეთი“ და „იტენსვილის დამოუკიდებელი“. პირველი თავგამოდებით იცავდა ლურჯების პრინციპებს, ხოლო მეორე აშკარად ყვითლების შეხედულებებს იზიარებდა.

რომ იცოდეთ, როგორ ერთგულად და თავდადებულად ასრულებდნენ ხსენებული ორგანოები ნაკისრ მოვალეობას! რა მოწინავეები, რა შეტევები! „ჩვენი უღირსი თანამედროვე „იტენსვილის გაზეთი“; „ჭეშმარიტად სამარცხვინო და მხდალი „იტენსვილელი დამოუკიდებელი“, „ეგ ღვარძლიანი, ჭორიკანა „იტენსვილის გაზეთი“; „ეგ მატყუარა და სინდისგარეცხილი „დამოუკიდე-

ბელი“, - აი, ის სალანძღავი ბრალდებანი, რომელნიც უხვად ამშვენებდნენ ორივე გაზეთის სვეტებს და იტენსვილის ღირსეულ მოქალაქეებს ნეტარებითა და გულისწყრომით ავსებდნენ.

მისტერ პიკვიკმა, ჩვეული წინდახედულობითა და გონიერებით, ზედმიწევნით საინტერესო დრო შეარჩია ამ ქალაქის სანახავად. ასეთ სამკვდრო-სასიცოცხლო ჭიდილს პარტიებს შორის ჯერ არავინ მოსწრებია! პატივცემული სამუელ სლამკი, სლამკი-ჰოლიდან, ლურჯების კანდიდატი გახლდათ; ხოლო ჰორაციო ფიზკინი, ესკვაირი, ფიზკინ-ლოჯიდან1, რომელიც იქვე იტენსვილის ახლოს მდებარეობდა, მეგობრებმა და კეთილმოსურნეებმა წამოაყენეს პარლამენტში ყვითლების ღირსშესანიშნავი იდეების დასაცავად. „იტენსვილის გაზეთი“ თავგამოდებით აფრთხილებდა იტენსვილის ამომრჩევლებს, რომ არამცთუ ინგლისის, არამედ მთელი ცივილიზებული კაცობრიობის თვალი თქვენკენაა მოპყრობილი. „დამოუკიდებელი“ კი მათ მრისხანედ ეკითხებოდა: „იტენსვილის მცხოვრებლებო, ხართ თუ არა კვლავ პატიოსანი და უებრო მოქალაქენი, როგორც მამა-პაპის დროიდან გიცნობთ კაცობრიობა, თუ მოწინააღმდეგის ხელში მორჩილ იარაღად იქეცით და აწ ღირსნიც არა ხართ, ჭეშმარიტი ინგლისელების სახელი ატაროთ და თავისუფლებით სარგებლობდეთ?“

ასეთი აურზაური ჯერ არ ახსოვს ქალაქს.

გვიანი საღამო იყო, როდესაც მისტერ პიკვიკი და მისი თანამგზავრები სემის თანხლებით იტენსვილის ეტლის სახურავიდან გადმოვიდნენ. დიდი, ლურჯი აბრეშუმის დროშები ფრიალებდა სასტუმრო „ქალაქის გერბის“ ფანჯრებში და მათ ჩარჩოებზე მიმაგრებული წარწერები უზარმაზარი ასოებით აუწყებდა მკითხველს, რომ აღნიშნულ შენობაში „დღეს და ყოველდღე, სხდომებს ატარებს პატივცემული სამუელ სლამკის კომი-

ტეტი“. ქუჩაში შეყრილი უსაქმოთა ბრბო სულგანაბული უსმენდა სასტუმროს აივანზე გადმომდგარი ორატორის ხრინწიან ხმას, რომელიც ქება-დიდებას ასხამდა მისტერ სლამკის. საწყალი კაცი თავს არ ზოგავდა და სახეზე სულ ხვითქი გადასდიოდა. ორატორს გვერდს უმშვენებდა პაწია, მოუსვენარი კაცი, რომელიც ყოველი შესვენების დროს, ბრბოს ქუდის მოხდით ანიშნებდა „ტაში დაუკარითო“ და უკანასკნელიც თხოვნას დიდი აღფრთოვანებით უსრულებდა. სამწუხაროდ, მჭევრმეტყველის მახვილგონიერი დასაბუთების სიძლიერეს, ცოტა არ იყოს, აფერხებდა ოთხი უზარმაზარი დაფდაფის შეუწყვეტელი ცემა, რომელიც ქუჩის კუთხეში ფიზკინის კომიტეტმა დაადგმევინა, მაგრამ პატივცემული ორატორი ამ ყურთასმენის წამღებ ხმაურში თავს არ ზოგავდა; განაგრძობდა ლაპარაკს, ვითომც აქ არაფერია: მე ჩემს ვალს მოვიხდი და თქვენ კისერი გიტეხიათო.

პიკვიკელებმა ეტლიდან გადმოსვლა ვერ მოასწრეს, რომ მათ იტენსვილის პატიოსან მოქალაქეთა ჯგუფი შემოეხვია. ჯგუფმა ყურთასმენის წამღები ხმით სამჯერ ზედიზედ დასძახა „ვაშა“. ამ შეძახილს მყისვე მთელი ბრბო გამოეხმაურა და ყვირილი ისეთ აღფრთოვანებულ ღმუილად იქცა, რომ თვით ორატორიც კი შეჩერდა.

- ვაშა! - იკივლა ბრბომ.

- კიდევ ერთხელ! - გადმოსძახა აივნიდან პაწია წინამძღოლმა და ბრბომაც ისე მძლავრად იგრიალა, თითქო თითოეულ მათგანს რკინისაგან ჩამოსხმული ფილტვები ჰქონდა.

- სლამკი, მხოლოდ სლამკი! - დასძახეს იტენსვილის თავისუფალმა მოქალაქეებმა.

- სლამკი, მხოლოდ სლამკი! - ბანი მისცა მათ მისტერ პიკვიკმა და ქუდი მოიხადა.

- ძირს ფიზკინი! - იღრიალა ბრბომ.

- ძირს ფიზკინი! - დასჭყივლა მისტერ პიკვიკმაც.

- ვაშა! - კვლავ გაისმა ისეთი გამაყრუებელი ღრიალი, თითქოს ეს არის, სამხეცეში ხორცის ჩამოსარიგებლად ზარი დარეკეს და მთელი მხეცები ერთხმად აღმუვლდნენო.

- ნეტავ, ვინ არის ეს სლამკი? - ჩასჩურჩულა მისტერ პიკვიკს მისტერ ტაპმენმა.

- წარმოდგენა არა მაქვს, - ჩურჩულითვე უპასუხა მისტერ პიკვიკმა, - შშ... არაფერი შეეკითხოთ. ამისთანა შემთხვევაში ყველას სჯობს, ის შეასრულო, რასაც ბრბო აკეთებს.

- კი, მაგრამ, ვთქვათ, ორი ბრბოა? - იკითხა მისტერ სნოდგრასმა.

- თქვენც უფრო მოზრდილ ბრბოს შეუერთდით, - ჭკუა დაარიგა მისტერ პიკვიკმა.

ამისთანა სიბრძნეს ხომ მთელი ტომეულებიც ვერ იტყოდნენ.

ჩამოსულ სტუმრებს ბრბომ გზა დაუთმო, აქეთ-იქით დაიხია და ვიდრე სასტუმროს კარებამდე არ მიაცილა, სულ ყურთასმენის წამღები ხმით გაჰკიოდა.

პიკვიკელები სასტუმროში შევიდნენ; უპირველესად, ჯერ ოთახებზე უნდა ეზრუნათ.

- საწოლებს ხომ ვერ მოგვიწყობთ? - ჰკითხა მისტერ პიკვიკმა ლაქიას.

- არ ვიცი, სერ, - უპასუხა ლაქიამ, - ვაითუ, სავსეა უკვე, სერ... ახლავე გაგიგებთ, სერ.

ლაქია ამბის გასაგებად წავიდა. ორი წუთიც არ გასულა, რომ უკან მობრუნდა და ჯენტლმენებს შეეკითხა, ლურჯებს ეკუთვნით თუ არაო.

მართალი გითხრათ, ამ კითხვაზე პასუხის გაცემა ფრიად საძნელო აღმოჩნდა, რადგან მისტერ პიკვიკიცა და მისი მეგობრებიც არც ერთი კანდიდატისათვის არ იკლავდნენ თავს.

მისტერ პიკვიკი შეცბა, აღარ იცოდა, რა ექნა. უეცრად ერთმა სახელმა გაუელვა: მისტერ პერკერი მოაგონდა.

- ვინმე პერკერს თუ იცნობთ? - ჰკითხა ლაქიას.

- როგორ არა, სერ, პატივცემულ სამუელ სლამკის აგენტია.

- ვგონებ, ლურჯი უნდა იყოს, არა?

- რაღა თქმა უნდა, სერ.

- მაშ, ჩვენც ლურჯები ვართ, - გადაჭრით განაცხადა მისტერ პიკვიკმა, მაგრამ რომ შეამჩნია, მსახური ჯერ კიდევ ყოყმანობდა, ეტყობა, არ იცოდა დაეჯერებინა თუ არა ამ ხელსაყრელი განცხადებისათვის. მისტერ პიკვიკმა მას სადარბაზო ბარათი გაუწოდა და უბრძანა, იგი დაუყოვნებლივ მისტერ პერკერისათვის აეტანა.

მსახური კვლავ რამდენიმე წუთში მობრუნდა და სთხოვა მისტერ პიკვიკს, თან გაჰყოლოდა. მან სტუმარი იქვე პირველი სართულის ერთ-ერთ დიდ ოთახში შეიყვანა, სადაც დამტვერილი წიგნებითა და ქაღალდებით დატვირთულ საწერ მაგიდასთან მისტერ პერკერი იჯდა.

- ო, პატივცემულო სერ, - წამოიძახა პაწია ჯენტლმენმა და სტუმარს შემოეგება, - დიდად მოხარული ვარ, ასე ჯანმრთელად რომ გხედავთ, პატივცემულო სერ... დაბრძანდით, ჩემო ბატონო... ვხედავ, დიდი ხნის განზრახვა სისრულეში მოგიყვანიათ... უთუოდ არჩევნების ნახვა გსურთ, სერ?

თანხმობის ნიშნად მისტერ პიკვიკმა თავი დაუქნია.

- გააფთრებული დაკადაკაა, პატივცემულო სერ! - შესძახა პაწია ჯენტლმენმა.

- მეც ეგ მიხარია, სერ, - თქვა მისტერ პიკვიკმა და ხელები მოიფშვნიტა, - მართალი მოგახსენოთ, ძალიან მიყვარს უდრეკი პატრიოტიზმი, რომელმა მხარემაც არ უნდა გამოიჩინოს იგი... მაშ, როგორც ბრძანებთ, დიდი დაკადაკაა, ჰა?

- დიახ, დიახ, - მიუგო პაწია ჯენტლმენმა, - სრულ ჭეშმარიტებას მოგახსენებთ, ყველა სასტუმრო ჩვენ დავიკავეთ. მოწინააღმდეგეს მარტო ლუდხანები დავუტოვეთ, ხომ საუცხოო დიპლომატიური კვანტია, სერ?

პაწია პერკერმა მოწყალედ გაიღიმა და თუთუნი დაყნოსა.

- ნეტავ, არჩევნების შედეგი როგორი იქნება? - ჰკითხა მისტერ პიკვიკმა გამჭრიახ დიპლომატს.

- ამის თქმა წინასწარ ფრიად საძნელოა, სერ. ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით, საეჭვოცაა, - უპასუხა პაწია ჯენტლმენმა, - ფიზკინის ხალხმა ეტლების სადგომ ფარდულში ოცდაცამეტი ამომრჩეველი ჩაამწყვდია.

- ეტლების სადგომ ფარდულში?! - წამოიძახა მისტერ პიკვიკმა, რომელიც გაოგნებული დარჩა მეორე მარჯვე დიპლომატიური კვანტის გაგონებაზე.

- დიახ, იქა ჰყავთ დამწყვდეული, ვიდრე არ დასჭირდებათ, - განაგრძო პაწია ჯენტლმენმა, - მიზეზსაც უთუოდ მიხვდებით: ეშინიათ, რომ ჩვენ არ გადავიბიროთ... მაგრამ, იცით, მათთან რომ მივიდეთ კიდეც, მაინც ვერას გავაწყობთ, თითოეული ისეა გალეშილი, რომ გონს ვეღარ მოსულა, დიდი ეშმაკი კაცია ფიზკინის აგენტი!

მისტერ პიკვიკი მასპინძელს ჩააშტერდა, მაგრამ არაფერი უპასუხა.

- მაინც იმედს არ ვკარგავთ, - ხმადაბლა, თითქმის ჩურჩულით განაგრძო მისტერ პერკერმა. - წუხელ პატარა წვეულება მოვაწყვეთ... მხოლოდ მანდილოსნები მოვიწვიეთ, პატივცემულო სერ. ორმოცდახუთი დაესწრო და, წარმოიდგინეთ, სახლში წასვლა რომ დააპირეს, თითოეულს მწვანე ქოლგა მივართვით.

- ქოლგა?! - შესძახა მისტერ პიკვიკმა.

- დიახ, ჩემო ბატონო, ორმოცდახუთი მწვანე ქოლგა; თითო შვიდი შილინგი და ოცდახუთი პენსი ღირს. აბა, სერ, სამკაული რომელ ქალს არ უყვარს? რომ იცოდეთ, ამ ქოლგების წყალობით რა გასაოცარ წარმატებას მივაღწიეთ! თითოეულმა თავისი ქმარი გადმოიბირა ჩვენ მხარეს და ძმების უმეტესი ნაწილიც თან მოჰყვა მათ. უნდა მოგახსენოთ მხოლოდ, რომ ეს დიდებული აზრი პირველად მე მომივიდა. ახლა, სეტყვაა, წვიმა, თუ მზიანი ამინდი, ქუჩაში ერთ ნაბიჯსაც ვერ გადადგამთ, რომ თვალში ათიოდე მწვანე ქოლგა არ მოგხვდეთ.

სიცილისგან პაწია ჯენტლმენს კინაღამ კრუნჩხვა დაემართა, მაგრამ, ბედზე, ახალი პირის შემოსვლამ გადაარჩინა.

ეს იყო მაღალი, გამხდარი მამაკაცი, რომლის ჟღალთმიან თავს კარგა მაგრად შეჰპაროდა სიშიშვლე; სახეზე საკუთარი ღირსების შეგნება საუცხოოდ ეხამებოდა ღრმააზროვან იერს. ჯენტლმენი გამოწყობილი იყო ყავისფერ სერთუკსა და ხავერდის შარვალში, შავ ჟილეტზე სათვალე ეკიდა, თავზე დაბალი ფართოფარფლებიანი ქუდი ეხურა.

ახალმოსული მისტერ პიკვიკს წარუდგინეს როგორც მისტერ პოტი, „იტენსვილის გაზეთის“ რედაქტორი.

რამდენიმე ზოგადი შენიშვნის შემდეგ, მისტერ პოტი მიუბრუნდა მისტერ პიკვიკს და ამაყად წარმოთქვა:

- ეს ბრძოლა უთუოდ დიდ ინტერესს იწვევს დედაქალაქში, ხომ ასეა, სერ?

- რა თქმა უნდა, - მიუგო მისტერ პიკვიკმა.

- ისიც უდავო გახლავთ, რომ ამ ინტერესს დიდად შეუწყო ხელი ჩემმა წერილმა, რომელიც გასულ შაბათს დაიბეჭდა ჩვენს გაზეთში, - დასძინა პოტმა და დასტურისათვის მისტერ პერკერს გადახედა.

- ო, ეგ ხომ ყოველგვარ ეჭვგარეშეა, - კვერი დაუკრა პაწია ჯენტლმენმა.

- პრესა მძლავრი იარაღია, სერ, - შენიშნა პოტმა.

მისტერ პიკვიკი გულწრფელად დაეთანხმა მისტერ პოტს.

- დარწმუნებული ვარ, სერ, - განაგრძო მისტერ პოტმა, - რომ ეს ჩემ ხელთ არსებული მძლავრი იარაღი არასოდეს ბოროტად არ გამომიყენებია. ვფიქრობ, რომ ამ კეთილშობილი ორგანოს საშუალებით, ვიმეორებ, რომელიც ჩემ ხელთ გახლავთ, არასოდეს ჩავრეულვარ ვინმეს პირად ცხოვრებაში, არ შევხებივარ მათ მგრძნობიარე გულს და არ შემილახავს მათი პირადი რეპუტაცია. დაე, მე მთელი ჩემი ენერგია ესოდენ პატარა... დიახ, თუნდაც უმნიშვნელო საქმეს შევალიე, რომ პატივცემული მკითხველებისათვის ჩამენერგა ის პრინციპები, რომელნიც...

აქ „იტენსვლის გაზეთის“ რედაქტორმა ოდნავ წაიბორძიკა, მაგრამ მისტერ პიკვიკი მიეშველა.

- რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა, - გაამხნევა მან.

- ნება მიბოძეთ, სერ, - თქვა პოტმა, - ნება მიბოძეთ, სერ, როგორც სრულიად მიუკერძოებელ პიროვნებას, ერთი რამ შეგეკითხოთ: რა აზრისაა საზოგადოება ჩემი ბრძოლის შესახებ „დამოუკიდებელთან?“

- ო, ნუთუ ეჭვი გეპარებათ, რომ მთელი საზოგადოება პირდაპირ აღფრთოვანებულია, - ჩაერია საუბარში მისტერ პერკერი და ვინ იცის, რატომ, ეშმაკურად გაიღიმა.

- დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, სერ, რომ ვიდრე შემწევს ძალა და ღონე, ვიდრე გამაჩნია იმ ნიჭის ნატამალი, რომლითაც დაჯილდოებული ვარ, ამ ბრძოლას არამც და არამც არ მივატოვებ. ისიც უნდა მოგახსენოთ, სერ, რომ, თუმცა ეს ისეთი სამკვდრო-სასიცოცხლო ჭიდილია, რომელიც ადამიანს ჭკუა-გონებას ურევს, გრძნობებს უღიზიანებს და ყოველდღიური მო-

ვალეობის შესასრულებლად უვარგისს ხდის, მე მაინც არ შევეშ-ვები მას. მხდალივით არ განვუდგები. გესმით, სერ, არასოდეს, ვიდრე სულ ფეხით არ გავსრეს „იტენსვილის დამოუკიდებელს“. მე მსურს, სერ, რომ ლონდონმა და მთელმა ჩვენმა ხალხმა იცო-დეს, რომ მე ჭეშმარიტად ღირსი ვარ მათი ნდობისა... მე მათ არასოდეს ვუღალატებ... რომ მე მათ, სერ, ჩემი სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე ერთგულად ამოვუდგები მხარში.

- თქვენი განზრახვა ჭეშმარიტად დიდსულოვანია, სერ, - წა-მოიძახა მისტერ პიკვიკმა და მხურვალედ ჩაბღუჯა სულგრძელი პოტის ხელი.

- ვხედავ, სერ, რომ თქვენ უაღრესად გონიერი და ზედმიწევ-ნით ნიჭიერი ადამიანი ბრძანებულხართ, - ძლივს წამოილუღ-ლუღა პოტმა, რადგან გულში ავარდნილი პატრიოტული გრძნო-ბის ძლიერმა ტალღამ კინაღამ დაახრჩო იგი, - მერწმუნეთ, რომ სიხარულით ცას ვეწევი, რომ ასეთი ღირსშესანიშნავი პიროვნე-ბა გავიცანი.

- მე კი, სერ, - მიუგო მისტერ პიკვიკმა, - მერწმუნეთ, დიდად, დიდად ნასიამოვნები ვარ, რომ ჩემ შესახებ ესოდენ კარგი აზრი შეგექმნათ... ნება მიბოძეთ, გაგაცნოთ ჩემი თანამგზავრები; ისინიც იმავე კლუბის წევრები გახლავთ, რომელიც ამჟამად, მაქვს პატივი, პირადად ჩემს სახელს ატარებდეს.

- ო, ჩემს აღტაცებას არ ექნება საზღვარი! - აღფრთოვანებით წამოიძახა მისტერ პოტმა.

მისტერ პიკვიკი მალე მეგობრების თანხლებით ოთახში შე-მობრუნდა და სამივე სათანადო ცერემონიით წარუდგინა „იტენ-სვილის გაზეთის“ რედაქტორს.

- ახლა კი, ჩემო ძვირფასო პოტ, - თქვა პაწია პერკერმა, - უნ-და გადავწყვიტოთ, რა მოვუხერხოთ ამ ჩვენს მეგობრებს?

- მე მგონი, ჩვენ ამ სასტუმროში დავრჩებით, - განაცხადა მისტერ პიკვიკმა.

- სასტუმროში არც ერთი თავისუფალი ადგილი არ გახლავთ, პატივცემულო სერ.

- ო, ეს კი მეტისმეტად უხერხულია, - თქვა მისტერ პიკვიკმა.

- მეტისმეტად უხერხულია, სერ, - კვერი დაუკრეს დანარჩენმა პიკვიკელებმაც.

- ერთი აზრი მომივიდა თავში, სერ, - თქვა მისტერ პოტმა, - ვფიქრობ, რომ ამ აზრს ადვილადაც განვახორციელებთ. ჯერ ერთი, თვით „ფარშავანგში“ ორი ადგილი აქვთ თავისუფალი, მეორეც, კადნიერებად ნუ ჩამომართმევთ, თუ მოგახსენებთ მისის პოტის სახელით, რომ იგი აღტაცებული იქნება, თუკი შეიფარებს მისტერ პიკვიკსა და რომელიმე მის მეგობარს; რაღა თქმა უნდა, იმ პირობით, თუ დანარჩენი ორი ჯენტლმენი და მათი მოსამსახურე „ფარშავანგში“ მოეწყობიან.

შეიქნა ერთი ხვეწნა-უარობა. აქეთ მისტერ პოტი ექაჩებოდა პიკვიკელებს, სახლში წამობრძანდითო, იქით მისტერ პიკვიკი ჯიუტობდა, არაფრისდიდებით მისტერ პოტის კეთილსა და თავაზიან მეუღლეს არ შევაწუხებთ და ახალ საზრუნავს არ გავუჩენთო...

ბოლოს გადაწყვიტეს: ვინაიდან ამჟამად სხვა გამოსავალი არ ჰქონდათ, ისევ ზემოხსენებული განზრახვა უნდა მოეყვანათ სისრულეში. „ქალაქის გერბში“ ერთად ისადილეს და ერთმანეთს დაშორდნენ. მისტერ ტაპმენი და მისტერ სნოდგრასი „ფარშავანგისაკენ“ გაემართნენ; მისტერ პიკვიკმა და მისტერ უინკლმა კი მისტერ პოტის სახლისაკენ გასწიეს. მეგობრები წინდაწინ შეთანხმდნენ, რომ მეორე დილას ყველანი კვლავ „ქალაქის გერბში“ მოიყრიდნენ თავს და პატივცემულ სამუელ სლამკის არჩევნების ადგილამდე მიაცილებდნენ.

მისტერ პოტის ოჯახური წრე თვით მისტერ პოტითა და მისი კეკლუცი მეუღლით შემოიფარგლებოდა. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ყოველ კაცს, რომელიც გენიის მძლავრმა ფრთებმა საოცნებო სიმაღლეზე აიტაცეს, მუდამ რაიმე პატარა სისუსტე ახასიათებს და ეს ნაკლი მით უფრო შესამჩნევია, რაც უფრო ეწინააღმდეგება ადამიანის დანარჩენ თვისებებს. გულწრფელად უნდა ვაღიაროთ, რომ ამ შემთხვევაში დიდებული პოტიც ამგვარ სისუსტეს შეეპყრო. იგი ყურმოჭრილ ყმასავით ემორჩილებოდა თავისი მეუღლის ყოველ ახირებულ სურვილს. სინდისი უფლებას არ გვაძლევს უფრო ხაზგასმით აღვნიშნოთ ეს გარემოება, რადგან როდესაც პიკვიკელები მისტერ პოტს ესტუმრნენ, კეკლუცმა მანდილოსანმა არ დაიშურა მთელი თავისი მაცდური ძალა სტუმრების გულის მოსაგებად.

- ჩემო ძვირფასო, - მიმართა მისტერ პოტმა მეუღლეს, - მისტერ პიკვიკი... მისტერ პიკვიკი, ლონდონიდან.

მისის პოტი მისტერ პიკვიკის მშობლიურ მისალმებას მომაჯადოებელი ღიმილით შეხვდა. ამასობაში კი მისტერ უინკლი, რომლის სახელი სულ არ გამოუცხადებიათ, ოთახის ბნელ კუთხეში მიყუჟული, თავის ქიცინითა და ფეხების ფრატუნით ცდილობდა მშვენიერი მანდილოსნის ყურადღება მიექცია.

- პი, ჩემო საყვარელო, - წარმოთქვა მისის პოტმა.

- გისმენ, ჩემო სიცოცხლე, - ხმა გასცა მისტერ პოტმა.

- მეორე ჯენტლმენიც გამაცანი.

- ო, მომიტევეთ, სერ... ათასჯერ ბოდიშს ვიხდი, - წამოიძახა მისტერ პოტმა, - ნება მიბოძეთ, მისის პოტ, მისტერ...

- უინკლი, - მიეშველა მისტერ პიკვიკი.

- უინკლი, - გაიმეორა მისტერ პოტმა.

ამგვარად, გაცნობის ცერემონიაც მოთავდა.

- მომიტევეთ, ქალბატონო, - დაიწყო მისტერ პიკვიკმა, - მომიტევეთ, რომ ასე უხეშად დავარღვიეთ თქვენი ტკბილი ოჯახის მყუდროება.

- ო, რას ბრძანებთ, სერ? ეგ რა მოსახსენებელია, - მკვირცხლად მიუგო პოტის მშვენიერმა თანამეცხედრემ, - მერწმუნეთ, ჩემთვის პირდაპირ დღესასწაულია, სახლში უცხო სახეების დანახვა. განა ჩემი ცხოვრება ცხოვრებაა? დღე დღეს მიჰყვება, კვირა კვირას და ამ გამოყრუებულ ჯურღმულში კაცის ჭაჭანებას ვერ ვხედავ.

- ნუთუ კაცის ჭაჭანებას, ძვირფასო? - ეშმაკურად შეეკითხა მისტერ პოტი.

- დიახ, შენ გარდა! - მკვახედ მიუგო მისის პოტმა.

- უნდა მოგახსენოთ, მისტერ პიკვიკ, - თითქოს ბოდიში მოხადა კეკლუცი მეუღლის საჩივარს მისტერ პოტმა, - უნდა მოგახსენოთ, რომ ჩვენ, ნაწილობრივ მაინც, მოწყვეტილი ვართ საერთო გართობასა და დროს ტარებას, რომელსაც, საქმე რომ სხვანაირად ყოფილიყო, არამც და არამც არ დავაკლდებოდით. ააბა, წარმოიდგინეთ ჩემი საზოგადოებრივი მდგომარეობა, როგორც „იტენსვილის გაზეთის“ რედაქტორის, ავტორიტეტი, რომლითაც ეს გაზეთი სარგებლობს; ის გარემოებაც, რომ მე თავით ფეხამდე ჩაფლული ვარ პოლიტიკური ცხოვრების ორომტრიალში...

- პი, ჩემო ძვირფასო, - სიტყვა შეაწყვეტინა მისის პოტმა.

- გისმენ, ჩემო სიცოცხლევ, - ხმა გასცა მეუღლემ.

- ჩემო საყვარელო, არ შეიძლება ისეთი თემა მონახო, რომ ამ ჯენტლმენებსაც მისცე საშუალება, მონაწილეობა მიიღონ საუბარში?

- ჩემო კარგო, ეს თემა მისტერ პიკვიკს ძალიან აინტერესებს, - მორჩილად მიუგო ქმარმა.

- მით უარესი მისთვის, - ხაზგასმით აღნიშნა მისის პოტმა, - საშინლად მომბეზრდა თქვენი პოლიტიკაც, თქვენი კინკლაობაც „დამოუკიდებელთან“ და სხვა მაგგვარი სისულელე. პირდაპირ მიკვირს, პი, შენი უჭკუობა ასე საქვეყნოდ რად გამოგაქვს?

- კი, მაგრამ, ჩემო ძვირფასო... - დაიწყო მისტერ პოტმა.

- კმარა, კმარა, თავი ნუ მომაბეზრე! - შესძახა მისის პოტმა, - ეკარტეს ხომ არ თამაშობთ, სერ?

- მერწმუნეთ, დიდად გამაბედნიერებთ, სერ, თუ ამ თამაშს თქვენი უშუალო ხელმძღვანელობით შემასწავლით, - მისტერ უინკლმა.

- მაშ, ერთი ეგ მაგიდა ფანჯარასთან მოსწიეთ, რომ ყურში პოლიტიკური ამბების პროზა არ ჩამწვდეს, გეთაყვა.

- ჯეინ, - მიმართა მისტერ პოტმა მსახურ ქალს, რომელმაც ის იყო სანთლები შემოიტანა, - ერთი კანტორაში ჩაირბინე და 1828 წლის გაზეთების დასტა ამომიტანე. ახლავე წაგიკითხავთ, სერ, - დაუმატა რედაქტორმა და მისტერ პიკვიკს მიუბრუნდა, - ახლავ გადაგიკითხავთ რამდენიმე მოწინავეს, რომელიც დავწერე ყვითლების ერთი უხიაკი განზრახვის გამო. საქმე ის არის, რომ იმათ უნდოდათ ჩვენს საყარაულოსთან თავიანთი გადასახადების ამკრეფი დაეყენებინათ... დარწმუნებული ვარ, წერილები ძალიან დაგაინტერესებთ.

- მართლაცდა, სიამოვნებით მოვისმენ, - დაეთანხმა მისტერ პიკვიკი.

ამოიტანეს გაზეთების დასტა და სტუმარ-მასპინძელი სავარძელში ჩაეშვა.

უნდა მოგახსენოთ, რომ ჩვენ გულდასმით გადავჩხრიკეთ მისტერ პიკვიკის უბის წიგნაკის ყოველი ფურცელი, მაგრამ არ იქნა, ვერსად წავაწყდით ამ შესანიშნავ მოწინავეთა თუნდაც შემოკლებულ შინაარსს. ყოველ შემთხვევაში, ჩვენ მაინც სრული

საფუძველი გვაქვს, ვიფიქროთ, რომ მისტერ პიკვიკი დიდად ნასიამოვნები დარჩა ამ წერილების მკვეთრი და ნატიფი სტილით, რადგან რედაქტორის კითხვისას, როგორც მისტერ უინკლი აღნიშნავს, მის დიდებულ წინამძღოლს მეტისმეტი აღტაცებისაგან თვალი ერთხელაც არ გაუხელია.

ვახშამზე მიპატიჟებამ შეწყვიტა ეკარტეს თამაშიცა და „იტენსვილის გაზეთის“ მარგალიტების გამომზეურებაც. მისის პოტი საუცხოო გუნებაზე იყო და შაქარივით დნებოდა, მისტერ უინკლმა უკვე მოასწრო კეკლუცი მანდილოსნის გულის მოგება. უკანასკნელმა მას ალერსიანად ჩასჩურჩულა: „რა საყვარელი ბებრუხანაა თქვენი მისტერ პიკვიკი“.

უნდა მოგახსენოთ, რომ ამ სიტყვებს, ცოტა არ იყოს, ფამილარული იერი გადაკრავს და, უდავოა, რომ თვით ის პირიც კი, ვინც დიდბუნებოვან პიკვიკს ახლოს იცნობდა, ვერასოდეს შეჰკადრებდა მას ესოდენ „შინაურულ“ სახელს, მაგრამ ჩვენ მაინც მოვიხსენიეთ ეს გამოთქმა აღნიშნულ წერილებში, როგორც დამაჯერებელი და ჭეშმარიტად გულისამაჩუყებელი საბუთი იმისა, თუ რა დაფასებასა და სიყვარულს იმსახურებდა მისტერ პიკვიკი საზოგადოების სხვადასხვა ფენაში და, თავისდა უნებურად, როგორ აჯადოებდა ყველას გულს.

მისტერ ტაპმენი და მისტერ სნოდგრასი უკვე დიდი ხანია ტკბილად განისვენებდნენ „ფარშავანგის“ საიდუმლო ჯურღმულებში, როდესაც მისტერ პიკვიკი და მისი ერთგული მოწაფე ავიდნენ დასაძინებლად. მისტერ უინკლის თვალს რული მალე მოეკიდა, მაგრამ გული კვლავ აღტაცებით ფეთქავდა და მძინარესაც მოსვენებას არ აძლევდა. მთელი ღამის განმავლობაში, ძილისაგან გაბრუებული სხეული უგრძნობელი იყო ამქვეყნიური საგნებისადმი, ბურანში გახვეულ გონებას კი კეკლუცი მისის პოტის მომხიბლავი სახე და სხეული ეხატებოდა.

მეორე დილა ისეთი აურზაურითა და ალიაქოთით დაიწყო, რომ თვით რომანტიკულად განწყობილ მეოცნებესაც კი სხვა სადარდელი და საზრუნავი არ დარჩენოდა, გარდა იმისა, რაც კარზე მომდგარ არჩევნებთან იყო დაკავშირებული. ინათა თუ არა, ქალაქის ქუჩებში ატყდა დაფდაფების ცემა, საყვირების წივილი, ხალხის ყვირილი და ცხენების თქარათქური. ეს ფაციფუცი და ხმაური უფრო გამოაცოცხლა გააფთრებულმა კინკლაობამ, რომელიც ორივე პარტიის მოთავეთა შორის გაიმართა.

- შეხე, სემ, - მიმართა მისტერ პიკვიკმა თავის მსახურს, რომელიც საწოლი ოთახის კარში მხოლოდ მაშინ გამოჩნდა, როდესაც მისტერ პიკვიკი უკვე ჩაცმას ათავებდა, - ეტყობა, მთელი ქალაქი ფეხზე დამდგარა.

- ჩვეული თამაშია, სერ, - მიუგო მისტერ უელერმა, - ჩვენმა ხალხმა „ქალაქის გერბში“ მოიყარა თავი. ღრიალისგან უკვე ხმებიც ჩაუწყდათ.

- ერთი მითხარი, სემ, - განაგრძო მისტერ პიკვიკმა, - როგორ გგონია, მართლა ასეთი ერთგულნი არიან თავიანთი პარტიისა?

- ჩემს სიცოცხლეში ასეთი ერთგულების მნახველი არა ვარ, სერ, - გაისმა პასუხად.

- მარჯვე ბიჭები არიან, არა? - შეეკითხა კვლავ მისტერ პიკვიკი.

- საოცრად მარჯვე, - მიუგო სემმა, - არასოდეს მეგონა, რომ კაცს ამდენი ჭამა-სმა შეეძლო. ნუთუ გასკდომის არ ეშინიათ?

- მე რომ მკითხო, ეგ ქალაქის აზნაურობის გულუხვობის ბრალია.

- შესაძლოა, ასეც იყოს, - მოკლედ მოუჭრა სემმა.

- რა ჩასხმული ყმაწვილები არიან, გულღია, მამაცი. შეხე, შეხე, სულ ღაჟღაჟი გააქვთ.

- იცოცხლე, ღაჟღაჟი გააქვთ, მაშ რა, - უპასუხა სემმა, - რამდენიმე საათის განმავლობაში მე და „ფარშავანგის“ ორი მსახური ტუმბოთი ვასულიერებდით მაგ თავისუფალ ამომრჩევლებს. წუხელ მათ „ფარშავანგში“ ივახშმეს.

- ტუმბოთი ასულიერებდით თავისუფალ ამომრჩევლებს? - წამოიძახა მისტერ პიკვიკმა.

- დიახ, - მიუგო მსახურმა, - თითოეული მათგანი, სადაც დაეცა, იქვე ჩაეძინა. ამ დილას კი სათითაოდ გამოვათრიეთ და ტუმბოს შევუყენეთ. ახლა არა უშავთ, რიგზე არიან. საქმეში საარჩევნო კომიტეტმა ყოველ კაცზე თითო შილინგი მოგვცა.

- ნუთუ მართლა! - წამოიძახა გაოგნებულმა პიკვიკმა.

- ისემც ღმერთის წყალობა ნუ მოგეშალოთ, სერ, - კვერი დაუკრა სემმა, - კაი ნათლობა კი გავუმართეთ, ჩემმა მზემ... მაგრამ ეს კიდევ რა არის!

- რა არის? - ჰკითხა მისტერ პიკვიკმა.

- სრულიად არაფერი, სერ, მოხსენებადაც არ ღირს, სერ, - მიუგო მსახურმა, - უკანასკნელი არჩევნები რომ იყო, წინა ღამით მოწინააღმდეგე პარტიამ თურმე „ქალაქის გერბის“ ერთ-ერთი მსახური ქალი მოისყიდა. მას უნდა მოეწამლა გროგი, რომელიც თოთხმეტი ამომრჩევლისათვის იყო გამზადებული.

ამომრჩევლები ის იყო, სასტუმროში ჩამოხტნენ და ჯერ ხმა არ მიეცათ.

- კი, მაგრამ რას გულისხმობ „გროგი მოეწამლაო“? - ჰკითხა მისტერ პიკვიკმა.

- შიგ ოპიუმი ჩაასხა, - უპასუხა სემმა, - ჩემმა მზემ, წამალმა ისე მაგრად ჩააძინა ყველა, რომ არჩევნები უკვე თორმეტი საათის დამთავრებული იყო, როცა თითოეულმა თვალი ძლივს გაახილა. საარჩევნო კომიტეტმა ისიც კი სცადა, რომ საბარგო მანქანით მძინარე პირდაპირ საარჩევნო კარავში მიაყვანინა,

მაგრამ არ იქნა და არა, გონებაზე ვერც ერთი ვერ მოიყვანა. მე-
რე ისევ მანქანიდან გადმოათრიეს და ლოგინში ჩაყარეს.

- უცნაურ ხერხებს მიმართავენ თურმე, ძალიან უცნაურს, - ჩაიბურტყუნა მისტერ პიკვიკმა ნაწილობრივ თითქო თავისთვის და ნაწილობრივ სემის გასაგონადაც.

- ჰმ, ეს კიდევ რა არის იმასთან შედარებით, რაც მამაჩემს დაემართა უწინდელი არჩევნების დროს, აი, ამავე ქალაქში, სერ! რომ იცოდეთ, პირდაპირ სასწაულია, სერ.

- მერედა, რა დაემართა? - იკითხა მისტერ პიკვიკმა.

- ერთხელ ქალაქიდან ეტლი მიჰყავდა, - დაიწყო სემმა, - არ-
ჩევნები დღე-დღეზე უნდა შემდგარიყო და მამაჩემიც ერთ--
ერთმა პარტიამ დაიქირავა, რომ ამომრჩევლები ლონდონიდან ჩამოეყვანა. წინა საღამოს, ის იყო წასასვლელად ემზადებოდა, რომ მეორე პარტიისგან უჩუმრად კაცი მოუვიდა, „ერთი ჩვენ-
თან ამოდიო," - შემოუთვალეს. მამაჩემიც შიკრიკს გაჰყვა. შე-
დიან დიდ დარბაზში. შიგ ჯენტლმენები ბუზებივით ირევიან... ოთახი სულ ქაღალდების გროვებითა და საწერ-კალმებითაა მოფენილი. - მისტერ უელერ, - ამბობს ჯენტლმენი, რომელიც სავარძელში ზის, - ძალიან მოხარული ვარ, რომ გხედავთ, სერ. როგორ ბრძანდებით?" - „გმადლობთ, ჯანზე გახლავართ, სერ, - უპასუხებს მამაჩემი, - იმედი მაქვს, რომ თქვენც კარგად ბრძან-
დებით?" - „გმადლობთ, არა მიშავს რა, სერ, - ეუბნება ჯენტლმე-
ნი, - დაბრძანდით, მისტერ უელერ, გთხოვთ უმორჩილესად, სერ". ჰოდა მამაჩემიც დაბრძანდა და ორივენი ერთმანეთს მიაშ-
ტერდნენ. „არ გახსოვვართ?" - ეკითხება ჯენტლმენი, - „მართა-
ლი მოგახსენოთ, არ მახსოვხართ", - უპასუხებს მამაჩემი. „ო, მე კი კარგად გიცნობთ, - ეუბნება ჯენტლმენი, - ჯერ კიდევ ჭაბუკო-
ბისას მახსოვხართ", - ამბობს იგი. - „არა, არ მახსოვხართ," - ამ-
ბობს მამაჩემი. „საოცარია, პირდაპირ საოცარი", - ამბობს ჯენ-

ტლმენი. „ოღონდაც“, - კვერს უკრავს მამაჩემიც. „გეტყობათ, ცუდი მახსოვრობა გქონიათ, მისტერ უელერ“, - ამბობს ჯენ-ტლმენი. „დიახ, ცუდი მახსოვრობა მაქვს“ - ამბობს მამაჩემი. „მეც ასე მგონია“, - ამბობს ჯენტლმენი. ჰოდა, ჩემო ბატონო, ერთ ამბავშია თურმე ის ჯენტლმენი, თავს ევლება მამაჩემს, აქებს მის ხელობას. ბოლოს ერთი ჭიქა ღვინოც დაუსხა. რომ შე-ატყო მისტერ უელერი კარგ გუნებაზე დადგა, კაი ოცგირვან-ქიანი ბილეთიც ჩასჩარა ხელში. „ჩვენ ქალაქსა და ლონდონს შორის ძალიან ცუდი გზაა“, - ამბობს ჯენტლმენი. „მანდ მარ-თლაც საძაგელი გზაა, - კვერს უკრავს მამაჩემი. „განსაკუთრე-ბით მგონი არხთან“, - ამბობს ჯენტლმენი. „რაღა დაგიმალოთ, ფათერაკიანი ადგილია“, - ამბობს მამაჩემი. „ჰოდა, მისტერ უელერ, - ამბობს ჯენტლმენი, - ვიცი, კარგი მეეტლე ბრძანდე-ბით და ცხენებიც თქვენს ჭკუაზე დაგყავთ, ესეც იცოდეც, რომ ჩვენ, ყველას, ძალიან გვიყვარხართ, მისტერ უელერ. სწორედ ამიტომ, თქვენ რომ ამომრჩევლებს ლონდონიდან წამოიყვანთ, შესაძლოა, უბედური შემთხვევა მოგიხდეთ. ვინ იცის, უცებ ეტ-ლი გადაყირავდეს და ყველანი წყალში გადაცვივდნენ, რაღა თქმა უნდა, ისე, რომ არც ერთი მძიმედ არ დაშავდეს. ჰოდა, თუ ამგვარი უბედური შემთხვევა მოგიხდებათ, მაშინ ეს გასამრჯე-ლო დანაკლისს აგინაზღაურებთ“, - ამბობს ჯენტლმენი. „ბატო-ნებო, მეტად კეთილი ბრძანდებით, - ამბობს მამაჩემი, - ამიტომ თქვენ პატივსაცემად ერთ ჭიქასაც მივირთმევ“. ღვინო შესვა, ფული შეინახა და წავიდა. არ დაიჯერებთ, სერ, - განაგრძო სემ-მა და პატრონს თავხედური ღიმილით გადახედა, - არ დაიჯე-რებთ, რომ სწორედ იმ დღეს, როდესაც მამაჩემს ამომრჩევლე-ბი მოჰყავდა, ეტლი ზედ იმ ალაგას გადაბრუნდა, არხთან და პა-ტივცემულმა მოქალაქეებმა პირდაპირ არხში ამოყვეს თავი.

- არხიდან ხომ ყველა მშვიდობიანად ამოვიდა? - ნაჩქარევად ჰკითხა მისტერ პიკვიკმა.

- ყველა, - სიტყვის ღეჭვით მიუგო სემმა, - მგონი, ერთი მოხუცი ჯენტლმენი დააკლდათ. მმახსოვს, ქუდი იპოვეს და თავი თან ახლდა თუ არა, ამას კი ვეღარ მოგახსენებთ. მაგრამ ყველაზე საკვირველი იცით, რა არის? ნეტავ ასე ზუსტად როგორ დაემთხვა: ზედ იმ ალაგას გადაბრუნდა ეტლი და ზედ იმ დღეს, რომელიც ჯენტლმენმა მიუთითა მამაჩემს.

- მართლაც უცნაური დამთხვევაა! - წამოიძახა მისტერ პიკვიკმა, - აბა, სემ, ახლა ქუდი გამიწმინდე, თორემ მისტერ უინკლი უკვე სასაუზმოდ მეძახის.

მისტერ პიკვიკი სასტუმრო ოთახში ჩავიდა. გაშლილ სუფრასთან მთელ ოჯახს მოეყარა თავი. თითოეული ჯენტლმენის ქუდს თვით მისის პოტის ტურფა ხელებით ნაქარგი უზარმაზარი ლურჯი კოკარდი ამშვენებდა.

ნაჩქარევად ისაუზმეს.

„ქალაქის გერბში“ მარტო მისტერ პიკვიკი და მისტერ პოტი გაემგზავრნენ, ვინაიდან მისტერ უინკლმა თავს იდო მისის პოტის მიცილება სახლის სახურავზე, რომელიც ზედ ტრიბუნას გადაჰყურებდა. ამ ტრიბუნიდან უნდა გამოეცხადებინათ არჩევნების კანდიდატების სახელები.

სასტუმროს ერთ-ერთი ფანჯრიდან, რომელიც ეზოში გადიოდა, სლამკის კომიტეტის წევრი სიტყვით მიმართავდა ექვს ბიჭს და ერთ გოგონას. ორატორი ხშირად უწოდებდა მათ „იტენსვილის ხალხნოო“, რაზედაც ექვსივე ყმაწვილი ყურთასმენის წამღები ხმით კიჟინებდა.

ბაკები ხომ აშკარად ღაღადებდნენ იტენსვილის ლურჯების დიდებისა და ძლიერების შესახებ. აქ იყო ლურჯი ბაირაღების მთელი ჯარი, ზოგი ცალტარიანი, ზოგიც ორტარიანი, რომელზე-

დაც უზარმაზარი ოქროსფერი ასოებით სათანადო შინაარსის მოწოდება იყო გაკრული - საყვირების, ფაგოტებისა და დაფდაფებისაგან შემდგარი მრავალრიცხოვანი ორკესტრი - და აქვე გახლდათ კონსტებლების რაზმები ლურჯი კვერთხებით. კომიტეტის ოცი წევრი ლურჯი ყელსახვევებით და ამომრჩეველთა ბრბო ლურჯი კოკარდებით. აქვე გახლდათ ღია ოთხთვალა კარეტა პატივცემული სლამკისათვის და კიდევ ოთხი ეტლი მისი მეგობრებისა და კეთილმოსურნეთათვის. ორკესტრი გუგუნებდა, ბაირაღები შრიალებდა, ბრბო ღრიალებდა. კონსტებლები იგინებოდნენ, კომიტეტის წევრები ერთმანეთში კინკლაობდნენ, ცხენები ჭიხვინებდნენ და ფოსტის დამტარებლები ოფლად იღვრებოდნენ. ყველა, უტყვიცა და მეტყველიც, მხოლოდ ერთადერთი ადამიანის პატივსაცემად და სადიდებლად შეგროვილიყო და ეს პიროვნება გახლდათ ღირსეული სამუელ სლამკი, სლამკი-ჰოლიდან. იგი წამოყენებულ იქნა ქალაქ იტენსვილის წარმომადგენლობის ერთ-ერთ კანდიდატად შეერთებული სამეფოს თემთა პალატაში. როდესაც ბრბომ სასტუმროს ერთ-ერთ ფანჯარაში მისტერ პოტის ჟღალთმიანი თავი შეამჩნია, იგრიალა მქუხარე და ხანგრძლივმა ტაშმა და მაღლა აფრიალდა ლურჯი დროშა, რომელზეც ეწერა: „გაუმარჯოს პრესის თავისუფლებას!“ ახლა წარმოიდგინეთ ბრბოს აღტაცება, როდესაც მის გვერდით გამოჩნდა თვით პატივცემული სამუელ სლამკი, სლამკი-ჰოლიდან, მაღალყელიან ჩექმებსა და ლურჯ ყელსახვევში გამოწყობილი. მან ხელი ჩამოართვა პოტს და ხელის მელოდრამატული დაქნევით, ერთხელ კიდევ დაუმტკიცა ბრბოს, „იტენსვილის გაზეთის“ მუდმივი მოვალე ვარო.

- ყველაფერი მზადაა? - ჰკითხა პატივცემულმა სამუელ სლამკიმ მისტერ პერკერს.

- ყველაფერი, პატივცემულო სერ, - მიუგო პაწია ჯენტლმენმა.

- იმედია, არაფერი გამოგრჩათ, - კვლავ იკითხა პატივცემულმა სამუელ სლამკიმ.

- ყველაფერი გაკეთდა, პატივცემულო სერ, ყველაფერი, - მიუგო ერთგულმა აგენტმა, - ქუჩაში, ზედ კართან, ოცი დაბანილი და დავარცხნილი კაცი დგას. თქვენ მათ ხელს ჩამოართმევთ, იქვეა ექვსი თოთო ბავშვი; თქვენ მათ თავზე ხელს გადაუსვამთ და დედებს წლოვანებას გამოჰკითხავთ. გახსოვდეთ, პატივცემულო სერ, რომ ბავშვებისადმი განსაკუთრებული მზრუნველობა უნდა გამოიჩინოთ. ჩემზე უკეთ მოგეხსენებათ, ამგვარი ხრიკები ბრბოზე დიდ შთაბეჭდილებას ახდენს.

- გმადლობთ, გმადლობთ, უეჭველად მივიღებ მხედველობაში, - უპასუხა პატივცემულმა სლამკიმ.

- იქნებ, პატივცემულო სერ, - წარმოთქვა წინდახედულმა პერკერმა, - იქნებ... თუკი შეძლებთ... არა, იმას კი არ ვამბობ, აუცილებელია-მეთქი... მაგრამ, თუკი მოახერხებთ და ერთ-ერთ ბავშვს კიდეც აკოცებთ, ეს ხომ ბრბოს პირდაპირ აღტაცებაში მოიყვანს.

- განა სულერთი არ იქნება, ეგ რომ ერთ-ერთმა ჩემმა მიმდევარმა გააკეთოს? - იკითხა პატივცემულმა სამუელ სლამკიმ.

- ვშიშობ, რომ სულერთი არ იქნება, - უპასუხა მისტერ პერკერმა. დამიჯერეთ, თქვენ თვითონ თუ აკოცებთ, ნამდვილად სახელს გაითქვამთ.

- კეთილი, - მორჩილად დაეთანხმა პატივცემული სამუელ სლამკი, - თუ საჭიროა, სხვა რა გაეწყობა, უნდა შევასრულო კიდეც.

- დააწყვეთ პროცესია, - ერთხმად შესძახეს საარჩევნო კომიტეტის წევრებმა.

ბრბოს მქუხარე ტაშის გრიალში ორკესტრებმა, კონსტებლებმა, კომიტეტის წევრებმა, ამომრჩევლებმა, ცხენოსნებმა და

ეკიპაჟებმა თავ-თავიანთი ადგილი დაიკავეს. თითოეულ ეტლში იმდენი სული მოთავსდა, რამდენიც კი ფეხზე მდგარი ჩაეტეოდა; მისტერ პერკერისათვის გამზადებულ ორთვალაში მისტერ პიკ-ვიკის, მისტერ ტაპმენისა და მისტერ სნოდგრასის გარდა, კომი-ტეტის ექვსი წევრიც მოთავსდა.

დადგა ყველაზე დაძაბული წუთი: მთელი ხალხი სულგანაბუ-ლი უცდიდა, ვიდრე პატივცემული სამუელ სლამკი ეტლში ჩაბ-რძანდებოდა.

მოხდა თუ არა ეს ღირსშესანიშნავი მოვლენა, ერთბაშად იგ-რიალა ყურთასმენის წამღებმა „ვაშამ“.

- გამობრძანდა! - შესძახა პაწია პერკერმა. საცოდავი საშინ-ლად ღელავდა, რადგან მის მიერ დაკავებული პოზიციებიდან ყოვლად შეუძლებელი იყო რაიმეს დანახვა.

გაისმა უფრო მქუხარე „ვაშა“.

- ხელს ართმევს! - იკივლა პაწია აგენტმა.

მესამე კიდევ უფრო მგრგვინავი „ვაშა“ გაისმა.

- ბავშვებს თავზე ხელს უსვამს! - კვლავ იყვირა მისტერ პერ-კერმა და აღტაცებისაგან თავით ფეხებამდე აცახცახდა.

ტაშის გრიალმა კვლავ შეაზანზარა ჰაერი.

- აკოცა ბავშვს! - სულს ძლივსღა ითქვამდა გრძნობამო-რეული პერკერი. კვლავ იგრიალა ტაშმა.

- ყველას კოცნის! - აღფრთოვანებით წამოიძახა პაწია ჯენ-ტლმენმა.

აგერ, დაიძრა საარჩევნო პროცესიაც ბრბოს ღრიალში.

როგორ შეერია იგი მეორე პროცესიას ან როგორ დააღწია მან თავი იმ აურზაურს, რომელიც ამ შერევას მოჰყვა, ამის აღწე-რა, გულწრფელად უნდა მოგახსენოთ, ჩვენს ძალ-ღონეს აღემა-ტება, რადგან ამ ალიაქოთის დასაწყისშივე მისტერ პიკვიკს ყვითლების დროშის ტარით ქუდი ზედ ცხვირ-პირზე ჩამოაფხა-

ტეს. პატივცემული პიკვიკელი აგვიწერს, რომ გარშემო, სადამდისაც კი მას თვალი მიუწვდებოდა, მტვრის უზარმაზარი ღრუბელი, მოჩხუბართა გაბოროტებული სახეები და ოფლადდაღვრილი სხეული მოჩანდა. მოგვითხრობს, რაღაც უხილავმა ძალამ როგორ ისროლა იგი ეტლიდან და როგორ ჩაება თვითონაც მუშტი-კრივში, მაგრამ ვისთან, რატომ და რისთვის, ეს კი არ იცოდა. ბოლოს ხალხის ტალღამ სადღაც კიბეებზე აიტაცა, როგორც იქნა, ქუდი მოიხადა და დაინახა, რომ ტრიბუნის ხელმარცხნივ, წინა რიგში მოქცეულიყო, თავის ერთგულ მეგობრებს შორის. ტრიბუნის ხელმარჯვნივ ადგილები ყვითლებს ეჭირათ, ხოლო ცენტრში ქალაქისთავსა და მის მოხელეებს მოეყარათ თავი. ერთ-ერთი მათგანი, იტენსვილის მაცნე, ვეებერთელა ზარს რეკავდა, რომ სიჩუმე დაემყარებინა. მისტერ ჰორაციო ფიზკინი და პატივცემული სამუელ სლამკი კი თავაზიანად უკრავდნენ თავს ზღვა ხალხს, რომელთაც მთელი მინდორი აევსოთ და რომელთაგანაც ისეთი ღრიალი, ისეთი წივილ-კივილი და კვნესა-კიჟინა მოისმოდა, გეგონებოდათ, მიწა იძრაო.

- აგერ უინკლიც, - დაიძახა მისტერ ტაპმენმა და მეგობარს სახელოში დაქაჩა.

- აბა, სად არის? - ჰკითხა მისტერ პიკვიკმა, ჯიბეში ბედზე შერჩენილი სათვალე ამოიღო და გაიკეთა.

- აგერ, - მიუგო მისტერ ტაპმენმა, - სახლის სახურავზე.

მართლაც, კრამიტით გადახურული სახურავის რკინის ღარში, ორ სკამზე ტკბილად მოეკალათათ მისის პოტსა და მისტერ უინკლს. ისინი მეგობრებს სალმის ნიშნად ცხვირსახოცს უქნევდნენ, რაზედაც გრძნობამორეულმა პიკვიკმა მშვენიერ მანდილოსანს ხელით კოცნა გაუგზავნა.

არჩევნები ჯერ არ დაწყებულიყო და, რადგან უსაქმო ბრბო სეირის მოლოდინში მუდამ ოხუნჯობის გუნებაზეა, პიკვიკის ამ უმანკო მოქმედებამ მას ხუმრობის მადა გაუღვიძა.

- ო, შე ბებერო არამზადავ! - იყვირა ერთმა, - გოგონებზე გრჩება თვალი, არა?

- ბებერო ცოდვილო! - იყვირა მეორემ.

- სათვალეც კი გაიკეთა, რომ უკეთ შეხედოს გათხოვილ მანდილოსანს! - მიაძახა მესამემ.

- დახეთ, თვალსაც რომ უკრავს, თავის გამობლეცილ თვალს, - იყვირა მეოთხემ.

- ცოლს მიხედე, პოტ, - დაიბღავლა მეხუთემ და გარშემო ერთი სიცილ-ხარხარი ატყდა.

რადგან ამ გესლიან დაცინვას თან ახლდა შეურაცხმყოფელი შედარებები მისტერ პიკვიკსა და ბებერ თხას შორის, თან ჩირქსა სცხებდნენ უმანკო მანდილოსნის პატიოსან სახელს, კეთილშობილ პიკვიკს ბრაზი ყელში მოებჯინა. იგი ღირსეული პასუხისათვის მოემზადა, მაგრამ უეცრად სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა და პიკვიკის კლუბის დიადმა წინამძღოლმა უმეცარ შეურაცხმყოფლებს მხოლოდ თვალითღა სტყორცნა გამანადგურებელი ისარი.

ბრბომ კიდევ უფრო გულიანად გადაიხარხარა.

- სიჩუმე! - იღრიალეს ქალაქის თვითმმართველობის მოხელეებმა.

- უიფინ, ერთი უბრძანე, გაჩუმდნენ, - წარმოთქვა ქალაქისთავმა ისე ზვიადად, როგორც ეს მის მაღალ თანამდებობას შეეფერებოდა.

მაცნე დაემორჩილა და ისეთი ყურთასმენის წამღები კონცერტი ატეხა ზარებით, რომ ბრბოდან ვიღაცამ იყვირა: „არიქა, ფლავს არიგებენო“ და ხალხიც სიცილით დაწყდა.

- ბატონებო! - იყვირა ქალაქისთავმა, - ბატონებო!.. ქალაქ იტენსვილის ამომრჩეველნო... ძმებო... დღეს ჩვენ აქ შევიყარეთ იმ მიზნით, რომ ამოვირჩიოთ აწ განსვენებული...

აქ პატივცემულ ქალაქისთავს კვლავ სიტყვა შეაწყვეტინეს:

- გაუმარჯოს ქალაქისთავს! - იყვირა ვიღაცამ.

- ღმერთმა ნუ ქნას, რომ მას დასაკეტი გაუხდეს თავისი კავის დუქანი, სადაც ფულს ბლომად ჭედავს!

ამ ნართაულმა სიტყვამ, პატივცემული ქალაქისთავის ყოველდღიური საქმიანობის შესახებ, ხალხში დიდი აღფრთოვანება გამოიწვია. ბრბოს აღტაცებულ კიჟინას ბანი მისცა ზარების რეკვამაც. ამიტომ მოხდა, რომ ორატორის სიტყვის ბოლო ნაწილი არავის გაუგონია, თუ მხედველობაში არ მივიღებთ უკანასკნელ წინადადებას, რომელშიც მან დამსწრეებს უღრმესი მადლობა გამოუცხადა გულისყურით მოსმენისათვის. ამ გულთბილმა მადლობამ მსმენელებში ისეთი სიცილ-ხარხარი გამოიწვია, რომ მთელი მეოთხედი საათის განმავლობაში არ შეწყვეტილა იგი.

ამის შემდეგ, მაღალ-მაღალმა გამხდარმა ჯენტლმენმა, რომელსაც მეტისმეტად გახამებული თეთრი საყელო ეკეთა და, რომელსაც არაერთხელ უყვირეს „ერთი, სახლში გაგზავნე ბიჭი, აკითხვინე, ხმა ყურთბალიშის ქვეშ ხომ არ დაგრჩენიაო“, მოსთხოვა ხალხს დაესახელებინა შესაფერი და ღირსეული კანდიდატი პარლამენტში წარსადგენად და როდესაც იმავე ჯენტლმენმა გამოაცხადა, რომ ასეთი გახლდათ ჰორაციო ფიზკინი, ესკვაირი, ფიზკინ-ლოჯიდან, ფიზკინისტებმა უმალ „ვაშა“ დასძახეს, ხოლო სლამკისტებმა ისეთი ყურისმომჭრელი ღმუილი გაიბეს, რომ ყვითლებსა და მათ წარმომადგენელს შესანიშნავი სიტყვის ნაცვლად სახუმარო სტროფები რომ შემოეძახათ, მაინც ვერავინ ვერაფერს გაარჩევდა.

ჰორაციო ფიზკინის მეგობრებმა გული რომ იჯერეს, ტრიბუნაზე მეორე კანდიდატის გამოსაცხადებლად პაწია, წითელლოყება ჯენტლმენი ავიდა. უთუოდ მისი მჭევრმეტყველებაც წყალივით ჩაივლიდა, რომ მეტისმეტად არ გაავებულიყო, რამაც ისედაც საოხუნჯოდ განწყობილი ხალხი კიდევ უფრო გაამხიარულა.

პატივცემულმა ორატორმა სულ რამდენიმე მჭევრმეტყველებით სავსე წინადადება წარმოთქვა. მერე მისდგა და ჯერ ისინი გალანძღა, ვინც ქვევიდან სიტყვას აწყვეტინებდნენ და შემდეგ ტრიბუნაზე მდგომ ჯენტლმენებს ეცა.

ატყდა ისეთი აურზაური, რომ ორატორმა გრძნობები, რომელიც მის გულში ბობოქრობდა, ხელების გაშლითღა გამოხატა და ბრძოლის ველი თავის ერთგულ თანამოძმეს დაუთმო. უკანასკნელმა მთელი ნახევარი საათი ილაპარაკა. ღრიანცელი მას არ აწუხებდა, რადგან თავისი სიტყვა წინდაწინ „იტენსვილის გაზეთს“ გაუგზავნა და გაზეთმაც იგი დაუყოვნებლივ სიტყვასიტყვით დაბეჭდა.

აგერ, ტრიბუნაზე გამობრძანდა ჰორაციო ფიზკინი, ესკვაირი ფიზკინ-ლოჯიდან, რომ სიტყვა ეთქვა ამომრჩეველთათვის, მაგრამ პატივცემულმა კანდიდატმა ხმის ამოღებაც ვერ მოასწრო. იგრიალა სამუელ სლამკის მიერ დაქირავებულმა ორკესტრმა; თანაც ისე მძლავრად, რომ მის ხმოვანებასთან დილით მოწყობილი კონცერტი მონაგონი დარჩა. პასუხად ყვითლების ბრბომ ლურჯებს თავსა და ზურგში მუშტები დაუშინა. თავის მხრივ, ლურჯებიც შეეცადნენ უსიამოვნო მეზობლების თავიდან მოშორებას და ატყდა ერთი ალიაქოთი, ჩოჩქოლი, ცემა-ტყეპა.

პატივცემულმა ქალაქისთავმა თორმეტ კონსტებლს უბრძანა, ჩხუბისთავები დაეჭირათ, მაგრამ მათი რიცხვი გასაოცარი სის-

წრაფით იზრდებოდა და, თუ არ ვცდებით, უკვე ორას ორმოცდაათ კაცს უდრიდა.

ამ შეხლა-შემოხლამ ჰორაციო ფიზკინი და მისი ერთგული მიმდევრები მეტად გააცხარა. როდესაც მოთმინების ფიალა აივსო, დიდებულმა ჰორაციო ფიზკინმა, ესკვაირმა ფიზკინ--ლოჯიდან, დაბეჯითებით მოითხოვა: „ერთი შეეკითხეთ პატივცემულ სამუელ სლამკის, სლამკი-ჰოლიდან, ჩემს მეტოქეს, ორკესტრი მისი თანხმობით ხომ არ უკრავსო“. როდესაც პატივცემულმა სამუელ სლამკიმ, სლამკი-ჰოლიდან სიტყვა ბანზე აუგდო, ჰორაციო ფიზკინმა ფიზკინ-ლოჯიდან, პატივცემულ სამუელ სლამკის მუშტი ზედ ცხვირწინ დაუტრიალა. პატივცემულ სამუელ სლამკის, სლამკი-ჰოლიდან, ბრაზისაგან სისხლი ყელში მოებჯინა. იგი წელში გაიმართა, დოინჯი შემოიყარა და ჰორაციო ფიზკინი, ესკვაირი ფიზკინ-ლოჯიდან, სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში გამოიწვია.

რადგან ეს უკვე კანონის ყოველი მუხლისა და საერთო მშვიდობიანობის დარღვევას ნიშნავდა, ქალაქისთავმა ერთხელ კიდევ მოაწყო ზარების სიმფონია და გამოაცხადა: „ორივე აქ მომგვარეთ: ჰორაციო ფიზკინი ესკვაირ ფიზკინ-ლოჯიდან, და პატივცემული სამუელ სლამკი, სლამკი-ჰოლიდანო“.

ორივე კანდიდატი პირისპირ რომ წარუდგა, ქალაქისთავმა უბრძანა მათ: „კმარა, თავი ნუ გავიწყდებათ, დაწყნარდით“. მაშინ ჰორაციო ფიზკინმა, ესკვაირმა ფიზკინ-ლოჯიდან ქუდი მოუხადა პატივცემულ სამუელ სლამკის, სლამკი-ჰოლიდან; პატივცემულმა სამუელ სლამკიმ, სლამკი-ჰოლიდან ქუდი მოუხადა ჰორაციო ფიზკინს, ესკვაირს, ფიზკინ-ლოჯიდან. ჩააჩუმეს ორკესტრი, აბობოქრებული ბრბო ოდნავ დაცხრა და ჰორაციო ფიზკინმა, როგორც იქნა, წარმოთქვა თავისი ღირსშესანიშნავი სიტყვა.

უნდა მოგახსენოთ, რომ თუმცა ორივე კანდიდატის სიტყვა არავითარ შემთხვევაში არ გამოხატავს აზრთა იგივეობას, მაგრამ ერთ რამეში კი საოცრად ემთხვევა ერთმანეთს: ორივე სამართლიან ხარკს უხდის იტენსვილის ამომრჩეველთა მაღალ ღირსებებს; ორივე დაბეჯითებით აღნიშნავს, რომ ვინც კი მათ ხმას მისცემს, იმაზე უფრო განათლებული, თავისუფლების მოყვარული, საზოგადოებრივი საქმით დაინტერესებული, უფრო კეთილგონიერი და უანგარო, მთელ დედამიწის ზურგზე არ მოინახება. თანაც თითოეული ნართაულად გადაჰკრავს, რომ ის კი, ვისაც მოწინააღმდეგის მხარი უჭირავს, მხოლოდ და მხოლოდ პირუტყვულ მიდრეკილებას იკმაყოფილებს; მის გამორეტებულ თავს ვერ შეუგნია, რომ ამგვარი ამომრჩეველი სრულიად არ არის ღირსი, შეასრულოს ის საპატიო მოვალეობა, რომლისთვისაც ამჟამად არის მოწოდებული.

ჰორაციო ფიზკინმა განაცხადა, რომ მზადაა, შეასრულოს ყოველივე, რასაც ამომრჩევლები მოსთხოვენ, სამუელ სლამკიმ კი განაცხადა, რომ გადაჭრით უარს ამბობს შეასრულოს ის, რასაც ამომრჩეველნი მოსთხოვენ. შემდეგ ორივემ გულწრფელად აღიარა, რომ იტენსვილის ვაჭრობა-მრეწველობა, ამ ქალაქის დოვლათი და კეთილდღეობა მათთვის მუდამ უფრო ძვირფასი იქნება, ვიდრე სხვა ამქვეყნიური, მიწიერი საქმენი. თითოეულმა სიტყვა იმით დააბოლოვა, რომ მხოლოდ იგი, და არა მისი მოწინააღმდეგე, არის ღირსეული პიროვნება, რომელიც არჩეულ უნდა იქნას პარლამენტში.

დაიწყო ხმების დათვლა. ქალაქისთავმა პატივცემულ სამუელ სლამკის მიაკუთვნა არჩევანი.

ჰორაციო ფიზკინმა, ფიზკინ-ლოჯიდან, მოითხოვა ხმების ხელახალი გადათვლა. გადათვალეს. შემდეგ ქალაქისთავს, რო-

გორც თავმჯდომარეს, მადლობა გადაუხადეს საქმის ესოდენ მარჯვედ ჩატარებისათვის.

ამ ხნის განმავლობაში თვით ქალაქისთავი სულ ფეხზე იდგა და გულში ნატრობდა: „ნეტავ, ერთი სკამი მქონოდა და კიდევ უკეთ მოვაწყობდი საქმესო“. შემდეგ მან მადლობა გადაუხადა ამომრჩევლებს.

კვლავ დაიძრა საარჩევნო პროცესია, ზლაზვნით გაგორდნენ ეტლები. გაშმაგებული ბრბო მათ ფეხდაფეხ მიჰყვებოდა და მიჰ-კიოდა, რაც კი ენაზე მოადგებოდა.

ხმების დათვლისას მთელი ქალაქი ღელვის ციებ-ცხელებამ აიტანა. ყველაფერი მეტად ლიბერალურად და მომხიბვლელად ჩატარდა. მაღაზიებსა და დუქნებში გამვლელის თვალს ახარებ-და უხვად გამოფენილი ნაირ-ნაირი ნივთები, ლუდხანებსა და სამიკიტნოებში განსაკუთრებით იაფი იყო ბაჟდადებული საქო-ნელი. ქუჩებში დაგრიალებდა ვეებერთელა ფურგონები, რათა სასწრაფო დახმარება აღმოეჩინათ იმ ამომრჩეველთათვის, რო-მელნიც ხშირ თავბრუხვევას შეეპყრო. ეს ავადმყოფობა პირდა-პირ ეპიდემიასავით მოსდებოდა მთელ ქალაქს და ქვაფენილებ-ზე, თითქმის ყოველ ნაბიჯზე, გულშემოყრილი პატრიოტები ეყა-რა.

ამომრჩეველთა ერთმა პატარა ჯგუფმა უკანასკნელ წუთამდე თავი შეიკავა ხმის მიცემისაგან, ვინაიდან მისი წევრები მეტად წინდახედული და ფრთხილი ჯენტლმენები გახლდნენ. ხსენებუ-ლი ჯგუფი ჯერჯერობით ხან ერთ პარტიას ეთათბირებოდა და ხან მეორეს, მაგრამ არ იქნა, მასთან არც ლურჯებისა და არც ყვითლების არგუმენტებმა და ხვეწნა-მუდარამ არ გაჭრა.

არჩევნების დამთავრებამდე ერთი საათით ადრე მისტერ პერკერმა დაჟინებით მოითხოვა: „გამიშვით, ერთი კიდევ უნდა მოველაპარაკო ამ კეთილშობილ, სამშობლოსათვის თავდადე-

ბულ პირებსო“. ნება დართეს და ისიც ჩიტივით გაფრინდა. პერ-კერის მოსაზრება მოკლე, მაგრამ მეტად დამაჯერებელი აღმოჩ-ნდა, რადგან ხსენებული ამომრჩეველნი დაუყოვნებლივ ხმის მისაცემად გაემართნენ. შედეგიც ის მოჰყვა, რომ პატივცემული სამუელ სლამკი, სლამკი-ჰოლიდან, არჩეულ იქნა ქალაქის იტენსვილის სრულუფლებიან წარმომადგენლად პარლამენტში.

თავი XIV

მოკლედ აგვიწერს იმ საზოგადოებას, რომელიც „ფარშავანგში“ შეიკრიბა; ვაჭრობის აგენტის ნაამბობი

მოგეხსენებათ, რამდენად სასიამოვნოა, პოლიტიკური ბრძოლის არსისა და აურზაურის ჭვრეტის შემდეგ კვლავ დაუბრუნდე პირადი ცხოვრების მყუდრო სამყოფელს. თუმცა მისტერ პიკვიკი მაინცდამაინც არც ერთი პარტიისათვის არ იკლავდა თავს, მაგრამ მისტერ პოტის ენთუზიაზმი მასაც გადაედო და წინა თავში მოხსენებულ არჩევნებს მთელ დროსა და ყურადღებას ანდომებდა, ამიტომ ჩვენ ამ ღირსშესანიშნავი მოვლენის აღწერისას მის პირად შენიშვნებს დავეყრდნეთ.

ვიდრე პიკვიკის კლუბის ღირსეული წინამძღოლი არჩევნების ქარცეცხლში იყო გახვეული, არც მისტერ უინკლი გახლდათ უსაქმოდ. იგი მთელ დროს კეკლუც მისის პოტთან ერთად სასიამოვნო სეირნობასა და ქალაქგარეთ ექსკურსიებში ატარებდა. ეს მანდილოსანი არასოდეს გაუშვებდა შემთხვევას, თუ ასეთი ხელთ ჩაუვარდებოდა, რომ მხიარული გასართობით ოდნავ მაინც არ შეელამაზებინა თავისი კარჩაკეტილი ცხოვრების გულისგამაწვრილებელი ერთფეროვნება, რომელსაც იგი გამუდმებით უჩიოდა.

როგორც ხედავთ, ორივე ზემოხსენებული ჯენტლმენი შინაურულად მოეწყო მისტერ პოტის სტუმართმოყვარე სახლში და დანარჩენი ორი მეგობარი, მისტერ ტაპმენი და მისტერ სნოდგრასი ბედის ანაბარა მიატოვეს. რადგან თვით ეს ჯენტლმენები

საზოგადოებრივი საქმეებით ნაკლებად იყვნენ დაინტერესებულნი, ორივე მეტწილად თავს იქცევდა იმ გასართობებით, რომელიც სასტუმრო „ფარშავანგში“ მოიძებნებოდა. ეს იყო ჩინური ბილიარდი, რომელიც პირველ სართულზე იყო მოთავსებული, და კეგლბანი, რომელიც უპატრონოდ დაეგდოთ უკანა ეზოში. ამ გასართობების საიდუმლო და არსი, რომელნიც გაცილებით ბუნდოვანი და რთულია, ვიდრე უბრალო მოკვდავნი ფიქრობენ, პიკვიკელებს მისტერ უელერმა გაანდო. უკანასკნელი სრულყოფილად იყო დაუფლებული ორივე თამაშს. ამგვარად, ხსენებული კლუბის წევრები მოკლებული იყვნენ მისტერ პიკვიკის გულისმომცემ ნუგეშს და ყოველდღიურად ვერ ხედავდნენ წინამძღოლს, მაინც თავის ბედს არ ემდუროდნენ. ორივენი თავს საუცხოოდ იქცევდნენ „ფარშავანგში“, როგორც უკვე მოგახსენეთ, და დროც მძიმე ლოდად აღარ აწვა მათ დაობლებულ გულებს.

ყველაზე უფრო საინტერესო დროს ტარება „ფარშავანგში“ საღამოობით იწყებოდა. იმდენად საინტერესო, რომ პიკვიკელები იძულებული გახდნენ, უარი ეთქვათ მაღალნიჭიერი, მაგრამ მოსაწყენი პოტის დაჟინებულ მიპატიჟებაზე და მთელი ყურადღება სასტუმროში შეკრებილ საზოგადოებაზე მიეპყროთ. იქ საღამოობით იხსნებოდა ე.წ. კომერციული ოთახი იმ წრის პირებისათვის, რომელთა ხასიათისა და ზნის დაკვირვება შეადგენდა მისტერ ტაპმენის მიზანს. აამ პირების საუბრისა და ქცევის ჩანიშვნა ჩვეულებად გადაექცა მისტერ სნოდგრასს.

მკითხველთაგან უთუოდ ბევრს გაუგონია, თუ რას წარმოადგენს ზემოხსენებული „კომერციული ოთახები“ და ამ შემთხვევაშიც „ფარშავანგის“ კომერციული ოთახი არსებითად არაფრით განსხვავდებოდა ამგვარ სადგომთა უმრავლესობისაგან. სხვა სიტყვით რომ ვთქვათ, ეს გახლდათ დიდი დარბაზი, თითქმის ცარიელი. გახუნებული ავეჯი, ეტყობა, უფრო რიგიანად გა-

მოიყურებოდა უწინ, როდესაც სასტუმრო ახალი იყო. ოთახის შუაგულში კარგა მოზრდილი მაგიდა იდგა, უფრო მცირე ზომისები კი კუთხეებში იყო ჩადგმული. მაგიდების გარშემო ნაირ--ნაირი მოყვანილობისა და ზომის დიდი სკამები შემოეწყოთ. იატაკს ამშვენებდა ძველისძველი თურქული ხალიჩა, რომელსაც ამ უზარმაზარ ოთახში იმდენივე ადგილი ეჭირა, როგორსაც დაიკავებდა ქალის გაშლილი ცხვირსახოცი საყარაულოს იატაკზე. კედლებს ორი თუ სამი ვეებერთელა რუკა ალამაზებდა. ერთ-ერთ კუთხეში, საკიდების გრძელ მწკრივზე ავდრით დაზიანებული ხალათები ეკიდა უცნაური ქუდებით. ბუხრის თავს ამშვენებდა ხის სამელნე კალმის ნახსით, ზედ გადაკრული ქაღალდის ნაგლეჯით, გზისა და მისამართების მაჩვენებელი წიგნები, ყდამოხეული „საგრაფოს ისტორია“ და სასიკვდილოდ განწირული კალმახის ნეშტი შუშის ჭურჭელში. ჰაერში გაბნეული თამბაქოს კვამლისაგან მთელ ოთახს ჭუჭყიანი ელფერი ედო. განსაკუთრებით მუქად მოჩანდა დამტვერილი წითელი ფარდები. ჭურჭლის კარადა ნაირ-ნაირი საგნების თავშესაფარს წარმოადგენდა. ყველაზე მეტად მათ შორის გამოირჩეოდა უსკურები თევზის საწებლით, ორი კოფო, სამი თუ ოთხი კნუტი, იმავე რაოდენობის პლედი, მდოგვი და დანა-ჩანგლით სავსე სინი.

სწორედ ამ დარბაზში ისხდნენ მისტერ ტაპმენი და მისტერ სნოდგრასი. იმ საღამოს, არჩევნები რომ მოთავდა, ისინი სასტუმროს სხვა დროებით მობინადრეებთან ერთად სასმელს შეექცეოდნენ და თამბაქოს აბოლებდნენ.

- ბატონებო, - წარმოთქვა ხანდაზმულმა ჯმუხმა მამაკაცმა, რომლის ერთადერთი შავი ბრჭყვიალა თვალი მოსაუბრეთ ეშმაკურად უღიმოდა, - ბატონებო, მოდი შევსვათ ჩვენი საკუთარი პიროვნების სადღეგრძელო. ამ სადღეგრძელოს მუდამ სხვას

ვთავაზობ, თვითონ კი მშვენიერი მერის სადღეგრძელოს მივირთმევ. ხომ ასეა, მერი?

- თავიდან მომწყდით, საძაგელო! - ვითომ გაჯავრებით მიუგო მსახურმა ქალმა, რომელსაც ეტყობა ძალიან იამა ცალთვალა ჯენტლმენის ქათინაური.

- ნუ წახვალ, მერი, - შეეხვეწა ცალთვალა.

- მომეშვით, თავხედო! - ვითომ გაუწყრა ყმაწვილი ქალი.

- არ მოიწყინო, გულის კოკორო! - მიაძახა ცალთვალამ, როდესაც ქალი ოთახიდან გადიოდა, - არ მოიწყინო, მერი ძვირფასო, მე მალე მოვალ, - თქვა და თანამოსაუბრეთ ერთადერთი თვალი ისე ეშმაკურად ჩაუკრა, რომ ხნიერი კაცი, რომელსაც სახე თიხის ჩიბუხის კვამლისაგან შერუჯული ჰქონდა, პირდაპირ აღფრთოვანდა.

- უცნაური არსებაა ქალი, - თქვა შერუჯულსახიანმა ცოტა ხნის შემდეგ.

- ეგ ხომ უდავო ჭეშმარიტებაა, - დაეთანხმა ჟღალთმიანი და სიგარა გააბოლა.

ამ ფილოსოფიური შენიშვნების შემდეგ ერთხანს სიჩუმე ჩამოვარდა.

- იმასაც ნუ დაივიწყებთ, ბატონებო, რომ ქალზე უფრო მნიშვნელოვანი რამეც არსებობს ამ ქვეყნად, - თქვა ცალთვალამ და აუჩქარებლივ გატენა თამბაქოთი დიდთავა ჩიბუხი.

- ცოლი გყავთ? - ჰკითხა მას შერუჯულსახიანმა.

- მაგას ვერ დავიკვეხებ, - გაისმა პასუხად.

- მეც ასე მეგონა, - თქვა შერუჯულსახიანმა და საკუთარ ხუმრობაზე გულიანად გადიხარხარა. მას ტკბილი ხმით აჰყვა მშვიდსახიანი მამაკაცი, რომელიც ყველას ყველაფერზე ეთანხმებოდა.

- ბატონებო, - წარმოთქვა მისტერ სნოდგრასმა, - ქალები მაინც ჩვენს ცხოვრებაში საიმედო ბურჯსა და დიდ ნუგეშს წარმოადგენენ.

- სრულ ჭეშმარიტებას ბრძანებთ, სერ, - როგორც ყოველთვის, დაეთანხმა მშვიდსახიანი.

- როდესაც კარგ გუნებაზე არიან, - სიტყვა ჩაურთო შერუჯულსახიანმა.

- ეგეც მართალია, - კვლავ დაეთანხმა მშვიდსახიანი.

- ნება მიბოძეთ, ამ შენიშვნას არ დავეთანხმო, - თქვა მისტერ სნოდგრასმა, რომლის ფიქრები ხშირად ემილი უორდლის სანდომიან სახეს დასტრიალებდა, - მე ზიზღით... გადაჭრით უარვყოფ ამ შენიშვნას... აბა, მაჩვენეთ მამაკაცი, რომელიც რაიმე საძრახისს იტყვის ქალზე და მაშინ, თამამად ვაცხადებ, მე არ მივიჩნევ ასეთ პიროვნებას ჭეშმარიტ მამაკაცად, - ამ სიტყვებით მისტერ სნოდგრასმა პირიდან სიგარა გამოიღო და, რაც ძალი და ღონე შესწევდა, მაგიდას მუშტი დაარტყა.

- ო, ეს მაგარი არგუმენტია, - კვერი დაუკრა მშვიდსახიანმა.

- ეს არგუმენტი ისეთ დებულებას შეიცავს, რომელსაც მე უარვყოფ, - სიტყვა გააწყვეტინა შერუჯულსახიანმა.

- ამასაც მართალს ბრძანებთ, სერ, - დაეთანხმა გულმოწყალედ მშვიდსახიანი.

- გაგიმარჯოთ, სერ, - თქვა ვაჭრობის ცალთვალა აგენტმა და მოწყალე თვალით გადახედა მისტერ სნოდგრასს.

მისტერ სნოდგრასმა მადლობა გადაუხადა.

- მიყვარს, როდესაც დებულებას ამგვარი დასაბუთება მოსდევს, - განაგრძო ცალთვალამ, - აი, სწორედ ასეთი მჭრელი, როგორც მისტერ სნოდგრასმა ბრძანა. ჩემმა მზემ, კაი ჭკუისსასწავლებელი მაგალითია... ახლა, ამ პატარა კამათმა ქალების შესახებ, გამახსენა ერთი ამბავი, რომელიც ჩემმა მოხუცმა ბი-

ძამ მიამბო. სწორედ ამიტომ მოგახსენეთ, რომ ხანდახან ქვეყანაზე ქალებზე უფრო მნიშვნელოვანი რამაც გვხვდება-მეთქი.

- სიამოვნებით მოვუსმენ თქვენს ამბავს, - წარმოთქვა წითურმა ჯენტლმენმა, რომელიც სიგარას აბოლებდა.

- მართლა? - კითხვითვე უპასუხა ცალთვალამ და ჩიბუხი განცხრომით გააბოლა.

- ამ სურვილს მეც სულითა და გულით ვუერთდები, - თქვა მისტერ ტაპმენმა. აქამდე იგი სხვებს უსმენდა, ცდილობდა საკუთარი გამოცდილება გაემდიდრებინა და ახლა პირველად ჩაერია საუბარში.

- თქვენც გნებავთ? კეთილი, ახლავე მოგიყვებით... თუმცა არა, ვიცი, არ დამიჯერებთ, - თქვა ცალთვალამ და ერთადერთი თვალი კიდევ უფრო ეშმაკურად აუციმციმდა.

- თუკი ბრძანებთ, რომ მართალია, რა თქმა უნდა, მეც დავიჯერებ, - მიუგო მისტერ ტაპმენმა.

- თუ ასეა, მოგახსენებთ, - მიუგო მოგზაურმა, - უთუოდ გაგონილი გექნებათ დიდი სავაჭრო ფირმის „ბილსონისა და სლამის“ შესახებ? თუმცა არა აქვს მნიშვნელობა, გაგონილი გაქვთ თუ არა, რადგან კაი ხანია, რაც ეს ფირმა დაიხურა. ეს იყო ოთხმოცი წლის წინ... ჰო, იმას მოგახსენებდით, რომ ამბავი „ბილსონისა და სლამის“ ერთ-ერთ აგენტს შეემთხვა. ის კაცი ჩემი ბიძის გულითადი მეგობარი გახლდათ. შემდეგში ბიძაჩემმა თავისი პირით გადმომცა ყველაფერი. უცნაური სათაური კი აქვს ამ ამბავს:

„ვაჭრობის აგენტის თავგადასავალი“

როგორც თვითონ ბიძაჩემი ამბობდა ხოლმე. აი, რა მიამბო მან:

ზამთრის ერთ საღამოს, ის იყო შებინდდა, რომ მალბოროს ქვიშიან ბორცვებს შორის ბრისტოლის მიმართულებით მიმავალი ორთვალა ეტლი გამოჩნდა. შიგ მჯდომი მამაკაცი უწყალოდ მიერეკებოდა ისედაც ილაჯგაწყვეტილ ცხენს. ვამბობ, გამოჩნდა-მეთქი და ეჭვიც არ მეპარება, რომ მართლაც შეამჩნევდნენ მას, იმ დროს გზაზე რომ ვინმეს ჩაევლო, თუკი, რა თქმა უნდა, გამვლელი ბრმა არ აღმოჩნდებოდა. ისეთი საშინელი ამინდი იდგა და საღამოც ისეთი ცივი და ნესტიანი იყო, რომ გზაზე წყლის გუბეების მეტი არაფერი ჩანდა. მოგზაურიც მარტოდმარტო, დადარდიანებული, რის ვაი-ვაგლახით მიაჭენებდა ცხენს. წითელბორბლიან, მორყეულ ორთვალაში თიხისფერი ძარათი, შებმული იყო ავი, ჭირვეული წაბლა, რომელიც მეხორცის ცხენისა და ფოსტის დამტარებლის ორპენსიანი პონის შთამომავალს წააგავდა. რომელიმე იმდროინდელი ვაჭრობის აგენტს რომ თვალი მოეკრა ამ მგზავრისათვის, უმალვე მიხვდებოდა, რომ იგი მხოლოდ ტომ სმარტი შეიძლებოდა ყოფილიყო, „ბილსონისა და სლამის“ ფირმის წარმომადგენელი... ეს ფირმა მაშინ კეიტეტონის ქუჩაზე იყო განთავსებული სიტიში... მაგრამ, ბატონებო, ამ დროს გზაზე ვაჭრობის აგენტების ჭაჭანებაც არ იყო, ამიტომ ტომ სმარტიც არავის დაუნახავს. ჩორთით მიქროდნენ ტომ სმარტი, მისი წითელბორბლიანი ორთვალა და ჭირვეული წაბლა; სამივე მტკიცედ იცავდა მგზავრობის მიზნისა და დანიშნულების საიდუმლოს.

ამ მოსაწყენ ქვეყანაშიც კი მრავლად მოიპოვება უფრო საამო ადგილები, ვიდრე მალბოროს ბორცვებია, მით უმეტეს მაშინ, როდესაც სიცივე ძვალ-რბილში გატანთ და ძლიერი ქარი გიბერავთ და ამას დაუმატებთ ზამთრის პირქუშ საღამოს, ატალახებულ, გუბეებით გადასერილ გზას და კოკისპირულ წვიმას; თანაც, თუ ყოველივე ზემოხსენებულის მოქმედებას საკუთარ

კისერზე განიცდით, მაშინ უთუოდ აშკარად დარწმუნდებით ჩვენი შენიშვნის სამართლიანობაში.

ქარი არც სახეში სცემდა, არც ზურგზე. იგი გზის გარდიგარდმო ქროდა (თუმცა, თავისთავად, ესეც არაა სასიამოვნო) და გამვლელს ისე ირიბად ურტყამდა, როგორც უთუოდ გინახავთ მოწაფეთა რვეულებში მრუდედ ჩახატული ხაზები, რომელნიც საგანგებოდ დაქანებული ასოების წერისთვისაა განკუთვნილი. დროდადრო ქარი წუთით მიწყნარდებოდა და მოგზაურის გულშიც იმედი იღვიძებდა, იქნებ ბრაზისაგან მოქანცული, როგორც იქნა, მოსვენებას მიეცაო, რომ უეცრად შორით ატყდებოდა ერთი ყმუილი, სისინი და ქარიშხალი კვლავ ვაკესა და გორაკებზე მოექანებოდა, გზა-გზა თითქოს მეტ ღონეს იკრეფდა და ბოლოს გაშმაგებით ეძგერებოდა კაცსა და ცხენს. წვიმით ყურებს უცობდა, ნესტიანი სიცივით ძვალსა და რბილში უვლიდა, შემდეგ ჩაუქროლებდა ყურთასმენის წამღები ზუზუნით, თითქო დასცინოდა მათ უძლურებას, საკუთარ ძლიერებას კი ზეიმობდა.

ყურებჩამოყრილი წაბლა ფეხებს ტალახსა და წყალში აჭყაპუნებდა, ხანგამოშვებით თავს აქიცინებდა, თითქო ზიზღს გამოთქვამდა ბუნების ძალთა მიმართ, რომ ისინი ესოდენ არათავაზიანად ექცეოდნენ მას, ნაბიჯს კი მაინც არ ანელებდა, წინ მიქროდა, ვიდრე ერთხელ ძლიერმა წამოქროლამ, იქნებ უწინდელზე უფრო გაშმაგებულმაც, ჯიუტი ფაშატი უეცრად არ შეაჩერა. პირუტყვმა ოთხივე ჩლიქი მაგრად ჩაასო მიწაში, რომ ქარს ჰაერში არ აეტაცა. ახლა ისიც უნდა მოგახსენოთ, ბატონებო, რომ ჭირვეული ცხენი და მისი პატრონი ისეთი მსუბუქი გახლდნენ და მათი წითელბორბლიანი ორთვალა - ისეთი მჩატე, რომ ადვილი შესაძლებელია, ამ გრიგალში სამივე დაგორებულიყო და იქამდე იგორებდნენ, ვიდრე ქვეყნის კიდეს არ მიაღწევდნენ ან ვიდრე თვით ქარიშხალი არ ინებებდა ჩადგომას.

ასეა თუ ისე, დამეთანხმებით, რომ მაშინ აღარც წითელბორ-ბლიანი ორთვალა თიხისფერი ძარათი, აღარც ჭირვეული წაბ-ლა და აღარც მათი პატრონი ტომ სმარტი აღარაფრად ივარგებ-და.

- ეშმაკმა წაიღოს ჩემი თასმები, - წარმოთქვა ჩვენმა ტომ სმარტმა (ერთი ცუდი ჩვევა ჰქონდა მას, ხანდახან გინება იცო-და). - ეშმაკმა წაიღოს ჩემი თასმები და ქილვაშები, - დასძინა ტომმა, - ეს ამინდი არაფერს ჰგავს... ნეტავ, ერთიც წამოუბეროს მაგრად.

უთუოდ შემეკითხებით, ბატონებო, თუ რატომ ნატრობდა ტო-მი ქარის დაბერვას მაშინ, როდესაც უამისოდაც საშინლად ქრო-და. მართალი გითხრათ, ამაზე ზუსტ პასუხს ვერც მოგახსენებთ, მაგრამ ეს კი დანამდვილებით ვიცი, რომ სწორედ ასეთი აზრი გამოთქვა, ყოველ შემთხვევაში, ბიძაჩემს ასე გადმოსცა და მა-შასადამე, ასეც იქნებოდა.

- ერთი მაგრად დაბერე, მაგრად, - თქვა ტომ სმარტმა. ცხენ-მაც დაიჭიხვინა, თითქოს პატრონის ნატვრას იმანაც კვერი და-უკრაო.

- ყოჩაღად იყავი, ბებრუხანა, - გასძახა ტომმა და ფაშატს კი-სერზე მათრახის ბოლო მოუცაცუნა, - ასე თუ ვიარეთ, ამ ამინ-დში შორს ვერ წავალთ. როგორც კი პირველ სადგომს მივაღ-წევთ, იქ შევჩერდებით. აასე რომ, რაც უფრო იჩქარებ, ჩემო კარგო, მით უკეთესია შენთვის. აბა, ბებრუხანა, ცოცხლად... ცოცხლად, გასწი!

რა თქმა უნდა, დაბეჯითებით ვერ მოგახსენებთ, გაიგონა თუ არა ჭირვეულმა წაბლამ, რომელიც საუცხოოდ იცნობდა პატრო-ნის ხმას, ტომის ნათქვამის მნიშვნელობა, თუ ისიც მიხვდა, რომ დადგომას ისევ წასვლა სჯობდა, რადგან საშინლად ციოდა, მაგ-რამ ერთს კი გეტყვით: ჯერ პატრონს ლაპარაკი არ მოეთავები-

ნა, რომ ფაშატმა ყურები დაცქვიტა და ისეთი სისწრაფით გააქანა თიხისფერძარიანი ორთვალა, რომ გეგონებოდათ, სადაც არის, ალისფერი ბორბლების თითოეული წითელი ხიდი ნაკუწ--ნაკუწად გაიბნევა მალბოროს ბორცვების ატალახებულ ქვიშნარშიო. თუმცა ტომი გამოცდილი მეეტლე გახლდათ, მაგრამ მაინც ვერ შეძლო ჭირვეული ფაშატის შეკავება, ვიდრე წაბლა თვითონვე არ შეჩერდა ერთი პატარა სასტუმროს წინ. ეს სასტუმრო გზის მარჯვენა მხარეს იდგა და სულ მეოთხედი მილით იყო დაშორებული იმ ადგილს, სადაც მალბოროს ბორცვები თავდება.

ტომმა სადავე მეჯინიბეს გადაუგდო, მათრახი ორთვალას კოფოზე შემოდო და ნაჩქარევად ახედა სასტუმროს ზედა სართულის ფანჯრებს. ეს იყო ძველებური შენობა, უცნაური ქვით ნაშენი. ვიწრო ფანჯრებს ქვასა და ჯოხის კოჭებს შორის გადმოშვებული შუბლანები ამშვენებდა; მათ ქვეშ მუქი ფერის პარმაღი და დაბალი კარი მოჩანდა. დაბლა წყვილი ფრიალო კიბე ჩადიოდა იმ ექვსიოდე საფეხურის ნაცვლად, რომელთაც ახალი მოდის სახლებში მაღლა მივყავართ. ასე იყო თუ ისე, დაქანცული მგზავრებისათვის სასტუმროს საკმაოდ მიმზიდველი ხედი ჰქონდა, რადგან სასადილოს ფანჯრიდან კაშკაშა, გულის გამხარებელი სინათლე მოჩანდა, რომლის სხივი გზას გარდიგარდმო ჭრიდა და მეორე მხარეს, გზის პირას ჩაყოლებულ ღობეს ანათებდა. მოპირდაპირე ფანჯარაში წითელი შუქი ციმციმებდა, იგი ხან ოდნავ ბჟუტავდა, ხან თვალისმომჭრელად აელვარდებოდა და თვით ჩამოშვებულ ფარდებშიც კი გამოატანდა ხოლმე. ეტყობოდა, რომ იქ, შიგნით, ბუხარში ცეცხლი გიზგიზებდა.

ჩვენი გამოცდილი მოგზაურის თვალს არ გამოეპარა არც ერთი ზემოხსენებული წვრილმანი. ტომი ისე სწრაფად გადმოხტა

ორთვალადან, რაც ძალი და ღონე შერჩენოდა მის გათოშილ ფეხებს და სასტუმროში შევიდა.

ხუთ წუთსაც არ გაუვლია, რომ ბუფეტის მოპირდაპირე ოთახში მოეწყო, სწორედ იმ ოთახში, სადაც მას გაჩაღებული ბუხარი ეგულებოდა. ჰოდა, ჩვენმა ტომმაც მყუდროდ მოიკალათა გიზგიზა ცეცხლის პირას. ახლა ეს ცეცხლი მხოლოდ მისი გონების ნაყოფს კი არ წარმოადგენდა, არამედ ცხადლივ ათბობდა მის გათოშილ სხეულს. ეეტყობა, ბუხარში ნახშირის მთელი ბუშელი ჩაეყარათ და თანაც იმდენი ფიჩხი დაემატებინათ, რომ ეს ყოველივე ათიოდე კინკრიჟას ბუჩქს მაინც გააწყობდა და თვით ბუხრის მილსაც უთუოდ ნახევრად აავსებდა. შეშას ისეთი მხიარული ტკაცანი და გუგუნი გაჰქონდა, რომ ყოველ ჭკუათამყოფელ ადამიანს მარტო მისი ხმაც კი გაუთბობდა გულს.

ამ მყუდრო და სასიამოვნო სამყოფლის სიკეთე ამით არ ამოიწურებოდა. კოპწიად გამოწყობილი მოახლე, რომელსაც მოციმციმე თვალები და კოხტა ფეხები ჰქონდა, ოთახში შემოცქრიალდა და მაგიდას გაკრიალებული სუფრა გადააფარა. ტომი კარისაკენ ზურგით დაჯდა, ფოსტლებში გაყრილი ფეხები რიკულზე ჩამოაწყო და სასადილოს მიმზიდველ ხედს სიამოვნებით გადახედა. ეს ხედი, რომელიც ზედ ბუხრის თავზე ჩამოკიდებულ სარკეში აირეკლებოდა, მშიერ კაცს უთუოდ მეტად მაცდურ ფიქრებს გაუღვიძებდა. თაროებზე მადისმომგვრელ წესრიგში ჩაემწკრივებინათ წნილით სავსე დერგები, ოქროსიარლიყებიანი მწვანე ბოთლები, მურაბის ქილები, ყველის თავები, ცივად მოხარშული ღორის ბარკლები და შემწვარი ხორცი.

რაღა თქმა უნდა, რომ ყოველივე ზემოხსენებული ჩვენს მგზავრს გულს უამებდა, მაგრამ, უნდა მოგახსენოთ, რომ სასტუმროს მიმზიდველობა არც მარტო ამით ამოიწურებოდა. სასადილოში ყველაზე უფრო კოხტა მაგიდასთან, რომელიც ბუხარ-

თან ახლოს მიეწიათ, ჩაის მიირთმევდა ტანადი ქვრივი. მანდილოსანი დაახლოებით ორმოცდარვა წლისა იქნებოდა. იგი ისევე სანდომიანად გამოიყურებოდა, როგორც ეს ბუფეტი. ეს ალბათ სასტუმროს პატრონი და ამ საუცხოო ბუფეტის უზენაესი მეუფე გახლდათ. სურათის სილამაზეს მხოლოდ ერთი ნაკლი ჰქონდა. ეს იყო აყლაყუდა მამაკაცი შავი ხუჭუჭა თმითა და ქილვაშებით, ყავისფერ სერთუკში გამოწყობილი, რომელზედაც ბრჭყვიალა, მოჩუქურთმებული ღილები ეკერა.

ხსენებული ჯენტლმენი ქვრივის მაგიდასთან იჯდა და მანდილოსანთან ერთად განცხრომით მიირთმევდა ჩაის. გამჭრიახი გონება უთუოდ მიხვდებოდა კიდეც, რომ იგი მხურვალედ არწმუნებდა ქალს: „დასთმე ქვრივობა და უფლება მომეცი, მთელი ჩემი დღე და სიცოცხლე ამ ბუფეტში შენს მომხიბლავ არსებასთან გავატაროო“.

უნდა მოგახსენოთ, რომ ტომ სმარტი გულფიცხი სულაც არ იყო, მაგრამ რატომღაც ყავისფერსერთუკიანი აყლაყუდას დანახვამ მოთმინების ფიალა აუვსო და ის მცირე ნაღველიც აუშალა, რომელიც მას გააჩნდა. მან სარკეშიც ნათლად შეამჩნია, რომ ორივე მეტად ტკბილად ჭუკჭუკებდა.

ახლა ისიც უნდა მოგახსენოთ, რომ ტომს ძალიან უყვარდა ცხელი პუნში. დაბეჯითებით გეუბნებით, ჭკუას კარგავდა ცხელი პუნშისათვის. როდესაც იგი დარწმუნდა, რომ მის ჭირვეულ წაბლას საკმარისად აჭამეს და მშვენიერი სადგომიც მიუჩინეს, მან მსუყე, ცხელ-ცხელი სადილი მიირთვა (ქვრივმა თავის ხელით მოართვა ყოველივე) და ერთი ჭიქა ცხელი პუნშიც მოითხოვა, უნდოდა გემო გაესინჯა მხოლოდ. ისიც უნდა იცოდეთ, ბატონებო, რომ თუ საჭმელების გარდა რაიმე არსებობდა ქვეყანაზე, რომლის დამზადებაშიც ქვრივს ბადალი არ ჰყავდა, ეს სწორედ ზემოხსენებული სასმელი გახლდათ. ტომს პირველი ჭიქა ისე

ეამა, რომ დაუყოვნებლივ მეორეც მოითხოვა. ბატონებო, ცხელი პუნში საუცხოო რამ არის, მაგრამ იმ მყუდრო, ძველებურ სასტუმროს ოთახში, გიზგიზა ცეცხლის პირას, მაშინ, როდესაც გარეთ სასტიკი ქარიშხალი მძვინვარებს და მამაპაპური სახლის თითოეულ კოჭს ჭრიალი გააქვს, გასაკვირი არ არის, რომ ტომ სმარტს სასმელი პირდაპირ უკვდავების წყაროდ მოეჩვენა. კიდევ ერთი ჭიქა შეუკვეთა, შემდეგ მეორეც მიაყოლა. დაბეჯითებით ვერ გეტყვით, ამის შემდეგ კიდევ ერთიც მიირთვა თუ არა, მაგრამ დახეთ სასწაულს: რაც უფრო მეტს სვამდა ცხელ პუნშს, მისი ფიქრები მით უფრო ხშირად დასტრიალებდნენ აყლაყუდას და მის საქციელს სჯიდნენ.

„დასწყევლოს ღმერთმა ეს თავხედი! - გაიფიქრა ტომ სმარტმა, - ნეტავ, რა ეშმაკი უნდა, რომ აქედან ფეხს აღარ იცვლის? მაიმუნს მაინც არ ჰგავდეს, ეგ არამზადა! - ლუღლუღებდა ტომი, - ახლა იმ ქვრივს გემოვნების ნატამალი რომ გააჩნდეს, საუკეთესო ბიჭს ჩაიგდებდა ხელში“.

აქ ტომმა სარკეში ირიბად გადახედა მაგიდაზე მდგომ ჭიქას და როდესაც იგრძნო, რომ გული აუჩუყდა, მეოთხე ჭიქა გადაჭკრა და მეხუთეც მოითხოვა.

უნდა მოგახსენოთ, ბატონებო, რომ ტომ სმარტს ძალიან უყვარდა თავის გამოჩენა. დიდი ხანია უკვე მის გულს ერთი იმედი აცოცხლებდა: ვინ იცის, იქნებ ოდესმე ისიც საკუთარ დახლს ამოუდგება მწვანე სერთუკში, მოკლე, ზოლიან შარვალსა და გადასაკეცებიან ჩექმებში გამოწყობილი, მხიარულ სუფრაზე თამადობასაც არ დაიწუნებს. რამდენჯერმე წარმოუდგენია ოცნებაში, როგორ ისახელებს თავს საუბარსა და სმაში. რა საუცხოო მაგალითს მისცემს თავის კლიენტებს!

აი, ამ ტკბილ ფიქრებში გახვეული იჯდა ტომ სმარტი გიზგიზა ცეცხლის პირას და ცხელ პუნშს მიირთმევდა; მიირთმევდა და

თანაც ბრაზი ახრჩობდა. ვერაფრით იმ აზრს ვერ შერიგებოდა, რომ სადაც არის, აყლაყუდა ხელში ჩაიგდებდა მშვენიერ სამიკიტნოს და ტომ სმარტს კი ხახამშრალს უნდა ეყურებინა სხვისი ბედნიერებისათვის. ორი უკანასკნელი ჭიქა რომ შესვა, ტომმა საფუძვლიანად განიხილა საკითხი იმის შესახებ, ჰქონდა თუ არა უფლება, ჩხუბი აეტეხა აყლაყუდასათვის, რომელმაც ესოდენ მზაკვრულად მოახერხა ჩასუქებული ქვრივის გულის მოგება. ბოლოს გადაწყვეტილებაც ფრიად სასიამოვნო მიიღო. „ჩემსავით ბეჩავი კაცისათვის ჩხუბის ატეხას ისა სჯობს, დასაძინებლად წავიდეო!“ და ფეხზე წამოდგა.

კოპწია მოახლემ ტომი ფართო, ძველებური კიბით მეორე სართულში აიყვანა. გზადაგზა სანთელს აფარებდა ხელს, რომ დაეცვა ორპირი ქარისგან, რომელიც დროდადრო ძველი შენობის მიხვეულ-მოხვეულებში სისინებდა. ქარმა მაინც დრო იხელთა და სანთელი ჩააქრო. ამ გარემოებით ბოროტად ისარგებლეს ტომის მტრებმა. ხმა დაუყარეს, თითქო სანთელი ქარმა კი არა, თვითონ ტომმა ჩააქროო და როდესაც სანთელს ანთებდა, ქალს კისერში აკოცაო. ასე იყო თუ ისე, ტომი ოთახების მიხვეულ-მოხვეულ მწკრივებსა და ტალანების ლაბირინთში გაატარეს და ბოლოს შეიყვანეს საწოლ ოთახში, რომელიც მისთვის მოემზადებინათ. კოპწია მოახლემ ტომს ღამე ნებისა უსურვა და გავიდა.

ეს იყო მოზრდილი ოთახი დიდრონი განჯინებითა და უზარმაზარი საწოლით, რომელშიც მთელი რაზმი ჩაეტეოდა. იქვე გახლდათ, ღირს კი სახსენებლად, ორი უშველებელი მუხის კარადა, რომელიც უთუოდ ასეულის მთელ ავლადიდებას დაიტევდა. მაგრამ ყველაზე მეტად ტომი გააოცა მაღალზურგიანმა, პირქუშმა სავარძელმა, რომელსაც ფანტასტიკურად ამოჭრილი ჩუქურთმები ამშვენებდა. სავარძელში ვარდისფერსახიანი აბრე-

შუმით გადაკრული ბალიში იდო, სავარძლის ფეხები წარმოადგენდნენ მრგვალ ბურთულებს, რომელნიც ვიღაცას გულდასმით შეეფუთნა წითელ შალის ნაჭერში, თითქოს სავარძლის თითებს ნიკრისის ქარი გასჩენოდეთ. სხვა რაღა მოგახსენოთ ამ საოცარი სკამის შესახებ. ალბათ ტომმაც გაიფიქრა: „ეს რა უცნაური სავარძელიაო“ და ყველაფერი ამით მოთავდებოდა, მაგრამ არა! ამ სავარძელში რაღაც უჩვეულო იგრძნობოდა, თუმცა ტომი ზუსტად ვერც გეტყოდათ, რაში მდგომარეობდა ეს უჩვეულობა. სავარძელი იმდენად საოცარი იყო, იმდენად არ ჰგავდა ავეჯის სხვა რომელიმე საგანს, რომელიც მას ოდესმე უნახავს, რომ ახლა თავისდა უნებურად თვალს ვეღარ აშორებდა მას. სკამმა თითქოს მოაჯადოვა იგი. ჩვენი მოგზაური ცეცხლის პირას ჩამოჯდა და მთელი ნახევარი საათის განმავლობაში სავარძელს შეჰყურებდა.

- დიახ, დიახ, - ლუღლუღებდა ტომი, ტანთ რომ იხდიდა და თვალს არ აშორებდა უცნაურ ავეჯს. სავარძელი ზედ მის საწოლთან იდგა და თავისი იდუმალი იერით კიდევ უფრო ახელებდა მას.

„დიახ, ჩემს დღეში ასეთი საოცარი რამ არ მინახავს“, - კვლავ გაიფიქრა მან და უეცრად იგრძნო, რომ ცხელი პუნშისაგან ჭკუა საგრძნობლად მოემატა.

„რასაკვირველია“, - ცოტა ხნის ფიქრის შემდეგ თქვა ტომმა, ღრმააზროვნად გააქნია თავი და კვლავ სავარძელს გადახედა. მაინც ვერაფერი გაუგო. ბოლოს იმედგაცრუებული ლოგინში ჩაგორდა, თბილად დაიხურა და საღათას ძილს მისცა თავი.

ნახევარ საათსაც არ გაუვლია, რომ ტომი ძილში შეხტა, გამოეღვიძა. ნეტავ რა აბდაუბდა სიზმარი ნახა: აყლაყუდა კაცები და პუნშით სავსე ჭიქები... უეცრად თვალში მოხვდა უცნაური სავარძელი.

„მეტს აღარ შევხედავ“, - გადაწყვიტა ტომმა. თვალები მაგრად მოხუჭა და შეეცადა ღრმად დაერწმუნებინა საკუთარი თავი იმაში, რომ უმალვე ჩაიძინებდა, მაგრამ ცდა ამაო გამოდგა, თვალდახუჭულის წინაც უცნაური სავარძლები ცეკვავდნენ, წიხლებს ისროდნენ, ერთმანეთს ახტებოდნენ და ათასგვარ უცნაურობას სჩადიოდნენ.

- სჯობს, ისევ ერთ ნამდვილ სავარძელს ვუყურო, ვიდრე ორმოცდაათ მოჩვენებითსო, - თქვა მან და საბნიდან თავი ამოყო. აგერ ისიც! ცეცხლის შუქზე ნათლად მოჩანს როგორ უძრავად დგას იგი, თითქოს განგებ იწვევს ტომს.

ტომი კვლავ სკამს მიაშტერდა და უცებ, მის თვალწინ სავარძელში რაღაც სასწაული მოხდა. ზურგის ჩუქურთმა თანდათან მოხუცის დანაოჭებულ სახეს დაემსგავსა. პირისფერი, სახიანი ბალიში ძველმოდურ გადასაკეცებიან ჟილეტად გამოჩნდა, მრგვალი ბურთულაკები წითელ ფაჩუჩებში გამოწყობილ ადამიანის ფეხებად იქცა და მთლიანად სავარძელი წარსული საუკუნის დოინჯშემოყრილ უშნო ბებრუხანას დაემსგავსა.

ტომი ლოგინში წამოჯდა და თვალები მოიფშვნიტა, რომ მოჩვენება გამქრალიყო. არა, ნამდვილად არ ეჩვენება! სავარძელი მართლაც უშნო მოხუც ჯენტლმენად იქცა და რაც მთავარია, მას, ტომ სმარტს, ახლა თვალს უპაჭუნებს.

არ დაგავიწყდეთ, რომ ტომი ბუნებით მეტად ფიცხი, წინდაუხედავი კაცი გახლდათ და თანაც სადილზე ხუთი ჭიქა ცხელი პუნშიც მიირთვა. ასე რომ, მართალია, კაცის დანახვაზე ჯერ შეკრთა, მაგრამ როდესაც შეამჩნია, რომ ბებრუხანა თვალს უპაჭუნებდა და დაცინვით იღმიჭებოდა, ბრაზი ყელში მოებჯინა. მან მტკიცედ გადაწყვიტა, რომ მეტის მოთმენა აღარ შეიძლებოდა. რადგან ბებერი ქოფაკი კვლავ უპაჭუნებდა თვალს, ტომმა გაბრაზებით გადასძახა:

- ეშმაკმაც დაგწყევლოს, ნეტავ, თვალს რას მიპაჭუნებ?

- იმიტომ, რომ ასე მსურს, ტომ სმარტ! - მიუგო სავარძელმა ანუ ბებერმა ჯენტლმენმა, თქვენ როგორც გენებოთ, ისე უწოდეთ. მოხუცმა თვალების პაჭუნს თავი გაანება და ბებერი მაიმუნივით დაკრიჭა კბილები.

- ჩემი სახელი საიდანღა იცი, ბებერო მაიმუნო? - ჰკითხა ტომ სმარტმა. საცოდავი, ცოტა არ იყოს, საგონებელში ჩავარდა, საკუთარი სახელი რომ გაიგონა, მაგრამ შეეცადა, გაკვირვება არაფრით გამოეხატა.

- აბა, აბა, ტომ, - თქვა ბებრუხანამ, - როგორ გეკადრება, რომ ნამდვილ ესპანურ წითელ ხეს ასე უხეშად მელაპარაკები, ისე მელაპარაკები, გეგონება უბრალო ფირფიცრით გადაკრული ხე ვიყო? - ეს რომ წარმოთქვა, ბებრუხანამ ისე მრისხანედ გადახედა მოსაუბრეს, რომ ტომს შიშის ჟრუანტელმა დაუარა.

- ფიქრადაც არ მომსვლია თქვენი შეურაცხყოფა, სერ, - გაცილებით თავაზიანად მიუგო ტომმა.

- კეთილი, კეთილი, - დაყვავებით წარმოთქვა მოხუცმა, - იქნებ მართლაც არ გიფიქრია... იქნებ ასეც იყოს... ტომ!

- გისმენთ, სერ!

- კარგად ვიცი შენი გაჭირვება, ტომ. ძალიან ღარიბი ხარ.

- დიახ, ღარიბი გახლავართ, სერ, - კვერი დაუკრა ტომ სმარტმა, - მაგრამ ეგ საიდანღა იცით?

- ამას რა მნიშვნელობა აქვს, - მიუგო მოხუცმა ჯენტლმენმა, - ისიც ვიცი, რომ პუნში ძალიან გიყვარს, ტომ.

ის იყო ტომ სმარტს სიტყვა უნდა შეებრუნებინა, დღიდან დაბადებისა ერთი წვეთი პუნშიც არ დამილევიაო, რომ ამ დროს მოხუცს გამჭრიახ თვალებში ჩახედა და გაწითლდა, სირცხვილით ხმა ვერ ამოიღო.

- ტომ, - წარმოთქვა მოხუცმა ჯენტლმენმა, - ქვრივი ლამაზი ქალია, ძალიან ლამაზი, არა, ტომ? - ბებრუხანამ სიამოვნებისაგან თვალები მინაბა, გამხდარი ფეხით ჰაერში წიხლი ისროლა და ისე ვნებიანად გაიღმიჭა, რომ თვით ტომსაც კი სასტიკად ეჩოთირა ქარაფშუტული საქციელი, ისიც ესოდენ ხანდაზმული კაცისაგან.

- მე მისი მეურვე ვარ, ტომ, - თქვა მოხუცმა ჯენტლმენმა.

- მართლა? - შეეკითხა ტომ სმარტი.

- მის დედას ვიცნობდი, ტომ, - თქვა ბებრუხანამ, - მაგის ბებიასაც... ძალიან ვუყვარდი... ეს ჟილეტი მან შემიკერა, ტომ.

- ნუთუ? - წამიძახა ტომ სმარტმა.

- ეს ფეხსაცმელებიც, - განაგრძო ბებრუხანამ და საჩვენებლად წითელი ფაჩუჩი ასწია, - მაგრამ იცოდე, არავის გაუმხილო... არ მინდა ვინმემ გაიგოს, თუ როგორ გაგიჟებით ვუყვარდი მას, ოჯახში ამან რაიმე უსიამოვნება არ გამოიწვიოს.

ეს რომ თქვა, ბებერი არამზადა ისე თავხედურად დაიღრიჭა, რომ ტომ სმარტი, როგორც შემდეგში თვითონვე აღიარა ისე, რომ სინდისის ქენჯნაც კი არ უგრძნია, მზად იყო, ყელში სცემოდა.

- ო, ერთ დროს ქალებს მეც ძალიან ვუყვარდი, - განაგრძო ბებერმა არშიყმა, - ჩემს მუხლებზე ასობით ლამაზი ქალი მჯდარა. აბა, ბიჭო, ახლა რაღას იტყვი, ჰა? - ის იყო მოხუცი მოემზადა სიყმაწვილეში ჩადენილი ოინების მოსაყოლად, რომ უეცრად საცოდავად აჭრიალდა და გაჩუმდა, მწარე ტკივილებისაგან საუბარი ვეღარ განაგრძო.

„ახია შენზე, ბებერო ძაღლო“, - გაიფიქრა ტომ სმარტმა, მაგრამ ხმამაღლა არაფერი თქვა.

- ოჰ! - დაიგმინა ბებრუხანამ, - ახლა ქარები ძალიან მაწუხებს... დავბერდი, ტომ, დავჩაჩანაკდი. ოპერაციაც გამიკეთეს... ზურგში ნაჭერი ჩამიდგეს... საშინელი ტანჯვა გადავიტანე, ტომ.

- ოღონდაც, რომ ასე იქნებოდა, - დაეთანხმა ტომი.

- მაგრამ, - თქვა მოხუცმა ჯენტლმენმა, - სიტყვა ბანზე აგიგდე, ტომ. მე მინდა, რომ ქვრივი შენ შეირთო.

- მე, სერ?! - წამოიძახა ტომმა.

- დიახ, შენ! - წარმოთქვა მოხუცმა ჯენტლმენმა.

- დაილოცოს თქვენი ჭაღარა! - წამოიძახა ტომმა და ცალი თვალით ბებრის თავს გადახედა, რომელსაც ცხენის ძუის რამდენიმე ღერიღა შერჩენოდა.

- დაილოცოს თქვენი ჭაღარა, სერ, მაგრამ, აბა ეგ როგორ მოხდება, როდესაც ქალს არ ვუნდივარ.

ტომს სამიკიტნო მოაგონდა და თავისდა უნებურად ამოიოხრა.

- არ უნდიხარ? - მკვახედ გაიმეორა მოხუცმა ჯენტლმენმა.

- არა, არა, - თქვა ტომმა, - ნიშანში სხვა ჰყავს ამოღებული. აყლაყუდა კაცი... საშინელი აყლაყუდა, შავქილვაშებიანი.

- ტომ, - განაგრძო მოხუცმა ჯენტლმენმა, - დამიჯერე, რომ ქვრივი იმ კაცს არასოდეს არ შეირთავს.

- არ შეირთავს? - წამოიძახა ტომმა, - იქ, ბუფეტში რომ ყოფილიყავით, უთუოდ ასე არ იტყოდით.

- სისულელეა, სისულელე, - თქვა მოხუცმა ჯენტლმენმა, - მე ყველაფერი ვიცი, ტომ.

- რა იცით? - ჰკითხა ტომმა.

- კარს უკან რომ იკოცნებოდით და სხვა ამგვარი, ტომ, - თქვა მოხუცმა და კვლავ ურცხვად გადახედა ტომს. ტომი საშინლად გააბრაზა ამან, რადგან ყველას კარგად მოგეხსენებათ, ჯენ-

ტლმენებო, რომ მოხუცი კაცისაგან, რომელსაც მეტი ჭკუა მოეთხოვება, ასეთი ამბების მოსმენა არცთუ სასიამოვნოა.

- ბევრი რამ გამომიცდია ჩემს სიცოცხლეში, ტომ, - განაგრძო ისევ ბებრუხანამ, - იმდენი წყვილი მინახავს, რომ გადათვლაც მეზარება, მაგრამ ბოლოს მაინც არაფერი გამოდიოდა.

- გეტყობათ, რომ მართლაც ბევრი უცნაური რამ გინახავთ, სერ, - თქვა ტომმა.

ბებრუხანამ მოსაუბრეს გამჭოლი მზერა ესროლა.

- ო, ეჭვიც არ შეგეპაროს, ტომ, - მიუგო მოხუცმა და თვალი ეშმაკურად ჩაუკრა. - ტომ, მთელი ოჯახიდან მეღა დავრჩი, - დაამატა მან და ნაღვლიანად ამოიოხრა.

- დიდი ოჯახი გქონდათ? - ჰკითხა ტომ სმარტმა.

- თორმეტი ვიყავით, ტომ, - უპასუხა მოხუცმა ჯენტლმენმა, - კოხტა, გამართული ბიჭები. ისეთები ვიყავით, რომ კაცს ჩვენი ყურება არ მოჰბეზრდებოდა. ახლანდელ გონჯ სავარძლებს კი არ ვგავდით. ყველას ისეთი გაკრიალებული სახელურები გვქონდა, რომ პირდაპირ ცქერით ვერ გაძღებოდი, მაგრამ ხომ გაგიგონია, თავის ქება კიტრადა ღირსო. უხერხულია, თვითონვე რომ ამდენს ვლაპარაკობ ამის შესახებ.

- მერედა, დანარჩენი რაღა იქნა, სერ? - იკითხა ტომ სმარტმა.

მოხუცმა თვალებზე ხელი მიიფარა და უპასუხა:

- საიქიოს გაემგზავრნენ, ტომ, საიქიოს. მძიმე სამსახური დაგვაკისრეს და ყველა ჩემისთანა მაგარი აგებულების როდი გამოდგა; ფეხებსა და ხელებში ქარები გაუჯდათ და სამზარეულოსა და სხვა დავრდომილთა თავშესაფარში მიაბარეს. ერთი მათგანი, საცოდავი, დიდი ხნის მომსახურებისა და უხეში მოპყრობის შედეგად ჭკუიდან შეირყა... ისე შეირყა, რომ იძულებული გახდნენ დაეწვათ, სამარცხვინოა, ტომ, სამარცხვინო!

- საშინელია, საშინელი! - კვერი დაუკრა ტომ სმარტმა.

მოხუცი ცოტა ხნით დადუმდა, ეტყობოდა, რომ ვეღარ იმორჩილებდა აჩუყებულ გულს. ბოლოს წარმოთქვა:

- ტომ, სათქმელს მაინც გადავუხვიე. იცოდე, ეგ აყლაყუდა საძაგელი არამზადაა, ფათერაკის მაძიებელი. როგორც კი ქვრივს შეირთავს, მაშინვე ავეჯს გაყიდის და გაიქცევა. მერე შედეგიც მოგეხსენება: საწყალი ქვრივი დარჩება გაძარცული და მიტოვებული. მეც არ მომელის კარგი დღე. უთუოდ რომელიმე ძველმანებით მოვაჭრის დუქანში მიგდებული სასიკვდილოდ გავცივდები.

- კი, მაგრამ...

- სიტყვას ნუ მაწყვეტინებ, - თქვა მოხუცმა, - შენზე, ტომ, მე სულ სხვა აზრისა ვარ. დარწმუნებული ვარ, სამიკიტნოს დახლის გადაღმა თუ ერთხელ მოიკალათე, არასოდეს უღალატებ მას... რაღა თქმა უნდა, თუკი მის ქვეშ სასმლის ნატამალი მაინც იქნება, - დაამატა ბოლოს მოხუცმა.

- სერ, ფრიად დამავალეთ, რომ ჩემზე ასეთი კარგი წარმოდგენისა ბრძანებულხართ, - თქვა ტომმა.

- ამიტომ, - განაგრძო მოხუცმა ჯენტლმენმა მბრძანებლური კილოთი, - ქვრივი იმას არ შეხვდება და შენ დაგრჩება.

- კი მაგრამ, რა დაუშლის? - აღელდა ტომი.

- მისი არამზადობა უნდა ვამხილოთ, ტომ! - მიუგო მოხუცმა ჯენტლმენმა, - ცოლიანია.

- ცოლიანია?! - წამოიძახა ტომმა და ლოგინში წამოჯდა, - კი, მაგრამ როგორ დავუმტკიცოთ?

მოხუცმა ჯენტლმენმა წელზე მიბჯენილი ხელი გაითავისუფლა, ერთ-ერთ მუხის კარადაზე მიუთითა და კვლავ დოინჯი შემოიყარა.

- მას აზრადაც არ მოსდის, - დაიწყო მოხუცმა ჯენტლმენმა, - რომ ამ კარადაში ჰკიდია შარვალი და იმ შარვლის მარჯვენა ჯი-

ბეში მაგ შეჩვენებულს წერილი დარჩა, რომელშიც ცოლი ემუ-დარება, რომ ეგ მხეცი დაუბრუნდეს თავის უნუგეშო მეუღლეს, ექვს, კარგად დაიმახსოვრე, ტომ, ექვს ბავშვს... ექვსივე თოთო ბავშვია.

წარმოთქვა თუ არა ამაყად ეს სიტყვები, მოხუცი ჯენტლმენის ნაკვთები თანდათან გაბუნდოვდა. ტომის თვალსაც ბინდი გადა-ეკრა. მოხუცი კვლავ სავარძლად იქცა; პირისფერსახიანმა აბ-რეშუმმმა კვლავ ბალიშის მოყვანილობა მიიღო, ხოლო წითელი მაუდის ფაჩუჩები ისევ ბურთულაკებს დაემსგავსა.

ბუხარში ნაკვერჩხალი ჩაიფერფლა და ტომ სმარტს თავი ბა-ლიშზე დაუვარდა. მკვდარსავით ჩაეძინა.

მზიანმა დილამ ტომ სმარტი საღათას ძილიდან გამოაღვიძა. ლოგინში წამოჯდა და რამდენიმე წუთის განმავლობაში ამაოდ ცდილობდა წარსული ღამის ამბების გახსენებას. უეცრად მოაგონდა და ეს მოგონებები ჯარივით შემოესია გამოფხიზლე-ბულ გონებას. სავარძელს გადახედა. მას მართლაც საკმაოდ ფანტასტიკური და პირქუში იერი გადაჰკრავდა, მაგრამ მაინც ნამდვილად უსულო საგანი იყო. მხოლოდ ზედმიწევნით მახვილ და ცოცხალ გონებას თუ შეეძლო მას და მოხუც კაცს შორის იოტისოდენა მსგავსება მაინც აღმოეჩინა.

- აბა, ბებერო, როგორა ხარ? - შესძახა ტომმა, რომელიც, მო-გეხსენებათ, როგორც ყოველი ადამიანი, დღის შუქზე... უფრო თამამი გახლდათ.

სავარძელი არც გაინძრა და არც არაფერი უპასუხა.

- ნეტავ, რომელ კარადაზე მიმითითე?.. ეგ მაინც მითხარი, - შეევედრა ტომი.

თქვენც არ მომიკვდეთ, ბატონებო, სავარძელს კრინტიც არ დაუძრავს.

- მაშ, კარგი, კარადის გაღება არც ისე ძნელია. აბა, ვცადოთ, - თქვა ტომმა და ამ მტკიცე გადაწყვეტილებით ლოგინიდან წამოდგა. ერთ-ერთ კარადასთან მივიდა. გასაღები შიგ საკეტში შენიშნა, გადაატრიალა და კარი გამოაღო. აგერ შარვალიც. ხელი ჯიბეში ჩაყო და ზუსტად ისეთი წერილი ამოიღო, როგორიც მოხუცმა აუწერა.

- პირდაპირ საოცარია, საოცარი, - წარმოთქვა ტომ სმარტმა. ჯერ სავარძელს გადახედა, მერე კარადას, მერე წერილს და ბოლოს ისევ სავარძელს. მოგახსენებთ, უსულო საგნები ვერ აუხსნიდნენ ამ სასწაულის მნიშვნელობას და ტომმაც გაიფიქრა: „ოღონდ ამ გაჭირვებას დავაღწიო თავი და არას დავეძებ. ახლა ისა სჯობია, ჩავიცვა და დაუყოვნებლივ იმ აყლაყუდას გავუსწორდე“.

გზაზე ტომი უკვე პატრონის თვალით ათვალიერებდა ოთახებში ჩამწკრივებულ ავეჯს. ახლა შეუძლებლად როდი ეჩვენებოდა ის აზრი, რომ კოხტა სასტუმროცა და მისი მოწყობილობაც სულ მოკლე ხანში მის საკუთრებად იქცეოდა.

აყლაყუდა მყუდრო ბუფეტთან იდგა. ხელები ისე არხეინად შემოეწყო ზურგზე, თითქოს თვითონ ყოფილიყო სასტუმროს პატრონი.

ტომს უგულოდ გაუღმიჭა. გეგონებოდათ მხოლოდ იმიტომ, რომ თეთრი გაქათქათებული კბილები გამოეჩინა. ტომი მიხვდა, რომ იმ აყლაყუდას თავის იმ კუნჭულში, სადაც ჩვეულებრივ ადამიანის ტვინი იგულისხმება, აშკარად საკუთარი წარმატების ფიქრმა გაუელვა.

ტომმა სიცილი დააყარა და სასტუმროს დიასახლისს გამოუძახა.

- დილა მშვიდობისა, ქალბატონო, - მიმართა ტომ სმარტმა მანდილოსანს, როდესაც ქვრივი შემოვიდა და პატარა სასტუმრო ოთახის კარი მიხურა.

- დილა მშვიდობისა, სერ, - მიუგო ქვრივმა, - საუზმედ რა მოგართვათ, სერ?

ტომმა არაფერი უპასუხა. საწყალი მძიმე საგონებელს მისცემოდა, არ იცოდა ეს სახიფათო საქმე როგორ დაეწყო.

- საუცხოო ლორი გვაქვს, სერ, - შესთავაზა ქვრივმა, - მშვენიერი, ცივად მოხარშული ქათამი ქონით დატენილი... მოგართვათ, სერ?

ამ სიტყვების გაგონებაზე ტომი თითქოს გამოერკვა. „ო, რაც უფრო მეტს ლაპარაკობს ქვრივი, მით უფრო ჭკუას ვკარგავ... რა მზრუნველი, რა წინდახედული დიასახლისია“, - გაიფიქრა.

- ვინ ბრძანდება ეგ ჯენტლმენი, ქალბატონო? - ჰკითხა ტომმა ქვრივს.

- სახელად ჯინკიზი ჰქვია, სერ, - მიუგო ქვრივმა და ოდნავ გაწითლდა.

- კაი ზორბა კაცია, - შენიშნა ტომმა.

- საუცხოო კაცია, სერ, - უპასუხა ქვრივმა, - მეტად კეთილი ჯენტლმენია.

- ნუთუ?

- კიდევ რაიმე ხომ არ გნებავთ, სერ? - ჰკითხა ქვრივმა. ტომის დაკითხვამ ცოტა არ იყოს გააკვირვა მანდილოსანი.

- როგორ არა, - თქვა ტომმა, - ჩემო ძვირფასო ქალბატონო, კეთილ ინებეთ და ცოტა ხნით აქ დაბრძანდით.

ქვრივი უფრო გაოცდა, მაგრამ არაფერი უპასუხა და ტომს გვერდით მიუჯდა.

დაბეჯითებით ვერ გეტყვით, ბატონებო, როგორ მოხდა, ყოველივე... ბიძაჩემმა პირდაპირ ასე მითხრა: „მეც არ ვიცი, რო-

გორ მოხდაო“. ასე იყო თუ ისე, ტომის ხელი ზედ ქვრივის ხელისგულს დაეცა და საუბრის დასრულებამდე ასეთ მდგომარეობაში დარჩა.

- ჩემო ძვირფასო ქალბატონო, - თქვა ტომ სმარტმა, რომელსაც არშიყობაში ბადალი არ ჰყავდა, - ჩემო ძვირფასო ქალბატონო, თქვენ დიდებული, ღირსშესანიშნავი მეუღლის ღირსი ბრძანდებით, ჭეშმარიტად ღირსშესანიშნავი.

- ღმერთო, შენ შემიწყალე, მაგას რას ბრძანებთ, სერ? - წამოიძახა ქვრივმა. ჯერ იყო და ამ უცხო მამაკაცმა ასე უცნაური საუბარი გაუბა და ახლა ხომ პირდაპირ რეტი დასცა. უცხოს საქციელი მით უფრო გაუკვირდა ქვრივს, რომ წინა საღამომდე მას თვალითაც არ ენახა ტომი.

- პირფერობა მძაგს, ჩემო ძვირფასო ქალბატონო, - განაგრძო ტომ სმარტმა, - თქვენ, ქალბატონო, ჭეშმარიტად იმის ღირსი ბრძანებით, რომ უებრო ვაჟკაცი მეუღლის სახით მხარს გიმშვენებდეთ. ვინც უნდა იყოს იგი, უდავოდ ძალიან ბედნიერი იქნება.

ეს რომ თქვა, უნებურად ოთახის ავეჯეულობას მოავლო თვალი.

ქვრივი საგონებელში ჩავარდა. წამოდგომა დააპირა, მაგრამ ტომმა ნაზად მოუჭირა ხელი და აგრძნობინა „დარჩიო“. ქალიც დარჩა.

ბიძაჩემის თქმისა არ იყოს, უთუოდ თქვენც კარგად მოგეხსენებათ, რომ საერთოდ ქვრივი ქალები მშიშრები არ არიან.

- ო, თქვენ მეტად კეთილი ბრძანდებით, სერ, - მიუგო ბუნჩულა დიასახლისმა, - ღმერთმანი, ასეთი კარგი აზრი არაფრით არ დამიმსახურებია და თუ ოდესმე დავაპირებ გათხოვებას...

- თუ?! - წამოიძახა ტომ სმარტმა და მარცხენა თვალით ირიბად გადახედა ქვრივს. - თუ?!

- დიახ, - და მანდილოსანმა ხმამაღლა გადაიკისკისა, - როდესაც გავთხოვდები, იმედი მაქვს, რომ სწორედ ისეთი კარგი ქმარი მეყოლება, როგორიც თქვენ ამიწერეთ.

- ესე იგი, ჯინკინზი, არა? - ჰკითხა ტომმა.

- ღმერთო ჩემო, სერ! - შესძახა ქვრივმა.

- კმარა ლაპარაკი, კარგად ვიცნობ, რაც ბრძანდება, - თქვა ტომმა.

- ო, დარწმუნებული ვარ, რომ ვინც კი მას იცნობს, კარგის მეტი სათქმელი არა ექნება, - თავმომწონედ წარმოთქვა ქვრივმა, როდესაც მოსაუბრის სახეზე ორაზროვანი გამომეტყველება შეამჩნია.

- ჰმ! - დაიგმინა ტომ სმარტმა.

ქვრივმა გაიფიქრა: „ახლა კი დროა, ავტირდეო“, - ჯიბიდან ცხვირსახოცი ამოაცურა, თვალებზე მიიფარა და ასლუკუნდა, - რატომ სურს ჯენტლმენს შეურაცხყოფა მიაყენოს საცოდავ ქალს; რომ ნამდვილ ჯენტლმენს არამც და არამც არ ეკადრება მეორე ჯენტლმენის პირშავად მოხსენიება და ისიც ზურგს უკან; თუ რაიმე აქვს სათქმელი, რატომ პირდაპირ პირში არ ეუბნება, როგორც ნამდვილ ვაჟკაცს შეეფერება; ახლა მის მაგივრად საცოდავ ქალს გულს უხეთქავს... და ქვრივმა სხვა მრავალი ამგვარი არგუმენტი წამოაყენა.

- ახლავე იმასაც მოვახსენებ, - უპასუხა ტომმა, - მაგრამ ჯერ თქვენ მინდა რომ გაიგოთ.

- მერედა რა არის ისეთი? - ჰკითხა ქვრივმა და დაჟინებით ჩააშტერდა.

- პირდაპირ გაოცდებით, - მიუგო ტომმა და ხელი ჯიბეში ჩაიყო.

- თუკი ის გახლავთ, რომ ფული სჭირდება, - თქვა ქვრივმა, - შეგიძლიათ თავი არ შეიწუხოთ, უკვე ვიცი.

- ეგ იოლი საქმეა, - მიუგო ტომ სმარტმა, - მე თვითონაც არაფერი მაქვს. საქმე ეგ კი არ არის.

- ო, ღმერთო ჩემო, მაშ, რა არის? - შესძახა ქვრივმა.

- არ შეშინდეთ, - მიუგო ტომ სმარტმა, ჯიბიდან ნელნელა ამოაძრო წერილი და გაშალა. ეჭვით შეეკითხა: - ხომ არ იკივლებთ?

- არა, არა, - მიუგო საჩქაროდ ქვრივმა, - გთხოვთ, გემუდარებით, ახლავე მაჩვენეთ.

- გული ხომ არ შეგიწუხდებათ და სხვა ამგვარი? - კვლავ ჰკითხა ტომმა.

- არა, არა, - ნაჩქარევად უპასუხა ქვრივმა.

- არ გავარდეთ და სახეში არ უთავაზოთ! - განაგრძო ტომმა, - მაგას მე გავაკეთებ თქვენ ნაცვლად, თქვენ კი თავს გაუფრთხილდით.

- კარგი, კარგი, - თქვა ქვრივმა, - ოღონდ მაჩვენეთ.

- ინებეთ, - მიუგო ტომ სმარტმა და წერილი ქვრივს ხელში ჩაუდო.

ბატონებო, ბიძაჩემმა გადმომცა თვით ტომ სმარტის სიტყვები:

„როდესაც ქვრივმა სიმართლე შეიტყო, ისე ატირდა, რომ მისი გოდება ქვის გულსაც კი განგმირავდა“ და მოგეხსენებათ, ტომი როგორი გულჩვილი ადამიანი გახლდათ. ქვრივის ტანჯვამ პირდაპირ გულ-ღვიძლი გადაუტრიალა. საცოდავი ქალი სიმწრით მკლავებს იკაწრავდა.

- ო, რა არამზადები... რა მატყუარები არიან მამაკაცები, - მოთქვამდა უბედური.

- საშინელი, ჩემო ძვირფასო ქალბატონო, - კვერი დაუკრა ტომ სმარტმა, - მაგრამ, გემუდარებით, დამშვიდდით.

- ო, ვერ დავმშვიდდები, ვერა, ვერა, - იკივლა ქვრივმა, - რა მეშველება. განა შევხვდები კიდევ ადამიანს, რომელსაც ასე შევიყვარებ?

- ო, შეხვდებით, ჩემო ძვირფასო, შეხვდებით, - შესძახა ტომ სმარტმა და თანაგრძნობის ნიშნად თვალებიდან ღაპაღუპით წამოვიდა ცრემლთა ნიაღვარი. ტომ სმარტს ისე შეეცოდა ქვრივი, რომ წელზედაც კი შემოხვია ხელი. თვით ქვრივმაც, მწუხარებისაგან გაოგნებულმა, ერთგულ მანუგეშებელს ხელი სტაცა და ცრემლიანი თვალებით გაუღიმა. ტომმა კეკლუც მანდილოსანს ალერსიანად გადახედა და მხიარულად დაიკრიჭა.

ბატონებო, ახლაც არა ვარ დარწმუნებული, აკოცა თუ არა ქვრივს ტომმა ამ მნიშვნელოვან წუთში. ბიძაჩემს კი უთხრა, არ მიკოცნიაო, მაგრამ ძალიან მეეჭვება. ჩვენ შორის დარჩეს და, მე მგონი აკოცა. ყოველ შემთხვევაში, ნახევარი საათის შემდეგ ტომმა სასტუმროს წინკარიდან კინწისკვრით გააგდო აყლაყუდა და ერთ თვეში ქვრივიც შეირთო. შემდეგ ხშირად დაგრიალებდა ტომ სმარტი იმ საგრაფოში თავის წითელბორბლიანი ორთვალათი, რომელსაც კვლავ ჭირვეული წაბლა ება.

მას შემდეგ მრავალმა წელმა განვლო. ჩვენმა ტომმაც სამიკიტნო დახურა და ცოლითურთ საფრანგეთში გასწია. ძველი სასტუმრო დაანგრიეს.

* * *

- ნება მიბოძეთ, გკითხოთ, - თქვა ცნობისმოყვარე მოხუცმა ჯენტლმენმა, - სავარძელი რაღა იქნა?

- ჰო, მართლა, კარგია, მომაგონეთ, - მიუგო ვაჭრობის ცალთვალა აგენტმა, - ამბობენ, რომ ქორწილის დღეს ძალიან ბევრს ჭრიალებდაო, მაგრამ ტომ სმარტიც კი ვერ გეტყოდათ, სიამოვ-

ნებით იყო ეს გამოწვეული, თუ სხეულის უძლურებით, უფრო მეორე უნდა ყოფილიყო, რადგან იმ დღის შემდეგ სავარძელს ხმა აღარ ამოუღია.

- ნუთუ ყველამ დაიჯერა ეს ამბავი? - იკითხა შერუჯულსახიანმა, როდესაც კვლავ დატენა ჩიბუხი.

- ყველამ, ტომის მტრების გარდა, - მიუგო ვაჭრობის აგენტმა, - ზოგი მათგანი ამბობდა, რომ ეს თავიდან ბოლომდე ტომის მოჭორილიაო, ზოგმაც ისა ბრძანა: ტომი მთვრალი იყო და ყოველივე მოეჩვენაო; შეცდომით სხვისი შარვალი ჩაიგდოო ხელში, მაგრამ მათ აბა ვინ დაუჯერებდა?

- ტომ სმარტმა თვითონ რა თქვა, ყველაფერი მართალიაო?

- ყოველი სიტყვაო.

- და თქვენმა ბიძამ?

- ყოველი ასოც კიო.

- ჭეშმარიტად ორივე კარგი კაცი ყოფილა, - თქვა შერუჯულსახიანმა.

- ოღონდაც რომ ასეა, - კვერი დაუკრა ვაჭრობის აგენტმა, - დიდებული ადამიანები გახლდნენ.

თავი XV

დარბაზობა ორი გამოჩენილი პიროვნების მამულში; ძველი ნაცნობობის განახლება

არჩევნების დამთავრების შემდეგ სამი დღე გავიდა. მისტერ პიკვიკს, ცოტა არ იყოს, სინდისი ქენჯნიდა, რომ ამ ხნის განმავლობაში ერთხელაც არ ინახულა მეგობრები, რომელნიც სასტუმრო „ფარშავანგში“ დატოვა. ის იყო, დილიდანვე მათ სანახავად დააპირა წასვლა, რომ ერთგულმა მსახურმა, სემმა, ხელში სადარბაზო ბარათი ჩაუცურა, რომელზედაც მკაფიოდ იყო ამობეჭდილი შემდეგი წარწერა:

მისის ლეო ჰანტერი.
ბუნაგი, იტენსვილი

- გელოდებათ, სერ, - მოკლედ ესროლა სემმა.

- ხომ არ გეშლება, სემ, პირადად ჩემი ნახვა სურთ? - ეჭვით იკითხა მისტერ პიკვიკმა.

- იმ ჯენტლმენს პირადად თქვენი ნახვა სურს, სხვა არ გამოდგება, როგორც ეშმაკის პირადმა მდივანმა ბრძანა, როცა ექიმი ფაუსტი საიქიოს წააბრძანა, - უპასუხა მისტერ უელერმა.

- როგორ, განა ის ჯენტლმენია? - ჰკითხა კვლავ მისტერ პიკვიკმა.

- კიდევაც რომ არ იყოს, წააგავს მაინც, - მიუგო სემმა.

- ვერაფერი გამიგია, ბარათს ხომ ქალის სახელი აწერია? - წარმოთქვა მისტერ პიკვიკმა.

- ასეა თუ ისე, მე კი კაცმა მომცა, - უპასუხა სემმა, - მისაღებ ოთახში გელოდებათ. ასე მითხრა, მთელ დღეს რომ მომიხდეს ცდა, ფეხს არ მოვიცვლი, ვიდრე შენს პატრონს არა ვნახავო.

მისტერ პიკვიკმა ეს მტკიცე გადაწყვეტილება რომ გაიგო, დაუყოვნებლივ მისაღებ ოთახისაკენ გაეშურა.

როგორც კი ოთახის კარი შეაღო, ვიღაც, ზედმიწევნით დარ-ბაისელი გარეგნობის მამაკაცი სავარძლიდან წამოდგა და დიდი მოწიწებით მიმართა:

- თუ არ ვცდები, თქვენ მისტერ პიკვიკი ბრძანდებით, არა?

- გახლავართ.

- პატივი დამდეთ, სერ, და ნება მომეცით ხელი ჩამოგარ-თვათ, - წარმოთქვა დარბაისელმა მამაკაცმა.

- დიდი სიამოვნებით, - მიუგო მისტერ პიკვიკმა.

უცნობმა მძლავრად მოქაჩა გამოწვდილი ხელი და განაგ-რძო:

- თქვენი გამოჩენილი პიროვნების შესახებ ბევრი რამ მსმე-ნია, სერ, გაცხარებულმა კამათმა და აურზაურმა, რაც თქვენმა აღმოჩენამ გამოიწვია, მისის ლეო ჰანტერის ყურამდე მოაღწი-ა... მისის ლეო ჰანტერი ჩემი მეუღლეა, სერ. მე კი მისტერ ლეო ჰანტერი გახლავართ.

უცნობი შეჩერდა, თითქოს მოელოდა, რომ ამ სახელის გა-გონებაზე მისტერ პიკვიკს გული აუჩუყდებოდა, მაგრამ როდე-საც აშკარად შეამჩნია, რომ მასპინძლის სახეზე წარბიც არ შე-ტოკებულა, კვლავ საუბრის გაგრძელება არჩია.

- ჩემი მეუღლე, სერ, - წარმოთქვა მან, - მისის ლეო ჰანტერი, ბედნიერად ჩათვლის თავს, თუ მას საშუალება მიეცემა, ისეთი ღირსშესანიშნავი პიროვნება გაიცნოს, რომელმაც საკუთარი

ნიჭისა და შრომების წყალობით ესოდენ დიდი სახელი მოიხვეჭა დედაქალაქში. ნება მიბოძეთ, სერ, ამ სიის საპატიო ადგილას მისტერ პიკვიკისა და იმ კლუბის წევრების სახელები მოვათავსო, რომელიც ამჟამად თქვენს ბრწყინვალე სახელს ატარებენ.

- გარწმუნებთ, სერ, რომ მეტად გამაბედნიერებთ, თუ პირადად გამაცნობთ ესოდენ შესანიშნავ მანდილოსანს, - მიუგო მისტერ პიკვიკმა.

- ო, სიამოვნებით გაგაცნობთ, სერ, როგორ არ გაგაცნობთ, უეჭველად, უსიკვდილოდ გაგაცნობთ, სერ, - მიუგო დარბაისელმა ჯენტლმენმა, - ხვალ დილით, სერ, ჩვენ ვმართავთ სადარბაზო საუზმეს, Une fête champêtre მხოლოდ ისეთი პირებისათვის, რომელთაც სახელი მოიხვეჭეს საკუთარი ნიჭისა და შრომების წყალობით. გთხოვთ, პატივი დასდოთ მისის ლეო ჰანტერს, სერ, და ხვალ დილით „ბუნაგში“ მობრძანდეთ.

- დიდი სიამოვნებით, სერ, - მიუგო მისტერ პიკვიკმა.

- ამგვარ წვეულებას, სერ, მისის ლეო ჰანტერი ხშირად მართავს, - განაგრძო ახალმა ნაცნობმა, - ეს გახლავთ „ბრწყინვალე გონებისა“ და „შესანიშნავ განწყობილებათა“ წვეულება, როგორც დიდის გრძნობით აღნიშნა ერთმა ნაცნობმა პოეტმა. მან, სხვათა შორის, მისის ლეო ჰანტერს საუცხოო სონეტი უძღვნა.

- უთუოდ ხსენებულმა ჯენტლმენმა სახელი მოიხვეჭა საკუთარი ნიჭისა და შრომების წყალობით, არა? - შეეკითხა სტუმარს მისტერ პიკვიკი.

- დიახ, სერ, რაღა თქმა უნდა, - მიუგო დარბაისელმა ჯენტლმენმა, - მისის ლეო ჰანტერის ნაცნობები მხოლოდ გამოჩენილი პიროვნებები არიან, სერ, სხვა ნაცნობობა არცა ჰყავს. მეტად პატივმოყვარე ბრძანდება, სერ.

- ფრიად კეთილშობილი ამბიციაა, სერ, - დასძინა მისტერ პიკვიკმა.

- მე რომ მოვახსენებ მისის ლეო ჰანტერს, მერწმუნეთ, იგი დიდად იამაყებს ამით, - თქვა დარბაისელმა ჯენტლმენმა, - ვგონებ, სერ, თქვენს ამალაში ერთი ჯენტლმენი გახლავთ, რომლის კალამს რამდენიმე საუცხოო პოემა ეკუთვნის?

- ჩემი მეგობარი, მისტერ სნოდგრასი, დიდ მიდრეკილებას იჩენს პოეზიისადმი, სერ, - მიუგო მისტერ პიკვიკმა.

- დიახ, დიახ. ო, როგორ ჰგვანებია მისის ლეო ჰანტერს. იგი ხომ პირდაპირ გიჟდება, ჭკუას კარგავს პოეზიისთვის, აღმერთებს პოეზიას. თამამად შემიძლია ვაღიარო, რომ მთელი მისი სული და გული პოეზიის ჰანგზეა აწყობილი, მხოლოდ მასთან არის შესისხლხორცებული... თვითონაც ჩინებული ლექსები დაწერა, სერ. უთუოდ წაგიკითხავთ კიდეც მისი „ოდა სულთმობრძავ ბაყაყზე“.

- გულწრფელად უნდა ვაღიარო, რომ არ წამიკითხავს, სერ, - მიუგო მისტერ პიკვიკმა.

- გაოცებისაგან გონს ვერ მოვსულვარ, სერ, როგორ, ნუთუ არ წაგიკითხავთ? - შეჰყვირა მისტერ ლეო ჰანტერმა, - ამ ოდამ საოცარი შთაბეჭდილება მოახდინა საზოგადოებაზე. სახელისა და გვარის ნაცვლად ეწერა დიდი „ლ“ და რვა ვარსკვლავი ეხატა გარშემო. პირველად ქალთა ჟურნალში დაიბეჭდა... აი ასე იწყება:

„შენ მუცელზე წევხარ, გტკივა,
შენ შემყურეს ცრემლი მცვივა;
ვერ შეგხედავ მე გულცივად,
სულს კუნძზე ლევ, აქ, ახლო
სულთმობრძავო ბაყაყო!“

- დიდებულია! - შესძახა მისტერ პიკვიკმა.

- საუცხოოა, - კვერი დაუკრა მისტერ ლეო ჰანტერმა, - სრულიად სადა და ამავე დროს ესოდენ ბრწყინვალე.

- ჭეშმარიტად, - დასძინა მისტერ პიკვიკმა.

- მეორე ტაეპი ხომ პირდაპირ გულს აგიჩუყებთ, აგაღელვებთ, სერ, მოგახსენოთ?

- ძალიან დამავალებთ, სერ, - მიუგო მისტერ პიკვიკმა.

- თუ არ ვცდები, ასე უნდა იყოს, - დაიწყო დარბაისელმა ჯენტლმენმა და ნაღველის გამოსახატავად სახე უფრო დამანჭა:

„ო, ჭაობის ნეტარება,
რად მოგისპეს პატარებმა,
ეშმაკების სადარებმა,
ბალღმაც პირი რად გახლო,
სულთმობრძავო ბაყაყო!“

- საუცხოოდაა ნათქვამი! - შესძახა მისტერ პიკვიკმა.

- პირდაპირ გულში გხვდება, სერ, პირდაპირ გულში, - თქვა მისტერ ლეო ჰანტერმა, - მაგრამ ეს რა არის. თქვენი ყურით უნდა გაიგონოთ როგორც დიდებულად კითხულობს ამ ლექსს მისის ლეო ჰანტერი. გარწმუნებთ, სერ, რომ მხოლოდ მას შეუძლია ჭეშმარიტად სათანადო მიუზღოს ამ შესანიშნავ ოდას... ხვალ დილით თვითონვე წაგიკითხავს, სერ... გადაცმული.

- გადაცმული?!

- დიახ, მინერვად... ო, ღმერთო ჩემო, კინაღამ არ დამავიწყდა, სერ. ხვალ მასკარადი გვაქვს, სერ.

- ღმერთო ჩემო! - შესძახა მისტერ პიკვიკმა და თავისი სხეულის ჩასუქებულ ნაკვთებს თვალი შეავლო, - მე არ შემიძლია...

- მაგაზე ნუ იდარდებთ, სერ, გეუბნებით, ნურც იდარდებთ! - შესძახა მისტერ ლეო ჰანტერმა, - სოლომონ ლუკსს, სერ, ებრაელს, ჰაი-სტრიტზე რომ ცხოვრობს, ასობით უწყვია სამასკარადო ტანსაცმელი. აირჩიეთ, რომელიც გინდათ: პლატონი, ზენონი, ეპიკურე, პითაგორა - ყოველმა მათგანმა ხომ თავის დროზე კლუბი დააარსა.

- ვიცი, ვიცი, - თქვა მისტერ პიკვიკმა, - მაგრამ ესოდენ შესანიშნავ ადამიანებს ვერც შევკადრებ, რომ გავეჯიბრო... არამც და არამც მათ ტანსაცმელს არ ჩავიცვამ!

დარბაისელი ჯენტლმენი მძიმე საგონებელში ჩავარდა. ბოლოს წარმოთქვა:

- იცით რა, სერ, ერთი აზრი მომივიდა თავში. იქნებ მისის ლეო ჰანტერს კიდეც უფრო ეამოს, რომ თქვენისთანა სახელოვანი ადამიანი საკუთარ ტანსაცმელში ეახლოს და არა სხვის სამოსში გადაცმული. გაბედულებას ვიღებ ჩემს თავზე და პირობას გაძლევთ, რომ ასეთ გამონაკლისს მხოლოდ თქვენთვის დავუშვებთ. ამას მოგახსენებთ მისის ლეო ჰანტერის სახელით.

- თუკი ასეა, დიდი სიამოვნებით გეახლებით, - თქვა მისტერ პიკვიკმა.

- ღმერთო, კი მომკალი, რამდენი დრო დაგაკარგვინეთ, სერ! - შესძახა დარბაისელმა ჯენტლმენმა, - გარწმუნებთ, მეც კარგად ვიცი დროის ფასი, სერ. აღარ დაგაყოვნებთ, სერ... მაშ შემიძლია მისის ლეო ჰანტერს მოვახსენო, რომ უეჭველად მოგელოდეთ ხვალ თქვენ და თქვენს პატივცემულ მეგობრებს! ნახვამდის, სერ. გულწრფელად ვამაყობ, რომ ასეთი სახელოვანი პიროვნება გავიცანი... არა, სერ, როგორ გეკადრებათ, სერ! ერთი ნაბიჯითაც არ შეწუხდეთ, სერ... ერთი სიტყვაც აღარაა საჭირო.

დარბაისელმა ჯენტლმენმა პასუხის გაცემა აღარ აცადა მისტერ პიკვიკს და ნელი ნაბიჯით გავიდა ოთახიდან.

მისტერ პიკვიკმა მაშინვე ქუდს დაავლო ხელი და „ფარშავანგისაკენ“ გასწია, მაგრამ მისტერ უინკლმა დაასწრო თავის დიდებულ წინამძღოლს და მეგობრებს მასკარადის ამბავი შეატყობინა.

- მისის პოტიც მობრძანდება, - მისალმებისთანავე მოახსენა მან პიკვიკს.

- მართლა? - ჰკითხა მისტერ პიკვიკმა.

- აპოლონად გადაცმული, - უპასუხა მისტერ უინკლმა, - მაგრამ პოტი ტუნიკის ჩაცმას არ ანებებს.

- მართალიც არის, სრულიად მართალი, - ხაზგასმით მიუგო მისტერ პიკვიკმა.

- დიახ... ასე რომ, თეთრი ფარჩის კაბას ჩაიცვამს, ოქროსფერი კილიტებით გაწყობილს.

- მაშ, ვეღარც კი მიხვდებიან, ვისი განსახიერება იქნება არა, როგორ ფიქრობ? - ეშმაკურად დაეკითხა მისტერ სნოდგრასი.

- როგორ თუ ვერ იცნობენ, - გულისწყრომით შეესიტყვა მისტერ უინკლი, - ბრმები ხომ არ არიან, მას ხომ ჩანგი ექნება ხელში!

- ჰო, მართლა, ჩანგი კინაღამ დამავიწყდა, - ვითომ ახლა გაახსენდა მისტერ სნოდგრასს.

- მე პირადად მეკობრის ტანსაცმელს ჩავიცვამ, - სიტყვა ჩაურთო მისტერ ტაპმენმა.

- რაო! - წამოიძახა მისტერ პიკვიკმა და შეხტა.

- მეკობრის ტანსაცმელში გამოვეწყობი, - მშვიდად მიუგო მისტერ ტაპმენმა.

- უთუოდ ხუმრობთ, ჩემო კარგო, - წარმოთქვა მისტერ პიკვიკმა და მეგობარს მკაცრი თვალით გადახედა, - აბა, როგორ დავიჯერო, რომ თქვენ განზრახვა გაქვთ მწვანე ხავერდის ქურქი გადაიცვათ, ორი დუიმის სიგრძე კალთებით.

- სწორედ ასეა, სერ, - კვლავ მშვიდად მიუგო მისტერ ტაპმენმა, - რატომაც არა, სერ?

- იმიტომ, სერ, - აღშფოთებით წამოიძახა მისტერ პიკვიკმა, - იმიტომ, სერ, რომ მაგ სამოსისთვის მეტად... მეტად ხნიერი ბრძანდებით, სერ.

- ხნიერი! - შეჰკივლა მისტერ ტაპმენმა.

- და თუ არც ესა კმარა თქვენთვის საბუთად, - განაგრძო მისტერ პიკვიკმა, - დაე, მეორე მიზეზიც იცოდეთ: მეტად სქელიც ბრძანდებით, სერ.

- სერ, - წარმოთქვა მისტერ ტაპმენმა და ყურებამდე გაწითლდა, - ეს ხომ შეურაცხყოფაა, სერ!

- სერ, - კვლავ გაჯავრებით მიმართა მას მისტერ პიკვიკმა, - ეს შეურაცხყოფა სახსენებლადაც არ ღირს იმ შეურაცხყოფასთან, რაც თქვენ გსურთ ჩემ მიმართ ჩაიდინოთ. აბა, როგორ უნდა მეჩვენოთ მწვანე ხავერდის ქურქში, რომელსაც ორი დუიმის სიგრძე კალთები დასთრევს?

- სერ, თქვენ უხეში ბრძანდებით! - შესძახა მისტერ ტაპმენმა.

- სერ, მე კი არა, თქვენ თვითონ ბრძანდებით უხეში! - მიუგო მისტერ პიკვიკმა.

მისტერ ტაპმენმა ორი ნაბიჯი წინ წადგა და მისტერ პიკვიკს დააშტერდა. მისტერ პიკვიკმა მოწინააღმდეგეს ჯერ თვალი თვალში გაუყარა, შემდეგ თვალების მთელ ცეცხლს სათვალის საშუალებით ერთ წერტილში მოუყარა თავი და მისი გამანადგურებელი ალი მისტერ ტაპმენს სტყორცნა.

მისტერ უინკლი და მისტერ სნოდგრასი ერთხანს გაოცებისაგან ხმას ვერ იღებდნენ. ორივე გაქვავებული შეჰყურებდა პიკვიკელთა კლუბის საპატიო წევრების კინკლაობას.

- სერ, - წარმოთქვა ხმადაბლა მისტერ ტაპმენმა ცოტა ხნის შემდეგ, - თქვენ მე ხნიერი მიწოდეთ.

- დიახ, გიწოდეთ, - დაეთანხმა მისტერ პიკვიკი.

- სქელიც.

- შემიძლია გავიმეორო.

- თან უხეშიც.

- ბრძანდებით, კიდეც!

სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. მისტერ ტაპმენმა სახელოები დაიკაპიწა.

- თუმცა ჩემი გულწრფელი პატივისცემა თქვენდამი, სერ, - წარმოთქვა მან და აღელვებისაგან ხმა აუკანკალდა, - დიდია... მეტად დიდი... მაგრამ სხვა გზა არ არის, იძულებული ვარ, იმ პიროვნებას, რომელმაც შეურაცხყოფა მომაყენა, სათანადო მივუზღო.

- აბა, მობრძანდით! - მტკიცედ წარმოთქვა მისტერ პიკვიკმა.

ამ წალაპარაკებით აღელვებული ტაპმენი დამბლადაცემულივით წაბარბაცდა, რაც მისმა ორივე მეგობარმა თავდაცვის ნიშნად ჩათვალა.

- როგორ! - წამოიძახა, როგორც იქნა, მისტერ სნოდგრასმა, რომელსაც მეტყველების უნარი დაუბრუნდა, - რა დაგემართათ?

იგი მოჩხუბართა შუა ჩავარდა. კეთილშობილი პიკვიკელი არ დაერიდა იმ დიდ საფრთხეს, რომელიც ჩვეულებრივ ორთაბრძოლის დროს მესამეს ხვდება წილად. სახელდობრ: სრულიად ადვილი მოსალოდნელი იყო, რომ ორივესგან ერთდროულად თითო სილას მიიღებდა შიგ საფეთქლებში.

- როგორ, მისტერ პიკვიკ, როგორ გეკადრებათ, მთელი ქვეყანა შემოგცქერით! - წამოიძახა მან კვლავ, - ჩვენო ძვირფასო მეგობარო, მისტერ ტაპმენ, თქვენ ხომ ჩვენთან ერთად იზიარებთ მისტერ პიკვიკის უკვდავი სახელის დიდებას... გრცხვენოდეთ, ჯენტლმენებო, გრცხვენოდეთ!

როგორც გრაფიტის ხაზები უჩინარდება საშლელის გავლენისაგან, ისე უკვალოდ გაქრა მეგობრის მიმართვაზე უჩვეულო ნაოჭები, რომელთაც უცაბედი გაცხარებისაგან, მისტერ პიკვიკის მაღალი და გონიერი შუბლი გადასერა. ჯერ კიდევ მისტერ სნოდგრასს სიტყვა არ მოეთავებინა, რომ დიადი ადამიანის სავსე მთვარესავით მრგვალ სახეს კვლავინდებურად ჩვეული კეთილი იერი დაედო.

- ძალიან ავჩქარდი, - წარმოთქვა მან, - ძალიან ავჩქარდი. ტაპმენ, ხელი მომეცით.

მისტერ ტაპმენის სახიდანაც გადაიყარა მძიმე ღრუბლები. მან გულთბილად ჩაბღუჯა მეგობრის ხელი.

- მეც გავცხარდი, - დასძინა მან.

- არა, არა, - შეაწყვეტინა სიტყვა მისტერ პიკვიკმა, - ბრალი მხოლოდ მე მიმიძღვის. ჩაიცვამთ მწვანე ხავერდის ქურქს?

- არა, არაფრით, - მიუგო მისტერ ტაპმენმა.

- გთხოვთ, ჩემი ხათრით ჩაიცვათ, - წარმოთქვა კვლავ მისტერ პიკვიკმა.

- ბატონი ბრძანდებით, ჩავიცვამ, - დაეთანხმა მისტერ ტაპმენი.

შეთანხმდნენ, რომ მისტერ ტაპმენი, მისტერ უინკლი და მისტერ სნოდგრასი უეჭველად სამასკარადო ტანსაცმელში გამოეწყობოდნენ. რაღა თქმა უნდა, რომ მისტერ პიკვიკის კეთილმა გულმა ისეთ რამეზე ათქმევინა მას თანხმობა, რაზედაც მისი ნათელი გონება უეჭველად უარს იტყოდა. ჭეშმარიტად ძნელი წარმოსადგენია სიკეთის უფრო დიდი გამოვლენა, კიდევაც რომ თავიდან ბოლომდე გამოგონილი იყოს ამ ფურცლებზე მოთხრობილი ამბავი.

აღმოჩნდა, რომ მისტერ ლეო ჰანტერმა არაფერი გადააჭარბა, როდესაც სოლომონ ლუკასის შესაძლებლობანი აღწერა.

ტანსაცმლის მარაგი მას მართლაც დიდი და მრავალფეროვანი ჰქონდა, მეტად დიდიც: მართალია, არცთუ ჭეშმარიტად კლასიკური და არც სულ ახალი, არც ისეთი, რომელიც ზუსტად განასახიერებდა სათანადო დროსა და საუკუნის მოდას, მაგრამ, სამაგიეროდ, ყოველი კოსტიუმი მოკილიტებული გახლდათ და თქვენც კარგად მოგეხსენებათ, მასკარადის დროს კილიტებს განა რაიმე შეედრება? შესაძლოა ვინმემ ბრძანოს, რომ კილიტები დღის სინათლეზე არაფრად ვარგიანო, რომ ისინი მხოლოდ ნათურების ციმციმზე ბრჭყვიალებენო, მაგრამ განა ცხადი არ გახლავთ, რომ თუკი მასკარადს დღისით აწყობენ და ტანსაცმელი უშნო მოჩანს, ბრალი მხოლოდ და მხოლოდ, მასპინძელს მიუძღვის და კილიტები აქ არაფერ შუაშია?

ასეთი დამაჯერებელი საბუთი წამოუყენა პიკვიკელებს თვით მისტერ სოლომონ ლუკასმაც და ამ არგუმენტმა დიდებულად გაჭრა: მისტერ ტაპმენი, მისტერ სნოდგრასი და მისტერ უინკლი შეიმოსნენ იმ ტანსაცმელში, რომელიც მისტერ ლუკასის გემოვნებამ შეარჩევინა მათ.

ეტლი „ქალაქის გერბში“ იქირავეს, რადგან ეს უფრო ხელს აძლევდა პიკვიკელებს. იქვე შეუკვეთეს მეორე ეტლიც დიდებული პოტისა და მისი ძვირფასი ნახევრის გადასაბრძანებლად მისის ლეო ჰანტერის სავანეში. მისტერ პოტმა ნიშნად უღრმესი მადლობისა დაპატიჟებისთვის, ვითომდა სასხვათაშორისოდ განაცხადა „იტენსვილის გაზეთში“, რომ აღნიშნული მანდილოსნის მამული მეტად მომხიბლავ, პირდაპირ ჯადოქრულ ადგილს წარმოადგენსო. ეს ისეთი ადგილი გახლავთ, რომელიც ყოველ სულიერს დიდ ნეტარებას მოჰგვრისო, რომ თვით დიასახლისი ნიჭისა და მშვენიერების ბრწყინვალე ნაერთს ასახიერებს, ზედმიწევნით უხვი მასპინძელია და, რაც მთავარია, ფაქიზი გემოვნების პატრონი გახლავთო. სახლის მორთულობა ხომ იმდენად

მდიდრული და დახვეწილი გემოვნებითაა შერჩეული, რომ აღმოსავლეთის ქვეყნების მთელი ზღაპრული დიდებულება მასთან შედარებით ადამიანს უთუოდ თალხი ფერების თაიგულად მოეჩვენებაო, საყოველთაოდ ცნობილია, რომ ბოროტმა ნაღველაშლილმა პიროვნებამ გაბედა თავისი შურის შხამით შეებღალა ამ სათნო და სახელოვანი ქალბატონის მზადება, მაგრამ ამ გესლიანმა ცდებმა, რაღა თქმა უნდა, ამაოდ ჩაუარა. წერილის ავტორი ბოლოში წერს: აღტაცებით ვთავაზობ გულწრფელი ქების ამ მცირე ხარკს მშვენიერ მანდილოსანსო. ისიც საყოველთაოდ იყო ცნობილი, რომ წერილში ნაგულისხმევი ნაღველაშლილი პიროვნება სხვა არავინ გახლდათ, გარდა „დამოუკიდებელის“ რედაქტორისა. რომელიც მხოლოდ იმიტომ, რომ დარბაზობაზე არ მიიწვიეს, თავისი გაზეთის უკვე ოთხ ნომერში ზედიზედ უსირცხვილოდ დასცინოდა მთელ ამ დიად წამოწყებას; თანაც ეს დაცინვა უზარმაზარი ასოებით იყო დაბეჭდილი და შესაფერი ეპითეტებითაც შემკული.

გათენდა. სადარბაზოდ გამოწყობილი პიკვიკელები ეტლში ჩაბრძანდნენ. ჭეშმარიტად დიდებული სანახავი იყო მისტერ ტაპმენი, თავით ფეხებამდე მეკობრის ტანსაცმელში გამოწყობილი. ძალიან ვიწრო ქურქი მის განიერ ზურგსა და მხრებზე ქინძისთავების ბალიშივით ამოფუყულიყო, ეტყობა ცოტა უჭერდა. ფეხების ზედა ნაწილი ჩვენს პიკვიკელს ხავერდის მოკლე შარვალში ჩაეჭედა და ქვედა კი არტახებით გადაეკრა, როგორც ეს ნამდვილ მეკობრეთ აქვთ ხოლმე. გულს ეამებოდა მისი გულუბრყვილო, ალალმართალი სახის შეხედვა, რომელიც, დამწვარი კორპით გამურული და წვერულვაშით შელამაზებული, ამაყად უმზერდა ქვეყანას ქათქათა პერანგის ღია საყელოდან. ახლა, თუ დავუმატებთ იმასაც, რომ მამაც ავაზაკს თავზე შაქრისკობოლას მსგავსი ქუდი ეხურა ნაირ-ნაირი ფერის ბაფთით გაწყობი-

ლი, რომელნიც მუხლამდე დასთრევდნენ (სამწუხაროდ, ადამიანს ჯერ არ მოუგონია სხვა საშუალება, რომ ამგვარი მოწყობილობა თავსა და დასახურავს შორის არ ატაროს), მკითხველს სრული წარმოდგენა ექნება მისტერ ტაპმენის ღირსშესანიშნავი გარეგნობის შესახებ.

არც მისტერ სნოდგრასი ჩამორჩა მეგობარს. იგი ცისფერი ატლასის შარვალში შეიმოსა, ფეხზე თეთრი პაჭიჭები ჩაიცვა და მხარზე ლურჯი ფარჩის მოსასხამი მოიგდო, თავზე კი ნამდვილი ბერძნული ჩაფხუტი ჩამოიცვა. მოკლედ რომ ვთქვათ, როგორც საყოველთაოდაა ცნობილი (ყოველ შემთხვევაში, მისტერ სოლომონ ლუკასი არ მოტყუვდება), ეს სამოსი გახლდათ ნამდვილი ტრუბადურის ერთადერთი მორთულობა მათი გაჩენის დღიდან ამ მომღერალთა არსებობის უკანასკნელ წუთამდე.

რაღა თქმა უნდა, რომ ეს სანახაობა ყოველი მაყურებლის გულს სიამით აავსებდა, მაგრამ იგი სახსენებელიც არ არის იმ აღტაცებულ ყიჟინასთან, რომელიც ხალხმა დასძახა; როდესაც პიკვიკელთა ეტლი მისტერ პოტის სახლთან შეჩერდა, კარი გაიღო და გამოჩნდა თვით დიდებული პოტი, სასამართლოს მოხელის ტანსაცმელში გამოწყობილი. რედაქტორს ხელში ეჭირა უშველებელი მათრახი და მთელი მისი გარეგნობა სიმბოლურად გამოხატავდა ერთი მხრივ, „იტენსვილის გაზეთის“ ძლიერებას და, მეორე მხრივ, იმ მწარე გამათრახებას, რომელსაც იგი თავის შეურაცხმყოფელებს უწყობდა.

როდესაც მისტერ სნოდგრასმა და მისტერ ტაპმენმა ეს ცოცხალი სიმბოლო შენიშნეს, ორივეს ერთხმად აღმოხდათ:

- ბრავო, ბრავო!

- აბა, ერთი შენებურად დასძახე, პოტ, - იგრიალა ხალხმა.

ამ გამამხნევებელ მისალმებათა გუგუნში მისტერ პოტი ეტლში ჩაბრძანდა. პატივცემულ რედაქტორს აშკარად ეტყობოდა,

რომ მან კარგად იცოდა საკუთარი ღირსების ფასი, საკუთარ ძლიერებასაც საუცხოოდ გრძნობდა და ისიც დიდებულად გაეგებოდა, თუ სად და როგორ გამოეყენებინა ეს ძლიერება.

კვლავ გაიღო კარი და მთვარესავით გამოცურდა მისის პოტი ჩანგით ხელში. ჭეშმარიტად პირწავარდნილი აპოლონი იქნებოდა, ტუნიკის ნაცვლად კაბა რომ არ სცმოდა. მას ახლდა მისტერ უინკლი, ღიაწითელ სერთუკში გამოწყობილია. ააბა, ვინ არ მიხვდებოდა პირველი შეხედვისთანავე, რომ აღნიშნული სამოსი სპორტსმენის სააღლუმო ფორმას წარმოადგენდა. თუმცა ზოგიერთს მაინც ეჭვი შეეპარა, წერილების დამტარებლის ფორმა ხომ არ აცვიაო, ისე წააგავდა მისი მორთულობა ხსენებულ სამოსს.

ყველაზე ბოლოს მისტერ პიკვიკი გამოჩნდა. უბნის ბიჭები მასაც მხიარული კიჟინით შეეგებნენ, შესაძლოა იმიტომ, რომ მისი ვიწრო შარვალი და პაჭიჭები შუა საუკუნეების ისტორიულ გადანაშთს მიამგვანეს.

ორივე ეტლი მისის ლეო ჰანტერის მამულში გაემგზავრა. მისტერ უელერი, რომელიც პიკვიკელებს სტუმრობისას უნდა მომსახურებოდა, იმ ეტლის კოფოზე წამოიჭიმა, რომელშიაც მისი ბატონი იჯდა.

თვით ლეო ჰანტერის სახლთან სამასკარადოდ გამოწყობილი სტუმრების სანახავად საკმაოდ მოზრდილი ბრბო შეკრებილიყო. ყველამ სათითაოდ: კაცმა, ქალმა, ბიჭმა, გოგონამ და თვით თოთო ბავშვმაც კი სიხარულის ყიჟინა დასცეს, როდესაც მისტერ პიკვიკმა მეგობრების თანხლებით დინჯად აიარა შესასვლელი კიბე: მარჯვნივ მეკობრე უმშვენებდა მხარს და მარცხნივ - ტრუბადური. შეუძლებელია, ენით აღვწეროთ ის გამამხნევებელი შეძახილი, რომელიც მისტერ ტაპმენს ხვდა წილად, როდე-

საც იგი შეეცადა წოპწოპა ქუდის თავზე დამაგრებას, რომ ღირსეულად წარმდგარიყო მშვენიერი დიასახლისის წინაშე.

მართლაც, მზადება დიდებული აღმოჩნდა. იგი სავსებით ამართლებდა მისტერ პოტის წინასწარმეტყველებას ზღაპრული სიმდიდრის შესახებ და სრულიად აქარწყლებდა შხამიანი „დამოუკიდებლის“ ბოროტ ცილისწამებას.

მთელი მამული, რომელიც სიგრძე-სიგანით აკრსა და ერთ მეოთხედს შეადგენდა, სტუმრებით იყო გაჭედილი. შეკრებილი საზოგადოება წარმოადგენდა იშვიათი სილამაზის, დახვეწილი მოდისა და შესანიშნავი მწიგნობრობის ბრწყინვალე გამოფენას. აქ გახლდათ მანდილოსანი ხონთქრის მეუღლის ტანსაცმელში, რომელსაც „იტენსვილის გაზეთში“ პოეზიის განყოფილება ებარა. იგი ნაზად დაყრდნობოდა ფელდმარშლის სააღლუმო ფორმაში გადაცმული ყმაწვილი ჯენტლმენის მკლავს, რომელიც იმავე გაზეთში მიმოხილვის განყოფილებას განაგებდა. ამგვარ სახელოვან პირებს მისის ლეო ჰანტერთან ბლომად შეხვდებოდით და, რაღა თქმა უნდა, რომ ყოველი ჭკუათამყოფელი ადამიანი დიდ ბედნიერებად თვლიდა მათთან შეხვედრასა და გაცნობას. ხსენებული დარბაზობის მიმზიდველი მხარე მარტო ამით არ ამოიწურებოდა. ამ წვეულებაზე თვით ლონდონიდან ჩამოვიდნენ პოეზიისა და პროზის ექვსიოდე „ლომი“, ნამდვილი ავტორები, რომელთაც არა ერთი და ორი სქელტანიანი წიგნი დაუწერიათ და დაუბეჭდავთ კიდეც. წარჩინებული სტუმრები ისე დასეირნობდნენ ბაღსა და სახლში, თითქო უბრალო მომაკვდავნი ყოფილიყვნენ: იღიმებოდნენ, საუბრობდნენ, იცინოდნენ. დიახ, იცინოდნენ და ხანდახან კარგა მაგარ სისულელესაც ამბობდნენ, რაღა თქმა უნდა, მხოლოდ იმიტომ, რომ უბრალო მოკვდავთათვის გასაგები ყოფილიყო მათი საუბარი.

- მისტერ პიკვიკი, ქალბატონო, - გამოაცხადა მსახურმა, როდესაც ხსენებული ჯენტლმენი მეკობრისა და ტრუბადურის თანხლებით მშვენიერ ღმერთქალს მიუახლოვდა.

- მართლა, აბა სად არის? - ყალბი აღტაცებით წამოიძახა მისის ლეო ჰანტერმა და წამოხტა.

- აქ გახლავართ, - მიუგო მისტერ პიკვიკმა.

- ო, ნუთუ ჩემი თვალით მეღირსა დიადი პიკვიკის ხილვა? - მხურვალედ წარმოთქვა მისის ლეო ჰანტერმა.

- როგორც ხედავთ, საკუთარი ფეხით გეახელით, - მიუგო მისტერ პიკვიკმა და მასპინძელს მდაბლად დაუკრა თავი, - ნება მიბოძეთ „სულთმობრძავი ბაყაყის“ მშვენიერ ავტორს ჩემი მეგობრები წარვუდგინო: მისტერ ტაპმენი, მისტერ უინკლი, მისტერ სნოდგრასი.

ვისაც პირადად გამოუცდია, მხოლოდ ის ადამიანი მიხვდება გაჭირვებას, თუ რა ძნელია თავის დაკვრა მაშინ, როდესაც თავზე წოპწოპა გვირგვინი გადევს. ტანზე მწვანე ხავერდის შემოჭერილი ქურქი და ლურჯი ფარჩის შარვალი გაცვია; როდესაც ფეხები ჩატენილია მაღალყელიან ჩექმებში, რომელიც არასოდეს ჩამცმელის ზომაზე არ შეკერილა და თვით ტანსაცმელის ზომასაც სრულიად არ შეეფერება. ამიტომ ადვილი წარმოსადგენია, თუ რა საშინელ დაბრკოლებათა დაძლევა მოუხდა მისტერ ტაპმენს, რომ სახელოვანი მანდილოსნისთვის მსუბუქად და მოხდენილად დაეკრა თავი.

- მისტერ პიკვიკ, - წარმოთქვა მისის ლეო ჰანტერმა, - მინდა წინდაწინ ჩამოგართვათ სიტყვა, რომ მთელ დღეს გვერდიდან არ მომშორდებით. ასიოდე პირი მაინც მეგულება, რომელნიც უეჭველად უნდა გაგაცნოთ.

- ბატონი ბრძანდებით, - მორჩილად მიუგო მისტერ პიკვიკმა.

- ჯერ ერთი, აგერ ჩემი პაწია გოგონები. ამ აურზაურში კინაღამ სულ გადამავიწყდნენ, - წარმოთქვა მინერვამ და გულგრილად მიუთითა ორ ყმაწვილ ქალზე, რომელთაც დიდი ხანია უკვე მოეთავებინათ „გოგონების“ ასაკი, ერთი ოცისა იქნებოდა და მეორე კი ერთი-ორი წლით უფროსი. მიუხედავად ამისა, ორივეს მოკლე კაბები ეცვა, როგორც ეს გოგონებს შეეფერებათ. შესაძლოა იმიტომ, რომ უფრო პატარები გამოჩენილიყვნენ ან ვინ იცის, იმიტომაც, რომ დედის ასაკი დაეფარათ.

მისტერ პიკვიკს „გოგონები“ წარუდგინეს.

- ო, რა ლამაზები ყოფილან, - წარმოთქვა მან, როდესაც „გოგონები“ კვლავ ამხანაგებს შეუერთდნენ.

- ორივე პირწავარდნილი დედაა, სერ, - დაუკრა კვერი მისტერ პოტმა.

- ოჰ, თქვე ეშმაკებო, - ღიმილით წარმოთქვა მისის ლეო ჰანტერმა და პატივცემულ რედაქტორს მსუბუქად შემოარტყა ხელზე მარაო (წარმოიდგინეთ მინერვა მარაოთი!).

- რა თქმა უნდა, ძვირფასო მისის ჰანტერ, - წამოიძახა მისტერ პოტმა, რომელსაც „ბუნაგში“ გამცხადებლის მოვალეობა ჰქონდა დაკისრებული, - თქვენ კარგად იცით, რომ შარშან, როდესაც თქვენი პორტრეტი სამეფო აკადემიის გამოფენაზე გამოიტანეს, ყველანი კითხულობდნენ: ეს მისის ჰანტერია, თუ მისი უმცროსი ქალიშვილიო.

- იმიტომ, რომ საოცარი მსგავსება იყო და განსხვავებაც ასაკში სულ მიიჩქმალა, - მიუგო დიასახლისმა, - კიდევაც რომ ასე იყოს, რა საჭიროა ამის გახსენება უცხო სტუმრებთან? - წარმოთქვა მისის ლეო ჰანტერმა და „იტენსვილის გაზეთის“ მთვლემარე „ლომს“ მეორე დარტყმა უწყალობა.

- გრაფო, გეთაყვა, - გასძახა უცებ მისის ჰანტერმა უცხოურად ჩაცმულ გრძელულვაშა მამაკაცს, რომელმაც გვერდით ჩაუარა დიასახლისს.

- ქალბატონო, მე მიხმობდით? - წარმოთქვა გრაფმა და მობრუნდა.

- მინდა ერთმანეთს გავაცნო ორი ღირსშესანიშნავი პიროვნება, - განაცხადა მისის ლეო ჰანტერმა, - მისტერ პიკვიკ, ნება მიბოძეთ წარგიდგინოთ გრაფ სმორლტორკს. ყურში კი ნაჩქარევად ჩასჩურჩულა: „სახელგანთქმული უცხოელია... მასალებს აგროვებს ინგლისის შესახებ... ვრცელი შრომა უნდა დაწეროს.“ - ჰმ! გრაფი სმორლტორკი. - მისტერ პიკვიკი.

მისტერ პიკვიკი გრაფს ისეთი დიდი მოწიწებით მიესალმა, როგორც ესოდენ სახელგანთქმულ პიროვნებას შეეფერებოდა. გრაფმა უმალვე უბის წიგნაკი ამოიღო ჯიბიდან.

- როგორ ბრძანეთ, მისის ჰანტ? - ჰკითხა მან და ალერსიანად გაუღიმა დიასახლისს, რომელსაც კმაყოფილებით უბრწყინავდა სახე, - როგორ ბრძანეთ? პიგ-უიგ, თუ ბიგ-უიგ? როგორ უწოდეთ ვექილს?.. ვიცი, ვიცი, ნამდვილად ასეა: ბიგ-უიგ?..

გრაფს მისტერ პიკვიკი გრძელტოგოსანი ეგონა და სახელიც ამიტომ ამ პროფესიის შესაფერად მიიჩნია. ის იყო, უბის წიგნაკში უცხო სახელის ჩაწერა დააპირა, რომ საუბარში კვლავ მისის ლეო ჰანტერი ჩაერია. - არა, არა, ცდებით, გრაფ, - წარმოთქვა მანდილოსანმა, - პიკვიკ.

- აჰა, ახლა კი მივხვდი, - მიუგო გრაფმა, - პიკ სახელია და ვიკს - გვარი. კეთილი, გმადლობთ, პიკ ვიკს. როგორ ბრძანდებით ვიკს?

- დიდად გმადლობთ. კარგად გახლავართ, - ტკბილად მიუგო მისტერ პიკვიკმა, - დიდი ხანია, რაც ინგლისში ჩამობრძანდით?

- კარგა ხანია, მთელი ორი კვირა... მეტიც.

- დიდხანს დარჩებით?

- კიდევ ერთ კვირას.

- მაშ, კარგა ბლომად სამუშაო გექნებათ, - ღიმილით შენიშნა მისტერ პიკვიკმა, - თუკი განზრახვა გაქვთ, რომ ესოდენ მოკლე ვადაში მთელი საჭირო მასალის შეგროვება მოასწროთ.

- ჰმ! უკვე შევაგროვე კიდეც, - მიუგო გრაფმა.

- ნუთუ მართლა! - წამოიძახა მისტერ პიკვიკმა.

- აი, აქ მაქვს, - განაგრძო გრაფმა და მრავალმნიშვნელოვნად მიირტყა ხელი შუბლზე, - ვეებერთელა წიგნი სახლში, შენიშვნებით სავსე... მუსიკა, მხატვრობა, მეცნიერება, პოეზია, პოლიტიკა... ყველაფერი...

- ჯერ მარტო სიტყვა „პოლიტიკა“ მოითხოვს თავისთავად ხანგრძლივსა და დაკვირვებულ კვლევას, - შენიშნა მისტერ პიკვიკმა.

- აჰ! - აღმოხდა გრაფს და კვლავ მის ხელში გაჩნდა უბის წიგნაკი.

- ძალიან კარგი... დიდებული სითყვა ახალი თავის დასაცერად. მაშ, მეორმოცდაშვიდე თავი იქნება „ფოლითიკა“. თვით სიტყვა „ფოლითიკა“ საოცარი სითყვაა, პირდაპირ საოცარი.

მისტერ პიკვიკის შენიშვნა თავიდან ბოლომდე ჩაიბეჭდა გრაფ სმორლტორკის უბის წიგნაკში. ისეთი ვარიაციებითა და დამატებებით, რომლის შესაძლებლობას იძლეოდა გრაფის მდიდარი ფანტაზია, ანდა, რომელიც შესაძლოა გამოწვეული იყო იმ გარემოებით, რომ უცხოელი ინგლისურს კარგად ვერ ფლობდა.

- გრაფ! - მიმართა მისის ლეო ჰანტერმა უცხოელს, - ეს გახლავთ მისტერ სნოდგრასი, მისტერ პიკვიკის უახლოესი მეგობარი, პოეტი.

- მოიცადეთ! - წამოიძახა გრაფმა და ჯიბიდან კვლავ ამოაცურა უბის წიგნაკი, - ახალი თავი... ფოეზია... ცალქე... მეგობრები ლიტერათურის ფრონტზე... სახელი სნოდგრასი... ძალიან ქარგი... გამაცნო სნოდგრასი, დიდი ფოეტი, პიკვიკსის მეგობარი, მისის ლეო ჰანტერმა, რომელმაც საუცქოო ლექსი დასცერა... რა ეცოდება იმ ლექსს? ბაქაქი... „სულთმობრძავი ბაქაქი“... ძალიან ქარგი, ძალიან ქარგი.

გრაფმა უბის წიგნაკი კვლავ ჯიბეს დაუბრუნა, ყველას უღრმესი მადლობა შესწირა და თავის დაკვრით პიკვიკელებსა და დიასახლისს გაშორდა. ძალიან კმაყოფილი იყო, რომ თავის საკვლევ მასალას ესოდენ მნიშვნელოვანი და ძვირფასი დანამატი შესძინა.

- საოცარი კაცია გრაფი სმორლტორკი, - წარმოთქვა მისის ლეო ჰანტერმა.

- შესანიშნავი ფილოსოფოსია, - დასძინა მისტერ პოტმა.

- ნათელი გონება, საღი აზროვნება, - კვერი დაუკრა მისტერ სნოდგრასმა.

სტუმრებმა ყური მოჰკრეს თუ არა, რომ დიასახლისი გრაფ სმორლტორკს აქებდა, თავები დინჯად დახარეს თანხმობის ნიშნად და ერთხმად დასძახეს: - ფრიად!

აღტაცების ტალღამ გრაფ სმორლტორკის პატივსაცემად იმდენად იმატა, რომ ვინ იცის მისი ქება-დიდება მთელ საღამოსაც გასტანდა, რომ ამ დროს სტუმრების ყურადღება სხვა საგანს არ მიეპყრო.

ვაშლის ხის ძირას ჩამწკრივებულ მომღერალთა გუნდმა (ვაშლის ხე ლამაზ დეკორაციად გამოიყენეს, რომ საერთო ხედი უფრო გაემშვენიერებინათ) ერთხმად დასძახა რომელიღაც მშობლიური სიმღერა. აშკარად ჩანდა, რომ მისი შესრულება არცთუ ისე ძნელი იყო, რადგან სიმღერის მთელი საიდუმლოება

შემდეგში მდგომარეობდა: სამი მომღერალი რაღაცას თავისთვის ბურტყუნებდა, ხოლო მეოთხე კი ყმუოდა.

როდესაც ეს ღირსშესანიშნავი ნომერი დამთავრდა, იმავე წარმტაცი ვაშლის ხის ქვეშ, დამსწრეთა შეუწყვეტელი ტაშის თანხლებით ვიღაც ბიჭმა სკამი დაიდგა და დაიწყო უცნაური ვარჯიშების შესრულება: ხან სკამის ზურგში იხლართებოდა, ხან ზევიდან ახტებოდა მას, ხან ქვეშ მიცოცავდა, სკამიდან ძირს ეცემოდა, დგებოდა. ერთი სიტყვით, ყოველივეს აკეთებდა, გარდა იმისა, რაც თავიდანვე უნდა გაეკეთებინა, ერთხელაც არ დამჯდარა სკამზე. ბოლოს ფეხები საყელოსავით კისერზე შემოიდო, რითაც ბრწყინვალედ დაამტკიცა, თუ რა ადვილად შეიძლება ადამიანი გომბეშოს დაემსგავსოს. ამ სანახაობამ აუწერელი აღფრთოვანება და კმაყოფილება გამოიწვია მაყურებლებში.

აკრობატულ ვარჯიშს მოჰყვა მისის პოტის ნაზი ჭიკჭიკი, რომელსაც, ზრდილობის ენით რომ ვთქვათ, სიმღერა ეწოდება. მუსიკაცა და სიტყვებიც ზედმიწევნით კლასიკური იყო, რადგან ამ შესანიშნავი ნაწარმოების ავტორი თვით აპოლონი გახლდათ.

მომღერლის გამოსვლის შემდეგ თვით მისის ლეო ჰანტერმა წაიკითხა სახელგანთქმული ოდა „სულთმობრძავ ბაყაყზე“. ლექსი ერთხელ „ბისზე“ გაამეორებინეს და კიდევ მოითხოვდნენ განმეორებას, რომ ამ დროს ერთ-ერთ სტუმარს გადაჭრით არ გამოეცხადებინა: „პირდაპირ სამარცხვინოდ მიმაჩნია, მშვენიერი დიასახლისის გულკეთილობა და მისი შესანიშნავი ნიჭი ესოდენ ბოროტად გამოვიყენოთო“. ამ კატეგორიული განცხადების ნამდვილი მიზეზი კი ის იყო, რომ დიდი ხანია, ჭამის დრო დამდგარიყო და დამსწრეთა უმრავლესობა სასადილოს კარს თვალს არ აშორებდა. ამიტომ, მიუხედავად იმისა, რომ მისის ლეო ჰანტერი სიამოვნებით დასთანხმდა ოდის გამეორებაზე,

მისმა კეთილმა და თავაზიანმა მეგობრებმა ყურიც არ ათხოვეს მის კეთილ სურვილს და როცა სასადილო ოთახის კარი გაიღო, ყველა, ვინც კი ადრე ყოფილა აქ, სასწრაფოდ გაეშურა იქითკენ. მათ ბევრჯერ ჰქონდათ ნაწვნევი მისის ლეო ჰანტერის ჩვეულება: მოსაწვევ ბარათს ას კაცს გაუგზავნიდა და საუზმეს ან სადილს მხოლოდ ორმოცდაათზე მართავდა. სხვა სიტყვით რომ ვთქვათ, მშვენიერი დიასახლისი მხოლოდ დიდ „ლომებს“ უმასპინძლდებოდა, ხოლო წვრილფეხობას თვითონვე უნდა ეზრუნა თავის თავზე.

- მისტერ პოტი სად არის? - იკითხა მისის ლეო ჰანტერმა, როდესაც ხსენებული „ლომები“ თავის გარშემო შემოიკრიბა.

- აქ გახლავართ, - გაისმა პატივცემული რედაქტორის ხმა ოთახის შორეული კუნჭულიდან. საცოდავ პოტს დანაყრების იმედი სრულიად დაჰკარგოდა და ისევ დიასახლისს შეჰყურებდა, იქნებ მან მაინც მიშველოსო.

- აქით ვერ გამოხვალთ?

- ო, გთხოვთ, ნუ შეწუხდებით, ნუ აქცევთ ყურადღებას, - მუდარით წარმოთქვა მისის პოტმა, - მისის ჰანტერ, რატომ იჩენთ ხოლმე მუდამ ზედმეტ საზრუნავს?.. გენაცვალე პი, შენ ხომ მანდაც კარგად მოეწყვე, არა, საყვარელო?

- რაღა თქმა უნდა, ძვირფასო, - უპასუხა საცოდავმა პოტმა და გულსაკლავად გაიღმიჭა. რა შეძლება ჰქონდა ახლა კნუტს! ძლიერი მკლავი, რომელიც უწყალოდ ამათრახებდა საზოგადოების სხვადასხვა წარმომადგენლებს, წამსვე მოდუნდებოდა ხოლმე, როგორც კი ძვირფასი მეუღლის მრისხსანე თვალებს შეხედავდა.

მისის ლეო ჰანტერმა გამარჯვებულის თვალით გადახედა მაგიდას. გრაფი სმორლტორკი კვლავ უბის წიგნაკით იყო გართული; გამალებული ინიშნავდა თითოეული თავის შინაარსს; მის-

ტერ ტაპმენი ასთაკვის სალათით უმასპინძლდებოდა რამდენიმე ხნიერ მანდილოსანს; როგორც ყველამ შენიშნა, ამგვარი თავაზიანობა ჯერ არც ერთ მეკობრეს არ გამოუჩენია მათდამი. მისტერ სნოდგრასმა საბოლოოდ განდევნა ყმაწვილი კაცი, რომელიც „იტენსვილის გაზეთში“ მიმოხილვის განყოფილებას განაგებდა და ახლა ზრდილობიანად ეკამათებოდა ახალგაზრდა ქალს, რომელსაც პრესის იმავე ორგანოში პოეზიის განყოფილება ებარა. ბოლოს, თვით მისტერ პიკვიკი, ჩვეული თავაზიანობით, ცდილობდა ყველასათვის ესიამოვნებინა, ყველას მომსახურებოდა, ყველას გული მოეგო.

რჩეულ წრეს თითქოს აღარავინ და არაფერი აკლდა, როდესაც მისტერ ლეო ჰანტერმა, რომლის მოვალეობა წვეულების დროს, განისაზღვრებოდა კარში დგომითა და წვრილფეხა სტუმრების გართობით, უეცრად დაიძახა:

- ჩემო ძვირფასო, აგერ მისტერ ჩარლზ ფიც-მარშალიც გეახლა.

- ღმერთო ჩემო! - წამოიძახა მისის ლეო ჰანტერმა, - მოუთმენლად ველოდები. გთხოვთ, ბატონებო, გზა დაუთმოთ მისტერ ფიც-მარშალს... აქეთ გამოატარეთ. გეთაყვა, ერთი გადაეცი მისტერ ფიც-მარშალს, რომ პირდაპირ ჩემკენ წამოვიდეს. ამ დაგვიანებისათვის სათანადო სასჯელი უნდა დავადო.

- მოვდივარ, მოვეშურები თქვენკენ, ძვირფასო ქალბატონო, - გაისმა ხმა, - ვცდილობ, რაც შეიძლება ჩქარა გამოვიარო... ხალხითაა გაჭედილი... სავსეა სულ... გამოსვლა ძნელია... ფრიად!

მისტერ პიკვიკს დანა-ჩანგალი გაუვარდა ხელიდან. მაშინვე სუფრის გადაღმა მჯდომ მისტერ ტაპმენს გადახედა. საცოდავ კაცს ლუკმა ყელში გასჩხეროდა, სახეზე თითქოს ეწერა, მირჩევნია, მიწა გამისკდეს და შიგ ჩამიტანოსო.

- ოჰ, პირდაპირ მხრები დამაგლიჯეს, - კვლავ მოისმა ახალმოსულის ხმა, როდესაც მან მშვიდობით გაიარა ოცდახუთი თურქი ოფიცრის, ცხენოსნებისა და მეფე ჩარლზ მეორის მწკრივებს შორის, - ამდენი სრესის შემდეგ ჩემს სერთუკს არც ერთი ნაკეცი აღარ შერჩა... მგონი, სჯობდა პირდაპირ საცვლით წამოვსულიყავი... ჰა, ჰა, ჰა! ურიგო აზრი არ არის... შესაძლებელია საცვალიც ტანზევე გაარეცხვინო, თუმცა ცოტა არ იყოს, გაგიჭირდება... ფრიად.

ნაწყვეტ-ნაწყვეტი წინადადებების სროლა მხოლოდ მაშინ შეწყდა, როდესაც ყმაწვილი კაცი საზღვაო ოფიცრის ფორმაში გამოწყობილი, რის ვაი-ვაგლახით სუფრას მიუახლოვდა და გაოცებული პიკვიკელების თვალწინ წარდგა.

- პირწავარდნილი ალფრედ ჯინგლია, - წაიჩურჩულა მისტერ პიკვიკმა.

ის იყო, ახალმოსული დიასახლის ეამბორა ხელზე, რომ უეცრად მისი თვალები მისტერ პიკვიკის განრისხებულ მზერას შეეფეთა.

- ჰალო! - წარმოთქვა მშვიდად მისტერ ჯინგლმა, - კინაღამ არ დამავიწყდა... მეჯინიბისთვის ბრძანების მიცემა დამავიწყდა... ახლავე დავბრუნდები... წუთში აქვე გავჩნდები.

- ნუ შეწუხდებით, მისტერ ფიც-მარშალ, მსახური ან თვით მისტერ ჰანტერიც გადასცემს თქვენს ბრძანებას, - ზრდილობიანად შესთავაზა დიასახლისმა.

- არა, არა, მე თვითონვე ვეტყვი... დიდხანს არ დავაყოვნებ... ერთ წუთში აქ გავჩნდები, - მიუგო ჯინგლმა და წამსვე სტუმრების უზარმაზარ ბრბოში გაუჩინარდა.

- ნება მიბოძეთ, შეგეკითხოთ, ქალბატონო, - მიმართა დიასახლისს მისტერ პიკვიკმა, როდესაც აღელვებისაგან ძლივს

მოითქვა სული და სუფრიდან წამოდგა, - ვინ არის ეგ ყმაწვილი და სად ცხოვრობს?

- ფრიად შეძლებული ჯენტლმენია, მისტერ პიკვიკ, - მიუგო მისის ლეო ჰანტერმა, - უეჭველად უნდა გაგაცნოთ... გრაფსაც ძალიან მოეწონება.

- დიახ, დიახ, - წაილუღლუღა მისტერ პიკვიკმა, - იგი ცხოვრობს...

- ამჟამად სასტუმრო „ანგელოზში", ბერიში.

- ბერიში?

- ბერი-სენტ-ედმონსში, აქედან ოთხიოდე მილი იქნება, - მიუგო დიასახლისმა, - ღმერთო ჩემო, მისტერ პიკვიკ, ნუთუ მიბრძანდებით და ჩვენს საზოგადოებას ობლად ტოვებთ? როგორ გეკადრებით, პატივცემულო სერ, როგორ გეკადრებათ ასე ადრე წაბრძანება?

ჯერ კიდევ დიდი ხნით ადრე, ვიდრე მისის ლეო ჰანტერი ხვეწნა-მუდარას მოათავებდა, მისტერ პიკვიკი გაქრა. იგი ბრბოს შეერია და ბაღში გავიდა. ტაპმენი, ერთგული პიკვიკელი, ფეხდაფეხ გაჰყვა თავის ღირსეულ წინამძღოლს.

- ამაოა აქ ძებნა, - თქვა მისტერ ტაპმენმა, - იგი უკვე გაიპარა.

- ვიცი, ვიცი - მიუგო მისტერ პიკვიკმა, - მაგრამ უეჭველად უნდა გავედევნოთ.

- გავედევნოთ? სად? - შეეკითხა მისტერ ტაპმენი.

- „ანგელოზში", ბერიში, - სხაპასხუპით მიაყოლა მისტერ პიკვიკმა, - ვინ იცის, იქნებ ახლა სხვას ატყუებს? ერთხელ ხომ გააწბილა ღირსეული ადამიანი, თუმცა მაშინაც ჩვენ არავითარი დანაშაული არ მიგვიძღოდა... ახლა კი თავისას ვეღარ გაიტანს, თუკი ამ საქმის ჩაშლა ჩემზე იქნება დამოკიდებული, უნდა ვამხილო... სემ, სემ!.. სად დაიკარგა ჩემი მსახური?

- აქ გახლავართ, სერ, - გაისმა პასუხად და ხსენებული ჯენტლმენი ერთ-ერთი განმარტოებული ბუნაგიდან გამოძვრა, სადაც გემრიელად შეექცეოდა მადერას. ეს ძვირფასი ნადავლი ერთი-ორი საათით ადრე მსახურებს სუფრიდან ააცალეს. - აქ გახლავართ, სერ, „ვამაყობ საკუთარი სახელით“, - ბრძანა ცოცხალმა ჩონჩხმა, როდესაც საჩვენებლად ბაზარზე ჩამოატარეს.

- ამწამს გამომყევ, - უბრძანა მისტერ პიკვიკმა, - ტაპმენ, ბერიში თუ შემაგვიანდეს, შეგატყობინებთ და იქ შემომიერთდით. ჯერჯერობით კი ნახვამდის, მეგობარო!

არავითარმა ხვეწნა-მუდარამ არ გაჭრა. ჯერ ერთი, მისტერ პიკვიკი ძალიან აღელვებული იყო და მეორეც, მას უკვე მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი ბერიში გამგზავრება, ამიტომ მისტერ ტაპმენი კვლავ სტუმრებს დაუბრუნდა. ერთი საათიც არ გასულა, რომ საუცხოო შამპანურში ჩაიხრჩო ყოველგვარი უსიამოვნო მოგონება, რომელიც ალფრედ ჯინგლსა, ან სხვანაირად რომ ვთქვათ, ჩარლზ ფიც-მარშალს ეხებოდა.

ამ ხნის განმავლობაში კი მისტერ პიკვიკი და მისი ერთგული მსახური, სემ უელერი, ორსართულიანი ეტლის თავზე შესკუპულნი, სწრაფად ამოკლებდნენ მანძილს იტენსვილსა და ძველ ბერისენტ-ედმუნდს შორის.

თავი XVI

ეს თავი იმდენად მდიდარია მრავალნაირი თავგადასავლით, რომ ძნელია მათი მოკლედ აღწერა

თავისი ბუნებით არც ერთი თვე არ არის აგვისტოსავით მომხიბლავი.

გაზაფხული მრავალფეროვანი და წარმტაცია; მაისი ხომ თავისთავად ტურფა და აყვავებული თვეა, მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ ამ თვეს განსაკუთრებულ მიმზიდველობას მატებს ის, რომ იგი სუსხიანი ზამთრის შემდეგ დგება. აგვისტოს ასეთი უპირატესობა არა აქვს. აგვისტომდე ჩვენ უკვე დამტკბარი ვართ სურნელოვანი ყვავილებით და მრავალი დღის განმავლობაში თვალწინ გვიდგას მოწმენდილი ცა. ამ დროისათვის დედამიწაზე თოვლის, ყინულისა და ცივი ქარების ხსენებაც კი აღარაა. აგვისტოში ყანებსა და ბაღებში ზარების რეკვასავით გაისმის შრომის ხმაური. დამწიფებული ხილით დახუნძლული ხეების ტოტები მიწამდე იხრებიან. წერწეტა ძნებად შეკრული თავთავი და ჯერ კიდევ მოუმკელი ყანა, რომელიც სიოს ოდანვ წამოქროლაზე ისე ირხევა და ღელავს, თითქოს ნამგალს ეკეკლუცებაო, მიდამოს ოქროსფერ იერს აძლევს. დედამიწას სასიამოვნო სინაზე და სირბილე მოჰფენია. ეს დრო საკვირველად მოქმედებს ყველაფერზე; ყანის გასწვრივ ეტლის მოძრაობას მხოლოდ თვალით თუ შეამჩნევთ, თორემ მისი ხმაურიც კი უხეშად არ ხვდება ყურს.

ეტლი მიქრის ბაღებითა და მინდვრებით არშიამოვლებულ გზაზე. ქალები და ბავშვები ხილს კრეფენ, კალათებში აწყობენ და აქა-იქ გაბნეულ თავთავს აგროვებენ. ეტლის დანახვისას ისინი წუთით ჩერდებიან. მზით დამწვარ სახეებს კიდევ უფრო მეტად დამწვარი ხელით იჩრდილავენ და ცნობისმოყვარეობით სავსე თვალებით მგზავრებს აკვირდებიან.

კალათში საიმედოდ ჩასმული ბიჭუნა (იმდენად პატარა, რომ ჯერ თვითონ მუშაობა არ შეუძლია, მაგრამ იმდენად ცელქი და გაუგონარი, რომ სახლშიც მარტო ვერ დაუტოვებიათ), იქვე მოლზე გადმომძვრალა და სიამოვნებისაგან რაც ძალი და ღონე აქვს გაჰკივის და ხტუნავს. ყანის მუშა ჩერდება და გულხელდაკრეფილი შეჰყურებს ეტლს. საჯაგავი ცხენები კი მთვლემარე თვალებით ისე მისჩერებიან ეტლის მოსართავებს, თითქოს ამბობენ: „ეს მეტად სასიამოვნოა თვალისათვის, მაგრამ ამ ბარაქიან ველზე ნელა სიარული ჯობს მტვრიან გზაზე გაცხარებულ მუშაობასო“. გზის მოსახვევთან თუ მოიხედავთ, დაინახავთ, რომ ქალები და ბავშვები ისევ განაგრძობენ მუშაობას; ყანის მუშაც ისევ დახრილა და შრომობს ეტლი. ცხენები წინ წასულა და ყველაფერი კარგად მოძრაობს.

ამ სანახაობამ მისტერ პიკვიკი ერთგვარად დაამშვიდა კიდეც. მას გადაწყვეტილი ჰქონდა გამოეაშკარავებინა სულმდაბალი ჯინგლის ჭეშმარიტი სახე, სადაც უნდა ყოფილიყო იგი, ან რანაირადაც უნდა ცდილიყო თავისი ავაზაკური განზრახვის განხორციელებას. მისტერ პიკვიკი ერთხანს უბრად იჯდა დაფიქრებული: ცდილობდა გამოენახა რაიმე გზა მიზნის მისაღწევად, მაგრამ მისი ყურადღება თანდათანობით გარემომ მიიპყრო. ბოლოს მგზავრობა მისტერ პიკვიკისათვის იმდენად საამური გახდა, თითქოს მას თავიდანვე მეტად სასიამოვნო დანიშნულება ჰქონოდა.

- რა მშვენიერი სანახაობაა, არა, სემ? - მიუბრუნდა მისტერ პიკვიკი სემს.

- საკვამლე მილებს კი სჯობს, სერ! - უპასუხა მისტერ უელერმა და ქუდს ხელი შეახო.

- მგონი, საკვამლე მილებს, აგურსა და კირს გარდა შენს სიცოცხლეში არაფერი გინახავს, სემ! - ღიმილით თქვა მისტერ პიკვიკმა.

- მუდამ სასტუმროს მსახური როდი ვიყავ, სერ! - თქვა მისტერ უელერმა და თავი გაიქნია, - წინათ მეფორნესთან ვმუშაობდი.

- ეგ როდისღა იყო? - დაინტერესდა მისტერ პიკვიკი.

- როდესაც ცხოვრების ჭირ-ვარამთან ათურმის სათამაშოდ თავდაყირა გადმოვქანდი, - მიუგო სემმა, - პირველად შიკრიკად ვმუშაობდი, შემდეგ - მეფორნის თანაშემწედ, ბოლოს სასტუმროს მსახური გავხდი. ახლა კი ჯენტლმენის მსახური გახლავართ. ვინ იცის, იქნებ ერთ მშვენიერ დღეს მე თვითონაც გავხდე ჯენტლმენი. პირში ჩიბუხი მექნება და ბაღში - ფანჩატური. ჩემმა მზემ, ჯენტლმენი რომ გავხდე, არ გამიკვირდება.

- ნამდვილი ფილოსოფოსი ხარ, სემ, - წარმოთქვა მისტერ პიკვიკმა.

- შესაძლებელია, ეგ ოჯახიდან მოგვდევს. მამაჩემი ახლა ხშირად მიმართავს ფილოსოფიას. როდესაც ჩემი დედინაცვალი თავში ურტყამს, ის სტვენას იწყებს; დედაკაცი ლამის გაცოფდეს. უმალვე ჩიბუხს უმტვრევს. მამაჩემიც მიდის და ახალი ჩიბუხი მოაქვს. ჩემი დედინაცვალი სიბრაზისგან გაკივის და ისტერიკა ემართება. მამაჩემი კი, ვიდრე დედინაცვალი დაწყნარდება და გონს მოვა, დინჯად ეწევა ჩიბუხს. ეს ხომ ნამდვილი ფილოსოფიაა, სერ, არა?

- ყოველ შემთხვევაში, ადვილად შეუძლია შეცვალოს ფილოსოფია, - სიცილით მიუგო მისტერ პიკვიკმა, - ეტყობა, ამან ძვირ-

ფასი სამსახური გაგიწია მთელი შენი მოუსვენარი ცხოვრების მანძილზე, არა, სემ?

- დიახაც, რომ სამსახური გამიწია, - წამოიძახა სემმა, - შეიძლება ასე ვთქვათ. როდესაც დამტარებელს გამოვექეცი, ვიდრე მეფორნესთან დავდგებოდი, მთელი ორი კვირა მეტად მოუწყობელი ბინა მქონდა!

- მოუწყობელი ბინა? - გაიკვირვა მისტერ პიკვიკმა.

- დიახ, მართალია, უოტერლოოს ხიდის მშრალი თაღების ქვეშ მშვენიერი დასაძინებელი ადგილია და იგი სულ ათი წუთის სავალზე გახლავთ ყველა სახელმწიფო დაწესებულებიდან, მაგრამ ერთი მეტად უარყოფითი მხარეც გააჩნია, მეტისმეტად ჰაეროვანი გარემოა. ეჰ, მე იქ უცნაური რამეები მინახავს!

- ოჰ, წარმომიდგენია, რასაც ნახავდი, - თქვა მისტერ პიკვიკმა ინტერესით.

- იქ ისეთი სანახაობაა, სერ, - განაგრძო უელერმა, - რომ თქვენს კეთილ გულს განგმირავდა კიდეც. პროფესიულ მათხოვრებს იქ ვერ ნახავთ, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, თავიანთი საქმისა მათ უკეთ იციან. ადამიანი იქ შეხვდება ისეთ ახალგაზრდა ქალებსა და ვაჟებს, რომელნიც მათხოვრობენ, მაგრამ წარმატებისათვის ჯერ კიდევ ვერ მიუღწევიათ. ჩვეულებრივ კი, ასეთი მიგდებული ადგილების ბნელი კუთხეების სტუმრები მშიერი, ილაჯგაწყვეტილი, უსახლკარო ადამიანები არიან. მათ ორპენსიანი თოკის ყიდვაც კი არ შეუძლიათ.

- გეთაყვა, სემ, ორპენსიანი თოკი რაღა არის? - იკითხა მისტერ პიკვიკმა.

- ორპენსიანი თოკი, სერ, სწორედ იაფფასიანი ბინა გახლავთ; იქ ორ პენსად შეიძლება ღამის გათევა.

- კარგი, მაგრამ, საწოლს თოკს რატომღა ეძახიან? - კვლავ იკითხა მისტერ პიკვიკმა.

- დაილოცოს თქვენი გულუბრყვილობა, სერ, - მიუგო სემმა, - როდესაც იმ ბატონმა და ქალბატონმა, რომელთაც ეგ სასტუმრო უჭირავთ, პირველად მოჰკიდეს ხელი ამ საქმეს, ლოგინებს ისინი იატაკზე შლიდნენ; მაგრამ ეს სულაც არ აღმოჩნდა ხელსაყრელი. მობინადრეები, იმის ნაცვლად, რომ ზომიერად, ორი პენსის საღირალი სძინებოდათ, შუადღემდე არა დგებოდნენ. ამიტომ მათ მთელი ოთახის გასწვრივ გაჭიმეს ორი თოკი. ეს თოკები ერთმანეთისაგან 6 ფუტითაა დაცილებული, ხოლო იატაკიდან კი - 3 ფუტით. ვიწრო, უხეში ტომრის ნაჭრებია ამ თოკებზე გადაჭიმული და საწოლიც მზად გახლავთ.

- მერე? - ჰკითხა მისტერ პიკვიკმა.

- მერე, - განაგრძო მისტერ უელერმა, - მერე და ამ საწოლების უპირატესობა ნათელია. ყოველ დილით 6 საათზე ამ თოკებს აუშვებენ ხოლმე და ყველა მობინადრე იატაკზე გაადენს ზღართანს. შედეგიც ის გახლავთ, რომ მობინადრენი მსწრაფლ გამოფხიზლდებიან, მშვიდად ჩაიცვამენ და გაუდგებიან ხოლმე თავიანთ გზას... უკაცრავად, სერ, - თქვა სემმა და უეცრად შეწყვიტა ლაყბობა, - ეს ბერი სენტ-ედმუნდსი ხომ არ არის?

- დიახ, გახლავთ, - მიუგო მისტერ პიკვიკმა.

ეტლი პატარა, ლამაზსა და აყვავებული ქალაქის ჩინებულად მოკირწყლულ ქუჩებში მიგრიალებდა. მალე იგი დიდი სასტუმროს წინ გაჩერდა. სასტუმრო ფართო, გაშლილ ქუჩაზე მდებარეობდა და ძველ სააბატოს გაჰყურებდა.

- ეს „ანგელოზი“ გახლავს, - თქვა მისტერ პიკვიკმა და მაღლა აიხედა, - სიფრთხილე აუცილებელია ჩვენთვის. ცალკე ოთახი შეუკვეთე და ჩემი სახელი არ ახსენო, გესმის, სემ?

- დარდი ნუ გაქვთ, სერ, - უპასუხა მისტერ უელერმა და თვალი ეშმაკურად ჩაუკრა თავის ბატონს, რაც მოწმობდა, რომ მან ყველაფერი ჩინებულად გაიგო. შემდეგ ეტლის საბარგო ყუთი-

დან ამოათრია მისტერ პიკვიკის ჩემოდანი, რომელიც პატრონს სასწრაფოდ ჩაეგდო ეტლში იტენსვილიდან გამომგზავრების წინ.

მისტერ უელერი ბრძანების შესასრულებლად გაიქცა. ოთახი სწრაფად დაიქირავა და მისტერ პიკვიკი დაუყოვნებლივ შევიდა შიგ.

- აბა, ახლა, სემ, - დაიწყო მისტერ პიკვიკმა, - ჩვენ, უპირველეს ყოვლისა, უნდა...

- უნდა შევუკვეთოთ სადილი, სერ, - ჩაურთო მისტერ უელერმა, - ძალიან გვიანაა, სერ.

- მართალია, - დაემოწმა მისტერ პიკვიკი და საათს დახედა, - მართალი ბრძანდები, სემ.

- მე რომ რჩევის მოცემის უფლება მქონდეს, სერ, - დაუმატა მისტერ უელერმა, - ნასადილევს დავწვებოდი და ერთს კარგად გამოვიძინებდი. ადამიანს ძილივით არაფერი რგებს, სერ. ასე თქვა მსახურმა ქალმა, ვიდრე პატარა სასმისით ოპიუმის ნაყენს დალევდა.

- მგონი, მართალი ხარ, სემ, - წარმოთქვა მისტერ პიკვიკმა, - მაგრამ მე მინდა ჯერ დავრწმუნდე, რომ ის ვაჟბატონი ამ სახლშია და წასვლას არ აპირებს.

- ეგ მე მომანდეთ, სერ, - თქვა სემმა, - ჯერ კარგ სადილს შევუკვეთავ და, ვიდრე დაამზადებდნენ, ქვემოთ მივიკითხ-- მოვიკითხავ. შემიძლია ხუთ წუთში დავტყუო საიდუმლო სასტუმროს მორიგეს.

- კარგი, - დაეთანხმა მისტერ პიკვიკი და მისტერ უელერიც იმწუთშივე გავიდა.

ნახევარი საათის შემდეგ მისტერ პიკვიკი უკვე ჩინებულ სადილს შეექცეოდა; ერთ საათსაც არ გაევლო, რომ მისტერ უელერი დაბრუნდა და მოიტანა ამბავი, რომ მისტერ ჩარლზ

ფიც-მარშალს ამავე სასტუმროში დაექირავებინა ოთახი და ებრძანებინა მანამდე შეენახათ მისთვის ეს ოთახი, ვიდრე თვითონ არ გააფრთხილებდა. სასტუმროს მორიგისათვის კი ეთქვა, რომ დღეს მის მოსვლამდე არ დაწოლილიყო. იგი სტუმრად მიდიოდა და მსახურიც თან მიჰყავდა.

- მაშ ასე, სერ, - დაიწყო მისტერ უელერმა, როდესაც ამბავი დაასრულა, - თუკი მისი მსახური ხვალ დილით სალაპარაკოდ ვიხელთე, ყველაფერს დავაყაჭვინებ.

- რატომ გგონია? - ჰკითხა მისტერ პიკვიკმა.

- დაილოცოს თქვენი გული, სერ, ეგ ხომ მსახურების წესია, - უპასუხა მისტერ უელერმა.

- ოჰ, სულ დამავიწყდა, - წარმოთქვა მისტერ პიკვიკმა, - კარგი, ასე იყოს.

- მაშინ თქვენ შესაძლებლობა გექნებათ მოიფიქროთ როგორ აჯობებს, სერ, და იმის მიხედვით ვიმოქმედოთ.

აშკარა იყო, რომ მართლაც ასე აჯობებდა და ამიტომ საბოლოოდ ამაზე შეთანხმდნენ.

მისტერ უელერმა, თავისი ბატონისაგან აიღო ნებართვა ისე გაეტარებინა საღამო, როგორც მას სურდა. მართლაც არ გასულა დიდი ხანია რომ ლუდის დასალევ ოთახში სტუმრებმა მისტერ უელერი ერთხმად აირჩიეს თამადად და მანაც იმდენად გაამართლა იქ მყოფთა ნდობა, რომ მათი სიცილის და მოწონების კიჟინა მისტერ პიკვიკის საწოლ ოთახსაც კი მისწვდა და სულ ცოტა, სამი საათით მაინც შეამოკლა მისი ნორმალური დასვენების დრო.

მეორე დღეს, ადრე დილით, მისტერ უელერმა შხაპი მიიღო. ცდილობდა რამენაირად გაექრო ალეწილი სახიდან წინაღამინდელი ღრეობის ყოველგვარი ნიშანწყალი. საჯინიბოში ერთ-ერთ ახალგაზრდა ჯენტლმენს ნახევარპენსიანი შესთავაზა, რომ

ტუმბოდან წყალი ამოექაჩა და მანამდე ესხა მისთვის, ვიდრე სავსებით გამოფხიზლდებოდა. უეცრად მისი ყურადღება ვიღაც თუთისფერ ლივრეაში გამოწყობილმა ყმაწვილმა მიიპყრო. ის ღრმად დაფიქრებული იჯდა ეზოში სკამზე და ეტყობოდა საგალობელს კითხულობდა; თუმცა ხანდახან, ქურდულად ისე გახედავდა შხაპის ქვეშ მდგომ პიროვნებას, გეგონებოდათ, მისი საქმიანობაც აინტერესებსო.

„შესახედავად უცნაური ვინმე ბრძანდები“, - გაიფიქრა მისტერ უელერმა, როდესაც თვალი მოჰკრა თუთისფერ ტანსაცმელში გამოწყობილ ყმაწვილს. მას დიდი მოყვითალო, უფერული ულამაზო სახე და ძლიერ ჩაცვივნული თვალები ჰქონდა. ვეებერთელა თავზე შავი სწორი თმა ჩამოშლოდა.

„საეჭვო ხარ“, - კვლავ გაიფიქრა მისტერ უელერმა და დაბანა განაგრძო.

ის უკვე აღარ ფიქრობდა თუთისფერსამოსიან ყმაწვილზე. ახალგაზრდა კი ხან წიგნს ჩაჰყურებდა, ხანაც ისე შეხედავდა სემს, თითქოს მასთან გასაუბრება სურდა. ბოლოს სემმა თვითონ მისცა საბაბი. შინაურულად დაუკრა თავი დაჰკითხა:

- როგორ ბრძანდები, მამაო?

- საუცხოოდ გახლავართ, სერ, - დინჯად და დაფიქრებულად მიუგო უცნობმა და წიგნი დახურა, - იმედი მაქვს, თქვენც ასევე ჩინებულად ბრძანდებით, სერ?

- თავს რომ ბრენდის მოსიარულე ბოთლივით არა ვგრძნობდე, უფრო მაგრად ვიდგებოდი ამ დილით ფეხზე, - უპასუხა სემმა, - შენც ამ სახლში დგეხარ, მეგობარო? თუთისფერსამოსიანმა თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია. - როგორღა მოხდა, რომ წუხელის ჩვენთან ერთად არ იყავით? - შეეკითხა სემი, თან პირსახოცით სახეს იმშრალებდა. - მხიარული ყმაწვილი ჩანხარ, კი-

რით სავსე კალათში ჩაგდებულ კალმახს რომ არ ჰგავდე, - დაუმატა მისტერ უელერმა ხმადაბლა.

- წუხელ სტუმრად ვიყავი ჩემს ბატონთან ერთად, - მიუგო უცნობმა.

- ვინ არის შენი ბატონი? - იკითხა მისტერ უელერმა და პირსახოცით ხეხვისა და უეცარი აღელვებისაგან სახე ძლიერ წამოუწითლდდა.

- ფიც-მარშალი გახლავს, - მიუგო თუთისფერსამოსიანმა.

- მოიტა ხელი, - თქვა უელერმა და მიუახლოვდა, - მე შენი გაცნობა მინდა, მომეწონე, მეგობარო.

- საოცარია, - მიამიტად შენიშნა თუთისფერსამოსიანმა, - როგორც კი შხაპთან დაგინახე, ისე მომეწონე, რომ მაშინვე მომინდა გამოგცნაურებოდი.

- მართლა?

- გეფიცები პატიოსნებას! განა საოცარი არ არის?

- ოღონდაც, ძლიერ საკვირველია, - თქვა სემმა, გულში კი უცნობის მიამიტობით გახარებული დარჩა, - რა გქვია, ჩემო პატრიარქო?

- ჯობი.

- რა კარგი სახელია და მგონი ერთადერთიც, რომელსაც შემოკლება არ უხერხდება, - რა გვარი ხარ?

- ტროტერი, - მიუგო უცნობმა, - შენ რაღა გქვია?

- მე უოკერი ვარ

, ჩემი ბატონი კი უილკინზია. მისტერ ტროტერ, ხომ არაფერს გადაჰკრავ, ამ დილით?

მისტერ ტროტერი ამ სასიამოვნო წინადადებაზე სწრაფად დათანხმდა. წიგნი პალტოს ჯიბეში ჩაიდო და მისტერ უელერს დასალევი ოთახისკენ გაჰყვა. აქ მათ მხიარული მასლაათი

გააბეს, თანაც კალის ჭურჭელში ბრიტანულსა და ჰოლანდიურ არაყს სურნელოვანი მიხაკის ესენციით აზავებდნენ.

- კარგი სამსახური გაქვს? - დაინტერესდა სემი და მეორედ აუვსო ჭიქა ამხანაგს.

- ცუდი, - ტუჩების ლოკვით მიუგო ჯობმა, - ძალიან ცუდი!

- ოჰ, არა მგონია, - შეესიტყვა სემი.

- მართლაც რომ ცუდი და, რაც მთავარია, ჩემი ბატონი ცოლის შერთვას აპირებს.

- არა, მართლა?

- უფრო ცუდი ის არის, რომ ჩემი ბატონი ძალიან მდიდარი ქალის გატაცებას აპირებს პანსიონიდან.

- უჰ, ეს რა ურჩხული ყოფილა! - ჩაილაპარაკა სემმა და კვლავ გაუვსო ჭიქა ამხანაგს, - ის რაღაც პანსიონია, ალბათ ამ ქალაქშია, არა?

ეს კითხვა წარმოუდგენლად უდარდელი ხმით წარმოთქვა მისტერ უელერმა. ჯობ ტროტერმა ჟესტებით აგრძნობინა სემს, რომ მან გაუგო სურვილი ამხანაგს. მიხვდა, რომ სემი ცდილობდა გამოეცანცლა ამ კითხვის პასუხი ტროტერისათვის. ჯობმა დაცალა ჭიქა, საიდუმლოებით სავსე თვალებით გადახედა მეგობარს, მონაცვლეობით ჩაუკრა თავისი პაწაწინა თვალები და ბოლოს ისე აამოძრავა მკლავი, რომ თითქოს დგუში მოიყვანაო მოძრაობაში, რითაც აგრძნობინა ახალ ნაცნობს, რომ მიგიხვდიო განზრახვას.

- არა, არა, - წარმოთქვა მისტერ ტროტერმა ბოლოს, - განა შეიძლება ამისთანა რამ ყველას უთხრას ადამიანმა? ეს საიდუმლოა, დიდი საიდუმლოა, მისტერ უოკერ!

თქვა თუ არა ეს, მან გადმოაპირქვავა ჭიქა. სურდა მიეხვედრებინა ამხანაგი, რომ მას ჭიქაში აღარაფერი დარჩა, რითაც წყურვილს მოიკლავდა. სემმა იგრძნო, რა მოხერხებულად მიახ-

ვედრა ტროტერმა თავისი სურვილი და ამიტომ უმალვე უბრძანა მსახურს კვლავ აევსო კალის ჭურჭელი, რომელსაც თუთისფერ-სამოსიანი ანთებული თვალებით მისჩერებოდა.

- მაშ, ეგ საიდუმლოა, არა? - შენიშნა სემმა.

- მე კი უფრო მგონია, რომ საიდუმლო იყო, - განაგრძო მოსაუბრემ და სასმელი სიამოვნებით მოწრუპა.

- შენი ბატონი, ალბათ ძალიან მდიდარი კაცია, არა? - იკითხა სემმა.

თუთისფერსამოსიანმა გაიღიმა და ოთხჯერ დაიკრა ხელი თუთისფერ ჯიბეზე, თითქოს იმისი თქმა უნდოდა, ჩემი ბატონიც ასევე რომ მოიქცეს, ნამდვილად არავის შეაწუხებს ოქროს წკრიალითო.

- ჰოო, აი თურმე, რა ყოფილა! - თქვა სემმა.

თუთისფერსამოსიანმა თავი მრავალმნიშვნელოვნად დაუქნია.

- კარგი, მაგრამ შენ რასა ფიქრობ, მეგობარო, - განაგრძო მისტერ უელერმა, - თუკი შენ ხელს არ შეუშლი შენს ბატონს და ის იმ ახალგაზრდა ლედის გაიტაცებს, შენ თვითონაც, როგორა გგონია, არ იქნები დიდი არამზადა?

- განა არ ვიცი, - თქვა ჯობ ტროტერმა, სინანულით გახედა ამ-ხანაგს და ნელა ამოიოხრა, - ოღონდაც ვიცი და ძლიერადაც მა-წუხებს ეგ ამბავი, მაგრამ, აბა, რა უნდა ვქნა?

- რა უნდა ქნა? რა უნდა ქნა და გასცე შენი ბატონი. პანსიონის გამგეს უნდა შეატყობინო ყველაფერი.

- გეთაყვა, მე ვინ დამიჯერებს? - მიუგო ჯობ ტროტერმა, - ის ახალგაზრდა გოგონა კეთილგონიერებისა და უმანკოების გან-სახიერებად ითვლება სასწავლებელში და მაშინვე უარს იტყვის, ასევე მოიქცევა ჩემი ბატონიც. მე ვინ დამიჯერებს? ადგილსაც დავკარგავ, ბრალსაც დამდებენ შეთქმულების ან მისი მსგავსი

რაიმეს მოწყობისათვის. ააი, რას მივიღებ, ჩემს კეთილ სურვილებს რომ ავყვე.

- მაინც უნდა სცადო, - დაფიქრებულად წარმოთქვა სემმა, - უნდა სცადო.

- ვინმე ღირსეულ ჯენტლმენს რომ ვიცნობდე, რომელიც ამ საქმეს თავს გაართმევს, იმედი მაინც მექნებოდა, რომ იმ გოგონას პანსიონიდან გატაცებას რამენაირად ხელს შევუშლიდი, მაგრამ ამ უცხო ქალაქში მე არავის ვიცნობ... ნაძლევსაც ვდებ რომ, თუკი ვისმეს ვეტყვი, არც კი დამიჯერებენ.

- მაშ, გამომყევი, - წამოიძახა სემმა, უეცრად წამოხტა და თუთისფერსამოსიანს მკლავში ხელი ჩაავლო, - როგორც ვხედავ, ჩემი ბატონი სწორედ ისეთი კაცია, როგორსაც შენ ეძებ.

მცირე წინააღმდეგობის შემდეგ, სემმა ახალშეძენილი მეგობარი მისტერ პიკვიკის სადგომისკენ წაიყვანა. აქ მან მისტერ პიკვიკს უამბო ყველაფერი და ჯობ ტროტერიც წარუდგინა.

- ძლიერ ვწუხვარ, რომ უნდა გავცე ჩემი ბატონი, სერ, - თქვა ჯობ ტროტერმა და სამი გოჯი სიფართის ვარდისფერი, უჯრედებიანი ცხვირსახოცი თვალებთან მიიტანა.

- მართალია, ასეთი გრძნობა თქვენს კეთილ ბუნებაზე მეტყველებს, მაგრამ მაინც თქვენი მოვალეობაა ასე მოიქცეთ, - წარმოთქვა მისტერ პიკვიკმა.

- ვიცი, რომ ჩემი მოვალეობაა, - უპასუხა გრძნობამორეულმა ჯობმა, - ჩვენ ყველანი უნდა ვცდილობდეთ, შევასრულოთ ჩვენი მოვალეობა და მეც მორჩილად ვცდილობ, ასე მოვიქცე, მაგრამ დამერწმუნეთ, სერ, მძიმე მოვალეობაა გასცე შენი ბატონი. ბატონი, რომლის ტანსაცმელს ატარებ, რომლის პურსაც ჭამ, თუნდაც იგი არამზადა იყოს, სერ.

- ძალიან კარგი ადამიანი ყოფილხართ, - თქვა გულაჩვილებულმა მისტერ პიკვიკმა, - პატიოსანი ადამიანი.

- გეყოფა, გეყოფა, - თქვა მისტერ უელერმა, რომელიც მისტერ ტროტერის ცრემლებს საკმაოდ უნდო თვალით უყურებდა, - თავი დაანებე ცრემლების ფრქვევას, კარგს არაფერს მოგიტანს.

- სემ, - საყვედურით მიმართა მას მისტერ პიკვიკმა, - ძლიერ ვწუხვარ, რომ იმ ახალგაზრდა კაცის გრძნობებს პატივს არ სცემ.

- მისი გრძნობები დიდად სანაქებოა, სერ, - უპასუხა მისტერ უელერმა, - იმდენად სანაქებო, რომ მართლაც სავალალო იქნებოდა ეს რომ არ არ ჰქონოდა, მაგრამ უკეთესია, თავის გულში შეინახოს და ცხელ წყლად არ აქციოს. მით უმეტეს, თუ მათ სიკეთე არ მოაქვს. ცრემლებს საათი არასოდეს მოუმართავს და არც ორთქლის მანქანა აუმუშავებია. როდესაც თამბაქოს მოწევას დააპირებ, ყმაწვილო, შენი ჩიბუხი ამ გრძნობებით გასტენე... ახლა კი ეს ჭრელი ნაჭერი ჯიბეში შეინახე, არცთუ ისე ლამაზია, რომ აქ, ცხვირწინ გვიფრიალო, გეგონება ჯამბაზი იყო.

- ჩემი მსახურიც მართალია, - მიუბრუნდა მისტერ პიკვიკი ჯობს, - თუმცა მან თავისი აზრების გამოხატვა როგორღაც უხეშად და ზოგჯერ გაუგებრადაც იცის.

- დიახ, სერ, სწორედ რომ მართალია, - თქვა მისტერ ტროტერმა, - სხვა დროს თავს შევიკავებ.

- კეთილი და პატიოსანი. მაშ, სად არის ის პანსიონი? - ჰკითხა მისტერ პიკვიკმა.

- ეს დიდი, ძველი, წითელი აგურის სახლია, სწორედ ქალაქგარეთ, სერ, - მიუგო ჯობ ტროტერმა.

- ახლა ეს მითხარით, - განაგრძობდა მისტერ პიკვიკი, - როდის უნდა შესრულდეს ეგ საზიზღარი განზრახვა?

- ამაღამ, სერ, - უპასუხა ჯობმა.

- ამაღამ?! - დაიყვირა მისტერ პიკვიკმა.

- სწორედ ამაღამ, სერ, - მიუგო ჯობ ტროტერმა, - მეც სწორედ ეს მაღელვებს.

- დაუყოვნებლივ უნდა მივიღოთ ზომები. ახლავე უნდა ვნახო ის ქალბატონი, ვისაც ეგ პანსიონი უჭირავს.

- მაპატიეთ, სერ, - თქვა ჯობმა, - მაგრამ აქედან არა გამოვა რა.

- რატომ? - იკითხა მისტერ პიკვიკმა.

- ჩემი ბატონი, სერ, მეტად მოხერხებული კაცია.

- ვიცი, რომ ეგეთია, - თქვა მისტერ პიკვიკმა.

- მან ისე მოინადირა მოხუცი მანდილოსნის გული, რომ ის არც კი დაიჯერებს რაიმე ცუდს ჩემი ბატონის შესახებ, თუნდაც რომ შიშველი მუხლებით დაუჩოქოთ და ისე დაუფიცოთ. მით უმეტეს, რომ თქვენ მსახურის ნათქვამის გარდა, არავითარი საბუთი არ გაგაჩნიათ. მას ეგონება, რომ ეს მსახური ბატონმა დაითხოვა და ახლა შურს იძიებს მასზეო. დარწმუნებული ვარ, ჩემი ბატონიც ასე ეტყოდა.

- მაშ, როგორღა უნდა მოვიქცეთ? - შეშფოთდა მისტერ პიკვიკი.

- ყველაფერს ის აჯობებდა, რომ ჩემი ბატონი ქალის მოტაცების დროს დაგეჭირათ.

- ვშიშობ, რომ ამისთანა დროს მისი დაჭერა გაგვიჭირდება.

- რა მოგახსენოთ, სერ, - წარმოთქვა ტროტერმა რამდენიმე წუთის ფიქრის შემდეგ, - მე რატომღაც მგონია, რომ ეგ ადვილად მოგვარდება.

- მაინც რანაირად? - იკითხა მისტერ პიკვიკმა.

- აი, ასე, - მიუგო მისტერ ტროტერმა, - მე და ჩემი ბატონი უკვე მოლაპარაკებული ვართ ორ მსახურთან. ისინი საღამოს 10 საათზე სამზარეულოში დაგვმალავენ. როდესაც სახლში ყველა დაიძინებს, ჩვენ სამზარეულოდან გამოვალთ, ახალგაზრდა ლე-

დი კი - თავისი საწოლი ოთახიდან. კართან ფოსტის ეტლი დაგველოდება და ჩვენც გავემგზავრებით.

- მერე? - იკითხა მისტერ პიკვიკმა.

- მერედა, სერ, მე ვფიქრობ, რომ კარგი იქნებოდა თქვენ ბაღში მოგეცადათ.

- მარტო? - დაეჭვდა მისტერ პიკვიკი, - რატომ მარტო?

- მე მგონი, გასაგებია, - მიუგო ჯობმა, - მოხუც ლედის ეწყინება, რომ ამისთანა ამბავი უფრო მეტმა ხალხმა გაიგოს, ვიდრე ეს აუცილებელია. გარდა ამისა, ახალგაზრდა ლედიც... აბა, წარმოიდგინეთ მისი მდგომარეობა, სერ...

- სავსებით მართალი ბრძანდებით, - დაეთანხმა მისტერ პიკვიკი, - ეს თქვენს კეთილშობილებას ამჟღავნებს. განაგრძეთ, სავსებით მართალი ბრძანდებით.

- მაშ ასე, სერ, მე მგონი, თქვენ რომ ბაღში დაიცადოთ, მე, დერეფნის ბოლოს რომ კარია, იქიდან შეგიშვებთ სრულ თორმეტის ნახევარზე და თქვენც სწორედ დროზე მოგვისწრებთ და დამეხმარებით, რომ იმ საძაგელი ადამიანის განზრახვა ჩავშალო. მან, ჩემდა საუბედუროდ, თავის მახეში გამაბა, - აქ მისტერ ტროტერმა ღრმად ამოიოხრა.

- ამაზე ნუღარ წუხხართ, - თქვა მისტერ პიკვიკმა.

ჯობ ტროტერმა თავი დაუკრა და სემ უელერის გაფრთხილების მიუხედავად, თვალებზე კვლავ ცრემლი მოადგა.

- ასეთი ყმაწვილი ჩემ დღეში არ მინახავს, - თქვა სემმა, - წყეული ვიყო, თუ მას თვალში მოშლილი ონკანი არა ჰქონდეს.

- სემ, - მკაცრად მიმართა მისტერ პიკვიკმა, - ენა გააჩერე!

- მესმის, სერ, - უპასუხა სემ უელერმა.

- ეგ გეგმა არ მომწონს, - წარმოთქვა მისტერ პიკვიკმა დიდი ფიქრის შემდეგ, - რატომ არ შეიძლება, რომ ახალგაზრდა ლედის მეგობრებს დავუკავშირდეთ?

- იმიტომ, რომ ისინი აქედან სამი მილის სავალზე ცხოვრობენ, სერ, - მიუგო ჯობ ტროტერმა.

- აი, ეგ კი მართლაც რომ დაბრკოლებაა, - ჩაილაპარკა მისტერ უელერმა თავისთვის.

- მაშ, ეგ ბაღი... - განაგრძო მისტერ პიკვიკმა, - შიგ როგორღა უნდა შევიდე?

- ბაღის კედელი ძლიერ დაბალია და მსახური გიშველით გადმოსვლაში.

- მსახური მიშველის გადმოსვლაში, - მექანიკურად გაიმეორა მისტერ პიკვიკმა, - თქვენ კი ნამდვილად იქნებით იმ კარის ახლოს, რომელზედაც ლაპარაკობთ?

- ნამდვილად, სერ, და თქვენც არ შეგეშლებათ, სერ, ვინაიდან ეგ ერთადერთი კარია, რომელიც ბაღში გადის. საათის რეკვას გაიგონებთ თუ არა, დააკაკუნეთ და მაშინვე კარს გაგიღებთ.

- ბარემ არ მომწონს ეგ გეგმა, - თქვა მისტერ პიკვიკმა, - მაგრამ, რადგან უკეთესი არა ჩანს და ახალგაზრდა ლედის მომავალი კი საფრთხეშია, მეტი გზა არ არის, უნდა დავთანხმდე. უსათუოდ მოვალ.

ამრიგად, მკითხველო, თანდაყოლილმა სიკეთემ მისტერ პიკვიკი ისეთნაირ საქმეში გაახვია, რომელშიც ის დიდი სიამოვნებით სულაც არ ჩაერეოდა.

- რა ჰქვია იმ სახლს? - იკითხა მისტერ პიკვიკმა.

- უეისტგეიტ-ჰაუს, სერ, გახვალთ თუ არა ქალაქის ბოლოს, ცოტა მარჯვნივ უნდა გაუხვიოთ, სახლი გზიდან ცოტა მოშორებით დგას. ალაყაფის კარზე სპილენძის ფირფიტაა წარწერით.

- ვიცი ეგ სახლი, - თქვა მისტერ პიკვიკმა, - წინათაც შემიმჩნევია ეს შენობა, როდესაც ამ ქალაქში ვყოფილვარ, დარდი ნუ გაქვთ, მენდეთ.

მისტერ ტროტერმა თავი კვლავ დაუკრა და წასასვლელად გატრიალდა. ამ დროს მისტერ პიკვიკმა ხელში ერთი გინეა ჩასჩარა.

- მართლაც, რომ კარგი ყმაწვილი ყოფილხართ, აღტაცებული ვარ თქვენი კეთილი გულით... არა, მადლობას ნუ მიხდით. მაშ ასე, დაიხსომეთ, 11 საათზე.

- დარდი ნუ გაქვთ, არ დამავიწყდება, სერ, - უპასუხა მისტერ ტროტერმა და ამ სიტყვებით სემთან ერთად ოთახიდან გავიდა.

- ჩემმა მზემ, - შენიშნა ამ უკანასკნელმა, - არ ყოფილა ცუდი რამ მუდამ ტირილი. წვიმის წყალივით გადმოვღვრიდი ცრემლებს, ასეთ კარგ შედეგს რომ მოიტანდეს. როგორ ახერხებ ამდენ ტირილს?

- ეგ გულიდან მოდის, მისტერ უოკერ, - ზვიადად უპასუხა ჯობმა, - მშვიდობით ბრძანდებოდეთ, სერ.

„ბრიყვი ვინმე ბრძანებულხარ, დიახაც რომ ბრიყვი. რაც უნდა იყოს, ჩვენ კი ყველაფერი გამოვტყუეთ“, - გაიფიქრა მისტერ უელერმა, როდესაც ჯობი წავიდა.

სამწუხაროდ, ჩვენ ვერ გადმოგცემთ მისტერ ტროტერის ფიქრთა დინებას, რადგანაც არ ვიცით მათი შინაარსი.

გავიდა დღე, დადგა საღამო. ათი საათისათვის სემ უელერმა მისტერ პიკვიკს მოახსენა, მისტერ ჯინგლი და ჯობი ერთად გამოვიდნენო, ბარგი შეკრულია და ეტლიც შეკვეთილიო. ჩანდა, რომ შეთქმულება, როგორც მისტერ ტროტერმა განაცხადა, სისრულეში მოჰყავდათ. თერთმეტის ნახევარმა დაჰკრა, ეს ის დრო იყო, როდესაც მისტერ პიკვიკი თავისი ძნელი მისიის შესრულებას უნდა შესდგომოდა. მან სემის მიერ მოწოდებული პალტოს ჩაცმაზე უარი განაცხადა. ეშინოდა კედელზე გადასვლისას პალტოს ხელი არ შეეშალა და მსახურის თანხლებით ზემოხსენებული სახლისკენ გაემართა.

მთვარე ამოვიდა, მაგრამ მალე ღრუბლებმა კვლავ დაფარა იგი. მშვენიერი, მშრალი ღამე იყო, თუმცა საშინლად ბნელოდა. ბილიკები, ღობეები, ყანები, სახლები და ხეები - ყველაფერი ბნელში გახვეულიყო. ჰაერი ცხელი და დახუთული იყო. ზაფხულის ელვა სუსტად ანათებდა და წამით ცვლიდა სანახაობას, რომელიც ერთფეროვან სიბნელეს მოეცვა. ჩამიჩუმი არ ისმოდა. სადღაც შორს მოუსვენარი მურა ძაღლი ყეფდა.

სახლი მონახეს, წაიკითხეს წარწერა სპილენძის ფირფიტაზე, შემოუარეს კედელს და ერთ ადგილას შეჩერდნენ. ბაღისგან მათ კედელი ყოფდა.

- მიშველი თუ არა გადასვლას, სასტუმროში დაბრუნდი, სემ, - თქვა მისტერ პიკვიკმა.

- კეთილი და პატიოსანი, სერ.

- და დამელოდე, ვიდრე მოვიდოდე.

- რა თქმა უნდა, სერ.

- ახლა ფეხი დამიჭირე და როდესაც გეტყვი ამწიე-მეთქი, ფრთხილად ამწიე.

- ძალიან კარგი, სერ.

ამ წინასწარ სამზადისს მორჩნენ თუ არა, მისტერ პიკვიკი კედლის თავს მოებღაუჭა და როგორც კი წარმოთქვა სიტყვა „ამწიე“, სემმაც ზუსტად შეასრულა ბატონის ბრძანება. მისტერ პიკვიკმა ვერ აუღო ალღო სემის გონების მოქნილობას, თუ მისტერ უელერის წარმოდგენა „ფრთხილად აწევაზე“, უფრო უხეში იყო, ვიდრე მისტერ პიკვიკისა, ჩვენ არ ვიცით. ვიტყვით მხოლოდ იმას, რომ სემის დახმარების უშუალო შედეგი ის გახლდათ, რომ მან ეს უკვდავი ჯენტლმენი კედლიდან თავქვე დაუშვა და ზედ ბაღის კვალზე მოადენინა ზღართანი. მისტერ პიკვიკმა სამი კინკრიჟისა და ერთი ვარდის ბუჩქი გათელა და საბოლოოდ მიწაზე გაიშხლართა.

- ხომ არაფერი დაიშავეთ, სერ, - გადასძახა სემმა ხმამაღალი ჩურჩულით, როდესაც თავისი ბატონის უცნაური გაუჩინარებით გამოწვეული დაბნეულობისაგან გამოერკვა.

- მე თვითონ კი არაფერი დავიშავე, სემ, - უპასუხა მისტერ პიკვიკმა მეორე მხრიდან, - მაგრამ მგონი, შენ კი დამიშავე.

- მე მგონი, რომ არა, სერ, - თქვა სემმა.

- არა უშავს რა, - თქვა მისტერ პიკვიკმა და წამოდგა, - მხოლოდ ცოტა გაკაწრული ვარ... ახლა კი წადი, თორემ გაგვიგებენ.

- მშვიდობით ბრძანდებოდეთ, სერ!

- მშვიდობით.

სემ უელერი ქურდული ნაბიჯით წავიდა და მისტერ პიკვიკი ბაღში მარტოდმარტო დარჩა.

მისტერ პიკვიკმა სახლს თვალი შეავლო. სინათლე ხან კიბეებზე ანათებდა, ხან აქა-იქ ფანჯრებიდან აშუქებდა. ჩანდა, მობინადრეები დასაძინებლად ემზადებოდნენ. მისტერ პიკვიკს დანიშნულ დროზე ადრე კართან მისვლა არ უნდოდა; კედლის კუთხესთან დამალულიყო მოკრუნჩხული და დანიშნულ დროს ელოდებოდა.

ასეთი გაურკვეველი მდგომარეობა ყოველ ადამიანს სასოწარკვეთილებამდე მიიყვანდა. მისტერ პიკვიკი კი არც სასოწარკვეთილებას მოეცვა და არც რაიმე შიშსა გრძნობდა. მან იცოდა, რომ მისი საბოლოო მიზანი კეთილგონივრული იყო და ბრმად მინდობოდა კეთილშობილ ჯობს. საშინელი თუ არა, მოსაწყენი მაინც იყო იქ დგომა. მაგრამ, მოგეხსენებათ, მჭვრეტელობის უნარის მქონე ადამიანისათვის ყოველთვის მოინახება საშუალება ფიქრით მაინც შეიყოლიოს თავი. მისტერ პიკვიკიც ფიქრებში გაეხვია და იმდენ ხანს ფიქრობდა, რომ ბოლოს ჩასთვლიმა კიდეც. ამ დროს მეზობლად მდგომი ეკლესიის ზარმა

თორმეტის ნახევარი ჩამოჰკრა და მისტერ პიკვიკიც გამოფხიზ-ლდა.

დროა, - გაიფიქრა მისტერ პიკვიკმა და ფრთხილად წამოდგა. მან კვლავ ახედა სახლს. შუქი ჩაექროთ, დარაბები დაეხურათ. ეჭვი არ იყო, ყველას ეძინა. მისტერ პიკვიკი ფეხის წვერებზე მიუახლოვდა კარს და ფრთხილად დააკაკუნა. გავიდა ორი-სამი წუთი, ჩამიჩუმი არ ისმოდა. მისტერ პიკვიკმა უფრო მაგრად დააკაკუნა, ცოტა ხნის შემდეგ კიდევ უფრო მაგრად.

ბოლოს, როგორც იქნა, კიბეზე ფეხის ხმა გაისმა და კლიტის ჭუჭრუტანაში შუქმა გამოანათა. კარგა ხნის ჩხარუნისა და ჟღა-რუნის შემდეგ კარი ნელა გაიღო. იგი გარეთა მხარეს, ბაღისა-კენ იხსნებოდა და რაც უფრო ფართოდ იღებოდა, მისტერ პიკვი-კი უფრო და უფრო იხევდა კარის უკან. წარმოიდგინეთ, რა უსაზ-ღვრო იყო მისი განცვიფრება, როდესაც მან, ათასნაირი სიფ-რთხილის დაცვით, თავისი საფრიდან გამოიჭყიტა და ჯობ ტრო-ტერის ნაცვლად დაინახა მსახური გოგო, რომელსაც ხელში სან-თელი ეჭირა. მისტერ პიკვიკმა თავი სასწრაფოდ კვლავ საფარ-ში შერგო. ეს მოძრაობა ზუსტად ისე შეასრულა, როგორც ამას ჩვენი საყვარელი მსახიობი პანჩი გვიჩვენებს, როდესაც ის წევს და ელოდება ბრიყვ კომიკოსს, რომელსაც ხელში კალისაგან გაკეთებული მუსიკალური ყუთი უჭირავს.

- კატა უნდა იყოს, სარა, - წამოიძახა მსახურმა გოგომ, ეტყო-ბოდა ვიღაცას პასუხობდა, - ფისო, ფისო, ფისო! ქისო, ქისო, ქი-სო! რადგანაც ამ ტკბილი დაძახილით მან ვერავითარი ცხოვე-ლი ვერ მიიტყუა, კარი კვლავ ნელა მიხურა, გადაკეტა და მის-ტერ პიკვიკი კედელთან გაჭიმული დატოვა.

„ფრიად უცნაურია, ასე გვიან კიდევ არ დაწოლილან, ფრიად. რა დიდი უბედურებაა, რომ ასეთი საქმისათვის მაინცდამაინც ეს ღამე აურჩევიათ. მართლაც, რომ მეტად დიდი უბედურებაა“. ამ

ფიქრებით მისტერ პიკვიკი ფრთხილად გაემართა იმ კუთხისკენ, სადაც აქამდე იმალებოდა. ის ელოდებოდა ისეთ დროს, როდესაც მისი ფიქრით, უხიფათო იქნებოდა გაემეორებინა თავისი მანევრი.

სულ ხუთი წუთის მოსული არ იქნებოდა, რომ ძლიერად გაიელვა და მას მოჰყვა საშინელი ჭექა-ქუხილი, რომელიც სადღაც შორს გრიალით მიწყდა. შემდეგ კვლავ გაანათა ელვამ, ამჯერად, უფრო ძლიერად და ახლა მას მოჰყვა უფრო საშინელი ჭექა-ქუხილი. ბოლოს ისეთმა კოკისპირულმა წვიმამ დაუშვა, რომ სულ წალეკა იქაურობა. მისტერ პიკვიკმა მშვენივრად იცოდა, რომ ჭექა-ქუხილის დროს ხე ფრიად სახიფათო მეზობელი იყო, მას კი მარცხნივაც ხე ედგა, მარჯვნივაც, მესამე ხე მის წინ იდგა და მეოთხეც - მის უკან. მიხვდა, თუ იქ დარჩებოდა, სადაც იდგა, უთუოდ უბედური შემთხვევის მსხვერპლი გახდებოდა; თუკი შუაგულ ბაღში გამოვიდოდა, შესაძლებელია კონსტებლს ჩავარდნოდა ხელში; ერთი-ორჯერ სცადა კიდევაც კედელზე გადამძვრალიყო, მაგრამ, ვინაიდან ამჯერად, იმაზე მეტი ფეხი არ გააჩნდა, რამდენითაც ბუნებამ შეამკო, მისი ცდის ერთადერთი შედეგი ის გახლდათ, რომ საკმაოდ მაგრად გაიკაწრა მუხლები და ფეხები, თან თავით ფეხამდე ოფლში გაიღვარა.

- რა საშინელი მდგომარეობაა, - ჩაილაპარაკა მისტერ პიკვიკმა, როდესაც ამ ვარჯიშის შემდეგ ერთი-ორი წუთით შეისვენა და შუბლზე ოფლი მოიწმინდა, შემდეგ სახლს ახედა. ყველაფერი სიბნელეს მოეცვა. ეეტყობოდა, ყველას ეძინა; დრო იყო, კვლავ მიეცა ნიშანი. მისტერ პიკვიკმა ფეხის წვერებზე გაიარა სველი ქვიშა და კარზე დააკაკუნა. ის სუნთქვაშეკრული ელოდებოდა ჭუჭრუტანაში გასაღების დაჩხაკუნებას. არავითარი ხმა, საოცარია. ხელმეორედ დააკუნა და კვლავ მიაყურა. შიგნიდან ხმადაბალი ჩურჩული გაისმა და შემდეგ ვიღაცამ დაიძახა:

- ვინ არის?

„ეს ჯობი არ არის, - გაიფიქრა მისტერ პიკვიკმა და სასწრაფოდ კვლავ კედელს აეტუზა, - ეს ვიღაც ქალია!“ - მან ვერც კი მოასწრო ამ დასკვნის გამოტანა, როდესაც კიბეს ზემოდან ფანჯარა გაიღო და სამი თუ ოთხი ქალის ხმამ გაიმეორა შეკითხვა: - ვინ არის? მისტერ პიკვიკმა ხელის განძრევაც ვერ გაბედა. ნათელი იყო, მთელ სახლს გაღვიძებოდა! მან გადაწყვიტა დარჩენილიყო იქ, სადაც იდგა, ვიდრე ეს ალიაქოთი არ მიწყნარდებოდა და შემდეგ არაადამიანური დაძაბვით რამენაირად გადასულიყო კედელზე ან გმირულად დაღუპულიყო გადასვლის დროს.

მისტერ პიკვიკის ყველა გადაწყვეტილების მსგავსად, ეს გადაწყვეტილებაც საუკეთესო გამოსავალი იყო ამ მდგომარეობიდან, მაგრამ საუბედუროდ, ეს გადაწყვეტილება ემყარებოდა იმ ვარაუდს, რომ ქალები ვეღარ გაბედავდნენ კარის ხელმეორედ გაღებას. წარმოიდგინეთ ახლა, რა ელდა ეცა მას, როდესაც კვლავ ჯაჭვისა და ურდულის ხმა შემოესმა და დაინახა, რომ კარი ნელ-ნელა გაიღო. მან ნაბიჯ-ნაბიჯ დაიხია კუთხისაკენ, მაგრამ, რა უნდა ექნა? მისი სხეული ისე იყო გაჩხირული კედელსა და კარს შუა, რომ ამ უკანასკნელის გაღებას ხელს უშლიდა.

- ვინ არის? - წვრილი ხმით დაიკივლა მრავალრიცხოვანმა ქალთა გუნდმა შიგნიდან და სასწავლებლის უფროსი შინაბერა ლედი, სამი მასწავლებელი, ხუთიოდე მსახური ქალი და ოცდაათამდე პანსიონერი ქალი, ნახევრად შიშველი, პაპილოტების ბუჩქნარად გამოჩნდა კიბეზე.

მისტერ პიკვიკმა, რა თქმა უნდა, არ თქვა, ვინ ბრძანდებოდა იქ და გუნდის მინამღერი ამჯერადაც ასე შეიცვალა:

- ოჰ, ღმერთო! რა საშინელებაა!

- მზარეულო! - დაიძახა სასწავლებლის გამგე ქალმა, რომელიც თვითონ ყველაზე უკან, კიბის უკანასკნელ საფეხურზე იდ-

გა, - რატომ ბაღში არ გახვალთ? - უკაცრავად, ქალბატონო, მეშინია, - მიუგო მზარეულმა.

- ღმერთო, რა სულელი რამ არის ეგ მზარეული, - წამოიძახა ოცდაათმა პანსიონერმა ერთად.

- მზარეულო, - გაუმეორა გამგე ქალმა ფრიად ქედმაღლურად, - ნუ მეურჩებით, გეთაყვა. მე მოვითხოვ, რომ ახლავე გაიხედოთ ბაღში!

ახლა მზარეულმა ქალმა ტირილი მორთო, ხოლო მსახურმა გოგომ უთხრა, სირცხვილიაო.

ამ თავის გამოდებისათვის მან იმ წუთშივე მიიღო გაფრთხილება, რომ ერთი თვის შემდეგ მას დაითხოვდნენ.

- მზარეულო, გესმით თუ არა? - ხმას აუმაღლა გამგე ქალმა და ფეხები მოუთმენლად დააბაკუნა.

- არ გესმით, მზარეულო, რას გეუბნებათ ქალბატონი? - ერთად წარმოთქვა სამმა მასწავლებელმა.

- რა თავხედია ეს მზარეული! - ერთხმად დაიძახა ოცდაათმა პანსიონერმა გოგონამ.

უბედურმა მზარეულმა, რომელსაც ასე დაჟინებთ ერეკებოდნენ გარეთ, ერთი-ორი ნაბიჯი წინ წადგა. მას ხელში სანთელი ეჭირა, სინათლე ხელს უშლიდა რაიმე დაენახა და მაინც განაცხადა, ბაღში არავინ არისო. ალბათ ქარი თუ იქნებოდა, - დაასკვნა მან.

ამის შემდეგ, ის იყო კარი უნდა დახურულიყო, რომ ერთმა ცნობისმოყვარე პანსიონერმა გოგონამ, რომელიც კარის დვირეში იჭყიტებოდა, გულგამგმირავი კივილი მორთო. ამან მზარეული და მსახური გოგო აიძულა იმწამშივე უკან გაბრუნებულიყვნენ, - მათ ფეხდაფეხ მიჰყვნენ პანსიონერი გოგონები.

- მის სმიტერს რაღა მოუვიდა? - იკითხა გამგე ქალმა, როდესაც ამ ზემოხსენებულს ისტერიკა დაემართა და ახლა გაოთხმაგებული ენერგიით გაჰკიოდა.

- ღმერთო, დამშვიდდით, ჩემო კარგო, მის სმიტერს, - დაიძახა დანარჩენმა ოცდაცხრა პანსიონერმა გოგონამ.

- ოჰ, კაცი, კაცია კარს უკან, - გაჰკიოდა მის სმიტერსი.

სასწავლებლის გამგე ქალმა, გაიგონა თუ არა ეს საშინელი სიტყვები, თავისი საწოლი ოთახისაკენ დაიხია, ჩაიკეტა კარი, გასაღები ორჯერ გადაატრიალა და ბოლოს ესოდენ კეთილშობილ პირობებში გულიც წაუვიდა.

პანსიონერი გოგონები, მასწავლებლები და მსახურნი ერთმანეთში არეულნი, პირდაპირ კიბეზე ეცემოდნენ; აქამდე არავის მოსწრებია ასეთი წივილ-კივილი, გულყრა და ალიაქოთი. ამ აურზაურში მისტერ პიკვიკმა საფრიდან თავი ამოჰყო და ქალების წინაშე წარდგა.

- ქალბატონებო, ძვირფასო ქალბატონებო, - დაიწყო მისტერ პიკვიკმა.

- ოჰ, უყურეთ, ის ჩვენ ძვირფასებს გვიწოდებს, - თქვა ყველაზე მოხუცმა და ულამაზო მასწავლებელმა ქალმა, - ო, საზიზღარო!

- ქალბატონებო! - დაიქუხა მისტერ პიკვიკმა. ამ სახიფათო მდგომარეობამ ის საგონებელში ჩააგდო, - გამიგონეთ, მე არა ვარ ავაზაკი, მე მსურს ამ სახლის უფროსის ნახვა.

- ოჰ, რა საშინელი ავაზაკია, - დაიკივლა ახლა მეორე მასწავლებელმა ქალმა, - გესმით, ის მის ტომკინსს კითხულობს.

- დარეკეთ ვინმემ საგანგაშო ზარი! - დაიკივლა თორმეტიოდე ხმამ.

- არა, არა, - ყვიროდა მისტერ პიკვიკი, - აბა, შემომხედეთ, განა მე ავაზაკსა ვგავარ? ჩემო ძვირფასო ქალბატონებო, გნე-

ბავთ ხელ-ფეხი შემიკარით, ან ოთახში ჩამკეტეთ, ოღონდ მომისმინეთ და მათქმევინეთ, რაც სათქმელი მაქვს, გემუდარებით, მომისმინეთ.

- ჩვენს... ჩვენს ბაღში როგორღა შემოხვედით? - ბორძიკით ჰკითხა მსახურმა ქალმა.

- სთხოვეთ ქალბატონს და მე მას ყოველივეს ავუხსნი, ოღონდ მობრძანდეს აქ და თქვენც ყველაფერს გაიგებთ, - რაც ძალა და ღონე ჰქონდა წამოიძახა მისტერ პიკვიკმა.

შესაძლოა მისტერ პიკვიკის გარეგნობამ, ან მისმა ქცევამ, ან კიდევ ცთუნებამაც, გაეგოთ ის, რაც ახლა საიდუმლოებით იყო მოცული, და რაც ქალთა ბუნებისათვის გადაულახავია, შედარებით დააწყნარა ამ სასწავლებლის ყველაზე უფრო გონიერი ნაწილი. მისი გულწრფელობის გამოცდის მიზნით, მისტერ პიკვიკს დაუყოვნებლივ მისცეს წინადადება, დაგვმორჩილდით სავსებით და დათანხმდით, რომ საკუჭნაოში ჩაგკეტოთ და იქიდან აწარმოოთ მოლაპარაკება მის ტომკინსთანო (ეს ის საკუჭნაო ოთახი გახლდათ, სადაც დღისით მომსვლელი მოსწავლე გოგონები ქუდებსა და საუზმის კალათებს ინახავდნენ). მისტერ პიკვიკი მაშინვე დათანხმდა და უსიტყვოდ შევიდა საკუჭნაოში. ის გარედან მაგრად ჩაკეტეს. ამ გარემოებამ სხვებიც გამოაცოცხლა. ბოლოს მის ტომკინსიც ჩამოიყვანეს და მოლაპარაკებაც დაიწყო.

- რას აკეთებდით ჩემს ბაღში, ადამიანო? - ჰკითხა მის ტომკინსმა დაუპატიჟებელ სტუმარს მისუსტებული ხმით.

- მე მოვედი, რომ გამეფრთხილებინეთ. თქვენი ერთი ახალგაზრდა ლედი ამაღამ გაქცევას აპირებს, - უპასუხა მისტერ პიკვიკმა საკუჭნაოდან.

- როგორ თუ გაქცევას? - დაიყვირეს მის ტომკინსმა, სამმა მასწავლებელმა ქალმა, ხუთმა მსახურმა და ოცდაათმა პანსიონერმა გოგონამ ერთხმად, - ვისთან ერთად?

- თქვენს მეგობარ, მისტერ ჩარლზ ფიც-მარშალთან ერთად.

- ჩემს მეგობართან? მე ასეთს არავის ვიცნობ.

- კეთილი, მაშ მისტერ ჯინგლთან ერთად.

- ეგ სახელი ჩემს სიცოცხლეში არ გამიგონია.

- მაშ, მეც მომატყუეს, გამაბრიყვეს! - წამოიძახა მისტერ პიკვიკმა, - მე თვითონაც უხამსი და საზიზღარი შეთქმულების მსხვერპლი გავმხდარვარ! ძვირფასო ქალბატონო, თუ ჩემი არა გჯერათ, გაგზავნეთ ვინმე სასტუმრო „ანგელოზში", გაგზავნეთ და იკითხეთ მისტერ პიკვიკის მსახური, გემუდარებით, ქალბატონო, გაგზავნეთ ვინმე.

- ეს ვიღაცაა, ჩანს რიგიანი კაცია, მსახურიც ჰყოლია, - უთხრა მის ტომკინსმა სუფთა წერისა და არითმეტიკის მასწავლებელს.

- ჩემი აზრით, მის ტომკინს, - უპასუხა სუფთა წერისა და არითმეტიკის მასწავლებელმა, - მსახური უვლის მაგას, მე ვფიქრობ, ეგ კაცი გადარეულია, მის ტომკინს, და ის ვიღაც მსახური კი მეთვალყურედ ჰყავს.

- მგონი, რომ სავსებით მართალი ბრძანდებით, მის გუინ, - მიუგო მას მის ტომკინსმა და გასცა ბრძანება: - ორი მსახური წავიდეს „ანგელოზში", დანარჩენები აქ დარჩნენ, ჩვენს დასაცავად.

ამრიგად, ორი მსახური მისტერ სამუელ უელერის მოსანახად გაიგზავნა, დანარჩენი სამი კი მის ტომკინსის, სამი მასწავლებლისა და ოცდაათი პანსიონერი გოგონას დასაცავად დარჩა. ყველანი მოუთმენლად ელოდნენ შიკრიკების დაბრუნებას.

კარგა საათ-ნახევარი გავიდა, ვიდრე ისინი დაბრუნდებოდ-ნენ. პიკვიკმა მისტერ სამუელ უელერის ხმასთან ერთად ორ ნაცნობ ხმას მოჰკრა ყური, მაგრამ ვერანაირად ვერ მოიგონა, თუ ვის ეკუთვნოდა ისინი.

ამას მოჰყვა მცირე საუბარი, შემდეგ კარიც გაიღო, მისტერ პიკვიკი საკუჭნაოდან გამოვიდა და აღმოჩნდა უეისტგეიტ-ჰაუსის მთელი შემადგენლობის წინაშე, მის პირდაპირ მისტერ სამუელ უელერი, მოხუცი უორდლი და მისი მომავალი სიძე მის-ტერ ტრანდლი იდგნენ.

- საყვარელო მეგობარო, - შესძახა მისტერ პიკვიკმა, მისტერ უორდლთან მიირბინა და ხელი ჩასჭიდა მას, - საყვარელო მე-გობარო, გემუდარებით, აუხსენით ამ ქალბატონს, რა უბედურსა და საშინელ მდგომარეობაშიც ვარ ჩავარდნილი. თქვენ ალბათ უკვე ყველაფერი იცით ჩემი მსახურისგან. ძვირფასო მეგობარო, ყოველ შემთხვევაში უთხარით ამათ, რომ მე არც ავაზაკი ვარ და არც გიჟი!

- მე უკვე მოვახსენე, ჩემო საყვარელო მეგობარო, - უპასუხა მისტერ უორდლმა მისტერ პიკვიკს, რომელიც მარჯვენა ხელს მისტერ უორდლს ართმევდა და მარცხენას კი მისტერ ტრანდლს.

- და ვინც ამას გაბედავს და კიდევ იტყვის, რომ მისტერ პიკვი-კი გიჟია ან ავაზაკი, - ჩაერია მისტერ უელერი და წინ წარდგა, - იტყვის ისეთ რამეს, რაც არა მარტო მართალი არ არის, არამედ ფრიად შორსაცაა სიმართლისაგან, პირიქით, სიმართლის სრუ-ლიად საწინააღმდეგოცაა. თუ არსებობს კაცი, რომელიც ამას იტყვის, მე ვიქნები ძლიერ ბედნიერი უმალვე დავუმტკიცო მას, აქვე, სწორედ ამ ოთახში, რომ იგი ცდება, თუკი ეს პატივცემული ქალბატონები დამდებენ პატივს და წაბრძანებას ინებებენ. აბა, გამობრძანდნენ აქ თითო-თითოდ! - გამოაცხადა თუ არა თავისი

გამოწვევა დიდი სიტყვაუხვობით, მისტერ უელერმა გაშლილი ხელისგული მუშტზე დაირტყა და მის ტომკინსს თვალი ჩაუკრა.

შეუძლებელია, ადამიანმა აღწეროს ის შეძრწუნება, რომელიც მის ტომკინსმა განიცადა, როდესაც მან წარმოიდგინა, რომ უეისტგეიტ-ჰაუსის ახალგაზრდა ქალთა სასწავლებლის შენობაში შესაძლებელია მამაკაცები აღმოჩენილიყვნენ.

მისტერ პიკვიკის ახსნა-განმარტებანი, რომელიც უკვე ნაწილობრივ მოსმენილი იყო, ჩქარა დამთავრდა. არც გზაში, როდესაც ის თავის მეგობრებთან ერთად შინ ბრუნდებოდა და არც შემდეგაც, როდესაც აბრიალებული ბუხრის წინ ყველანი ვახშამს შემოუსხდნენ, მას ვერც ერთი სიტყვა ვერ დააცდენინეს მომხდარი ამბის შესახებ. ჩანდა ის დაბნეული და შეშფოთებული იყო. ერთხელ, მხოლოდ ერთხელ მიუბრუნდა ის მისტერ უორდლს და ჰკითხა:

- აქ როგორღა გაჩნდით?

- ტრანდლი და მე ჩამოვედით აქ, რომ ერთი კარგა გვენადირა. სწორედ ამ საღამოს ჩამოვედით და სახტად დავრჩით, როდესაც თქვენი მსახურისგან გავიგეთ, რომ თქვენც აქ ბრძანებულხართ. ახლა კი ძალიან მიხარია, რომ გხედავთ, - მიუგო მხიარულმა ძველმა მეგობარმა და მისტერ პიკვიკს ზურგზე ხელი დაჰკრა, - მიხარია, რომ აქა ხართ. ჩინებულად ვინადირებთ პირველში და ვუჩვენებთ სეირს უინკლს, არა, მეგობარო?

მისტერ პიკვიკმა არაფერი უპასუხა. მან არც კი მოიკითხა დინგლი-დელიში დატოვებული მეგობრები და ცოტა ხნის შემდეგ დასაძინებლად გაემართა. წასვლისას სემს დაუბარა, როდესაც დაგირეკავ, სანთელი ამომიტანეო.

რამდენიმე ხნის შემდეგ გაისმა ზარის ხმა და მისტერ უელერიც ბატონის საწოლ ოთახში გაჩნდა.

- სემ, - დაიწყო მისტერ პიკვიკმა და საბნიდან თავი ამოჰყო.

- სერ, - ხმა გასცა მისტერ უელერმა.

მისტერ პიკვიკი შეჩერდა და მისტერ უელერმა სანთელს თავი მოსწმინდა.

- სემ, - კვლავ დაიწყო სასომიხდილმა მისტერ პიკვიკმა.

- გისმენთ, სერ, - ერთხელ კიდევ გაიმეორა მისტერ უელერმა.

- სად არის ის ტროტერი?

- ჯობი, სერ?

- ჰო.

- წასულა, სერ.

- საფიქრებელია, თავის ბატონთან ერთად, არა?

- ბატონთან თუ მეგობართან, თუ ვინც უნდა იყოს, ერთად კი წასულან, ფერი ფერსა, მადლი ღმერთსაო, სერ.

- მე მგონი, ჯინგლმა ეჭვი მიიტანა ჩემს განზრახვაზე და ეგ ყმაწვილი განგებ მოგიჩინა. მთელი ეს ამბავიც ამიტომ შეთხზეს. ასე არ არის, სემ? - თითქოს იხრჩობაო, ძლივს წარმოთქვა მისტერ პიკვიკმა.

- სწორედ რომ აგრეა, სერ.

- რა თქმა უნდა, ყველაფერი მოგონილი იყო, არა?

- ყველაფერი, სერ. მარჯვედაა მოფიქრებული, ოსტატურად მოგონილი ხრიკია.

- არა მგონია, სხვა დროს ასე ადვილად დაგვიძვრეს, რას იტყვი, სემ?

- მეც არა მგონია, კვლავ დაგვიძვრეს, სერ.

- თუკი ოდესმე შემხვდა ეგ ჯინგლი, სადაც უნდა იყოს, - თქვა მისტერ პიკვიკმა, საწოლში წამოიწია და მაგრად ჩაეკრა ბალიშს, - მე მას პირადად გავუსწორდები! თანაც საქვეყნოდ ვამხელ, რადგან ის სავსებით იმსახურებს ამას. თუ ეს არ გავაკეთე, პიკვიკი არა ვყოფილვარ!

- და თუ ოდესმე ხელში ჩამივარდა, ეგ მელანქოლიური შავთმიანი ყმაწვილი, - თქვა სემმა, - მე არ ვიყო უელერი, თუ მას ნამდვილი წყალი არ ვადინო თვალებიდან. ძილი ნებისა, სერ!

თავი XVII

რომელიც გვიჩვენებს, რომ ნიკრისის ქარების შეტევა ზოგ შემთხვევაში შემოქმედებით ნიჭზე მოქმედებს, როგორც აღმგზნები საშუალება

თუმცა მისტერ პიკვიკი ისეთი აღნაგობისა გახლდათ, რომ მას შეეძლო ფრიად ბევრი ფათერაკისა და დაღლილობის ატანა, მაგრამ ამჯერად ვეღარ გაუძლო განსაცდელს, რაც იმ ღირსშესანიშნავ ღამეს გადახდა, რომელიც წინა თავშია აღწერილი. მართლაც, ღამე ჰაერზე ბანაობა და შემდეგ საკუჭნაოში გაშრობა იმდენადვე საშიში გახლავთ, რამდენადაც - უცნაური.

მისტერ პიკვიკი ქარების შეტევამ ლოგინად ჩააგდო. მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ ეს დიადი ადამიანი ფიზიკურად დაძაბუნდა, მისმა გონებამ მაინც შეინარჩუნა უწინდელი ძლიერება. მისტერ პიკვიკს კვლავ დაუბრუნდა ძველებური ხალისი და სულიერი განწყობილებაც. ამ უკანასკნელი თავგადასავლით გამოწვეულმა გაგულისებამაც სრულიად გადაუარა. ახლა თვითონაც გაუბრაზებლად და შეუშფოთებლად შეურთდებოდა ხოლმე იმ გულიან სიცილს, რომელიც მისტერ უორდლს აუვარდებოდა, თუკი ვინმე ამ ამბავს გაიხსენებდა.

ის ორი დღე, როდესაც მისტერ პიკვიკი საწოლს იყო მიჯაჭვული, მისი ერთადერთი გამრთობი სემი გახლდათ. პირველ დღეს სემი ცდილობდა თავისი ბატონი საუბრითა და ანეკდოტებით გაერთო. მეორე დღეს, მისტერ პიკვიკმა მოითხოვა საწერ-კალამი, მელანი, სხვა საწერი მოწყობილობანი და მთელი დღე გართუ-

ლი იყო სერიოზული მეცადინეობით. მესამე დღეს მისტერ პიკ-ვიკს უკვე შეეძლო თავის საწოლ ოთახში წამოდგომა და მან მსახურის პირით შეუთვალა მისტერ უორდლსა და მისტერ ტრანდლს - ფრიად დავალებული ვიქნები, თუკი მობრძანდებით და ჩემთან ერთად ღვინოს მიირთმევთო. მისტერ უორდლმა და მისმა სასიძომ მიწვევა დიდის სიხარულით მიიღეს და, საღამო-თი, როდესაც სამთავენი ღვინოს შეექცეოდნენ, მისტერ პიკვიკ-მა, მას შემდეგ, რაც რამდენჯერმე წამოწითლდა კიდევაც, წა-რუდგინა სტუმრებს ქვემოთ მოტანილი მოთხრობა; ეს მოთხრო-ბა, მისი თქმით, წარმოადგენდა მისი უქეიფობის დროს სემის მი-ერ გულუბრყვილოდ მოთხრობილი ამბის საკუთარ „რედაქცი-ას“. სამრევლოს კლერკიამბავი ნამდვილი სიყვარულისა

ერთ დროს, პატარა პროვინციულ ქალაქში, ლონდონიდან საკმაოდ მოშორებით, ცხოვრობდა კაცი, სახელად ნათენიელ პიპკინი. ის ამ პატარა ქალაქის სამრევლოს კლერკი იყო და პა-წია ჰაისტრიტზე ცხოვრობდა, პაწია სახლში, პაწია ეკლესიიდან ათიოდე წუთის სავალზე; ყოველდღე, დილის ცხრა საათიდან ოთხამდე, იგი პატარა ბიჭებს ასწავლიდა წერა-კითხვას. ნათე-ნიელ პიპკინი უწყინარი, უვნებელი, კეთილი არსება გახლდათ. მას აბზეკილი ცხვირი და მოღრეცილი ფეხები ჰქონდა; საწყალი ელამი იყო და ცოტას კოჭლობდა კიდეც. მთელ დროს ეკლე-სიასა და სკოლას ანდომებდა და გულწრფელად სჯეროდა, რომ დედამიწის ზურგზე არ არსებობდა სამრევლოს მღვდელზე უფ-რო ჭკვიანი ადამიანი, ეკლესიის სალაროზე უფრო ღირსშესა-ნიშნავი სადგომი და უფრო მოწესრიგებული სასწავლებელი - ვიდრე მისი სკოლა. ერთხელ, მხოლოდ ერთხელ თავის სიცოც-ხლეში, ნათენიელ პიპკინმა თავისი საკუთარი თვალით იხილა ეპისკოპოსი, ნამდვილი ეპისკოპოსი, რომელსაც ხელი ბატის-ტის სახელოში ჰქონდა გაყრილი და თავზე პარიკი ეხურა. მი-

რონცხების დღეს ნათენიელმა დაინახა, როგორ დადიოდა და ლაპარაკობდა ის და, როდესაც ზემოხსენებულმა ეპისკოპოსმა ნათენიელს თავზე ხელი დაადო, კლერკი ისე აღივსო მოკრძალებითა და მოწიწებით, რომ გული წაუვიდა. ეკლესიის მამასახლისმა იგი ხელში აიყვანა და გარეთ გამოიყვანა.

ეს გახლდათ დიადი მოვლენა, თავბრუდამხვევი ჟამი ნათენიელ პიპკინის ცხოვრებაში და მხოლოდ ერთადერთი შემთხვევა, რომელმაც ააფორიაქა მისი მშვიდი არსებობა, მანამდე, ვიდრე ერთ მშვენიერ ნაშუადღევს, როდესაც ნათენიელ პიპკინი იჯდა და გრიფელის დაფაზე თხზავდა ფრიად რთულსა და თავსამტვრევ ამოცანას ერთ-ერთი ცელქი შეგირდისთვის. ფიქრებში გართულმა თავი ასწია და უეცრად ქუჩის გადაღმა თვალი მოჰკრა თავმომწონე, ზვიადი მეუნაგირის, მოხუცი ლობსის ერთადერთი ქალის, მერაია ლობსის ღაჟღაჟა სახეს.

ამას იქით მისი თვალები ხშირად ჩერდებოდა მერაია ლობსის მშვენიერ სახეზე, სადაც უნდა შეხვედროდა მას, ეკლესიაში იქნებოდა, თუ სადმე სხვაგან. თუმცა ისიც უნდა დავუმატოთ, მერაია ლობსს არასოდეს ისე არ უელავდა თვალები და არც არასოდეს ჰქონია მას ლოყები ის შეფაკლული, როგორც სწორედ იმ პირველი შემთხვევის დღეს. არაფერია გასაკვირი, რომ ნათენიელ პიპკინმა თვალი ვერ მოსწყვიტა მის ლობსის სახეს, არც არაფერია საკვირველი, რომ მის ლობსმა, როდესაც შეამჩნია, რომ ახალგაზრდა კაცი მისჩერებოდა, თავი მიიბრუნა ფანჯრიდან, საიდანაც იყურებოდა და ფარდა ჩამოუშვა. არც არაფერია საკვირველი, ნათენიელ პიპკინი რომ იმწამშივე ეცა იმ ცელქ ყმაწვილს, რომელსაც ადრე რაღაც დაეშავებინა და მანამდე ურტყა, ვიდრე გული არ იჯერა. ყოველივე ეს ბუნებრივია და საკვირველი აქ არაფერია.

საკვირველი მხოლოდ ის იყო, რომ ისეთი მოკრძალებული და ნერვიული ადამიანი და, რაც მთავარია, ისეთი უმნიშვნელო შემოსავლის პატრონი, როგორიც ნათენიელ პიპკინი გახლდათ, იმ დღიდან მოყოლებული, ბედავდა და ისწრაფოდა, გულფიცხი მოხუცი ლობსის ერთადერთი ქალის გული მოეგო და ხელი მოეპოვებინა. ააბა, წარმოიდგინეთ, ის ისწრაფოდა მოეპოვებინა გული და ხელი იმ მედიდური მეუნაგირის, მოხუცი ლობსის, ქალისა, ლობსისა, რომელსაც ერთის კალმის მოსმით მთელი სოფლის ყიდვა შეეძლო; ისიც ცნობილი იყო, რომ მას უთვალავი ფული ჰქონდა უახლოესი სამაზრო ქალაქის ბანკში. აგრეთვე, როგორც ამბობდნენ, ულეველი და აურაცხელი საუნჯე ჰქონდა დამარხული ფართოჭუჭრუტანებიან პატარა ზანდუკში, რომელიც უკანა ოთახში ბუხრის თავზე ინახებოდა. ამბობდნენ, რომ დღესასწაულებზე მის სუფრას წმინდა ვერცხლის ჩაიდანი, სარძევე და საშაქრე ამშვენებდა, რომლებიც, როგორც ის გულში ამაყობდა ხოლმე, გახდებოდა მისი ქალის საკუთრება, როგორც კი ეს უკანასკნელი თავის გულისსწორს იპოვიდა. საოცრად გასაკვირი და განსაცვიფრებელი ის გახლდათ, რომ ნათენიელ პიპკინი ისე გაკადნიერებულიყო, რომ თვალი აქითკენ გაურბოდა. სიყვარული ბრმაა და ნათენიელიც ხომ ელამი იყო: ვინ იცის, იქნებ მას ამ ორმა გარემოებამ შეუშალა ხელი, ყველაფერი იმ შუქზე დაენახა, როგორც ეს სინამდვილეში იყო.

მოხუც ლობსს რომ რაიმე, თუნდაც მეტად შორეული და ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონოდა ნათენიელ პიპკინის გრძნობებზე, ის მის სკოლას მიწასთან გააწორებდა, მასწავლებელს კი დედამიწის პირიდან აღგვიდა, ან ჩაიდენდა რაიმე ისეთ ბოროტებას, რომელიც ასევე საშინელი და სასტიკი იქნებოდა. ლობსი გააფთრებულ მხეცად იქცეოდა, თუ ვინმე გაბედავდა და თავმოყვარეობას შეულახავდა ან სისხლს აუმღვრევდა. მერე და რა-

ნაირი ლანძღვა იცოდა! თავის წვრილფეხებიან, გაძვალტყავებულ შეგირდს ისეთ ლანძღვა-გინებას დაუწყებდა, როდესაც მას სიზარმაცეში დაიჭერდა, რომ ნათენიელ პიპკინს თავით ფეხებამდე ჟრუანტელი დაუვლიდა და მუხლები ეკეცებოდა, ხოლო მის მოწაფეებს შიშისაგან თმები ყალყზე უდგებოდათ ხოლმე.

ამრიგად, დღე-დღეზე, როგორც კი მეცადინეობა დამთავრდებოდა და მოსწავლეები სახლებში წავიდ-წამოვიდოდნენ, ნათენიელ პიპკინი დაჯდებოდა გზისპირა ფანჯარასთან, ვითომც წიგნს კითხულობდა და თვითონ კი ცერად იცქირებოდა ქუჩის გადაღმა, რომ თვალი მოეკრა მერაია ლობსის მოციმციმე თვალებისათვის. მართლაც, არ გაივლიდა დიდი ხანი და ზემოთა ფანჯრიდან გამოჩნდებოდა მერაია ლობსის მოელვარე, კითხვით გართული თვალები. ეს თვალწარმტაცი სურათი ნათენიელ პიპკინს სიხარულით ავსებდა. მისთვის, მართლაცდა, დიდი ნეტარება იყო მთელი საათის განმავლობაში ფანჯარასთან ჯდომა და მერაია ლობსის დაბლა დახრილი მშვენიერი სახის მზერა. როდესაც ქალიშვილი თავს ასწევდა და თვალების სხივებს ნათენიელ პიპკინს სტყორცნიდა, ვაჟის სიხარულსა და აღტაცებას საზღვარი არ ჰქონდა. ბოლოს, ერთ მშვენიერ დღეს, როდესაც ნათენიელ პიპკინმა იცოდა, რომ მოხუცი ლობსი შინ არ იყო, იგი ისე გაკადნიერდა, რომ მერაია ლობსს ჰაეროვანი კოცნაც კი გაუგზავნა. მერაია ლობსმა, ნაცვლად იმისა, რომ დაეხურა ფანჯარა და ფარდა ჩამოეშვა, თვითონაც გამოუგზავნა საპასუხო კოცნა ნათენიელს და გაუღიმა. ამიტომ იყო, რომ ნათენიელ პიპკინმა გადაწყვიტა, რადაც უნდა დასჯდომოდა, დაუყოვნებლივ გაემჟღავნებინა მშვენიერი ასულისათვის თავისი გრძნობები.

დედამიწის ზურგზე, რომელსაც ის თვითონ ამკობდა, არავის უვლია მოხუცი მეუნაგირის ქალზე, მერაია ლობსზე, უფრო მშვე-

ნიერს, უფრო კოხტას, უფრო მხიარულსა და მომხიბვლელ არსებას. ციმციმა თვალები მას ისე ეშმაკურად უელავდა, რომ მათი ცეცხლი ბევრად უფრო უგრძნობელ გულსაც კი ანათებდა, ვიდრე ნათენიელ პიპკინსს გააჩნდა. მისი უდარდელი სიცილი ისე მხიარულად ჟღერდა, რომ მის გაგონებაზე თვით უსასტიკეს, პირქუშ მიზანთროპსაც კი გაეღიმებოდა. მოხუცი ლობსიც, მძვინვარების მწვერვალზედაც კი ვერ უძლებდა თავისი ლამაზი გოგონას თხოვნასა და ალერსს, ხოლო როდესაც მერაია და მისი ბიძაშვილი კეიტი, შეუპოვარი, კუდრაჭა, მომხიბლავი პატარა არსება, მოხუცს ერთად შეუჩნდებოდნენ ხოლმე, სიმართლე უნდა ითქვას, მაშინ ლობსი მათ ვერაფერზე ეუბნებოდა უარს, თუნდაც ქალიშვილებს იმ აურაცხელი და ულევი საუნჯის ნაწილიც ეთხოვათ, რომელსაც იგი დღის სინათლისგან დამალულად, რკინის ზანდუკში ინახავდა.

ნათენიელ პიპკინს გულმა ძლიერად დაუწყო ძგერა, როდესაც, ზაფხულის ერთ საღამოს, სწორედ იმ მინდორზე, სადაც ის ხშირად დაეხეტებოდა ხოლმე დაბინდებამდე და ოცნებობდა მერაია ლობსის სილამაზეზე, რაღაც ასიოდე იარდის მანძილზე დაინახა ეს მომჯადოებელი ასული. თუმცა ის ხშირად წარმოიდგენდა, რა სწრაფად მიიჭრებოდა მერაია ლობსთან და გაუმჟღავნებდა თავის სიყვარულს, ოღონდ კი სადმე შეხვედროდა მას, მაგრამ ახლა, როდესაც მერაია მოულოდნელად მის წინაშე აღმოჩნდა, ნათენიელმა იგრძნო, რომ სისხლი თავში აუვარდა. ამ გარემოებამ დიდი ზიანი მიაყენა მის ფეხებს, რომელთაც მოაკლდათ თუ არა თავისი წილი სისხლი, კანკალი დააწყებინა, ამიტომ შეჩერდებოდნენ თუ არა ქალიშვილები ყვავილების დასაკრეფად ან იმისთვის, რომ ყური დაეგდოთ ჩიტების გალობისთვის, შეჩერდებოდა ნათენიელ პიპკინიც ისეთი სახით, თითქოს ღრმა ფიქრებში იყო წასული; ის მართლაც მწარე საგონებელს

მისცემოდა, ვინაიდან, დალახვროს ეშმაკმა, სულ იმაზე ფიქრობდა, როგორ მოქცეულიყო, როდესაც გოგონები მობრუნდებოდნენ (ეს ხომ უეჭველი იყო) და პირისპირ შეხვდებოდნენ; ნათენიელს ძალიან ეშინოდა მიახლოებოდა გოგონებს, მათი მხედველობიდან გაშვებაც არ უნდოდა. აუჩქარებდნენ გოგონები ნაბიჯს თუ არა, ნათენიელ პიპკინიც ფეხს უჩქარებდა, შეანელებდნენ ისინი ნაბიჯს და ნათენიელიც ნაბიჯს უკლებდა, თუ გაჩერდებოდნენ, ნათენიელიც ადგილზე გაქვავდებოდა. ვინ იცის, იქნებ დაბინდებამდე ასე გაგრძელებულიყო, რომ უეცრად კეიტს ეშმაკურად უკან არ მოეხედა. გოგონა ხელით ანიშნებდა, აქეზებდა ნათენიელს, მოგვიახლოვდიო. კეიტის საქციელში იყო რაღაც ისეთი მომჯადოებელი, რომლისთვისაც ძნელი იყო წინააღმდეგობის გაწევა და ნათენიელიც გოგონებისკენ გაემართა. ნათენიელ პიპკინს აღელვებისგან ლოყები აელეწა, პატარა კუდრაჭა კეიტი კი შეუკავებლად იცინოდა და იცინოდა. შემდეგ, ნათენიელი ნამიან ბალახზე მუხლებით დაეშვა და განაცხადა, რომ არ წამოდგებოდა მანამდე, ვიდრე მას მერაია ლობსის მიჯნურად არ აღიარებდნენ. ამის გაგონებაზე მერაია ლობსის სიცილმა ზარივით გაიწკრიალა და ისე საამოდ გაისმა ჰაერში, თითქოს წყნარი საღამოს მყუდროება არც კი დაურღვევია. კუდრაჭა ბიძაშვილმა უფრო მოურიდებლად გადაიხარხარა. ნათენიელს კი უფრო მეტად დაასხა სიმწრის ოფლმა. ეეტყობა, თავდადებული სიყვარულით გათანგულმა პატარა კაცმა წაათამამა მერაია ლობსი. მან მიიბრუნა თავი და რაღაც წასჩურჩულა თავის ბიძაშვილს. უთუოდ ის, რომ ჩემ მაგიერ შენ გაეცი პასუხიო.

ასე იყო თუ ისე, კეიტმა განუცხადა ვაჟს, რომ მერაია ლობსი მეტად აფასებდა მისტერ პიპკინის ყურადღებას, რომ მართალია, მისი გული და ხელი მამამისის განკარგულებაში იყო, მაგრამ, აბა ვის ჰქონდა უფლება, არ დაეფასებინა მისტერ პიპკინის

ღირსებები. ვინაიდან კეიტმა ყოველივე ეს წარმოთქვა უდიდესი სერიოზულობით და ნათენიელი პიპკინი მერაია ლობსთან ერთად წავიდა წინ, ხოლო განშორებისას შეეცადა ეკოცნა კიდეც ქალისთვის, ამიტომ იმ ღამით ჩვენი გმირი დაწვა, როგორც უბედნიერესი ადამიანი. მთელი ღამე ესიზმრებოდა, თუ როგორ მოულბობდა გულს მოხუც ლობსს, გააღებდა მის რკინის ზანდუკს და შეირთავდა მერაიას.

მეორე დღეს ნათენიელმა საკუთარი თვალით დაინახა, რომ მოხუცი ლობსი თავისი ბებერი რუხი ცხენით სადღაც გაემგზავრა. პატარა კუდრაჭა ბიძაშვილი დიდხანს ანიშნებდა რაღაცას ფანჯრიდან, მაგრამ პიპკინი მის მნიშვნელობასა და შინაარს ვერ მიხვდა. ბოლოს მოვიდა წვრილფეხებიანი გაძვალტყავებული შეგირდი და მოახსენა, რომ მისი ბატონი იმ საღამოთი შინ არ დაბრუნდებოდა და ქალბატონები სთხოვდნენ მას, მობრძანებულიყო მათთან ჩაის დასალევად სრულ ექვს საათზე. როგორ ჩაიარა იმ დღეს გაკვეთილებმა, ამაზე არც მისტერ პიპკინმა და არც მისმა შეგირდებმა იმაზე მეტი არა იცოდნენ რა, რაც თქვენ იცით. როგორც იქნა, გაკვეთილები დამთავრდა. როდესაც ბიჭები წავიდ-წამოვიდნენ, ნათენიელ პიპკინი ჩაცმას შეუდგა და სრულ ექვს საათამდე ირთვებოდა. ნათენიელ პიპკინს დრო ტანსაცმლის არჩევამ კი არ წაართვა, ვინაიდან ასარჩევი არა გააჩნდა რა, არამედ იმან, რომ ტანისამოსი რაც კი შეიძლებოდა უკეთ მოერგო და უფრო ლამაზად გამოჩენილიყო; ეს კი მეტად მნიშვნელოვანი და ფრიად ძნელი საქმეც გახლდათ.

ლობსებთან თავი მოეყარა პატარა მყუდრო საზოგადოებას, რომელიც შედგებოდა მერაია ლობსის, მისი ბიძაშვილი კეიტისა და სამი თუ ოთხი მხიარული, გულკეთილი, წითელლოყა გოგონასგან. ახლა კი ნათენიელ პიპკინს შეეძლო თვალნათლივ დარწმუნებულიყო, რომ ხმები მოხუცი ლობსის სიმდიდრის შე-

სახებ არ ყოფილა გაზვიადებული. მაგიდაზე წმინდა მძიმე ვერცხლის ჩაიდანი, სარძევე და საშაქრე იდგა. შაქრის მოსარევად ასევე წმინდა ვერცხლის კოვზები ელაგა, ჩაის ნამდვილი ჩინური ფინჯნებით სვამდნენ და ასეთივე თეფშები ეწყო ნამცხვრისა და პურისათვის. ერთადერთი რამ, რაც მთელ იმ არემარეში თვალს ეკალივით ესობოდა, იყო მერაია ლობსის მეორე ბიძაშვილი, კეიტის ძმა. მერაია მას ჰენრის ეძახდა და, ჩანდა, რომ ამ ჰენრის მერაია მაგიდის ერთ-ერთ კუთხეში თავისთვის დაესაკუთრებინა. რაღა თქმა უნდა, რომ ოჯახის წევრებს შორის ესოდენ გულთბილი დამოკიდებულების დანახვა ფრიად სასიამოვნოა, მაგრამ ვაითუ, ამისთანა სიყვარული შორს წასულიყო და ამიტომ ნათენიელ პიპკინმა უნებურად გაიფიქრა: მერაია ლობსს უთუოდ განსაკუთრებით უნდა უყვარდეს თავისი ნათესავები, თუკი მათ ამდენსავე ყურადღებას სწყალობს, რამდენსაც ამ ბიძაშვილს ანდომებსო. ჩაის შემდეგაც, როდესაც პატარა კუდრაჭა ბიძაშვილმა მათ დახუჭობანას თამაში შესთავაზა, როგორღაც ისე მოხდა, რომ ნათენიელს თვალი მუდამ ახვეული ჰქონდა და როდესაც ის ხელს დაადებდა ამ ვაჟს, ბიძაშვილს, იმწამსვე რწმუნდებოდა, რომ მერაია ლობსიც იქვე ახლოს იყო მოკალათებული. პატარა კუდრაჭა ბიძაშვილი და სხვა გოგონებიც ნათენიელს ხან ჩქმეტდნენ, ხან თმებს უწეწავდნენ ან წინ სკამებს დაუწყობდნენ და სხვა ოინებს უწყობდნენ. თვით მერაია ლობსი კი ერთხელაც არ გაჰკარებია მას ახლოს. ერთხელ, მხოლოდ ერთხელ, ნათენიელს შეეძლო ხატზე დაეფიცა, რომ მან ნამდვილად გაიგონა კოცნის ხმა, რომელსაც მოჰყვა სუსტი წინააღმდეგობა მერაია ლობსის მხრიდან და მეგობარი გოგონების ყრუ სიცილი. ყველაფერი ეს უცნაური იყო, ფრიად უცნაური და ძნელი სათქმელია, რას ჩაიდენდა ან არ ჩაიდენდა ნათენი-

ელ პიპკინი, რომ მისი ფიქრები უეცრად სხვა მიმართულებით არ წარმართულიყო.

გარემოება, რომელმაც ნათენიელ პიპკინის ფიქრებს ახალი მიმართულება მისცა, გახლდათ ის, რომ შემოსასვლელ კარზე უეცრად გაისმა ძლიერი ბრახუნი. ადამიანი, რომელიც ასე თავ-გამოდებით აკაკუნებდა, სხვა არავინ იყო, თუ არა თვით მოხუცი ლობსი, რომელიც მოულოდნელად დაბრუნებულიყო და მეკუ-ბოვის ჩაქუჩივით, რაც ძალი და ღონე ჰქონდა აბრახუნებდა კარზე. მას ძლიერ მოშივებოდა და ახლა უნდოდა დანაყრებუ-ლიყო. მოიტანა თუ არა ეს ამაღელვებელი ცნობა წვრილფეხება გაძვალტყავებულმა ბიჭმა, გოგონებმა თითის წვერებზე აირბი-ნეს მერაიას საწოლ ოთახში, ხოლო ბიძაშვილი ჰენრი და ნათე-ნიელ პიპკინი სასწრაფოდ დამალეს სასტუმრო ოთახის კარა-დებში, რადგან უკეთესი დასამალი ადგილი არ ეგულებოდათ. როდესაც მერაია ლობსი და მისი კუდრაჭა ბიძაშვილი მორჩნენ მათ დამალვასა და ოთახის მილაგ-მოლაგებას, კარი გაუღეს მოხუც ლობსს, რომელსაც რაკი ერთხელ დაეწყო კაკუნი, გაღე-ბამდე არ შეუწყვეტია და გაბმულად აბრახუნებდა.

საუბედუროდ, მოხუც ლობსს ძალზე შიოდა და ამიტომ ძლი-ერ გაბოროტებული გახლდათ. ნათენიელ პიპკინს ესმოდა, რო-გორ იღრინებოდა მოხუცი ლობსი ხმაჩახლეჩილი ბებერი ნაგა-ზივით. წვრილფეხებიანი, შავ ბედზე გაჩენილი, გაძვალტყავებუ-ლი შეგირდი შემოვიდოდა თუ არა, მოხუცი ლობსი უმალვე და-უწყებდა მას სარკინოზივით ულმობელსა და უწყალო ლანძღვა--გინებას. ჩანდა, რომ მის ერთადერთ მიზანსა და განზრახვას მო-ჭარბებული ლანძღვა-გინებისაგან გულის შემსუბუქება შეად-გენდა. ბოლოს ვახშამი, რომელიც ღუმელზე თბებოდა, რო-გორც იქნა, მოიტანეს სუფრაზე და მოხუცი ლობსიც დაწყნარდა.

მან თვალის დახამხამებაში მოუღო ბოლო საჭმელ-სასმელს, აკოცა თავის ქალიშვილს და ჩიბუხი მოითხოვა.

გამჩენს ნათენიელ პიპკინის მუხლები ერთიმეორესთან ფრიად ახლო მოეთავსებინა და, გაიგონა თუ არა, რომ მოხუცმა ლობსმა ჩიბუხი მოითხოვა, მისი მუხლები ისე მიეხეთქა ერთმანეთს და ისეთი ლაწალუწი აუტყდა, გეგონებოდათ ერთმანეთის გაცამტვერებას აპირებენო, რადგანაც სწორედ იმ კარადაში, რომელშიაც ნათენიელი დაემალათ, ორ კაუჭზე ეკიდა დიდი, ყავისფერტარიანი, ვერცხლით მოჭედილი ჩიბუხი. ის ჩიბუხი, რომელსაც ამ უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში თვითონ ნათენიელი ყოველ ნაშუადღევსა და ყოველ საღამოთი ხედავდა მოხუცი ლობსის პირში. ორივე გოგონა ქვემოთ ჩავიდა ჩიბუხის მოსაძებნად და ორივე კვლავ მაღლა ამოვიდა. ეძებდნენ ყველგან, გარდა იმ ადგილისა, სადაც მათ ნამდვილად იცოდნენ, რომ ჩიბუხი ინახებოდა. ამ ხნის განმავლობაში მოხუცი საშინლად ბრაზობდა და ბობოქრობდა. ბოლოს მას კარადა მოაგონდა და მივიდა კიდევაც. არავითარი აზრი არ ჰქონდა იმას, რომ ისეთ პატარა კაცს, როგორიც ნათენიელ პიპკინი იყო, კარი შიგნიდან დაეჭირა, როდესაც მას გარედან ისეთი დიდი და ღონიერი კაცი ეწეოდა, როგორიც მოხუცი ლობსი გახლდათ. მოხუცმა ლობსმა კარი ერთხელ მოსწია და ისიც ფართოდ გაიღო. გამოჩნდა ისარივით გაჭიმული ნათენიელ პიპკინი, რომელიც შიშისაგან თავიდან ფეხებამდე თრთოდა. უფალო, შეგვიწყალე! რა მძვინვარედ შეხედა მას მოხუცმა ლობსმა, როდესაც საცოდავი კარადიდან კინწისკვრით გამოათრია, საყელოში ჩასჭიდა ხელი და მკლავის სიგრძეზე გააჩერა.

- რაო, აქ რა ეშმაკები გნებავს? - ჰკითხა მოხუცმა ლობსმა შემაზრზენი ხმით.

რადგან ნათენიელ პიპკინმა ვეღარაფერი უპასუხა, მოხუცი ლობსი ორი-სამი წუთის განმავლობაში მას ღონივრად ანჯღრევდა. სურდა ამ გზით გონს მოეყვანა დაუპატიჟებელი სტუმარი.

- აქ რა გნებავს-მეთქი? - დაიღრიალა ლობსმა, - იქნებდა ჩემი ქალის გამო მოსულხარ?! - მოხუცმა ლობსმა ეს მხოლოდ დაცინვით წარმოთქვა, ვინაიდან მას არ სჯეროდა, რომ მოკვდავთათვის ჩვეული კადნიერება ასე შორს წაიყვანდა ნათენიელ პიპკინს. წარმოუდგენელია გადმოგცეთ ამ კაცის გულისწყრომა და აღშფოთება, როდესაც იმ ბედშავმა უპასუხა:

- დიახ, მისტერ ლობს, თქვენი ქალის გამო მოვედი, მე მიყვარს იგი, მისტერ ლობს.

- რაო, შე ცინგლიანო, დაბრეცილო, ჩაჩანაკო, არამზადავ! - ძლივს წარმოთქვა სახტად დარჩენილმა და ამ აღსარებით თავზარდაცემულმა მოხუცმა ლობსმა, - რისი თქმა გსურს? მითხარი პირდაპირ, შე წყეულო, თორემ დაგახრჩობ!

შეუძლებელი და წარმოუდგენელი არ გახლდათ, რომ მოხუცი ლობსი, რომელიც ისე გაცოფებული იყო, მართლაცდა სისრულეში მოიყვანდა თავის მუქარას, რომ მისი ხელი არ გაეჩერებინა ბიძაშვილი ჰენრის მოულოდნელად გამოჩენას. ის გამოვიდა თავისი საფრიდან, მიუახლოვდა მოხუც ლობსს და თქვა:

- მე ვერ დავუშვებ, სერ, რომ ამ უწყინარმა ადამიანმა, რომელიც გოგონებმა რაღაც ახირებული სიცუღლუტით დაპატიჟეს, ასე კეთილშობილურად დაიბრალოს დანაშაული (თუკი ეს დანაშაული გახლავთ), რომელშიაც მე მიმიძღვის ბრალი და მზად გახლავარ ვაღიარო კიდეც. ეს მე მიყვარს თქვენი ქალი, სერ, და ეს მე გეახელით აქ იმ მიზნით, რომ მას შევხვედროდი.

მოხუცმა ლობსმა თვალები ფართოდ დააჭყიტა, თუმც არცთუ უფრო ფართოდ, ვიდრე ნათენიელ პიპკინმა.

- თქვენ? - წარმოთქვა ლობსმა ბოლოს, როდესაც როგორც იქნა, ჩაისუნთქა და ხმის ამოღება შეძლო.

- მე!

- მე კი დიდი ხანია ჩემს სახლში სიარული აგიკრძალეთ.

- დიახ, ამიკრძალეთ. წინააღმდეგ შემთხვევაში მე ამ საღამოთი არ მოვიდოდი აქ ასე ქურდულად.

ვწუხვარ, რომ ამას ვამბობ მოხუც ლობსზე, მაგრამ მე მგონი ის მაგრად მიბეგვავდა ამ ბიძაშვილს, რომ მისი ქალიშვილი, რომელსაც ციმციმა თვალები ცრემლით ავსებოდა, მშობელს მკლავზე არ ჩამოჰკიდებოდა.

- ნუ აკავებთ მას, მერაია, - თქვა ახალგაზრდა კაცმა, - თუკი მას სურვილი აქვს, დაე, გამარტყას. მე მის ჭაღარა თავზე თმის ერთ ღერსაც კი არ შევეხები, თუნდაც მთელი ქვეყნის სიმდიდრე შემომთავაზონ.

მოხუცმა ლობსმა ამის გაგონებაზე თვალები დახარა და თავის ქალს თვალებში ჩახედა.

მე უკვე მოგახსენეთ, რომ მერაია ლობსს მეტად ციმციმა თვალები ჰქონდა და ახლა, თუმცა ცრემლით ავსებოდა, მათ ჩვეული მიმზიდველობა სულაც არ დაეკარგათ. მოხუცმა ლობსმა პირი მიიბრუნა, თითქოს სურდა, თავი აერიდებინა პასუხისთვის, რომ ამ დროს განგების ძალით მას თვალში მოხვდა პატარა კუდრაჭა ბიძაშვილის სახე. გოგონა ცოტა არ იყოს შემკრთალი იყო ძმის საქციელით, მაგრამ მაინც ეცინებოდა ნათენიელ პიპკინზე. ამწუთას მის სახეს ისეთი მიმზიდველი და, იმავე დროს, ეშმაკური გამომეტყველება ჰქონდა, რომ მართლაც ღირდა მოხუცისა თუ ახალგაზრდის შეხედვად. კუდრაჭამ ხელი გაუყარა მოხუც ბიძას და ისეთნაირად ჩასჩურჩულა რაღაც, რომ მოხუცმა ლობსმა ღიმილი ვეღარ შეიკავა და, იმავე დროს, თვალებიდან ცრემლი ქურდულად ჩამოუცურდა ლოყაზე.

ხუთი წუთის შემდეგ დარცხვენილი გოგონები ხითხითით გამოიყვანეს მერაიას საწოლი ოთახიდან და როდესაც ახალგაზრდებმა თავი სრულიად ბედნიერად იგრძნეს, მოხუცმა ლობსმაც ჩამოიღო თავისი ჩიბუხი და შეუდგა თამბაქოს მოწევას. წარმოიდგინეთ, განა ღირსშესანიშნავი არ გახლავთ ის გარემოება, რომ ამჯერად ჩიბუხიც და თამბაქოც უფრო დამაშოშმინებელი და სასიამოვნო აღმოჩნდა, ვიდრე ოდესმე.

ნათენიელ პიპკინმა გადაწყვიტა, აღარ გაემჟღავნებინა თავისი საიდუმლო და ნელ-ნელა ისე მოიგო მოხუცი ლობსის გული, რომ მასპინძელმა მას თამბაქოს მოწევაც კი ასწავლა. მას აქეთ მრავალი წლის განმავლობაში, როდესაც მოწმენდილი საღამოები იდგა, ისინი ისხდნენ ხოლმე ბაღში, განცხრომით ეწეოდნენ ჩიბუხს და სვამდნენ. ნათენიელი მალე განიკურნა თავისი სიყვარულისაგან, ვინაიდან მის გვარს ჩვენ ვხვდებით სამრევლო წიგნში, როგორც მერაია ლობსისა და მისი ბიძაშვილს ჯვრისწერის მოწმეს. აგრეთვე სხვა დოკუმენტებიდანაც ჩანს, რომ ქორწილის ღამეს ის დაამწყვდიეს სოფლის საპატიმროში, რადგანაც სიმთვრალეში მან ჩაიდინა სხვადასხვა შეუფერებელი საქციელი, რაშიც მას ეხმარებოდა და აქეზებდა ლობსის წვრილფეხება გაძვალტყავებული შეგირდი.

თავი XVIII

მოკლედ გვიხსნის ორ რამეს - ისტერიისა და ვითარების გარემოებათა ძალას

მისის ჰანტერთან საუზმობის შემდეგ პიკვიკელები ორი დღე დარჩნენ იტენსვილში და გულის ფანცქალით ელოდებოდნენ რაიმე ცნობას თავიანთი ღირსეული წინამძღოლისაგან. მისტერ სნოდგრასი და მისტერ ტაპმენი საკუთარი თავის ანაბარა დარჩენილიყვნენ და დროს ისე ატარებდნენ, როგორც მოესურვებოდათ, რადგანაც მისტერ უინკლი დიდი ხვეწნა-მუდარის შემდეგ კვლავ მისტერ პოტის სახლში დარჩა და მთელ თავის დროს მისტერ პოტის მშვენიერ მეუღლეს სწირავდა. თვით მისტერ პოტიც, რომელიც ხანდახან შეუერთდებოდა მათ საზოგადოებას, არ უშლიდა ხელს მათ ბედნიერებას. ხალხის კეთილდღეობაზე „დამოუკიდებლის“ თავლაფდასხმის გამო ღრმად დაფიქრებული ეს იშვიათი ადამიანი ძნელად თუ ჩამობრძანდებოდა თავისი ჭკუის მწვერვალიდან ჩვეულებრივი, უბრალო ადამიანების გონებრივ დონემდე. ამ შემთხვევაში კი, თითქოს მისტერ პიკვიკის ყოველი მიმდევრისადმი თავის კეთილგანწყობილებას ხაზს უსვამსო, აღარ იფხორებოდა, ნაკლებად ამპარტავნობდა, კვარცხლბეკიდან ჩამობრძანებულიყო და ჩვეულებრივი მოკვდავივით დედამიწაზე დაიარებოდა. ის მოწყალებით ცდილობდა თავისი აზრი მდაბიო ხალხის, ბრბოს გაგებამდე დაეყვანა და თუ გულში არა, ყოველ შემთხვევაში, გარეგნულად მაინც, თავის თავს ამ ბრბოს აკუთვნებდა.

მისტერ უინკლისადმი ამისთანა სახელგანთქმული საზოგადო მოღვაწის ასეთი გულმოწყალე დამოკიდებულების შემდეგ, ადვილი წარმოსადგენია, რა უსაზღვრო გაოცება გამოიხატა ხსენებული პიკვიკელის სახეზე, როდესაც ერთ მშვენიერ დილით (მისტერ უინკლი მარტო გახლდათ სასტუმრო ოთახში), კარი უეცრად გაიღო და სწრაფადვე დაიხურა მისტერ პოტის ზურგს უკან და რედაქტორი მედიდურად გაემართა მისტერ უინკლისაკენ. სტუმრის გამოწვდილ ხელს მან ხელი აჰკრა, კბილები ისე მომართა, თითქოს უნდოდა სათქმელი აელესა და ხერხივით წვრილი ხმით დაიწრიპინა:

- გველო!

- სერ! - შეჰყვირა მისტერ უინკლმა და წამოხტა.

- გველო, გველო! - გაიმეორა მისტერ პოტმა და ხმას აუწია. შემდეგ ხმას უცბად დაუწია და კვლავ გაიმეორა.

- მე მითქვამს გველო-მეთქი, სერ, თქვენ კი, როგორც გენებოთ, ისე გაიგეთ!

თუკი თქვენ ადამიანს ღამის ორ საათზე მეგობრულად დაშორდით და დილის ათის ნახევარზე კი ის თქვენ გესალმებით, როგორც გველს, ცხადია, უნდა იფიქროთ, რომ ამ ხნის განმავლობაში რაღაც უსიამოვნო რამ მომხდარა. მისტერ უინკლსაც სწორედ ამ აზრმა გაუელვა. მან ცივად გადახედა მისტერ პოტს და შეეცადა, როგორც ეს თვით მისტერ პოტმა შესთავაზა, როგორმე გაეგო, თუ რას ნიშნავდა ეს „გველო“, მაგრამ ვერაფერი მოისაზრა და რამდენიმე წუთის სრული დუმილის შემდეგ თქვა:

- გველოო, სერ, გველოო... მისტერ პოტ? მაგითი რისი თქმა გნებავთ? თქვენ უთუოდ ხუმრობთ!

- ვხუმრობ, სერ! - წამოიძახა მისტერ პოტმა ხელის ისეთი მოძრაობით, თითქოს სურდა ბრიტანული ლითონისგან გაკეთებული ჩაიდანი თავში ეთხლიშა სტუმრისათვის. - მაგრამ არა, მე

თავს შევიკავებ, თავს შევიკავებ, სერ! ამ თავშეკავების დასამტკიცებლად პირზე ქაფმორეული სკამზე დაეშვა. - ჩემო ძვირფასო სერ! - დაიწყო მისტერ უინკლმა.

- რაო, ძვირფასოო, სერ? როგორ ბედავთ თვალებში მიცქიროთ და ამნაირად მომმართოთ, ამნაირად, სერ?

- თუკი ასეა, სერ, - უპასუხა მისტერ უინკლმა, - თქვენ თვითონ როგორღა ბედავთ მიცქიროთ სახეში და გველო მიწოდოთ, სერ?

- თქვენ მართლაც რომ გველი ბრძანდებით!

- დამიმტკიცეთ, სერ, - გაცხარებით წამოიძახა მისტერ უინკლმა, - დამიმტკიცეთ!

ბრძენ გამომცემელს სახეზე ბოროტმა ჩრდილმა გადაურბინა, როდესაც მან ჯიბიდან „დამოუკიდებლის“ იმდილანდელი ნომერი ამოიღო, ერთ ადგილზე თითი მიუშვირა და მისტერ უინკლს გადაუგდო.

ამ ჯენტლმენმა აიღო გაზეთი და წაიკითხა შემდეგი: „ჩვენი რეგვენი და შუბლგარეცხილი თანამედროვე, თავის ბილწ მიმოხილვაში ჩვენი ქალაქის უკანასკნელი არჩევნების შესახებ, იმდენად გაკადნიერდა, რომ შებღალა პირადი ცხოვრების სიწმინდე და აშკარად შეეხო ჩვენი უკანასკნელი კანდიდატის, მისტერ ფიზკინის ოჯახურ საქმეებს, კანდიდატის, რომელიც, მიუხედავად უსამართლო დამარცხებისა, შეგვიძლია ამაყად განვაცხადოთ, რომ მომავალ არჩევნებზე კვლავაც ჩვენი წარმომადგენელი იქნება. მერედა, ნეტავ რისი თქმა უნდა ამ მშიშარა ცილისმწამებელს? რას იტყოდა ეს არამზადა, რომ ჩვენც მისებრ არად ჩაგვეგდო საზოგადოების მიერ დაწესებული კანონები და აგვეხადა ფარდა, რომელიც მისდა საბედნიეროდ, ფარავს მის პირად ცხოვრებას და მას ქვეყნის სასაცილოდ არ აქცევს, რომ არაფერი ვთქვათ საზოგადო გაკიცხვაზე? რა იქნებოდა, რომ

ჩვენ მიგვეთითებინა და აგვეხსნა ის ფაქტები, რომლებიც ყველასათვის ცნობილია, ყველა ხედავს, გარდა ჩვენი ბეცი თანამოძმისა? რა იქნება, რომ ჩვენ დავბეჭდოთ ეს ქვემოთ მოტანილი ლექსი, რომელიც ჩვენ მივიღეთ ერთი ნიჭიერი ქალაქელი კორესპონდენტისგან, როდესაც ამ წერილის წერას ვიწყებდით?

ლექსი სპილენძის ქვაბისადმი

ო, შე ქაღალდის დასტავ, რომ იცოდე,
როგორი ცრუ გახდა ის,
მას შემდეგ, რაც თქვენთვის დარეკეს საქორწილო
ზარებმა;
ვფიცავ, უთუოდ, შენც იმას იზამდი,
რასაც ახლა ვეღარაფრით უშველი -
ქალს გადასცემდი ჩვენ პატივცემულ სტუმარს

- რაო, - წარმოთქვა მისტერ პოტმა ზეიმით, - რა რითმა მოუხდება სიტყვას - tinkle, არამზადავ?

- რა რითმა მოუხდება tinkle-ს? - შეაგება მისის პოტმა, რომლის შემოსვლამაც დაასწრო უინკლის პასუხს, - რა რითმა მოუხდება? მე მგონი, winkle, არა?

ამ სიტყვებით მისის პოტმა გულშეწუხებულ პიკვიკელს ტკბილად გაუღიმა და ხელი გაუწოდა. შეძრწუნებული ახალგაზრდა კაცი ფრიად დაბნეული იყო და ის-ის იყო აპირებდა ხელის ჩამორთმევას, რომ აღშფოთებული მისტერ პოტი არ ჩარეულიყო.

- იქით, ქალბატონო, იქით, - თქვა რედაქტორმა, - როგორ უნდა ჩამოართვათ ხელი ამ კაცს და ისიც ჩემ ცხვირწინ!

- მისტერ პიი! - წარმოთქვა მისმა გაოცებულმა მეუღლემ.

- ბედკრულო დედაკაცო, ერთი ამასაც შეხედეთ, - დაიყვირა ქმარმა, - სტრიქონები Brass Pot-ისადმი, ქალბატონო, Brass Pot-ისადმი. ეს მე გახლავარ! ჰერ - ეს კი თქვენა ბრძანდებით, ქალბატონო, თქვენ! - ბრაზისაგან გაცეცხლებულმა (რომელსაც თავისი მეუღლის სახის გამომეტყველების დანახვაზე მოჰყვა კანკალის მაგვარი რაღაცა), მისტერ პოტმა „იტენსვილის და-მოუკიდებლის“ ახალი ნომერი ქალის ფეხებთან დაახეთქა.

- კი, მაგრამ, სერ, - წარმოთქვა გაოცებულმა მისის პოტმა და გაზეთს ასაღებად დაიხარა, - კი, მაგრამ...

ისეთი ზიზღით შეხედა მეუღლემ, რომ მისტერ პოტს ჟრუან-ტელმა დაუარა ტანში. სასოწარკვეთილი, იგი ცდილობდა რამე-ნაირად ძალ-ღონე მოეკრიბა და სიმხნევე შეენარჩუნებინა, მაგ-რამ ამაოდ. გამბედაობა ნელ-ნელა ხელიდან ეცლებოდა.

ამ პატარა წინადადებაში, „კი, მაგრამ, სერ“, თითქოს და არა-ფერია საშინელი, როდესაც მას ვკითხულობთ, მაგრამ კილომ, რომლითაც მისის პოტმა ეს სიტყვები წარმოთქვა და გამოხედ-ვამ, რომელიც თავზე მეხის დატეხას უქადდა საწყალ ქმარს, მის-ტერ პოტზე სათანადო ზეგავლენა მოახდინა. გულუბრყვილო და გამოუცდელი დამკვირვებელიც კი ადვილად ამოიკითხავდა მის შეწუხებულ სახეზე, რომ ის მზად იყო სიამოვნებით დაეთმო თა-ვისი მაღალყელიანი ჩექმები იმისთვის, ვინც დასთანხმდებოდა, მის მაგიერ, ამ ჩექმებში გამოჭიმული მდგარიყო აქ, მისი ულმო-ბელი თანამეცხედრის წინაშე.

მისის პოტმა გაზეთი წაიკითხა, გულისწამღები ხმით დაიკივ-ლა და ბუხრის წინ, ხალიჩაზე გაიშხლართა. ქალი ისეთნაირად გაჰკიოდა და აბაკუნებდა ფეხებს, რომ მისი გრძნობებისადმი ეჭვის მიტანა შეუძლებელი იყო.

- ჩემო ძვირფასო, - წაილუღლუღა თავზარდაცემულმა მისტერ პოტმა, - მე ხომ არ მითქვამს მჯერა-მეთქი, მე... - მაგრამ ბედშავი კაცის ხმა მეუღლის კივილმა შთანთქა.

- ძვირფასო ქალბატონო, მისის პოტ, გემუდარებით დაწყნარდით, - ამშვიდებდა მისტერ უინკლი, მაგრამ მისის პოტი ახლა კიდევ უფრო ცივად გაჰკიოდა და წინანდელზე უფრო მეტად აბაკუნებდა ფეხებს.

- ჩემო ძვირფასო, - ანუგეშებდა მას მისტერ პოტი, - მე ძლიერ ვნანობ ყოველივეს. თუ თავი არ გენანება, მე მაინც გამიწიე ანგარიში, ჩემო კარგო, სირცხვილია, ჩვენს სახლთან ხალხი მოიყრის თავს, რას იტყვიან! რაც უფრო მეტად ემუდარებოდა მისტერ პოტი მეუღლეს, ქალი მით უფრო მეტი გაწიწმატებით წიოდა და კიოდა.

საბედნიეროდ, მისის პოტს საკუთარი ახალგაზრდა მსახური ქალი ჰყავდა. ამ ქალბატონის მოვალეობა ის გახლდათ, რომ იგი მისის პოტის მორთულობას განაგებდა, მაგრამ დიასახლისისათვის სხვა შემთხვევებშიაც ფრიად სასარგებლო არსება გახლდათ, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ის თავგამოდებით ხელს უმართავდა და მხარს უჭერდა თავისი ქალბატონის ყოველგვარ სურვილსა და განწყობილებას, რომელიც საბრალო მისტერ პოტის ნება-სურვილის წინააღმდეგ იყო მიმართული. მისის პოტის კივილმა ახალგაზრდა ქალის ყურამდე თავის დროზე მიაღწია და ისიც ისეთი სისწრაფით გამოქანდა, რომ მის კოხტა ქუდსა და ლამაზად დაწყობილ კულულებს საგრძნობი ზიანი მოელოდა.

- ოჰ, ჩემო საყვარელო, ძვირფასო ქალბატონო, - წამოიძახა ქეშიკმა და გაშხლართული მისის პოტის წინ სასწრაფოდ დაეშვა მუხლებზე, - ეს რა ამბავია?

- თქვენმა ბატონმა, თქვენმა გულქვა, უწყალო ბატონმა... - ლუღლუღებდა საცოდავი ქალბატონი.

პოტი აშკარად დათმობაზე წავიდა.

- ეგ ხომ პირდაპირ თავის მოჭრაა, - საყვედურით წარმოთქვა ქეშიკმა, - მე ვიცი, ქალბატონო, ის თქვენ სამარის კარამდე მიგიყვანთ, ჩემო საყვარელო, ჩემო საბრალო ქალბატონო!

მისტერ პოტი კიდევ უფრო აშკარად მიდიოდა დათმობაზე, მაგრამ მოწინააღმდეგე კვლავ განაგრძობდა შეტევას.

- ო, ნუ მიმატოვებთ, ნუ დამტოვებთ, გუდუინ, - წაილუღლუღა მისის პოტმა და ქალს ისტერიულად წაავლო ხელი მაჯაში, - თქვენ ერთადერთი არსება ხართ, რომელსაც მე ვებრალები, გუდუინ! ამ გულისამაჩუყებელ მიმართვაზე გუდუინს საკუთარი ოჯახის ტრაგედია მოაგონდა და წამოვიდა ცრემლთა ნიაღვარი.

- ო, არასოდეს, ქალბატონო, არასოდეს, - ამბობდა გუდუინი, - ო, სერ, თქვენ უნდა გაუფრთხილდეთ, ოღონდაც, რომ უნდა გაუფრთხილდეთ ქალბატონს. თქვენ ვერც კი წარმოიდგენთ, როგორ აწყენინეთ მას. ერთხელაც იქნება თქვენ ინანებთ ამას, მე ვიცი, მე ხომ ყოველთვის გეუბნებოდით ამას.

უიღბლო მისტერ პოტი მორჩილად იდგა, მაგრამ არაფერს ამბობდა.

- გუდუინ, - წამოიძახა გულაჩვილებულმა ქალბატონმა.

- ბრძანეთ, ჩემო ქალბატონო!

- ნეტავ იცოდეთ, რანაირად მიყვარდა მე ეგ კაცი.

- მაგის მოგონებით გულს ნუ აიმღვრევთ, - უპასუხა ქეშიკმა.

პოტი დაფეთებული იყო. დადგა მისი აღსასრულის დღე.

- ახლა კი ვეღარ მოვითმენ, - ქვითინებდა მისის პოტი, - მას შემდეგ, რაც ასე მომეპყრო, ასეთი შეურაცხყოფა მომაყენა და მესამე პირის, თითქმის უცხო ადამიანის თანდასწრებით ასეთნაირად გამლანძღა! მაგრამ მე ამას ვეღარ ავიტან, გუდუინ! - გა-

ნაგრძო მისის პოტმა და თავისი მოკავშირის გულში ჩახუტებულმა ცოტათი წამოიწია, - ჩემი ძმა, ლეიტენანტი ჩაერევა ამ საქმეში და დამიცავს. მე მას უნდა გავცილდე, გუდუინ.

- ახიც არის მასზე, ქალბატონო, - მიუგო გუდუინმა.

თუ რა ფიქრები აღუძრა მისტერ პოტს ამ მუქარამ, გაუგებარია, რადგან გულში ჩაიმარხა და მხოლოდ იმით დაკმაყოფილდა, რომ მორჩილად წაილუღლუღა:

- ჩემო ძვირფასო, აღარ მომისმენთ?

ამის პასუხად მისის პოტმა ხელახლა მორთო ქვითინი. ისტერიის ძალამ იმატა. იგი მწარედ კითხულობდა, რატომ გაჩნდა ამ ქვეყანაზე და ითხოვდა სხვადასხვა ამგვარ ცნობას.

- ჩემო ძვირფასო, - მისტერ პოტი ცდილობდა დაემშვიდებინა ქალი, - მე ხომ არ დამიჯერებია ამ წერილის სიმართლე, პირიქით, უფრო მეტიც, ეს შეუძლებელიცაა, მე მხოლოდ გავბრაზდი, უფრო მეტიც, მე პირდაპირ გავცეცხლდი, რომ „დამოუკიდებლის“ რედაქციამ ასეთი წერილი მოათავსა. ეს იყო და ეს! მისტერ პოტმა მუდარით გადახედა ამ უბედურების უდანაშაულო მიზეზს, მისტერ უინკლს, თითქოს სთხოვდა, რომ მას არაფერი ეთქვა „გველის“ შესახებ.

- სერ, როგორ აპირებთ ამ ამბის გამოსწორებას? - იკითხა მისტერ უინკლმა, იგი უფრო და უფრო იკრებდა სითამამეს, მისტერ პოტი კი უფრო და უფრო კარგავდა მას.

- ო, გუდუინ, - ბუტბუტებდა მისის პოტი, - იგი მგონი „დამოუკიდებლის“ რედაქტორის გამათრახებას აპირებს, არა? ხომ აპირებს, გუდუინ?

- დაწყნარდით, დაწყნარდით, ქალბატონო; გემუდარებით დამშვიდდით, - უპასუხა ქეშიკმა, - რა თქმა უნდა, გაამათრახებს, თუკი თქვენ მოისურვებთ, ქალბატონო.

- რასაკვირველია, - საჩქაროდ კვერი დაუკრა მისტერ პოტ-მაც, როდესაც მან თავის მეუღლეს გულის წასვლის აშკარა ნიშ-ნები შეამჩნია.

- როდისღა, გუდუინ, როდისღა? - იკითხა მისის პოტმა, რო-მელსაც ჯერ კიდევ ვერ გადაეწყვიტა, შეღონებოდა გული თუ არა.

- რა თქმა უნდა, დაუყოვნებლივ, - თქვა მისტერ პოტმა, - დღესვე.

- ო, გუდუინ, - განაგრძო მისის პოტმა, - ეს ერთადერთი სა-შუალებაა ცილისწამებას გავუსწორდე და აღვიდგინო ჩემი ღირ-სეული სახელი საზოგადოებაში.

ვინაიდან ისტერიკა ისევ მოსალოდნელი იყო, მისტერ პოტმა ერთხელ კიდევ გაიმეორა, რომ ის უეჭველად გაამათრახებდა „დამოუკიდებლის“ რედაქციას. მისის პოტი ისე შეეპყრო აზრს, რომ მის სახელს ჩირქი მოსცხებოდა, რომ ექვსიოდეჯერ მაინც იყო გულის შემოყრის პირას მისული და ეჭვგარეშეა, რომ წაუვიდოდა კიდევაც გული, რომ გუდუინის დაუღალავ და დაუც-ხრომელ ზრუნვას არ მოებრუნებინა. გუდუინი იმეორებდა და-მარცხებული პოტის მუდარას, როგორმე მიეტევებინა მისთვის და როდესაც ეს საბრალო პიროვნება, საბოლოოდ დაფრთხა და მიყუჩდა, მხოლოდ მაშინ მოვიდა გონს მისის პოტი და საუზმო-ბას შეუდგნენ.

- დარწმუნებული ვარ, რომ გაზეთის ეს საძაგელი ცილისწა-მება არ დააჩქარებს თქვენს აქედან წასვლას, არა, მისტერ უინკლ? - ჰკითხა სტუმარს მისის პოტმა და თვალცრემლიანმა გაუღიმა.

- ვიმედოვნებ, რომ არა, - ჩაურთო მისტერ პოტმაც, ამწუთს იგი შეიპყრო უცნურმა სურვილმა, რომ მისტერ უინკლს პურის

ნამცეცი ყელში გადასცდენოდა და ამნაირად დაბოლოებულიყო მისი სტუმრობა, - ხომ, არა?

- თქვენ მეტად თავაზიანი ბრძანდებით, - მიუგო მისტერ უინკლმა, - მაგრამ ვშიშობ, რომ უნდა დაგტოვოთ. მისტერ პიკვიკისაგან წერილი მოსულა, მისტერ ტაპმენმა ჯერ კიდევ დილით მაცნობა საწოლში. გვატყობინებს, რომ დღესვე ბერიში შევხვდეთ, ჩვენც შუადღისას მივემგზავრებით ეტლით.

- კი მაგრამ, ხომ დაბრუნდებით? - იკითხა მისის პოტმა.

- ო, რა თქმა უნდა, - უპასუხა მისტერ უინკლმა.

- დარწმუნებული ხართ? - იკითხა მისის პოტმა და სტუმარს სხვისთვის შეუმჩნევლად ნაზად გადახედა.

- სავსებით, - მიუგო მისტერ უინკლმა.

საუზმეზე ხმა არავის ამოუღია, ვინაიდან თითოეული მათგანი საკუთარ დარდზე ფიქრობდა: მისის პოტი თაყვანისმცემლის დაკარგვას მისტიროდა, მისტერ პოტი ნანობდა, რომ ასე ნაჩქარევად და წინდაუხედავად დადო აღთქმა, რომ „დამოუკიდებელს“ გაამათრახებდა, ხოლო მისტერ უინკლი იმაზე ფიქრობდა, რომ გულუბრყვილოდ ჩაიგდო თავი ასეთ უხერხულ მდგომარეობაში.

„თუკი ეს კაცი კიდევ დაბრუნდება აქ, მე მას უთუოდ მოვწამლავ“, - გაიფიქრა მისტერ პოტმა და თავის კაბინეტს მიაშურა, სადაც ელვასავით გამანადგურებელი დარტყმების მომზადებას შეუდგა.

„თუკი მე აქ კიდევ ოდესმე ფეხი შემოვდგი და ამ ხალხში გავერიე, - გაიფიქრა მისტერ უინკლმა, როდესაც „ფარშავანგისაკენ“ გზას გაუდგა, - მე თვითონ ვიქნები გამათრახების ღირსი, მორჩა და გათავდა!“

მისი მეგობრები უკვე მზად იყვნენ: ეტლიც მოემზადებინათ და ნახევარი საათის შემდეგ უკვე მიემგზავრებოდნენ სწორედ იმ

გზით, რომლითაც ამას წინათ მისტერ პიკვიკი და სემი წავიდნენ. ჩვენ კი, როგორც ვთქვით, არ ძალგვიძს ამ გზის სნოდგრასივით მშვენიერი, პოეტური აღწერა.

მისტერ უელერი მათ შესაგებებლად გამოსულიყო და „ანგელოზის“ კართან იდგა. ამ ჯენტლმენმა ისინი მისტერ პიკვიკის ოთახში შეიყვანა.

რა უსაზღვრო გაოცება გამოიხატა მისტერ უინკლისა და მისტერ სნოდგრასის სახეზე, ხოლო მისტერ ტაპმენიც ხომ ფრიად შეშფოთდა, როდესაც მათ იქ მოხუცი უორდლი და ტრანდლი დაინახეს.

- როგორა ხართ? - იკითხა მოხუცმა ჯენტლმენმა და მისტერ ტაპმენს ხელი ჩამოართვა, - ნუ ინაღვლებთ, ნუ მოეკიდებით ამ საქმეს სენტიმენტალურად. ამას აღარაფერი ეშველება, ჩემო კარგო! ქალის ინტერესებიდან გამომდინარე, მე ვისურვებდი, რომ ის თქვენი გამხდარიყო, მაგრამ თქვენთვის კი, ძალიან მიხარია, რომ ეს ასე არ მოხდა. თქვენისთანა ყმაწვილი ერთ მშვენიერ დღეს უკეთეს წარმატებას მიაღწევს! - ამ სიტყვებით მოხუცმა უორდლმა მხარზე ხელი დაჰკრა მას და გულიანად გადაიხარხარა.

- ჩემო კარგო მეგობრებო, თქვენ როგორღა ხართ? - იკითხა მოხუცმა უორდლმა და მისტერ უინკლსა და მისტერ სნოდგრასს ერთდროულად ჩამოართვა ხელი, - სწორედ ახლა ვეუბნებოდი მისტერ პიკვიკს, რომ საშობაოდ ერთად უნდა შევიკრიბოთ. ამჯერად ნამდვილი ქორწილი გვექნება.

- ქორწილი? - წამოიძახა მისტერ სნოდგრასმა და გაფითრდა.

- დიახ, ქორწილი. მაგრამ გული ნუ გაგისკდებათ, - დაუმატა კეთილმა მოხუცმა კაცმა, - ეს მხოლოდ ბელა და ტრანდლია.

- აი, თურმე რა ყოფილა, - შესძახა მისტერ სნოდგრასმა და ეჭვისაგან შეღონებულს, გულზე მოეშვა.

- მომილოცავს, სერ, ჯოუ როგორ ბრძანდება?

- ო, ჩინებულად, - მიუგო მოხუცმა ჯენტლმენმა, - სძინავს, როგორც ყოველთვის.

- თქვენი დედა, მღვდელი და დანარჩენები? ყველანი კარგად არიან?

- ძალიან კარგად.

- სად არის... - იკითხა მისტერ ტაპმენმა ძლივძლივობით, - სად არის ის? - უკანასკნელ სიტყვას განსაკუთრებით გაუსვა ხაზი, თავი მიიბრუნა და თვალებზე ხელი აიფარა.

- ის? - იკითხა მოხუცმა ჯენტლმენმა თავის ქნევით, - თქვენ ჩემს ერთადერთ ნათესავზე ლაპარაკობთ, არა?

მისტერ ტაპმენმა თავის დაქნევით გააგებინა, რომ მისი კითხვა გულგატეხილ რეიჩელს შეეხებოდა.

- ჰო, ის წავიდა, - უპასუხა მოხუცმა ჯენტლმენმა, - ერთ ნათესავთან ცხოვრობს, აქედან საკმაოდ მოშორებითაა. გოგონების დანახვასაც ვეღარ იტანდა და მეც გავუშვი. ააი, სადილიც მზადაა. თქვენ ნამგზავრი ხართ და მოშივებული იქნებით. მე კი თუმცა არ მიმგზავრია, მაინც მშია, აბა, შევუდგეთ!

სადილს მადიანად შეექცნენ, შემდეგ მისტერ პიკვიკმა უამბო მათ, რაც მას თავს გადახდა პანსიონში და იმ წარმატების შესახებაც მოახსენა, რომელსაც წყეულმა ჯინგლმა ათასნაირი ხრიკითა და მზაკვრობით მიაღწია. მისტერ პიკვიკის ნაამბობმა მის მიმდევრებში საშინელი აღშფოთება გამოიწვია.

- იმ ბაღში გავცივდი და ქარების შეტევა მქონდა. ახლაც კი ვკოჭლობ, - დაასრულა ამბის მოყოლა მისტერ პიკვიკმა.

- მეც ფათერაკი რამ გადამხდა თავს, - ღიმილით დაიწყო მისტერ უინკლმა და მისტერ პიკვიკის მოთხოვნით, მან დაწვრილებით უამბო საზოგადოებას „იტენსვილის დამოუკიდებლის“ ცი-

ლისწამებისა და მათი მეგობარი რედაქტორის აღშფოთების შესახებ.

მეგობრებმა შეამჩნიეს, როდესაც მისტერ უინკლი ლაპარაკობდა, მისტერ პიკვიკს სახე მოეღუშა და როცა მისტერ უინკლმა ამბავი დაასრულა, მისტერ პიკვიკმა მაგიდას მუშტი დაჰკრა და დაიწყო:

- განა ეს საკვირველი გარემოება არ გახლავთ, რომ ჩვენ, ჩანს, არ შეგვიძლია შევიდეთ არც ერთ ოჯახში ისე, რომ რაიმე უსიამოვნება არ მივაყენოთ ადამიანს? განა ეს არ ადასტურებს, მე თქვენ გეკითხებით, ჩემი მიმდევრების კადნიერებას, ანდა, რაც მით უფრო უარესია, მე ვიტყოდი, მათ უკეთურობას? ვის ჭერქვეშაც უნდა მოხვდნენ, არ შეუძლიათ, არ დაარღვიონ რომელიმე გულუბრყვილო მანდილოსნის სულიერი მყუდროება და ბედნიერება? განა ეს ასე არ არის? მე ვამბობ...

მისტერ პიკვიკი, ალბათ, კიდევ დიდხანს გააბამდა ლაპარაკს, რომ ამ დროს სემი არ შესულიყო წერილით ხელში და ამგვარად არ შეეწყვეტინებინა დიადი ადამიანისათვის ენამჭევრული სიტყვა. მან შუბლზე ცხვირსახოცი გადაისვა, სათვალე მოიხსნა, გაწმინდა და ისევ გაიკეთა. მის ხმას კვლავ დაუბრუნდა ჩვეული სითბო, როდესაც მან იკითხა:

- რა არის ეგ, სემ?

- ფოსტაში გავიარე და ეს წერილი დამხვდა. ორი დღეა, რაც მოსულა, დალუქულია და მისამართი მრგვალი ხელით აწერია.

- ამ ხელს ვერა ვცნობ, - შენიშნა მისტერ პიკვიკმა და კონვერტი გახსნა, - ღმერთო დიდებულო! ეს რა ამბავია? ხუმრობა უნდა იყოს! ეს, ეს შეუძლებელია!

- რა მოხდა? - იყვირა ყველამ ერთად.

- ხომ არავინ მომკვდარა? - იკითხა მისტერ პიკვიკის შეძრწუნებული გამომეტყველებით შემკრთალმა მისტერ უორდლმა.

მისტერ პიკვიკმა არაფერი უპასუხა, წერილი მისტერ ტაპმენს გადასცა და სთხოვა, ხმამაღლა წაეკითხა, თვითონ კი სავარძელში ჩაეშვა და სახეზე ისეთი უაზრო გაოცება გამოეხატა, რომ მაყურებლებს გული გადაუქანდათ.

მისტერ ტაპმენმა აკანკალებული ხმით წაიკითხა შემდეგი:

„ფრიმენს კორტი, კორნ-ჰილი, აგვისტოს 28. ს, 1827 წ.

მოსარჩელე ბერდლი - მოპასუხე პიკვიკის წინააღმდეგ

სერ,

მისის მართა ბერდლის რწმუნებით, ნება გვიბოძეთ გაცნობოთ, რომ ვიწყებთ საქმეს თქვენ წინააღმდეგ საქორწინო პირობის დარღვევისა გამო. ზარალი, პირობის დარღვევისა გამო, შეადგენს 1.500 გირვანქა სტერლინგს. განკარგულება თქვენ წინააღმდეგ საქმის აღძვრისა საზოგადო სადავო სასამართლოში გაცემულია. გთხოვთ, სასწრაფო ფოსტით შეგვატყობინოთ თქვენი ლონდონელი რწმუნებულის გვარი, რომელსაც დაევალება საქმის წარმოება თქვენი მხრიდან.

ვრჩებით, სერ, თქვენი მორჩილი მსახურნი
„დოდსონი და ფოგი“.

მისტერ სამუელ პიკვიკს“.

მეგობრებმა უსიტყვოდ გადახედეს ერთიმეორეს და შემდეგ კი ყველანი მისტერ პიკვიკს მიაჩერდნენ. მათი ეს მუნჯი გაოცება ისეთი მეტყველი იყო, რომ ჩანდა, თითოეულ მათგანს ხმის ამოღებისაც კი ეშინოდა.

ბოლოს სიჩუმე ისევ მისტერ ტაპმენმა დაარღვია.

- ბერდლი და ფოგი, - მექანიკურად გაიმეორა მან.

- ბერდლი და პიკვიკი, - დაფიქრებით წარმოთქვა მისტერ სნოდგრასმა.

- გულუბრყვილო მანდილოსნის სულიერი მყუდროება და ბედნიერება, - წაიბუტბუტა მისტერ უინკლმა დაბნეულად.

- ეს შეთქმულებაა, - თქვა მისტერ პიკვიკმა, როდესაც მას ლაპარაკის უნარი დაუბრუნდა, - ამ ორი ხარბი ვექილის მიერ მოწყობილი საზიზღარი შეთქმულება, მისის ბერდლი თავის დღეში ამას არ ჩაიდენდა. ნუთუ ის ასეთი გულქვაა? ამისი არც რამ საბაბი გააჩნდა! ვაი, სირცხვილო!

- მისის ბერდლის გულის ამბავი თქვენ უკეთ მოგეხსენებათ, რა თქმა უნდა, - თქვა მისტერ უორდლმა ღიმილით, - მაგრამ, რაც შეეხება საბაბს, ამ საბაბს დოდსონი და ფოგი გაცილებით უკეთ განსჯიან, ვიდრე რომელიმე ჩვენგანი.

- ო, ფულის გამოცინცვლის საძაგელი ცდაა! - განაგრძო მისტერ პიკვიკმა.

- მეც აგრე მგონია, - მიუგო უორდლმა და მშრალად ჩაახვეელა.

- განა ვისმეს უნახავს მისის ბერდლისთვის მიმემართოს სხვაგვარად, ვიდრე ეს მდგმურს შეეფერება? - განაგრძობდა მისტერ პიკვიკი ენერგიულად, - თუ ვუნახავვარ ვისმეს მასთან ერთად ოდესმე? აბა, ერთი ჩემმა მეგობარმა აქ...

- გარდა ერთი შემთხვევისა, - ჩაურთო მისტერ ტაპმენმა.

- რაო? - იკითხა მისტერ უორდლმა, - ეს ფრიად მნიშვნელოვანია, ვფიქრობ, საეჭვო არა არის რა?

მისტერ ტაპმენმა მოკრძალებულად გადახედა ბელადს.

- რა თქმა უნდა, - განაგრძო მან, - საეჭვო არაფერი იყო, მაგრამ მე თვითონ არ ვიცი, როგორ მოხდა. წარმოიდგინეთ, ის

ქალბატონი ნამდვილად გახლდათ მისტერ პიკვიკის მკლავებზე გადასვენებული.

- ღმერთო დიდებულო! - დაიგმინა მისტერ პიკვიკმა, როდესაც ხსენებული სცენა მას ნათლად მოაგონდა, - გარემოებათა რა საშინელი დამთხვევაა! მართალია! აგრე იყო! აგრე იყო!

- მისტერ პიკვიკი იმ ქალბატონს უთუოდ ანუგეშებდა! - ნიშნის მოგებით ჩაილაპარაკა მისტერ უინკლმა.

- დიახ, დიახ, სწორედ ვანუგეშებდი, - აღიარა მისტერ პიკვიკმა, - რა ვქნა, ვერაფერს ვიტყვი! აგრე გახლდათ.

- ალო, - შესძახა მისტერ უორდლმა, - საქმეში, სადაც საეჭვო არაფერია, ეს ამბავი კი, ცოტა არ იყოს, უცნაურად ჩანს, არა, პიკვიკ? აა, ვერაგო, ვერაგო, - და მან ისე გადაიხარხარა, რომ კარადაში ჭურჭელმა წკარუნი დაიწყო.

- ო, გარემოებათა რა საშინელი დამთხვევაა! - შესძახა მისტერ პიკვიკმა და ნიკაპით ხელებს დაეყრდნო, - უინკლ, ტაპმენ, მომიტევეთ ის შენიშვნები, რომლითაც მე წეღან თავი შეგაწყინეთ. ჩვენ ყველანი გარემოებათა მსხვერპლი ვართ და მე კი თქვენ შორის ყველაზე დიდი მსხვერპლი, - ამ მობოდიშების შემდეგ მისტერ პიკვიკმა თავი ხელებში ჩარგო და ფიქრს მიეცა.

- არა, ყველაფერი უნდა გამოვარკვიოთ, - წამოიძახა მისტერ პიკვიკმა, როდესაც თავი ასწია და მაგიდას მუშტი დაარტყა, - ვნახავ იმ დოდსონსა და ფოგს. ხვალ ლონდონს წავალ.

- ხვალ არა, - მიუგო უორდლმა, - ჯერ კიდევ ძლიერ კოჭლობთ.

- მაშ, ზეგ.

- ზეგ პირველი სექტემბერია და თქვენ კი შეგვპირდით, რომ ჩვენთან ერთად იმგზავრებდით სერ ჯეფრი მენინგის სამფლობელომდე. ერთად ვისაუზმებდით მაინც თუკი ნადირობაში არ მიიღებდით მონაწილეობას.

- ძალიან კარგი. მაშ, მაზეგ, - თქვა მისტერ პიკვიკმა, - ხუთშაბათს, სემ!

- ბრძანეთ, სერ, - მიუგო მისტერ უელერმა.

- ხუთშაბათ დილისთვის ლონდონამდე ორი ზედა ადგილი შეუკვეთეთ ჩემთვის და თქვენთვის.

- კეთილი და პატიოსანი, სერ.

მისტერ უელერი ოთახიდან გავიდა და აუჩქარებლივ გაემართა დავალების შესასრულებლად. მას ხელები ჯიბეებში ჩაეწყო და მიწას დასცქეროდა.

- უცნაური ყმაწვილია ეს ჩემი მბრძანებელი, - ამბობდა მისტერ უელერი და ნელი ნაბიჯით ქუჩას მიჰყვებოდა, - აბა, ერთი წარმოიდგინეთ, იმ მისის ბარდლს ეარშიყებოდა თურმე, ისიც პატარა ბიჭიკოთი! ჭარმაგ ადამიანს ასე მოსდის ხოლმე. არა მგონია, მისტერ პიკვიკი ასე შორს წასულიყო. ამ ფიქრებით მისტერ სემუელ უელერი ბილეთების სალაროსაკენ გაემართა.

თავი XIX

სასიამოვნო დღე, რომელიც უსიამოვნოდ დასრულდა

ფრინველები, რომელთაც თავიანთ საბედნიეროდ არაფერი იცოდნენ იმ მზადებათა შესახებ, რომელმაც მათ პირველ სექტემბერს თავზარი დასცა, მხიარულად ეგებებოდნენ დღეს. მართლაც, მთელი წლის განმავლობაში ასეთი მშვენიერი და სასიამოვნო დილა მათ არ ახსოვდათ. ყმაწვილური კეკლუცობით აღსავსე მრავალი ახალგაზრდა კაკაბი ნაპურალში თავმომწონედ და კმაყოფილებით დაგოგმანებდა. თვით უფროსებიც, რომელნიც, როგორც ეს გამოცდილ ფრინველთ შეჰფერით, პაწია, მრგვალი თვალით კეთილად შეჰყურებდნენ ახალგაზრდა თაობის თავქარიან ლაღობას, არც ისინი გრძნობდნენ განკითხვის დღის მოახლოებას და ამ გრილი დილით მზის სხივებით ნეტარებდნენ. რა იცოდნენ, რომ რამდენიმე საათის შემდეგ არარაობად, მტვრად ქცეულნი, მიწაზე დაეცემოდნენ. ვატყობ, გრძნობებს ავყევით და უმჯობესია ჩვენი ამბავი განვაგრძოთ.

მართლაცდა საუცხოო დილა იყო, იმდენად საუცხოო, რომ ძნელად თუ დაიჯერებდით, რომ ინგლისური ზაფხულის თვეები უკვე მიწურულიყო. ბუჩქებისაგან შეკრული ღობეები, მინდვრები და ხეები, მთები და დაბლობები - მარად ცვალებად, სხვადასხვა ელფერის მქონე ზურმუხტისფრად გადაშლილიყო. იშვიათად თუ დაინახავდით ჩამოვარდნილ ფოთოლს. ზაფხულის მწვანეში მხოლოდ აქა-იქ გარეული ყვითელი ფერი თუ გვამცნობდა შემოდგომის მოახლოებას. მოკრიალებულ ცაზე მზე

კაშკაშებდა. ჰაერში ჩიტების ჭიკჭიკი და მწერების ზუზუნი გაისმოდა. ნაირ-ნაირი ვარდ-ყვავილებით მორთული კოტეჯები დილის ცვარ-ნამში თვალმარგალიტივით ელავდა. გარემოს ჭარმაგი ზაფხულის ელფერი ედო, მისი მშვენიერი ფერები ჯერ არ გახუნებულიყო.

ამ დიდებულ დილას სამი პიკვიკელი (მისტერ სნოდგრასს შინ დარჩენა ემჯობინებინა), მისტერ უორდლი, მისტერ ტრანდლი და სემ უელერი, რომელიც კოფოზე, მეეტლის გვერდით მოკალათებულიყო, ღია ეტლით გზის პირას, ერთ ჭიშკართან შეჩერდნენ. ჭიშკართან მაღალი, გამხდარი ტყისმცველი და მაღალყელიან ფეხსაცმელსა და ტყავის გამაშებში გამოწყობილი ბიჭი დახვდათ. თითოეულ მათგანს მოზრდილი ჩანთა ეკავა, უკან კი ორი მონადირე ძაღლი მოსდევდა.

- როგორ ფიქრობთ, - წასჩურჩულა მისტერ უინკლმა უორდლს, როდესაც ტყისმცველმა ეტლის საფეხური ჩამოუშვა, - ამათ ხომ არა ჰგონიათ, რომ ჩვენ ამ ჩანთებს ნანადირევით ავავსებთ?

- ავავსებთო? - წამოიძახა მოხუცმა უორდლმა, - ღმერთო დიდებულო! რა თქმა უნდა, თქვენ ერთ ჩანთას აავსებთ, მე - მეორეს. შემდეგ ჩვენი სანადირო ქურთუკის ჯიბეებსაც გავივსებთ.

მისტერ უინკლმა არაფერი უპასუხა და ეტლიდან გადმოხტა; გულში კი გაიფიქრა, თუკი მისი მეგობრები მანამდე დარჩებოდნენ ღია ცის ქვეშ, ვიდრე ის ერთ-ერთ ჩანთას ნანადირევით გაავსებდა, ნამდვილად კარგა მაგრა გაცივდებოდნენ და სურდოც შეეყრებოდათ.

- ჰა, იუნონა, აქით, შე ბებერო, დაწექი, დეფ, დაწექი, - ეალერსებოდა უორდლი ძაღლებს, - სერ ჯეფრი, რა თქმა უნდა, ჯერ ისევ შოტლანდიაშია, არა, მარტინ?

მაღალმა, გამხდარმა ტყისმცველმა თავი დაუქნია პასუხის ნაცვლად და გაკვირვებით გადახედა ჯერ მისტერ უინკლს, რომელსაც ისე ეჭირა თოფი, თითქოს სურდა ქურთუკის ჯიბეს გადაერჩინა გასაჭირიდან და მის მაგივრად დაეშვა სასხლეტი, მერე მისტერ ტაპმენს, რომელსაც თოფი ისე ეკავა, თითქოს მისი ეშინიაო. მმგონი, არც გვაქვს რაიმე რეალური საფუძველი ვიფიქროთ, რომ მას მართლაც არ ეშინოდა თოფის.

- ჩემი მეგობრები ამისთანა საქმეებში მაინცდამაინც დიდად გაწაფული არ არიან, მარტინ, - განუმარტა უორდლმა, რომელმაც შეამჩნია მარტინის თვალების გაკვირვებული გამომეტყველება, - ხომ გაგიგონიათ, ნათქვამია: სწავლა სიბერემდეო. თუმცა ჩემი მეგობარი უინკლის წინაშე ბოდიშს ვიხდი. მას ამ საქმეში ერთგვარი გამოცდილებაც კი აქვს.

ამ ქათინაურზე მისტერ უინკლმა უმწეოდ გაიღიმა და დარცხვენილმა ისეთნაირად დაუწყო ჩხირკედელაობა და წვალება თავის იარაღს, თოფი რომ გატენილი ყოფილიყო, ნამდვილად გაუვარდებოდა და გულგანგმირული პატრონი იქვე გაიშხლართებოდა.

- გატენილი თოფი არ უნდა აწვალოთ, სერ, - გაჯავრებით დაიღრინა აყლაყუდა ტყისმცველმა, - თორემ, ღმერთმა დამწყევლოს, თუ რომელიმე ჩვენგანი ცივ ხორცად არ გვაქციოს.

ამნაირად გაფრთხილებულმა მისტერ უინკლმა სწრაფად შეიცვალა მდგომარეობა და მოძრაობაში კონდახი მისტერ უელერს შიგ თავში მოახვედრა.

- ალო! - წამოიძახა სემმა, ქუდი, რომელიც ამ ოპერაციის დროს მას გადაუვარდა, კვლავ აიღო და საფეთქელი მოისრისა, - ალო, სერ, თუ თქვენ ამნაირად განაგრძობთ ნადირობას, ერთი გასროლითაც გაავსებთ ამ ჩანთას.

ამის გაგონებაზე ტყავისგამაშებიან ბიჭს ჯერ გულიანი სიცილი აუტყდა, შემდეგ კი შეეცადა ისეთი გამომეტყველება მიეღო, თითქოს ის კი არა, ვიღაცა სხვა იცინისო, რადგან მისტერ უინკლმა მრისხანედ შეკრა კოპები.

- მარტინ, სად დაიბარეთ ბიჭი, სად მოიტანს საუზმეს? - იკითხა უორდლმა.

- „მარტოხელა ხის გორაკის“ ფერდობზე, სრულ თორმეტ საათზე, სერ.

- ეს ადგილი სერ ჯეფრისა უნდა იყოს, არა?

- არა, სერ, მაგრამ მისი მამულის საზღვარზეა, კაპიტან ბოლდუიგის მიწაზე. იქ ხელს არავინ შეგვიშლის და კორდიც მშვენიერია.

- ჩინებულია, - დაეთანხმა მოხუცი უორდლი.

- რაც უფრო ჩქარა წავალთ, მით უკეთესი... თორმეტ საათზე შევხვდებით ერთმანეთს, არა, პიკვიკ?

მისტერ პიკვიკს ნადირობის ყურება ძალიან აინტერესებდა. თანაც ღელავდა, არ იყო დარწმუნებული მისტერ უინკლი ცოცხალი გადარჩებოდა თუ არა, მით უმეტეს, რომ ამ მშვენიერ დილას მას აშკარად არ უნდოდა შინ დაბრუნება, მეგობრების დატოვება და დაღონებულმა მიუგო: - რა გაეწყობა, აგრე იყოს.

- განა ეგ ჯენტლმენი მონადირე არ ბრძანდება? - იკითხა აყლაყუდა ტყისმცველმა.

- არა, - მიუგო უორდლმა, - თანაც ახლა ფეხი სტკივა.

- მე კი თქვენთან დარჩენა მერჩივნა, - განაცხადა ბოლოს მისტერ პიკვიკმა, - ძალიან მინდა თქვენთან ყოფნა.

ყველანი გაჩუმდნენ და რამდენიმე წუთის განმავლობაში თანაგრძნობით უცქერდნენ მისტერ პიკვიკს.

- ღობის გადაღმა ურიკა დგას. თუ ჯენტლმენის მსახური მას ამ ურიკით ბილიკზე ატარებს, ღობეებსა და გადასასვლელებზე ჩვენ გადავიყვანთ, - თქვა ბიჭმა.

- სწორედ რომ ძალიან კარგია, - შესძახა მისტერ უელერმა, რომელიც დაინტერესებული გახლდათ, ვინაიდან მასაც სულითა და გულით უნდოდა ნადირობის ყურება, - სწორედ რომ შესაფერი რამაა. ყოჩაღ, კარგად არის ნათქვამი, ყმაწვილო! იმ ურიკას ახლავე აქ გავაჩენ!

მაგრამ დახეთ უბედურებას. კვლავ ახალი დაბრკოლება აღიმართა. ტყისმცველი გაჯიუტდა. იგი სასტიკი წინააღმდეგი იყო ნადირობაში მონაწილეობა მიეღო ჯენტლმენს, რომელიც ურიკაში იჯდებოდა, ვინაიდან ეს იქნებოდა ნადირობის დაკანონებული წესების უხეში დარღვევა.

ეს ფრიად სერიოზული დაბრკოლება გადაულახავი არ აღმოჩნდა, ხვეწნისა და ქრთამის შედეგად ტყისმცველმა ერთი მაგარი წაუთაქა თავში ყმაწვილს, რომელმაც ურიკა პირველად მოიგონა. ამის შემდეგ მისტერ პიკვიკიც ჩასვეს ურიკაში და მთელი საზოგადოება გზას გაუდგა. უორდლი და აყლაყუდა ტყისმცველი მონადირეებს წინ მიუძღოდნენ. მისტერ პიკვიკი იჯდა ურიკაში, რომელსაც სემი მიაგორებდა და ამგვარად ისინი მონადირეების მსვლელობას აგვირგვინებდნენ.

- შეჩერდით, სემ, - წამოიძახა მისტერ პიკვიკმა, როდესაც პირველი მინდორი ნახევრად გადაჭრეს.

- რა მოხდა? - იკითხა უორდლმა.

- ეს ურიკა, - გადაჭრით წარმოთქვა მისტერ პიკვიკმა, - ერთი ნაბიჯითაც აღარ წაიწევს წინ, ვიდრე უინკლი თოფს სხვანაირად არ დაიჭერს.

- აბა, როგორ უნდა ვატარო? - იკითხა საცოდავმა უინკლმა.

- ისე, რომ ლულა ქვევითკენ ჰქონდეს.

- ამნაირად ტარება ხომ სპორტსმენისთვის შეუფერებელია, - თავს იცავდა უინკლი.

- რაში მენაღვლება სპორტსმენისთვის შეუფერებელია თუ არა?! - უპასუხა მისტერ პიკვიკმა, - სულაც არ მინდა აქ, ურიკაში, ტყვიით მოვკვდე იმისთვის, რომ რომელიმე თქვენგანმა თავისი გარეგნობით თავი მოიწონოს.

- დარწმუნებული ვარ, რომ ვიდრე ვინმეს არ გააგორებს, ეგ ჯენტლმენი არ მოისვენებს, - ჯაჯღანებდა აყლაყუდა ტყისმცველი.

- ჰო, კარგი, ეგრე იყოს, - დაეთანხმა მათ საცოდავი უინკლი და თოფი კონდახით ზევითკენ შეაბრუნა, - აგრე!

- გაუმარჯოს მყუდრო ცხოვრებას! - შესძახა მისტერ უელერმა და კვლავ გაუდგნენ გზას.

- შეჩერდით! - დაიყვირა მისტერ პიკვიკმა, როდესაც რამდენიმე იარდი გაიარეს.

- ახლა რაღა ამბავია? - იკითხა უორდლმა.

- ტაპმენის თოფიც საშიშია, დარწმუნებული ვარ, საშიშია, - განაცხადა მისტერ პიკვიკმა.

- რაო? საშიშიაო? - შეშფოთდა მისტერ ტაპმენი.

- ეგ თოფი ისე გიჭირავთ, დიახაც, რომ საშიშია, - თქვა მისტერ პიკვიკმა, - ძლიერ ვწუხვარ, რომ კვლავ დაგაბრკოლეთ, მაგრამ მე ვერ დაგთანხმდებით, განვაგრძოთ გზა, ვიდრე თოფს ისე არ წამოიღებთ, როგორც უინკლს მოაქვს.

- ვფიქრობ, რომ უმჯობესია დაეთანხმოთ, სერ, - ჩაერია აყლაყუდა ტყისმცველი, - თორემ თქვენივე ტყვიით გულს გაიგმირავთ ან ვისმეს გააგორებთ.

მისტერ ტაპმენმა სასწრაფოდთ მოათავსა თოფი საჭირო მდგომარეობაში და მონადირეები კვლავ გაუდგნენ გზას. ჩვენი ორი ნადირობის მოყვარული კი ისე მიაბიჯებდა თავქვედაკიდე-

ბული იარაღით, თითქოს ხელმწიფის ოჯახის რომელიმე წევრის დასაფლავებაზე მწუხარე ჭირისუფალნი ყოფილიყვნენ.

ძაღლებმა უეცრად ყურები დაცქვიტეს და გაშეშდნენ. მონადირეებმაც ერთი ნაბიჯი წინ გადადგეს და გაჩერდნენ.

- რა მოუვიდათ ძაღლებს? - ჩურჩულით იკითხა მისტერ უინკლმა, - რა უცნაურად დგანან?

- ჩუ, ჩუ, ხმას ნუ იღებთ, - ხმადაბლა მიუგო უორდლმა, - ვერ ხედავთ, ნაბულს აკეთებენ.

- ნაბულს აკეთებენო? - გაიკვირვა მისტერ უინკლმა და აქეთ-იქით დაიწყო ცქერა. თითქოს უნდოდა დაენახა, წარმტაცი ბუნების რომელმა საგანმა მიიპყრო გონიერი ცხოველების ყურადღება.

- ნაბულს აკეთებენ? რა არის ნაბული?

- თვალები გაახილეთ, - მიუგო უორდლმა, რომელმაც ამ ამაღელვებელ წუთში მეგობრის კითხვას ყური არ ათხოვა, - აბა!

უეცრად გაისმა ფრთების შრიალი, რომელმაც მისტერ უინკლი ისე შეაკრთო, რომ იგი უმალ უკან გადახტა, თითქოს შეშინდა, თოფი მე არ მესროლონო. ბახ, ბახ... ორჯერ გავარდა თოფი. ბოლი სწრაფად გაიფანტა მინდორზე და ჰაერში კულულებივით დაეხვია.

- სად არიან? - იკითხა მისტერ უინკლმა. ის ისე იყო აღელვებული, რომ ადგილზე ვერ ჩერდებოდა. აქეთ-იქით წრიალებდა. - სად არიან ფრინველები? მითხარით, როდის გავისროლო? სად არიან? სად არიან?

- სად არიან! - დაიძახა მისტერ უორდლმა და მიწიდან აიღო ორი ჩიტი, რომლებიც ძაღლებმა მის ფეხთან დააგდეს.

- სად არიან?! აი, სადაც არიან!

- არა, არა, მე ამათზე კი არა, დანარჩენებზე ვამბობ, - თავს იმართლებდა გაოგნებული უინკლი.

- ახლა ჩვენგან საკმაოდ შორს არიან, - მიუგო უორდლმა და მშვიდად შეუდგა თოფის დატენას.

- ერთ ხუთ წამში ალბათ კვლავ გადავეყრებით, - შენიშნა აყლაყუდა ტყისმცველმა, - და თუ ჯენტლმენი ახლავე შეუდგება სროლას, იქნებ ერთ-ერთს მაინც მოახვედროს, როდესაც ისინი წამოფრინდებიან.

- ხა, ხა, ხა, ხა, - გადაიხარხარა მისტერ უელერმა.

- სემ, - შეაჩერა მისტერ პიკვიკმა, რომელიც აშკარად თანაუგრძნობდა თავის შემკრთალსა და დაბნეულ მოწაფეს.

- გისმენთ, სერ.

- ნუ იცინით!

- მესმის, სერ, - მიუგო მისტერ უელერმა. ურიკას ამოეფარა და ისე დაიღრიჯა, რომ ტყავისგამაშებიან ბიჭს შეუკავებელი სიცილი აუვარდა, რაზედაც აყლაყუდა ტყისმცველი მას მიუბრუნდა და სასწრაფოდ უთაქა თავში. ეს ხერხი მისთვისაც აუცილებელი გამოდგა, რათა საკუთარი მხიარულება არ გამოემჟღავნებინა.

- ყოჩაღ, ყმაწვილო, - მიუბრუნდა მისტერ უორდლი მისტერ ტაპმენს, - ამჯერად კი ნამდვილად გაისროლეთ.

- დიახ, დიახ, - ამაყად მიუგო ტაპმენმა, - გავისროლე.

- კარგია. შემდეგისთვის, თუ ყოჩაღად იქნებით, მოკლავთ კიდევაც რაიმეს, ძალიან ადვილია, არა?

- დიახ, ძალიან ადვილია, - დაეთანხმა მისტერ ტაპმენი, - თუმცა მხარში მაგრად მომხვდა, ისე მაგრად, რომ კინაღამ გადავყირავდი. არ მეგონა, რომ ამისთანა პატარა თოფი ასე მაგრად ისვრის წიხლს.

- ო, ეგ არაფერია, - ღიმილით შენიშნა მოხუცმა ჯენტლმენმა. - თანდათანობით შეეჩვევით, - აბა, ყველანი მზადა ხართ? ურიკა წესრიგშია?

- ყველაფერი მზად გახლავთ, სერ, - მიუგო მისტერ უელერმა.

- მაშ, გზას გავუდგეთ.

- აბა, მაგრად ჩაჯექით, სერ, - უთხრა მისტერ უელერმა მისტერ პიკვიკს და ურიკა ასწია.

- კარგი, კარგი, - მიუგო მისტერ პიკვიკმა.

გზა განაგრძეს.

- ეგ ურიკა ყველაზე უკან იყოს, - დაიძახა უორდლმა, როდესაც ღობეზე გადაიტანეს და მისტერ პიკვიკი კვლავ შიგ ჩასვეს, - ურიკა ახლა ბოლოში ატარეთ!

- ბატონი ბრძანდებით, სერ, - უპასუხა მისტერ უელერმა და შეჩერდა.

- აბა, უინკლ, - მიმართა მას მოხუცმა ჯენტლმენმა, - ნელ--ნელა მომყევით და ახლა მაინც არ გაუშვათ შემთხვევა.

- თქვენ დარდი ნუ გაქვთ, - მიუგო მისტერ უინკლმა, - რაო, ნაბულს აკეთებენ?

- არა, არა, ჯერ არა. ააბა, წყნარად, წყნარად! წყნარად მიიწევდნენ და სულ ახლოსაც მივიდოდნენ, რომ მისტერ უინკლს, რომელიც თავისი საბრძოლო იარაღით რაღაც მეტად რთულ ოპერაციას აწარმოებდა, ყველაზე უფრო დაძაბულ მომენტში უეცრად თოფი არ გავარდნოდა ზედ ბიჭის თავს ზემოთ, ზუსტად იმ ადგილას, სადაც აყლაყუდა ტყისმცველის თავი იქნებოდა, ბიჭის ადგილას ის რომ მდგარიყო.

- ეშმაკმა დალახვროს, რატომ გაისროლეთ, რატომ? - დაიყვირა უორდლმა, როდესაც ჩიტები უვნებლად გაფრინდნენ.

- ჩემ დღეში ასეთი თოფი არ მინახავს, - გაიმართლა თავი საცოდავმა უინკლმა და ჩახმახს ისე შეხედა, თითქოს ამას საქმის გამოსწორება შეეძლო, - თვითონ ისვრის, თვითონ ისვრის! მორჩა და გათავდა!

- დიახ, თვითონ ისვრის, - მიაძახა ცოტა არ იყოს გაჯავრებულმა უორდლმა, - ნეტავ რაიმე მოეკლა მაგ თოფს!

- მალე მოკლავს რაიმეს, სერ! - წინასწარმეტყველურად შენიშნა აყლაყუდა კაცმა.

- რისი თქმა გსურთ? - გაჯავრებით იკითხა უინკლმა.

- არაფრისა, სერ, არაფრისა, - მიუგო აყლაყუდა ტყისმცველმა, - მე თავი არ მენანება, მარტოხელა კაცი ვარ, სერ, მაგრამ ამ ბიჭიკოს დედა კარგ საჩუქარს კი მიიღებს, თუ სერ ჯეფრის მამულში შვილს მოუკლავენ. გატენეთ, სერ, თოფი გატენეთ.

- გამოართვით მაგას თოფი, - ურიკიდან იყვირა ამ აყლაყუდა კაცის შენიშვნით თავზარდაცემულმა მისტერ პიკვიკმა, - გამოართვით ვინმემ თოფი, ეი! გესმით თუ არა?

მაგრამ ბრძანების შესრულება ვერავინ გაბედა, ვინაიდან მისტერ უინკლმა ურჩად შეხედა მისტერ პიკვიკს, თოფი დატენა და სხვებთან ერთად განაგრძო გზა.

ჩვენ უნდა დავეყრდნოთ მისტერ პიკვიკის ავტორიტეტს და განვაცხადოთ, რომ მისტერ ტაპმენი თოფის ხმარებაში გაცილებით მეტ წინდახედულობასა და სიფრთხილეს იჩენდა, ვიდრე მისტერ უინკლი. თუმცა, უნდა ითქვას, რომ ეს არამც და არამც არ ამცირებს ამ უკანასკნელი ჯენტლმენის ავტორიტეტს ნადირობის საქმეში. ვინაიდან, როგორც მისტერ პიკვიკმა შესანიშნავად შენიშნა, უხსოვარი დროიდან ასეა, რომ მრავალი საუკეთესო, ნიჭიერი ფილოსოფოსი, რომელიც თეორიაში ფრიად კარგად გრძნობს თავს, უძლურდება, როდესაც საქმე იმ თეორიის პრაქტიკულ განხორციელებაზე მიდგება.

მისტერ ტაპმენის მეთოდი, ისევე, როგორც ჩვენი მრავალი სხვა აღმოჩენა, უსაზღვროდ მარტივი გახლდათ. გენიალური ადამიანისათვის დამახასიათებელი სისწრაფითა და გამჭრიახობით მან შეამჩნია ორი მნიშვნელოვანი რამ, რომლის მიღწევაც

აუცილებელი იყო: ერთი ის, რომ არ მოეტანა ვნება საკუთარი თავისთვის, ხოლო მეორეც ის, რომ არ ჩაეგდო საფრთხეში ირგვლივმყოფები. ნათელია, თუკი გასროლის სიძნელეს გადალახავდა (ე. ი. საერთოდ გაბედავდა გასროლას), საჭირო იყო მაგრად დაეხუჭა თვალები და ისე გაესროლა ჰაერში.

ერთხელ, ასეთი გმირობის ჩადენის შემდეგ, როდესაც მისტერ ტაპმენმა თვალები გაახილა, დაინახა, რომ მსუქანი დაჭრილი კაკაბი მიწაზე ჩამოვარდნილიყო. ტაპმენი აპირებდა მიელოცა წარმატება მისტერ უორდლისათვის, როდესაც ეს ჯენტლმენი მას მიუახლოვდა და ხელი მხურვალედ ჩამოართვა. - ტაპმენ, თქვენ სწორედ ეს კაკაბი ამოარჩიეთ, არა?

- არა, - მიუგო ტაპმენმა, - არა.

- სწორედ რომ ეს, დიახ ეს, - არ დაუჯერა უორდლმა, - მე თვითონ დავინახე, როგორ აირჩიეთ თქვენ სწორედ ეს კაკაბი. მაშინვე შევამჩნიე, როდესაც თოფი დასამიზნებლად ასწიეთ. ვაცხადებ, რომ ვერც ერთი საუკეთესო მსროლელიც კი ვერ გააკეთებდა ამას უფრო მოხდენილად. თქვენ უფრო დახელოვნებული ყოფილხართ, ვიდრე მეგონა. ტაპმენ, ჩანს, თქვენ უწინაც გინადირიათ.

მისტერ ტაპმენი ამაოდ აცხადებდა პროტესტს: დარცხვენილად იღიმებოდა და ამბობდა, არასოდეს მინადირიაო. ღიმილმა საწინააღმდეგო შედეგი გამოიღო და ამ დღიდან მოყოლებული, მისი, როგორც საუკეთესო მონადირის რეპუტაცია საბოლოოდ დამკვიდრდა. მისტერ ტაპმენმა განა მარტო მონადირის სახელი მოიხვეჭა ასე ადვილად. არც სახელის მოხვეჭის ხელის შემწყობი გარემოებანი შემოფარგლულა კაკაბზე ნადირობის შემთხვევით.

ამ ხნის განმავლობაში მისტერ უინკლი ისროდა, ბოლს უშვებდა და გრუხუნებდა, შედეგად კი ხელშესახებს ისეთს ვერას

იღებდა, რომ ხსენებად ღირებულიყოს. ავსვიანი მონადირე ტყვიას ხან ჰაერში ცლიდა, ხან ისე დაბლა უშვებდა მიწაზე, რომ ორი ძაღლის სიცოცხლე მუდამ საფრთხეში იყო. უინკლის ვარჯიშობა ცვალებადი და იმდენად საინტერესო გახლდათ, რამდენადაც ფანტასტიკური სროლის ნიმუშად გამოდგებოდა, ხოლო მიზანში სროლის თვალსაზრისით, აშკარა მარცხს წარმოადგენდა. ცნობილი აქსიომაა, რომ „ყოველ ტყვიას თავისი მისამართი აქვს“. თუ მისტერ უინკლზე ვილაპარაკებთ, დავრწმუნდებით, რომ მის მიერ გასროლილ ტყვიებს ბუნებრივი უფლება აყრილი ჰქონდა, ვინაიდან ისინი მიწაზე უმისამართოდ, არეულ--დარეულად იფანტებოდა.

- მაშ, - დაიწყო უორდლმა, როდესაც ურიკას მიუახლოვდა და მხიარულ ღაჟღაჟა სახეზე მოიწმინდა ოფლი, რომელიც წურწურით ჩამოსდიოდა, - ცხელი დღე დაგვადგა, არა?

- მართლაც რომ, - მიუგო მისტერ პიკვიკმა, - მზე მეტისმეტად აცხუნებს, მეც კი დამცხა. წარმომიდგენია, თქვენ როგორღა გრძნობთ თავს!

- დიახ, დიახ, - დაემოწმა მოხუცი ჯენტლმენი, - საკმაოდ ცხელა. პირველი საათი დაწყებულა. ხედავთ, აი ამ მწვანე გორაკს?

- რა თქმა უნდა.

- აი, იქ ვისაუზმებთ, იუპიტერს ვფიცავ, ბიჭიც უკვე მოსულა კალათით. საათივით ზუსტია.

- ნამდვილად ეგრეა, - დაიძახა მისტერ პიკვიკმა და სახე გაუბრწყინდა.

- კარგი ყმაწვილია, ახლავე მივცემ შილინგს. აბა, სემ, წამიყვანეთ!

- მაგრად ჩაჯექით, - წამოიძახა საუზმის მოლოდინით გახარებულმა მისტერ უელერმა, - „გზიდან ჩამოდექი, ტყავის გამაშო, თუ თქვენ ჩემი ძვირფასი სიცოცხლე ცოტა რამედ მაინც გი-

ღირთ, ნუ გადამაყირავებთ, - ასე ეუბნებოდა ჯენტლმენი მეეტ-ლეს, რომელსაც ის ტაიბერნს მიჰყავდა“, - ამ სიტყვებით მისტერ უელერმა ურიკა სულ სირბილით გააგორა მწვანე გორაკისკენ, მარჯვედ მიაყენა კალათას, გადმოსვა თავისი ბატონი და სას-წრაფოდ შეუდგა კალათიდან ხორაგის ამოლაგებას. - ხბოს ხორცის ღვეზელი, - ესაუბრებოდა თავის თავს მისტერ უელერი და სანოვაგეს ბალახზე ალაგებდა, - ძალიან კარგი რამ გახ-ლავს, მით უმეტეს, როდესაც იცნობ მანდილოსანს, რომელმაც გამოაცხო ეს ღვეზელი და როდესაც დარწმუნებული ხარ, რომ ნამდვილად ხბოს ხორცია და არა კატისა. თუმცა, რა დიდი ბედე-ნაა, იყოს თუნდაც კატის ხორცი, თუ ძალიან ჰგავს ხბოს ხორცს, იმდენად ჰგავს, რომ ხანდახან თვითონ მზარეულებიც ვეღარ არჩევენ.

- როგორ თუ ვერ არჩევენ, სემ? - იკითხა მისტერ პიკვიკმა.

- ვერა, სერ, - მიუგო მისტერ უელერმა და ქუდს ხელი შეახო, - ერთხანობას ერთ სახლში ვიდექი, სადაც ერთი მზარეულიც ცხოვრობდა. კარგი კაცი გახლდათ, ჭკვიანიც. ღვეზლის გაკეთე-ბა ყველაფრისგან შეეძლო. ერთხელ, როდესაც დავმეგობ-რდით, ვკითხე: ეს რამდენი კატა გყავთ, მისტერ ბრუკს? - დიახ, ბევრი, - მომიგო მან. - თქვენ გყვარებიათ კატები, არა? - ვკითხე ისევ, - მე თვითონ არ მიყვარს, მაგრამ სხვებს კი ძალიან უყ-ვართ, - მიპასუხა მან და თვალი ჩამიკრა, - მაგრამ, ახლა, და-ზამთრებამდე, აღარ არის მათი დრო. - დრო არ არის? - გამიკ-ვირდა მე. - არა, არ არის, ახლა ხილის დროა, - მიპასუხა მან. - რაო, რას ამბობთ? - კვლავ ვკითხე. - რას ვამბობ? იმას ვამბობ, რომ მე არასოდეს შევუამხანაგდები ავაზაკ ყასბებს, რომლებიც ხორცის ფასს ცეცხლს უკიდებენ, - განაცხადა მან. - მისტერ უელერ, - მომიბრუნდა მზარეული, ხელი მაგრად მომიჭირა და ყურში ჩამჩურჩულა, - გეთაყვა, ეგ არავის უთხრათ და ისე კი

იცოდეთ, რომ ჩემი ღვეზელები ამ კეთილშობილი ცხოველების ხორცით არის გატენილი. მან ძალიან ლამაზ პატარა ჭრელ კატაზე მიმითითა. - საქმე სათანადო დროის გამონახვაა. მათგან მე ვაკეთებ საუზმეს, ხბოს ხორცისა და თირკმლების მაგიერ. ვამზადებ სხვადასხვა ბიფშტექსს, გინდა ცხვრის ხორცისას, გინდა თირკმლებისას, გინდა ხბოს ხორცისას, იმის მიხედვით, თუ როგორ იცვლება ბაზარი და მადა, ე.ი. როგორი მოთხოვნილებაც არის.

- ჩანს, ვიღაც ფრიად მოხერხებული არამზადა ყოფილა ის კაცი, არა, სემ? - თქვა მისტერ პიკვიკმა და გააჟრჟოლა.

- დიახაც, სწორედ ეგეთი გახლდათ, სერ, - მიუგო სემმა და კალათის დაცლა განაგრძო, - ღვეზელი კი ჩინებული გახლდათ. ენა მშვენიერია, თუკი ქალისა არ არის. პური, ლორი, ცივად მოხარშული ხორცი, დიდებულია. მაგ თიხის დოქებში რაღაა, ჯეელო?

- ერთში ლუდი გახლავთ, - მიუგო ბიჭმა და მხრიდან ერთმანეთზე ტყავით გადაბმული ორი დიდი თიხის დოქი ჩამოიღო, - მეორეში კი - ცივი პუნში.

- ყველაფერი ერთად რომ ავიღოთ, ჩინებული საუზმე გამოვა, - შენიშნა მისტერ უელერმა და თავის მომზადებულ პურმარილს თვალი გადაავლო, - ახლა კი, ბატონებო, ეცით, ასე მიმართეს ინგლისელებმა ფრანგებს და ხიშტებით ერთიმეორეს შეებნენ.

მეორედ მიპატიჟება არავის დასჭირვებია, ისე დააცხრნენ საუზმეს. ასევე ცოტა დრო წაიღო მისტერ უელერის, აყლაყუდა ტყისმცველისა და ორი ყმაწვილის მიწვევამ სუფრაზე. მათ შორიახლო ბალახზე მოიკალათეს და სურსათ-სანოვაგეს სათანადო მიუზღეს. დიდი, ბებერი მუხა საზოგადოებისათვის მშვენიერი საჩრდილობელი გამოდგა. წინ გადაშლილი იყო დიდებუ-

ლი სანახაობა: ტყით შემკული და მშვენიერი ხერგილებით გადასერილი სახნავი მიწები და მინდვრები.

- ჩინებულია, ჩინებული, - გაიძახოდა მისტერ პიკვიკი, რომლის მრავლისმეტყველი სახე ცხოველმყოფელი მზის სხივების ზეგავლენით წამდაუწუმ იცვლიდა ფერს.

- ოღონდაც რომ ჩინებულია, ჩემო ძველო მეგობარო, - დაეთანხმა უორდლი, - აბა, მოიტათ ერთი ჭიქა პუნში.

- დიდი სიამოვნებით, - მიუგო მისტერ პიკვიკმა და დაცალა თუ არა ჭიქა, მისმა სახემ აშკარად გამოხატა მისი პასუხის გულწრფელობა.

- კარგია, - დაიწყო მისტერ პიკვიკმა ტუჩების წკლაპუნით, - ძალიან კარგია. მე კიდევ გეახლებით ერთ ჭიქას, ცივია, ყინულივითაა. აბა, ბატონებო, - განაგრძო მისტერ პიკვიკმა და დოქს ხელი წაავლო, - დავლიოთ იმ ჩვენი მეგობრების სადღეგრძელო, რომლებიც დინგლი-დელში დარჩნენ.

სადღეგრძელო სიამოვნებით დაილია.

- მომისმინეთ! იცით, რანაირად ვაპირებ სროლაში გაწაფვას? - დაიწყო მისტერ უინკლმა, რომელიც ჯიბის დანის შემწეობით პურსა და ლორის ნაჭერს შეექცეოდა, - ბოძზე დავკიდებ კაკბის ფიტულას და ვარჯიშს დავიწყებ. ჯერ ახლო მანძილიდან დავიწყებ სროლას, თანდათანობით კი უფრო შორიდან ვესვრი. ვფიქრობ, მშვენიერი პრაქტიკა იქნება.

- მე ერთ ჯენტლმენს ვიცნობ, სერ, - ჩაერია მისტერ უელერი, - რომელიც ასევე მოიქცა, ორი იარდიდან დაიწყო, მაგრამ უფრო შორს კი ვერ წავიდა, ვინაიდან ფრინველი პირველი გასროლისთანავე მტვრად აქცია და მისი ბუმბული მერე არავის უნახავს.

- სემ, - გაწყრა მისტერ პიკვიკი.

- გისმენთ, სერ, - მიუგო მისტერ უელერმა.

- კეთილ ინებეთ და თქვენი ანეკდოტები სხვა დროისათვის შემოინახეთ.

- მესმის, სერ, - უპასუხა სემმა და თვალები ისე დააპაჭუნა, რომ ლუდის ფინჯანმა, რომელიც ტუჩებთან მიიტანა, ვერ დამალა მისი მოქმედება და ბიჭს სიცილისგან კრუნჩხვები კინაღამ კვლავ დაემართა, აყლაყუდა კაცსაც კი გაეღიმა.

- მართლაც რომ შესანიშნავი, ცივი პუნშია, - ისევ გაიმეორა მისტერ პიკვიკმა და ნერწყვმომდგარმა დოქს შეხედა, - დღეს ძალიან ცხელა, ტაპმენ, ჩემო კარგო მეგობარო, რას იტყვით, კიდევ თითო ჭიქა რომ დავლიოთ?

- დიდი სიამოვნებით გეახლებით, - მიუგო ტაპმენმა.

მისტერ პიკვიკმა კვლავ გამოცალა ჭიქა, მას მიაყოლა მეორეც, იმის გასაგებად, ჰქონდა თუ არა პუნშს ფორთოხლის ქერქი, რომელიც მას სწყენდა და როდესაც დარწმუნდა, რომ არ ჰქონდა, კვლავ დალია შინ დარჩენილი მეგობრის სადღეგრძელო. ბოლოს თვით პუნშის უცნობი გამკეთებლის სადღეგრძელოც მიირთვა.

ამ გაუთავებელმა სადღეგრძელოებმა სათანადო გავლენა მოახდინა მისტერ პიკვიკზე. სახეზე მზიური ღიმილი გადაეფინა, ტუჩებს ირგვლივ ღიმილი აუთამაშდა, თვალები სიხარულით აუციმციმდა, თანდათანობით იგი დაემორჩილა სითხის ზეგავლენას, რომელიც სიცხის გამო განსაკუთრებულად მოქმედებდა. ბოლოს მისტერ პიკვიკმა გამოთქვა უდიდესი სურვილი, მოეგონებინა სიმღერა, რომელიც მას ბავშვობაში გაეგონა. ვინაიდან ეს ცდა მარცხით დამთავრდა, მისტერ პიკვიკი შეეცადა, თავის მეხსიერებაზე კიდევ რამდენიმე ჭიქა პუნშით ემოქმედა, რამაც, როგორც გამოირკვა, სწორედ საწინააღმდეგო შედეგი გამოიღო. მას დაავიწყდა არა მარტო სიმღერის სიტყვები, არამედ სულაც დაკარგა დანაწევრებულად მეტყველების უნარი. წა-

მოდგა, რომ საზოგადოებისათვის მჭევრმეტყველური სიტყვით მიემართა, მაგრამ უცბად ურიკაში ჩავარდა და იმწამშივე ხვრინვა ამოუშვა.

როდესაც კალათა კვლავ ჩაალაგეს, აღმოჩნდა, რომ შეუძლებელი იყო მისტერ პიკვიკის გაღვიძება და გონს მოყვანა. გაჩაღდა კამათი იმის შესახებ, თუ რა აჯობებდა: წაეყვანა მისტერ უელერს თავისი ბატონი ურიკით თუ იქვე დაეტოვებინა, ვიდრე ყველანი არ დაბრუნდებოდნენ. ბოლოს მათ გადაწყვიტეს, მისტერ პიკვიკი, რომელიც ურიკაში მოკალათებული, გემრიელად ხვრინავდა, ადგილზე დაეტოვებინათ. მისტერ უელერიც დაბეჯითებით ემუდარებოდა სათითაოდ ყველას, რომ ისიც თან წაეყვანათ. ექსპედიცია ერთ საათზე მეტს არ გაგრძელდებოდა. ყველა დათანხმდა და მისტერ უელერიც მონადირეებს გაჰყვა.

არ არსებობს არავითარი სერიოზული საფუძველი, ეჭვი შევიტანოთ იმაში, რომ მისტერ პიკვიკი, მეგობრების დაბრუნებამდე შეწყვეტდა ხვრინვას ან რაიმე დაარღვევდა მის მყუდროებას, მაგრამ მისი მყუდროება მაინც დაირღვა და, აი, მიზეზი, რომელმაც მისი მშვიდი ძილი შეაშფოთა.

კაპიტანი ბოლდუიგი პატარა, გულფიცხი ადამიანი გახლდათ.

ის მუდამ ლურჯ სერთუკსა და შავ, უხეშ ყელსახვევს ატარებდა. როდესაც ის ინებებდა თავის მამულში გასეირნებას, მუდამ ახლდა თან ინდური ლერწმის სპილენძისწვერიანი მსხვილი ჯოხი და მებაღე თავისი თანაშემწითურთ, რომელთაც მეტად მორჩილი შესახედაობა ჰქონდათ და რომელთაც კაპიტანი ბოლდუიგი, მისთვის შესაფერი სიდიადითა და მრისხანებით აძლევდა ბრძანებებს. ვინაიდან კაპიტან ბოლდუიგის ცოლის და მარკიზზე იყო გათხოვილი, ამიტომაც მის სახლს „ვილა“ ეწოდებო-

და, ხოლო მიწას - „მამული“, და, რა თქმა უნდა, ყოველივე ეს მეტად დიდებული, დიადი და შთამაგონებელი რამ გახლდათ.

ნახევარი საათიც არ იყო გასული მას შემდეგ, რაც მისტერ პიკვიკს ჩაეძინა, რომ გამოჩნდა კაპიტანი ბოლდუიგი ორი მებაღის თანხლებით. ის ველზე მოაბიჯებდა ისეთი სიჩქარით, როგორც ეს მის აგებულებასა და დიდმნიშვნელოვანებას შეეფერებოდა. როდესაც იგი მუხას მიუახლოვდა, შეჩერდა, მძიმედ ამოიოხრა და წინ გადაშლილ მიდამოს ისეთნაირად გადახედა, თითქოს ფიქრობდა, რომ მთელი ბუნება ხარობს და აღტაცებულია იმ გარემოებით, რომ კაპიტანმა ბოლდუიგმა ინება და ყურადღება მოგვაქციაო. ამის შემდეგ მან მიწას ჯოხი მრავალმეტყველად დაარტყა და უფროსი მებაღე მოიხმო.

- ჰანტ! - დაუძახა კაპიტანმა ბოლდუიგმა.

- გისმენთ, სერ! - მიუგო მებაღემ.

- ხვალ დილით ეს ადგილი დატკეპნეთ, გესმით, ჰანტ?

- დიახ, სერ, - უპასუხა მებაღემ.

- იზრუნეთ, რომ ეს ადგილი წესრიგში იყოს, გესმით თუ არა, ჰანტ?

- მესმის, სერ.

- და მომაგონეთ, აქ აბრა დავკიდო საზღვრის დამრღვევების, ბრაკონიერების, სხვის მამულში მონადირეთათვის და სხვა მათგვარი ჯურის ხალხისათვის, რათა მდაბიონი არ შემოვიდნენ. გესმით თუ არა, ჰანტ? გესმით თუ არა?

- არ დამავიწყდება, სერ.

- მაპატიეთ, სერ, - დაიწყო მეორემ, ქუდს ხელი შეახო და წინ წამოდგა.

- რაო, უილკინზ, რა მოხდა? - იკითხა კაპიტანმა ბოლდუიგმა.

- მაპატიეთ, სერ, ვფიქრობ, დღეს აქ საზღვარი უკვე დაურღვევიათ.

- რაო! - წამოიძახა კაპიტანმა ბოლდუიგმა და მრისხანედ მიმოიხედა.

- დიახ, სერ. მგონი უსადილიათ კიდეც, სერ.

- ეშმაკმა დალახვროს მათი თავხედობა, მართლაც ყოფილან! - დაიქუხა კაპიტანმა ბოლდუიგმა, როდესაც ბალახზე გაფანტულ პურის ნამცეცებსა და საჭმლის ნარჩენებს მოჰკრა თვალი, - უხეთქიათ ნამდვილად აქ! ერთი მომესწრო ამ მაწანწალებისთვის, - და მსხვილ ჯოხს ხელი მოუჭირა. - ერთი მომესწრო ამ არამზადებისთვის, - რისხვით გაიმეორა კაპიტანმა ბოლდუიგმა.

- მაპატიეთ, სერ, მაგრამ...

- მაგრამ რა? - იღრიალა კაპიტანმა ბოლდუიგმა, უილკინზის მოკრძალებულ მზერას თვალი გააყოლა და პირდაპირ ურიკა და მისტერ პიკვიკი ეცა თვალში.

- ვინ ბრძანდებით, არამზადავ? - დაუყვირა კაპიტანმა და მისტერ პიკვიკს ჯოხით რამდენჯერმე მოუღიტინა, - ვინ ბრძანდებით?

- ცივი პუნში, - წაილუღლუღა მისტერ პიკვიკმა და კვლავ ღრმა ძილს მიეცა.

- რაო? - იკითხა კაპიტანმა ბოლდუიგმა.

არავითარი პასუხი.

- რაო, რა თქვა, ვინ ვარო? - იკითხა კაპიტანმა ბოლდუიგმა.

- მგონი, პანჩიო, სერ, - მიუგო უილკინზმა.

- აი, თავხედობაც ეს არის, წყეული თავხედი. თავს იკატუნებს, თითქოს სძინავს, ნამდვილად კი არ სძინავს! - მძვინვარებდა კაპიტანი ბოლდუიგი, - გალეშილი პლებეი, წაათრიეთ აქედან, ახლავე წაათრიეთ აქედან, უილკინზ, - ყვიროდა კაპიტანი.

- სად წავიყვანო, სერ? - ფრიად მოკრძალებულად იკითხა უილკინზმა.

- ჯანდაბაში, - მიუგო კაპიტანმა ბოლდუიგმა.

- ძალიან კარგი, სერ, - კვერი დაუკრა უილკინზმა და ურიკას ხელი წაავლო.

- დაიცადეთ! - ბრძანა კაპიტანმა.

უილკინზი მორჩილად შეჩერდა.

- წაათრიეთ ბაკებში და ვნახავთ, უწოდებს თუ არა თავის თავს პანჩს, როდესაც გონს მოვა. მე მას თავს აბუჩად ვერ ავაგდებინებ! არ გავამასხარავებინებ თავს! წაათრიეთ!

მისტერ პიკვიკი ამ სასტიკი ბრძანების თანახმად დაუყოვნებლივ გაიყვანეს მამულიდან, ხოლო ბრაზისგან გაბერილმა კაპიტანმა ბოლდუიგმა გზა განაგრძო.

გამოუთქმელი, ენით აუწერელი იყო ის გაოცება, როდესაც მეგობრებმა დაბრუნებისას აღმოაჩინეს მისტერ პიკვიკისა და ურიკის გაუჩინარება. ასეთი რამ ხომ თავის დღეში არ შემთხვეოდათ. გარშემო კუნჭული არ დატოვეს. ყველგან დაძებნეს, ყველამ ერთად და ცალ-ცალკე უძახეს, უსტვინეს, უყვირეს, მაგრამ ამაოდ, მისტერ პიკვიკი ვერსად ნახეს. აშკარად იყო, რომ კოჭლი ადამიანი წასულიყო და თან წაეღო ურიკაც. ეს პირდაპირ სასწაული იყო. ბოლოს, პიკვიკის რამდენიმე საათის უშედეგო ძებნის შემდეგ, გადაწყვიტეს, უიმისოდ დაბრუნებულიყვნენ სახლში.

ამასობაში მისტერ პიკვიკი კაპიტან ბოლდუიგის მსახურებმა ბაკებთან უხიფათოდ მიაგორეს და თავისი ურიკით ეზოში მოათავსეს. მარტო პატარა ბიჭების კი არა, სოფლის მოსახლეობის სამი მეოთხედის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. ისინი მისტერ პიკვიკის გარშემო თანდათანობით მოგროვდნენ და ახლა მის გამოღვიძებას უცდიდნენ. წარმოიდგინეთ მათი აღტაცება და სიხარული, როდესაც ურიკაში მჯდომმა ჯენტლმენმა რამდენჯერმე გაურკვევლად დაიბღავლა „სემ“. წამოჯდა და განცვიფრებით შეათვალიერა მის წინ გამოჭიმული სახეები.

ხალხის ერთდროული დაყვირება მისტერ პიკვიკის გამოღვიძების ნიშანი იყო. ხოლო მისმა უნებლიე შეკითხვამ: რა მოხდა? რა ამბავია? უფრო მეტი ყვირილი გამოიწვია.

- აი, სეირი, - როხროხებდა ბრბო.

- სად ვარ? - წამოიძახა მისტერ პიკვიკმა.

- ბაკებში, - მიუგო ბრბომ.

- აქ საიდან მოვედი? აქ როგორღა გავჩნდი? ვინ მომიყვანა?

- ბოლდუიგმა, კაპიტანმა ბოლდუიგმა, - ყვიროდა ხალხი.

- გამიშვით! - დაიყვირა მისტერ პიკვიკმა, - სად არის ჩემი მსახური? სად არიან ჩემი მეგობრები?

- რაო, მეგობრებიო? ვაშაა! - იყვირა ხალხმა და საცოდავი პიკვიკის თავზე სეტყვასავით წამოვიდა ბოლოკი, კარტოფილი, ბოლოს კვერცხიც და ხალხის მხიარული განწყობილების დამამტკიცებელი კიდევ სხვა პატარ-პატარა ნიშნებიც.

ძნელი სათქმელია, რამდენ ხანს გაგრძელდებოდა ეს სცენა, ანდა რამდენი ტანჯვის ატანა მოუხდებოდა მისტერ პიკვიკს, რომ ამ დროს იქ არ გამოჩენილიყო ეტლი, რომელიც სწრაფად მოქროდა. სწრაფადვე მიუახლოვდა ბაკებს და იქიდან გადმოხტნენ მოხუცი უორდლი და სემი უელერი, რომელთაგანაც პირველი უფრო ჩქარა მიიჭრა მისტერ პიკვიკთან, ვიდრე ამისი წაკითხვა თუ არა, აღწერა მაინც შეიძლებოდეს. მსახურმა მოათავსა ბატონი ეტლში სწორედ იმ დროს, როდესაც უორდლმა მოათავა მესამე და უკანასკნელი რაუნდი სამრევლოს მამასახლისთან ორთაბრძოლაში.

- გაიქეცით მსაჯულთან, - გაისმა თორმეტიოდე ხმა.

- გაიქეცით, ჰა, - დაიძახა მისტერ უელერმა და კოფოს შეახტა, - მსაჯულს ჩემი, მისტერ უელერის, მოკითხვა გადაეცით და უთხარით, რომ მე მისი სამრევლოს დარაჯი მივბეგვე და თუ

ახალ დარაჯს დააყენებს, ხვალაც ვეახლები და იმასაც ასეთსავე დღეს დავაყრი! გარეკე, მეგობარო!

- ლონდონში ჩავალ თუ არა, მაშინვე აღვძრავ საქმეს კაპიტან ბოლდუიგის წინააღმდეგ ჩემი უკანონოდ დაკავების გამო, - გამოაცხადა მისტერ პიკვიკმა, როდესაც ეტლი ქალაქს გასცილდა.

- ჩანს, მისი საზღვარი დაგვირღვევია, - შენიშნა უორდლმა.

- სულერთია, - მიუგო მისტერ პიკვიკმა, - სასამართლოში საქმეს მაინც აღვძრავ.

- არა, არ აღძრავთ, - თქვა უორდლმა.

- აღვძრავ, ვფიცავ... - მაგრამ მისტერ პიკვიკმა შეამჩნია უორდლის სახის დამცინავი გამომეტყველება, შეჩერდა და იკითხა, - რატომაც არა?

- იმიტომ, რომ, - აუხსნა მოხუცმა უორდლმა, რომელიც სიცილისგან იგუდებოდა, - შესაძლებელია, ისინი აქეთ მოგვიბრუნდნენ და ბრალი დაგვდონ, რომ ჩვენ ფრიად ბევრი ფუნჯი მივირთვით.

მისტერ პიკვიკი ცდილობდა ღიმილის შეკავებას, მაგრამ ვერ მოახერხა. ღიმილი სიცილად ექცა, სიცილი ხარხარად და ბოლოს ყველას ერთად აუვარდა ხარხარი. იმისთვის, რომ ეს მხიარული განწყობილება შეენარჩუნებინათ, პირველ გზისპირა ფუნდუკთან შეჩერდნენ და შეუკვეთეს თითო ჭიქა ბრენდი და წყალი, ხოლო მისტერ უელერისათვის ორი ჭიქა მოითხოვეს.

თავი XX

გვიამბობს, როგორი ბიზნესმენები იყვნენ დოდსონი და ფოგი, ხოლო მათი კლერკები მხიარული ხალხი იყო; აგრეთვე გვიჩვენებს, რა გულამაჩუყებელი შეხვედრა ჰქონდა მისტერ უელერს თავის დიდი ხნის დაკარგულ მშობელთან, რა რჩეულ საზოგადოებას მოეყარა თავი სასტუმრო „კაჭკაჭსა და ჯირკვში“ და რა დიდებული იქნება შემდეგი თავი

ფრიმენზ-კორტის უშორეს ბოლოში, კორნჰილში, ერთ-ერთი პირქუში და ჭუჭყიანი სახლის ქვედა სართულზე მისტერ დოდსონისა და მისტერ ფოგის ფირმის, მისი უდიდესობის სამეფო სკამის უესტმინსტერის საერთო სადავო და უმაღლესი საკანცლერო სასამართლოების ამ ორი რწმუნებულის ოთხი კლერკი იჯდა. მათ, სამუშაო საათებში, ზეცისა და მზის სინათლის დანახვის იმდენივე შესაძლებლობა გააჩნდათ, რამდენიც შეიძლება ჰქონდეს იმ ადამიანს, რომელიც ღრმა ჭაში ზის. უფრო ნაკლებიც, ვინაიდან ჭაში მსხდომ ადამიანებს შეუძლიათ ვარსკვლავები მაინც დაინახონ.

კლერკების კანტორა მისტერ დოდსონისა და მისტერ ფოგის დაწესებულებაში მოთავსებული იყო ბნელსა და ნესტიან ოთახში, რომელსაც მიწის სუნი ასდიოდა. ოთახი ხის მაღალი ტიხრით იყო გაყოფილი, კლერკები არამკითხე ცნობისმოყვარე თვალისაგან რომ დაეფარათ. გარდა ამ ტიხრისა, იქ ნახავდით ერთ წყვილ ხის ძველ სკამს, კალენდარს, ქოლგის დასადგამს, ქუდების დასაკიდებელს, საათს, რომელიც ძალიან ხმამაღლა

წიკწიკებდა და რამდენიმე თაროს, რომელზედაც ეწყო ჭუჭყიანი ქაღალდის რამდენიმე დანომრილი შეკვრა. იქ ნახავდით აგრეთვე ქაღალდისწარწერებიან რამდენიმე ფიჭვის ყუთს, რომელშიც სხვადასხვა ზომის თიხის ცარიელი ბოთლები ელაგა. მინის კარი დერეფანში გადიოდა, რომელიც, თავის მხრივ, ეზოში გასასვლელს წარმოადგენდა.

სწორედ ამ მინის კარის გარეთა მხარეს მოადგა მისტერ პიკვიკი სემის თანხლებით იმ პარასკევს, რომელიც მოჰყვა იმ ღირსშესანიშნავს ამბავს, რომელიც წინა თავში ასე მართლად არის აღწერილი.

მისტერ პიკვიკმა ფრთხილად დააკაკუნა.

- მობრძანდით, რატომ არ შემოდიხართ? - გაისმა ტიხრის მეორე მხრიდან. მისტერ პიკვიკი და სემი ოთახში შევიდნენ.

- მისტერ დოდსონი ან მისტერ ფოგი აქ ბრძანდება? - თავაზიანად იკითხა მისტერ პიკვიკმა და ქუდით ხელში ტიხრისაკენ გაემართა.

- მისტერ დოდსონი არ გახლავთ, ხოლო მისტერ ფოგი ფრიად დაკავებულია, - უპასუხა ვიღაცამ. იმწამსვე არსებამ, რომელსაც ყურში კალამი ჰქონდა გარჭობილი და რომელსაც ეს სიტყვები ეკუთვნოდა, ტიხრიდან თავი ამოყო და მისტერ პიკვიკს შეხედა. მოლაპარაკეს მეტად ულაზათო თავი ჰქონდა: მოწითალო ჭუჭყიანი თმა ორად გაეყო და პომადით გადაესლიქა. ეს თმა კუდებივით ეხვეოდა ბრტყელი სახის ირგვლივ, რომელსაც წყვილი წვრილი თვალი, ჭუჭყიანი საყელო და შავი გახუნებული ყელსახვევი ამშვენებდა.

- მისტერ დოდსონი არ გახლავთ, ხოლო მისტერ ფოგი ფრიად დაკავებულია, - ისევ გაიმეორა კაცმა.

- მისტერ დოდსონი როდის დაბრუნდება, სერ? - იკითხა მისტერ პიკვიკმა.

- ვერ გეტყვით.

- მისტერ ფოგი მალე გათავისუფლდება, სერ?

- არ ვიცი, - გაისმა პასუხად. კლერკი დიდი გულმოდგინებით შეუდგა კალმის წვერის თლას, ხოლო მეორე კაცმა, რომელიც ზეიდლიცის ხსნარს აზავებდა, მოწონების ნიშნად გაიცინა.

- მაშინ დავიცდი, - განაცხადა მისტერ პიკვიკმა და რადგან პასუხი ვერ მიიღო, დაუპატიჟებლად დაჯდა და საათის ხმამაღალ წიკწიკს და კლერკების ჩურჩულს მიუგდო ყური.

- ეს რა სეირი იყო, არა? - შენიშნა, ალბათ, წინაღამის თავგადასავლის შესახებ სპილენძისფოლაქებიან ყავისფერ სერთუკში გამოწყობილმა ჯენტლმენმა, მას მელანში ამოსვრილი ნაცრისფერი შარვალი და მაღალყელიანი, ზონრით შეკრული ფეხსაცმელი ეცვა.

- საოცრად კარგი რამ გახლდათ, საოცრად! - ჩაერია ლაპარაკში კაცი, რომელიც ზეიდლიცის ფხვნილს ხსნიდა.

- იცით, ტომ კამინზი თავმჯდომარეობდა, - თქვა ყავისფერსერთუკიანმა კაცმა, - კაი ხუთის ნახევარი გახლდათ, როდესაც მე სომერს-ტაუნში მივედი და ისე შევჭიკჭიკდი, რომ გასაღებით კარი ვეღარ გავაღე. იძულებული გავხდი, მოხუცი დედაკაცი გამეღვიძებინა, რომ შინ შევსულიყავი: მაინტერესებს, ნეტავ რას იტყოდა მოხუცი ფოგი, ეს რომ იცოდეს, სამსახურიდან დამითხოვდა, არა?

ამ სახუმარო ვარაუდზე კლერკებს ერთხმად გაეცინათ.

- ამ დილით, როდესაც ჯეკი მაღლა ქაღალდებს აწესრიგებდა, ხოლო თქვენ ორნი კი საშტამპო კანტორაში იყავით, ფოგს სეირი დაემართა. აქ იყო და წერილებს ხსნიდა, როდესაც შემობრძანდა ყმაწვილი, რომლის წინააღმდეგ საქმის აღსაძვრელად ჩვენ სასამართლოს ბრძანება გვაქვს. თქვენც ხომ იცით, რა ჰქვია მას?

- რემზი, - მიუგო კლერკმა, რომელიც პიკვიკს დაელაპარაკა.

- ჰო, რემზი, საკმაოდ გაცვეთილი კლიენტი რომ არის, აი ის, - „აბა, სერ“, - ამბობს ფოგი და მძვინვარედ შეჰყურებს, ხომ იცით, როგორ იცის მან ყურება, - „თქვენ საქმის მოსაგვარებლად მოხვედით, არა?“ - „დიახ, სერ, ამისათვის გეახელით“, - განაცხადა რემზიმ, ჯიბეში ხელი ჩაიყო და ფული ამოიღო. - „ვალი ორი გირვანქა და ათი შილინგი გახლავთ, ხოლო საქმის წარმოების ხარჯები კი - ორი გირვანქა და ხუთი შილინგი; აი ფული ინებეთ, სერ“.

მან ღრმად ამოიოხრა, როდესაც საშრობ ქაღალდში გახვეული ფული ჯიბიდან ამოიღო. მოხუცმა ფოგმა ფულს შეხედა, მერე თავისებურად ჩაახველა და მეც მაშინვე მივხვდი, რომ რაღაც მოხდებოდა. „მე ვფიქრობ, რომ თქვენ უთუოდ იცით, რომ ეს ძიებითი განცხადება საქმის ხარჯებს ზრდის?“ - ჰკითხა მას ფოგმა. - „რასა ბრძანებთ, სერ?“ - წამოიძახა რემზიმ და უკან დაიხია, - „ვადა მხოლოდ გუშინ საღამოთი გავიდა, სერ!“ - „ამის მიუხედავად, უნდა მოგახსენოთ, რომ ჩემი კლერკი უკვე წასულია განცხადების სარეგისტრაციოდ. განა მისტერ ჯეკსონი ბულმენისა და რემზის საქმის განცხადების სარეგისტრაციოდ ჯერ არ წასულა, მისტერ უიკს? „- მე, რა თქმა უნდა, ვუპასუხე: „დიახ, წავიდა-მეთქი“; ფოგმა კვლავ ჩაახველა და რემზის გადახედა. „ღმერთო ჩემო! - წამოიძახა რემზიმ, მე კი კინაღამ ჭკუაზე შევცდი, ვიდრე ამ ფულს მოვფხეკდი და სულ ამაოდ!“ „სრულიად ამაოდ, - ცივად მიუგო ფოგმა, - ასე რომ, ახლა უნდა დაბრუნდეთ, კიდევ მოფხიკოთ ფული და დროზე მოიტანოთ.“ „ღმერთს გეფიცებით, მეტი არ შემიძლია“, - დაიყვირა რემზიმ და მაგიდას მუშტი დაჰკრა. „ნუ მემუქრებით, სერ“, - წამოიძახა ფოგმა, თითქოს შეშინდაო. „არ გემუქრებით, სერ“, - მიუგო რემზიმ. „არა, თქვენ მე მემუქრებით, სერ - განაცხადა ფოგმა, - წაბრძანდით,

სერ, წაბრძანდით ამ დაწესებულებიდან და როდესაც თავის დაჭერასა და მოქცევას ისწავლით, მაშინ მობრძანდით აქ“. რემზი შეეცადა რაღაცა ეთქვა, მაგრამ ფოგმა აღარ დააცალა. მაშინ საცოდავმა კლიენტმა ფული ჯიბეში ჩაიდო და ოთახიდან გაიძურწა, კარი მიიხურა თუ არა, ფოგი ჩემკენ მობრუნდა. სახეზე ტკბილი ღიმილი უკრთოდა, როდესაც მან სერთუკის ჯიბიდან განცხადება ამოიღო. „აბა, უიკს, კები დაიჭირეთ, ტემპლში გაფრინდით და ეს ქაღალდი რეგისტრაციაში გაატარეთ. საქმის წარმოების ხარჯები უზრუნველყოფილია, ვინაიდან ეგ პატიოსანი კაცი ჩანს, წვრილი ცოლ-შვილის პატრონია, ჯამაგირი კვირაში 25 შილინგი აქვს და თუ მინდობილობის ქაღალდს მოგვცემს, რაც ბოლოს და ბოლოს მან უნდა გააკეთოს, სხვა გზა არა აქვს, მისი სამსახურის პატრონები ფულს გადაგვიხდიან. ჩვენ კი, რაც შეიძლება მეტი უნდა წავგლიჯოთ, ვინაიდან ეს ჭეშმარიტად ქრისტიანული მოქმედებაა, მისტერ უიკს. ეს ხომ საუცხოო გაკვეთილია მისთვის, დიდი ოჯახისა და მცირე შემოსავლის პატრონისათვის? მეორედ ვალში აღარ ჩაიგდებს თავს, არა?“ - და ფოგმა ისე კეთილად გაიღიმა, რომ შეხედვად ღირდა. ჩინებული ბიზნესმენია, - განაცხადა უიკსმა აღტაცებით, - ჩინებულია, არა?

დანარჩენი სამი კლერკი სულითა და გულით შეუერთდა მის აზრს და ამ ამბავმა მათ უსაზღვრო კმაყოფილება მიანიჭა.

- ჩინებული ხალხი ყოფილა აქ, სერ, - წასჩურჩულა მისტერ უელერმა თავის ბატონს, - სეირზე დიდებული წარმოდგენა ჰქონიათ, სერ.

მისტერ პიკვიკმა თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია და ჩაახველა, უნდოდა, რომ ტიხრის იქით მყოფ ახალგაზრდა ჯენტლმენებს ყურადღება მიექციათ მისთვის. კლერკებმაც, რაკი ლაპარაკით გული მოიოხეს, იკადრეს და უცხო კაცს ყურადღება მიაქციეს.

- საინტერესოა, გათავისუფლდა თუ არა ფოგი? - იკითხა ჯეკსონმა.

- წავალ და გავიგებ, - მიუგო უიკსმა და ტაბურეტიდან ზანტად ჩამოვიდა.

- როგორ მოვახსენო მისტერ ფოგს?

- პიკვიკი, - მიუგო ამ მემუარების სახელგანთქმულმა გმირმა.

მისტერ ჯეკსონი ამ დავალების შესასრულებლად კიბისკენ გაემართა. იმწამშივე დაბრუნდა და მოიტანა ამბავი, რომ მისტერ ფოგი ხუთ წუთში მიიღებდა მისტერ პიკვიკს.

- რაო, ვინა ვარო? - ჩურჩულით იკითხა უიკსმა.

- პიკვიკი, - უპასუხა ჯეკსონმა, - ბერდლისა და პიკვიკის საქმეში მოპასუხე გახლავს.

ტიხარს უკან ფეხების ბაკუნი და თავშეკავებული სიცილი გაისმა.

- თქვენ გათვალიერებენ, სერ, - წასჩურჩულა მისტერ უელერმა პიკვიკს.

- მე მათვალიერებენ, სემ? - გაიკვირვა მისტერ პიკვიკმა, - მაგითი რისი თქმა გსურთ, სემ?

მისტერ უელერმა პასუხის ნაცვლად ცერით ზურგისკენ უჩვენა. როდესაც მისტერ პიკვიკმა თავი ასწია, შეამჩნია ის სასიამოვნო ფაქტი, რომ ოთხივე კლერკს, რომელთა სახეები უდიდეს მხიარულებას გამოხატავდა, თავი გადმოეყო ტიხრიდან და გულმოდგინედ იკვლევდა მანდილოსანთა გულის მომჯადოებელსა და მათი ბედნიერების დამრღვევის აღნაგობასა და საერთო შესახედაობას. როდესაც მისტერ პიკვიკმა მაღლა აიხედა, თავების რიგი უეცრად გაუჩინარდა და ტიხრის იქითა მხარეს მაშინვე გაისმა ქაღალდზე კალმების საშინელი წრიპინი. ზარმა, რომელიც ამ დაწესებულებაში ეკიდა, უეცრად აუწყა მისტერ ჯეკსონს, რომ მას მისტერ ფოგი უხმობდა. მისტერ ჯეკსონი

უმალვე დაბრუნდა და მოახსენა მისტერ პიკვიკს, რომ ის (ფოგი), მზად იყო, მიეღო მისტერ პიკვიკი, თუკი ეს უკანასკნელი მაღლა აბრძანდებოდა.

მისტერ პიკვიკი აბრძანდა მაღლა და სემ უელერი ქვემოთ დატოვა.

მეორე სართულზე მისტერ პიკვიკმა ერთ-ერთ კარზე დიდი ასოებით ფრიად მნიშვნელოვანი წარწერა დაინახა: მისტერ ფოგი. მისტერ პიკვიკმა დააკაკუნა და მიიღო თუ არა მიწვევა, მისტერ ჯეკსონმა შიგ შეიყვანა.

- მისტერ დოდსონი აქა ბრძანდება? - იკითხა მისტერ ფოგმა.

- ეს-ეს არის მობრძანდა, - უპასუხა ჯეკსონმა.

- სთხოვეთ, მობრძანდეს.

- მესმის, სერ, - ჯეკსონი გავიდა.

- დაბრძანდით, სერ, - შესთავაზა მისტერ პიკვიკს მისტერ ფოგმა, - გაზეთს ხომ არ ინებებთ, სერ? მისტერ დოდსონი ახლავე მოვა და საქმეზე მოვილაპარაკოთ.

მისტერ პიკვიკი დაჯდა და გაზეთი აიღო. იმის ნაცვლად, რომ წაეკითხა, ის გაზეთის ზემოდან იჭყიტებოდა და საქმოსან ადამიანს ათვალიერებდა. მისტერ ფოგი ხანში შესული მამაკაცი გახლდათ. სახე მუწუკებით ჰქონდა დაფარული და ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებდა, თითქოს მხოლოდ და მხოლოდ ბოსტნეულის დიეტაზე არისო. მას შავი სერთუკი, მუქი ნაცრისფერი შარვალი და პატარა შავი გამაშები ეცვა. თავით ფეხებამდე ისეთი იერი დაჰკრავდა, თითქოს თავისი მაგიდის ხელშეუვალი ნაწილი ყოფილიყოს და მაგიდისაგან არც ჭკუითა და არც გრძნობით არ განსხვავდებოდა. ხუთი წუთის შემდეგ მსუქანი, წარმოსადეგი მრისხანე შესახედაობის დოდსონი გამოჩნდა. იგი ხმამაღლა ლაპარაკობდა.

მალე საუბარიც გაიმართა.

- მისტერ პიკვიკი გახლავს, - წარუდგინა მისტერ ფოგმა.

- აა, თქვენ ბრძანდებით მოპასუხე ბერდლისა და პიკვიკის საქმეში? - იკითხა დოდსონმა.

- მე გახლავართ, სერ, - მიუგო მისტერ პიკვიკმა.

- მაშ, ასე, სერ, რას იტყვით?

- ა, - წარმოთქვა ფოგმა, ხელები შარვლის ჯიბეში ჩაიწყო და სკამზე უკან გადაიწია, - რას იტყვით, მისტერ პიკვიკ?

- დაიცადეთ, ფოგ, - შეაწყვეტინა დოდსონმა, - გამაგებინეთ, რას იტყვის მისტერ პიკვიკი.

- მე გეახელით, ბატონებო, - მშვიდად დაიწყო მისტერ პიკვიკ-მა, - რომ გაუწყოთ ჩემი გაკვირვება, რაც მე ამ რამდენიმე დღის წინ თქვენი წერილის მიღების გამო განვიცადე და შეგეკითხოთ: რა საფუძველი გაგაჩნიათ იმისათვის, რომ ჩემ წინააღმდეგ საქ-მე აღძარით?

- საფუძველი... - ამისი თქმაღა მოასწრო ფოგმა, როდესაც მისტერ დოდსონმა იგი გააჩერა.

- მისტერ ფოგ, - განაცხადა მან, - მოლაპარაკებას ვაწარმოებ მე.

- მაპატიეთ, მისტერ დოდსონ.

- რაც შეეხება საფუძველს, სერ, - განაგრძო მისტერ დოდსონ-მა და ხმას აუწია, - თქვენ შეგიძლიათ მიმართოთ საკუთარ გრძნობებსა და საკუთარ სინდისს. ჩვენ კი ვხელმძღვანელობთ მხოლოდ ჩვენი კლიენტის განცხადებით. ეს განცხადება შესაძ-ლოა იყოს ჭეშმარიტი და შესაძლოა იყოს ყალბი. შეიძლება მას დაეჯერებოდეს და შეიძლება არ დაეჯერებოდეს. თუ ის ჭეშმარი-ტია და მას დაეჯერება, მე ერთი წუთითაც არ მეპარება ეჭვი, რომ ის ჭეშმარიტია, ვაცხადებ, რომ ჩვენი საფუძველი საქმის აღძვრისა არის მტკიცე და მისი შერყევა შეუძლებელია. შესაძ-ლოა, თქვენ უიღბლო ადამიანი ბრძანდებით, სერ, ან შეიძლება

ბოროტი ზრახვები გქონდეთ, მაგრამ მე თუ მკითხავენ თქვენი საქციელის შესახებ, შემიძლია უყოყმანოდ გამოვთქვა ჩემი აზრი, - დოდსონი წელში გაიმართა და ისეთი შესახედაობა მიიღო, თითქოს თავად ყოფილიყო შეურაცხყოფილი სათნოება. მან გადახედა ფოგს, რომელმაც ხელები შარვლის ჯიბეში უფრო ღრმად ჩაიყო, თანხმობის ნიშნად თანამოსაქმეს თავი მრავალმნიშვნელოვნად დაუქნია სრული მოწონების ნიშნად და განაცხადა: - ეს თავისთავად იგულისხმება.

- მაშ, სერ, - წარმოთქვა მისტერ პიკვიკმა და სახეზე უსაზღვრო ტანჯვა გამოეხატა, - ნება მიბოძეთ დაგარწმუნოთ, რომ რამდენადაც ეს ამ საქმეს შეეხება, მე დედამიწის ზურგზე ყველაზედ უბედური ადამიანი გახლავართ.

- ვფიქრობ, რომ მართლაც და უბედური ადამიანი ყოფილხართ, - უპასუხა დოდსონმა, - თუ თქვენ ამ საქმეში უდანაშაულო ბრძანდებით, უფრო მეტად უიღბლოც, ვიდრე შეიძლება წარმოიდგინოთ. თქვენ რას იტყვით ამაზე, მისტერ ფოგ?

- ზუსტად იმას ვამბობ, რასაც თქვენ, - მიუგო ფოგმა და უნდობლად გაიღიმა.

- სასამართლოს ბრძანება, სერ, ამ საქმის დაწყების შესახებ, - განაგრძო მისტერ დოდსონმა, - მართებულად იყო გაცემული. მისტერ ფოგ, მოიტათ წიგნი.

- ინებეთ, - მიუგო ფოგმა და მისტერ დოდსონს პერგამენტისყდიანი, ოთხკუთხა წიგნი გადასცა.

- აი, ჩანაწერი, - განაგრძო მისტერ დოდსონმა, - მიდლსექსი, მართა ბერდლი, ქვრივი. პიკვიკის წინააღმდეგ. სარჩელი 1.500 გირვანქა სტერლინგზე. რწმუნებულები (ვექილები) დოდსონი და ფოგი. 1827 წლის, აგვისტოს 28-ს. ყველაფერი რიგზეა, სერ, ჩინებულადაა, - დოდსონმა ჩაახველა და ფოგს გადახედა. იმა-

ნაც გაიმეორა „ჩინებულადააო“ და ორთავე პიკვიკს შეაჩერ-დნენ.

- მაშ, მე ისე უნდა გავიგო, - თქვა მისტერ პიკვიკმა, - რომ თქვენ ნამდვილად აპირებთ მსვლელობა მისცეთ ამ საქმეს?

- უნდა გაიგოთ? რა თქმა უნდა, სერ, - უპასუხა დოდსონმა და რამდენადაც მისი სიდიადე ამის ნებას აძლევდა, ოდნავ გაიღი-მა.

- სარჩელი 1.500 გირვანქა სტერლინგზეა. არა, სერ?

- თანაც გარწმუნებთ, რომ ჩვენს კლიენტზე გავლენის მოხდე-ნა რომ შეგვეძლოს, ეს თანხა ერთი სამჯერ კიდევ გაიზრდებო-და, სერ, - უპასუხა დოდსონმა.

- ყოველ შემთხვევაში, მე მახსოვს, რომ მისის ბერდლმა გარ-კვევით განაცხადა, - შენიშნა მისტერ ფოგმა, - რომ ის ერთ ფარ-ტინგსაც არ დაუკლებს, - და მან დოდსონს გადახედა.

- რა თქმა უნდა, - მკაცრად შენიშნა დოდსონმა, - და რადგა-ნაც თქვენ არავითარი წინადადება არა გაქვთ, სერ, - თქვა დოდ-სონმა, მარჯვენა ხელში მას პერგამენტი ეჭირა, ხოლო მარცხე-ნით თავაზიანად აჩრიდა მისტერ პიკვიკს მისი განცხადების ასლს, - ინებეთ ამ ბრძანების ასლი, დედანი კი აქ დარჩება, სერ.

- ჩინებულია, ბატონებო, ჩინებული, - წამოიძახა მისტერ პიკ-ვიკმა და აღშფოთებული წამოდგა, - თქვენ საქმე ჩემს ვექილ-თან გექნებათ, ბატონებო.

- ჩვენ თავს ბედნიერად ჩავთვლით, თუ ასე იქნება, - ხელების სრესით განაცხადა ფოგმა.

- მეტად ბედნიერად, - დაემოწმა მას დოდსონი და კარი გააღო.

- ვიდრე აქედან წავიდოდე, ბატონებო, - აღელვებით დაიწყო მისტერ პიკვიკმა და კიბის მოედანზე შეტრიალდა, - ნება მიბო-

ძეთ მოგახსენოთ, რომ ყველაზე საზიზღარსა და უსინდისო საქმეთა შორის...

- დაიცადეთ, სერ, დაიცადეთ, - ჩაურთო დოდსონმა ზრდილობიანად, - მისტერ ჯეკსონ, მისტერ უიკს.

- გისმენთ, სერ, - დაიძახა ორმა კლერკმა ქვემოდან და კიბის ბოლოში გამოჩნდნენ.

- მხოლოდ ის მინდა, რომ გაიგონოთ, რას ამბობს ეს ჯენტლმენი, - დაუძახა მათ დოდსონმა.

- გთხოვთ განაგრძოთ, სერ, უსინდისო და საზიზღარი საქმეებიო, მგონი ასე ბრძანეთ, სერ.

- დიახ, ასე ვთქვი, - განაცხადა გაცოფებულმა პიკვიკმა, - მე ვთქვი, რომ ყველაზე უსინდისო და საზიზღარ საქმეთა შორის, რომელიც ოდესმე ყოფილა, ეს ყველაზე უარესი გახლავთ, მე ამას ვიმეორებ, სერ.

- გესმით, მისტერ უიკს? - იკითხა დოდსონმა.

- თქვენ არ დაგავიწყდებათ ეს სიტყვები, მისტერ ჯეკსონ? - იკითხა ფოგმა.

- იქნება გსურთ არამზადებიც გვიწოდოთ, სერ? - იკითხა დოდსონმა, - გთხოვთ ბრძანოთ, სერ, თუკი ასე ბრძანდებით განწყობილი, გთხოვთ ბრძანოთ, სერ.

- დიახ, გიწოდებთ! - გაიმეორა მისტერ პიკვიკმა, - თქვენ არამზადები ბრძანდებით!

- ძალიან კარგი, - თქვა დოდსონმა, - იმედი მაქვს მანდ, დაბლა, თქვენ ყველაფერი გესმით, არა მისტერ უიკს?

- ო, დიახ, სერ, - უპასუხა უიკსმა.

- უმჯობესია, ერთი-ორი საფეხურით ამოიწიოთ, თუკი არ გესმით, - დაუმატა ფოგმა, - განაგრძეთ, სერ, განაგრძეთ! თქვენ იქნებ ისიც გსურთ, რომ ქურდები გვიწოდოთ, ან რომელიმე ჩვენგანს მოქმედებით მიაყენოთ შეურაცხყოფა. გთხოვთ, სერ,

გთხოვთ, ჩვენ უმცირეს წინააღმდეგობასაც კი არ გაგიწევთ, გთხოვთ, სერ!

მისტერ ფოგი მაცდურად ისე ახლოს დაუდგა მისტერ პიკვიკის მუშტს, რომ ეჭვი არ იყო, ეს ჯენტლმენი უსათუოდ შეასრულებდა მის დაჟინებულ თხოვნას, მაგრამ ამ დროს სემი, რომელმაც ყური მოჰკრა ამ კამათს, კიბეზე გამოჩნდა და თავის ბატონს მკლავში ხელი ჩაავლო.

- წამობრძანდით, სერ, წამობრძანდით. ჩოგბურთი ჩინებული თამაშია, მხოლოდ მაშინ, როდესაც თქვენ თვითონ ბურთი არა ხართ და ეს ორი ვექილი კი - ჩოგანი. წამობრძანდით, სერ, წამობრძანდით... თუ თქვენ ცემით გულის მოჯერება გნებავთ, წამობრძანდით ეზოში და მე დამარტყით, აქ კი ეს მეტად ძვირად დაგიჯდებათ, სერ.

ამ სიტყვებით მისტერ უელერმა უბოდიშოდ ჩამოიყვანა თავისი ბატონი კიბეზე, გაიყვანა ეზოდან და ორივენი უხიფათოდ აღმოჩნდნენ ქუჩაში. აქ სემი ჩამორჩა და მოემზადა უკან გაჰყოლოდა თავის ბატონს, საითკენაც ის მას გაუძღვებოდა.

მისტერ პიკვიკი დაბნეულად მიაბიჯებდა. მან ქუჩა მენშენ--ჰაუზის პირდაპირ გადაჭრა და ჩიპსაიდისაკენ გაემართა. სემს აინტერესებდა გაეგო, საითკენ მიდიოდნენ, ის იყო, კითხვაც დააპირა, რომ უეცრად მისი ბატონი მოტრიალდა და უთხრა: - სემ, მე უნდა დაუყოვნებლივ მისტერ პარკერთან წავიდე.

- ეს სწორედ ის ადგილი გახლავთ, სადაც თქვენ ჯერ კიდევ გუშინ უნდა წამობრძანებულიყავთ, სერ, - უპასუხა მისტერ უელერმა.

- მეც ასე ვფიქრობ, სემ, - დაეთანხმა მისტერ პიკვიკი.

- ნამდვილად აგრეა, სერ, - დაუმოწმა მისტერ უელერმა.

- კარგი, სემ, კარგი, - დაეთანხმა მისტერ პიკვიკი, - ჩვენ ახლავე წავალთ იქ, მაგრამ ვინაიდან, ცოტა არ იყოს, ავღელდი,

კარგი იქნებოდა, ერთი ჭიქა გროგი დამელია. სად შეიძლება იშოვოს კაცმა, სემ?

მისტერ უელერი ლონდონს კარგად და თავისებურად იცნობდა. ამიტომ მან დაუფიქრებლად უპასუხა: - გაუხვიეთ მარჯვნივ მეორე შესახვევში, შებრძანდით იმავე მხარეს მეორე სახლში ბოლოდან და დაიჭირეთ ადგილი ბუხართან. ამ ადგილას მაგიდას შუაში ფეხი არა აქვს, ეს კი ფრიად მოუხერხებელია.

მისტერ პიკვიკი ბეჯითად მიჰყვა თავისი მსახურის მითითებას და თანაც სემს უბრძანა გაჰყოლოდა მას. ორ წუთში შევიდა სამიკიტნოში, სადაც მას სასწრაფოდ მიართვეს გროგი. მისტერ უელერმა კი იმავე მაგიდაზე მოიკალათა თავისი ბატონისაგან საპატიო მანძილზე დაშორებით. წინ ერთი პინტი ლუდი ედგა.

შენობა ძალიან უბრალო იყო და აშკარად ჩანდა, რომ მეეტლეების განსაკუთრებულ წყალობას მოკლებული არ იყო, რადგან რამდენიმე პიროვნება, რომელიც სასმელს შეექცეოდა და თამბაქოს ეწეოდა, გარეგნულად ეჭვი არ იყო, ამ განათლებულ პროფესიას ეკუთვნოდა. მათ შორის ერთი, ჟღალსახიანი, სქელი, ხანში შესული კაცი, რომელიც მისტერ პიკვიკის პირდაპირ იჯდა, განსაკუთრებით იპყრობდა მის ყურადღებას. სქელი კაცი დიდი გატაცებით ეწეოდა. ერთი ექვსიოდეჯერ მოსწევდა თუ არა, ჩიბუხს, პირიდან გამოიღებდა და შეხედავდა ჯერ მისტერ უელერსა და შემდეგ მისტერ პიკვიკს, შემდეგ ნახევარკვარტიანში ჩაიფლობოდა (რამდენადაც მისი სახე ჩაეტეოდა ამ საწყავში) და თავის აწევისას კვლავ სემსა და მისტერ პიკვიკს გადახედავდა; კვლავ მოსწევდა ჩიბუხს და ღრმად დაფიქრებული კვლავ მათ გადახედავდა. ბოლოს სქელმა კაცმა ფეხები სკამზე დააწყო, ზურგით კედელს მიეყრდნო, შეუჩერებლად დაიწყო თამბაქოს მოწევა და ბოლში გახვეული ახალშემოსულებს მიაშტერდა,

თითქოს მათი სახეების რაც შეიძლება უკეთ დამახსოვრება გადაწყვიტა.

სქელი კაცის ქცევისთვის მისტერ უელერს პირველად ყურადღება არ მიუქცევია, მაგრამ თანდათანობით, როდესაც შეამჩნია, რომ მისტერ პიკვიკს თვალი წამდაუწუმ უცნობისკენ გაურბოდა, მანაც იმავე მიმართულებით დაიწყო ყურება. უცნობმა თვალი ხელით მოიჩრდილა, თითქოს მის წინ მყოფი ობიექტი ნაწილობრივ გამოიცნო და უნდოდა დარწმუნებულიყო, რომ არ ცდებოდა. უნდა ითქვას, რომ ეჭვები სქელ კაცს მალე გაეფანტა და როდესაც ჩიბუხიდან სქელი ბოლი გამოუშვა, შალებში შეფუთნილი ფართო გულიდან და ყელიდან ხრინწიანი ხმა აღმოხდა, რომელიც მუცლის გვრემას მოგაგონებდათ და ნელ-ნელა წარმოთქვა შემდეგი სიტყვები:

- ღმერთო ჩემო, სემი!

- ეგ ვინ არის, სემ? - იკითხა მისტერ პიკვიკმა.

- საკუთარ თვალებსაც კი ვერ დავუჯერებდი, - მიუგო სემმა, რომელსაც გაოცებისაგან თვალები გაშტერებოდა, - ეგ... მოხუცია.

- მოხუცი? - გაიმეორა მისტერ პიკვიკმა, - ვინ მოხუცია?

- მამაჩემია, სერ, - მიუგო მისტერ უელერმა, - როგორ ბრძანდებით, მამაჩემო? - ამ მშვენიერი მამაშვილური გრძნობებით გულაჩუყებულმა მისტერ უელერმა თავის გვერდით ადგილი დაუცალა სქელ კაცს, რომელიც ჩიბუხით პირში მის შესახვედრად წამოიწია.

- ეჰ, სემი, - თქვა მამამ, - ორ წელზე მეტია, არ მინახავხარ.

- მართალია, მოხუცო, დედინაცვალი როგორ არის?

- აი, რას გეტყვი, სემი, - მიუბრუნდა მოხუცი უელერი სემს, - ამ ჩემს მეორე ბედზე უკეთესი ქვრივი ქალი ქვეყანაზე არა ყოფილა, მეტად სათნო არსება გახლდათ. შემიძლია ვთქვა, რომ

ის უჩვეულოდ სასიამოვნო ქვრივი იყო და ფრიად სამწუხაროა, რომ თავისი მდგომარეობა შეიცვალა. სემი, ცოლად არ გამომადგა.

- როგორ თუ არ გამოდგა? - იკითხა უმცროსმა უელერმა.

უფროსმა უელერმა თავი გააქნია და უპასუხა: - ეჰ, მე მხოლოდ ერთხელ შევცდი და მეორედ ჩავიდინე, ის, რაც ერთხელ უნდა გამეკეთებინა. მხოლოდ ერთხელ შევცდი, სემი, მაგალითი მამაშენისაგან აიღე, ჩემო შვილო და მთელი შენი სიცოცხლე ქვრივებს ერიდე, განსაკუთრებით კი ისეთ ქვრივს, რომელსაც ფუნდუკი უჭირავს.

უფროსმა უელერმა თავსი პირმშო მამაშვილურად, დიდის პათოსით დაარიგა. შემდეგ ჯიბიდან რკინის კოლოფი ამოიღო, ჩიბუხი გატენა, მოუკიდა და კვლავ ენერგიულად შეუდგა თამბაქოს წევას.

- მაპატიეთ, სერ, - კარგა ხნის დუმილის შემდეგ ხელახლა დაიწყო მან და მისტერ პიკვიკს მიუბრუნდა, - ხომ არაფერი გაწყენინეთ? იმედია, ქვრივი ქალი არა გყავთ ცოლად?

- არა, არ მყავს, - სიცილით მიუგო მისტერ პიკვიკმა და ვიდრე ის იცინოდა, სემმა ჩურჩულით მოახსენა მამამისს იმ ურთიერთობის შესახებ, რომელიც მას ამ ჯენტლმენთან ჰქონდა.

- მაპატიეთ, სერ, - მიმართა მისტერ პიკვიკს უფროსმა უელერმა და ქუდი მოუხადა, - იმედი მაქვს, სემით კმაყოფილი ბრძანდებით, არა, სერ?

- დიახ, კმაყოფილი ვარ, - უპასუხა მისტერ პიკვიკმა.

- ფრიად სასიამოვნოა ამისთანა რამის მოსმენა, სერ, - მიუგო მოხუცმა, - მისი აღზრდისთვის არაფერი დამიზოგავს. ჯერ ისევ პატარა იყო სემი, როდესაც ქუჩაში მარტოკა სირბილის ნებას ვაძლევდი. თავის თავს თვითონვე უვლიდა და პატრონობდა.

მოგეხსენებათ, ეგ ერთადერთი საშუალება გახლავთ, რომ ბიჭი გამჭრიახი გამოვიდეს, სერ.

- სამაგიეროდ, მე ვიტყოდი, რომ საკმაოდ სახიფათოცაა, - ღიმილით შენიშნა მისტერ პიკვიკმა.

- და არცთუ მაინცდამაინც საიმედოც, - დაუმატა უმცროსმა უელერმა, - ამ დღეებში შესანიშნავად გამაცურეს.

- არა?! - წამოიძახა მამამ.

- დიახაც რომ გამაცურეს, - გაიმეორა შვილმა და მოკლედ უამბო მამას, თუ როგორ გააცურა ის ვერაგმა ჯობ ტროტერმა.

უფროსმა უელერმა, რომელიც ამ ამბავს დიდის გულისყურით ისმენდა, დასასრულ იკითხა: - ერთი იმ ყმაწვილთაგანი გამხდარი და მაღალია, თმა გრძელი აქვს და ენაც ბასრი, არა?

მისტერ პიკვიკმა კარგად ვერ გაიგო, რას ნიშნავდა ეს უკანასკნელი თვისება, მაგრამ რაკი პირველი გაიგო, ალალბედზე უპასუხა, „დიახო“.

- მეორე ყმაწვილი შავთმიანია, თუთისფერი ლივრეა აცვია და ძალიან დიდი თავი აქვს, არა?

- დიახ, დიახ, ისაა, - ერთხმად და სასწრაფოდ წამოიძახეს მისტერ პიკვიკმა და სემ უელერმა.

- მაშ, მე მცოდნია, სადაც არიან ისინი, მორჩა და გათავდა, - განაცხადა უფროსმა უელერმა, - ისინი იპსუიჩში არხეინად და უვნებლად ბრძანდებიან.

- ნუთუ მართლა! - წამოიძახა მისტერ პიკვიკმა.

- ფაქტია, - განაგრძო მისტერ უელერმა, - და ახლავე მოგახსენებთ როგორ გავიგე. ერთ-ერთი ჩემი მეგობრის მაგივრად ხანდახან იპსუიჩის საფოსტო ეტლზე ვმუშაობ. იმ ღამის მეორე დღესაც, როდესაც თქვენ ქარების შეტევა მოგივიდათ, ეტლზე მე ვიყავი და ჩემს ფორდის სასტუმროში, „შავტუხა ყმაწვილში“, მე თვითონ ჩავსვი ისინი ეტლში და ჩემი ეტლით წავიყვანე იპსუიჩ-

ში. მსახურმა, აი, იმ თუთისფერ ლივრეაში გამოწყობილმა ყმაწ-ვილმა მითხრა, რომ იქ დიდხანს აპირებენ დარჩენას.

- მე გამოგყვებით, - წამოიძახა მისტერ პიკვიკმა, - თუ სხვაგან დავდივართ, რატომ იპსუიჩში არ შეიძლება, რომ წავიდეთ?

- მამაჩემო, ნამდვილად კი ხარ დარწმუნებული, რომ ისინი იყვნენ? - იკითხა უმცროსმა უელერმა.

- ო, ნამდვილად, სემი, ნამდვილად, - უპასუხა მამამ, - ჯერ ერ-თი, რაღაც უცნაური ხალხია, მეორეც - მე ფრიად გამაკვირვა იმ გარემოებამ, რომ მსახური თავის ბატონთან მეტად გაშინაურე-ბულია. გარდა ამისა, როდესაც ისინი კოფოს უკან ისხდნენ, მშვენივრად გავიგონე, როგორ იცინოდნენ და ტრაბახობდნენ, რა ოსტატურად გავაცურეთ ის ბებრუხანაო.

- ბებრუხანაო? - გაიმეორა მისტერ პიკვიკმა.

- დიახ, ბებრუხანაო, სერ! ეჭვიც კი არ მეპარება, რომ თქვენ გგულისხმობდნენ, სერ.

უნდა მოგახსენოთ, რომ თუმცა ამ სიტყვაში საზიზღარი და ბოროტი არაფერია, მაგრამ ჭეშმარიტად პატივსაცემი, საქები ან თავმოსაწონებელიც არაფერი გახლავთ. ყველა იმ ბოროტება-თა მოგონება, რაც ჯინგლისაგან მისტერ პიკვიკს ხვდა, სწორედ იმ მომენტისათვის, როდესაც მისტერ უელერი ლაპარაკობდა, ისედაც მძიმე ლოდად აწვა მის გულს და საჭირო იყო ერთი წვე-თი, რომ მოთმინების ფიალა ავსებულიყო. ასეთი წვეთი გახ-ლდათ ამჟამად სიტყვა „ბებრუხანა“.

- მე წამოგყვებით, - წამოიძახა მისტერ პიკვიკმა და მაგიდას მუშტი დაჰკრა.

- იპსუიჩს მე ზეგ მივდივარ, სერ, - განაცხადა უფროსმა უელერმა, - უაიტჩეპელის „ხარიდან“. თუ თქვენ წასვლას მარ-თლა აპირებთ, უმჯობესია, ჩემი ეტლით იმგზავროთ.

- რა თქმა უნდა, - დაეთანხმა მისტერ პიკვიკი, - სწორედ რომ უმჯობესია. მე ბერიში ჩემს მეგობრებს წერილით შევატყობინებ და ისინიც იპსუიჩში შემხვდებიან... რად ჩქარობთ, მისტერ უელერ? მიირთვით რამე!

- თქვენ მეტად კეთილი ბრძანდებით, სერ, - მიუგო მისტერ უელერმა და მაშინვე შეჩერდა, - იქნება მართლაც თითო ჭიქა ბრენდი დაგველია. თქვენი სადღეგრძელო, სერ, და სემის წარმატებისა. არ გვაწყენდა, არა, სერ?

- ჭეშმარიტად, არა, - მიუგო მისტერ პიკვიკმა. - აბა მოიტათ ბრენდი! - ბრძანა მისტერ პიკვიკმა.

ბრენდი მოიტანეს. მისტერ უელერმა მისტერ პიკვიკს თავი მოწიწებით დაუკრა, სემს კი მხოლოდ ოდნავ დაუქნია და სასმელს ისე სწრაფად გადაუძახა თავის ფართო ხახაში, თითქოს მთელი ჭიქა კი არა, სათითური ყოფილიყოს.

- ყოჩაღ, მამაჩემო, - შეაქო სემმა, - მაგრამ ფრთხილად იყავი, თორემ შენი ძველი ტკივილი, ნიკრისის ქარი გაგიხსენებს.

- სემი, მე ნიკრისის ქარის უებარ წამალს მივაგენი, - უპასუხა მისტერ უელერმა და ჭიქა დადგა.

- ნიკრისის ქარის უებარი წამალი? - იკითხა მისტერ პიკვიკმა და უბის წიგნაკი მოიმარჯვა. - რა იცით?

- ნიკრისის ქარი, სერ, - უპასუხა მისტერ უელერმა, - ისეთი ავადმყოფობა გახლავთ, რომელიც ადამიანს მეტისმეტი ფუფუნებისა და კეთილი ცხოვრებისაგან ემართება. თუ ოდესმე ნიკრისის ქარმა შეგიპყროთ, სერ, შეირთეთ ქვრივი ქალი, რომელსაც წვრილი ხმა ექნება და ამ ხმის გამოყენების კარგი უნარიც და შეტევა არასოდეს გაგიმეორდებათ. ეს უებარი წამალი გახლავთ, სერ. მე სისტემატურად ვიღებ და შემიძლია დაგარწმუნოთ, სერ, რომ ყოველნაირი ავადმყოფობისთვის, რაც კი მეტისმეტი მხიარულებისაგან არის გამოწვეული, უებარია.

იმის შემდეგ, რაც მან ეს ძვირფასი საიდუმლოება მისტერ პიკვიკსა და სემს გაუმჟღავნა, უფროსმა უელერმა ერთხელ კიდევ გამოცალა ჭიქა, თვალები დაახამხამა, ღრმად ამოიოხრა და სამიკიტნოდან ნელა გავიდა.

- აბა, სემ, რას იტყვით იმის შესახებ, რაც თქვენმა მამამ გვითხრა? - ღიმილით მიუბრუნდა მისტერ პიკვიკი სემს.

- რას ვიტყვი, სერ? - გაიმეორ მისტერ უელერმა, - მე იმას ვიტყვი, რომ მამაჩემი უბედური ოჯახური ურთიერთობის მსხვერპლია, როგორც ამას „ლურჯწვერას“ კარის მღვდელი ამბობდა, როდესაც მის დაკრძალვაზე გულაჩუყებული ღვრიდა ცრემლებს.

ამ მეტისმეტად დროულ დასკვნაზე მისტერ პიკვიკმა არაფერი უპასუხა და ანგარიშის გასწორების შემდეგ პირდაპირ გრეის-ინისკენ გაემართა. როდესაც მან ამ გრეის-ინის განმარტოებულ ბაღებს მიაღწია, საათმა უკვე რვაც დაჰკრა. ტალახში ამოსვრილმა მაღალყელიანმა ფეხსაცმელებმა, ჭუჭყიანმა თეთრმა ქუდებმა და გახუნებულ ტანსაცმელში გამოწყობილი ხალხის უწყვეტმა ტალღამ, რომელიც გასასვლელისაკენ მიემართებოდა, აუწყა მას, რომ დაწესებულებათა უმრავლესობას მუშაობა დაემთავრებინა.

მისტერ პიკვიკმა ჭუჭყიანი კიბის ორიოდე საფეხური აიარა და დარწმუნდა, რომ მისი შიში გამართლდა. მისტერ პარკერის „სადარბაზო კარი“ დაკეტილი იყო და სამარისებური სიჩუმე, რომელიც სემის განმეორებულ კაკუნს მოჰყვა, ადასტურებდა, რომ მოსამსახურენი სამუშაო დღის დამთავრების შემდეგ დაშლილიყვნენ.

- სამწუხაროა, სემ, - შესჩივლა მას მისტერ პიკვიკმა, - მაგრამ ერთი წუთითაც ვერ მოვისვენებ, ვიდრე არ დავრწმუნდები, რომ ჩემი საქმე მცოდნე კაცს ჩავაბარე.

- აგერ, ვიღაც მოხუცი ქალი ამოდის კიბეზე, სერ, - მიუგო მისტერ უელერმა, - იქნებ მან იცის, სად შეიძლება ვნახოთ ვინმე. გამარჯობათ, ლედი, ვერ გვეტყვით, სად არიან მისტერ პარკერის კლერკები?

- მისტერ პარკერის კლერკები? - გაიმეორა გამხდარმა, საცოდავმა დედაბერმა, რომელიც კიბეზე ამოსვლისას სულის მოსათქმელად შეჩერდა, - მისტერ პარკერის კლერკები უკვე წასულები არიან. მე კანტორის დასალაგებლად მოვედი.

- თქვენ, მისტერ პარკერის მსახური ბრძანდებით? - იკითხა მისტერ პიკვიკმა.

- არა, მე მისტერ პარკერის მრეცხავი გახლავართ, - აუხსნა მოხუცმა ქალმა.

- ოჰ, - ჩუმად უთხრა მისტერ პიკვიკმა სემს, - რა უცნაური ამბავია, სემ, რომ ამ სადგომში დედაბრებს მრეცხავებს ეძახიან. მაინტერესებს, ნეტავ რატომ ხდება ასე?

- უთუოდ იმიტომ, რომ რეცხვა სიკვდილივით ეჯავრებათ, მე ასე ვფიქრობ, სერ, - მიუგო სემმა.

- საკვირველი არაფერია, - შენიშნა მისტერ პიკვიკმა და დედაბერს გადახედა. თვით მრეცხავი ქალის და იმ კანტორის შესახედაობა, რომელიც მან გააღო, ნათლად ამჟღავნებდა წყლისა და საპნის აშკარა სიძულვილს.

- კეთილო ქალო, არ იცით, სად შეიძლება მისტერ პარკერის ნახვა?

- არა, არ ვიცი, - ჩახლეჩილი ხმით მიუგო მოხუცმა დედაკაცმა, - ახლა ქალაქში სულაც არ უნდა იყოს.

- სამწუხაროა, - ჩაილაპარაკა მისტერ პიკვიკმა, - ხომ არ იცით, სად არის მისი კლერკი?

- ცოდნით კი ვიცი, მაგრამ მადლობას როდი მეტყვის, იმისათვის, რომ ამას თქვენ გაგაგებინებთ, - მიუგო მოხუცმა ქალმა.

- ძალიან საჭირო საქმე მქონდა, - განაგრძო მისტერ პიკვიკმა.

- არ შეიძლება დილამდის გადადოთ თქვენი საქმე? - იკითხა დედაკაცმა.

- არა, არ ივარგებს, - უპასუხა მისტერ პიკვიკმა.

- მაშინ, - დაიწყო მოხუცმა დედაკაცმა. - რაკი მეტად საჭირო და მნიშვნელოვანი საქმე გქონიათ, მე ნაბრძანები მაქვს გითხრათ, სადაც არის. იმედი მაქვს, ამით არც არაფერი დაშავდება. წაბრძანდით „კაჭკაჭსა და ჯირკვში“ და იქ ბუფეტში იკითხეთ მისტერ ლაუტენი და თქვენც პირდაპირ მიგიყვანენ მასთან. ეს კაცი იქნება მისტერ პარკერის კლერკი.

მიიღეს თუ არა მითითება და გაიგეს, რომ სასტუმრო, რომელიც მათ ესაჭიროებოდათ, კლერ-მარკეტის ახლოს იყო და ნიუინის უკანა ფასადს ეკვროდა, მისტერ პიკვიკი და სემი მარჯვედ ჩამოვიდნენ კიბიდან, რომელიც ძალიან ირყეოდა და „კაჭკაჭისა და ჯირკვის“ საძებნელად გაემართნენ.

ამ სახელგანთქმულ ტავერნას, რომელიც მისტერ ლაუტენისა და მისი მეგობრების ღამის ღრეობის წმიდათაწმიდა სამყოფელს წარმოადგენდა, მდაბიო ხალხი სამიკიტნოს ეძახდა. სამიკიტნოს პატრონი ფულის მოყვარული კაცი გახლდათ. ამას მოწმობდა ის ამბავიც, რომ დასალევი დარბაზის ფანჯრებს ქვემოთ პატარა მინაშენი, რომელიც მოყვანილობითა და ზომით პორტშეზს წააგავდა, მან მეჯღანეს მიაქირავა; ხოლო მისი კაცთმოყვარე ბუნება ნათლად ჩანდა იმ გარემოებიდან, რომ იგი მფარველობდა ნამცხვრით მოვაჭრეს, რომელიც ზედ მის შესასვლელ კართან ასაღებდა თავის საქონელს. ქვემო ფანჯრებში, რომ-

ლებსაც ზაფრანისფერი ფარდები ამშვენებდა, ქანაობდა ორი თუ სამი დაბეჭდილი რეკლამა: განცხადება დევანშირის ვაშლის, ბუხარასა და დანციგის ლუდზე. ხოლო დიდი, შავი დაფა თეთრი ასოებით აუწყებდა განათლებულ საზოგადოებას, რომ ამ დაწესებულების სარდაფებში ინახებოდა ლუდის 500 000-მდე კასრი, რომელიც წამკითხველის გონებაში არცთუ უსიამოვნო ეჭვსა და უნდობლობას იწვევდა იმ ზუსტი მიმართულების შესახებ, საითაც მიწის წიაღში უნდა გადაჭიმულიყო ეს ვეებერთელა გამოქვაბული. თუ ამას დავძენთ, რომ ავდრისაგან შელახულ აბრაზე ეხატა კაჭკაჭის მსგავსი ნახევრად წაშლილი რამ, რომელიც ყავისფერი საღებავის მრუდე ზოლს მისჩერებოდა, რომელსაც მეზობლები ბავშვობიდან „ჯირკვს“ ეძახდნენ, სრულად წარმოგვიდგება ამ შენობის გარეგნული სახე.

როდესაც მისტერ პიკვიკი სახლთან მივიდა, ტიხართან მდედრობითი სქესის მოხუცი ადამიანი გამოჩნდა და მის წინ წარდგა.

- მისტერ ლაუტენი აქა ბრძანდება, ქალბატონო? - იკითხა მისტერ პიკვიკმა.

- დიახ, აქა ბრძანდება, სერ, - მიუგო დიასახლისმა, - ჰეი, ჩარლი, ეს ჯენტლმენი მისტერ ლაუტენთან შეიყვანეთ.

- ჯენტლმენი ჯერ ვერ შებრძანდება იქ, - უპასუხა წითელთავა ტლანქმა მსახურმა, - მისტერ ლაუტენი სახუმარო სიმღერას ამბობს და ესენი ხელს შეუშლიან, მაგრამ ჩქარა დაამთავრებს, სერ.

ძლივს მოასწრო წითელთავა მსახურმა ამ სიტყვების თქმა, რომ სიმღერაც დასრულდა. გაისმა ჭიქების წკრიალი და მაგიდაზე მუშტების ერთსულოვანი დარტყმა. მისტერ პიკვიკმა ურჩია სემს, თავი ბუფეტში ენუგეშებინა და თვითონ მსახურს გაჰყვა მისტერ ლაუტენთან.

მოახსენეს თუ არა მისტერ ლაუტენს, ვიღაც ჯენტლმენს თქვენი ნახვა სურსო, ერთმა სახეშეშუპებულმა ახალგაზრდამ, რომელსაც მაგიდასთან თამადის ადგილი ეკავა, გაკვირვებით გაიხედა იქითკენ, საიდანაც ეს ხმა მოესმა და ასევე გაოცებით მიაჩერდა პიროვნებას, რომელიც მას არასოდეს ენახა.

- მომიტევეთ, სერ, - დაიწყო მისტერ პიკვიკმა, - ვწუხვარ, რომ სხვა ჯენტლმენებსაც ვაწუხებ, მაგრამ მეტად საჭირო საქმის გამო გიახელით და, თუ ნებას მომცემთ, ხუთი წუთით შევაჩერო თქვენი ყურადღება ამ საქმეზე სადმე კუთხეში, ფრიად დავალებული დავრჩები. სახეშეშუპებული ახალგაზრდა კაცი წამოდგა, ოთახის ყველაზე ჩაბნელებული კუთხისაკენ მისწია სკამი და ყურადღებით მოისმინა მისტერ პიკვიკის გასაჭირი.

- ჰმ, - წარმოთქვა მან, როდესაც მისტერ პიკვიკმა დაასრულა თავისი ამბავი, - დოდსონი და ფოგი საქმეს კარგად აკვარახჭინებენ. ჩინებული ბიზნესმენები არიან, ეგ დოდსონი და ფოგი, სერ.

მისტერ პიკვიკი დაეთანხმა, რომ დოდსონი და ფოგი ჩინებული ბიზნესმენები იყვნენ, ლაუტენმა კი განაგრძო:

- მისტერ პერკერი ახლა არ არის ქალაქში და მომავალი კვირის ბოლომდე არც იქნება, მაგრამ თუ თქვენ გსურთ მას მიანდოთ თქვენი ინტერესების დაცვა, დამიტოვეთ ასლი და მე დავამზადებ ყველაფერს, რაც საჭირო იქნება მის ჩამოსვლამდე.

- თქვენთან სწორედ ამისათვის გეახელით, - გამოუტყდა მისტერ პიკვიკი და დოკუმენტი გადასცა, - ამ ხნის განმავლობაში თუ რაიმე მნიშვნელოვანი მოხდა, გთხოვთ იპსუიჩის ფოსტაში შემატყობინოთ.

- კეთილი და პატიოსანი, - მიუგო პერკერის კლერკმა და, როდესაც შეამჩნია, რომ მისტერ პიკვიკი ინტერესით ათვალიერებდა მაგიდას, დაუმატა:

- იქნებ შემოგვიერთდეთ, თუნდაც ნახევარი საათით? ამაღამ აქ შესანიშნავი საზოგადოებაა თავმოყრილი: „სემკინისა და გრინის“ უფროსი კლერკია, „სმიტერსისა და პრაისის“ კანცელარიის გამგე, „პიმკინისა და ტომასის“ საქმის მწარმოებელი, რომელიც ჩინებულად მღერის. ჯეკ ბემბერიც აქ გახლავთ და კიდევ ბევრი ხალხია. თქვენ, მგონი, ქალაქგარეთ იყავით და ახლა ჩამობრძანდით, არა? იქნებ ინებოთ და შემოგვიერთდეთ?

მისტერ პიკვიკმა ცდუნებას ვეღარ გაუძლო და ვეღარა თქვა უარი ადამიანთა ბუნების შესწავლის ამ შესანიშნავ შემთხვევაზე. იგი დათანხმდა და მას შემდეგ, რაც სათანადო პატივით წარუდგინეს საზოგადოებას და თავმჯდომარის გვერდით სკამი შესთავაზეს, თავისი საყვარელი სასმელი შეუკვეთა. ჩამოვარდა სამარისებური სიჩუმე, რასაც მისტერ პიკვიკი სრულიად არ მოელოდა.

- იმედი მაქვს, თქვენ ეს არ გაწუხებთ, - მიმართა მისტერ პიკვიკს მარჯვნივ მჯდომმა მეზობელმა, რომელსაც უჯრედებიანი ხალათი ეცვა და მოზაიკით ნაკეთები საკინძი ეკეთა. ჯენტლმენი სიგარას ეწეოდა.

- სრულიადაც არა, - მიუგო მისტერ პიკვიკმა, - ძალიან მომწონს, თუმცა მე თვითონ არ ვეწევი.

- სამწუხაროდ, საკუთარ თავზე არ შემიძლია იგივე გავიმეორო, - ჩაერია ახლა მეორე ჯენტლმენი, რომელიც მის პირდაპირ იჯდა. თამბაქო ჩემთვის სასმელ-საჭმელიცაა და ადგილ-მოსასვენებელიც. მისტერ პიკვიკმა გადახედა მას და გაიფიქრა, რომ უკეთესი იქნებოდა თამბაქო მისთვის აბანოც ყოფილიყო.

კვლავ სიჩუმე ჩამოვარდა. აშკარად იგრძნობოდა, რომ მისტერ პიკვიკი უცხო იყო და მისმა მოსვლამ, იქ შეკრებილ საზოგადოებას თითქოს ცივი წყალი გადაასხა.

- მისტერ გრანდი აპირებს თავისი სიმღერით საზოგადოებას პატივი სცეს, - გამოაცხადა თამადამ.

- არა, ამას არ აპირებს, - შენიშნა მისტერ გრანდიმ.

- რატომ არა? - იკითხა თამადამ.

- იმიტომ, რომ არ შეუძლია, - მიუგო მისტერ გრანდიმ.

- უკეთესი იქნებოდა გეთქვათ, რომ მას არ უნდა, - არ ცხრებოდა თამადა.

- რაკი აგრეა, მას არ უნდა, - მოუჭრა მისტერ გრანდიმ.

მისტერ გრანდის მკვახე უარმა, საზოგადოებისთვის თავისი სიმღერით სიამოვნება მიენიჭებინა, ხელახალი დუმილი ჩამოაგდო.

- ნუთუ არავინ გაგვამხიარულებს? - სევდიანად ჩაილაპარაკა თამადამ.

- რატომ თქვენ თვითონ არ გამხიარულდებით, თამადავ? - იკითხა მაგიდის ბოლოდან ერთმა ბაკენბარდებიანმა, ელამმა ახალგაზრდამ, რომელსაც გადაღეჭილი ჭუჭყიანი პერანგი მოუჩანდა.

- მოისმინეთ, მოისმინეთ, - დაიძახა მოზაიკის სამკაულებიანმა ჯენტლმენმა, რომელიც სიგარას ეწეოდა.

- მე მხოლოდ ერთი სიმღერა ვიცი, რომელიც ერთხელ უკვე ვთქვი ამ საღამოთი და მოგეხსენებათ ორჯერ ერთი და იმავე სიმღერის თქმა მშვენიერი საბაბია ჯარიმის გადასახდელად! კვლავ სიჩუმე გამეფდა.

- ამ საღამოთი, ბატონებო, - დაიწყო მისტერ პიკვიკმა, და მას იმედი მიეცა, რომ ისეთ თემას შეეხო, რომლის განხილვაში ყველა დამსწრეს შეეძლო მონაწილეობა, - მე ისეთ ადგილას გახლდით, რომელსაც, ეჭვგარეშეა, ყველა ჩვენგანი კარგად იცნობს, მაგრამ მე თვითონ კი რამდენიმე წლის განმავლობაში იქ არ ვყოფილვარ და ძალიან ცუდადაც ვიცნობ. მე ვლაპარაკობ

გრეის-ინზე, ბატონებო, ეს ძველებური ინები ფრიად უცნაური და საინტერესო მოვლენაა ისეთ ვეებერთელა ქალაქში, როგორიც ლონდონი გახლავთ.

- იუპიტერს ვფიცავ, - წასჩურჩულა თავმჯდომარემ მისტერ პიკვიკს, - თქვენ ისეთ თემას შეეხეთ, რომ ერთ-ერთი ჩვენგანი ნებისმიერ შემთხვევაში მზად არის, დილამდე ილაპარაკოს. თქვენ მოხუცს ბემბერს ენას აადგმევინებთ. არავის გაუგონია, მას ინების გარდა სხვა რამეზე ელაპარაკოს. თვითონაც იმდენ ხანს ცხოვრობდა მანდ, ვიდრე ნახევრად არ შეირყა ჭკუაზე.

სუბიექტი, რომელზედაც მისტერ ლაუტენი ლაპარაკობდა, გახლდათ პატარა ჩია, ყვითელი მამაკაცი. მას აწურული მხრები ჰქონდა და სანამ ჩუმად იყო, მისტერ პიკვიკმა მისი სახე ვერ გაარჩია, ვინაიდან მისტერ ბემბერი, როცა არ ლაპარაკობდა, ჩვეულებრივ წინ წახრილი იჯდა ხოლმე. როდესაც მოხუცმა დაღარული სახე მაღლა ასწია და ნაცრისფერი, გამჭრიახი და გამომცდელი თვალებით მისტერ პიკვიკს შეაჩერდა, მისტერ პიკვიკს ფრიად გაუკვირდა, რომ ასეთი შესანიშნავი სახის ნაკვთები მას თუნდაც ერთი წუთითაც გამოეპარა მხედველობიდან. მოხუცი ჯეკ ბემბერი ნიკაპით გრძელ გაძვალტყავებულ ხელს დაყრდნობილი ჩუმად იჯდა; მას საოცრად გრძელი ფრჩხილები ჰქონდა და სახიდან ნაძალადევი, პირქუში ღიმილი არ სცილდებოდა.

როდესაც მან თავი გვერდზე გადახარა და ბანჯგვლიანი წარბები და გამჭრიახი მზერა ისროლა, მის გამომეტყველებაში გამოჩნდა თავისებური ველური ეშმაკობა, რომელიც არასასიამოვნო შთაბეჭდილებას ტოვებდა.

მოხუცი ბემბერი წამოდგა და სიტყვების შეუწყვეტელ ნიაღვრად იქცა. ვინაიდან ეს თავი გრძელი გახლავთ, ხოლო მოხუცი კი შესანიშნავი პიროვნება, უფრო საპატიო იქნება მის მიმართ

და უფრო მიზანშეწონილიც ჩვენთვის, რომ მან თვითონ ილაპარაკოს ახალ თავში.

თავი XXI

მოხუცმა საყვარელ თემას მიაგნო და საზოგადოებას უცნაური კლიენტის ამბავს მოუყვა

- მაშ, - დაიწყო მოხუცმა, რომლის შესახედაობისა და ქცევის მოკლე აღწერით მთავრდება წინა თავი, - აბა, ვინ ლაპარაკობდა ინებზე?

- მე, სერ, - გამოეხმაურა მისტერ პიკვიკი, - მე ვამბობდი რა თავისებური ადგილებია ეს ძველთაძველი ინები-მეთქი.

- თქვენ? - ზიზღით წარმოთქვა მოხუცმა, - რა იცით თქვენ იმ დროის შესახებ, როდესაც ახალგაზრდები ამ განმარტოებულ ოთახებში ჩაიკეტებოდნენ და ღამით, საათობით კითხულობდნენ და კითხულობდნენ? იმდენ ხანს კითხულობდნენ, ვიდრე ღამის მეცადინეობით გონება არ დაუბნელდებოდათ და სულიერი ძალა არ გამოელეოდათ. კითხულობდნენ იმდენს, რომ დილის შუქსა და სინათლეს უკვე აღარ შეეძლო მოეტანა მათთვის ხალისი და ჯანმრთელობა. ისინი კი ახალგაზრდულ ჯანსა და ღონეს უგუნურად სწირავდნენ ძველსა და მშრალ წიგნებს. რა იცით თქვენ იმ ადამიანების შესახებ, რომლებიც სწორედ იმ ოთახებში თანდათანობით იფერფლებოდნენ ჭლექით, ანდა თავაშვებული ცხოვრებისა და აღვირახსნილობისგან სწრაფად ეთხოვებოდნენ წუთისოფელს... როგორ ფიქრობთ, რამდენი ადამიანი მოსულა ასეთ ინში, ამაოდ უთხოვია შეწყალება და ვექილების კანტორიდან გაბრუნებულს, სასოწარკვეთილს სასუფეველი ტემზაში დაუმკვიდრებია, ანდა თავშესაფარი საპყრობი-

ლეში უძებნია. არა, ეს არ გახლავთ ჩვეულებრივი სახლები! ამ სახლის პანელით აკრულ ძველ კედლებში არ არის არც ერთი ფიცარი, რომელსაც ლაპარაკის უნარი და მეხსიერება რომ გაა-ჩნდეს, არ შეეძლოს რაიმე საშინელი ამბავი მოგიყვეთ, ეს მარ-თლაც და ცხოვრების რომანტიკა გახლავთ, სერ, ცხოვრების რომანტიკა! შესაძლოა ახლა ამ სახლებში არაფერი იყოს ღირ-სშესანიშნავი, მაგრამ მერწმუნეთ, რომ ეს ძველთაძველი და უც-ნაური სახლებია, სერ! მე მირჩევნია მრავალი შიშისმომგვრელი და შემაძრწუნებელი ლეგენდა მოვისმინო, ვიდრე ამ სახლების რომელიმე ბინის ნამდვილი ამბავი.

მოხუცის ეს მოულოდნელი აღელვება, აღგზნება და თვითონ საუბრის საგანი იმდენად უცნაური იყო, რომ მისტერ პიკვიკმა პასუხი ვეღარ მოახერხა. მოხუცმა მღელვარება შეიკავა, მას კვლავ გადაუარა სახეზე მწარე ღიმილმა, რომელიც მგზნებარე სიტყვის დროს დროებით გამქრალიყო და კვლავ დაიწყო.

- აბა, ახლა უფრო სხვა მხრივ შეხედეთ ამ სახლებს, უფრო ჩვეულებრივი თვალით და ნაკლებრომანტიკულად. რა ჩინებუ-ლი და შესანიშნავი ადგილებია ნელი ტანჯვა-წამებისთვის! ააბა, წარმოიდგინეთ ის უბედური, რომელმაც ყველაფერი გაფლანგა, გაღატაკდა, მეგობრებიც გააჩანაგა და ხელი მიჰყო ისეთ ხელო-ბას, რომელიც ნამცეც პურს არასოდეს მოუპოვებს. ლოდინი... იმედი... გულგატეხილობა... შიში... დარდი და ჯავრი... სიღატა-კე... იმედის დაკარგვა და კარიერის დასასრული... შესაძლოა თვითმკვლელობა ან კიდევ უზომო ლოთობა! განა მე სიმარ-თლეს არ მოგახსენებთ? - მოხუცმა მოისრისა შუბლი და კვლავ გაიღიმა, თითქოს გაუხარდა, რომ საყვარელი თემის ახლებუ-რად გაშუქება შეიძლო.

მისტერ პიკვიკი მოხუცს დიდი ცნობისმოყვარეობით ათვა-ლიერებდა, დანარჩენები კი დუმდნენ და იღიმებოდნენ.

- ლაპარაკობენ გერმანიის უნივერსიტეტებზე... სისულელეა, - განაგრძო მოხუცმა, - ხშირად აქაც საკმაოდ ბევრია რომანტიკა. ამაში რომ დარწმუნდეთ, ნახევარი მილის გავლაც არ დაგჭირდებათ, ოღონდ ეს არავის მოსვლია თავში.

- ამ რომანტიკაზე მართლაც რომ არასოდეს დავფიქრებულვარ, - გამოტყდა მისტერ პიკვიკი და გაიცინა.

- რა თქმა უნდა, არ დაფიქრებულხართ, - დაეთანხმა მას ჩია მოხუცი, - რა თქმა უნდა. ერთ ჩემს მეგობარს არაერთხელ უკითხავს ჩემთვის, რა არის მაინც ამ სახლების უცნაურობაო. უცნაური, ძველთაძველი სახლები, - ვეტყოდი მე. - სულაც არა, - მიპასუხებდა ის. - განმარტოებულნი, - ისევ ვეტყოდი მე. - სრულიადაც არა, - მიპასუხებდა ის. ერთ მშვენიერ დღეს მას სახლიდან გამოსვლა განუსაზღვრავს და როდესაც კარს აღებდა, დამბლა დასცემია და მოულოდნელად გარდაცვლილა, საწყალი წერილების ყუთზე დაცემულა და წელიწად-ნახევარი ასე წოლილა. ხალხს კი ჰგონებია, ქალაქიდან გავიდაო.

- მერედა, როგორღა იპოვეს?

- ბენჩერებს კარის შემტვრევა გადაუწყვეტიათ, რადგან ორი წელი ქირა არ გადაეხადა. ასეც მოიქცნენ. კლიტე გატეხეს და როდესაც მსახური კარს აღებდა, მტვრით დაფარულ ლურჯ ფრაკში, მოკლე შარვალსა და აბრეშუმის წინდებში გამოწყობილი ჩონჩხი ზედ თავზე დაეცა. უცნაურია, ფრიად უცნაური, არა? - ჩია მოხუცმა კიდევ უფრო გვერდზე გადახარა თავი და ენით უთქმელი სიამოვნებით მოისრისა ხელები.

- მე ერთი სხვა შემთხვევაც ვიცი, - დაიწყო კვლავ მოხუცმა, როდესაც ხითხითი შეწყვიტა, - ეს ამბავი კლიფორდს-ინში მოხდა. ერთი სახელგატეხილი მობინადრე, რომელიც ზემო სართულზე ცხოვრობდა, საწოლი ოთახის კედლის კარადაში ჩაიკეტა და თავი მოიწამლა. ინის უფროსმა გადაწყვიტა მობინადრე

გაქცეულაო, ბინა გააღებინა და განცხადება გამოკიდა, ქირავ-დებაო. მოვიდა სხვა მდგმური, ოთახები დაიქირავა, მოაწყო და დადგა კიდეც იქ საცხოვრებლად. როგორღაც ვერ ისვენებდა: მის თვალს ძილი არ ეკარებოდა. - „უცნაურია, - ფიქრობდა ის, - მეორე ოთახში დავიძინებ, აქ კი სასტუმრო ოთახს გავმართავ“, - გადაწყვიტა მან ბოლოს. მართლაც ასე მოიქცა და იმ ღამით მშვენივრად დაეძინა. ერთხელ მან უეცრად იგრძნო, რომ საღა-მოობით კითხვა აღარ შეეძლო, რაღაც აწუხებდა, სულ ნერ-ვიულობდა, სანთელს ხშირ-ხშირად უწმენდდა თავს და თვა-ლებს აქეთ-იქით აცეცებდა. - „ვერა გამიგია-რა“, - გაიფიქრა მან ერთ ღამეს, როდესაც თეატრიდან დაბრუნდა. კვლავ ვერ ისვე-ნებდა, ასე ეგონა, ვიღაც თვალყურს ადევნებდა. ზურგით კე-დელს მიეყრდნოდ და ცივი გროგი დალია. - „ვერა გამიგია-რა“, - კვლავ გაიფიქრა მან. უეცრად თვალი მოჰკრა კედლის პატარა კარადას, რომელიც მუდამ დაკეტილი იყო. თავით ფეხებამდე ჟრუანტელმა დაუარა, - „ასეთი გრძნობა უწინაც მქონია, - გაიფიქრა ახალმა მდგურმა, - ამ კარადაში ავი სული უნდა იყოს!“ თავს ძალა დაატანა, სიმხნევე მოიკრიბა და ქარცახის ერთი-ორი დარტყმით ბოქლომს ბოლოები მოაგდებინა, გა-მოაღო და, თქვენს მტერს, რაც მას თვალწინ წარმოუდგა: კარა-დის კუთხეში მთელ სიგრძეზე გაჭიმულიყო უკანასკნელი მდგმუ-რი! კაცს ხელში პატარა შუშა ეჭირა. მისი სახე კი... მაგრამ ეჰ, კმარა.

ჩია მოხუცმა ამბავი დაასრულა და დამსწრეებს, რომელნიც გულისყურით უსმენდნენ მას, პირქუში ღიმილით მოავლო თვა-ლი.

- რა უცნაურ ამბებს ჰყვებით, სერ, - შენიშნა მისტერ პიკვიკმა და რამდენიმე წამი სათვალის დახმარებით მოხუცის სახეს შეაჩერდა.

- უცნაური?.. - გაიკვირვა მოხუცმა, - სისულელეა! ეგ თქვენ გეჩვენებათ უცნაურად იმიტომ, რომ მათ შესახებ არა იცით რა. სასეირო ამბავია, თუმცა საკმაოდ ჩვეულებრივიც.

- სასეირო! - თავისდა უნებურად წამოსცდა მისტერ პიკვიკს.

- დიახ, სწორედ რომ სასეიროა, განა არა? - უპასუხა ჩია მოხუცმა და ბოროტად გაიღიმა. მან პასუხს აღარ დაუცადა და განაგრძო: - მე ერთ კაცს ვიცნობდი... დამაცადეთ მოვიგონო, მას შემდეგ კარგა ორმოცმა წელმა განვლო. ამ კაცმა ერთ-ერთ ყველაზე უფრო მოძველებულ ინში ძველი, ნესტიანი და საზიზღარი ბინა დაიქირავა. მანამდე ეს ბინა მრავალი წლის განმავლობაში ცარიელი და დაკეტილი ყოფილა. მოხუცი ქალები მის შესახებ ბევრ ზღაპარს ჰყვებოდნენ და, მართალი გითხრათ, იგი სულაც არ გახლდათ არც მხიარული და არც მიმზიდველი. მაგრამ კაცი ღარიბი იყო, ბინა კი იაფი, და მოგეხსენებათ, ეს გარემოება საკმაო საფუძველს შეადგენდა ჩვენი მდგმურისათვის დაექირავებინა იგი, თუნდაც ეს ბინა ათჯერ უარესიც ყოფილიყო. მას მოუხდა, შეეძინა ზოგი რამ დანჯღრეული ავეჯიდან, რომელიც ოთახში იდგა. მათ შორის ერთი უზარმაზარი, მწვანე ფარდებით „დამშვენებული“ მინისფანჯრებიანი ქაღალდების კარადა, რომელშიაც რაღაც ელაგა. ეს კარადა მას სულაც არ სჭირდებოდა, რადგან შიგ შესანახი არაფერი გააჩნდა - არავითარი ქაღალდი. ტანსაცმელი კი ერთი ხელი ჰქონდა და ისიც სულ ზედ ეცვა. ერთი სიტყვით, მან მთელი თავისი ბარგი-ბარხანა იმ ბინაში გადაიტანა და იმნაირად დაალაგა, რომ ოთხი სკამი თორმეტად გამოჩენილიყო. საღამოთი იგი ბუხრის წინ დაჯდა და შეექცა პირველ ჭიქა ვისკის, იმ ორი გალონიდან რომელიც მედუქნეს ნისიად გამოართვა, თანაც იმაზე ფიქრობდა, შეიძლებდა თუ არა ვალის გადახდას და თუ შეიძლებდა, რამდენი წლის შემდეგ მოხდებოდა ეს ამბავი. უეცრად მისი თვალები მინისფანჯრებიან

კარადაზე შეჩერდა. „ოჰ, მე რომ იძულებული არ ვყოფილიყავი, ეგ საზიზღარი კარადა მეყიდა იმ ბებერი მაკლერისაგან, ამ ფულით ხომ უფრო კარგ ნივთს ვიყიდდი! აი რა, მეგობარო“, - თქვა მან და კარადას მიუბრუნდა, ვინაიდან იქ სხვა არავინ იყო. - შენისთანა ძველი ხარახურის დამტვრევა შრომად რომ ღირდეს, ახლავე ბუხარში შეგიძახებდი, - წარმოთქვა თუ არა ეს სიტყვები, კარადიდან მოისმა რაღაც ხმა, რომელიც ძალზე წააგავდა კვნესას. პირველად კაცი შეკრთა, მაგრამ რამდენიმე წამის ფიქრის შემდეგ დაასკვნა: უთუოდ გვერდით ოთახში ეს-ეს არის მხიარული სადილიდან დაბრუნდა ახალგაზრდა მდგმური და ის ხმაურობსო. მან ფეხები ბუხრის რიკულზე შეაწყო, ხელში მაშა აიღო და ცეცხლის გაღვივებას შეუდგა. სწორედ ამ დროს ხმა ისევ გამეორდა, შემდეგ კარადის მინის კარი გაიღო და ჭუჭყიანსა და გაცვეთილ ტანსაცმელში გამოწყობილი ფერმილეული და გაძვალტყავებული ადამიანი გამოჩნდა. უცნობი კარადაში სარგადაყლაპულივით იდგა. მაღალი და გამხდარი იყო, სახეზე დარდი, ჭმუნვა და წუხილი ეხატა. კანის ფერი ისეთი ჰქონდა და მთელი მისი უცნაური და დალეული სხეული ისეთნაირად გამოიყურებოდა, რომ ამქვეყნიურ არსებას არ ჰგავდა. - ვინა ხარ? - ჰკითხა მას ახალმა მდგმურმა, რომელსაც შიშისაგან ფერი წასვლოდა. მან ხელში მაშა მოიმარჯვა და სტუმარს პირდაპირ სახეში დაუმიზნა. - ვინ ხარ? - გაიმეორა მასპინძელმა. - ეგ მაშა არ მესროლოთ, - მიუგო სტუმარმა, - სულერთია, რაც უნდა კარგად დამიმიზნოთ, უვნებლად გამივლის და ჩემ უკან ხეს დაეხეთქება, მე სული ვარ. - გეთაყვა, აქ რაღა გინდათ? - წაილუღლუღა მდგმურმა. - ამ ოთახში, მოხდა, - მიუგო მოჩვენებამ, - ჩემი ამქვეყნიური დაქცევა და დაღუპვა. აქ, ამ ოთახში, მე და ჩემი ბავშვები ვმათხოვრობდით. აი, ამ კარადაში ინახებოდა დოკუმენტები ერთი დიდი საქმის, რომელიც წლობით გრძელდებოდა. ამ

ოთახში, როდესაც მე გარდავიცვალე, ორმა არამზადა ყაჩაღმა წაიღო ის სიმდიდრე, რომელსაც ჩემი საბრალო არსებობა შევალიე და ჩემს საცოდავ შთამომავლობას კი ერთი ფარტინგიც არ ერგო. ჩემი სიკვდილის შემდეგ მე ისე შევაშინე და შევაძრწუნე ისინი, რომ აქედან გავაგდე. იმ დღიდან ღამღამობით ასე დავეხეტები. მე ხომ მხოლოდ ღამღამობით შემიძლია ვესტუმრო ამ ქვეყანას და იმ ადგილებს, სადაც დიდი, დიდი ხნის განმავლობაში ჭირსა და ვარამში ვცხოვრობდი. ეს ბინაც ჩემია, დამანებეთ იგი მე. - თუკი თქვენ მტკიცედ გაქვთ გადაწყვეტილი ხშირად მესტუმროთ, - დაიწყო მდგმურმა, რომელსაც ვიდრე აჩრდილი თავის სევდიან ამბავს დაასრულებდა, უკვე გონება მოეკრიბა, - მე დიდი სიამოვნებით ვიტყოდი უარს ამ ბინაზე, მაგრამ თუკი ნებას მომცემთ, ერთ რამეს შეგეკითხებით. - ბრძანეთ, - პირქუშად მიუგო აჩრდილმა. - აი, რა მინდოდა მეთქვა: ეს არ შეგეხებათ მხოლოდ პირადად თქვენ, არამედ ყველა სულს, რომელზედაც მე ოდესმე რაიმე გამიგონია. თქვენ ხომ შეგიძლიათ ესტუმროთ დედამიწის უმშვენიერეს ადგილებს, რადგანაც მე ვფიქრობ, რომ მანძილს თქვენთვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. თქვენ კი მაინცდამაინც იმ ადგილებისაკენ მიილტვით, სადაც ესოდენ უბედურნი იყავით. მართალი გითხრათ, ჩემთვის ეს გაუგებარიცაა. - ღმერთსა ვფიცავ, ეს სრული ჭეშმარიტებაა, მე კი წინათ ამაზე არასოდეს დავფიქრებულვარ, - უპასუხა აჩრდილმა. - აი, ხედავთ, სერ, - განაგრძობდა მდგმური, - ეს ხომ ფრიად მოუხერხებელი ბინაა, ეს განჯინაც, დარწმუნებული ვარ, ბაღლინჯოების თავშესაფარია და მე მგონი თქვენ გაცილებით უკეთესი ადგილის მონახვა შეგიძლიათ, რომ არაფერი ვთქვა ლონდონის ჰავაზე, რომელიც ფრიად მავნებელია. - მართალსა ბრძანებთ, სერ, - თავაზიანად მიუგო აჩრდილმა, - ამისთანა რამ უწინ აზრადაც არ მომსვლია. ახლავე შევეცდები ჰაერი გამო-

ვიცვალო. მართლაც, წარმოთქვა თუ არა ეს სიტყვები აჩრდილმა, თანდათანობით გაუჩინარება დაიწყო: ფეხები უკვე ნამდვილად აღარ უჩანდა. - და თუ თქვენ, - მიაძახა მას მდგმურმა, - სერ, კეთილინებებთ და ჩააგონებთ სხვა ბატონებსა და ქალბატონებს, რომლებიც ამ ძველ სახლებში ყიალით თავს იქცევენ, რომ მათ შეუძლიათ უფრო მოსვენებით იგრძნონ თავის სადმე სხვაგან, ამით საზოგადოებას დიდ სამსახურს გაუწევთ. - ოო, უსათუოდ, უსათუოდ, - უპასუხა აჩრდილმა, - ბრიყვები ვყოფილვართ, მართლაც რომ ბრიყვები! საოცარია, რომ ასეთი ბრიყვები აღმოვჩნდით! ამ სიტყვებთან ერთად მოჩვენება გაქრა. - ღირსშესანიშნავი ის გახლავთ, - დაუმატა მოხუცმა და მაგიდის ირგვლივ მსხდომთ თვალი მოავლო, - რომ იმ ბინაში აჩრდილი, მართლაც აღარასოდეს გამოჩენილა.

- ეგ თუ მართალია, არ არის ურიგო, - შენიშნა მოზაიკისსაკინძიანმა კაცმა და ახალ სიგარას მოუკიდა.

- თუო! - წამოიძახა მოხუცმა და თვალები ზიზღით აენთო.

- მგონი, ეგ იმასაც იტყვის, მართალი არ არისო, - დაუმატა მან და ლაუტენს გადახედა, - ხომ გახსოვთ ამბავი, რომელიც გიამბეთ უცნაურ კლიენტზე. ის კლიენტი ჩვენთან მოვიდა, როდესაც ჯერ კიდევ ატერნის კანტორაში ვმსახურობდი. არც ეგ გამიკვირდება.

- ამ ამბისა არ გამეგება რა და ამიტომ ვერ გავკადნიერდები რაიმე ვთქვა, - შენიშნა მოქარგულსაკინძიანმა.

- რა კარგი იქნება ეგ ამბავი ხელახლა გვიამბოთ, სერ, - მიმართა მოხუცს მისტერ პიკვიკმა.

- ჰოო, ჰოო, გვიამბეთ, - შეეხვეწა მოხუცს მისტერ ლაუტენი, - ეგ ამბავი ხომ ჩემ მეტს არავის მოუსმენია და თითქმის მეც დამავიწყდა.

მოხუცმა მაგიდას თვალი მოავლო, უწინდელზე უფრო ბოროტად ჩაიცინა, გეგონებოდათ, იმას ზეიმობდა, რომ ყველა ყურადღებით უსმენდა, შემდეგ ხელით ნიკაპი მოიფხანა, თვალები ჭერს მიაპყრო, თითქოს ამბავს იგონებსო და დაიწყო:

უცნაური კლიენტის ამბავი

- რა მნიშვნელობა აქვს იმას, - თქვა მოხუცმა, - თუ სად, ან რა პირობებში მოვკარი ყური ამ პატარა ამბავს. მე რომ იმ თანამიმდევრობით გიამბოთ, როგორადაც მან ჩემს ყურამდე მოაღწია, შუიდან უნდა დავიწყო და როდესაც ბოლომდე ჩავალ, დასაწყისს დავუბრუნდე. საკმარისია ისიც, რომ ზოგიერთი რამ ჩემ თვალწინ მოხდა. რაც შეეხება იმას, რისი მოწმეც თვითონ არა ვყოფილვარ, ისიც ნამდვილად ვიცი, რომ მართლაც ასე მოხდა - ჯერ კიდევ ცოცხალია რამდენიმე ადამიანი, რომელთაც ეს ამბავი კარგად ახსოვთ... ბაროში, ჰაი-სტრიტზე, სენტ ჯორჯის ეკლესიის მახლობლად, ქუჩის იმავე მხარეს, როგორც ყველასათვის ცნობილია, დგას მოვალეთათვის ყველაზე პატარა საპატიმრო მარშელსი.

ამ ბოლო დრო ეს საპატიმრო ძლიერ განსხვავდება იმ ადგილისაგან, რომელიც უწინ მხოლოდ ჭუჭყისა და სიბინძურის გროვას წარმოადგენდა. თუმცა, მისი გაუმჯობესებული პირობები ახლაც ძალიან უბადრუკი ცდუნებაა მფლანგველი და მფანტავი ადამიანისათვის და ფრიად მცირე ნუგეში წინდაუხედავებისათვის. სისხლის სამართლის წყეულ დამნაშავეს ნიუგეიტში ისეთივე ეზო აქვს გასასეირნებლად და ჰაერი, როგორც გაკოტრებულ მოვალეს მარშელსის საპატიმროში. - არ ვიცი, შესაძლოა ეს ჩემი ფანტაზიის ბრალია და ამ ადგილთან დაკავშირებული ძველი მოგონებები არ მასვენებენ, მაგრამ ერთი რამ კია,

რომ ლონდონის ამ ნაწილს სრულიად ვერ ვიტან. ქუჩა ფართოა, მაღაზიები დიდი, დილიდან შუაღამემდე გაისმის ეტლების ხმაური, განუწყვეტლივ მოსიარულე ხალხის ფეხის ხმა, ტრანსპორტის შეუწყვეტელი გრუხუნი. მაგრამ ახლომახლო ქუჩები ვიწრო და ჭუჭყიანია, მჭიდროდ დასახლებულ ადგილას სიღატაკე და გარყვნილება გამეფებულა. ყოველ შემთხვევაში მე ასე მგონია, რომ იქ დარდი და სევდა დაბუდებულა და ყველაფერს ავადმყოფური და საზიზღარი ელფერი ადევს. ბევრ მათგანს, ვისი თვალებიც კარგა ხანია, რაც სამარეში განისვენებენ, საკმაოდ გულგრილად და იოლად შეუხედავს ამ სურათისთვის, როდესაც მათ პირველად გადმოუბიჯებიათ მარშელსის ჭიშკრის ზღურბლი. სასოწარკვეთილება ხომ პირველ უბედურებასთან ერთად არ ეწვევა ადამიანს. მას ჯერ კიდევ სჯერა იმ ადამიანებისა, რომლებიც მეგობრობაში ჯერ არ გამოუცდია, კარგად ახსოვს ის ხელგაშლილი თანამესუფრენი, რომლებიც უხვად სთავაზობდნენ სამსახურს, როდესაც მას არაფერი სჭირდებოდა. მას ჯერ კიდევ აქვს იმედი, ბედნიერი უმეცრებით გამოწვეული იმედი და რამდენად ძლიერიც უნდა იყოს პირველი უბედურება, იმედი მაინც ანთია მის გულში და ცოცხლობს კიდეც ცოტა ხანს, ვიდრე სასოწარკვეთილებისა და უგულებელყოფისგან საბოლოოდ არ დაჭკნება და გაქრება იგი. ჩქარა, ძლიერ ჩქარა შიმშილით გაძვალტყავებულსა და პატიმრობისგან გაყვითლებულ სახეზე ღრმად ჩაცვივნული თვალებიღა რჩებოდათ. ეს ხდებოდა მაშინ, არ იქნება გაზვიადებული თუ ვიტყვით, როდესაც მოვალენი ციხეში ლპებოდნენ და არ ჰქონდათ შვებისა და გათავისუფლების არავითარი იმედი. თუმცა სისასტიკე და მრისხანება შიშველი სახით უკვე აღარ არსებობს, მაინც ჯერ კიდევ იმდენადაა დარჩენილი, რომ მათ დანახვაზე ადამიანს გული სისხლისაგან ეცლება.

ამ ოცი წლის წინ, ამ ქუჩის ფილაქანი ერთი ქალისა და მისი შვილის სიარულმა გაცვითა. ისინი ყოველ დილით, გათენდებოდა თუ არა, ციხის კართან გაჩნდებოდნენ. ხშირად შფოთსა და წუხილში გატარებული ღამის შემდეგ, დილით, დანიშნულ დროზე ერთი საათით ადრე, დედა-შვილი ციხის კართან აიტუზებოდა. ახალგაზრდა დედა მორჩილად გატრიალდებოდა, შვილს ძველ ხიდთან მიიყვანდა, ხელში აიყვანდა და დილის მზით შეფერილ მოკამკამე მდინარეს უჩვენებდა. იქ უკვე დაწყებულიყო საქმიანი ფუსფუსი, რომელიც დილაადრიან მდინარეზე ატყდება ხოლმე. დედა ცდილობდა მის წინ მდებარე საგნებით დაეინტერესებინა ბავშვი, მაგრამ მალე მას ისევ მიწაზე ჩამოსვამდა, სახეს თავშალში დამალავდა და გზას მისცემდა თვალების დამავსებელ ცრემლებს, რადგან ბავშვის გამხდარსა და გაყვითლებულ სახეზე არც ინტერესი და არც სიხარული არ იხატებოდა. ამ პაწაწინას ძალიან მცირე მოგონებები ჰქონდა და, რაც ჰქონდა, ისიც მხოლოდ მშობლების სიღატაკესა და ბედშავობას აგონებდა. ბიჭი საათების განმავლობაში ეჯდა დედას კალთაში და ბავშვური თანაგრძნობით უთვალთვალებდა ცრემლებს, რომლებიც დედამისს ჩამოუგორდებოდა სახეზე. მაშინ ბიჭუნა წყნარად გაეცლებოდა დედას, სადმე ბნელ კუნჭულს თავს შეაფარებდა და ტირილს მორთავდა. იმდენ ხანს ტიროდა, ვიდრე დაღლილობისგან არ ჩაეძინებოდა. ცხოვრების სუსხიანი სინამდვილე, ათასი გასაჭირი, შიმშილი და წყურვილი, სიცივე და სიდუხჭირე მას გონების გაღვიძებასთან ერთად დაამახსოვრდა. თუმცა ბავშვი იყო, აკლდა ბავშვური უდარდელობა, მხიარული სიცილი და მოელვარე თვალები. მშობლები ხშირად ხან ბავშვს შეხედავდნენ და ხანაც ერთმანეთს გადახედავდნენ და მტანჯავი ფიქრების ხმამაღლა გამოთქმა ვერ გაებედათ. ჯანმრთელი, ღონიერი მამაკაცი, რომელსაც თითქმის ყოველნაირი ფიზიკური შრომისა

და ჯაფის ატანა შეეძლო, ნელ-ნელა უძლურდებოდა და ჩაჩანაკ-დებოდა ხალხით გაჭედილი საპყრობილის მავნე ატმოსფერო-ში. ნაზი და ფაქიზი ქალი ორმაგი სიმძიმის, ფიზიკური და სუ-ლიერი ტანჯვის უღელქვეშ ნელ-ნელა ჭკნებოდა, ბავშვის პაწა-წინა გული კი სასოწარკვეთილებას ეძლეოდა.

დადგა ზამთარი. მას მოჰყვა ცივი და წვიმიანი კვირები. საბ-რალო ქალი ციხის მახლობლად ერთ ჩამონგრეულ ოთახში გა-დასახლდა. მიუხედავად იმისა, რომ ეს ცვლილება მათი კიდევ უფრო მეტი გაღატაკებით იყო გამოწვეული, ქალი ახლა უფრო ბედნიერად გრძნობდა თავს, რადგან მეუღლე ახლოს ეგულებო-და. ორი თვის განმავლობაში ის და მისი უბედურების მოზიარე ციხის კარის გაღებას უთვალთვალებდნენ. ერთ მშვენიერ დღეს, პირველად თავის სიცოცხლეში, ქალი აღარ მოვიდა. გათენდა მეორე დღე და დილით ის მარტო გამოჩნდა. ბავშვი გარდაც-ვლილიყო.

არიან ადამიანები, რომლებიც ღატაკი ხალხის მძიმე დანა-კარზე გულგრილად მსჯელობენ: გარდაცვლილმა შვება პოვა, ხოლო დარჩენილებს მჭამელი მოაკლდათ და ამის გამო შვება იგრძნესო, იტყვიან ხოლმე. ამ ხალხმა არაფერი იცის იმ ტანჯვა-ზე, ვიმეორებ, არა იციან რა-მეთქი იმ ტანჯვაზე, რასაც ეს დანა-კარგი ნიშნავს. უსიტყვო შემოხედვა, იმის შეგრძნება, რომ გა-გაჩნია თუნდაც ერთი ადამიანის თანაგრძნობა, როდესაც ყვე-ლამ მიგატოვა, წარმოადგენს ღერძს, დასაყრდენს, ნუგეშს დიდ უბედურებაში, რომელსაც ვერავითარი განძი ვერ გამოისყიდის და ვერავითარი ხელისუფლება ვერ გაჩუქებს. გამხდარი, გაყ-ვითლებული ბავშვი საათობით იჯდა მშობლების ფეხთით, მორ-ჩილად დაიკრეფდა პაწაწინა ხელებს გულზე და სახეში მიაჩერ-დებოდა მათ. დედ-მამა ხედავდა, რომ მათი შვილი დღითი დღე მათ თვალწინ დნებოდა. ბიჭუნას ხანმოკლე სიცოცხლე უსიხა-

რულოდ იყო და ის ახლა მშვიდობისა და მყუდროების სამეფოში იმყოფებოდა (მიუხედავად იმისა, რომ პატარა იყო, ასეთი მყუდროება მას ამ ქვეყანაზე არ ღირსებია), მაგრამ ბიჭუნა მათი შვილი იყო და მისმა დაკარგვამ მშობლები შეაძრწუნა. ვინც კი დედის შეცვლილ სახეს დაინახავდა, უმალ მიხვდებოდა, რომ სიკვდილი მალე მოუღებდა ბოლოს მის უბედურებას და წამებას. პატიმარს მისმა ორმა ამხანაგმა იმ მიზნით, რომ ზედმეტი თანაგრძობით არ შეეწუხებინათ, დაუთმო მათ პატარა საკანი. ახალგაზრდა ქალი ქმართან გადასახლდა. მისი სიცოცხლე უმტკივნეულოდ და უიმედოდ ნელ-ნელა ილეოდა. ერთ საღამოს ქალს ქმრის მკლავებზე წაუვიდა გული. კაცმა ის ხელში აიყვანა და ღია ფანჯარასთან მიიყვანა. საბრალოს სურდა, რომ სუფთა ჰაერს სნეული ცოტათი მაინც მოესულიერებინა, მაგრამ როდესაც მთვარის შუქზე, რომელიც ქალს სახეში ანათებდა, დაინახა მისი შეცვლილი სახე, მამაკაცი უმწეო ბავშვივით წაბარბაცდა.

- დამაწვინე, ჯორჯ, - წაილუღლუღა ქალმა. ჯორჯმა ქალი დააწვინა, გვერდით მიუჯდა, სახეზე ხელები აიფარა და ცრემლები წასკდა.

- ო, რა მძიმეა შენი დატოვება, ჯორჯ, - თქვა ქალმა, - მაგრამ რას იზამ, ღვთის ნება ყოფილა. შენც ჩემი გულისთვის უნდა აიტანო ყველაფერი, ჯორჯ. ო, რა მადლობელი ვარ, რომ ჩემი ბიჭუნა მან წაიყვანა. ის ზეცაშია და ბედნიერია! ვინ იცის, რა დაემართებოდა აქ დედამიწაზე, უდედოდ.

- არა, მერი, შენ არ მოკვდები, არ მოკვდები, - წამოიძახა ჯორჯმა და ფეხზე წამოხტა. ის გამალებით ბოლთასა სცემდა და სახეში მუშტს იცემდა. შემდეგ ისევ მერის მიუჯდა, ხელები მოხვია და უფრო დამშვიდებით განაგრძო, - ჩემო საყვარელო გოგონავ, გამხნევდი, გემუდარები, გამხნევდი, კვლავ გამომჯობინდები...

- ვეღარასოდეს, ჯორჯ, ვეღარასოდეს, - წარმოთქვა მომაკვდავმა ქალმა, - ჩემი ბიჭიკოს გვერდით დამმარხე, სიტყვა მომეცი, ჯორჯ, რომ, თუ ოდესმე გამდიდრდები და ამ საშინელი ადგილიდან წახვალ, წაგვიყვან აქედან შორს, ძალიან შორს, რომელიმე სოფლის ეკლესის მყუდრო სასაფლაოზე, სადაც ჩვენ შეგვეძლება წყნარად განვისვენოთ. საყვარელო ჯორჯ, მომეცი სიტყვა, რომ ამ თხოვნას შემისრულებ.

- შეგისრულებ, შეგისრულებ, - აღმოხდა კაცს და ქალის წინ მუხლებზე დაეცა, - მითხარი რამე, მერი, კიდევ ერთი სიტყვა, მერი! ერთხელ მაინც შემომხედე, მხოლოდ ერთხელ.

უეცრად ლაპარაკი შეწყვიტა, რადგან ხელი, რომელიც მას კისერზე შემოხვეოდა, დამძიმდა და გაშეშდა. ღრმა ოხვრა აღმოხდა დაუძლურებულ სხეულს. მომაკვდავმა ტუჩები ააცმაცუნა. სახეზე ღიმილი აუთამაშდა, ტუჩები გაუთეთრდა, მალე ღიმილი უმოძრაო და შესაზარ მზერად გადაექცა. ჯორჯი ქვეყანაზე მარტოდმარტო დარჩა.

იმ ღამეს თავის საკანში, დუმილსა და მარტოობაში, უბედურმა კაცმა დაიჩოქა თავისი ცოლის ცხედრის წინ და მოუხმო ღმერთს საშინელი ფიცის მოწმედ, რომ ამ დღიდან მოყოლებული ის თავს შესწირავდა შურისძიებას ცოლისა და შვილის დაღუპვისთვის; რომ სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე მთელ თავის ძალ-ღონეს ამ ერთადერთი მიზნის შესრულებას მოანდომებდა; რომ ეს შურისძიება იქნებოდა ხანგრძლივი და სასტიკი, მისი სიძულვილი უშრეტი და ჩაუქრობელი დარჩებოდა სამუდამოდ და ამ შურისძიების საგანს ქვეყნის კიდემდე გასდევდა...

უდიდეს სასოწარკვეთილებას და იმ ერთი ღამის არაადამიანურ განცდებს მისი სახისა და სხეულისთვის ისეთი დაღი დაეჩნია, რომ მისი უბედურების მოზიარე ამხანაგებმა მის დანახვაზე ტორტმანით უკან დაიხიეს. ჯორჯს თვალები სისხლით ავსებო-

და. სახე მკვდარივით გაფითრებოდა და წელში ბებერივით მოხრილიყო, საშინელი სულიერი ტკივილის გამო ქვედა ტუჩი ისე მაგრად მოეკვნიტა, რომ სისხლი ნიკაპზე ჩამოსვლოდა, რომლითაც პერანგი და ყელსახვევი დაესვარა. ერთი ცრემლიც არ ჩამოუგდია, ერთხელაც არ დაუკვნესია და არ დაუჩივლია. თვალებს მოუსვენრად ატრიალებდა. არეულად, სწრაფი ნაბიჯით ეზოში ბოლთასა სცემდა, მხოლოდ ესღა ამჟღავნებდა იმ ცეცხლს, რომელიც მის გულში ტრიალებდა. ნაბრძანები იყო ქალის ცხედარი დაუყოვნებლივ გადაეტანათ ციხიდან. ამ ცნობას ის სრულიად დამშვიდებული შეხვდა. მიხვდა, რომ ასე აჯობებდა. საპყრობილის მთელ შემადგენლობას მოეყარა თავი, რომ გასვენებას დასწრებოდნენ. როდესაც ქვრივი გამოჩნდა, ხალხმა დაიხია და გზა მისცა. საცოდავმა სწრაფად გაიარა წინ და ალაყაფის კართან, პატარა შემოღობილ ადგილას მარტო დადგა. ხალხს მორიდებით, საგანგებოდ მისთვის დაეცალა ეს ადგილი... ფიცრის უბრალო კუბო ნელ-ნელა ჩაატარეს ხელით. ბრბო დუმილს მოეცვა. ამ სიჩუმეს მხოლოდ ქალების გოდება და ფეხის ხმა არღვევდა.

კუბო იმ ადგილამდე მიიტანეს, სადაც დაქვრივებული ქმარი იდგა და შეჩერდნენ. ქმარმა კუბოს ხელი დაადო, სუდარა მექანიკურად გაასწორა და ანიშნა გზა განეგრძოთ. ციხის მოსაცდელში დარაჯებმა ცხედრის წინ ქუდი მოიხადეს და ერთი წამის შემდეგ ალაყაფის კარიც ჩაიკეტა. ქმარმა ბრბოს უაზროდ გადახედა და მიწაზე უგრძნობლად დაეცა. რამდენიმე კვირის განმავლობაში დღე და ღამე ბოდავდა და ებრძოდა ციებ-ცხელებას. ამ ხნის განმავლობაში ერთხელაც არ დავიწყებია არც მძიმე დანაკლისი და არც დადებული ფიცი. მის წინ ნაირ-ნაირი სურათი იშლებოდა, ადგილი ადგილს ცვლიდა და ამბავი - ამბავს. ყოვე-

ლივე ეს ერთ დიდ მიზანთან იყო დაკავშირებული და ყოველივე ბოდვასა და ხურვებაში ელვის სისწრაფით ხდებოდა.

აგერ უსაზღვრო ზღვის სივრცეში მიცურავს იგი, თავს სისხლივით წითელი ცა დაჰყურებს. გაბოროტებული ტალღები ყალყზე დგებიან და ყოველის მხრიდან ღრიალით ეხეთქებიან. მათ წინ გააფთრებულ ქარიშხალში გაჭირვებით მიიწევს მეორე ხომალდი. მისი დაფლეთილი იალქნები ლენტებივით ფრიალებენ ანძებზე. ბაქანზე ხალხის ჭედვაა. ადამიანები მიბმულნი არიან მოაჯირზე, რომელსაც ყოველ წამს უზარმაზარი ტალღები ეხეთქება და განწირულთ აქაფებულ ზღვაში ჰყრის. გემი, რომელზედაც ის იმყოფება, ამ აბობოქრებულ ტალღებს შორის ისეთი სისწრაფით და ძალით მიქრის, რომ წინ ვეღარაფერი აღუდგება. მართლაც, ის კიჩოთი დაეძგერა წინა ხომალდს და ხერხემალი დაუმსხვრია. ჩაძირული ხომალდის ადგილას უზარმაზარი მორევი გაჩნდა და ზღვის უფსკრულიდან მოისმა გამყინავი და საზარელი ყვირილი ათასობით უბედური ადამიანისა, რომლებიც იხრჩობოდნენ. ეს იყო მომაკვდავთა უკანასკნელი კივილი, რომელმაც თვით სტიქიონის ბრძოლის ყიჟინაც კი გააყრუა, დაფარა, ექოსავით გახმიანდა, თითქოს ამ საშინელმა ღრიალმა ცა, ჰაერი და ოკეანე გაარღვიაო. მმაგრამ, აი, წყალზე გამოჩნდა მოხუცის ჭაღარა თავი. ის სასოწარკვეთილად იხედება აქეთ-იქით და შველას ითხოვს, ტალღებს ებრძვის. კაცმა კიდევ ერთხელ გადახედა მოხუცს და ხომალდის მოაჯირიდან გადახტა. მკლავების ძლიერი მოსმით მიცურავს მისკენ. მიუახლოვდა კიდევაც. აი, სულ ახლოს არის, მაგრამ ეს ხომ ის კაცია! - მოხუცმა დაინახა და ამაოდ ცდილობს თავი დააღწიოს მას. კაცმა ღონივრად ჩასჭიდა ხელი და წყალში ჩაძირა. ძირს, ძირს მიექანება მოხუცთან ერთად. აი, სამასი ფუტის სიღრმეზე არიან,

ბრძოლა თანდათანობით შენელდა და ბოლოს სავსებით შეწყდა. კაცმა მოკლა მოხუცი და შეასრულა დადებული აღთქმა.

ახლა ფეხშიშველა და მარტოდმარტო მიდის უზარმაზარი უდაბნოს გავარვარებულ ქვიშაზე. ქვიშა აბრმავებს და სულს უხუთავს. წვრილი ქვიშით ევსება კანის ყოველი ნასვრეტი, ლამის გაგიჟდეს. მზით გავარვარებული ქვიშის უზარმაზარ ზვინებს ხორშაკი ქარი ერეკება. შორიდან ეს ქვიშა ცეცხლის ბოძებს წააგავს. ფეხებთან უდაბნოში დაღუპული ადამიანების ძვლები გაფანტულა. ირგვლივ ყველაფერს ბოროტების შუქი მოჰფენია. ყოველივე, რასაც თვალი მისწვდება, შიშის ზარსა და საშინელებას ჰგვრის. ენა სასას მიჰკვრია. ამაოდ ცდილობს სასოწარკვეთილებისაგან დაიყვიროს, ზეადამიანური დაძაბულობით მიდის ქვიშაზე და გახელებული წინ მიიწევს. ბოლოს დაღლილობისა და წყურვილისგან ქანცმილეული მიზაზე უგრძნობლად ეცემა, მაგრამ ეს რა საამო სიგრილემ მოასულიერა იგი? ეს რა რაკრაკი მოისმის? წყალი! მართლაც, აი სუფთა წყალი! წკრიალა ნაკადული მოჩხრიალებს მის ფეხთან. ის ხარბად დაეწაფა წყალს, მისი გაწამებული სხეული ნაპირზე გაიშხლართა და ნეტარებით მიეცა დავიწყებას. მოახლოებული ფეხის ხმა აღვიძებს. ჭაღარა მოხუცი ბარბაცით მოემართება, რომ როგორმე ენით გამოუთქმელი წყურვილი მოიკლას. ეს ისევ ის მოხუცია! კაცმა მოხუცს ხელები შემოაჭდო და შეაჩერა. მოხუცი ცდილობს ხელიდან გაუსხლტეს, გამაყრუებლად ყვირის და ემუდარება, სთხოვს, მისცეს ერთი წვეთი წყალი, რომ სიცოცხლე შეინარჩუნოს. მაგრამ კაცს მაგრად უჭირავს მოხუცი და ხარბად შესცქერის მის აგონიას. როცა მოხუცს თავი უსიცოცხლოდ ჩამოუვარდება მკერდზე, კაცი მის გვამს ფეხის კვრით იცილებს.

როცა ციებ-ცხელებამ გაუარა და გონზე მოვიდა, შეიტყო, რომ ის ამიერიდან მდიდარი და თავისუფალი იყო. ჯორჯის მამა,

რომელიც ადვილად შეეგუა აზრს, რომ საკუთარ შვილს ციხეში ამოსვლოდა სული, ხოლო შვილისთვის ყველაზე ძვირფასი ადამიანები სასიკვდილოდ გასწირა (ისინი იმსხვერპლა სიღატაკემ და გულის სენმა, რომელთა მკურნალობა მედიცინას არ ძალუძს), ერთ მშვენიერ დღეს თავის ბუმბულით გაწყობილ ლოგინზე მკვდარი ეპოვათ. მამას ნამუსი არ შეაწუხებდა, საკუთარ შვილს მათხოვრადაც კი დატოვებდა, მაგრამ ის არაჩვეულებრივად ამაყობდა თავისი ჯანმრთელობითა და ძალ-ღონით და ანდერძის დაწერას არ ჩქარობდა, ახლა კი გვიანღა იყო და ისღა დარჩენოდა, რომ საიქიოში კბილები ეკრაჭუნებინა და ეფიქრა იმ სიმდიდრეზე, რომელიც საკუთარი დაუდევრობით შვილს დარჩა.

შვილი თითქოს გონზე მოვიდა იმისთვის, რომ ეს ამბავი გაეგო, მაგრამ ის გონზე მოვიდა კიდევ უფრო მნიშვნელოვანი საქმისთვის. მას გაახსენდა მიზანი, რომლისთვისაც ცხოვრობდა, გაახსენდა, რომ მისი მტერი იყო მისივე ცოლის მამა, ადამიანი, რომელმაც ის ციხეში ჩააგდო, ხოლო შეწყალების სათხოვნელად მუდარით მისული საკუთარი ქალიშვილი თავის ბავშვთან ერთად სახლიდან გააგდო. ო, როგორ წყევლიდა ის საკუთარ სისუსტეს, რომელიც საშუალებას არ აძლევდა წამომდგარიყო და შურისძიების გეგმა დაუყოვნებლივ განეხორციელებინა!

განკარგულება გასცა, რომ მისი უბედურებისა და მწუხარების მოწმე ადგილიდან სადმე ზღვის პირას, მყუდრო ადგილზე გადაეყვანათ. არ ჰქონდა იმედი, რომ სულიერ სიმშვიდეს ან ბედნიერებას მოიპოვებდა, რადგან ერთიცა და მეორეც უკვე სამუდამოდ დაკარგული იყო მისთვის. მხოლოდ ერთი რამ სურდა, როგორმე აღედგინა ძალ-ღონე და უფრო კარგად მოეფიქრებინა შურისძიების გეგმა. აი, მართლაც, რომელიღაც ბოროტმა ძა-

ლამ მისცა შემთხვევა განეხორციელებინა პირველი საზარელი შურისძიება.

ზაფხული იყო, პირქუშ ფიქრებში წასული, საღამო ხანს ხშირად გამოვიდოდა ხოლმე თავისი განმარტოებული სახლიდან და კლდეებს შორის მიმავალი ვიწრო ბილიკით გაემართებოდა ველური, უკაცური ადგილისკენ. ეს ადგილი მოეწონა ერთ-ერთი ასეთი უმიზნო ხეტიალის დროს. ჩამოჯდებოდა კლდიდან ჩამოგორებულ ქვაზე, სახეზე ხელებს აიფარებდა და იჯდა ასე საათობით, ვიდრე არემარეს საღამოს ბინდი არ ჩამოეფარებოდა და მის თავზე ჩამოწოლილი კლდეების გრძელი ჩრდილები გარემოს უკუნეთი სიბნელით არ შემოსავდა.

ერთ მყუდრო საღამოს ის, ჩვეულებისამებრ, ამ ადგილას იჯდა და მხოლოდ დროდადრო ასწევდა თავს, რომ თვალი გაეყოლებინა გაფრენილი თოლიასთვის ან შეეხედა წარმტაცი ალისფერი ბილიკისთვის, რომელიც ოკეანის შუაგულში იწყებოდა და თითქოს ჰორიზონტის იმ ადგილისკენ მიემართებოდა, სადაც მზე ჩადიოდა. უეცრად ამ სამარისებურ სიჩუმეში ხმამაღალი ყვირილი გაისმა. ვიღაც შველას ითხოვდა. მან ყური მიუგდო, სმენამ ხომ არ მომატყუაო, მაგრამ ყვირილი კიდევ უფრო მეტი ძალით გამეორდა, ის სწრაფად წამოდგა და იმ მხარეს გაეშურა, საიდანაც ხმა ისმოდა.

ერთი შეხედვით ყველაფერი ნათელი გახდა. ნაპირზე ტანსაცმელი ეყარა, ნაპირიდან ცოტა დაშორებით, ტალღებს ზევით ოდნავ მოჩანდა ადამიანის თავი, ნაპირის გასწვრივ კი ვიღაც მოხუცი დარბოდა, სასოწარკვეთით ხელებს იმტვრევდა და შველას ითხოვდა. უკვე საკმაოდ მოკეთებულმა ავადმყოფმა, სწრაფად გაიძრო ტანსაცმელი და ზღვისკენ გავარდა, რომ დამხრჩვალი ნაპირზე გამოეთრია.

- იჩქარეთ, სერ, ღვთის გულისთვის, მიშველეთ, სერ, ზეცა იქნება თქვენი მფარველი! ეს ჩემი შვილია, სერ, ჩემი ერთადერთი შვილი! - წამოიძახა თითქის გონებადაკარგულმა მოხუცმა და მის შესახვედრად გამოიქცა.

- ჩემი ერთადერთი შვილია, სერ, და ხედავთ, ის მამის თვალწინ იღუპება.

წარმოთქვა თუ არა მოხუცმა პირველი სიტყვები, კაცი შეჩერდა, გულზე ხელები ჯვარედიდან დაიკრიფა და ერთ ადგილზე გაშეშდა.

- ო, ღმერთო, - იყვირა მოხუცმა და უკან დაიხია, - ჰეილინგ! - კაცმა გაიღიმა, მაგრამ ხმას არ იღებდა.

- ჰეილინგ, - აღელვებული ხმით დაიწყო მოხუცმა, - ჰეილინგ, შეხედეთ, ერთი შეხედეთ ჩემს საყვარელ ბიჭუნას!

საცოდავ მამას სული ეხუთებოდა და იმ ადგილისკენ მიუთითებდა, სადაც ყმაწვილი სიკვდილს ებრძოდა.

- გესმით! - უთხრა მოხუცმა, - მან კვლავ დაიყვირა! ის ჯერ კიდე ცოცხალია! ჰეილინგ, უშველეთ, უშველეთ! - კაცმა ისევ გაიღიმა. ის ქანდაკებასავით უძრავად იდგა.

- მე თქვენ ბევრი უბედურება მოგიტანეთ, - იყვირა მოხუცმა, მუხლებზე დაეცა და ხელების მტვრევა დაიწყო, - ჩემზე იძიეთ შური, წაიღეთ ყველაფერი, რაც მაბადია, წაიღეთ თვით ჩემი სიცოცხლეც კი, თქვენსავე ფეხებთან გადამაგდეთ წყალში და თუ ადამიანის ბუნებას ძალა შესწევს უარი თქვას ბრძოლაზე, მე მოვკვდები ისე, რომ ხელსა და ფეხს არც კი გავანძრევ. მოიქეცით ასე, ასე მოიქეცით, ჰეილინგ, ოღონდაც გადაარჩინეთ ჩემი ბიჭუნა, ის ხომ ჯერ კიდევ ახალგაზრდაა, ის ხომ ახალგაზრდაა, ჰეილინგ, და ნუთუ უნდა მოკვდეს?!

- მომისმინეთ, - უპასუხა ჰეილინგმა და მოხუცს ბოროტად ჩაავლო ხელები, - მე სიცოცხლე მწყურია სიცოცხლის წილ, და აი,

ეს პირველია. ჩემი ბავშვიც მამის თვალწინ მოკვდა. მისი სიკვდილი გაცილებით მძიმე იყო, ვიდრე ამ ახალგაზრდისა, რომელსაც ამ ჩემს ლაპარაკში მოეღება კიდეც ბოლო. მან ხომ თავისი დის სახელი შეარცხვინა! თქვენ დასცინოდით ჩვენს ტანჯვა-წამებას, თქვენ პირში დასცინოდით საკუთარ ქალიშვილს, როდესაც სიკვდილმა ხელი შეახო მას! რას იტყვით ახლა ამაზე? ერთი იქით გაიხედეთ, იქით გაიხედეთ!

ამ სიტყვებით ჰეილინგმა ხელი ზღვისკენ გაიშვირა. ზღვის ზედაპირზე სუსტი კივილი გაისმა და მიწყდა კიდევაც. მომაკვდავის უკანასკნელმა სასოწარკვეთილმა გაბრძოლებამ ტალღების ზედაპირი წუთით ააღელვა და მალე ის ადგილი, სადაც ახალგაზრდა უდროოდ ჩავიდა საფლავში, აღარაფრით გამოირჩეოდა წყლის დანარჩენი სივრცისგან.

გავიდა სამი წელი. ლონდონის ერთ-ერთი ატერნის კანტორის კართან ერთი ჯენტლმენი საკუთარი ეტლიდან გადმოხტა. ეს ატერნი არცთუ პატიოსანი ადამიანის სახელით სარგებლობდა. ჯენტლმენმა განაცხადა, რომ ფრიად მნიშვნელოვანი საქმის გამო სურდა პირადად მოლაპარაკებოდა მას. ეეტყობოდა, ჯენტლმენი მოხუცი არ უნდა ყოფილიყო, თუმცა ფერმკრთალი, დატანჯული და გაწვალებული სახე ჰქონდა. არ იყო საჭირო პროფესიონალის დაკვირვებული თვალი, ადამიანი პირველი შეხედვისთანავე მიმხვდარიყო, რომ ავადმყოფობასა და ტანჯვას უფრო მეტად დაეჩნია დაღი მისი გარეგნობისთვის, ვიდრე ამას მთელ მის სიცოცხლეზე ორჯერ მეტი დრო და ხანი დასჭირდებოდა.

- მე მსურს ჩემი საქმის წარმოება მიგანდოთ, - მიმართა ვექილს უცნობმა. ვექილმა მონურად დაუკრა მას თავი და გადახედა დიდ შეკვრას, რომელიც ჯენტლმენს ეჭირა. უცნობმა მისი მზერა დაიჭირა და განაგრძო:

- ჩემი საქმე ჩვეულებრივი როდი გახლავთ, ამ ქაღალდების ხელში ჩაგდებას დიდი დრო მოვანდომე და ძვირადაც დამიჯდა.

ვექილმა კიდევ მეტი ცნობისმოყვარეობით გადახედა ქაღალდების შეკვრას. ჯენტლმენმა გახსნა ზონარი, რომლითაც იყო შეკრული ქაღალდები და მთელი რიგი თამასუქები, ასლები და სხვა დოკუმენტები გადმოალაგა.

- ამ ქაღალდებში, - თქვა ჯენტლმენმა, - იმ კაცმა, ვისი სახელიც აქ აღნიშნულია, როგორც თქვენ თვითონ დაინახეთ, დიდი თანხა მოიხვეჭა. ამ კაცსა და იმ ადამიანებს შორის, ვის ხელშიაც თავდაპირველად ეს ქაღალდები აღმოჩნდა, და ვისგანაც სამმაგ და ოთხმაგ ფასად შევიძინე ისინი, არსებობდა შეთანხმება, რომ ეს თამასუქები უნდა განაღდებულიყო გარკვეული დროის განმავლობაში. ეს შეთანხმება არსად არის მოხსენებული. ამ ბოლო დროს მოვალემ დიდი ზარალი ნახა და ამ თამასუქების ერთდროულად განაღდების აუცილებლობა მოუღებს კიდევაც ბოლოს მას.

- მთელი თანხა მრავალ ათას გირვანქა სტერლინგს შეადგენს, - შენიშნა ვექილმა, როდესაც ქაღალდები გადაათვალიერა.

- დიახ, - დაუმოწმა კლიენტმა.

- რას მიბრძანებთ? - იკითხა ვექილმა.

- რას გიბრძანებთ? - წამოიძახა კლიენტმა და უეცრად გამოცოცხლდა, - უნდა ავამოძრაოთ კანონის ყოველი მანქანა, მივმართოთ ყოველნაირ ხრიკს, რაც კი შეუძლია, გამჭრიახმა ადამიანმა გამოიგონოს და არამზადამ შეასრულოს. მივმართოთ ყოველნაირ პატიოსან და უპატიოსნო საშუალებებს, გამოვიყენოთ კანონის ძალა და მისი აღმსრულებლების ფანდები. მე მსურს, რომ ის ადამიანი ნელ-ნელა საშინელი ტანჯვა-წამებით მოკვდეს! გააკოტრეთ, წაართვით მთელი მიწები და ქონება, გა-

მოაგდეთ საკუთარი სახლიდან და მოაცილეთ თავის კერას, სიბერეში მათხოვრად აქციეთ და ციხეში ამოხადეთ სული!

- კი, მაგრამ ხარჯები, ჩემო ძვირფასო, სერ, ხარჯები? - შენიშნა ვექილმა, როდესაც წუთიერი გაკვირვებისგან გამოირკვა, - ვინღა გადაიხდის ხარჯებს, თუკი მოპასუხე გაკოტრდება?

- მითხარით, რამდენი გნებავთ, - მიუგო ჯენტლმენმა, მას აღელვებისაგან ხელი ისე უკანკალებდა, რომ ძლივს ეჭირა კალამი, - დაასახელეთ თანხა და თქვენ მას მიიღებთ. ნუ მოგერიდებათ, მე არ მომეჩვენება დიდად, ოღონდ კი მიზანს მივაღწიო.

ვექილმა ალალბედზე დიდი თანხა დაუსახელა, როგორც ავანსი, რომელიც საჭირო იყო საკუთარი თავის უზრუნველსაყოფად იმ შემთხვევაში, თუ საქმეს წააგებდა, მაგრამ დაუსახელა არა იმ იმედით, რომ უცნაური კლიენტი მის მოთხოვნას დააკმაყოფილებდა, არამედ უფრო იმიტომ, რომ გაეგო, თუ რამდენად იყო დაინტერესებული იგი ამ საქმით. უცნობმა უსიტყვოდ მთელ თანხაზე გამოუწერა ჩეკი თავისი ბანკირის სახელზე და წავიდა.

ჩეკი სათანადოდ გაუნაღდეს. როდესაც ვექილი დარწმუნდა, რომ მისი კლიენტი ნამდვილად სანდო კაცი იყო, ბეჯითად შეუდგა მინდობილი საქმის შესრულებას. ამ დღიდან მოყოლებული მისტერ ჰეილინგი მთელი დღეები კანტორაში იჯდა და გულმოდგინედ ეცნობოდა ვადაგასულ თამასუქებსა და გირაოს, რომელთა რიცხვი დღითი დღე იზრდებოდა. როგორ უბრწყინავდა სიხარულით თვალები, როდესაც კვლავ და კვლავ გადაიკითხავდა ხოლმე წერილებს, რომელშიც მისი მსხვერპლი ემუდარებოდა, ოდნაც მაინც გადაეწია ფულის გადახდის ვადა და მიუთითებდა, რომ მას გარდაუვალად გაკოტრება მოელოდა. დაიწყო დაუსრულებელი დავა. ერთი სასამართლო პროცესი ჯერ არ დამთავრებულიყო, რომ მეორე იწყებოდა. მოპასუხის ყველა თხოვნაზე,

რომ მოსარჩელეს პატარა შეღავათი ან შეწყალება გამოეჩინა, პასუხი მუდამ ერთი და იგივე იყო: „ფული უნდა ვადაზე იქნას გადახდილი“. მრავალი აღმასრულებელი ქაღალდის ძალით მოხუცს თანდათანობით ჩამოერთვა მიწა, სახლი, ავეჯი და თვითონ სამუდამოდ მოვალეთა ციხეში უნდა ჩამარხულიყო, დროზე რომ არ დაეღწია თავი პოლიციელების ფხიზელი ძებნისგან და სადღაც არ გადაკარგულიყო.

ჰეილინგის შეუნელებელი სიძულვილი ვერ ჩაკლა წარმატებით დამთავრებულმა დევნამ, პირიქით იგი გაასკეცდა იმ გაკოტრების შემდეგ, რომელიც მან მოპასუხეს დაატეხა თავს. როდესაც მოახსენეს, მოხუცი გადაიკარგაო, კაცი კინაღამ გაგიჟდა: თმას იგლეჯდა, გააფთრებით აკრაჭუნებდა კბილებს და წყევლიდა ხალხს, რომელთაც ნაბრძანები ჰქონდათ მოხუცის დაპატიმრება. მხოლოდ მაშინ დამშვიდდა ცოტა, როდესაც დაარწმუნეს, გაქცეულს აუცილებლად მოგინახავთო. მოსანახად ყველა მიმართულებით დაგზავნეს აგენტები, მის საპოვნელად მიმართეს ყოველგვარ ხრიკს, რომ როგორმე აღმოეჩინათ მოხუცის ადგილსამყოფელი, მაგრამ ყოველივე ამაო აღმოჩნდა. გავიდა ნახევარი წელიწადი და მისი კვალი არსად ჩანდა.

ერთხელ, გვიან ღამით, ჰეილინგი, რომლის შესახებ უკვე რამდენიმე კვირის განმავლობაში არაფერი ისმოდა, კვლავ გამოჩნდა ატერნის კანტორაში. მან ბარათი შეუგზავნა ვექილს, ერთ ჯენტლმენს დაუყოვნებლივ სურს თქვენი ნახვაო. ვექილმა მეორე სართულიდანვე იცნო თავისი უცნაური კლიენტის ხმა, ვიდრე ის მსახურს უბრძანებდა, შემოიყვანეთო, ჰეილინგი უკვე კიბეზე ავარდა და სუნთქვაშეკრული, გადაფითრებული სახით ვექილის მისაღებ ოთახში შევიდა. კარი მაგრად მიიხურა, რომ საუბარი არავის გაეგონა, სავარძელში მოწყვეტით ჩაეშვა და დაბალი ხმით წარმოთქვა:

- უჰ! როგორც იქნა, მივაგენი.

- ნუთუ მართლა? - შეეკითხა ვექილი, - ჩინებულია, ჩემო ძვირფასო სერ, ჩინებული!

- უბადრუკ ქოხმახში იმალება ქემდენ-ცაუნში, - თქვა ჰეილინგმა, - ვინ იცის, იქნებ სჯობდა კიდეც, რომ მაშინ თვალიდან გადაგვეკარგა. მთელი ამ ხნის განმავლობაში მარტო ცხოვრობდა, საშინელ გაჭირვებაში... სულ გაღატაკებულა.

- ჩინებულია, - თქვა ვექილმა, - ახლა უთუოდ ისღა გსურთ, რომ ხვალვე დავაპატიმროთ, არა?

- დიახ, - მოუგო ჰეილინგმა, - არა, მოიცათ, ხვალ კი არა, ზეგ... უთუოდ გაგიკვირდათ, რომ გადავდე, - დაუმატა მან პირქუში ღიმილით, - კინაღამ დამავიწყდა: ზეგ სწორედ ექვსი წელი სრულდება იმ ამბის შემდეგ. დეე, დაპატიმრებაც იმ დღეს მოხდეს.

- ბატონი ბრძანდებით, - დაეთანხმა ვექილი, - მაშ, დაწერეთ მიმართვა პოლიციისადმი.

- არა, საჭირო არ არის. პოლიციის მსახური აქ დამხვდეს ზეგ სრულ რვა საათზე და მე თვითონ გაჰყვები.

დათქმულ საღამოს ჰეილინგი და პოლიციის მსახური ერთმანეთს შეხვდნენ, ეტლი დაიქირავეს და მეეტლეს უბრძანეს, ძველი პენკრეს-როუდის იმ კუთხეში გაჩერებულიყო, სადაც ძველი სამრევლო სამუშაო სახლი იდგა. როდესაც დანიშნულ ადგილს მიაღწიეს, ეტლიდან გადმოხტნენ, ვეტერინარიული ჰოსპიტლის ყრუ კედელს ჩაუარეს და შესახვევში ჩაუხვიეს, რომელსაც ახლა, ან იმ დროს მაინც, ლიტლ კოლიჯ-სტრიტს უწოდებდნენ. მაშინ ეს ქუჩა მიყრუებული, უკაცური ადგილი გახლდათ, რომელსაც მხოლოდ ყანები და თხრილები ერტყა გარს.

ჰეილინგი ამ ქუჩაზე შეჩერდა ერთი უბადრუკი სახლის წინ, სამგზავრო ქუდი სახეზე ნახევრად ჩამოიფხატა, ყელამდე ლაბა-

დაში გაეხვია და ფრთხილად მიუკაკუნა კარს. კარი უმალვე ვიღაც ქალმა გაუღო, რომელმაც, როგორც კი ჰეილინგი იცნო, რევერანსი გაუკეთა და მიესალმა. ჰეილინგმა პოლიციელს ჩასჩურჩულა, დაბლა მომიცადეო, ჩუმად აიპარა მეორე სართულზე და წინა ოთახის კარი ერთბაშად გამოაღო.

მისი დაუცხრომელი ძიებისა და შეუნელებელი სიძულვილის საგანი, ახლა უკვე დავრდომილი მოხუცი, მისჯდომოდა ფიჭვის უბრალო მაგიდას, რომელზედაც სანთელი ოდნავ ბჟუტავდა.

უცნობის შემოსვლაზე მოხუცი შეკრთა და ძლივს წამოდგა ფეხზე.

- ეს რაღას ნიშნავს? - იკითხა მან, - კიდევ რა ახალი უბედურება დამატყდა თავს? აქ რა გნებავთ?

- სულ ორიოდე სიტყვა მინდა გითხრათ, - მიუგო ჰეილინგმა. ამ ლაპარაკში მაგიდის მეორე ბოლოს მიუჯდა. ლაბადა და ქუდი გადაიძრო და სახე გამოიჩინა.

მოხუცს თითქოს ერთბაშად წაერთვა მეტყველების უნარი. სკამზე დავარდა, ხელები ერთმანეთს მოუჭირა და მოულოდნელ მოჩვენებას ზიზღით სავსე, შეძრწუნებული თვალები მიაპყრო.

- დღეს შესრულდა სწორედ ექვსი წელი, - წარმოთქვა ჰეილინგმა, - რაც მე მოგთხოვეთ სიცოცხლე, რომელიც ჩემი ბავშვის დაღუპვისთვის გმართებთ. მისმინე, მოხუცო, შენი ქალიშვილის უსულო სხეულის წინაშე მე ფიცი დავდე, რომ ჩემს სიცოცხლეს შურისძიებას შევწირავდი. მას აქეთ ამ განზრახვისთვის წუთითაც არ მიღალატია. კიდევაც რომ მომენდომებინა ღალატი, მისი მორჩილი, დატანჯული თვალების ან ჩვენი უმანკო ბავშვის ღონემიხდილი სახის მოგონება ძალას მიასკეცებდა ჩემი მიზნის შესასრულებლად... ჩემი შურისძიების პირველი ნაბიჯი თქვენ, უთუოდ, კარგად გემახსოვრებათ. აი, ეს კი, უკანასკნელი გახლავთ!

მოხუცს თავით ფეხებამდე გააჟრჟოლა და ხელები უმწეოდ ჩამოუვარდა.

- ხვალ ინგლისიდან მივემგზავრები, - წარმოთქვა ჰეილინგმა ერთი წუთის შემდეგ, - ოღონდ იცოდეთ, ამაღამ ცოცხლად დაგმარხავთ იმ საფლავში, რომლისთვისაც თქვენი ქალი ასე უწყალოდ გასწირეთ, დაგმარხავთ ციხეში, საიდანაც არავინ დაბრუნებულა!

უეცრად ჰეილინგმა მოხუცს შეხედა და დადუმდა. სანთელი სახეზე მიანათა, კვლავ წყნარად ჩამოდგა მაგიდაზე და ოთახიდან გავიდა.

- ერთი მოხუცს მიხედეთ, - უთხრა მან ქალს, როდესაც დაბლა ჩავიდა, შემოსასვლელი კარი გამოაღო და პოლიციის მოხელეს ხელით ანიშნა ქუჩაში გაჰყოლოდა, - მგონი, შეუძლოდ არის.

ქალმა კარი გადარაზა და საჩქაროდ კიბეზე აირბინა. ოთახში უსულო გვამიღა დახვდა.

კენტში, მყუდრო და განმარტოებულ სასაფლაოზე, სადაც მობიბინე ბალახს მინდვრის ყვავილები ამშვენებს და მის გარშემო არშიად მოვლებული მიდამო ამ ადგილს ინგლისის ერთ-ერთ უმშვენიერეს ბაღად აქცევს, სადად გათლილი ლოდის ქვეშ მშვიდად განისვენებენ ყმაწვილი დედა და მისი ნორჩი ბავშვი. მამა კი მათთან არ არის. იმ ღამიდან მოყოლებული, ვექილს არაფერი სმენია, თუ რა ბედი ეწია შემდგომ მის უცნაურ კლიენტს.

როდესაც მოხუცმა ამბავი დაამთავრა, კუთხეში მდგარი საკიდისკენ გაემართა, ქუდი და პალტო ჩამოიღო, დინჯად ჩაიცვა და უბრად გაშორდა სუფრაზე მსხდომთ. რადგან მოზაიკისსაკინძიან კაცს იქვე სუფრაზე ჩაეძინა და დამსწრეთა უმეტესმა ნაწილმა კი მხიარული გასართობი გამონახა. მძინარის ჭიქაში დამდნარი

სანთლის ჩაწვეთებას შეუდგნენ. მისტერ პიკვიკმა თავისი და მისტერ უელერის ფული გადაიხადა და ყველასთვის შეუმჩნევ-ლად, აღნიშნული ჯენტლმენის თანხლებით, „კაჭკაჭისა და ჯირ-კვის“ სასტუმროდან გავიდა.

თავი XXII

მისტერ პიკვიკი იპსუიჩს მიემგზავრება, სადაც შეემთხვევა რომანტიკული თავგადასავალი - გადაეყრება ყვითელპაპილოტებიან შუახნის მანდილოსანს

- ესაა შენი ბატონის ბარგი, სემი? - ჰკითხა უფროსმა უელერმა თავის მოსიყვარულე ვაჟს, როდესაც ეს უკანასკნელი სამგზავრო ჩანთითა და პატარა ჩემოდნით უაიტჩეპლში, სასტუმრო „ხარის“ ეზოში შევიდა.

- კარგად გამოიცანი, მოხუცო! - მიუგო უმცროსმა უელერმა, ბარგი ეზოში დაალაგა და თვითონ ზედ დაჯდა, - ბატონი ახლავე მობრძანდება.

- კებით თუ მოდის? - ივარაუდა უფროსმა უელერმა.

- დიახ, ორი მილის მანძილზე საფრთხე მოელის, თითო მილი კი 8 პენსი ღირს, - მიუგო შვილმა, - დედინაცვალი ამ დილით როგორა ბრძანდება?

- უცნაურად, სემი, უცნაურად, - მიუგო უფროსმა უელერმა ხუმრობის გარეშე, - ვგონებ, ამ ბოლო დროს მეთოდისტების ორდენში ჩაეწერა და უჩვეულოდ ღვთისმოსავი გახდა. ჩემმა მზემ, სემი, ჩემისთანა ადამიანისთვის მეტისმეტად სათნო არსებაა, ვგრძნობ, რომ მისი ღირსი არა ვარ, სემი.

- ოჰ, ეს კი მეტისმეტია, - მიუგო მისტერ სემუელმა, - ეს ხომ ნამდვილი თავგანწირვაა!

- რას იზამ, - მიუგო მშობელმა და ამოიოხრა, - ახლა რაღაც ახალ ამბავს ჩასჭიდებია, მოზრდილი ადამიანების ხელახლა

შობას. ჰო, ხელახლა შობას ეძახიან, მგონი. აჰ, რა გამიხარდებოდა, ეს წესი ერთი ცხოვრებაში მენახა. მაგალითად, მენახა შენი დედინაცვლის ხელახლა დაბადება. ნახე, თუ არ გავაძიძავებდი!

- როგორა გგონია, იმ დედაკაცებმა ერთ მშვენიერ დღეს რა მოიგონეს? - ცოტა ხნის სიჩუმის შემდეგ კვლავ განაგრძო მისტერ უელერმა და ცერი რამდენჯერმე დაირტყა ცხვირზე.

- არ ვიცი, - მიუგო სემმა.

- შეიკრიბნენ და ერთი ყმაწვილი, რომელსაც ისინი თავის მოძღვარს ეძახიან, ჩაიზე მიიწვიეს, - განაგრძო მისტერ უელერმა, - ერთ დღეს მე ჩვენს სურათების მაღაზიასთან ტყუილ--უსაქმოდ ვიდექი; უცბად პატარა განცხადებას მოვკარი თვალი. განცხადება გვამცნობდა: „ბილეთები ნახევარი კრონი ღირს, ყოველგვარი თხოვნით მიმართეთ კომიტეტს, მდივანი მისის უელერი“. დავბრუნდი თუ არა შინ, დავინახე, რომ კრება ამ კომიტეტს ჩვენსას, უკანა ოთახში გაუმართავს. სულ 14 დედაკაცი იყო. ნეტავი გენახა, სემი, დადგენილებები გამოჰქონდათ, ხარჯთაღრიცხვას კენჭს უყრიდნენ და კიდევ ბევრი ამნაირი სეირი იყო. ახლა შენი დედინაცვალი ჩამაცივდა წამოდი, წამოდიო; მეც გავიფიქრე, უცნაურსა და საინტერესო რამეებს ვნახავ--მეთქი და მეც ჩავეწერე ერთ ბილეთზე. პარასკევ საღამოს, 6 საათზე, ლამაზად გამოვეწყვე და ჩემს დედაკაცთან ერთად წავედი. ავედით მეორე სართულზე. იქ დაგვხვდა გაშლილი სუფრა, ასე ოცდაათი კაცისთვის. შევედი თუ არა, დედაკაცებმა ატეხეს ჩურჩული და ისე დამიწყეს თვალიერება, თითქოს ამის მეტად არ ენახათ, ცოტა არ იყოს, მსუქანი ჯენტლმენი, ასე ორმოცდათვრამეტი წლისა. უეცრად კიბეზე ატყდა ერთი აურზაური, ოთახში ვიღაც წითელცხვირა, თეთრყელსახვევიანი ყმაწვილი შემოვარდა და დაიყვირა: - აგერ, მობრძანდება მოძღვარი თავისი ერ-

თგული ფარის დასათვალიერებლადო. მართლაც, ოთახში შავებში გამოწყობილი, მსუქანი ახალგაზრდა შემოვიდა. მას თეთრი, ფართო სახე ჰქონდა და ყურთამდე იღიმებოდა. ო, რა სეირი იყო, სემი! „მშვიდობის ამბორი“ წარმოთქვა მოძღვარმა, ჩამოუარა და ყველა დედაკაცი გადაკოცნა. ახლა წითელცხვირამ მიჰბაძა მას და ყველა გადაკოცნა. მეც სწორედ ის იყო გავიფიქრე, ახლა ჩემი ჯერიც ხომ არ დადგა-მეთქი, მით უმეტეს, რომ გვერდით მშვენიერი მანდილოსანი მედგა, რომ ამ დროს გამოჩნდა შენი დედინაცვალი ჩაიდნით ხელში, რომელშიც თურმე ქვედა სართულზე ჩაის ადუღებდა. ახლა კი საქმეს გულმოდგინედ შეუდგნენ: ვიდრე ჩაის ამზადებდნენ, მორთეს ხმამაღლა დიდებული ჰიმნის მღერა, მერე რა ჭამა-სმა იყო! ნეტავ გენახა, სემი, როგორ ეცა ის მოძღვარი ლორსა და ნაზუქს. ჩემს დღეში არ მინახავს ადამიანს ამდენი ეჭამოს და ესვას. არც წითელცხვირა ყმაწვილი ჩამორჩებოდა მას, მაგრამ მოძღვართან მაინც ვერ მოვიდოდა. ჩაის შემდეგ ისევ იმღერეს ჰიმნი და მოძღვარმა ლოცვა დაიწყო და კარგადაც ქადაგებდა, თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ ნაზუქით გული იჯერა... უცებ მან ლოცვა შეწყვიტა და დაიყვირა: „სად არის ცოდვილი?“ დედაკაცებმა მე შემომხედეს და ისეთი გმინვა და კვნესა აღმოხდათ, გეგონებოდა, საცაა, სულს დალევენო. ეს ამბავი უცნაურად მეჩვენა, მაგრამ მაინც არაფერი ვთქვი. მოძღვარი ახლა ისევ გაჩერდა და კვლავ დაიყვირა: „სად არის ცოდვილი? სად არის ცოდვილი?“ თანაც, მე მომაშტერდა. დედაკაცები ისევ გმინვასა და კვნესას მოჰყვნენ, ამჯერად უფრო ხმამაღლა. მე, ცოტა არ იყოს, გული მომივიდა, მივუახლოვდი. - მეგობარო, - ვუთხარი მე, - ეს სიტყვები მე შემეხება? ნაცვლად იმისა, რომ ჩემ წინაშე ბოდიში მოეხადა, როგორც ეს ჯენტლმენს შეეფერება, მან უფრო მეტად დამიწყო ლანძღვა. რა არ მიწოდა, რისხვის ჭურჭელიც კი. სის-

ხლი ამიდუღდა, ორი თუ სამი ჯერ მას ვუთაქე, შემდეგ კიდევ ორი თუ სამი წითელცხვირა ყმაწვილისათვის გადასაცემად მივართვი და წამოვედი კიდეც იქიდან. უნდა გენახა, სემი, რა წივილ-კივილი ატეხეს დედაკაცებმა, როდესაც თავიანთი მოძღვარი მაგიდის ქვეშიდან გამოათრიეს... ალო, აი, მეთაურიც... მთელი სიგრძე-სიგანით გაშხლართულიყო.

ამ დროს მისტერ პიკვიკი კიბიდან გადმოხტა და ეზოში შემოვიდა.

- სასიამოვნო დილაა, სერ, - შეეგება მას მისტერ უელერი.

- მართლაც რომ მშვენიერია, - დაეთანხმა მისტერ პიკვიკი.

- მართლაც რომ მშვენიერია, - ექოსავით გაიმეორა წითელთმიანმა კაცმა, რომელიც ამ დროს მეორე კიბიდან გამოხტა. მას აპრეხილი ცხვირი ჰქონდა და ლურჯი სათვალე ეკეთა. - იპსუიჩს მიემგზავრებით, სერ? - იკითხა მან.

- დიახ, - მიუგო მისტერ პიკვიკმა.

- აი, საოცარი დამთხვევა, მეც იპსუიჩს მივდივარ.

მისტერ პიკვიკმა კვლავ თავი დაუკრა.

- გარეთა ადგილი გაქვთ? - ისევ იკითხა წითელთმიანმა კაცმა.

მისტერ პიკვიკმა კვლავ თავი დაუქნია.

- დაილოცოს ღმერთი! რა საოცრებაა, მეც გარეთა ადგილი მაქვს, - განაცხადა წითელთმიანმა კაცმა, - აშკარაა, ჩვენ ერთად მივემგზავრებით.

მის მოგრძო სახეს წვეტიანი ცხვირი ამშვენებდა და თვითონ თავით ფეხამდე ფრიად შთამაგონებელი შესახედაობა ჰქონდა. ყოველი სიტყვის წარმოთქმის შემდეგ ჯენტლმენი ჩიტივით თავს მაღლა აიგდებდა და ისე იღიმებოდა, თითქოს ისეთი დიდებული რამ აღმოეჩინოს, რაც ბრძენს იშვიათად თუ რგებია წილად.

- რა ბედნიერი ვარ, რომ თქვენთან ერთად ვიმგზავრებ, სერ, - მიმართა მას მისტერ პიკვიკმა.

- ოჰ, - სიტყვა შეუბრუნა ახალმოსულმა, - ეს ჩვენთვის, ორთავესთვის სასიამოვნოა, არა? საზოგადოება, გესმით, საზოგადოება სულ სხვა არის და მარტოობა კი სულ სხვა, არა, სერ?

- ამის უარყოფა არას გზით არ შეიძლება, - განაცხადა მისტერ უელერმა, რომელიც საუბარში ჩაერია და ფართოდ გაიღიმა, - ეს გახლავთ ის, რასაც მე ჭეშმარიტებას ვუწოდებ, როგორც ეს ძაღლის საკვების გამყიდველმა უთხრა მსახურ ქალს, როდესაც უკანასკნელმა უსაყვედურა, ჯენტლმენი არა ხარო.

- ა, რაო? - იკითხა წითელთმიანმა კაცმა და მისტერ უელერს თავით ფეხებამდე ქედმაღლურად ახედ-დახედა, - თქვენი მეგობარია, სერ?

- არა, ამას ვერ ვიტყოდი, - ხმადაბლა მიუგო მისტერ პიკვიკმა, - სიმართლე რომ ვთქვა, ეგ კაცი ჩემი მსახურია, მაგრამ მე მას ბევრ თავისუფლებას ვაძლევ. ჩვენ შორის რომ ვთქვათ, ფრიად ორიგინალური პიროვნებაა, მე ვამაყობ კიდევაც ამით.

- ჰოო? - მიუგო წითელთმიანმა კაცმა, - ეს, იცით, გემოვნების საქმეა. ორიგინალური მე არაფერი მომწონს. არ მიყვარს იგი და ვერც ვხედავ ამ ორიგინალობის აუცილებლობას. თქვენი სახელი, სერ?

- ინებეთ ჩემი სადარბაზო ბარათი, სერ, - მიუგო მისტერ პიკვიკმა, რომელიც ამ მოულოდნელმა კითხვამ და უცნობის უცნაურმა საქციელმა გაართო კიდევაც.

- ჰოო, - წარმოთქვა წითელთმიანმა კაცმა და ბარათი საფულეში შეინახა, - პიკვიკი. ძალიან კარგი, მიყვარს, როდესაც ადამიანს გვარით ვიცნობ. ადამიანის გვარის ცოდნა ბევრ დავიდარაბასა და გაუგებრობას გადაგვარჩენს ხოლმე. აი, ჩემი ბა-

რათიც, სერ. მაგნუსი, თქვენ შეამჩნევდით, სერ, ჩემი გვარი მაგ-ნუსია. ვფიქრობ, საკმაოდ კარგი გვარია, არა, სერ?

- დიახ, ჩინებული გვარი გახლავთ, - უპასუხა მისტერ პიკვიკ-მა და ღიმილი ვეღარ შეიკავა.

- დიახ, მეც ასე ვფიქრობ, ჩინებულია, - განაგრძო მისტერ მაგნუსმა, - აი, ამ გვარის წინ კიდევ კარგი სახელიცაა, კეთილი-ნებეთ და შეხედეთ. ნება მიბოძეთ, სერ... აი, თუ ბარათს ცოტა ალმაცერად დაიჭერთ... ასე, სინათლე ზევითა მხარეს ეცემო-დეს, აი პიტერ მაგნუსი, მე ვფიქრობ, კარგადა ჟღერს, სერ.

- ძალიან კარგად, - დაეთანხმა მისტერ პკივიკი.

- ინიციალების საოცარი თანხვედრაა, - სერ, - მერიდიემ

. სერ, როდესაც ახლო მეგობრებს ვწერ და ძალიან მეჩქარე-ბა, ვაწერ „ნაშუადღევს“, ჩემს მეგობრებს ძალიან მოსწონთ და ერთობიან ხოლმე ამით, მისტერ პიკვიკ.

- ვფიქრობ, თქვენ მათთვის სიამოვნების მინიჭება გნებავთ ხოლმე, - შენიშნა მისტერ პიკვიკმა და თანაც შეშურდა, რომ მისტერ მაგნუსის მეგობრების გართობა ასე უბრალოდ ხერხდე-ბოდა.

- აბა, ბატონებო, - მიმართა მათ მეჯინიბემ, - ეტლი მზად გახ-ლავთ, კეთილინებეთ, სერ, და დაბრძანდით.

- ჩემი ბარგი ჩალაგებულია? - იკითხა მისტერ მაგნუსმა.

- ყველაფერი რიგზეა, სერ.

- წითელი საკიც ჩადეთ?

- დიახ, სერ.

- ზოლიანი?

- კოფოს ქვემოთ, ყუთშია, სერ.

- ყავისფერ ქაღალდებში გახვეული ამანათი?

- ჩალაგებულია, სერ.

- ტყავის კოლოფი ქუდებისათვის?

- ყველაფერი ჩალაგებულია, სერ.

- დაჯდომას არ ინებებთ, სერ? - იკითხა მისტერ პიკვიკმა.

- უკაცრავად, - მიუგო მაგნუსმა და ბორბალზე შედგა, - მაპატიეთ, მისტერ პიკვიკ, მაგრამ ვიდრე ასეთ გაურკვეველ მდგომარეობაში ვიმყოფები, არ შემიძლია დაგეთანხმოთ და ეტლში ჩავჯდე. ამ ადამიანის ქცევამ სრულიად დამარწმუნა, რომ ტყავის კოლოფი არ არის ჩადებული.

მეჯინიბის თავგამოდებული რწმუნება ამაო აღმოჩნდა და ის იძულებული გახდა, კოფოს ქვემოთ მოთავსებული ყუთის ძირიდან ამოეთრია ტყავის კოლოფი, რათა დაერწმუნებინა მისტერ მაგნუსი, რომ კოლოფი საიმედოდ იყო შენახული. ახლა მისტერ მაგნუსს გაუჩნდა სერიოზული წინათგრძნობა, რომ მისი წითელი საკი არ იყო ჩადებული სადაც ჯერ არს, რომ მისი ზოლიანი საკი შეიძლება მოეპარათ კიდეც. ბოლოს, როდესაც ის საკუთარი თვალით დარწმუნდა, რომ მისი ყოველი ეჭვი უსაფუძვლო იყო, როდესაც ყოველგვარმა შიშმა გადაუარა, მან თავი კმაყოფილად და ბედნიერად იგრძნო.

- თქვენ ნერვები წესრიგში არ უნდა გქონდეთ, არა, სერ? - იკითხა უფროსმა უელერმა და უცნობს ალმაცერად გადახედა, როდესაც ამ უკანასკნელმა თავისი ადგილი დაიკავა.

- დიახ, ნერვების სისუსტეს მუდამ ვგრძნობ ამისთანა წვრილმანების გამო, მაგრამ ახლა უკვე არა მიშავს, - განაცხადა უცნობმა, - ახლა უკვე სავსებით კარგად ვარ.

- მადლობა ღმერთს, - თქვა მისტერ უელერმა, - სემი, მოეხმარე ბატონს, კოფოზე ამოვიდეს. მეორე ფეხი, სერ, აი ასე, მომეცით ხელი, სერ, ამობრძანდით მაღლა. ახალგაზრდობაში უფრო მსუბუქი იქნებოდით, არა, სერ?

- ჭეშმარიტად, მისტერ უელერ, - ქოშინით დაეთანხმა მისტერ პიკვიკი, როდესაც მის გვერდით, კოფოზე დაიკავა ადგილი.

- წინ შემოახტი, სემი, - დაუძახა მას მისტერ უელერმა, - აბა, უილიამ, ცხენები გამოიყვანეთ, ბატონებო, თაღს გაუფრთხილ-დით. როგორც ხაბაზი ამბობს, თავი დასწიეთ. კმარა, უილიამ, ახლა გაუშვით. ეტლმა ისე სწრაფად ჩაიგრიალა უაიტჩეპლის ქუჩაში, რომ ამ საკმაოდ მჭიდროდ დასახლებული უბნის მცხოვ-რებლების აღტაცება გამოიწვია.

- არცთუ მაინცდამაინც ლამაზი ადგილია, სერ, - განაცხადა სემმა და ქუდს ხელი შეახო. ეს მოქმედება მუდამ უსწრებდა წინ ბატონთან საუბრის დაწყებას.

- მართალია, სემ, - დაეთანხმა მისტერ პიკვიკი და ხალხით სავსე, ჭუჭყიანი ქუჩა შეათვალიერა.

- რა ღირსშესანიშნავი გარემოება გახლავთ, სერ, - განაგრძო სემმა, - რომ სიღატაკე და ხამანწკები ერთად მოგზაურობენ.

- არაფერი მესმის, სემ, - გაიკვირვა მისტერ პიკვიკმა.

- აი, რას ვამბობ, სერ, - კვლავ დაიწყო სემმა, - რაც უფრო ღა-რიბია ადგილი, სერ, მით უფრო მეტია ხამანწკაზე მოთხოვნი-ლება. ერთი შეხედეთ, სერ, ყოველი ექვსი-შვიდი სახლის შემ-დეგ ხამანწკის დუქანია, ქუჩა ამ დუქნებით არის სავსე. მიწა გა-მისკდეს, თუ არა ვფიქრობდე, რომ ღარიბი ადამიანი სახლიდან სასოწარკვეთილი გამოვარდება თუ არა, პირდაპირ ხამანწკას ეცემა.

- მართლაც რომ აგრეა, - ჩაერია უფროსი უელერი, - დამუჟუ-ჟებულ ორაგულზედაც ხომ ასეა.

- რა შესანიშნავი ფაქტებია, - წარმოთქვა მისტერ პიკვიკმა, - არასოდეს შევხვედრივარ ამისთანა რამეს, პირველსავე გაჩე-რებაზე ყველაფერს ჩავიწერ. ამ დროისათვის ისინი მაილენ-დთან საბაჟოს მიადგნენ. სამი თუ ოთხი მილი ისე გაიარეს, რომ სიჩუმე არავის დაურღვევია. უცებ უფროსი უელერი მისტერ პიკ-ვიკს მიუბრუნდა და უთხრა:

- საბაჟოს დარაჯები ფრიად უცნაური ხალხია, სერ!

- ვინა? - ვერ გაიგონა მისტერ პიკვიკმა.

- საბაჟოს დარაჯი.

- ვის ეძახით დარაჯს? - იკითხა მისტერ პიტერ მაგნუსმა.

- მოხუცი საბაჟოს მცველზე ლაპარაკობს, - აუხსნა სემმა.

- ჰო, დიახ, - შენიშნა მისტერ პიკვიკმა, - მესმის, დიახ, მეტად უცნაური, ესეც რომ არ იყოს, საოცრად მოუსვენარი და მოუწყობელი ცხოვრება აქვთ.

- ყველა მათგანი ცხოვრებაზე გულგატეხილია, - შენიშნა უფროსმა უელერმა.

- მართლა? - იკითხა მისტერ პიკვიკმა.

- შედეგიც ის გახლავთ, რომ ამ ცხოვრებას ზურგს აქცევენ და ამ ტიალ ჯიხურებში ჩაიკეტებიან ხოლმე უთუოდ იმიტომ, რომ ქვეყნისაგან განმარტოებით იყვნენ და თანაც ადამიანზეც ჯავრი იყარონ იმით, რომ ბაჟი ახდევინონ.

- ღმერთო! - წამოიძახა მისტერ პიკვიკმა, - წინათ მე ეს არც ვიცოდი!

- ფაქტია, სერ, - განაგრძო მისტერ უელერმა, - ეგენი რომ ჯენტლმენები ყოფილიყვნენ, თქვენ მათ მიზანთროპს დაუძახებდით, ახლა კი მხოლოდ საბაჟოს დარაჯები არიან.

მისტერ უელერის ამ საუბარს, რომელშიც სასიამოვნო სასარგებლოს ეხამებოდა, ფასდაუდებელი მიმზიდველობა ჰქონდა, რადგან მოსაწყენ მოგზაურობას ბევრად ახალისებდა. მოგზაურობის საუბარს ამგვარი თემა დღის განმავლობაში არ შემოჰკლებია, ვინაიდან, თუ მისტერ უელერს სალაპარაკო გამოელეოდა, მისტერ მაგნუსი განაგრძობდა. ის საოცარ ინტერესს იჩენდა თანამგზავრების პირადი ცხოვრებისა და თავგადასავლის მიმართ. გარდა ამისა, ყოველ გაჩერებაზე ხმამაღლა

გამოთქვამდა ეჭვს თავისი ორი საკისა, ტყავის კოლოფისა და ქაღალდში გახვეული ამანათის უვნებლად ყოფნის გამო.

იპსუიჩის მთავარი ქუჩის მარცხენა მხარეზე, ქალაქის სამმართველოს წინ, მოედნის გადაღმა არის სასტუმრო, რომელიც ცნობილია „დიდი თეთრი რაშის“ სახელწოდებით. ეს სასტუმრო ყურადღებას იპყრობს იმით, რომ მის მთავარ შესასვლელთან აღმართულია რაღაც შმაგი, ფაფარაყრილი ცხოველის ქვის ქანდაკება, რომელსაც საჯაგავ ცხენთან შორეული მსგავსება აქვს. სასტუმრო „დიდი თეთრი რაში“ იმდენადვე არის ცნობილი იმ არემარეში, რამდენადაც ჯილდომიღებული ხარი ან საგრაფოს გაზეთში გამოქვეყნებული თალგამის ახალი ჯიში, ან კიდევ უზარმაზარი ზომის ღორი. ძნელი წარმოსადგენია, ერთ ჭერქვეშ იპოვებოდეს ამისთანა ლაბირინთი დერეფნებისა, ასეთი დიდი რაოდენობა სასადილო თუ დასაძინებელი ბუნაგებისა და, საერთოდ, ასეთი გროვა ნესტიანი და ცუდად განათებული ოთახებისა, როგორსაც თქვენ ნახავდით „დიდი თეთრი რაშის“ კედლებში. ამ ტავერნასთან, ყოველ საღამოს, გარკვეულ საათზე ჩერდებოდა ლონდონის საფოსტო ეტლი, მისტერ პიკვიკი, სემ უელერი და მისტერ პიტერ მაგნუსი სწორედ ამ ეტლიდან გადმოხტნენ იმ საღამოს, რომელსაც ჩვენი მოთხრობის ეს თავი შეეხება.

- თქვენ ამ სასტუმროში გაჩერდებით, სერ? - იკითხა მისტერ პიტერ მაგნუსმა, როდესაც მსახურებმა ზოლიანი საკი, წითელი საკი, ყავისფერ ქაღალდში გახვეული ამანათი და ტყავის კოლოფი დერეფანში დაალაგეს, - თქვენ აქ გაჩერდებით, სერ?

- დიახ, აქ, - მიუგო მისტერ პიკვიკმა.

- ოჰ, ღმერთო ჩემო, - წამოიძახა მისტერ მაგნუსმა, - ასეთი უცნაური დამთხვევა არასოდეს გამიგონია. წარმოიდგინეთ, მეც აქ ვაპირებ გაჩერებას. იმედი მაქვს, ერთად ვისადილებთ?

- სიამოვნებით, - მიუგო მისტერ პიკვიკმა, - თუმცა არა ვარ დარწმუნებული, რომ მარტო ვიქნები. ჩემი მეგობრები უნდა ჩამოსულიყვნენ, აბა, გეთაყვა, ხომ არ არის აქ ვინმე ჯენტლმენი, გვარად ტაპმენი?

ზორბა კაცი, რომელსაც იღლიის ქვეშ ორი კვირის ნახმარი ხელსახოცი ეჭირა და ფეხზედაც იმდენივე ხნის წინდები ეცვა, უხალისოდ მოსცილდა თავის საქმეს (ქუჩის თვალიერებას) და მისტერ პიკვიკის კითხვას, მას შემდეგ, რაც ეს ჯენტლმენი თავით ფეხებამდე საფუძვლიანად შეათვალიერა, მეტყველად უპასუხა:

- არა.

- ჯენტლმენი, გვარად სნოდგრასი?

- არა.

- არც უინკლი?

- არა.

- ჩემი მეგობრები ჯერ არ ჩამოსულან, სერ, - მიუბრუნდა მისტერ პიკვიკი მისტერ მაგნუსს, - ასე რომ, ჩვენ ორნი ვისადილებთ. აბა, მეგობარო, ცალკე ოთახში გაგვიძეხით!

ამ ბრძანებისთანავე ზორბა კაცმა იკადრა და სასტუმროს მსახურს უბრძანა, ჯენტლმენების ბარგი შეეტანა, თვითონ კი გრძელსა და ბნელ დერეფანში გაუძღვა მათ და ცუდად მოწყობილ დიდ ოთახში შეიყვანა. ჭუჭყიან ბუხარში ცეცხლი ბჟუტავდა და თავგანწირულად ცდილობდა, რამენაირად გამხიარულებულიყო, მაგრამ გარემოს ზეგავლენით ეს ცდა უშედეგოდ მთავრდებოდა და ჩქარა ისევ სულთმობრძავს ემსგავსებოდა. ერთი საათის შემდეგ ჩვენს მოგზაურებს თითო ნაჭერი ხორცი და თევზი მოართვეს. როდესაც სადილი მოათავეს, მისტერ პიკვიკმა და მისტერ მაგნუსმა სკამები ბუხრისაკენ მისწიეს. ამ სასტუმროს საკეთილდღეოდ მათ ფრიად ძვირად შეუკვეთეს საძაგელი პორ-

ტვეინი, ხოლო საკუთარი სიამოვნებისთვის კი გროგის სმას შეუდგნენ.

მისტერ პიტერ მაგნუსი ბუნებით გულღია მოსაუბრე გახლდათ, ხოლო გროგმა ისე საოცრად იმოქმედა მასზე, რომ გულიდან იდუმალი აზრებიც კი ამოალაგებინა. მან ბევრი რამ ილაპარაკა საკუთარ თავზე, თავის ოჯახზე, გართობაზე, თავის მეგობრებზე, საქმიანობაზე, თავის ძმებზე (მოგეხსენებათ, მოლაყბე ადამიანებს უყვართ საკუთარ ძმებზე ლაპარაკი). შემდეგ მისტერ პიტერ მაგნუსი ნაღვლიანად დააშტერდა მისტერ პიკვიკს თავისი ფერადი სათვალით რამდენიმე წუთის განმავლობაში და ბოლოს მოკრძალებულად შეეკითხა:

- როგორა გგონიათ, მისტერ პიკვიკ, როგორა გგონიათ, აქ რა მიზნით ჩამოვედი?

- სინდისს გეფიცებით, - მიუგო მისტერ პიკვიკმა, - ამის მიხვედრა შეუძლებელია. შესაძლოა, საქმეზე?

- ნაწილობრივ მართალია, სერ, - მიუგო მისტერ პიტერ მაგნუსმა, - მაგრამ, ამავე დროს, ნაწილობრივ მცდარიცაა თქვენი დასკვნა. სცადეთ, კვლავ, მისტერ პიკვიკ.

- უნდა გთხოვოთ, შემიწყალოთ. ან მითხარით, ან არა, როგორც თქვენ საჭიროდ მიგაჩნიათ, ისე მოიქეცით, თორემ მე თუნდაც მთელი ღამე რომ ვიფიქრო, ვერ მივხვდები.

- ჰა, ჰა, ჰა, ჰა, - მორცხვად გაიცინა მისტერ პიტერ მაგნუსმა, - მისტერ პიკვიკ, იცით, მე აქ ჩამოვედი იმისთვის, რომ ერთ მანდილოსანს წინადადება მივცე, ცოლად გამომყვეს. რას იტყვით ამაზე, ჰა, სერ? ჰა, ჰა, ჰა, ჰა!

- რას ვიტყვი და იმას, რომ ადვილი შესაძლებელია, წარმატებას მიაღწიოთ, - მიუგო მისტერ პიკვიკმა და თავისებურად, გულღიად გაიღიმა.

- მართლა? ნამდვილად ასე ფიქრობთ, მისტერ პიკვიკ, ასე ფიქრობთ?

- ნამდვილად, - დაარწმუნა მისტერ პიკვიკმა.

- არა, თქვენ ალბათ ხუმრობთ.

- არ ვხუმრობ.

- მაშინ ერთ პატარა საიდუმლოებას გაგიმჟღავნებთ: იცით, მეც ასე ვფიქრობ. თუმცა ამასაც გეტყვით, რომ მე ძალიან ეჭვიანი ვარ ბუნებით, საშინელი ეჭვიანი. ეს მანდილოსანი ამ სახლში ბრძანდება, - მისტერ პიტერ მაგნუსმა სათვალე მოიხსნა, მისტერ პიკვიკს თვალი ჩაუკრა და სათვალე კვლავ გაიკეთა.

- აი, სადილობის წინ თურმე ამიტომ გარბოდით ოთახიდან წამდაუწუმ, - ეშმაკურად შენიშნა მისტერ პიკვიკმა.

- ჩუ... თქვენ მართალი ბრძანდებით, ამიტომ გავდიოდი, თუმცა არც ისე სულელი ვარ, რომ წავსულიყავი და მენახა.

- მართლა?

- დიახ, მგზავრობის შემდეგ მაშინვე როდი ვარგა საქმის გადაწყვეტა. უუმჯობესია, ხვალამდე დავიცადო. წარმატება ორჯერ მეტი იქნება მისტერ პიკვიკ. სერ, აგერ იმ საკში ტანსაცმელი მაქვს, იმ კოლოფში - ქუდი, ვფიქრობ, ეს ფასდაუდებელ სამსახურს გამიწევს, თუ მხედველობაში მივიღებთ იმ შთაბეჭდილებას, რომელსაც ეს მორთულობა მოახდენს.

- მართლა? - შენიშნა მისტერ პიკვიკმა.

- დიახ, თქვენ ალბათ შეამჩნიეთ, როგორ ვწუხდი დღეს მათ გამო. არა მგონია, ამისთანა ტანსაცმელი და ქუდი ადამიანმა კიდევ იშოვოს საყიდლად, მისტერ პიკვიკ.

მისტერ პიკვიკმა მიულოცა ამისთანა თვალწარმტაცი მორთულობის შეძენა და მისტერ მაგნუსი რამდენიმე წუთით ფიქრებს მიეცა.

- მშვენიერი ქმნილებაა, - დაიწყო მისტერ მაგნუსმა.

- მართლა? - შეესიტყვა მისტერ პიკვიკი.

- ძალიან კარგი, - განაგრძო მისტერ მაგნუსმა, - ძალიან, აქედან დაახლოებით 20 მილის მანძილზე ცხოვრობს, მისტერ პიკვიკ. გავიგე, რომ დღეს ჩამოვიდა და ხვალ შუადღემდე დარჩება. მეც გადავწყვიტე, ამ შემთხვევით ვისარგებლო. ვფიქრობ, სასტუმრო ჩინებული ადგილია, სადაც შეიძლება მარტოხელა ქალს წინადადება მისცეს კაცმა, მისტერ პიკვიკ. მგზავრობის დროს ქალი უფრო მწვავედ გრძნობს მარტოობას, ვიდრე საკუთარ სახლში. თქვენ რას იტყვით, მისტერ პიკვიკ?

- ადვილი შესაძლებელია, - მიუგო ამ ჯენტლმენმა.

- მაპატიეთ, მისტერ პიკვიკ, - დაიწყო კვლავ მისტერ პიტერ მაგნუსმა, - მაგრამ მე ბუნებით მეტად ცნობისმოყვარე გახლავარ. თქვენ აქ რისთვის ჩამოსულხართ?

- არცთუ ამისთანა სასიამოვნო საქმის გამო, სერ, - მიუგო მისტერ პიკვიკმა და თვით იმ ამბის მოგონებამაც კი ლოყები შეუფაკლა, - მე ჩამოვედი, სერ, რომ გამოვააშკარავო და დღის სინათლეზე გამოვიტანო იმ ადამიანის ვერაგობა და ცბიერება, რომლის „სიმართლესა“ და „პატიოსნებას“ ბრმად ვენდობოდი.

- ღმერთო დიდებულო, - წამოიძახა მისტერ პიტერ მაგნუსმა, - რა არასასიამოვნო ამბავია! ალბათ, ვინმე მანდილოსანი იქნება? ეჰ, თქვე კუდიანო, ჰა, მისტერ პიკვიკ! მაგრამ არა, მისტერ პიკვიკ, მე არავითარ შემთხვევაში არ მინდა თქვენს გრძნობებს შევეხო. ეს მტკივნეული საკითხია, სერ, მეტად მტკივნეული. თუ თქვენ გულის მოოხება გნებავთ, მე ყურადღებას ნუ მომაქცევთ, მისტერ პიკვიკ. მშვენივრად ვიცი, რა არის ვერაგობა, სამჯერ თუ ოთხჯერ მე თვითონ გამომიცდია.

- დიდად გმადლობთ, რომ ჩემი უბედურება ასეთი თანაგრძნობით გაიზიარეთ, - მიუგო მისტერ პიკვიკმა, საათი მომართა და მაგიდაზე დადო, - მაგრამ...

- არა, არა, - შეაწყვეტინა მისტერ პიტერ მაგნუსმა, - ამაზე კრინტიც არ დასძრათ, გესმით, ეს მეტად მტკივნეული საკითხია, გასაგებია, გასაგებია! რა დროა, მისტერ პიკვიკ?

- შუაღამე გადასულა.

- ღმერთო, ძილის დროა, არ ივარგებს გვიანობამდე ჯდომა, ხვალ ცუდ ფერზე ვიქნები.

გაუელვა თუ არა აზრმა ამ უბედურების შესახებ, მისტერ პიტერ მაგნუსმა მსახურს დაურეკა. მან საწოლ ოთახში აატანინა ზოლიანი და წითელი საკი, ტყავის კოლოფი და ყავისფერ ქაღალდში გახვეული ამანათი. შემდეგ მისტერ მაგნუსი ლაქით დაფარული შანდლით ხელში სახლის ერთ მხარეს გაემართა, მისტერ პიკვიკი კი ასეთივე შანდლით ხელში, გაუთავებელი მიხვეულ-მოხვეული დერეფნებით სახლის მეორე მხარეს წაიყვანეს.

- ეს გახლავთ თქვენი ოთახი, სერ, - უთხრა მას მსახურმა ქალმა.

- ძალიან კარგი, - მიუგო მისტერ პიკვიკმა და ირგვლივ მიმოიხედა.

საკმაოდ დიდი ოთახი გახლდათ, ორი საწოლი იდგა. ბუხარიც ენთო და, საერთოდ, უფრო კეთილმოწყობილი ჩანდა, ვიდრე ამას მისტერ პიკვიკი მოელოდა იმ გამოცდილების საფუძველზე, რომელსაც მას „დიდი თეთრი რაშის“ მცირე ნაცნობობა აძლევდა.

- მეორე საწოლი, რა თქმა უნდა, დაკავებული არ არის? - იკითხა მისტერ პიკვიკმა.

- ოჰ, არა, სერ.

- ძალიან კარგი. გადაეცით ჩემს მსახურს, დილით ცხრის ნახევარზე ცხელი წყალი მომართვას. დღეს კი აღარ დამჭირდება.

- მესმის, სერ, - მიუგო მსახურმა ქალმა, ძილი ნებისა უსურვა, ოთახიდან გავიდა და მისტერ პიკვიკი მარტო დატოვა.

მისტერ პიკვიკი ბუხრის წინ სკამზე ჩამოჯდა და უთავბოლო ფიქრების ნიაღვარს მიეცა. ჯერ მას თავისი მეგობრები მოაგონდა და დაიწყო ფიქრი იმაზე, თუ როდის შეხვდებოდა მათ, შემდეგ მისი აზრი მართა ბარდლისკენ გაემართა. ბუნებრივია, აქიდან ფიქრით ის დოდსონისა და ფოგის ჭუჭყიან კანტორას მიადგა. დოდსონისა და ფოგის კანტორიდან ის უეცრად „უცნაური კლიენტის“ შუა ადგილას გადახტა, შემდეგ მისი ფიქრები კვლავ იპსუიჩს, „დიდ თეთრ რაშს“ დაუბრუნდა და საკმაოდ ნათლად აგრძნობინა მისტერ პიკვიკს, რომ სადაც იყო, ძილი მოერეოდა. უეცრად მას მოაგონდა, რომ საათი დაბლა დარჩა.

ამ საათს ის მრავალი წლის განმავლობაში ჟილეტის უბით ატარებდა და ძალიან უყვარდა.

მისტერ პიკვიკს აზრადაც არ მოუვიდოდა, ისე დაწოლილიყო და დაეძინა, რომ ბალიშქვეშ ანდა სასთუმალთან, ჟილეტის ჯიბიდან არ გაეგონა საათის ზომიერი წიკწიკი. უკვე გვიან იყო და მას არ უნდოდა ზარის დარეკვა, ამიტომ ჩაიცვა ფრაკი, რომელიც ის-ის იყო გაიხადა და შანდლით ხელში კიბეზე დაეშვა. მისტერ პიკვიკს ეჩვენებოდა, რომ რაც უფრო დაბლა ჩადიოდა, მით უფრო იზრდებოდა საფეხურების რიცხვი. როდესაც მისტერ პიკვიკი ვიწრო დერეფანს დაჰყვა და მიულოცა საკუთარ თავს, რომ როგორც იყო, პირველ სართულს მიაღწია, მისი გაკვირვებული თვალები კიბეს შეეფეთა. ბოლოს, როგორც იქნა, ის ქვისიატაკიან დარბაზში შევიდა. ეს დარბაზი მან შენობაში პირველად შემოსვლის დროს შენიშნა, აქედან კვლავ დერეფანში გავიდა, ყოველ ოთახში შეიჭყიტა და, როდესაც უკვე სასოწარკვეთილმა გადაწყვიტა ძებნისათვის თავი დაენებებინა, კარი სწორედ იმ

ოთახში შეაღო, სადაც აღნიშნული საღამო გაატარა და მაშინვე მაგიდაზე თვალი მოჰკრა თავის დაკარგულ საუნჯეს.

მისტერ პიკვიკმა სიხარულით დასტაცა ხელი საათს და კვლავ საწოლი ოთახისაკენ გაემართა. მართალია, მისი მოგზაურობა დაბლა საშინელი სიძნელეებით და გაურკვევლობით აღინიშნა, მაგრამ მისი უკან დაბრუნება გაცილებით რთული აღმოჩნდა. სხვადასხვა ზომისა და ფორმის ფეხსაცმლით მორთული კარის რიგები ყოველი მიმართულებით მიიკლაკნებოდა.

მან რამდენჯერმე სცადა, შეეღო კარი, რომელიც მის ოთახს ჰგავდა, მაგრამ როგორც კი გაიგონებდა ჯაჯღანს: „ვინ ეშმაკებია?“ ან კიდევ „რა გნებავთ?“ იძულებული ხდებოდა ფეხის წვერებზე, უჩვეულო სისწრაფით გასცლოდა იქაურობას. ის სასოწარკვეთილების პირას იყო მისული, როდესაც ერთმა ღია კარმა მიიპყრო მისი ყურადღება. მან შიგ შეიხედა. მადლობა ღმერთს! ოთახში ორი საწოლი იდგა, საწოლები მას მშვენივრად ახსოვდა და ბუხარშიც ცეცხლი ჯერ არ ჩამქრალიყო. სანთელი, რომელიც თავიდანვე არცთუ ისე დიდი იყო, დერეფნებში მის მოგზაურობის დროს საკმაოდ დამდნარიყო და მიიხურა თუ არა კარი, მაშინვე ჩაქრა. - „არა უშავს-რა, - გაიფიქრა მისტერ პიკვიკმა, - ბუხრის შუქზედაც კარგად გავიხდი“.

საწოლები კარის ორთავე მხარეს იდგა. შიგნით პატარა გასასვლელი იყო დატოვებული, მის ბოლოს კი სკამი იდგა. ადგილი მხოლოდ იმდენიღა იყო, რომ ადამიანი საწოლში ამძვრალიყო, ან საჭიროების შემთხვევაში, ჩამომძვრალიყო.

მისტერ პიკვიკმა საწოლის ფარდები გარეთა მხრიდან ჩამოსწია, შემდეგ სკამზე ჩამოჯდა, გამაშები და ფეხსაცმელი, შემდეგ ფრაკი გაიხადა, ჟილეტი დაკეცა, ყელსახვევი მოიხსნა და ყველაფერი სკამზე დაალაგა. ფოჩიანი ჩაჩი თავზე ნელა დაიხურა და ზონრით ნიკაპთან შეიკრა. სწორედ ამ დროს მან გაიფიქრა,

რომ წეღანდელი მისი დერეფნებში დაბნევა სისულელე იყო, სკამზე გაიჭიმა და ისე გულიანად გადაიხარხარა, რომ ყოველ გონიერ ადამიანს გულწრფელ სიამოვნებას მოჰგვრიდა, დაენახა ის ღიმილი, რომელსაც მისტერ პიკვიკის ჩაჩით მორთული სახე უხვად აფრქვევდა.

„რა სეირია, - უთხრა მისტერ პიკვიკმა თავის თავს და ისე გაიღიმა, რომ ჩაჩის ზონარი კინაღამ გაწყდა, - სასაცილოა, რომ ამ კიბეზე კინაღამ დავიკარგე. ასეთი სასაცილო რამ არასოდეს გამიგონია, სასაცილოა, სწორედ რომ სასაცილო“, - და მისტერ პიკვიკმა წეღანდელზე ფართოდ გაიღიმა და დააპირა გაეგრძელებინა ტანსაცმლის გახდა, რომ მას მოულოდნელმა შემთხვევამ ხელი შეუშალა, სახელდობრ, იმან, რომ ამ დროს კარი გაიღო და სანთლით ხელში ოთახში ვიღაც შემოვიდა, შემდეგ კარი დაკეტა, ტუალეტის მაგიდასთან მივიდა და სანთელი დადგა. ღიმილი, რომელიც მისტერ პიკვიკს სახეზე უკრთოდა, წამსვე შეცვალა უსაზღვრო გაოცებამ. პიროვნება, ვინც უნდა ყოფილიყო ის, ისე მოულოდნელად და ისე უხმაუროდ შემოვიდა, რომ მისტერ პიკვიკმა ვერც დაძახება მოასწრო და ვერც ხელი შეუშალა მის შემოსვლას. ვინ უნდა ყოფილიყო? ქურდი? ბოროტმოქმედი, რომელმაც დაინახა მისტერ პიკვიკი კიბეზე ხელში ლამაზი საათით? ახლა რაღა უნდა ექნა?

ერთადერთი საშუალება, თვალი მოეკრა ამ საიდუმლო სტუმრისთვის ისე, რომ თვითონ იგი უცნობს არ დაენახა, გახლდათ ის, რომ საწოლზე ამძვრალიყო და მეორე მხარეს, ფარდიდან გამოეჭყიტა. მან მართლაც ამ მანევრს მიმართა. დაიჭირა ხელით ფარდები, რომ თავის მეტი არაფერი გამოჩენილიყო, სათვალე გაიკეთა, მოუხმო მხნეობას და ფარდიდან გამოიხედა. უეცრად შიშისაგან კინაღამ გული წაუვიდა. სარკის წინ იდგა შუახნის ყვითელპაპილოტებიანი ლედი და თმას გულმოდგინედ

ივარცხნიდა. სავსებით ნათელი იყო, რომ ეს ლედი აქ აპირებდა დარჩენას, მან შემოიტანა ლერწმის სანთელი, რომელიც, მისდა საქებად უნდა ითქვას, ხანძრის შიშით, მას იატაკზე, ტაშტში ჩაედგა და ახლა ეს სანთელი წყლის პატარა ზედაპირზე უზარმაზარ შუქურასავით ანათებდა.

„ღმერთო დიდებულო, - გაიფიქრა მისტერ პიკვიკმა, - ეს რა საშინელებაა!“

- ჰმ, - ჩაახველა მანდილოსანმა და მისტერ პიკვიკის თავი სასწრაფოდ დაიმალა ფარდებში.

„ასეთი უბედურება არასოდეს დამტყდომია თავს, - გაიფიქრა საცოდავმა მისტერ პიკვიკმა და ცივმა ოფლმა დაასხა, - არასოდეს! რა უბედურებაა“! - აქ მისტერ პიკვიკმა ვეღარ გაუძლო სურვილს, ისე უნდოდა დაენახა, რა ხდებოდა ოთახში და კვლავ გამოიჭყიტა. მაგრამ სანახაობა ახლა ბევრად უარესი იყო, ვიდრე უწინ. შუახნის ლედის თმა უკვე დაევარცხნა, მუსლინისფოჩებიან თავსაბურში თავი ფრთხილად გაეხვია და დაფიქრებული ცეცხლს მისჩერებოდა.

„მდგომარეობა საშიშია, - დაასკვნა მისტერ პიკვიკმა თავისთვის, - მე ვერ დავუშვებ, რომ ასე გაგრძელდეს. ამ ლედის ქცევა ნათლად მოწმობს იმას, რომ ჩემს ოთახში არა ვარ. მაგრამ, რომ დავუძახო, მთელ სახლს ფეხზე დააყენებს, ხოლო, თუკი გავჩუმდები, შედეგი ხომ უფრო საშინელი იქნება“. მისტერ პიკვიკი, უნდა ითქვას, მოკვდავთა შორის ყველაზე მორცხვი და მოკრძალებული არსება გახლდათ. იმის ფიქრმა, რომ ის უნდა წარდგომოდა ლედის ჩაჩით თავზე, ძალა გამოაცალა. დაწყევლილი ზონარი ყრუდ გაენასკვა და რამდენიც არ ეცადა, ვერ იქნა, ჩაჩი თავიდან ვერ მოიცილა, არადა, ლედის რამენაირად უნდა გააგებინოს მისი იქ ყოფნა. რჩებოდა მხოლოდ ერთი სა-

შუალება. მისტერ პიკვიკი ფარდებში დაიმალა და ძალიან ხმამაღლა დაიძახა.

- ჰა, ჰმ.

ნათელია, რომ ლედი, როდესაც მან ეს მოულოდნელი ხმა გაიგონა, შეკრთა, რადგანაც მან ოთახის ჩაბნელებულ ნაწილისაკენ დაიხია. ისიც უდავოა, რომ მან თავისი თავი დაარწმუნა „ალბათ მომეჩვენაო“, რადგან, როდესაც მისტერ პიკვიკმა გაიფიქრა, ლედის უთუოდ შიშისაგან გული წაუვიდაო, გაბედა და კვლავ გამოიჭყიტა ფარდებიდან. მან დაინახა, რომ ლედი კვლავ ცეცხლს მისჩერებოდა დაფიქრებული.

„ფრიად უცნაური დედაკაცია“, - გაიფიქრა მისტერ პიკვიკმა და თავი კვლავ ფარდებში შერგო.

- ჰა, ჰმ!

ახლა კი ბგერები იმდენად ნათლად გაისმა, რომ მათი ფანტაზიისათვის მიწერა ძნელი იყო. ეს ჰგავდა ლეგენდის მძვინვარე გოლიათის ბლანდერბორის ხმას, რომელიც ბრძანებას იძლეოდა, სუფრა გაშალეთო.

- ღმერთო დიდებულო! - წამოიძახა შუახნის ლედიმ, - ეს რა ამბავია?

- ეს... ეს... მხოლოდ ჯენტლმენია, ქალბატონო, - გაისმა ფარდებიდან მისტერ პიკვიკის ხმა.

- ჯენტლმენი! - დაიწივლა შიშისგან ლედიმ.

„დავიღუპე!“ - გაიფიქრა მისტერ პიკვიკმა.

- უცხო კაცი! - წიოდა ლედი. კიდევ ერთი წუთი და მთელი სახლი შეიყრებოდა. კაბამ გაიშრიალა და ლედი კარს მივარდა.

- ქალბატონო, - სასოწარკვეთილი ხმით შესძახა მისტერ პიკვიკმა და თავი ფარდაში გამოყო, - ქალბატონო!

თუმც მისტერ პიკვიკს არავითარი გარკვეული მიზანი არ ამოქმედებდა, როდესაც მან ფარდიდან გამოჩენა გადაწყვიტა, მაგრამ ამან მაინც კარგი შედეგი გამოიღო.

ლედი, როგორც ვთქვით, კართან იდგა, საკმარისი იყო ერთი ნაბიჯი, რომ კიბეზე აღმოჩნდებოდა და ეჭვი არ არის, უთუოდ ასეც მოიქცეოდა, მაგრამ მისტერ პიკვიკის ჩაჩით მორთულმა თავმა მოაბრუნა, ოთახის უშორეს კუთხეში გაჩერდა და მისტერ პიკვიკს მიაშტერდა. მისტერ პიკვიკიც თავის მხრივ ასევე დაჟინებით უყურებდა ლედის.

- არამზადა! - შესძახა ლედიმ და თვალებზე ხელი აიფარა, - აქ რა გნებავთ?

- არაფერი, ქალბატონო, ნამდვილად არაფერი, - მხურვალედ მიუგო მისტერ პიკვიკმა.

- არაფერი? - გაიმეორა ლედიმ და ზევით აიხედა.

- არაფერი, ქალბატონო, გეფიცებით პატიოსნებას, - მიუგო მისტერ პიკვიკმა. საცოდავი თავს ისე ენერგიულად აქნევდა, რომ მისი ჩაჩის ფოჩი აქეთ-იქით ხტოდა. - ლამის სირცხვილით დავიწვა, ქალბატონო, რომ ლედის თავზე ჩაჩდახურული ვესაუბრები (ამის თქმაზე ლედიმ თავსაბური სასწრაფოდ მოიგლიჯა), მაგრამ რა ვქნა, ვერაფრით მოვიხადე, ქალბატონო, - და ამ სიტყვების დასამტკიცებლად მისტერ პიკვიკმა, რაც ძალა და ღონე ჰქონდა, ზონარი მოსწია. - ახლა ჩემთვის ნათელია, ქალბატონო, რომ შემეშალა და ჩემი ოთახის ნაცვლად, თქვენში შემოვსულვარ. სულ ხუთი წუთის მოსული არ ვიქნებოდი, რომ უეცრად თქვენ შემობრძანდით.

- თუკი ეს დაუჯერებელი ამბავი მართალია, სერ, - განაცხადა ლედიმ და თან ხმამაღლა აქვითინდა, - ახლავე წახვალთ აქედან.

- ახლავე, ქალბატონო, დიდი სიამოვნებით. - მიუგო მისტერ პიკვიკმა.

- ახლავე, სერ, - არ ცხრებოდა ლედი.

- რა თქმა უნდა, ქალბატონო, - მაშინვე დაეთანხმა მისტერ პიკვიკი. - რა თქმა უნდა, ქალბატონო, მე ძლიერ ვწუხვარ, ქალბატონო, - დაიწყო მისტერ პიკვიკმა და საწოლიდან წამოდგა, - რომ ჩემდა უნებურად თქვენი აღელვებისა და შეწუხების მიზეზი გავხდი, ძალიან ვწუხვარ, ქალბატონო.

ლედიმ მისტერ პიკვიკს კარისკენ მიუთითა.

ამ მძიმე მომენტში აშკარად გამოვლინდა მისტერ პიკვიკის ხასიათის ერთ-ერთი შესანიშნავი თვისება. მიუხედავად იმისა, რომ ქუდი ჩაჩის ზემოდან დაიხურა, ფეხსაცმელები და გამაშები ხელში ეჭირა, ხოლო ფრაკი და ჟილეტი მკლავზე გადაედო, მისი ბუნებრივი ზრდილობა და თავაზიანობა არაფერს შეეძლო დაეთრგუნა.

- უაღრესად ვწუხვარ, ქალბატონო, - თქვა მისტერ პიკვიკმა და ქალს თავი დაუკრა.

- თუ მართლა წუხხართ, სერ, დაუყოვნებლივ მიბრძანდით ამ ოთახიდან, - უპასუხა ლედიმ.

- დაუყოვნებლივ, ქალბატონო, ახლავე, ქალბატონო, - თქვა მისტერ პიკვიკმა და კარი გააღო, მაგრამ ორივე ფეხსაცმელი ხელიდან გაუვარდა და ბრახუნით იატაკზე დაეცა.

- იმედი მაქვს, ქალბატონო, - განაგრძო მისტერ პიკვიკმა, როდესაც ფეხსაცმელები აიღო და მობრუნდა, რათა მანდილოსნისთვის კვლავ თავი დაეკრა, - იმედი მაქვს, ქალბატონო, რომ ჩემი უმწიკვლო სახელი და ის ღრმა პატივისცემა, რომლითაც მე გამსჭვალული ვარ თქვენი სქესის მიმართ, მაძლევს ნებას, გთხოვოთ შეწყნარება ამ... - მაგრამ ვიდრე მისტერ პიკვიკი წი-

ნადადების დასრულებას მოასწრებდა, ლედიმ იგი დერეფანში გამოაგდო და კარი გასაღებითა და ურდულით მაგრად ჩაკეტა.

რაც უნდა დიდი საფუძველი ჰქონოდა მისტერ პიკვიკს, მიელოცა საკუთარი თავისათვის ის გარემოება, რომ ამ უხერხული მდგომარეობიდან თავი ასე იოლად დააღწია, მისი ახლანდელი მდგომარეობა სრულიად არ გახლდათ სახარბიელო. ის აღმოჩნდა მარტოდმარტო ნახევრად შიშველი ამ უცხო სახლის ღია დერეფანში. შეუძლებელი იყო იმის ფიქრიც კი, რომ ამ უკუნეთ სიბნელეში, მიაგნებდა ოთახს, რომელიც მან სანთლითაც კი ვერ იპოვა. თუკი მაინცდამაინც შეეცდებოდა ამ ოთახის მოძებნას და გამოიწვევდა თუნდაც უმნიშვნელო ხმაურს, ადვილი შესაძლებელი იყო, რომელიმე მოგზაური, რომელსაც არ ეძინა, მას ტყვიას ესროდა და შესაძლოა, მოკლავდა კიდევაც.

ერთადერთი გამოსავალი ის იყო, რომ დარჩენილიყო იქ, სადაც იდგა და მოეცადა გათენებისათვის. მან ხელის ცეცებით გაიარა რამდენიმე ნაბიჯი დერეფანში, ფეხი წამოსდო რამდენიმე წყვილ ფეხსაცმელს და კედელში დატანებულ პატარა ნიშს შეაფარა თავი. აქ ფრიად ფილოსოფიურად დაუწყო ლოდინი დილას.

მისტერ პიკვიკს არ ეწერა, გამოეცადა ლოდინის ეს დამატებითი ტანჯვა, ვინაიდან არ გაუვლია დიდ ხანს მას შემდეგ, რაც იგი ამ ნიშს ქვეშ გაჩერდა, რომ დერეფნის ბოლოში გამოჩნდა ვიღაც კაცი სანთლით ხელში და მისტერ პიკვიკს ენით გამოუთქმელი საშინელება მოჰგვარა, მაგრამ უეცრად შეძრწუნება სიხარულით ექცა, როგორც კი ამ კაცში თავისი ერთგული მსახური შეიცნო. მართლაც, ეს კაცი მისტერ სემუელ უელერი გახლდათ, რომელსაც ჯერ კიდევ არ ეძინა. მას საღამო სასტუმროს მსახურთან საუბარში გაეტარებინა, სასტუმროს მსახური ფოსტას ელო-

დებოდა და მისტერ უელერი მხოლოდ ახლა მიდიოდა მოსასვენებლად.

- სემ, - დაუძახა პიკვიკმა და უეცრად მის წინ აღიმართა, - სად არის ჩემი ოთახი?

ფრიად გაოგნებული მისტერ უელერი თავის ბატონს უაზროდ მიაჩერდა. მხოლოდ მას შემდეგ, რაც მისტერ პიკვიკმა მას სამჯერ გაუმეორა კითხვა, ის მოტრიალდა და გაუძღვა თავის ბატონს დიდი ხნის ნანატრი ოთახისაკენ.

- სემ, - უთხრა მისტერ პიკვიკმა, როდესაც დაწვა, - იცით, სემ, ამაღამ ყველაზე საოცარი შეცდომა ჩავიდინე, რაც კი ოდესმე ჩამიდენია.

- ადვილი შესაძლებელია, სერ, - ცივად მიუგო მისტერ უელერმა.

- გადავწყვიტე, ნახევარ წელიც რომ გავატარო ამ სახლში, მარტო სიარულს მაინც ვეღარ გავბედავ.

- ეგ ისეთი გონიერი დასკვნაა, რომელიც მარტო თქვენღა მოგივათ თავში, სერ, - მიუგო მისტერ უელერმა, - საჭიროა ვინმემ თვალყური გადევნოთ, სერ, როდესაც თქვენი გონება სტუმრად სიარულს იწყებს.

- მაგითი რისი თქმა გსურთ, სემ? - იკითხა მისტერ პიკვიკმა, საწოლზე ჩამოჯდა და ხელი წინ გაიშვირა, თითქოს რაღაცის თქმა უნდოდა, მაგრამ უცბად თავი შეიკავა, კედლისკენ მიბრუნდა და თავის მსახურს ძილი ნებისა უსურვა.

- ძილი ნებისა, სერ, - მიუგო მისტერ უელერმა, როდესაც ოთახიდან გავიდა, ცოტათი შეჩერდა და თავი გაიქნია. შემდეგ რამდენიმე ნაბიჯი გადადგა და კვლავ გაჩერდა, სანთელს თავი მოსწმინდა, კვლავ გაიქნია თავი და ღრმა ფიქრებით გართული თავისი ოთახისაკენ ნელა გაემართა.

თავი XXIII

მისტერ უელერი თავს არ ზოგავს, რომ ჯობ ტროტერს სამაგიერო გადაუხადოს

მეორე დღეს, ადრე დილით, რომელიც მოჰყვა ყვითელპაპილოტებიან შუახნის ლედისთან მისტერ პიკვიკის თავგადასავალს, საჯინიბოების გვერდით, ერთ პატარა ოთახში იჯდა უფროსი უელერი და ლონდონს გასამგზავრებლად ემზადებოდა. მას ისეთი პოზა მიეღო, თითქოს სურათს უღებენო.

ადვილი შესაძლებელია, რომ მისტერ უელერის კარიერის რომელიმე ადრეულ პერიოდში მისი პროფილი უფრო მკვეთრად და თამამად ყოფილიყო გამონაკვთული, მაგრამ კარგი ცხოვრებისა და მორჩილებისადმი მიდრეკილების გამო სახე ისე გაბადროდა, რომ მის ნაკვთებს ბევრად გადაელახა ის მოხაზულობა, რომელიც მათ თავდაპირველად ჰქონია. თუ პირდაპირ სახეში არ შეხედავდით, პროფილში ცხვირის წითელი ბოლოს გარდა, ვერაფერს გაარჩევდით. მის ნიკაპს, სახის ამ ფრიად მეტყველ ნაწილს, რომელსაც ჩვეულებრივად „ორკეც“ ღაბაბს უწოდებენ ხოლმე, იმავე მიზეზით დინჯი და დარბაისლური იერი მისცემოდა. სახის ფერი ამჟღავნებდა ჭრელი ფერების იმ განსაკუთრებულ შეხამებას, რომელიც ადამიანმა შეიძლება დაინახოს ამ პროფესიის ჯენტლმენების სახეზე და ცუდად შემწვარ როსტბიფზე. მისტერ უელერს კისერზე წითელი სამგზავრო შალი ჰქონდა შემოხვეული. ეს შალი მის ღაბაბს ისე შერწყმოდა, რომ ძნელი იყო მათი ნაკეცების ერთიმეორისაგან გარჩევა.

შალს ზემოდან გრძელი, ფართო ვარდისფერზოლიანი ჟილეტი ეცვა, ხოლო ჟილეტს ზემოდან კი განიერი ხიფთანი. ეს ხიფთანი სპილენძის ღილებით იყო მორთული. აქიდან ორი ღილი მას წელს უმშვენებდა, მაგრამ ისე შორიშორს იყო ერთიმეორისაგან დაცილებული, რომ ერთდროულად მათი დანახვა შეუძლებელი იყო. სწორი, შავი თმა ისე მოკლედ ჰქონდა შეკრეჭილი, რომ დაბალ, ფართოფარფლებიან ყავისფერ ქუდში ძლივს მოჩანდა. მოკლე, ხავერდის შარვალი და მაღალყელიანი გადაკეცილი ჩექმები ეცვა. სპილენძის ძეწკვი, რომელიც ერთ მხარეს ბეჭდითა და გასაღებით ბოლოვდებოდა, უზარმაზარ ქამარზე თავისუფლად ირხეოდა.

ჩვენ უკვე მოგახსენეთ, რომ მისტერ უელერი ლონდონს გასამგზავრებლად ემზადებოდა და ძალ-ღონის მოსაკრებად ჭამასმას შესდგომოდა. მაგიდაზე, მის წინ, ცივად მოხარშული ხორცის ნაჭერი, კარგა დიდი პური და დოქით ელი იდგა. მისტერ უელერიც თავის კეთილგანწყობილებას მათ რიგრიგობით სასტიკი გულგრილობით უნაწილებდა. მან ის იყო, მოჭრა პურის კარგა დიდი ნაჭერი, რომ ოთახში ვიღაც შემოვიდა, ფეხის ხმამ თავი მაღლა ააწევინა, მის წინ საკუთარი ვაჟი იდგა.

- დილა მშვიდობისა, სემი, - მიესალმა მამა.

შვილი ელით სავსე დოქთან მივიდა, მშობელს თავი მრავალმნიშვნელოვნად დაუქნია და დოქი პირზე მიიყუდა.

- ყლურწვა ჩინებულად შეგძლებია, სემი, - შენიშნა უფროსმა უელერმა, როდესაც დოქში ჩაიხედა და დარწმუნდა, რომ მის პირმშოს იგი ნახევრამდე დაეცალა, - შენგან შესანიშნავი ხამანწკა გამოვიდოდა, სემი, ამ სახით რომ მოვლენოდი ქვეყანას.

- დიახ, შესაძლოა, კარგი შემოსავალიც გქონოდა, - მიუგო სემმა და მადიანად შეუდგა ხორცის ჭამას.

- ვწუხვარ, სემი, - დაიწყო მოხუცმა და დალევის წინ ისე შეანჯღრია დოქი, რომ რამდენჯერმე წრე მოხაზა, - ძალიან ვწუხვარ, სემი, რომ იმ თუთისფერსამოსიან ყმაწვილს გაუცურებიხარ. გუშინწინდლამდე მუდამ ვფიქრობდი, სემი, რომ უელერი და გაცურება ვერასოდეს მორიგდებოდნენ, ვერასოდეს.

- ვერასოდეს, რასაკვირველია, გარდა ერთი ქვრივი ქალის ამბისა, - შენიშნა სემმა.

- ქვრივი ქალი, სემი, - მიუგო მისტერ უელერმა და ოდნავ გაფითრდა, - ქვრივი ქალი ყოველთვის გამონაკლისია. გამიგია, რომ ერთი ქვრივი ქალი, როდესაც ადამიანის გაცურებაა საჭირო, რამდენიმე ქალის ტოლია. ვფიქრობ, 25 ქალზე ერთი ქვრივი ქალი მოდის. შეიძლება მეტიც, ვერ გეტყვი.

- საკმარისია, - შენიშნა სემმა.

- გარდა ამისა, - განაგრძო მისტერ უელერმა ისე, რომ ყურადღება არც კი მიუქცევია იმისათვის, რომ შვილმა სიტყვა გააწყვეტინა, - ქვრივი ქალი ხომ სულ სხვა საქმეა. იცი, რა თქვა ერთმა ვექილმა, როდესაც ის იცავდა ჯენტლმენს, რომელიც ცოტას დალევდა თუ არა, თავის ცოლს მაშით სცემდა? - „ბოლოს და ბოლოს, მილორდ, ეს ხომ სიყვარულით გამოწვეული სისუსტეაო“, - ქვრივ ქალზე მეც ამას ვამბობ და, როდესაც ჩემს ასაკს მიაღწევ, შენც ასევე იტყვი.

- ეგ კი ვიცი, რომ უნდა თვალები გავახილო და არ გავბრიყვდე, - განაცხადა სემმა.

- არ უნდა გავბრიყვებულიყავი, თვალები უნდა გამეხილა. მაგრამ რას იზამ, თუმცა მე ერთ ახალგაზრდას ვიცნობ, რომელსაც შენი აღზრდის ნახევარი, მეოთხედიც კი არ მიუღია, სემი, ნახევარ წლობით ბაზარში არ უთევია ღამე და იმასაც კი შენსავით არ გააბრიყვებენ და არ გააცურებენ, სემი.

მწველმა ფიქრებმა მისტერ უელერი იმდენად ააფორიაქა, რომ მან ზარი დარეკა და კიდევ ერთი პინტი ელი მოითხოვა.

- ახლა ამაზე ლაპარაკი არც ღირს, - შენიშნა სემმა, - საქმე გათავებულია და უკვე აღარაფერი ეშველება, ასე იტყვიან ხოლმე ოსმალეთში, როდესაც უდანაშაულო ადამიანს თავს მოჰკვეთენ. ახლა ჩემი სვლა არის, მამაჩემო, და, როგორც კი იმ ტროტერს ხელში ჩავიგდებთ, ჩინებულ სვლას გავუკეთებ.

- იმედი მაქვს სემი, იმედი მაქვს, - მიუგო მისტერ უელერმა. - ეს შენი დღეგრძელობისა იყოს, სემი. ეცადე, ჩქარა ჩამორეცხო ჩვენს გვარს ის ჩირქი, რომელიც შენ მას მოაცხე, - ამ სადღეგრძელოს პატივსაცემად მისტერ უელერმა ერთი ამოსუნთქვით შთანთქა ახლად მოტანილი პინტის ორი მესამედი მაინც, დანარჩენი თავის ვაჟს გადასცა და მანაც სასმისი სასწრაფოდ გამოცალა.

- ახლა, სემი - დაიწყო მისტერ უელერმა და დიდ ვერცხლის საათს შეხედა, რომელიც სპილენძის ძეწკვზე ეკიდა, - ახლა დროა, კანტორაში წავიდე, მგზავრების სია წამოვიღო და თვალი გადავავლო, რადგან ჩემს ეტლს ტვირთავენ. ეტლი, სემი, ქვემეხსა ჰგავს, ვიდრე აამუშავებდე, უნდა ფრთხილად დატენო.

ამ პროფესიონალურსა და მშობლიურ ოხუნჯობაზე უმცროსმა უელერმა ისე გაიღიმა, როგორც ეს შვილს შეეფერება, ხოლო მისმა პატივცემულმა მშობელმა კი განაგრძო:

- მივდივარ, სემუელ, ჩემო შვილო, და ვინ იცის, კიდევ როდისღა გნახავ. შესაძლოა, შენს დედინაცვალს ვეღარ გავუძლო ან, ვინ იცის, კიდევ რამდენი რამ მოხდეს მანამდე, ვიდრე შენ რაიმე ამბავს შეიტყობდე სახელგანთქმულ ბელსუვეჯელ მისტერ უელერის შესახებ. საგვარეულო სახელი ახლა შენზე ბევრად არის დამოკიდებული, სემუელ, და, იმედი მაქვს, ამ სახელს გაამართლებ. რაც შეეხება ყოველგვარ წვრილმან საქმეებს,

ქცევისა და აღზრდის საკითხებში, გენდობი, როგორც საკუთარ თავს. აასე რომ, ისღა დამრჩენია, ერთი პატარა დარიგება მოგცე. როგორც კი ორმოცდაათ წელს მიაღწევ და იგრძნობ, რომ გაგიჩნდა მიდრეკილება ცოლის შერთვისა, სულერთია, ვინც უნდა იყოს ქალი, იცოდე, ჩაიკეტე შენს ოთახში და თავი მოიწამლე. თავის ჩამოხრჩობა საძაგლობაა, ამიტომ ამაზე ფიქრს თავი დაანებე. თავი მოიწამლე, სემუელ, შვილო ჩემო, და იცოდე, ამას არასოდეს ინანებ.

ამ გულისამაჩუყებელი სიტყვების შემდეგ მისტერ უელერი დაფიქრებით დააცქერდა შვილს. მერე ქუსლებზე ნელა შეტრიალდა და თვალს მიეფარა.

ამ ლაპარაკმა მისტერ სემუელ უელერიც დააფიქრა. როდესაც მამამისი წავიდა, ის „დიდი თეთრი რაშიდან“ გამოვიდა, სენტ-კლემენტის ეკლესიისაკენ გაემართა და შეეცადა დარდი ამ ეკლესიის უძველეს მიდამოებში სეირნობით გაეფანტა. ამ ეკლესიის არემარეში კარგა ხანს დაბორიალებდა და ბოლოს მიადგა ერთ განმარტოებულ ადგილს, რომელიც პატიოსანი შესახედაობის ეზოს ჰგავდა და რომელსაც, ეს მან შემდგომ აღმოაჩინა, არ გააჩნდა სხვა გასასვლელი, გარდა იმისა, რომელშიც თითონ შევიდა. ის იყო გამობრუნებას აპირებდა, რომ ერთი ადამიანის მოულოდნელად გამოჩენამ ადგილზე გააქვავა. ამ მოვლენის ბუნებისა და ხასიათის აღწერას ახლავე შევუდგებით.

მისტერ სემუელ უელერი მაღალ, აგურის წითელ სახლებს მისჩერებოდა. ხანდახან, ფრიად დაფანტული, რომელიმე მსახურ გოგონას თვალს ჩაუკრავდა, როდესაც ეს უკანასკნელი ფარდის ასაწევად ფანჯარას მოადგებოდა, ან კიდევ საწოლი ოთახის ფანჯარას აღებდა. ამ დროს, ეზოს ბოლოში ბაღის მწვანე ჭიშკარი გაიღო და გამოჩნდა კაცი. მან ეს ჭიშკარი ფრთხი-

ლად მიხურა. ადგილიდან მოსწყდა და სწრაფად გაეშურა იქითკენ, სადაც მისტერ უელერი იდგა.

ეს ფაქტი, ცალკე აღებული, არ არის არც საოცარი და არც განსაკუთრებული, რადგანაც დედამიწის ზურგზე, ძალიან ბევრ ადგილას ადამიანები შედიან და გამოდიან ბაღიდან, მიხურავენ მწვანე ჭიშკარს და მაშინვე გასცილდებიან ხოლმე იმ ადგილს ისე, რომ არ იპყრობენ საერთო ყურადღების უმნიშვნელო ნაწილსაც კი. მართებულია თუ არა ეს, ამის გადაწყვეტა ჩვენ მიგვინდვია მკითხველისათვის, როდესაც ჭეშმარიტად აღვწერთ ამ უცხო ადამიანის საქციელს.

როდესაც კაცმა ჭიშკარი მიხურა, როგორც უკვე ორგზის აღვნიშნეთ, იგი სწრაფი ნაბიჯით გაემართა ეზოსკენ.

როგორც კი მისტერ უელერს თვალი მოჰკრა, ერთი წუთით შეყოყმანდა და შედგა კიდევაც, თითქოს არ იცოდა როგორ მოქცეულიყო. მწვანე ჭიშკარი დაკეტილია, მეორე გასასვლელი კი მხოლოდ მის წინაა. ის უეცრად მიხვდა, რომ მისტერ სემუელ უელერს გვერდს ვერ აუვლიდა, ამიტომ მან კვლავ განაგრძო გზა. ნელ-ნელა სემს უახლოვდებოდა და წინ იცქირებოდა. მეტად საოცარი და საკვირველი ის ამბავი გახლდათ, რომ ეს კაცი საოცრად იმანჭებოდა და იჯღანებოდა. ბუნების არც ერთი ნახელავი ისე ხელოვნურად არ დამახინჯებულა, როგორც ამ კაცის სახე. რაც უფრო ახლოს მიდიოდა ეს კაცი სემთან, მით უფრო საზარელ გამომეტყველებას იღებდა მისი სახე. „მაგრამ, - ჩაილაპარაკა მისტერ უელერმა თავისთვის, - ფრიად უცნაურია! ვფიცავ, ის უნდა იყოს!“

უცნობი კიდევ უფრო მიუახლოვდა, მისი სახე ახლა კიდევ უფრო საზარლად დაჯღანულიყო.

„ფიცს დავდებ, რომ ეს სწორედ ის შავი თმაა და ის თუთისფერი შარვალი, - თქვა მისტერ უელერმა, - მაგრამ ეგ სახე კი უწინ არასოდეს მინახავს“.

წარმოთქვა თუ არა მისტერ უელერმა ეს სიტყვები, უცნობს სახე ტკივილისგან არადაამიანურად დაემანჭა და საზიზღარი შესახედავი შეიქნა. მაგრამ, რადგან სხვა გზა არ იყო, მან ძალიან ახლოს ჩაუარა სემს და ამ ჯენტლმენის გამჭრიახმა თვალებმა, ამ საშინელი მანჭვა-გრეხის მიუხედავად, აღმოაჩინა, რომ ამ კაცის თვალები იმდენად ჰგავდა მისტერ ჯობ ტროტერის თვალებს, რომ შეუძლებელი იყო კაცი შემცდარიყო.

- ჰეი, თქვენ, სერ! - ბოროტად დაიყვირა სემმა.

უცნობი შეჩერდა.

- ჰეი, თქვენ! - გაიმეორა სემმა უფრო უხეშად.

კაცი, რომელსაც საზარელი სახე ჰქონდა, ფრიად გაოცებული იყურებოდა აქეთ-იქით. ჯერ მაღლა ახედა სახლებს, შემდეგ ეზოში ჩამოიხედა, ფანჯრებს გადახედა, ერთი სიტყვით, იყურებოდა ყველგან, გარდა იმ ადგილისა, სადაც სემი იდგა. ის იყო, ნაბიჯი გადადგა, რომ ხელახლა დაძახებამ ადგილზე გააჩერა.

- ჰეი, თქვენ, სერ! - მეორედ დაუძახა სემმა.

შეუძლებელი იყო უცნობს თავი მოეკატუნებინა თითქოს არ ესმოდა, საიდან მოდიოდა ეს ხმა და რადგან სხვა გამოსავალი არ იყო, უცნობმა ბოლოს სემ უელერს პირდაპირ სახეში შეხედა.

- აღარაფერი გაგივათ, ჯობ ტროტერ, - დაიწყო სემმა, - აბა, სისულელეს თავი დაანებეთ. არც ისე მშვენიერი ბრძანდებით, რომ თქვენი სილამაზე ქარს გაატანოთ. თვალები თავის ადგილას მოათავსეთ, თორემ სულს გაგაფრთხობინებთ, გესმით?

ვინაიდან მისტერ უელერს აშკარად ეტყობოდა, რომ განწყობილი იყო მართლაც ემოქმედა ამ სიტყვების შესაბამისად, მის-

ტერ ტროტერის სახემ ნელ-ნელა ბუნებრივი გამომეტყველება მიიღო, სიხარულით შეიფრთხიალა და წამოიძახა:

- ამას ვისა ვხედავ, მისტერ უოკერი?

- ჰა! - შეესიტყვა მისტერ უელერი, - ჩემი ნახვა ძალიან გესიამოვნათ, არა?

- მესიამოვნა? - წამოიძახა ჯობ ტროტერმა. - ოჰ, მისტერ უოკერ, რომ იცოდე, როგორ ვნატრობდი ამ შეხვედრას! ახ, ეს მეტისმეტია, მისტერ უოკერ, მეტის ატანა აღარ შემიძლია, ოღონდაც, რომ არ შემიძლია.

ამ სიტყვებზე ჯობ ტროტერს ცრემლების ნიაღვარი წასკდა. მან მისტერ უელერს ხელი ჩაავლო და აღტაცებული მოეხვია.

- მომცილდით თავიდან, - დაიყვირა ამ საქციელით აღშფოთებულმა სემმა და შეეცადა აღტაცებული ნაცნობის მკლავებიდან გათავისუფლებულიყო, - მომცილდით-მეთქი, გეუბნებით, თავზე რაღას დამღრიალებთ ორთქლის ძრავასავით.

- სიხარულის ცრემლებია, იმიტომ ვტირი, რომ თქვენი ნახვა გამიხარდა, - მიუგო ჯობ ტროტერმა და მისტერ უელერს, როდესაც ჩხუბის ატეხის პირველმა ნიშნებმა გაუარა, ნელ-ნელა ხელი უშვა, - ოჰ, მისტერ უოკერ, ეს კი მეტისმეტია.

- მეტისმეტია! - გაიმეორა სემმა, - ვფიქრობ, რომ მეტისმეტია, რასაკვირველია, აბა, რას მეტყვით, ჰა?

მისტერ ტროტერმა აღარაფერი უპასუხა, რადგან პატარა ვარდისფერი ცხვირსახოცი სრულ ხმარებაში იყო.

- აბა, რას იტყვით ახლა, მანამ ცხვირ-პირი არ ჩამიმტვრევია? - მუქარით იკითხა მისტერ უელერმა.

- ეჰ, - ალალმართლად დაიგმინა მისტერ ტროტერმა.

- რას მეტყვით-მეთქი?

- მე, მისტერ უოკერ?

- ნუ მეძახით უოკერს... ჩემი გვარი უელერი გახლავთ, თქვენ ეს საკმაოდ კარგად მოგეხსენებათ. რა შეგიძლიათ, მითხრათ?

- ღმერთმა დაგლოცათ, მისტერ უოკერ, უკაცრავად, უელერ. ბევრ რამეს მოგახსენებთ, თუკი სადმე, უფრო მყუდრო ადგილას წამოხვალთ, სადაც შევძლებთ, თავისუფლად მოვილაპარაკოთ. რომ იცოდეთ, როგორ გეძებდით.

- ვფიქრობ, რომ მართლაც ძალიან მეძებდით, არა? - ცივად იკითხა სემ უელერმა.

- ძალიან, ძალიან, - უპასუხა მისტერ ტროტერმა, ისე რომ სახეზე ერთი ძარღვიც არ შეტოკებია, - მაგრამ, მოიცათ, მომეცით ხელი, მისტერ უელერ!

სემი რამდენიმე წამის განმავლობაში უყურებდა თანამოსაუბრეს და თითქოს რაღაცა ძალამ უკარნახაო, შეასრულა მისი თხოვნა.

- როგორ... - დაიწყო ჯობ ტროტერმა, როდესაც ისინი გზას გაუდგნენ, - როგორ ბრძანდება შენი პატივცემული, კეთილი ბატონი? ო, ის ღირსეული ჯენტლმენი გახლავს, მისტერ უელერ, იმედი მაქვს იმ საშინელ ღამეს არ გაცივდა, არა, სერ?

როდესაც ამ სიტყვებს ამბობდა, ჯობ ტროტერს თვალებში ისეთმა ცუღლუტმა იერმა გაუელვა, რომ მისტერ უელერს მუშტში ჟრუანტელმა დაუარა და მოჰგვარა სურვილი, მისტერ ტროტერისათვის ნეკნები ჩაემტვრია, მაგრამ თავი შეიკავა და უპასუხა, რომ მისი ბატონი თავს ჩინებულად გრძნობდა.

- ო, ფრიად მოხარული გახლავარ, - შენიშნა ჯობ ტროტერმა, - აქ ბრძანდება?

- შენი ბატონი? - პასუხის ნაცვლად ჰკითხა სემმა.

- ახლა უარესია, ვიდრე იყო.

- ჰოო? - იკითხა სემმა.

- ოჰ, აღმაშფოთებლობაზე საშინელია.

- ისევ ქალთა პანსიონშია?

- არა, პანსიონში არ არის, - მიუგო ჯობ ტროტერმა და თვალებში კვლავ ცუღლუტმა იერმა გაუელვა, რომელიც სემმა ადრეც შეამჩნია.

- იმ სახლშია, რომელსაც მწვანე ჭიშკარი აქვს? - იკითხა სემმა და თანამოსაუბრე დაკვირვებით შეათვალიერა.

- არა, არა, ოჰ, მანდ არ არის, - ცოცხლად მიუგო ჯობ ტროტერმა. ასეთი სიმკვირცხლე მას არ სჩვეოდა.

- მანდ რას აკეთებდი? - იკითხა სემმა და გამჭრიახი თვალით ჯობს დააცქერდა, - იქნებ იმ ჭიშკარში შემთხვევით შეხვედით?

- აი, რას გეტყვით, მისტერ უელერ, - მიუგო ჯობმა, - არაფერი მაქვს საწინააღმდეგო ჩემი პატარა საიდუმლო გაგანდოთ, იმიტომ, რომ ჩვენ პირველი ნახვისთანავე შეგვიყვარდა ერთმანეთი. ხომ გახსოვთ, რა მშვენივრად გავატარეთ ის დილა?

- დიახ, - მიუგო სემმა მოუთმენლად, - მახსოვს, მერე?

- მერე და, - მიუგო ჯობმა დაბალი ხმით და ძებნა დაუწყო სიტყვებს, თითქოს მნიშვნელოვანი საიდუმლოება უნდა გაენდო, - აი, ამ მწვანეჭიშკრიან სახლში ბევრი მსახური ჰყავთ.

- ამას ადვილად მიხვდება ადამიანი, როგორც კი სახლს შეხედავს, - ჩაურთო სემმა.

- ჰოდა, - განაგრძო მისტერ ტროტერმა, - ერთი მათგანი, მზარეული ქალია, მას ცოტა ფული აქვს გადანახული, უნდა, რომ ცხოვრებაში ფეხი მოიკიდოს. განზრახული აქვს პატარა საწვრილმანო-სავაჭრო გახსნას, გესმით?

- დიახ.

- ჰოდა, მისტერ უელერ, დიახ, სერ, მე მას ერთ საყდარში გავეცანი, სადაც თვითონაც დავდივარ. ამ ქალაქში მშვენიერი პატარა საყდრებია. ამ საყდრებში იმ ჰიმნებს მღერიან, რომლებიც მეოთხე კრებულშია. ამ კრებულს მე მუდამ თან ვატარებ. ეს ის

პატარა წიგნია, რომელიც, შესაძლოა, თქვენც შეგიმჩნევიათ ჩემს ხელში. იმ მზარეულ ქალს ცოტათი დავუახლოვდი და იქიდან დაიწყო ჩვენი ნაცნობობაც. შემიძლია, გავბედო და გითხრათ, რომ მგონი მეწვრილმანეობა მომიწევს.

- და მერე რა სასიამოვნო მეწვრილმანე დადგებით, - უპასუხა სემმა. მან ალმაცერად და აშკარად მტრულად გადახედა ჯობს.

- დიდი უპირატესობა, მისტერ უელერ, - განაგრძო ჯობმა და ლაპარაკის დროს თვალები ცრემლებით აევსო, - ის იქნება, რომ საშუალება მომეცემა, დავანებო თავი ჩემს ახლანდელ სამარცხვინო სამსახურს იმ საძაგელ კაცთან და შევწირო სიცოცხლე უკეთესსა და უფრო სათნო საქმეს, რომელიც უფრო შეეფერება იმ აღზრდას, რომელიც მე მივიღე, მისტერ უელერ.

- ჩინებულად კი უნდა იყოთ აღზრდილი, - შენიშნა სემმა.

- ო, დიდებულად, მისტერ უელერ, დიდებულად, - მიუგო ჯობმა, ახალგაზრდობის მოგონებაზე, კვლავ ცხვირსახოცი ამოიღო და ცრემლები მდუღარედ გადმოღვარა.

- ისეთი სასიამოვნო ყმაწვილი იქნებოდით, რომ თქვენთან ერთად სკოლაში სიარულსა და სწავლას უთუოდ არაფერი აჯობებდა.

- სწორედ რომ ასეთი გახლდით, სერ, - მიუგო ჯობმა და ღრმად ამოიოხრა, - მთელი სკოლის სათაყვანო ვიყავი.

- ო, - მიუგო სემმა, - სულაც არ მიკვირს, წარმომიდგენია, რა ნუგეში იქნებოდით თქვენი ბედნიერი დედისათვის.

ამ სიტყვებზე ჯობ ტროტერმა თავისი ვარდისფერი ცხვირსახოცის ერთი კუთხე ერთ თვალზე მიიფარა, მეორე ბოლო - მეორეზე და კვლავ უხვად გადმოღვარა ცრემლი.

- რა მოუვიდა ამ კაცს? - აღშფოთდა სემი, - ჩელსის წყალსადენი არაფერია თქვენთან შედარებით. რას იცრემლებით, არამზადავ?

- თავს ვერ ვიკავებ, მისტერ უელერ, - დაიჩივლა ჯობმა ცოტა ხნის დუმილის შემდეგ, - აბა, ვინ იფიქრებდა, რომ ჩემი ბატონი მიხვდა, რომ ჩვენ მოვილაპარაკეთ და ქალაქიდან საფოსტო ეტლით წამათრია. მშვენიერი ახალგაზრდა ლედი კი დაარწმუნა, რომ მას ეთქვა, ამ კაცს არ ვიცნობო. თანაც პანსიონის გამგე ქალიც მოისყიდა, ის ახალგაზრდა ლედი კი მიატოვა. თქვა, უკეთესს ვიშოვიო. ოჰ, მისტერ უელერ, მე ეგ მაძრწუნებს.

- აა, ასე იყო? - იკითხა მისტერ უელერმა.

- რა თქმა უნდა, ასე იყო, - მიუგო ჯობმა.

- მაშ, ასე, - დაიწყო სემმა, - როდესაც სასტუმროს მიუახლოვდნენ, - მე ცოტა მოსალაპარაკებელი მაქვს თქვენთან და თუ ძალიან დაკავებული არა ხართ, ვისურვებდი ამ საღამოს ერთმანეთს შევხვედროდით „დიდ თეთრ რაშში“, დაახლოებით 8 საათისათვის.

- უსათუოდ მოვალ, - მიუგო ჯობმა.

- მოდით, - განაგრძო სემმა და ჯობს მრავალმნიშვნელოვნად გადახედა, - მოდით, თორემ მწვანე ჭიშკარს იქითა მხარეს დაგიწყებთ ძებნას და, ვინ იცის, იქნებ გზაზედაც გადაგეღობოთ.

- უსიკვდილოდ მოვალ, სერ, უსიკვდილოდ, - განაცხადა მისტერ ტროტერმა, სემს ხელი მხურვალედ ჩამოართვა და გზას გაუდგა.

- მიფრთხილდი, ჯობ ტროტერ, მიფრთხილდი, - თქვა სემმა და მიმავალ ჯობ ტროტერს გახედა, - ამჯერად ნამდვილად ვერ გადამირჩები! - წარმოთქვა თუ არა ეს მონოლოგი, ჯობს თვალი გააყოლა, ვიდრე ის სულ არ დაეკარგა მხედველობიდან და დაუყოვნებლივ თავისი ბატონის საწოლი ოთახისაკენ გაემართა.

- საქმე კარგადაა, სერ, - განაცხადა სემმა.

- რაა კარგად, სემ?! - იკითხა მისტერ პიკვიკმა.

- ისინი აღმოვაჩინე, სერ, - თქვა სემმა.

- ვინ აღმოაჩინეთ?

- ის უცნაური ადამიანი და შავთმიანი მელანქოლიური ყმაწვილი.

- ეგ შეუძლებელია, სემ! - აღელვებით წამოიძახა მისტერ პიკვიკმა, - სად არიან, სემ? სად არიან?

- ჩუმად, ჩუმად, - მიუგო მისტერ უელერმა და დაწვრილებით უამბო შემდგომი მოქმედების გეგმა, თანაც თავის ბატონს ჩაცმაში ეხმარებოდა.

- როდისღა, სემ? - იკითხა მისტერ პიკვიკმა.

- თავის დროზე ყველაფერი იქნება, - მიუგო სემმა.

ხოლო მოხდა თუ არა თავის დროზე ის, რაც უნდა მომხდარიყო, ამას შემდგომ დავინახავთ.

თავი XXIV

მისტერ პიტერ მაგნუსი ეჭვიანობას იწყებს, ხოლო შუახნის ლედის იმდენად შეიპყრობს შიში, რომ მისტერ პიკვიკს კანონს ჩაუგდებს ბრჭყალებში

მისტერ პიკვიკი შევიდა თუ არა იმ ოთახში, რომელშიც მან წინა საღამო მისტერ პიტერ მაგნუსთან გაატარა, დაინახა, რომ ხსენებულ ჯენტლმენს იმ მიზნით, რომ უფრო მიმზიდველი გამოჩენილიყო, თითქმის აღარაფერი დაეტოვებინა ორ საკსა, ყავისფერ ქაღალდში გახვეულ ამანათსა და ტყავის კოლოფში და ახლა კი ფრიად აღელვებული და აფორიაქებული ოთახში ბოლთასა ცემდა.

- დილა მშვიდობისა, სერ, - მიესალმა მისტერ პიტერ მაგნუსი, - როგორ მოგწონთ, სერ?

- ჩინებულია, სერ, ჩინებული, - მისტერ პიკვიკმა პიტერ მაგნუსის მორთულობა დაათვალიერა და კეთილად გაიღიმა.

- მეც აგრე მგონია, - განაცხადა მისტერ პიტერ მაგნუსმა, - მისტერ პიკვიკ, სერ, იცით, სადარბაზო ბარათი უკვე გავუგზავნე.

- ნუთუ მართლა? - იკითხა მისტერ პიკვიკმა.

- დიახ და მსახურმა უკვე მომიტანა ამბავი, რომ დღეს სრულ თერთმეტ საათზე მიმიღებს, თერთმეტ საათზე, სერ. ახლა კი 15 წუთიღა უკლია თერთმეტს.

- დრო ცოტაღა დარჩენილა, - შენიშნა მისტერ პიკვიკმა.

- დიახ, ცოტაღა დარჩა, - დაეთანხმა მისტერ მაგნუსი, - ძალიანაც ცოტა, არა, მისტერ პიკვიკ, სერ?

- ამისთანა შემთხვევაში რწმენა და იმედი დიდებული რამ გახლავთ, სერ, - დაიწყო მისტერ პიკვიკმა.

- მართალი ბრძანდებით, სერ, - დაეთანხმა მისტერ პიტერ მაგნუსი, - მეც რწმენითა და იმედით აღსავსე გახლავართ. მაგრამ ვერ გამიგია, რატომ ხდება, რომ მამაკაცები ამ დროს შიშს განიცდიან, სერ? ამას რა უნდა ვუწოდოთ? ისეთი არაფერია, რომ ადამიანს შერცხვეს. ყველაფერი ურთიერთშეთანხმებაზეა დამოკიდებული და სხვა არაფერი. ერთი მხრივ - ქმარი, მეორე მხრივ - ცოლი. ასეთი გახლავთ ჩემი აზრი, მისტერ პიკვიკ.

- ფრიად ფილოსოფიურია ეგ თქვენი აზრი, - შენიშნა მისტერ პიკვიკმა, - საუზმე გველოდება, მისტერ მაგნუს, მობრძანდით.

ორთავენი მაგიდას მიუსხდნენ. მიუხედავად კვეხნისა, ნათელი იყო, რომ პიტერ მაგნუსი მეტად ნერვიულობდა. მისი ასეთი მდგომარეობის სიმპტომები გახლდათ მადის დაკარგვა, ჩაის ჭურჭლის გადაყირავებისაკენ მიდრეკილება, ნაძალადევი ხუმრობა და ყოველ წამს საათის შეხედვის გადაულახავი სურვილი.

- ხი, ხი, ხი, ხი, - ხითხითებდა მისტერ მაგნუსი და ცდილობდა, ძალად გამხიარულებულიყო, თვითონ კი ღელვისგან გული უწუხდა, - მისტერ პიკვიკ, მხოლოდ ორი წუთიღა დამრჩა. შემკრთალი ხომ არა ვარ, სერ?

- არცთუ მაინცდამაინც, - მიუგო მისტერ პიკვიკმა.

ცოტა ხნით სიჩუმე ჩამოვარდა.

- მომიტევეთ, მისტერ პიკვიკ, ოდესმე, ახალგაზრდობაში, ამის მსგავსი რამ არ ჩაგიდენიათ?

- რაო, თქვენ მეკითხებით, ვისმესათვის ცოლად შერთვის წინადადება თუ მიმიცია?

- დიახ.

- არასოდეს, - ენერგიულად მიუგო მისტერ პიკვიკმა, - არასოდეს.

- მაშ, წარმოდგენაც არ გექნებათ, როგორ უნდა მოიქცეს ადამიანი ამისთანა შემთხვევაში, არა? - იკითხა მისტერ მაგნუსმა.

- რატომ, - მიუგო მისტერ პიკვიკმა, - რაღაც წარმოდგენა კი გამაჩნია, მაგრამ, ვინაიდან პრაქტიკულად არასოდეს გამომიცდია, არ ვისურვებდი ამ საქმეში ჩემი ცნებებით გეხელმძღვანელათ.

- დიდად მადლობელი დავრჩები ყოველნაირი რჩევა-- დარიგებისათვის, სერ, - გამოტყდა მისტერ მაგნუსი და კვლავ საათს შეხედა, რომლის ისარი თორმეტის ხუთ წუთს უახლოვდებოდა.

- კეთილი, სერ, - დაეთანხმა მისტერ პიკვიკიც დიდი ამბით. ეს დიდი ადამიანი, როდესაც მოესურვებოდა თავის სიტყვებს განსაკუთრებულად მეტყველ ელფერს აძლევდა, - მე, მაგალითად, დავიწყებდი, სერ, ამ ლედის სილამაზისა და მისი თვისებების ქება-დიდებით, ამის შემდეგ, სერ, მე გადავიდოდი იმაზე, თუ რაოდენ უღირსი ვარ თვითონ მე.

- ჩინებულია, - ჩაურთო მისტერ მაგნუსმა.

- უღირსი მხოლოდ მისთვის, მიაქციეთ ამას ყურადღება, სერ, - აუხსნა მისტერ პიკვიკმა, - მაგრამ ისე, რომ მიხვდეს, რომ არცთუ მაინცდამაინც უღირსი ბრძანდებით. ამისათვის მე მას მოკლედ ავუწერდი ჩემს წარსულ ცხოვრებას და ახლანდელ მდგომარეობას. სხვებთან შედარების გზით, დავუმტკიცებდი, რომ ყველა სხვა ქალისთვის მე ფრიად სასურველი საქმრო ვიქნებოდი. ამის შემდეგ ჩემს მხურვალე სიყვარულსა და თავდადებულ ერთგულებაზე დავუწყებდი ლაპარაკს. შესაძლოა, ამ დროს მეცადა, რომ ხელზე ხელი მომეხვია.

- მესმის, ფრიად მნიშვნელოვანი მომენტია, - ჩაებღაუჭა ამ აზრს მისტერ მაგნუსი.

- ამის შემდეგ, სერ, - განაგრძო მისტერ პიკვიკმა აღფრთოვანებით და რაც უფრო ნათლად წარმოუდგა თვალწინ ეს სურათი, მით უფრო აენთო, - ამის შემდეგ, სერ, მე დავუსვამდი მარტივსა და ნათელ კითხვას: „გამომყვებით, თუ არა?“ და არ შევცდები, თუ ვივარაუდებ, რომ ამ შეკითხვაზე ის თავს მიიბრუნებდა.

- თქვენ ფიქრობთ, რომ ასე მოხდება? - იკითხა მისტერ მაგნუსმა, - ვაითუ, საჭირო მომენტში ამგვარად არ მოიქცეს, მაშინ ხომ სულ დავიბნევი.

- ვფიქრობ, ასე უნდა მოიქცეს, - ამტკიცებდა მისტერ პიკვიკი, - როდესაც ის თავს მიიბრუნებს, სერ, მე მას ხელზე ხელს მოვუჭერდი და ვფიქრობ, ვფიქრობ, მისტერ მაგნუს, მას შემდეგ, როდესაც ამას გავაკეთებდი და, ვთქვათ, უარს არა მტკიცავდა, ნაზად მოვაშორებდი ცხვირსახოცს, რომელიც, რამდენადაც ადამიანის ბუნების ცოდნა შემიძლია, ჩემი აზრით, მას თვალებზე ექნებოდა აფარებული და მოწიწებით ვემთხვეოდი. მისტერ მაგნუს, ღრმად დარწმუნებული ვარ, თუკი ის ლედი მე ცოლად გამომყვებოდა, აი, ამ მომენტში, სწორედ ამ შემთხვევაში, თანხმობას მორცხვად ყურში ჩამჩურჩულებდა.

მისტერ მაგნუსი შეკრთა, ის ერთხანს ჩუმად მისჩერებოდა მისტერ პიკვიკის გულისხმიერ სახეს და შემდეგ (საათის ისარი უკვე თორმეტის ათ წუთს უჩვენებდა), მხურვალედ ჩამოართვა მას ხელი და ოთახიდან თავგანწირული გავარდა.

მისტერ პიკვიკმა ოთახში რამდენჯერმე გაიარ-გამოიარა. საათის პატარა ისარი, თითქოს მას ჰბაძავსო, ნელ-ნელა წინ მიიწევდა და როდესაც იმ რიცხვს მიაღწია, რომელიც ნახევარ სათს უჩვენებდა, კარი უეცრად გაიღო. მისტერ პიკვიკი მიტრიალდა, რომ მისტერ პიტერ მაგნუსს მისალმებოდა, მაგრამ მის ნაცვლად ხელში შერჩა მისტერ ტაპმენის მხიარული სახე, მის-

ტერ უინკლის გაბრწყინებული თვალები და მისტერ სნოდგრასის შთაგონებული სახის ნაკვთები.

მისტერ პიკვიკი ჯერ კიდევ მეგობრებს ესალმებოდა, როდესაც მისტერ პიტერ მაგნუსი ოთახში შემოვარდა.

- ჩემი მეგობრები გახლავთ, ეს კი ის ჯენტლმენია, რომელზედაც წეღან მოგახსენეთ, მისტერ მაგნუსი, - წარუდგინა ერთმანეთს ჯენტლმენები მისტერ პიკვიკმა.

- თქვენი უმორჩილესი მონა გახლავართ, ბატონებო, - დაიწყო, ეტყობოდა ფრიად აღელვებულმა მისტერ მაგნუსმა. - მისტერ პიკვიკ, ნება მიბოძეთ, ერთი წუთით ცალკე მოგელაპარაკოთ, - წარმოთქვა თუ არა ეს სიტყვები, მისტერ პიტერ მაგნუსმა საჩვენებელი თითი მისტერ პიკვიკის ფრაკის ღილ-კილოს ჩაავლო და ფანჯრისაკენ გაიხმო.

- მომილოცეთ, მისტერ პიკვიკ, თქვენი რჩევა-დარიგება სიტყვასიტყვით შევასრულე.

- მაშ, ჩემი რჩევა გამოგადგათ? - იკითხა მისტერ პიკვიკმა.

- ჩინებულად სერ, უკეთესი ძნელი წარმოსადგენია, - უპასუხა მისტერ მაგნუსმა, - მისტერ პიკვიკ, ლედი ჩემია.

- სულითა და გულით მომილოცავს, - მიუგო მისტერ პიკვიკმა და ახალშეძენილ მეგობარს ხელი გულთბილად ჩამოართვა.

- უნდა გაგაცნოთ, სერ, - განაცხადა მისტერ მაგნუსმა, - წამობრძანდით, აი, აქით, გეთაყვა, ძალიან გთხოვთ, ერთ წამში დავბრუნდებით... მაპატიეთ, ბატონებო! - და მისტერ მაგნუსმა მისტერ პიკვიკი ოთახიდან სწრაფად გაიყვანა. დერეფანში, მეზობელი ოთახის კართან ერთი წუთით შედგა და ფრთხილად დააკაკუნა.

- მობრძანდით, - მოისმა ოთახიდან ხმა და ისინიც შევიდნენ.

- მის უიტერფილდ, - დაიწყო მისტერ მაგნუსმა, - ნება მიბოძეთ ჩემი ახალი მეგობარი, მისტერ პიკვიკი წარმოგიდგინოთ.

მისტერ პიკვიკ, ნება მომეცით თქვენი თავი მის უიტერფილდს გავაცნო.

ლედი ოთახის მეორე ბოლოში იდგა. მისტერ პიკვიკმა მას თავი დაუკრა, ჟილეტის ჯიბიდან სათვალე ამოიღო და გაიკეთა თუ არა, განცვიფრების შეძახილი აღმოხდა. უკან დაიხია. ლედიმ კი ოდნავ შეჰკივლა, სახეზე ხელები აიფარა და მოწყვეტით სკამზე დაეშვა. მისტერ პიტერ მაგნუსი ელდანაკრავივით ადგილზე გაქვავდა. სახეზე მას გაოცება და შიში გამოხატვოდა, იგი ხან ერთს შეხედავდა და ხან მეორეს. მართლაც, გაუგებარი საქციელი გახლდათ, მაგრამ საქმე ის არის, რომ გაიკეთა თუ არა მისტერ პიკვიკმა სათვალე, მას მომავალი მისის მაგნუსის სახით თვალწინ ის ლედი წარმოუდგა, რომლის ოთახშიაც წინა ღამეს ასე გაუმართლებლად და დაუპატიჟებლად შევარდა. ხოლო აღიმართა თუ არა მისტერ პიკვიკის ცხვირზე სათვალე, ლედიმ მაშინვე იცნო სახე, რომელმაც მას ღამის ჩაჩთან დაკავშირებული ყოველნაირი საშინელება მოაგონა.

- მისტერ პიკვიკ, - დაიძახა მისტერ მაგნუსმა, რომელიც გაოცებისაგან დაბნეულიყო. - რას ნიშნავს ეს, სერ? რას ნიშნავს, სერ? - გაიმეორა მისტერ მაგნუსმა მუქარით და ხმას აუწია.

- სერ, - დაიწყო მისტერ პიკვიკმა, რომელიც ფრიად აღაშფოთა იმ გარემოებამ, რომ მისტერ პიტერ მაგნუსი ასე უცბად ბრძანების კილოზე გადავიდა, - თქვენს კითხვაზე პასუხის გაცემაზე უარს ვაცხადებ!

- უარს ვაცხადებო, სერ? - შეეკითხა მას მისტერ მაგნუსი. - დიახ, სერ, - მიუგო მისტერ პიკვიკმა. - ამ ქალბატონის თანხმობისა და ნებართვის გარეშე უარს ვაცხადებ ვთქვა ისეთი რამ, რაც ამ ლედის უსიამოვნო რამეს მოაგონებს, ანდა სახელს გაუტეხს.

- მის უიტერფილდ, - ახლა ლედის მიუბრუნდა მისტერ პიტერ მაგნუსი, - თქვენ ამ პიროვნებას იცნობთ?

- ვიცნობ თუ არა ამ პიროვნებას? - ყოყმანით მიუგო მის უიტერფილდმა.

- დიახ, იცნობთ თუ არა მას, ქალბატონო, მე გეკითხებით, იცნობთ თუ არა მას? - მძვინვარედ გაიმეორა მისტერ მაგნუსმა.

- მინახავს უწინ, - მიუგო შუახნის ლედიმ.

- სად? - იკითხა მისტერ მაგნუსმა, - სად?

- ამას, - დაიწყო შუახნის ლედიმ, ადგილიდან წამოდგა, თავი მიიბრუნა და განაცხადა, - ამას არაფრის გულისათვის არ გავამხელ.

- მე თქვენი მდგომარეობა კარგად მესმის, ქალბატონო, - თქვა მისტერ პიკვიკმა, - და თქვენს მოკრძალებას თაყვანსა ვცემ. ჩემი მხრივ, მენდეთ, ქალბატონო, არასოდეს გაგამხელთ.

- პატიოსნებას გეფიცებით, ქალბატონო, - წამოიძახა მისტერ მაგნუსმა, - თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომელშიც მე თქვენ მიმართ ვიმყოფები, თქვენ ამ საკითხს საოცრად გულგრილად ეკიდებით, ქალბატონო.

- უწყალო მისტერ მაგნუს! - წამოიძახა შუახნის ლედიმ და ცრემლები წასკდა.

- საყვედურით მე მომმართეთ, თუკი ვინმე დამნაშავეა, ისევ მე გახლავართ.

- ო, დამნაშავე მხოლოდ თქვენ ბრძანდებით, არა, სერ? - იკითხა მისტერ მაგნუსმა. - მე... მე... ჩინებულად მესმის. ყველაფერს ნათლად ვხედავ. ახლა კი ნანობთ თქვენს გადაწყვეტილებას, არა, სერ?

- ჩემს გადაწყვეტილებას ვნანობო? - გაოცდა მისტერ პიკვიკი.

- დიახ, თქვენს გადაწყვეტილებას, სერ. აჰ, ეგრე ნუ მომჩერებიხართ, სერ! - დაიწყო მისტერ მაგნუსმა, - თქვენი წუხანდელი სიტყვები მაგონდება, სერ. თქვენ აქ იმისათვის ჩამობრძანდით, რომ სააშკარაოზე გამოიტანოთ ერთი პიროვნების ღალატი და ავაზაკობა, რომლის პატიოსნებასა და ერთგულებას ბრმად ენდობოდით, ასეა, არა სერ? - და მისტერ პიტერ მაგნუსმა თავს ნება მიცა სარკასტულად გაეღიმა. ამის შემდეგ მწვანე სათვალეც მოიხსნა, რადგან ეჭვიანობის მომენტში ზედმეტად მიიჩნია ხსენებული ხელსაწყოს გამოყენება. პატარა თვალებს ისეთნაირად აბრიალებდა, რომ საზარელი შესახედავი იყო.

- ჰა? - დაიწყო ისევ მისტერ პიტერ მაგნუსმა და კვლავ სარკასტულად გაიღიმა, - მაგრამ მე თქვენ პასუხს გაგებინებთ, სერ!

- პასუხს მაგებინებთ? რისთვის? - იკითხა მისტერ პიკვიკმა.

- არაფერია, სერ! - უპასუხა მისტერ მაგნუსმა და ოთახში გაიარ-გამოიარა, - არაფერია!

ამ სიტყვაში „არაფერია“ არის რაღაც ყველაფრის მომცველი აზრი, ვინაიდან შეუძლებელია მოვიგონოთ თუნდაც ერთი კამათი ან ჩხუბი, იქნება ეს თეატრსა თუ ქუჩაში, საზოგადოებრივ ადგილას ან სხვაგან სადმე, რომელშიაც არ შევხვდეთ ამ სტანდარტულ პასუხს ყოველგვარ შემართულ კითხვაზე. - „თქვენ თავი ჯენტლმენად მიგაჩნიათ, სერ?“ - „არაფერია, სერ“. „განა მე თავს ნებას მივცემ ურიგოდ მივმართო ახალგაზრდა ქალს, სერ?“ - „არაფერია, სერ,“ - „თავი ხომ არ მოგბეზრებიათ, სერ?“ - „არაფერია, სერ“. საოცარი ის გახლავთ, რომ ამ უნივერსალურ „არაფერია“-ში, თითქოს მწარე დაცინვა იმალება, რომელიც იმ ადამიანის გულში, რომლისკენაც ის არის მიმართული, გაცილებით მეტ აღშფოთებას იწვევს, ვიდრე ყოვლად უხეში ლანძღვა-გინება.

ჩვენ არ დავიწყებთ იმის მტკიცებას, რომ ამ პატარა რეპლიკამ, მისტერ პიკვიკის გულში ისეთივე აღშფოთება გამოიწვია, როგორსაც ვინმე სხვა, უფრო უხეში ადამიანის გულში გამოიწვევდა. ჩვენ მხოლოდ აღვნიშნავთ ფაქტს, რომ მისტერ პიკვიკმა ოთახის კარი გააღო და ნაწყვეტ-ნაწყვეტად დაიძახა: „ტაპმენ, მოდით აქ!“

გაოცებული ტაპმენი დაუყოვნებლივ გამოცხადდა.

- ტაპმენ, - დაიწყო მისტერ პიკვიკმა, - საიდუმლოება, რომელიც ამ ლედის შეეხება და სათქმელად, ცოტა არ იყოს, საძნელო გახლავს, გახდა მიზეზი იმ უთანხმოებისა, რომელიც ჩემსა და ამ ჯენტლმენს შორის წამოიჭრა. თქვენი თანდასწრებით მე მას ვარწმუნებ, რომ ეს საიდუმლოება არავითარ შემთხვევაში არ ეხება მას და მის პირად საქმეებს. თუ ამას იქითაც ეს ჯენტლმენი განაგრძობს კამათს, ზედმეტი იქნება დაგიწყოთ მტკიცება, რომ, მაშასადამე, მას ეჭვი შეაქვს ჩემი სიტყვების სიმართლეში და მაშინ იძულებული ვიქნები, თავი შეურაცხყოფილად ჩავთვალო! - მისტერ პიკვიკმა მისტერ მაგნუსი თავით ფეხებამდე თვალით გაზომა. მისტერ პიკვიკის პირდაპირი და კეთილშობილი საქციელი, რომელიც ლაპარაკის ენერგიულობით ხასიათდებოდა, მისი სიტყვების სიმართლეში ყოველ გონიერ ადამიანს დაარწმუნებდა, მაგრამ ამ წუთში მისტერ პიტერ მაგნუსი, საუბედუროდ, შორს იყო კეთილგონიერებისაგან. ნაცვლად იმისა, რომ, როგორც ეს წესი და რიგი იყო, დაკმაყოფილებულიყო მისტერ პიკვიკის ახსნა-განმარტებით, მან გზა მისცა გავარვარებულ, ყოვლისშთანმთქმელ ეჭვიანობას. უარესად გაცეცხლდა და დაიწყო ლაპარაკი თავის გრძნობებსა და მის მაგვარ ამბებზე, თანაც ცდილობდა, ოთახში ბოლთის ცემით განსაკუთრებული ძალა შთაებერა ამ დეკლარაციისათვის. თმა სულ აიბურძგა, რომ უფრო შეეშინებინა მოწინააღმდეგე. თავის მოქმედებას

ხანდახან იმით აძლიერებდა, რომ მისტერ პიკვიკის კაცთმოყვარე, კეთილი სახის წინ წამდაუწუმ მუშტს იქნევდა. რაღა თქმა უნდა, რომ მისტერ პიკვიკიც თავის მხრივ, დარწმუნებული თავის უდანაშაულობასა და სიმართლეში, გაჯავრებული იმაზე, რომ ეს შუახნის ლედი ასეთ უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენა, რა თქმა უნდა, ვერ იქნებოდა თვითონაც დამშვიდებული. შედეგი ის გახლდათ, რომ ხმამაღლა ნათქვამი სიტყვები, კიდევ უფრო ხმამაღლა წარმოითქვა, ბოლოს მისტერ მაგნუსმა განუცხადა მისტერ პიკვიკს, რომ მე თქვენ კიდევ მოგელაპარაკებითო, რაზედაც მისტერ პიკვიკმა საქებარი თავაზიანობით უპასუხა, რომ, რაც უფრო ჩქარა მოხდება ეს, მით უკეთესიაო. თავზარდაცემული შუახნის ლედი ოთახიდან გავარდა. მას რომ უფრო მჭიდრო კავშირი ჰქონოდა საქმიან სამყაროსთან, ან კიდევ, ცოტათი მაინც უკეთ სცოდნოდა იმ ადამიანთა ზნე-ჩვეულება, რომლებიც კანონებს ქმნიან და მოდებს აწესებენ, ეცოდინებოდა, რომ ამნაირი შეხლა-შემოხლა ცხოვრებაში ფრიად უვნებელი რამ გახლავთ. მაგრამ, ვინაიდან უმეტესად სოფლად ცხოვრობდა და არასოდეს კითხულობდა გაზეთს პარლამენტის კამათის შესახებ, არ იყო გამოცდილი და არა გაეგებოდა რა ცივილიზებული ცხოვრების, ამ ფრიად დახვეწილსა და ფაქიზ საქმეებში, მიაღწია თუ არა თავის საწოლ ოთახს, მანდილოსანმა კარი მაგრად ჩაკეტა და დაიწყო ფიქრი იმ სცენაზე, რომლის მოწმეც ამ რამდენიმე ხნის წინ თვითონ გახლდათ. მას თვალწინ ხოცვა-ჟლეტის საზარელი სურათი წარმოუდგა. ყველაზე საშინელი გახლდათ მთელი სიგრძე-სიგანით გაშხლართული თვითონ მისტერ მაგნუსი, რომელსაც მარცხენა გვერდი ტყვიებით ჰქონდა დაცხრილული და საკაცით ოთხი კაცი ძლივს მიათრევდა. რაც უფრო მეტს ფიქრობდა, მით უფრო უსკდებოდა გული საცოდავ ლედის. ბოლოს გადაწყვიტა, თხოვნით მიემართა ქალაქის

მთავარი მოსამართლისათვის, რათა ამ უკანასკნელს მისტერ პიკვიკი და მისტერ ტაპმენი დაუყოვნებლივ დაეტუსაღებინა.

ამ გადაწყვეტილებამდე შუახნის ლედი სხვადასხვა აზრმა მიიყვანა, რომელთაგანაც მთავარი გახლდათ ის, რომ ამით აშკარად დაუმტკიცებდა მისტერ პიტერ მაგნუსს თავის ერთგულებას და დაანახვებდა, თუ როგორ ზრუნავდა ხსენებული ჯენტლმენის სიმშვიდესა და კეთილდღეობაზე. ლედი იმდენად კარგად იცნობდა მისტერ პიტერ მაგნუსის ეჭვიან ბუნებას, რომ ვერ გაბედა და ვერ გაუმჟღავნა მისტერ პიკვიკის დანახვით გამოწვეული აღელვების ნამდვილი მიზეზი. ქალს სჯეროდა, რომ საქმროზე დიდ გავლენას მოახდენდა მისი ქალური სიკეკლუცე, ამიტომ ეჭვიც არ ეპარებოდა, რომ დაარწმუნებდა მაგნუსს, ხელი აეღო გააფთრებულ ეჭვზე, თუკი მისტერ პიკვიკს რამენაირად თავიდან მოიცილებდა და ახალი უსიამოვნების საბაბი აღარ იქნებოდა. ამ ფიქრებით გართულმა შუახნის ლედიმ შალი მოიხურა და პირდაპირ ქალაქისთავის სახლისაკენ გაემართა.

უნდა მოგახსენოთ, რომ ჯორჯ ნაპკინზი, ესკვაირი, ზემოხსენებული მთავარი მოსამართლე, ნამდვილად დიდი კაცი გახლდათ იმ მიდამოებში. ამაში სულ ადვილად დარწმუნდებოდა ფეხმარდი ადამიანი, თუ შეუდგებოდა მის ძებნას მზის ამოსვლიდან მზის ჩასვლამდე ივნისის ოცდამეერთე დღეს, რომელიც, თანახმად ყველა კალენდრის ჩვენებისა, წლის განმავლობაში უგრძესია. ამიტომ, ცხადია, რომ მოსამართლის მძებნელს დიდხანს მოუხდებოდა სირბილი, ვიდრე სასურველ მიზანს მიაღწევდა. სწორედ ამ დილას მისტერ ნაპკინზი ფრიად აღელვებული და შეშფოთებული გახლდათ, რადგანაც ქალაქში უეცრად ამბოხებამ იფეთქა. ყველაზე დიდი სასწავლებლის შეგირდებმა შეთქმულება მოაწყვეს. საძაგელ ვაჭარს, რომელიც ვაშლს ყიდდა, მაღაზიის ფანჯრები ჩაულეწეს, ქალაქის მთავარი ეკლესიის მნა-

თეს სტვენა აუტეხეს და მაღალყელიან ჩექმებში გამოწყობილ მოხუც კონსტებლს, რომელიც სიყრმიდან მოყოლებული, სულ ცოტა, ნახევარი საუკუნის მანძილზე წესრიგის დაცვის საქმეს ემსახურებოდა და ახლაც აჯანყების ჩასაქრობად იყო გამოძახებული, პატივცემულ კონსტებლს, ქვები დაუშინეს.

მყუდრო, რბილ სავარძელში მოკალათებული მისტერ ნაპკინზი დიდკაცურად იღუშებოდა და რისხვით მძვინვარებდა, როდესაც მოახსენეს, რომ ვიღაც ლედის ფრიად გადაუდებელი და მნიშვნელოვანი პირადი საქმის გამო სურდა მისი ხილვა. მისტერ ნაპკინზმა სასტიკი და ცივი გამომეტყველება მიიღო და ბრძანა, ლედი მოეყვანათ. ეს ბრძანება მსგავსად იმპერატორთა, მოსამართლეთა და დედამიწის სხვა ხელისუფალთა განკარგულებისა, მსწრაფლ იქნა შესრულებული და მის უიტერფილდიც, აღელვებისგან კიდევ უფრო გალამაზებული, დაუყოვნებლივ მის წინ გაჩნდა.

- მაზლ! - ბრძანა მოსამართლემ.

მაზლი ტანდაბალი მსახური გახლდათ, მას წაგრძელებული ტანი და მოკლე ფეხები ამშვენებდა.

- მაზლ!

- გისმენთ, თქვენო აღმატებულებავ!

- სკამი მოართვით და დაგვტოვეთ.

- მესმის, თქვენო აღმატებულებავ.

- აბა, ქალბატონო, ბრძანეთ, რა საქმე გაქვთ.

- ო, მეტად მძიმე საქმე გახლავთ, სერ, - დაიწყო მისის უიტერფილდმა.

- მჯერა, ქალბატონო, - გამოეხმაურა მოსამართლე. - დამშვიდდით, - მისტერ ნაპკინზმა მოწყალედ გადახედა ქალს. - მიბრძანეთ, ისეთ რა საქმეზე მობრძანებულხართ, რომელიც კანონის განხილვის საგანს შეადგენს, ქალბატონო? - აქ მოსამარ-

თლემ კვლავ სძლია ადამიანს და მისტერ ნაპკინზიც კვლავ სასტიკად მოიღუშა.

- ჩემთვის ფრიად უსიამოვნო და სამძიმოა ასეთი ცნობით თქვენთან გამოცხადება, სერ, - დაიწყო მის უიტერფილდმა, - მაგრამ რა ვქნა, მეშინია დუელი არ შედგეს.

- ჩვენთან, ქალბატონო? - დაიყვირა მოსამართლემ, - სად?

- იპსუიჩში.

- იპსუიჩშიო, ქალბატონო, დუელი იპსუიჩში?! - წამოიძახა ამ ცნობით თავზარდაცემულმა მოსამართლემ, - შეუძლებელია, ქალბატონო. დარწმუნებული ვარ, ჩვენს ქალაქში ამის მსგავსი არაფერი შეიძლება მოხდეს. ღმერთო დიდებულო! ქალბატონო, მოგეხსენებათ თუ არა, თქვენ ჩვენი ადგილობრივი ხელისუფლების ძალა? იქნებ გაგიგიათ კიდევაც, რომ გასული წლის მაისის ოთხს, მე, მხოლოდ სამოცი კონსტებლის თანხლებით შევვარდი საკრივო მოედანზე (არ შევუშინდი გააფთრებულ ბრბოს, რომელსაც შეეძლო, შუაზე გავეგლიჯე) და შევაჩერე შეჯიბრება მუშტი-კრივში მიდლსსექსის დამპლინგსა და საფოკის ბენტემს შორის? დუელი იპსუიჩში, ქალბატონო? არა მგონია, - განაგრძო მოსამართლემ ისეთი კილოთი, თითქოს საკუთარ თავს არწმუნებსო, - არა მგონია, რომ ადამიანმა გამოიჩინოს იმდენი სითამამე, რომ მოინდომოს ამ ქალაქში მშვიდობის დარღვევა.

- ჩემი ცნობა, სამწუხაროდ, ჭეშმარიტი გახლავთ, - განაცხადა შუახნის ლედიმ, - მე იმ ჩხუბის მოწმე გახლავართ.

- ფრიად საოცარი ამბავია, - წამოიძახა გაკვირვებულმა მოსამართლემ, - მაზლ!

- გისმენთ, თქვენო აღმატებულებავ.

- ახლავე მომგვარეთ მისტერ ჯინკსი!.. ახლავე, პირდაპირ აქ მოვიდეს!

- მესმის, თქვენო აღმატებულებავ.

მაზლი გავიდა და ცოტა ხნის შემდეგ ოთახში შუახნის, გრძელცხვირა, გუდამშიერი ტანსაცმელშემოცვეთილი კლერკი შემოვიდა.

- მისტერ ჯინკს, - მიმართა მას მოსამართლემ, - მისტერ ჯინკს!

- ბრძანეთ, სერ! - მიუგო მისტერ ჯინკსმა.

- ეს ლედი მობრძანდა და მოგვიტანა ამბავი, რომ აქ, ჩვენს ქალაქში განზრახულია დუელი!

მისტერ ჯინკსმა არ იცოდა, როგორ მოქცეულიყო და პირ-მოთნედ გაიღიმა.

- რა გაცინებთ, მისტერ ჯინკს? - იკითხა მოსამართლემ. მის-ტერ ჯინკსმა მაშინვე სერიოზული გამომეტყველება მიიღო.

- მისტერ ჯინკს, - დაიწყო მოსამართლემ, - თქვენ დიდი ბრიყ-ვი ვინმე ბრძანდებით! - მისტერ ჯინკსმა დიად ადამიანს მორჩი-ლად შეხედა და კალმის წვერი მოკვნიტა, - ეს ცნობა, შესაძლოა, თქვენ სასაცილოდ მიიჩნიოთ, მაგრამ უნდა მოგახსენოთ, მის-ტერ ჯინკს, რომ გასახარელი აქ არაფერია! - გუდამშიერმა მის-ტერ ჯინკსმა ამოიოხრა. თითქოს დარწმუნდა, რომ გასახარელი, მართლაც, არა იყო რა. მას უბრძანეს, რომ ინფორმაცია ჩაეწე-რა; ისიც სკამისკენ წაჩანჩალდა და წერას შეუდგა.

- მთავარი ჩხუბისთავი ეგ პიკვიკი უნდა იყოს, არა? - იკითხა მოსამართლემ, როდესაც შუახნის ლედის განცხადება ჩაიწე-რეს.

- ეგ გახლავთ, - გაიმეორა შუახნის ლედიმ.

- მეორე ჩხუბისთავი რა გვარია, მისტერ ჯინკს?

- ტაპმენი, სერ.

- ტაპმენი სეკუნდანტია?

- დიახ.

- თქვენ აცხადებთ, ქალბატონო, რომ მეორე ჩხუბისთავი მიიმალა?

- დიახ, - დაუმოწმა მის უიტერფილდმა და ჩაახველა.

- ძალიან კარგი, - განაცხადა მოსამართლემ, - ეს ორი ლონდონელი ავაზაკი ჩამობრძანებულა იმისათვის, რომ მისი უდიდებულესობის მოსახლეობას მუსრი გაავლოს. ორთავე ფიქრობს, რომ, რაკი იპსუიჩი სატახტო დედაქალაქიდან გვარიანადაა დაშორებული, მართლმსაჯულების ხელი აქ სუსტია და დამბლადაცემული! არაფერია, ჭკუას ისწავლიან! დაპატიმრების ბრძანება მოამზადეთ, მისტერ ჯინკს. მაზლ!

- მესმის, თქვენო აღმატებულებავ.

- გრამერი დაბლაა?

- დიახ, თქვენო აღმატებულებავ.

- აქ მომგვარეთ!

პირმოთნე და მონურად მორჩილი მაზლი გავიდა. ის იმწამსვე დაბრუნდა და შემოიყვანა ხანში შესული ჯენტლმენი, რომლის მთავარი ნიშნები გახლდათ გასივებული ცხვირი, ჩახლეჩილი ხმა, თამბაქოსფერი სერთუკი, მაღალყელიანი გადმოკეცილი ჩექმები და აცეცებული თვალები.

- გრამერ!

- ბრძანეთ, თქვენო აღმატებულებავ!

- ქალაქში მშვიდობაა?

- წესიერებაა, თქვენო აღმატებულებავ, - მიუგო გრამერმა, - ხალხის მღელვარებაც ცოტათი ჩაცხრა, ბიჭები კრიკეტის სათამაშოდ წავიდნენ.

- ასეთ დროს ენერგიული ზომების მიღებაა საჭირო, გრამერ, - მტკიცედ განაცხადა მოსამართლემ, - როდესაც მეფის მოხელეებს არად აგდებენ, საჭიროა ხალხს წავუკითხოთ კანონი საზოგადო წესრიგის დარღვევის შესახებ. თუ სამოქალაქო ხელი-

სუფლებას არ ძალუძს მაღაზიის ფანჯრების დაცვა, გრამერ, სამხედრო ძალები შეიძლებენ სამოქალაქო ხელისუფლებისა და ფანჯრების დაცვას. მე ვფიქრობ, რომ კონსტიტუციის საფუძველი სწორედ ეს გახლავთ, მისტერ ჯინკს?

- რა თქმა უნდა, სერ, - დაუდასტურა ჯინკსმა.

- კეთილი და პატიოსანი, - თქვა მოსამართლემ და ბრძანებას ხელი მოაწერა, - გრამერ, დღესვე მომგვარეთ ორივენი, „დიდ თეთრ რაშში“ ყოფილან. გრამერ, მიდლსექსის დამპლინგისა და საფოკის ბენტემის ისტორია ხომ გახსოვთ?

მისტერ გრამერმა სათანადოდ დასწია თავი და ამით აგრძნობინა, ეს ამბავი არასოდეს დამავიწყდებაო. მართლაც, რა დაავიწყებდა, როდესაც ყოველდღე უხსენებდნენ!

- ეს საქმე კი უფრო მეტად ეწინააღმდეგება ჩვენს კონსტიტუციას, - განაგრძო მოსამართლემ, - მშვიდობის, მყუდროებისა და მისი უდიდებულესობის პრეროგატივის უფრო მეტი დარღვევაა, ხოლო დუელი, თუ არა ვცდები, მისი უდიდებულესობის ყველაზე უფრო ეჭვმიუტანელი პრეროგატივაა არა, მისტერ ჯინკს?

- რომელზედაც თავისუფლების დიდ ქარტიაში, განსაკუთრებული მითითებაც გახლავთ, სერ, - მიუგო მისტერ ჯინკსმა.

- დიახ, დიახ, ეს ზომა ბრიტანეთის ერთ-ერთი უბრწყინვალესი მარგალიტი გახლავთ, რომელიც, თუ არა ვცდები, მის უდიდებულესობას ბარონებმა წაჰგლიჯეს, არა, მისტერ ჯინკს? - იკითხა მოსამართლემ.

- სავსებით სწორი გახლავთ, სერ, - უპასუხა მისტერ ჯინკსმა.

- ჩინებულია, - განაცხადა მოსამართლემ და მედიდურად გაიჭიმა, - პრეროგატივა მისი უდიდებულესობის სამფლობელოში არ უნდა გაითელოს. გრამერ, წაიყვანეთ მაშველი ჯარი და ეს ბრძანებანი, რაც შეიძლება, ჩქარა მოიყვანეთ სისრულეში. მაზლ!

- მესმის, თქვენო აღმატებულებავ!

- ლედი გააცილეთ!

მის უიტერფილდი წავიდა. მოსამართლის განსწავლულობამ მას თავბრუ დაახვია. მისტერ პანკინზი სასაუზმოდ წაბრძანდა, მისტერ ჯინკსი ფიქრებში გაეხვია, საკუთარი თავი მისთვის ერთადერთი დასასვენებელი ადგილი გახლდათ, თუ მხედველობაში არ მივიღებთ იმ ტახტს, რომელიც პატარა საერთო ოთახში იდგა. ღამით ამ ტახტზე მისტერ ჯინკსი იძინებდა, ხოლო დღის განმავლობაში იგი დიასახლისის ოჯახის წევრებს ეკავათ. მისტერ გრამერიც წავიდა ახალი დავალების შესასრულებლად, იგი ცდილობდა ჩამოერეცხა ის შეურაცხყოფა, რომელიც იმ დილით მას და მისი უდიდებულესობის მეორე წარმომადგენელს ბიდლს მიაყენეს.

ვიდრე სამეფო მშვიდობის დასაცავად ესოდენ მტკიცე და ენერგიულ ზომებს მიმართავდნენ, მისტერ პიკვიკი და მისი მეგობრები მაგიდას მშვიდად უსხდნენ და სადილობდნენ. მათ წარმოდგენაც კი არა ჰქონდათ იმ ღამის შესანიშნავ მოვლენებზე, რომლებიც ახლოვდებოდა. სასაუბროდ და სამხიარულოდ იყვნენ განწყობილნი. მისტერ პიკვიკმა, ის იყო, დაიწყო თავისი თავგადასავლის მოყოლა, რომელიც მის მოწაფეებს და, განსაკუთრებით, მისტერ ტაპმენს, ძალიან ახარებდა, რომ უეცრად კარი გაიღო და ვიღაცის საზარელი სახე გამოჩნდა. საზარელი ადამიანის თვალები რამდენიმე წამის განმავლობაში გულმოდგინედ ათვალიერებდა მისტერ პიკვიკს და ბოლოს, როგორც ჩანს, კმაყოფილი დარჩა კიდეც თავისი გამოკვლევით. ადამიანი, რომელსაც ეს საზარელი სახე ეკუთვნოდა, ოთახში ნელ--ნელა შემოვიდა და იქ მყოფთ წარუდგა გადმოკეცილ მაღალყელიან ჩექმებში გამოწკიპული ხნიერი მამაკაცის სახით, მეტი რომ არ გავაგრძელოთ და მკითხველიც გაურკვეველ მდგომა-

რეობაში არ დავტოვოთ, მოკლედ ვიტყვით, რომ ეს გახლდათ მისტერ გრამერის მოუსვენარი თვალები და, რა თქმა უნდა, სხეულიც ამავე ჯენტლმენს ეკუთვნოდა.

მისტერ გრამერის საქციელი პროფესიონალური გახლდათ, მაგრამ ამავე დროს, თავისებურიც. უპირველეს ყოვლისა, მან კარი ურდულით გადაკეტა, შემდეგ სახე და თავი ბამბის ცხვირსახოცით კარგად მოიწმინდა, მაგრამ ქუდი, რომელშიც მან ბამბის ცხვირსახოცი ჩადო, უახლოეს სკამზე დადო. ბბოლოს, სერთუკის გულის ჯიბიდან პატარა სპილენძისთავიანი კვერთხი ამოიღო და პიკვიკის წინაშე ჩრდილივით აიმართა. მან კვერთხი მისტერ პიკვიკს დაუქნია და ანიშნა, მიახლოებოდა. გაოცებისაგან დუმილი ჩამოვარდნილიყო, რომელიც მისტერს სნოდგრასმა პირველმა დაარღვია. იგი მისტერ გრამერს რამდენიმე წამის განმავლობაში თვალს არ აშორებდა.ბბოლოს, მეტყველად განაცხადა:

- ეს კერძო ბინა გახლავთ, სერ, კერძო ბინა.

მისტერ გრამერმა თავი გააქნია და მიუგო:

- მისი უდიდებულესობისათვის არ არსებობს კერძო ბინა, რაკი ჩვენ ამ ოთახის ზღურბლს გადმოვაბიჯეთ. ეს კანონი გახლავთ. ზოგიერთი ფიქრობს, რომ ინგლისელის ბინა მისი ციხესიმაგრეა. ეს სისულელეა! გაოცებულმა პიკვიკელებმა ერთიმეორეს გადახედეს.

- რომელი ბრძანდებით მისტერ ტაპმენი? - მან პირველი შეხედვისთანავე ინტუიციით იცნო მისტერ პიკვიკი.

- მე გახლავართ ტაპმენი, - მიუგო მისტერ ტაპმენმა.

- ჩემი სახელი კანონია, - მიუგო მისტერ გრამერმა.

- რაო? - იკითხა ისევ მისტერ ტაპმენმა.

- კანონი! - გაიმეორა მისტერ გრამერმა, - სამოქალაქო და აღმასრულებელი ძალა ჩემი ტიტულები გახლავთ. აი ჩემი რწმუ-

ნებანიც: ხარვეზი - ტაპმენი, ხარვეზი - პიკვიკი თვითმპყრობელი ჩვენი ხელმწიფის მშვიდობის დამრღვევები. კანონს თუ გავითვალისწინებთ, ყველაფერი რიგზეა. თქვენ, ზემოთ დასახელებული პიკვიკი და ტაპმენი, დაპატიმრებული ხართ!

- რას ნიშნავს ეგ თავხედობა? - დაიძახა მისტერ ტაპმენმა და წამოხტა, - აქედან მიბრძანდით!

მისტერ გრამერმა სწრაფად მიირბინა კართან, ერთ-ორ გოჯზე გამოაღო და დაიძახა: - ალო, დაბლი!

- აქ გახლავარ, - მოისმა დერეფნიდან ბოხი ხმა.

- აქეთ, დაბლი! - მოიხმო მისტერ გრამერმა.

ამ ბრძანების მიღებისთანავე ჭუჭყიანი კაცი, რომელიც სიმაღლით ექვს ფუტს აღემატებოდა და შესაფერი აღნაგობისა გახლდათ, ნახევრად ღია კარში ძლივს შემოეტია. ამ რთული ოპერაციის შესრულებისას მას სახე თურაშაულივით გაუწითლდა.

- დაბლი, დანარჩენი კონსტებლები ხომ კართან დგანან? - იკითხა მისტერ გრამერმა.

მისტერ დაბლიმ, რომელიც ლაპარაკის მოყვარული არ გახლდათ, თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია.

- შემოიყვანეთ თქვენი რაზმი, მისტერ დაბლი! - ბრძანა მისტერ გრამერმა.

მისტერ დაბლმა ბრძანება სწრაფად შეასრულა და ოთახში ექვსიოდე კაცი შემოიყვანა. თითოეულ მათგანს ხელში სპილენძისბოლოიანი ჯოხი ეკავა. მისტერ დაბლიმ თავისი კვერთხი ჯიბეში ჩაიდო და რაზმს გადახედა. რაზმელებმაც ჯოხები ჯიბეში შეინახეს და მისტერ ტაპმენსა და მისტერ პიკვიკს გადახედეს.

მისტერ პიკვიკი და მისი მიმდევრები, როგორც ერთი კაცი, ერთდროულად ფეხზე წამოიჭრნენ.

- რას ნიშნავს, რომ ჩემს პირად საცხოვრებელში ასე უხეშად იჭრებით? - აღშფოთდა მისტერ პიკვიკი.

- ვინ ბედავს ჩემს დაპატიმრებას? - იკითხა მისტერ ტაპმენმა თავის მხრიდან.

- აქ რა გინდათ, არამზადებო? - ხმა მისცა მათ მისტერ სნოდ-გრასმა.

მისტერ უინკლი გაჩუმდა, მაგრამ ისეთნაირად გადახედა მის-ტერ გრამერს, რომ ამ უკანასკნელს, რაიმე შეგრძნების უნარი რომ ჰქონოდა, ტვინს გაუხვრეტდა, მაგრამ ამჯერად მის შეხედ-ვას არავითარი შესამჩნევი ზემოქმედება არ მოუხდენია კანონის აღმასრულებელ მოხელეზე.

როდესაც აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენ-ლებმა დაინახეს, მისტერ პიკვიკი და მისი მეგობრები კანონის-თვის წინააღმდეგობის გაწევას აპირებენო, მკლავები მრავალ-მნიშვნელოვნად წაიკაპიწეს, თითქოს ადამიანების ჯერ წაქცევა და შემდეგ მათი შეპყრობა წმინდა პროფესიული აქტი ყოფილი-ყოს. საჭირო იყო მხოლოდ გადაწყვეტა, დანარჩენი კი თავისთა-ვად მოხდებოდა. მათი დემონსტრაცია მისტერ პიკვიკს არ გა-მოჰპარვია. რამდენიმე წუთის განმავლობაში ის ჩურჩულით მოეთათბირა მისტენ ტაპმენს და ბოლოს განაცხადა, რომ მზად იყო წასულიყო მერის რეზიდენციაში, თანაც სთხოვა ყველა მო-სულსა და იქ მყოფთ, მიეღოთ მხედველობაში, რომ მას მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი, გათავისუფლებისთანავე გამოეცხადე-ბინა პროტესტი მისი, როგორც ინგლისელის, პრივილეგიების ასეთი უხეში დარღვევის გამო. ამის გაგონებაზე მოსულთა ჯგუფმა მხიარულად გადაიხარხარა, მხოლოდ მისტერ გრამერი დუმდა, ეტყობოდა, რომ მსაჯულის ან მოსამართლის ღვთაებრი-ვი უფლებებისადმი მცირეოდენი ეჭვის მიტანაც კი მიუტევებელ ღვთის გმობად მიაჩნდა.

ლაქიები და მეჯინიბეები, მსახური ქალები და ფოსტის დამტარებელი ბიჭები შეყრილიყვნენ და სიამოვნებით ელოდებოდნენ ალიაქოთის ატეხას, რომელსაც, მათი აზრით, მისტერ პიკვიკის გაჯიუტება გამოიწვევდა. როდესაც მისტერ პიკვიკმა განაცხადა, რომ მზად იყო დამორჩილებოდა თავისი ქვეყნის კანონს, ყველანი იმედგაცრუებულნი დაიფანტნენ. უეცრად ახალი სიძნელე წამოიჭრა, მიუხედავად კანონიერი ხელისუფლებისადმი უდიდესი მოწიწებისა და პატივისცემისა, მისტერ პიკვიკმა გადაჭრით განაცხადა, რომ ხალხით სავსე ქუჩებში, ჩვეულებრივ ბოროტმოქმედთა მსგავსად, კანონის მცველებით გარშემორტყმული არამც და არამც არ გამოვჩნდებიო.

მისტერ გრამერმაც ანგარიში გაუწია მცხოვრებლების აფორიაქებულ მდგომარეობას (ვინაიდან, ნახევრად სადღესასწაულო განწყობილება გახლდათ და ბიჭებიც ჯერ კიდევ არ დაშლილიყვნენ), ამავე დროს, სასტიკი წინააღმდეგი იყო, ევლო ქუჩის მეორე მხარეს. თანაც უარი განაცხადა, დაეჯერებინა მისტერ პიკვიკის პატიოსანი სიტყვისათვის, რომ ის პირდაპირ მოსამართლესთან წავიდოდა. მისტერ პიკვიკი და მისტერ ტაპმენი, თავის მხრივ, სასტიკ უარს აცხადებდნენ გაეღოთ ხარჯები ეტლის დასაქირავებლად, რომელიც ერთადერთ შესაფერ ეკიპაჟს წარმოადგენდა და რომლის შოვნაც შესაძლებელი იყო ქალაქში. კამათი გაცხარდა, ამოცანა კი გადაუწყვეტელი დარჩა. როდესაც აღმასრულებელმა ძალამ, ის იყო, სძლია მისტერ პიკვიკის წინააღმდეგობას და მისტერ პიკვიკი თითქმის დათანხმდა, მიეყვანათ მოსამართლესთან ჩვეულებრივი წესით, სწორედ ამ დროს ვიღაცას მოაგონდა, რომ სასტუმროს ეზოში იდგა ტახტრევანი. ეს ტახტრევანი თავდაპირველად ვიღაც ნიკრისის ქარებით შეპყრობილი ჯენტლმენისათვის გაეკეთებინათ, ფრიად დიდი ზომისა გახლდათ და თავისუფლად დაიტევდა მისტერ პიკ-

ვიკსა და მისტერ ტაპმენს. ტახტრევანი დაიქირავეს და სასტუმროს ვესტიბიულში შემოიტანეს. მისტერ პიკვიკი და მისტერ ტაპმენი შიგ მოთავსდნენ და ფარდები ჩამოუშვეს. ორი მუშა სასწრაფოდ იშოვეს და პროცესია ზეიმით დაიძრა. სპეციალური კონსტებლები ტახტრევანს გარს ეხვივნენ, მისტერ გრამერი და მისტერ დაბლი ზეიმით წინ მიუძღოდნენ. მისტერ სნოგრასი და მისტერ უინკლი კი ხელიხელგაყრილი უკან მიჰყვებოდნენ. პროცესიას იპსუიჩის ჭუჭყიანი მოსახლეობა აბოლოებდა.

ქალაქის მედუქნეებისთვის, რომელთაც მათ დანაშაულზე ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდათ, ეს სანახაობა ფრიად ჭკუისსასწავლებელი და სასარგებლო იყო. ეს გახლდათ მართლმსაჯულების ყოვლისშემძლე ხელი, რომელიც ოცი ოქროსმტვრევლის ძალით თავს დასხმოდა თვით სატახტო ქალაქიდან ჩამოსულ ორ ბოროტმოქმედს. ამ ყოვლისშემძლე მანქანას ამოძრავებდა მათი ქალაქის მთავარი მსაჯული და მასვე ემსახურებოდნენ წესრიგის საკუთარი დამცველები. ამ ორი ძალის შემწეობით ორივე ბოროტმოქმედი მაგრად იყო შეკუჭული პატარა ტახტრევანში. მისტერ გრამერს, რომელიც კვერთხით ხელში ამ კავალკადას წინ მიუძღოდა, მოწონების შეძახილით ესალმებოდა მრავალრიცხოვანი ხმა. ხმამაღლა და გამყინავად გაისმოდა პირდაუბანელი მოსახლეობის კივილი. ამგვარად აცილებდა საზოგადოებრივი მოწონების კიჟინა პროცესიას, რომელიც დინჯად და მედიდურად მიიწევდა წინ.

შავი კალენკორისსახელოებიან დილის ქურთუკში გამოწყობილი მისტერ უელერი საკმაოდ ცუდ გუნებაზე გახლდათ, რადგან მწვანეჭიშკრიანი სახლის დათვალიერებამ უშედეგოდ ჩაიარა. ის იყო, შინ ბრუნდებოდა, რომ უეცრად ზეაიხედა და დაინახა ბრბო, რომელსაც ქუჩა გაეჭედა. ხალხი გარს შემოხვევოდა რაღაცა საგანს, რომელიც ძალიან წააგავდა ტახტრევანს.

უელერმა გადაწყვიტა, მარცხით დამთავრებული დარდი სეირის ყურებით გაექარვებინა. იგი განზე გადგა და დარწმუნდა, რომ ბრბო უდიდეს აღტაცებას გამოხატავდა და თვითონაც რომ გამ-ხიარულებულიყო, დაუყოვნებლივ მორთო ყვირილი.

ჩაიარა მისტერ გრამერმა... მისტერ დაბლიმაც ჩაიარა, ჩა-მოატარეს ტახტრევანი და ჩაიარეს სპეციალურმა მცველებმაც. სემი ისეთ ყვირილსა და ქუდის ქნევაში იყო, გეგონებოდათ სი-ხარულით ცას ეწიაო. თუმცა არავითარი წარმოდგენა არ გააჩ-ნდა იმაზე, რაც მის ირგლივ ხდებოდა. უეცრად მისტერ უინკლი-სა და მისტერ სნოდგრასის გამოჩენამ ადგილზე გააშეშა.

- ეს რა აურზაურია, ბატონებო? - დაიყვირა სემმა, - ვინ მოჰ-ყავთ ამ სამგლოვიარო კოლოფით?

ორივე ჯენტლმენმა ერთდროულად გასცა პასუხი, მაგრამ მა-თი სიტყვები ხმაურმა შთანთქა.

- ვინ? - კვლავ დაიყვირა სემმა.

კიდევ ერთხელ ერთხმად გასცეს პასუხი. თუმცა სემმა სიტ-ყვები ვერ გაარჩია, ის ტუჩების მოძრაობით მიხვდა, რომ მათ წარმოთქვეს ჯადოსნური სიტყვა „პიკვიკი“. ეს საკმარისი იყო. მისტერ უელერმა იმწამშივე გაიკაფა გზა ბრბოში, გააჩერა ტახ-ტრევანი და გრამერს გზა გადაუღობა.

- ალო, პატივცემულო ჯენტლმენო! - დაიყვირა სემმა, - ვინა გყავთ ამ კოლოფში?

- დაიხიეთ! - დაიძახა მისტერ გრამერმა, რომელსაც სხვა ადამიანების მსგავსად, საკუთარი ღირსების გრძნობა საოცრად გაუძლიერდა, რაც ხალხში მცირეოდენი პოპულარობა მოიპო-ვა.

- ერთი მაგრად უთავაზეთ, თუ არ მოისვენებს! - ურჩია მის-ტერ დაბლიმ.

- დიდ მადლობას მოგახსენებთ, ღირსეულო ჯენტლმენო, - შეაწყვეტინა სემმა, - ჩემს კეთილმოწყობაზე ზრუნვისთვის, კიდევ უფრო დიდ მადლობას მოვახსენებ მეორე ჯენტლმენს ჩინებული რჩევისთვის. მას ისეთი გამომეტყველება აქვს, თითქოს ეს-ეს არის დევების ქარავანს გამოქცევიაო. მე კი მერჩია, ჩემთვის პასუხი მოგეცათ, თუკი ეს თქვენთვის ძნელი არ იქნება. როგორ ბრძანდებით, სერ?

ეს უკანასკნელი შეკითხვა, ფრიად მფარველური კილოთი წარმოთქმული, იყო მიმართული მისტერ პიკვიკისადმი, რომელიც ტახტრევნის წინა ფანჯრიდან იჭყიტებოდა.

მისტერ გრამერმა, რომელსაც აღშფოთებისაგან ლაპარაკის უნარი წართმეოდა, ჯიბიდან სპილენძისბოლოიანი კვერთხი ამოიღო და სემს ცხვირწინ დაუქნია.

- აი, - წარმოთქვა სემმა, - რა ლამაზი ნივთია, განსაკუთრებით ეს ბოლო ნამდვილ გვირგვინსა ჰგავს.

- დაიხიეთ-მეთქი უკან, - ყვიროდა აღშფოთებული მისტერ გრამერი და იმ მიზნით, რომ თავისი ბრძანებისთვის უფრო მეტი ძალა მიეცა, ერთი ხელით სემის ყელსახვევს სამეფო ძალაუფლების ემბლემა დაატაკა, ხოლო მეორით მის საყელოს ეძგერა. ეს გახლდათ ის თავაზიანობა, რომელსაც სემმა იმით უპასუხა, რომ ერთი ხელის კვრით წააქცია მისტერ გრამერი, თანაც ერთი მზიდავთაგანი, რომელსაც ტახტრევანი მიჰქონდა, მზრუნველობით მის ქვეშ მოაყოლა.

გაურკვეველია, მკითხველო, თუ რამ იმოქმედა მისტერ უინკლზე. სემის ვაჟკაცურმა საქციელმა, თუ იგი შეიპყრო წამიერმა სიგიჟემ, რომელსაც საკუთარი ღირსების შელახვის გრძნობა იწვევს, მაგრამ ფაქტი გახლავთ ის, რომ როგორც კი დაინახა, მისტერ გრამერი წაიქცაო, იმწამსვე მის გვერდით მდგომ პატარა ბიჭს ეცა. მისტერ სნოდგრასმა, წმინდა ქრისტიანული სუ-

ლისკვეთებით შეპყრობილმა, იმ მიზნით, რომ მისი მოქმედება მოულოდნელი არავისათვის ყოფილიყო, ხმამაღლა გამოაცხადა, რომ აპირებდა საომარი მოქმედების დაწყებას და გულმოდგინედ შეუდგა სერთუკის გახდას. მას დაუყოვნებლივ გარს შემოერტყნენ და განაიარაღეს. უნდა სიმართლე ითქვას, რომ არც მისტერ სნოდგრასი და არც მისტერ უინკლი არ ცდილან გაეთავისუფლებინათ არც საკუთარი თავი და არც სემი. მისტერ უელერი დიდი წინააღმდეგობის გაწევის შემდეგ დაძლეულ იქნა რიცხობრივი უპირატესობის გამო და ტყვედ იქნა შეპყრობილი. პროცესია კვლავ დაეწყო. ყველამ თავისი ადგილი დაიკავა და გზა განაგრძეს.

მთელი ამ სცენის მანძილზე, მისტერ პიკვიკის აღშფოთებას საზღვარი არ ჰქონდა. მან დაინახა მხოლოდ ის, რომ სემი ჯერ აქეთ-იქით აწყდებოდა და ბოლოს რამდენიმე სპეციალური კონსტებლი დასცა. მეტი ვეღარაფერი დაინახა, რადგან ტახტრევანის კარი არ იღებოდა და ფარდებიც მაღლა არ იწეოდა. ბბოლოს, მისტერ ტაპმენის დახმარებით, მან შეძლო სახურავის ახდა, სკამზე შედგა, დაეყრდნო ტაპმენის მხარს, რათა არ დაეკარგა წონასწორობა და ბრბოს სიტყვით მიმართა. ის გამოთქვამდა აღშფოთებას იმის გამო, რომ უღირსად მოექცნენ და ყველას მოუწოდებდა დამოწმებოდნენ, რომ შეურაცხყოფა პირველად მის მსახურს მიაყენეს.

ამგვარად, პროცესია მერის ადგილსამყოფელს მიუახლოვდა. ტახტრევნის მზიდავები თოხარიკით მიქროდნენ, ტყვეები მათ მისდევდნენ, მისტერ პიკვიკი მჭევრმეტყველებდა, ბრბო კი გაჰკიოდა.

თავი XXV

სხვა სასიამოვნო ამბებს შორის გვიჩვენებს, თუ როგორი სულგრძელი და მიუკერძოებელი გახლდათ მისტერ ნაპკინზი, როგორი ძალით უკუაგდო მისტერ უელერმა ჯობ ტროტერის მიერ მარჯვედ გამოსროლილი ბურთი და კიდევ შეეხება ერთ ამბავს, რომლის შესახებ სათანადო ადგილას მოგახსენებთ

მისტერ უელერი ბოღმით ლამის გულს შეასკდა. მხარში ამომდგარ კონსტებლებს ქუჩაში რომ მიჰყავდათ იგი, რა სიტყვა, რა გამოთქმა არ გადაჰკრა მისტერ გრამერმა მისი თანამგზავრის შესახედაობასა და ქცევას, რა თავგამოდებით არ შეუტია თითოეულ მხლებელს, რომ როგორმე გული მოეოხებინა. ამასობაში მისტერ სნოდგრასი და მისტერ უინკლი დაღვრემილები მოწიწებით უსმენდნენ მჭევრმეტყველების ნიაღვარს, რომელსაც ტახტრევნიდან ანთხევდა მათი წინამძღოლი. ეს სწრაფი დინება მგზავრობის დროს წუთითაც არ შეწყვეტილა, მიუხედავად მისტერ ტაპმენის მხურვალე მუდარისა, როგორმე დახურეთ ტახტრევნის სახურავიო.

უეცრად მისტერ უელერის წყრომას ცნობისმოყვარეობამ სძლია, როდესაც პროცესიამ სწორედ იმ ეზოსაკენ გადაუხვია, სადაც იგი პირველად გადაეყარა ამჟამად საიდუმლოდ გადაკარგულ ჯობ ტროტერს. ცნობისმოყვარეობა კი უმალ სიხარულით აღსავსე განცვიფრებამ შეცვალა, როდესაც გაბღენძილმა მისტერ გრამერმა ტახტრევნის მატარებელთ უბრძანა, შეჩერდი-

თო. დინჯი და მედიდური ნაბიჯით პირდაპირ იმ მწვანე ჭიშკრისაკენ გაემართა, სადაც სემმა პირველად იხილა ჯობ ტროტერი და ამაყად ჩამოჰკრა ხელი კარზე ჩამოკიდებულ ზარის სახელურს. ზარის ხმაზე კოპწია და სანდომიანი სახის მოახლე გამოვიდა. დატყვევებულთა წყრომით სავსე სახეების დანახვაზე და მისტერ პიკვიკის მგზნებარე სიტყვით გაოცებულმა ქალმა ხელები უმწეოდ გაასავსავა და მისტერ მაზლი გამოიხმო. მისტერ მაზლმა ჭიშკრის ცალი მხარე გამოაღო, რომ ტახტრევანი, ტყვეები და კონსტებლები გაეტარებინა და უმალვე ზედ ბრბოს ცხვირწინ მიაჯახუნა კარი.

ბრბო მოუთმენლად ელოდა, რა მოჰყვებოდა ამ სეირს და ამიტომ საშინლად გააფთრდა, რომ საინტერესო სანახაობას მოაცილეს. გახელებულმა ხალხმა ჯავრი იმით იყარა, რომ მთელი ორი საათის განმავლობაში ჭიშკარს წიხლს ურტყამდა და შეუწყვეტლივ რეკავდა ზარს. ამ გასართობში ჯერჯერობით თითქოს ყველამ მიიღო მონაწილეობა გარდა სამი თუ ოთხი ბედნიერისა, რომელთაც სანატრელ კარში ხვრელი აღმოაჩინეს და თუმცა იქიდან არაფერი მოჩანდა, მაინც ჩასჩერებოდნენ იმ დაუქანცველი ჟინით, რომლითაც ხალხი ცხვირით მიეტმასნება ხოლმე აფთიაქის ვიტრინას, რომლის უკანა ოთახში ექიმი ეტლის მიერ წაქცეულ მთვრალ კაცს სინჯავს.

ტახტრევანი შეჩერდა სახლისკენ ამავალი კიბის წინ, რომელსაც ორთავე მხარეს მწვანე კასრებში ჩარგული ალოე იცავდა. მისტერ პიკვიკი და მისი მეგობრები ვესტიბიულში შეიყვანეს, საიდანაც, თანახმად მისტერ მაზლის წინასწარი მოხსენებისა და თვითონ მისტერ ნაპკინზის მიერ გაცემული ბრძანებისა, ისინი წარუდგინეს იმ დიდებულ ადამიანს, რომელიც ესოდენ ზრუნავდა საზოგადოების მშვიდობასა და კეთილდღეობაზე.

სანახაობა ჭეშმარიტად შთამაგონებელი გახლდათ. იგი საგანგებოდ იყო გამიზნული, რომ დამნაშავეთა გულში შეძრწუნება გამოეწვია და შთაენერგა მათთვის სათანადო წარმოდგენა კანონის მკაცრი სიდიადის შესახებ. უზარმაზარი კარადის წინ, უზარმაზარ სავარძელში, უზარმაზარ მაგიდასთან და უზარმაზარი დავთრის წინ დაბრძანებულყო მისტერ ნაპკინზი, რომელიც ახლა ორჯერ უფრო დიდი მოჩანდა, ვიდრე ზემოთ დასახელებული საგნები, თუმცა თითოეული მათგანი თავისთავად ვეებერთელა გახლდათ. მაგიდაზე დახვავებული ქაღალდების გროვების გადაღმა შორეულ კუნჭულში მოჩანდა მისტერ ჯინკსის თავი და მხრები. იგი თავს არ ზოგავდა, რომ რაც შეიძლება შთამაგონებელი და საქმიანი იერი მიეღო.

როდესაც ყველა შემოვიდა, მაზლმა საგანგებოდ გადაკეტა კარი და ახალი ბრძანებების მოლოდინში თავის უფროსს სკამს უკან ამოუდგა. მისტერ ნაპკინზი ჭეშმარიტად ჟრჟოლის მომგვრელი სიდინჯით გადაწვა სავარძელში და რის ვაივაგლახით მოყვანილ სტუმრებს საგანგებოდ ჩააცქერდა.

- გრამერ, ვინ არის ეგ კაცი? - შეეკითხა მოხელეს მისტერ ნაპკინზი და მისტერ პიკვიკზე მიუთითა. ამ უკანასკნელს გმირული გადაწყვეტილება მიეღო, სიტყვით გამოსულიყო ამხანაგებისა და თავის სახელით და ამიტომ ახლა ქუდით ხელში უდიდესი თავაზითა და მოწიწებით უკრავდა თავს მოსამართლეს.

- აი ეს, პიკვიკი გახლავთ, თქვენო აღმატებულებავ, - უპასუხა გრამერმა.

- აბა, აბა „აი ეს-ები“, არ იყოს, ბებერო ყბედო, - სიტყვა ჩაურთო მისტერ უელერმა და წინა რიგისკენ იდაყვებით გაიკვლია გზა, - ბოდიშს ვიხდი, სერ, მაგრამ ერთი რამ მინდა მოგახსენოთ. აი, ეგ მოხელე, ულტობი ჩექმები რომ აცვია, ნამდვილად კაი ფულს ვერ გააკეთებს, თუ სადმე ცერემონმეისტრად დანიშ-

ნეს! მისტერ უელერმა ხელით მოიშორა გზიდან გრამერი და ახლა პირდაპირ მოსამართლეს მიმართა: - აი, ეს კი, სერ, მისტერ პიკვიკი გახლავთ, ესკვაირი, ეს - მისტერ ტაპმენი, ეს - მისტერ სნოდგრასი და მის გვერდით, იქით, მისტერ უინკლი. ესენი, სერ, ყველა ჭეშმარიტი ჯენტლმენები გახლავთ, რომელთა გაცნობაც ნამდვილად გაახარებს თქვენს გულს. აასე რომ, სერ, გირჩევთ, რაც უფრო მალე გაგზავნით ამ თქვენს მოხელეებს კატორღაში, მით უფრო მალე მოვრიგდებით თქვენდა და ჩვენდა საამოდ. ჯერ საქმე, მერე - სიამოვნება, როგორც ბრძანა მეფე რიჩარდ III-მ, როდესაც დანით დაკლა მეორე მეფე ტაუერში და მერე მისი შვილები მოახრჩო.

მოათავა რა რჩევა-დარიგება მისტერ უელერმა, მარჯვენა იდაყვით ქუდი გადაწმინდა და ჯინკს, რომელიც ყოველ სიტყვას საოცრად შეძრწუნებული უსმენდა, მოწყალედ თავი დაუქნია.

- ვინ არის ეგ კაცი, გრამერ? - იკითხა მოსამართლემ.

- თავზე ხელაღებული ვაჟბატონი გახლავთ, თქვენო აღმატებულებავ, - მიუგო გრამერმა, - იგი შეეცადა დაპატიმრებულნი გაეთავისუფლებინა და თავს დაესხა კონსტებლებს... მაშინ ისიც დავაკავეთ და პირდაპირ აქ წამოვიყვანეთ.

- სწორად მოქცეულხართ, - მოუწონა საქციელი მოსამართლემ, - ეტყობა, მართლაც თავზე ხელაღებული არამზადა უნდა იყოს.

- ეს ჩემი მსახური გახლავთ, სერ, - გაჯავრებით წარმოთქვა მისტერ პიკვიკმა.

- ო, მაშ ეს თქვენი მსახურია? - წამოიძახა მისტერ ნაპკინზმა, - მთელი შეთქმულება ყოფილა, ბატონებო, იმ მიზნით, რომ კანონისთვის შეურაცხყოფა მიეყენებინათ და მისი წარმომადგენელნი დაეხოცათ! პიკვიკის მსახური, ჩაინიშნეთ, მისტერ ჯინკს.

მისტერ ჯინკსმა ჩაინიშნა.

- თქვენი სახელი, ვაჟბატონო? - დასჭექა მისტერ ნაპკინზმა.

- უელერი, - მიუგო სემმა.

- საუცხო სახელია ნიუგეტის ციხის ქრონიკებისთვის, - წარმოთქვა მისტერ ნაპკინზმა.

ეს ხუმრობა გახლდათ და ჯინკსმა, დაბლიმ, მაზლმა და კონსტებლმა ხარხარი ატეხეს, რომელმაც მთელ ხუთს წუთს გასტანა.

- ჩაიწერეთ მისი სახელი, მისტერ ჯინკს, - თქვა მოსამართლემ.

- არ დაგავიწყდეთ, ორი „ლ“ დაწერეთ, მეგობარო, - დასძინა სემმა.

აქ ერთ-ერთ ავსვიან კონსტებლს კვლავ სიცილი წასკდა, მაგრამ, მოგეხსენებათ, უადგილო ადგილზე სიცილი უფროსების წინაშე ფრიად საშიში რამ გახლავთ და ამიტომ მოსამართლეც დაემუქრა უბედურს, დაუყოვნებლივ დაგაპატიმრებო.

- სად ცხოვრობთ? - იკითხა მოსამართლემ.

- სადაც მომიხდება, - მიუგო სემმა.

- ესეც ჩაინიშნეთ, მისტერ ჯინკს, - წარმოთქვა მოსამართლემ, რომელსაც თანდათანობით ბრაზი ერეოდა.

- არ დაგავიწყდეთ, ხაზი, ხაზი გაუსვით, - ურჩია სემმა.

- მისტერ ჯინკს, როგორც თვითონვე განაცხადა, მაწანწალა გახლავთ, - განაგრძო მოსამართლემ, - მაწანწალა, ხომ ასეა, მისტერ ჯინკს?

- რაღა თქმა უნდა, სერ.

- ჰოდა, ამ უპატრონოს პატრონს გამოვუჩენთ. როგორც მაწანწალას, დავაპატიმრებთ.

- ახლა კი დავრწმუნდი, სერ, რომ ჩვენს ქვეყანაში ჭეშმარიტად მიუკერძოებელი მართლმსაჯულება ყოფილა! - წარმოთქვა სემმა, - მაგრამ მე ვფიქრობ, მოსამართლე ამგვარი სამარ-

თლიანი გადაწყვეტილებით თავის თავს უფრო გაუტეხს სახელს, ვიდრე სხვას.

ამ ხუმრობაზე ახლა მეორე კონსტებლს გაეცინა. საცოდავმა უმალვე ისეთი მეტისმეტად სერიოზული გამომეტყველება მიიღო, რომ მოსამართლემ მაშინვე აღმოაჩინა დამნაშავე.

- გრამერ, - წარმოთქვა მისტერ ნაპკინზმა, რომელსაც ბრაზისაგან სახე აელანძა, - როგორ გაბედეთ და კონსტებლად დამინიშნეთ ისეთი უქნარა და უწესო ადამიანი, როგორიც ეს კაცი გახლავთ? ერთი მითხარით, როგორ გაბედეთ, სერ?

- მომიტევეთ, თქვენო აღმატებულებავ, - ბორძიკით მიუგო გრამერმა.

- მომიტევეთ? - წამოიძახა გააფთრებულმა მოსამართლემ, - მე თქვენ განანებთ მაგ დაუდევრობას, თქვენი მოვალეობისადმი უყურადღებობას, მისტერ გრამერ! სანიმუშოდ დაგსჯით! ჩამოართვით კვერთხი ამ ვაჟბატონს. თქვენ მთვრალი ხართ, ვაჟბატონო!

- მთვრალი არ გახლავართ, თქვენო აღმატებულებავ, - შეჰკადრა კონსტებლმა.

- არა, ხართ, ხართ-მეთქი, გესმით?! - სიტყვა შეუბრუნა მოსამართლემ, - როგორ ბედავთ, სერ, იმის თქმას, არა ვარო, როდესაც მე ვამბობ, რომ ხართ-მეთქი? განა ღვინის სუნი არა გცემთ, გრამერ?

- საშინელი, თქვენო აღმატებულებავ, - მაშინვე კვერი დაუკრა გრამერმა, თვითონ გრამერს კი უკვე დიდი ხანია არყის სუნი ასდიოდა.

- ასეც ვიცოდი, - თქვა მისტერ ნაპკინზმა, - როგორც კი ოთახში შემოვიდა, უმალვე შევნიშნე. თვალები სხვანაირად უციმციმებდა. შეამჩნიეთ, როგორ სხვანაირად უციმციმებდა თვალები, მისტერ ჯინკს?

- რა თქმა უნდა, სერ, - მიუგო ჯინკსმა.

- წვეთიც არ დამილევია ამ დილას, სერ, - სიტყვა ჩაურთო დამნაშავემ, რომელიც საერთოდ მსმელი კაცი არ იყო.

- როგორ ბედავთ, რომ ტყუილს მეუბნებით? - წამოიძახა მისტერ ნაპკინზმა, - განა მთვრალი არ არის, მისტერ ჯინკს?

- რა თქმა უნდა, სერ, - მიუგო ჯინკსმა.

- მისტერ ჯინკს, ამ პიროვნებას ვაპატიმრებ იმისთვის, რომ მან უპატივცემლობა გამოიჩინა მართლმსაჯულებისადმი, - განაცხადა მოსამართლემ, - გამოწერეთ დაპატიმრების ბრძანება, მისტერ ჯინკს.

უდანაშაულო კონსტებლს ნამდვილად დააპატიმრებდნენ, რომ მისტერ ჯინკს, რომელიც მოსამართლის მრჩევლად ითვლებოდა (იურიდიული განათლება ერთ-ერთი პროვინციული ვექილის კანტორაში მიიღო, სადაც სამ წელიწადს იმუშავა), მოსამართლისათვის არ ჩაეჩურჩულებინა: ასე არამც და არამც არ ივარგებსო. ამაზე მოსამართლემ გრძელი სიტყვა წარმოთქვა, რომელშიც აღნიშნა, რომ მხედველობაში ვიღებ რა კონსტებლის ოჯახურ მდგომარეობას, ახლა მხოლოდ იმით დავკმაყოფილდები, რომ დამნაშავეს საყვედურს გამოვუცხადებ და სამსახურიდან დავითხოვო. შემდგომ ამისა, როგორც ასეთ შემთხვევას შეეფერება, მისტერ ნაპკინზი მთელი თხუთმეტი წუთის განმავლობაში სასტიკად ტუქსავდა წესრიგის დამრღვევს და მხოლოდ ამ სასიამოვნო ვალის მოხდის შემდეგ გაუშვა საცოდავი შინ.

რაღა თქმა უნდა, გრამერი, მაზლი, დაბლი და ყველა სხვა კონსტებლი უფროსის სულგრძელობამ პირდაპირ აღტაცებაში მოიყვანა.

- ახლა, მისჯერ ჯინკს, ჩვენება გრამერს ჩამოართვით, - თქვა მოსამართლემ.

გრამერმაც არ დააყოვნა, უმალვე ჩვენების მიცემას შეუდგა. მაგრამ ერთბაშად ვერ მოაბა თავი სათქმელს და მოსამართლის სადილობის დრო კი ახლოვდებოდა, თვით მისტერ ნაპკიზმა გაუადვილა საქმე. მოხელეს ისეთი მისახვედრი კითხვები დაუსვა, რომ გრამერმა ყველაფერზე მხოლოდ კვერი დაუკრა. ამგვარად დაკითხვამ ფრიად უხიფათოდ და იოლად ჩაიარა. დამნაშავეთ წარუდგინეს და დაუმტკიცეს კიდეც ბრალდება. მისტერ უელერს, როგორც ოფიციალურ პირებზე ორგზის თავდამსხმელს, მისტერ უინკლს, როგორც დამმუქრებელს, და მისტერ სნოდგრასს, როგორც ამ საქმის წამქეზებელს.

როდესაც ყოველივე მოსამართლისათვის სასურველი შედეგით დაბოლოვდა, მან და მისტერ ჯინკსმა ჩურჩულით რაღაც საიდუმლო ბჭობა გამართეს. ბჭობამ მთელ ათ წუთს გასტანა, რის შემდეგ მისტერ ჯინკსმა კვლავ დაიკავა მაგიდასთან თავისი ადგილი, ხოლო მოსამართლე სავარძელში გაიჭიმა, წინასწარ რამდენჯერმე ჩაახველა და ის იყო, სიტყვის სათქმელად მოემზადა, რომ უეცრად გაისმა მისტერ პიკვიკის ხმა.

- მომიტევეთ, სერ, რომ სიტყვა ჩამოგართვით, - წარმოთქვა მან, - ვიდრე თქვენ სათქმელს ბრძანებდეთ და კიდევაც იმოქმედებდეთ იმ შეხედულებისდა თანახმად, რომელიც უდავოდ აქ მოცემული ჩვენების საფუძველზე შეგექმნათ, მინდა ერთი რამ განვაცხადო: მეც მაქვს უფლება, რომ მომისმინოთ, რადგან ეს საქმე უშუალოდ მე მეხება.

- ხმა გაიკმინდეთ, სერ! - ბრძანების კილოთი წარმოთქვა მოსამართლემ.

- უნდა მოგახსენოთ, სერ... - დაიწყო კვლავ მისტერ პიკვიკმა.

- ხმა გაიკმინდეთ-მეთქი, სერ, თორემ პოლიციელს ვუბრძანებ, რომ დარბაზიდან გაგიყვანოთ, - სიტყვა შეაწყვეტინა მოსამართლემ.

- რაც გნებავთ, ის უბრძანეთ თქვენს მოხელეებს, სერ, - მიუგო მისტერ პიკვიკმა, - მე უკვე ერთხელ საკუთარ თავზე გამოვცადე, თუ რაოდენ მორჩილნი არიან ისინი თქვენი ბრძანებისა და ახლაც ეჭვი არ მეპარება, რომ ყველაფერს შეგისრულებენ. მაგრამ, სერ, მე მაინც ვკადნიერდები და ვაცხადებ, რომ ვიდრე აქედან ძალით გამიყვანდეთ, მეც მაქვს უფლება, მოვითხოვო, რომ მომისმინოთ.

- ასე, მისტერ პიკვიკ, პრინციპს არ გადაუხვიოთ! - ხმამაღლა დასძინა მისტერ უელერმა.

- წყნარად იყავით, სემ, - შეუტია მისტერ პიკვიკმა.

- გახეული დოლივით დავდუმდები, სერ, - მიუგო სემმა.

მისტერ პიკვიკის თავხედობამ მოსამართლე გააოგნა. მომჩივანისთვის გაჯავრებით უნდოდა ეპასუხა, რომ ამ დროს მისტერ ჯინკსმა სახელოში მოქაჩა და ყურში რაღაც ჩასჩურჩულა. ამაზე მისტერ ნაპკინზმა ოდნავ გასაგონი ხმით რაღაც ჩაიბურტყუნა, ეტყობა ჯინკსი შეეპასუხა და კვლავ ორთა შორის ჩურჩული განახლდა. ბოლოს მოსამართლემ რის ვაი-ვაგლახით გადაყლაპა „არმოსმენის“ სურვილი, მისტერ პიკვიკს მიუბრუნდა და მოკლედ მოუჭრა:

- რის თქმა გსურთ?

- ჯერ ერთი, - დაიწყო მისტერ პიკვიკმა და სათვალედან ისე მრისხანედ გადახედა მოსამართლეს, რომ იგი შედრკა, - ჯერ ერთი, გამაგებინეთ, რისთვის მოგვიყვანეთ მე და ჩემი მეგობრები აქ, აი, ამ დარბაზში?

- ვუთხრა განა? - ჩასჩურჩულა მოსამართლემ ჯინკსს.

- გირჩევ, უთხრათ, სერ, - ურჩია ჯინკსმა.

- ხატზე დავიფიცებ, სერ, - წარმოთქვა მოსამართლემ, - რომ თქვენ თურმე დუელის გამართვა დააპირეთ და ბრალდებული

ტაპმენი თქვენი თანამოზიარე და წამქეზებელი იყო ამ საქმეში. ამიტომაც... როგორ მისტერ ჯინკს?

- ასე, ასე, სერ, - კვერი დაუკრა ერთგულმა მრჩეველმა.

- ამიტომაც ორივესთვის ვბრძანებ... ასე არ არის, მისტერ ჯინკს?!

- რა თქმა უნდა, სერ.

- ვბრძანებ... ვბრძანებ, რომ... როგორ, მისტერ ჯინკს? - ხმას აუწია გაჯავრებულმა მოსამართლემ.

- რომ გამონახონ, თავდები, სერ.

- დიახ, სწორედ ამის თქმას ვაპირებდი, როდესაც ჩემმა მრჩეველმა სიტყვა შემაწყვეტინა. მე მოვითხოვ, რომ ორივემ თავდები გამონახოთ.

- სანდო თავდები, - ჩასჩურჩულა ჯინკსმა.

- დიახ, სანდო თავდები რომ გამონახოთ, - გაიმეორა მოსამართლემ.

- ვინმე ჩვენი ქალაქის მცხოვრებლებიდან, - ჩასჩურჩულა კვლავ ჯინსკმა.

- დიახ, აუცილებლად ვინმე ამ ქალაქის მცხოვრებელთაგანი, - გაიმეორა მოსამართლემ.

- ორმოცადათი გირვანქა სტერლინგი თითოეულისგან, - ჩასჩურჩულა ჯინკსმა. - თავდებნი უსათუოდ უძრავი ქონების პატრონები უნდა იყვნენ.

- მოვითხოვ ორ წინდს, თითოეულისგან ორმოცდაათ გირვანქას, - დინჯად წარმოთქვა მოსამართლემ, - თავდებნი უსათუოდ უძრავი ქონების პატრონები უნდა იყვნენ.

- ღმერთო, შენ შემიწყალე! - წამოიძახა მისტერ პიკვიკმა და მისტერ ტაპმენს გადახედა. ორივე პიკვიკელის განცვიფრებასა და წყრომას საზღვარი აღარ ჰქონდა, - სერ, ჩვენ ხომ ამ ქალაქში არავინ გვიცნობს! მერწმუნეთ, სერ, რომ როგორც არც ერთ

მესაკუთრეს არ ვიცნობ აქ, ისევე არც არავითარი სურვილი არა მქონია, ვინმე დუელში გამომეწვია.

- მე კი მგონია, რომ გქონდათ, - მიუგო მოსამართლემ, - სწორედ რომ გქონდათ. თქვენც ასე არ ფიქრობთ, მისტერ ჯინკს?

- რა თქმა უნდა, სერ.

- კიდევ რას გვიბრძანებთ? - შეეკითხა მოსამართლე მისტერ პიკვიკს.

სწორედ რომ ბევრი რამ ჰქონდა მისტერ პიკვიკს „საბრძანებელი“, რის თქმასაც უდავოდ არ დააყოვნებდა (თუმცა აშკარაა, რომ ამით ვერც თავის საქმეს უშველიდა და ვერც მოსამართლის გულს მოიგებდა), მაგრამ იმ წუთს, რა წუთსაც ლაპარაკი მოათავა, უეცრად იგრძნო, რომ სახელოში მისტერ უელერმა მოქაჩა. მისტერ პიკვიკმა უმალვე ისეთი გაცხოველებული საუბარი გააბა თავის მსახურთან, რომ მოსამართლის შეკითხვა სულაც არ გაუგონია, არც მისტერ ნაპკინზი გახლდათ ისეთი კაცი, რომელიც ამგვარ შეკითხვას ორჯერ გაიმეორებდა. ამიტომ მან ერთი კი ჩაახველა და პირდაპირ განაჩენის გამოტანას შეუდგა. სასამართლოს მოხელეებსა და კონსტებლებს შორის აღტაცებით აღსავსე სიჩუმე ჩამოვარდა.

მოსამართლემ მიუსაჯა მისტერ უელერს პირველი თავდასხმისთვის ორი გირვანქა სტერლინგი, ხოლო მეორე თავდასხმისთვის - სამი გირვანქა; მისტერ უინკლს უნდა გადაეხადა ორი გირვანქა, ხოლო მისტერ სნოგრასს - ერთი გირვანქა; გარდა ამისა, ზემოხსენებულ ორ პირს მოსამართლემ მოსთხოვა წერილობითი ვალდებულება, რომ ისინი მშვიდობას დაიცავდნენ მისი უდიდებულესობის ქვეშევრდომთა და, განსაკუთრებით, მისი ერთგული მსახურის, დანიელ გრამერის, მიმართ. პიკვიკსა და ტაპმენს, როგორც წინასწარ გამოუცხადა, თავდები უნდა გამოენახათ.

როგორც კი მოსამართლემ განაჩენის კითხვა მოათავა, მისტერ პიკვიკის კეთილი სახე კვლავ ღიმილმა გაანათა, იგი წინ გამოვიდა და წარმოთქვა:

- მომიტევოს ბატონმა მოსამართლემ კადნიერება, მაგრამ მინდა შევეკითხო: ხომ არ ინებებს იგი სულ რამდენიმე წუთით განმარტოებით მომესაუბროს მისთვის ფრიად მნიშვნელოვანი საკითხის გარშემო?

- რას ბრძანებთ? - შეეკითხა მოსამართლე.

მისტერ პიკვიკმა თხოვნა გაიმეორა.

- ფრიად უცნაური თხოვნაა, - თქვა მოსამართლემ, - კონფიდენციალური საუბარი გსურთ?

- დიახ, კონფიდენციალური საუბარი, - მიუგო მტკიცედ მისტერ პიკვიკმა, - მაგრამ იმასაც მოგახსენებთ, რომ ნაწილი იმ ცნობებისა, რომელიც მსურს გადმოგცეთ, ჩემმა მსახურმა მომაწოდა, ამიტომ მინდა ჩვენს საუბარს ისიც დაესწროს.

ამის გაგონებაზე მოსამართლემ მისტერ ჯინკსს, ხოლო კონსტებლებმა ერთმანეთს გაოცებით გადახედეს. უეცრად მისტერ ნაპკინზი გაფითრდა, თავში გაუელვა, ვინ იცის, იმ კაცს, უელერს, სინდისმა ქენჯნა დაუწყო და თავის ბატონს გაუმჟღავნა საიდუმლო შეთქმულება, რომელიც მისი, მისტერ ნაპკიზის, მოკვლის მიზნით შედგა? თვით ფიქრიც კი ამის შესახებ საშინელი, ჭეშმარიტად შემაძრწუნებელი გახლდათ. იგი ხომ პატარა კაცი არ არის, დიდი საზოგადო მოღვაწეა!

მისტერ ნაპკინზი კიდევ უფრო გაფითრდა. მას მოაგონდა იულიუს კეისარი და მისტერ პერსივალი.

მოსამართლემ კვლავ მისტერ პიკვიკს გადახედა და თვალით მოიხმო მისტერ ჯინკსი.

- რას იტყვით ამ თხოვნის შესახებ, მისტერ ჯინკს? - ჩასჩურჩულა მისტერ ნაპკინზმა.

მისტერ ჯინკსი საგონებელში ჩავარდა. მან არ იცოდა, მოეწონებინა თუ დაეწუნებინა ეს თხოვნა. ეშინოდა, ვაითუ, ნიშანს ავაცდინო და პატრონი გამიწყრესო. ამიტომ ორაზროვნად გაიღიმა, ტუჩები მოღრიცა და თავი მძიმედ გადააქნია.

- მისტერ ჯინკს, - პირქუშად წარმოთქვა მოსამართლემ, - თქვენ ვირი ხართ!

ამ თავაზიანი შეფასების გაგონებაზე მისტერ ჯინკსმა კვლავ გაიღიმა, თუმცა, მართალი გითხრათ, ღიმილი ახლა უფრო მკრთალი გამოვიდა. მან არაფერი თქვა და პატარა ნაბიჯებით კვლავ თავისი კუთხისკენ დაიხია.

მისტერ ნაპკინზი ერთხანს თავის თავს ეთათბირებოდა, შემდეგ სავარძლიდან დინჯად წამოდგა. მისტერ პიკვიკსა და სემს ხელით ანიშნა, გამომყევითო და პატარა ოთახში შეუძღვა, რომელიც მოსამართლის დარბაზს ეკვროდა. მოსამართლემ მისტერ პიკვიკს სთხოვა, ოთახის შორეულ კუთხეში გადადითო. თანაც მაგრად ჩაებღაუჭა ნახევრად ღია კარს, რომ ვინიცობაა, მტერი საომარი მოქმედების დაწყების სურვილს გამოამჟღავნებდა, იგი წამსვე ღია კარში დურთავდა თავს. ჩაატარა რა ზემოხსენებული გამაფრთხილებელი ზომები, მისტერ ნაპკინზმა ბოლოს განაცხადა:

- ახლა კი მზად გახლავართ, თქვენს სათქმელს მოვუსმინო.

- პირდაპირ საქმეზე გადავდივარ, სერ, - წარმოთქვა მისტერ პიკვიკმა, - იგი უშუალოდ გეხებათ თქვენ და თქვენს პატიოსან სახელს. მერწმუნეთ, რომ სრული საფუძველი მაქვს მოგახსენოთ, თქვენს საკუთარ სახლში თავხედ ცრუმოსახელეს მალავთ!

- ორს! - ჩაერია სემი, - თუთის ხე შეურაცხყოფს მთელ ბუნებას ფლიდი ცრემლებითა და სულმდაბლობით.

- სემ, თუკი გინდათ ჯენტლმენს რაიმე გავაგებინო, გთხოვთ თავი შეიკავოთ, - თქვა მისტერ პიკვიკმა.

- მაპატიეთ, სერ, - მიუგო მისტერ უელერმა, - მაგრამ ის თუ-თისფერი ჯობი მომაგონდება თუ არა, ვერ ვძლებ, რომ პირის სარქველი ერთი-ორი გოჯით მაინც არ გამოვაღო.

- მოკლედ რომ ვთქვათ, სერ, - განაგრძო მისტერ პიკვიკმა, - ერთი ეს მიბრძანეთ: მართალია თუ არა, რომ ვინმე კაპიტანი ფიც-მარშალი ხშირად დაიარება თქვენს სახლში? საჩქაროდ დაუმატა მისტერ პიკვიკმა, როდესაც შეამჩნია, რომ მოსამარ-თლემ გაწყრომა დააპირა და სადაცაა სიტყვას შეაწყვეტინებდა. - თუ ის გახლავთ, მე ვიცი, რომ ის კაცი...

- წყნარად, წყნარად, - წარმოთქვა მისტერ ნაპკინზმა და კარი მიხურა, - განა იცით მისი ვინაობა?

- ერთი უპრინციპო ავანტიურისტი გახლავთ, სინდისგარეცხი-ლი პიროვნება, რომელიც მუდამ სხვის ხარჯზე ცხოვრობს და თავის მსხვერპლად განგებ ირჩევს გულუბრყვილო უბედურ, გაბრიყვებულ ადამიანებს, სერ! - თქვა აღელვებულმა მისტერ პიკვიკმა.

- ღმერთო ჩემო, - თქვა მისტერ ნაპკინზმა და გაწითლდა; უმალვე კილოც შეიცვალა, - ღმერთო ჩემო, მისტერ...

- პიკვიკ, - უკარნახა სემმა.

- პიკვიკ, - გაიმეორა მოსამართლემ, - ღმერთო ჩემო, რო-გორ დამავიწყდა, მისტერ პიკვიკ, გთხოვთ, გეთაყვა, დაბრძან-დეთ... ნუთუ იმას გულისხმობთ? კაპიტან ფიც-მარშალს?

- ნუ უწოდებთ მას ნურც კაპიტანსა და ნურც ფიც-მარშალს, - თქვა სემმა, - ეგ არც ერთია და არც მეორე. მოხეტიალე მსა-ხიობია. აი, რა არის! სახელად კი ჯინგლი ჰქვია. იმასაც მოგახ-სენებთ, სერ, რომ თუ ოდესმე შეგხვედრიათ მგელი ბატკნის ტანსაცმელში, აი, ის კი ნამდვილად ჯობ ტროტერი იქნებოდა.

- ჭეშმარიტად ასე გახლავთ, სერ, - დაამოწმა მსახურის ნათქვამი მისტერ პიკვიკმა, როდესაც გაოგნებულმა მოსამართლემ მას გადახედა, - აქ, ამ ქალაქში სწორედ იმიტომ გეახელით, რომ სააშკარაოზე გამოვიყვანო ორი კაცი, რომელზედაც ახლახან გელაპარაკეთ.

მისტერ პიკვიკმა მოსამართლის შეძრწუნებულ ყურს მოკლედ ჩამოუთვალა მისტერ ჯინგლის ყველა საზიზღარი ოინი. მოუყვა, თუ როგორ შეხვდა იგი პირველად პიკვიკელებს, როგორ გაიტაცა შინაბერა მის უორდლი, როგორ ერთი ხელის კვრით (ერთბაშად) მიატოვა ქალი, როდესაც გასამრჯელოდ მრგვალი თანხა მიიღო; როგორ შეიტყუა შუაღამისას მისტერ პიკვიკი ქალთა პანსიონში. ისიც მოახსენა მისტერ პიკვიკმა, რომ ამჟამად იგი თავს მოვალედ მიიჩნევდა ემხილებინა ის არამზადა მის მიერ დარქმეული სახელისა და წოდების მითვისებაში.

რაც უფრო მეტს უყვებოდა მისტერ პიკვიკი, მით უფრო მაღლა და მაღლა იწევდა მისტერ ნაპკინზის მხურვალე სისხლი, ვიდრე ყურის ბიბილოებში არ გამოატანა. მოაგონდა, როგორ გადაეყარა კაპიტანს მეზობელ იპოდრომზე, როგორ მოიხიბლნენ მისის ნაპკინზი და მის ნაპკინზი უცნობის თავაზიანი ქცევით, მისი არისტოკრატი ნაცნობების გრძელი სიით და მოგზაურობებით შორეულ ქვეყნებში, როგორ დაჰყავდათ იგი ყველგან, როგორ იმეორებდნენ მის თქმებს, მოსწრებულ სიტყვებს, ხელისგულზე ატარებდნენ და თავს ახვევდნენ თავიანთ ნაცნობმეგობართა რჩეულ წრეს, ვიდრე მათ გულითად მეგობრებს მისის პორკენჰემს, მის პორკენჰემებს და თვით მისტერ სიდნი პორკეჰემს ეჭვისა და სასოწარკვეთისაგან კინაღამ გული გაუსკდათ. ახლა რა ესმით?! რომ ის კაცი ღატაკი ავანტიურისტია, მოხეტიალე მსახიობი და თუ მთლად სინდისგარეცხილი არამ-

ზადა არ არის, მაინც იმდენად ჰგავს მას, რომ კაცს გაუჭირდება განსხვავების დადგენა! ო, ღმერთო! რას იტყვიან ახლა პორკენ-ჰემები? როგორ იზეიმებს მისტერ სიდნი პორკენჰემი, როდესაც გაიგებს, რომ მის პანკინზმა მისი სიყვარული ასეთი მეტოქის არშიყობაზე გაცვალა! როგორღა შეხედოს თვალში მოხუც პორ-კენჰემს, მოსამართლეთა კვარტალურ სესიაზე რომ შეხვდება? ო, რა ბრწყინვალე თულფი ექნება ოპოზიციურ პარტიას, როდე-საც ეს ამბავი სააშკარაოზე გამოვა!

- მაგრამ, ვინ იცის, იქნებ ტყუილია? - თქვა მისტერ ნაპკინზმა დიდი ხნის პაუზის შემდე და სახე წუთით გაუბრწყინდა, - კაპიტა-ნი ფიც-მარშალი მეტად მიმზიდველი კაცია და უთუოდ ბევრი მტერიც ჰყავს. რა საბუთი გაქვთ, რომ ნათქვამი დამიმტკიცოთ?

- პირისპირ წამაყენეთ, - თქვა მისტერ პიკვიკმა, - მხოლოდ ამას გთხოვთ, პირისპირ წამაყენეთ მეცა და ჩემი მეგობრებიც. გარწმუნებთ, რომ სხვა საბუთი აღარ დაგჭირდებათ.

- მაგაზე ადვილი რაღაა, - წარმოთქვა მისტერ ნაპკინზმა, - სწორედ ამაღამ ჩვენთან მოვა. ოღონდ გთხოვთ, ნუ გაახ-მაურებთ, ნუ გავახმაურებთ თვით... თვით ყმაწვილი კაცის გუ-ლისათვის, ხომ იცით... მაგრამ, მომიტევეთ, წინასწარ მისის ნაპკინზს უნდა მოველაპარაკო, თუ რამდენად მართებული იქნე-ბა ასეთი ნაბიჯის გადადგმა... ასეა თუ ისე, ჯერ სასამართლოს საქმე მოვაგვაროთ, ვიდრე სხვა რაიმეს ვიმოქმედებდეთ. გთხოვთ, მეორე ოთახში მობრძანდეთ.

კვლავ დარბაზში გავიდნენ.

- გრამერ, - შემაძრწუნებელი ხმით წარმოთქვა მოსამარ-თლემ.

- თქვენო აღმატებულებავ! - ხმა გასცა გრამერმა.

- გრამერ, - კვლავ პირქუშად გაიმეორა მოსამართლემ, - თქვენი ქარაფშუტა საქციელი პირდაპირ შეუწყნარებელია! ნე-

ტავ რას იღიმებით? გასაცინი არაფერი გაქვთ. მიბრძანეთ ერთი, ეგ ჩვენებები თქვენ რომ ახლახან მოგვეცით, ნამდვილად შეეფერება სინამდვილეს? აბა, მიბრძანეთ, ოღონდ ფრთხილად იყავით, სერ!

- თქვენო აღმატებულებავ! - წაილუღლუღა გრამერმა, - მე...

- ოჰო, თქვენ დაიბენით კიდეც, არა? - ნიშნის მოგებით წარმოთქვა მოსამართლემ, - მისტერ ჯინკს, ხედავთ როგორ დაიბნა?

- რა თქმა უნდა, სერ, - მიუგო ჯინკსმა.

- მაშ, გაიმეორეთ თქვენი ჩვენებანი, გრამერ, - თქვა მოსამართლემ, - კვლავ მოგაგონებთ, რომ ფრთხილად ილაპარაკოთ. მისტერ ჯინკს, ჩაიწერეთ მისი ჩვენება.

უბედური გრამერი კვლავ შეუდგა ჩვენების მიცემას, მაგრამ, ვინ იცის, იმის გამო, რომ მისტერ ჯინკსი მეტად გულმოდგინედ იწერდა მის ნათქვამს, ხოლო მოსამართლე კი ყოველ მის სიტყვას კვერს უკრავდა, ან იქნებ იმიტომაც, რომ დაბადებიდან მეტად უთავბოლო და არეული ლაპარაკი იცოდა, სამ წუთში ისე გაება წინააღმდეგობებში, რომ მისტერ ნაპკინზმა დაუყოვნებლივ გამოუცხადა, შენი არაფერი მჯერაო. ამგვარად მოიხსნა ჯარიმები და მისტერ ჯინკსმაც თვალის დახამხამებაში თავდებები გამონახა.

დამთავრდა თუ არა ორთავ მხარის საბედნიეროდ ეს საზეიმო პროცედურა, მისტერ გრამერი სამარცხვინოდ გააძევეს დარბაზიდან. ეს გახლდათ ადამიანის დიდების ცვალებადობისა და დიდი ხალხის გაუტანლობის ჭეშმარიტი ნიმუში.

მისის ნაპკინზი, პირისფერ დოლბანდსა და ღია წაბლისფერ პარიკში გამოწყობილი ფრიად წარმოსადეგი მანდილოსანი იყო. მის ნაპკინზს უდოლბანდოდ და უპარიკოდაც დაჰყოლოდა დედის ქედმაღლური იერი და ბოროტი ხასიათი. როდესაც ამ

ორი სასიამოვნო თვისების გამოჩენა დედა-შვილს ფრიად უსიამოვნო მდგომარეობაში ჩააყენებდა ხოლმე, რაც არც ისე იშვიათად ხდებოდა, ორივე უმალვე პირს შეკრავდნენ და ყოველივეს მისტერ ნაპკინზს გადააბრალებდნენ.

ახლაც ასე მოხდა. როდესაც მისტერ ნაპკინზმა ინახულა მეუღლე და დაწვრილებით გადასცა, რაც მისტერ პიკვიკმა უამბო, მისის ნაპკინზს უეცრად მოაგონდა, დიდი ხანია, ეჭვი მქონდა, რომ ასეც მოხდებოდაო. წაიჩივლა, რომ მისტერ ნაპკინზი მას არაფრად აგდებს და მოჰყვა წუწუნს.

- ეს როგორ გამასულელეს! - წამოიძახა მის ნაპკინზმა და თვალის უპეებიდან ძლივს გამოწურა თითო პაწაწკინტელა ცრემლი.

- ო, მადლობა მამაშენს უთხარი, ჩემო ძვირფასო, - თქვა მისის ნაპკინზმა, - როგორ ვეხვეწებოდი, როგორ ვემუდარებოდი ამ ადამიანს, მიიკითხ-მოიკითხე კაპიტნის ოჯახის შესახებ-- მეთქი. როგორ დაჟინებით მოვითხოვდი და ვარწმუნებდი, რომ გადამწყვეტი ნაბიჯი გადაედგა. ეჭვიც არ მეპარება, რომ ახლა ამ ამბავს არა კაცი არ დაიჯერებს. არავინ!

- მაგრამ, ჩემო ძვირფასო... - დაიწყო მისტერ ნაპკინზმა.

- ნუ მელაპარაკები, ნუ მელაპარაკები-მეთქი, პირდაპირ აუტანელი ხარ! - სიტყვა შეაწყვეტინა მისის ნაპკინზმა.

- ჩემო საყვარელო, - განაგრძო მისტერ ნაპკინზმა, - თქვენც ხომ ძალიან მოგწონდათ კაპიტანი ფიც-მარშალი, სულ სახლში იპატიჟებდით, ჩემო ძვირფასო და ხელსაყრელ შემთხვევას არ უშვებდით, რომ სტუმრადაც წაგეყვანათ.

- აკი გითხარი, ჰენრიეტა?! - სასტიკად შეურაცხყოფილი ადამიანის ხმით მიმართა ქალიშვილს მისის ნაპკინზმა, - აკი გითხარი, მამაშენი ისევ მე მეცემა და ყველაფერს მე

გადმომაბრალებს-მეთქი? არ გითხარი, განა? - მისის ნაპკინზმა ქვითინი ამოუშვა.

- ო, მამა! - გაჯავრდა მის ნაპკინზი და ისიც დედას აჰყვა.

- ეს კი მეტისმეტია! მე, მე მისაყვედუროს, რომ შენა ხარ მიზეზი ამ დავიდარაბისაო! კაცმა, რომელმაც თვითონ ესოდენ სამარცხვინო, პირდაპირ სასაცილო მდგომარეობაში ჩაგვაყენა! - შეჰკივლა მისის ნაპკინზმა.

- როგორღა გამოვყოთ თავი საზოგადოებაში! - ბანი მისცა ქალიშვილმა.

- პორკენჰემებს თვალებში როგორ შევხედოთ! - კვლავ შეჰკივლა მისის ნაპკინზმა.

- ან გრიგებს! - მოძახილი მისცა მის ნაპკინზმა.

- ან სლამინტაუნებს! - დასჭყივლა კვლავ მისის ნაპკინზმა, - მამაშენს რა ენაღვლება, რას დაეძებს იგი! - გამოთქვა თუ არა ეს საშინელი აზრი, გულდამდუღრული მანდილოსანი უფრო მწარედ აქვითინდა და ქალიშვილმაც უმალვე დედის მაგალითს მიჰბაძა.

ცრემლთა ნიაღვარი, რომელიც მისის ნაპკინზის თვალებიდან დიდი სისწრაფით მოედინებოდა, არ შეწყვეტილა მანამდე, ვიდრე მანდილოსანმა კარგად არ აწონ-დაწონა ყოველივე და საბოლოოდ არ გადაწყვიტა, რომ საუკეთესო გამოსავალი ამ უხერხული მდგომარეობიდან ისევ ერთი იყო: მიეპატიჟა მისტერ პიკვიკი და მისი მეგობრები სახლში, დაეცდევინებინა კაპიტნის მოსვლამდე და ამგვარად მიეცა მისტერ პიკვიკისათვის საშუალება, რომელსაც იგი დიდი ხანია ეძებდა. თუ მისი ნათქვამი დადასტურდება, კაპიტანს სახლიდან დაითხოვენ ისე, რომ ამ საქმეს არ გაახმაურებენ; პორკენჰემებს კი იოლად აუხსნიან კაპიტნის უეცარი წასვლის მიზეზს. ეტყვიან, რომ რადგან კაპიტნის ოჯახს დიდი გავლენა აქვს სამეფო კარზე, იგი გენერალ-

გუბერნატორად დაინიშნა სიერა-ლეონეში ან სანგერ-პოინტში, ან სხვა ამგვარივე ჯანსაღ ჰავაში, რომელიც ისე ძლიერ ხიბლავს ევროპელებს, რომ, ერთხელ თუ მოხვდნენ იქ, სამშობლოში აღარ ბრუნდებიან.

როდესაც მისის ნაპკინზმა და მისმა ქალიშვილმაც ცრემლი შეიშრეს, მისტერ ნაპკინზმა გადასწყვიტა, საქმე ისე მოეგვარებინა, როგორც მეუღლემ ურჩია.

ამგვარად, როდესაც მისტერ პიკვიკმა და მისმა მეგობრებმა მოიცილეს ყოველივე ნიშანი უსიამოვნო შეხვედრისა, ისინი უმალვე ჯერ მანდილოსნებს წარუდგინეს, ხოლო შემდეგ - სუფრას, რომელზედაც უხვი სადილი ელოდებოდათ. რაც შეეხება მისტერ უელერს, მისი ბედიც ფრიად საამოდ გადაწყდა. მოსამართლე მისთვის ჩვეული შორსმჭვრეტელობით ნახევარ საათშივე დარწმუნდა, რომ სემი ჩინებული ყმაწვილი იყო. ამიტომ იგი საგანგებოდ მიანდო მისტერ მაზლის მფარველობასა და ზრუნვას. უკანასკნელს, ეტყობა, დაკისრებული ვალდებულება ძალიან გაუხარდა და ახლა თავს არ ზოგავდა, რომ რითიმე ესიამოვნებინა სტუმრისთვის.

- როგორ ბრძანდებით, სერ? - შეეკითხა სემს მისტერ მაზლი, როდესაც სამზარეულოსკენ ჩასასვლელ კიბეზე მიაცილებდა.

- აბა, რა გითხრა. მე მგონი, ჩემი სხეულის არც ერთ ნაკვთში არ მომხდარა რაიმე მნიშვნელოვანი ცვლილება ამ მცირე ხნის განმავლობაში, თუნდაც მას შემდეგ, რაც თქვენი უფროსის სკამს უკან აყუდებული ჩემს განაჩენს უსმენდით დარბაზში, - მიუგო სემმა.

- მაპატიეთ, სერ, რომ მაშინ უფრო მეტი ყურადღება არ მოგაქციეთ, - მოიბოდიშა მისტერ მაზლმა, - მაგრამ მაშინ ხომ არც ვიცნობდით ერთმანეთს. ო, მისტერ უელერ, რომ იცოდეთ, ჩემს უფროსს როგორ მოეწონეთ.

- კაი კაცია, რა უჭირს, - მოწყალედ წარმოთქვა სემმა.

- არის და მერე როგორი! - დასძინა მაზლმა.

- ისეთი ხუმარაა, - განაგრძო სემმა.

- რა ლაპარაკი იცის! - თქვა მაზლმა, - აზრები სულ წყალივით მოედინება.

- გასაოცარია პირდაპირ, - მიუგო სემმა, - ისე სცვივა აზრები, რომ ეტყობა ისინი თავებს ერთიმეორეს უჯახუნებენ და ერთმანეთს არეტიანებენ. აასე რომ, ვერც მიხვდება კაცი, რისი თქმაც სურს.

- სწორედ, ეს გახლავთ მისი მჭევრმეტყველების უდიდესი ღირსება. - შენიშნა მისტერ მაზლმა, - ამ ბოლო საფეხურზე ფრთხილად იყავით, მისტერ უელერ! ხელს ხომ არ დაიბანთ, სერ, ვიდრე მანდილოსნებთან წარგადგენდეთ? აგერ წყლით სავსე თუნგი, კარს უკან კი პირსახოცია საერთო ხმარებისთვის.

- ო, ჩემმა მზემ, ჭყუმპალაობა ახლა ურიგო არ იქნება, - მიუგო მისტერ უელერმა. პირსახოცს ყვითელი საპონი უხვად წაუსვა და სახე იმდენ ხანს იხეხა, ვიდრე სარკესავით არ აუპრიალდა, - რამდენი ქალი გყავთ?

- სამზარეულოში მხოლოდ ორი, - მიუგო მისტერ მაზლმა, - მზარეული ქალი და მოახლე. შავი სამუშაოსათვის ბიჭი გვყავს და კიდევ ერთი გოგოც ჭურჭლის მრეცხავი, მაგრამ ისინი სამრეცხაოში სადილობენ.

- ნუთუ სამრეცხაოში სადილობენ? - შეეკითხა მისტერ უელერი.

- დიახ, იქ, - მიუგო მისტერ მაზლმა, - პირველად რომ მოიყვანეს, სუფრასთან მივიწვიეთ, მაგრამ ვერ გავუძელით. ჭურჭლის მრეცხავი გოგო საშინლად უხეშია, ბიჭი კი ისე ათხიპინებს ცხვირს, რომ შეუძლებელია მასთან პურის ჭამა.

- ეტყობა, ჯერ ახალგაზრდა ბეჰემოთია, - შენიშნა მისტერ უელერმა.

- დიახ, დიახ, საშინელია, - მიუგო მისტერ მაზლმა, - უნდა ითქვას, სოფელში ცხოვრების ეს ყველაზე უფრო არამიმზიდველი მხარეა, მისტერ უელერ! ყმაწვილები ნამდვილი ნადირები არიან... აქით მობრძანდით, სერ, აქით!

მისტერ მაზლი დაწინაურდა და თავაზიანად შეუძღვა სტუმარს სამზარეულოში.

- მერი, - მიმართა მისტერ მაზლმა კოპწია, ლამაზ მოახლეს, - ეს მისტერ უელერი გახლავს, ჯენტლმენი, რომელიც უფროსმა ჩამოგზავნა აქ და გვიბრძანა, რაც შეიძლება მეტი თავაზით მივიღოთ.

- აშკარაა, რომ თქვენი ბატონი საუცხოოდ ერკვევა ამგვარ საქმეებში, სწორედ სათანადო ადგილს არ გამამწესა! - წარმოთქვა მისტერ უელერმა და აღტაცებით გადახედა მერის, - მე რომ ამ სახლის პატრონი ვიყო, თანაგრძნობასა და ნუგეშს მხოლოდ მერის გვერდით ვპოვებდი.

- ო, კმარა, მისტერ უელერ! - თქვა მერიმ და გაწითლდა.

- მე აღარაფრად მაგდებთ, არა? - წამოიძახა მზარეულმა.

- ო, ღმერთო ჩემო, მზარეულო, სულ არ დამავიწყდით, - მიმართა მას მისტერ მაზლმა, - მისტერ უელერ, ნება მიბოძეთ წარგადგინოთ.

- როგორ ბრძანდებით, ქალბატონო? - შეეკითხა მისტერ უელერი, - ფრიად მოხარული ვარ, რომ გაგიცანით და იმედი მაქვს, რომ ჩვენი ნაცნობობა ხანგრძლივად გასტანს, როგორც ბრძანა ერთმა ჯენტლმენმა, როდესაც ხუთგირვანქიანი ბანკნოტი ჩაიგდო ხელში.

როდესაც გაცნობის ცერემონია მოთავდა, მზარეული ქალი და მერი სამოახლო ოთახში გადავიდნენ და მთელი ათი წუთი

ხითხითებდნენ. შემდეგ სახეალეწილები სიცილით შემოცვივ-დნენ სამზარეულოში და სადილობას შეუდგნენ.

მისტერ უელერის თავისუფალმა ქცევამ და მჭევრმეტყველე-ბის ნიჭმა ისეთი წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა მის ახალ ნაცნობებზე, რომ ვიდრე სადილი მოთავდებოდა, ისინი დამეგობრდნენ კიდეც. არ გასულა დიდი ხანი, რომ სუფრის ყვე-ლა წევრმა უკვე დაწვრილებით გაიგო ჯობ ტროტერის ვერაგო-ბის ამბავიც.

- მაგ ჯობს თავიდანვე ვერ ვიტანდი, - განაცხადა მერიმ.

- არც უნდა აიტანოთ, ჩემო ძვირფასო, - შენიშნა მისტერ უელერმა.

- რატომ არა, - შეეკითხა მერი.

- იმიტომ, რომ სიმახინჯე და მატყუარობა ახლოს არც უნდა გაეკაროს სათნოებასა და სილამაზეს, - მიუგო მისტერ უელერ-მა, - ასე არ არის, მისტერ მაზლ?

- რაღა თქმა უნდა, - მიუგო ხსენებულმა ჯენტლმენმა.

სემის ქათინაურზე მერის სიცილი წასკდა, მაგრამ მოიმიზეზა, მზარეულმა გამაცინაო. მზარეულსაც გაეცინა და განცხადა, მე-რი მე არ გამიცინებიაო.

- მე რომ ჭიქა არა მაქვს, - წამოიძახა მერიმ.

- ჩემი ჭიქიდან მიირთვით, ჩემო ცუგრუმელავ, - ურჩია მის-ტერ უელერმა, - თქვენი ლამაზი ტუჩები ამ ჭიქის პირს მიადეთ და მაშინ ამ შუამავლის მეოხებით საშუალება მომეცემა, გეამ-ბოროთ.

- გრცხვენოდეთ, მისტერ უელერ.

- სასირცხვო რა არის, ჩემო ლამაზო?

- აი, ასე რომ ამბობთ.

- სისულელეა! აბა, ცუდი აქ რა არის? ასეა ეს ქვეყანა მოწყო-ბილი. ასე არ არის, მზარეულო?

- მე რას მეკითხებით, უსირცხვილოვ, - ვითომ წყრომით მიუგო მზარეულმა. მერის და მზარეულს კვლავ სიცილი წასკდათ. ბოლოს ყმაწვილ ქალს მეტისმეტი მოუვიდა. მირთმეული ლუდის, ცივად მოხარშული ხორცისა და ხითხითისგან კინაღამ დაიხრჩო. ამ საგანგაშო მდგომარეობიდან ისევ მისტერ უელერმა გამოიყვანა. ბევრი ურტყა ზურგში და სხვა ამგვარ საშუალებებს მიმართა, თანაც ყოველივე მეტად ნაზად და სათუთად შეასრულა.

ამ მოლხენასა და სიცილ-ხარხარში რომ იყვნენ, უეცრად ჭიშკართან ზარის ხმამაღალი წკარუნი გაისმა. მას უმალვე პასუხი გასცა ჯენტლმენმა, რომელიც სამრეცხაოში სადილობდა. სწორედ მაშინ, როდესაც მისტერ უელერი გაცხარებული ეარშიყებოდა ლამაზ მერის, მისტერ მაზლი უცხო სტუმრის პატივით იყო გართული, ხოლო მზარეულმა კი ის იყო, სიცილი მოათავა და ვეებერთელა ნაჭერი პირისკენ წაიღო, სამზარეულოს კარი ფართოდ გაიღო და ჯობ ტროტერი შემოვიდა.

ჩვენ მოგახსენეთ, მკითხველო, რომ ჯობ ტროტერი შემოვიდა, მაგრამ ეს გამოთქმა არცთუ სრულად შეესატყვისება ჩვენ მიერ დადგენილ წესს, მუდამ ზუსტად მივდიოთ ფაქტებს. მას მართლაც სურდა შემოსვლა და აპირებდა კიდეც ასე მოქცეულიყო, რომ უეცრად თვალი მოჰკრა მისტერ უელერს. თავისდა უნებურად ჯობმა ერთი-ორი ნაბიჯით უკან დაიხია და ამ მოულოდნელი სანახაობით შეძრწუნებული ზედ კარიბჭეზე გაშეშდა.

- აგერ მობრძანდა, - დაიძახა სემმა და მკვირცხლად წამოხტა, - სწორედ ახლა თქვენზე ვლაპარაკობდით! როგორა ბრძანდებით? სად ბრძანდებით? შინ შემობრძანდით, შინ.

ამ სიტყვებით მისტერ უელერი თუთისფერ საყელოში სწვდა სტუმარს, რომელიც მართალი გითხრათ, არც უწევდა წინააღმდეგობას, სამზარეულოში შემოათრია, კარი გადაუკეტა და გა-

საღები მისტერ მაზლს გადასცა. მისტერ მაზლმაც იგი არხეინად ჯიბეში ჩაიცურა და ჯიბე ღილზე შეიკრა.

- აი, სეირი! - წამოიძახა სემმა, - თუ ღმერთი გწამთ, წარმოიდგინეთ ახლა, იქ, მაღლა როგორ აღტაცებით შეხვდებოდა ჩემი ბატონი თქვენსას. მეც, მერწმუნეთ, სულით და გულით მიხარია, აქ რომ გხედავთ. როგორა ბრძანდებით? როგორ მიდის კოლონიური ვაჭრობა? ო, როგორ გამიხარდა თქვენი დანახვა. გეტყობათ, რომ თქვენც გიხარიათ. ლამის დაგახრჩოთ ამ სიხარულმა. პირდაპირ ვტკბებით თქვენი ყურებით, არა მისტერ მაზლ?

- ოღონდაც, - კვერი დაუკრა მისტერ მაზლმა.

- შეხეთ, შეხეთ, რა მხიარულადაა! - წამოიძახა სემმა.

- ეტყობა, საუცხოო გუნებაზეა, - დასძინა მაზლმა.

- მით უფრო სასიამოვნოა დღევანდელი შეხვედრა, რომ მასაც ესოდენ უხარია ჩვენი ნახვა, - თქვა სემმა, - დაბრძანდით, გეთაყვა, დაბრძანდით.

მისტერ ტროტერს ხმა არ ამოუღია, როდესაც სემმა იგი ცეცხლის პირას სკამზე დაანარცხა, მხოლოდ წვრილი თვალებით ჯერ მისტერ უელერს და მერე მისტერ მაზლს გადახედა.

- ახლა მისმინეთ, - დაიწყო კვლავ სემმა, - გინდ ცნობისმოყვარეობაში ჩამომართვით და გინდ არა, მაგრამ ამ ქალბატონების წინაშე მინდა შეგეკითხოთ: თვლით თუ არა თავს ისეთ თავაზიან და წესიერ ჯენტლმენად, რომელიც მუდამ გულის ჯიბეში პირისფერ ხელსახოცს ატარებს და ხელიდან ჰიმნების წიგნს არ იშორებს?

- რომელიც აპირებდა კიდეც მზარეულის შერთვას, - წამოიძახა გულმოსულმა მანდილოსანმა, - არამზადავ!

- რომელმაც სიტყვა მოგვცა, ცუდ ჩვევებს გადავეჩვევი და კოლონიური საქონლის სავაჭრო დუქანს გავხსნიო? - ჩაურთო მოახლემ.

- ახლა კი პირდაპირ მოგახსენებთ, ყმაწვილო, რის თქმაც მსურს, - ზეიმით წარმოთქვა მისტერ მაზლმა, რომელიც ორი უკანასკნელი არგუმენტის გაგონებაზე ბრაზით კინაღამ დაიხრჩო, - აი, ეს მანდილოსანი (მზარეულზე მიუთითა) ჩემთან მეგობრობს. როდესაც თქვენ ბრძანებთ, რომ მასთან ერთად კოლონიური საქონლის სავაჭრო დუქანს გავხსნიო, ამით პრიდაპირ მე მირტყამთ ყველაზე უფრო მგრძნობიარე ადგილში, რომელიც ერთმა კაცმა შეიძლება მეორეს დაუზიანოს.

აქ მისტერ მაზლი დადუმდა პასუხის მოლოდინში. უნდა გითხრათ, რომ მას საკუთარი მჭევრმეტყველობით დიდად მოჰქონდა თავი და ამ დიდ ხელოვნებაში ზუსტად ჰბაძავდა თავის უფროსს.

მაზლის ხატოვან სიტყვას ჯობ ტროტერმა არაფერი უპასუხა, ამიტომ პირველმა კვლავ დიდი ამბით განაგრძო:

- დარწმუნებული ვარ, სერ, რომ ამ რამდენიმე წუთის განმავლობაში თქვენ მაღლა არ დაგიძახებენ იმიტომ, რომ ჩემი უფროსი ახლა დიდადაა დაკავებული. ანგარიშს უსწორებს თქვენს ბატონს, სერ! ამიტომ, ვფიქრობ, რომ დროც ბევრი გაქვთ, რომ პირადად მომესაუბროთ. დიდხანს არ გაგაჩერებთ, სერ. გესმით თუ არა?

მისტერ მაზლი კვლავ დადუმდა პასუხის მოლოდინში, მაგრამ ამაოდ. მისტერ ტროტერმა კვლავ იმედი გაუცრუა.

- მაშ, თუ ასეა, - წარმოთქვა მისტერ მაზლმა, - რა გაეწყობა. ფრიად ვწუხვარ, რომ მანდილოსნების წინაშე მოგმართავთ, მაგრამ ეს საქმე ვერ მოიცდის და მათაც უნდა მომიტევონ. აგერ სამოახლო ცარიელია, სერ. მისტერ უელერი კი იზრუნებს, რომ

ყოველივე წესების მიხედვით ჩატარდეს და ორივე მხარე დაკმაყოფილებული დარჩეს.

მისტერ მაზლს ჯერ ლაპარაკი არ მოეთავებინა, რომ უკვე რამდენიმე ნაბიჯი სამოახლოს კარისაკენ გადადგა და გზადაგზა, დრო რომ არ დაეკარგა, პიჯაკის გახდას შეუდგა.

ყურში ჩაესმა თუ არა მზარეულს ამ თავგანწირული გამოწვევის ბოლო სიტყვები და თავისი თვალით დარწმუნდა თუ არა, რომ მისტერ მაზლი აღარ ხუმრობდა, კიდეც შეუდგა განზრახვის სისრულეში მოყვანას, გამყინავი კივილი მორთო. შემდეგ ეცა ჯობ ტროტერს, რომელიც სკამიდან წამოდგა. ბრტყელ სახეში ცემა და კაწრვა დაუწყო ისეთი ძალით, რომელსაც იჩენს ხოლმე ასეთ შემთხვევაში გააფთრებული დედაკაცი. არც ეს იკმარა. ორივე ხელით შავ ქოჩორში სწვდა და იმდენი თმა ამოგლიჯა, რამდენისგანაც ხუთი თუ ექვსი დუჟინი სამგლოვიარო ბეჭედი გამოვიდოდა. ჩაიდინა თუ არა ეს გმირული საქმე მთელი მგზნებარებით, რომელიც მისტერ მაზლისადმი ერთგულმა სიყვარულმა შთააგონა, ქალმა ბარბაცით უკან დაიხია და, რადგან მეტად ფაქიზი და სათუთი გრძნობის პატრონი გახლდათ, უმალვე გულწასული სამზარეულოს მაგიდის ქვეშ დაეცა.

ამ დროს ზარმა დარეკა.

- ეს თქვენ გეძახიან, ჯობ ტროტერ, - თქვა სემმა.

ვიდრე ჯობ ტროტერი პასუხის გაცემას ან შეპასუხებას მოასწრებდა, ან გულწასული ქალისაგან მიყენებული ჭრილობებიდან მოთქრიალე სისხლს შეიჩერებდა, სემი უკვე ერთ მკლავში სწვდა, მაზლი მეორეში და ორივემ მუჯლუგუნებითა და წიხლის კვრით იგი თვალის დახამხამებაში სასტუმრო ოთახში აარბენინეს.

შემოსულთ ჭეშმარიტად დიდებული სანახაობა წარმოუდგათ თვალწინ: ალფრედ ჯინგლი, ესკვაირი, იგივე კაპიტანი ფიც--

მარშალი კარის მახლობლად იდგა ქუდით ხელში და ისე მშვიდად იღიმებოდა, თითქოს ეს უსიამოვნო ამბავი მას სულაც არ ეხებოდა. მის პირდაპირ მისტერ პიკვიკი იდგა. ეტყობოდა, იგი არამზადას თავში უბეჭდავდა მაღალზნეობრივ დარიგებას, რადგან მარცხენა ხელი ფრაკის კალთის ქვეშ ამოედო, მარჯვენა კი ჰაერში გაეშვირა, როგორც ჩვეულებად ჰქონდა, როდესაც შთამაგონებელი სიტყვით მიმართავდა დიდ აუდიტორიას. მისგან ცოტა მოშორებით გამწყრალი სახით იდგა მისტერ ტაპმენი. იგი მზრუნველად ეჭირა ორ უმცროს მეგობარს. ოთახის შორეულ კუთხეში საშინლად აღელვებულნი, საკუთარი ღირსებით აღსავსე იერით პირქუშად იდგნენ მისტერ ნაპკინზი, მისის ნაპკინზი და მის ნაპკინზი.

- რა მიშლის ხელს, რომ ესენი დავაპატიმრო, როგორც არამზადები და თაღლითები? - წარმოთქვა ჭეშმარიტად მოსამართლის ღირსების შესაფერი კილოთი მისტერ ნაპკინზმა, როდესაც, ჯობი მოჰგვარეს, - მხოლოდ და მხოლოდ სულელური გულმოწყალება. ააბა, სხვა რა უნდა იყოს?

- ქედმაღლობა, მოხუცო, ქედმაღლობა, აი რა, - მშვიდად მიუგო ჯინგლმა, რომელსაც ეტყობოდა, რომ თავს ჩინებულად გრძნობდა, - ვერ დამიჭერთ... არ გამოგადგებათ... კაპიტანი ხელში ჩაიგდეთ, გეგონათ? ჰა, ჰა, ჰა! კეთილი და პატიოსანი! ქალიშვილისთვის კაი საქმრო, მახეშიც გაებით! ვაითუ, გახმაურდეს! სულელური მდგომარეობაა ფრიად!

- უბედურო, მე მძაგს თქვენი ბილწი ცილისწამება, - წარმოთქვა მისის ნაპკინზმა.

- მუდამ მძულდა ეგ კაცი, - დასძინა ჰენრიეტამ.

- ო, რა თქმა უნდა, - თქვა ჯინგლმა, - აყლაყუდა ყმაწვილი, ძველი თაყვანისმცემელი, სიდნი პორკენჰემი მდიდარი, საუცხოო ახალგაზრდა, მაგრამ არც ისე მდიდარი, როგორც კაპიტა-

ნი, არა? პპორკენჰემს ზურგი შეაქციეთ, კაპიტნისთვის სულს ლევდით, მისი ფასი არავინ გყავდათ. ყველა ქალიშვილი ჭკუაზე იშლებოდა, გიჟდებოდა, არა, ჯობ?

მისტერ ჯინგლმა გულიანად გადაიხარხარა და ჯობმაც სიამოვნებისაგან ხელები მოიფშვნიტა. ხელების მოფშვნეტას მოჰყვა ბგერა, რომელიც პირველად ამოუშვა მან პირიდან სახლში შემოსვლის შემდეგ. ეს იყო ჩუმი, ოდნავ გასაგონი ხითხითი, რომელიც თითქოს ისე სიამოვნებდა მის პატრონს, რომ მისი ბგერად გადაქცევაც კი ენანებოდა.

- მისტერ ნაპკინზ, - მიმართა მისის ნაპკინზმა, - ნამდვილად უხერხულია, რომ ამ ლაპარაკს მსახურები უსმენენ. ერთი უბრძანეთ, რომ გააძევონ აქედან ეს ვაჟბატონები.

- რა თქმა უნდა, ჩემო ძვირფასო, - მიუგო მისტერ ნაპკინზმა, - მაზლ!

- გისმენთ, თქვენო აღმატებულებავ!

- სადარბაზო შემოსასვლელი გააღებინეთ.

- მესმის, თქვენო აღმატებულებავ!

- გთხოვთ დატოვოთ ეს სახლი! - მიმართა ჯინგლს მასპინძელმა და ხელი მეტყველად გაიშვირა კარისაკენ.

ჯინგლმა გაიღიმა და დინჯი ნაბიჯით კარისაკენ გასწია.

- შესდექით! - წარმოთქვა უეცრად მისტერ პიკვიკმა.

ჯინგლი შედგა.

- სერ, მინდოდა უფრო მეტად მეძია შური ყველა იმ ოინისათვის, რაც თავზე დაგვატეხეთ თქვენ და თქვენმა ფარისეველმა მეგობარმა...

ამ სიტყვების გაგონებაზე ჯობ ტროტერმა ორატორს დიდი თავაზით დაუკრა თავი და მადლობის ნიშნად ხელი გულზე დაიდო.

- იმას მოგახსენებთ, რომ, - განაგრძო მისტერ პიკვიკმა და ბრაზისაგან ოდნავ სახე აელეწა, - იმას მოგახსენებთ, რომ ნამდვილად უფრო მეტად შემეძლო მეძია შური, მაგრამ, ამჟამად, იმითაც კმაყოფილი ვარ, რომ სააშკარაოზე გამოგიყვანეთ. ეს გახლდათ ჩემი წმინდა მოვალეობა მთელი საზოგადოების წინაშე, იმედია, ამ გულმოწყალებას არ დაივიწყებთ, სერ.

როდესაც მისტერ პიკვიკმა თავისი ღირსშესანიშნავი სიტყვის ამ პუნქტს მიაღწია, ჯობ ტროტერმა მოწიწებით ხელი ყურზე წამოიფარა. უთუოდ იმიტომ, რომ ორატორის ნათქვამიდან ერთი სიტყვაც არ გამორჩენოდა.

- მხოლოდ ერთს დავუმატებ კიდევ, სერ, - განაგრძო მისტერ პიკვიკმა, რომელმაც შენიშნა ჯობის ცუღლუტობა და ახლა კი ნამდვილად გაბრაზდა, - მე, თქვენ არამზადად... გაიძვერად გთვლით და... და... უსაძაგლეს ადამიანად, რომელიც კი ოდესმე შემხვედრია ან ოდესმე გამიგონია... გარდა... გარდა, აი, ამ ვითომდა ღვთისმოყვარე მაწანწალასი, თუთისფერი ლივრეა რომ აცვია.

- ჰა, ჰა, ჰა! - გაეცინა ჯინგლს, - ჩემმა მზემ, ჩინებული მოხუცია პიკვიკი, კაჟივითაა. კეთილი გულისაა, მაგრამ გაბრაზება არ გიხდებათ! მავნებელია ფრიად! ნახვამდის, ნახვამდის. გული არ გაიტეხოთ, კვლავ შევხვდებით სადმე. აბა, ჯობ, გასწი!

ამ სიტყვებით მისტერ ჯინგლმა ქუდი თავზე ჩამოიცვა, როგორც იცოდა ხოლმე, ოდნავ გვერდულად და გრძელ-გრძელი ნაბიჯებით ოთახიდან გავიდა. ჯობ ტროტერი ერთ წუთს შედგა. დამსწრეთ თვალი შეავლო და გაიღიმა, შემდეგ მედიდურად დაუკრა თავი მისტერ პიკვიკს და ისე ეშმაკურად ჩაუკრა თვალი მისტერ უელერს, რომ მისი თავხედური საქციელის გადმოცემა პირდაპირ ენით აუწერელია. როდესაც ზემოხსენებული ცერემონია შეასრულა, ისიც თავის მარჯვე ბატონს გაჰყვა.

- სემ, - წარმოთქვა მისტერ პიკვიკმა, როდესაც შენიშნა, რომ სემმა დააპირა უკან გაჰყოლოდა თავხედ მსახურს.

- გისმენთ, სერ.

- აქ დარჩით.

მისტერ უელერი თითქოს შეყოყმანდა.

- აქ დარჩით-მეთქი, - გაიმეორა მისტერ პიკვიკმა.

- კი, მაგრამ, ნუთუ არ უნდა გავაშალაშინო ეგ ჯობი იქ, ბაღში? - შეეკითხა პატრონს მისტერ უელერი.

- რა თქმა უნდა, არა, - მიუგო მისტერ პიკვიკმა.

- ნუთუ სულ წიხლის კვრით არ უნდა გავაგდო ეგ არამზადა ჭიშკრიდან, სერ?

- არავითარ შემთხვევაში, - მიუგო ბატონმა.

პირველად მოხდა ის, რომ რაც სემმა მისტერ პიკვიკთან სამსახური დაიწყო, სახეზე წუთით უკმაყოფილება დაეტყო. მაგრამ წამსვე პირიდან ღრუბელი გადაეყარა, როდესაც თავისი თვალით დაინახა, რომ ეშმაკი მაზლი, რომელიც სადარბაზო შემოსასვლელის კარს უკან იმალებოდა, ვითომდა შემთხვევით ისე მარჯვედ და დროულად გამოვარდა სამალავიდან, რომ მისტერ ჯინგლიცა და მისი მსახურიც ზედ კიბეზე დააგორა და პირდაპირ ალოეს გეჯებზე უკრა თავი.

- სერ, - მიმართა მისტერ პიკვიკმა მოსამართლეს, - რადგან ჩემი მოვალეობა შევასრულე, ახლა ნება მიბოძეთ, გამოგეთხოვოთ. ვიდრე მადლობას გადაგიხდიდეთ გულუხვი მასპინძლობისთვის, მინდა ყველას სახელით მოგახსენოთ, რომ ჩვენ არამც და არამც თქვენს მასპინძლობას არ მივიღებდით და არც კომპრომისზე დაგთანხმდებოდით, რომ ჭეშმარიტად ჩვენი მოვალეობის ღრმა შეგრძნება არ გვაიძულებდეს, ასე მოვქცეულიყავით. ხვალ ლონდონს მივემგზავრებით და მერწმუნეთ, რომ ეს საიდუმლო სამუდამოდ ჩვენ შორის დარჩება.

ასე თავაზიანად გამოხატა მისტერ პიკვიკმა გულისწყრომა დილას მომხდარი უსიამოვნო ინციდენტის გამო. შემდეგ მან მდაბლად დაუკრა თავი მანდილოსნებს და მიუხედავად იმისა, რომ ოჯახის ყოველი წევრი სათითაოდ ეხვეწებოდა „დარჩით, დარჩითო“, მეგობრების თანხლებით დინჯად გავიდა ოთახიდან.

- ქუდი დაიხურეთ, სემ! - უთხრა მან მსახურს.

- ქვევით დამრჩა, სერ, - მიუგო სემმა და დაბლა ჩაირბინა ქუდის მოსატანად.

მოხდა ისე, რომ სწორედ იმ დროს სამზარეულოში ლამაზი მოახლის მეტი არავინ დახვდა და, რადგან არც მისი ქუდი აღმოჩნდა თავის ადგილზე, სემი ძებნას შეუდგა, ხოლო მსახური ქალი მას გზას უნათებდა. ქუდის ძებნაში მთელი ოთახი გადაქექეს. ლამაზი მოახლე იმდენად გულმოდგინედ ეძებდა, რომ მუხლებზეც კი დაიჩოქა და კარებთან დაყრილი გროვის ყოველი ნივთი საგანგებოდ გადაქექა. თვით კუთხე ძნელად მისადგომი აღმოჩნდა, კაცი ვერაფრით მისწვდებოდა მას, კარს თუ არ მოხურავდა.

- აგერ, აქ არ ყოფილა?! - სთქვა ლამაზმა მოახლემ, - ეს არ არის?

- დამაცათ, შევხედო, - ხმა გასცა სემმა.

ლამაზმა მოახლემ სანთელი იატაკზე დადგა და, რადგან იგი ოდნავ ბჟუტავდა, სხვა გზა არ იყო, სემმაც დაიჩოქა, რომ კარგად შეემოწმებინა, მართლა მისი ქუდი იყო თუ არა. ორისთვის კუთხე მეტად ვიწრო აღმოჩნდა და ამიტომ არავის ბრალიც არ გახლდათ, მკითხველო, გარდა ისევ თვით აღმშენებლისა, რომ სემი და ლამაზი მოახლე თავისდა უნებურად მეტად ახლოს აღმოჩნდნენ ერთმანეთთან.

- დიახ, ეს არის, - სთქვა სემმა, - მაშ, მშვიდობით.

- მშვიდობით, - მიუგო ლამაზმა მოახლემ.

- მშვიდობით, - გაიმეორა სემმა და კვლავ ხელიდან გააგდო ქუდი, რომელიც დიდი წვალებით მონახა.

- რა ტლანქი ხართ, - წამოიძახა ლამაზმა მსახურმა, - თუ არ გაუფრთხილდებით, ისევ დაგეკარგებათ.

ეს საფრთხე რომ თავიდან აეცილებინა, მსახურმა თვითონ დაახურა ქუდი. ნამდვილი მიზეზი იმისა, თუ რატომ მოხდა ეს ამ-ბავი. იმიტომ, რომ ახლოდან მოახლის სახე უფრო მომხიბლავი ეჩვენა სემს და ქალ-ვაჟი სულ ახლოს აღმოჩნდა ერთმანეთთან. სემმა დრო იხელთა და ქალიშვილი გადაკოცნა.

- განგებ ხომ არ გააკეთეთ? - შეეკითხა ლამაზი მოახლე და ლოყები აეტკიცა.

- არა, განგებ არ გამიკეთებია, - მიუგო სემმა, - მაგრამ, აი ახ-ლა კი გავაკეთებ! - და კიდევ ჩაკოცნა.

- სემ, - გადმოსძახა მსახურს მისტერ პიკვიკმა კიბის თავიდან.

- მოვდივარ, სერ, - მიუგო მსახურმა და კიბეზე აირბინა.

- რა დიდხანს დარჩით ქვევით, სემ? - შენიშნა მსახურს მის-ტერ პიკვიკმა.

- კარს უკან რაღაც გაეჩხირა და ერთბაშად ვეღარ გამოვაღე, სერ, - აუხსნა სემმა.

ასე დამთავრდა მისტერ უელერის პირველი სიყვარულის პირველი ეპიზოდი.

თავი XXVI

ბერდლ-პიკვიკის საქმის მოკლე ანგარიში

როგორც კი მისტერ პიკვიკმა მოგზაურობის მთავარ მიზანს მიაღწია, ამხილა თავხედი ჯინგლი, დაუყოვნებლივ ლონდონს დაბრუნება გადაწყვიტა. უნდოდა ახლა მაინც დაწვრილებით გასცნობოდა იმ საქმეს, რომელიც მის არყოფნაში დოდსონმა და ფოგმა აღძრეს მის წინააღმდეგ. რაღა თქმა უნდა, რომ მიღებული გადაწყვეტილების განხორციელებას მისთვის ჩვეული ენერგიითა და სიმტკიცით შეუდგა.

წინა ორ თავში მოთხრობილი ღირსშესანიშნავი ამბების მეორე დილას, მან სამივე მეგობრისა და მისტერ უელერის თანხლებით დაიკავა უკანა ადგილი პირველსავე ეტლში, რომელიც იპსუიჩიდან ლონდონს მიემგზავრებოდა. იმავე საღამოს ყველანი მშვიდობით ჩამოვიდნენ დედაქალაქში.

ლონდონში მეგობრები ერთმანეთს დროებით დაშორდნენ. მისტერ ტაპმენი, მისტერ უინკლი და მისტერ სნოდგრასი თავ--თავიანთ სახლებში გაემგზავრნენ, რომ სათანადოდ მომზადებულიყვნენ მომავალი სტუმრობისათვის. მისტერ პიკვიკი და სემი მოეწყვნენ სასტუმრო „ჯორჯსა და ფასკუნჯში“, ლომბარდ--სტრიტში, რომელიც ქალაქის ძველებურ, მყუდრო უბანში მდებარეობს.

საღამოს მისტერ პიკვიკმა მადიანად ისადილა და პორტვეინის მეორე ჭიქაც გადაკრა. შემდეგ აბრეშუმის ხელსახოცი თავზე გადაიკრა, ფეხები ბუხრის რიკულზე შეაწყო და სავარძელში განცხრომით გადაწვა. ის იყო ფიქრებში გაეხვია, რომ ამ

დროს ოთახში მისტერ უელერი შემოვიდა ხურჯინით ხელში და პატივცემული პიკვიკიც ძილნარევი ოცნებიდან წამს გამოერკვა.

- სემ, - მიმართა მან მსახურს.

- გისმენთ, სერ, - ხმა გასცა მისტერ უელერმა.

- ახლა, სწორედ იმას ვფიქრობდი, სემ, - დაიწყო მისტერ პიკვიკმა, - რომ გოსუელ-სტრიტზე, მისის ბერდლის სახლში აუარეებელი რამ დამრჩა. ახლა მინდა, ვიდრე ქალაქიდან წავალ, ეს ნივთები როგორმე იქიდან წამოვიღო.

- კეთილი და პატიოსანი, სერ, - მიუგო სემ უელერმა.

- ჯერჯერობით ბარგი შეიძლება მისტერ ტაპმენთან გადავზიდოთ, - განაგრძო მისტერ პიკვიკმა, - მაგრამ ერთი რამ კია, სემ, აუცილებელი. ვიდრე იქიდან წამოიღებ, საჭიროა წინასწარ შეაგროვო და გადახედო ყველაფერს... ჰოდა, ეს მინდოდა მეთქვა, ერთი გოსუელ-სტრიტზე წადი და ყველაფერი მოაწესრიგე.

- ახლავე წავიდე, სერ? - შეეკითხა მისტერ უელერი.

- დიახ, ახლავე წადი, თუ ღმერთი გწამს, - მიუგო მისტერ პიკვიკმა, - მოიცა, სემ, - დაუმატა მან და ჯიბიდან ქისა ამოიღო, - მგონი ქირა დამრჩა გადასახდელი. ვადა მხოლოდ შობას გადის, მაგრამ სჯობს წინასწარ გადავიხადო. ერთხელ და სამუდამოდ მოვათავო ეგ საქმე... ჩემი იჯარაც ერთ თვეში მთავრდება, აგერ აქ წერია. ეს მისის ბერდლს გადაეცი და უთხარი, როცა კი თვითონ მოესურვება, ანგარიში გამისწოროს.

- კეთილი და პატიოსანი, - მიუგო მისტერ უელერმა, - კიდევ რას მიბრძანებთ, სერ?

- მეტს არაფერს, სემ.

მისტერ უელერი ნელა გატრიალდა, თითქო კიდევ რაღაც განკარგულებას მოელისო, აუჩქარებლივ გააღო კარი, აუჩქარებლივ გავიდა და ისევე აუჩქარებლივ მიხურა. დარჩა მხოლოდ ცეროდენა ნახვრეტი, როდესაც მისტერ პიკვიკმა გასძახა:

- სემ!

- გისმენთ, სერ! - მკვირცხლად მიუგო მისტერ უელერმა, იმწამსვე ოთახში შემობრუნდა და კარი მიიხურა.

- არაფერი მაქვს საწინააღმდეგო, სემ, თუ, სხვათა შორის, იმასაც გამიგებ, როგორაა ჩემ მიმართ განწყობილი მისის ბერდლი. იქნებ, შესაძლოა, ყოველივე გამოსწორდეს და ეს ბოროტი, ყოველგვარ საფუძველს მოკლებული საქმე, ჩემ წინააღმდეგ რომ აღძრეს, უკიდურესობამდე არ მიიყვანოს. არა, მე მხოლოდ გთხოვ, რომ სხვათა შორის ეგეც გამიგო, თუკი შენც არაფერი გექნება საწინააღმდეგო, სემ, - დაამატა მისტერ პიკვიკმა.

ნიშნად იმისა, რომ ყოველივე ჩინებულად გაიგო, სემმა თავი დაუკრა პატრონს და ოთახიდან გავიდა. მისტერ პიკვიკმა კვლავ გადაიკრა თავზე აბრეშუმის ცხვირსახოცი და ჩათვლიმა. ამასობაში კი მისტერ უელერი მისი დავალების შესასრულებლად გაემგზავრა.

ცხრა საათი სრულდებოდა, როდესაც მან გოსუელ-სტრიტზე გადაუხვია. მისის ბერდლის პატარა სასტუმრო ოთახში ოთხი თუ ხუთი სანთელი ბჟუტავდა. განათებულ ფარდაზე მოჩანდა ორიოდე ქუდის ჩრდილი, ეტყობოდა, დიასახლისს სტუმრები ჰყავდა.

მისტერ უელერმა კარზე მიაკაკუნა. კარგა ხანი გავიდა. მთელი ამ დროის განმავლობაში გარეთ მყოფი მხიარულ სიმღერას უსტვენდა, ხოლო შიგნით მყოფი, რომელიც კარის გასაღებად წამოვიდა, სანთელს ემუდარებოდა, „ნუ ჯიუტობ, აენთეო“. როგორც იქნა, კიბის საფენზე პატარა ფეხსაცმლის ბაკუნი გაისმა. კარი გაიღო და მის ჩარჩოში ახალგაზრდა მისტერ ბერდლი გამოჩნდა.

- შე ეშმაკის ფეხო, - ზრდილობიანად მიესალმა სემი, - დედაშენი როგორ ბრძანდება?

- რა უჭირს, კარგადაა, - უპასუხა მისტერ ბერდლმა, - მეც არა მიჭირს, ჩინებულად გახლავართ.

- ო, ეგ ხომ დიდი შეღავათია, რაღა მიჭირს, - თქვა სემმა, - ასე გადაეცი დედაშენს, რომ მასთან მოსალაპარაკებელი მაქვს, ჩემო ჭკუის კოლოფო.

ამგვარი სასიამოვნო ეპითეტებით წაქეზებულმა ბერდლმა სანთელი კიბის ქვედა საფეხურზე ჩამოდგა და დავალების შესასრულებლად სასტუმრო ოთახისკენ გაემართა.

ხსენებული ორი ქუდი, რომელთა ჩრდილი ფანჯრის ფარდაზე მოჩანდა, გახლდათ თავის სამკაული მისის ბერდლის ორი განუყრელი ნაცნობისა, რომელნიც კეთილ დიასახლისს ესტუმრნენ ტკბილი ჩაისა და ნოყიერი ვახშმის მისართმევად. ვახშმად ღორის მოხრაკული ფეხები და შემწვარი ყველი მოუტანეს. ყველი საამოდ შიშხინებდა და იბრაწებოდა პატარა ჰოლანდიურ ღუმელში, რომელიც ბუხრის წინ იდგა; ხოლო ორ რიგად ჩაწყობილი ღორის ფეხები განცხრომით განისვენებდენ სპილენძის პატარა ქვაბში, რომელიც დიასახლისს ბუხარზე შემოედგა.

მისის ბერდლი და მისი ორი სტუმარი საუცხოოდ გრძნობდნენ თავს. ბუხართან თბებოდნენ და ტკბილად მასლაათობდნენ ახალი ნაცნობებისა და მეგობრების შესახებ. სწორედ ამ დროს დაბრუნდა მისტერ ბერდლი და დედას მოახსენა ამბავი, რომელიც სამუელ უელერმა დააბარა.

- მისტერ პიკვიკის მსახური! - წამოიძახა მისის ბერდლმა და გაფითრდა.

- ღმერთო, შენ შემიწყალე! - ამღერდა მისის კლაპინზი.

- უიმე, ამას როგორ დავიჯერებდი, ჩემი ყურით რომ არ გამეგონა! - ბანი მისცა მეგობარს მისის სენტერზმა.

მისის ბერდლის მეგობრები გარეგნობით სულაც არ ჰგავდნენ ერთმანეთს. მისის კლაპინზი პაწია, ხმელი, ფუსფუსა ქალი იყო, ხოლო მისის სენტერზი - ჩასუქებული, ახმახი და ტლანქტი.

მოულოდნელი ამბის გაგონებაზე სამივე დაიბნა, რადგან არც ერთმა არ იცოდა ამ პირობებში, დოდსონისა და ფოგის თანხმობის გარეშე, შეიძლებოდა თუ არა რაიმე ურთიერთობის დამყარება მოწინააღმდეგე ბანაკის ერთ-ერთ წარმომადგენელთან. ამიტომ მისის ბერდლმა, ყოველი შემთხვევისათვის, სხვის დასანახად მაინც, საჭიროდ ცნო, ცოტა აღელვება გამოეჩინა. მეგობრების რჩევით მან სასტიკად დატუქსა ბიჭი იმისთვის, რატომ მაინცდამაინც მისტერ უელერი აღმოჩნდა კარს უკანაო. სათანადო დატუქსვის შემდეგ ტკბილმა მშობელმა პირმშოს ერთი მაგარი სილაც უთაქა და ბიჭიც შესაფერ ხმაზე ამღერდა.

- ხმა გაიწყვიტე... ხმა გაიწყვიტე-მეთქი, შე სასიკვდილე, - სისინებდა მისის ბერდლი.

- საცოდავ დედას გულს ნუღა უხეთქავ, - ეხვეწებოდა ბიჭს მისის სენტერზი.

- ტომი, შენ გარდა სხვაც ბევრი აქვს სადარდელი, - ემუდარებოდა მისის კლაპინზი.

- ო, ბედშავი, საცოდავი კრავი! - წამოიძახა მისის სენტერზმა.

ყური მოჰკრა თუ არა მისტერ ბერდლმა ამ გულშემატკივარ შეძახილს, უმალვე ყმუილს უმატა.

- ღმერთო ჩემო, რაღა ვქნა, რა წყალში ჩავვარდე? - შეეკითხა მისის ბერდლი მისის კლაპინზს.

- მე მგონი, თქვენ პირადად უნდა ინახულოთ ის მსახური, - უპასუხა მისის კლაპინზმა, - მაგრამ ამას კი გირჩევთ: არამც და არამც მოწმის გარეშე არ მიიღოთ!

- ვფიქრობ, რომ ორი მოწმე უფრო კანონიერიც იქნება, - დასძინა მისის სენტერზმა, რომელსაც ისევე, როგორც მისის კლაპინზს, ცნობისმოყვარეობისაგან სული ელეოდა.

- მაშ, ყველას ისა სჯობს, რომ აქ შემოვიდეს, - გადაწყვიტა მისის ბერდლმა.

- რაღა თქმა უნდა, - კვერი დაუკრა მისის კლაპინზმა, რომელსაც ჭკუაში დაუჯდა ეს აზრი, - შემოდით, ყმაწვილო... გეთაყვა, ჯერ ქუჩის კარი მიიხურეთ.

მისტერ უელერი იმწამსვე მიხვდა, თუ სად იყო ძაღლის თავი დამარხული. იგი სასტუმრო ოთახში შემოვიდა და დიასახლისს შემდეგნაირად გადასცა ბატონის დავალება:

- ვწუხვარ, ქალბატონო, თუ უხერხულ მდგომარეობაში ჩაგაყენეთ, როგორც მოახსენა ქურდმა ერთ მოხუც ქალს, რომელიც გახურებულ ღუმელში შეაგდო... უნდა მოგახსენოთ, რომ მე და ჩემი ბატონი ახლა ჩამოვედით. ამ მოკლე ხანში კვლავ მივემგზავრებით ქალაქიდან. ამიტომ, ქალბატონო, სხვა გზა არ არის, ისევ თქვენი შეწუხება დაგვჭირდა.

- ეს ყმაწვილი არაფერ შუაშია, მან რად უნდა აგოს პასუხი პატრონის დანაშაულისთვის, - წარმოთქვა მისის კლაპინზმა, რომელზედაც სემის გარეგნობამ და ბრძნულმა ლოგიკამ ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა.

- რა თქმა უნდა, - კვერი დაუკრა მისის სენტერზმა, რომელიც ხშირ-ხშირად თვალს გაჰკრავდა ხოლმე სპილენძის ქვაბს და გონებაში უკვე ითვლიდა, თუ ღორის რამდენი ფეხი შეხვდებოდა პირადად მას, იმ შემთხვევაში, თუ ვახშმად მისტერ უელერიც დარჩებოდა.

- ჩემი მოსვლის მიზეზიც შემდეგი გახლავთ, - განაგრძო სემმა, რომელმაც ვითომც ვერ შენიშნა, რომ საუბარში მანდილოსნები ჩაერივნენ, - ჯერ ერთი, ჩემი ბატონის გაფრთხილება წერი-

ლობით უნდა გადმოგცეთ. უნდა მოგახსენოთ ისიც, რომ მისტერ პიკვიკის ნივთები ერთად შეაგროვოთ და ჩვენს კაცს გადასცეთ. მეოთხე და უკანასკნელიც, ოთახი შეგიძლიათ გააქირაოთ, როცა კი მოისურვებთ. ეს არის და ეს.

- რაც უნდა მოხდეს, - წარმოთქვა მისის ბერდლმა, - მე წინათაც მითქვამს და ახლაც ვამბობ, რომ მისტერ პიკვიკი ყველაფერში ისე იქცეოდა, როგორც ეს ნამდვილ ჯენტლმენს შეჰფერის, ყველაფერში, გარდა... გარდა ერთი შემთხვევისა... ფულს მუდამ დროზე იხდიდა, მუდამ.

მოათავა თუ არა ლაპარაკი, ხელსახოცი თვალებზე მიიფარა და ქვითრის გამოსაწერად ოთახიდან გავიდა.

სემი მიხვდა, რომ დავალება შესრულებული იყო და პირადად მას დუმილის მეტი არა დარჩენოდა რა. ხმა გაკმინდა. მანდილოსნები უთუოდ მასლაათს მოჰყვებიან, - გაიფიქრა მან და ამიტომ უბრად გადახედა ჯერ სპილენძის ქვაბს, შემდეგ შებრაწულ ყველს, მერე კედელს, მერე ჭერს.

- საბრალო ქალი! - წარმოთქვა მისის კლაპინზმა.

- საცოდავი! - კვერი დაუკრა მისის სენტერზმა.

სემს ხმა არ ამოუღია, იგრძნო, რომ მანდილოსნები მეტად სახიფათო თემას შეეხნენ და უკვე იერიშზედაც გადმოვიდნენ.

- ახლაც გონს ვერ მოვსულვარ, - დაიწყო ისევ მისის კლაპინზმა, - გონს ვერ მოვსულვარ, რომ გამახსენდება. გაგონილა ასე მზაკვრულად ფიცის გატეხა? რა თქმა უნდა, ყმაწვილო, ისე არ მიიღოთ, თითქო მე მინდოდეს თქვენი უხერხულ მდგომარეობაში ჩაყენება, მაგრამ ერთ რამეს გეტყვით: თქვენი ბატონი ბებერი ძაღლია! ერთი აქ მომცა მისი თავი, პირდაპირ პირში მივახლიდი!

- ნეტავ, მართლაც პირში გეთქვათ, - მშვიდად წარმოთქვა სემმა.

- ხომ ხედავთ, რა საშინლად იმოქმედა თქვენი ბატონის ღალატმა ამ საცოდავზე, - განაგრძო მისის კლაპინზმა და ჰოლანდიურ ღუმელს გადახედა, - სულ ტირის, სულ ოხრავს, აღარაფერი ახარებს. რა ეშველებოდა საბრალოს, ჩვენ რომ არ ვყავდეთ. ისევ და ისევ მეგობრები მოვდივართ ხოლმე სანახავად, ძალიან გვეცოდება.

მისის კლაპინზმა კვლავ ჰოლანდიურ ღუმელს გადახედა.

- იმ ვაჟბატონის საქციელი პირდაპირ სამარცხვინოა, მხეცური, - კვერი დაუკრა მეგობარს მისის სენტერზმა.

- თქვენი ბატონი, ყმაწვილო, ხომ ფულიანი კაცია? ცოლის ხარჯს აინუნშიაც არ ჩააგდებდა, - კვლავ განაგრძო მისის კლაპინზმა, აშკარად ეტყობოდა, რომ საკუთარი მჭევრმეტყველებით თვითონვე ტკბებოდა, - ვითომ რაო, არ ეკადრებოდა ერთი ბოდიში მაინც მოეხადა თავისი უმსგავსი საქციელისთვის? ნეტავ, რა უშლის, რატომ არ ირთავს მისის ბერდლს.

- ო, მართლაც რატომ არ ირთავს მისის ბერდლს, „საკითხავი აი ეს არის“, როგორც ჰამლეტმა ბრძანა, - თქვა სემმა.

- დიახ, საკითხავია, აბა რა, - შეესიტყვა მისის კლაპინზი, - ამ საცოდავს ჩემი ხასიათი რომ ჰქონოდა, მართლაც წავიდოდა და ჰკითხავდა. ეჰ, ასეა თუ ისე, ჩვენთვის, საბრალო ქალებისთვის, კანონი და სამართალი არ არსებობს, არა და არა. რომ შეეძლოთ, სულ უღლის ქვეშ ვეყოლებოდით. მაგრამ არა უშავს, შენი ბატონიც, ყმაწვილო, მალე მიიღებს დამსახურებული სასჯელს.

ამ სანუგეშო ფიქრმა მისის კლაპინზი ოდნავ დაამშვიდა. მან ტკბილად გაუღიმა მისის სენტერზს, უკანასკნელმაც მეგობარს ღიმილითვე უპასუხა.

„ეტყობა, უკვე აღუძრავთ საქმე“, - გაიფიქრა სემმა.

ოთახში მისის ბერდლი შემოვიდა.

- აგერ ქვითარი, მისტერ უელერ, - თქვა მან, - აგერ ხურდაც ინებეთ... იმედია, ცოტა ღვინოსაც მიირთმევ, რომ არ შეგცივდეთ. რა თქმა უნდა, ძველი ნაცნობობის ნიშნად, მისტერ უელერ.

სემმა წინადადება აწონ-დაწონა და დარჩენის აშკარა უპირატესობა რომ დაინახა, უმალვე დათანხმდა. პატარა კარადიდან მისის ბერდლმა შავი ბოთლი და ღვინის ჭიქა გამოიღო. საცოდავი ისე დაბნეული იყო დარდისგან, რომ მისტერ უელერის ჭიქა შეავსო თუ არა, იმავე კარადიდან კიდევ სამი ჭიქა გამოიღო და ისინიც შეავსო.

- მისის ბერდლ, რას სჩადიხართ? - შესძახა მისის კლაპინზმა.

- მერედა, რა მოხდა, ეტყობა საუცხოო უნდა იყოს, - სიტყვა შეუბრუნა მისის სენტერზმა.

- ვაი, ჩემს უბედურ თავს! - წამოიძახა მისის ბერდლმა და თითქოს ოდნავ გაიღიმა.

სემი ყოველივეს მიხვდა და, რაღა თქმა უნდა, მაშინვე განაცხადა, რომ ვახშმის წინ უზმოზე წვეთ ღვინოსაც არ გეახლებით, თუ ჩემთან ერთად სადღეგრძელო მანდილოსნებმაც არ შესვესო. ამ განცხადებამ დიდი სიცილ-კისკისი გამოიწვია. ბბოლოს, ბევრი ხვეწნა-მუდარის შემდეგ, ისევ მისის სენტერზმა გაბედა და მხოლოდ იმიტომ, სტუმარს არ ვაწყენინოო, ოდნავ მოსვა თავისი ჭიქიდან. ამაზედ სემმა გადაჭრით ბრძანა: „ახლა ყველამ უნდა მოსვათ ცოტა მაინც“. სამივე მანდილოსანმა ოდნავ მოწრუპა ღვინო, მერე პაწია მისის კლაპინზმა სადღეგრძელო თქვა: „გაუმარჯოს ბერდლს და ძირს პიკვიკი“. შემდეგ ქალებმა სიყვარულის სადღეგრძელო მიირთვეს და მხიარულად აჭიკჭიკდნენ.

- უთუოდ გაიგებდით, მისტერ უელერ, რაც უნდა მოხდეს, - წარმოთქვა მისის კლაპინზმა.

- როგორ არა, ამ ამბავმა ჩემამდისაც მოაღწია, - მიუგო სემ-მა.

- ო, მისტერ უელერ, - წამოიძახა მისის ბერდლმა, - რომ იცო-დეთ, რა ძნელია, რა საშინელია, როცა საჯაროდ მიგათრევენ ასეთ საქმეზე მთელი ხალხის წინ. მაგრამ რას იზამ, სხვა გზა არ არის. ჩემმა ვექილებმაც, მისტერ დოდსონმა და მისტერ ფოგმაც ასე მირჩიეს. ისეთი საბუთი გვაქვს ხელში, რომ უეჭველად გავი-მარჯვებთო, მითხრეს. ასე რომ არ გამეკეთებინა, მისტერ უელერ, რა ვიცი, რა მეშველებოდა და ან რას ვიზამდი.

მარტო იმის ფიქრმაც კი, რომ ვაითუ, მისის ბერდლს წაეგო საქმე, ისე ცუდად იმოქმედა გულჩვილ მისის სენტერზე, რომ მან დაუყოვნებლივ შეავსო თავისი ჭიქა და თვალის დახამხამებაში დაცალა. „ასე დროზე რომ არ მომეფიქრებინა და ღვინო არ და-მელია, უთუოდ გული შემიწუხდებოდაო“, - განუცხადა მან მე-გობრებს შემდგომ, როდესაც ცოტა მოსულიერდა.

- როდის გაარჩევენ საქმეს? - ჰკითხა ქალებს სემმა.

- თებერვალში ან მარტში, - უპასუხა მისის ბერდლმა.

- მოწმე ხომ ბევრი გყავთ, არა? - შეეკითხა მისის სენტერზი.

- რაღა თქმა უნდა, - უპასუხა მასპინძლის ნაცვლად მისის კლაპინზმა.

- აბა, მაშინ უყურეთ მისტერ დოდსონისა და მისტერ ფოგის გაცოფებას, თუ მოსარჩელე ხელსაყრელ განაჩენს არ მიიღებს, - დაამატა მისის კლაპინზმა.

- რაღა თქმა უნდა, - კვერი დაუკრა მისის სენტერზმა.

- მაგრამ შეუძლებელია, რომ მათ მოსარჩელემ ასეთი განა-ჩენი არ მიიღოს, უეჭველად მიიღებს, - დასძინა მისის კლაპინ-ზმა.

- ღმერთმა ქნას, რომ ასე მოხდეს, - ამოიოხრა მისის ბერ-დლმა.

- ო, გენაცვალე, ეჭვიც არ შეგეპაროთ, - ანუგეშა მისის სენტერზმა.

- კეთილი და პატიოსანი, - დინჯად წარმოთქვა სემმა, ჭიქა მაგიდაზე დადგა და წამოდგა, - ერთ რამეს მოგახსენებთ მხოლოდ. თუ ასეა, სულით და გულით გისურვებთ გამარჯვებას.

- გმადლობთ, მისტერ უელერ, - მხურვალედ წარმოთქვა მისის ბერდლმა.

- და რაც შეეხება იმ თქვენს დოდსონსა და ფოგს, - განაგრძო მისტერ უელერმა, - და სხვა მათგვარ კეთილშობილ ვაჟბატონებს, რომელნიც თვითონ თავს არ იწუხებენ და მთელი დღე მდივნებს ამუშავებენ, რომ რაღაც წვრილმანი დავა გადაწყვიტონ მეზობლებსა და ნაცნობებს შორის, რა თქმა უნდა, ისეთი დავა, რომელიც კანონის ჩარევას მოითხოვს, - მათ შესახებ ერთ რამეს მოგახსენებთ, დეე, მათ ის ჯილდო მიიღონ, რომელსაც მე პირადად მათთვის არ დავიშურებდი.

- ო, მეც სწორედ ეგ მინდა, რომ მათ დამსახურებით მიიღონ ჯილდო, რომელსაც ყველა კეთილი და პატიოსანი ადამიანი გაიმეტებს მათთვის, - წამოიძახა მისის ბერდლმა, მანდილოსანი ძალიან კმაყოფილი დარჩა სემის განცხადების.

- ამინ! - უპასუხა სემმა, - ამგვარი საქმეებისგან გვარიანი შემოსავალიც აქვთ... ღამე ნებისა, ქალბატონო.

მისის სენტერზს გულზე მოეშვა. როგორც იქნა, მისტერ უელერს წასვლა ეღირსა ისე, რომ მასპინძელს კრინტიც არ დაუძრავს ღორის ფეხებსა და შემწვარი ყველის შესახებ.

ბევრი დრო არ გასულა, რომ ყმაწვილი ბერდლის დახმარებით მანდილოსნებმა დიდად სანატრელი ვახშამი მიირთვეს, თანაც ისე მადიანად შეექცნენ, რომ მგონი ძვლებიც კი არ გადარჩენიათ.

მისტერ უელერი პირდაპირ სასტუმრო „ჯორჯსა და ფასკუნჯში“ გაემგზავრა და თავის ბატონს სიტყვასიტყვით მოახსენა დოდსონისა და ფოგის გაიძვერობის შესახებ, რაც კი მისის ბერდლს და მის გულშემატკივარ მეგობრებს დასტყუა.

მისტერ პიკვიკმა მეორე დღესვე ინახულა მისტერ პერკერი, რომელმაც სემის ნათქვამის სიმართლე დაადასტურა.

მიუხედავად იმისა, რომ მომავალში დაპირებული „სიამოვნება“ არ ასცდებოდა და ორ-სამ თვეში, როგორც მისტერ პერკერმა შეატყობინა, ბერდლ-პიკვიკის საქმე საჯაროდ უნდა განეხილათ სახელმწიფო სასამართლოში, მისტერ პიკვიკი მაინც დიდი აღფრთოვანებით შეუდგა საშობაო სტუმრობისთვის მზადებას. თვით საქმის აღძვრა მისტერ პიკვიკს უსამართლოდ მიაჩნდა. ეს საქმე მის წინააღმდეგ აღძრული იყო ვითომდა იმ ზარალისთვის, რომელიც მისის ბერდლის გონებას მიაყენა მან, მისტერ პიკვიკმა, იმით, რომ უარი განაცხადა ქორწინებაზე. ყოველი უპირატესობა მოსარჩელეს მხარეზე იყო. მას არა მარტო სხვადასხვა გარემოება და პირობები უწყობდა ხელს, არამედ, რაც მთავარია, თვით დოდსონისა და ფოგის მრავალწლიანი გამოცდილება უზრუნველყოფდა მისის ბერდლის მომავალ გამარჯვებას.

თავი XXVII

სემუელ უელერი მიემგზავრება დორკინზს და ეცნობა დედინაცვალს

ორი დღეღა დარჩა იმ დრომდე, რომელიც პიკვიკელებს დათქმული ჰქონდათ დინგლი-დელში გასამგზავრებლად. მისტერ უელერი ადრიანი სადილის შემდეგ სასტუმრო „ჯორჯი და ფასკუნჯის“ უკანა ოთახში იჯდა და ღრმად ჩაფიქრებული მძიმე საგონებელს მისცემოდა. რა ქნას, ეს დარჩენილი დღეები როგორ გაატაროს, მით უფრო, რომ ამინდიც, თითქოს განგებ, საუცხოო იდგა. ამ ფიქრებში ათ წუთსაც არ გაუვლია, რომ უეცრად სემის გულში შვილურმა გრძნობამ იფეთქა. „უეჭველად მამა უნდა ვინახულო და დედინაცვლის წინაშეც ვალი მოვიხადო“, - გაუელვა თავში. ეს აზრი ისე დაუჯდა ჭკუაში, რომ საკუთარმა უყურადღებობამ გააოცა. ეს როგორ მოხდა, რატომ აქამდე არ გამახსენდა მშობელიო. ახლა გულწრფელად მოუნდა წარსული დაუდევრობის გამოსწორება. ამიტომ მაშინვე მისტერ პიკვიკს მიადგა და შვებულება სთხოვა ხსენებული სანაქებო განზრახვის შესასრულებლად

- რა თქმა უნდა, სემ, რა თქმა უნდა, - წარმოთქვა მისტერ პიკვიკმა, რომელსაც თვალები ნეტარებით აუციმციმდა, როდესაც მსახურის კეთილი განზრახვა გაიგონა, მის გულს აშკარად ეამა შვილური გრძნობის ამგვარი გამოვლენა.

მისტერ უელერმა მადლობის ნიშნად თავი დაუკრა.

- მართალი გითხრა, სემ, ძალიან მიხარია, რომ ასე კარგად გრძნობ შენს მოვალეობას მშობლის წინაშე, - თქვა მისტერ პიკ-ვიკმა.

- მუდამ ასეთი ვიყავი, - კვერი დაუკრა მისტერ უელერმა.

- ეს ჭეშმარიტად, ძალიან გონიერი აზრია, სემ, - კვლავ მოუწონა განზრახვა მისტერ პიკვიკმა.

- ძალიან, სერ, - მიუგო მისტერ უელერმა, - ოდესმე რამე რომ დამჭირდებოდა, მუდამ დიდი მოწიწებით, დიდი მორიდებით ვთხოვდი ხოლმე მამაჩემს. როცა უარს მომახლიდა, უთუოდ იმიტომ, რომ ეშინოდა ცუდი რამ არ ჩამედინა, სულაც არ მწყინ-და. ისე არხეინად ვიყავი, ვითომ არ მითხოვია-მეთქი. ასე ბევ-რჯერ გადამარჩინა ხლაფორთს, სერ.

- არა, სემ, მე სულ სხვა რამის თქმა მინდოდა, - წარმოთქვა მისტერ პიკვიკმა და ღიმილით თავი გააქნია.

- კარგ გრძნობასა და კეთილ განზრახვას დაფასება სჭირდე-ბა, სერ, როგორც ერთმა ჯენტლმენმა ბრძანა, როდესაც ცოლს გაექცა. ძალიან უბედური იყო მის ხელში, პირდაპირ შეიკლა კა-ცი, - განაგრძო მისტერ უელერმა.

- თავისუფალი ხარ, სემ, - უთხრა მას მისტერ პიკვიკმა.

- გმადლობთ, სერ, - უპასუხა მისტერ უელერმა და რაც შეეძ-ლო, თავაზიანად დაუკრა თავი. შემდეგ საუკეთესო ტანსაცმელ-ში გამოეწყო და დორკინზს გაემგზავრა.

სასტუმრო „მარკიზი გრანბიდან“, მისის უელერის დროს, გზის პირას მდებარე ყავახანების ჭეშმარიტად საუკეთესო ნი-მუშს წარმოადგენდა. შენობა საკმაოდ დიდი გახლდათ, რომ კაცს თავისუფლად ეგრძნო შიგ თავი. ამასთანავე, ზედმიწევნით მყუდრო და მშვიდი სამყოფელი იყო. მის გადაღმა მაღალი ბოძი იდგა წარწერით, რომელზედაც დახატული იყო უზარმაზარი, წი-თური მამაკაცის თავი და მხრები. კაცს წითელი სერთუკი ლურჯი

დანაკერებით ჰქონდა გაწყობილი, თავზე იმავე ფერის სამკუთხა ქუდი ეხურა, რომლის უკან ორიოდე დროშა მოჩანდა. სერთუკის ბოლო ღილის ქვეშ დახატული იყო სამი ზარბაზანი, თვით ეს ჯენტლმენი კი გახლდათ გრანბელი მარკიზის ჭეშმარიტი განსახიერება.

ყავახანის რაფაზე ნემსიწვერას ყვავილები და მაგარი სასმელების ძალზე ჩამტვერიანებული ფიალები მოჩანდა. გაღებული დარაბები აჭრელებული იყო ოქროსფერი წარწერებით, რომელნიც ქება-დიდებას ასხამდნენ სასტუმროს რბილ საწოლებსა და სუფთა ღვინოებს. სოფლელები და მეჯინიბეები, რომელნიც საჯინიბოებსა და ქვაფორის გარშემო დაბორიალებდნენ, თვალსაჩინოდ ხდიდნენ სასტუმროს ელისა და სხვა მაგარი სასმელების საუკეთესო ღირსებას.

როგორც კი საფოსტო ეტლი დორკინზს ჩამოდგა, სემ უელერი სასტუმროს წინ შეჩერდა და მოგზაურის გამოცდილი თვალით შენობასა და ხალხს დაუწყო თვალიერება, უნდოდა საკუთრივ დარწმუნებულიყო ხსენებული დაწესებულების კეთილდღეობაში. მალე შედეგით ძალიან კმაყოფილი დარჩა და პირდაპირ სახლში შევიდა.

- აბა, სწრაფად! - ყურთასმენის წამღები ხმით იკივლა ვიღაცა მანდილოსანმა, როგორც კი სემმა კარში შეჰყო თავი, - რა გნებავთ, ყმაწვილო?

სემმა უმალვე იქით მიიხედა, საიდანაც ხმა ისმოდა. იგი ეკუთვნოდა ჩასუქებულ, ეშხიან მანდილოსანს, რომელიც ბუხრის მარცხენა მხარეს, დახლის გადაღმა იჯდა და ცეცხლს უბერავდა, ჩაიდანი რომ აედუღებინა. მანდილოსანი მარტო არ იყო. ბუხრის მარჯვენა მხარეს, მაღალზურგიან სავარძელში სარგადაყლაპულივით იჯდა შავებში ჩაცმული შუახნის მამაკაცი.

სემის ყურადღება მაშინვე მამაკაცმა მიიპყრო.

უცნობის თხელ, მოგრძო სახეს წითელი გრძელი ცხვირი ამშვენებდა. შხამიან გველს მიუგავდა ვიწრო, პაწია თვალები, რომლებიც იყო ცოცხალი, ელვარე, მაგრამ აშკარად ბოროტი და უკეთური. მჭლე ფეხებზე ძალიან მოკლე შარვალი და შავი ბამბის წინდები ეცვა. აშკარად ჩანდა, რომ ტანსაცმელი თავით ფეხებამდე საკმაოდ გახუნებული და მოძველებული იყო. სამოსი თითქო გახამებული ჰქონდა, თეთრი ჰალსტუხი კი - არა. მისი რბილი, მოჩენჩილი ბოლოები უშნოდ დასთრევდა მჭიდროდ შეკრულ ჟილეტზე. იქვე, გვერდით, სკამზე ეწყო ტყავის გაქექილი ხელთათმანები, ფართოფარფლებიანი ქუდი და გახუნებული მწვანე ქოლგა, რომლის ბოლოს ვეშაპის ძვლის ჩხირები ამოჩრილიყო, თითქოს ხელის მოსაკიდად, რადგან ქოლგას სახელური არ ჰქონდა. წითელცხვირას ისე არხეინად მოეკალათებინა სავარძელში, რომ ეტყობოდა, წასვლას მაინცდამაინც არ ჩქარობდა.

გულწრფელად უნდა მოგახსენოთ, წითელცხვირას ასეთი აზრი რომ მოსვლოდა თავში, ნამდვილი სულელიც იქნებოდა, რადგან იშვიათად თუ ნახავდა ადამიანი სხვაგან ასეთ სასიამოვნო დიასახლისსა და მყუდრო, თბილ ადგილს. საბერვლით გამხნევებული ცეცხლი მხიარულად გიზგიზებდა ბუხარში და მისი მხურვალე ალერსით წაქეზებული ჩაიდანი უდარდელად შიშინებდა საამო სიმღერას, თითქოს უხაროდა, რომ სანატრელ მიზანს უახლოვდებოდა. მაგიდაზე იდგა პატარა სინი, რომელზედაც ჩაისათვის გაწყობილი ჭურჭელი ელაგა. ცეცხლის პირას ოდნავ შიშხინებდა ერბოში შებრაწული პური.

წითელცხვირა გართული იყო. პურის დიდ ნაჭრებს სპილენძის კავის საშუალებით ცეცხლზე აბრუნებდა, რომ უკეთ შებრაწულიყო. გვერდით ედგა ანანასის რომით სავსე ჭიქა, რომელსაც ორთქლი ასდიოდა. ჭიქაში ლიმონის პატარა ნაჭერი დაცუ-

რავდა. რამდენჯერაც წითელცხვირა პურის ნაჭერს თვალთან მიიტანდა, რომ ენახა კარგად შეიბრაწა თუ არაო, იმდენჯერ ერთ-ორ ყლუპს წყალნარევ რომსაც მოწრუპავდა და იმდენჯერ-ვე ჩასუქებულ მანდილოსანს გაუღიმებდა.

ამ სანახაობამ სემი ისე გაიტაცა, რომ ჩასუქებული მანდი-ლოსნის პირველი შეკითხვა უპასუხოდ დატოვა. ამიტომ შეკით-ხვა უფრო გამყინავი ხმით გამეორდა. მხოლოდ ახლა მიხვდა სემი თავის საქციელის უწესობას და ხმა ამოიღო.

- უფროსი სახლშია? - პასუხის ნაცვლად თვით შეეკითხა ქალს სემი.

- არა, შინ არ გახლავთ, - მიუგო მისის უელერმა. როგორც სემი მიხვდა, ჩასუქებული მანდილოსანი აღმოჩნდა აწ მშვიდო-ბით განსვენებული მისტერ კლარკის ყოფილი ქვრივი და ერთა-დერთი მემკვიდრე, ამჟამად კი მისის უელერი.

- ალბათ სამუშაოზეა წასული? - იკითხა სემმა.

- იქნებ არის და იქნებ არც არის, - უპასუხა მისის უელერმა და მიბრუნდა. იგი გულმოდგინედ შეუდგა კარაქის სქელი ფენების წასმას შებრაწულ პურზე, რომელიც წითელცხვირამ ტაფიდან გადმოიღო, - არ ვიცი, სად არის და კიდევ მეტიც, არც მინდა ვი-ცოდე... მისტერ სტიგინზ, გეთაყვა, ლოცვა წარმოთქვით.

წითელცხვირამ დიასახლისს სურვილი დაუყოვნებლივ აუს-რულა და მაშინვე შეუდგა ჭამას.

როგორც კი სემმა წითელცხვირას შეხედა, უმალვე ეჭვი დაებადა, ეს ის დიაკვანი ხომ არ არის, ჩემმა მშობელმა რომ მიხსენაო. მაგრამ როდესაც მან საკუთარი თვალით შენიშნა, თუ როგორ მადიანად ილუკმებოდა სტუმარი, მისი ვინაობის შესა-ხებ ყოველივე ეჭვი გაეფანტა. ისიც აშკარად შეამჩნია, რომ, თუ-კი სურდა დროებით მაინც მშობლის სახლში დარჩენა, სხვა გზა არ იყო, თავიდანვე მაგრად უნდა მოეკიდა ფეხი. ამიტომ პირდა-

პირ შეტევაზე გადავიდა. მშვიდად გამოაღო დახლის კარი და უდარდელი იერით ბუხარს მიუახლოვდა.

- დედა, დედიკო, - დაიწყო სემმა, - როგორ ბრძანდებით?

- ახლა კი მჯერა, რომ ნამდვილი უელერია, - თქვა მისის უელერმა. გერმა დედინაცვლის თვალებში მაინცდამაინც დიდი აღტაცება ვერ ამოიკითხა.

- მეც ასე მგონია, - მშვიდად მიუგო სემმა, - იმედი მაქვს, ეს პატივცემული ჯენტლმენი მომიტევებს, თუკი სრულიად გულწრფელად მოგახსენებთ, ქალბატონო, რომ უარს არ ვიტყოდი, თვით ის უელერი ვყოფილიყავ, რომელიც თქვენი ბატონ-პატრონი გახლავთ ამჟამად.

სემმა ერთდროულად ორლულიანი კომპლიმენტი ისროლა. ჯერ ერთი, ეს ნიშნავდა, რომ მისის უელერი ძალიან ეშხიანი მანდილოსანი იყო, და მეორეც, რომ მისტერ სტიგინზი მხოლოდ და მხოლოდ სულიერი მამის განსახიერებას წარმოადგენდა.

კომპლიმენტმა საუცხოო შთაბეჭდილება მოახდინა გამგონზე და სემმაც ეს უპირატესობა იმით განამტკიცა, რომ საჩქაროდ ემთხვია დედინაცვალს ხელზე.

- მომეშვით, თუ ღმერთი გწამთ, - ვითომ წყრომით წამოიძახა მისის უელერმა და გერს ოდნავ ხელი ჰკრა.

- გრცხვენოდეთ, ყმაწვილო, - დინჯად წარმოთქვა წითელცხვირამ.

- რისი უნდა მრცხვენოდეს? მე არავისთვის შეურაცხყოფა არ მიმიყენებია, - მიუგო სემმა, - მერწმუნეთ, გულშიაც არ გამივლია. თუმცა, სერ. თქვენ მართალი ბრძანდებით. რა გაეწყობა, როცა დედინაცვალი ახალგაზრდაა და ლამაზიცაა.

- ო, ეს ყოველივე ამაოებაა, - თქვა მისტერ სტიგინზმა.

- ჭეშმარიტად, - კვერი დაუკრა მისის უელერმა და არახჩინი კეკლუცად გაისწორა.

სემმა აშკარდა შენიშნა, რომ დიაკვანს მისი მოსვლა არაფრად იამა და, როდესაც პირველი კომპლიმენტის მოქმედების ძალა ოდნავ შენელდა, დედინაცვალსაც ცხადად შეატყო, რომ ისიც სულ ადვილად აიტანდა მასთან დაშორებას. დაუპატიჟებელმა გერმა ფეხი მაინც არ მოიცვალა და რადგან თვით მასპინძელი სტუმარს სახლიდან ვერ დაითხოვდა, სამივენი სუფრას შემოუსხდნენ.

- მამა როგორაა? - იკითხა სემმა.

ამ კითხვის გაგონებაზე მისის უელერმა გაშალა ხელები და ზეცას საცოდავად მიაპყრო თვალი, თითქო ქმრის გახსენებაც კი მას უსაზღვრო ტანჯვას ჰგვრიდა.

მისტერ სტიგინზმაც მძიმედ ამოიხვნეშა.

- ამ ჯენტლმენს რაღა დაემართა? - შეეკითხა სემი დედინაცვალს.

- მისტერ სტიგინზი პირდაპირ სირცხვილით იწვის, მამათქვენის საქციელი რომ ახსენდება.

- ნუთუ მართლა? რატომ? - გაოცდა სემი.

- ო, მიზეზი საკმარისი გააჩნია, - პირქუშად დასძინა მისის უელერმა.

მისტერ სტიგინზმა კვლავ შებრაწული პურის ახალი ნაჭერი გადაიღო და უფრო მძიმედ ამოიხვნეშა.

- საშინელი არამზადაა, - თქვა მისის უელერმა.

- უწყალო გულქვა! - კვერი დაუკრა მისტერ სტიგინზმა, მადიანად ჩაკბიჩა უზარმაზარი ლუკმა და კვლავ ამოიხვნეშა.

სემს ხელები აექავა. გულით მოუნდა, რომ მისტერ სტიგინზს ნამდვილად გასჩენოდა მიზეზი ამდენი ხვნეშისთვის, მაგრამ თავი შეიკავა და მშვიდად იკითხა.

- მერედა, რას სჩადის მოხუცი?

- მართლაც, რომ სჩადის! - წამოიძახა მისის უელერმა, - საშინელი გულქვაა... ყოველღამ ეგ ვაჟბატონი... წარბს ნუ შეიკრავთ, მისტერ სტიგინზ, გულწრფელად ვაღიარებ კიდევ და კიდევ, რომ თქვენ ალალ-მართალი კაცი ბრძანდებით... ყოველდღე აქ მობრძანდებით, საათობით უზიხართ იმ ვერანას, მაგრამ არ იქნა და არა, იმ ურჯულოს ვერაფერმა უშველა.

- უცნაურია, ჩემმა მზემ, - ხაზგასმით თქვა სემმა, - გარწმუნებთ, მამაჩემის ადგილას რომ ვყოფილიყავი, უთუოდ ჩემზე დიდ გავლენას მოახდენდა.

- საქმე ის არის, ჩემო მეგობარო, - დაიწყო მისტერ სტიგინზმა, - საოცრად გულცივი კაცია, გულქვა... ო, ჩემო კეთილო მეგობარო, ასეთი რომ არ იყოს, აბა, რომელი სულიერი გაუძლებდა თექვსმეტი მშვენიერი ასულის ხვეწნა-მუდარას, მათ ტკბილ შეგონებას. თექვსმეტივე ევედრებოდა, რომ ამ გულქვას ხელი მოეწერა ჩვენი კეთილშობილი საზოგადოების სესხზე... პატარა ზანგებისათვის ინდოეთში თივთიკის საცვალი და მორალური ცხვირსახოცები უნდა გაგვეგზავნა.

- ეს რაღას ნიშნავს, „მორალური ცხვირსახოცი“? - შეეკითხა სემი, - პირველად მესმის, რომ ტანსაცმლის ასეთი მოწყობილობა არსებობდეს.

- ეს ცხვირსახოცები გასართობებისა და რჩევა-დარიგებების ბრწყინვალე ნიმუშს წარმოადგენს, ჩემო ყმაწვილო, - მიუგო მისტერ სტიგინზმა, - ამ ცხვირსახოცებზე დაწერილია საუცხოო თავშესაქცევი ამბები, მორალური დარიგებებით სავსე.

- ჰო, ვიცი, ვიცი, - თქვა სემმა, -ააი, საცვლებით მოვაჭრე მაღაზიაში რომ უკიდიათ ხოლმე, არა? ზედ მთხოვნელების საჩივრები, თხოვნები და მისდაგვარები წერია.

მისტერ სტიგინზი უკვე მესამე ნაჭერს შეექცეოდა და, რადგან პირი გამოტენილი ჰქონდა, თანხმობის ნიშნად მხოლოდ თავი დაუქნია.

- თქვენ ბრძანეთ, რომ იმ კეკლუცმა ასულებმა ვერ დაარწმუნეს მამაჩემი, ვერა და ვერა, ჰა? - შეეკითხა კვლავ სემი.

- ის არამზადა არხეინად იჯდა, ჩიბუხს აბოლებდა ერთხანს, - მიუგო მისის უელერმა, - მერე, იცით, რა გვითხრა? „პაწია ზანგები... პაწია ზანგები“... როგორ თქვა, პაწია ზანგები რა არიანო? - მიუბრუნდა იგი მისტერ სტიგინზს.

- პატარა ტყუილის გუდები არიანო, - უპასუხა დიდი აღშფოთებით დიაკვანმა.

- ჰო, პირდაპირ ასე თქვა. პაწია ზანგები ტყუილის გუდები არიანო, - გაიმეორა მისის უელერმა და მოხუცის საშინელი საქციელის გახსენებაზე ორთავემ მძიმედ ამოიოხრა.

ვინ იცის, კიდევ ამგვარი უსამართლობისა და უწყალობის რამდენი ნიმუში გამომჟღავნდებოდა, მაგრამ... შებრაწული პური სულ შეიჭამა, ჩაიც გაცივდა და დაუპატიჟებელმა გერმა ფეხი მაინც არ მოიცვალა. მისტერ სტიგინზს უეცრად მოაგონდა, რომ მოძღვარს უნდა ვეახლო, ერთი გადაუდებელი საქმე აქვს და დაუყოვნებლივ უნდა მოველაპარაკოო.

თქმა და გამგზავრება ერთი იყო.

დიასახლისმა სუფრიდან ჩაის ჭურჭელი აალაგა, ბუხრის წინ იატაკი დაგავა და ტალანში გავიდა, რომ კარს მისტერ უელერ უფროსიც მოადგა. დახლში ფეხი შემოდგა თუ არა, თვალწინ ვაჟიშვილი წამოეჭიმა.

- ოჰ, სემი! - წამოიძახა მშობელმა.

- მოხუცს ვახლავარ! - მიესალმა შვილი.

მამა-შვილმა ერთმანეთს გულთბილად ჩამოართვა ხელი.

- ძალიან გამახარე, ჩემო სემი, - უთხრა უფროსმა უელერმა, - კაი გიქნია, რომ ბებრის სანახავად ჩამოსულხარ... ერთი საიდუმლო კი ამიხსენი, ეს შენი დედინაცვალი როგორ მოთოკე? მასწავლე, თუ ღმერთი გწამს, ამის წამალი.

- სუ, ჩუმად, მოხუცო! - გააფრთხილა სემმა, - გაიგონებს, სახლშია.

- ვერაფერს ვერ გაიგონებს, - მიუგო მისტერ უელერმა, - ჩაის შემდეგ მიჩვეულია, საწოლ ოთახში ადის და ერთი-ორი საათით წაიძინებს.

მისტერ უელერმა ორი ჭიქა კოქტეილი მოამზადა და საწრუპავი მილები ამოიღო. მამა-შვილი ერთმანეთის პირდაპირ დაჯდა ცეცხლის პირას, სემი მაღალზურგიან სავარძელში, უფროსი უელერი კი, ფართო საშინაო ტანსაცმელში გამოწყობილი, იქვე პატარა სკამზე ჩამოჯდა. ორივენი სათანადო სიდინჯით შეუდგნენ პატარა მილებით კოქტეილის წრუპვას.

ერთხანს სიჩუმე ჩამოვარდა.

- სემი, აქ არავინ იყო? - მშრალად შეეკითხა უფროსი უელერი ვაჟს.

სემმა მეტყველად დაუკრა თავი.

- წითელცხვირა? - შეეკითხა კვლავ მისტერ უელერი.

სემმა კვლავ თავი დაუკრა.

- ჩინებული კაცია, სემ, შენ რას იტყვი? - თქვა მისტერ უელერმა და მაგრად გააბოლა.

- ურიგო არ უნდა იყოს, - შენიშნა სემმა.

- ანგარიშში მაინც მეტად მარჯვე გახლავს, - თქვა მისტერ უელერმა.

- მართლა თუ? - გაუკვირდა სემს.

- ორშაბათს თვრამეტ პენსს ისესხებს, სამშაბათს მოდის და კიდევ ერთ შილინგს თხოულობს, უთუოდ თანხა რომ დაამრგვა-

ლოს ნახევარ კრონამდე. ოთხშაბათს, შენ ხარ ჩემი ბატონი, მოდის მეორე ნახევარი კრონის სასესხებლად, ისე რომ, საბოლოო ჯამში, ხუთი შილინგი გამოდის. ასე მოდის და მიდის, მოდის და მიდის და თვალის დახამხამებასაც ვერ მოასწრებ, რომ თანხა უკვე ხუთ გირვანქა სტერლინგს აღწევს. გეგონება, სემ, ნალის მისაჭედებელი ლურსმნების ანგარიშს იწერდეს დავთარში.

სემმა მამას თავის დაქნევით ანიშნა, რომ მასაც მოაგონდა ის ამბავი, რომელიც უწინ მისტერ უელერმა უხსენა.

- ასე რომ, მოხუცო, თივთიკის საცვალზე არამც და არამც ხელი არ მოაწერე, ჰა? - შეეკითხა სემი.

- არაფრის გულისთვის, - მიუგო მისტერ უელერმა, - აბა, მითხარი, შენი ჭირიმე, რაში გამოადგებათ თივთიკის საცვალი იმ სიცხე-პაპანაქებაში პაწაწკინტელა ზანგებს საზღვარგარეთ? გულწრფელად გეტყვი, სემი, - მისტერ უელერმა ხმას დაუწია და შვილისაკენ გადაიწია, - ნეტავ ერთი გემრიელად გამაროზგვინა მაგ საქმის მოთავე! სულ ხელები მექავება.

თქვა თუ არა, კვლავ წელში გასწორდა და პირმშოს ეშმაკურად თვალი ჩაუკრა, როგორ დაგიჯდა ჭკუაში ეს აზრიო.

- არა, მართლა, საოცარი არ არის, მაშ, რა არის, ცხვირსახოცები გაუგზავნო ისეთ ბალღებს, რომელთაც მისი გამოყენება არც კი იციან, - შენიშნა სემმა.

- სულ მუდამ ასეთ სისულელეს მოჩმახავს ხოლმე, - მიუგო მამამ, - ამას წინათ, ერთ კვირადღეს, გზაზე მოვდიოდი. უეცრად, ზედ ეკლესიის კართან, როგორ გგონია, ვინ დავინახე, ცისფერი მათლაფით ხელში. შენი დედინაცვალი!.. არ დაიჯერებ, სემ, და, მათლაფაზე უკვე ერთი თუ ორი სოვერენი ეგდო, სულ ნახევარ-პენსიანები. ეკლესიიდან გამოვიდოდა ვინმე თუ არა, მაშინვე მათლაფაში ფულს ჩაუჩხრიალებდა ხოლმე. იმდენი ჩაუყარეს,

რომ ასე მეგონა, სადაც არის, მათლაფა გასკდება-მეთქი. მერე და როგორ ფიქრობ, რისთვის მოეწყოთ მთელი ეგ თამაში?

- იქნებ ჩაის გასამართავად, - აღნიშნა სემმა.

- საქმე არა გაქვს! - მიუგო მამამ, - მოძღვარს წყალსადენის ვალი დასდებია თურმე, სემი! აი რისთვის, წყლის ფული უნდა გადაეხადათ.

- წყლის ფული უნდა გადაეხადათ? - გაოცდა სემი

- დიახ, - უპასუხა მისტერ უელერმა, - მთელი წლის გადასახადის სამი მეოთხედი ემართა თურმე და მოძღვარს ერთი კაპიკიც კი არ გადაუხდია იმიტომ, რომ წყალს მაინცდამაინც ხშირად არ გეახლებითო... უუ, ამგვარ ოინებში დიდად მარჯვეა, ძალიან ეშმაკია... ახლა, ბევრი რომ არ გავაგრძელო, დაუკეტეს წყალი. წაბრძანდა ეკლესიაში და ხელი მიჰყო ლოცვას. პირდაპირ წამებულ წმინდანად მოაჩვენა ყველას თავი. სულ ზეცას ევედრებოდა, ღმერთო, გული მოულბე იმ ცოდვილს, რომელმაც წყალი გადამიკეტაო... ამის თაობაზე დედაკაცებმა კრება მოიწვიეს და თავმჯდომარედ შენი დედინაცვალი დასვეს. ჩაიმღერეს ლოცვა და მეორე კვირისთვის ფულის შეგროვება დაადგინეს. დაიჯერებ? რაც მოაგროვეს, სულ მღვდელს გადასცეს. იმ ეშმაკმა იმდენი ფული გამოსტყუა, რაც მთელი სიცოცხლე ეყოფოდა წყლის გადასახადისთვის, - დაამატა ბოლოს მისტერ უელერმა.

ერთხანს უბრად იჯდა და ჩიბუხს აბოლებდა. მერე კვლავ განაგრძო.

- ყველაზე უარესი, რაც ამ დიაკვანს ჩვეულებად აქვს, ჩემო ბიჭუნა, ის არის, რომ მუდამ თავბრუს ახვევს ყმაწვილ ქალებს, დაილოცოს მათი პაწია, გულუბრყვილო გულები. მათ ჰგონიათ, რომ ამ დიაკვანს ბადალი არა ჰყავს, რადგან უკეთესი არ უნახავთ. მაგრამ მერწმუნე, სემუელ, სისულელეს ეწირებიან მსხვერპლად, სისულელეს!

- მართალი ბრძანდებით, - კვერი დაუკრა შვილმა.

- ყველაზე მეტად ისა მწყინს, - განაგრძო მისტერ უელერმა და პირქუშად გაიქნია თავი, - ისა მწყინს, ჩემო სემუელ, რომ ამოდენა დროს კარგავენ, შრომასა და ჯაფას, იმ კუპრივით შავი ბალღებისათვის, რომელნიც მათ არასოდეს გამოადგებათ და იოტისოდენა ყურადღებასაც არ აქცევენ ხორცისფერ ქრისტიანებს, რომელნიც მათ ნამდვილად დასჭირდებათ. მე რომ დამიჯერებდნენ, ამ დიაკვნებს მძიმე უღელში შევაბამდი და მთელ დღეს წინ და უკან ვარბენინებდი. მერწმუნე, კარგად უშველიდა. ამგვარ სისულელეებს ერთხელ და სამუდამოდ ამოვუგდებდი თავიდან.

ამ რბილი რეცეპტის თითოეულ წინადადებას მისტერ უელერი განსაკუთრებულ მახვილს უსვამდა, თანაც თავს მეტყველად აქიცინებდა და თვალებს აპაჭუნებდა. მერე სულმოუთქმელად გადაჰკრა მთელი ჭიქა და ჩვეული სიდინჯით ჩიბუხიდან ფერფლი დაბერტყა.

ამ საქმით გართულს ტალანიდან უეცრად გამყინავი ხმა მოესმა:

- ოჰ, შენი ძვირფასი ნათესავი მობრძანდება, სემი, - თქვა მისტერ უელერმა.

ოთახში, მართლაც, მისის უელერი შემოგოგდა.

- ო, კიდევ კარგი, მოსვლა გეღირსა, - შეუყვირა მან ქმარს.

- დიახ, ჭირიმე, - მიუგო მისტერ უელერმა და ახლა ჩიბუხის დატენას შეუდგა.

- მისტერ სტიგინზი დაბრუნდა? - იკითხა მისის უელერმა.

- არა, ჭირიმე, არ დაბრუნებულა, - მიუგო მისტერ უელერმა, საოცარი სისწრაფით მაშის მრგვალი თავით ნაკვერჩხალი აიღო და ჩიბუხს მოუკიდა, - თუკი სულაც არ მოვა, მერწმუნე, ჩემო ან-

გელოზო, არც ამით დაშავდება არაფერი. უიმისოდაც გავძლებ როგორმე.

- ფუი, გრცხვენოდეს, შე უბედურო! - წამოიძახა მისის უელერმა.

- გმადლობთ, საყვარელო, - უპასუხა მისტერ უელერმა.

- გეყოფა, მამა, - თქვა სემმა, - ამგვარი ალერსი უცხოს წინ რა საჭიროა... აგერ, ჩვენი პატივცემული ჯენტლმენიც მობრძანდება.

მისწვდა თუ არა მისის უელერის ყურს ეს ამბავი, მან უმალვე შეიმშრალა ცრემლები, რომელიც ძალისძალად გამოწურა თვალიდან. მისტერ უელერი კვლავ ბუხარს მიუჯდა პირმოღუშული.

დიასახლისს ბევრი ხვეწნა არ დასჭირვებია. მისტერ სტიგინზმა სიამოვნებით მიირთვა ცხელი რომი, მსუბუქი საუზმით შენაყრდა, რომელიც, ჩვეულებისამებრ, წინ უსწრებდა ვახშამს და უფროს უელერს მიუჯდა. უკანასკნელი, იხელთებდა დროს თუ არა, როდესაც საყვარელი მეუღლე მისკენ არ იყურებოდა, დიაკვნის თავზე მუშტებს ატრიალებდა და ამით უმჟღავნებდა შვილს, თუ მის დაჩაგრულ გულს რა გრძნობები სწვავდა. ეს პროცესი მის ვაჟიშვილს დიდ სიამოვნებასა და ნეტარებას ჰგვრიდა, მით უფრო, რომ მისტერ სტიგინზი არხეინად განაგრძობდა რომის წრუპვას და აზრადაც არ მოსდიოდა, მის გარშემო რა ვნებანი ბობოქრობდა.

საუბარი უმთავრესად მისის უელერმა და პატივცემულმა სტიგინზმა დაისაკუთრეს. მთავარი თემა, რაღა თქმა უნდა, შემდეგი გახლდათ: თუ რა დიდებული ადამიანია მოძღვარი, რა სათნო თვისებებით აღჭურვილი, რა ღირსეული მრევლი ჰყავს მას და რა დამნაშავე და ცოდვილნი არიან ის პირნი, რომელნიც ამ მრევლს არ ეკუთვნიან.

ამ საუბარში მისტერ უელერი ხშირად ვიღაც მისტერ უოკერის სახელსა და ათასგვარ შენიშვნას ჩაურთავდა ხოლმე.

ბოლოს, როდესაც მისტერ სტიგინზმა აშკარად შეატყო თავს, რომ რომი უკვე საკმარისად მიირთვა და მეტსაც ვეღარ მოერეოდა, საზოგადოებას გამოეთხოვა და სახლისკენ გასწია.

სემი მშობელმა საწოლ ოთახამდე მიაცილა. ღელვისგან მოხუცი წამდაუწუმ ხელებს ისრესდა. თითქოს უნდოდა შვილისთვის რაღაც გაენდო, მაგრამ ამ დროს მისკენ მომავალი მისის უელერი შენიშნა, სურვილი გულში ჩაიკლა და შვილს მხოლოდ მოკლე „ღამე ნებისა“ ესროლა.

მეორე დილას სემი ადრიანად წამოდგა, ნაჩქარევად ისაუზმა და ლონდონს დასაბრუნებლად გაემზადა. ის იყო, სახლიდან ფეხი გამოდგა, რომ მამას შეხვდა.

- მიდიხარ, სემი? - შეეკითხა მისტერ უელერი.

- ამწუთას მივემგზავრები, - მიუგო სემმა.

- იცი, რა მინდა გთხოვო, ერთი ის სტიგინზი მაგრად დაარეტიანე და თან წაათრიე, - მოულოდნელად წარმოთქვა მისტერ უელერმა.

- მამა, სირცხვილში ნუ ჩამაგდებ, - საყვედურით მიუგო სემმა, - შენც რაღას უშვებ ან ცხვირს რატომ აყოფინებ მაგ ლაწირაკს „მარკიზ გრამბში?“

მისტერ უელერი ერთხანს გამომცდელი თვალით ჩააკვირდა შვილს. შემდეგ უპასუხა:

- იმიტომ, რომ ცოლიანი კაცი ვარ, სემუელ, ცოლიანი კაცი. შენც რომ ცოლს მოიყვან, სემუელ, ბევრ რამეს მიხვდები ისეთს, რაც ახლა არ გესმის. მაგრამ შენ ეგა თქვი, „თუ ღირს ამდენის გადატანა მხოლოდ იმის გულისათვის, რომ ასე ცოტა რამ გაიგო“, როგორც თქვა ერთმა ღატაკმა ბიჭმა, როდესაც ანბანის

შესწავლა დაამთავრა. ეს უკვე გემოვნების საკითხია. მე კი მგონია, რომ არა ღირს.

- კეთილი და პატიოსანი, - კვერი დაუკრა სემმა, - ახლა კი ნახვამდის.

- მოიცა, სემი, - გააჩერა მისტერ უელერმა.

- ერთი რამ მინდა კიდევ გითხრათ, - დაუმატა სემმა და შეჩერდა, - მე რომ „მარკიზ გრამბის“ პატრონი ვიყო და ის ციგანი სტიგინზი ყოველ ცისმარე დღეს გულს მიწყალებდეს, ჩემს სახლში პურსა ბრაწავდეს, მე...

- რა შენ? - ვეღარ მოითმინა მისტერ უელერმა. მოხუცი ძალიან ღელავდა, - რა შენ?

- რომში საწამლავს გავურევდი უეჭველად, - მშვიდად მიუგო სემმა.

- ნუთუ მართლა, სემ? - წამოიძახა გახარებულმა უელერმა და მხურვალედ მოქაჩა შვილის ხელი, - ნუთუ მართლა ასე იზამდი?

- რაღა თქმა უნდა, - მიუგო სემმა, - თავიდან კი არ მოვსპობდი მთლად, ჯერ წყლით სავსე კასრში ჩავაყურყუმალავებდი და სახურავს დავაცობდი და თუ ჩემს სიკეთეს არ დააფასებდა სათანადოდ, მაშინ სხვა საშუალებას მივმართავდი.

უფროსმა უელერმა ენით აუწერელი აღტაცებით გადახედა შვილს, გრძნობამორეულმა კვლავ მხურვალედ ჩაბღუჯა მისი ხელი და დინჯად გაშორდა, გონებაში უკვე ათასნაირი ხერხები და საშუალება უტრიალებდა, რაც შვილის გონივრულმა რჩევამ შთააგონა.

სემს მშობლისთვის თვალი არ მოუშორებია, ვიდრე უკანასკნელ მოსახვევს არ მიეფარა. შემდეგ ნელი ნაბიჯით ლონდონის გზას გაუდგა. ერთხანს ერთი ფიქრი მოსვენებას არ აძლევდა. მიიღებს თუ არა მამამისი მის რჩევა-დარიგებას და, თუ მიიღებს, რა შედეგი მოჰყვება ამასო. მაგრამ დიდხანს არც ამით შეუწუხე-

ბია თავი, რადგან უეცრად ერთი სანუგეშო რამ მოაგონდა: „დრო, და მხოლოდ დრო, გვიჩვენებს ყოველივეს, წინდაწინ თავი რაზე ვიტეხო“.

ჩვენც იმავე აზრს ვიზიარებთ, პატივცემულო მკითხველო.

თავი XXVIII

მხიარული საშობაო თავი, რომელიც აგვიწერს ბედნიერ ქორწილსა და სხვა საახალწლო გასართობებს, რომლებიც, თავის მხრივ, ისეთსავე კარგ ჩვეულებებს წარმოადგენს, როგორიც ქორწილია. მაგრამ ჩვენს უკუღმართ დროში მათ წმინდად არ იცავენ

ამავე წელს, როდესაც წინა თავში მოხსენებული ამბები მოხდა, დეკემბრის ოცდაორს, დილით, პიკვიკელებმა კვლავ წინასწარ დათქმულ ადგილს მიაშურეს. ოთხივე ფუტკარივით სწრაფად მოფრინდა, თუმცა ვერ ვიტყვით, რომ ეს ფრენა ფერიების ლივლივსავით მსუბუქი ყოფილიყო.

სადაც იყო, შობა უნდა დამდგარიყო, ოდნავ ტლანქი, მაგრამ კეთილი, გულღია შობა. ეს გახლავთ სტუმარმასპინძლობის დრო, მხიარულებისა და ათასგვარი თავშესაქცევი გასართობების საამო ხანა, ძველი წელიწადი, ანტიკური დროის ფილოსოფიის მსგავსად, წასასვლელად ემზადება და უკანასკნელად უყრის თავს ძველს მეგობრებს, რომ დროს ტარებასა და ქეიფში ჩუმად განუტევოს სული.

დგებოდა სიცოცხლით სავსე, მხიარული დრო. ასეთივე მხიარული და სიცოცხლით სავსე იყო ოთხის გულიც იმ მრავალთაგან, რომელთაც შობის მოსვლა უხაროდათ.

მართლაც, იშვიათია ადამიანი, რომელსაც შობა გულს არ უხარებდეს და ბედნიერებას არ ჰგვრიდეს, თუნდაც მცირე ხნით მაინც. რამდენი ოჯახი, რომლის წევრები არსებობისათვის

ბრძოლაში შორს გაფანტულან დაუდეგარ ქვეყანაზე, კვლავ ერთიანდება ამ ხანში, კვლავ ერთმანეთს ხვდება იმ მეგობრობისა და ურთიერთისადმი იმ ნებაყოფლობითი ვალდებულების ძალით, რომელიც მუდმივად რჩება წმინდა და შეუბღალავი ნეტარების წყაროდ. იგი იმდენად განსხვავდება ყოველდღიური ზრუნვისა და დარდებისგან, რომ ზედმიწევნით ცივილიზებული ხალხის რელიგიური რწმენა და თვით ველურების უხეში ტრადიციებიც კი ამ გრძნობას მომავალი, იმქვეყნიური ცხოვრების უდიდეს ნეტარებად მიიჩნევენ, ნეტარებად, რომელიც მხოლოდ უმწიკვლო და ბედნიერი სულებისთვისაა განკუთვნილი. რამდენ ძველ მოგონებას, რამდენ მალულ გრძნობას კვლავ გამოაღვიძებს, კვლავ აღანთებს შობა.

ამჟამად, ამ სტრიქონებს რომ ვწერთ, მრავალი მილით დაშორებულნი ვართ იმ ადგილს, სადაც წლიდან წლამდე ვხვდებოდით ამ დღესასწაულს, ვხვდებოდით მხიარულ და ბედნიერ წრეში. ამჟამად უკვე ბევრმა გულმა, რომელიც იმ დროს ნეტარებით თრთოდა, ძგერა შეწყვიტა, მრავალ თავში, რომელიც იმ დროს ბედნიერებით ბრწყინავდა, სამუდამოდ გაქრა ელვარება, ხელები, რომელსაც ერთმანეთს ვართმევდით, გაცივდა. ყოველივე საფლავმა შთანთქა და მაინც, ძველი სახლი, ძველი ოთახი, მხიარული ხმები და მოღიმარი სახეები, ხუმრობა-სიცილი, მხიარულება და ყოველივე წვრილმანი, რაც იმ ბედნიერ შეხვედრასთანაა დაკავშირებული, კვლავ და კვლავ შემოესევა ხოლმე ადამიანს, როგორც კი ის დღე დადგება და ისე ნათლად, ისე ცოცხლად წარმოუდგება მის გონებას ეს შეხვედრა, თითქოს იგი მხოლოდ გუშინ ყოფილიყოს. ბედნიერი, ბედნიერი შობა, რომელიც ბავშვობის ტკბილ ილუზიებს გვიღვიძებს, რომელიც მრავალ მოხუცს წარსულ სიამოვნებას მოაგონებს, რომელიც

შორს გარიყულ მოგზაურსა და მეზღვაურს კვლავ თავისი ოჯახის მშვიდ კერას დაუბრუნებს.

მოგვიტევეთ, მკითხველო, რომ ესოდენ მხურვალედ გვიყვარს მოხუცი ბაბუა შობა, რომელიც, ჩვენ შორის დარჩეს, ძალიან წააგავს ძველი სკოლის პროვინციელ ჯენტლმენს. მისი კეთილი, გულღია ჩვევების მოგონებამ ისე გაგვიტაცა, რომ ამ ყინვაში ვაცდევინებთ მისტერ პიკვიკსა და მის მეგობრებს მაგლტონის ეტლის თავზე.

პიკვიკელებმა ზედა ადგილები დაიკავეს, თბილად გაეხვივნენ პალტოებში, პლედებსა და თივთიკის ყელსახვევებში შეიფუთნენ. სემ უელერი, რომელმაც ჩემოდნები და საკვოიაჟები მშვიდობით დააბინავა და ბოლოსთვის მხოლოდ უშველებელი ვირთევზა მოიტოვა, ახლა ეტლის მებადრაგესთან ერთად ცდილობდა ხსენებული ცხოველი კოფოს ქვემოთ დამაგრებულ სატვირთო ყუთში ჩაეტენა, მაგრამ ვირთევზა ჯიუტობდა და არამც და არამც არ ჩადიოდა. აქამდე იგი ყავისფერ კალათაში კოხტად მოკალათებული და ზემოდან საფენით გადახურული, მშვიდობიანად განისვენებდა რიგში ჩამწკრივებულ ექვსიოდე ნამდვილი ლოკოკინებით სავსე ქილაზე, რომლებიც პირადად მისტერ პიკვიკის საკუთრებას შეადგენდა.

ამჟამად ზემოხსენებული საუნჯის პატრონი, ძალზე დაინტერესებული ადევნებდა თვალს მისტერ უელერისა და მებადრაგის ამაო ცდებს. ხსენებული ჯენტლმენები არ ინდობდნენ საცოდავ ცხოველს. ხან თავით ტენიდნენ, ხან კუდით, მერე ზევიდან, მერე ქვევიდან, მერე სიგრძით, სიგანით, მაგრამ ამაოდ. გულქვა ვირთევზა მათ ყოველგვარ ხერხს ჯიუტად ეწინააღმდეგებოდა, ვიდრე გაბრაზებულმა მებადრაგემ, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, კალათს შიგ შუაგულში არ უთაქა მუშტი და უეცრად ვირთევზაცა და თვით მებადრაგეც თავიან-მხრებიანად ყუთის

ნახვრეტში გაქრა. ეეტყობა, უკანასკნელი არ მოელოდა, რომ წინააღმდეგობა ასე უეცრად შეწყდებოდა, ამიტომ მოულოდნელი ჯახისაგან თავისდა სავალალოდ, ხოლო ტვირთმზიდავებისა და გამვლელ-გამომვლელების გულის გასახარებლად, წონასწორობა დაკარგა. მისტერ პიკვიკს ეშმაკურად გაეღიმა. მან ჟილეტის ჯიბიდან შილინგი ამოიღო და შეეხვეწა ყუთიდან ამომძვრალ მებადრაგეს, გეთაყვა, ამ ფულით ცხელი ბრენდი მიირთვიო. გაეღიმა მებადრაგესაც, გაეღიმათ მისტერ სნოდგრასს, მისტერ უინკლსა და მისტერ ტაპმენს.

ხუთი წუთით მისტერ უელერი და მებადრაგე სადღაც გაქრნენ, იქნებ ბრენდის მისართმევად გასწიეს, რადგან, როგორც კი აღნიშნული დრო მიიწურა, ორივე კვლავ გამოჩნდა და თან მოჰქონდათ ხსენებული სასმლის სურნელება.

მეეტლე კოფოზე ავიდა, ხოლო მისტერ უელერი ეტლის უკანა საფეხურს შემოახტა. პიკვიკელები კიდევ უფრო მჭიდროდ გაეხვივნენ პალტოებსა და პლედებში, ცხვირები თივთიკის ყელსახვევებში ჩაჰყვეს, მეჯინიბეებმა ყაჯარს გამოსწიეს, მეეტლემ მხიარულად დასძახა: „ოლ რაიტო“ და პიკვიკელებმა დინგლი--დელისკენ გასწიეს.

ქუჩები გრიალით ჩაიარეს და ქალაქგარეთ გავიდნენ. მათრახით გამხნევებულმა ცხენებმა ჩორთით გასწიეს მოყინულ მიწაზე, თანაც ისე მსუბუქად მიქროდნენ, რომ გეგონებოდათ, ტვირთი, რომელსაც ისინი ეწეოდნენ, ეტლი, მოგზაურები, ჩემოდან-საკვოიაჟები, ვირთევზა, ლოკოკინით სავსე ქილები და სხვა მაგვარი საზიდი, ბუმბულივით მჩატე ყოფილიყოს. პატარა დაღმართი სწრაფად ჩაიარეს და ვაკეზე გავიდნენ, უკანასკნელი სიგრძით ორი მილი იქნებოდა, თან მარმარილოს ლოდივით გასიპული. ჰაერში კვლავ მათრახმა გაიტყლაშუნა და ცხენებიც ახლა ჩქარი ჩორთით გაქანდნენ. თანაც აქეთ-იქით თავებს ისე

აქიცინებდნენ და აკაზმულობას ისე აჩხარუნებდნენ, თითქოს სწრაფი სვლა მათაც უხაროდათ. ჩაიარეს დაღმართი თუ არა, მეეტლემ, რომელსაც ცალ ხელში მათრახი და სადავე ეჭირა, მეორით ქუდი მოიხადა, მუხლებზე დაიდო, ჯიბიდან ცხვირსახოცი ამოიღო და შუბლი გაიწმინდა. ეს იმიტომ ჩაიდინა, რომ, ერთი მხრივ, ასეთი ჩვეულება ჰქონდა, მეორეც - მგზავრებისთვის უნდოდა ეჩვენებინა, აბა, შემხედეთ, სულაც არ ვღელავ და ოთხი ცხენის გაძღოლა არცთუ ისე ძნელია, თუკი ეტლს ჩემსავით გამოცდილი მეეტლე მართავსო. როდესაც ეს გმირობა დინჯად შეასრულა (წინააღმდეგ შემთხვევაში საქმე მნიშვნელოვანი მატერიალური ზიანით დამთავრდებოდა), ცხვირსახოცი კვლავ ჯიბეში ჩაიდო, ქუდი დაიხურა, ხელთათმანები გაისწორა და კიდევ უფრო მეტი სისწრაფით გააქანა ეტლი მოლიპულ გზაზე.

გზის ორთავ მხარეს აქა-იქ სახლები გამოჩნდა, რაც იმის მომასწავებელი იყო, რომ რაღაც სოფელი ან ქალაქი იწყებოდა. სუსხიანი ჰაერი მებადრაგის დუდუკის მხიარულმა ხმებმა გაარღვია და ეტლში მჯდომი ჯენტლმენი გამოაღვიძა. მან ნახევრად გამოაღო ფანჯარა და წუთით ცხვირის წვერი გაჰყო გარეთ. შემდეგ სარკმელი კვლავ მაგრად შეიკეტა და მეზობელს გადაულაპარაკა, უთუოდ ცხენები უნდა გამოვიცვალოთო. ამის გაგონებაზე მეორესაც გაეღვიძა. ეტყობა, მან მტკიცედ გადაწყვიტა, ძილი იმ დრომდე გადაედო, ვიდრე ეტლი კვლავ გზას არ გაუდგებოდა.

მეორედ გაისმა დუდუკის მხიარული ხმა. ახლა მან პატარა, გზისპირა მდებარე კოტეჯის მცხოვრებლები გამოაღვიძა. ღია კარებში ბავშვებმა გამოიჭყიტეს და ეტლისთვის თვალი არ მოუშორებიათ, ვიდრე იგი მოსახვევში არ მიიმალა. შემდეგ გაჩაღებული ბუხრის პირას შეგროვდნენ და ცეცხლს ერთი-ორი ღერი შეშა შეუკეთეს, რომ მამის მოსვლამდე არ ჩამქრალიყო.

ამ დროს კი მათი მამა, სახლიდან ერთი მილის მოშორებით, გულთბილად ესალმებოდა მეეტლეს და კიდევ დიდხანს ადევნებდა ეტლს თვალს, რომ კარგად დაემახსოვრებინა ყოველი წვრილმანი.

დუდუკი კვლავ მხიარულ ჰანგზე ამღერდა, როდესაც ეტლი საოცარი სისწრაფით არახრახდა პროვინციული ქალაქის უშნოდ მოკირწყლულ ქუჩებზე. მეეტლემ სადავე ოდნავ მიუშვა და მის გადასაგდებად მოემზადა. მისტერ პიკვიკმა პალტოს საყელოდან თავი ამოყო და დიდი ცნობისმოყვარეობით მიმოიხედა. შეამჩნია თუ არა ეს მეეტლემ, მაშინვე მოგზაურს თავაზიანად მოახსენა ქალაქის სახელი და ისიც შეატყობინა, წინა დღით აქ დიდი ბაზრობა იყოო. ორივე ახალი ამბავი მისტერ პიკვიკმა თავის თანამგზავრებს გაუზიარა. ახლა დანარჩენებმაც ამოჰყვეს თავები პალტოს საყელოდან და აქეთ-იქით გაიხედ--გამოიხედეს. მისტერ უინკლი, რომელიც ზედ ნაპირზე იჯდა და მთელი გზა ცალი ფეხით ჰაერში ქანაობდა, კინაღამ თავდაყირა გადმოვიდა ქუჩაში, როდესაც მოულოდნელად რძის ნაწარმით მოვაჭრე დუქანთან ეტლი ერთბაშად მოტრიალდა და ბაზრისაკენ გადაუხვია. სანამ მისტერ სნოდგრასი, რომელიც მის გვერდით იჯდა, შიშისგან გონს მოვიდოდა, ეტლი უკვე სასტუმროს კართან შეჩერდა. აქ იცდიდნენ ახალი ცხენები ახალი ყაჯრებით. მეეტლემ სადავე გადააგდო და ძირს ჩამოვიდა. ჩამოვიდა ზოგიერთი მგზავრიც, რომელთაც ზედა ადგილი ეჭირათ. ეტლში დარჩნენ მხოლოდ ისინი, ვინც შიგნით ისხდნენ ან ისინი, ვინც ზედა ადგილებიდან ძირს ჩამოსვლას ვერ ბედავდნენ, რადგან დარწმუნებულნი არ იყვნენ, შეძლებდნენ თუ არა სხვის დაუხმარებლივ კვლავ მაღლა აცოცებას. სიცივისგან გათოშილი მგზავრები ფეხების ბაკუნს მოჰყვნენ ეტლის სახურავზე, ცოტათი რომ მაინც შემთბარიყვნენ, თანაც მგლური თვალით შეჰყურებდნენ

ყავახანაში გაჩაღებულ ცეცხლს და ფითრით დახუნძლულ ხის ტოტებს, რომელიც ფანჯრებს ამშვენებდა.

მებადრაგემ პატარა ქისიდან, რომელიც მხარზე ჰქონდა გადაკიდებული, მუყაოს ამანათი ამოიღო და იქვე, ხორბლეულით მოვაჭრე მაღაზიაში შეიტანა; შემდეგ ყურადღება მიაქცია, რომ კარგად შეებათ ცხენები. ლონდონიდან ჩამოტანილი უნაგირი, რომელსაც ეტლის სახურავზე ინახავდა, ქვაფენილზე გადმოისროლა და ისე, სხვათა შორის, ჩაერია სასტუმროს პატრონისა და მეეტლის ცხარე კამათში რუხი ფაშატის შესახებ, რომელსაც გასულ სამშაბათს წინა ფეხი უტკენია. მალე მებადრაგე და მისტერ უელერი ისევ თავიანთ ადგილებზე მოეწყვნენ, მეეტლე კოფოზე შესკუპდა. მოხუცმა ჯენტლმენმა, რომელიც ეტლის სიღრმეში იჯდა და ფანჯარა ჩამოშვებული ჰქონდა, ისევ ასწია იგი. ცხენებს ყაჯარი მოხსნეს და ყველაფერი მზად იყო, რომ დაძრულიყვნენ, როდესაც უეცრად მეეტლემ „ორი მსუქანი ჯენტლმენი“ მოიკითხა, რომლებიც სადღაც გადაკარგულიყვნენ. ამის გაგონებაზე მებადრაგემ და სემ უელერმა, მისტერ უინკლმა და მისტერ სნოდგრასმა, ყველა მეჯინიბემ და ყველა უსაქმურმა, რომელთა რიცხვიც ბევრად აღემატებოდა ყველა ზემოთ ჩამოთვლილ პირებს ერთად აღებულს, ყველამ ერთად, რაც ძალი და ღონე შესწევდათ, ერთხმად დაიძახეს დაკარგული ჯენტლმენების სახელები. პასუხი ეზოს შორეული კუნჭულიდან მოისმა და უმალვე გამოჩნდა მისტერ პიკვიკი ერთგული ტაპმენის თანხლებით. ორივენი სულ სირბილ-სირბილით მოქროდნენ და სულს ძლივს ითქვამდნენ, რადგან ის იყო თითო ჭიქა ელი მიურთმევიათ და თანაც მისტერ პიკვიკს ხელი ისე გაჰყინოდა, რომ მთელი ხუთი წუთის განმავლობაში ჯიბეში ფულის მოძებნას მოუნდა. მეეტლემ გააფრთხილა: აბა, სწრაფად შესხედით, ბატონებო, თორემ დაგვაგვიანდებაო. მებადრაგემაც გაიმეორა გაფრთხი-

ლება. მოხუც ჯენტლმენს, რომელიც ეტლში იჯდა, გაუელვა: რა ახირებაა მაინცდამაინც ეტლიდან ჩამოძვრე, როდესაც ამოსუნთქვის დროც არ არისო. პიკვიკელები ეტლს ეცნენ. ერთი მარცხნიდან ჩაებღაუჭა და მეორე მარჯვნიდან დაეკონწიალა. გავიდა რამდენიმე წუთი, აგერ გაისმა მისტერ უინკლის შეძახილი „ოლ რაიტ!“ და ეტლიც დაიძრა. კვლავ გაიშალა პლედები, თავები პალტოს საყელოში ჩაიმალა, გაქრა ქვაფენილი, გაქრნენ სახეები. ქარი შიგ სახეში უბერავდა მგზავრებს და სასმლით შეხურებულ გულებს უგრილებდა.

ამგვარად იმგზავრეს მისტერ პიკვიკმა და მისმა მეგობრებმა მაგლტონიდან სასტუმრო „ლურჯ ლომამდე“, რომელიც დინგლი-დელის მახლობლად მდებარეობს. ნაშუადღევის სამ საათზე ოთხივენი საღ-სალამათნი, ჯანმრთელები და მხიარულნი, აღნიშნული სასტუმროს კიბეზე გაჩნდნენ. ოთხივეს აშკარად ეტყობოდა, რომ გზაში ბრენდი და ელი არ დაუზოგავთ, საკმაოდ მიურთმევიათ, უთუოდ იმიტომ, რომ ვაჟკაცურად გამკლავებოდნენ ყინვას, რომელსაც რკინის კლანჭებში ჩაეჭირა დედამიწა და ღობეებსა და ხეებზე ლამაზი სახეები ამოექარგა. მისტერ პიკვიკი გულმოდგინედ ითვლიდა ლოკოკინებით სავსე ქილებს და თანაც გამომცდელი თვალით აკვირდებოდა ვირთევზას გადმოტვირთვას. უეცრად იგრძნო, რომ ვიღაცამ პალტოს კიდეზე მოქაჩა. მობრუნდა თუ არა, დაინახა პიროვნება, რომელმაც, აქაოდა, ჯენტლმენის ყურადღება მივიქციოო, ესოდენ უცნაურ ხერხს მიმართა. ეს პიროვნება გახლდათ მისტერ უორდლის საყვარელი მსახური, რომელსაც ამ ალალმართალი თავგადასავლის მკითხველები იცნობენ ბოკვერას სახელით.

– ოჰ! – წამოიძახა მისტერ პიკვიკმა.

- ოჰ! - ბანი მისცა ბოკვერამ. ხმა ამოიღო თუ არა, ჯერ თევზს გადახედა, შემდეგ ლოკოკინების ქილებს გადაავლო თვალი და მხიარულად ჩაიხითხითა.

- პირდაპირ თურაშაულივით გამოიყურები, ყმაწვილო, - თქვა მისტერ პიკვიკმა.

- ბუხრის წინ ჩავთვლიმე, - განუცხადა ბოკვერამ, რომელსაც ცეცხლის პირას, სულ მცირე, ერთი საათი მაინც ეძინა და ახლა ლოყები ისე უღაჟღაჟებდა, როგორც ახალი საკვამური გავარვარდება ხოლმე ძლიერი ალისგან, - ბატონმა ურიკა გამოგიგზავნათ, სერ, ბარგის წასაღებად. შეკაზმული ცხენებიც უნდოდა გამოეგზავნა, მაგრამ მოაგონდა, რომ დღეს სუსხიანი დღე იყო და თქვენ უთუოდ ფეხით ინებებდით გამოსეირნებას.

- დიახ, დიახ, ძალიან კარგა მოქცეულა, - აჩქარებით მიუგო მისტერ პიკვიკმა, რომელსაც იმწამსვე მათი წარსული მგზავრობა გაახსენდა, - ნამდვილად გვირჩევნია ფეხით გასეირნება... აქეთ, სემ!

- გისმენთ, სერ, - მიუგო სემმა.

- ერთი მისტერ უორდლის მსახურს მოეხმარე ბარგი ურიკაში ჩააწყოს და მასვე გაჰყევი... ჩვენც ახლავე ფეხით წამოვალთ.

გასცა თუ არა ეს ბრძანება მისტერ პიკვიკმა, მეეტლეს საფასური გადაუხადა და სამივე მეგობრის თანხლებით დინგლი--დელისაკენ მიმავალ ბილიკს გაჰყვა. გზა ყანებზე გადიოდა, სავალიც საკმაო ჰქონდათ. ამიტომ პიკვიკელები მეინორის ფერმისკენ ჩქარი ნაბიჯით გაემართნენ.

მისტერ უელერი და ბოკვერა პირველად შეხვდნენ პირისპირ ერთმანეთს. სემი ერთხანს გაოცებით ჩააშტერდა ბოკვერას, მაგრამ ხმა არ ამოუღია, მერე მარდად შეუდგა ბარგის ჩალაგებას. ბოკვერა კი არხეინად იდგა იქვე გვერდით და სემის ფაცი-

ფუცს ისეთი თვალით შეჰყურებდა, თითქოს უკანასკნელი რაღაც მისთვის უჩვეულო რამეს სჩადიოდა.

- ყველაფერი ჩავაწყვე, - თქვა სემმა, როდესაც უკანასკნელი ჩემოდანი დააბინავა ურიკაში.

- დიახ, - მიუგო ბოკვერამ. ისიც ძალიან კმაყოფილი დარჩა, რომ საქმე ასე მალე მოთავდა, - ყველაფერი აქ არის.

- შე გაბერილო, შენა, - წამოიძახა სემმა, - დიდი უცნაური რამა ხარ, ჩემმა მზემ!

- გმადლობთ, - უპასუხა ბოკვერმა.

- გეტყობა საზრუნავი არ გაგჩენია ჯერა, ჰა? - შეეკითხა სემი.

- რამდენადაც ვიცი, არაფერი უნდა მქონდეს, - მიუგო ბოკვერამ.

- მე კი ვიფიქრე, ყმაწვილო, ალბათ ვინმე ქალმა გაგაბა მახეში და მაგრად გტანჯავს?

ბოკვერამ თავი გააქნია.

- არა? კარგია, - უთხრა სემმა, - ნეტავ, სმა თუ იცი?

- ჭამა მირჩევნია, - მიუგო ბოკვერამ.

- ო, ეგ ხომ ადვილად მოგვარდება, - თქვა სემმა, - მაგრამ შენ ვერ გამიგე. იცი, მე რისი თქმა მინდოდა? ხომ არ გინდა ამ გაყინულ გულზე, თითო ყლუპი რამ გადავკრათ... არ გვაწყენდა და კარგადაც შევთბებით... მაგრამ, აბა შენ გარშემო სულ ქონები გაკრავს და რა შეგაციებს. თუ ღმერთი გწამს, მითხარი, შეგცივებია ოდესმე?

- როგორ არა, ხანდახან მცივა, - მიუგო ბოკვერამ, - თითო ყლუპზედაც უარს არ ვიტყოდი, თუკი აქ კარგი სასმელი აქვთ.

- ო, მართლა? - წამოიძახა სემმა, - მაშ, წამოდი.

ყავახანას მიაშურეს. ბოკვერამ მთელი ჭიქა ისე დაცალა, რომ თვალიც არ დაუხამხამებია. ამ გმირულმა საქციელმა სემის თვალში ძალიან ასწია ბოკვერას ავტორიტეტი. მისტერ უელერ-

მაც იგივე საქმე მარდად შეასრულა და ორივენი ურიკაში ჩასხდნენ.

- შეგიძლია წაიყვანო ურიკა? - ჰკითხა ბოკვერამ.

- ოღონდაც რომ შემიძლია, - მიუგო სემმა.

- მაშ, დაიჭი, - თქვა ბოკვერამ, სადავე ხელში შეაჩეჩა და ვიწრო გზისკენ მიუთითა, - სულ პირდაპირ იარე და ზედ სახლს მიადგები.

ამ სიტყვებით ბოკვერამ ვირთევზას გვერდით მოიკალათა, ლოკოკინებით სავსე ერთი ქილა თავქვეშ ამოიდო ბალიშის მაგიერ და წამსვე საღათას ძილს მისცა თავი.

- კეთილი და პატიოსანი, - თქვა სემმა, - ასეთი მშვიდი, ასეთი გულგრილი ჯერ არაფერი მინახავს... ეი, გაიღვიძე, შე გომბეშო, შენა.

მაგრამ „გომბეშოს“ გაღვიძება არ იქნა და არა. სხვა გზა არ იყო, სემი ურიკაში წინ ჩაჯდა, ცხენი სადავით მოქაჩა და ურიკამაც რახრახით გასწია მეინორის ფერმისაკენ.

სოფლის მშრალმა, სუსხიანმა ჰაერმა და სწრაფმა სიარულმა პიკვიკელები გამოაცოცხლა და ძარღვებში გათოშილი სისხლი შეუხურა. სტუმრებს არ ადარდებდათ, ბილიკი ყინვისაგან სულ რომ გახევებულიყო, ისინი მხიარულად მიაბიჯებდნენ სარკესავით გასიპულ გზაზე. რუხი საღამო (ან უფრო სწორად რომ ვთქვათ, ფიქლისფერი) სწრაფად ახლოვდებოდა. პიკვიკელები წინასწარ ტკბებოდნენ იმ სიამითა და ნუგეშით, რომელიც გულუხვი მასპინძლის სახლში მოელოდათ. ასეთ საუცხოო საღამოს, თვით ხნიერი ჯენტლმენებიც, ნამდვილად არ იტყვიან უარს გაშლილ მინდორში პალტოები გაიხადონ და სავსე გულით ათურმას თამაშს შეუდგნენ. დარწმუნებული გახლავართ, რომ იმწუთს მისტერ ტაპმენს რომ ზურგი შეეთავაზებინა, მისტერ პიკვიკი დიდი სიამოვნებით დათანხმდებოდა მის წინადადებაზე.

სამწუხაროდ, მისტერ ტაპმენმა ასეთი შესაძლებლობა თავს არ იდო და მეგობრებიც, კვლავ ტკბილ საუბარში გართულნი, მხიარულად მიჰყვნენ ბილიკს. ორღობეში გადაუხვიეს თუ არა, ხმები შემოესმათ და ვიდრე მოისაზრებდნენ, ვის ეკუთვნოდა ეს ხმები, თვითონ იმ საზოგადოების შუაგულში შეიჭრნენ, რომელიც მათ სულითა და გულით მოელოდა. ეს ფაქტი მისტერ პიკვიკის დიადმა გონებამ მხოლოდ მაშინ აღმოაჩინა, როდესაც „ვაშას“ ხმამაღალი შეძახილი, რომელიც მისტერ უორდლს მოსწყდა პირიდან, მის ყურსაც მისწვდა. შეკრებილი საზოგადოება საკმაოდ მრავალრიცხოვანი იყო. უპირველეს ყოვლისა, თვით მისტერ უორდლი უნდა დავასახელოთ, უწინდელზე უფრო მხიარული, უფრო კეთილი (თუკი ეს შესაძლებელია), შემდეგ ბელა და მისი ერთგული ტრანდლი, ბოლოს ემილი და ათიოდე ყმაწვილი ქალი. ისინი ქორწილისთვის ჩამოვიდნენ, რომელიც მეორე დღისთვის იყო დანიშნული და, როგორც ასეთ მნიშვნელოვან შემთხვევებში სჩვევიათ ახალგაზრდებს, მათ მხიარულებას საზღვარი არ ჰქონდა. ქალიშვილები მხიარული კიჟინით და ეშმაკური ოინებით მინდვრებსა და ორღობეებს იკლებდნენ.

რაღა თქმა უნდა, რომ ასეთ პირობებში გაცნობის ცერემონია სულ მალე მოთავდა, ან უფრო სწორად რომ ვთქვათ, გაცნობა ჩატარდა ყოველგვარი ცერემონიის გარეშე. ორი წუთიც არ გასულა, რომ მისტერ პიკვიკი უკვე ყმაწვილ ქალებს ეხუმრებოდა, ისინი კი სიცილით გაიძახოდნენ, ვიდრე მისტერ პიკვიკი გვიყურებს, არამც და არამც ღობეზე არ გადავალთო. მაგრამ ვისაც ლამაზი კანჭები და კოხტა ტერფები ჰქონდა, არჩევდნენ ხუთ წუთს მაინც ღობის თავზე შეჩერებულიყვნენ, ვითომდა იმიტომ, რომ ძირს ჩასვლისა ეშინოდათ. გოგონები ისე თამამად და მოურიდებლად ექცეოდნენ პიკვიკის შესანიშნავი კლუბის დამაარსებელს, გეგონებოდათ, დიდი ხნის მეგობრები ყოფილიყ-

ვნენ. შემდეგი გარემოებაც უეჭველად უნდა აღვნიშნოთ. დახმარება, რომელიც მისტერ სნოდგრასმა გაუწია ემილი უორდლს ღობეზე გადასვლისას, ბევრად აღემატებოდა იმ საფრთხეს, რომელიც მშვენიერ ასულს მოელოდა ღობიდან გადმოვარდნის შემთხვევაში (ღობეზე მიდგმულ კიბეს სულ სამი საფეხური ჰქონდა). ერთ-ერთი სტუმარი, შავთვალა ყმაწვილი ქალი, რომელსაც კოხტა ფეხებზე ბეწვით მოვლებული, ლამაზყელიანი ფეხსაცმელები ეცვა, ზედ ღობის თავზე დასაკივლებლად მოემზადა, რომ ამ დროს მშველელად თავაზიანი უინკლი გამოუჩნდა. რაღა თქმა უნდა, მკითხველო, ყოველივე ზემოაღწერილი ადამიანის გულს სიამითა და ნეტარებით ავსებდა.

როდესაც ღობის დაბრკოლებანი რის ვაი-ვაგლახით გადალახეს და კვლავ გაშლილ მინდორს დაჰყვნენ, მისტერ უორდლმა მისტერ პიკვიკს მისცა წინადადება, წავიდეთ, ის სახლი და ავეჯი დავათვალიეროთ, სადაც ახალჯვარდაწერილებმა უნდა იცხოვრონ საშობაო დღესასწაულების შემდეგო. გაიგონეს თუ არა ეს სიტყვები ბელამ და ტრანდლმა, საშინლად გაწითლდნენ, ვგონებ, არანაკლებ, ვიდრე თვით ბოკვერა იყო შეღაჟღაჟებული, როდესაც ყავახანის ბუხართან თვლემდა.

შავთვალა ყმაწვილმა ქალმა, რომელსაც ბეწვშემოვლებული ლამაზყელიანი ფეხსაცმელები ეცვა, ემილის რაღაცა ჩასჩურჩულა და ეშმაკურად გადახედა მისტერ სნოდგრასს, რაზედაც ემილიმ უპასუხა, რა სულელი ხართო, მაგრამ რატომღაც ლოყები თურაშაულივით აეტკიცა. ამის დანახვაზე მისტერ სნოდგრასსაც, რომელიც, როგორც ეს ყოველ დიდბუნებოვან ადამიანს სჩვევია (იგი ხომ ზედმიწევნით მორიდებული ახალგაზრდა გახლდათ), სიწითლე საქოჩრემდე შეეპარა, გულში კი გაიფიქრა: ნეტავ, ის შავთვალა ქალი მისი ბეწვმოვლებული ფეხსაცმელე-

ბით, მისი ხუმრობა-ოხუნჯობით ახლა აქ კი არა, რომელიმე მეზობელ საგრაფოში იყოსო.

ახლა წარმოიდგინეთ, მკითხველო, რომ, თუ ეს საამო საზოგადოება, ესოდენ გულღია და მხიარული იყო გარეთ, ყანებსა და მინდვრებში, როგორ გულთბილად და ტკბილად მიიღებდა სტუმრებს სახლში, თვით მეინორის ფერმაში. მისტერ პიკვიკის დანახვაზე მსახურებიც კი სიამოვნებით იკრიჭებოდნენ, წითელლოყა ემამ, თითქოს მორიდებით და ამასთანავე თავხედური გამბედაობით, ისე მომხიბლავად გადახედა მისტერ ტაპმენს, რომ თვით ბონაპარტეს ქანდაკებაც კი, რომელიც იქვე ტალანში იდგა, უთუოდ მკლავებს გაშლიდა და გულში ჩაიკრავდა ცქრიალა ქალიშვილს.

მხცოვანი მოხუცი, ჩვეულებისამებრ, სავარძელში იჯდა დიდ სასტუმრო ოთახში. ძალიან უგუნებოდ გახლდათ, ამიტომ არაფერი ეყურებოდა. უგუნებობის მიზეზი არ იყო საიდუმლო: თვითონ ჩვეულებრივ სასეირნოდ არ დადიოდა და თუკი ვინმე მისი ოჯახის წევრებიდან ამგვარ თავხედობას ჩაიდენდა, მანდილოსანი მას საქვეყნოდ ოჯახის მოღალატედ გამოაცხადებდა. როგორც ჩვეულებრივ, ამ ჯურის მოხუცებს სჩვევიათ, სხვისაგან ისეთი მოქმედება სწყინდა, რის გაკეთებაც თვითონ, უძლურებისგან დავრდომილს, არც შეეძლო და არც სიამოვნებდა. ახლაც, ღმერთმა აკურთხოს მისი ნეტარი სული, სავარძელში სარგადაყლაპულივით გაჭიმულიყო და ცდილობდა თავის კეთილ სახეზე რაც შეიძლება მკაცრი იერი გადაეკრა. მაგრამ თვით სიმკაცრის ნიღაბშიც ნათლად გამოკრთოდა სიკეთისა და კეთილმოსურნეობის აშკარა ნიშნები.

- დედა, - მიმართა მას მისტერ უორდლმა, - აგერ მისტერ პიკვიკი, ხომ გახსოვს?

- ნუ წუხდები, - დინჯად მიუგო მოხუცმა, - ნურც მისტერ პიკ-ვიკს შეაწუხებ. აბა, ჩემისთანა ბებრუხანა რა მოსაგონებელია. აღარავის არაფრად ვუნდივარ და არც აღარავინ არაფრად მაგ-დებს... თუმც ესეც გასაგებია, - მოხუცმა თავი გაიქნია და აცახ-ცახებული ხელით სოსანისფერი აბრეშუმის კაბა გაისწორა.

- რას ბრძანებთ, ქალბატონო, - წარმოთქვა მისტერ პიკვიკმა, - თვით მე ნებას არ მოგცემთ, რომ ასე უგულოდ ხელი ჰკრათ ძველ მეგობარს, დაივიწყოთ იგი! გულწრფელად მოგახსენებთ, ახლა მხოლოდ იმისთვის გეახელით, რომ ძველებურად ვიმას-ლაათოთ და რობერიც ვითამაშოთ. გარდა ამისა, ნახეთ, ორ-მოცდარვა საათიც არ გაივლის, რომ ჩვენს ყმაწვილკაცობას თქვენ და მე ვასწავლით, როგორ ცეკვავენ მენუეტს, აბა!

მხცოვან მანდილოსანს თანდათან მოულბა გული, მაგრამ ციხესიმაგრის ერთბაშად დანებება მაინც არ სურდა. ამიტომ უპასუხა:

- ოჰ, არაფერი მესმის.

- კაი, დედაჩემო, კმარა, - თქვა მისტერ უორდლმა, - ნუღა გვიწყრები. პიკვიკი ხომ დიდებული ადამიანია. ბელაც ნუ გავიწ-ყდება. პირიქით, საბრალო გოგონას ახლა უნდა გაუკეთო გუ-ლი.

ახლა კი მოხუცმა შვილის ნათქვამი აშკარად გაიგონა, რად-გან ქვედა ტუჩი აუკანკალდა. მაგრამ, როგორც თქვენც მოგეხ-სენებათ, მკითხველო, წლობით გამომუშავებული ხასიათი ადა-მიანს მუდამ თავისებურ დაღს ასვამს და ჩვენი მანდილოსანიც არ დანებდა, გაჯიუტდა. მან კვლავ გაისწორა სოსანისფერი აბ-რეშუმის კაბა და მისტერ პიკვიკს მიუბრუნდა.

- ო, მისტერ პიკვიკ, ახალგაზრდობა სულ სხვანაირი იყო ჩემი ქალიშვილობის დროს, - თითქოს დანანებით წარმოთქვა მან.

- ეჭვიც არ მეპარება, ქალბატონო, - მიუგო მისტერ პიკვიკმა, - სწორედ იმიტომ გამოვირჩევით თქვენ და მე ბევრთაგან, რომ ჩვენში ძველებური დროის ნაშთები მრავლად მოინახება.

ლაპარაკი რომ მოათავა, მისტერ პიკვიკმა ნაზად მიიზიდა თავისკენ ბელა, შუბლზე აკოცა და უბრძანა, ბებიას ფეხთით სკამზე ჩამომჯდარიყო.

ვინ იცის, რამ აუჩუყა მოხუცს გული, შვილიშვილის სანდომიანი სახის დანახვამ, რომელიც მას ალერსიანად შეჰყურებდა, თუ ბელას მიმართ მისტერ პიკვიკის კეთილმა მოქცევამ. ეს კია, მანდილოსანი სულ დადნა. ბელას კისერზე შემოეხვია და ბრაზი ცრემლების ნიაღვარმა წალეკა.

იმ საღამოს ყველა ბედნიერი იყო, ყველამ გულით მოილხინა. დარბაისელი მოხუცები რობერით იქცევდნენ თავს. მათ შორის ერია მხცოვანი მანდლოსანიც და მისტერ პიკვიკიც, ორივე ერთად იბრძოდა დანარჩენი ორი ჯენტლმენის წინააღმდეგ. მრგვალი მაგიდიდან ხომ დიდი სიცილ-კისკისი მოისმოდა. დიდხანს, დიდხანს, მას შემდეგ, რაც მანდილოსნები დასაძინებლად ავიდნენ, ანწლის ცხელ-ცხელი ღვინო, ბრენდითა და სურნელით შეზავებული, ბროლის ჭიქებში ლივლივებდა და სუფრას გარშემო უვლიდა. ამ საუცხოო სასმელმა ჩვენს სტუმრებს ძილიც გემრიელი მოჰგვარა და სიზმრებიც. უეჭველად აღნიშვნის ღირსია ის ფაქტი, რომ მისტერ სნოდგრასს ძილში სულ ემილი უორდლი ელანდებოდა, ხოლო მისტერ უინკლის სიზმრის გმირი ის ეშმაკურად მოღიმარი შავთვალა ქალიშვილი აღმოჩნდა, რომელსაც ბეწვმოვლებული ლამაზყელიანი ფეხსაცმელები ეცვა.

დილაადრიან მისტერ პიკვიკს ჟრიამულისა და ფეხების ბაკუნისგან გამოეღვიძა. ასეთი ხმაური თვით ბოკვერასაც გამოაფხიზლებდა საღათას ძილიდან. მისტერ პიკვიკი უმალვე საწოლზე წამოჯდა და ყური მიუგდო. მსახური ქალები და სტუმარი ქალიშ-

ვილები წინ და უკან დარბოდნენ. თანაც იმდენჯერ გაიძახოდნენ „არიქა, თბილი წყალიო“, იმდენჯერ გაჰკიოდნენ „არიქა, ნემსი და ძაფიო“, იმდენჯერ ემუდარებოდნენ ვიღაცას „მოდი, გენაცვალე, აქ შემიბნიეო“, რომ გულუბრყვილო პიკვიკს ნამძინარევზე ეგონა, უთუოდ რაღაც საშინელი რამ მოხდაო. მაგრამ კარგად რომ გამოფხიზლდა, უეცრად ქორწილი მოაგონდა. ვინაიდან ასეთი მოვლენა ადამიანთა ცხოვრებაში ფრიად მნიშვნელოვანი რამ არის, ჩვენი გმირიც საგულდაგულოდ მოირთო და სასადილო ოთახში ჩავიდა.

სტუმარ-მასპინძელს უკვე იქ მოეყარა თავი. მსახური ქალები საუკეთესო ხარისხის ახალთახალ სამოსში გამოწყობილიყვნენ. ალისფერი კაბები ჩაეცვათ და იმავე ფერის ქუდებზე თეთრი ბაფთები გაეკეთებინათ. შეუძლებელია ზუსტად აგიწეროთ, მკითხველო, როგორი აღელვებულნი და აფორიაქებულნი დარბოდნენ ისინი აქეთ-იქით, წინ და უკან, ზევით-ქვევით. მოხუცი მანდილოსანიც უკვე სადარბაზოდ მორთულიყო ფარჩის კაბაში, რომელიც უკვე ოცი წელია, მამაპაპურ ზანდუკში ინახებოდა და დღის სინათლეზე არ გამომზეურებულა, თუ არ ჩავთვლით ზოგიერთ უსაქმურ მზის სხივს, რომელიც ამ ხნის განმავლობაში ყუთის ნახვრეტებში იპარებოდა. მისტერ ტრანდლიც საუცხოო გუნებაზე იყო, მხოლოდ ოდნავ ღელავდა. თვით მასპინძელსაც კი, თუმცა თავს არ ზოგავდა, რომ მხიარულად მოეჩვენებინა თავი, არაფერი გამოსდიოდა. კეთილ სახეს ღელვისგან სულ ალმური ასდიოდა. ყველა სტუმარ ქალიშვილს, გარდა ერთი თუ ორისა, თეთრი აბრეშუმის კაბა და ცრემლები ამკობდა, მათგან მხოლოდ ერთსა თუ ორს ხვდა პატივი, პირადად ხლებოდა პატარძალს. სამივე პიკვიკელიც საზეიმოდ გამოწყობილიყო.

სახლის წინ ერთი ღრიანცელი იდგა. მამრობითი სქესის ყველა მსახურს, მოხუციდან დაწყებული, პატარა ბიჭით გათავებუ-

ლი, მოლზე მოეყარა თავი და რაც ძალი და ღონე ჰქონდათ, მხიარულად ხორხოცობდნენ. თითოეულს ღილ-კილოში თეთრი ბაფთა ეკეთა. დროდადრო მისტერ უელერის რჩევითა და მაგალითით გაბრწყინებულები ერთხმად კიჟინას დასცემდნენ ნეფე--პატარძლის პატივსაცემად. სემმა უკვე მოასწრო უცხო გულების მონადირება, სულ რამდენიმე საათში მისტერ უორდლის მსახურებს შორის სახელიც მოიხვეჭა და მათი სიყვარულიც დაიმსახურა. ახლა მეინორის ფერმაში ისე შინაურულად გრძნობდა თავს, თითქოს ამ მიწა-წყალზე ყოფილიყო დაბადებული.

ცნობილი ამბავია, რომ ქორწილის შესახებ ხუმრობა--ოხუნჯობა ყველას უყვარს, მაგრამ სინამდვილეში თვით ამ მოვლენაში სახუმარო და სასაცილო არაფერია. ამ შემთხვევაში ჩვენ თვითონ ჯვრისწერის ცერემონიას ვგულისხმობთ და არა ქორწინების შემდგომ ცხოვრებას, რომლის გაქირდვა და დაცინვა უვიც თავხედობად მიგვაჩნია. ასეთ რამეს, მკითხველო, ჩვენ არც დავუშვებთ არასოდეს. ამ ღირსშესანიშნავ მოვლენას თან ახლავს არა მარტო სიხარული და სიამოვნება, არამედ დიდი სინანულიც, რომელიც მშობლიური სახლ-კარის დატოვებით არის გამოწვეული, რომელსაც თან ახლავს ცრემლი დედ-მამისა და შვილის განშორების ჟამს და იმის შეგნება, რომ სამუდამოდ ეყრები შენი ბავშვობის უბედნიერესი დროის საყვარელ მეგობრებს, ეყრები იმისთვის, რომ პირისპირ შეხვდე ახალი ცხოვრების ზრუნვასა და დარდებს სრულიად უცხო ხალხს შორის, რომელთაც ჯერ არც იცნობ. რაღა თქმა უნდა, ასეთი გრძნობა სრულიად ბუნებრივია და ვინ გაბედავს მის დაცინვას? მაგრამ, მკითხველო, ახლა ჩვენ არ შევუდგებით იმის აღწერას, რადგან, მაშინ ეს საშობაო თავი მხიარულის ნაცვლად მეტად სევდიანი გამოგვივა.

მოკლედ რომ მოგახსენოთ, საქორწინო ცერემონია მოხუცმა მღვდელმა ჩაატარა დინგლი-დელის ეკლესიაში. მისტერ პიკვიკის ხელმოწერა საქორწინო დავთარში ახლაც ინახება ეკლესიის სალაროში. შავთვალა ქალიშვილის გვარი ძალიან გაურკვევლად მოჩანს; ნათლად ეტყობა, რომ აკანკალებული ხელითაა მოწერილი. იგივე საბუთი ცხადყოფს, რომ ყველაფერი საუცხოოდ ჩატარდა, რომ ყმაწვილი ქალები დარწმუნდნენ, რომ მთელი ეს ამბავი არც ისე თავზარდამცემი ყოფილა, როგორც მოელოდნენ. შავი თვალებისა და ეშმაკური ღიმილის პატრონმა საიდუმლოდ გაანდო მისტერ უინკლს, ასეთ საშინელ რამეზე ჩემს სიცოცხლეში არ დავთანხმდებიო, მაგრამ ჩვენ მტკიცე საბუთი გაგვაჩნია იმისა, რომ მას არამც და არამც არ დავუჯეროთ. ყოველივე ზემოთქმულს შეგვიძლია ისიც დავუმატოთ, რომ მისტერ პიკვიკმა პირველმა მიულოცა პატარძალს და კისერზე გადაჰკიდა ოქროს ძვირფასი საათი ოქროსავე ძეწკვით, რომლის მსგავსი ჯერ არც ერთ მოკვდავს თვალით არ უნახავს, თუ არ ჩავთვლით თვით ოქრომჭედელს. შემდეგ ამისა, ეკლესიის მამაპაპურმა ზარმა, რაც შეეძლო მხიარულად დასძახა და ყველანი სასაუზმოდ გაეშურნენ სახლისაკენ.

- ეგ ხორცის ხაბიზგინები სად მიგაქვს, შე ღორმუცელა? - შეეკითხა მისტერ უელერი ბოკვერას, როდესაც მან შთანთქმის ზემოხსენებული საგნები კოხტად ჩამოალაგა სინზე. წინა ღამით ისინი ბოკვერას სულ ერთმანეთში აერია.

ბოკვერამ გარკვევით მიუთითა ხაბიზგინების დანიშნულებაზე.

- კეთილი და პატიოსანი, - თქვა სემმა, - აგერ იმაში, ზევიდან რომ არის, ნაძვის ტოტი ჩაარჭვე... ახლა მესმის, რიგიანად გამოიყურება! ასე ერთმა მამამ ბრძანა, როდესაც საკუთარ პირ-

მშოს თავი მოჰკვეთა, რადგან ბიჭი სულ თვალს ბრეცდა და მამამაც გადაწყვიტა, იქნებ ამით მაინც გადავაჩვიოო.

წარმოთქვა თუ არა მან ეს დიდებული შედარება, ერთი-ორი ნაბიჯით უკან დაიხია და მომზადებულ პურმარილს კმაყოფილებით გადახედა.

- უორდლ, - მიმართა მასპინძელს მისტერ პიკვიკმა, როდესაც ყველანი მაგიდას შემოუსხდნენ, - ერთი ეგ თასი მომართვით ღვინით, გეთაყვა. არ შეიძლება ასეთი ბედნიერი შემთხვევის გამო თითო ჭიქა არ შევსვათ.

- დიდი სიამოვნებით, ჩემო ყმაწვილო, - უპასუხა უორდლმა, - ჯოუ, დასწყევლოს ღმერთმა, კიდევ არ ჩასძინებია?!

- არა, სერ, არა მძინავს, - უპასუხა ბოკვერამ ოთახის შორეული კუნჭულიდან, სადაც მადიანად შეექცეოდა საშობაო ხაბიზგინის უზარმაზარ ნაჭერს.

- ღვინო დაუსხი მისტერ პიკვიკს.

- ახლავე, სერ.

ბოკვერამ ბრძანება შეასრულა და თავის ბატონის სკამს უკან ამოუდგა. აქედან ნაღველნარევი სიხარულით ზვერავდა დანებისა და ჩანგლების ტრიალს და საუკეთესო ნაჭრების მოგზაურობას სინებიდან პირდაპირ სტუმრების პირში.

- ღმერთმა გადღეგრძელოს, მოხუცო! - წარმოთქვა მისტერ პიკვიკმა.

- თქვენც იმავეს გისურვებთ, ყმაწვილო, - მიუგო უორდლმა.

ორივემ გულთბილად ადღეგრძელეს ერთმანეთი.

- მისის უორდლ, - მიუბრუნდა მისტერ პიკვიკი მხცოვან მანდილოსანს, - ასეთი ბედნიერი შემთხვევის აღსანიშნავად ჩვენ, მოხუცებს, ერთად გვმართებს სადღეგრძელოს შესმა.

მოხუცი მანდილოსანი დიდ პატივში იყო. ფარჩის კაბაში გამოწყობილი მაგიდის თავში იჯდა, მარჯვნივ ახალჯვარდაწერი-

ლი შვილიშვილი უმშვენებდა მხარს, ხოლო მარცხნივ - მისტერ პიკვიკი. უკანასკნელი დიდი თავაზით ემსახურებოდა. ხან საჭმელს მიართმევდა, ხან ხორცს დაუჭრიდა, ხან ღვინოს დაუსხამდა.

მისტერ პიკვიკმა ზემოხსენებული წინადადება ხმადაბლა წარმოთქვა, მაგრამ დედაბერი მაშინვე მიუხვდა. მან ნეფე-დედოფალს დღეგრძელობა და ბედნიერი ცხოვრება უსურვა და სავსე ჭიქა გამოცალა. შემდეგ მოჰყვა და დაწვრილებით აუწერა მისტერ პიკვიკსა და სხვა სტუმრებს თავისი ქორწილის ამბავი, ბევრი იმსჯელა მაღალი ქუსლების მოდისა და სხვა ზოგიერთი წვრილმანების შესახებ, რომელიც აწ განსვენებული მშვენიერი ლედი ტოლიმ გლაუერის ცხოვრებასა და მის საინტერესო თავგადასავალს შეეხებოდა. მოხუც მანდილოსანს თავისივე ნაამბობზე გულიანად ეცინებოდა.

შვილიშვილებს გაუკვირდათ, ნეტავ ბებია ასე ხმამაღლა რაზე იცინისო და თვითონაც გულიანად გადაიკისკისეს. ამის დანახვაზე მოხუცს კიდევ უფრო გულიანად გაეცინა. კმაყოფილებით წარმოთქვა, ეს სახუმარო და თავშესაქცევი ამბავი ყველას მუდამ მოსწონდაო. ამაზე კიდევ უარესი სიცილ-ხარხარი ატყდა და მოხუციც საუცხოო გუნებაზე დადგა.

დაჭრეს საქორწინო ნამცხვარი. რაღა თქმა უნდა, თითოეულმა ყმაწვილმა ქალმა უჩუმრად გადაინახა თავისი წილი, რომ ღამით ბალიშის ქვეშ ამოედო. ყოველი მათგანი დარწმუნებული იყო და გულითაც სურდა, რომ მომავალი საბედო სწორედ ამ ღამეს დასიზმრებოდა. მამაკაცები ეშმაკობას მიუხვდნენ და ამის გამო ზოგი ყურებამდე გაწითლდა, ზოგმაც დაირცხვინა, მაგრამ მთლიანად საზოგადოება კიდევ უფრო გამხიარულდა.

- მისტერ მილერ, - მიმართა მისტერ პიკვიკმა თავის ძველ ნაცნობს, - თითო ჭიქა შევსვათ, სერ!

- დიდი სიამოვნებით მისტერ პიკვიკ, - დინჯად მიუგო გამჭრიახმა ჯენტლმენმა.

- თუ ნებას მომცემთ, მეც შემოგიერთდებით, - ტკბილად დასძინა მოხუცმა მღვდელმა.

- მეც, მეც მინდა, - ჩაერია საუბარში მისი მეუღლეც.

- მეც... მეც... - გაისმა მაგიდის ბოლოდან ღარიბი ნათესავების ხმა. მთელი საღამოს განმავლობაში მათ უარი არაფერზე უთქვამთ. გულით და სულით ჭამდნენ, სვამდნენ და მიზეზით, თუ უმიზეზოდ, ყველაფერზე იცინოდნენ.

ყოველ ახალი ხმის გაგონებაზე მისტერ პიკვიკი ნეტარებით იღიმებოდა და თვალებს სიხარულით ნაბავდა.

- ქალბატონებო და ბატონებო! - უეცრად წარმოთქვა მან და წამოდგა.

- მოუსმინეთ, მოუსმინეთ, მოუსმინეთ! - წამოიყვირა გულაჩუყებულმა სემმა.

- ყველა მსახურს აქ დამიძახეთ, - დაიგრიალა მისტერ უორდლმა, რითაც აშკარად გადაარჩინა სემი, რომელსაც წინააღმდეგ შემთხვევაში პატრონის წყრომა არ ასცდებოდა, - თითოეულს ჭიქა მიაწოდეთ, სადღეგრძელო უნდა შესვან... ახლა კი გისმენთ, პიკვიკ.

დადუმდნენ სტუმარ-მასპინძელნი, აჩურჩულდნენ მსახური ქალები, ადუდუნდნენ დაბნეული მსახური კაცები. სიჩუმისა და ხმაურის ჭიდილში გაისმა მისტერ პიკვიკის ხმა:

- ქალბატონებო და ბატონებო!.. არა, არ ვიტყვი, ქალბატონებო და ბატონებო-მეთქი. მე თქვენ გიწოდებთ მეგობრებს, ჩემს ძვირფას მეგობრებს, თუ, რაღა თქმა უნდა, თვით ქალბატონები კეთილი გულით მომიტევებენ ესოდენ დიდ სითამამეს.

აქ მისტერ პიკვიკს სიტყვა შეაწყვეტინეს. მანდილოსნებმა ტაშისცემა ატეხეს, რომელსაც მამაკაცებიც შეუერთდნენ. შავთვა-

ლა ქალიშვილმა ყველას გასაგონად წამოიძახა, ახლა მისტერ პიკვიკს სიამოვნებით ვაკოცებდიო. ამაზე მისტერ უინკლმა თავაზიანად უპასუხა, ნება მიბოძეთ შუამავლად მე დაგიდგეთო. თუ ღმერთი გწამთ, თავი გამანებეთო, მიუგო შავთვალამ და ისე მეტყველად გადმოხედა პიკვიკელს, თითქოს ეუბნებოდა: აბა, გაბედე და გამანებე, თუ ვაჟკაცი ხარო.

- ჩემო ძვირფასო მეგობრებო, - განაგრძო მისტერ პიკვიკმა, - მე მინდა ნეფე-პატარძალი ვადღეგრძელო. ღმერთმა გააბედნიეროს ორთავე (ტაში და ცრემლები)! ჩემი ახალგაზრდა მეგობარი, ჩემი ტრანდლი, შესანიშნავი, მამაცი ყმაწვილია. მისი მეუღლეც საუცხოო გოგონაა. იგი ღირსია იმისა, რომ ახლა სხვა სახლში და სხვა ხალხში გადაიტანოს ის დიდი ბედნიერება, რომელსაც ამ ოცი წლის განმავლობაში მამის სახლში აფრქვევდა.

ამ ადგილას ბოკვერა გულამოსკვნილი აღრიალდა. მისტერ უელერმა ზრდილობიანად მოჰკიდა მას საყელოში ხელი და ოთახიდან გააბრძანა.

- ვნანობ, მერწმუნეთ, გულით ვნანობ, - დაუმატა მისტერ პიკვიკმა, - ისეთი ახალგაზრდა რომ არ გახლავართ, რომ ამ მშვენიერი ასულის მეუღლედ გამოვმდგარიყავი (ტაში), მაგრამ უთუოდ იმითაც ბედნიერი ვიქნები, თუ მამად მაინც გამოვადგები. ახლა ვერავინ დამწამებს ცილს, თითქოს რაიმე ფარული განზრახვა მალაპარაკებდეს, როდესაც გულწრფელად ვაცხადებ, რომ ორივენი ძალიან მიყვარს, ორივეს ზედმიწევნით ვაფასებ (ტაში და სლუკუნი). პატარძლის მამა, ჩვენი გულუხვი მასპინძელი, უაღრესად კეთილშობილი პიროვნებაა. ჭეშმარიტად ვამაყობ, რომ მისი მეგობარი გახლავართ, რომ ასე ახლოს ვიცნობ მას (ხმამაღალი შეძახილები და ტაში). იგი თამამი, კეთილი, მოწყალე, გულუხვი ადამიანია (ყოველი ეპითეტის დამატებასთან ერთად მოისმის ღარიბი ნათესავების აღტაცებული შეძახი-

ლები, რომელნიც განსაკუთრებით ხმამაღალია, როდესაც მისტერ პიკვიკი ორ უკანასკნელ ეპითეტს უმატებს). დეე, მისმა მშვენიერმა ასულმა ნახოს ის ბედნიერება, რომელსაც მოუთმენლად ელის მისი ნაზი გული და დაე, ამ ნეტარებამ მას სრული კმაყოფილება მოუტანოს. მან ეს სამართლიანად დაიმსახურა... მე მგონი, ამჟამად ყველას სურვილი გამოვთქვი. მაშ, ახლა ერთხმად ვუსურვოთ ჩვენს ნეფე-დედოფალს დღეგრძელობა და ყოველგვარი ბედნიერება!

მისტერ პიკვიკის ბოლო სიტყვები ტაშის გრიალმა შთანთქა. მისტერ უელერის გონიერი და დროული რჩევის შედეგად კიდევ ერთხელ მძლავრად ამოქმედდნენ და ამოძრავდნენ მუნჯ დამსწრეთა ფილტვები.

მისტერ უელერმა მისტერ პიკვიკი ადღეგრძელა, მისტერ პიკვიკმა მხცოვანი მანდილოსნის სადღეგრძელო შესვა, მისტერ სნოდგრასმა მისტერ უორდლს უსურვა დღეგრძელობა და მისტერ უორდლმაც, რაღა თქმა უნდა, სამაგიერო გადაუხადა. ერთ-ერთმა ღარიბმა ნათესავმა მისტერ ტაპმენი ადღეგრძელა, ხოლო დანარჩენმა ღარიბმა ნათესავებმა - მისტერ უინკლი. ყველა ილხენდა, ყველა ბედნიერად გრძნობდა თავს. მხოლოდ მაშინ, როდესაც ორი ღარიბი ნათესავი საიდუმლოდ გაქრა მაგიდის ქვეშ, მხოლოდ მაშინ გაახსენდათ სტუმარ-მასპინძლებს, რომ ქეიფის მოთავების დროც დამდგარიყო.

მისტერ უორდლის რჩევით მამაკაცებმა ნაქეიფარზე ოცდახუთმილიანი ექსკურსია მოაწყვეს, რომ საუზმეზე მირთმეული ღვინო უკეთ შეერგოთ და გათავისუფლებულიყვნენ მისი დამათრობელი გავლენისაგან. ღარიბმა ნათესავებმა კი მთელი დღე ლოგინში გაატარეს, რომ იმავე შედეგისთვის მიეღწიათ, მაგრამ ამაოდ, თავბრუხვევისგან ფეხზე ვერ დგებოდნენ. ამასობაში სამზარეულოში მისტერ უელერი მსახურებს სიცილით ხოცავდა.

ბოკვერამ სადილობამდე დარჩენილი დრო ისე მოხერხებულად გაანაწილა, რომ მთელი ამ ხნის განმავლობაში თანამიმდევრობით ძილსა და ჭამას მოუნდა.

სადილმაც ისევე მხიარულად და ისეთივე ხმაურით ჩაიარა, როგორც საუზმემ. არც არავინ არ ატირებულა და არც ერთს ცრემლი არ დაუღვრია. სადილს მოჰყვა დესერტი და ახალი სადღეგრძელოები, შემდეგ ჩაი და ბოლოს ცეკვები.

მეინორის ფერმაში საუკეთესო სასტუმრო დარბაზი მოგრძო, შავი პანელით იყო გაწყობილი. ერთ-ერთ კედელში პირი დაეღო უზარმაზარ ბუხარს, რომლის მილში თავისუფლად ჩავიდოდა მთელი ეტლი თავის ბორბლებიანად და აკაზმულობით. ოთახის ზედა თავში ფანჩატური მოეწყოთ, წიწვიანი ფოთლებისა და ფითრის ტოტებით დაჩრდილული. მის ქვეშ მყუდროდ მოეკალათა მთელ მაგლტონში სახელგანთქმულ ორ საუკეთესო მუსიკოსს. ერთი ვიოლინოზე უკრავდა, მეორე - ქნარზე. ნიშებში კონსოლებზე ძველი ვერცხლის დატოტვილი შანდლები იდგა, მოსარკული იატაკიდან ხალიჩა აეღოთ. სანთლები ციმციმებდა, ბუხარში ცეცხლი გიზგიზებდა და ტკაცუნობდა. მთელ დარბაზს მხიარული ხმები, ლაღი და უდარდელი სიცილ-კისკისი ავსებდა, ერთი სიტყვით, ინგლისელი იომენი ფერიად რომ გადაქცეულიყო, დროს გასატარებლად და მოსალხენად სწორედ ამ დარბაზს ამოირჩევდა.

ამ საუცხოო სანახაობას კიდევ ერთმა გარემოებამ შემატა უფრო მეტი მხიარულება და მეტი სიცხოველე. ეს გარემოება შემდეგში მდგომარეობდა. მისტერ პიკვიკს საღამოზე თავისი ცნობილი შავი პაჭიჭები აღარ ეცვა, რაც, თუ მის მეგობრებს დავიმოწმებთ, პირველი შემთხვევა იყო პიკვიკის კლუბის დაარსების დღიდან.

- ცეკვას აპირებთ? - შეეკითხა უორდლი.

- რა თქმა უნდა, - მიუგო მისტერ პიკვიკმა, - ნუთუ ვერ ხედავთ, რომ საგანგებოდ საცეკვაოდ გამოვეწყვე.

თქვა თუ არა, მასპინძელს ჭრელ წინდებსა და კოხტად შენასკვულ ღია ფეხსაცმელებზე მიუთითა.

- თქვენ და აბრეშუმის წინდები? - ეშმაკურად გადასძახა მისტერ ტაპმენმა.

- რატომაც არ, სერ? - წყენით შეეპასუხა მეგობარს მისტერ პიკვიკი.

- არა, მე საწყენად არ მითქვამს, - მიუგო მისტერ ტაპმენმა, - მართლაცდა, რატომ არ უნდა ჩაიცვათ?!

- დიახ, რატომაც არ უნდა ჩავიცვა, მერე რა გიკვირთ, - ბრძანებითი კილოთი მიუგო მისტერ პიკვიკმა.

მისტერ ტაპმენს კინაღამ სიცილი წასკდა, მაგრამ დროზე მიხვდა, რომ წინამძღოლი არ ხუმრობდა და მანაც თავი შეიკავა, დინჯად დახედა წინდებს და წარმოთქვა:

- ძალიან ლამაზია.

- მართლაც ძალიან ლამაზია, მეც მომწონს, - კვერი დაუკრა მისტერ პიკვიკმა და მეგობარს ჩააშტერდა, - ჩვეულებრივი წინდებია. გასაოცარს რამეს ამჩნევთ თუ, სერ?

- რა თქმა უნდა, არაფერს, - მიუგო მისტერ ტაპმენმა და გაშორდა.

მისტერ პიკვიკის სახეზე კვლავ გადაიდარა. მან კეთილად გაუღიმა მეგობარს.

- ვგონებ, ყველანი უკვე მზად ვართ, - თქვა მან, როდესაც მოცეკვავეთა თავში მხცოვან მანდილოსანთან ერთად ჩადგა. ცეკვა ისე მოსწყურებოდა, რომ ჯერ მუსიკის ხმა არც გაეგონა და უკვე ოთხჯერ მაინც შეიკუნტრუშა ადგილზე.

- მაშ, დავიწყოთ, - ბრძანა მისტერ უორდლმა, - აბა!

ის იყო დამკვრელებმა სიმებს ჩამოჰკრეს და მისტერ პიკვიკიც ადგილს მოსწყდა, რომ უეცრად გაისმა ტაში და შეძახილები: შეჩერდით, შეჩერდით!

- რა მოხდა? - წამოიძახა შეცბუნებულმა პიკვიკელმა, რომელიც მხოლოდ მუსიკასთან ერთად შეჩერდა, თორემ სხვა ვერავითარი ძალა ვერ შეაკავებდა მას, თუნდაც მთელი სახლისთვის ცეცხლი წაგეკიდებინათ.

- არაბელა ალენი რაღა იქნა? - წამოიძახა რამდენიმე ხმამ.

- და მისტერ უინკლიც? - დაუმატა მისტერ ტაპმენმა.

- აქ გახლავართ! - მიუგო ხსენებულმა ჯენტლმენმა, რომელიც ოთახის ბნელი კუნჭულიდან გამოძვრა; რაღა თქმა უნდა, რომ მას ახლდა შავთვალა ლამაზი ქალიშვილიც. ძნელი იყო გარჩევა, რომელს უფრო ეწვოდა ლოყები, ვაჟს თუ ქალს.

- საკვირველია, უინკლ, - წყრომით მიმართა მას მისტერ პიკვიკმა, - აქამდე როგორ ვერ მონახეთ თქვენი ადგილი?

- საკვირველი აქ არაფერია, - მიუგო მისტერ უინკლმა.

- კეთილი, სერ, - წარმოთქვა მისტერ პიკვიკმა და მეტყველი ღიმილით არაბელა ალენს გადახედა, - მართლაც, გასაკვირი არაფერი ყოფილა.

როგორ მოკლედაც უნდა აეხსნა მისტერ უინკლს დაგვიანების მიზეზი, მეტი ფიქრის დროც აღარ იყო, რადგან ვიოლინოცა და ქნარიც ტკბილად აჟღერდა. გულხელდაკრეფილმა გასწია წინ მისტერ პიკვიკმა. ჯერ ოთახის შუაგულში გავიდა, მერე ბოლოსკენ გაეშურა, შუა გზაზე ბუხრისკენ გადაუხვია და კვლავ კარებს დაუბრუნდა. ცალ ფეხს კოხტად აგდებდა წინ და მეორით ადგილზე ტრიალებდა, ორივეს იატაკს მაგრად უბაკუნებდა, მოცეკვავეთა მეორე წყვილს მიუახლოვდებოდა, კვლავ შორდებოდა, კვლავ აბაკუნებდა. მერე ისევ მეორე წყვილისკენ მიეშურებოდა, მერე მესამეს უახლოვდებოდა, მერე მეოთხეს. ასეთი

სწრაფი და თავბრუდამხვევი სვლა ჯერ არავის ახსოვს. ყოველ-გვარი აღწერა უძლურია, ზუსტად გადმოსცეს მკითხველს ის აღ-ტაცება, რომელსაც მისტერ პიკვიკი განიცდიდა. მას შემდეგ დი-დი ხანი გავიდა, რაც თოთხმეტმა ახალგაზრდა წყვილმა და მო-ხუცმა მანდილოსანმა ქანცგაწყვეტილებმა ცეკვას მიანებეს თა-ვი და მისტერ პიკვიკი კი მაინც არ ცხრებოდა. ახლა მღვდლის ცოლს აცეკვებდა, დროდადრო თავაზიანად უღიმოდა და თანაც მუსიკის ხმას ფეხების ბაკუნს უწყობდა.

ჯერ კიდევ დიდი ხნით ადრე, ვიდრე მისტერ პიკვიკი ცეკვით მოიღლებოდა, ჯვარდაწერილი წყვილი სტუმრებს გაშორდა. რა-ღა თქმა უნდა, კეთილი საზოგადოება ადვილად შეეგუა ამ დანა-კარგს, რადგან მალე სასადილო ოთახში დიდებულ ვახშამს შე-მოუსხდა და დიდხანს, ძალიან დიდხანს, მადიანად შეექცეოდა უხვად გაშლილ პურმარილს.

მეორე დილას მისტერ პიკვიკს გვიან გამოეღვიძა. ბუნდოვ-ნად მოაგონდა, რომ წინაღამით ერთი ორმოცდახუთი კაცი მა-ინც სადილად მიიპატიჟა სასტუმრო „ჯორჯი და ფასკუნჯში“, რო-გორც კი ხსენებული ჯანტლმენები ლონდონს ჩამოვიდოდნენ. ამ გარემოებამ აშკარად დაარწმუნა იგი, რომ ვახშმად უზომოდ ბევრი ღვინო მიურთმევია.

- მაშ, ამაღამ სამზარეულოში დიდი გართობა იქნება? - შეეკითხა სემი ემას.

- დიახ, მისტერ უელერ, - უპასუხა ემამ, - ასეთ გასართობებს ყოველი შობის წინა საღამოს ვმართავთ ხოლმე. ჩვენი ბატონი წმინდად იცავს ამ ჩვეულებას.

- შენმა ბატონმა, ჩემო ცუგრუმელა, ჩინებულად იცის ამგვა-რი სეირის მოწყობა, - თქვა მისტერ უელერმა, - ასეთი მხიარუ-ლი და ჭკვიანი კაცი ჩემს დღეში არ შემხვედრია.

- საუცხოო კაცია, - ჩაერია საუბარში ბოკვერა, - იფ, იფ, რომ იცოდეთ, რა დიდებულ ღორებსა ზრდის! - ბოკვერამ სემს მხიარულად გაუღიმა. უეცრად შემწვარი ბარკალი და გემრიელი საწებელი მოაგონდა.

- ოჰ, მადლობა ღმერთს, გაგიღვიძია, - წამოიძახა სემმა.

ბოკვერამ თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია.

- ერთ რამეს გეტყვი, შე ღორმუცელავ, - ხაზგასმით განაცხადა მისტერ უელერმა, - შენ თუ ცოტა ძილს არ მოუკელი და მეტი არ იმოძრავე, როცა დავაჟკაცდები, ისეთივე უბედურება შეგემთხვევა, როგორიც ერთ მოხუც ჯენტლმენს დაემართა, აი იმას, ნაწნავს რომ ატარებდა.

- მერედა, რა მოუვიდა? - შეეკითხა ბოკვერა და ხმა აუკანკალდა.

- ჰოდა, მაგას მოგახსენებ სწორედ, - მიუგო მისტერ უელერმა, - ვეებერთელა რამ იყო, ახმახი და სქელი; სქელი, ისეთი სქელი, რომ კანში ვეღარ ეტეოდა. ამაზე მეტი რა გინდა. მთელი ორმოცდახუთი წლის განმავლობაში, ფეხზე როცა იდგა, თვალით ვერ ხედავდა საკუთარ ფეხსაცმელს, ღიპი ეფარებოდა.

- უიმე! - შეჰკივლა ემამ.

- ვერ ხედავდა, მაშ, ვფიცავ მამაჩემს, ჩემო ცუგრუმელავ, - განაგრძო მისტერ უელერმა, - ჩემმა მზემ, მისი ფეხის ზუსტი ნიმუში რომ დაგედოთ ცხვირწინ, ვერ იცნობდა... ჰოდა, ჩემო ბატონო, დაგორავს ეს კაცი ყოველ ცისმარე დღეს სამსახურში, დაგორავს და თანაც გულზე უშველებელი ოქროს ძეწკვი ჰკიდია, ჯიბეშიც, რაღა თქმა უნდა, ოქროსავე საათი უდევს, ისეთი ძვირფასი, ისეთი ძვირფასი, მეშინია კიდეც, მისი ნამდვილი ფასი რომ ვთქვა. წარმოიდგინეთ, რამდენი უნდა ღირდეს ბაჯაღლო ოქროს დიდი, მრგვალი, ქვასავით მძიმე საათი... მოკლედ, საათებს შორის ეს საათი ისეთივე მსხვილი გახლდათ, როგო-

რიც მისი პატრონი ადამიანთა შორის! ეგ საათი აგრე დაუდევრად ნუ დაგაქვს, უეჭველად გაგძარცვავენო, ეუბნებიან მეგობრები. - მაშ, სულ არ ვატარო? - ამბობს ჯენტლმენი. დიახ, ნუ ატარებთ, - ეუბნებიან ისინი. კეთილი, - ამბობს მოხუცი, - ნეტავ ისეთი ქურდი ვინ იქნება, რომ ეს საათი აქედან ამაცალოს. ხომ იცით, მე დალოცვილი ვარ, თუკი დალოცვილი შეიძლება ეწოდოს ჩემისთანა კაცს... ჩემმა მზემ, - განაგრძობს იგი, - ეს ძალიან ძნელი საქმეა... საათის გაგება რომ მინდა, მაღაზიის შუშაში ვიხედები, - ამბობს იგი და ისე გულიანად ხითხითებს, რომ გგონია, ახლავე ნაკუწ-ნაკუწად დაიმსხვრევაო. ჰჰოდა, ისევ არხეინად განაგრძობს გზას. თავი სულ პუდრით აქვს გადაპენტილი და უკანაც გრძელი ნაწნავი ჰკიდია, საათი კი ლამის არის, რუხი შარვლის ჯიბიდან გადმოხტეს. ახლა ისიც უნდა მოგახსენოთ, რომ მთელ ლონდონში ერთ ქურდბაცაცასაც ვერ ნახავდით, რომელსაც ამ საათზე არ სჭეროდა თვალი. ბევრჯერ მიიტანეს იერიში ძეწკვზე, მაგრამ ვერაფერს გახდნენ. ვერც ერთმა ძეწკვი ვერ გაწყვიტა და საათი გულიდან ვერ ამოაცალა. მალე ყველას მოჰბეზრდა ბებრის ქვაფენილზე ბორიალი. იგი ყოველდღე მშვიდობით ბრუნდებოდა სახლში და იმდენ ხანს იცინოდა გულიანად, ვიდრე ნაწლავები საათის ქანქარასავით არ დაუწყებდა ქანაობას. ერთ მშვენიერ დღეს მოხუცი მოგორავს სანაპიროზე. უცებ მან ქურდი შენიშნა. მაშინვე იცნო. ქურდს ხელიხელჩაკიდებული პატარა თავკომბალა ბიჭი მოსდევდა.

- აბა, იწყება სეირი, - თავისთვის ჩაილაპარაკა მოხუცმა ჯენტლმენმა, - ეტყობა, კვლავ იერიშზე გადმოდიან, მაგრამ რას გახდებიან? მოხუცმა გემრიელად ჩაიხითხითა. უეცრად პატარა ბიჭმა ქუდს ხელი უშვა და მოხუცს თავით შიგ მუცელში ეცა. ერთი წუთით ჩვენი ჯენტლმენი სამად მოიკეცა ტკივილისგან. მომკლა, მიშველეთ! - დაიყვირა მან. კეთილი, ბატონო, - შემოესმა

ამ დროს ქურდბაცაცას ჩურჩული ყურში, - დიდ ბოდიშს ვიხდით შეწუხებისთვის და თავკომბალამ კვლავ მოხუცის ღიპზე მიიტანა იერიში. ტკივილმა რომ გაუარა, მოხუცს აღარც საათი ჰქონდა და აღარც ძეწკვი. ეს კიდევ რა არის? სამუდამოდ მოეშალა კუჭი, სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე საჭმელს ვეღარ ინელებდა... ასე, ჩემო ყმაწვილო, ფრთხილად იყავი, ეცადე, ეცადე ძალიან არ გასივდე.

როგორც კი მისტერ უელერმა ეს ჭკუის დამრიგებელი ამბავი მოათავა, სამივენი სამზარეულოში ჩავიდნენ. იქ უკვე მთელ ოჯახს მოეყარა თავი. ამ ჩვეულებას უხსოვარი დროიდან წმინდად იცავდნენ მისტერ უორდლის წინაპრები და თვით კეთილი მასპინძელიც.

სამზარეულოს ჭერზე, ზედ შუაგულში, მოხუცმა უორდლმა თავისი ხელით ჩამოკიდა ფითრის უზარმაზარი ტოტი. იმწამსვე ერთი ალიაქოთი და ჩოჩქოლი ატყდა. მისტერ პიკვიკმა ისე სათუთად, ისე ზრდილობიანად მოჰკიდა მოხუც მანდილოსანს ხელი, რომ თვით მშვენიერ ლედი ტოლიმგლაუერის შთამომავალიც კი არ იუკადრისებდა ასეთ კავალერს. მან მანდილოსანი ზემოხსენებული მისტიკური ტოტის ქვეშ დააყენა და დიდი ამბით გადაკოცნა. მოხუცმა ეს ჩვეულებადქცეული თავაზიანი მისალმება ისეთი სიდინჯითა და თავაზით მიიღო, როგორც ასეთ საზეიმო შემთხვევას შეეფერება. ყმაწვილი ქალები ესოდენ ღრმა პატივისცემით არ იყვნენ გამსჭვალულნი აღნიშნული ადათისადმი და დარწმუნებულნიც იყვნენ, რომ ამ მისალმებას უფრო მეტი ფასი დაედებოდა, თუკი მისი შესრულება ოდნავ მაინც ეღირებოდა თავის შეწუხებად. ამიტომ მათ წივილ-კივილი ატეხეს. კუთხეებში მირბოდნენ, იმალებოდნენ, უარს ამბობდნენ, ემუქრებოდნენ ვაჟებს, ერთი სიტყვით, ყოველ ღონეს ხმარობდნენ, რომ ოთახიდან დაეღწიათ თავი. ეს აურზაური მანამდე გაგ-

რძელდა, ვიდრე ზოგიერთმა ჯენტლმენმა, რომელთაც ამდენი ალიაქოთისა და ოინების თავი არ ჰქონდათ, მტკიცედ გადაწყვიტა, დევნისათვის თავი მიენებებინა. უმალვე მშვენიერთა სქესში საოცარი გარდატეხა მოხდა. ყველა ქალიშვილი ერთბაშად დარწმუნდა, რომ წინააღმდეგობის გაწევა ამაო იყო. მათ კეკლუცად გაუღიმეს მამაკაცებს და მოწყალედ დართეს ამბორის ნება. მისტერ უინკლმა, რაღა თქმა უნდა, შავთვალა ქალიშვილი გადაკოცნა, მისტერ სნოდგრასი კი ემილი უორდლს ეამბორა. მისტერ უელერი მაინცდამაინც არ დაეძებდა, თუ ვინ აღმოჩნდებოდა ფითრის ტოტის ქვეშ. აამიტომ, მან ჯერ ემა გადაკოცნა და მერე არც სხვა მსახური ქალები დაიწუნა. რაც შეეხება ღარიბ ნათესავებს, მათ ხომ ყველანი გადაკოცნეს, ულამაზო სტუმარი ქალებიც კი, რომლებმაც ამ დაბნეულობასა და ალიაქოთში უნებურად ფითრის ტოტის ქვეშ ამოყვეს თავი.

მისტერ უორდლი ცეცხლისკენ ზურგით იდგა და დიდი კმაყოფილებით ადევნებდა თვალს ამ სასიამოვნო სურათს. ბოკვერამაც ხელსაყრელი შემთხვევით ისარგებლა. მიითვისა და საბოლოოდ გაანადგურა ხორცის საუკეთესო ღვეზელი, რომელიც საგანგებოდ ვიღაც სტუმრისათვის გადაენახათ.

სირბილისა და გადახდილი ბრძოლისგან სახეები ყველას შეეფაკლა, განსაკუთრებით კი ქალიშვილებს. თვალები ვარსკვლავებივით აუციმციმდათ და კულულები აეწეწ-დაეწეწათ. როგორც იქნა, წივილ-კივილი მიწყნარდა. მისტერ პიკვიკი კვლავ ფითრის ტოტის ქვეშ აღმოჩნდა. გაბრწყინებული სახით შეჰყურებდა იგი ყმაწვილების ცელქობას. უუეცრად, შავთვალა ქალიშვილმა, რომელიც წინასწარ ტოლ-ამხანაგებს რაღაცას მოეთათბირა, მისტერ პიკვიკთან მიირბინა, კისერზე ხელი შემოხვია და მარცხენა ლოყა მაგრად ჩაუკოცნა. ვიდრე უკანასკნელი მოისაზრებდა, თუ რა მოხდა, მას ქალიშვილების მთელი ჯა-

რი შემოეკრა გარს და თითოეულმა ტკბილად გადაკოცნა პიკვიკის კლუბის შესანიშნავი წინამძღოლი. ჭეშმარიტად, ყოველ ალალ კაცს, გული სიამით და ნეტარებით აევსებოდა თავისი თვალით რომ დაენახა მისტერ პიკვიკი ქალთა გუნდის შუაში მომწყვდეული. ყმაწვილები ხან აქეთ ეწეოდნენ მას, ხან იქით, ხან ნიკაპზე კოცნიდნენ, ხან ცხვირზე. შემდეგ სათვალეზე, შუბლზე, თავზე. საამო მოსასმენი იყო ეს სიცილ-ხარხარი, რომელიც სამზარეულოს ყოველი კუთხიდან მოისმოდა. კიდევ უფრო საამო შესახედავი გახლდათ მისტერ პიკვიკი, როდესაც აბრეშუმის ცხვირსახოცით თვალაკრული, კუკუდამალობანას თამაშს შეუდგა. ხშირად-ხშირად ეხეთქებოდა კედლებს, კუთხეებში მუხლებზე მიფოფხავდა და გმირულად იტანდა ყოველ სიძნელეს, რაც, საერთოდ, ბრმა ადამიანის ხვედრს შეადგენს. იგი დიდი გატაცებით თამაშობდა და, ვინ იცის, კიდევ რამდენ ხანს ითამაშებდა, რომ ამ დროს ერთ-ერთ ღარიბ ნათესავს წაატანა ხელი და ახლა თვით დასჭირდა ბრმა ადამიანის კლანჭებისგან თავის დაღწევა, რაც მან ისე მარდად და ისე მარჯვედ შეასრულა, რომ დამსწრეთა დიდი აღტაცება და მოწონება დაიმსახურა. მით უფრო, რომ თვით ღარიბი ნათესავებიც მხოლოდ ისეთ ხალხს იჭერდნენ, რომელთაც, მათი აზრით, ესიამოვნებოდათ „დაბრმავება“. ბოლოს, თამაშის მიწურულს, მათ განგებ დააჭერინეს თავი პატივცემულ სტუმრებს, რომ გული არავის დასწყდომოდა.

როდესაც კუკუდამალობანამ ყველა მოქანცა, გამართეს მეორე საშობაო თამაში, რომელსაც „სნეპ დრეგონი“ ეწოდება. თითქმის ყველამ დაიწვა თითები და ქიშმიშიც სულ შეჭამეს. ბოლოს ისევ გიზგიზა ცეცხლს მოუსხდნენ და ვახშამს გემრიელად შეექცნენ. ცეცხლზე უზარმაზარი სპილენძის ქვაბი იდგა. სარეცხის ქვაბზე ოდნავ პატარა თუ იქნებოდა, შიგ მხიარულად შიშხი-

ნებდა კოხტად შებრაწული ვაშლები, რომელთა დანახვაზე ყველას ნერწყვი მოსდიოდა.

- აი მესმის, ასეთი დასვენება, - წარმოთქვა მისტერ პიკვიკმა და დამსწრეთ გადახედა.

- ეს წმინდა ჩვეულებაა, - დასძინა მისტერ უორდლმა, - ყოველი შობის წინა საღამოს ყველანი ასე ვზივართ, როგორც ახლა გვხედავთ. მსახურებიცა და ჩვენც აქ ვიცდით, ვიდრე თორმეტი დაკრავს და შობაც დადგება. მერე ფანტის თამაშითა და ძველი ამბების მოყოლით ვირთობთ თავს. ტრანდლ, შვილო, ერთი ცეცხლს შეუკეთე.

კუნძები მოჩხრიკეს თუ არა, ჰაერში ნაპერწკლები აცვივდა. ალმა წითლად შეღება ყველას სახე და დარბაზის შორეული კუნჭულები ვარდისფრად შეაფერადა.

- მოდით ერთი, საშობაო სიმღერა ვთქვათ, - დაიძახა მისტერ უორდლმა, - ისევ მე გიმღერებთ, რადგან უკეთესი მომღერალი აქ არ მეგულება.

- ბრავო, ბრავო! - წამოიძახა მისტერ პიკვიკმა.

- სასმისები შეავსეთ, - დაიძახა მისტერ უორდლმა, - ნახეთ, ეგ ჯამები ისეთი დიდია, რომ კარგა ხანი გავა, ვიდრე სქელი უოსელიდან ფსკერი გამოჩნდებოდეს. ახლავე სიმღერასაც მოგართმევთ. ლაპარაკი მოათავა თუ არა, მხიარულმა მასპინძელმა ყოველგვარი ხვეწნა-მუდარის გარეშე ბოხი, მაგრამ საამო ხმით, შემდეგი საშობაო სიმღერა წამოიწყო:

საშობაო სიმღერა

მე არ მიყვარს გაზაფხული, არ მიმიწევს მისკენ გული,
თუმც ფარფატა მისი ფრთები ყვავილებად გაპენტილა;
მაგრამ მათ ხომ თავსხმით, თქეშით ის აგზავნის სამარეში,

მიმოფანტავს და დააჭკნობს, შესცინებდნენ ვიდრე დილას.
ვერ გრძნობს თავის გიჟმაჟობას, წამდაუწუმ იცვლის
გრძნობას,
ვეღარა სცნობს საკუთარ თავს, აღარ იცის, რა აზრს სდიოს.
შემოგცინებს ტკბილად, ნაზად, გაგეშლება ფიანდაზად;
თანაც გიჭკნობს გულის ყვავილს, რომ უდროოდ დაგაქციოს.
დე, ზაფხულის მზე თაკარა თავის სახლში დარჩეს მარად,
მე არ მინდა, მე არა მსურს, არ მოვძებნი არასოდეს,
მას ღრუბელი თუ დაფარავს, მე ვიცინებ წარამარა,
რას დავეძებ, რამდენიც სურს, დე, იმდენ ხანს პირქუშობდეს.
რაკი მისი საყვარელი გახლავთ ბავშვი ჭკუათხელი,
ვისაც თავის სათამაშოდ უქცევია პაპანება.
ხომ იცით, რომ ძლიერ ტრფობას უწერია მალე ჭკნობა
და ვინც იგრძნო, ვინც იტანჯა, მას კვლავ აღარ ეტანება.
ჭირნახულის კრეფის ღამე, პირნათელი და საამო,
თავზე მთვარე გაბადრული რომ დანათის მშვიდად, ნაზად.
მეტ სიამეს ჩემს სულს აძლევს, ვიდრე ის, რომ გაშლილ ცაზე
ქათქათებდეს მზე და ღრუბლის ერთი ქულაც ჩანდეს არსად.
მაგრამ მაშინ ფოთოლცვენა დარდს მიღვიძებს, მტაცებს
ლხენას,
რაკი თითქმის ყოველ ხიდან ცვივა იგი, ცვივა, ცვივა;
ამიტომაც შემოდგომა მიცხოველებს გულის წყრომას
და აბა რით გამახარებს, როცა სულში ასე მცივა.
შობას ვაპყრობ მე ჩემს მზერას, მასვე ვუთხზავ ტკბილ
სიმღერას,
სანდოს, ერთგულს, ცხადს და ნათელს და სისაღით
აღვსილს მარად,
თასს გადავკრავ სავსეს ღვინით, აღვივსები შვებით, ლხენით
და ძველ შობას ვადღეგრძელებ ჩვენი გულის გასახარად.

რაკი გვიყვარს მთელი გულით, ვეგებებით სიხარულით,
აღტაცებით მოვირთვებით, გავახარებთ თვითონ მასაც,
გავერთობით მასთან მანამ, სანამ ძალგვიძს სმა და ჭამა,
მერე ტკბილად დავშორდებით, არ შევაწყენთ ძალად თავსა.
არა, მისი სიამაყე როდი მალავს, უფრო ალხენს,
მისი მწარე სუსხისაგან ნაკბენსა და ნაჭრილობევს,
რაც არავის არ ამცირებს, ნახავთ მასზე არა მცირედ,
სწორედ იმგვარ ნაიარევს, მეზღვაურებს რომ იმკობენ.
ავმღერდები მერე ისე, რომ ეს ჩემი სიხალისე
თვით კედლებმაც ერთურთს ამცნონ, სახურავზეც
რეკდეს გზნებით,
წელიწადის დროთა შორის, რაკი ერთიც არ ჰყავს სწორი,
რაკი არის დროთა მეფე, ვეტყვი: ჩემო, ღამე ნების!

სიმღერა მქუხარე ტაშით დაგვირგვინდა, რადგან, მოგეხსენებათ, მეგობრები და ხელქვეითები მუდამ მადლიერი მსმენელები და მაყურებლები არიან. განსაკუთრებით თავს არ ზოგავდნენ ღარიბი ნათესავები. მათ აღტაცებას საზღვარი არ ჰქონდა.

კვლავ შეუკეთეს ცეცხლს და უძირო სასმისმა კვლავ შემოუარა სუფრას.

- როგორ თოვს, - ჩუმად ჩაილაპარაკა ერთ-ერთმა მსახურმა.

- მართლა თოვს თუ? - შეეკითხა მისტერ უორდლი.

- ცივი, სუსხიანი ღამეა, სერ, - უპასუხა მსახურმა, - ქარიც ამოვარდა. ახლა ქარბუქი პირდაპირ მინდორში მიერეკება თოვლის თეთრ ღრუბლებს.

- ჯემსი რას ამბობს? - იკითხა მოხუცმა მანდილოსანმა, - ხომ არაფერი მოხდა?

- არა, დედა, - მიუგო მისტერ უორდლმა, - ის ამბობს, რომ ნამქერია და ქარიც შიგ ძვალ-რბილში უჯდება კაცს... მე ადრეც მივხვდი, დახეთ, როგორ გუგუნებს ბუხარი.

- ოჰ! - წამოიძახა მოხუცმა მანდილოსანმა, - მაგონდება, სწორედ ასეთი ქარი იყო და ასე თოვდა ამ ხუთი წლის წინ, შობის კვირაძალს, საცოდავი მამაშენი იმ უცნაურ ამბავს რომ მოგვიყვა, სულების შესახებ... როგორ მოიტაცეს ავმა სულებმა მოხუცი გაბრიელ გრაბი.

- რა ამბავია? - შეეკითხა მისტერ პიკვიკი.

- ო, არაფერია საინტერესო, - მიუგო უორდლმა, - ეს ამბავი ერთ მესაფლავეს შეეხება, რომელიც, აქაურ ხალხს ასე ჰგონია, თითქოს ავმა სულებმა გაიტაცესო.

- ჰგონია?! - წამოიძახა მოხუცმა მანდილოსანმა, - აბა, თუ ვაჟკაცი ხარ, ნუ დაიჯერებ, ანდა ვინ გაბედავს და დაეჭვდება ასეთ ჭეშმარიტებაში? ჰგონია! ბავშვობიდან სულ ეს ამბავი გესმის და ახლაც არ იცი, რომ ის საცოდავი ნამდვილად ავმა სულებმა გაიტაცეს?

- კარგი, ვიცი, ვიცი, დედა, მჯერა, რომ გაიტაცეს, ოღონდ შენ დამშვიდდი, - სიცილით მიუგო შვილმა, - პიკვიკ, ის მესაფლავე ავმა სულებმა გაიტაცეს. მორჩა და გათავდა.

- არ, არ გათავდა, - თქვა მისტერ პიკვიკმა, - სრულიადაც არ გათავებულა, მერწმუნეთ. მე მინდა გავიგო, როგორ და რატომ მოხდა ეს საოცარი ამბავი... თავიდან ბოლომდე...

მისტერ უორდლს გაეღიმა, როცა დაინახა, როგორ წაიგრძელა ყველამ კისერი და მოსასმენად მოემზადა. მან თავისი ვეებერთელა ჭიქა უოსელით შეავსო, მისტერ პიკვიკი ადღეგრძელა და თხრობას შეუდგა.

მაგრამ, დაილოცოს ჩვენი გამომცემლის გული, ეს რა გრძელი თავი გამოგვივიდა. კინაღამ სულ არ დაგვავიწყდა, რომ

ქვეყნად წიგნის თავები არსებობს! ამიტომ მესაფლავის ამბავსაც შემდეგ თავში მოგახსენებთ. ამჟამად სცენა სრულიად ცარიელია. არავითარი უპირატესობა სულებს, ქალბატონებო და ბატონებო!

თავი XXIX

ამბავი ავი სულების შესახებ, რომლებმაც მოხუცი მესაფლავე მოიტაცეს

ერთ-ერთ ძველ სამონასტრო ქალაქში, რომელიც ჩვენს მიდამოებში მდებარეობს, ეკლესიის დარაჯისა და მესაფლავის მოვალეობას ვინმე გაბრიელ გრაბი ასრულებდა. ეს ამბავი იმდენად დიდი ხნის წინ მოხდა, რომ ახლა ჩვენ ეჭვმიუტანელ სიმართლედ უნდა გვეჩვენებოდეს, მით უფრო, რომ უკვე ჩვენს წინაპრებსაც მის ჭეშმარიტებაში ეჭვი არ ეპარებოდათ. ჰოდა, ჩემო ბატონო, იმ დროს მესაფლავედ ვინმე გაბრიელ გრაბი მსახურობდა. რაღა თქმა უნდა, აქედან სრულიადაც არ უნდა დავასკვნათ, რომ, რახან კაცი მესაფლავეა, რახან დღენიადაგ სულ სიკვდილის ცნებასთან დაკავშირებული საგნებითაა გარშემორტყმული, ასეთი კაცი მუდამ პირქუში და სევდიანი უნდა იყოს. პირიქით, მეკუბოვეები ხშირად ყველაზე მხიარული ადამიანები არიან ქვეყანაზე. ერთხელ, ბედად მხვდა და ერთ დაქირავებულ მოტირალს დავუმეგობრდი. ეს მოტირალი, ბატონებო, როდესაც უშუალოდ თავის მოვალეობას არ ასრულებდა, ისეთი ხუმარა, ისეთი ოხუნჯი გახლდათ, რომ უკაცრავი პასუხია და ყველაფერი ფეხებზე ეკიდა. მთელ ჭიქა ცხელ გროგსაც ისე ყლაპავდა, ვითომ აქ არაფერიაო, ერთხელაც არ მოითქვამდა სულს.

ზემოთქმულის მიუხედავად, თვით გაბრიელ გრაბი მეტად უცხვირპირო, ჭირვეული და ჯიუტი კაცი გახლდათ. თავის თავის გარდა ვერავის ეთვისებოდა. ერთი წნულშემოვლებული მათა-

რა უყვარდა, რომელიც დღენიადაგ ჟილეტის უშველებელი ჯიბით დაჰქონდა. ყოველი მხიარული სახის დანახვაზე ისე ბოროტად იღმიჭებოდა, ისე პირქუშად შეიკრავდა კოპებს, რომ გამვლელს თავით ფეხამდე ცივი ჟრუანტელი დაუვლიდა და გულში რაღაც ავისა და ცუდის მოლოდინი ეღვიძებოდა.

ერთხელ, სწორედ შობის კვირაძალს, ჯერ კიდევ კარგად არ შებინდებულიყო, როცა გაბრიელმა მხარზე ბარი გაიდო, ნათურა აანთო და სასაფლაოსკენ გასწია. დილისთვის ერთი საფლავი უნდა მოეთავებინა. ძალიან ცუდ გუნებაზე იყო და უნდოდა მუშაობით მაინც შეექცია თავი. ძველ ქუჩას რომ მიჰყვებოდა, სარკმლის ჭუჭრუტანებში ციმციმა სხივები შენიშნა, ბუხრების გიზგიზა ცეცხლიდან რომ ირეკლებოდა და იმათი ხმამაღალი, ლაღი სიცილ-კისკისი და მხიარული შეძახილები შემოესმა, ვისაც ახლა ამ ცეცხლის პირას მოეყარა თავი. ხედავდა გაფაციცებულ ფუსფუსსა და მზადებას შობისთვის, თითქოს განგებ შიგ ცხვირში ხვდებოდა ათასნაირი სურნელება, რომელიც სამზარეულოს ფანჯრებიდან მოდიოდა. ყოველივე ეს გაბრიელის გულს შხამივით ედებოდა. მოსახვევში, სახლებიდან, კუნტრუშით გამოხტა ბავშვების გროვა. მათ ქუჩა გადაჭრეს და ვიდრე მოპირდაპირე სახლს მიუკაკუნებდნენ, წინ უკვე თორმეტიოდე თმაქოჩორა ანცი ბავშვი შემოეგება. მხიარული კიჟინით შეერთდა ორივე გუნდი, რომ საღამო საშობაო გასართობებში გაეტარებინათ. გაბრიელი პირქუშად გაიღმიჭა და უფრო მტკიცედ ჩაჰკიდა ბარის ტარს ხელი, როდესაც ქუნთრუშა, წითელა, ყივანახველა და სხვა ამგვარი „სანუგეშო“ ამბები გაახსენდა.

ასეთი მხიარული განწყობილებითა და ფართო ნაბიჯით უახლოვდებოდა გაბრიელი ქალაქის ბოლოს. მეზობლებისა და ნაცნობების კეთილ მისალმებას მოკლე, უკმეხი ბუზღუნით პასუხობდა. ბბოლოს, ბნელ ორღობეში გადაუხვია. აქიდან გზა პირ-

დაპირ სასაფლაოსკენ მიდიოდა. გაბრიელი სულმწარედ ელოდა ამ ორღობეს, რადგან ქალაქის მცხოვრებლები გაურბოდნენ ამ პირქუშ, განმარტოებულ ადგილს და ამ გზით არც დაიარებოდნენ არასოდეს, თუ არა დღისით და ისიც მზიან ამინდში. გაბრიელი ფიქრობდა, რომ ამ ორღობეში მაინც აღარავინ შეხვდებოდა და ისიც დამშვიდდებოდა, დაწყნარდებოდა, სასურველ მარტოობას იგრძნობდა. წარმოიდგინეთ მისი გაოცება, როდესაც უეცრად ვიღაც არამზადის მხიარული სიმღერა შემოესმა. საშინლად გაცხარდა. როგორ, ამ წმიდათაწმიდა ადგილას, სადაც ვერც ერთი სულიერი ბინდისას ვერ გაიჭაჭანებს, ამ პირქუშ ადგილას, რომელსაც კუბოს გასასვლელი ეწოდება ჯერ კიდევ უხსოვარი დროიდან, ვიღაც ვაჟბატონი, რაც ძალი და ღონე აქვს, მხიარულ საშობაო სიმღერას ღრიალებს! რაც უფრო წინ და წინ მიიწევდა გაბრიელი, მით უფრო უახლოვდებოდა ხმა. ბოლოს ბინდში მან გაარჩია, რომ ეს ხმა ვიღაც პაწია ბიჭის ყელიდან ამოდიოდა. ყმაწვილს, ეტყობა მიეჩქარებოდა, რომ ქუჩაში მოთამაშე ბავშვების გუნდს შეერთებოდა და ახლა, გზაში რომ არ მოსწყენოდა, და შესაძლოა იმიტომაც, რომ ამ საზეიმო შემთხვევისთვის უკეთ მომზადებულიყო, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, საშობაო სიმღერას გაჰკიოდა. გაბრიელი ჩაუსაფრდა ბიჭს და როცა გაუსწორდა მას, უეცრად კუთხეში მიიმწყდია და ხუთჯერ თუ ექვსჯერ ნათურა შიგ თავში უთაქა, ხმის დაწევა რომ ესწავლებინა მისთვის. ახლა სულ სხვა ჰანგზე ამღერებული ბიჭი საჩქაროდ გაშორდა პირქუშ მასწავლებელს, თანაც ხშირ--ხშირად თავზე იდებდა ხელს. ეტყობოდა, ნაცემი ადგილი მაგრად სტკიოდა. გაბრიელმა გულიანად ჩაიხითხითა. ეკლესიის ეზოში შევიდა და კარი გადაკეტა.

პალტო გაიხადა, ნათურა მიწაზე დადგა და დაწყებულ საფლავში ჩახტა. დაახლოებით ერთ საათს დიდი მონდომებით მუ-

შაობდა. ყინვისგან გახევებული მიწის გაჭრა და მაღლა ამოყრა ადვილი საქმე არ აღმოჩნდა. სახესა და კისერზე ოფლი ხვითქივით ასხამდა. ნამგალა მთვარე მიბნედილ შუქს აფრქვევდა ეკლესიის ჩრდილში მიყუჟულ საფლავს. სხვა დროს ამგვარი დაბრკოლებანი უფრო გაახელებდა, ვიდრე სისხლს აუმღრევდა გაბრიელ გრაბს. დღეს კი საუცხოო გუნებაზე იყო, რადგან ცოტა სული მოითქვა და ის პაწია ბიჭი გალახა, სიმღერა შიგ ყელში ჩასჩარა. ახლა ყურადღებას არ აქცევდა სიბნელეს, არაფრად აგდებდა იმას, რომ სამუშაო ნელა მიიწევდა წინ. შუაღამეს რომ მიატანა, შეჩერდა გაბრიელი და იარაღების მოგროვებას შეუდგა. თანაც ბუზღუნით სიმღერაც შემოსძახა:

„ამ ორ ადლ ცივსა მიწას ქვეყნის ზედმეტი ბარგი,
მიცვალებული ეწვევა, აქ სადგომია კარგი.
თავქვეშაც ლოდი ედება, ფეხთითაც - ისევ ლოდი,
დაეხვევიან მატლები, დაიფასებენ ლოდინს.
საფლავს ბალახი შეუმკობს თიხაში ამოგოზილს,
რა დაედრება სადგომად ამ მიწას მადლით მოსილს“.

გაბრიელი საფლავის ბრტყელ ქვაზე ჩამოჯდა და გულიანად გადიხარხარა:

- ჰა, ჰა, ჰა!

აქ უყვარდა დასვენება სამუშაოს შემდეგ. დაწნული მათარა ამოიღო.

- კუბო საშობაოდ, საშობაოდ საჩუქრად! ჰა, ჰა, ჰა! - გაეცინა გაბრიელს და მათარა ტუჩებზე მოიყუდა.

- ჰა, ჰა, ჰა! - მოესმა უკანიდან ვიღაცის ხმა.

გაბრიელი შეჩერდა და შეშინებულმა თვალი მოავლო არემარეს. მის ახლოს ძველისძველი საფლავი იყო, ისეთივე მყუდრო

სამყოფელი, როგორიც თვით მთვარის შუქით განათებული სასაფლაო. ჭაღარა ყინვა საფლავის ქვებზე ბზინავდა და ძვირფასი თვლებივით ელვარებდა ეკლესიის ჩუქურთმებში. ხორხოშა თოვლი სქლად დაყრილ მიწის გორაკებს ეფინებოდა ისეთი თეთრი საფარივით, თითქოს სუდარა ყოფილიყოს, რომლის ქვევიდან გვამების ნაკვთები მოხაზულიყვნენ. ამ სანახაობის საზეიმო სიმშვიდეს არავითარი ხმაური არ არღვევდა, გეგონებოდათ აქ თვით ბგერაც გაყინულიყო, ყოველივე ისეთი უძრავი, ისეთი ცივი მოჩანდა.

- ალბათ გამოძახილი თუ იყო, - თქვა გაბრიელ გრაბმა და მათარა კვლავ ტუჩებთან მიიტანა.

- არა, გამოძახილი არ გახლავს, - წარმოთქვა ვიღაცამ ბოხის ხმით.

გაბრიელი წამოხტა და უეცრად შიშისა და განცვიფრებისაგან გაშეშდა. თვალწინ წარმოუდგა ქმნილება, რომლის დანახვაზე ძარღვებში სისხლი გაეყინა.

მის ახლოს, საფლავის მაღალ ქვაზე წამოსკუპებულიყო ფანტასტიკური არსება, რომელიც (გაბრიელმა უმალვე იგრძნო ეს) ამ ქვეყანას არ ეკუთვნოდა. ამ უცნაურ ქმნილებას მაღლა აეშვირა და უცნაურად გადაეგრიხა გრძელი ფეხები, რომელთაც, თუ გაშლიდა, უთუოდ მიწას მისწვდებოდა. შიშველი, ძარღვიანი მკლავები მუხლებზე ეწყო, ხოლო ზურგზე მოკლე წამოსასხამი ჰქონდა გადაგდებული; პატარა, ჩასკვნილი სხეულის გარშემო მჭიდროდ შემოეჭირა თევზის ფარფლებით მოფენილი ძონძი და კისერზე უცნაურ წვეტებად ამოჭრილი რგოლი შემოეკრა, რომელიც უთუოდ ან საყელოსი და ან ცნობილი ავი სულის ბეჭდის მაგივრობას უწევდა. ფეხსაცმელი წვერებში გრძელ, დაგრეხილ წვეტებად ეხვეოდა. თავზე ფართოფარფლებიანი, თავიშაქარივით წოწოლა ქუდი ეხურა ერთადერთი ფრთით გაწყობილი. ქუ-

დი ჭირხლს დაეფარა. უცნაური არსება ისე არხეინად წამოსკუპულიყო მაღალი ქვის თავზე, გეგონებოდათ, უკვე ორასი თუ სამასი წელი სულ ასე მჯდარიყოს. არ ინძრეოდა და ენაგამოყოფილი თითქოს ვიღაცას დასცინოდა, უთუოდ გაბრიელს ეკრიჭებოდა, თანაც ისე საზარლად, როგორც ავმა სულებმა იციან მხოლოდ.

- არა, გამოძახილი არ გახლდა, - გაიმეორა ავმა სულმა.

გაბრიელ გრაბი დამბლადაცემულივით დუმდა.

- აქ რას აკეთებ შობის კვირაძალს? - მკაცრად შეეკითხა მას ავი სული.

- საფლავის... საფლავის ამოსათხრელად მოვედი, სერ, - წამოილუღლუღა გაბრიელ გრაბმა.

- მერე და ასეთ ღამეს რომელი სულიერი დაეხეტება სასაფლაოზე? - შეეკითხა კვლავ ავი სული.

- გაბრიელ გრაბი, გაბრიელ გრაბი! - გამკივანი ხმით იწივლა უცნაური ხმების გუნდმა და ერთბაშად მთელი სასაფლაო თითქოს უჩინარი სულებით აივსო.

შეშინებულმა გაბრიელმა აქეთ-იქით გაიხედა, მაგრამ ვერავინ დაინახა.

- მაგ მათარაში რა გაქვს? - შეეკითხა ავი სული.

- ჰოლანდიური არაყი, - უპასუხა მესაფლავემ და მთელი ტანით აცახცახდა. საქმე ის არის, რომ ეს არაყი კონტრაბანდისტებისგან ეყიდა და ახლა უეცრად თავში გაუელვა - ვინ იცის, ეს უცნაური არსება ავი სულების საბაჟო განყოფილებაში მსახურობსო.

- მერედა, ვინ სვამს არაყს მარტოდმარტო, სასაფლაოზე, ისიც ასეთ ღამეს? - წარმოთქვა ავმა სულმა.

- გაბრიელ გრაბი, გარბიელ გრაბი! - დასძახა კვლავ გამყივანი ხმების გუნდმა.

ავმა სულმა გაბრიელს ბოროტად გაუკრიჭა და ხმა აიმაღლა.

- მაშ, ვინ არის ჩვენი კანონიერი და ღირსეული მსხვერპლი?

ამ შეკითხვის გაგონებაზე უჩინარმა გუნდმა ისეთი დამაყრუებელი ხმით შემოსძახა, თითქოს მისი წევრები ეკლესიის ორგანის მძლავრ ამოძახილს ამოჰყვაო. გაოგნებულ მესაფლავეს ეგონა, რომ ეს საშინელი ჰანგი უთუოდ იმ გრიგალმა გააჩინა, რომელიც დროდადრო სასაფლაოზე დათარეშობდა, მაგრამ პასუხის შინაარსი იგივე იყო.

- გაბრიელ გრაბი, გაბრიელ გრაბი! - გუგუნებდნენ სულები.

ავმა სულმა უფრო საზარლად დაკრიჭა კბილები და წამოიძახა:

- კეთილი, გაბრიელ, აბა, ამაზე რაღას იტყვი?

მესაფლავეს სუნთქვა შეეკრა.

- აბა, ამაზე რაღას იტყვი, გაბრიელ? - გაიმეორა ავმა სულმა, საფლავის ქვის ორთავე მხარეს ჰაერში ტლინკები გაისროლა და დაგრეხილწვერებიან ფეხსაცმელს ისეთი სიამოვნებით გადახედა, თითქოს ბონდ-სტრიტში შეკერილ წყვილს უმზერს და ყურებით ვერ დამტკბარაო.

- ძალიან... ძალიან უცნაურია, სერ, - მიუგო შიშისაგან ცოცხალ-მკვდარმა მესაფლავემ, - ძალიან უცნაურია... და ლამაზიც... მაგრამ ახლა კი სჯობს სამუშაო მოვათავო... ბოდიშს ვიხდი, სერ.

- სამუშაო? - წამოიძახა ავმა სულმა, - რომელი სამუშაო?

- საფლავი, სერ... საფლავი უნდა ამოვთხარო, - წაილუღლუღა მესაფლავემ.

- ოჰ, საფლავი, ჰა, ჰა, ჰა! - ჩაიხითხითა სულმა, - მერედა, ვინა თხრის საფლავს ასეთ დროს, როდესაც ყველანი მხიარულობენ და დროს ატარებენ?

იდუმალი ხმების გუნდმა კვლავ დასძახა:

- გაბრიელ გრაბი, გაბრიელ გრაბი!

- ვგონებ, ჩემს მეგობრებს შენ უნდიხარ, გაბრიელ, - სთქვა ავმა სულმა და გაბრიელს ენა გამოუყო. უცნაური ენა ჰქონდა, ძალიან გრძელი და წვეტიანი.

- ვგონებ, ჩემს მეგობრებს შენ უნდიხარ, გაბრიელ, - კვლავ გაიმეორა ავმა სულმა.

- შემიბრალეთ, სერ, - მიუგო შიშით ზარდაცემულმა მესაფლავემ, - მე... მე... არა მგონია, რომ მე ვუნდოდე... არც კი მიცნობენ, სერ. არა მგონია, რომ ამ ჯენტლმენებს ოდესმე თვალით ვენახო, სერ.

- ო, გიცნობენ, როგორ არ გიცნობენ, - მიუგო ავმა სულმა, - ჩვენ კარგად ვიცნობთ ადამიანს, რომელიც მუდამ მოღუშული დადის, მუდამ პირქუშად შეკრული აქვს წარბი, რომელიც ამ წმინდა ღამეს ბოროტი თვალით ზვერავდა ბავშვებს და უფრო მაგრად ჩასჭიდა ბარის ტარს ხელი. კარგად ვიცნობთ იმ ადამიანს, რომელმაც ორღობეში მაგრად გალახა პატარა ბიჭი, იმისთვის, რომ იგი მხიარულად იყო, რომ მას შეეძლო მხიარულება და ამ კაცს, გაბრიელ გრაბს, კი არ შეეძლო. იგი ამ უნარს მოკლებულია. ააბა, მითხარი, არ ვიცნობთ ამ კაცს? ძალიან კარგადაც ვიცნობთ.

აქ ავმა სულმა ყურთასმენის წამღები ხმით გადაიხარხარა და ეს ხარხარი გამოძახილებმა გააასკეცეს. უწმინდურმა კვლავ ჰაერში აყარა ტლინკები და მალაყი გააკეთა, ან უფრო სწორად რომ ვთქვათ, წვეტიანი ქუდის ბოლოთი ყირამალა დადგა. საფლავის ქვის ვიწრო კიდეზე, საიდანაც საოცარი სიმარჯვით ჰაერში შეიკუნტრუშა, პირდაპირ გაბრიელის წინ დახტა და ზედ მესაფლავის ფეხზე მოიკალათა.

- მე... მე... ვწუხვარ... - კვლავ წაილუღლუღა მესაფლავემ და ნაბიჯის გადადგმა სცადა.

- ჩვენ დაგვტოვებ? - წამოიძახა უწმიდურმა, - გაბრიელ გრაბი ჩვენს დატოვებას აპირებს. ჰა, ჰა, ჰა!

ავმა სულმა გაიცინა და მესაფლავემ წუთით მბრწყინავი შუქი შენიშნა ეკლესიის ფანჯრებში, თითქოს ეკლესია შიგნიდან ვიღაცას გაენათებინოს. შუქი გაქრა, ორგანმა მხიარული ჰანგი დასძახა და იმ წუთშივე ავი სულების დიდრონი გუნდები, პირველი უწმინდურის ზუსტი განსახიერებანი, ეკლესიის ეზოს მოეჯარა. სულები საფლავის თავზე ათურმას თამაშს შეუდგნენ. ისინი ერთი წუთითაც არ ჩერდებოდნენ, რომ სული მოეთქვათ და საოცარი სიმარჯვით ყველაზე მაღალ ქვას ახტებოდნენ ერთიმეორის მიყოლებით. ყველაზე მარჯვედ პირველი სული გადადიოდა ყირაზე. ხტომაში მას ვერავინ სჯობდა. თუმცა მესაფლავე საშინლად გაოგნებული იყო, მაინც შეამჩნია, რომ მაშინ, როდესაც სხვა სულები ჩვეულებრივი ზომის ქვებს ახტებოდნენ, პირველი მარტო საგვარეულო აკლდამებს არჩევდა და რკინის გალავანზე ისე მსუბუქად გადადიოდა, თითქოს ისინი ქუჩის გადასასვლელები ყოფილიყვნენ მხოლოდ.

თამაში ძალიან გახურდა, უმაღლეს წერტილს მიაღწია. ორგანი სულ უფრო და უფრო სწრაფად უკრავდა და სულებიც უფრო და უფრო სწრაფად ხტოდნენ, იგრიხებოდნენ, მიწაზე მალაყს გადადიოდნენ და საფლავის ქვებზე ბურთივით მიგორავდნენ. მესაფლავეს გონება აერია, მის თვალწინ ყოველივე სწრაფად დატრიალდა. საცოდავს მუხლები ეკეცებოდა, როდესაც სულები წინ ჩაუქროლებდნენ ხოლმე. უეცრად, პირველმა სულმა მისკენ ისკუპა, საყელოში ჩაებღაუჭა და... ორივენი მიწამ შთანთქა.

ერთი წამით დაცემის სისწრაფემ გაბრიელს სუნთქვა მოსტაცა, გონება აურია. როდესაც სული მოითქვა, დაინახა, რომ უზარმაზარ, გამოქვაბულის მაგვარ ადგილას იმყოფებოდა. ყო-

ველი მხრით პირქუში, საზარელი სულების გუნდები ერტყა. გამოქვაბულის შუაგულში, ამაღლებულ ტახტზე დაბრძანებულიყო მისი მეგობარი, რომელიც პირველად გამოელაპარაკა მას. მასთან სულ ახლოს დამბლადაცემულივით თვითონ გაბრიელ გრაბი დგას.

- ცივი საღამოა, - წარმოთქვა ავი სულების მეფემ, - ძალიან ცივი. ერთი, თბილი სასმისი მოგვართვით.

მის ბრძანებაზე ექვსიოდე მსახური, რომელთაც სახეზე ცივი ღიმილი შეჰყინვოდათ და რომელნიც, როგორც გაბრიელ გრაბი მიხვდა, სულებს შორის ყველაზე მარდი მუშები უნდა ყოფილიყვნენ, სწრაფად სადღაც გაქრნენ, მაგრამ უმალვე მობრუნდნენ თასებით ხელში. თასებში გამდნარი ცეცხლი ლივლივებდა. მსახურებმა სასმისი მეფეს მიართვეს.

- ო, დიდებულია! - წარმოთქვა მეფემ და ცეცხლს პირდაპირ პირში გადაუძახა. სმის დროს ლოყები და ყელი ნათურასავით გაუნათდა. - მართლაც საუცხოოდ ახურებს! - გაიმეორა მან, - აბა, ახლა ისეთივე თასი მისტერ გაბრიელ გრაბსაც მიართვით.

ამაოდ არწმუნებდა საბრალო მესაფლავე, რომ ღამით არასოდეს „შემახურებელ სასმელს“ არ მიირთმევდა. ერთმა სულმა მკლავებში დაიკავა უბედური და მეორემ ცეცხლოვანი სითხე შიგ ყელში ჩაასხა. მთელ საზოგადოებას სიცილი წასკდა, როდესაც ცხელ-ცხელი სასმლისგან გაბრიელს თვალებიდან ცრემლები გადმოსცვივდა, სული შეეხუთა და ხველა აუტყდა.

- ახლა, - დაიწყო მეფემ და თავიშაქრის მსგავსი ქუდი შიგ თვალში ატაკა გაბრიელს. საბრალომ საშინელი ტკივილი იგრძნო, - ახლა ამ საცოდავ პირქუშ არსებას აჩვენეთ რამდენიმე სურათი, რომელიც ჩვენს საგანძურში ინახება.

წარმოთქვა თუ არა ეს სიტყვები სულების მეფემ, უეცრად სქელი ღრუბელი, რომელიც გამოქვაბულის შორეულ კუთხეს ფა-

რავდა, თანდათანობით გაიფანტა და თითქოს დიდ მანძილზე ყოფილიყოს, გამოჩნდა პატარა, ღატაკად მოწყობილი ოთახი. გიზგიზა ცეცხლთან თავი მოეყარა პაწია ბავშვების ხროვას, რომელნიც დედის კალთას ეკიდებოდნენ და მისი სკამის გარშემო დახტოდნენ. დროდადრო დედა დგებოდა, ფანჯარაზე ფარდას გადასწევდა, თითქოს ვიღაცას ელოდებოდა. მაგიდაზე ღარიბული ვახშამი იყო გაწყობილი და ცეცხლის პირას გამზადებული სავარძელი იდგა. გაისმა კაკუნი. დედამ საჩქაროდ კარი გამოაღო, შემოვიდა მამა. მხიარული კიჟინით შემოეხვივნენ ბავშვები. სიხარულით სულ ტაშსა სცემდნენ. მამა დაღლილი იყო, თავით ფეხამდე დასველებული. მან ტანისამოსიდან თოვლი ჩამოიბერტყა, ბავშვებმა კი ხელი დაავლეს სველ მოსასხამს, ქუდს, ჯოხსა და ხელთათმანებს და ოთახიდან გაარბენინეს. როდესაც მამა ცეცხლის პირას დაჯდა სუფრასთან და ვახშმის ჭამას შეუდგა, ბავშვები მამას მუხლებზე აუცოცდნენ, დედამ კი გვერდით მოიკალათა. ეს სურათი ბედნიერებისა და მყუდროების ჭეშმარიტ განსახიერებას წარმოადგენდა.

უეცრად სანახაობა შეიცვალა. ახლა პატარა საწოლი ოთახი გამოჩნდა, სადაც საწოლზე მშვენიერი, ნორჩი ბავშვი იწვა. მომაკვდავი, ლოყებზე ვარდები დასჭკნობოდა, თვალებში სინათლე აღარ უკრთოდა. მესაფლავეს გულში რაღაც აეშალა, უწინ არასოდეს მოსვლია ასე. ბავშვს დააცქერდა. ყმაწვილი მოკვდა. მისი პაწია დები და ძმები საწოლს შემოეხვივნენ, ხელი სტაცეს ბავშვს, მაგრამ წამსვე ელდანაკრავივით უკან გადახტნენ, ცივი რომ მოხვდათ ხელში. ძმის ნორჩ სახეს შიშით დააცქერდნენ. ძამიკოს მშვიდად ეძინა თითქოს, მაგრამ ბავშვებმა შეამჩნიეს, რომ მკვდარი იყო. ახლა იგი უკვე ანგელოზად ქცეულიყო, ნათელი და ბედნიერი ზეციდან დაჰყურებდა თავისიანებს და ლოცავდა თავის პატარა ძმებსა და დებს.

სურათს მსუბუქმა ღრუბელმა გადაუარა და მესაფლავის თვალწინ კვლავ ახალი სანახაობა გადაიშალა. დედა და მამა მოხუცდნენ, უმწეოდ სხედან სავარძელში. მათ გარშემო მყოფი შვილების რიცხვიც ნახევრამდე შემცირდა, მაგრამ ყველას სახეზე კმაყოფილებასა და ბედნიერებას ამოიკითხავთ. თვალებში სიხარული უკრთით, ოჯახს კვლავ ცეცხლის პირას მოუყრია თავი და თითოეული გულისყურით უსმენს წარსული წლების ამბებს. მშვიდად განისვენა საფლავში მამამ და მალე მას მისი ზრუნვისა და დარდების მოზიარე მიჰყვა თან სამუდამო განსვენების ადგილს. შვილებმა მათ საფლავებთან მოიყარეს თავი და ცრემლით დანამეს მოლი, რომელიც მშობლების სამარეს ჰფარავდა. მერე ფეხზე წამოდგნენ და ნაღვლიანები სახლისკენ გაბრუნდნენ. მწარედ არ მოსთქვამდნენ, სასოწარკვეთით არ გოდებდნენ, რადგან იცოდნენ, რომ ერთ მშენიერ დღეს კვლავ მაღლა ზეცაში შეხვდებოდნენ. კვლავ შეერივნენ ახალგაზრდები ფუსფუსა ქვეყანას და კვლავ მათ გულში სიხარულმა და კმაყოფილებამ დაისადგურა.

სურათი ისევ ღრუბლის ქვეშ მიიმალა.

- აბა, ეს როგორ მოგწონთ? - შეეკითხა სულების მეფე გაბრიელს და ბრტყელი სახე მესაფლავისკენ შეაბრუნა.

გაბრიელმა წაილუღლუღა „ძალიან ლამაზიაო“ და თვითონვე შერცხვა, როდესაც მეფეს თავისი ცეცხლოვანი თვალებით ჩააშტერდა.

- შე საცოდავო! - ზიზღით შესძახა მან, - შე... - თითქოს კიდევ რაღაცის დამატება უნდოდა, მაგრამ ბრაზისგან მეტყველების უნარი წაერთვა, კინაღამ დაიხრჩო. მან მაღლა ასწია საოცრად მოქნილი ფეხი, ჰაერში გააქნია, რომ უფრო უკეთ დაემიზნებინა და, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, გაბრიელ გრაბს წიხლი ამოარტყა. წამსვე უბედურ მესაფლავეს სულები შემოეხვივნენ და ცემა

დაუწყეს. ურტყეს, უწყალოდ ურტყეს, რადგან კარგად მოგეხსენებათ, რომ დიდებულ კარისკაცებს აქ, ამ ქვეყანაში, წესად აქვთ მიჩნეული, წიხლს იმასაც ჰკრავენ, ვისაც მეფე ჰკრავს ხოლმე და იმას მოეფერებიან, ვისაც მეფე ეფერება.

- კიდევ აჩვენეთ რამდენიმე სურათი! - ბრძანა სულების მეფემ.

ამ სიტყვებთან ერთად, შორეულ კუთხეში, კვლავ გადაიყარა ღრუბელი და გამოჩნდა ბუნების წარმტაცი სურათი, ზუსტად ისეთი, როგორიც აქ, ქალაქიდან სულ ნახევარი მილის დაშორებით შეგიძლიათ თქვენი თვალით ნახოთ. უღრუბლო, კაშკაშა ცაზე მზე ანათებდა და მისი ოქროსფერი სხივების შუქზე მდინარე ბრწყინავდა. ხეების მწვანე სამოსელი უფრო ჩამუქებულიყო და ყვავილებიც ნაზად როკავდნენ, უფრო ლაღად, უფრო მხიარულად. წყალი საამო ხმაზე რაკრაკებდა და თვით ხეებიც ოდნავ შრიალებდნენ ნიავისგან, რომელიც ფოთლებს შორის ჩურჩულებდა. ტოტებზე ჩიტები გალობდნენ და მაღლა, ცის ლაჟვარდში ტოროლა სიმღერით ესალმებოდა ახლად თვალახელილ დილას. დიახ, დილა გახლდათ ბრწყინვალე, ზაფხულის სურნელოვანი დილა. სულ პაწია ფოთოლიც თრთოდა, ბალახის ღეროც კი ლაღობდა და სიცოცხლის ძალას იკრებდა. აგერ, ჭიანჭველა მიცოცავს ყოველდღიური ჯაფის გასაწევად, პეპელაც დაფარფატებს და მზის მცხუნვარე სხივებში თბება. ათასობით მწერი შლის გამჭვირვალე ფრთებს, ლაღად დაფრინავს ყვავილების სურნელებით მოფენილ ლაჟვარდში და თავისი მოკლე, მაგრამ ბრწყინვალე სიცოცხლით ტკბება. ბილიკზე კაცი მოდის. ხარბად ისუნთქავს გამჭვირვალე ჰაერს და გზადაგზა წარმტაცი სანახაობით ტკბება...

- შე საცოდავო! - წამოიძახა სულების მეფემ და მის ხმაში ახლა უფრო ძლიერი ზიზღი გაისმა. კვლავ ფეხი აიქნია და მესაფლავეს შიგ ზურგში უთაქა. სულებმაც ზუსტად გაიმეორეს იგივე.

კიდევ მრავალჯერ გაიფანტა ღრუბელი, მრავალჯერ გადაეფარა ნაირფეროვან სურათებს და ამ ხნის განმავლობაში ბევრი რამ ჭკუის სასწავლებელი ნახა გაბრიელ გრაბმა თავისი თვალით. მესაფლავეს ტკივილისაგან სულ ბეჭები ეწვოდა და მაინც დაძაბული ინტერესით ადევნებდა თვალს სურათებს. ეს ინტერესი იმდენად ძლიერი იყო, რომ მას ვერავითარი ტკივილი, ვერავითარი სიმწარე ვერ გააქრობდა, ვერ ჩაკლავდა. მან დაინახა, რომ ის, ვინც ბევრს შრომობდა და ღარიბ ლუკმას შოულობდა, ბედნიერი და მხიარული იყო მთელი სიცოცხლის განმავლობაში. მისთვის ბუნების მშვენიერი სახე მუდამ ნეტარების დაუშრეტელ წყაროს წარმოადგენდა. იგი დარწმუნდა, რომ ის, ვისაც ფაქიზად ზრდიდნენ, გაჭირვებაში მუდამ მხიარული და მხნე რჩებოდა. მას ვერას აკლებდა ისეთი დიდი ტანჯვაც კი, რომელიც უფრო უხეშად აღზრდილს ნამდვილად გაანადგურებდა, მოსპობდა, რადგან ფაქიზი ადამიანის გულში ღრმად იყო ჩამარხული ბედნიერების, კმაყოფილებისა და მშვიდობის მარცვლები. მან შენიშნა, რომ ქალები, ღმერთის მიერ გაჩენილ არსებათა შორის ყველაზე ნაზი და სუსტი ქმნილებანი, უფრო ხშირად სძლევდნენ ნაღველს, გასაჭირსა და უბედურებას. ეს კი იმიტომ ხდებოდა, რომ, როგორც გაბრიელი დარწმუნდა, მათ გულში სიყვარულისა და ერთგულების დაუშრეტელი ცეცხლი ენთო. გარდა ამისა, დაინახა, რომ მასავით პირქუში, მობუზღუნე კაცი, რომელიც სხვებს სიხარულსა და ბედნიერებას უხშობდა, სარეველა ბალახსა ჰგავდა და თავისი არსებობით დედამიწის მშვენიერ მკერდს აუშნოებდა. ბოლოს, როდესაც ამდენი სიკეთე ამდენ ბოროტებას დაუპირისპირა, იმ დასკვნამდე მივიდა,

რომ მიუხედავად ამდენი ტანჯვა-ვაებისა, ქვეყანა მაინც უზომოდ კარგი ყოფილა. როგორც კი ეს დასკვნა გამოიტანა, ღრუბელი, რომელმაც უკანასკნელი სურათი დაფარა, წამსვე გაბრიელის გრძნობა-გონებასაც გარს შემოეკრა და ბურანში გახვია. სულები სათითაოდ გაქრნენ თვალიდან და როდესაც უკანასკნელიც მიიმალა, მესაფლავეს ღრმად ჩაეძინა.

უკვე კარგა ხნის გათენებული იყო, როდესაც გაბრიელ გრაბს გამოეღვიძა. გაიხედ-გამოიხედა, საფლავის ქვაზე იწვა გაშხლართული ეკლესიის ეზოში. მის გვერდით წნულშემოვლებული მათარა ეგდო, ცარიელი. პალტო, ბარი და ნათურა, რომელიც ღამის ყინვისაგან სულ გადათეთრებულიყო, იქვე გაფანტულიყო. საფლავის ქვა, რომელზედაც მან პირველად შენიშნა ავი სული, ახლა სვეტივით ამართულიყო მის წინ, დაუმთავრებელი საფლავი პირდაღებული იყურებოდა შორიახლოს. გაბრიელი ჯერ შეეჭვდა, ეს ამბები მართლა გადამხდა თუ დამესიზმრაო, მაგრამ ადგომა რომ დააპირა, ბეჭებში მწვავე ტკივილი იგრძნო. ახლა კი დარწმუნდა, რომ ავი სულების ტლინკები მარტო ზმანება არ ყოფილა. უეცრად მოაგონდა, რომ სულები ათურმას თამაშობდნენ წინა ღამეს და ნაკვალევს დაუწყო ძებნა, მაგრამ ვერაფერი შეამჩნია და თავში კვლავ ეჭვმა გაუელვა. არ გასულა დიდი ხანი და ეს უკანასკნელი ეჭვიც გაიფანტა. გაბრიელს გაახსენდა, რომ მოთამაშენი სულები იყვნენ და თოვლში თვალსაჩინო ანაბეჭდს ვერც დატოვებდნენ. მესაფლავე გაჭირვებით წამოდგა ფეხზე. ზურგი საშინლად სტეხდა და აწუხებდა. გაბრიელმა პალტოდან ყინული ჩამობერტყა, ჩაიცვა და ქალაქისკენ გასწია.

მაგრამ, ბატონებო, ძველი გაბრიელ გრაბი აღარ არსებობდა. იგი ახლოსაც არ იკარებდა იმ ფიქრს, რომ კვლავ იმავე ადგილს დაუბრუნდებოდა, სადაც მის მონანიებას დასცინებდნენ, სადაც მასში მომხდარ გარდატეხას არც ერთი სულიერი არ

დაუჯერებდა. მაინც ერთხანს ყოყმანობდა, უმძიმდა მშობლიური კუთხის დატოვება. ბოლოს გადაწყვიტა, და გასწია იქით, სადაც ლუკმაპურის შოვნას შესძლებდა. მეტი მას ამქვეყნად არაფერი უნდოდა.

დღისით ნათურა, ბარი და წნულშემოვლებული მათარა ეკლესიის ეზოში იპოვეს. ჯერ დიდი მითქმა-მოთქმა ატყდა, თუ რა ბედი ეწია მესაფლავეს, მაგრამ მალე ერთხმად გადაწყვიტეს, უთუოდ სულებმა გაიტაცესო. მოწმენიც კი გამოჩნდნენ, რომლებიც ამტკიცებდნენ: ჩვენი თვალით ვნახეთ, როგორ მიქროდა გაბრიელი ჰაერში ცალთვალა წაბლაზე წამოსკუპულიო. ამ ცხენს თურმე უკანა ფეხები ლომისა ჰქონდა და კუდი კი - დათვისა. დრო გავიდა და ეს ამბავი ყველამ დაიჯერა. ჭორი სიმართლედ იქცა. ახალი მესაფლავე მცირე გასამრჯელოს ფასად ყოველ ცნობისმოყვარე მოგზაურს აჩვენებდა ფლუგერის მოზრდილ ნაჭერს, რომელიც თურმე ზემოხსენებულმა ცხენმა ფრენის დროს წიხლით ჩამოაგდო ძირს, და მან, მესაფლავემ, ერთი თუ ორი წლის შემდეგ ეკლესიის ეზოში იპოვა.

სამწუხაროდ, ამ ამბების ჭეშმარიტება ერთმა გარემოებამ შეარყია. გავიდა ათი წელი და საიდუმლოდ დაკარგული გაბრიელ გრაბი კვლავ იმ ქალაქში გამოჩნდა. საცოდავი, ქარებით დაავადებულიყო, თავით ფეხამდე სულ შემოფლეთოდა სამოსი, მაგრამ ეტყობოდა, ძალიან ბედნიერად და კმაყოფილად გრძნობდა თავს. გაბრიელმა თავისი თავგადასავალი ქალაქის მერსა და მღვდელს მოუყვა. გავიდა დრო. ეს ამბავი უკვე ნამდვილ ისტორიად იქცა და ჩვენამდეც ამ სახით მოაღწია. ისინი, ვინც ფლუგერის ამბავი დაიჯერა, რადგან რწმენა უკვე ერთხელ შეერყათ, ასე ადვილად უკვე ვეღარ ურიგდებოდნენ რაიმე ახალ მოსაზრებას. ისინი მხრებს ეჭვით აიჩეჩენ, შუბლზე ხელს გადაისვამენ და რაღაც გაურკვეველს ბუზღუნებენ იმის შესახებ, ვითომც გაბრი-

ელ გრაბმა მთელი ბოთლი ჰოლანდიური არაყი დაცალა და საფლავის გამოქვაბულში მას არაფერი უნახავსო. უბრალოდ, ქვეყანა ნახა და დაჭკვიანდაო. მაგრამ ეს შეხედულება ხალხმა არ გაიზიარა და დროთა სვლაში იგი ჩაკვდა. ასე იყო თუ ისე, გაბრიელ გრაბი სამუდამოდ დაავადმყოფდა ქარებით... ყოველ შემთხვევაში, ეს ამბავი ერთ რამეს გვასწავლის. თუ ადამიანი შობის საღამოს მოიღუშება, მარტოდმარტო დაიწყებს სმას, იგი, შესაძლოა, თვითონვე დარწმუნდეს, რომ უხასიათობა მას სიკეთეს არასოდეს მოუტანს, სულებმა კიდევაც რომ თავს არ იდონ მისი გამოსწორება, მით უფრო, რომ საერთოდ ძნელი დასაჯერებელია ისეთი სულების არსებობა, როგორიც გაბრიელ გრაბმა გამოქვაბულში ნახა.

თავი XXX

როგორ გაიცნეს და გააღრმავეს ნაცნობობა პიკვიკელებმა ორ სასიამოვნო ახალგაზრდასთან, რომელნიც ერთ-ერთ თავისუფალ პროფესიას ეკუთვნოდნენ, როგორ გაერთნენ ყინულზე სრიალით და როგორ დამთავრდა მათი სტუმრობა უორდლებთან

- ნეტავ, კიდევ ყინავს, სემ? - ჰკითხა მისტერ პიკვიკმა მისტერ უელერს, როგორც კი საყვარელი მსახური თბილი წყლით სავსე თასით ოთახში შემოვიდა.

- პირსაბანში წყალი გაიყინა, სერ, - მიუგო სემმა.

- ოჰ, კაი მაგარი სიცივე ყოფილა, სემ - თქვა მისტერ პიკვიკმა და ჩაჩი შეიხსნა.

- ბატონი ბრძანდებით, სერ, - მიუგო სემმა, - დაბლა სობოუნზების წყვილი გელოდებათ, სერ.

- სობოუნზების წყვილი? - შესძახა მისტერ პიკვიკმა და საწოლში წამოჯდა, - კი, მაგრამ სობოუნზი რაღა არის? - ჰკითხა მისტერ პიკვიკმა მცირეოდენი პაუზის შემდეგ. მას წარმოდგენა არ ჰქონდა, ეს სობოუნზი ცოცხალი არსება იყო თუ რაიმე კერძის სახელწოდება.

- რაო? განა არ იცით რა არის სობოუნზი? - წამოიძახა მისტერ უელერმა, - მე მეგონა, ყველამ იცის-მეთქი. სობოუნზი ხომ ექიმს ნიშნავს, ექიმს.

- ექიმს? - გაიმეორა მისტერ პიკვიკმა და გაიღიმა.

- არც მეტი და არც ნაკლები, სერ, - მიუგო სემმა, - მაგრამ ესენი, ეტყობა ჯერ კარგად არ არიან გაწვრთნილნი. სწავლობენ ჯერ.

- მოკლედ რომ ვთქვათ, სემ, ეგენი საექიმო ფაკულტეტის სტუდენტები ყოფილან, არა, სემ? - შეეკითხა მისტერ პიკვიკი.

სემმა თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია.

- ო, ეგ ამბავი ძალიან მესიამოვნა, - შესძახა მისტერ პიკვიკმა და რაც ძალი და ღონე ჰქონდა, ჩაჩი საბანზე დაანარცხა, - ჩინებული ყმაწვილები არიან ეგ მკურნალები, ჩინებული. ბევრი დაკვირვებისა და ფიქრისგან საუცხოოდ აქვთ განვითარებული მსჯელობის უნარი. ბევრი კითხვისა და სწავლისგან გემოვნებაც ზედმიწევნით დახვეწილი აქვთ. მათი გაცნობა, სწორი გითხრა, ძალიან მიხარია.

- გაჩაღებულ ბუხართან სიგარებს ეწევიან, - დასძინა სემმა.

- ო, რომ იცოდე, როგორ მიყვარს, როცა ვუყურებ, თუ როგორ ეძლევა ადამიანი განცხრომასა და სულიერ შვებას.

- ერთ-ერთმა მათგანმა უკვე ფეხები მაგიდაზე შეაწყო და არხეინად მიირთმევს ბრენდის, - განაგრძო სემმა, რომელმაც ვერც კი შეამჩნია, რომ ბატონმა სიტყვა გააწყვეტინა, - მეორემ, აი იმან, რომელსაც სათვალე უკეთია, ლოკოკინების ქილა ჩაიგდო ხელში, ქშენით დაეჯაჯგურა და ძლივს გააღო. ახლა იღებს ქილიდან თითო ლოკოკინას, გულს გემრიელად გამოჭამს და ცარიელ ნიჟარას ბოკვერას ესვრის, ღორმუცელა ბუხრის კუთხეში სამად მოკრუნჩხულა და არხეინად ხვრინავს.

- ო, ეს ჭეშმარიტად გენიოსი ადამიანის ახირებაა, უწყინარი ხუმრობაა მხოლოდ, სემ, - წამოიძახა მისტერ პიკვიკმა, - ახლა შეგიძლია წაბრძანდე.

სემმა წაბრძანება არ დააყოვნა. თხუთმეტ წუთში მისტერ პიკვიკიც სასაუზმოდ ჩავიდა.

- მადლობა უფალს, გამოჩენა გეღირსათ, - შეეგება მისტერ უორდლი მეგობარს, - პიკვიკ, ეს მის ალენის ძმა გახლავთ, მისტერ ბენჯამინ ალენი, მოკლედ, ბენს ვეძახით. თუ ინებებთ, თქვენც ასე უწოდეთ. ეს ჯენტლმენი კი მისი საუკეთესო მეგობარი გახლავთ, მისტერ...

- მისტერ ბობ სოიერი, - მიეშველა მასპინძელს მისტერ ბენჯამინ ალენი და ორივეს, მისტერ ბობ სოიერსაცა და მისტერ ბენჯამინ ალენსაც, გულიანად გაეცინათ.

მისტერ პიკვიკმა თავაზიანად დაუკრა თავი ბობ სოიერს და მისტერ ბობ სოიერმაც ასევე უპასუხა მისტერ პიკვიკს. ბობი და მისი საუკეთესო მეგობარი კვლავ მადიანად შეექცნენ საუზმეს და მისტერ პიკვიკსაც საშუალება მიეცა, კარგად დაეთვალიერებინა საექიმო ფაკულტეტის ეს ღირსშესანიშნავი წარმომადგენელნი.

მისტერ ბენჯამინ ალენი მსხვილი, ჩასკვნილი ყმაწვილი იყო, მოკლედ შეკრეჭილი შავი თმით და მოგრძო თეთრი პირისახით. იგი სათვალესა და თეთრ ყელსახვევს ატარებდა. ყელამდე შეკრული ერთკალთიანი სერთუკის ქვემოდან წინწკლებიან შარვალში გამოწყობილი ფეხები მოუჩანდა, რომლებიც ცუდად გაპრიალებული ყელიანი ფეხსაცმელებით მთავრდებოდა. სერთუკის სახელოები მოკლე იყო მისი გრძელი მკლავებისთვის, მათ ქვემოდან კი მაინც არ ჩანდა მანჟეტები, არც პერანგის საყელოს ნასახი, თუმცა მაღალი კისერი ამის საშუალებას იძლეოდა. მოკლედ რომ ვთქვათ, ყმაწვილს დახავსებული იერი ჰქონდა და თავით ფეხამდე კუბის იაფფასიანი სიგარის სურნელება ასდიოდა.

მისტერ ბობ სოიერს უხეში შალის ლურჯი სერთუკი ეცვა, რომელიც არც პალტოდ გამოდგებოდა და არც სერთუკად ვარგოდა, მაგრამ ეტყობა შეთავსებით ორივეს მაგივრობას ეწეოდა. ეს სამოსი ყმაწვილს იმ დაუდევარი ფრანტის შესახედაობას აძ-

ლევდა, რომელიც დღისით ქუჩაში უდარდელად აბოლებს სიგარას და ღამით კი იმავ ადგილას, შემთვრალი, მხიარულად გაჰკივის ნაირ-ნაირ სიმღერებს, რესტორნებში მსახურებს პირდაპირ სახელით მიმართავს და სხვა ამგვარ გმირობასა და ეშმაკურ ოინს სჩადის. ბობ სოიერს უჯრედებიანი შარვალი და ფართო ჟილეტი ეცვა. ქუჩაში გასვლისას ხელთ ეპყრა მსხვილთავიანი დიდი ჯოხი. ხელთათმანებს მაინცდამაინც არ სწყალობდა. საერთოდ, თავით ფეხამდე თავაწყვეტილ რობინზონ კრუზოს წააგავდა.

ასეთი გახლდათ ორი ღირსშესანიშნავი პიროვნება, რომელნიც მისტერ პიკვიკმა შობის დილას გაიცნო.

- საუცხოო დილაა, ბატონებო, - შენიშნა მან.

მისტერ ბობ სოიერმა ოდნავ დახარა თავი; ამით მოსაუბრეს ანიშნა, სრულიად გეთანხმებითო. მისტერ ბენჯამინ ალენმა კი პასუხის ნაცვლად პატივცემულ პიკვიკს სთხოვა, გეთაყვა, მდოგვი გადმომაწოდეთო.

- შორიდან მოხვედით ამ ადგილას, ბატონებო? - შეეკითხა სტუმრებს მისტერ პიკვიკი.

- მაგლტონის „ლურჯი ლომიდან“ გეახელით, - მოკლედ მოუჭრა მისტერ ალენმა.

- ნეტავ გუშინ ყოფილიყავით აქ, - თქვა მისტერ პიკვიკმა.

- ვაპირებდით მოსვლას, - მიუგო სოიერმა, - მაგრამ იმ დალოცვილ სასტუმროში მეტად კარგი ბრენდი აღმოაჩნდათ, დატოვება დაგვენანა... ასე არ იყო, ბენ?

- ოღონდაც, - კვერი დაუკრა მისტერ ბენჯამინ ალენმა, - არც სიგარები გახლდათ ურიგო. ღორის კატლეტიც ჩინებული იყო. ასე არ იყო, ბობ?

- ჭეშმარიტად, - ბანი მისცა ბობმა და მეგობრებმა მეტი ხალისით შეუტიეს საუზმეს. ეეტყობა, წინა ღამის ვახშმის მოგონებამ გემო შემატა საჭმელს.

- მაგრად იმუშავე, ბობ, - გადასძახა მისტერ ალენმა მეგობარს წაქეზების მიზნით.

- ვმუშაობ კიდეც, - მიუგო ბობ სოიერმა და, უნდა გულწრფელად ვაღიაროთ, მართლაც არ უთქვამს ტყუილი.

- მადის მოყვანა თუ გინდათ, მერწმუნეთ, გვამების გაკვეთას არაფერს სჯობს, - აღნიშნა ბობ სოიერმა და სუფრას გადაავლო თვალი.

მისტერ პიკვიკი ოდნავ შეკრთა.

- სხვათა შორის, ბობ, - დაიწყო მისტერ ალენმა, - ის ფეხი უკვე მოათავე?

- თითქმის, - მიუგო ბობ სოიერმა და თეფშზე ნახევარი წიწილა გადმოიღო, - ბავშვისთვის მეტისმეტად ძარღვიანი კი აღმოჩნდა.

- მართლა თუ? - უდარდელად შეეკითხა მისტერ ალენი.

- ძალიან, - უპასუხა პირგამოტენილმა ბობ სოიერმა.

- მე ხელზე ჩავეწერე, - თქვა მისტერ ალენმა, - საერთო თანხით ვშოულობთ გვამს. სიები უკვე თითქმის შეივსო, მაგრამ კაცი ვერ ვიშოვეთ, ვინც თავის აღებას იკისრებს. შენ ხომ არ აიღებ?

- არა, ასეთი ფუფუნება ჩემთვის არაა გამოწერილი, - სიცილით მიუგო ბობ სოიერმა.

- ნუ სულელობ! - შეეპასუხა ალენი.

- არა, მართალს გეუბნები, - მიუგო ბობ სოიერმა, - მარტო ტვინზე უარს არ ვიტყოდი, მაგრამ მთელ თავს კი ვერ დავძლევ.

- შშ... გაჩუმდით, ბატონებო, გთხოვთ, - მიმართა მათ მისტერ პიკვიკმა, - მანდილოსნები მოდიან აქეთ.

მართლაც ამ დროს პეპლებივით შემოფრინდნენ ოთახში მშვენიერი სქესის წარმომადგენელნი. მათ ახლდათ მისტერ სნოდგრასი, მისტერ უინკლი და მისტერ ტაპმენი. ყველანი ის იყო, დაბრუნდნენ დილის სეირნობიდან.

- ოჰ, ბენ! - ძმის დანახვაზე წამოიძახა არაბელამ. მის ხმაში სიხარულის ნაცვლად გაოცება გაისმა.

- ჩამოვედი, რომ ხვალ წაგიყვანო, - უპასუხა ბენჯამენმა.

მისტერ უინკლი გაფითრდა.

- ბობ სოიერს ვერ ხედავ, არაბელა? - უსაყვედურა დას ბენჯამინმა.

არაბელამ კეკლუცად გაუწოდა ხელი ძმის მეგობარს ნიშნად იმისა, რომ მან მოწყალედ შეამჩნია ხსენებული პირის არსებობა. მისტერ უინკლის გული სიძულვილის ისარმა განგმირა, როდესაც ბობმა გამოწვდილი ხელი გულთბილად ჩაბღუჯა.

- ბენ, ჩემო კარგო! - დაიწყო არაბელამ და გაწითლდა, - იცნობ... იცნობ მისტერ უინკლს?

- არა, არ ვიცნობ, მაგრამ ძალიან მოხარული ვიქნები, თუკი გამაცნობ, არაბელა, - მიუგო ბენმა.

ამის შემდეგ მისტერ ალენმა დინჯად დაუკრა თავი მისტერ უინკლს, ხოლო მისტერ უინკლმა და მისტერ ბობ სოიერმა ეჭვით თვალი თვალში გაუყარეს.

შესაძლოა, ორი სტუმრის ჩამოსვლა და უხერხულობა, რომელიც მისტერ უინკლმა და შავთვალა ქალიშვილმა იგრძნეს მათ გამო, მთელ საზოგადოებას წაუხდენდა გუნებას, რომ მისტერ პიკვიკის ჩვეულ მხიარულებასა და კეთილი მასპინძლის გულუხვობას სასურველი ნაყოფი არ გამოეღო. მისმა ხუმრობა--ოხუნჯობამ სწრაფად გაფანტა უკმაყოფილების შავი ღრუბელი. მისტერ უინკლიმ თავის თავი დაარწმუნა, რომ მისტერ ბენჯამინ ალენი ჭეშმარიტად ღირსეული ყმაწვილი იყო და თვით ბობ

სოიერსაც კი მეგობრული საუბარი გაუმართა. უკანასკნელი, ბრენდის ცხოველი გავლენით გაცოცხლებული, უხვი საუზმითა და გულთბილი საუბრით გამხნევებული, საუცხოო გუნებაზე დადგა და ბოლოს სასაცილო ანეკდოტსაც მოჰყვა იმის შესახებ, თუ როგორ მოაცილეს ერთ ჯენტლმენს თავიდან სიმსივნე. თანაც დამსწრე საზოგადოების ჭკუის სასწავლებლად სიტყვები მოქმედებითაც დაასაბუთა, აიღო მრგვალი პურის ერთი მეოთხედი და პატარა დანით შუაზე გადაჭრა.

საუზმის შემდეგ მთელი საზოგადოება ეკლესიისკენ გაემართა. წირვის დროს ბენჯამინ ალენს ტკბილად ჩაეძინა, ხოლო მისტერ ბობ სოიერმა ამქვეყნიური ფიქრები სრულიად მარტივი ხერხით მოიცილა თავიდან. მთელი ამ ხნის განმავლობაში უზარმაზარი ასოებით საკუთარ სახელს ტვიფრავდა ეკლესიის სკამზე.

- ახლა კი, - წარმოთქვა მისტერ უორდლმა, როდესაც სტუმარ-მასპინძელნი სათანადო შესვენების შემდეგ, კვლავ საუცხოო საუზმით დანაყრდნენ და ალუბლის ნაყენსა და მაგარ ლუდსაც სათანადო პატივი სცეს, - ახლა კი რას იტყვით, ეს ერთი საათი სადილობამდე ყინულზე საციგურაოდ რომ წავიდეთ? დრო მაინც საკმაოდ გვაქვს.

- დიდებულია! - შესძახა მისტერ ბენჯამინ ალენმა.

- საუცხოოა, - კვერი დაუკრა მისტერ ბობ სოიერმა, - თქვენ ალბათ საუცხოოდ ციგურაობთ, უინკლ?

- დიახ... დიახ, ჰმ... დიახ, - მიუგო მისტერ უინკლმა, - მაგრამ, ცოტა არ იყოს გადავეჩვიე... დიახ, გადავეჩვიე.

- ო, მისტერ უინკლ, გემუდარებით, გაცურდით, უეჭველად გასრიალდით, მისტერ უინკლ, - შეევედრა არაბელა, - როცა ვუყურებ როგორ სრიალებენ სხვები, სიხარულით პირდაპირ ცას ვეწევი. გაგიჟებით მიყვარს ყურება.

- ო, რა ნარნარი მოძრაობაა, - შენიშნა მეორე ყმაწვილმა ქალმა.

- მართლაც, ძალიან მოხდენილი სპორტია, - კვერი დაუკრა მესამემ.

- პირდაპირ გედის ლივლივს მაგონებს, - წარმოთქვა მეოთხემ.

- დიდი... დიდი სიამოვნებდით შევასრულებ თქვენს თხოვნას, - მიუგო მისტერ უინკლმა მის ალენს და გაწითლდა, - მაგრამ ციგურები რომ არა მაქვს?

ეს დაბრკოლება დაუყოვნებლივ გადალახეს. ჯერ ერთი, ტრანდლს აღმოაჩნდა ზედმეტი წყვილი ციგურები და მეორეც, ბოკვერამ აცნობა, ექვსიოდე ზუსტად ასეთივე წყვილი დაბლა საწყობში ყრიაო. ამაზე მისტერ უინკლმა განაცხადა, ეს პირდაპირ ნეტარებააო, მაგრამ სახეზე რატომღაც ნეტარების ნატამალიც არ დაეტყო.

მოხუცი უორდლი სტუმრებს საციგურაო მოედნისკენ გაუძღვა. მალე საზოგადოება გაყინული წყლის მოზრდილ გუბეს მიადგა. მისტერ უელერმა და ბოკვერამ თოვლი გადახვეტეს და ადგილი მოასუფთავეს.

მისტერ უინკლი აშკარად გაოცდა, როდესაც დაინახა, თუ როგორ მარჯვედ დაიმაგრა ციგურები მისტერ ბობ სოიერმა და მარცხენა ფეხით ყინულზე წრეებისა და რვიანების შემოხაზვას შეუდგა. კიდევ სხვა მრავალი სასიამოვნო და უცნაური წარწერა დახაზა ისე, რომ სულის მოსათქმელად ერთხელაც არ შეჩერებულა. მისმა მოხდენილმა ვარჯიშმა მანდილოსნებისა და დანარჩენი პიკვიკელების დიდი აღტაცება გამოიწვია. ეს აღტაცება ნამდვილ აღფრთოვანებად იქცა, როდესაც მოხუცმა უორდლმა, ბენჯამინ ალენისა და ზემოხსენებული ბობ სოიერის დახმარე-

ბით, ყინულზე რაღაც მისტიკური მოძრაობები შეასრულა. ამ მოძრაობებს თვითონ ცეკვა უწოდა.

ამ ხნის განმავლობაში სიცივისგან გალურჯებული უინკლი ყოველ ღონეს ხმარობდა, რომ როგორმე თასმა ციგურებისთვის გაეყარა. ბოლოს დიდი ვაი-ვაგლახით ციგურები ფეხზე უკუღმა წამოიცვა, თასმები უცნაურად გადახლართა, ისიც მისტერ სნოდგრასის დახმარებით, რომელსაც ამ საქმისა იმდენივე გაეგებოდა, რამდენიც ესმის ინდოეთის რომელიმე ადგილობრივ მოსახლეს. ბოლოს, როგორც იქნა, მისტერ უელერმა თასმები შეუნასკვა ფეხზე და მისტერ უინკლი ფრთხილად წამოაყენა.

- ახლა, სერ, - გამხნევების მიზნით წარმოთქვა სემმა, - ახლა პირდაპირ გასწით და ერთი მაგათ უჩვენეთ, როგორ უნდა ციგურაობა.

- სემ, გეთაყვა, შეჩერდი, თუ ღმერთი გწამს, - წამოიძახა მისტერ უინკლმა.

საცოდავი სპორტსმენი თავით ფეხამდე ცახცახებდა. იგი ისე მაგრად ჩააფრინდა სემს მკლავში, თითქოს წყალში იხრჩობა და გადასარჩენად ხავსს ეჭიდებაო.

- სემ, ძალიან ცურავს! - დაიგმინა მისტერ უინკლმა.

- რა გასაკვირია, სერ? მოლი ხომ არ გეგონათ? ყინულზე უნდა ცურავდეს, მაშ! - მიუგო სემმა, - თავი შეიმაგრეთ, სერ!

ეს უკანასკნელი შენიშვნა იმიტომ დასცდა მისტერ უელერს, რომ მისტერ უინკლმა უეცრად უტყუარი საბუთი წარუდგინა იმისა, რომ, ჰაერში მალაყის გაკეთებასა და ზედ ყინულზე დანარცხებას აპირებდა.

- ესენი... ესენი, სემ, ძალიან ტლანქი ციგურებია, სემ... ტლანქია, არა? - წაილუღლუღა მისტერ უინკლმა და კვლავ წაბარბაცდა.

- ვაითუ, ტლანქი ციგურები კი არა, თვით ციგურების პატრონი გახლავთ, სერ, - მოუჭრა სემმა.

- აბა, უინკლ, - დაუყვირა მისტერ უინკლს მისტერ პიკვიკმა, რომელსაც აზრადაც არ მოსდიოდა, თუ რა გასაჭირში იყო მეგობარი, - აქეთ წამოდით, აქეთ. მანდილოსნები მოუთმენლად გელიან.

- მოვდივარ, მოვდივარ, - გასძახა მისტერ უინკლმა და საცოდავად გაიღიმჭა.

- ახლავე წამოვა, ახლავე, - დაიყვირა სემმაც და შეეცადა, თავი დაეღწია უინკლის კლანჭებისაგან, - სერ, გასწით, დროა უკვე, სერ.

- ერთ წუთს მოიცადე, სემ... - შეევედრა მისტერ უინკლი. საბრალო სულს ძლივს ითქვამდა და ალერსიანად ეხვეოდა მისტერ უელერს, - სახლში ორი სერთუკი მაქვს, მე არ მჭირდება, სემ... შენ მოგცემ... ორივე შენი იყოს...

- გმადლობთ, სერ, - მიუგო მისტერ უელერმა.

- თუ ღმერთი გწამს, ხელი არ გამიშვა. არა უშავს, ქუდს ნუ მიადებ ხელს, გეთაყვა... არ შემომეცალო, სემ... ამ დილით ხუთი შილინგი მინდოდა შენთვის მომეცა, საშობაო საჩუქრად, სემ... ახლა უსიკვდილოდ ნაშუადღევს მოგცემ, სემ.

- ბატონი ბრძანდებით, სერ, - მიუგო მისტერ უელერმა.

- ჯერ დამიჭირე, სემ, - ემუდარებოდა კვლავ მისტერ უინკლი, - აი ასე... ახლა კარგად ვდგავარ... მალე მივეჩვევი, სემ, არა უშავს. ასე ჩქარა ნუ მირბიხარ, სემ!

მისტერ უინკლი თითქმის ორად მოიკეცა და მისტერ უელერის დახმარებით, ყინულზე ცოტას გაცურდა, მაგრამ სამწუხაროდ, ისე ტლანქად, რომ მის მოძრაობას გედისებური სილაღის ნატამალიც არ დაეტყო.

ამ დროს მისტერ პიკვიკმა, რომელსაც გონებაში არავითარი ეშმაკური განზრახვა არ გაუვლია, თავის ერთგულ მსახურს გულუბრყვილოდ გასძახა:

- სემ!

- დიახ, სერ? - ხმა გასცა მისტერ უელერმა.

- აქით მოდი, სემ, საქმე მაქვს.

- გამიშვით, სერ, - მიუბრუნდა სემი მისტერ უინკლს, - არ გესმით, ბატონი მიხმობს, გამიშვით, სერ.

ძლიერი დარტყმით, როგორც იქნა, მისტერ უელერმა თავი დააღწია გაწამებული პიკვიკელის მკლავებს. მოულოდნელი ჯახისგან საცოდავი უინკლი შეტორტმანდა და თავისდა უნებურად, საშინელი სისწრაფით გაექანა გუბის შუაგულისკენ სწორედ იმ დროს, როდესაც მისტერ ბობ სოიერი შეუდარებელი სილამაზის ფიგურას ასრულებდა. პიკვიკელი მთელი სიმძიმით დაეჯახა მოცურავეს და ორივენი გრიალ-ტრიალით ძირს დაენარცხნენ.

მისტერ პიკვიკმა დაუყოვნებლივ მიაშურა დაჯახების ადგილს. ბობ სოიერი უკვე ფეხზე დახვდა, მაგრამ მისტერ უინკლი იმდენად გონიერი აღმოჩნდა, რომ არაფრით ფეხზე არ წამოდგა, მხოლოდ წამოჯდა და შეეცადა უდარდელად გაეღიმა, მაგრამ ამაოდ. მისი სახის ყოველი ნაკვთი აუტანელ ტანჯვას გამოხატავდა.

- გეტკინათ, სერ? - თანაგრძნობით შეეკითხა მისტერ ბენჯამინ ალენი.

- ცოტა, - მიუგო მისტერ უინკლმა და ზურგს ზელა დაუწყო.

- თუ ნებას მომცემთ, ცოტა სისხლს გამოგიშვებთ, - მხურვალედ შესთავაზა მისტერ ბენჯამინმა.

- არა, გმადლობთ, - აჩქარებით მიუგო მისტერ უინკლმა.

- არა, მერწმუნეთ, უკეთ იგრძნობთ თავს, - არ ცხრებოდა ალენი.

- გმადლობთ, არა, - ხაზგასმით მოუჭრა მისტერ უინკლმა, - მე მირჩევნია, რომ არ გამომიშვათ სისხლი.

- მისტერ პიკვიკ, თქვენ რას ბრძანებთ? - ჰკითხა ბობ სოიერმა.

მისტერ პიკვიკს ბრაზი ახრჩობდა. საჩქაროდ მისტერ უელერი მოიხმო და მკაცრად უბრძანა: - ციგურები მოხსენი მაგ უშნოს.

- არა, არა, ჯერ ხომ არც კი დამიწყია, - გაუძალიანდა მისტერ უინკლი.

- მოხსენი-მეთქი ციგურები, ახლავე, ჩქარა! - მტკიცედ გაიმეორა მისტერ პიკვიკმა.

ბრძანება ისე მკაცრად გაიცა, რომ უარის თქმა შეუძლებელი გახდა. მისტერ უინკლი უბრად დამორჩილდა სემ უელერს.

- ახლა ფეხზე წამოაყენეთ, - კვლავ ბრძანა მისტერ პიკვიკმა.

სემმა ბრძანება შეასრულა. მისტერ პიკვიკმა ავსვიანი მეგობარი გვერდზე გაიხმო, მეტყველი თვალით ჩააშტერდა მას და ხმადაბლა, მაგრამ ხაზგასმით შემდეგი ღირსშესანიშნავი სიტყვებით მიმართა:

- დიდი ბაქია ვინმე ყოფილხართ, სერ!

- რაო? - წამოიძახა მისტერ უინკლმა და შეხტა.

- ბაქია, სერ, - მიუგო მისტერ პიკვიკმა, - თუ გნებავთ, უფრო გასაგებად გეტყვით: მატყუარაც!

მოათავა თუ არა ეს ღირსშესანიშნავი სიტყვა, მისტერ პიკვიკი ქუსლებზე დინჯად შემოტრიალდა და საზოგადოებას შეუერთდა.

ვიდრე მისტერ პიკვიკი ზემოხსენებული სიტყვებით მიმართავდა მეგობარს, მისტერ უელერმა და ბოკვერამ შეერთებული ძალით ყინულის ზედაპირზე ბილიკი ამოჭრეს და ზედ ცურვას შეუდგნენ. ორივე ბრწყინვალედ ვარჯიშობდა. განსაკუთრებით

სემმა გამოამჟღავნა ფანტაზიის დიდი გაქანება და შესანიშნავი ოსტატობა. მან შეასრულა საციგურაო ფიგურა, რომელიც საყოველთაოდ ცნობილია „ხარატის კარზე კაკუნის“ სახელწოდებით. იგი შემდეგში მდგომარეობს: ცალი ფეხით მიცურავ და ხანგამოშვებით მეორით ყინულს უბაკუნებ. სემი შორ მანძილზე გავიდა. მისტერ პიკვიკი თვალს არ აშორებდა მსახურს. უძრავი დგომისაგან თავით ფეხამდე გათოშილს გულით შეშურდა მისტერ უელერის ლაღი ნავარდი.

- ეტყობა, მაგისთანა ვარჯიში კარგად ახურებს ადამიანს, არა, უორდლ? - შეეკითხა იგი მასპინძელს. ხსენებული ჯენტლმენი სულს ძლივს ითქვამდა, რადგან მანამდე ცირკულად გადაქცეული ფეხებით რთულ ხლართებს ხაზავდა ყინულზე.

- მართლაც დიდებულად ახურებს, - უპასუხა უორდლმა, - განა თქვენ არ ციგურაობთ?

- ოდესღაც ვციგურაობდი, ქუჩის ღარებში, ყმაწვილობისას, - მიუგო მისტერ პიკვიკმა.

- მოდი, ახლაც სცადეთ, - შესთავაზა მისტერ უორდლმა.

- ო, მისტერ პიკვიკ, სცადეთ, სცადეთ, გეთაყვა. ძალიან, ძალიან გთხოვთ, - გაამხნევეს მანდილოსნებმაც.

- ჭეშმარიტად დიდად ბედნიერად ჩავთვლი თავს, თუ ოდნავ მაინც გასიამოვნებთ, - მიუგო ქალებს მისტერ პიკვიკმა, - მაგრამ გარწმუნებთ, დიდი ხანია არ მიციგურავია... იქნება სულ მცირე ოცდაათი წელიწადი.

- რა ვუყოთ მერე, - წარმოთქვა მისტერ უორდლმა და მისთვის ჩვეული სისწრაფით ციგურები გაიძრო, - აგერ, ესენი ინებეთ, მეც ხათრს არ გაგიტეხთ, ახლავე გამოგყვებით.

კეთილმა მოხუცმა მეორე წყვილი ციგურები დაიმაგრა და ისე მარდად გაქანდა ყინულზე, რომ სისწრაფით თითქმის მის-

ტერ უელერს გაუტოლდა და, რაღა თქმა უნდა, რომ ბოკვერა სულ მოსპო, დიდ მანძილზე ჩამოიტოვა უკან.

მისტერ პიკვიკი ერთხანს დაფიქრდა. შემდეგ ხელთათმანები გაიძრო და ქუდში ჩადო. ორჯერ თუ სამჯერ აქეთ-იქით გაირბინა, ამდენჯერვე შეხტა, თითქოს ყალყზე შედგა. კვლავ გაირბინა, ფეხები განზე გაშალა და კმაყოფილი მაყურებლის კიჟინის თანხლებით ყინულოვან ბილიკზე გაცურდა.

- არ შეანელოთ ცეცხლი, თორემ ქვაბი გაცივდება, სერ! - ურჩია ერთგულმა სემმა.

აგერ, გაცურდა მისტერ უორდლი; მას მიჰყვა მისტერ პიკვიკი, შემდეგ სემი, მისტერ უინკლი, ბობ სოიერი, ბოკვერა და ბოლოს მისტერ სნოდგრასიც. ერთმანეთს ფეხდაფეხ მიჰყვებოდნენ, თანაც ისე მონდომებითა და ხალისიანად, თითქოს მომავლის მთელი იმედი ამ ექსპედიციაზე ყოფილიყოს დამოკიდებული.

მაყურებელს უთუოდ ძალიან დააინტერესებდა იმის ყურება, თუ როგორ ასრულებდა თავის როლს მისტერ პიკვიკი ამ რთულ სვლაში. უნდა გენახათ, თუ რა ტანჯვით გადახედავდა ხოლმე იგი მის მომდევნო მსვლელს, რომელიც სადაც არის, ქუსლებზე შეადგებოდა და მაშინ ხომ გადაყირავების საფრთხე არამც და არამც არ ასცდებოდა; ისიც უნდა გენახათ, თუ როგორ კარგავდა იგი თანდათანობით რის ვაი-ვაგლახით დაძაბულ ძალას, რომელიც ძლივს მოიკრიბა სვლის დასაწყისში; უნდა გენახათ უდარდელი ღიმილი, რომელიც ნიღაბივით ფარავდა მის სულიერ წამებას. როგორი ხალისით შემობრუნდა იგი ბილიკის ბოლოს და გაჰყვა წინამძღოლს. ლაღად მიცურავდნენ თოვლში ცნობილი შავი პაჭიჭები. სათვალიდან სულ სიხარულის ნაპერწკლები სცვიოდა. ახლა წარმოიდგინეთ, რა შთამაგონებელი სურათი იყო, როდესაც დროდადრო დიდებული პიკვიკი ყინულ-

ზე ეცემოდა (ეს კი, საშუალოდ რომ გამოვიანგარიშოთ, ყოველ მესამე ნაბიჯზე ხდებოდა). როგორ დინჯად იღებდა ყინულზე დაგდებულ ქუდსა და ხელთათმანებს შეუდარებელი ენთუზიაზმითა და აღტაცებით. შემდეგ კვლავ განკუთვნილ ადგილს იკავებდა მწყობრში.

სწორედ შუა თამაშში, როდესაც სრიალმა დიდ სისწრაფეს მიაღწია და სიცილ-კისკისი შეუწყვეტელ ხარხარად იქცა, უეცრად საშინელი ტკაცუნი გაისმა.

ყველას ელდა ეცა. მანდილოსნებმა საზარლად შეჰკივლეს და მისტერ ტაპმენს მხოლოდ კვნესაღა აღმოხდა. უეცრად გაქრა ყინულის უზარმაზარი ნატეხი, წყალმა შადრევანივით ამოასხა და ნაპირებზე დაიქცა. ცოტა ხნის შემდეგ მის ზედაპირზე მისტერ პიკვიკის ქუდი, ხელთათმანები და ხელსახოცი ამოტივტივდა, თვით მათი პატრონი კი აღარსად ჩანდა.

ყველას სახე დაბნეულობასა და წუხილს გამოხატავდა. კაცები გაფითრდნენ, ქალებს გული წაუვიდათ. მისტერ სნოდგრასი და მისტერ უინკლი ერთმანეთს მკლავებში ჩააფრინდნენ და გაოგნებული დააშტერდნენ იმ ადგილს, სადაც უგზო-უკვლოდ გაქრა მათი დიდებული წინამძღოლი. მისტერ ტაპმენი სასწრაფო დახმარების აღმოჩენის მიზნით სახლისკენ გავარდა. თანაც გზაზე რაც ძალი და ღონე შესწევდა, გაჰკიოდა, „ცეცხლი, ცეცხლი“, იმ იმედით, რომ ვისაც მისი ყვირილი მისწვდებოდა, წამსვე ნათელი წარმოდგენა გასჩენოდა იმ უდიდეს უბედურებაზე, რომელიც ახლა საზოგადოების თვალწინ მოხდა.

ვიდრე მისტერ ტაპმენი ყვირილით იკლებდა იქაურობას, მოხუცი უორდლი და სემ უელერი ფრთხილი ნაბიჯით მიუახლოვდნენ ნაპრალს. ამასობაში მისტერ ბენჯამინ ალენი სახელდახელოდ ეთათბირებოდა მისტერ ბობ სოიერს იმის შესახებ, თუ რამდენად მიზანშეწონილი იქნებოდა, რომ მათ მთელი საზოგა-

დოებისათვის გამოეშვათ სისხლი. უთუოდ დაგვჭირდება და ამიტომ საჭირო გამოცდილებას ბარემ აქვე მივიღებთო, არწმუნებდნენ ერთმანეთს მეგობრები.

უეცრად წყლიდან თავი და მხრები ამოყურყუმალავდა. მალე მას მოჰყვა მისტერ პიკვიკის სახე და მრგვალი სათვალე.

- ო, გემუდარებით, წუთით მაინც შეიმაგრეთ თავი, რომ არ ჩაიძიროთ, - დაიბღავლა საცოდავად მისტერ სნოდგრასმა.

- თავი შეიკავეთ, გემუდარებით, ჩემი სიყვარული თუ გაქვთ... ჩემი ხათრით, გეთაყვა, - დაიღრიალა გრძნობამორეულმა უინკლმა.

- მოსინჯეთ ძირი, ჩემო კარგო? - ჰკითხა უორდლმა.

- რა თქმა უნდა, - მიუგო მისტერ პიკვიკმა. თმიდან და სახიდან წყალი დაიბერტყა და ჰაერის ჩასასუნთქად ფართოდ დააღო პირი, - ზურგზე დავეცი და ერთხანს ფეხზე ვეღარ წამოვდექი.

შლამი, რომელიც უხვად დაჰკვროდა მისტერ პიკვიკის პალტოს, აშკარად ამტკიცებდა მისი სიტყვების ჭეშმარიტებას. დამსწრეთა შიში სულ გაიფანტა. ბოკვერას უეცრად გაახსენდა, რომ სწორედ იქ, სადაც ბატონი ჩავარდა, წყალი მხოლოდ მუხლებამდე სწვდებოდა ადამიანს.

მოისმინა თუ არა ეს განცხადება საზოგადოებამ, უმალვე ყველას მოუნდა სასწაულებრივი გმირობის ჩადენა მისტერ პიკვიკის გადასარჩენად. როგორც იქნა, დიდი წვალებისა და ვაი--ვაგლახის შემდეგ შეერთებული ძალით ამოიყვანეს ღირსშესანიშნავი პიკვიკი ზემოხსენებული უხერხული მდგომარეობიდან და კვლავ მშრალ მიწაზე დააყენეს.

- ვაიმე, უთუოდ მოკვდება სიცივისგან! - წამოიძახა ემილიმ.

- რა საყვარელი მოხუცია! - თქვა არაბელამ და დაშავებულს გასძახა, - მისტერ პიკვიკ, ნება მიბოძეთ, ეს პლედი შემოგთავაზოთ.

- ო, მართლაც ეს ყველას სჯობს, - დაეთანხმა მისტერ უორდლი და მეგობარს მიუბრუნდა, - ამას რომ შემოიხვევთ, სწრაფად გაიქეცით სახლისკენ და პირდაპირ ლოგინში შეგორდით, - ურჩია მან.

იმწამსვე მანდილოსნებმა ბედზე გადარჩენილს ექვსიოდე პლედი შესთავაზეს. მისტერ პიკვიკმა ყველაზე სქელი სამი თუ ოთხი შალი ამოირჩია, თბილად გაეხვია შიგ და მსახურის თანხლებით გზას გაუდგა. წარმოიდგინეთ, მკითხველო, შემდეგი უცნაური სანახაობა: ხნიერი ჯენტლმენი, რომელსაც წურწურით ჩამოსდის წყალი, უქუდო, შალით გვერდებზე ხელებგაკრული, ბორძიკით მიაბიჯებს მიწაზე ექვსი მილის სიჩქარით საათში.

მთელი გზის განმავლობაში მისტერ პიკვიკს, რომელიც ესოდენ გაჭირვებულ მდგომარეობაში გარეგნულ შნოსა და ლაზათს აღარ დაეძებდა, სვლის სიჩქარე წუთითაც არ შეუნელებია, ვიდრე მეინორის ფერმას არ მიაღწია, რადგან მისტერ უელერი გზაში სულ აჩქარებდა და სულის მოთქმის საშუალებას არ აძლევდა.

მისტერ ტაპმენმა სულ რამდენიმე წუთით დაასწრო თავის დიდებულ წინამძღოლს. თავგამოდებული ყვირილით ისე შეაშინა მოხუცი მანდილოსანი, რომ საცოდავს გული აუფრიალდა. ეგონა, რომ ნამდვილად ბუხრის მილში ცეცხლი გაჩნდა. ყოველი უბედურება მას ცეცხლოვან ფერებში ელანდებოდა მუდამ, როგორც კი ვინმეს სახეზე ოდნავ აღელვებას ამოიკითხავდა ხოლმე.

მისტერ პიკვიკი წამითაც არ შეჩერებულა და მაშინვე თბილ ლოგინში ჩაწვა. სემმა ოთახში გიზგიზა ცეცხლი გააჩაღა და ბა-

ტონს სადილი მაღლა მიართვა. ზედ ცხელი პუნშით სავსე თასიც მიაყოლა.

კეთილ მასპინძელს გაგონებაც არ უნდოდა, რომ სტუმარი სადილად დაბლა სასადილო ოთახში ჩამოსულიყო. ამიტომ სადილის შემდეგ მამაკაცები დაშავებულს მაღლა ეწვივნენ. საწოლი სავარძლად გადაიქცა და მისტერ პიკვიკი საზოგადოებამ ერთხმად თამადად აირჩია. პირველ ჭიქას, მოგეხსენებათ, მეორე მოჰყვა, მეორეს მესამე და ასე გაგრძელდა შუაღამემდე.

როდესაც მეორე დილას გამოეღვიძა, მისტერ პიკვიკმა ნიკრისის ქარების ნატამალიც ვერ იგრძნო, რაც აშკარად ამტკიცებს იმ აზრს, რომ გაციებისას ცხელ პუნშს არაფერი სჯობია, როგორც სამართლიანად აღნიშნა მისტერ ბობ სოიერმა. მან აქვე დაამატა: თუ ოდესმე ამ წამალმა ვინმეს ვერ უშველა, ეს უთუოდ იმიტომ მოხდა, რომ ავადმყოფმა უგუნური შეცდომა დაუშვა და აღნიშნული სასმელი საკმაო რაოდენობით არ მიიღოო.

მხიარული საზოგადოება მეორე დილით დაიშალა. მოგეხსენებათ, ბავშვობისას რა სასიამოვნოა სასკოლო არდადეგები და რა სიხარულით მიეშურებიან სახლისკენ. შემდეგ, ცხოვრებაში, ამგვარი არდადეგები მეტად მძიმე და მტკივნეულია ხოლმე. სიკვდილი, ანგარიშიანობა და ბედის ცვლა ხშირად არღვევს მრავალ ბედნიერ ჯგუფს და შორიშორს ფანტავს ქვეყანაზე მის ცალკეულ წევრებს. როგორც უწინ ხდებოდა სკოლაში, აქ უკვე გოგონები და ბიჭები კვლავ ერთად აღარ იყრიან თავს, აღარ ხვდებიან ერთმანეთს.

რა თქმა უნდა, ჩვენ ამით იმას კი არ ვგულისხმობთ, რომ ამ შემთხვევაშიც იგივე მოხდა. ჩვენ მხოლოდ გვსურს, მკითხველს მოვახსენოთ, რომ მიიწურა თუ არა საშობაო დღესასწაულები, მეინორის ფერმის სტუმრები თავიანთ სახლებში გაეშურნენ. მისტერ პიკვიკმა და მისმა მეგობრებმა კვლავ მაგლტონის ეტ-

ლის ზედა ადგილები დაიკავეს. მის არაბელა ალენმა მშვიდობიანად იმგზავრა დანიშნულების ადგილამდე თავისი ძმის, მისტერ ბენჯამინ ალენისა და მისი საუკეთესო მეგობრის, მისტერ ბობ სოიერის ზრუნვისა და მეთვალყურეობის ქვეშ. თუ სად გახლდათ ეს დანიშნულების ადგილი, ჩვენ გავკადნიერდებით და გულახდილად მოგახსენებთ, რომ არ ვიცით, მაგრამ ვფიქრობთ, მისტერ უინკლმა კარგად იცოდა.

დამშვიდობების წინ მისტერ ბობ სოიერმა და მისტერ ბენჯამინ ალენმა განზე გაიხმეს მისტერ პიკვიკი. ორივეს სახეს ისეთი გამომეტყველება ჰქონდა, თითქოს რაღაც დიდი საიდუმლო უნდა გაენდოთ მისთვის. მისტერ ბობმა თითი ნეკნებშუა აძგერა მისტერ პიკვიკს (რითაც ერთხელ კიდევ გამოიჩინა ადამიანის ჩონჩხისა და აგებულების საუკეთესო ცოდნა) და შეეკითხა:

- ჩემო მეგობარო, სად ცხოვრობთ?

მისტერ პიკვიკმა მიუგო, რომ ამჟამად იგი სასტუმრო „ჯორჯი და ფასკუნჯშია“ გაჩერებული.

- ძალიან მინდა მოინახულოთ, - თქვა ბობ სოიერმა.

- სიამოვნებით გეახლებით, - მიუგო მისტერ პიკვიკმა.

- აი ჩემი სადგომი, - თქვა მისტერ ბობ სოიერმა და სადარბაზო ბარათი ამოიღო: - ლენტის ქუჩა, ბორო. ეს ჩემთვის მოსახერხებელია, გაისთან ახლოსაა. წმინდა ჯორჯის ეკლესიას რომ გაივლით, ჰაიტ-სტრიტიდან მარჯვნივ გადაუხვევთ და იქვე პირველი ქუჩაა.

- ნუღარ წუხდებით, უეჭველად ვიპოვი, - თქვა მისტერ პიკვიკმა.

- ხუთშაბათს, ორი კვირის შემდეგ მობრძანდით თქვენ და თქვენი მეგობრები. ისინიც აუცილებლად წამოიყვანეთ, - სთხოვა ბობ სოიერმა, - ჩემთან ჩვენი მკურნალი მეგობრებიც იქნებიან.

მისტერ პიკვიკმა დაპატიჟებისთვის თავაზიანად გადაუხადა მადლობა და მოახსენა, რომ ნამდვილად დიდად კმაყოფილი დავრჩები, თუ თქვენს მეგობრებსაც გამაცნობთო. მისტერ ბობ-მა მას შეატყობინა, რომ იმ საღამოზე უეჭველად ბენიც იქნება და, საერთოდ, დროს კარგად გავატარებთო. ბოლოს ერთმა-ნეთს ხელი ჩამოართვეს და დაშორდნენ.

აქ მკითხველი უთუოდ გვკითხავს, ამ მოკლე საუბრების დროს მისტერ უინკლი მის არაბელა ალენს ხომ არ ეჩურჩულე-ბოდა რაიმეს და, თუ ეჩურჩულებოდა, რა უთხრა. გარდა ამისა, ჩვენს მკითხველს, ისიც უთუოდ აინტერესებს, ესაუბრა თუ არა მისტერ სნოდგრასი მის ემილის, და თუ ესაუბრა, რა იყო ნათ-ქვამი.

პასუხად მოგახსენებთ, რომ რაც უნდა ეთქვათ ხსენებულ პიკ-ვიკელებს ქალიშვილებისთვის (გზად - მაგლტონიდან ლონდო-ნამდე), კრინტიც არ დაუძრავთ ამის შესახებ და არც არაფერი გაუნდვიათ თავისი მეგობრებისთვის. თუმცა მისტერ პიკვიკმა და მისტერ ტაპმენმაც აშკარად შეამჩნიეს, რომ მთელი ამ ხნის განმავლობაში ორივენი საცოდავად ოხრავდნენ, ორივემ ბრენ-დსა და ელზე გადაჭრით განაცხადა უარი და ერთი სიტყვით რომ ვთქვათ, ძალიან სევდიანად გამოიყურებოდნენ. თუკი ჩვენი დაკვირვებული მკითხველი მანდილოსნები რაიმე დასკვნას გა-მოიტანენ ამ აღწერიდან, ჩვენ გულითა და სულით ვთხოვთ მათ, არ დააყოვნონ და სათანადო შენიშვნები ჩვენც გვაცნობონ.

თავი XXXI

ინგლისის ძლევამოსილი კანონმდებლობისა და იმ დიდად განსწავლული პირების შესახებ, რომელთაც ეს დარგი გულდასმით შეისწავლეს

ტემპლის სხვადასხვა კუთხესა და კუნჭულში გაბნეულია ჩაბნელებული, ჭუჭყიანი ოთახები, რომლებშიც უწყვეტ ნაკადად შედიან და გამოდიან ვექილების კლერკები, იღლიაში ამოდებული ან ჯიბეში ჩაჩრილი ქაღალდის ხვეულებით. უნდა მოგახსენოთ, რომ ასეთი კლერკების რამდენიმე სახე არსებობს: არის კლერკი - შეგირდი, რომელიც სწავლის ქირას იხდის და მომავალში ვექილი გახდება; მას საკუთარი მკერავი ჰყავს, ხშირად მოსდის მიპატიჟება წვეულებებზე; იგი პირადად იცნობს ერთ წარჩინებულ ოჯახს ჰაუერ-სტრიტზე, მეორეს კი ტევისტოკ-სკვერზე; არდადეგების დროს მუდამ სოფელში მიემგზავრება მამის სანახავად, რომელსაც მკვირცხლი რაშების უთვალავი რემა ჰყავს; ერთი სიტყვით, ეს კლერკი, სხვა მის თანამოაზრეთა შორის, ჭეშმარიტი არისტოკრატი გახლავთ. არის აგრეთვე კლერკი, რომელიც ხელფასით მუშაობს, ადგილობრივი მობინადრეა, ანდა მომსვლელი. იგი ჩვეულებრივ, მთელი კვირის ხელფასის უმეტეს ნაწილს (ეს კი 30 შილინგს შეადგენს) პირად სიამოვნებასა და მორთვა-მოკაზმვას ანდომებს: კვირაში სამჯერ მაინც ნახევარ ფასად დაბრძანდება ედელფის თეატრში, შემდეგ კი განცხრომას ეძლევა ვაშლის ბურახით მოვაჭრის სარდაფში და, მოკლედ რომ ვთქვათ, თავიდან ფეხებამდე იმ მოდის საბრალო

კარიკატურას წარმოადგენს, რომელმაც უკვე ექვსი თვეა, მოჭამა დრო.

აქვე შენიშნავთ შუახნის კლერკ-მწერალს. საცოდავს მრავალშვილიანი ოჯახი ჰყავს სარჩენი, მუდამ გაცვეთილ ტანისამოსში დადის და ხშირად თვრება. შეხვდებით შიკრიკ ბიჭებსაც, სერთუკებში პირველად რომ გამოწყობილან და ქედმაღლური ზიზღით შეჰყურებენ სკოლის მოსწავლეებს. ისინი ღამღამობით, სახლში დაბრუნებისას, ლუდითა და კვამლში გამოყვანილი ლორის ნარჩენებით ქეიფობენ და ჰგონიათ, რომ ეს არის „ცხოვრება“. აქვე გახლავთ ამ ჯურის სხვა სახეობანიც, რომლებიც იმდენად მრავალრიცხოვანია, რომ ვერც დათვლით. მაგრამ როგორი მრავალრიცხოვანიც უნდა იყვნენ ისინი, თითოეული მათგანი გარკვეულ სამუშაო საათებში მუდმივად შედის ან გამოდის იმ დაწესებულებიდან, რომელიც ეს-ეს არის, მოვიხსენიეთ.

ამ განმარტოებულ კუნჭულებშია განთავსებული ვექილების მისაღები ოთახები, სადაც წერენ სასამართლო უწყებებს, გამოაქვთ დადგენილებანი, აგროვებენ მოსარჩელეთა განცხადებებს და ახორციელებენ სხვა მრავალ ღონისძიებას, რომლებიც ამქვეყნად მხოლოდ იმისთვის შეუქმნიათ, რომ რაც შეიძლება მეტად გააწამონ და სიცოცხლე გაუმწარონ მისი უდიდებულესობის ერთგულ ქვეშევრდომთ, ხოლო „ნუგეში სცენ“ და ჯიბე გაუსქელონ კანონის „წმინდა მცველებს“. უმეტესწილად ეს ოთახები დაბალჭერიანია, აბლაბუდამოდებული, სავსე პერგამენტის აურაცხელი ხვეულით, რომლებიც აგერ, საუკუნეზე მეტია, რაც აქ განისვენებენ და ოთახს „საამო“ სურნელებით ავსებენ - დღისით მას ლპობის სუნი შეერევა ხოლმე, ღამით კი ნოტიო წამოსასხამების, გაწუწული ქოლგებისა და იაფფასიანი ქონის სანთლის ნამწვის სულისშემხუთავი ანაორთქლი ემატება.

დაახლოებით ათი დღე ან ორი კვირა იქნებოდა გასული, რაც მისტერ პიკვიკი და მისი მეგობრები ლონდონში დაბრუნდნენ. ერთ საღამოს, შვიდ საათზე, ზემოაღწერილ ერთ-ერთ ოთახში ვიღაც სულიერი შევიდა. უცნობს სპილენძის ბრჭყვიალა ღილებით გაწყობილი ყავისფერი სერთუკი ეცვა. მისი გრძელი, გულმოდგინედ აპრეხილი თმა გაცვეთილი ქუდის ბოლოებს აჰკვროდა, გაქონილი რუხი შარვალი კი მჭიდროდ ჩაეტენა მაღალყელიან ფეხსაცმელში. უცნობმა სურთუკის ჯიბიდან პერგამენტის გრძელი და ვიწრო ხვეული ამოიღო, რომელზედაც მორიგემ შავი ბეჭედი დადღაბნა. შემდეგ იქიდანვე ამოაძრო ოთხი ერთი და იმავე ზომის ქაღალდის ფურცელი. ყოველი მათგანი შეიცავდა იმავე ტექსტს, რაც პერგამენტზე ეწერა და თითოეულზე სახელისთვის დატოვებული იყო ცარიელი ადგილი. ოთხივე ფურცელი იქვე სახელდახელოდ შეავსო, ხუთივე საბუთი კვლავ ჯიბეში ჩაიდო და გარეთ გამოვიდა.

ყავისფერ სერთუკში გამოწყობილი ჯენტლმენი, რომელსაც ზემოხსენებული კაბალისტური საბუთები ეწყო ჯიბეში, გახლდათ ჩვენი ძველი ნაცნობი - მისტერ ჯეკსონი, დოდსონისა და ფოგის კანტორის აგენტი, ფრიმენზ-კორტიდან, რომელიც კორნჰილზე მდებარეობს.

ნაცვლად იმისა, რომ კვლავ თავის კანტორაში დაბრუნებულიყო, სანკორტისაკენ გაემართა, სასტუმრო „ჯორჯი და ფასკუნჯს“ მიაშურა და დაუყოვნებლივ მოიკითხა - შინ ბრძანდება თუ არა ვინმე მისტერ პიკვიკიო.

- თომა, ერთი მისტერ პიკვიკის მსახურს დაუძახე, - მიმართა ლაქიას მებუფეტე ქალმა.

- ნუ შეწუხდებით, - თქვა მისტერ ჯეკსონმა, - მე საქმეზე მოვედი. თუკი მიმასწავლით, რომელია მისტერ პიკვიკის ოთახი, თავადაც გავიგნებ გზას.

- თქვენი გვარი, სერ?

- ჯეკსონი, - მიუგო კლერკმა.

ლაქია მაღლა ავიდა, რომ მისტერ ჯეკსონის მოსვლა ეუწყებინა მობინადრისთვის. მაგრამ მისტერ ჯეკსონი იმდენად თავაზიანი აღმოჩნდა, რომ მსახურს თავიდან აარიდა ესოდენ დიდი შეწუხება და, ვიდრე ლაქია სიტყვის თქმას მოასწრებდა, პირდაპირ ოთახში შევიდა.

სწორედ იმ დღეს მისტერ პიკვიკს სადილად დაპატიჟებული ჰყავდა თავისი მეგობრები. ისინი ბუხარს შემოსხდომოდნენ და ღვინოს შეექცეოდნენ, როდესაც მათ მისტერ ჯეკსონი წაადგა თავს.

- გამარჯობა, სერ, - თქვა მისტერ ჯეკსონმა და თავი დაუქნია მისტერ პიკვიკს.

საპასუხოდ მასპინძელმაც დაუკრა თავი ახალმოსულს. იგი ოდნავ გაკვირვებული შეჰყურებდა უცნობს, რადგან სტუმრის სახეს, ეტყობა, მის მეხსიერებაში სუსტი კვალიც არ დაეტოვებინა.

- დოდსონისა და ფოგის სახელით მოვედი თქვენთან, - განმარტა მისტერ ჯეკსონმა.

ამ სახელის გაგონებაზე მისტერ პიკვიკი შეკრთა.

- მიმართეთ ჩემს ვექილს, სერ... მისტერ პერკერს გრეიზინიდან, - თქვა მან და მსახურს მიუბრუნდა, - გეთაყვა, ჩააცილეთ ჯენტლმენი.

- ბოდიშს ვიხდი, მისტერ პიკვიკ, - თქვა ჯეკსონმა, დინჯად დადო ქუდი იატაკზე და ჯიბიდან პერგამენტის ვიწრო და გრძელი ხვეული ამოიღო, - მაგრამ, ხომ მოგეხსენებათ, ასეთ შემთხვევაში, კლერკის ან აგენტის მოვალეობაა, პირდაპირ ჩაგაბაროთ... ხომ მიმიხვდით, მისტერ პიკვიკ?.. ეს მხოლოდ და მხოლოდ ფორმალური მხარეა, სერ. საქმე სათანადოდ უნდა გაფორმდეს.

კანონის ყველა მუხლის დაცვით, არა? - აქ მისტერ ჯეკსონმა თვალით პერგამენტზე ანიშნა, ორივე ხელი მაგიდაზე დადო და შემპარავი ღიმილით განაგრძო: - მოდით, ამის გამო კამათს ნუ-ღარ დავიწყებთ, არ ღირს. მითხარით, აქ დამსწრე ჯენტლმენე-ბიდან, რომელი ატარებს სნოდგრასის სახელს?

ამის გაგონებაზე მისტერ სნოდგრასი ისე შეხტა, რომ პასუხის გაცემა ზედმეტი გახდა.

- ჰმ, მეც ასე ვიფიქრე, - შენიშნა მისტერ ჯეკსონმა თავა-ზიანად, - ამ საქმეებზე თქვენც შეგაწუხებთ, სერ.

- მე?! - წამოიძახა მისტერ სნოდგრასმა.

- დიახ, თქვენ. მხოლოდ უწყებას ჩაგაბარებთ ბერდლ--პიკვიკის საქმის გამო, მოსარჩელის მოთხოვნით, - მიუგო მის-ტერ ჯეკსონმა, ქაღალდების გროვიდან ერთ-ერთი ამოარჩია, ჟილეტის ჯიბიდან კი შილინგი ამოიღო, - ამ საქმეს განიხილავენ სესიის დასაწყისში, ვფიქრობ, ასე 14 თებერვალს... სპეციალუ-რი ჟიური ავირჩიეთ, მხოლოდ ათი კაცი შედის... აი, ეს თქვენ, მისტერ სნოდგრას.

დაასრულა თუ არა საუბარი, მისტერ ჯეკსონმა პერგამენტი მისტერ სნოდგრასს თვალწინ აუფრიალა და შემდეგ ქაღალდი და შილინგი ჩასჩარა ხელში.

გაოგნებული ტაპმენი მთელ ამ პროცედურას უხმოდ შესჩე-რებოდა. უეცრად მისტერ ჯეკსონი მას მიუბრუნდა და ჰკითხა:

- ვფიქრობ, არ ვცდები... თქვენი სახელი ტაპმენი უნდა იყოს?

მისტერ ტაპმენმა საჩქაროდ მისტერ პიკვიკს გადახედა - სა-კუთარ სახელზე უარი ხომ არ ვთქვაო, მაგრამ უფროსის ფარ-თოდ გახელილ თვალებში ვერ შენიშნა წახალისება და მორჩი-ლად მიუგო:

- დიახ, ჩემი სახელი ტაპმენი გახლავთ, სერ.

- ეს მეორე ჯენტლმენი, ვგონებ, მისტერ უინკლი უნდა იყოს? - განაგრძო მისტერ ჯეკსონმა.

თანხმობის ნიშნად მისტერ უინკლმა რაღაც ამოილუღლუღა. მარჯვე აგენტმა უმალვე ორივეს შევსებული ბლანკები და თითო შილინგი გადასცა.

- ვშიშობ, თავი მოგაბეზრეთ, - თქვა მისტერ ჯეკსონმა. - მაგრამ, თუ არ შეწუხდებით, კიდევ ერთი კაცი მჭირდება... აქ სემუელ უელერის სახელი მიწერია, მისტერ პიკვიკ.

- ჩემი მსახური ამოგზავნეთ, აქ, - მიმართა ლაქიას მისტერ პიკვიკმა.

განცვიფრებული ლაქია ოთახიდან გავიდა, მისტერ პიკვიკმა კი მისტერ ჯეკსონს სკამზე მიუთითა.

დაძაბული სიჩუმე ჩამოვარდა, რომელიც ბოლოს ისევ ალალმართალმა მოპასუხემ დაარღვია.

- როგორც ვხედავ, სერ, - დაიწყო აღშფოთებით მისტერ პიკვიკმა, - როგორც ვხედავ... თქვენს პატრონებს განუზრახავთ ჩემი დანაშაულის დამტკიცება თვით ჩემი მეგობრების ჩვენებების საფუძველზე! - მას თანდათან ერეოდა ბრაზი.

მისტერ ჯეკსონმა საჩვენებელი თითი რამდენჯერმე ცხვირის მარცხენა მხარეს დაიტყაპუნა, თითქოს ამით ანიშნა - სულაც არ ვაპირებ „ციხის“ საიდუმლოების გამჟღავნებასო და ეშმაკური ღიმილით მიუგო:

- არ ვიცი, ვერ გეტყვით, სერ.

- აბა, თუ ასე არ არის, რა მიზნით გამოუგზავნეს მათ ეს უწყებები, სერ? - კვლავ ჩაეკითხა მისტერ პიკვიკი.

- მახე საუცხოოდ დააგეთ, მისტერ პიკვიკ, - მიუგო ჯეკსონმა და უარის ნიშნად თავი დინჯად გააქნია, - მაგრამ, ნურას უკაცრავად, სერ, აქედან არაფერი გამოვა. თუმცა, თუ გნებავთ, სცადეთ. მაგრამ გარწმუნებთ, მე ვერაფერს დამტყუებთ.

აქ მისტერ ჯეკსონმა კვლავ გაუღიმა საზოგადოებას, მარცხენა ხელის ცერი ცხვირის წვერს მიადო, მარჯვენა კი ყავის საფქვავი წისქვილივით დაატრიალა. ამ პანტომიმით (რომელიც, უნდა მოგახსენოთ, იმ დროს მეტად პოპულარული იყო, ახლა კი, სამწუხაროდ, დავიწყებას მიეცა) კლერკს უნდოდა ენიშნებინა, ხომ ჩაგაგდეთ საგონებელშიო.

- არა, მისტერ პიკვიკ, - დაყოვნებით წარმოთქვა მან, - დაე, ისევ პერკერის ხალხმა იტეხოს თავი იმაზე ფიქრით, რატომ დავარიგეთ ეს უწყებები. თუ ვერ მიხვდებიან, სასამართლოს დაელოდონ და მაშინ გაიგებენ.

მისტერ პიკვიკმა ზიზღით სავსე მზერა სტყორცნა დაუპატიჟებელ სტუმარს და ის იყო, დააპირა წყევლა-კრულვა გადმოენთხია ბატონების - დოდსონისა და ფოგის მიმართ, რომ ეს განზრახვა სემის შემოსვლამ შეაცვლევინა.

- სემუელ უელერი? - ჰკითხა მოსულს მისტერ ჯეკსონმა.

- ერთადერთი ჭეშმარიტება, რაც ამ მრავალი წლის განმავლობაში გითქვამთ, - მიუგო სემმა.

- აგერ, უწყება თქვენს სახელზე, მისტერ უელერ, - თქვა მისტერ ჯეკსონმა.

- ეგ რას ნიშნავს ინგლისურად? - იკითხა სემმა.

- აგერ ორიგინალიც, - განაგრძო ჯეკსონმა, რითაც თავი აარიდა მოთხოვნილ განმარტებას.

- აბა, რომელი? - კვლავ ჰკითხა სემმა.

- აი, ეს, - მიუგო ჯეკსონმა და პერგამენტი ზედ ცხვირწინ აუფრიალა.

- ...ეს არის ორიგინალი? - შესძახა სემმა, - დიდად გამაბედნიერეთ, რომ თვით ორიგინალიც მაჩვენეთ. მერწმუნეთ, ეს დიდი შეღავათია და გულზე დამამშვიდებლად მოქმედებს.

- აგერ შილინგიც, - თქვა ჯეკსონმა, - ამას დოდსონი და ფოგი გიგზავნიან.

- ო, ეს კი პირდაპირ საოცარია! - წამოიძახა სემმა, - წარმოიდგინეთ, დოდსონი და ფოგი, რომლებიც არც მიცნობენ, ასეთ ძვირფას საჩუქარს მიგზავნიან. ეს მართლაც დიდი დაფასებაა ადამიანისა. სერ, დიდად სასიქადულოა, რომ მათ სცოდნიათ სიკეთის დაფასება. გარდა ამისა, ასეთი საჩუქარი ხომ უშუალოდ მოქმედებს ადამიანზე - განსაკუთრებით გულს მოულბობს ხოლმე.

დაასრულა თუ არა სიტყვა, მისტერ უელერმა სერთუკის სახელოთი მარჯვენა ქუთუთო ოდნავ მოისრისა. ამ ხერხს ჩვეულებრივ მსახიობები მიმართავენ ხოლმე სპექტაკლში, როდესაც ოჯახური უთანხმოების სცენას დგამენ.

ეტყობა, სემის საქციელმა მისტერ ჯეკსონი ცოტა არ იყოს, დააბნია. მაგრამ რადგან უწყებები უკვე ჩამორიგებული ჰქონდა და სათქმელიც არაფერი დარჩა, ისიც შეუდგა ხელთათმნის მორგებას, როგორც ეს ჭეშმარიტად ზრდილობიან კაცს შეჰფერის. შემდეგ დინჯად მოტრიალდა და სამსახურისკენ გაემართა, რომ პატრონებისთვის ეცნობებინა საქმის ესოდენ წარმატებით დამთავრება.

იმ ღამეს მისტერ პიკვიკს წუთითაც არ მოუხუჭავს თვალი - ვერ იქნა, ვერ მოიცილა თავიდან ეს უსიამოვნო საქმე მისის ბერდლის გამო.

მეორე დილას ადრიანად ისაუზმა, სემს უბრძანა, თან გაჰყოლოდა და პირდაპირ გრეიზინისკენ გაემართა.

- სემ, - დაიწყო მისტერ პიკვიკმა, როდესაც ჩიპსაიდის ბოლოს გავიდნენ და მიმოიხედა.

- გისმენთ, სერ! - ხმა გასცა სემმა და ბატონს მიუახლოვდა.

- საით უნდა წავიდეთ ახლა?

- ნიუგეტის ქუჩას უნდა ავყვეთ.

მისტერ პიკვიკი ადგილიდან არ დაძრულა. იგი ერთხანს დაბნეული შესცქეროდა მსახურს და ბოლოს ღრმად ამოიოხრა.

- რა დაგემართათ, სერ? - ჰკითხა სემმა.

- სემ, - თქვა მისტერ პიკვიკმა, - როგორც ჩანს, საქმე მომავალი თვის თოთხმეტ რიცხვს უნდა გაარჩიონ.

- დიდებული დამთხვევაა, სერ, - შესძახა სემმა.

- რა დამთხვევა, სემ? - ჰკითხა მისტერ პიკვიკმა.

- თოთხმეტი ვალენტინის დღე გახლავთ, სერ, - მიუგო სემმა, - სწორედ ზედგამოჭრილია იმ საქმის გასარჩევად, რომელიც საქორწინო პირობის დარღვევას შეეხება!

მისტერ უელერის ღიმილმა ოდნავაც ვერ გაფანტა ბატონის სახეზე შემოწოლილი ნაღველი. იგი ერთბაშად შემობრუნდა და უხმოდ განაგრძო გზა.

კარგა ხანს მიდიოდნენ ასე: მისტერ პიკვიკი, ფიქრებში გახვეული წინ მიკუნტრუშობდა, სემი კი დინჯი ნაბიჯითა და უდარდელი სახით უკან მიჰყვებოდა. უეცრად, სემმა ნაბიჯს აუჩქარა. მიჩვეული იყო, თავში რაიმე საინტერესო აზრი გაუელვებდა თუ არა, უმალვე თავის პატრონს გაუზიარებდა ხოლმე. ახლაც, მისტერ პიკვიკს წამოეწია და მიუთითა სახლზე, რომელსაც ჩაუარეს.

- ეგ საუცხოო ხორცით მოვაჭრე მაღაზიაა, სერ.

- ჰო, კარგი უნდა იყოს, - კვერი დაუკრა პატრონმა.

- დიდებულ ძეხვს ამზადებენ აქ, სერ, - განაგრძო სემმა.

- მართლა? - ჰკითხა მისტერ პიკვიკმა.

- მართლა? - გაბრაზდა სემი, - დიახაც, რომ ასეა. დაილოცოს, სერ, თქვენი გულუბრყვილო მეხსიერება... ამ ოთხი წლის წინათ ხომ სწორედ აქ გაქრა ერთი ვაჭარი.

- ნუთუ დაახრჩვეს, სემ? - ჰკითხა მისტერ პიკვიკმა და აქეთ-იქით მიმოიხედა.

- არა, მთლად ამას არ ვგულისხმობ, სერ, - მიუგო მისტერ უელერმა, - თუმცა ასე რომ ყოფილიყო, ჯობდა. ეს ათასჯერ უარესია, სერ. ის კაცი ამ დუქნის პატრონი გახლდათ. მან გამოიგონა ისეთი ორთქლის მანქანა, რომელიც შეუჩერებლად მუშაობდა და ძეხვებს ამზადებდა. ისეთი მძლავრი მანქანა იყო, უშველებელი რიყის ქვა რომ დაგედოთ, იმასაც კი გადაყლაპავდა და ისე ადვილად გადაამუშავებდა ძეხვებად, თითქოს ჩვილი ბავშვი ყოფილიყოს. ჰოდა, იმ კაცს თავისი მანქანით ძალიან მოჰქონდა თავი. საათობით იდგა სარდაფში, როცა მანქანა მუშაობდა და თვალს არ აშორებდა. უყურებდა, უყურებდა დიდხანს, ვიდრე სიხარულისგან სევდით არ აევსებოდა გული. ასეთი საუცხოო მანქანისა და ორი ანგელოზივით მშვენიერი ბავშვის პატრონი, მართლაც ბედნიერი კაცი იქნებოდა ქვეყნად, ის ქალი რომ ცოლად არ ჰყოლოდა, ქალი კი არა, კუდიანი იყო მართლაც. სულ კუდში დასდევდა და ყურები წუწუნით გაუყრუა. საცოდავს მოთმინების ფიალა აევსო. „აი, რას გეტყვი, ჩემო ძვირფასო, - უთხრა ბოლოს ქმარმა, - მაგ გართობას თავი თუ არ დაანებე, ღმერთმა დამწყევლოს, ამერიკაში თუ არ გადავიხვეწო. გათავდა და მორჩა“. „შენისთანა ზარალი აბა, ვის რად უნდა, - მიუგო ცოლმა, - ნუ გეშინია, არც ამერიკელები გადაგისვამენ თავზე ხელს“. ქალი ნახევარი საათის განმავლობაში ლანძღავდა ქმარს. შემდეგ შევარდა პატარა სასტუმრო ოთახში, რომელიც ამ დუქნის უკან იყო და ატეხა ერთი კივილ-წივილი - სადაცაა სამარეში ჩამაწვენსო. კაი სამი საათი ვერ მოაბრუნეს - სულ კიოდა და ტლინკაობდა. მეორე დილას ქმარი გაქრა, გაქრა უგზო-უკვლოდ. დუქნის სალაროდან ფული არ წაუღია, პალტოც კი არ ჩაუცვამს. ყველასთვის ცხადი იყო, რომ ამერიკაში

ასე ვერ წავიდოდა. არც მეორე დღეს გამოჩენილა... არც ერთი კვირის შემდეგ... მეუღლემ რამდენჯერმე განცხადებაც კი დაბეჭდა, - თუ დაბრუნდები, ყველაფერს მოგიტევებო!.. ყველა არხი გადასინჯეს და მთელი ორი თვის განმავლობაში, ნახავდნენ თუ არა გვამს, პირდაპირ დუქნისკენ მიარბენინებდნენ, მაგრამ არც ერთი არ გამოდგა დაკარგული ქმარი. ბოლოს თქვეს - ალბათ, გაიქცაო. ვაჭრობის საქმე ახლა ქალმა ითავა... ერთ შაბათს, საღამოს, დუქანში საშინლად აღელვებული ვიღაც გამხდარი მოხუცი ჯენტლმენი შემოვიდა. მან ხმამაღლა იკითხა: - „დუქნის პატრონი თქვენ ბრძანდებით?“ „დიახ, მე გახლავარ“, - უპასუხა ქალმა. „მაშ, ქალბატონო, - განაგრძო კაცმა, - ერთი რამ იცოდეთ: უნდა მოგახსენოთ, რომ მე და ჩემი ოჯახი სულაც არ ვაპირებთ დახრჩობას ასე ტყუილუბრალოდ... მეტიც, - დაუმატა მან, - რახან ძეხვებისთვის არ იყენებთ საუკეთესო ხარისხის ხორცს, მაშინ ალბათ დამეთანხმებით, რომ იგი ღილის ფასად გიჯდებათ“. „როგორ თუ ღილის, სერ?“ „დიახ, ღილის, ქალბატონო, - მიუგო პაწია მოხუცმა, ქაღალდი გაშალა და მანდილოსანს აჩვენა შიგ გახვეული ოცი თუ ოცდაათი ღილის ნატეხი, - სწორედ რომ დიდებული საკმაზია ძეხვებისთვის შარვლის ღილები, ქალბატონო“. „ეს ხომ ჩემი ქმრის ღილებია!“ - აღმოხდა ქალს და წაბარბაცდა. „რაო!“ - შეჰყვირა მოხუცმა ჯენტლმენმა და გაფითრდა. „ახლა კი მივხვდი ყველაფერს, - თქვა ქვრივმა, - დარდისგან საცოდავი ჭკუაზე შეცდა და ძეხვად აქცია თავი“...

- მართლაც ასე მოიქცა, სერ, - სემმა მრავალმნიშვნელოვნად გადახედა მისტერ პიკვიკის ზარდაცემულ სახეს, - ან შესაძლოა, თვით მანქანამ ჩაითრია.

ასე იყო თუ ისე, მოხუცი ჯენტლმენი, რომელსაც, რაც თავი ახსოვდა, გაგიჟებით უყვარდა ძეხვი, შეშლილივით გავარდა დუქნიდან და მას აქეთ აღარც გამოჩენილა...

მედუქნის პირადი ცხოვრების ესოდენ გულისამაჩუყებელი ამბის დასასრულს ბატონიცა და მსახურიც მისტერ პერკერის კართან აღმოჩნდნენ. ლაუტენს ნახევრად გამოეღო კარი, რომელიც შესახედად მეტად საცოდავ არსებას ესაუბრებოდა, რომელსაც გადახუნებული კოსტიუმი და დახეული ფეხსაცმელი ეცვა, ხელებზე კი გაცვეთილი ხელთათმანები ჩამოეცვა. გაჭირვებასა და ტანჯვას, უფრო კი სასოწარკვეთას დაეღარა მისი გამხდარი, მოქანცული სახე. როგორც ჩანს, მტკივნეულად განიცდიდა თავის მდგომარეობას, რადგან, მოჰკრა თუ არა თვალი მისტერ პიკვიკს, სწრაფად დაიხია კიბის ბნელი კუნჭულისაკენ.

- ძალიან სამწუხაროა, - თქვა უცნობმა და ამოიოხრა.

- დიახ, ძალიან, - კვერი დაუკრა ლაუტენმა, კარზე კალმით დაკაწრა თავისი სახელი, ფრთის მეორე ბოლოთი კი კვლავ მოშალა იგი, - თქვენი სახელით რამე ხომ არ გადავცე?

- როდის დაბრუნდება? - იკითხა უცნობმა.

- ზუსტად ვერაფერს გეტყვით, - მიუგო ლაუტენმა და როდესაც უცნობი სევდიანად ჩააშტერდა იატაკს, მისტერ პიკვიკს თვალი ჩაუკრა.

- როგორ გგონიათ, ღირს მოცდა? - წამოიწყო ისევ უცნობმა და თან ნაღვლიანად მოავლო თვალი კანტორას.

- ო, არა, მერწმუნეთ, არ ღირს, - მიუგო კლერკმა და ოდნავ გადაინაცვლა კარის შუაგულისკენ, - ამ კვირის განმავლობაში ნამდვილად არ დაბრუნდება და კიდევ სათუოა, შემდეგ კვირაშიც თუ ჩამოვიდა. მოგეხსენებათ, პერკერი თუ ერთხელ გავიდა ქალაქიდან, მის დაბრუნებას საშველი არ დაადგება.

- ქალაქიდან გავიდა! - წამოიძახა მისტერ პიკვიკმა, - უბედობა თუ გინდა, ეს არის სწორედ!

- არ წახვიდეთ, მისტერ პიკვიკ, - მიმართა მას ლაუტენმა, - წერილი დამიტოვეს თქვენთვის გადმოსაცემად.

უცნობი თითქოს შეყოყმანდა, კვლავ იატაკს ჩააშტერდა, ამასობაში კი მოხერხებულმა კლერკმა მისტერ პიკვიკს კვლავ ჩაუკრა თვალი, იმის ნიშნად, ერთი უყურეთ, რა სეირიაო. მაგრამ მისტერ პიკვიკი სულაც ვერ მიხვდა, რაში იყო საქმე.

- შემობრძანდით, მისტერ პიკვიკ, - სთხოვა მას ლაუტენმა, - მაშ ასე, მისტერ უოტი, დაუტოვებთ ამბავს, თუ კიდევ შემოივლით?

- შეეხვეწეთ, გეთაყვა, - წაილუღლუღა უცნობმა, - თუ არ შეწუხდება, იქნებ ჩემი საქმის შესახებ რაიმე ამბავი დამიტოვოს... გაფიცებთ, არ დაგავიწყდეთ, მისტერ ლაუტენ...

- არა, არ დამავიწყდება, - მიუგო კლერკმა, - შემობრძანდით, მისტერ პიკვიკ. ნახვამდის, მისტერ უოტი. საუცხოო დარია გასასეირნებლად, არა?

ლაუტენმა შენიშნა, რომ უცნობი კვლავ არ იცვლიდა ფეხს. ამიტომ სემ უელერს ანიშნა - სწრაფად გაჰყევი შენს ბატონსო და უცნობს კარი ზედ ცხვირწინ მოუკეტა.

- გაკოტრებული ბევრი მინახავს, მაგრამ ასეთი აბეზარა, რაც ღმერთს ეს ქვეყანა გაუჩენია, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, არავის უნახავს, - წარმოთქვა ლაუტენმა და კალამი ისე დაახეთქა მაგიდას, თითქოს უნდოდა ეჩვენებინა - მოვკვდი, გავთავდი კაციო... - მისი საქმე ჯერ ოთხი წელიც არაა, რაც სასამართლოშია და აღარ გვასვენებს... კვირაში ორჯერ მოდის... ეშმაკმა დამწყევლოს, თუ ვტყუოდე!.. წამობრძანდით, მისტერ პიკვიკ, პერკერი აქ გახლავთ. ვიცი, რომ უეჭველად მიგიღებთ... რა საშინლად ცივა, - განაგრძო მან ნერვიულად, - ეგ ქეციანი არამზადა ამდენ ხანს კართან გაყურყუტებს და ამდენ დროსაც გაკარგვინებს.

კლერკმა უზარმაზარ ბუხარში მაშით ცეცხლს შეუკეთა. შემდეგ მოსულებს ვექილის ოთახში შეუძღვა და უფროსს მისტერ პიკვიკის მოსვლა მოახსენა.

- ო, ჩემო ძვირფასო სერ, - შესძახა პერკერმა და საჩქაროდ წამოდგა სკამიდან. - ჩემო ძვირფასო სერ, რას იტყვით ახალს თქვენი საქმის შესახებ? უთუოდ რაიმე გაცნობეს ჩვენმა კეთილმა მეგობრებმა, ფრიმენზკორტში რომ არიან? ვიცი, ვიცი, დროს ტყუილად არ კარგავენ, მარჯვე ბიჭები არიან, ღმერთმანი...

დაასრულა თუ არა საუბარი, პაწია კაცმა მთელი ძალით შეიყნოსა ბურნუთის მწიკვი, თითქოსდა იმის ნიშნად, აღტაცებული ვარ დოდსონისა და ფოგის მოხერხებულობითო.

- ნამდვილად არამზადები გახლავთ, - შენიშნა მისტერ პიკვიკმა.

- დიახ, დიახ, - წარმოთქვა პაწია კაცმა, - მოგეხსენებათ, ეს იმაზეა დამოკიდებული, ვინ როგორ უყურებს საქმეს. ტერმინებს, მოდი, ნუ გამოვეკიდებით, მით უფრო, რომ თქვენ ამას ვერც განსჯით პროფესიონალური თვალსაზრისით. ასეა თუ ისე, ჩვენ ყოველივე ვიღონეთ... სარჯენტი სნაბინი მოვიწვიე.

- პატიოსანი კაცია? - ჰკითხა მისტერ პიკვიკმა.

- პატიოსანი კაციაო! - წამოიძახა მისტერ პერკერმა, - დაილოცოს თქვენი სული და გული, ჩემო ძვირფასო სერ. სარჯენტი სნაბინი თავისი საქმის ბრწყინვალე ოსტატი გახლავთ. თითოეული კაცისგან სამმაგ საფასურს იღებს. არ არის საქმე, ეგ რომ არ ერიოს. ნურავის ეტყვით და სარჯენტი სნაბინი თვით მოსამართლესაც კი გააცურებს ხოლმე.

აცნობა თუ არა კლიენტს ეს ღირსშესანიშნავი ფაქტი, პაწია კაცმა კვლავ დაყნოსა ბურნუთი და საიდუმლოდ დაუქნია თავი მისტერ პიკვიკს.

- ჩემს სამივე მეგობარს უწყება გამოუგზავნეს, - დაიწყო კვლავ მისტერ პიკვიკმა.

- ეჭვიც არ მეპარება, რომ ასე მოიქცეოდნენ, - მიუგო პერკერმა.

- დიდად საყურადღებოა ასეთი მოწმეების ჩვენება... მათ თავისი თვალით გნახეს ფრიად საეჭვო მდგომარეობაში.

- კი მაგრამ, მე რა შუაში ვარ, - დასცდა მისტერ პიკვიკს, - იმ ქალს თუ მოეპრიანა - გული მიმდისო და უცებ კისერზე ჩამომეკიდა?

- მჯერა, ჩემო ძვირფასო სერ, მჯერა, - მიუგო პერკერმა, - ადვილი შესაძლებელია და ბუნებრივიცაა, რომ ასე მომხდარიყო. რა არის აქ საკვირველი? არაფერი! მაგრამ აბა, როგორ დაამტკიცებთ ამას?

- ამ არამზადებმა ჩემი მსახურიც გამოიძახეს, - მისტერ პიკვიკმა საჩქაროდ შეცვალა საუბრის თემა, რადგან მისტერ პერკერის შეკითხვამ ცოტა არ იყოს შეაკრთო.

- სემი? - ჰკითხა მას პერკერმა.

მისტერ პიკვიკმა თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია.

- რაღა თქმა უნდა, ჩემო ძვირფასო სერ, - თქვა პერკერმა, - ეჭვი არ მეპარება, რომ ასეც მოხდებოდა. ამას ერთი თვით ადრეც გეტყოდით. იცით, რა გითხრათ, ჩემო ძვირფასო სერ... თუ თქვენ გსურთ, თვითონ მართოთ საქმე, თანაც მას შემდეგ, რაც თქვენივე ვექილს მიანდეთ იგი, მაშინ შედეგიც თქვენ იწვნიეთ, - აქ მისტერ პერკერი შეჩერდა, წელში გასწორდა და ჟაბოდან თამბაქოს რამდენიმე ნამცეცი ჩამოიბერტყა.

მისტერ პიკვიკი წუთით დაფიქრდა.

- ამის ჩვენება რაღად დასჭირდათ? - იკითხა მან.

- ვფიქრობ, იმისთვის, რომ თქვენ ის მოსარჩელეს გაუგზავნეთ და რაღაც კომპრომისი შესთავაზეთ, - მიუგო მისტერ პერ-

კერმა, - თუმცა ამ გარემოებას არცთუ ისე დიდი მნიშვნელობა აქვს. მოგეხსენებათ, სემი ისეთი კაცია, რომ ვერავინ ვერაფერს დასცინცლავს, თვით ვექილიც კი.

- მეც ასე მგონია, - დაეთანხმა მისტერ პიკვიკი და უნებლიეთ გაეღიმა, როდესაც წარმოიდგინა სემი მოწმის როლში.

- ერთი რამ დაგვრჩენია, პატივცემულო სერ, - მიუგო პერკერმა, - ჯვარედინი დაკითხვა მოვუწყოთ მოწმეებს, მივენდოთ სნაბინის მჭევრმეტყველებას, მოსამართლეს თვალში მტვრის კორიანტელი ავუყენოთ და მსაჯულთა საკრებულო ჩვენ მხარეზე გადმოვიბიროთ.

- ვთქვათ, განაჩენი ჩემ წინააღმდეგ გამოიტანეს, მაშინ? - იკითხა მისტერ პიკვიკმა.

მისტერ პერკერს გაეღიმა, ბურნუთის მწიკვი ნელა შეიყნოსა, მაშით ბუხარში ნაკვერჩხალი მოჩიჩქნა, მხრები აიჩეჩა და მრავალმნიშვნელოვნად დადუმდა.

მისტერ პიკვიკი მკაცრად ადევნებდა თვალს ამ უსიტყვო პასუხს.

- თქვენ უთუოდ იმას გულისხმობთ, რომ ამ შემთხვევაში ზარალის ანაზღაურება მომიხდება? - იკითხა მან.

პერკერმა კვლავ შეუკეთა ცეცხლს, თუმცა არც იყო საჭირო და შემდეგ დინჯად თქვა:

- ვშიშობ, რომ მოგიხდებათ, სერ.

- ...თუ ასეა, ნება მიბოძეთ, დაუყოვნებლივ მოგახსენოთ ჩემი ურყევი გადაწყვეტილება, - ხაზგასმით წარმოთქვა მისტერ პიკვიკმა, - ერთ პენსსაც არ გადავიხდი! იცოდეთ, ჩემი ფულის არც ერთი გირვანქა და არც ერთი პენსი არ გაასქელებს დოდსონისა და ფოგის ჯიბეებს. ასეთი გახლავთ ჩემი მტკიცე და საბოლოო გადაწყვეტილება! - აქ მისტერ პიკვიკმა მთელი ძალით დაარტყა

ხელი მაგიდას იმის დასამტკიცებლად, რომ მისი განზრახვა მტკიცე და ურყევი იყო.

- ბატონი ბრძანდებით, ძვირფასო სერ, - მიუგო პერკერმა, - თქვენი საქმისა თქვენ უკეთ იცით, სერ.

- რა თქმა უნდა, - საჩქაროდ კვერი დაუკრა მისტერ პიკვიკმა, - ეგ სარჯენტი სნაბინი სად ცხოვრობს?

- ლინკოლნზ-ინში, უოლდ-სკვერზე, - მიუგო პერკერმა.

- უნდა ვინახულო, - თქვა მისტერ პიკვიკმა.

- ინახულოთ სარჯენტი სნაბინი, ძვირფასო სერ?! - შეიცხადა პერკერმა, - პა, პა, პა, პა... ეს შეუძლებელია, ჩემო ძვირფასო სერ. ინახულოთ სარჯენტი სნაბინი?.. ჰმ! დაილოცოს თქვენი სათუთი გული, ჩემო ძვირფასო სერ. ეგ ვის გაუგონია, ინახულოთ სარჯენტი სნაბინი ისე, რომ წინასწარი კონსულტაციისათვის ჰონორარი არ გაქვთ გადახდილი და კონსულტაციის საათიც საგანგებოდ დანიშნული? შეუძლებელია, ჩემო ძვირფასო სერ, შეუძლებელია!

მაგრამ თვით მისტერ პიკვიკი, როგორც ჩანს, ფიქრობდა, რომ ეს არა მარტო შესაძლებელი იყო, არამედ აუცილებელიც. ამიტომ არ გასულა ათი წუთი მას შემდეგ, რაც არწმუნებდნენ, სარჯენტის ნახვა შეუძლებელიაო, რომ მისტერ პერკერი თვითონ შეუძღვა მას დიდებული სარჯენტი სნაბინის საბრძანებელში.

ეს გახლდათ საკმაოდ მოზრდილი ოთახი. ბუხართან მიედგათ დიდი საწერი მაგიდა, რომლის მაუდის გადასაფარებელს ეტყობა, დიდი ხანია დაეკარგა პირველსახე - მწვანე ფერი და დროთა მსვლელობისა და მტვრისაგან ჩაჟამებულიყო იმ ადგილების გარდა, რომელზედაც, მელნის ლაქების გამო, სამუდამოდ გამქრალიყო ფერის ნიშანწყალი. მაგიდაზე წითელი ზონრებით შეკრული ქაღალდის გაბნეული დასტები მოჩანდა, თვით

მაგიდასთან კი ხანში შესული კლერკი იჯდა. მისი გაპრიალებული გარეგნობა და ოქროს მძიმე ძეწკვი ნათლად მოწმობდა, რომ სარჯენტი სნაბინი მეტად დიდ და მომგებიან საქმიანობას ეწეოდა.

- სარჯენტი სნაბინი თავის ოთახშია, მისტერ მელარდ? - ჰკითხა კლერკს პერკერმა და დიდი მოწიწებით შესთავაზა ბურნუთით სავსე ყუთი.

- დიახ, გახლავთ, - იყო პასუხი, - მაგრამ ფრიად დაკავებულია. ერთი ამ საქმეებს შეხედეთ. ჯერ არც ერთ მათგანზე დასკვნა არ არის მიცემული და ჰონორარი კი დიდი ხანია გადახდილია, - თქვა კლერკმა და გაიღიმა, თან სიამოვნებით შეიყნოსა ბურნუთი, რითაც აშკარად გამოხატა როგორც დიდი პატივისცემა თამბაქოსადმი, ისე ძლიერი სიყვარული სარფიანი ჰონორარისადმი.

- აი, მესმის, ასეთი პრაქტიკა ჰქონდეს კაცს, - შენიშნა პერკერმა.

- დიახ, - დაეთანხმა კლერკი. ამჯერად მან თვითონ ამოიღო ბურნუთის ყუთი და პერკერს შესთავაზა. - ყველაზე კარგი კი ისაა, რომ ჩემი ვექილის ნაწერს ჩემ გარდა ვერავინ არჩევს. ამიტომ ყველამ უნდა უცადოს დასკვნას მანამდე, ვიდრე მე გადავწერ მათ. ჰა, ჰა, ჰა!..

- და ამით საკმაო ფულსაც შოულობთ, - ჩაურთო სიტყვა პერკერმა, - ვიცით, ვიცით, ვექილის გარდა ასეთ საქმეში მოგება ვისაც რჩება. განა არ ვიცით, ამგვარი ხერხებით რომ გამოსცინცლავთ ხოლმე ზედმეტ ფულს კლიენტებს, ჰა, ჰა, ჰა!

ამის გაგონებაზე კლერკს კიდევ უფრო გულიანად გაეცინა, მაგრამ ეს არ იყო ხმამაღალი ხარხარი, კლერკი ჩუმად, თითქოს თავისთვის ხითხითებდა. ეს ხითხითი მეტად უსიამოვნოდ ჩაესმა ყურში მისტერ პიკვიკს. როცა ადამიანს „ჩაქცევა“ აქვს

ხოლმე, ეს ფრიად სახიფათოა თვით მისთვის, მაგრამ როდესაც იგი ასე ჩუმად ხითხითებს, ამას სიკეთე არასოდეს მოაქვს სხვისთვის.

- პატარა სია თუ შემიდგინეთ იმ ჰონორარის, რომელიც მე უნდა გადაგიხადოთ? - იკითხა პერკერმა.

- არა, ჯერ არ შემიდგენია, - მიუგო კლერკმა.

- მაშ, შეადგინეთ, გეთაყვა, - თქვა პერკერმა, - მერე მე გადმომეცით და ჩეკს გამოგიგზავნით. თუმცა, გეტყობათ, ნაღდი ფულის მიღებით ისე ხართ გართული, რომ მოვალეებისთვის ვეღარ იცლით. ჰა, ჰა, ჰა!

როგორც ჩანს, კლერკს ეს ხუმრობა ძალიან ეამა, მან კვლავ სიამოვნებით ჩაიხითხითა.

- მაგრამ, მისტერ მელარდ, ჩემო ძვირფასო მეგობარო, - ახლა კი ხუმრობის გარეშე დაიწყო მისტერ პერკერმა, დიადი სარჯენტის დიად კლერკს სერთუკის გადანაკეცში მოქაჩა და კუთხისკენ გაიხმო, - გემუდარებით, როგორმე დაარწმუნეთ თქვენი უფროსი, რომ მე და ჩემი კლიენტი, აგერ აქ რომაა, დაუყოვნებლივ მიგვიღოს.

- აბა, რას ამბობთ?! - შესძახა კლერკმა, - ურიგო არაა, ჩემმა მზემ! სარჯენტმა მიგვიღოსო! ჰა! ეს ხომ სიგიჟეა!

და მიუხედავად იმისა, რომ პერკერის წინადადება „სიგიჟედ“ მიიჩნია, კლერკი ნებით გაჰყვა ვექილს კუთხეში, რომ მისტერ პიკვიკს ყური არ მოეკრა მათი საუბრისთვის. ცოტა ხნის ჩურჩულის შემდეგ იგი ჩუმი ნაბიჯით გავიდა ბნელ ტალანში და კანონის დიადი პიროვნების საბრძანებელში გაქრა. იქიდან მალე ფეხაკრეფით დაბრუნდა და მისტერ პიკვიკსა და მისტერ პერკერს შეატყობინა - დაწესებული კანონებისდა მიუხედავად, როგორც იქნა, დავითანხმე, რომ ახლავე მიგიღოთო.

მისტერ სნაბინი ლოყებჩაცვენილი მამაკაცი გახლდათ და სახეზე ყვითელი ფერი ედო. დაახლოებით ორმოცდახუთი წლის იქნებოდა, ან როგორც რომანებში წერენ ხოლმე, შეიძლება ორმოცდაათისაც. მოხარშული თევზივით გადმობურცული ღია ცისფერი თვალები ჰქონდა. ასეთი თვალები ხშირად აქვს ისეთ ადამიანს, რომელმაც მრავალი წელი შეალია კანონების დამქანცველ და მოსაწყენ კირკიტს. კისერზე შემოხვეულ შავ ლენტზე ლორნეტი რომ არ ჰკიდებოდა, მაინც იმავე წამს მიხვდებოდით, რომ სარჯენტი ახლომხედველი იყო. თმა მეტად თხელი ჰქონდა, რაც უთუოდ იმით იყო გამოწვეული, რომ პატრონს მის მოსავლელად არც ეცალა და იმითაც, რომ უკვე კაი ოცდახუთი წელია, რაც ვექილის პარიკს ატარებდა, რომელიც ახლა იქვე სადგარზე ეკიდა. სერთუკის საყელოზე პუდრის ნაკვალევი და ცუდად გარეცხილი და უგერგილოდ შენასკვული ჰალსტუხი ნათლად ღაღადებდა იმაზე, რომ სასამართლოდან დაბრუნებისას კანონის ეს მსახური ვერ იცლიდა რაიმე, თუნდაც წვრილმანი ცვლილება მოეხდინა თავის მორთულობაში. თუმცა, მისი სამოსლის უსუფთაობა უნებლიეთ გაფიქრებინებდათ, რომ ამ კაცს საკმაო დროც რომ ჰქონოდა, მისი გარეგნობა ამით ბევრს მაინც ვერაფერს მოიგებდა. საქმის დავთრები, თაბახები და გახსნილი წერილები ისე უწესრიგოდ იყო გაბნეული მაგიდაზე, თითქოს არასოდეს უცდია მათი დალაგება. ოთახის მთელი ავეჯი ძველი და მორყეული იყო. წიგნის კარადის კარი ანჯამებში მომპალიყო. ფარდები ჟამთა სვლისა და ჭუჭყისგან გადაყვითლებულიყო. ფეხის ყოველ გადადგმაზე ხალიჩაზე მტვრის კორიანტელი იდგა. როგორც კი დააკვირდებოდით ნებისმიერ საგანს, უმალვე მიხვდებოდით, სარჯენტი სნაბინი იმდენად მოუცლელი იყო, რომ ყურადღებას არ აქცევდა პირად კომფორტს და დროც არ ჰქონდა, ამაზე ფიქრით შეეწუხებინა თავი.

სარჯენტი რაღაცას წერდა, როდესაც ოთახში კლიენტები შევიდნენ. პაწია ვექილმა მისტერ პიკვიკი სარჯენტს წარუდგინა. მან უგულისყუროდ დაუკრა თავი, ცალი ხელით სკამზე მიუთითა, კალამი გულდასმით ჩააწო სამელნეში, მარცხენა ფეხი გააქანავა და მოსასმენად მოემზადა.

- მისტერ პიკვიკი, მოპასუხე ბერდლ-პიკვიკის საქმეში, სარჯენტო სნაბინ, - თქვა პერკერმა.

- მე უნდა დავიცვა ეგ საქმე? - იკითხა სარჯენტმა სნაბინმა.

- დიახ, სერ, - მიუგო პერკერმა.

ვექილმა თავი დააქნია და დაელოდა, რას ეტყოდნენ კიდევ მოსულნი.

- მისტერ პიკვიკს ძალიან უნდოდა თქვენი ნახვა, სარჯენტო სნაბინ, - დაიწყო პერკერმა, - ვიდრე ამ საქმეს მოკიდებდეთ ხელს, მას უნდა წინასწარ გაგიცხადოთ, რომ არავითარი საფუძველი ან საბაბი არ არსებობს მის წინააღმდეგ საქმის აღძვრისათვის. სინდისი რომ ჰქენჯნიდეს და დარწმუნებული არ იყოს თავის სიმართლეში, იგი სასამართლოში ფეხსაც არ შემოდგამდა... იმედი მაქვს, რომ ზუსტად გადმოვცემ თქვენს აზრს, პატივცემულო სერ... - მიუბრუნდა პაწია კაცი მისტერ პიკვიკს.

- სავსებით, - მიუგო ხსენებულმა ჯენტლმენმა.

სარჯენტმა სნაბინმა ლორნეტი გახსნა და თვალთან მიიტანა. რამდენიმე წუთის განმავლობაში ცნობისმოყვარედ აკვირდებოდა ახალ კლიენტს, შემდეგ მისტერ პერკერს მიუბრუნდა და ღიმილით ჰკითხა:

- მისტერ პიკვიკს მაგარი საბუთი აქვს?!

პასუხად პაწია ვექილმა მხრები აიჩეჩა.

- მოწმეების გამოძახებას თუ აპირებთ?

- არა.

სარჯენტს სახეზე უფრო მკვეთრად აუთამაშდა ღიმილი. მან უფრო ძლიერად შეაქანავა ფეხი, უკან გადაწვა სავარძელში და ჩაახველა.

სარჯენტის ცუდი წინათგრძნობის ეს აშკარა ნიშნები (თუმცა იგი მეტად სწრაფი იყო), არ გამოჰპარვია მისტერ პიკვიკს. მანაც უფრო მაგრად ჩამოიცვა ცხვირზე სათვალე, - მათი წყალობით შეამჩნია სარჯენტის გრძნობათა ღელვა, რომელიც ამ დიადმა ადამიანმა საჭიროდ ცნო, უბრალო მოკვდავთა წინაშე გამოემ-ჟღავნებინა და მიუხედავად იმისა, რომ მისტერ პერკერმა გაფ-რთხილების ნიშნად კოპები შეიკრა და რამდენჯერმე თვალი ჩა-უკრა, მან ხაზგასმით წარმოთქვა:

- სერ, ჩემი სურვილი, რამაც თქვენთან მომიყვანა, უთუოდ უცნაურად მოეჩვენება ისეთ ჯენტლმენს, რომლის თვალწინ ამ-გვარი საქმენი ათასობით ირჩევა ყოველდღიურად.

სარჯენტი შეეცადა ღიმილი შეეკავებინა და ცეცხლს მიაჩერ-და, მაგრამ უნებლიეთ კვლავ გაეღიმა.

- თქვენი პროფესიის ხალხი, სერ, - განაგრძო მისტერ პიკვიკ-მა, - მუდამ ადამიანის ბუნების ყველაზე უფრო ცუდ თვისებებს ხედავს. თქვენ წინაშე ამჟღავნებს იგი მთელ ბოროტებასა და სი-ანჩხლეს, რაც გულში აქვს. თქვენ საკუთარი გამოცდილებით კარგად იცით (და მე სრულიად არ გკიცხავთ არც თქვენ და არც მსაჯულებს), რომ ბევრი რამ სასამართლოში „ეფექტზეა“ დამო-კიდებული. ხშირად თქვენ სხვებს მიაწერთ სურვილს, მიმართონ მოტყუებას, თაღლითობას და ეგოისტური ინტერესების მიზნით, გამოიყენონ ისეთი საშუალებანი, რომელთა ჭეშმარიტი ბუნება და მიზანშეწონილობა თქვენ კარგად მოგეხსენებათ, რადგან ხშირად თვითონვე იყენებთ მათ სრულიად პატიოსანი, კეთილი განზრახვით და ჭეშმარიტად სასიქადულო სურვილით, რომ ყო-ველივე იღონოთ კლიენტის სასიკეთოდ. მჯერა, რომ მხოლოდ

ამ გარემოებას უნდა მივაწეროთ ვულგარული, მაგრამ საყოველთაოდ ცნობილი აზრი, რომ თქვენი პროფესიის ხალხი მეტად ეჭვიანი, უნდო და ზედმიწევნით ფრთხილია... მე კარგად მესმის თუ რამდენად არახელსაყრელია ჩემთვის თქვენთან მოსვლა, თანაც ისეთ პირობებში, როგორშიც მე ვარ. და მაინც მოვედი, რადგან მსურს, რომ სწორად გამიგოთ, ისე, როგორც ჩემმა მეგობარმა, მისტერ პერკერმა მოგახსენათ. იცოდეთ, მე არავითარი დანაშაული არ მიმიძღვის იმ ყალბ საქმეში, რაშიც ბრალს მდებენ. და თუმცა ისიც ვიცი, თუ რა ფასდაუდებელია თქვენი სამსახური, სერ, აქვე უნდა მოგახსენოთ, რომ... თუ ჩემი არ გჯერათ, მირჩევნია, ახლავე უარი ვთქვა თქვენს დახმარებაზე, ვიდრე მონაწილეობა მიგაღებინოთ ამ საქმეში.

ჯერ კიდევ დიდი ხნით ადრე, ვიდრე დასრულდებოდა ეს სიტყვა, რომელიც არ შეიძლება არ აღვნიშნოთ აქვე, მეტად მოსაბეზრებელი იყო თვით მისტერ პიკვიკისთვისაც, დიდი სარჯენტი კვლავ ღრმა ფიქრებში გაეხვია. მაგრამ, რამდენიმე წუთის შემდეგ, როდესაც კალამი ხელში აიღო, თითქოს კვლავ მოაგონდა, რომ მის ოთახში კლიენტები იყვნენ. სარჯენტმა თავი ასწია და საკმაოდ გულფიცხად წარმოთქვა:

- ვინ არის ამ საქმეში ჩემთან ერთად?

- მისტერ ფანკი, სარჯენტო სნაბინ, - მიუგო პაწია ვექილმა.

- ფანკი, ფანკი, - გაიმეორა სარჯენტმა, - ასეთი გვარი არასოდეს მსმენია. უთუოდ მეტად ახალგაზრდაა...

- დიახ, ძალიან ახალგაზრდა გახლავთ, - მიუგო პაწია ვექილმა, - ახლახან მოიწვიეს. თუ არ ვცდები, რვა წელიც არ იქნება, რაც ვექილობის უფლება მოიპოვა.

- მეც ასე მგონია, - დაეთანხმა სარჯენტი იმ შემწყნარებლური კილოთი, რომლითაც უბრალო მოკვდავნი იხსენიებენ ხოლმე თოთო ბავშვს.

- მისტერ მელარდ, შეუთვალეთ, მისტერ... მისტერ...

- ფანკის ჰოლბორნ-კორტიდან, გრეი-ინში, - მიეშველა დიად ადამიანს მისტერ პერკერი (სხვათა შორის, ჰოლბორნ-კორტს ახლა საუთ-სკვერი ეწოდება). გადაეცით, რომ მოხარული ვიქნები, თუ ცოტა ხნით აქ შემოირბენს.

მისტერ მელარდი ბრძანების შესასრულებლად გავიდა, სარჯენტი სნაბინი კი კვლავ ფიქრებში გაეხვია, რაც იმ დრომდე გაგრძელდა, ვიდრე მის წინაშე მისტერ ფანკი არ წარდგა.

ეს „თოთო“ ვექილი საკმაოდ მოწიფული მამაკაცი აღმოჩნდა. როგორც ჩანს, მეტად ნერვიული იყო და ლაპარაკშიც ხშირად ენა ებმოდა. ეს თანდაყოლილი ნაკლი არ უნდა ყოფილიყო და უფრო მორცხვობით მოსდიოდა, რაც იმით იყო გამოწვეული, რომ ახალგაზრდა ვექილი გრძნობდა, - სასამართლოში გასაქანს არ აძლევდნენ, რადგან არც სათანადო სახსრები გააჩნდა, არც თავხედობა და არც თვალსაჩინო კავშირები. იგი მოწიწებით შეჰყურებდა დიდებულ სარჯენტს და თავაზიანობას იჩენდა პერკერის მიმართ.

- სამწუხაროდ, არ მქონია სიამოვნება, ადრე მენახეთ, მისტერ ფანკი, - თქვა სარჯენტმა სნაბინმა ქედმაღლური გულმოწყალებით.

მისტერ ფანკიმ თავი დაუკრა. მას არაერთხელ ჰქონდა სიამოვნება, ენახა სარჯენტი და რვა წლისა და სამი თვის განმავლობაში შურდა კიდეც მისი მდგომარეობა, როგორც შეიძლება შურდეს მხოლოდ ღატაკს.

- რამდენადაც ვიცი, ამ საქმეში თქვენ ჩემთან ერთად ხართ, არა? - იკითხა სარჯენტმა.

მისტერ ფანკი მდიდარი კაცი რომ ყოფილიყო, უმალვე თავის კლერკს მოუხმობდა, რომ გაეხსენებინა - მართლა ასე იყო თუ არა; ეშმაკი რომ ყოფილიყო, უთუოდ ღრმააზროვნად მიიდებდა

საჩვენებელ თითს შუბლზე და შეეცდებოდა, გაეხსენებინა იმ უამრავ საქმეთა შორის (მას რომ ებარა) მართლა აიღო ეს საქმე თუ არა; მაგრამ რაკი იგი არც ერთი იყო და არც მეორე, ჭარხალივით გაწითლდა და კვლავ უსიტყვოდ დააქნია თავი.

- გადახედეთ საბუთებს, მისტერ ფანკი? - ჰკითხა კვლავ სარჯენტმა.

აქაც მართებდა მისტერ ფანკის, თავი ისე მოეჩვენებინა, თითქოს არც ახსოვს, რა საქმის შესახებ ელაპარაკებიანო, მაგრამ როგორც კი სარჯენტ სნაბინის მოადგილედ დანიშნეს, მან გულდასმით გადაიკითხა ყველა ქაღალდი, რაც კი ხელში ჩაუვარდა ამ საქმის მსვლელობის შესახებ და აგერ ორი თვეა, ძილში თუ ცხადად, მხოლოდ ამაზე ფიქრობდა. იგი კვლავ გაწითლდა და სარჯენტს თანხმობის ნიშნად თავი დაუკრა.

- აი, ეს გახლავთ მისტერ პიკვიკი, - წარმოთქვა სარჯენტმა და კალამი იმ მიმართულებით გაიქნია, სადაც ხსენებული ჯენტლმენი იდგა.

მისტერ ფანკიმაც ისეთი მოწიწებით დაუკრა თავი მისტერ პიკვიკს, როგორც ეს პირველ კლიენტს შეჰფერის და კვლავ უფროსს მოუტრიალდა.

- იქნებ, გააცილოთ მისტერ პიკვიკი, - შესთავაზა სარჯენტმა მოადგილეს, - და... და მოუსმინოთ, რასაც მისტერ პიკვიკი ინებებს მოგახსენოთ. შემდგომ, რა თქმა უნდა, ერთად მოვითათბირებთ.

ამგვარად სარჯენტმა აგრძნობინა მომსვლელთ, რომ საკმაოდ ბევრი დრო მოგანდომეთო. წუთით ლორნეტი მიიდო თვალზე, ოდნავ დაუკრა ყველას თავი და კვლავ გულდასმით შეუდგა მის წინ გადაშლილი საქმის კითხვას, რომელიც წარმოშვა დაუსრულებელმა სასამართლო ძიებამ. ეს პროცესი ასი წლის წინათ დაიწყო - დაობდნენ ერთი ბილიკის გადაღობვის გამო, რო-

მელიც ისეთი ადგილიდან იწყებოდა და ისეთი ადგილისკენ მიემართებოდა, საითაც არასოდეს არავინ დადიოდა.

უნდა მოგახსენოთ, რომ მისტერ ფანკის ოთახის ზღურბლს არ გადაუბიჯებია, ვიდრე მისტერ პიკვიკი და მისი ვექილი არ გაატარა... სკვერზე გასვლას კარგა ხანს მოუნდნენ. აქ მათ დიდ-ხანს ითათბირეს - გამოირკვა, რომ წინასწარ ძნელი იყო იმის თქმა, თუ რა გადაწყვეტილებას მიიღებდა სასამართლო და რი-თი დამთავრდებოდა ეს საქმე. მათი მხრიდან ისიც დიდი წარმა-ტება იყო, რომ მოწინააღმდეგე მხარეს დაასწრეს, სარჯენტი სნა-ბინი ინახულეს და ამ საქმეში მისი მონაწილეობის თანხმობა მიიღეს. ითქვა კიდევ ბევრი რამ, ხან სანუგეშო, ხან ეჭვის აღ-მძვრელი, რაც ჩვეულებრივ ითქმის ხოლმე ასეთ ვითარებაში.

ამის შემდეგ მისტერ პიკვიკმა საჩქაროდ გააღვიძა მისტერ უელერი, რომელიც უკვე ერთი საათია, ტკბილ ძილს მისცემო-და. ბატონი და მსახური დაემშვიდობნენ ლაუტენს და სიტიში დაბრუნდნენ.

თავი XXXII

სასამართლო კორესპონდენტზე უფრო დაწვრილებით აღწერს წვეულებას, რომელიც მისტერ ბობ სოიერმა გამართა საკუთარ ბინაში ბოროში

ლენტ-სტრიტზე, ბოროში, ისეთი სიწყნარეა, რომ უნებურად ნაზი სევდა გიპყრობთ. ეს განმარტოებული ქუჩა თავისი ერთფეროვნებით დამამშვიდებლად მოქმედებს ადამიანის სულზე და გასაკვირი როდია, რომ აქ ხშირად ქირავდება ბინები. რა თქმა უნდა, ვერც ერთ სახლს ლენტ-სტრიტზე ვერ ჩათვლით პირველხარისხოვან რეზიდენციად, მაგრამ თვით ქუჩა, ასეა თუ ისე, მეტად მიმზიდველია. თუ ადამიანს სურს განშორდეს ქვეყანას, გაექცეს ყოველგვარ ცდუნებას და ფანჯარაში ისე გაიხედოს, რომ თვალში არაფერი სულის წამწყმედი არ მოხვდეს - გულით და სულით ვურჩევთ ლენტ-სტრიტს მიაშუროს.

ამ ბედნიერ სამყოფელში ბინადრობენ რამდენიმე მრეცხავი, თითო-ოროლა წიგნის გამოცდილი მკინძავი, ორი თუ სამი სასამართლოს აგენტი, სახლის წვრილი მეპატრონეები, რომლებიც დოკებში მსახურობენ და ქალისა და მამაკაცის ტანსაცმლის მკერავები. ამ მოსახლეთა უმრავლესობა მთელ თავის ენერგიას ანდომებს ან ავეჯით მოწყობილი ოთახების გაქირავებას, ანდა ისეთ ჯანმრთელ და სასიკეთო საქმიანობას, როგორიცაა თეთრეულის გაწელვა-გასწორება.

ამ ქუჩის უსულო სამყაროს ყველაზე უფრო დამახასიათებელი ნიშნები გახლავთ: მწვანე დარაბები, განცხადებები სახლის

გაქირავების შესახებ, კარზე მიკრული სპილენძის ფირფიტები და ზარის სახელურები. ამავე ქუჩის სულიერი სამყაროს წარმომადგენელნი კი გახლავთ: მსახური ბიჭი ყავახანიდან, ფუნთუშებით მოვაჭრე ყმაწვილი და ბოლოს მოწიფული მამაკაცი, რომელიც შემწვარი კარტოფილით ვაჭრობს. აქაური მოსახლეობა მოხეტიალეა. მისი უდიდებულესობის შემოსავლის ნაწილს იშვიათად თუ აკრებენ ამ ბედნიერ მხარეში, საიჯარო გადასახადი აქ არასაიმედოა და წყალსადენიც ხშირად დაკეტილი.

იმ საღამოს, როდესაც პიკვიკი მიპატიჟებული იყო მისტერ ბობ სოიერის ბინაში, რომელიც შენობის მეორე სართულზე მდებარეობდა, მასპინძელი და მისი მეგობარი ბენ ალენი ბუხარს მისხდომოდნენ. მზადება სტუმრების მისაღებად უკვე მოეთავებინათ: ქოლგები ტალანში უკანა ოთახის კარს უკან მიმალეს, მსახური ქალის თავსაბური და შალი კიბის მოაჯირიდან ჩამოხსნეს, გარეთა კართან ჩიჩობზე ხის სანდლების ორი წყვილიღა დატოვეს, სამზარეულოს სანთელი გრძელი ნაღვენთით მხიარულად ციმციმებდა კიბის ფანჯრის რაფაზე. ბობ სოიერმა თავად იყიდა ის სასმელები, სარდაფში, ჰაი-სტრიტზე რომ მდებარეობს და წინ წამოუძღვა მსახურს, რომ ნაყიდი შეცდომით სხვა ბინაში არ მიეტანა. უკვე პუნშიც მზად იყო. დროებით სასტუმრო ოთახიდან მწვანე მაუდგადაფარებული პატარა მაგიდა გამოიტანეს ქაღალდის სათამაშოდ. ჭიქები, რაც კი სახლში გაჩნდათ და ისინიც, რომელიც წვეულების გამო საგანგებოდ ყავახანიდან ითხოვეს, სინზე დალაგებული, გარეთა კართან დადგეს.

მიუხედავად იმისა, რომ მზადება ჩინებულად ჩატარდა, მისტერ ბობ სოიერის სახეს მაინც შავი ღრუბელი გადაჰკვროდა. იგი მოღუშული იჯდა ბუხართან. მისტერ ბენ ალენიც თანაგრძნობით სავსე გამომეტყველებით ჩასჩერებოდა ნაკვერჩხალს

და ხმაც სევდიანად აუჟღერდა, როდესაც დიდი ხნის სიჩუმის შემდეგ მეგობარს მიმართა:

- რა უბედურებაა, რომ ის ახირებული ქალი სწორედ დღეს დამჟავდა... ხვალამდე მაინც მოეცადა.

- იმიტომ, რომ ბოროტია, ბოროტი, - მიუგო აღელვებულმა ბობ სოიერმა, - სულ მაგას ჩამჩიჩინებს - თუ იმის თავი გაქვს, რომ წვეულებები იხადო, კეთილი ინებე და ჯერ ქირა გადაიხადეო. წყეულიმც იყოს ეს ქირა!

- რამდენი დაგიგროვდა? - იკითხა მისტერ ბენ ალენმა.

უნდა მოგახსენოთ, რომ ანგარიში ეს ყველაზე საოცარი ორთქმავალია, რომელიც კი ოდესმე გამოუგონია კაცობრიობის გენიას: იგი შეუსვენებლად მირბის წინ ადამიანის მთელი სიცოცხლის განმავლობაში და არასოდეს შეჩერდება თავისი ნებით.

- სულ ოთხი თვის თუ იქნება, - მიუგო მისტერ ბობ სოიერმა.

ბენ ალენმა ჩაახველა და სევდიანად მიაშტერდა ბუხრის ორ ზედა ძელაკს.

- სეირი ის იქნება, თუ მოეპრიანა და სწორედ მაშინ აგვიტეხა აურზაური, სტუმრები რომ მოიყრიან თავს! - თქვა ბოლოს.

- რას ამბობ, დავიღუპებით და ეგ იქნება! - მიუგო ბობ სოიერმა.

კარზე ჩუმი კაკუნი გაისმა. მისტერ ბობ სოიერმა მეტყველად გადახედა მეგობარს და მოსულს გასძახა, შემობრძანდითო. პასუხად კარი გაიღო და თავი შემოყო უსუფთაო, ბამბისწინდებიანმა გოგონამ, რომელიც გაჭირვებული მენაგვის მოძულებულ ქალიშვილს უფრო ჰგავდა.

- მაპატიეთ, მისტერ სოიერ, - წარმოთქვა მან, - მისის რედლს სურს, მოგელაპარაკოთ.

ვიდრე მისტერ ბობ სოიერი ხმის ამოღებას მოასწრებდა, გოგონა ისე სწრაფად გაქრა, თითქოს ზურგიდან ვიღაცამ ხელი სტაცა და რაც ძალა და ღონე ჰქონდა, უკან მოქაჩა. ძლივს გასრულდა ეს საიდუმლო გაუჩინარება, რომ კარზე კვლავ კაკუნი გაისმა, ამჯერად მეტად მკვეთრი და ხმამაღალი, რომელიც თითქოს ნიშნავდა, „აქ გახლავართ და მოვდივარო“.

მისტერ ბობ სოიერი შეძრწუნდა, თავზარდაცემულმა გადახედა მეგობარს და წამოიკნავლა: „შემობრძანდი“.

ნებართვა არც იყო საჭირო, რადგან, ვიდრე ბობ სოიერი ხმის ამოღებას მოასწრებდა, ოთახში პაწია, სასტიკად განრისხებული მანდილოსანი შემოვარდა, ეტყობოდა ქალს ბოღმა ახრჩობდა, ბრაზისგან ფერი წასვლოდა და თავით ფეხამდე კანკალებდა.

- აბა, მისტერ სოიერ, - დაიწყო მრისხანე მანდილოსანმა. იგი ცდილობდა მშვიდად ელაპარაკა, - თუ ინებებთ და ამ პატარა ანგარიშს დაფარავთ, დიდად მადლობელი ვიქნები თქვენი, რადგან სწორედ დღეს უნდა შევიტანო მეც ბინის ქირა. სახლის პატრონი ახლა დაბლა მელოდება.

პაწია მანდილოსანმა ხელები მოისრისა და მისტერ ბობ სოიერის უკან ნაცრისფერ კედელს მიაშტერდა.

- ფრიად ვწუხვარ, მისის რედლ, რომ ასეთ უხერხულ მდგომარეობაში ჩაგაგდეთ, - მოწიწებით დაიწყო მისტერ ბობ სოიერმა, - მაგრამ...

- ო, უხერხული აქ არაფერია, - შეაწყვეტინა სიტყვა პაწია მანდილოსანმა და წვრილი ხმით გადაიკისკისა, - დღემდე ეს ფული მეც არ მჭირდებოდა, რადგან მაინც ჩემი სახლის პატრონის ჯიბეში უნდა ჩავიდეს და განა სულერთი არ არის - მე შევინახავდი, თუ თქვენ? თქვენ დღეს ნაშუადღევისთვის შემპირდით, მისტერ სოიერ, და მოგეხსენებათ, რომ ყოველი ჯენტლმენი, რომელსაც

კი ამ ბინაში უცხოვრია, მუდამ თავისი სიტყვის პატრონი გახლდათ. ასე შეჰფერის ჭეშმარიტ ჯენტლმენს.

მისის რედლმა თავი გააქნია, ტუჩები მოკუმა, უფრო მაგრად მოისრისა ხელები და კიდევ უფრო დაჟინებით ჩააშტერდა კედელს. ყველა მიხვდა, როგორც შემდგომ აღნიშნა მისტერ ბობ სოიერმა ალეგორიულად, რომ დიასახლისი სადაცაა „აფეთქდებოდა“.

- ფრიად ვწუხვარ, მისის რედლ, - შეეპასუხა მისტერ ბობ სოიერი რაც შეიძლება თავმდაბლად, - მაგრამ საქმე ის არის, რომ დღეს სიტიდან კვლავ იმედგაცრუებული დავბრუნდი.

* * *

ფრიად უცნაური ადგილი გახლავთ ეს სიტი, ჩემო მკითხველო. რამდენ კაცს ვიცნობ, რომელთაც სწორედ იქ უცრუვდებათ ხოლმე იმედები და მოტყუებულნი რჩებიან.

- ასეც რომ იყოს, მისტერ სოიერ, - წარმოთქვა მისის რედლმა და მტკიცედ დააბიჯა ფეხი ხალიჩაზე ამოქარგულ წითელ კომბოსტოს, - მერედა რა ჩემი საქმეა ეგ, სერ?

ბობ სოიერმა ყური წაიყრუა, ვითომ ვერ გაიგონა შეკითხვა.

- მე... მე... ეჭვი არ მეპარება, მისის რედლ, - განაგრძო მან, - რომ მომავალი კვირის დასაწყისშივე ანგარიშს გაგისწორებთ და შემდგომ უკეთ მოვაწესრიგებ ქირის ამბავს.

სწორედ ეს უნდოდა მისის რედლს. იმისათვის მოაშურა მან ბობ სოიერის ბინას გაავებულმა, რომ მთელი ბოღმა დაენთხია თავს საბრალო მდგმურისათვის. მდგმურს რომ დაუყოვნებლივ გადაეხადა ფული, მანდილოსანს ჯავრისგან ნამდვილად გული გაუსკდებოდა. თანაც ამგვარი სეირისთვის კარგადაც იყო შემ-

ზადებული, რადგან სწორედ ახლახან მოათავა ფრიად „საამო და ტკბილი“ საუბარი საკუთარ მეუღლესთან.

- ნუთუ გგონიათ, მისტერ სოიერ, - აქ მისის რედლმა ხმას განგებ აუმაღლა, რომ მეზობლებსაც გაეგონათ მისი ნათქვამი, - ნუთუ გგონიათ, რომ მე კვლავაც გავაჩერებ ჩემს ბინაში კაცს, რომელიც თავს არ იწუხებს ბინის ქირის გადახდით? ეგ რაა, არც კარაქისა და ნატეხი შაქრის ფულს იხდის, ყოველდღიურად საუზმეზე რომ მიირთმევს და, არც რძის საფასურს, რომელსაც დილაობით ზედ კართან მიართმევენ ხოლმე! ნუთუ გგონიათ, რომ ისეთ მუყაითსა და საქმიან ქალს, რომელიც ამ ქუჩაზე უკვე ოცი წელია ცხოვრობს (ათი წელი აგერ ამ სახლში, გზის გადაღმა რომაა და ცხრა წელი და ცხრა თვე ამ ბინაში), სხვა საზრუნავი არაფერი აქვს, გარდა იმისა, რომ მუშაობით თავი არ დაიზოგოს და ისიც ვისთვის, ვიღაც უქნარა, ზანტი ყმაწვილებისთვის, რომლებიც სულ თამბაქოს აბოლებენ, დღედაღამ სვამენ და ქუჩაში დაეხეტებიან იმის ნაცვლად, რომ რაღაც გააკეთონ, იშრომონ და ქირა დროზე გადაიხადონ? ნუთუ გგონიათ...

- ჩემო კარგო... - სიტყვა ჩაურთო მისტერ ბენჯამინ ალენმა, რომელსაც უნდოდა ოდნავ მაინც დაეშოშმინებინა გაცხარებული დიასახლისი.

- კეთილი ინებეთ და თქვენი შენიშვნები თქვენთვის შეინახეთ, სერ. აი, რას გთხოვთ, - უდიდესი სიდინჯითა და დარბაისლობით მიმართა შუაკაცს მისის რედლმა, რომელმაც უცებ შეწყვიტა სიტყვათა მჭევრმეტყველური დინება, - არა მგონია, სერ, რომ თქვენ უფლება გქონდეთ, ჩაერიოთ ჩემს საუბარში. მე ხომ თქვენთვის არ მომიქირავებია ეს ოთახი?

- არა, რა თქმა უნდა, არა, - კვერი დაუკრა მისტერ ბენჯამინ ალენმა.

- კეთილი და პატიოსანი, სერ, - განაგრძო მისის რედლმა ქედმაღლური თავაზიანობით, - ისიც კმარა, რომ საცოდავ ხალხს ფეხებსა და ხელებს უმტვრევთ საავადმყოფოში და ახლა მაინც დააჭირეთ ენას კბილი, სერ, თორემ მოინახება ისეთიც, რომელიც ძალით გაგაჩუმებთ.

- რა უჯიათი ქალი ხართ! - წარმოთქვა მისტერ ბენჯამინ ალენმა.

- მომიტევეთ, ყმაწვილო, - მიუგო მისის რედლმა, რომელსაც ბრაზისგან ცივმა ოფლმა დაასხა, - კეთილი ინებეთ და ერთხელ კიდევ გაიმეორეთ, რაც მიწოდეთ, სერ!

- მერწმუნეთ, არ მსურდა შეურაცხყოფა მომეყენებინა თქვენთვის, ქალბატონო, - მიუგო მისტერ ბენჯამინ ალენმა, რომელსაც შეეშინდა, ვაითუ, ახლა მე მომვარდესო.

- მომიტევეთ, ყმაწვილო, - წარმოთქვა მისის რედლმა უფრო ხმამაღალი და მბრძანებლური კილოთი. - მაშ, უჯიათო ქალი ვიღას უწოდეთ? ეგ შენიშვნა მე შემეხებოდა, სერ?

- ღმერთო, შენ შემიწყალე! - შესძახა მისტერ ბენჯამინ ალენმა.

- გეკითხებით, მე შემეხებოდა თუ არა ეგ შენიშვნა-მეთქი, სერ? - სიტყვა შეაწყვეტინა გაცოფებულმა მანდილოსანმა და ფართოდ გააღო კარი.

- რა თქმა უნდა, - მიუგო მისტერ ბენჯამინ ალენმა.

- რა თქმა უნდა, არა? - დაისისინა მისის რედლმა, ნელ-ნელა კარისკენ დაიხია და ხმას, რაც შეეძლო აუმაღლა, რომ მისტერ რედლს გაეგონა სამზარეულოში, - ეჭვიც არ მეპარება, რომ მე მიწოდეთ. ვინ არ იცის, რომ ყველა ადამიანს შეუძლია შეურაცხყოფა მომაყენოს ჩემს საკუთარ სახლში და ჩემი ქმარი კი ყურსაც არ გაიბერტყავს, თითქოს მე ცოლი კი არა, ვიღაც უპატრონო მაწანწალა ძაღლი ვიყო!.. საკუთარი თავის მაინც შერცხვეს

(აქ მისის რედლმა ამოიოხრა), რომ ნებას აძლევს, მის ცოლს შეურაცხყოფა მიაყენონ ვიღაც ვიგინდარა ყალთაბანდებმა, რომლებიც ჭრიან და კერავენ ცოცხალ ადამიანთა სხეულებს... უპატრონოდ ტოვებს უმწეო არსებას ამ არამზადების ხელში, ეგ სულმდაბალი, მშიშარა, მხდალი, უბადრუკი არსება, რომელსაც ვერ გაუბედავს აქ ამობრძანდეს და პირდაპირ შეხვდეს ამ ვიგინდარებს... ეშინია... ეშინია მაღლა ამობრძანების! - მისის რედლი შეჩერდა და ყური მიუგდო, ამდენმა დაცინვამ ხომ არ იმოქმედა და არ გამოაფხიზლა ჩემი ძვირფასი თანამეცხედრეო, მაგრამ როდესაც დარწმუნდა, რომ მისმა სიტყვებმა შედეგი არ გამოიღო, ოხვრით დაეშვა კიბეზე.

სწორედ ამ დროს კარზე გაისმა ხმამაღალი კაკუნი. ჩასწვდა თუ არა ყურში შეურაცხყოფილ მანდილოსანს, ვიღაც აკაკუნებსო, გულამოსკვნილი ქვითინი ამოუშვა, რომელსაც შიგადაშიგ კვნესაც მიაყოლა. ამ გოდებამ იმდენ ხანს გასტანა, ვიდრე კაკუნი ექვსჯერ არ განმეორდა. მაშინ სულიერი ტანჯვით გაწამებულმა მანდილოსანმა უკანა ოთახს მიაშურა და კარი დიდი ხმაურით მიაჯახუნა.

- მისტერ სოიერი აქ ცხოვრობს? - ჰკითხა მისტერ პიკვიკმა მსახურს, როდესაც კარი გაუღეს.

- დიახ, სერ, - მიუგო გოგონამ, - მეორე სართულზე. კიბეზე რომ აბრძანდებით, პირდაპირ მისი კარია.

ეს სიტყვები თქვა გოგონამ, სანთელს დასტაცა ხელი და სამზარეულოში ჩაირბინა. დარწმუნებული გახლდათ, რომ პირნათლად შეასრულა ყოველივე, რაც კი ასეთ რთულ ვითარებაში მოეთხოვებოდა.

მისტერ სნოდგრასმა, რომელიც ბოლოს შემოვიდა, მრავალჯერ სცადა კარი საკეტით გადაერაზა. ბოლოს ისევ ჯაჭვით გადაკეტა და მეგობრები კიბეს აჰყვნენ, სადაც მათ მისტერ ბობ

სოიერი შემოეგებათ. საცოდავმა ძირს ჩამოსვლა ვეღარ გაბედა - ვაითუ, მისის რედლმა დამიჭიროსო.

- როგორ ბრძანდებით? - შეეკითხა სტუმრებს საბრალო, თავ-გზააბნეული სტუდენტი, - მოხარული ვარ, რომ გხედავთ... ფრთხილად, ფრთხილად... აქ ჭიქებია.

ეს გაფრთხილება უშუალოდ მისტერ პიკვიკს ეხებოდა, რად-გან მან ქუდი ზედ სინზე დადო.

- ო, მაპატიეთ, თუ ღმერთი გწამთ, - შეწუხდა მისტერ პიკვიკი.

- არაფერია, არაფერი, - დაამშვიდა მასპინძელმა, - ცოტა არ იყოს, ვიწროდ ვცხოვრობთ, მაგრამ ბედს უნდა შევურიგდეთ, რას იზამთ. უცოლო კაცის ბინაა, მოგეხსენებათ... შემობრძან-დით. ამ ჯენტლმენს უთუოდ იცნობთ...

მისტერ პიკვიკმა გულთბილად ჩამოართვა ხელი მისტერ ბენ-ჯამინ ალენს და მისმა მეგობრებმაც მის მაგალთის მიჰბაძეს.

დასხდომა ვერ მოასწრეს, რომ კვლავ გაისმა კარზე კაკუნი.

- იმედია, ეს ჯეკ ჰოპკინზია! - წამოიძახა მისტერ ბობ სოიერ-მა, - ჩუ!.. დიახ, ის გახლავთ. შემოდით, ჯეკ, შემოდით.

კიბეზე მძიმე ნაბიჯების ხმა გაისმა და ჯეკ ჰოპკინზიც გამოც-ხადდა საზოგადოების წინაშე. მას ბრჭყვიალა ღილებით გაწყო-ბილი შავი ხავერდის ჯილეტი ეცვა და ლურჯზოლიანი პერანგი მიბნეული საყელოთი.

- რატომ შეგაგვიანდა, ჯეკ? - შეეკითხა ბენჯამინ ალენი.

- წმ. ბართლომეს საავადმყოფოში ვიყავი, - მიუგო ჰოპკინ-ზმა.

- ახალია რაიმე?

- არა, ისეთი არაფერი. საინტერესო ავადმყოფი მოიყვანეს უბედურ შემთხვევათა პალატაში.

- რა მოხდა, სერ? - იკითხა მისტერ პიკვიკმა.

- ერთი კაცი მეოთხე სართულიდან გადმოვარდა, მაგრამ გადარჩა...

- უთუოდ იმას გულისხმობთ, სერ, რომ ავადმყოფი მალე გამოკეთდება? - ჰკითხა მისტერ პიკვიკმა.

- არა, ამას არ ვგულისხმობდი, - მიუგო ჰოპკინზმა უდარდელად, - არა... ვფიქრობ, რომ პირიქით მოხდება, თუმცა ხვალისათვისაა დანიშნული ოპერაცია... დიდებული სანახაობა იქნება, თუ ოპერაცია თვით სლეშერმა ჩაატარა.

- თქვენი აზრით, მისტერ სლეშერი კარგი ქირურგია? - ჰკითხა მისტერ პიკვიკმა.

- უკეთესი არსად მეგულება, - მიუგო ჰოპკინზმა, - გასულ კვირას ბიჭს მოაჭრა ფეხი... ბიჭმა მთელი ხუთი ვაშლი შესანსლა და ზედ თაფლის პურიც დააყოლა... ორი წუთიც არ გასულა, რაც ყოველივე მოათავეს და ბიჭმა ხმამაღლა განაცხადა: „ნეტავ, რას მაწვალებთ? გეტყობათ, მასხრად მიგდებთ, ოპერაციას რატომ არ იწყებთ. ახლავე დედაჩემს ვეტყვი ყველაფერს“.

- ნუთუ, მართალია?! - აღმოხდა გაოცებულ პიკვიკს.

- ჰა, ჰა, ჰა... ეგ კიდევ რა არის! - თქვა ჯეკ ჰოპკინზმა, - მეტიც ხდება ხოლმე, არა, ბობ?

- რაღა თქმა უნდა, - კვერი დაუკრა ბობ სოიერმა.

- სხვათა შორის, ბობ, - მიმართა მას მისტერ ჰოპკინზმა და მისტერ პიკვიკის დაძაბულ სახეს მალულად შეავლო თვალი, - გუშინ საღამოს საინტერესო შემთხვევა გვქონდა: მოიყვანეს ბავშვი, რომელმაც ყელსაბამი გადაყლაპა თურმე.

- რა გადაყლაპა, სერ? - სიტყვა შეაწყვეტინა მისტერ პიკვიკმა.

- ყელსაბამი, - მშვიდად მიუგო ჯეკ ჰოპკინზმა, - ერთბაშად კი არა - ეს მეტისმეტი იქნებოდა. მაგას თქვენც კი ვერ გადაყლაპავდით, მისტერ პიკვიკ, და აბა, ბავშვი როგორ იზამდა. ხომ ასეა, მისტერ პიკვიკ? ჰა, ჰა, ჰა!

მისტერ ჰოპკინზს, როგორც ჩანს, ძალიან მოეწონა საკუთარი ხუმრობა და მხიარულად განაგრძო:

- აი, გეტყვით, როგორ მოხდა. ბავშვის მშობლები ღარიბი ხალხია და ერთ მიყრუებულ შესახვევში ცხოვრობენ. უფროსმა დამ ყელსაბამი იყიდა, ჩვეულებრივი ყელსაბამი, დიდი შავი ხის მძივებისგან აცმული. მოგეხსენებათ, ბავშვს სათამაშოები ძალიან უყვარს, დაინახა თუ არა ყელსაბამი, ჩუმად მოიპარა, გადამალა და დიდხანს ერთობოდა. ბოლოს ძაფი გაწყვიტა და მძივის ერთი მარცვალი გადაყლაპა. ძალიან მოეწონა ეს თამაში. აიღო და მეორე დღეს მძივის მეორე მარცვალიც მიაყოლა.

- ღმერთო, შენ შემიწყალე, ეს რა საშინელი ამბავია! - შესძახა მისტერ პიკვიკმა, - მაპატიეთ, სერ, სიტყვა შეგაწყვეტინეთ. განაგრძეთ, განაგრძეთ.

- მესამე დღეს ბავშვმა მძივის ორი მარცვალი გადაყლაპა, შემდეგ დღეს სამი მიირთვა ერთად და ასე შემდეგ, ვიდრე ერთი კვირის განმავლობაში მთელი ყელსაბამი არ შეყლაპა - სულ ოცდახუთი მძივის მარცვალი. მისმა დამ, რომელიც დღედაღამ მუშაობდა და იშვიათად შეეძლო სამკაულების ყიდვა, ყელსაბამის დაკარგვა მწარედ გამოიტირა. მის ძებნაში მთელი სახლი გადაქექა, მაგრამ, რა თქმა უნდა, ვერსად ნახა. გავიდა რამდენიმე დღე. ერთხელ მთელი ოჯახი სადილობდა - მოხრაკული ცხვრის ბეჭს მიირთმევდნენ კარტოფილით, ბავშვს კი არ შიოდა და იქვე ოთახში თამაშობდა. უეცრად, საშინელი ხმაური ატყდა, - თითქოს სეტყვა წამოვიდაო. „გაჩერდი, შვილო, ნუ ხმაურობ“, - უთხრა მამამ. „მე არ ვხმაურობ, მამა“, - მიუგო ბავშვმა. „კარგი, გეყოფა, მეტს ნუღარ იზამ“, დაუყვავა კვლავ მამამ. ცოტა ხნით სიჩუმე ჩამოვარდა, მაგრამ მერე უფრო უარესი ხმაური ატყდა. „თუ არ გამიგონებ, თვალის დახამხამებაში ლოგინში ამოყოფ თავს“, - გაუწყრა მამა და ბავშვი შეაჯანჯღარა, რომ ჭკუა ესწავ-

ლებინა. მაგრამ ამ ჯანჯღარში ისეთი ჩხარაჩხური ატყდა, რომ-ლის მსგავსი ჯერ არავის გაეგონა. „დასწყევლოს ეშმაკმა, შიგ-ნით უჩხრიალებს რაღაც! - შესძახა მამამ, - უთუოდ მუცელში ხველაბატონები დაემართა“. „არა, მამა, არა, - მიუგო ბავშვმა და ატირდა, - ეს მძივის მარცვლებია... ყელსაბამი მე გადავყლა-პე... მე!“ მამამ ბავშვი ხელში აიტაცა და საჩქაროდ საავადმყო-ფოში გამოიქცა, ყოველ შენჯღრევაზე გზაში მძივის მარცვლებს ჩხარაჩხური გაუდიოდა. გაოცებული ხალხი ხან ცას აშტერდე-ბოდა, ხან სარდაფში იხედებოდა, რომ გაეგოთ, საიდან მო-დიოდა ეს უცნაური ხმა... ბიჭუნა ახლა საავადმყოფოშია, - დას-ძინა ჯეკ ჰოპკინზმა, - როცა დადის, ისეთი ხმაური გააქვს, რომ დარაჯის მაზარაში გაახვიეს, შეეშინდათ, ავადმყოფები არ გააღ-ვიძოსო.

- ამისთანა საკვირველი ამბავი არასოდეს მსმენია, - შენიშნა მისტერ პიკვიკმა და მაგიდას მუშტი დაჰკრა.

- ეს კიდევ რა არის, - თქვა ჯეკ ჰოპკინზმა, - არა, ბობ?

- რა თქმა უნდა, - მიუგო მისტერ ბობ სოიერმა.

- მერწმუნეთ, სერ, რომ ჩვენი პროფესიის ხალხს ბევრი რამ უცნაური გადაგვხდენია ცხოვრებაში, - თქვა ჰოპკინზმა.

- ახლა კი მჯერა, - მიუგო მისტერ პიკვიკმა.

კვლავ გაისმა კაკუნი კარზე და ამჯერად საზოგადოებას შავ-პარიკიანი დიდთავა ყმაწვილი გამოეცხადა, რომელსაც თან ავადმყოფური შესახედაობის გრძელჰალსტუხიანი ახალგაზრდა ახლდა. შემდეგი სტუმარი მაღალი ჯენტლმენი გახლდათ, მას ფეხდაფეხ მოჰყვა ფერმკრთალი ყმაწვილი საათის გრძელი მო-ოქრული ძეწკვით. შემდეგ მოვიდა მანჭია მამაკაცი, გაქათქათე-ბულ ხალათსა და ტილოს ფეხსაცმელებში და მომსვლელთა სი-აც შეივსო.

გამოაგორეს პატარა მაგიდა, მწვანე მაუდგადაფარებული და მომდევნო სამი საათი „ოცდაერთს“ თამაშობდნენ. თითო დუჟინი ფიშკა ექვსი პენსი ღირდა. ამ ხნის განმავლობაში თამაში მხოლოდ ერთხელ შეწყდა და ისიც იმის გამო, რომ ავადმყოფური შესახედაობის ყმაწვილი და ის მეორე ჯენტლმენი რაღაცაზე შეკამათდნენ. ბოლოს პირველმა განაცხადა, არც მაგ ყმაწვილისგან და არც სხვა სულიერისგან, რომელსაც კი თავი მხრებზე აბია, შეურაცხყოფას არ მოვითმენ და სამაგიეროს მივუზღავო.

როდესაც ბანქო უკანასკნელად გაითამაშეს და მოგებული და წაგებული ფიშკებისა და ექვსპენსიანების რაოდენობა დათვალეს, ორივე მოთამაშე მხარის სასიხარულოდ, მისტერ ბობ სოიერმა ზარი დარეკა, რომ ვახშამი შემოეტანათ. სტუმრები ოთახის კუთხეებში მიქუჩდნენ. მაგრამ ვახშმის გაწყობა არცთუ ისე იოლი საქმე აღმოჩნდა, როგორც ზოგიერთს ეგონა. ჯერ ერთი, უნდა გაეღვიძებინათ მსახური ქალი, რომელსაც სამზარეულოს მაგიდაზე ჩამოედო თავი და ტკბილად ჩასძინებოდა. მასპინძელმა ძლივს გააღვიძა მოსამსახურე, მაგრამ ეს ამბავი კარგა ხნით გაიწელა და ბოლოს, როდესაც მსახური ამობრძანდა, კიდევ საათის მეოთხედი დასჭირდათ, ვიდრე ნამძინარევს რამეს შეაგნებინებდნენ. ეს კიდევ არაფერი... კაცი, რომელსაც ლოკოკინები შეუკვეთეს, არ გააფრთხილეს, რომ ისინი იქვე, დუქანში გაეხსნათ და ისე მოეტანათ სუფრაზე. ჰოდა, მოგეხსენებათ, რა ძნელია მათი გახსნა ჩვეულებრივი დანით ან ორწვერა ჩანგლით! ამიტომ ლოკოკინები ბევრმა ვერც იგემა. ძროხის ხორციც ყველას არ ეყო და არც ლორი, რომელიც იქვე მახლობლად ძეხვით მოვაჭრე გერმანელთა დუქანში იყიდეს. სამაგიეროდ, თითბრის ჯამში უხვად ჩაესხათ ლუდი და ასევე დიდი წარმატება ხვდა ყველს, რადგან გემოთი ძალიან მარილიანი აღმოჩნდა... საბოლოო ჯამში, ვახშამი ჩინებული გამოვიდა.

ვახშმის შემდეგ სინით სიგარები და რამდენიმე ბოთლი მაგარი სასმელიც შემოიტანეს. ამას კი მოჰყვა, - მართალია უნებური, - მაგრამ ჭეშმარიტად სავალალო შესვენება, რომელიც გამოიწვია ერთმა, ფრიად ჩვეულებრივმა გარემოებამ.

საქმე შემდეგში იყო: მსახური ქალი ჭიქებს რეცხავდა. ამ სამწუხარო გარემოებას იმიტომ კი არ მოგახსენებთ, რომ მისის რედლი დავამციროთ, სრულიადაც არა. მაგრამ არ არსებობს არც ერთი გასაქირავებელი, ავეჯით მორთული ბინა, სადაც ჭიქების ნაკლებობა არ იგრძნობოდეს. დიასახლისის ჭიქები ზომით პატარა იყო, თხელი შუშისგან გაკეთებული, ყავახანიდან ნათხოვარი სასმისები კი დიდი გამობურთული, სქელ მოგრეხილ ფეხზე შემდგარი. ეს ფაქტი თავისთავად საკმარისი გახლდათ, რომ საზოგადოება მიმხვდარიყო საქმის ნამდვილ ვითარებას, მაგრამ წინდახედულმა მსახურმა, ვიდრე სტუმრები ბოლომდე შესვამდნენ ლუდს, თითოეულს ძალით ჩამოართვა ჭიქა და ხმამაღლა განაცხადა - ახლავე ძირს უნდა ჩავიტანო და გავრეცხოო, - მიუხედავად იმისა, რომ მისტერ ბობ სოიერი თვალს უკრავდა და ხელით ანიშნებდა - ხმა გაკმინდეო.

ამბობენ, რომ ყველაზე მავნე ის ქარია, რომელსაც არავისთვის მოაქვს სიკეთეო. ტილოსფეხსაცმლიანმა მანჭია კაცმა, რომელიც ბანქოს თამაშის დროს ამაოდ ცდილობდა მოსწრებული რამ ეთქვა, დრო იხელთა და როგორც კი ჭიქები გაიტანეს, მოჰყვა გრძელზე უგრძეს ამბავს ერთ-ერთი პოლიტიკური მოღვაწის შესახებ, რომლის სახელი ამჟამად აღარ ახსოვდა. უამბო, თუ როგორ გასცა მან მარჯვე პასუხი მეორე, ისეთივე სახელმოხვეჭილსა და ცნობილ პიროვნებას, რომლის ვინაობა, სამწუხაროდ, მთხრობელმა დღემდე ვერ დაადგინა. ამ საინტერესო ამბის მთქმელი დაწვრილებით და გულმოდგინებით შეჩერდა მრავალ წვრილმანზე, რაც დიდად არც კი იყო დაკავშირებული

მთავარ ამბავთან, თვით ამბავი კი ვერ იქნა და ვერ მოიგონა, თუმცა თავადვე განაცხადა, აგერ ათი წელია, რაც ამას ვყვები დიდი წარმატებითო.

- ღმერთო ჩემო, რა უცნაური შემთხვევაა! - შენიშნა ავადმყოფური შესახედაობის ყმაწვილმა.

- ვწუხვარ, რომ დაგვიწყებიათ, - თანაუგრძნო მთქმელს მისტერ ბობ სოიერმა და მოუთმენლად გადახედა კარს, რადგან ჭიქების წკრიალი შემოესმა, - ფრიად ვწუხვარ.

- მეც ვწუხვარ, - მიუგო მანჭია ჯენტლმენმა, - არა უშავს, იმედი მაქვს, ნახევარი საათიც არ გავა, რომ მომაგონდება და ყველაფერს დაწვრილებით მოგახსენებთ.

ბობ სოიერმაც, რომელიც ამბის თხრობისას სმენად იყო ქცეული, სტუმარი ანუგეშა, არაფერია, მზად ვარ, ეს ამბავი თავიდან მოვისმინო, რადგან ასეთი საინტერესო რამ ჯერ არასოდეს მსმენიაო.

მთქმელი გასაჭირიდან ჭიქების შემოტანამ იხსნა. მათ დანახვაზე მასპინძელს სახე გაუბრწყინდა და მხიარულად ჩაება საერთო საუბარში.

- ახლა, ჩემო ბეტსი, - ალერსიანად მიმართა მსახურს ბობ სოიერმა და წკრიალა ჭიქების გროვა, რომელიც გოგონამ მაგიდის შუაგულში ჩადგა, სათითაოდ ჩამოურიგა სტუმრებს, - ახლა, ჩემო გოგონავ, თბილი წყალიც მოგვიტანე... აბა, თქვენ იცით, სწრაფად დატრიალდით...

- თბილი წყალი არ გახლავთ, - განაცხადა ბეტსიმ.

- არ არის? - გაიკვირვა მისტერ ბობ სოიერმა.

- არ არის, - მიუგო ბეტსიმ და თავი გააქნია. - მისის რედლმა თქვა, წყალს არ მივცემო.

სტუმრებს სახეზე გაოცება დაეტყოთ და ამ გარემოებამ კიდევ უფრო გააცხარა მასპინძელი.

- ამწამსვე ამოიტანეთ თბილი წყალი, გესმით, ამწამსვე!.. - შესძახა სასოწარკვეთილმა ბობმა მრისხანედ.

- არ შემიძლია, - მიუგო გოგონამ, - მისის რედლმა სამზარეულოში ცეცხლის ჩაქრობა ბრძანა, ჩაიდანი კარადაში ჩაკეტა და დასაძინებლად წავიდა.

- რა უჭირს მერე, ასეთ წვრილმანზე არც ღირს შეწუხება, გეთაყვა, - მიმართა მას მისტერ პიკვიკმა, როდესაც მასპინძლის სასოწარკვეთილ სახეს მოჰკრა თვალი, - ცივი წყალიც გამოდგება.

- ჩინებული იქნება, - კვერი დაუკრა ბენჯამინ ალენმაც.

- ბოდიშს ვიხდი, ბატონებო! - თქვა ბობ სოიერმა და ნაძალადევად გაიღიმა, - უნდა მოგახსენოთ, რომ ჩემს დიასახლისს დროდადრო მოუვლის ხოლმე. დალაგებულ ჭკუაზე ვერაა საერთოდ. ვშიშობ, მალე აქედან ავბარგდები და სხვა ბინას მოვძებნი.

- ამას ნუ იზამ, თუ ღმერთი გწამს, - შეეპასუხა ბენ ალენი.

- ვფიქრობ, რომ მომიწევს, - მიუგო ბობ სოიერმა ისეთი კილოთი, თითქოს სამუდამოდ გაეწიროს თავი, - გადავუხდი, რაც მმართებს და ხვალ დილითვე გადავალ.

საბრალო ბობი! რომ იცოდეთ, როგორ უნდოდა, რომ მართლაც შეძლებოდა ქირის გადახდა!

მიუხედავად იმისა, რომ ბობ სოიერი თავს არ ზოგავდა და უნდოდა უბედურებას ვაჟკაცურად გამკლავებოდა, საზოგადოებას მაინც წაუხდა გუნება. ამიტომ გამხიარულების მიზნით სტუმრების უმეტესი ნაწილი ცივ გროგს დაეწაფა, რომლის მოქმედების პირველივე ნიშანი ის გახლდათ, რომ ღუზებიან პერანგში გამოწყობილმა ჯენტლმენმა კვლავ შეუტია ახალგაზრდა ყმაწვილს. მოწინააღმდეგენი ერთხანს ერთმანეთს უბღვერდნენ და გაბრაზებულები რაღაცას ბუზღუნებდნენ შეუჩერებლად. ბოლოს

ყმაწვილმა გადაწყვიტა, დროა, აშკარად გავაგებინო ჩემს მეტოქეს, რასაც ვგრძნობ მისდამიო და ხმამაღლა წარმოთქვა:

- სოიერ!

- რა იყო, ნოდი? - ხმა გასცა ბობ სოიერმა.

- ძალიან ვწუხვარ, სოიერ, - თქვა მისტერ ნოდიმ, - იძულებული ვარ, ასეთ საამო მეგობრულ სუფრაზე და ისიც თქვენს სახლში, უსიამოვნო რამ ვთქვა. მერწმუნეთ, სოიერ, რომ ძალიან ვწუხვარ, მაგრამ არ შემიძლია არ ვისარგებლო შემთხვევით და მისტერ განტერს არ მოვახსენო, რომ ის არ არის ჯენტლმენი.

- მე კი, ჩემო სოიერ, სრულიადაც არ მსურს, ალიაქოთი ავტეხო იმ ქუჩაზე, სადაც თქვენ ცხოვრობთ, - წარმოთქვა მისტერ განტერმა, - მაგრამ რა გაეწყობა... ვფიქრობ, მაინც მომიხდება თქვენი კეთილი მეზობლების შეწუხება, რადგან ეს ვაჟბატონი, ახლა რომ საუბრობდა, ფანჯრიდან უნდა ვისროლო.

- რის თქმა გინდათ, სერ? - იკითხა შეშფოთებით მისტერ ნოდიმ.

- იმის, რაც მოგახსენეთ, სერ, - მიუგო მისტერ განტერმა.

- ნეტავ, ერთი მაჩვენა, ამას როგორ იზამთ, სერ, - თქვა მისტერ ნოდიმ.

- არა მარტო ნახავთ, არამედ იგრძნობთ კიდეც, სულ ნახევარ წუთში, სერ, - მიუგო მისტერ განტერმა.

- გთხოვთ, თქვენი სადარბაზო ბარათი მომცეთ, სერ, - თქვა მისტერ ნოდიმ.

- ამას არ ვიზამ! - მიუგო მისტერ განტერმა.

- რატომ, სერ?

- იმიტომ, რომ ბუხრის თავზე შემოდებთ და მერე თქვენს სტუმრებს დააჯერებთ, ვითომდა ჯენტლმენი გეწვიათ სტუმრად და სადარბაზო ბარათიც პატივისცემის ნიშნად გადმოგცათ, - მიუგო მისტერ განტერმა.

- იცოდეთ, სერ, რომ ერთ-ერთი ჩემი მეგობარი ხვალ დილით მოგინახულებთ, - განაცხადა მისტერ ნოდიმ.

- მადლობას მოგახსენებთ გაფრთხილებისთვის, სერ... - მიუგო მისტერ განტერმა.

კინკლაობაში დანარჩენი სტუმრები ჩაერივნენ და ორივე მხარეს წყრომით მიუთითეს, მეტისმეტად უწესოდ იქცევითო. მისტერ ნოდიმ განაცხადა - ნუ დაივიწყებთ, რომ მამაჩემი ისეთივე პატივცემული კაცი იყო, როგორიც მისტერ განტერის მამაო. ამაზე განტერმა მიუგო, მამაჩემიც ისეთივე პატივცემული კაცი იყო, როგორიც მისტერ ნოდის მამაო, და რომ ასეთი მამის შვილი ისეთივე კარგი კაცია, როგორიც თვით მისტერ ნოდიო. ამ განცხადებამ კინაღამ ხელახლა არ გამოიწვია კამათი, მაგრამ საზოგადოება კვლავ დროზე ჩაერია. მოკამათეებს ყოველი მხრიდან შეუტიეს და ისეთი ყაყანი ატყდა, მისტერ ნოდის გულიც კი აუჩუყდა, თავი ვეღარ შეიკავა და საჯაროდ ისიც კი აღიარა, მისტერ განტერი მუდამ განსაკუთრებით მიყვარდაო. ამაზე მისტერ განტერმა მიუგო, მისტერ ნოდი საკუთარ ძმას მირჩევნიაო. ეს რომ მისტერ ნოდიმ გაიგონა, ფეხზე წამოდგა და, როგორც დიდსულოვან კაცს შეჰფერის, მოწინააღმდეგეს პირველმა გაუწოდა ხელი. მისტერ განტერმაც მხურვალედ ჩამოართვა მას ხელი. ამის დანახვაზე დამსწრე საზოგადოებამ ერთხმად განაცხადა, მთელი ეს კამათი ორივე მხარემ ჭეშმარიტად ღირსეულად ჩაატარაო.

- ახლა კი, - განაცხადა ჯეკ ჰოპკინზმა, - ურიგო არ იქნება, რამე ვიმღეროთ, ბობ.

საპასუხოდ მქუხარე ტაში გაისმა და თვით ჯეკ ჰოპკინზმა, ტაშით გამხნევებულმა, ხმამაღლა წამოიწყო - „ღმერთმა გვიცოცხლოს მეფე“ - ახალ ჰანგზე, რომელიც ორი ცნობილი სიმღერის „ბისკაის უბისა“ და „ბაყაყის“

ნაერთს წარმოადგენდა. ქორო დიდ მონაწილეობას იღებდა სიმღერაში და რადგან თითოეული ჯენტლმენი მღეროდა იმ მოტივზე, რომელიც უკეთ იცოდა, სიმღერამ მსმენელებზე ჭეშმარიტად გასაოცარი შთაბეჭდილება მოახდინა.

პირველი კუპლეტის მინამღერს რომ იმეორებდნენ, მისტერ პიკვიკმა ხელი ასწია, თითქოს რაღაცას ყურს უგდებსო და მიჩუმდნენ თუ არა მომღერლები, საზოგადოებას მიმართა:

- ჩუმად, ბატონებო! მომიტევეთ, მაგრამ მგონი ვიღაც ყვირის ზემოთა სართულის კიბეზე.

სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. ყველამ შენიშნა, რომ მისტერ ბობ სოიერს მკვდრისფერი დაედო.

- მგონი, ახლაც ყვირიან, - თქვა მისტერ პიკვიკმა, - ...კარი გააღეთ, გეთაყვა.

როგორც კი კარი გააღეს, მოისმა:

- მისტერ სოიერ, მისტერ სოიერ! - კიოდა ხმა მესამე სართულის კიბიდან.

- ეს ჩემი დიასახლისი გახლავთ, - ჩაილაპარაკა შეძრწუნებულმა ბობ სოიერმა და აქეთ-იქით მიმოიხედა, - გისმენთ, მისის რედლი.

- ეს რაღას ნიშნავს, მისტერ სოიერ? - დააყარა სხაპასხუპით გამკივანმა ხმამ, - განა არ კმარა, რომ ბინის ქირას არ იხდით და ვალს არასოდეს მიბრუნებთ... არ კმარა, რომ თქვენი მეგობრები, რომელთაც ვაჟკაცებად მოაქვთ თავი, მლანძღავენ და შეურაცხყოფას მაყენებენ?.. ახლა კი მთელი სახლი ყირამალა დააყენეთ და ისეთი აურზაური ატეხეთ, რომ სადაცაა, სახანძრო რაზმი მოგვადგება! ახლავე თავიდან მომაცილეთ ეს არამზადები!

- გრცხვენოდეთ, ყმაწვილებო! - დაამატა მისტერ რედლის ხმამ, რომელიც ისე ყრუდ გაისმოდა, თითქოს მისი პატრონი თავით ფეხამდე საბანში შეფუთნილი ლაპარაკობდა.

- შენ თვითონ უნდა გრცხვენოდეს, - შეჰკივლა მისის რედლმა, - რომ ვერ ბედავ და შიშით დაბლა ვერ ჩასულხარ, რომ თავი გაუხეთქო ამ არამზადებს. კაცი რომ იყო, ასეც მოიქცეოდი.

- უთუოდ ასეც მოვიქცეოდი, ჩემო ძვირფასო, ერთის ნაცვლად ათი რომ ვიყო, - მშვიდად მიუგო მისტერ რედლმა, - მაგრამ, რა გაეწყობა, სხვა თუ არა, რიცხვით მაინც მჯობიან.

- ფუი, შე მხდალო! - მიუგო მისის რედლმა ზიზღით, - ...გააბრძანებთ თუ არა მაგ არამზადებს გარეთ, მისტერ სოიერ?

- მიდიან, ახლავე მიდიან, მისის რედლ, - წარმოთქვა საცოდავად ბობმა, - ...სჯობს დავიშალოთ, - განუცხადა მეგობრებს მისტერ სოიერმა, - მგონი, ზედმეტი მოგვივიდა.

- ფრიად არასასიამოვნო ამბავია, - თქვა მანჭია ჯენტლმენმა, - ეს-ეს არის გავმხიარულდით და უნდა წავიდეთ კიდეც, - ჯენტლმენს ის იყო გაახსენდა ამბავი, რომელიც ადრე უნდა მოეყოლა და დაავიწყდა.

- პირდაპირ აუტანელია, - განაგრძო მან და სხვებს გადახედა, - ძნელია, ამას შეურიგდეს კაცი, არა, ბატონებო?

- ნურც შევურიგდებით, - ხმა გასცა ჯეკ ჰოპკინზმა, - შემდეგი კუპლეტი ვიმღეროთ. ბობ, აბა, დაიწყე!

- არა, არა ჯეკ, ნუ იზამ, გეთაყვა, - შეევედრა მასპინძელი, - საუცხოო სიმღერაა, მაგრამ სჯობს გავჩერდეთ... თქვენ არ იცით, რა ხალხია ეს ჩვენი სახლის პატრონები.

- თუ გინდა მაღლა ავალ და ერთი კარგად მივბეგვავ მაგ შენს სახლის პატრონს! - შესთავაზა ჰოპკინზმა, - ან ზარის რეკვას ავ-

ტეხ, ან კიბეზე ავალ და ღმუილს მოვრთავ! მზად ვარ, გემსახურო, ბობ, ოღონდ მიბრძანე.

- დიდად მადლობელი ვარ შენი, ჰოპკინზ. ერთგული მეგობრობისა და კეთილი გულისათვის, - მიუგო საბრალო ბობ სოიერმა, - მაგრამ, უსიამოვნება რომ ავიცილოთ, სჯობს ქეიფი სხვა დროისთვის გადავდოთ.

- რას შვრებით, მისტერ სოიერ? - კვლავ გაისმა ზემოდან მისის რედლის გამკივანი ხმა, - მიდიან თუ არა ეგ მხეცები?

- ახლავე, მისის რედლ, ქუდებს ეძებენ, - მიუგო ბობმა, - ამწამსვე წავლენ...

- წავლენო?! - წამოიძახა მისის რედლმა და მოაჯირზე ჩაჩიანი თავი სწორედ იმ დროს გადმოყო, როდესაც მისტერ პიკვიკი მისტერ ტაპმენის თანხლებით სასტუმრო ოთახიდან გამოვიდა, - წავლენო?!. სულაც რისთვის მოეთრნენ?

- ჩემო ძვირფასო ქალბატონო, - დაიწყო მისტერ პიკვიკმა და მაღლა აიხედა.

- გაეთრიე აქედან, შე ბებერო არამზადავ! - დაუყვირა მისის რედლმა და ჩაჩი მოიძრო თავიდან, - ბაბუად გამოადგები მაგ ვაჟბატონს, შე არამზადავ! შენ ხარ, რაც ხარ... ყველაზე უარესი!..

მისტერ პიკვიკი მიხვდა, რომ ამაო იყო რამის მტკიცება. ამიტომ ჩქარი ნაბიჯებით დაეშვა კიბეზე და ქუჩაში გავიდა. მას ფეხდაფეხ მიჰყვნენ მისტერ ტაპმენი, მისტერ სნოდგრასი და მისტერ უინკლი. მისტერ ბენჯამინ ალენმა, ამდენი სმისა და აღელვებისგან სულდამძიმებულმა, პიკვიკელები ლონდონის ხიდამდე მიაცილა. ამ ხნის განმავლობაში მისტერ უინკლს, როგორც ყველაზე ღირსეულ მესაიდუმლეს, გაანდო საიდუმლო და უთხრა, რომ ყოველ ჯენტლმენს, ბობ სოიერის გარდა, რომელიც გაბე-

დავს და ჩემს დას არაბელას სიყვარულს აუხსნის, მზად ვარ, ყელი გამოვჭრაო.

ბენი ბავშვივით ატირდა, ქუდი თვალებზე ჩამოიფხატა და შინისკენ გასწია. მაგრამ მალე გზა აებნა, ბოლოს ბაზრის კარს მიადგა და ბრახუნი ატეხა. დროგამოშვებით ძილი ერეოდა, იქვე კიბეზე ჩასთვლემდა ხოლმე ცოტა ხნით და მერე კვლავ ბაზრის კარს მიადგებოდა. ვიდრე არ ინათა, კარს არ მოსცილებია - საცოდავი დარწმუნებული იყო, რომ იქ ცხოვრობდა...

* * *

როდესაც ყველანი გაისტუმრა მისის რედლის „თავაზიანი“ მოთხოვნით, ბობ სოიერი მარტო დარჩა. წუხდა, იმაზე, თუ რა მოჰყვებოდა ამ ამბავს ხვალ.

თავი XXXIII

უფროსი მისტერ უელერი გამოთქვამს რამდენიმე კრიტიკული ხასიათის შენიშვნას, რომელიც წერის სტილს შეეხება და თავისი შვილის, სემუელის დახმარებით გადაიხდის იმ ვალის ნაწილს, რომელიც მას წითელცხვირა ჯენტლმენისა ემართა

ცამეტი თებერვლის დილა მეტად შფოთიანი გამოდგა მისტერ სემუელ უელერისათვის. დილის ცხრა საათიდან ნაშუადღევის ორამდე შეუსვენებლად მიმორბოდა სასტუმრო „ჯორჯი და ფასკუნჯსა“ და მისტერ პერკერის სახლს შორის. იმას ვერ ვიტყვით, რომ ამ სირბილმა დიდად შეუწყო ხელი საქმის ვითარებას, რომელიც დიად სნაბინს უნდა ეწარმოებინა. მოქმედების გეგმა დაწვრილებით შეადგინეს. მისტერ პიკვიკი ისე ღელავდა, რომ წამდაუწუმ ბარათებს გზავნიდა თავის ვექილთან, რომელშიც მუდამ ერთ რამეს ეკითხებოდა: „ძვირფასო პერკერ, ხომ კარგადაა საქმე?“, რაზედაც მისტერ პერკერი მუდამ ერთსა და იმავე პასუხს სწერდა: „ძვირფასო პიკვიკ, ყველაფერი კარგადაა“. ნამდვილად კი, როგორც ერთხელ გაკვრით მოგახსენეთ, საქმე არც ცუდად იყო და არც კარგად. სასამართლოს სხდომა კი მეორე დილისთვის იყო დანიშნული.

* * *

ადამიანს, რომელიც ნებსით თუ უნებლიეთ მიმართავს კანონმდებლობას და ისიც - პირველად თავის სიცოცხლეში, უთუ-

ოდ მიეტევება ასეთი აღელვება და გაგულისება. ამიტომ სემიც ადამიანთა ბუნების ამ სისუსტეს შემწყნარებელი თვალით უყურებდა, პატრონის ყველა ბრძანებას უდრტვინველად ასრულებდა და უსიტყვოდ ემორჩილებოდა. უნდა მოგახსენოთ, რომ ხასიათის ეს თვისება ფრიად სასიქადულოა ყველა ადამიანში.

ის იყო, სემმა ამდენი ჯაფის შემდეგ ნოყიერი სადილით ინუგეშა თავი და ცხელი სასმელიც შეუკვეთა, რომ კარი გაიღო და სასტუმრო „ჯორჯი და ფასკუნჯის“ ტალანში ვიღაც ყმაწვილი შემოვიდა. ახალმოსული დაახლოებით სამი ადლი სიმაღლის თუ იქნებოდა: თავზე მაღალი ბოხოხი ეხურა, ტანზე კი ბამბაზიის შარვალ-ხალათი ეცვა. მისი ჩაცმულობა აშკარად მეტყველებდა იმის შესახებ, რომ მის პატრონს პატივმოყვარე ოცნება დაუფლებოდა - უახლოეს ხანში მეჯინიბის საპატიო თანამდებობა უნდოდა დაეკავებინა. შემოსულმა ჯერ კიბე აათვალიერა, შემდეგ ტალანში გაიხედ-გამოიხედა, ბოლოს ბუფეტს გადახედა, თითქოს დავალება ჰქონდა გადასაცემი და ახლა ვიღაცას დაეძებდა.

მებუფეტე ქალმა, რომელსაც ამდენი თვალის ცეცება არაფრად ეჭაშნიკა, ყმაწვილს მიმართა:

- რა გნებავთ?

- არის აქ ვინმე, რომელსაც სემი ჰქვია? - წვრილი ხმით იკითხა ახალგაზრდამ.

- გვარი?.. - გასძახა სემ უელერმა და გარშემო მიმოავლო თვალი.

- მე რა ვიცი, - მკვახედ მოუჭრა ბოხოხიანმა.

- გეტყობა, მწარე ენა გაქვს, - უთხრა მისტერ უელერმა, - მაგრამ შენ ადგილას რომ ვიყო, მაინცდამაინც სხვას არ ვაჩვენებდი, ვაითუ ამოგაძროს ვინმემ. ეს რაღას ნიშნავს, სასტუმროში შემოსულხარ და ველური ინდიელივით გაჰკივი - სემიო.

- იმიტომ, რომ ასე მიბრძანა მოხუცმა ჯენტლმენმა, - მიუგო ყმაწვილმა.

- რომელმა მოხუცმა ჯენტლმენმა? - დაცინვით მიუგო სემმა.

- იპსუიჩის ეტლი რომ დაჰყავს. დროდადრო ჩვენს სასტუმროში ჩერდება ხოლმე, - მიუგო ყმაწვილმა, - გუშინ დილას მითხრა, ხვალ ჩადი „ჯორჯი და ფასკუნჯში“ და სემი იკითხეო.

- მამაჩემზეა საუბარი, ჩემო კარგო, - აუხსნა მისტერ უელერმა ყმაწვილ ქალს, რომელიც ბუფეტს განაგებდა, - ეშმაკმა დამწყევლოს, მაგან თუ ჩემი გვარი არ იცის!.. მერე, მერე?..

- მერედა ისა, - მიუგო ბიჭმა, - რომ ექვს საათზე ჩვენს სასტუმროში უნდა მოხვიდეთ - „ლურჯ ტახში“, ლენდჰოლის ბაზარში რომაა. ვუთხრა, რომ მოხვალთ?

- უთხარი, რომ მოვალ!.. ასე მოახსენე, - უპასუხა სემმა.

ამ ნებართვით უფლებამოსილი ყმაწვილი სასტუმროდან გავიდა თუ არა, მთელი ეზო ისეთი წკრიალა სტვენით აახმიანა, რომელიც მეჯოგის საყვირს მოგაგონებდათ.

მისტერ უელერმა პატრონს წასვლის ნებართვა სთხოვა. მისტერ პიკვიკი იმდენად შეშფოთებული და აღელვებული იყო, რომ მარტო დარჩენა არჩია.

სემი დანიშნულ დრომდე ბევრად უფრო ადრე გაუდგა გზას. დრო ბევრი ჰქონდა, ამიტომ მენშენ-ჰაუზს რომ მიაღწია, შეჩერდა და მშვიდად დაუწყო თვალიერება იმ მრავალრიცხოვანი ომნიბუსების კონდუქტორებსა და მეეტლეებს, რომლებიც, ჩვეულებრივ, თავს იყრიან ამ ცნობილ და მუდამ ხალხით სავსე ადგილას. სემმა აქ ნახევარი საათი მაინც იხეტიალა. მერე მოტრიალდა და პირდაპირ ლენდჰოლის ბაზრისკენ გაემართა. გზაში, დრო რომ გაეყვანა, ხშირად ჩერდებოდა და ყოველ საგანს გულდასმით აკვირდებოდა. ახსნა-განმარტების გარეშე უცნაურად მოგეჩვენებათ ის ამბავი, რომ, როგორც კი თვალში

მოხვდა გასაყიდად გამოფენილი რამდენიმე სურათი, სემი უეცრად შეხტა, მარჯვენა ფეხზე ხელი მაგრად შემოიკრა და ენერგიულად შესძახა: „უყურე შენ, ეს რომ არ დამენახა, ახლა ხომ არც კი მომაგონდებოდა; მერე კი გვიან იქნებოდა“!

ის სურათი, რომელიც თვალში მოხვდა სემ უელერს, ამას რომ ამბობდა, ორ ისრით განგმირულ გულს წარმოადგენდა. გულები გიზგიზა ალზე იხრაკებოდა, მაშინ, როდესაც ორი კაციჭამია, თანამედროვე ტანსაცმელში გამოწყობილი - მამაკაცი ლურჯი პიჯაკითა და თეთრი შარვლით, მანდილოსანი კი - გრძელი წითელი წამოსასხამითა და ხელში იმავე ფერის ქუდით - კენჭებით მოკირწყლულ ბილიკზე მიდიოდნენ, თან დამშეული თვალით ალმოდებულ გულებს მისჩერებოდნენ. ურცხვი ყმაწვილი, რომლის ერთადერთ სამოსს ორი ფრთა შეადგენდა, გიზგიზა ცეცხლს მეთვალყურეობდა. შორს მოჩანდა ლეგნჰემპლეისის ტაძრის წვერი. ეს სურათი „ვალენტინი“ გახლდათ. როგორც ვიტრინაზე გაკრული წარწერა აუწყებდა მყიდველს, დუქანში ასეთი სურათების დიდი ასორტიმენტი ჰქონდათ და მედუქნეც თანამემამულეებს ჰპირდებოდა, ფასს დაგიკლებთ - თითოს ნახევარ შილინგად მოგყიდითო.

- გეფიცებით, არ მომაგონდებოდა! - წამოიძახა სემმა და იმწამსვე დუქანში გაჩნდა. მოითხოვა საუკეთესო ხარისხის ოქროთი მოვარაყებული ფურცელი და წვრილად გათლილი ფრთა. როცა ყოველივე ეს მოართვეს, პირდაპირ ლენდჰოლის ბაზრისკენ გაემართა. მიადგა თუ არა დანიშნულ ადგილს, მიმოიხედა. თვალში აბრა მოხვდა, რომელზეც დიდი ოსტატობით იყო გამოსახული ცისფერი სპილოს მსგავსი ცხოველი, რომელსაც ხორთუმის ნაცვლად მოგრძო, კუზიანი ცხვირი ამშვენებდა. სემი იმწამსვე მიხვდა, „ლურჯი ტახი“ ნამდვილად ეს უნდა იყოსო,

უყოყმანოდ შეაღო სასტუმროს კარი და მშობელი მამა მოიკითხა.

- დაახლოებით ორმოცდახუთი წუთის შემდეგ იქნება, - მიუგო ყმაწვილმა ქალმა.

- კეთილი და პატიოსანი, - მიუგო სემმა, - თუ შეიძლება, მის, შემთბარი გროგი მომიტანეთ და ერთი სამელნეც მოაყოლეთ.

გროგიცა და სამელნეც პატარა სასტუმრო ოთახში შემოუტანეს. სემუელმა ტიხრის გადაღმა ბუხართან მოიკალათა და ჯიბიდან მოვარაყებული ქაღალდი და წვრილად გათლილი ფრთა ამოიღო. ორივე საგანგებოდ გასინჯა - ვაითუ, ფრთას ბეწვი შერჩა ან ქაღალდის ქვეშ ნამცეცები ყრიაო. მერე ქურქის ბოლოები აიკეცა, იდაყვები მაგიდაზე დადო და წერას შეუდგა.

უნდა მოგახსენოთ, მკითხველო, რომ იმ მანდილოსნებისა და ჯენტლმენებისათვის, რომლებიც წერის ხელოვნებაში არ არიან გაწაფულნი, ხშირად ჩვეულებრივი წერილის შედგენა არცთუ ისე იოლი საქმეა (მხედველობაში თუ მივიღებთ, რომ მწერალი თავით მარცხენა ხელს უნდა დაეყრდნოს ისე, რომ თვალი მის წინ მდებარე ქაღალდს გაუსწოროს, ე.ი. ირიბად უცქიროს ასოებს, რომელიც ფურცელზე გამოჰყავს და ამასთანავე გონებაში მიალაგ-მოალაგოს სათანადო აზრები).

სემიც დიდ გასაჭირში ჩავარდა: საათ-ნახევრის განმავლობაში თავაუღებლად წერდა და ქაღალდზე წვრილ-წვრილი ასოები გამოჰყავდა: შეცდებოდა თუ არა, ნეკით შლიდა და მათ ნაცვლად ახალს წერდა. თანაც თითოეულს რამდენჯერმე შემორკალავდა, რომ ადრე დასხმულ მელნის ნაწვეთზე მკვეთრად გამოჩენილიყო.

უეცრად მისი ყურადღება კარის ჭრიალმა მიიპყრო. კარი გაიღო და ზღურბლზე მამამისი გამოჩნდა.

- გამარჯობა, სემ, - მიესალმა მამა.

- გაგიმარჯოს, ჩემო ბებერო, - მიუგო ვაჟიშვილმა და კალამი გვერდზე გადადო, - აბა, მომახსენეთ უკანასკნელი ცნობები ჩემი დედინაცვლის შესახებ.

- მისის უელერმა ღამე საუცხოოდ გაატარა, მაგრამ ამ დილას ახირებულ ხასიათზე გაიღვიძა. ისეთი ჯიუტია, ვერაფერს შეაგნებინებ. ამ ცნობას ფიცით ამოწმებს ტონი ველერი, ესკვაირი. ასეთი გახლავთ უკანასკნელი ცნობები, სემი, - მოახსენა უფროსმა უელერმა და ყელსახვევი შეიხსნა.

- მაშ, ვერ მორჯულდა? - ჰკითხა სემმა.

- პირიქით სემ, უარესი გახდა, - მიუგო მისტერ უელერმა და თავი გააქნია, - მაგრამ ერთი ეს მითხარი... შენ ახლა რას აკეთებ?.. ძნელი ყოფილა ტვინის ჭყლეტა?

- უკვე დავასრულე, - მიუგო სემმა, - მშობლის შეკითხვამ ცოტა არ იყოს დააბნია. - ვწერდი.

- მაგას მეც ვხედავ, - შენიშნა მისტერ უელერმა, - იმედი მაქვს ყმაწვილ ქალს არ სწერდი, ჰა, სემ?

- რაღა დაგიმალო და... - მიუგო სემმა, - ეს „ვალენტინია“.

ბოლო სიტყვა ელდასავით ეცა მისტერ უელერს.

- რაო? - შეჰყვირა მან.

- „ვალენტინია“, - გაიმეორა სემმა.

- ეჰ, სემუელ, სემუელ, - საყვედურის კილოთი მიმართა შვილს მისტერ უელერმა. - არ მეგონა, ასე თუ გატუტუცდებოდი. თანაც არ იცოდე მაინც, უბედური მამაშენი როგორ გაბრიყვდა. გახსოვს, რამდენი გელაპარაკე ამის შესახებ? შენი თვალით მაინც არ გენახა იმ „კეთილი“ დედინაცვლის ოინები. მე კი მეგონა, ასეთი რამ კაცს სიკვდილამდე არ დაავიწყდება-მეთქი!.. არა, არ მეგონა, სემი, შენ თუ ამას გააკეთებდი, ასე თუ გატუტუცდებოდი, - როგორც ჩანს, ნათქვამმა ისე ააღელვა მოხუცი, რომ უეცრად

ხელი დასტაცა გროგით სავსე ჭიქას და თვალის დახამხამებაში დაცალა.

- მოგეშვა?.. - ჰკითხა ვაჟმა.

- არაფერი მიჭირს, - მიუგო მისტერ უელერმა, - ჩემი ხნის კაცისთვის ეს დიდი განსაცდელია, მაგრამ, ხომ იცი, მუხასავით მაგარი ვარ და ეს მანუგეშებს, როგორც ერთმა ბებერმა ინდაურმა ბრძანა, როდესაც პატრონმა განუცხადა - მაპატიე, ვაითუ, შენი დაკვლა მომიხდეს, ლონდონის ბაზარზე გასატანადო.

- რა განსაცდელზე მელაპარაკები? - დაინტერესდა სემი.

- აი, შენ რომ ცოლი შეირთო, სემ... ვინ იცის, გულუბრყვილოდ დაიჯერო, რომ ყოველივე ეს ნეტარებაა და ბოლოს მწარედ მოტყუვდე, - განუმარტა მისტერ უელერმა.

- სისულელეა, - თქვა ვაჟმა, - ნეტავი შენ, რას იკლავ გულს? ცოლის შერთვას სულაც არ ვაპირებ. ისიც კარგად ვიცი, რომ ამგვარ საქმეებში შენ გამოცდილი კაცი ხარ, დაგეკითხებოდი. ის სჯობს, ჩიბუხი მოატანინო. მე კი წაგიკითხავ, რაც დავწერე.

დანამდვილებით ვერ ვიტყვით, რამ დაამშვიდა მისტერ უელერი და რამ გაუქარვა დარდი - ჩიბუხის გახსენებამ, თუ იმ მანუგეშებელმა ფიქრმა, რომ ცოლის თხოვის საბედისწერო მიდრეკილება შთამომავლობით არ დაჰყოლიათ თურმე. უფრო საფიქრებელია, რომ ამგვარი შედეგი ნუგეშის ორივე წყაროს წყალობით მივიღეთ. რადგან როდესაც მისტერ უელერმა ზარი დარეკა, რათა პირველი ნუგეში მოერთმიათ, ამ დროს იგი მეორე წყაროს შესახებ ბურტყუნებდა რაღაცას. ასე იყო თუ ისე, მან სერთუკი გაიხადა, ჩიბუხს მოუკიდა და ბუხართან ჩამოჯდა. შემდეგ სემს მოუბრუნდა და თამბაქოს კვამლით სახედამტკბარმა შვილს უთხრა, რომ მიახლოებოდა.

სემმა ფრთა მელანში ჩააწო და ხმამაღლა დაიწყო: „მშვენიერო“...

- შეჩერდი! - შესძახა მისტერ უელერმა და ზარი დარეკა, - ორმაგი მომიტანეთ, მე რომ ვსვამ ხოლმე, ის სასმელი...

- კეთილი, სერ, - მიუგო მსახურმა ქალმა, რომელიც საოცარი სისწრაფით გაჩნდა ოთახში, კვლავ გაქრა, თვალის დახამხამებაში მოარბენინა სასმელი და ისევ გაუჩინარდა.

- ეტყობა, აქ კარგად გიცნობენ, - შენიშნა სემმა.

- ჰო, - მიუგო მამამ, - ადრე ხშირად დავდიოდი აქ. აბა, განაგრძე, სემ.

- „მშვენიერო ქმნილებავ“... - განაგრძო სემმა.

- მოიცა, ეგ ლექსი ხომ არ არის? - შეაწყვეტინა კითხვა მშობელმა.

- არა.

- კიდევ კარგი... - შენიშნა მისტერ უელერმა, - ლექსი ხელოვნურია, აბა, ვინ ლაპარაკობს ლექსებით იმის გარდა, საშობაო საჩუქრისთვის რომ შემოივლის ხოლმე, ან უორენის ზუმბურზეთსა და როულენდის ზეთის წარწერაზე რომ ვხვდებით, ან ვინმე ყეყეჩს თუ დასცდება... არასოდეს ისე არ გაბრიყვდე, შვილო, რომ ლექსად დაიწყო წერა ან ლაპარაკი... განაგრძე, სემი.

მისტერ უელერმა ღრმააზროვანი გამომეტყველებით გააბოლა ჩიბუხი, სემი კი კვლავ კითხვას შეუდგა.

- „მშვენიერო ქმნილებავ, ძალიან ვხურვარ...“

- არა, არ ივარგებს, - ჩაურთო სიტყვა მშობელმა და ჩიბუხი პირიდან გამოიღო.

- არა, არა, „ვხურვარ“ არ ყოფილა, - შენიშნა სემმა, როდესაც წერილი საგანგებოდ სანთელთან მიიტანა. - აქ თურმე წერია - „ვწუხვარ“, მაგრამ მელნის ლაქაა და ვერ გავარჩიე.

- კარგია, - მოუწონა მისტერ უელერმა. - განაგრძე.

- „ძალიან ვწუხვარ და ნამდვილად გამოვ...“ დამავიწყდა, აქ რა სიტყვაა, - თქვა სემმა, თავი მოიფხანა, იქნებ გამახსენდესო, მაგრამ ვერ იქნა, ვერ მოიგონა.

- რატომ არ ჩახედავ მერე, რა გიწერია?

- ჩავხედე, მაგრამ კიდევ ორი ლაქაა და ვერ ვარჩევ ასოებს, - უპასუხა სემმა.

- „გამოვყეყეჩდი“ იქნება, - მიეშველა მშობელი.

- არა, ეგ არ არის, - ჩაილაპარაკა სემმა, - „გამოვშტერდი“... აი, რა არის.

- მართალი თუ გინდა, სემ, ეგ ისეთი კარგი სიტყვა როდია, როგორიც „გამოვყეყეჩდი“.

- ასე გგონია?

- მისწრებაა პირდაპირ.

- კი მაგრამ, „გამოვშტერდი“ უფრო მეტს არ ნიშნავს?

- არ ვიცი, შეიძლება ეგ უკეთესი სიტყვაც იყოს... განაგრძე, სემი...

- „ძალიან ვწუხვარ და ნამდვილად გამოვშტერდი, რომ აქამდე არ გინახულეთ, გათავდა და მორჩა“.

- საუცხოო გამოთქმა, - მოუწონა უფროსმა უელერმა ვაჟს.

- მეც ვფიქრობ, რომ ურიგო არ უნდა იყოს, - მიუგო სემმა, რომელსაც მამის შექება ძალიან ეამა.

- იცი, ასეთი წერილებისა რა მომწონს... - შენიშნა უფროსმა უელერმა, - რომ მანდ ისეთ სახელებს არ ახსენებენ, ვენერაო და სხვა მაგდაგვარი. აბა, რა საჭიროა ყმაწვილ ქალს დაუძახო ვენერა ან თუნდაც, ანგელოზო, სემ?

- მართალი ხარ... არაა საჭირო, - კვერი დაუკრა სემმა.

- გინდ ეგ დაგიძახია და გინდ ფასკუნჯი ან მარტორქა... - დასძინა მისტერ უელერმა.

- ნამდვილად სულერთია, - დაეთანხმა სემი.

- აბა, განაგრძე...

სემმა კვლავ განაგრძო კითხვა. მამამ კი უფრო ღრმააზროვნად გააბოლა ჩიბუხი.

- „ვიდრე თქვენ შეგხვდებოდით, ასე მეგონა, ყველა ქალი ერთია-მეთქი“.

- ასეცაა, - სხვათა შორის ჩაურთო უფროსმა უელერმა.

- „მაგრამ ახლა კი, - განაგრძო სემმა, - მაგრამ ახლა კი მივხვდი, აქამდე რა ბრიყვი და უტვინო ვყოფილვარ, იმიტომ, რომ თქვენი დარი არ არსებობს ამქვეყნად! ჩემთვის, რომ იტყვიან, ზედგამოჭრილი ხართ“... მინდოდა აქ უფრო მაგრად მეთქვა, - შენიშნა სემმა და თავი ასწია.

მისტერ უელერმა მოწონების ნიშნად თავი დაუქნია და სემმა კვლავ განაგრძო კითხვა.

„ახლა ვსარგებლობ ამ დღით, მერი, ჩემო ძვირფასო, - როგორც ერთმა ჯენტლმენმა ბრძანა, კისრამდე ვალებში რომ იყო ჩაფლული, როდესაც კვირა დღეს გარეთ გამოვიდა, - მინდა მოგახსენოთ, რომ როგორც კი პირველად მოგკარით თვალი, თქვენი სახე ჩემს გულში ჩაიბეჭდა უფრო სწრაფად და უფრო ლამაზად, ვიდრე მანქანა დაბეჭდავს ხოლმე სურათს (უთუოდ გაგიგონიათ, რომ ასეთი მანქანა არსებობს, მერი, ჩემო ძვირფასო!). ის მანქანა დაბეჭდავს თუ არა სურათს, შუშიან ჩარჩოში ჩასვამს და კავსაც უკეთებს, რომ ჩამოკიდო. ამას სამი წუთიც არ უნდება“.

- ეჰ, აქ კი მგონი ლექსივით აჭიკჭიკდი, სემ, - შენიშნა მისტერ უელერმა.

- არა, სულაც არ ავჭიკჭიკდი, - მიუგო სემმა და საჩქაროდ განაგრძო კითხვა, - „მერი, ჩემო საყვარელო, გემუდარებით თქვენს ვალენტინად მე ამიყვანოთ. იფიქრეთ, ბევრი იფიქრეთ

იმის შესახებ, რაც გითხარით, ჩემო ძვირფასო მერი. ამით ვამთავრებ“, - აი, ეს არის და ეს, - თქვა სემმა.

- ბოლოში რაღაც უეცრად დაამუხრუჭე, ჰა, სემ, არა?

- სულაც არა, - მიუგო სემმა, - ასე სჯობს. უფრო მეტად მოუნდება, რომ კიდევ რამე ეწეროს. ამაშია წერის ხელოვნების ოსტატობა, აბა!

- მგონი, მართალი ხარ, - დაეთანხმა მისტერ უელერი, - ეჰ, ნეტავ შენი დედინაცვალიც ამ დიდებულ წესს მისდევდეს, თორემ რომ მოუშვებს გუდას, საშველი აღარაა! - მისტერ უელერმა უიმედოდ ჩაიქნია ხელი, - ხელს არ მოაწერ?

- ჰო, მაგრამ, როგორ მოვაწერო? - მიუგო სემმა.

- მოაწერე „უელერ“, - ურჩია მამამ.

- არა, ეგრე არ ივარგებს, - შეეპასუხა სემი, - აბა, ვის გაუგონია „ვალენტინს“ ნამდვილი გვარი და სახელი მოაწერო?!

- მაშინ მოაწერე „პიკვიკ“, - კვლავ ურჩია მისტერ უელერმა. ჩინებული სახელია და დაწერაც იოლია.

- აი, ეს მესმის, - დაეთანხმა სემი, - ბოლოში ლექსით რომ დავასრულო, მგონი, ურიგო არ იქნება, რას იტყვი?

- ხომ იცი, რომ მსგავსები არ მომდის თვალში, სემ, - მიუგო მისტერ უელერმა. - ჯერ არც ერთი წესიერი მეეტლე არ შემხვედრია, ლექსებს რომ წერდეს. მხოლოდ ერთი მაგონდება, რომელმაც გულისამაჩუყებელი ლექსი დაწერა იმის წინადღეს, როდესაც უნდა ჩამოეხრჩოთ... მაგრამ ის კემბერუელიდან იყო, ასე რომ, არც ითვლება.

მაგრამ სემმა დაიჟინა - წერილი, გინდა თუ არა, ლექსით უნდა დავასრულოო და ფურცლის ბოლოს მიაწერა:

„შემიყვარდი, სულს ვლევ შენთვის,
მარად შენი,

პიკვიკი“.

შემდეგ ბარათი რამდენჯერმე მოკეცა და ერთ-ერთ კუთხეში ირიბად მიაწერა შემდეგი მისამართი: „მერის, ქალაქისთავის, მისტერ ნაპკინზის პირისფარეშს, იპსუიჩი, საფოლკი“.

დაასრულა თუ არა ეს ფრიად დიდმნიშვნელოვანი საქმე, ახლა უფროსმა უელერმა მოახსენა შვილს ის მიზეზი, რის გამოც გამოიძახა.

- ჯერ ერთი, შენს პატრონზე მინდა გკითხო, სემ, - დაიწყო მისტერ უელერმა, - ხვალ გაასამართლებენ, არა?

- დიახ, ხვალ, - მიუგო სემმა.

- იცი რა გითხრა, - განაგრძო მისტერ უელერმა, - მე მგონია, მოწმეები უეჭველად დასჭირდება, რომ თქვან, როგორი კაცია ან ალიბი დაუმტკიცონ. ჰოდა, უთხარი, დარდი ნუ ექნება, ეგ საქმე უკვე მოვაგვარე. მე მყავს ისეთი ხალხი, ამ ყველაფერს რომ მოაგვარებს. მაგრამ ვურჩევ: კაიკაცობის მტკიცებას მოეშვას და ალიბი გამოითხოვოს. ალიბი პირდაპირ მისწრებაა, სემ.

მისტერ უელერის სახეზე კვლავ ღრმააზროვანი გამომეტყველება აღიბეჭდა. მერე ცხვირი კვლავ ჭიქაში ჩაყო და გაოცებულ ვაჟიშვილს ეშმაკურად ჩაუკრა თვალი.

- კი მაგრამ... - ჰკითხა გაოცებულმა სემმა, - ხომ არა გგონია, რომ მისტერ პიკვიკს ოლდ-ბეილში გაასამართლებენ?

- ეგ ჩვენი საქმე არაა, - მიუგო მისტერ უელერმა, - სადაც უნდა გაასამართლონ, გახსოვდეს, ალიბი დიდებული ფანდია, რომელიც ყველგან გაჭრის. ალიბით არ ვუშველეთ ტომ უაილდრაკს, რომელიც მკვლელობისთვის გაასამართლეს? თანაც მაშინ, როდესაც გრძელპარიკიანმა პირდაპირ განაცხადა - მაგ კაცს აღარაფერი უშველისო... ჩემი აზრით, სემი, თუ შენს პატ-

რონს ალიბი არ ექნება, ნამდვილად (როგორც იტალიელები იტ-ყვიან) ხათაბალაში გაებმება. მორჩა და გათავდა.

რადგან მისტერ უელერს, უფროსს, გულით სწამდა, რომ მის სამშობლოში მხოლოდ ოლდ-ბეილი წარმოადგენდა უზენაეს სა-კანონმდებლო ინსტანციას და რომ მარტო ამ სასამართლოს წე-სები და პროცედურები აწესრიგებდნენ და ხელმძღვანელობ-დნენ საქმის წარმოებას სხვა სასამართლოშიც, მან ყურიც არ ათხოვა შვილის დაჟინებულ მტკიცებას, ალიბი ამ შემთხვევაში არაფრად გამოდგებაო. პირიქით, ვაჟს უმტკიცებდა - აი, ნახე, ეგ თუ არ გამოიყენეთ, მისტერ პიკვიკი მათი ოინების მსხვერპლი გახდებაო.

სემი დარწმუნდა, რომ მამის დარწმუნება უიმედო იყო, ამი-ტომ საუბრის თემა შეცვალა. მშობელს ჰკითხა - მე რატომღა და-მიბარეო.

- ოჯახური საქმის თაობაზე, შვილო, - მიუგო მისტერ უელერ-მა, - ეგ სტიგინზი რომაა...

- წითელცხვირა? - ჰკითხა სემმა.

- სწორედ ეგ, - მიუგო მისტერ უელერმა, - ეგ წითელცხვირა ყმაწვილი, სემ, შენს დედინაცვალთან კვლავ დაბრძანდება. ისე-თი თავაზიანი და ერთგულია, რომ ერთ დღესაც არ გააცდენს. ჩვენი ოჯახის დიდი მეგობარია, სემი, როცა თავის სახლში მი-დის, ვერ ისვენებს, თუ ჩვენგან სამახსოვროდ რაიმე არ წაიღო.

- თქვენ ადგილას რომ ვიყო, ისეთ რამეს გავატანდი, რომ ათი წელი არ დავიწყებოდა, - სიტყვა ჩაურთო სემმა.

- მოიცა, მოიცა, - შენიშნა მისტერ უელერმა, - იმის თქმა მინ-და, რომ ახლა ყოველდღე ბრტყელი მათარა მოაქვს. წასვლის წინ მაგ მათარას ანანასის რომით აავსებს ხოლმე პირამდე...

- და მეორე დღეს კვლავ ცარიელი მოაქვს, არა? - ჩაურთო სემმა.

- ერთ წვეთსაც არ ტოვებს! - მიუგო მისტერ უელერმა, - მერწმუნე, სემ, არასოდეს ტოვებს არაფერს, საცობისა და სუნის გარდა. იმას... ჰოდა, იმას გეუბნებოდი, მაგათი ხალხი, შვილო, ამ საღამოს აწყობს ლოთობასთან ბრძოლისათვის არსებულ სახელმოხვეჭილი ებენიზერის გაერთიანებული ასოციაციის ბრიკლეინის განყოფილების მორიგ შეკრებას, რომელიც თვეში ერთხელ იმართება. შენს დედინაცვალს ძალიან უნდოდა დასწრებოდა ამ შეკრებას, მაგრამ გაცივდა და ვეღარ მიდის... მას რომ ბილეთები გამოუგზავნეს, ორივე წამოვიღე...

ამას რომ ამბობდა, მისტერ უელერს სახე გაებადრა და მარჯვენა თვალის ქუთუთო აუთამაშდა.

- მერე? - იკითხა ვაჟმა.

- მერე ის, რომ, - გაიმეორა მშობელმა და ფრთხილად მიმოიხედა გარშემო, - მე და შენ იქ გავემგზავრებით... ზუსტად მივალთ. მოძღვრის თანაშემწე კი, ჩემო სემ, დროზე ვერ მივა, გესმის, ვერ მივა...

ამ სიტყვებზე უფროს მისტერ უელერს ისეთი ხითხითი აუტყდა, რომ სუნთქვა შეეკრა. ეს კი ფრიად სახიფათო იყო ხნიერი ჯენტლმენისთვის.

- ვფიცავ ზეცას, ჩემს დღეში ასეთი უცნაური კაცი არ მინახავს! - წამოიძახა სემმა, რომელიც ისეთი გაშმაგებით უსრესდა მოხუცს ზურგს, რომ კანს ხეხვისგან, სადაცაა, ცეცხლი წაეკიდებოდა, - რაღა გაცინებს, ბებერო?

- ჩუ, სემ, - განაგრძო მისტერ უელერმა ჩურჩულით და ფრთხილად მიიხედ-მოიხედა, - ორი ჩემი მეგობარი, ოქსფორდის გზაზე რომ მუშაობენ, მაგ მოძღვარს ეტლით მოიყვანენ, სემი. იქ რომ ჩამოვა, სადაც ებენიზერის საზოგადოება შეიკრიბება (მოსვლით ნამდვილად მოვა, რადგან ჩემი მეგობრები ზედ კართან ჩამოსვამენ, თუ საჭირო გახდა, პანღურსაც ამოჰკრავენ და

შიგ დარბაზში შემოაგდებენ), ისე იქნება რომით გაჟღენთილი, როგორც ჯერ არასოდეს ყოფილა... - მისტერ უელერს კვლავ ხარხარი აუტყდა.

უნდა მოგახსენოთ, რომ სემის გულს არაფერი იამებოდა ისე, როგორც წითელცხვირას ჭეშმარიტი საქმიანობისა და თვისებების სააშკარაოზე გამოტანა. ამიტომ სიამოვნებით დათანხმდა მამის მიპატიჟებას. დანიშნულ დრომდე ცოტაღა იყო დარჩენილი და მამა-შვილმაც უმალვე ბრიკლეინისკენ გასწია. გზაზე სემს არ დაავიწყდა და ძვირფასი წერილი საფოსტო ყუთს მიაბარა.

ყოველთვიურად, ლოთობასთან ბრძოლისთვის არსებული ებენიზერის გაერთიანებული ასოციაციის ბრიკლეინის განყოფილება აწყობდა კრებებს დიდ დარბაზში, რომელიც გრძელი კიბის ბოლოს იყო მოთავსებული. აღნიშნული განყოფილების თავმჯდომარე გახლდათ „აწ წესიერი გზით მავალი“ ვინმე მისტერ ენტონი ჰემი, „მორჯულებული“ მეხანძრე, ამჟამად კი სკოლის მასწავლებელი და დროდადრო მოხეტიალე ქადაგიც. მდივანი გახლდათ მისტერ ჯონეს მაჯი, მეწვრილმანე, ენთუზიაზმით აღსავსე და უანგარო ღატაკი, რომელიც ჩაით უმასპინძლდებოდა საზოგადოების წევრებს.

ადრიანად მოსული მანდილოსნები სკამზე ჩამოსხდებოდნენ და ჩაის მიირთმევდნენ. ეს ამბავი ჩვეულებრივ გრძელდებოდა მანამდე, ვიდრე საზოგადოების გამგეობა არ გამოაცხადებდა - გეყოფათ ჩაის სმაო. თვალსაჩინო ადგილას, მწვანე მაუდგადაფარებულ მაგიდაზე იდგა უშველებელი ხის ყუთი ფულის შესაგროვებლად. მის უკან მოჩანდა მდივანი, რომელიც ყუთში ჩაგდებულ სპილენძის ყოველ მონეტას ტკბილი ღიმილით ხვდებოდა.

ამჯერად მანდილოსნები ჩაის ისეთი რაოდენობით სვამდნენ, რომ უფროსი უელერი გაოცდა.

- სემ, - ჩასჩურჩულა მისტერ უელერმა შვილს, - გინდა მომკალი, ხვალ თუ რომელიმეს წყალმანკი არ დაემართა. ეს ბებრუხუნა მაინც, ეტყობა, ჩაიში აპირებს თავის ჩახრჩობას.

- მოისვენე, ვერ გაჩერდები? - ჩურჩულითვე მიუგო სემმა.

- სემ, - აღელვებული ხმით შენიშნა კვლავ მისტერ უელერმა, - გახსოვდეს ჩემი სიტყვა, შვილო: მდივანმა ეგ ჭყიპვა ხუთ წუთში თუ არ შეწყვიტა, ნამდვილად არ დაადგებათ ამათ კარგი დღე. გასკდებიან, მგონი...

- გასკდნენ, რა. თუკი სურთ, შენ რას დაეძებ, - მიუგო სემმა.

- ასე თუ გაგრძელდა, სემ, - განაგრძო მისტერ უელერმა, - მე როგორც ადამიანი, ჩემს თავს მოვალედ ვთვლი, ავდგე და თავმჯდომარეს მივმართო... აგერ, იმ ყმაწვილმა ქალმა, ორი სკამით იქით რომ ზის, უკვე ცხრა-ნახევარი ჭიქა დალია... შეხედე, შეხედე, ჩემ თვალწინ გასივდა!..

ეჭვი ნურავის შეეპარება, რომ მისტერ უელერი თავის კეთილ განზრახვას დაუყოვნებლივ მოიყვანდა სისრულეში, მაგრამ, ბედზე, ამ დროს ფინჯნებისა და ლამბაქების გამაყრუებელი ჭახაჭუხი ატყდა - ჩაის სმა მოთავდა. ჭურჭელი აალაგეს და მწვანე მაუდგადაფარებული მაგიდა ოთახის შუაგულში გამოიტანეს.

კრება გახსნა მკვირცხლმა, მელოტმა კაცმა, რომელსაც რუხი შარვალი ეცვა. კაცი ისე ერთბაშად ამოვარდა კიბეზე, რომ ზემოაღნიშნულ რუხ შარვალში მჭიდროდ გამოკვართული ფეხები კინაღამ კოჭებში გადაიმტვრია.

- ქალბატონებო და ბატონებო, - განაცხადა მან, - წინადადება მაქვს, თავმჯდომარედ ავირჩიოთ ჩვენი საზოგადოების ღირსეული წევრი, მისტერ ენტონი ჰემი.

ამის გაგონებაზე მანდილოსნებმა ნაირ-ნაირი ფერის ცხვირსახოცები ააფრიალეს მოწონების ნიშნად. მკვირცხლმა კაცუნამ მოჰკიდა ხელი მისტერ ჰემს და თითქმის ძალით ჩასვა თავმჯდომარის სავარძელში, უფრო სწორად რომ ვთქვათ, წითელი ხის ჩარჩოში, რადგან ხსენებული საგანი ოდესღაც თუ წარმოადგენდა ავეჯის ნაწილს. კვლავ აფრიალდა ცხვირსახოცები და მისტერ ჰემმაც, გადალესილთმიანმა ფერმკრთალმა ჯენტლმენმა, მუდამ ოფლიანი სახე რომ ჰქონდა, მადლობის ნიშნად ამომრჩევლებს მდაბლად დაუკრა თავი (რამაც მშვენიერთა სქესი კიდევ უფრო აღაფრთოვანა) და კვლავ განკუთვნილი ადგილი დაიკავა. ამის შემდეგ რუხ შარვალში გამოწყობილმა კაცუნამ საზოგადოებას მიმართა, - სიჩუმე დაიცავითო, მისტერ ჰემი კი წამოდგა და განაცხადა, რომ თუ აქ დამსწრე ბრიკლეინის განყოფილების დები და ძმები ნებას მომცემენ, ჩვენი მდივანი დაუყოვნებლივ გაგაცნობთ ბრიკლეინის განყოფილების კომიტეტის მორიგ ანგარიშსო. კვლავ აფრიალდა ცხვირსახოცები, რაც ნიშნავდა, რომ აღნიშნული წინადადება მიღებულ იქნა ხმის უმრავლესობით.

მდივანმა შესავლის სახით ჯერ მაგრად დააცემინა და როდესაც ხველა (რომელიც ჩვეულებრივ რაიმე საინტერესო ამბის მოლოდინში აუტყდებათ ხოლმე დამსწრეთ) მიწყნარდა, საზოგადოებას შემდეგი ანგარიში წაუკითხა:

ლოთობასთან ბრძოლის ებენიზერის გაერთიანებული საზოგადოების ბრიკლეინის განყოფილების კომიტეტის ანგარიში:

თქვენ მიერ რწმუნებული კომიტეტი უკანასკნელი თვის განმავლობაში განაგრძობდა საზოგადოებისათვის ჭეშმარიტად საკეთილდღეო საქმიანობას და ახლა გამოუთქმელი სიხარულით მოგახსენებთ, რომ, დამატებით, ლოთობისაგან გადაარჩინა შემდეგი პირები: ჰ. უოკერი, მკერავი, ცოლი და ორი ბავშვი.

თვითონვე აღიარა, რომ როდესაც უფრო შეძლებულად ცხოვრობდა, ელისა და ლუდის სმას მიეჩვია. ამბობს, რომ დარწმუნებით ვერ ვიტყვი, მაგრამ მთელი ოცი წლის განმავლობაში კვირაში ორჯერ მაინც „ძაღლისცხვირას“ გეახლებოდითო. აღნიშნული სასმელი, როგორც თქვენ მიერ რწმუნებულმა კომიტეტმა დაადგინა, წარმოადგენს შემთბარი პორტვეინის, შაქრის, სპირტის ჯინისა და ჯავზის ნარევს (აქ ერთ-ერთ ხნიერ მანდილოსანს უნებლიეთ აღმოხდა: „ზუსტად ასეა!“). ახლა კი უოკერი უმუშევარი გახლავთ, გაღატაკებულ-გაუბედურებული. თვითონვე აღიარა - ეს ლუდის ბრალიაო (დარბაზში გაისმის ტაში), ნაწილობრივ კი იმისი, რომ მარჯვენა ხელი გაუფუჭდა. თუმცა არ არის დარწმუნებული, ზუსტად ესაა მიზეზი თუ არა, მაგრამ სულერთია. ამბობს, მთელი სიცოცხლე მარტო წყალი რომ მესვა, მაშინ ჩემი მეგობარი ხელისგულში ჟანგიან ნემსს არ მატაკებდა და ეს უბედური შემთხვევა არ დამემართებოდაო (დარბაზში მგზნებარე შეძახილები). ახლა ცივი წყლის მეტი დასალევი აღარაფერი აქვს და როგორც თვითონვე განაცხადა, სხვა სასმელი არც სწყურია (კვლავ შეძახილები და მქუხარე ტაში).

ბეტსი მარტინი, ქვრივი, ცალთვალა, ერთი ბავშვით. დღიურად მუშაობს, ხანდახან რეცხავს. არასოდეს ცალ თვალზე მეტი არ ჰქონია, მაგრამ ის კი კარგად ახსოვს, რომ დედა ხშირად თვრებოდა და შესაძლებელია, ცალთვალა იმიტომ დარჩა (აღტაცებული შეძახილები). ისიც აღიარა, თვითონაც რომ არ ესვა მაგარი სასმელები, ახლა ორივე თვალი ექნებოდა (მქუხარე ტაში). ასევე განაცხადა, რომ სადაც ვმუშაობდი, დღეში თვრამეტ პენსად, თითო პინტა ლუდს მივირთმევდი და ზედ ერთ ჭიქა არაყსაც ვაყოლებდიო. მაგრამ, რაც ბრიკლეინის განყოფილების წევრი გავხდი, ამის ნაცვლად ქირას სამ შილინგსა და

ექვს პენსს ვითხოვ ხოლმეო (განცხადება ამ საინტერესო ფაქტის შესახებ დიდი ენთუზიაზმით იქნა მიღებული).

ჰენრი ბელერი, მრავალი წლის განმავლობაში გამოცდილი თამადა საზოგადოებრივ სადილებსა და სხვა წვეულებებზე. მთელი ამ ხნის განმავლობაში უცხოური ღვინო საკმაო რაოდენობით დაულევია. ხშირად თითო-ოროლა ბოთლი სახლშიც წაუღია. დანამდვილებით ვერ ამბობს, მაგრამ ჰგონია, რომ რაც თან მიჰქონდა, იმ ღვინოს მის მეტი არავინ სვამდა. უჩივის მელანქოლიას, მუდამ სიცხე აქვს და ამის გამო საშინელი წყურვილი კლავს. ფიქრობს, რომ ეს იმ ღვინის ბრალია, რომელიც ადრე დაულევია. ამჟამად უმუშევარია და უცხოურ ღვინოებს პირსაც არ აკარებს (მქუხარე ტაში).

თომას ბარტონი, მუშაობს, ცხენის ხორცით ამარაგებს შერიფებისა და ქალაქის საბჭოს ზოგიერთი წევრის კატებს (აღნიშნული ჯენტლმენის სახელმა განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია). ხის ფეხი აქვს, ამბობს, რომ ხის ფეხი ძვირი მიჯდება, მალე იცვითება ქვებზე სიარულისაგანო. ყოველთვის „ნახმარ ფეხს“ ყიდულობდა და მრავალ საღამოს თითო ჭიქა ცხელ-ცხელ ჯინს მიირთმევდა, ხანდახან ორსაც (დარბაზში ღრმა ოხვრა გაისმის). აღმოაჩინა, რომ ნახმარი ფეხი თურმე მალე სკდება და ლპება. ღრმადაა დარწმუნებული, რომ ეგ ჯინის ბრალია (ხანგრძლივი ტაში). ახლა მხოლოდ ახალ ფეხს ყიდულობს და აღარც არაფერს სვამს წყლისა და სუსტი ჩაის გარდა. ახალი ფეხი ახლა ორჯერ უფრო დიდხანს ჰყოფნის, რაც როგორც თვითონ აგვიხსნა, თავშეკავებული ცხოვრების შედეგია (აღტაცებული შეძახილები).

ჩაიკითხეს თუ არა ანგარიში, ენტონი ჰემმა დამსწრეთ სიმღერის წამოწყება შესთავაზა იმ მიზნით, რომ საზოგადოების წევრებს ჭეშმარიტად გონიერი და ზნეობრივად მაღალი სიამოვნება

მიეღოთ. მორჩილმა მორდლინმა ცნობილი ლექსის სიტყვები - „ვის არ გაუგონია ყმაწვილი, მხიარული მენავის შესახებ“ - მეასე ფსალმუნის კილოს შეუწყო, რომელიც ახლა შეკრებილთ შესთავაზა (კვლავ გაისმა მქუხარე ტაში). ავტორმა დრო იხელთა და გამოაცხადა: განსვენებულმა მისტერ დიბდინმა აღიარა მის მიერ ჩადენილი ცოდვები და ეს ბალადა მხოლოდ იმ მიზნით დაწერა, რომ ლოთობისგან თავშეკავების უპირატესობა ეჩვენებინა; ეს ბალადა სმისაგან თავშეკავების ჭეშმარიტ ჰიმნს წარმოადგენს (მქუხარე ტაში)! სიმღერაში მოხსენებულია ლამაზი ვაჟი, კოპწიად ჩაცმული; მისი სიმარჯვე, მხიარული, უდარდელი განწყობილება ყველას ხიბლავს. ვაჟის კრედოა, პოეტის სიტყვებით რომ ვთქვათ,

„ნურაფერზე დარდობ, მოუსვი ნიჩბებს, გასწი და გასწი“.

ყოველივე ეს აშკარად მოწმობს, რომ ყმაწვილი წყლის მეტს არაფერს სვამდა (ტაში). ო, რომ იცოდეთ, როგორი მხიარული და სათნო ხასიათი ჰქონდა იმ ვაჟს (აღტაცებული შეძახილები)! მერედა რა იყო ჯილდო ასეთი სათნო ცხოვრებისა? დაე, აქ დამსწრე ყოველმა ახალგაზრდა კაცმა დაიმახსოვროს შემდეგი:

„ქალიშვილები, ნაირ-ნაირნი, ნავს ეხვეოდნენ ხალისიანად“.

(ხმამაღალი შეძახილები, რომელთა შორის ქალების ხმები ჭარბობს). რა ბრწყინვალე მაგალითია! მისი დობილი ქალიშვილები გარს ეხვეოდნენ ახალგაზრდას და მის ნავს მუდამ ჭეშმარიტი მოვალეობისა და ზომიერების გზით წარმართავდნენ. მაგრამ ნუ გგონიათ, რომ მხოლოდ ღარიბი ოჯახის ასულნი ანუგეშებდნენ და ართობდნენ ყმაწვილს! არა და არა!

„იმავ ქალაქის ულამაზესი მანდილოსნებიც
პირველ, საყვარელ კაცად მას თვლიდნენ“.

(მქუხარე ტაში). სუსტი სქესი, დაე, მომიტევონ ჩვენმა ყმაწვილებმა, ვით ერთი კაცი, ფარვანასავით თავს ევლებოდა ახალგაზრდა მენავეს და ზიზღით ზურგს აქცევდა ყოველ მსმელსა და ლოთ კაცს (ტაში). ბრიკლეინის განყოფილების ძმები - მენავეებია (ტაში და სიცილი). ეს ოთახი ნავი გახლავთ, აქ დამსწრენი - მშვენიერი ასულნი, თვითონ კი (ე.ი. მისტერ ენტონი ჰემი), თუმცა არ თვლის თავს ასეთი პატივის ღირსად, „პირველი მენავე“ გახლავთ (მქუხარე ტაში).

- ნეტავ ვის არქმევს სუსტ სქესს, სემ, ჰა? - ჩასჩურჩულა შვილს მისტერ უელერმა.

- ქალებს, - მიუგო ჩურჩულითვე სემმა.

- არცა ცდება, - დასძინა მისტერ უელერმა, - აბა, სუსტი სქესი რომ არ იყოს, ასე როგორ გაასულელებინებდა თავს ამ ბრიყვებს, ჰა?

ბოღმამორეულ მოხუცს კიდევ რაღაც უნდოდა ეთქვა, მაგრამ აქ კვლავ გაისმა სიმღერა. მისტერ ენტონი ჰემი წინდაწინ კითხულობდა ლექსის ორ-ორ სტრიქონს საზოგადოების იმ წევრთა გასაგონად, ვინც სიტყვები არ იცოდნენ. ამ დროს რუხშარვლიანი კაცუნა სადღაც გაქრა. იგი კვლავ გამოჩნდა, როდესაც სიმღერა დასრულდა და მისტერ ენტონი ჰემს რაღაც საიდუმლოდ ჩასჩურჩულა.

- მეგობრებო, - წარმოთქვა მისტერ ჰემმა და მუდარით აღაპყრო ხელი, რათა გაეჩუმებინა ის მხცოვანი მანდილოსნები, რომლებიც ერთი-ორი სტრიქონით ჩამორჩნენ სხვა მომღერ-

ლებს. - მეგობრებო, ჩვენი საზოგადოების - დორკინზის განყოფილების დელეგატი, მისტერ სტიგინზი დაბლა იცდის.

კვლავ აბობოქრდა ცხვირსახოცების ზღვა, რადგან მისტერ სტიგინზი განსაკუთრებით უყვარდა ბრიკლეინის ქალთა საზოგადოებას.

- ვფიქრობ, შეიძლება შემოვიდეს, - თქვა მისტერ ჰემმა და მოთაფლული ღიმილით მოავლო თვალი დამსწრეთ, - ძმაო ტეჯერ, გადაეცით, რომ შემოვიდეს და დორკინზელ მოძმეთა სახელით მოგვესალმოს.

რუხშარვლიანი კაცუნა, რომელიც ამ მიმართვას გამოეხმაურა, თავქუდმოგლეჯილი დაეშვა კიბეზე. არ გასულა წამი, რომ საზოგადოებას კიბეზე ნაბიჯების ხმა მოესმა - ეს რუხშარვლიანი ამოდიოდა ღირსეული მისტერ სტიგინზის თანხლებით.

- აგერ, მობრძანდება, - ჩასჩურჩულა შვილს მისტერ უელერმა და უხმო სიცილისგან სახე აუღაჟღაჟდა.

- ნურაფერს მეტყვი, - მიუგო სემმა, - თორემ თავს ვეღარ შევიკავებ. უკვე კართანაა. გავიგონე, როგორ მიარტყა თავი კარის თამასას.

ვერ მოასწრო სემ უელერმა ამის თქმა, რომ დაბალი კარი გაიღო და გამოჩნდა მისტერ ტეჯერი, რომელსაც ფეხდაფეხ შემოჰყვა მისტერ სტიგინზი. შემოდგა თუ არა ფეხი დარბაზში ამ ღირსეულმა მოძღვარმა, გაისმა ყურთასმენის წამღები ტაში, ფეხების ბრახუნი და ცხვირსახოცების შრიალი. მაგრამ აღტაცების ამ აშკარა ნიშნებს მისტერ სტიგინზი მხოლოდ ნაძალადევი ღიმილით შეხვდა. უაზროდ გადმოკარკლული თვალებით მაგიდაზე ჩადებული სანთლის წვერს მიაშტერდა და სხეული საათის ქანქარასავით გააქან-გამოაქანა.

- უქეიფოდ ხომ არ ბრძანდებით, ძმაო სტიგინზ? - ჩასჩურჩულა მისტერ ენტონი ჰემმა.

- მშვენივრად ვგრძნობ თავს, სერ, - მიუგო მისტერ სტიგინზმა მრისხანე და საოცრად ჩახრინწული ხმით.

- სასიამოვნოა, - შენიშნა მისტერ ენტონი ჰემმა და რამდენიმე ნაბიჯით უკან დაიხია.

- იმედია, ვერავინ გაბედავს იმის თქმას, რომ საუცხოოდ არააო, სერ! - განაცხადა მისტერ სტიგინზმა.

- ო, რა თქმა უნდა, ვერავინ, - კვერი დაუკრა მისტერ ჰემმა.

- მეც მაგას ვურჩევ, სერ! სჯობს ხმა გაიკმინდოს! - შესძახა მისტერ სტიგინზმა.

ამასობაში დარბაზში სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. მთელი საზოგადოება მღელვარედ ელოდებოდა ახალ ცნობებს.

- საზოგადოებას სიტყვით ხომ არ მიმართავთ, ძმაო? - თავაზიანი ღიმილით მიმართა მოძღვარს მისტერ ჰემმა.

- არა, სერ, - მიუგო მისტერ სტიგინზმა, - ...არა, სერ... არ მსურს...

ყველამ ერთმანეთს გადახედა და გაოცების ჩურჩულმა მთელ დარბაზს გადაურბინა.

- მე მგონია, სერ, - დაიწყო მისტერ სტიგინზმა ძალიან ხმამაღლა და თან სერთუკი შეიხსნა, - მე მგონია, სერ, აქ ყველა მთვრალია, გალეშილი! სერ, ძმაო ტეჯერ, სერ! - უეცრად მრისხანედ მიმართა მისტერ სტიგინზმა რუხშარვლიან კაცუნას. - თქვენც მთვრალი ხართ, გალეშილი!

წარმოთქვა თუ არა ეს სიტყვები მისტერ სტიგინზმა, უთუოდ იმ სასიქადულო მიზნით, რომ საზოგადოების წევრთა შორის წესიერებისადმი მიდრეკილება გაეძლიერებინა და უღირსნი სამარცხვინოდ გაეძევებინათ, მისტერ ტეჯერს შიგ ცხვირ-პირში უთაქა, თანაც ისე მაგრად, რომ რუხშარვლიანი თვალის დახამხამებაში გაუჩინარდა - თავდაყირა დაგორდა კიბეზე.

ამის დანახვაზე ქალებმა საშინელი წივილ-კივილი მორთეს და ჯგუფ-ჯგუფად შემოეხვივნენ თავის საყვარელ ძმებს, რომ დაეცვათ ისინი საფრთხისგან. სიყვარულის ასეთმა მხურვალე გამომჟღავნებამ კინაღამ მისტერ ჰემიც იმსხვერპლა. მანდილოსანთა შორის ის მეტად პოპულარული გახლდათ და ახლა მშვენიერი თაყვანისმცემლები კისერზე ჩამოეკიდნენ და კინაღამ ალერსით დაახრჩვეს ხსენებული პიროვნება. ამ ალიაქოთსა და ხმაურში სანთლების უმეტესი ნაწილი ჩაქრა.

- აბა, სემ! - თქვა მისტერ უელერმა და დინჯად გაიძრო სერთუკი, - მიდი ერთი, პოლიციელი ამოიყვანე.

- შენ რაღას იზამ? - ჰკითხა სემმა.

- ჩემი დარდი ნუ გაქვს, სემ, - მიუგო მოხუცმა ჯენტლმენმა, - პატარა ანგარიშს გავუსწორებ იმ სტიგინზს, მეტი არაფერი.

ხმის ამოღებაც კი ვერ მოასწრო სემმა, რომ მისი მამაცი მშობელი ოთახის შუაგულში შეიჭრა და გამოცდილ მოჭიდავესავით შეუტია მისტერ სტიგინზს.

- მოეშვი ერთი! - წამოიძახა სემმა.

- აბა, გამოდი! - შესძახა მისტერ უელერმა და ვიდრე მეორედ მიიპატიჟებდა, მისტერ სტიგინზს შიგ თავში უთაქა, მერე გარშემო დაუტრიალდა ტალღებზე მოსრიალე კორპის ტივტივასავით, რაც ჭეშმარიტად სასწაული იყო მისი ხნისა და აგებულების ჯენტლმენისთვის.

როდესაც სემი დარწმუნდა, რომ მისმა სიტყვამ არ გაჭრა, ქუდი თავზე ჩამოიფხატა, მამის სერთუკი ერთ მკლავზე გადაიკიდა, მეორე კი მოხუცს წელზე შემოხვია, ძალით ჩაათრია კიბეზე და ქუჩაში გამოიყვანა ისე, რომ წუთითაც ხელი არ გაუშვია მშობლისთვის და არც გაჩერებულა, ვიდრე ქუჩის კუთხეს არ მიაღწიეს. აქ მათ ბრბოს ხმამაღალი შეძახილები მოესმათ. ისინი საინტერესო სეირს უყურებდნენ: პოლიციელები მისტერ სტი-

გინზს მიათრევდნენ ფრიად საიმედო ადგილას, სადაც იგი მშვიდად გაათევდა ღამეს; ისმოდა ფეხების ბრახუნიც, რომელიც დიადი ებენიზერის გაერთიანებული ასოციაციის ბრიკლეინის განყოფილების წევრებმა ატეხეს ქვაფენილზე.

თავი XXXIV

რომელიც მიეძღვნა ბერდლ-პიკვიკის გასამართლების სრულსა და დაწვრილებით ანგარიშს

- ნეტავ, ვიცოდე, საუზმეზე რა მიირთვა მსაჯულთა საბჭოს თავმჯდომარემ ამ დილას, ვინც უნდა იყოს იგი, - წარმოთქვა მისტერ სნოდგრასმა ღირსშესანიშნავი ამბებით აღსავსე თოთხმეტი თებერვლის დილას.

- ჰმ! - ხმა გასცა მისტერ პერკერმა, - იმედია, კარგად დანაყრდა.

- კი მაგრამ, ეგ რა შუაშია? - იკითხა მისტერ პიკვიკმა.

- ო, ეგ არის, რაც არის, ჩემო ძვირფასო სერ, - მიუგო პერკერმა, - კეთილად განწყობილი, კმაყოფილი, კარგად დანაყრებული მსაჯული თქვენ არ იცით რა არის - მისწრებაა პირდაპირ და მისი ხელიდან გაშვება ცოდვაა. უკმაყოფილო ან მშიერი მსაჯული კი, ჩემო ძვირფასო სერ, მუდამ მოსარჩელეს დაუჭერს მხარს.

- უფალო, შენ შემიწყალე! - გაოცდა მისტერ პიკვიკი, - კი მაგრამ, ასე რად ხდება?

- მაგას კი ვერ გეტყვით, - მშვიდად მიუგო პაწია კაცმა, - ალბათ იმიტომ, რომ დრო მოიგოს. ასეც ხდება, რომ ის არის, მსაჯულები სათათბიროდ გავლენ და, ვთქვათ, სადილობის დრო დადგა, თავმჯდომარე საათს ამოიღებს, დახედავს და განაცხადებს: „ო, ბატონებო, უკვე ათი წუთი უკლია ხუთს. მე კი, უნდა მოგახსენოთ, სრულ ხუთზე ვსადილობ“. „მეც ასე, მეც“, - კვერს

დაუკრავენ დანარჩენი მსაჯულები, გარდა ორისა, რომლებმაც ყველას დაასწრეს, სამ საათზე ისადილეს და ახლა მით უფრო ჩქარობენ სახლში მისვლას, რომ ცოტა ჩასთვლიმონ. თავმჯდომარე გაიღიმებს, საათს კვლავ ჯიბეში ჩაიდებს და გამოაცხადებს: „მაშ, ბატონებო, რომელი იყოს - მოსარჩელე თუ მოპასუხე? მე მგონია, თუ მე მკითხავთ... მაგრამ იცოდეთ, ამ გარემოებამ თქვენს გადაწყვეტილებაზე არავითარი გავლენა არ უნდა მოახდინოს... ვფიქრობ, რომ მართალი გახლავთ მოსარჩელე!“ ამის გაგონებაზე, ცხადია, ორი თუ სამი მსაჯული განაცხადებს, ჩვენც ასე ვფიქრობთო. მერე კი, ჩემო ბატონო, საქმე თვალის დახამხამებაში დასრულდება; საკითხს ერთსულოვნად გადაწყვეტენ... ოჰ, უკვე ათის ათი წუთია, ბატონებო! - წამოიძახა პაწია კაცმა, საათს რომ დახედა, - დროა, გავუდგეთ გზას. ჩემო ძვირფასო სერ! როდესაც საქმე საქორწინო პირობების დარღვევას შეეხება, სასამართლოს დარბაზი ჩვეულებრივ გაჭედილია ხოლმე. სჯობს, ეტლი დავიქირაოთ, თორემ დაგვაგვიანდება.

ეტლში ყველანი ერთად მოთავსდნენ და პირდაპირ გილდჰოლისაკენ გასწიეს. სემ უელერი, მისტერ ლაუტენი და ლურჯი ტომარა კი კებით გაჰყვნენ ფეხდაფეხ.

- ლაუტენ, - თქვა მისტერ პერკერმა, როცა ყველანი სასამართლოს ვესტიბიულში შევიდნენ, - მისტერ პიკვიკის მეგობრები სტუდენტთა ლოჟაში დასვით, მისტერ პიკვიკი კი, სჯობს, ჩემთან დაჯდეს... აქეთ მობრძანდით, ჩემო ძვირფასო სერ, აი, აქეთ.

პაწია კაცი მისტერ პიკვიკს მკლავში სწვდა და დაბალი, გრძელი სკამისკენ წაიყვანა, რომელიც ზედ მეფის მოსამართლის მერხის წინ იყო გამართული. უნდა მოგახსენოთ, რომ ეს ადგილი მეტად მოხერხებულია. აქედან, იმისდა მიხედვით, თუ როგორი იქნება საქმის ვითარება, მას ადვილად შეუძლია ყურში

ჩასჩურჩულოს სიტყვით გამომსვლელ სარჯენტს საჭირო ცნობა. მაყურებელთა უმრავლესობა მას ვერ ხედავს, რადგან ეს ადგილი გაცილებით დაბლაა იმ სკამზე, სადაც ბარისტერები და მაყურებლები სხედან.

- უთუოდ ეს მოწმეთა ადგილებია, არა? - ჰკითხა თავის ვექილს მისტერ პიკვიკმა და ხელმარცხნივ კათედრისმაგვარ საგანზე მიუთითა, რომელსაც სპილენძის მოაჯირები ჰქონდა.

- დიახ, ჩემო ძვირფასო სერ, ეს ადგილი მოწმეებისთვისაა განკუთვნილი, - მიუგო მისტერ პერკერმა და ლურჯი ტომრიდან, რომელიც ლაუტენმა ფეხთით დაუდო, ქაღალდის სქელი თაბახი ამოაძრო.

- ეს კი, უთუოდ, მსაჯულებისთვისაა განკუთვნილი? - მისტერ პიკვიკმა ხელმარჯვნივ, მოაჯირის გადაღმა, ორ სკამზე მიუთითა.

- დიახ, სერ, - მიუგო მისტერ პერკერმა და სათუთუნეზე თითები აათამაშა.

აღელვებული მისტერ პიკვიკი წამოდგა და სასამართლოს დარბაზს თვალი მოავლო. გალერეაში მაყურებლებს მოეყარათ თავი; დაბლა, ბარისტერთა სკამებზე პარიკიანი თავები მოჩანდა; ერთი წყება ჯენტლმენებისა, დიდის ამბით დაატარებდა საქაღალდეებს, ჯენტლმენთა მეორე წყებას იღლიის ქვეშ უშველებელი დავთრები ამოეჩარა, ყუაზე გადაკრული ფართო წითელი წარწერით. ამ ყდას „სავექილო ყდას“ უწოდებდნენ. მესამე წყებას, რომელსაც არც საქაღალდეები ჰქონდა და არც დავთრები, ხელები ჯიბეში ჩაეწყო და ღრმააზროვანი გამომეტყველებით ხალხს მისჩერებოდა. დაბოლოს, მეოთხე წყება დარდიანი სახით, მოუსვენრად დაძრწოდა აქეთ-იქით, რასაც გამოუცდელ მაყურებლებში დიდი აღტაცება და გაოცება უნდა გამოეწვია. მისტერ პიკვიკი განაცვიფრა იმ ამბავმა, რომ მთელი ეს ხალხი

პატარ-პატარა ჯგუფებად შეკრებილი, ისე მშვიდად და არხეინად საუბრობდა მიმდინარე დღის ახალ ამბებზე, თითქოს ცოტა ხნის შემდეგ აქ სასამართლო პროცესი არ უნდა დაწყებულიყო.

მისტერ პიკვიკის ყურადღება უეცრად მისტერ ფანკიმ მიიპყრო, რომელიც დარბაზში შემოვიდა, დინჯად დაუკრა მას თავი და იმ სავარძელში ჩაბრძანდა, რომელიც მეფის ვექილისათვის იყო განკუთვნილი. ძლივს მოასწრო მისტერ პიკვიკმა საპასუხოდ თავის დაკვრა, რომ სარჯენტი სნაბინიც გამოჩნდა. მას ფეხდაფეხ მოჰყვა მისტერ მელარდი, რომელმაც სარჯენტს ვეებერთელა წითელი ტომარა დაუდო მაგიდაზე ისე, რომ უფროსი ნახევრად მიიმალა მის უკან. კლერკმა მისტერ პერკერს ხელი ჩამოართვა და გავიდა. სნაბინსა და მელარდს მოჰყვა კიდევ ორი თუ სამი სარჯენტი. მათ შორის გამოირჩეოდა ერთი სქელი, წითური მამაკაცი, რომელმაც სარჯენტ სნაბინს გულთბილად დაუკრა თავი და ხმამაღლა გამოაცხადა - დღეს საუცხოო დილააო.

- ის წითური მამაკაცი ვინაა, საუცხოო დილააო რომ თქვა და ჩვენს ვექილს დაუკრა თავი? - ჩასჩურჩულა მისტერ პიკვიკმა პერკერს.

- მისტერ სარჯენტი ბაზფაზი გახლავთ, - მიუგო პერკერმა, - ჩვენი მოწინააღმდეგეა, მოსარჩელეს იცავს. აგერ მის უკან რომ ჯენტლმენია, ეს მისტერ სკიმპინია, მისი მოადგილე.

მისტერ პიკვიკი აღშფოთდა. ნუთუ შეიძლება კაცი ასეთი გულცივი ვერაგი იყოს! ის იყო დააპირა კიდეც თქმა - როგორ გაბედა მისტერ სარჯენტმა ბაზფაზმა, რომელიც მოწინააღმდეგეს იცავს და როგორ უთხრა მისტერ სარჯენტ სნაბინს, რომელიც პიკვიკს იცავს, რომ დღეს საუცხოო დილააო, რომ უეცრად ყველა ბარისტერი ფეხზე წამოდგა და სასამართლოს ბოქაულებმა ხმამაღლა დაიძახეს: „სიჩუმეო!“ მისტერ პიკვიკი მოტ-

რიალდა და მიხვდა, რამ გამოიწვია ეს ჩოჩქოლი: შემობრძანდა მოსამართლე.

მოსამართლე სტეირლი (იგი ცვლიდა მთავარ მოსამართლეს, რომელიც პროცესს ვერ დაესწრო ავადმყოფობის გამო) ტანად ისეთი პატარა და თანაც ისეთი სქელი იყო, რომ გეგონებოდათ მხოლოდ მრგვალი სახისა და ჟილეტისაგან შედგებაო. იგი თავისი მოკლე, მოღრეცილი ფეხებით შემოგორდა დარბაზში. დიდის ამბით დაუკრა თავი ვექილებს, რომლებიც ასევე დიდი მოწიწებით მიესალმნენ მას. მოსამართლემ პაწია ფეხები მაგიდის ქვეშ დამალა და სამკუთხა ქუდი მაგიდაზე დადო. მოათავა თუ არა ზემოხსენებული პროცედურა, აღმოჩნდა, რომ მთელი მისი დიდებული პიროვნებისგან მაგიდის ზემოთ მოჩანდა მხოლოდ ორი პაწაწინა თვალი, ფართო ღაჟღაჟა სახე და უზარმაზარი პარიკი.

როგორც კი მოსამართლე თავის სავარძელში ჩაბრძანდა, სასამართლოს ბოქაულმა მბრძანებლური კილოთი დასჭექა: „სიჩუმე“. მას მოჰყვა გალერეაში მდგომი ბოქაულის ასეთივე შინაარსის წყრომით სავსე შეძახილი და კიდევ რამდენიმე შიკრიკმა ხმამაღლა თქვა: „გაჩუმდითო“. დასრულდა თუ არა ეს შეძახილ-გადმოძახილი, ერთ-ერთმა შავით შემოსილმა ჯენტლმენმა მსაჯულთა სახელების ამოკითხვა დაიწყო. სიის ამოკითხვის შედეგად აღმოჩნდა, რომ სახეზე იყო მხოლოდ ათი საგანგებო მსაჯული. მაშინ მისტერ სარჯენტ ბაზფაზმა მოითხოვა დამატებით კიდევ ორი უბრალო მსაჯულის შეყვანა. მიიღო თუ არა თანხმობა, იმწამსვე ამ მიზნით ერთი მემწვანილე და ერთი მეაფთიაქე დაასახელა.

- როცა თქვენს გვარებს წაიკითხავენ, ბატონებო, პასუხი გაეცით. ფიცი უნდა დადოთ, - განუმარტა მათ შავით მოსილმა ჯენტლმენმა. - რიჩარდ აპუიჩ!

- გახლავართ, - მიუგო მემწვანილემ.

- თომას გროფინი!

- გახლავართ, - მიუგო მეაფთიაქემ.

- აიღეთ სახარება, ბატონებო. თქვენ გევალებათ განსაჯოთ სამართლიანად და კეთილსინდისიერად...

- სასამართლოს წინაშე ბოდიშს ვიხდი, - სიტყვა შეაწყვეტინა შავოსანს მეაფთიაქემ, გამხდარ-გამხდარმა, ფერმკრთალმა მამაკაცმა, - მაგრამ იმედი მაქვს, რომ მოსამართლე გამათავისუფლებს დაკისრებული მოვალეობისგან.

- რა მიზეზით, სერ? - ჰკითხა მოსამართლე სტეირლიმ.

- გამოდის, რომ თანაშემწე არ მყავს? - დაიჩივლა მეაფთიაქემ.

- ვერაფერს გიშველით, სერ, - მიუგო მოსამართლემ, - უნდა დაგექირავებინათ თანაშემწე.

- მაგდენის საშუალება არ მქონდა, უფალო მოსამართლევ, - შეესიტყვა მეაფთიაქე.

- არ გქონდათ და უნდა გეშოვათ, სერ, - წარმოთქვა მოსამართლემ და ბრაზისგან სახეზე ალმური მოედო.

უნდა მოგახსენოთ, რომ მოსამართლე სტეირლი მეტად ფიცხი კაცი იყო და ვერ იტანდა, თუ ვინმე სიტყვას შეუბრუნებდა.

- განა მე არ ვიცი, რომ უნდა მეშოვა და ვიშოვიდი კიდეც, ჩემი საქმე უკუღმა რომ არ დატრიალებულიყო, უფალო მოსამართლევ, - მიუგო მეაფთიაქემ.

- ფიცი დაადებინეთ! - ბრძანა მოსამართლემ.

ვერ მოასწრო ბოქაულმა თქმა: „თქვენ გევალებათ განსაჯოთ სამართლიანად და კეთილსინდისიერად“, რომ მეაფთიაქემ კვლავ შეაწყვეტინა სიტყვა.

- მაინც უნდა დავდო ფიცი? - ჰკითხა მან მოსამართლეს.

- რა თქმა უნდა, სერ, - მიუგო ღვარძლიანად ამ უკანასკნელმა.

- თქვენი ნებაა, უფალო ჩემო, - მორჩილად განაცხადა მეაფთიაქემ, - მაგრამ იცოდეთ, რომ ვიდრე ეს სასამართლო ძიება დასრულდებოდეს, კაცი სიცოცხლეს გამოესალმება, მოკვდება. ეს არის და ეს. ახლა ფიცი დამადებინეთ, სერ.

მეაფთიაქეს ისე საჩქაროდ მიაღებინეს ფიცი, რომ მოსამართლემ ხმის ამოღებაც ვერ მოასწრო.

- მე მხოლოდ ის მინდოდა მეთქვა, ჩემო უფალო, - მშვიდად განაცხადა მეაფთიაქემ და თავის ადგილას დაჯდა, - რომ აფთიაქში მხოლოდ შიკრიკი ბიჭი დავტოვე. ჩინებული ბიჭია, მაგრამ წამლების არაფერი გაეგება. რამდენადაც ვიცი, მას ჰგონია, რომ მჟაუნას მჟავას ინგლისური მარილი ეწოდება, ხოლო ოპიუმის ნაყენს სინამაქის ფოთოლი.

თქვა ეს სიტყვები აყლაყუდა მეაფთიაქემ და მოხერხებულად მოკალათდა სკამზე.

მისტერ პიკვიკი შეძრწუნებული მიშტერებოდა მეაფთიაქეს. უეცრად დარბაზში რაღაც ჩოჩქოლი ატყდა: შემობრძანდა მისის ბერდლი მისის კლაპინზის თანხლებით და დარდით მისავათებული იმავე სკამის მეორე ბოლოში ჩამოჯდა, რომელზედაც მისტერ პიკვიკი იჯდა. ამის შემდეგ, მისტერ დოდსონმა მას უზარმაზარი ქოლგა გადასცა, ხოლო მისტერ ფოგმა - პატენების წყვილი; მათ მოჰყვა მისის სენტერზი, რომელსაც ახალგაზრდა ბერდლი მოჰყავდა. მოჰკრა თუ არა თვალი საკუთარ პირმშოს, მისის ბერდლი გამოცოცხლდა: თითქოს მხოლოდ ახლა მოვიდაო გონს. გიჟივით ჩაკოცნა ბავშვი და კვლავ ბურანში გაეხვია - მეზობელს ჰკითხა, გემუდარებით, მითხარით, სად ვარო... ამის გაგონებაზე მისის კლაპინზმა და მისის სენტერზმა პირი იბრუნეს მეგობრისგან და გულამოსკვნით აქვითინდნენ, მისტერ დოდსო-

ნი და მისტერ ფოგი კი შეეცადნენ, მოსარჩელე დაემშვიდებინათ. სარჯენტი ბაზფაზიც უშველებელი თეთრი ხელსახოცით იწმენდდა თვალებს და მსაჯულებს მუდარით შეჰყურებდა. თვით მოსამართლესაც აუჩუყდა გული და მაყურებლებსაც დაეტყოთ აღელვება.

- ღმერთს გეფიცებით, ჩინებულია! - ჩასჩურჩულა პერკერმა მისტერ პიკვიკს. - საუცხოო ბიჭები არიან ეგ დოდსონი და ფოგი, საუცხოო! ჩინებულია, ჩინებული, ნამდვილად დიდ შთაბეჭდილებას ახდენს!

ვიდრე პერკერი მისტერ პიკვიკს ელაპარაკებოდა, მისის ბერდლი თანდათანობით დამშვიდდა და მოსულიერდა. ამასობაში მისის კლაპინზმა დიდი ყურადღებით დაათვალიერა თითო ღილი და ღილ-კილო მისტერ ბერდლის ხალათზე და მერე „უბედური“ მშობლის წინ დააყენა. ყმაწვილს ფრიად ხელსაყრელი პოზიცია ეკავა. აქედან კარგად ხედავდნენ მას მოსამართლეცა და მსაჯულებიც, რათა გული სიბრალულით ავსებოდათ. მაგრამ ეს არც ისე იოლი აღმოჩნდა. ახალგაზრდა ჯენტლმენს უეცრად ცრემლები წასკდა და გაჭირვეულდა. საცოდავს შეეშინდა - ვაითუ, მოსამართლის წინ იმიტომ დამაყენეს, რომ მხოლოდ საჭირო წესი შეასრულონ და ორი წუთიც არ გავა, რომ საშინელი სასჯელის მოსახდელად ციხეში გამგზავნიან ან სამუდამოდ ოკეანის გადაღმა გადამკარგავენო.

- ბერდლი და პიკვიკი, - დაასახელა შავოსანმა საქმე, რომელიც სიის თავში ეწერა.

- მოსარჩელეს მე ვიცავ, უფალო ჩემო, - თქვა მისტერ სარჯენტ ბაზფაზმა.

- თქვენთან ერთად ვინ არის, კოლეგა ბაზფაზ? - შეეკითხა მოსამართლე.

მისტერ სკიმპინმა თავი დაუკრა მოსამართლეს ნიშნად იმისა, რომ მე გახლავართო.

- მე მოპასუხეს ვიცავ, უფალო ჩემო, - თქვა მისტერ სარჯენტმა სნაბინმა.

- თქვენთან ვინღაა, კოლეგა სნაბინ? - შეეკითხა მოსამართლე.

- მისტერ ფანკი, უფალო ჩემო, - მიუგო სარჯენტმა სნაბინმა.

- სარჯენტი ბაზფაზი და მისტერ სკიმპინი მოსარჩელის მხრივ, - ხმამაღლა გაიმეორა მოსამართლემ და სახელები დავთარში ჩაიწერა, - მოპასუხის მხრივ - სარჯენტი სნაბინი და მისტერ ბანკი.

- მაპატიეთ, უფალო ჩემო, ბანკი კი არა ფანკი, - შეჰბედა მისტერ ფანკიმ.

- კეთილი, - თქვა მოსამართლემ, - ჯერ არ მქონია ბედნიერება, გამეგონა ჯენტლმენის გვარი.

პასუხად მისტერ ფანკიმ თავი დაუკრა და გაუღიმა. მოსამართლემაც დაუკრა თავი და გაუღიმა. მისტერ ფანკი ჭარხალივით გაწითლდა და შეეცადა ისეთი გამომეტყველება მიეღო, თითქოს ვერც ამჩნევდა, რომ ყველა მას მისჩერებოდა.

- განაგრძეთ, - თქვა მოსამართლემ.

ბოქაულებმა დამსწრეთ კვლავ გადასძახეს, „გაჩუმდითო“ და მისტერ სკიმპინმა „საქმე გახსნა“. მაგრამ... გახსნეს თუ არა საქმე, აღმოჩნდა, რომ მოსახსენებელი არაფერი იყო.

მისტერ სკიმპინმა, ეტყობა, საინტერესო დეტალები თავისთვის შემოინახა და სამი წუთის შემდეგ კვლავ დაჯდა, ასე რომ, მსაჯულებმა მის ბრწყინვალე სიტყვას ვერც თავი გაუგეს და ვერც ბოლო.

შემდეგ წამოდგა სარჯენტი ბაზფაზი, ჭეშმარიტად აღსავსე იმ დარბაისლობითა და ღირსებით, რომელიც ესოდენ სერიოზულ

საქმეს შეეფერება. მან რაღაც წასჩურჩულა დოდსონს, მოკლედ გაესაუბრა ფოგს, წამოსასხამი მხრებზე მოიგდო, პარიკი გაისწორა და მსაჯულებს მიმართა.

სარჯენტმა ბაზფაზმა სიტყვა შემდეგი განცხადებით დაიწყო: - ჯერ არასოდეს, მთელი ჩემი პროფესიული მოღვაწეობის განმავლობაში, იმ წუთიდან, რა წუთიდანაც კანონების შესწავლასა და ვექილის საქმიანობას მოვკიდე ხელი, ჯერ არასოდეს საქმეს არ შევდგომივარ ისეთი მღელვარებით, როგორითაც დღეს, ჯერ არასოდეს მქონია ესოდენ მძიმე პასუხისმგებლობის გრძნობა, როგორც ამჟამად. დიდი, უდიდესი პასუხისმგებლობა დამაკისრეს, რომელსაც, მე ვიტყოდი, თავს ვერასოდეს ვიდებდი, ჩემს გულს რომ არ შთააგონებდეს და არ აღაფრთოვანებდეს რწმენა იმისა, რომ სამართლიანი საქმე, ან, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, საქმე, ჩემი სასტიკად შეურაცხყოფილი და დაჩაგრული კლიენტისა, ნამდვილად გულში ჩასწვდება ზნეობრივად წმინდა და ზედმიწევნით გონიერ თორმეტ მსაჯულს, რომლებიც ახლა ჩემ წინ, აი, ამ სკამზე სხედან!

უნდა მოგახსენოთ, მკითხველო, რომ ჩვეულებრივ ყველა ვექილი სიტყვას ამგვარად იწყებს, რადგან მსაჯულებთან ეს ხერხი კარგად ჭრის: ამდენი ქებით გახარებულნი კარგ გუნებაზე დგებიან ხოლმე და სულ იმას ფიქრობენ - რა ჭკვიანი ვყოფილვართო. ამჯერადაც, რაღა თქმა უნდა, შედეგმა უმალვე იჩინა თავი - მსაჯულთა უმრავლესობა დაუყოვნებლივ შეუდგა გრძელ-- გრძელი შენიშვნების ჩაწერას.

- ბატონებო, თქვენ უკვე მოგახსენათ ჩემმა დიდად განსწავლულმა კოლეგამ, - განაგრძო სარჯენტმა ბაზფაზმა, თუმცა თვითონაც საუცხოოდ იცოდა, რომ ვერც მსაჯულებმა და ვერც დამსწრე საზოგადოებამ, ზემოხსენებული დიდად განსწავლული პირის სიტყვას ვერც თავი გაუგო და ვერც ბოლო, - თქვენ უკვე მო-

გახსენათ, ბატონებო, ჩემმა დიდად განსწავლულმა კოლეგამ, რომ ეს საქმე საქორწინო პირობის დარღვევას ეხება, რომლის ზარალი ათას ხუთას გირვანქა სტერლინგადაა შეფასებული. მაგრამ... მაგრამ ის კი არ გაცნობათ ჩემმა დიდად განსწავლულმა კოლეგამ, მას ეს არც ევალებოდა, თუ რა მეტად საგულისხმო ფაქტები და გარემოებანი ახლავს თან ამ საქმეს. სწორედ ამ ფაქტებსა და გარემოებებს, ბატონებო, დაწვრილებით მოისმენთ ჩემგან. ამასვე დამიმოწმებენ მანდილოსნები, აი, ამ მოწმეთა ტრიბუნაზე რომ ბრძანდებიან, რომელთა სიტყვას ჩვენ შეგვიძლია სრულიად ვენდოთ - მათი პატიოსანი სახელი იმდენად წმინდა და უმწიკვლო გახლავთ.

მისტერ სარჯენტმა ბაზფაზმა ჭეშმარიტად შიშისმომგვრელი ხაზგასმით წარმოთქვა სიტყვა „ტრიბუნა“, მაგიდას მაგრად დაარტყა ხელი და დოდსონსა და ფოგს გადახედა, რომელთაც არ დააყოვნეს და იმწამსვე თავის დაქნევით ანიშნეს - დიდად აღტაცებული ვართ თქვენი მჭევრმეტყველებით და სამართლიანი წყრომით მოპასუხის მიმართო.

- მოსარჩელე, ბატონებო, - განაგრძო სარჯენტმა ბაზფაზმა ტკბილი, ჟღერადი კილოთი, - მოსარჩელე ქვრივი გახლავთ, ბატონებო. დიახ, ქვრივი! აწ გარდაცვლილმა მისტერ ბერდლმა, რომელმაც მრავალი წლის განმავლობაში ჩვენი მეფის ნდობა და პატივისცემა დაიმსახურა როგორც მისი უდიდებულესობის სამეფო შემოსავლის ერთგულმა მცველმა, ყველასთვის შეუმჩნევლად მიატოვა სააქაო, რათა იქ, საიქიოს, სამუდამო სასუფეველი მოეპოვებინა, ჰქონოდა ის საუკუნო, მყუდროება და სიმშვიდე, რომელსაც სააქაო, მოგეხსენებათ, ვერასოდეს აგრძნობინებს ადამიანს!

ისე გულისამაჩუყებელ ფერებში აუწერა სარჯენტმა ბაზფაზმა დამსწრეთ მისტერ ბერდლის სიკვდილი (იმ დალოცვილს ერთ-

ერთ სამიკიტნოში კვარტიანით გაუჩეხეს თავი), რომ თვითონვე აუკანკალდა ხმა. მან მღელვარებით განაგრძო:

- ცოტა ხნით ადრე, ვიდრე გარდაიცვლებოდა, მისტერ ბერდლმა ამ ქვეყანას დაუტოვა თავისი ზუსტი ანაბეჭდი და პირწავარდნილი მსგავსება პაწია ბიჭუნას სახით. და აი, ამ პაწია ბიჭუნათი ხელში, საბრალო მისის ბერდლი განუდგა კაცსა და ქვეყანას და გოსუელ-სტრიტის მყუდრო კუთხეს მიაშურა.

დიდი ხანი არ არის, რაც მანდილოსანმა სასტუმრო ოთახის ფანჯარაზე განცხადება გამოაკრა, ასეთი წარწერით: „ქირავდება ბინა ავეჯით მარტოხელა ჯენტლმენისათვის. პირობების შესახებ მოიკითხეთ სახლში“.

აქ სარჯენტი ბაზფაზი შეჩერდა და ზოგიერთმა მსაჯულმაც იმავე წამს უბის წიგნაკში ჩაინიშნა ეს ფაქტი, როგორც მნიშვნელოვანი დოკუმენტი საქმის წარმოებისას.

- დათარიღებულია თუ არა ეს საბუთი, სერ? - ჰკითხა სარჯენტს ერთ-ერთმა მსაჯულმა.

- არა, დათარიღებული არ გახლავთ, ბატონებო, - მიუგო სარჯენტმა ბაზფაზმა, - მაგრამ მე დამავალეს თქვენთვის გადმომეცა, რომ იგი გამოაკრეს სრული სამი წლის წინათ. ახლა მსაჯულებს ვთხოვ, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ იმას, თუ როგორაა შედგენილი ეს დოკუმენტი: „ბინა ავეჯით მარტოხელა ჯენტლმენისათვის“. უნდა მოგახსენოთ, რომ მისის ბერდლის წარმოდგენას მამაკაცებზე საფუძვლად ედო მხოლოდ განსვენებული მეუღლის ფასდაუდებელი თვისებების ხანგრძლივი ჭვრეტა. მას არც ეშინოდა მამაკაცის, არც უნდობლად იყო მათ მიმართ განწყობილი. არა, პატარა ეჭვსაც კი არ გაივლებდა გულში. პირიქით, რწმენით ცოცხლობდა და სჯეროდა ადამიანისა. „მისტერ ბერდლი - იტყოდა ხოლმე ქვრივი, - მისტერ ბერდლი პატიოსანი კაცი გახლდათ... მისტერ ბერდლი მუდამ თავისი

სიტყვის პატრონი იყო... მისტერ ბერდლი თავის დღეში მატყუარა არ ყოფილა... მისტერ ბერდლიც ხომ ოდესღაც უცოლო გახლდათ. სწორედ ასეთი კაცისგან მოველი ახლაც, რომ სადაც საჭიროა დამიცვას, დამეხმაროს, დამამშვიდოს და მანუგეშოს. უცოლო ჯენტლმენი მუდამ მისტერ ბერდლს მომაგონებს, იმ მისტერ ბერდლს, რომელმაც პირველად დაიპყრო ჩემი ნორჩი, გამოუცდელი გული. ამიტომ გადავწყვიტე - ბინას მხოლოდ და მხოლოდ მარტოხელა ჯენტლმენს მივაქირავებო". ამ დიდად სათნო და კეთილშობილი სურვილით გატაცებულმა (სურვილი, რომელიც ჭეშმარიტად სასიქადულოა ადამიანის ნაკლით სავსე ბუნებისათვის), მარტოხელა, დარდიანმა ქვრივმა თვალზე ცრემლი შეიშრო, ავეჯით გააწყო მეორე სართულის ბინა, გულში ჩაიკრა თავისი ნორჩი პირმშო და ფანჯარაში ზემოაღნიშნული განცხადება გამოაკრა. მერედა, როგორ გგონიათ, დიდხანს იყო უქმად ეს განცხადება? ო, არა! მგელი ფხიზლად დარაჯობდა ბატკანს! პატრუქი შეამზადეს, ნაღმიც ჩადეს, ერთი სიტყვით, მესანგრე და მენაღმე ამოქმედდნენ. სამი დღეც არ გასულა ბატონებო, სამი დღეც, რომ ვიღაც ორფეხა არსებამ, რომელიც შესახედავად ადამიანს ჰგავდა და არა ურჩხულს, მისის ბერდლის კარს მიუკაკუნა. პირობები მოიკითხა, ბინა დაიქირავა და მეორე დღესვე გადმოსახლდა. ეს კაცი, ბატონებო, პიკვიკი გახლდათ, პიკვიკი - მოპასუხე.

სარჯენტი ბაზფაზი, რომელიც აქამდე სულმოუთქმელად ლაპარაკობდა და სახე მთლად გაუწითლდა, ახლა შეჩერდა და ამოისუნთქა. მოულოდნელმა სიჩუმემ ბატონი მოსამართლე სტეირლი გამოაღვიძა. მან იმავე წამს რაღაც ჩაინიშნა ფურცელზე კალმით, რომელზეც წვეთი მელანი არ იყო და სახეზე განსაკუთრებით ღრმააზროვანი იერი გადაიკრა, უთუოდ იმი-

სათვის, რომ მსაჯულები დაერწმუნებინა - თვალდახუჭული ბევრად უკეთ ვაზროვნებო.

სარჯენტმა ბაზფაზმა განაგრძო:

- ამ კაცის, პიკვიკის, შესახებ ძალიან ცოტას მოგახსენებთ: ეს თემა არცთუ ისე მიმზიდველი გახლავთ. მაგრამ, ბატონებო, არც მე გახლავართ პირადად ისეთი კაცი და არც თქვენ მეგულებით ისეთ ადამიანებად, რომელნიც აღმაშფოთებელმა უგულობამ და ხანგრძლივმა ვერაგობამ დაგატკბოთ და აღტაცებაში მოგიყვანოთ.

ამ სიტყვის გაგონებაზე მისტერ პიკვიკი, რომელიც ერთხანს მოუსვენრად ცქმუტავდა თავის სკამზე, ერთბაშად შეხტა, თავში უეცრად გიჟურმა აზრმა გაუელვა - შიგ ყელში ვეცემი მაგ სარჯენტ ბაზფაზს თვით უფალი მოსამართლისა და კანონის მცველთა თანდასწრებითო! მაგრამ მისტერ პერკერმა ხელით შეაჩერა - დამშვიდდითო და მისტერ პიკვიკმაც კვლავ ყური მიუგდო დიდად განსწავლული სარჯენტის სიტყვას. მისი ბოღმით სავსე სახე საოცარ კონტრასტს ქმნიდა მისის კლაპინზისა და მისის სენტერზის აღტაცებულ სახეებთან შედარებით.

- მოგახსენებთ „ხანგრძლივი ვერაგობა“-მეთქი, ბატონებო, - განაგრძო სარჯენტმა ბაზფაზმა და თვალით განგმირა მისტერ პიკვიკი, - როდესაც მე ვამბობ „ხანგრძლივი ვერაგობა“-მეთქი, ნება მიბოძეთ, მოვახსენოთ მოპასუხე პიკვიკს, თუ იგი ამჟამად აქ ბრძანდება - და როგორც გადმომცეს ახლა აქ უნდა იყოს, ამ დარბაზში, - რომ გაცილებით უკეთ, უფრო წესიერად და უფრო გონივრულად მოიქცეოდა, დღეს რომ აქ სულაც არ გამოჩენილიყო. ნება მომეცით, ისიც მოვახსენო, ბატონებო, რომ ყოველი ჟესტი, ყოველი სიტყვა, რომელიც კი მას დასცდება აქ, ამ სასამართლოს დარბაზში, ნიშნად იმისა, რომ იგი ან არ ეთანხმება, ან არ იწონებს ჩვენს ნათქვამს, არავითარ გავლენას არ მოახ-

დენს თქვენზე, ბატონებო. თქვენ საუცხოოდ იცით - მოსაწონია მისი საქციელი თუ არა. ახლა, ნება მომეცით, კიდევ ისიც მოვახსენო, და ამას თვით მისი აღმატებულება, ბატონი მოსამართლეც დამიმოწმებს, რომ ვექილი, რომელიც კლიენტის წინაშე თავის მოვალეობას იხდის, არ შეიძლება არც დააშინო და არც სიტყვა შეაწყვეტინო, რომ ყოველივე ცდა იმისა, ჩაიდინო ერთი ან მეორე, პირველი ან უკანასკნელი, ასევე ბრალად დაედება დამნაშავეს, ვინც უნდა იყოს იგი - მოსარჩელე თუ მოპასუხე, და რაც უნდა ერქვას მას - პიკვიკი, ბრაუნი თუ ტომსონი.

ამ პატარა გადახვევამ მთავარი თემიდან, რა თქმა უნდა, სასურველი შედეგი გამოიღო - ყველამ უმალვე თვალი მიაპყრო მისტერ პიკვიკს. ამასობაში სარჯენტმა ბაზფაზმა, რომელიც სიტყვის წარმოთქმისას აღმაფრენას განიცდიდა, ცოტა სული მოითქვა და კვლავ განაგრძო:

- მე თქვენ დაგიმტკიცებთ, ბატონებო, რომ ეს ბატონი მთელი ორი წლის განმავლობაში მისის ბრედლის სახლში ცხოვრობდა ფეხმოუცვლელად. იმასაც დაგიმტკიცებთ, რომ მთელი ამ ხნის განმავლობაში დიასახლისი ერთგულად ემსახურებოდა თავის მდგმურს, მუდამ ზრუნავდა, რომ მას არაფერი დაჰკლებოდა, უმზადებდა კერძებს, რეცხავდა და უმზეურებდა ტანსაცმელს, რომ ჩასაცმელად ვარგისი ყოფილიყო. ერთი სიტყვით, მდგმური სავსებით ენდობოდა ქალს. მე დაგიმტკიცებთ, ბატონებო, რომ მას, ე.ი. მდგმურს, არაერთხელ უჩუქნია ნახევარი პენსი და ხანდახან ექვსი პენსიც მისის ბერდლის პაწია ბიჭისათვის. იმასაც დაგიმტკიცებთ, ისეთი მოწმის წყალობით, რომლის ჩვენებას ჩემი დიდად განსწავლული კოლეგა ვერც უარყოფს და ვერც გააბიაბრუებს, რომ ერთხელ მან თავზედაც გადაუსვა ბავშვს ხელი და ჰკითხა: „ამ ბოლო ხანებში რომელი მოიგე, „რჩეული“ თუ „ჩვეულებრივი“ ბურთებიო“? (რამდენადაც ვიცი, პირველიცა და

მეორეც ნიშნავს საგანგებოდ შერჩეულ ქვებს, რომლის თამაში ჩვენს ყმაწვილებს ძალიან უყვართ). მერე, იქვე შემდეგი ყურადსაღები სიტყვები დასძინა: „რას იტყოდი, სხვა მამა რომ გყავდეს?“ იმასაც დაგიმტკიცებთ, ბატონო მსაჯულებო, რომ დაახლოებით ერთი წლის წინათ, უეცრად პიკვიკს უცნაური რამ დასჩემდა: ხშირად მიდიოდა სახლიდან საკმაოდ ხანგრძლივი დროით, ეტყობა, იმ განზრახვით, რომ თანდათანობით თავის სახლის პატრონს ჩამოშორებოდა; მაგრამ, ბატონებო, ახლავე იმასაც დაგიმტკიცებთ, რომ იმ დროს მისი ეს გადაწყვეტილება ჯერ კიდევ მტკიცე არ გახლდათ, ან ვინ იცის, იქნებ მის გულში მაშინ სიკეთე სძლევდა უკეთურობას (თუ ასეთი კეთილი გრძნობა ოდესმე მაინც გააჩნდა, რა თქმა უნდა). ან შესაძლოა, ჩემი კლიენტის მომხიბვლელობა, მისი ძვირფასი ღირსებები ერთხანს აოკებდა ვაჟკაცისათვის ჭეშმარიტად შეუფერებელ განზრახვას... იმიტომ, რომ (და ამასაც დაგიმტკიცებთ), ერთ-ერთი მორიგი მოგზაურობიდან დაბრუნებისას, მან, პიკვიკმა, პირდაპირ შესთავაზა ქალს, ყოველგვარი წესისა და რიგის დაცვით, ცოლად გამომყევიო, მაგრამ, ისიც უნდა ითქვას, რომ თვითონვე ყოველივე იღონა, რომ ესოდენ მნიშვნელოვანი შეთანხმების დროს არც ერთი მოწმე არ დასწრებოდა... მე შემიძლია დაგიმტკიცოთ, მისივე მეგობრების ჩვენებათა საფუძველზე (თუმცა სამივეს თითქმის ძალით გამოვგლიჯე ეს ჩვენება), რომ ხსენებულ დილას სამივემ სწორედ იმ დროს შეუსწრო პიკვიკს, როდესაც იგი გულში ჩახუტებულ, უჩვეულო წინადადებით აღელვებულ მოსარჩელეს ნაზი, ალერსიანი სიტყვებით ამშვიდებდა.

განსწავლული სარჯენტის ამ სიტყვამ აშკარად დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მსმენელებზე. მან ჩაახველა, ჯიბიდან ქაღალდის ორი ნაგლეჯი ამოიღო და განაგრძო:

- კიდევ ერთსაც მოგახსენებთ, ბატონებო: აგერ ორი წერილი, რომელიც, როგორც დადასტურდა, თვით მოპასუხის ხელითაა დაწერილი და რომელიც უნდა მოგახსენოთ, თავისი მნიშვნელობით მთელ ტომებს უდრის. ამ წერილებს საბოლოოდ სააშკარაოზე გამოაქვთ ამ ვაჟბატონის ხასიათი. ნუ გგონიათ, რომ ეს წერილები მხურვალე, გულწრფელი უსტარებია, რომლებშიც მხოლოდ ნაზი სიყვარული იგრძნობოდეს. პირიქით, ესენი გახლავთ ცბიერებით გამსჭვალული, ეშმაკურად შედგენილი ბარათები, გადაკრული სიტყვებით აღსავსე. მაგრამ, ჩვენდა საბედნიეროდ, სწორედ ასეთი უსტარები უფრო მეტის მთქმელია, ვიდრე თითოეული მგზნებარე სიყვარულით აღსავსე და ზედმიწევნით პოეტური ენით დაწერილი... ეს ისეთი წერილები გახლავთ, რომელსაც მუდამ ფრთხილად და ეჭვის თვალით უნდა შეხედოს კაცმა: მოპასუხემ ისინი საგანგებოდ შეადგინა, რათა თვალი აეხვია და მოეტყუებინა გარეშე პირი, ვინიცობაა, თუ ასეთს ჩაუვარდებოდა ხელში... ნება მიბოძეთ, ჯერ პირველი წაგიკითხოთ: „გაროუეისთან“, თორმეტ საათზე. ძვირფასო მისის ბ., დაბეგვილი კატლეტები პომიდვრის წვენით, თქვენი პიკვიკი“. გესმით, ბატონებო? დაბეგვილი კატლეტები! ღმერთო დიდებულო! ნუთუ ამ გულჩვილი და გულუბრყვილო მანდილოსნის ბედნიერება ესოდენ წვრილმანმა ეშმაკობამ უნდა გააწბილოს?.. მეორე წერილი არ არის დათარიღებული, რაც თავისთავად უკვე ეჭვს იწვევს. „ძვირფასო მისის ბ., სახლში მხოლოდ ხვალ ჩამოვალ. ნელა ვმგზავრობთ“. ამას მოჰყვება შემდეგი ღირსშესანიშნავი შენიშვნა: „სათბურაზე ნუღარ შეწუხდებით“. სათბურა! აბა, მიბრძანეთ, ბატონებო, სათბურაზე ვინ შეიწუხებს თავს? სად გაგონილა, რომ ქალისა ან მამაკაცის სულიერი სიმშვიდე სათბურას დაერღვიოს, სათბურას, რომელიც, მე ვიტყოდი, სრულიად უწყინარი, სასარგებლო და მეტად მოხერხებული საგანია ჩვენს

ყოველდღიურ ცხოვრებაში. მითხარით ერთი, რა საჭირო იყო მისის ბერდლის ამდენი ხვეწნა-მუდარა - თავი არ შეიწუხოთ სათბურას შესახებო, თუ რომ ეს სიტყვა „სათბურა“ გადაკვრით არ გამოხატავდეს (და, ჭეშმარიტად, ეჭვიც არ გვეპარება, რომ ის გამოხატავს კიდეც) გულში დაფარულ ცეცხლს. იგი ნახმარია როგორც შემცვლელი სხვა, უფრო ალერსიანი სიტყვისა თუ დაპირებისა, თანახმად წინასწარ მოფიქრებული მიწერ-მოწერის სისტემისა, რომლებიც ესოდენ ეშმაკურად შეადგინა თვით პიკვიკმა (უდავოა, რომ თავში მუდამ უტრიალებდა ის აზრი, რომ ერთ მშვენიერ დღეს მიატოვებდა ქალს!), ამ სისტემისა, რომელსაც მეც კი ვერ გავუგე თავი და ბოლო! ახლა მიბრძანეთ, ეს გადაკვრით ნათქვამი „ნელა ვმგზავრობთო“ რაღას ნიშნავს?.. რამდენადაც მესმის, ეს თვით მისტერ პიკვიკს შეეხება: იგი მართლაც, ნელა მიიწევს ამ საქმეში, მაგრამ, ეჭვი არ მეპარება, მალე, სულ მალე საგრძნობლად უმატებს სიჩქარეს, როდესაც თქვენ, ბატონებო, ბორბლებს მაგრად დაუზეთავთ!

ამ ადგილას მისტერ სარჯენტი ბაზფაზი საგანგებოდ შეჩერდა, რომ შეემოწმებინა - გაეღიმათ მსაჯულებს მის ხუმრობაზე თუ არა, მაგრამ, საუბედუროდ, ხუმრობას ვერც ერთი მიუხვდა, მემწვანილეს თუ არ ჩათვლით, რომელიც უთუოდ იმიტომ მიხვდა, რომ სწორედ იმ დილით დაუზეთა ბორბლები თავის ურიკას. ამიტომ დიდად განსწავლულმა სარჯენტმა კვლავ სევდიან კილოს მიმართა:

- ბატონებო, - განაგრძო მან, - ვფიქრობ, ამის შესახებ უკვე საკმაოდ მოგახსენეთ, მეტად მძიმეა, იღიმებოდე მაშინ, როდესაც გული გიკვდება, ჭეშმარიტად ბოროტებაა ხუმრობდე მაშინ, როდესაც გული თანაგრძნობით გევსება საბრალო არსებისადმი. როგორც ხედავთ, ამ არსების იმედი, ბედნიერი მომავლის რწმენა საბოლოოდ ჩაიფერფლა და, სიტყვაკაზმულობად ნუ ჩა-

მითვლით, თუ პირდაპირ ვიტყვი, რომ მისი ბედი ახლა ბეწვზე ჰკიდია... ქალმა განცხადება ჩამოხსნა, მდგმური აღარ ჰყავს. ვინ იცის რამდენი უცოლო ჯენტლმენი ჩაუვლის ხოლმე ახლაც მის სახლს, მაგრამ მათ აღარავინ მიიწვევს შინ. მთელ სახლში სამარისებური სიჩუმე სუფევს. ბავშვის ხმაც კი აღარ ისმის. ბიჭუნამ სულ მიატოვა თამაში, აღარ ცელქობს. მიავიწყდა „რჩეული“ და „ჩვეულებრივი“ ბურთების თამაში. აღარ თამაშობს აღარც „ჩილიკა ჯოხს“ და აღარც „ლუწსა თუ კენტს“. მაგრამ პიკვიკი, ბატონებო, გულქვა, უწყალო პიკვიკი, ოჯახური ოაზისის დამანგრეველი გოსუელ-სტრიტის უდაბნოსა შინა, პიკვიკი, რომელმაც ჩაახშო ანკარა წყარო და წაბილწა ხასხასა მდელო, პიკვიკი, რომელიც თქვენ წინაშე წარდგება თავისი უხამსი პომიდვრის წვენითა და სათბურათი... აი, ეს პიკვიკი კვლავ თავხედურად ბედავს თავაწეული შეჰყურებდეს მის მიერ დანგრეულ კერას ისე, რომ ერთი კვნესაც არ აღმოხდება მის ვერაგ გულს. ზარალის ანაზღაურება, ბატონებო, ზარალის მნიშვნელოვანი ანაზღაურება გახლავთ ის ერთადერთი სასჯელი, რომლის ღირსია იგი. ეს გახლავთ ერთადერთი კომპენსაცია, რომელიც დაამშვიდებს ჩემს კლიენტს. ამიტომ მოგმართავთ ჩემი კლიენტი თქვენ თხოვნით ზარალის ანაზღაურების შესახებ, თქვენ, დიდად განსწავლულ, ზედმიწევნით კეთილსინდისიერ, მიუკერძოებელ და სამართლიან მსაჯულთ საკრებულოს.

დაასრულა თუ არა ეს ბრწყინვალე ტირადა, მისტერ სარჯენტი ბაზფაზი სავარძელში მიესვენა, მოსამართლე სტეირლი კვლავ გამოფხიზლდა.

ერთი წუთიც არ გასულა, რომ სარჯენტი ბაზფაზი კვლავ ფეხზე წამოიჭრა და ენერგიულად შესძახა:

- შემოიყვანეთ ელისაბედ კლაპინზი!

ახლომდგომმა შიკრიკმა დაიძახა „ელისაბედ ტაპინზი“. ცოტა უფრო მოშორებით მდგომმა მოითხოვა „ელისაბედ ჯაპკინზი“, მესამე კი გულამოვარდნილი გავარდა კინგ-სტრიტზე და იმდენ ხანს გაჰკიოდა „ელისაბედ მაფინზიო“, ვიდრე ხმა სულ არ ჩაეხრინწა.

ამასობაში მისის კლაპინზმა მისის ბერდლის, მისის სენტერზისა, მისტერ დოდსონისა და მისტერ ფოგის შეერთებული ძალის წყალობით მოწმის ადგილი დაიკავა. თან, ყოველი შემთხვევისათვის, ცალ ხელში ცხვირსახოცი მოიმარჯვა, ხოლო მეორეში კი საყნოსავი მარილით სავსე ნახევარლიტრიანი ბოთლი. მისის სენტერზი, რომელიც მის გვერდით ჩამოჯდა უზამაზარი ქოლგით შეიარაღებული, მოსამართლეს არ აშორებდა თვალს; მარჯვენა ხელის ცერი ქოლგის ზამბარაზე დაეჭირა, თითქოს ელოდა, რა წამსაც მოსამართლე მანიშნებს, იმწამსვე გავშლი ამ იარაღს და შეტევაზე გადავალო.

- მისის კლაპინზ, - მიმართა მას სარჯენტმა ბაზფაზმა, - გთხოვთ დამშვიდდეთ, ქალბატონო.

რაღა თქმა უნდა, როგორც კი მისის კლაპინზს უთხრეს დამშვიდდიო, იგი უფრო მწარედ აქვითინდა და გულის წასვლის შემაშფოთებელმა ნიშნებმაც იჩინა თავი, რაც, როგორც შემდგომ თვითონვე განაცხადა, მოზღვავებული გრძნობების ბრალი იყო.

- გახსოვთ თუ არა, მისის კლაპინზ, - წარმოთქვა სარჯენტმა ბაზფაზმა რამდენიმე უმნიშვნელო შეკითხვის შემდეგ, - გახსოვთ თუ არა, მისის კლაპინზ, გასულ წელს, ივლისის ერთ დილას, მისის ბერდლის სახლში რომ ბრძანდებოდით, უკანა ოთახში, მეორე სართულზე, როდესაც მისის ბერდლი პიკვიკის ბინას ალაგებდა?

- დიახ, მახსოვს, ბატონო მოსამართლევ და მსაჯულებო, - მიუგო მისის კლაპინზმა.

- მგონი მისტერ პიკვიკის სასტუმრო ოთახიც, ქუჩას რომ გადაჰყურებს, მეორე სართულზეა?

- დიახ, ბატონო, - მიუგო მისის კლაპინზმა.

- უკანა ოთახში რას აკეთებდით? - ჰკითხა მოსამართლემ.

- უფალო მოსამართლევ და მსაჯულებო, - დაიწყო მისის კლაპინზმა აღელვებით, - არ დაგიმალავთ, პირდაპირ გეტყვით.

- კარგსაც იზამთ, ქალბატონო, - გაამხნევა მოსამართლემ.

- იმ ოთახში ისე შევედი, რომ მისის ბერდლმა არაფერი იცოდა, - განაგრძო მისის კლაპინზმა. - იმ დილას, ბატონებო, სახლიდან პატარა კალათით გამოვედი, მინდოდა მოგრძო წითელი კარტოფილი რომაა, აი, ის მეყიდა სამი გირვანქა - სულ ორ-ნახევარი პენსი ჯდება. ჰოდა, რომ გამოვედი, დავინახე, რომ მისის ბერდლის სადარბაზო კარი ჩაურაზავია.

- ჩაურაზავი? - იკითხა მოსამართლე.

- ე. ი. დაკეტილი არაა, - განუმარტა სარჯენტმა სნაბინმა.

- ამან თქვა „ჩაურაზავიაო“, - დიდმნიშვნელოვნად წარმოთქვა პაწია მოსამართლემ.

- ეგ ერთსა და იმავეს ნიშნავს, ბატონო მოსამართლევ, - მიუგო სარჯენტმა სნაბინმა.

მოსამართლემ უნდობლად გადახედა სარჯენტს და თქვა ამას საგანგებოდ ჩავინიშნავო. მისის კლაპინზმა განაგრძო:

- გზაზე მისის ბერდლს შევუარე. ბატონებო, მინდოდა მომეკითხა, როგორ ხარ-მეთქი. ანაზდად კიბეზე ავედი და უკანა ოთახში შევედი. უეცრად ხმები შემომესმა, რომელიც წინა ოთახიდან გამოდიოდა და...

- და თქვენც ყური მიუგდეთ არა, მისის კლაპინზ? - იკითხა სარჯენტმა ბაზფაზმა.

- ბოდიში, სერ, აბა, ამისთანა რამეს როგორ ვიკადრებდი? - ამაყად მიუგო მისის კლაპინზმა, - ძალიან ხმამაღლა ლაპარაკობდნენ და მათი საუბარი ყურში უნებლიეთ ჩამწვდა.

- მესმის, მესმის, მისის კლაპინზ, თქვენ კი არ მიგიყურადებიათ, მაგრამ უნებლიეთ გაიგონეთ საუბარი. ერთ-ერთი ხმა ხომ მისტერ პიკვიკისა გახლდათ?

- დიახ, ბატონო.

მისის კლაპინზმა, სარჯენტისა და მსაჯულების შეკითხვების დახმარებით, დაწვრილებით გააცნო მათ იმ საუბრის შინაარსი, რომელსაც ჩვენი მკითხველი უკვე იცნობს.

მსაჯულებმა იმწამსვე ყურები ცქვიტეს, მისტერ ბაზფაზს კი ულვაშებში გაეღიმა და დაჯდა. ხოლო როდესაც სარჯენტმა სნაბინმა განაცხადა - მოწმისადმი შეკითხვები არა მაქვს, რადგან მისტერ პიკვიკმა დამიდასტურა, რომ ჩვენება ძირითადად სწორიაო, მსაჯულებს ისეთი წყრომა დაეტყოთ სახეზე, ტანში გაგაჟრჟოლებდათ.

ამასობაში მისის კლაპინზმა, აქაოდა, ერთხელ გავტეხე ყინულიო, ხელსაყრელი შემთხვევა გამოიყენა და საკრებულოს თავისი ოჯახური საქმეების ვითარებაც გააცნო. მან განაცხადა, ამჟამად რვა შვილის დედა გახლავართ და იმედი მაქვს, ზუსტად ექვსი თვის შემდეგ დღეის ჩათვლით, მეცხრესაც ვაჩუქებ ჩემს ძვირფას მისტერ კლაპინზსო.

სამწუხაროდ, სწორედ ამ საინტერესო ამბის გაგონებისას პაწია მოსამართლე რატომღაც სასტიკად გაანჩხლდა და ქალს სიტყვა შეაწყვეტინა, რის შედეგადაც ორივე, თვით მოწმეცა და მისის სენტერზიც მისტერ ჯეკსონის თანხლებით უსიტყვოდ გააბრძანეს სასამართლო დარბაზიდან.

- ნათანიელ უინკლი! - გამოაცხადა მისტერ სკიმპინმა.

- აქ გახლავართ! - გაისმა პასუხად მიკნავებული ხმა.

მისტერ უინკლმა მოწმის ადგილი დაიკავა, მიღებული წესის მიხედვით მისცა ფიცი და მოწიწებით დაუკრა თავი მოსამართლეს.

- მე რას მომაჩერდით, სერ? - უხეშად გადმოსძახა მოსამართლემ პასუხის ნაცვლად. - მსაჯულებს შეხედეთ.

მისტერ უინკლი უხმოდ დაემორჩილა ბრძანებას და იმ მხარეს გაიხედა, სადაც მსაჯულები ეგულებოდა, რადგან ისე ღელავდა, რომ არაფრის დანახვის უნარი აღარ გააჩნდა.

მისტერ უინკლი მისტერ სკიმპინმა დაჰკითხა. სკიმპინი, ორმოცდაოთხი თუ ორმოცდასამი წლის კაცი, კანონის მცველთა საკრებულოში ჯერ კიდევ ახალგაზრდა, იმედისმომცემ ვექილად ითვლებოდა. ამიტომ, ადვილი გასაგებია, რომ იგი ახლაც შეეცადა თავგზა აებნია მოწმისთვის, რომელიც აშკარად მოწინააღმდეგეს უჭერდა მხარს.

- სერ, - მიმართა უინკლს მისტერ სკიმპინმა, - კეთილი ინებეთ და მის აღმატებულებას, ბატონ მოსამართლესა და მსაჯულებს მოახსენეთ თქვენი გვარი.

მისტერ სკიმპინმა თავი საგანგებოდ გვერდზე გადახარა, რომ დიდი გულისყურით მოესმინა პასუხი; თან მსაჯულებს გადახედა, თითქოს წინდაწინ აფრთხილებდა - მისტერ უინკლი ისეა მიჩვეული ცრუმოწმეობას, რომ ახლაც ნუ გაიკვირვებთ, თუ საკუთარი გვარის ნაცვლად სხვა დაგისახელოთო.

- უინკლი, - მიუგო მოწმემ.

- სახელი რა გქვიათ, სერ? - გაბრაზებით ჰკითხა პაწია მოსამართლემ.

- ნათანიელ, ბატონო.

- დანიელ, მეორე სახელიც გაქვთ?

- ნათანიელ, სერ... ბოდიში, ბატონო მოსამართლევ.

- ნათანიელ-დანიელ თუ დანიელ-ნათანიელ?

- არა, ბატონო მოსამართლევ, მხოლოდ ნათანიელი მქვია; დანიელი არ მქვია.

- მაშ, რატომ თქვით, დანიელიო?

- ეგ არ მითქვამს, ბატონო მოსამართლევ, - მიუგო მისტერ უინკლმა.

- თქვით, სერ, - განაცხადა მოსამართლემ და მრისხანედ შეკრა წარბები, - თუ ასე არაა, საიდან ჩავინიშნავდი აგერ აქ „დანიელს“, თქვენ თვითონვე რომ არ გეთქვათ, სერ?

ამ საბუთს, რაღა თქმა უნდა, წყალი არ გაუვიდოდა და მოწმეც დადუმდა.

- მისტერ უინკლს ეტყობა, მეხსიერება ღალატობს, - ჩაერია საუბარში მისტერ სკიმპინი და კვლავ მსაჯულებს გადახედა მეტყველად, - არა უშავს, გამოვნახავთ საშუალებას, რომ მისი მეხსიერება გამოვაცოცხლოთ... ვიდრე მოვრჩებით მასთან საქმეს.

- გირჩევთ, ფრთხილად იყოთ, - შენიშნა მოსამართლემ და მოწმეს პირქუშად გადახედა.

საცოდავმა უინკლმა მოსამართლეს მორჩილად დაუკრა თავი და შეეცადა, რაც შეიძლება თავისუფლად, ბუნებრივად მოქცეულიყო, მაგრამ შეშინებული, იმ ქურდბაცაცას უფრო წააგავდა, რომელსაც ქურდობაზე წაასწრეს.

- აბა, მისტერ უინკლ, - მიმართა მას მისტერ სკიმპინმა, - დამიგდეთ ყური, სერ. თქვენივე ინტერესებიდან გამომდინარე, ნება მიბოძეთ, გირჩიოთ მისი აღმატებულების, ბატონი მოსამართლის გაფრთხილება კარგად ჩაიბეჭდოთ თავში. რამდენადაც ვიცი, თქვენ, მისტერ პიკვიკის, მოპასუხის, უახლოესი მეგობარი ბრძანდებით?

- მე ვიცნობ მისტერ პიკვიკს, თუ არ ვცდები, თითქმის...

- გთხოვთ სიტყვას ბანზე ნუ აგდებთ, ხართ თუ არა მოპასუხის უახლოესი მეგობარი?

- იმის თქმას ვაპირებდი, რომ...

- მიპასუხებთ თუ არა კითხვაზე, სერ?

- კითხვაზე პასუხს თუ არ გასცემთ, სერ, დაგაპატიმრებთ, - ჩაერია პაწია მოსამართლე და უბის წიგნაკს წუთით თვალი მოაცილა.

- აბა, მიპასუხეთ, სერ, - დაიწყო კვლავ მისტერ სკიმპინმა, - ჰო თუ არა, სერ?

- დიახ, ვარ, - მიუგო მისტერ უინკლმა.

- დიახ, დიახ, ასეა. მერედა რატომ პირდაპირ არ მოგვახსენეთ, სერ? იქნებ მოსარჩელესაც იცნობთ, მისტერ უინკლ?

- არა, არ ვიცნობ, თუმცა მინახავს...

- ოჰ, არ იცნობთ, მაგრამ გინახავთ, არა?.. ახლა კეთილი ინებეთ და მსაჯულებს მოახსენეთ - რის თქმა გინდათ ამით, მისტერ უინკლ?

- იმის, სერ, რომ ახლოს არ ვიცნობ; ისე კი მინახავს, როდესაც მისტერ პიკვიკს ვესტუმრებოდი გოსუელ-სტრიტზე.

- რამდენჯერ გინახავთ, სერ?

- რამდენჯერ?

- დიახ, მისტერ უინკლ, რამდენჯერ? თუ ვერ გაიგეთ, შეკითხვას თუნდაც ასჯერ გაგიმეორებთ, - აქ დიდად განსწავლულმა ჯენტლმენმა მრისხანედ შეიკრა წარბი, დოინჯი შემოირტყა და მსაჯულებს ორაზროვნად გადახედა.

ამ კითხვის ირგვლივ დიდად ჭკუისსასწავლებელი კამათი გაიმართა, რომელიც ჩვეულებრივ ასეთ შეკითხვებს მოსდევს ხოლმე. ჯერ მისტერ უინკლმა განაცხადა - არაფრით მაგონდება, რამდენჯერ მინახავს მისის ბერდლიო. შემდეგ მას ჰკითხეს - ოცჯერ მაინც თუ გინახავთო? „რა თქმა უნდა, უფრო მეტჯერაცო“, უპასუხა მისტერ უინკლმა. მერე კვლავ ჰკითხეს - ასჯერ თუ გინახავთო, ან იქნებ ორმოცდაათჯერ მაინცო. ან დაგვიფიცე, რომ

სამოცდათხუთმეტის მეტად არ გინახავს და სხვა ამგვარი. ბოლოს საკრებულო იმ ფრიად სასარგებლო დასკვნამდე მივიდა, რომ ურჩია, ჯერ კარგად დაფიქრდი, რას ლაპარაკობ და ისე გაგვეცი პასუხიო.

როდესაც ამგვარი რჩევა-დარიგებით მოწმე გააოგნეს, დაკითხვა შემდეგნაირად წარიმართა:

- გთხოვთ გაიხსენოთ, მისტერ უინკლ, ხსენებულ დილას გასული წლის ივლისში, ეწვიეთ თუ არა მისტერ პიკვიკს ბინაზე, მოსარჩელის სახლში, გოსუელ-სტრიტზე?

- დიახ, ვეწვიე.

- თან გახლდათ თუ არა იმ დღეს თქვენი მეგობარი, გვარად ტაპმენი და მეორე მეგობარი, გვარად სნოდგრასი?

- დიახ, ბატონო.

- ამჟამად აქ არიან თუ არა?

- დიახ, აქ არიან, - მიუგო მისტერ უინკლმა და გულდასმით დააცქერდა იმ ადგილს, სადაც მეგობრები ეგულებოდა.

- გთხოვთ, ყური დამიგდოთ, მისტერ უინკლ. რას მიაჩერდით მაგ თქვენს მეგობრებს? - შენიშნა მისტერ სკიმპინმა და მსაჯულებს მეტყველად გადახედა, - მოგეხსენებათ, ჩვენება მათ ისე უნდა ჩამოვართვათ, რომ თქვენ საგანგებოდ არ შეგითანხმდნენ, რა თქმა უნდა, თუკი სამივემ წინასწარ არ შეკარით პირი, - აქაც მისტერ სკიმპინმა კვლავ მსაჯულებს გადახედა, - ახლა, სერ, მოახსენეთ მსაჯულებს, რა ნახეთ ხსენებულ დილას მოპასუხის ოთახში რომ შებრძანდით... ხმა ამოიღეთ, სერ, ხომ იცით, ადრე თუ გვიან მაინც აგალაპარაკებთ.

- მოპასუხეს... გულში ჩაეკრა მოსარჩელე... უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, მკლავებით შემოხვეოდა მანდილოსნის წელს, - მიუგო მისტერ უინკლმა ყოყმანით, რომლის მიზეზს უთუოდ ადვილად მიხვდება მკითხველი.

- გაიგონეთ, რას ეუბნებოდა ქალს მოპასუხე?

- მე გავიგონე, როგორ უწოდა მან მისის ბერდლს „ძვირფასო“. ისიც გავიგონე, როგორ ეხვეწებოდა, დამშვიდდითო, თორემ ვინ იცის, ახლა ვინმე რომ შემოვიდეს, რას იფიქრებსო - რაღაც ამგვარს ეუბნებოდა.

- ერთი შეკითხვა კიდევ, მისტერ უინკლ. გთხოვთ, გახსოვდეთ ბატონი მოსამართლის გაფრთხილება. განა დაიფიცებთ, რომ პიკვიკმა, მოპასუხემ, იმ დროს ასე არა თქვა: „ჩემო ძვირფასო მისის ბერდლ, უნდა შეეჩვიოთ ამ მდგომარეობას, რადგან მალე სწორედ ეს გელით“. რაიმე ამგვარი არ უთქვამს განა?

- მე... მე... ასე არ გამიგონია მისი ნათქვამი, - წაილუღლუღა მისტერ უინკლმა. საცოდავი მოწმე აშკარად გაოგნებული დარჩა ესოდენ მოხერხებული განმარტება რომ მოისმინა იმ სიტყვებისა, რომლებიც მას კიბეზე მოესმა, - იმ დროს კიბეზე გახლდით და შესაძლებელია, გარკვევით ვერ გავიგე... შთაბეჭდილება კი ისეთი დარჩა, რომ...

- მისტერ უინკლ, აბა, რაში გამოადგება თქვენი შთაბეჭდილებანი ბატონ მსაჯულთ? განა შეიძლება პატიოსანი კაცი შთაბეჭდილებებს ენდოს? - სიტყვა შეაწყვეტინა მისტერ სკიმპინმა, - თქვენ ბრძანებთ, რომ იმ დროს კიბეზე იყავით და კარგად ვერ გაარკვიეთ ნათქვამი. კეთილი და პატიოსანი, მაგრამ იმას ხომ ვერ უარყოფთ, რომ მისტერ პიკვიკს ასეთი გამოთქმისთვის არ მიუმართავს. ასეა თუ არა?

- დიახ, ასეა, - მიუგო მისტერ უინკლმა და მისტერ სკიმპინი თავმომწონედ გაიჭიმა სავარძელში.

როგორც ხედავთ, მკითხველო, საქმე მისტერ პიკვიკის სავალალოდ წარიმართა. ცხადი იყო, რომ სულ მცირეოდენი საბაბი მოწინააღმდეგეს ახალ ეჭვს აღუძრავდა და მდგომარეობას გაამწვავებდა. საჭირო იყო ფაქტები ისე დაელაგებინათ, რომ ეს

მოპასუხისათვის სასარგებლო ყოფილიყო და ამიტომ მისტერ ფანკი წამოდგა. მას სურდა ჯვარედინი დაკითხვით მისტერ უინკლისათვის ეთქმევინებინა ისეთი რამ, რაც ვითარებას საგრძნობლად გამოაკეთებდა.

როგორ მოახერხა ეს, ახლავე ნახავთ.

- მისტერ უინკლ, - მიმართა მან მოწმეს, - ვფიქრობ, მისტერ პიკვიკი არც ისე ახალგაზრდა უნდა იყოს?

- ო, რა თქმა უნდა, - უპასუხა მისტერ უინკლმა, - წლოვანების მიხედვით მამად მერგება.

- თქვენ ბრძანეთ, რომ მისტერ პიკვიკს დიდი ხანია იცნობთ, - განაგრძო მისტერ ფანკიმ, - გქონიათ თუ არა ოდესმე რაიმე საბაბი იმისა, რომ გეფიქრათ, მოპასუხე პიკვიკი ცოლის შერთვას აპირებსო?

- ო, არა, რა თქმა უნდა, არა, - მიუგო მისტერ უინკლმა ისე მხურვალედ, რომ მისტერ ფანკს, წესით, დაკითხვა უნდა შეეწყვიტა და უხეირო მოწმე თავის ადგილას დაესვა, რადგან კანონის დამცველნი ირწმუნებიან, რომ არსებობს მოწმეთა ორი, ყველაზე უსიამოვნო სახეობა: უნდილი და ზედმეტად თავგამოდებული მოწმე. მისტერ უინკლს ბედმა არგუნა ორივე სახით მოვლენოდა დამსწრე საზოგადოებას.

- ესეც მიბრძანეთ, მისტერ უინკლ, - განაგრძო მისტერ ფანკიმ კმაყოფილი სახით, - თუ შეგინიშნავთ, განსაკუთრებით ამ ბოლო წლებში, მის დამოკიდებულებაში ქალთა მიმართ ისეთი რამ, რამაც გაფიქრებინათ, რომ მან ცოლის შერთვა დააპირა?

- ო, არა, სერ, გეფიცებით, რომ არა! - მიუგო მისტერ უინკლმა.

- ეპყრობა თუ არა ქალებს იგი ისე, როგორც შეჰფერის კაცს, რომელმაც უკვე ხანდაზმულ ასაკს მიაღწია, სრულიად კმაყოფი-

ლია თავისი საქმიანობით და გასართობებით და ქალთა სქესს მხოლოდ მამაშვილური თვალით უყურებს?

- ამაში ეჭვი არავის ეპარება, - მხურვალედ მიუგო მისტერ უინკლმა. - ე. ი... დიახ... დიახ. რა თქმა უნდა!

- არასოდეს შეგიმჩნევიათ მისის ბერდლის, ანდა სხვა მანდილოსნის მიმართ, საეჭვო, ორაზროვნად ნათქვამი სიტყვა ან ქცევა? - წარმოთქვა მისტერ ფანკიმ და დასაჯდომად მოემზადა, რადგან სარჯენტმა სნაბინმა თვალით ანიშნა კმარაო.

- არა... არაფერი, - მიუგო მისტერ უინკლმა. - გარდა... ერთი უმნიშვნელო შემთხვევისა, რომელიც დარწმუნებული ვარ, არსებითი არ არის საქმის მსვლელობისათვის.

მისტერ ფანკი იმწამსვე რომ დამჯდარიყო, რაწამს სარჯენტმა სნაბინმა თვალით ანიშნა, ანდა სარჯენტ ბაზფაზს დროზე რომ შეეწყვიტა ჯვარედინი დაკითხვა, მოწმეს ეს უადგილო აღიარება არ დასცდებოდა. თუმცა აშკარაა, სარჯენტმა თავი განზრახ შეიკავა, როდესაც შეამჩნია, რომ მისტერ უინკლი საშინლად აღელდა. მან მშვენივრად იცოდა, რომ ეს გარემოება მას, ბაზფაზს, ზიანის ნაცვლად სიკეთეს მოუტანდა.

რაწამს წარმოთქვა მისტერ უინკლმა ხსენებული წინადადება, მისტერ ფანკი სკამზე დაეშვა, სარჯენტმა სნაბინმა კი მოწმეს საჩქაროდ უბრძანა, ადგილი გაათავისუფლეო. ის იყო გახარებულმა უინკლმა დააპირა, ბრძანება შეესრულებინა, რომ სარჯენტმა ბაზფაზმა შეაჩერა.

- მოიცადეთ, მოიცადეთ, მისტერ უინკლ! - თქვა მან, - ბატონი მოსამართლე ხომ არ ინებებს, ჰკითხოს მოწმეს: ნეტავ, რა საეჭვო შემთხვევა აქვს მას მხედველობაში, როდესაც ქალს ისე არ მოექცა, როგორც ეს მისი ასაკის ჯენტლმენს შეეფერებოდა? როგორც თვითონ ბრძანა, ასაკით მისტერ პიკვიკი მამად ერგება თვით მოწმესაც.

- ხომ გესმით, რასაც ამბობს დიდად განსწავლული დამცველი, სერ, - მიუბრუნდა გაწამებულ მოწმეს მოსამართლე, - კეთილი ინებეთ და ახლავე მოგვახსენეთ ის საეჭვო შემთხვევა.

ღელვისაგან მისტერ უინკლი თავით ფეხამდე აცახცახდა.

- ბატონო... ბატონო მოსამართლევ, - წაილუღლუღა მან, - მე... მირჩევნია თავი შევიკავო.

- იქნებ მართლაც გერჩივნოთ, მაგრამ მაინც უნდა ბრძანოთ, - მიუგო მოსამართლემ.

სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. მაშინ მისტერ უინკლი ენის ბორძიკით მოუყვა დამსწრე საზოგადოებას ამბავს, თუ ერთხელ შუაღამისას როგორ მოხვდა მისტერ პიკვიკი შემთხვევით ერთ-ერთი მანდილოსნის საწოლ ოთახში; ეს ამბავი, რამდენადაც მას ახსოვს, იმით დამთავრდა, რომ ხსენებულ მანდილოსანს ნიშნობა ჩაეშალა, პიკვიკელები კი მთელი შემადგენლობით ძალით მიჰგვარეს ჯორჯ ნაპკინზს, ესკვაირს, იპსუიჩის ქალაქისთავსა და მთავარ მოსამართლეს.

- შეგიძლიათ მიბრძანდეთ, სერ, - წარმოთქვა სარჯენტმა სნაბინმა.

მისტერ უინკლი იმწამსვე ციებცხელებიანივით გავარდა დარბაზიდან და გაეშურა სასტუმრო „ჯორჯი და ფასკუნჯისაკენ“, სადაც მხოლოდ რამდენიმე საათის შემდეგ იპოვა იგი ლაქიამ: საცოდავს თავი ტახტის ბალიშებში ჩაერგო და ყრუდ კვნესოდა.

ტრესი ტაპმენი და ოგასტეს სნოდგრასიც დაჰკითხეს. ორივემ დაადასტურა თავიანთი მეგობრის ნათქვამი და ორივე ჯვარედინი დაკითხვით დამცველებმა ისე გაამწარეს, რომ კინაღამ ჭკუაზე შეშალეს.

შემდეგ სიუზენ სენტერზი გამოიძახეს. ქალი ჯერ სარჯენტმა ბაზფაზმა დაჰკითხა, მერე სარჯენტმა სნაბინმა. მანდილოსანმა პირდაპირ განაცხადა, ეჭვიც არ მეპარებოდა, რომ მისტერ პიკ-

ვიკი მისის ბერდლს შეირთავდაო. ისიც ვიცი, რომ ივლისის გულყრის შემდეგ მისის ბერდლისა და მისტერ პიკვიკის ნიშნობაზე მთელი მეზობლები ალაპარაკდნენო. თვითონ ეს ამბავი მოწმემ გაიგო მისის მადბერისა და მისის ბანკინისაგან, რომლებიც სარეცხს რეცხავენ და ახამებენ. ამჟამად დარბაზში ვერც ერთს ვხედავ და ვერც მეორესო. ისიც ჩემი ყურით გავიგონეო, დასძინა ქალმა, მისტერ პიკვიკი როგორ ეკითხებოდა პატარა ბიჭს - გინდა, მეორე მამა გყავდესო? დაბეჯითებით ვერ გეტყვით - მეგობრობდა თუ არა მისის ბერდლი მეფუნთუშესთან, მაგრამ ის კი დანამდვილებით ვიცი, რომ იმ დროს მეფუნთუშე უცოლო იყო, ამჟამად კი ცოლიანიაო. თავს ვერც იმაზე დავდებ, რომ მისის ბერდლი გულგრილად იყო განწყობილი ხსენებული მეფუნთუშისადმი, მაგრამ მგონი თვით მეფუნთუშე მაინცდამაინც თავს არ იკლავდა მისის ბერდლისათვის, თორემ სხვას აღარ შეირთავდაო. ვფიქრობ, ხსენებულ დილას მისის ბერდლს იმიტომ წაუვიდა გული, რომ მისტერ პიკვიკმა პირდაპირ განუცხადა, ქორწილის დღე დანიშნეთო; კარგად მახსოვს, როგორ მომეკვეთა მუხლები და მკვდარივით დავეცი იატაკზე, როდესაც მისტერ სენტერზმა მთხოვა, ქორწილის დღე დავნიშნოთო. ისიც ღრმად მწამს, რომ ყოველი ჭეშმარიტი მანდილოსანი ასეთ შემთხვევაში სხვანაირად ვერც მოიქცევა. ბოლოს ისიც ჩემი ყურით მოვისმინე, მისტერ პიკვიკმა ბიჭს რომ ჰკითხა - ბურთაობა თუ იციო, მაგრამ, გეფიცებით, წარმოდგენა არა მაქვს, რა განსხვავებაა „ჩვეულებრივსა“ და „რჩეულ“ ბურთებს შორისო.

მოსამართლის მორიგ შეკითხვაზე მოწმემ შემდეგი თქვა: მისტერ სენტერზი გაიცნო თუ არა, იღებდა მისგან წერილებს ისევე, როგორც სხვა ქალები იღებენ ხოლმე თავიანთი შეყვარებულებისგან. ამ წერილებში მისტერ სენტერზი ხშირად უწოდებდა მას „ჩემო კვატუნიაო“, მაგრამ არასოდეს უკადრებია არც

„დაბეგვილი კატლეტი“, ანდა „პომიდვრის წვენი“. იქნებ იმიტომაც, რომ მისტერ სენტერზი იხვებზე ირეოდა. ვინ იცის, მას რომ ისევე ჰყვარებოდა კატლეტი ან პომიდვრის წვენი, იქნებ საალერსოდ იმათაც გამოიყენებდაო, თქვა ქალმა.

ამის შემდეგ წამოდგა სარჯენტი ბაზფაზი, უფრო მეტად გაბღენძილი იერით და ხმამაღლა განაცხადა:

- გამოუძახეთ სემუელ უელერს.

სემუელ უელერს გამოძახება არ დასჭირდა. რაწამს გაისმა მისი სახელი, თვალის დახამხამებაში მოწმის ადგილას გაჩნდა, ქუდი იატაკზე დადო, იდაყვებით მოაჯირს დაეყრდნო და იმ სიმაღლიდან ჯერ დარბაზს მოავლო თვალი, მერე კი, ვითომც აქ არაფერიო, მხიარულად გადახედა მსაჯულებს.

- თქვენი სახელი, სერ? - ჰკითხა მოსამართლემ.

- სემ უელერი, ჩემო ბატონო, - მიუგო ხსენებულმა ჯენტლმენმა.

- თქვენი სახელი „ვ“-თი იწერება თუ „უ“-თი?

- ეს თვით დამწერის გემოვნებაზეა დამოკიდებული, ბატონო მოსამართლევ, - მიუგო სემმა, - სულ ორჯერ მქონია ბედნიერება საკუთარი სახელი მომეწერა და მაშინაც „ვ“-თი დავწერე.

ამ დროს ქანდარიდან გაისმა ხმა:

- სწორია, სემველ, სწორი. „ვ“ დაწერეთ, ბატონო მოსამართლე, ნამდვილად „ვ“ უნდა.

- ეს ვინ გაბედა და მოსამართლეს ასე უტიფრად ვინ მომართა? - წამოიძახა პაწია მოსამართლემ. - შიკრიკო!

- გისმენთ, ბატონო.

- ეგ კაცი ახლავე აქ მომგვარეთ.

- მესმის, ბატონო.

სამწუხაროდ, შიკრიკმა ვერც აღნიშნული კაცი იპოვა და, ბუნებრივია, ვერც მოსამართლეს მოჰგვარა იგი. ყველამ დამნაშა-

ვეს დაუწყო ძებნა და სასამართლო დარბაზში ერთი აურზაური ატყდა, რომელმაც კარგა ხანს გასტანა.

როდესაც მოსამართლე ოდნავ დამშვიდდა, თვით მოწმეს მიმართა შემდეგი სიტყვებით.

- იცით თუ არა, ვინ იყო ის კაცი, სერ?

- მგონი, მამაჩემი უნდა ყოფილიყო, ბატონო მოსამართლევ, - მიუგო სემმა.

- ახლა აქ არის?

- არა, ვერ ვხედავ, ბატონო მოსამართლევ, - მიუგო სემმა და მინით გადახურულ დარბაზის ჭერს მიაშტერდა.

- რომ გვჩვენებოდა, უმალვე დავაპატიმრებდი, - განაცხადა მოსამართლემ.

მადლობის ნიშნად სემმა თავი მდაბლად დაუკრა.

- ამრიგად მისტერ უელერ... - დაიწყო სარჯენტმა ბაზფაზმა.

- ამრიგად სერ? - ბანი მიცა სემმა.

- ვგონებ, თქვენ ემსახურებით მისტერ პიკვიკს, ამჯერად მოპასუხეს... გთხოვთ გარკვევით ილაპარაკოთ, მისტერ უელერ.

- ასეც ვაპირებ, სერ, - მიუგო სემმა, - აღნიშნულ ჯენტლმენთან ვმსახურობ და უნდა მოგახსენოთ, რომ ეს სამსახური ძალიანაც მომწონს.

- უთუოდ სამუშაო ცოტაა, გამოსარჩენი კი ბევრი? - გაეხუმრა სარჯენტი ბაზფაზი.

- ო, მყოფნის, სერ, როგორც ერთმა ჯარისკაცმა განაცხადა, როდესაც სასჯელად სამას ორმოცდაათი როზგი დაუნიშნეს, - მიუგო სემმა.

- ჩვენ სულაც არ გვაინტერესებს, რა განაცხადა ვიღაც ჯარისკაცმა ან სხვა კაცმა, - ჩაერია საუბარში მოსამართლე, - ეს საქმეს არ ეხება.

- ძალიან კარგი, ბატონო მოსამართლე, - მიუგო სემმა.

- თუ გაგონდებათ, მისტერ უელერ, მოხდა თუ არა რაიმე ღირსშესანიშნავი სწორედ იმ დილას, როდესაც მოპასუხესთან შეუდექით სამსახურს? - ჰკითხა სარჯენტმა ბაზფაზმა.

- როგორ არა, მაგონდება, სერ, - მიუგო სემმა.

- კეთილი ინებეთ და მსაჯულთა საკრებულოს მოახსენეთ, რაც მოხდა.

- იმ დილას ახალი ტანსაცმელი მაჩუქეს, ბატონო მსაჯულებო, - თქვა სემმა, - იმხანად კი ჩემს ცხოვრებაში ეს ამბავი ფრიად ღირსშესანიშნავი და მნიშვნელოვანი მოვლენა გახლდათ.

დარბაზში სიცილი ატყდა. მოსამართლეს სახე აელეწა. მოწმეს გაბრაზებით გადახედა ზემოდან და მუქარით წარმოთქვა:

- გირჩევთ, ფრთხილად იყოთ, სერ.

- ზუსტად ასევე მითხრა მაშინ მისტერ პიკვიკმაც, ბატონო მოსამართლევ, - მიუგო სემმა, - მეც თვალისჩინივით ვუფრთხილდებოდი ამ ტანსაცმელს, ბატონო მოსამართლე.

მთელი ორი წუთის განმავლობაში მოსამართლე მისჩერებოდა მოწმეს, მაგრამ სემს სახეზე ისეთი მშვიდი და გულუბრყვილო გამომეტყველება გადაჰკვროდა, რომ მან აღარაფერი თქვა და მხოლოდ ხელით ანიშნა სარჯენტ ბაზფაზს - განაგრძეთო.

- იმის თქმას ხომ არ აპირებთ, მისტერ უელერ, - დაიწყო კვლავ სარჯენტმა ბაზფაზმა, ხელები გულზე დაიკრიფა და ნახევრად მსაჯულებისკენ მიიბრუნა პირი, თითქოს იმის თქმა უნდოდა, ნუ გეშინიათ, ამასაც მალე მოვიყვან ჭკუაზეო, - იმის თქმას ხომ არ აპირებთ, ვითომ თვალით არ გინახავთ როგორ ეწვა მკლავებზე მოპასუხეს გულშემოყრილი მოსარჩელე. თქვენამდე სხვა მოწმეებმა ბევრი ილაპარაკეს ამის შესახებ.

- რა თქმა უნდა, არ მინახავს, - მიუგო სემმა, - იმ დროს დერეფანში გახლდით. მაღლა რომ დამიძახეს, ხნიერი მანდილოსანი იქ აღარ იყო.

- კი მაგრამ, ყური დამიგდეთ, მისტერ უელერ, - მიმართა მას სარჯენტმა ბაზფაზმა და ვეებერთელა კალმისტარი მის წინ მდებარე სამელნეში ჩააწო, ვითომდა პასუხის ჩასაწერად, ეტყობა, სემი უნდოდა დაეშინებინა, - თქვენ ბრძანეთ, რომ იმ დროს იქვე დერეფანში იყავით და ვერაფერი დაინახეთ? თვალები გაქვთ თუ არა, მისტერ უელერ?

- მაქვს როგორ არ მაქვს, ერთის ნაცვლად, ორი, - მიუგო სემმა, - მათ ნაცვლად ორი მიკროსკოპის მინა რომ მქონოდა, რომელიც ორ მილიონჯერ ადიდებს გამოსახულებას, იქნებ დამენახა კიდეც კიბის თავზე, ფიჭვის სქელ კარს შიგნით რაც ხდებოდა... მაგრამ რას ვიზამ... მეც, როგორც ყველა სულიერს, ორი ჩვეულებრივი თვალი მაქვს, სერ, რომელთაც, მოგეხსენებათ, ბევრის დანახვა არ ძალუძთ.

ამის გაგონებაზე მაყურებლებში ხითხითი გაისმა, თუმცა სემმა პასუხი სრულიად მშვიდად და გულუბრყვილოდ წარმოთქვა. პაწია მოსამართლესაც გაეღიმა. მხოლოდ სარჯენტი ბაზფაზი იდგა უბრად, გაწბილებული. ბრაზისგან სული რომ მოითქვა, მცირე ხანს დოდსონსა და ფოგთან გამართა თათბირი და მერე კვლავ სემს მიუბრუნდა.

- ნება მიბოძეთ, მისტერ უელერ, - განაგრძო მან, - კიდევ ერთი შეკითხვა დაგისვათ... ეს უკვე სხვა ამბავს ეხება.

- ბრძანეთ, სერ, - კეთილი ღიმილით მიუგო სემმა.

- გახსოვთ თუ არა გასული წლის ნოემბრის საღამოს მისის ბერდლთან რომ მიხვედით?

- დიახ, სერ, კარგად მახსოვს.

- ო, ეს კარგად გახსოვთ, - სარჯენტ ბაზფაზს ცოტა გული მოეცა, - ეჭვი არ მეპარებოდა, რომ ბოლოს მაინც მოვრიგდებოდით.

- მეც ასე მგონია, ბატონო, - მიუგო სემმა.

მაყურებლებში კვლავ ხითხითი გაისმა.

- მაშ, ასე. ჩემი აზრით, თქვენ იქ იმიტომ მიხვედით, რომ ამ საქმის წარმოების შესახებ მოგელაპარაკათ. ხომ ასეა, მისტერ უელერ? - შეეკითხა სარჯენტი ბაზფაზი და მსაჯულებს მრავალმნიშვნელოვნად გადახედა.

- მე მივედი იმიტომ, რომ ბინის ქირა გადამეხადა, მაგრამ ამ საქმეზედაც ვისაუბრეთ, - მიუგო სემმა.

- მაშ, ამ საქმეზე ისაუბრეთ! კეთილი და პატიოსანი, - წამოიძახა გახარებულმა სარჯენტმა. ახლა სახე სიამით უბრწყინავდა, უთუოდ იმის მოლოდინში, რომ სადაცაა მოწმეს სააშკარაოზე გამოიყვანდა, - ინებებთ და, საკრებულოს მოახსენებთ, საქმეზე რა ილაპარაკეთ, მისტერ უელერ?

- დიდი სიამოვნებით, სერ, - მიუგო სემმა, - აი, იმ ორმა კეთილმა მანდილოსანმა, რომლებიც დღეს აქ დაჰკითხეს, ჯერ თითო-ოროლა სიტყვა თქვეს, რაღაც უმნიშვნელო, მერე კი დიდი აღტაცებით შენიშნეს, თუ რა კეთილშობილნი არიან მისტერ დოდსონი და მისტერ ფოგიო - აი, ის ორი ჯენტლმენი, თქვენ გვერდით რომ სხედან.

ამ სიტყვების გაგონებაზე, რა თქმა უნდა, ყველამ დოდსონსა და ფოგს მიაპყრო თვალი. ისინიც შეეცადნენ, რაც შეიძლებოდა სათნო გამომეტყველება მიეღოთ, რომ დამსწრეთა გული მოეგოთ.

- ესე იგი, მანდილოსნებმა დიდად შეაქეს მისტერ დოდსონისა და მისტერ ფოგის ღირსეული საქციელი, მისტერ უელერ?

- დიახ, სერ, - მიუგო სემმა, - მათ თქვეს, რა დიდსულოვანი არიან ორივე, რომ ესოდენ სახიფათო საქმე იდვეს თავს. და რომ არც ერთ კაპიკს არ აიღებს გაწეული სამსახურისათვის, თუ მისტერ პიკვიკს ვერაფერი დასცინცლეს.

ამ მოულოდნელ პასუხზე მაყურებლებში კვლავ სიცილ--ხარხარი ატყდა. მისტერ დოდსონი და მისტერ ფოგი კი ჭარხალივით გაწითლდნენ, სარჯენტ ბაზფაზს მიუბრუნდნენ და ყურში რაღაც ჩასჩურჩულეს.

- მართალი ბრძანდებით, - ხმამაღლა გასცა პასუხი მათ სარჯენტმა, - ჩლუნგი ტვინი აქვს და არაფერი ეშველება, ბატონო მოსამართლევ. აღარ მსურს სასამართლოს თავი მოვაბეზრო ამ მოწმის დაკითხვით. ჩაბრძანდით, სერ.

- იქნებ სხვა ჯენტლმენს სურს რაიმე მკითხოს? - იკითხა სემმა, ქუდი ხელში დაიჭირა და დარბაზს მშვიდად მოავლო თვალი.

- მე არ დამჭირდებით, მისტერ უელერ, გმადლობთ, - წარმოთქვა სარჯენტმა სნაბინმა სიცილით.

- შეგიძლიათ წაბრძანდეთ, სერ, - მიმართა სემს სარჯენტმა ბაზფაზმა.

სემიც წაბრძანდა. გულში უხაროდა, რომ მისმა ჩვენებამ ბატონ დოდსონსა და ბატონ ფოგს იმდენად მიაყენა ზიანი, რამდენადაც კი შესაძლებელი იყო ამ პირობებში წესრიგის დაურღვევლად, არც მისტერ პიკვიკის შესახებ დასცდენია რაიმე საძრახისი. სემსაც ეს უნდოდა.

- მე არ უარვყოფ, ბატონო მოსამართლევ, - დაიწყო სარჯენტმა სნაბინმა, - თუკი ეს თავიდან აგვაცილებს სხვა მოწმეთა დაკითხვას, მე არ უარვყოფ იმ ფაქტს, რომ მისტერ პიკვიკმა კარგა ხანია სამსახურს დაანება თავი და ახლა კარგა მოზრდილი ქონების პატრონი გახლავთ.

- ჩინებულია, - შენიშნა სარჯენტმა ბაზფაზმა და მისტერ პიკვიკის ორივე წერილი საქმეში ჩადო, - სათქმელი მეტი არაფერი მაქვს, ბატონო მოსამართლევ.

ამის შემდეგ სარჯენტმა სნაბინმა ილაპარაკა მოპასუხის დასაცავად. უნდა მოგახსენოთ, მკითხველო, რომ ამჯერად დიდმა

ვექილმა მეტად გრძელი და მჭევრმეტყველური სიტყვა წარმოთქვა, რომელშიც დიდი ქება-დიდება შეასხა მისტერ პიკვიკის კეთილშობილ ხასიათსა და სათნო ქცევას, მაგრამ ვინაიდან ჩვენი მკითხველები საკმაოდ კარგად იცნობენ მისტერ პიკვიკის ბრწყინვალე პიროვნებას, ზედმეტად მიგვაჩნია დაწვრილებით გადმოვცეთ ყოველივე, რაც ამ დიდად განსწავლულმა ჯენტლმენმა ილაპარაკა. იგი შეეცადა მსაჯულებისათვის დაემტკიცებინა, რომ სასამართლოში წარდგენილი ბარათები ეხებოდა მხოლოდ და მხოლოდ მორიგ სადილს. ან ბინის მომზადებას მისტერ პიკვიკის რომელიმე შორეული ექსპედიციიდან დაბრუნების გამო. ჭეშმარიტად, თავი არ დაზოგა სარჯენტმა სნაბინმა, ყოველივე იღონა მისტერ პიკვიკის გასამართლებლად, მაგრამ, მოგეხსენებათ, ძველისძველი ჭეშმარიტება - იმაზე მეტს რას გააკეთებ, რისი გაკეთებაც არ შეგიძლია.

საბოლოო სიტყვა მოსამართლე სტეირლიმ წარმოთქვა, კანონით დადგენილი მრავალჯერ ნაცადი ყალიბის მიხედვით. მსაჯულებს მან წარუდგინა იმდენი შენიშვნა, რამდენის გაშიფვრაც მოასწრო ამ მოკლე ხანში, საქმის წარმოების დროს; გზადაგზა მოწმეთა ჩვენებების შესახებაც გამოთქვა აზრი. ბოლოს დასძინა, რომ თუ მისის ბერდლი მართალია, ცხადია, მისტერ პიკვიკი იქნება დამნაშავეო; თუ მსაჯულები თვლიან, რომ მისის კლაპინზის ჩვენება დამაჯერებელია, უთუოდ დაუჯერებენ კიდეც მას. და თუ ამ ჩვენებას ისინი არ ჩათვლიან ჭეშმარიტად, ხომ არც დაუჯერებენო. მოსამართლემ ისიც ბრძანა, თუ მსაჯულებს ეჭვი არ ეპარებათ, რომ მოპასუხემ ქორწინების პირობა დაარღვია, მაშინ უთუოდ საქმეს მოსარჩელის სასარგებლოდ გადაწყვეტენ და მოპასუხეს აანაზღაურებინებენ გაწეულ ხარჯებს; მეორე მხრივ, თუ მოპასუხეს ქორწინების პირობა არ დაუდვია,

საქმე უთუოდ მის სასარგებლოდ გადაწყდება და მას ხარჯებსაც არ აანაზღაურებინებენო.

მსაჯულები მოსათათბირებლად მეორე ოთახში გაბრძანდნენ, მოსამართლე კი თავისი პირადი სავანისკენ გაემართა, რომ ცხვრის კატლეტითა და ერთი ჭიქა ხერესით შენაყრებულიყო.

გავიდა საათის მეოთხედი. ყველანი დაძაბული ელოდებოდნენ მსაჯულების გამოჩენას. როგორც იქნა, გამობრძანდნენ. გამოიძახეს მოსამართლეც.

მისტერ პიკვიკს აღელვებისგან გული საგულეს აღარ ჰქონდა. მსაჯულების შემოსვლისთანავე მათ უფროსს მიაჩერდა.

- ბატონებო, - წარმოთქვა შავით მოსილმა მოსამართლემ, - განაჩენი ერთხმად მიიღეთ?

- დიახ, ბატონო მოსამართლევ, - მიუგო მსაჯულთა უფროსმა.

- საქმე ვის სასარგებლოდ გადაწყდა, მოპასუხისა თუ მოსარჩელის?

- მოსარჩელის სასარგებლოდ.

- ხარჯები რა თანხას შეადგენს, ბატონებო?

- შვიდას ორმოცდაათ გირვანქას.

მისტერ პიკვიკმა სათვალე მოიხსნა, გულდასმით გაწმინდა მინები, მოკეცა, ბუდეში ჩააცურა და ჯიბეში ჩაიდო; მერე ორივე ხელზე დინჯად ჩაიცვა ხელთათმანი და უსიტყვოდ გაჰყვა მისტერ პერკერსა და მის ლურჯ ტომარას ისე, რომ თვალი არ მოუშორებია მსაჯულთა უფროსისათვის.

ერთხანს მეზობელ ოთახში შეჩერდნენ, ვიდრე პერკერი დაწესებულ გადასახადს გადაიხდიდა. აქ დახვდნენ მისტერ პიკვიკს მისი მეგობრებიც. ისინი პირისპირ შეეფეთნენ მისტერ დოდსონსა და მისტერ ფოგს, რომლებიც სიხარულს ვეღარ მალავდნენ და სიამოვნებით იფშვნეტდნენ ხელებს.

- აბა, რას იტყვით, ბატონებო? - თქვა მისტერ პიკვიკმა.

- თქვენ რაღას იტყვით, სერ? - კითხვითვე მიუგო დოდსონმა ორივეს ნაცვლად.

- თქვენ გგონიათ, რომ სასამართლო ხარჯებს ამანაზღაურებინებს, ბატონებო? - იკითხა მისტერ პიკვიკმა.

ახლა ფოგმა მიუგო - ასეთი რამ სრულიად შესაძლებლად მიმაჩნიაო, დოდსონმა კი ღიმილით დასძინა - ძალიან შევეცდებითო.

- შეგიძლიათ სცადოთ, სცადოთ და კვლავ სცადოთ, ბატონო დოდსონ და ბატონო ფოგ, - მხურვალედ მიუგო მისტერ პიკვიკმა, - ეგ თქვენი საქმეა, მაგრამ იცოდეთ, რომ ჩემგან გროშსაც ვერ მიიღებთ გაწეული ხარჯების ასანაზღაურებლად... კიდევაც რომ... კიდევაც რომ მოვალეთა ციხეში აღმომხდეს სული!

- ჰა, ჰა, ჰა! - გადაიხარხარა დოდსონმა, - ბევრჯერ გადაიფიქრებთ, ვიდრე მეორე სასამართლო სესია დაიწყებოდეს, მისტერ პიკვიკ!

- ჰი, ჰი, ჰი! - ხითხითებდა ფოგი, - ამასაც მალე მოვესწრებით, მისტერ პიკვიკ!

მისტერ პიკვიკი კინაღამ ბოღმამ დაახრჩო. გაოგნებულმა ისღა მოახერხა, რომ თავისი ვექილისა და მეგობრის ნებას დაჰყვა: ქუჩაში გამოვიდა და მორჩილად ჩაბრძანდა ეტლში, რომელიც მარჯვე სემმა იქვე დაიქირავა.

ის იყო, სემმა ეტლის საფეხური აკეცა და თვითონაც კოფოზე ასვლა დააპირა, რომ უეცრად იგრძნო - ვიღაცამ მხარზე ხელი დაადო. სწრაფად მოიხედა. მამამისი იყო. მოხუცს სახე ჩამობნელებოდა დარდისაგან, მან კუშტად გაიქნია თავი და საყვედურით თქვა:

- განა არ ვიცოდი, რომ ამ მიკიბ-მოკიბული საქმიდან არაფერი გამოვიდოდა? ო, სემ, სემ... რატომ არ გქონდა ალიბი!

თავი XXXV

რომელშიც მისტერ პიკვიკი რწმუნდება, რომ ყველაფერს სჯობს, ბათში გაემგზავროს; ასეც მოიქცევა

- პატივცემულო სერ, - მიმართა მისტერ პიკვიკს პერკერმა, რომელსაც სასამართლოს დამთავრების მეორე დილას ეწვია, - გაბრაზება იქით იყოს და, ნუთუ მართლა არ აპირებთ გადაიხადოთ სასამართლო ხარჯები და მოწინააღმდეგე მხარეს ზარალი აუნაზღაუროთ?

- აკი მოგახსენეთ, ცენტსაც არ გადავიხდი-მეთქი, - გადაჭრით მიუგო მისტერ პიკვიკმა.

- გაუმარჯოს „პრინციპს“, როგორც ერთმა მევახშემ ბრძანა, როდესაც არ უნდოდა თამასუქზე ვადა გაეგრძელებინა, - შენიშნა მისტერ უელერმა, რომელიც იქვე სუფრას ალაგებდა დილის საუზმის შემდეგ.

- სემ! - წამოიძახა მისტერ პიკვიკმა, - თუ ღმერთი გწამს, ახლავე დაბლა ჩადი!

- გისმენთ, სერ, - მშვიდად მიუგო მისტერ უელერმა და ბატონის სიტყვას დაემორჩილა, - ოთახიდან გავიდა.

- არა, პერკერ, - თქვა მისტერ პიკვიკმა ხაზგასმით, - ჩემი მეგობრებიც ბევრს ეცადნენ, უნდოდათ გადაეთქმევინებინათ, მაგრამ ვერაფერს გახდნენ. ჩემს სიტყვას არ გადავალ! ვიდრე მოწინააღმდეგე მხარე უფლებას მოიპოვებს სასამართლოს დადგენილების სისრულეში მოსაყვანად, კვლავ ძველებურად ვიცხოვრებ. თუკი ისინი იმდენად ზნედაცემულები იქნებიან, რომ ამ უფლებით ისარგებლებენ და დამაპატიმრებენ, მეც მშვიდი გუ-

ლით დავემორჩილები ჩემს ხვედრს. მართლა როდის შეუძლიათ ეს გააკეთონ?

- უთუოდ შემდეგ სესიაზე მიიღებენ საბოლოო გადაწყვეტილებას დაზარალებული მხარის მიერ გაწეული ხარჯების ანაზღაურებისა და თვით სასამართლო ხარჯების დაფარვის შესახებ, დაახლოებით ორი თვის შემდეგ, ჩემო ძვირფასო სერ, - მიუგო მისტერ პერკერმა.

- კეთილი და პატიოსანი, - თქვა მისტერ პიკვიკმა, - ჰოდა, იმ დრომდე, ჩემო ძვირფასო მეგობარო, სიტყვაც არ დაგცდეთ ამ საქმის შესახებ. ახლა კი... - ღიმილით მიუბრუნდა მისტერ პიკვიკი მეგობრებს და თვალებში ისეთმა ეშმაკურმა ნაპერწკალმა გაუელვა, რომელიც სათვალემაც კი ვერ დაფარა, - ერთი რამ მინდა გკითხოთ: საით გავწიოთ სამოგზაუროდ?

მისტერ ტაპმენი და მისტერ სნოდგრასი იმდენად გააოგნა მეგობრის ვაჟკაცურმა საქციელმა, რომ ხმა ვერ ამოიღეს; მისტერ უინკლს კი ჯერ კიდევ ვერ მოენელებინა სასამართლოში მიცემული უხეირო ჩვენება და პასუხის თავიც არ ჰქონდა. ამაოდ ელოდა მეგობრების პასუხს მისტერ პიკვიკი.

- კეთილი, - განაცხადა მან, - ადგილის ამორჩევას თუ მე მანდობთ, ისევ ბათს ვირჩევდი. მე მგონი, იქ ჯერ არც ერთი არ ყოფილხართ...

მართლაც, აღმოჩნდა, რომ ბათში არც ერთი არ იყო ნამყოფი. ამ წინადადებას მისტერ პერკერმაც მხურვალედ დაუჭირა მხარი. პაწია ვექილს გული მოეცა. შესაძლოა, ადგილის გამოცვლამ მისტერ პიკვიკს გუნება გამოუკეთოს, ხოლო მოვალეთა ციხეზე ფიქრმა, ვაითუ, უფრო გააგულისოს და საქმე უარესობისკენ წარმართოსო, ამიტომ წინადადება ერთხმად იქნა მიღებული.

სემი უმალვე „თეთრი რაშის სარდაფში“ აფრინეს ხუთი ადგილის შესაკვეთად ეტლზე, რომელიც მეორე დილას რვის ნახევარზე გადიოდა ბათში; ეტლზე დარჩენილი ადგილებიდან ორი შიგნით იყო, სამი კი გარეთ. სემმა ხუთივე შეისყიდა, მოლარეს უთხრა, პატიოსანი კაცი ყოფილხარო, როდესაც ხურდად ზუსტად ნახევარი კრონი მიიღო და კვლავ „ჯორჯი და ფასკუნჯში“ დაბრუნდა. შუაღამემდე იმუშავა. ჯერ მთელი თავისი ნიჭი და მოხერხება ფიზიკური სხეულების ტევადობის საკითხებზე ფიქრს მოანდომა; ცდილობდა, რაც შეიძლება მჭიდროდ შეეკრა ტანსაცმელი და საცვალი და ყუთებში ჩაეჩურთა; ამის შემდეგ ათასნაირ ეშმაკურ ხერხს მიმართა, რომ როგორმე ყუთებისთვის სახურავები მოერგო, რომელთაც არც საკეტი და არც ღილ--კილოები არ გააჩნდათ.

უსიამო დილა გაუთენდათ მგზავრებს - წვიმიანი, ბურუსითა და ნესტით გაჟღენთილი. ეტლებში შებმულ ცხენებს ისეთი ორთქლი ასდიოდა, რომ ეტლის სახურავზე მგზავრები აღარ მოჩანდნენ; გაზეთის გალუმპულ გამყიდველებს ობის სუნი ასდიოდათ; ფორთოხლის გამყიდველებს ქუდებიდან წურწურით ჩამოსდიოდათ წყალი და როცა თავს შეჰყოფდნენ ხოლმე ეტლში, ცივი შხეფებით აგრილებდნენ მგზავრებს. ჯიბის დანებით მოვაჭრე ებრაელებმა თითოეულ დანას უიმედოდ მოუკეცეს ორმოცდაათივე პირი, უბის წიგნაკებით მოვაჭრეებმა საქონელი ჯიბეებში შეინახეს. ფასდაკლებით იყიდებოდა საათის ძეწკვები და პურის შესაწვავი ჩანგლები; საფანქრე ყუთებსა და ღრუბელს ხომ არავინ ეკარებოდა.

როგორც კი ეტლი შეჩერდა, პიკვიკელების ბარგს შვიდი თუ რვა მებარგული მივარდა, მაგრამ სემმა გმირულად გადაარჩინა ყუთები და ჩემოდნები გააფთრებული შემოტევისგან. გამოირკვა, რომ ისინი აღნიშნულ დროზე ოცი წუთით ადრე ჩამოვიდ-

ნენ, ამიტომ მისტერ პიკვიკმა და მისმა მეგობრებმა მიაშურეს მგზავრების მოსაცდელ დარბაზს, ანუ უკეთ რომ ვთქვათ, სევდით შეპყრობილი ადამიანის უკანასკნელ იმედს.

მოსაცდელი დარბაზი „თეთრი რაშის სარდაფში“ მეტად კეთილმოუწყობელია (ასე რომ არ ყოფილიყო, უთუოდ მგზავრების მოსაცდელ ოთახადაც არ გამოდგებოდა). იგი მთავარი შესასვლელიდან მარჯვნივ მდებარეობს, ერთ-ერთ მის კედელში თითქოს განგებ შემოჭრილა პატივმოყვარე სამზარეულო ბუხარი, რომელსაც მეამბოხე სულით აღსავსე ქარცახი, მასა და აქანდაზი ახლავს თან. დარბაზი, უთუოდ მგზავრების სასიკეთოდ, განმარტოებულ საკნებადაა დაყოფილი; თითოეული მათგანი მომარაგებულია საათით, სარკითა და მსახურით.

იმ დღეს ერთ-ერთი ასეთი საკანი ვიღაც მამაკაცს დაეჭირა. ორმოცდაათი წლის იქნებოდა. შავი ხშირი თმა არშიასავით შემოვლებოდა მელოტ თავზე; გრძელი ულვაში და კუშტი მზერა პირქუშ იერს აძლევდა მის სახეს. ყავისფერი სერთუკი ჯენტლმენს ყელამდე შეებნია, ხოლო ზღვის ღორის ტყავისგან შეკერილი ქუდი, მუქი პალტო და საწვიმარი იქვე სკამზე დაელაგებინა. როდესაც ოთახში მისტერ პიკვიკი შემოვიდა, პირქუშმა ჯენტლმენმა უმალვე შეწყვიტა საუზმობა, შემოსულნი კრიტიკული თვალით შეათვალიერა და, მეტად კმაყოფილმა ჩაიღიღინა, თითქოს ამით მგზავრები გააფრთხილა - ვიცი, შარი გინდათ მომდოთ, მაგრამ არაფერი გამოგივათო.

- ლაქიავ, - დაიძახა ულვაშიანმა ჯენტლმენმა.

- რა გნებავთ, სერ? - ხმა გასცა ხუხულიდან მსახურმა.

- კიდევ მომიტანეთ შემწვარი პური.

- ახლავე, სერ.

- კარაქი არ დაგავიწყდეთ, - დაამატა მკაცრად.

- ამწამს მოგართმევთ, სერ, - მიუგო ლაქიამ.

ულვაშიანი ჯენტლმენი კვლავ აღიღინდა; გემრიელი კერძის მოლოდინში ბუხართან მივიდა, სერთუკის ბოლოები აიკეცა, ფეხსაცმელებს შეხედა და ჩაფიქრდა.

- ნეტავ, ეს ეტლი ბათში ჩასვლისას სად გაჩერდება? - ხმადაბლა მიმართა მისტერ უინკლს მისტერ პიკვიკმა.

- ჰმ... ჰა... რა ბრძანეთ? - შეეკითხა უცნობი.

- მე ჩემს მეგობარს დავუსვი კითხვა, სერ, - მიუგო მისტერ პიკვიკმა, რომელიც მუდამ მზად იყო ვინმესთან საუბარი გაება, - მინდა ვიცოდე, ბათში რომელ სასტუმროსთან გაჩერდება ეს ეტლი. იქნებ თქვენ მიბრძანოთ?

- ბათში მობრძანდებით? - შეეკითხა უცნობი.

- დიახ, სერ, - მიუგო მისტერ პიკვიკმა.

- ეგ ჯენტლმენებიც თქვენთან მოდიან?

- დიახ, ისინიც, - უპასუხა მისტერ პიკვიკმა.

- იმედია, შიდა ადგილები არ გაქვთ?.. - შენიშნა უცნობმა, - ეშმაკმა დასწყევლოს, თუ შიდა ადგილები გქონდეთ!

- ყველას არა, - უპასუხა მისტერ პიკვიკმა.

- რა თქმა უნდა, ყველას არა! - წამოიძახა უცნობმა, - ორი ადგილი მე ავიღე და თუ ესენი აპირებენ ექვსი კაცი ჩაჭედონ იმ დაწყევლილ კოლოფში, სადაც ოთხიც ძლივს ეტევა, ცალკე ეტლს დავიქირავებ და სასამართლოში ვუჩივლებ. ფული გადამახდევინეს და ჰგონიათ მაგათია ქვეყანა. არ გაუვათ ეგ ოინები! მაშინვე მოვახსენე იმ კლერკს, ადგილები რომ შევუკვეთე, მაგისთანები არ გაგივათ-მეთქი. განა არ ვიცი, ყოველდღე ასე აკეთებენ! მაგრამ ჩემთან არაფერი გაუვათ. ვინც მე მიცნობს, კარგად იცის ჩემი ხასიათი, დასწყევლოს ეშმაკმა!

ჯენტლმენმა ზარი დარეკა და, გამოჩნდა თუ არა ლაქია, გადაჭრით განუცხადა - თუ ხუთ წუთში შემწვარ პურს არ მომიტან, ვაი შენი ბრალიო.

- პატივცემულო სერ, - მიმართა მას მისტერ პიკვიკმა, - ნება მიბოძეთ, დაგამშვიდოთ, სერ, ჩვენ მხოლოდ ორი შიდა ადგილი გვაქვს.

- მადლობა ღმერთს, სერ, - უპასუხა ულვაშიანმა ჯენტლმენმა, - ბოდიშს ვიხდი და ნათქვამი უკან მიმაქვს. აგერ ჩემი ბარათიც. თუ ნებას მომცემთ, გავიცნოთ ერთმანეთი.

- დიდი სიამოვნებით, სერ, - მიუგო მისტერ პიკვიკმა, - თანამგზავრები ვართ და იმედია, ერთმანეთს არაფერს ვაწყენინებთ.

- მეც ასე მგონია, - კვერი დაუკრა პირქუშმა ჯენტლმენმა, - ეჭვი არ მეპარება, რომ ასეც იქნება. ღმერთმანი, თვალში მომიხვედით! სიმპათიური სახეები გაქვთ. გავიცნოთ ერთმანეთი, ბატონებო. მიბოძეთ ხელი და თქვენი სახელი!

ამ თავაზიანი მიმართვის შემდეგ ერთმანეთს ხელი ჩამოართვეს. პირქუშმა ჯენტლმენმა არ დააყოვნა და ახალ მეგობრებს უმალვე ნაწყვეტ-ნაწყვეტ მოახსენა, რომ იგი გვარად დაულერია, ამჟამად ბათში მიემგზავრება გასართობად; ადრე სამხედრო სამსახურში ყოფილა, მაგრამ კარგა ხანია თავი დაუნებებია. ახლა, როგორც ეს ჯენტლმენს შეეფერება, კომერციას მიჰყო ხელი და შემოსავლის პროცენტებით ცხოვრობს. ისიც აცნობა, რომ პიროვნება, რომლისთვისაც მან ეტლში მეორე ადგილი შეუკვეთა, მისის დაულერი, მისი კანონიერი მეუღლე გახლდათ.

- ჩინებული ქალია, - განაცხადა მისტერ დაულერმა, - პირდაპირ ვამაყობ, ასეთი ცოლი რომ მყავს... უნდა მოგახსენოთ, ამის მიზეზი გამაჩნია.

- იმედი მაქვს, რომ მექნება სიამოვნება პირადად დავრწმუნდე მის ღირსებებში, - შენიშნა მისტერ პიკვიკმა.

- რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა, - მტკიცედ მიუგო დაულერმა, - თვითონ გაგეცნობათ და იმწამსვე შეგაფასებთ... უნდა გამოგიტყდეთ, დიდხანს დამჭირდა არშიყობა და ლოიალობა... დავი-

ნახე თუ არა, შემიყვარდა, გული და სული შევთავაზე... ჯერ უარი მტკიცა. „სხვა გიყვართ?“ - წამოვიძახე გაშმაგებულმა. „ნუ, ნუ მარცხვენთ!“ - მიპასუხა. „მე მას ვიცნობ?“ - კვლავ შევძახე. „იცნობთ, კარგად იცნობთ“, - მომიგო ნაზად. მაშინ გავცეცხლდი და ვიღრიალე: იცოდეთ, გზიდან თუ არ ჩამომეცალა, ცხრა ტყავს გავაძრობ-მეთქი.

- ღმერთო, შენ შემიწყალე! - უნებლიეთ დასცდა მისტერ პიკვიკს.

- მერედა, გაატყავეთ ის ჯენტლმენი, სერ? - ჰკითხა გადაფითრებულმა უინკლმა.

- ბარათი მივწერე, ვაუწყე, რომ ტყავის გაძრობა მეტად მტკივნეულია-მეთქი, ხომ ასეა, სერ?

- რაღა თქმა უნდა, - კვერი დაუკრა მისტერ პიკვიკმა.

- ისიც მივწერე, რომ მანდილოსანს ჯენტლმენის სიტყვა მივეცი, რომ ტყავს ნამდვილად გაგაძრობ-მეთქი. სხვა გზა არ იყო... მისი უდიდებულესობის ოფიცრის სახელს ხომ არ შევარცხვენდი - მივწერე, რომ ფრიად ვნანობ, რომ ასე უნდა მოხდეს, მაგრამ სხვა გზა არა მაქვს-მეთქი. ჭკვიანი კაცი ყოფილა. სწრაფადვე მიხვდა, რომ კაცმა სამსახურის წესი და რიგი ყველაზე მაღლა უნდა დააყენოს... გაიქცა... მე კი ქალი შევირთე... აგერ ეტლიც. ხედავთ, მისი თავიც მოჩანს.

დაულერმა მიუთითა ეტლზე, რომელიც კართან ჩამოდგა, ეტლის ღია ფანჯარაში ცისფერქუდიანი კოპწია ქალი მოჩანდა. ქალი თითქოს ვიღაცას ეძებდა ტროტუარზე შეგროვილ ბრბოში... და უდავოდ, პიკვიკელების ახალ ნაცნობს...

მისტერ დაულერმა სასწრაფოდ გადაიხადა ფული, ხელზე გადაიკიდა პალტო, სამგზავრო ქუდი და წამოსასხამი და ეტლისკენ გაეშურა. მისტერ პიკვიკი და მისი მეგობრებიც მას გაჰყვნენ, რომ თავიანთი ადგილები დაეკავებინათ.

მისტერ ტაპმენი და მისტერ სნოდგრასი ეტლის თავზე მოთავსდნენ, მისტერ უინკლმა ეტლის შიგნით დაიკავა ადგილი. მისტერ პიკვიკიც უნდა ჩამჯდარიყო, რომ ამ დროს პატრონთან სემ უელერი გაჩნდა და საიდუმლოდ ჩასჩურჩულა - თქვენთან სათქმელი მაქვსო.

- გისმენთ, სემ, - წარმოთქვა მისტერ პიკვიკმა და შეჩერდა. - რა მოხდა?

- უცნაური რამ ხდება, სერ, - მიუგო სემმა.

- მაინც რა ხდება? - შეეკითხა მისტერ პიკვიკი.

- ვშიშობ, სერ, რომ მაგ ეტლის პატრონმა რაღაც უცნაური ოინი უნდა დაგვმართოს, - მიუგო სემმა.

- რა ოინი, რას ამბობთ, სემ? - წამოიძახა მისტერ პიკვიკმა, - განა ჩვენი გვარები მგზავრების სიაში არ შეიტანეს?

- არა მარტო სიაში შეიტანეს, არამედ ერთ-ერთი მათგანი აგერ, აქ, ეტლის კარზედაც დააწერეს, - სემმა კარის იმ ნაწილზე მიუთითა, რომელზედაც ჩვეულებრივ ეტლის პატრონის სახელი ეწერა. იქ, მართლაც, კარგა მოზრდილი მოოქრული ასოებით ეწერა მხოლოდ ერთი ჯადოსნური სახელი:

„პიკვიკ“.

მისტერ პიკვიკი გაოცდა.

- ღმერთო ჩემო, სწორედ რომ უცნაურია! - აღმოხდა უნებლიეთ.

- ოღონდაც რომ ასეა, მაგრამ მოიცადეთ... აი, კიდევ... შეხედეთ, - თქვა სემმა და ბატონს კვლავ ეტლის კარზე მიუთითა. - „პიკვიკ“ ხომ დაწერეს და დაწერეს, რაც თავისთავად საწყენია, ახლა ამ სახელს კიდევ მეორე სახელი მიუწერეს: „მოზეს!“ ეს საწყენიცაა და მეტიც! აშკარა შეურაცხყოფაა, როგორც ბრძანა

ერთმა თუთიყუშმა, რომელიც არა მარტო სამშობლოდან წამოიყვანეს, არამედ ინგლისურადაც აალაპარაკეს.

- მართლაც უცნაურია, სემ, - შენიშნა მისტერ პიკვიკმა, - მაგრამ აქ თუ დიდხანს დავაყოვნებთ, ჩვენს ადგილებს სხვა დაიკავებს.

- როგორ, სერ? განა პასუხი არ უნდა გავცეთ აშკარა შეურაცხყოფას? - გაოცდა სემი, როდესაც დაინახა, რომ მისტერ პიკვიკმა მშვიდად და არხეინად შედგა ფეხი ეტლის კარის საფეხურზე.

- პასუხი? - თქვა მისტერ პიკვიკმა და შეჩერდა. - რა უნდა ვქნათ?

- ასეთი თავხედობისათვის მაგრად უნდა დაიზილოს ვინმე, - მიუგო სემმა, რადგან დარწმუნებული იყო, პირადად მას დაავალებდნენ, მუშტი-კრივში გამოეწვია მეეტლე და კონდუქტორი ერთად.

- რა თქმა უნდა, არა, - მტკიცედ მიუგო მისტერ პიკვიკმა, - ამწამსვე თქვენი ადგილი დაიკავეთ!

სემი ბატონს მოშორდა.

- ვერაა ბატონი გუნებაზე, - ჩაიბურტყუნა მან, - თორემ ასე მშვიდად როგორ აიტანდა ამ შეურაცხყოფას. უთუოდ იმ წყეულმა სასამართლომ გამოათაყვანა! რაღაც არ მომდის თვალში ეს ამბავი!.. - მისტერ უელერმა დანანებით გაიქნია თავი.

არ შეიძლება არ მოგახსენოთ, თუ როგორ დაადარდიანა ამ ამბავმა ერთგული მსახური. ხმა არც ამოუღია, ვიდრე ეტლი კანტონის გადასარბენთან არ შეჩერდა. სემისთვის ესოდენ ხანგრძლივი დუმილი იმდენად უჩვეულო იყო, რომ მის ცხოვრებაში ამის მსგავსი ჯერ არაფერი მომხდარა.

გზაში ღირსშესანიშნავი არაფერი მომხდარა. მისტერ დაულერი მოჰყვა რამდენიმე ამბავს, რომელშიც საკუთარი მამაცობისა და შეუდრეკელობის დამამტკიცებელი მრავალი მაგა-

ლითი მოიყვანა: ნათქვამის დასამოწმებლად მისის დაულერს მიმართავდა. მისის დაულერიც იქვე ჩაურთავდა რომელიმე ღირსშესანიშნავ ფაქტს ან გარემოებას, რომელიც მისტერ დაულერს თურმე დავიწყებოდა ან, შესაძლოა, როგორც ეს თავმდაბალ კაცს სჩვევია, განგებ არ უხსენებია. რა თქმა უნდა, ყოველი ასეთი ჩანართი ააშკარავებდა მისტერ დაულერის გაცილებით უფრო მეტ ღირსებას, ვიდრე ეს მისი ნაამბობიდან ჩანდა.

მისტერ პიკვიკი და მისტერ უინკლი დიდი აღფრთოვანებით უსმენდნენ ახალ მეგობარს და დროდადრო მისის დაულერს ესაუბრებოდნენ, რომელიც მეტად სასიამოვნო და მომხიბლავი თანამგზავრი აღმოჩნდა. ამგვარად, მისტერ დაულერის საინტერესო ამბების წყალობით, მისის დაულერის მომაჯადოებელი ღიმილით გამხნევებულნი, მისტერ პიკვიკის კეთილი განწყობისა და მისტერ უინკლის ამ დაუფასებელი ღირსების წყალობით, რომ სხვა თუ ლაპარაკობს, ყურთასმენადაა გადაქცეული, ეტლის შიგნით მგზავრობამ მეტად საამოდ და ტკბილად ჩაიარა.

გარეთ მსხდომნიც ისე იქცეოდნენ, როგორც ასეთ მგზავრებს სჩვევიათ - ყოველი გაჩერების შემდეგ ცოცხლად ეჭირათ თავი, მხიარულად ბაასობდნენ, ოხუნჯობდნენ; შუა გზაზე მოიღუშებოდნენ და სთვლემდნენ, ხოლო მორიგ გაჩერებას რომ უახლოვდებოდნენ, კვლავ გამოცოცხლდებოდნენ ხოლმე. ერთი ახალგაზრდა რეზინის საწვიმარში გამოწყობილი, შეუსვენებლად ეწეოდა სიგარას. მეორე ყმაწვილიც, რომელსაც რაღაც პალტოს მსგავსი ეცვა, სიგარებს ზედიზედ უკიდებდა, ერთი-ორჯერ გააბოლებდა, მაგრამ ეტყობა ვერ ეგუებოდა, ერთხანს ყოყმანობდა, მერე, როცა შეამჩნევდა არავინ მიყურებსო, სათითაოდ ისროდა ძირს; მესამე ყმაწვილი, რომელსაც უდავოდ მესაქონლეობა აინტერესებდა, კოფოზე წამოსკუპებულიყო; მის

უკან ხნიერი ჯენტლმენი იჯდა, ისიც, ეტყობა, დიდად იყო განსწავლული სოფლის მეურნეობის საკითხებში. გარდა ამ მგზავრებისა, აქ იყვნენ სამუშაო ბლუზებსა და თეთრ ქურთუკებში გამოწყობილი პიროვნებები, რომლებიც ამ გზაზე და მის გარეთაც ყველა ცხენსა და ყველა მეეტლეს კარგად იცნობდნენ. მგზავრობისას სადილი იაფი დაჯდებოდა, რომ მოკლე შეჩერების დროს მგზავრებს ამ ზედმეტი „მჭამელების“ გამასპინძლება არ დასჭირვებოდათ.

საღამოს შვიდი საათი იქნებოდა, როდესაც მისტერ პიკვიკმა მეგობრებითურთ და მისტერ დაულერმა მეუღლითურთ თავ--თავიანთ ოთახებს მიაშურეს სასტუმრო „თეთრ ირემში“, რომელიც ბათის ცნობილი მინერალური წყლების გალერეის პირდაპირ მდებარეობს. ამ სასტუმროში ლაქიები უესტმინსტერის სკოლის შეგირდებს ჰგვანან, ოღონდ იმით განსხვავდებიან მათგან, რომ უფრო უკეთ უჭირავთ თავი.

მეორე დილას, ის იყო, მსახურებმა სუფრა აალაგეს, რომ პიკვიკელებს ლაქიამ მისტერ დაულერის სადარბაზო ბარათი შემოუტანა თხოვნით - თუ ნებას დამრთავთ, ჩემს მეგობარს გაგაცნობთო. ბარათს ფეხდაფეხ მისი პატრონიც მოჰყვა.

მისტერ დაულერის მეგობარი ფრიად მომხიბლავი ჯენტლმენი აღმოჩნდა. ჯერ კიდევ ახალგაზრდა - ორმოცდაათისაც არ იქნებოდა. ძალიან ღიალურჯი, ბრჭყვიალაღილებიანი ფრაკი, შავი შალის შარვალი და თხელი, სარკესავით გაკრიალებული ფეხსაცმელი ეცვა. ყელზე შავი, მოკლე და ფართო ბაფთაზე გამობმული ოქროს ლორნეტი ეკიდა. მარცხენა ხელში ოქროსავე სათუთუნე ეჭირა. თითებზეც ოქროს ბეჭდები უბრწყინავდა, გაქათქათებულ ჟაბოში მსხვილი ბრილიანტისთავიანი ქინძისთავი ეკეთა, გულზე მსხვილი ოქროს ძეწკვით ოქროსავე საათი ეკიდა. მარჯვენა ხელში შავი ხის ჯოხი ეკავა, თავზე პრიალა პარიკი

ეხურა, კუპრივით შავი და ხუჭუჭა. მის თუთუნს „პრინცის ნარევი“ ერქვა, სუნამოს - „ბოუქუეტ დუ როი“. სახეზე ღიმილი უკრთოდა, კბილები კი ისე ჰქონდა ჩაწიკწიკებული, რომ კაცი ახლო მანძილიდანაც ვერ გაარჩევდა მათ შორის რომელი იყო ჩასმული და რომელი საკუთარი.

- მისტერ პიკვიკ, - წარმოთქვა მისტერ დაულერმა, - ეს ჩემი მეგობარი გახლავთ, ანჯელო საირეს ბენთამი, ესკვაირი - მისტერ პიკვიკი. გთხოვთ იცნობდეთ ერთმანეთს.

- კეთილი იყოს თქვენი მობრძანება ბათში, სერ, - თქვა ახალმოსულმა. ალბათ, დიდი ხანია, მისტერ პიკვიკ, რაც აქ აღარ ყოფილხართ. თითქოს მთელი საუკუნე გავიდა! - ამ სიტყვებით, ანჯელო საირეს ბენთამმა, ესკვაირმა, ბათის ცერემონმაისტერმა, მხრები აიჩეჩა, თავი გააქნია და მისტერ პიკვიკის ხელი ისე მაგრა ჩაბღუჯა, თითქოს მისთვის უდიდესი ტანჯვა იყო ხელიდან გაეშვა ძვირფასი სტუმარი.

- მართლაც დიდი ხანი იქნება, რაც ამ წყლებზე არ ვყოფილვარ, - მიუგო მისტერ პიკვიკმა. - რადგან... რადგან... რამდენადაც ვიცი, ადრე აქ არასოდეს ვყოფილვარ, სერ.

- არასოდეს ყოფილხართ... ბათში, მისტერ პიკვიკ? - შესძახა ცერემონიების დიდმა ოსტატმა და გაოცებისგან ხელი უშვა მისტერ პიკვიკს, - არ ყოფილხართ ბათში? აი, აი, აი, მაგას როგორ ბრძანებთ, მისტერ პიკვიკ? უთუოდ ხუმრობთ, ნამდვილად ხუმრობთ! კეთილი, კეთილი. ჩინებულია, ჩინებული, ჰი, ჰი, ჰი, ჩინებული ხუმრობაა!

- ჩემდა სამარცხვინოდ უნდა გამოვტყდე, რომ სულაც არ ვხუმრობ, - მიუგო მისტერ პიკვიკმა, - მერწმუნეთ, ბათში აქამდე არასოდეს ვყოფილვარ.

- ო, მივხვდი, მივხვდი, - წამოიძახა დიდმა ოსტატმა, რომელიც დიდად ნასიამოვნები დარჩა საკუთარი მიხვედრილობით, -

მით უკეთესი. თქვენ უთუოდ ის ჯენტლმენი ბრძანდებით, რომლის შესახებ ბევრი რამ გვსმენია, დიახ, ბევრი რამ. კარგად გიცნობთ, მისტერ პიკვიკ, კარგად გიცნობთ.

„ღმერთმა დასწყევლოს ეს სასამართლო პროცესი! - გაუელვა თავში მისტერ პიკვიკს, - ეტყობა, ანგარიშები წაუკითხავს, იმ დაქცეულ გაზეთებში რომ იბეჭდებოდა“.

- მაშ, კარგი. თქვენ ის ჯენტლმენი ბრძანდებით კლეპჰემ--გრინში რომ ცხოვრობს, - განაგრძო ბენთამმა, - ის ჯენტლმენი, რომელსაც ხელფასი წაერთვა. წინდაუხედაობით მოუვიდა. პორტვეინი მიირთვა კარგა ბლომად და გაცივდა, ჯენტლმენი, რომლის განძრევა ადგილიდან არ შეიძლებოდა მწვავე ტკივილების გამო და რომელმაც ბოლოს ბრძანა, ბოთლები აევსოთ აქაური წყლით, მეფისთვის საგანგებოდ განკუთვნილი წყაროდან, რომლის ტემპერატურა ას სამ გრადუსს უდრის. ეს ბოთლები ლონდონს ჩამოატანინა, ამ წყლით განიბანა. ერთი მაგრად დააცემინა ცხვირი და იმწამსვე განიკურნა. დიდებული ამბავია, დიდებული!

მისტერ პიკვიკმა უღრმესი მადლობა გადაუხადა თანამოსაუბრეს ესოდენ სასიამოვნო წინადადებებისთვის, მაგრამ იმდენად სულგრძელი აღმოჩნდა, რომ კვლავ უარი განაცხადა ამ ღირსშესანიშნავი ფაქტის დადასტურებაზე. წამით სიჩუმე ჩამოვარდა. მისტერ პიკვიკმა ისარგებლა ამით და დიდი კრძალვითა და მორიდებით სთხოვა ცერემონმაისტერს - ნება მიბოძეთ, ჩემი მეგობრები გაგაცნოთო, მისტერ ტაპმენი, მისტერ უინკლი და მისტერ სნოდგრასი. რაღა თქმა უნდა, ცერემონმაისტერის აღტაცებას საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც სამივე პიკვიკელი წარუდგინეს.

- ბენთამ, - მიმართა მას მისტერ დაულერმა, - პატივცემული მისტერ პიკვიკი და მისი მეგობრები სტუმრად გვეწვივნენ. მათ

სარეგისტრაციო დავთარში სურთ ხელი მოაწერონ; სად არის დავთარი?

- ბათის სარეგისტრაციო დავთარი პატივცემული სტუმრებისათვის დღეს ორ საათზე გალერეაში იქნება, - მიუგო ცერემონმაისტერმა, - იქნებ თქვენც მოიყვანოთ ჩვენი სტუმრები იმ დიდებულ შენობაში და მომცეთ საშუალება, მათი ავტოგრაფები ჩავიწეროთ?

- კეთილი, - მიუგო დაულერმა, - ახლა სტუმრობა ძალიან გაგვიგრძელდა. დროა წავიდეთ, ერთ საათში დავბრუნდებით, წამობრძანდით.

- ამ საღამოს ბალს ვმართავთ, - განაცხადა ცერემონმაისტერმა, როდესაც გამოსათხოვრად წამოდგა და მისტერ პიკვიკს კვლავ ხელი ჩამოართვა, - ასეთი ღრეობა ბათში, უნდა მოგახსენოთ, სამოთხიდან მოტაცებული წუთებია! მის მშვენიერებას აასკეცებს მუსიკის ნაზი ჰანგები, ლამაზმანები, მოდა, ეტიკეტი და, რაც მთავარია, არც ერთი ვაჭარი! სამოთხეში ვაჭრებს რა უნდათ? ისინი ცალკე აწყობენ საღამოებს გილდ-ჰოლში, ორ კვირაში ერთხელ. უნდა გამოგიტყდეთ, მათაც მშვენიერი საღამოები გამოსდით... ნახვამდის, ნახვამდის, - ვიდრე კიბეზე ჩადიოდა ანჯელო საირეს ბენთამი, ესკვაირი, ცერემონმაისტერი ახალ მეგობრებს სულ იმას უმეორებდა - რა დიდად ნასიამოვნები, დიდად კმაყოფილი, დიდად აღფრთოვანებული ვარ თქვენი გაცნობითო. ქუჩაში რომ გავიდნენ, მისტერ ბენთამი მოკალათდა კოხტა ეტლში, რომელიც კართან უცდიდა და სახლისაკენ გასწია.

დანიშნულ საათზე მისტერ პიკვიკი და მისი მეგობრები დაულერის თანხლებით ასამბლეის დარბაზებისკენ გაემგზავრნენ და დავთარშიც ჩაეწერნენ - წყალობის ამ ნიშანმა კიდევ უფრო აღაფრთოვანა და აღტაცებაში მოიყვანა მისტერ ანჯელო

ბენთამი. რადგან საღამოს წვეულებისათვის ბილეთები უნდა შეეძინათ, ხოლო ქალაქის გამგეობას ისინი ჯერ არ გაემზადებინა, მისტერ პიკვიკმა გადაწყვიტა, დღის ოთხ საათზე ბილეთების მისაღებად სემი გაეგზავნა ცერემონმაისტერის სახლში, რომელიც კუინ-სკვერზე მდებარეობდა, თუმცა თვით ცერემონმაისტერმა თავი მოიკლა - არამც და არამც თქვენ არ შეწუხდეთ, მე თავად მოვაგვარებ ბილეთების საქმესო.

პიკვიკელებმა ქალაქის ქუჩები მოიარეს და ერთხმად დაასკვნეს, რომ პარკ-სტრიტი ძლიერ წააგავს იმ ლარივით სწორ ქუჩებს, რომლებსაც კაცი სიზმარში თუ ნახავს, თორემ ცხადში ვერაფრით გაიგნებს გზასო, ყველანი კვლავ „თეთრ ირემში“ დაბრუნდნენ, ხოლო სემი კუინ-სკვერზე გაგზავნეს ბატონის ზემოხსენებული დავალების შესასრულებლად.

სემ უელერმა ქუდი გვერდულად დაიხურა, ხელები ჟილეტის ჯიბეში ჩაიყო და ნელი ნაბიჯით კუინ-სკვერისაკენ გაემართა; თან იმ პოპულარულ ჰანგს უსტვენდა, რომელიც ვიღაცამ გადააკეთა ისეთი კეთილშობილი ინსტრუმენტისათვის, როგორიცაა არღანი ან ტუჩის საკრავი. მიაღწია თუ არა იმ სახლს, სადაც პატრონმა გაგზავნა, სტვენა შეწყვიტა და კარზე დააკაკუნა. კარი გააღო დაპუდრულპარიკიანმა, საუცხოო ლივრეაში გამოწყობილმა ახმახმა ლაქიამ.

- ერთი მიბრძანეთ, ძმობილო, აქ ცხოვრობს მისტერ ბენთამი? - მშვიდად ჰკითხა მას სემ უელერმა.

- რა გნებავთ, ყმაწვილო? - უკმეხად გასცა ხმა პარიკიანმა ლაქიამ.

- აქ თუ ცხოვრობს მისტერ ბენთამი, აი, ეს სასტუმრო ბარათი გადაეცით, გეთაყვა და თანაც უთხარით, რომ მისტერ უელერი გელოდება-თქო. გესმით, ახმახო? - მიუგო სემმა, მშვიდად შევიდა ვესტიბიულში და სკამზე ჩამოჯდა.

პარიკიანმა ლაქიამ გაბრაზებით მიაჯახუნა კარი და მრისხანედ შეიკრა კოპები. მაგრამ, მისტერ უელერს აინუნშიც არ ჩაუგდია არც კარის გაჯახუნება და არც შეკრული კოპები; იგი გულდასმით ათვალიერებდა წითელი ხის დასადგარს ქოლგებისათვის.

ბატონის მიერ ბარათის მოწყალე მიღებამ პარიკიანი ლაქიაც აშკარად სემის სასარგებლოდ განაწყო, რადგან დაბრუნდა თუ არა, მან სტუმარს გულთბილად გაუღიმა და მოახსენა, პასუხი ახლავე მზად იქნებაო.

- კეთილი და პატიოსანი, - თქვა სემმა, - მოხუც ჯენტლმენს გადაეცით, რომ მაინცდამაინც ნუ იჩქარებს. სასწრაფო არაფერია, ახმახო, ნასადილევი გახლავარ.

- გეტყობათ, ადრე სადილობთ, - შენიშნა პარიკიანმა.

- ასეა, მეგობარო, ადრე რომ ვსადილობ, ვახშამსაც უკეთ ვინელებ, - მიუგო სემმა.

- დიდი ხანია ბათში ჩამოხვედით, სერ? - შეეკითხა პარიკიანი, - თქვენ შესახებ დღემდე არაფერი მსმენია.

- ეს იმიტომ, რომ ჯერ აქ სენსაცია არ მომიხდენია, - მიუგო სემმა, - მე და დანარჩენი ჯენტლმენები გუშინ საღამოს ჩამოვედით აქ.

- მშვენიერი ადგილია, სერ, - შენიშნა პარიკიანმა.

- ურიგო არ უნდა იყოს, - კვერი დაუკრა სემმა.

- ჩინებული საზოგადოებაა, სერ, - განაგრძო კვლავ ახმახმა მსახურმა, - მსახურებს ხომ ნუღარ იტყვით, სერ, ზრდილი და თავაზიანი.

- მეც ასე მგონია, - შენიშნა სემმა, - კარგი, სანდომიანი ბიჭები ჩანან, რომ კვდებოდე, ხმას ვერ ამოაღებინებ.

- ოღონდაც რომ ასეა, სერ, - დაეთანხმა პარიკიანი; სემის შენიშვნა, ეტყობა ქებად მიიღო, - ჭეშმარიტად ასეა, სერ... ხომ არ

ინებებთ, სერ? - ჰკითხა ახმახმა ლაქიამ სტუმარს, როცა ჯიბიდან პატარა სათუთუნე ამოიღო.

- ვინებებდი, მაგრამ ცემინება მეწყება, - მიუგო სემმა.

- ოღონდაც, ადვილი საქმე როდია ეგ, სერ! - შენიშნა ახმახმა ლაქიამ, - თანდათანობით უნდა შეეჩვიოთ.

გაისმა ზარის გამყივანი ხმა, რამაც პარიკიანი ლაქია აიძულა, სამარცხვინო აუცილებლობას დამორჩილებოდა: საჩქაროდ ჯიბეში შეინახა მელიისთავიანი სათუთუნე და მორჩილი სახით მისტერ ბენთამის კაბინეტს მიაშურა...

მსახური მალე დაბრუნდა.

- ინებეთ პასუხი, სერ, - თქვა მან, - ვაითუ, შეწუხდეთ ამის ტარებით.

- დარდი ნუ გაქვს, - მიუგო სემმა და მსახურს პაწია კონვერტი ჩამოართვა, - იმედია, ჩემი უძლური სხეული როგორმე გაუძლებს მის სიმძიმეს.

- ვფიქრობ, კვლავაც შევხვდებით, სერ, - უთხრა პარიკიანმა მსახურმა. ხელები მაგრად მოიფშვნიტა და სტუმარი კარამდე მიაცილა.

- სიამოვნებით, სერ, - მიუგო სემმა, - ნუ წუხდებით, გეთაყვა. წარმოიდგინეთ საზოგადოებისათვის რა ფასდაუდებელი, მნიშვნელოვანი პიროვნება ბრძანდებით და ახლა, ამას კი ნუ იზამთ, გეთაყვა, რომ ესოდენ მძიმე სამსახურით თავი გადაიტვირთოთ. არაფერზე იდარდოთ, არ იღელვოთ, თავს გაუფრთხილდით, თუნდაც თქვენი ახლობლების ხათრით. წარმოიდგინეთ, ღმერთმა ნუ ქნას, თქვენ რომ რამე დაგემართოთ, რა დიდი დანაკლისი იქნება.

დაასრულა თუ არა ლაპარაკი, სემი გატრიალდა.

- უცნაური ყმაწვილია, - ჩაილაპარაკა ლაქიამ და თვალი გააყოლა სემს. თითქოს დაიბნა კიდეც - ვერაფერი გაუგო ახალგაცნობილს.

სემს მეტი არაფერი უთქვამს, მხოლოდ თვალი ჩაუკრა და თავი გაიქნია. სახეზე აშკარად ეტყობოდა, რომ კმაყოფილი იყო - თავი კარგად შევიქციეო. შემდეგ გაუღიმა მსახურს და მხიარული ღიღინით გაუდგა გზას.

იმავე საღამოს, რვას რომ ზუსტად ოცი აკლდა, ანჯელო საირეს ბენთამი, ესკვაირი, ცერემონმაისტერი, ეტლიდან გადმობრძანდა ასამბლეის დარბაზის კართან; თავზე იგივე პარიკი ედო, იგივე ლორნეტი ეკეთა, იგივე საათი და ძეწკვი, იგივე ბეჭდები, იგივე ქინძისთავი და იგივე ჯოხი ეკავა. ერთადერთი ცვლილება მის გარეგნობაში გახლდათ ის, რომ ამჯერად ძალიან ღიალურჯი ფრაკი ეცვა თეთრი აბრეშუმის სარჩულგამოკრული, შავი, შემოსალტული შარვალი, შავი აბრეშუმის წინდები და საცეკვაო ფეხსაცმელები.

ზემოხსენებულ სამოსში გამოწყობილი ცერემონმაისტერი შეუდგა იმ მოვალეობის ასრულებას, რომელიც ესოდენ დიდად საპასუხისმგებლო თანამდებობამ დააკისრა მას - დარბაზის თავში ადგილი დაიკავა და სტუმრების მისაღებად მოემზადა.

წლის ამ დროს ბათი მუდამ სავსე იყო: სტუმრები და ექვსპენსიანები ფეხის ქირად ნიაღვარივით შემოდიოდა. საცეკვაო დარბაზში, გრძელ და რვაკუთხიან საბანქო დარბაზში, კიბეებსა და დერეფნებში კაცი დაყრუვდებოდა, ისეთი ფეხის ბაკუნი და ყურთასმენისწამღები ჟრიამული გამეფებულიყო. შრიალებდა ფარჩის კაბები, ფრიალებდა ნაირ-ნაირი ფრთები, ბრჭყვიალებდა პატიოსანი თვლები, ციალებდა ჩირაღდნები. ისმოდა მუსიკის ხმა, თუმცა მას ორკესტრი კი არ ასრულებდა - ცეკვა ჯერ არ დაწყებულიყო, - ეს იყო მუსიკა მსუბუქი, ჰაეროვანი ნაბიჯებისა,

რომელსაც დროდადრო წკრიალა, უდარდელი კისკისი უერთდებოდა - ქალის ნაზი, ნარნარი კისკისი ბათშიც ისევე საამო მოსასმენია, როგორც ამა ქვეყნის სხვა კუთხეებში. შუქიანი თვალები ელავდნენ მხიარული გასართობის მოლოდინში; საითაც არ გაიხედავდი, თვალში გხვდებოდა მომხიბლავი არსება, რომელიც შეკრებილთა შორის თითქოს დაფრინავდა. ერთი გაქრობას ვერ ასწრებდა, რომ მის ადგილს მეორე იკავებდა, ისეთივე წარმტაცი და მშვენიერი.

სასაუზმო დარბაზსა და საბანქო მაგიდების გარშემო თავი მოეყარათ ხანდაზმულ მანდილოსნებსა და ბეხრეკ ჯენტლმენებს, რომლებიც ისე გულიანად ბაასობდნენ ახლახან მომხდარ სკანდალებსა და წვრილმან ჭორებზე, რომ აშკარა იყო, მათ ეს საქმიანობა დიდ სიამოვნებას ჰგვრიდა. მათ შორის ერია სამი თუ ოთხი დედამშობელი. ესენი აშკარად თავს იკატუნებდნენ, ვითომც მხოლოდ საუბრით ვართ გართულიო; ნამდვილად კი თავიანთ გასათხოვარ ქალიშვილებს თვალს არ აცილებდნენ და მოსულთა შორის საქმროებს დაეძებდნენ. ქალიშვილებსაც კარგად ახსოვდათ დედების რჩევა-დარიგება, რაც შეიძლება უკეთ გამოეყენებინათ თავიანთი ნორჩი ასაკის უპირატესობა და შეუდგნენ კიდეც მსუბუქ ფლირტს - ხან მოსასხამი ეკარგებოდათ, ხან ხელთათმანი ერეოდათ, ხან ფინჯანი უყირავდებოდათ - მოგეხსენებათ, ყოველივე ეს წვრილმანი, მაგრამ გამოცდილი ქალის ხელში ფრიად საშიში იარაღია და დიდი წარმატებითაც სარგებლობს.

დარბაზის კარსა და შორეულ კუნჭულებში ჯგუფ-ჯგუფად მოეკალათათ ქერქეტა ყმაწვილებს, რომლებიც თავს არ ზოგავდნენ და დამსწრეთ უხვად უზიარებდნენ საკუთარ სიბრიყვესა და ყეყეჩობას, რითაც ხშირად თავს იქცევდნენ მათ ახლოს მყოფი ჭკვიანი ადამიანები; იმ ბრიყვებს კი გულით სწამდათ და ეჭვიც

არ ეპარებოდათ, რომ ტუტუცი გულზვიადობით საყოველთაო აღტაცებას იმსახურებდნენ...

დაბოლოს, უკანა რიგებში, კედლებთან ჩამწკრივებულ სკამებზე, გაუთხოვარი მანდილოსნები ისხდნენ სხვადასხვა წლოვანებისა და გარეგნობისა, რომელთაც კარგა ხანია გადაულახავთ ახალგაზრდობის კრიტიკული ასაკი: აღარ ცეკვავენ იმიტომ, რომ პარტნიორები არ ჰყავთ; არც ბანქოს თამაშობენ, იმიტომ, რომ ეშინიათ, „გადაყრუებული შინაბერა“ არ შეგვარქვანო. სამაგიეროდ, სკამები მთელი საღამოთი დაეჯავშნათ და უნდა მოგახსენოთ, პოზიციაც მეტად ხელსაყრელი ეჭირათ: თვით უხილავნი ყველასა და ყველაფერს უთვალთვალებდნენ და კარგადაც ჭორაობდნენ ყველაზე, რადგან ბალზე ბათის საუკეთესო ნაკრებ საზოგადოებას მოეყარა თავი. ეს იყო ჭეშმარიტი სურათი უდარდელი მხიარულებისა, ბრწყინვალებისა; საოცარი გამოფენა ძვირფასად ჩაცმული ხალხისა, ლამაზი სარკეებისა, გაკრიალებული იატაკებისა და თაფლის სანთლებისა. ამათ შორის მოხდენილად დასრიალებდა წარმოსადეგი ანჯელო საირესი, ესკვაირი, ცერემონმაისტერი; ზოგ სტუმარს მდაბლად უკრავდა თავს, ზოგს მეგობრულად ესალმებოდა და ყველას თავმომწონედ უღიმოდა.

- სასაუზმო დარბაზში მობრძანდით. ექვსპენსიანებიც მოამზადეთ ფეხის ქირად. იქ ცხელ წყალს დაგისხამენ და „ჩაიაო“ გეტყვიან. მაინც სინჯეთ, - ხმამაღლა წარმოთქვა მისტერ დაულერმა; შეკრებილთ შორის იგი გზას უკაფავდა მისტერ პიკვიკს, რომელიც მისის დაულერთან ხელგაყრილი, მეგობრების თანხლებით დარბაზში შემოვიდა.

მისტერ პიკვიკი სასაუზმო დარბაზისკენ გაემართა, მაგრამ ამ დროს იგი მისტერ ბენთამმა შენიშნა, იმწამსვე ხალხი სოლივით გააპო და აღტაცებით მიეგება სტუმრებს.

- ჩემო ძვირფასო სერ, ჭეშმარიტად დიდი პატივი დამდეთ და არა მარტო მე; თქვენი მობრძანებით მთელი ბათი გააბედ-ნიერეთ! მისის დაულერ, როგორ ამშვენებთ თქვენ ამ დარბაზს! გილოცავთ წარმატებას! რა ლამაზი ფრთებია! ბრწყინვალეა!

- არის აქ ვინმე? - იჭვნეულად იკითხა მისის დაულერმა.

- ვინმეო?.. მთელი ბათის რჩეულნი აქ გახლავართ! მისტერ პიკვიკ, ხედავთ იმ მანდილოსანს თავზე დოლბანდი რომ შემო-უხვევია?

- აგერ იქ, მსუქანი ხნიერი მანდილოსანი რომაა? - მიამიტი გამომეტყველებით ჰკითხა მისტერ პიკვიკმა.

- ჩუმად, ჩუმად, ჩემო ძვირფასო სერ. მოგეხსენებათ ბათში არავინაა არც მსუქანი და არც ხანდაზმული. ეს გახლავთ ქვრივი ლედი სნაფენაფი.

- რას ბრძანებთ! - წარმოთქვა მისტერ პიკვიკმა.

- დიახ, დიახ, სწორედ ის გახლავთ, - კვერი დაუკრა ცერემონ-მაისტერმა, - მისტერ პიკვიკ, ცოტა ახლოს მოიწიეთ, გეთაყვა. ხედავთ ამ საუცხოოდ ჩაცმულ ყმაწვილს ჩვენკენ რომ მოდის?

- აგერ, ის ვიწროშუბლიანი, გრძელი თმა რომ აქვს?

- დიახ, ეგ. ამჟამად ბათში მასზე უფრო მდიდარი ყმაწვილი არავინაა. ახალგაზრდა ლორდი მიუტენჰედი გახლავთ.

- ნუთუ, მართლა! - წამოიძახა მისტერ პიკვიკმა.

- დიახ. წამიც არ გაივლის, რომ მის ხმასაც გაიგონებთ, მის-ტერ პიკვიკ. მე გამომელაპარაკება. მეორე ჯენტლმენი, თან რომ ახლავს, პატივცემული მისტერ კრაშტონი გახლავთ, მისი უახ-ლოესი მეგობარი... როგორ ბრძანდებით, მილორდ?

- ძალიან ცხელა, ბენთამ, - განაცხადა მილორდმა.

- ცხელა, ძალიან ცხელა, მილორდ, - მიუგო ცერემონმაის-ტერმა.

- აუტანელი სიცხეა! - კვერი დაუკრა ორივეს პატივცემულმა მისტერ კრაშტონმაც.

ერთხანს სიჩუმე ჩამოვარდა. ამ ხნის განმავლობაში ლორდი მიუტენჰედი თვალს არ აშორებდა მისტერ პიკვიკს, მისტერ კრანშტონი კი თავს იტეხდა - ნეტავ, რა თემას აირჩევს სასაუბროდ ბატონი მილორდიო.

- მილორდის ეტლი თუ ნახეთ, ბენთამ? - ჰკითხა ბოლოს პატივცემულმა მისტერ კრაშტონმა ცერემონმაისტერს.

- ღმერთო ჩემო! - შესძახა ცერემონმაისტერმა, - ეტლი! რა დიდებული აზრია!

- გმერთო, შენ შემიწყალე! - წარმოთქვა მილორდმა, - მე მეგონა, აგალი ეტლი უკვე გველამ ნახა. ეს ხომ, ულამაგესი, მეტად ელეგანტური რამაა. ცითლადაა შეგებილი. ცგენი კი რძესავით თეთრია.

- ცალკე ყუთი აქვს წერილებისათვის და სხვა ამგვარი მოწყობილობა, - დასძინა პატივცემულმა მისტერ კრაშტონმა.

- ცინ პატარა დასაჯდომი აგვს რგინის გადასადებით მეეტლესადვის, - დაუმატა მილორდმა, - ამას წინად ბრისტოლში ცავედი, ღია ცითელი ფრაგი მეცვა, უგან ორი მსახური მომდევდა, ნაგევარი მილის მანძილზე, ეშმაკმა წამიგოს თუ ვტგუოდე: სახლებიდან ხალხი გამოდბოდა, მაჩერებდენ და მეკითგებოდენ - წერილების დამტარებელი ხომ არა ხარო? დიდებულია, დიდებული!

დაასრულა თუ არა ეს სახუმარო ამბავი, მილორდმა გულიანად გადაიხარხარა და იმწამსვე მას მოსაუბრენიც აჰყვნენ. შემდეგ პატივცემულ მისტერ კრაშტონს ხელი მკლავში გაუყარა, ყველას დაემშვიდობა და წავიდა.

- რა მშვენიერი ყმაწვილია, - აღტაცებით წარმოთქვა ცერემონმაისტერმა.

- ოღონდაც, - ცივად მიუგო მისტერ პიკვიკმა.

როდესაც ოფიციალური გაცნობისა და მისალმებების ცერემონია მოთავდა და ცეკვები დაიწყო, ანჯელო ბენთამი კვლავ მისტერ პიკვიკთან დაბრუნდა და ბანქოს სათამაშო დარბაზში გაიყვანა.

სწორედ იმწუთას, როდესაც ისინი ბანქოს სათამაშო დარბაზში შევიდნენ, ქვრივი ლედი სნაფენაფი და კიდევ ორი ხანდაზმული მანდილოსანი, ვისტის მოტრფიალენი, ერთ-ერთ მაგიდას დასტრიალებდნენ. თვალი მოჰკრეს თუ არა მისტერ პიკვიკს, რომელიც ანჯელო ბენთამმა შემოიყვანა დარბაზში, უმალ ერთმანეთს გადახედეს და გადაწყვიტეს - სწორედ ეს კაცი გამოგვადგება რობერის სათამაშოდო.

- ჩემო ძვირფასო ბენთამ, - ალერსიანად მიმართა ცერემონმაისტერს ლედი სნაფენაფმა, - გეთაყვა, ერთი კეთილი კაცი გვიშოვეთ, რომ ამ მაგიდაზე მეოთხე პარტნიორად გამოდგეს.

სწორედ ამ დროს მისტერ პიკვიკი რაღაცას მიშტერებოდა, მილედიმ ცერემონმაისტერს თვალით ანიშნა მასზე და მეტყველად შეიკრა კოპები.

- მილედი, ჩემი მეგობარი მისტერ პიკვიკი, ეჭვი არ მეპარება, დიდ ბედნიერებად ჩათვლის თქვენს პარტნიორად ყოფნას, - მიუგო ცერემონმაისტერმა, რომელიც უმალვე მიუხვდა მეტყველ მინიშნებას, - მისტერ პიკვიკი, ლედი სნაფენაფი, მისის უაგსბსი, მის ბოლო.

მისტერ პიკვიკმა სამივეს სათითაოდ დაუკრა თავი და როცა დარწმუნდა, აქედან თავს ვერ დავიძვრენო, კარტის დასტა აიღო ხელში და მოჭრა. მისტერ პიკვიკი და მის ბოლო ლედი სნაფენაფისა და მისის უაგსბის, პოლკოვნიკის მეუღლის წინააღმდეგ აღმოჩნდნენ.

მეორედ რომ ჩამოარიგეს და თულფა გამოცხადდა, ოთახში ორი ყმაწვილი ქალი შემოცქრიალდა და მისის უაგსბის, პოლკოვნიკის მეუღლეს, აქეთ-იქით ამოუდგა; ორივე მოთმინებით ელოდებოდა ხელის გათავებას.

- აბა, ჯეინ, მითხარი, - მიმართა მისის უაგსბიმ ერთ-ერთ ქალიშვილს, - რა მოხდა?

- დედიკო, იმისათვის მოვედი, რომ გკითხო - შეიძლება ვიცეკვო ახალგაზრდა კროულისთან? - ჩასჩურჩულა მშობელს უმცროსმა და უფრო ეშხიანმა ქალიშვილმა.

- ღმერთო ჩემო, ჯეინ, ეგ რამ გაფიქრებინა? - წყრომით მიუგო დედამ, - რამდენჯერ გითხარი: მამამისს მხოლოდ რვაასი გირვანქა სტერლინგი აქვს წლიური შემოსავალი-მეთქი. სიკვდილის შემდეგ ოჯახს ეგეც აღარ დარჩება. ნუ მარცხვენ, გეთაყვა... არავითარ შემთხვევაში!

- დედიკო, - ჩასჩურჩულა ახლა მეორემ; იგი გაცილებით უფროსი იყო თავის დაზე, უხეში და ამპარტავანი, - ლორდი ტენჰედი გამაცნეს. ცეკვაზე მიმიპატიჟა და მეც ვუთხარი - მგონი, ჯერ თავისუფალი ვარ-მეთქი.

- ნამდვილი ჭკუის კოლოფი ხარ, ჩემო საყვარელო, - მოუწონა საქციელი დედამ და შვილს მარაო ლოყაზე მოუცაცუნა, - შენი იმედი მუდამ მაქვს. ის ლორდი ზღაპრულად მდიდარია, ჩემო კარგო. ღმერთი იყოს შენი შემწე! - აქ მისის უაგსბიმ, პოლკოვნიკის მეუღლემ, სიყვარულით ჩაკოცნა უფროსი ქალიშვილი, დაუბღვირა უმცროსს და ბანქოს დაწყობას შეუდგა.

საცოდავი მისტერ პიკვიკი! ჯერ არასოდეს შეხვედრია მშვენიერი სქესის სამი ესოდენ გაწვრთნილი მოთამაშე! სამივე ისე ჭკვიანურად თამაშობდა, რომ მალე მას თავგზა აებნა: კარტს თუ სწორად არ ჩავიდოდა, მის ბოლო, თითქოს ხანჯლებს უყრისო, ისე განგმირავად უცქერდა. თუ ჩასვლას დააყოვნებდა, ფიქრობ-

და რომელ კარტს ჩასულიყო, ლედი სნაფენაფი სკამის ზურგზე თავს გადასწევდა და დაცინვით უღიმოდა მისის უაგსბის, პოლკოვნიკის მეუღლეს. ამის პასუხად მისის უაგსბი მხრებს აიჩეჩდა და მეტყველად ჩაახველებდა, ეტყობა იმის ნიშნად - არ ვიცი, გვაღირსებს ეს კაცი კარტის ჩამოსვლას თუ არაო. ყოველი ხელის დამთავრებისას, მის ბოლო ღრმად ამოიოხრებდა და სევდიანი სახით პარტნიორს შეეკითხებოდა - რატომ ხელმეორედ არ ითამაშა აგური ან ჯვარი, ან დროზე არ გაჭრა გული, ტუზი არ მოკლა, ან მეფის საწინააღმდეგოდ არ ითამაშა და სხვა ამგვარი. როგორც ხედავთ, ბრალდებები სერიოზული იყო, მაგრამ მისტერ პიკვიკი თავს ვერაფრით იმართლებდა, რადგან თუ ოდესმე იცოდა კიდეც თამაშის წესი, ახლა, პარტნიორებისგან დაშინებულს, ისიც დავიწყებოდა; ესეც რომ არ იყოს, მათი მაგიდის გარშემო ხალხი გაუთავებლად ტრიალებდა და თამაშს შესცქეროდა, რამაც კიდევ უფრო დააბნია იგი. გარდა ამისა, მისტერ პიკვიკის ყურადღება უნებლიეთ მიიპყრო საუბარმა, რომელიც გაიმართა ანჯელო ბენთამისა და ორ მის მეტინგერს შორის. ესენი გახლდნენ მეტად ახირებული შინაბერები, რომლებიც თავს ევლებოდნენ ცერემონმაისტერს იმ იმედით, რომ იქნებ საცეკვაოდ ერთი კავალერი მაინც გვიშოვოსო. ყოველივე ამან და ასევე იქ გამეფებულმა ღრიანცელმა და ფეხების ფლატუნმა ის შედეგი გამოიღო, რომ მისტერ პიკვიკს თითქმის ყოველ სვლაზე რაღაც ეშლებოდა, არც კარტი მოსდიოდა. როდესაც თორმეტის ათ წუთზე თამაში დასრულდა, მის ბოლო უხმოდ წამოდგა, საშინლად შეურაცხყოფილი და თვალცრემლიანმა პორტშეზით შინისაკენ გასწია.

მისტერ პიკვიკი კვლავ მეგობრებთან დაბრუნდა. სამივემ ერთხმად განუცხადა, ასე საუცხოოდ არასდროს გაგვიტარებია დროო; პიკვიკი მათთან ერთად „თეთრ ირემში“ გაემგზავრა,

შემდეგ აღელვებული გული ცხელი სასმლით დაიშოშმინა და საწოლს მიაშურა. დაღლილს იმწამსვე ჩაეძინა.

თავი XXXVI

რომელიც ალალ-მართლად გადმოგვცემს ლეგენდას პრინც ბლეიდადის შესახებ; გვამცნობს აგრეთვე ფათერაკს, რომელიც მისტერ უინკლს შეემთხვევა

მისტერ პიკვიკი ფიქრობდა, რომ ბათში ორ თვეს მაინც დარჩებოდა. ამიტომ გადაწყვიტა ისევ კერძო ბინა დაექირავებინა. მართლაც არ გასულა დიდი ხანი, რომ ბედმა გაუღიმა: შედარებით იაფად დაიქირავა მთელი მეორე სართული ერთ-ერთ სახლში, რომელიც როიალ-კრესენტზე მდებარეობდა. მაგრამ ბინა იმდენად დიდი აღმოჩნდა, რომ მისტერ და მისის დაულერებმა სთხოვეს, ერთი საწოლი და სასტუმრო ოთახი ჩვენ დაგვითმეო. ეს წინადადება, რაღა თქმა უნდა, დაუყოვნებლივ იქნა მიღებული და სამი დღეც არ გასულა, რომ ახალი მობინადრეები ხსენებულ სახლში დასახლდნენ. მხოლოდ ამის შემდეგ შეუდგა მისტერ პიკვიკი მინერალური წყლებით მკურნალობას: ყოველ დილას, უზმოზე, თითო ჭიქას გადაჰკრავდა თუ არა, გორაკზე ადიოდა; დაბრუნებისას კიდევ ერთ ჭიქას მიირთმევდა; საუზმის შემდეგ კიდევ ერთ ჭიქას დალევდა და შემდეგ კიდევ ერთსა და კიდევ ერთს. ყოველი ჭიქის შემდეგ აცხადებდა, ახლა გაცილებით უკეთ ვგრძნობ თავსო. ამ ამბავმა ძალიან გაახარა მისი მეგობრები, თუმცა, მართალი გითხრათ, ადრე არც გაეგონათ, რომ მათ წინამძღოლს ოდესმე ასტკივებოდა რამე.

დიდი გალერეა ვრცელი დარბაზია, რომელსაც მაღალი ბერძნული სვეტები ამშვენებს. აქვს ესტრადა ორკესტრისათვის, დი-

დი საათი, ნეშის ძეგლი და ოქროსასოებიანი წარწერა, რომელიც უნებლიეთ ყველას ყურადღებას იპყრობს, ვინც კი წყლის დასალევად ჩამოდის, რადგან შინაარსითაა ღირსშესანიშნავი - ადამიანთა მოდგმას მოუწოდებს, მოწყალე იყავითო. აქვეა დიდი აუზი, მარმარილოს ვაზით შემკული, რომლიდანაც მსახური ასხამს წყალს და აქვეა უამრავი ჩაყვითლებული ჭიქაც, რომლითაც სტუმრები მიირთმევენ წყალს. რა საამო და ჭკუის სასწავლებელი სანახაობაა, როდესაც ხედავ, თუ როგორ დინჯად, გულმოდგინედ შთანთქავენ მოაგარაკენი ამ დიდებულ, საკურნებელ სითხეს. იქვე ახლოს აბაზანებია განთავსებული, სადაც ჩამოსულ სტუმართა ნაწილი ბანაობს; აქვეა ორკესტრიც, რომელიც მათ, ყოველ ჯერზე, ბანაობის მშვიდობიანად დამთავრებას ულოცავს. არის კიდევ ერთი გალერეა, სადაც მწოლიარე ავადმყოფები მოჰყავთ საკაცეებითა და სავარძლებით. მესამე გალერეაც გახლავთ, სადაც თავს იყრის შედარებით წყნარი ხალხი, რადგან იქ ისეთი ღრიანცელი არ დგას. აქ დასეირნობენ ყავარჯნიანი და უყავარჯნო, ჯოხებიანი და უჯოხო ჯენტლმენები; აქ ყოველი მხრიდან მოისმის მხიარული ბაასი და საამო ჟრიამული. ყოველ დილას, ის პირები, რომლებიც რეგულარულად სვამდნენ წყალს, მათ შორის მისტერ პიკვიკიც, ერთმანეთს ერთ-ერთ დერეფანში ხვდებოდნენ, მიირთმევდნენ თითო ჭიქას და შემდეგ გორაკზე ადიოდნენ. სადილის შემდეგ სეირნობისას ლორდ მიუტენჰედი და პატივცემული მისტერ კრაშტონი, ქვრივი ლედი სნაფენაფი, მისის უაგსბი - პოლკოვნიკის მეუღლე და კიდევ სხვები, ისინი, ვინც კი დილაობით წყალს მიირთმევდნენ, ერთად იყრიდნენ თავს და სასეირნოდ მიემგზავრებოდნენ ეტლით ან ფეხით; ამის შემდეგ ჯენტლმენები სამკითხველო დარბაზში მოიყრიდნენ თავს და აქაც ჯგუფ-ჯგუფად ხვდებოდნენ ერთმანეთს; ბოლოს ყველა თავის სახლს მიაშურებდა. თუ წარ-

მოდგენა იმართებოდა, თეატრში ხვდებოდნენ ერთმანეთს; თუ საღამოს წვეულება იყო დანიშნული, ისინი კვლავ ხვდებოდნენ ერთმანეთს ერთ-ერთ დარბაზში; და თუ არც ერთი იყო და არც მეორე - ისინი მაინც ხვდებოდნენ ერთმანეთს მეორე დილას. უნდა მოგახსენოთ, ფრიად სასიამოვნო განრიგი გახლავთ, თუმცა შესაძლოა ზოგიერთს იგი ერთფეროვნად მოეჩვენოს.

ერთხელ მისტერ პიკვიკი მარტო იჯდა ერთ-ერთი ასეთი დღის შემდეგ და დღიურში რაღაც შენიშვნებს იწერდა (მისი მეგობრები უკვე დასაძინებლად ავიდნენ). უეცრად კარზე ჩუმი კაკუნი გაისმა.

- მომიტევეთ, სერ, - წარმოთქვა მისის კრედოკმა, სახლის პატრონმა, როდესაც ოთახში შემოვიდა, - ხომ არაფერი გნებავთ კიდევ, სერ?

- არაფერი, ქალბატონო, - მიუგო მისტერ პიკვიკმა.

- მსახური ქალი უკვე დაწვა, სერ, - შენიშნა მისის კრედოკმა, - მისტერ დაულერი კი იმდენად კეთილია, რომ შემპირდა - წვეულება გვიან ღამით დამთავრდება და მისის დაულერს მე თვითონ დაველოდებიო. მეც ვფიქრობ, თუ თქვენ აღარაფერი გნებავთ, მისტერ პიკვიკ, მეც ავალ დასაძინებლად.

- რა თქმა უნდა, ქალბატონო, - მიუგო მისტერ პიკვიკმა.

- ძილი ნებისა, სერ, - თქვა მისის კრედოკმა.

- ღამე მშვიდობისა, ქალბატონო, - მიუგო მისტერ პიკვიკმა.

მისის კრედოკმა კარი მიიხურა, მისტერ პიკვიკმა კი წერა განაგრძო. ნახევარ საათში შენიშვნების წერა დაასრულა, გულდასმით გაამშრალა საშრობით უკანასკნელი ფურცელი, უბის წიგნაკი დახურა, ფრაკის კალთების შიგნითა პირზე კალამს წვეტი გაუწმინდა და საწერი მაგიდის ყუთი გამოაღო, რომ შიგ სამელნე შეენახა. უეცრად ყუთში თვალი მოჰკრა ქაღალდების დასტას. წვრილად ნაწერს, მსხვილი, გარკვეული ასოებით დაწე-

რილი სათაური ჰქონდა. როცა სათაურს თვალი შეავლო, დარწმუნდა, რომ ეს რაიმე პირადი დოკუმენტი არ იყო, არამედ რაღაც ამბავი კურორტ ბათის შესახებ და თანაც ძალიან მოკლე, მისტერ პიკვიკმა ქაღალდები გაშალა, სანთელს თავი გაუსწორა, იქვე სკამი მიიდგა და ამბის კითხვას შეუდგა:

„ალალ-მართალი ლეგენდა პრინც ბლეიდადის შესახებ“

ორასიოდე წლის წინათ, ჩვენი ქალაქის ერთ-ერთ აბანოს ამშვენებდა წარწერა მისი დამაარსებლის, სახელგანთქმული პრინც ბლეიდადის პატივსაცემად. დროთა განმავლობაში თაობიდან თაობამდე გადასცემდნენ ერთ ძველისძველ ლეგენდას იმის შესახებ, რომ ერთი დიდად სახელმოხვეჭილი პრინცი ათინადან დაბრუნების შემდეგ, სადაც ცოდნის უხვი მოსავალი მოიმკა, კეთრით დაავადდა. უბედურმა მიატოვა თავისი სახელოვანი მამის კარი და სევდით შეპყრობილი, მდაბიოებსა და ღორებთან დასახლდა. იმ ჯოგში, ასეა ნათქვამი ლეგენდაში, ერთი ღორი იყო, რომელსაც მეტად აზრიანი, ჭკვიანი სახე ჰქონდა. პრინცი გულთბილად ეპყრობოდა მას, რადგან ისიც ბრძენი და ჭკვიანი იყო. ეს პირუტყვი ბევრად მაღლა იდგა თავის თანამოძმეებზე, რომელთა ღრუტუნი ყურისთვის საზარელი იყო და რომელთა კბენა მეტად მტკივნეული. მწარედ ამოიოხრებდა ხოლმე პრინცი, როდესაც ამ დიდებულ ცხოველს აკვირდებოდა, აგონდებოდა თავისი ძლევამოსილი მამა და თვალები ცრემლით ევსებოდა.

ამ ბრძენ ღორს ბანაობა უყვარდა თხელ, ლივლივა ტალახში. მარტო ზაფხულში კი არ ბანაობდა გასაგრილებლად, როგორც ჩვენმა ღორებმა იციან და თურმე ეს იმდროინდელ ღორებსაც წესად ჰქონდათ მიღებული (აშკარა საბუთი იმისა, რომ ცივილი-

ზაციის შუქი უკვე მაშინაც ენთო, თუმცა ჯერ ოდნავ ბჟუტავდა), არამედ ზამთრის სუსხიან დღეებშიც საათობით შიგ იწვა. ღორის ჯაგარი მუდამ ისე პრიალებდა და კანიც ისე უქათქათებდა, რომ ერთხელ პრინცმა გადაწყვიტა - მოდი, მეც ვიბანავებ ამ წყალშიო. სცადა კიდეც. იქ შავი ტალახის ქვეშ ბათის ცხელი წყარო ჩუხჩუხებდა. პრინცი განიბანა შიგ და განიკურნა. უმალვე მამის კარს მიაშურა და თაყვანი სცა. მალე უკანვე დაბრუნდა და დააარსა ეს ქალაქი თავისი ცნობილი სამკურნალო აბანოებით.

პრინცმა მაშინვე დიდი სიყვარულით მოიკითხა ის ღორი, მაგრამ ვეღარსად ნახა, საცოდავი წყლის მსხვერპლი გამხდარიყო. დაუდევრობით დაემართა - მეტად ცხელი აბაზანა მიეღო და ამ ჭეშმარიტად, თვით ბუნების მიერ გაჩენილმა ფილოსოფოსმა თქვენი ჭირი წაიღო. პლინიუსმაც, ეტყობა, მას მიჰბაძა - ისიც ცოდნის დაუშრეტელი წყურვილის მსხვერპლი გახდა.

ასეთი გახლავთ ლეგენდა. ახლა მოისმინეთ ნამდვილი ამბავი:

მრავალი საუკუნის წინათ განცხრომით ცხოვრობდა დიდად სახელმოხვეჭილი ლად ჰუდიბრასი, ბრიტანეთის მეფე. იგი ძლევამოსილი მეფე გახლდათ; როდესაც დადიოდა, მიწას ზანზარი გაჰქონდა, ისეთი მსუქანი იყო. მისი ხალხი თავისი მზიური მეფის შუქზე თბებოდა, ისეთი ღაჟღაჟა და პრიალა სახე ჰქონდა. მისი სხეულის ყოველი გრამი ჭეშმარიტად მეფური გახლდათ და თუმცა ტანით არ იყო მაღალი, სამაგიეროდ, განში დამრგვალებულიყო და ის გრამები, რომელიც სიმაღლეში დააკლდა, მას სიგანეში აენაზღაურებინა უხვად. თუ რომელიმე, უფრო უახლოესი დროის მეფეებიდან ოდნავ მაინც გაუძლებს მასთან შედარებას, ჩემი აზრით, ისევ დიდად პატივცემული მეფე კოლი.

ამ ღირსშესანიშნავ მეფეს დედოფალი ჰყავდა, რომელსაც თვრამეტი წლის წინათ ვაჟი შეეძინა. ვაჟს სახელად ბლეიდადი

დაარქვეს. რამდენიმე წლის შემდეგ პრინცი მოსამზადებელ სკოლაში მიაბარეს, რომელიც მამის საბრძანებელშივე იმყოფებოდა. ყმაწვილს ათი წელი რომ შეუსრულდა, იგი ერთგულ მსახურს ჩააბარეს და ათინაში გაგზავნეს, უმაღლეს სკოლაში სასწავლებლად. პრინცმა იქ მთელი რვა წელიწადი გაატარა. აღნიშნული დრო რომ გავიდა, მეფემ, მისმა მამამ ათინაში ლორდ-კამერგერი გაგზავნა, რომ სკოლაში ანგარიში გაესწორებინა და ვაჟიშვილი სახლში ჩამოეყვანა. შეასრულა თუ არა ლორდმა ეს საპატიო დავალება, იგი დიდი პატივით მიიღეს სამშობლოში და მაღალი პენსიაც დაუნიშნეს.

როდესაც მეფე ლადმა იხილა პრინცი, თავისი ვაჟიშვილი, რომელიც ტანადი, მოხდენილი ყმაწვილი დამდგარიყო, უმალვე თავში გაუელვა - საუცხოო იქნება, ახლავე ცოლი შევრთო, რათა მისი შვილები დიდებული გვარის გაგრძელების საშუალებად იქცნენ ამ დალოცვილი სამყაროს არსებობის უკანასკნელ დღემდეო. ამ მიზნით, მეფემ საგანგებოდ აირჩია მოციქულნი იმ დიდგვაროვან თავადთა შორის, რომელთაც კარზე არავითარი თანამდებობა არ ეჭირათ, მომგებიანი საქმე კი ძალიან სჭირდებოდათ. ეს მოციქულნი მეზობელ მეფეს გაუგზავნა და სთხოვა - შენი მშვენიერი ასული ჩემს ვაჟიშვილს მოათხოვეო. თან შეუთვალა, - გულით მსურს, ძმური ურთიერთობა მქონდეს შენთანო. მაგრამ, იცოდე, ამ ქორწინებაზე თუ უარს მეტყვი, იძულებული ვიქნები, დავემორჩილო მეტად უსიამოვნო აუცილებლობას - შენს სამფლობელოში შემოვიჭრე და თვალები დაგთხაროო. ამაზე იმ მეფემ (ორთა შორის ის უფრო სუსტი გახლდათ) თავაზიანად უპასუხა, რომ დიდ მადლობას ვწირავ ჩემს ძმასა და მეგობარს მისი სიკეთისა და სულგრძელობისთვისო; ჩემი ქალიშვილი მზადაა, გაჰყვეს ცოლად ახალგაზრდა პრინცს, როგორც კი იგი ინებებს ჩამოსვლას და მის წაყვანასო.

ჩავიდა თუ არა ეს პასუხი ბრიტანეთში, უმალვე მთელი ხალხი სიხარულით აღივსო. სამეფოს ყოველ კუნჭულში ქეიფისა და ნადიმების მეტი არაფერი იმართებოდა. გაისმოდა ფულის წკრიალი, რომელსაც ხალხი მეფის ხაზინადარს უხდიდა, რათა დაეფარათ ხარჯები ესოდენ ბედნიერი შემთხვევის გამო. სწორედ ამიტომ მოხდა, რომ მეფე, რომელიც სათათბირო დარბაზში ტახტზე იჯდა, გრძნობამორეული წამოდგა და უბრძანა ლორდს, უზენაეს მოსამართლეს - განკარგულება გაეცი, საუკეთესო ღვინოები მოგვართვან და კარის მომღერლები მოიწვიონო - მოწყალების აქტი, რომელიც ლეგენდარული ისტორიკოსების უვიცობის გამო მეფე კოლს მიაწერეს იმ ცნობილ სტრიქონებში, სადაც მისი უდიდებულესობის შესახებ ნათქვამია:

„მოითხოვა ჩიბუხი, მოითხოვე ფიალა,
და სამი ვიოლინოს დამკვრელი“.

დიდი უსამართლობა გახლავთ მეფე ლადის მიმართ და მეფე კოლის სიქველეც აშკარად გადაჭარბებულია.

ამ გახურებული ქეიფისა და დროს ტარებისას სუფრასთან იჯდა ერთი კაცი, რომელიც არც სვამდა, როცა აქაფებულ ღვინოს უსხამდნენ და არც ცეკვავდა, როდესაც მენესტრელები უკრავდნენ. ეს გახლდათ თვით პრინცი ბლეიდადი. პრინცი, რომლის ბედნიერებისათვის ხალხი არც ხმას ზოგავდა და არც საფულეს. საქმე ის არის, რომ პრინც ბლეიდადს დავიწყებოდა, რომ მხოლოდ მისი საგარეო საქმეთა მინისტრი იყო უფლებით მოსილი შეეყვარებინა მის ნაცვლად ქალი; მიუხედავად ყველანაირი პოლიტიკისა და დიპლომატიისა, პრინცს ერთი ათინელი ასული შეჰყვარებოდა და დაენიშნა კიდეც.

აქ ჩვენ გვაქვს ცივილიზაციისა და დახვეწილობის საოცარი ნიმუში. ამ პრინცს უფრო გვიანდელ ხანაში რომ ეცხოვრა, იგი უმალვე შეირთავდა იმას, ვინც მამამისმა აურჩია; მერე კი გულდაგულ შეეცდებოდა გათავისუფლებულიყო ტვირთისგან, რომელიც ესოდენ ამძიმებდა; უთუოდ გულს მოუკლავდა მეუღლეს იმით, რომ ხშირად შეურაცხყოფას მიაყენებდა, ანდა სულაც არაფრად ჩააგდებდა. მაგრამ თუ მშვენიერი სქესის ჯიუტი სული და შეგნება, რომ უსამართლოდ შეურაცხყოფენ, ქალს ძალას გაუათკეცებდა და ისიც გაუძლებდა ესოდენ უდიერ მოპყრობას, მაშინ ქმარი უთუოდ შეეცდებოდა, სიცოცხლეს გამოესალმებინა ცოლი და ამ გზით მაინც საბოლოოდ მოიშორებდა თავიდან, წარმოიდგინეთ, რომ გათავისუფლების არც ერთი საშუალება ფიქრადაც არ მოსვლია პრინც ბლეიდადს! მან დაუყოვნებლივ მოითხოვა აუდიენცია მამასთან და მშობელს თავისი საიდუმლო გაუმჟღავნა.

ისიც ცნობილია, რომ უძველესი დროიდან ასე მოსდევთ მეფეებს - ყველაფრის მართვა შეუძლიათ, გარდა საკუთარი ვნებებისა. მეფე ლადი საშინლად განრისხდა, გვირგვინი ჭერში ისროლა და კვლავ დაიჭირა (რადგან იმ დროს მეფეები გვირგვინს თავზე ატარებდნენ - ტაუერში როდი ინახავდნენ), გააფთრებულმა იგი მიწას დაანარცხა და შუბლზე ხელი შემოიკრა - იმდენად გაოცდა, რომ მისი საკუთარი სისხლი და ხორცი, მისი პირმშო მის წინააღმდეგ წავიდა. გონს რომ მოვიდა, მხლებლებს უხმო და უბრძანა - პრინცი დაუყოვნებლივ კოშკში დაამწყვდიეთო. უნდა მოგახსენოთ, რომ ასეთ საშუალებასაც ძველ დროში მეფეები ხშირად მიმართავდნენ საკუთარი შვილების მიმართ იმ შემთხვევაში, როდესაც მათი სურვილები მამების სურვილებს ეწინააღმდეგებოდა.

პრინცმა ბლეიდადმა მაღალ კოშკში ნახევარ წელზე მეტი გაატარა (ამ ხნის განმავლობაში თვალით მარტო ქვიტკირის კედელს ხედავდა, ხოლო გონებით ხანგრძლივ პატიმრობას ჭვრეტდა). სრულიად ბუნებრივია, რომ გაქცევა გადაწყვიტა. გეგმაც მოიფიქრა და მრავალი მზადების შემდეგ, განახორციელა კიდეც. თანაც თავისი სადილის დანა მეციხოვნის გულში ჩატოვა, რომ საცოდავზე ეჭვი არ მიეტანათ (რადგან დიდი ოჯახი ჰყავდა შესანახი) და სასტიკად არ დაესაჯა გააფთრებულ მეფეს.

მეფე გაცოფდა, ვაჟიშვილის დაკარგვის ამბავი რომ შეიტყო, აღარ იცოდა, ვისზე ეყარა ჯავრი. საბედნიეროდ, ისევ ის ლორდი-კამერგერი მოაგონდა, რომელმაც ათინადან ჩამოუყვანა შვილი. მხოლოდ მაშინ დაშოშმინდა, როდესაც ლორდს ერთდროულად მოუსპო პენსიაც და სიცოცხლეც.

ამასობაში ახალგაზრდა პრინცი, გადაცმული, დაეხეტებოდა მამამისის სამფლობელოში. ბევრ გაჭირვებას იტანდა: ერთადერთი, რაც მას გულს უხარებდა და ანუგეშებდა - ეს იყო ოცნება ათინელი მშვენიერი ასულის შესახებ, რომელიც მისდა უნებურად გახდა პრინცის დიდი უბედურების მიზეზი.

ერთ დღეს პრინცმა ერთ-ერთ სოფელში დასვენება გადაწყვიტა. შენიშნა მხიარული ცეკვა-თამაში, რომელიც ხალხს ზედ მინდორზედ გაემართა; შენიშნა მხიარული სახეებიც, ყველგან რომ მოჩანდა; როგორც იქნა, გაბედა და ერთ-ერთ მოქეიფეს, რომელიც მის გვერდით იდგა, ჰკითხა მხიარულების მიზეზი.

- ნუთუ არაფერი იცი, მოგზაურო, ჩვენი კეთილისმყოფელი მეფის უკანასკნელი მომართვის შესახებ? - მოესმა პასუხად.

- მომართვის შესახებ? არაფერი ვიცი. რა მომართვაა? - იკითხა პრინცმა. მან მართლაც არაფერი იცოდა, თუ რა ხდებოდა დიდ გზაზე, რადგან მთელი ამ ხნის განმავლობაში უდაბური და უკაცრიელი ბილიკებით მგზავრობდა.

- რაო და, - მიუგო გლეხმა, - უცხოელი ქალბატონი, რომელიც ჩვენ პრინცს უნდა შეერთო, გათხოვილა ერთ-ერთ თავადზე, თავისივე თანამემამულეზე. მეფემ სწორედ ამის შესახებ გამოაცხადა და დიდი, სახალხო დღესასწაულიც დანიშნა, რადგან, ახლა, პრინცი ბლეიდადი უსათუოდ დაბრუნდება და შეირთავს იმ ასულს, რომელიც მამამისმა აურჩია. ამბობენ, ის მზესავით მშვენიერიაო. ნახვამდის, სერ. ღმერთმა აცოცხლოს ჩვენი მეფე!

პრინცი იმ სოფელში დიდი ხნით არ შეყოვნებულა. მალევე გაიქცა და უღრან ტევრს შეაფარა თავი. სულ წინ მიიწევდა. მიდიოდა მთელი დღე და მთელი ღამე, მზის მცხუნვარე სხივებსა და ცივი, ფერმკრთალი მთვარის შუქზე, აისის გაცრეცილ ნათელსა და დაისის ალისფერ კიაფზე.

იმდენად ცოტას ფიქრობდა იგი დროისა და მიზნის შესახებ, რომ ათინას მიმავალი, მოულოდნელად ბათში აღმოჩნდა.

იმ დროს იქ, სადაც ახლა ბათია, ქალაქი როდი იყო; არ იყო არც ადამიანის სადგომის მაგვარიც კი არაფერი, რისთვისაც შეიძლებოდა თუნდაც დაბა გეწოდებინათ, მაგრამ ეს ადგილი იმ დროსაც დალოცვილი მხარე ყოფილა. გაშლილი ველები, უთვალავი გორაკები, მშვენიერი წყარო, რომელიც შორს, ცის დასალიერისკენ მიედინებოდა; მაღალი მთები, დილის ნისლით შებურვილი, რომელთა ჭვრეტა ადამიანს ყოველგვარ გაჭირვებასა და დარდს დაავიწყებს, შორიდან მკვეთრი და პირქუშნი როდი მოჩანდნენ; პირიქით, კაცს საამოდ და მყუდროდ ეჩვენებოდნენ.

ამ წარმტაცი ბუნების სინაზემ პრინცს გული აუჩუყა. იგი მწვანე მოლზე დაეშვა და ცრემლით განბანა დასივებული ფეხები.

- ოჰ! - აღმოხდა უბედურ ბლეიდადს. საცოდავი ხელებს იმტვრევდა და სევდიანი თვალით ზეცას შეჰყურებდა, - ო, ნეტავ ჩემი ხეტიალი აქ დასრულდებოდეს. ო, ნეტავ ეს მადლიანი

ცრემლები, რომლითაც ახლა ჩემს გაცბუნებულ ოცნებასა და შელახულ სიყვარულს დავტირი, წყაროდ იქცეს და მშვიდად იდინოს ამ ველზე საუკუნოდ!

მისი სურვილი აღსრულდა. მოგეხსენებათ, ეს ჯერ კიდევ იმ დროს მოხდა, როდესაც წარმართი ღმერთები ყურს ათხოვებდნენ ადამიანის ვედრებას - ხშირად უადგილოსაც. თვალის დახამხამებაში პრინცის ფეხქვეშ მიწა გაირღვა და ყმაწვილი თან ჩაიტანა. კვლავ შეკრა მიწამ პირი, მაგრამ ვაჟის მხურვალე ცრემლებმა მის კანში გამოჟონა და თბილ წყაროდ იქცა.

ცნობილია, რომ დღესაც მრავალი ხანდაზმული მანდილოსანი და ჯენტლმენი, რომელთაც ცხოვრებაში ვერ მონახეს თანამგზავრი და თითქმის ამდენივე ყმაწვილი ქალი და კაცი, რომელთაც გულითა და სულით სურთ შეხვდნენ ასეთ თანამგზავრს, ყოველ წელს ჩამოდიან ბათს, რათა შესვან ეს გრძნეული წყალი, რომელიც მათ ძალასა და ნუგეშს შემატებს. როგორც ხედავთ, პრინცის ცრემლებმა მეტად სასიქადულო დანიშნულება პოვეს და თანაც ამით დაამტკიცეს პრინცის ამბავის ჭეშმარიტება“.

* * *

ხელნაწერის კითხვა რომ მოათავა, მისტერ პიკვიკმა დაამთქნარა, ფრთხილად მოკეცა ქაღალდები და კვლავ ჩადო ყუთში, რომელშიც საწერი მოწყობილობა ინახებოდა. სახეზე დაღლილობა დაეტყო. მან ახალი სანთელი აანთო და საწოლი ოთახისკენ გაემართა.

როგორც ყოველთვის, გზაზე მისტერ დაულერის ოთახის კართან შეჩერდა, რომ მეგობრისთვის ღამე ნებისა ესურვებინა. ჩუმად დააკაკუნა.

- ჰმ! - ხმა გასცა მისტერ დაულერმა, - დასაძინებლად მიბრძანდებით? საშინლად მეძინება. ნეტავ შემეძლოს დაწოლა. საშინელი ღამეა, მგონი, ქარიც ამოვარდა?

- დიახ, მაგრად უბერავს, - კვერი დაუკრა მისტერ პიკვიკმა, - ღამე ნებისა!

- ღამე მშვიდობისა.

მისტერ პიკვიკი თავის საძინებელში შევიდა. მისტერ დაულერი კი კვლავ ბუხრის წინ ჩამოჯდა, რომ პირნათლად შეესრულებინა ესოდენ დაუფიქრებლად მიცემული დაპირება - არ დაეძინა, ვიდრე მეუღლე წვეულებიდან არ დაბრუნდებოდა.

წარმოიდგინეთ, რა უნდა იყოს ამქვეყნად იმაზე უფრო უსიამოვნო, როდესაც შუაღამისას ვინმეს ელოდები, მით უფრო რომ ეს ვინმე წვეულებაზეა წასული და არხეინად ერთობა იქ. უნებლიეთ თავში გაგიელვებთ, თუ როგორ სწრაფად მირბის დრო იმისათვის, ვინც სტუმრად არის და პირიქით როგორ მიიზლაზნება წამები და წუთები თქვენთვის. რაც უფრო მეტს ფიქრობთ ამის შესახებ მით უფრო მალე გადაგიწყდებათ იმედი, რომ მომსვლელი მალე დაბრუნდება. მარტო რომ ზიხართ, საათიც გულის გამაწვრილებლად წიკწიკებს; თქვენ გეჩვენებათ, რომ თანდათანობით ობობას ქსელში ეხვევით; ჯერ გიღიტინებთ მარჯვენა მუხლში, მერე იმავეს გრძნობთ მარცხენაშიც; ცდილობთ პოზა შეიცვალოთ, მაგრამ უსიამოვნო ღიტინი ახლა ხელებზედაც გადადის. როდესაც ხელებსა და ფეხებს უცნაურად დაგრეხთ, რომ შვება იგრძნოთ, უეცრად საშინელი ქავილი აგიტყდებათ ცხვირში. თქვენც ისრესთ მას, ისრესთ იმდენ ხანს, რომ ლამის მოიგლიჯოთ სულ. თვალები, თვალებიც რომ გაწვალებთ! თითქოს ნემსებს გიყრიან შიგ. ვიდრე ერთ სანთელს ნაღვენთს ხდით, მეორის ფთილა ერთიორად იზრდება. ესა და კი-

დევ სხვა უამრავი წვრილმანი ღამისთევას მეტად უსიამოვნოს ხდის, მით უფრო მაშინ, როცა ყველას ტკბილად სძინავს.

ასე ფიქრობდა მისტერ დაულერიც. იჯდა ბუხრის წინ მოკეცილი და სამართლიანად ჯავრობდა წვეულების უღმერთო მონაწილეებზე, რომლებიც არ ასვენებდნენ მას და უდროოდ უტეხდნენ ძილს. გუნება არც იმ ფიქრმა გამოუკეთა, რომ მოსაღამოვდა თუ არა, თვითონვე განუცხადა ცოლს, თავი მტკივაო და ამ მიზეზით სახლში დარჩა. რამდენჯერმე ჩასთვლიმა კიდეც. ჩასთვლემდა თუ არა, ბუხრის რიკულს გადააწვებოდა და დროზე რომ არ გამოფხიზლებულიყო, უთუოდ დაღს ამოიწვამდა სახეზე. დაიტანჯა საცოდავი. ბოლოს გადაწყვიტა - საწოლზე წამოვწვები უკანა ოთახში, მაგრამ არ დავიძინებო.

- ღრმა ძილი ვიცი, - თქვა მისტერ დაულერმა, როდესაც საწოლზე გაიშოტა, - ამიტომ ჯობს, ფხიზლად ვიყო. მგონი, კაკუნს აქაც გავიგონებ... რა თქმა უნდა, გავიგონებ. აგერ, დარაჯი დადის. მისი ფეხის ხმა მესმის... ახლა უფრო ყრუდ მესმის, ეტყობა, კუთხეში შემოუხვია. აა! - მისტერ დაულერის ფიქრთა დენამ ამ წერტილს რომ მიაღწია, მანაც მოუხვია იმ კუთხეს, რომელზედაც დიდხანს იდგა და ყოყმანობდა და ბოლოს საღათას ძილს მისცა თავი.

საათმა სამჯერ დაჰკრა და კრესენტის ქუჩაზე გამოჩნდა პორტშეზი, რომელშიც მისის დაულერი იჯდა. პორტშეზი ორ მზიდავს მოჰქონდა: ერთი დაბალი და სქელი იყო, ხოლო მეორე მაღალი და გამხდარი. ეტყობა, მათ ისიც უჭირდათ, რომ სწორ მდგომარეობაში გაეჩერებინათ თავიანთი სხეულები, რომ აღარაფერი ვთქვათ თვით პორტშეზზე, რომელიც აშკარად წონასწორობიდან იყო გამოსული. აქ, მაღლობზე, ქარის მძვინვარებას საზღვარი არ ჰქონდა, ლამის ქვაფენილის ქვები ამოეგლიჯა. ამიტომ ორივე მზიდავს ძალიან გაუხარდა, როდესაც დანიშნულ

სახლს მიაღწიეს, პორტშეზი დაბლა ჩადგეს და სადარბაზო კარს ორჯერ მაგრად მიუკაკუნეს.

ცოტა ხანს შეიცადეს, მაგრამ ხმა არავინ გასცა.

- ეტყობა, მსახურები მორფეუსს ჩახუტებიან მაგრად, - წარმოთქვა დაბალმა მზიდავმა. იგი ხელებს ითბობდა მეგზურის ჩირაღდანზე, რომელიც მათ ახლდათ.

- ნეტავ, ისიც მაგრად უპწკენდეს და გამოაღვიძებდეს, - შენიშნა აყლაყუდამ.

- თუ ღმერთი გწამთ, კიდევ დააკაკუნეთ! - გამოსძახა მათ მისის დაულერმა პორტშეზიდან, - ორჯერ... სამჯერ დააკაკუნეთ, გეთაყვა!

დაბალს კარგა ხანია უნდოდა მოეთავებინა ეს საქმე. ამიტომ სწრაფად ავიდა კიბის საფეხურზე და რაც ძალი და ღონე ჰქონდა კარზე დააბრახუნა; აყლაყუდა კი ფანჯრებს მიაშტერდა, სადმე შუქი ხომ არ გამოჩნდაო.

კვლავ არავის გაუღია კარი. მთელ სახლში სიჩუმე და სიბნელე სუფევდა.

- ღმერთო ჩემო! - წამოიძახა მისის დაულერმა, - კიდევ დააკაკუნეთ, გეთაყვა.

- ზარი არა აქვთ, ქალბატონო? - შეეკითხა დაბალი მზიდავი.

- აქვთ, როგორ არა აქვთ, - ხმა გასცა მეგზურმა, - მე კაი ხანია მაგას ვეჯაჯგურები.

- ო, ეგ მხოლოდ სახელურია, - შენიშნა მისის დაულერმა, - მავთულია გაწყვეტილი.

- ნეტავ ზარი კი არა, მსახურის თავი იყოს ამ დღეში! - ჩაიბურტყუნა აყლაყუდამ.

- კიდევ უნდა შეგაწუხოთ, ერთიც დააკაკუნეთ, გეთაყვა, - შეევედრა მისის დაულერი.

დაბალმა კიდევ რამდენჯერმე დააბრახუნა, მაგრამ ამაოდ. მის ნაცვლად ახლა აყლაყუდა შედგა კიბეზე და მოთმინებიდან გამოსულმა ისეთი გამუდმებული რახუნი ატეხა, გეგონებოდათ ჭკუაზე შეშლილი ფოსტალიონი მოადგა კარსო.

სწორედ ამ დროს მისტერ უინკლი სიზმარში ხედავდა, თითქოს კლუბში იყო. კლუბის წევრები საშინლად ხმაურობენ და თავმჯდომარეც სულ ურატას უკაკუნებს, წესრიგი რომ დაამყაროს. მერე სხვა აზრმა გაუელვა: ბუნდოვნად გაახსენდა აუქციონი, რომელზედაც ნივთში ფასს არავინ იძლევა. აუქციონერი აკაკუნებს, აკაკუნებს. დაიქანცა, ლამის თვითონ შეისყიდოსო ყველაფერი... კვლავ კაკუნი შემოესმა. მხოლოდ ახლა მიხვდა, რომ ვიღაცა სადარბაზო კარზე უბრახუნებდა. მაინც ეჭვი შეეპარა, ვაითუ, მეჩვენებაო. კიდევ ათი წუთი ლოგინიდან არ წამოდგა, გულდასმით უგდებდა ყურს, ასეა თუ არაო. როდესაც ოცდათორმეტი თუ ოცდაცამეტი დარტყმა დაითვალა, გაუხარდა - რა ფხიზელი ძილი მცოდნიაო.

- დუმ, დუმ, დუმ, დუმ, დუმ, დუმ, დუმ, - გუგუნებდა კარზე ზარის სახელური.

მისტერ უინკლი გაოცდა - ნეტავ, ეს რას ნიშნავსო. მკვირცხლად წამოხტა საწოლიდან, წინდები და ფეხსაცმელი ჩაიცვა, ხალათში გაეხვია, სანთელს მოუკიდა ღამის ჭრაქზე, რომელიც იქვე ბუხარში ენთო და ძირს დაეშვა.

- ეღირსათ მგონი, ვიღაც მოდის! - აცნობა დაბალმა მზიდავმა მანდილოსანს.

- ერთი არ მინდა, უკან მოვდევდე მაგას, სადგისით ხელში, - ჩაიბურტყუნა აყლაყუდამ.

- ვინ არის მანდ? - დაიძახა მისტერ უინკლმა და კარს შიგნიდან ჯაჭვი მოხსნა.

- რა დროს შეკითხვაა, შე ბატიტვინა! - შესძახა აყლაყუდამ. იგი დარწმუნებული იყო, რომ ლაქიას ელაპარაკებოდა, - კარი გააღე, ჩქარა!

- სწრაფად, სწრაფად გაინძერი, შე ძილისგუდავ! - წასაქეზებლად დაუმატა დაბალმაც.

უნდა მოგახსენოთ, რომ მისტერ უინკლი ჯერ კიდევ კარგად არ იყო გამოფხიზლებული. მექანიკურად მოქმედებდა: კარი გამოაღო და გარეთ გამოიხედა. თვალში ჯერ ჩირაღდნების წითელი შუქი მოხვდა. უეცრად თავში გაუელვა - ვაითუ, სახლს ცეცხლი წაეკიდაო. კარი ახლა უფრო ფართოდ გააღო. სანთელი მაღლა ასწია და კვლავ ქუჩას მიაჩერდა - კარგად ვერ არჩევდა, მის წინ რა იდგა, პორტშეზი თუ სახანძრო მანქანა. სწორედ ამ დროს ქარმა ძლიერად შემოუბერა. სანთელი ჩაქრა. მისტერ უინკლმა მხოლოდ ის იგრძნო, რომ რაღაცამ საშინელი ძალით იგი კიბის გარეთა საფეხურზე ისროლა და კარი ჯახუნით ჩაიკეტა.

- ვაჟბატონო, ეგ რა ქენი! - წამოიძახა დაბალმა მზიდავმა.

ამ დროს მისტერ უინკლმა პორტშეზის ფანჯარაში მანდილოსანს მოჰკრა თვალი. იგი საჩქაროდ მოტრიალდა და ზარის სახელურით რაც ძალი და ღონე შესწევდა, კარს დაუწყო ბრახუნი. თანაც სასოწარკვეთილ მზიდავს ეხვეწებოდა - თუ ღმერთი გწამს, ეგ პორტშეზი აქედან წაიღეთო.

- წაიღეთ აქედან, წაიღეთ! - ყვიროდა მისტერ უინკლი, - დავიღუპე! მეზობელი სახლიდან ვიღაც გამოვიდა! რაღა ვქნა? პორტშეზში ჩამსვით! დამმალეთ, გეთაყვა... მიშველეთ რამე!

სიცივისგან საცოდავი თავით ფეხამდე კანკალებდა. რამდენჯერაც ასწია ხელი, რომ ზარის სახელური კარზე მიერტყა, უსირცხვილო ქარმა ხალათის კალთები აუფრიალა.

- აგერ ვიღაც გადმოდის მოედანზე, მას ქალებიც ახლავს თან. რაღა ვქნა? რამე მაინც გადამაფარეთ! მომეფარეთ! - ღრიალებდა გამწარებული უინკლი.

მზიდავები სიცილით იხოცებოდნენ და აბა, რას დაეხმარებოდნენ; მანდილოსნები სახლს უახლოვდებოდნენ.

მისტერ უინკლი კვლავ კარს ეცა და დააბრახუნა. მანდილოსნები სადაცაა თავს წაადგებოდნენ, გამწარებულმა ჩამქრალი სანთელი, რომელიც აქამდე მაღლა აწეული ეჭირა, მიწაზე ისროლა და პირდაპირ პორტშეზში შევარდა, სადაც მისის დაულერი იჯდა.

როგორც იქნა, მისის კრედოკსაც ჩასწვდა კაკუნი და ხმები. მხოლოდ ერთ წამს შეჩერდა, რომ ქუდის ნაცვლად სხვა რამ წამოეხურა თავზე და უმალვე სასტუმრო ოთახში გამოვარდა. ეს ოთახი ფანჯრებით ქუჩას გადაჰყურებდა და დიასახლისს უნდოდა თავისი თვალით დარწმუნებულიყო - შინაურები ხომ არ დაბრუნდნენო. ბედზე ფანჯარა სწორედ იმ წუთს გამოაღო, როდესაც მისტერ უინკლი პორტშეზს ეცა. ქალმა ხეირიანად ვერც გაარჩია ძირს რა ხდებოდა და საშინელი წივილ-კივილი მორთო. მერე მისტერ დაულერის კარს მივარდა და ჩაჰყვირა - არიქა, ჩქარა ადექით, თქვენი ცოლი ვიღაც ჯენტლმენთან ერთად გაქცევას აპირებსო.

ამის გაგონებაზე მისტერ დაულერი რეზინის ბურთივით წამოვარდა ლოგინიდან და სასტუმრო ოთახში შევარდა. იმწამსვე ფანჯარას ეცა, სწორედ იმ დროს, როდესაც მისტერ პიკვიკმა გვერდით ფანჯარა გამოაღო. პირველივე საგანი, რაც თვალში მოხვდა ორივეს, გახლდათ მისტერ უინკლი, რომელიც ის იყო პორტშეზში გაუჩინარდა.

- დარაჯო! - იღრიალა გააფთრებულმა დაულერმა, - შეაჩერეთ! არ გაუშვათ!.. დაიჭირეთ! ჩაკეტეთ მანდ, ვიდრე არ ჩამო-

ვალ! ყელს გამოვჭრი მაგ არამზადას!.. მომეცით დანა... ყურიდან ყურამდე გადავჭრი. მისის კრედოკ, გესმით, თქვენ გეუბნებით!

გააფთრებული მეუღლე დიასახლისსა და მისტერ პიკვიკს ხელიდან დაუსხლტა, სტაცა ხელი დანას და ქუჩაში გავარდა.

მაგრამ მისტერ უინკლი როდი უცდიდა მას. როგორც კი ყური მოჰკრა მამაცი დაულერის მუქარას, ისიც ისევე მკვირცხლად გამოვარდა პორტშეზიდან, როგორც შევარდა შიგ ორი წუთის წინ, ფეხსაცმელი პირდაპირ ფილაქანზე ისროლა და მოკურცხლა რაც ძალი და ღონე ჰქონდა. ირგვლივ უვლიდა კრესენტის მოედანს. უკან კი გაშმაგებული დაულერი და დარაჯი მისდევდნენ... ვერ დაეწივნენ მაინც. როდესაც უინკლმა მეორედ შემოუარა მოედანს, სადარბაზო კარი ღია აღმოჩნდა, სწრაფად შევარდა შიგ და მდევრებს კარი ცხვირწინ მიუკეტა. აკანკალებულმა თავის საწოლ ოთახს მიაშურა, კარი მაგრად გადაკეტა და ზედ მიადგა პირსაბანი, კამოდი და მაგიდა; მერე ჩემოდანი გამოიღო და საცვლები და სხვა აუცილებელი ტანსაცმელი ჩაილაგა, რადგან გადაწყვიტა - როგორც კი ინათებს, აქედან გავიქცევიო.

დაულერი ჩაკეტილ კარს ეცა და საკეტის ჭუჭრუტანაში დაიფიცა - გათენდება თუ არა, ყელს გამოგჭრიო.

სასტუმრო ოთახში თანდათანობით მიწყდა ხმაური. ამ ხმაურში ნათლად გაირჩეოდა მისტერ პიკვიკის ხმა, რომელიც, რა თქმა უნდა, ცდილობდა ყველა დაეშოშმინებინა და მყუდროება დაემყარებინა. ყველამ თავიანთ საწოლ ოთახებს მიაშურა და სახლში კვლავ სიჩუმე ჩამოვარდა. შესაძლოა, ვინმემ იკითხოს, თუ სად იყო მთელი ამ ხნის განმავლობაში მისტერ უელერი. ამას კი შემდეგ თავში მოგახსენებთ.

თავი XXXVII

რომელშიც დამაჯერებლადაა აღწერილი ის მიზეზი, რის გამოც იმ საღამოს მისტერ უელერი სახლში არ იყო; იგი დაპატიჟეს წვეულებაზე (soiree), სადაც წაბრძანდა კიდეც. ეს თავი აგრეთვე გვამცნობს, თუ მისტერ პიკვიკმა როგორ მიანდო ერთგულ მსახურს მეტად მნიშვნელოვანი, ინტიმური ხასიათის დავალება

- მისტერ უელერ, - მიმართა მისის კრედოკმა სემს ამ უცნაური ამბების მეორე დილას, - აგერ, წერილია თქვენს სახელზე.

- საოცარია! - თქვა სემმა, - ვაითუ, რაიმე უბედურება მოხდა, თორემ ჩემს ნაცნობ ჯენტლმენებს შორის არ მეგულება არც ერთი, რომელსაც წერილის დაწერა შეეძლოს.

- იქნებ უჩვეულო რამ მოხდა, - შენიშნა მისის კრედოკმა.

- ნაღდად რაღაც არაჩვეულებრივია, რახან ერთ-ერთმა ჩემმა მეგობარმა წერილიც კი მომწერა, - მიუგო სემმა და ფიქრებში გახვეულმა ეჭვით გააქნია თავი, - „უნებლიე მოძრაობაა“, როგორც შენიშნა ერთმა ყმაწვილმა ჯენტლმენმა, როდესაც ბნედამ მოუარა... - სემი მისამართს ჩააკვირდა, - მამისგან არ უნდა იყოს, - განაგრძო მან. ის ხომ მუდამ ბეჭდური ასოებით წერს, რადგან წერა-კითხვა იმ დიდი განცხადებების კითხვით ისწავლა, სამგზავრო ეტლების კანტორაში რომაა გამოკრული. უცნაური კია, ნეტავ საიდან გაჩნდა ეს წერილი აქ?

ამ ფიქრებში გახვეული სემი მოიქცა ისე, როგორც მოიქცევიან ხოლმე ბევრნი, რომელთაც ბარათის დამწერის ვინაობა არ იციან. ჯერ ბეჭედს დახედა, მერე წერილის ზედაპირს დააკვირდა, მერე პირუკუ გადმოატრიალა, შემდეგ გვერდიდან გახედა, ისევ მისამართს დახედა და მხოლოდ ბოლოს მიმართა უებარ საშუალებას, გადაწყვიტა: - მოდი, შიგნით ჩავიხედავ და გავიგებ, რაშია საქმეო.

- ოჰო, ოქროთი მოვარაყებულ ქაღალდზეა დაწერილი, - წარმოთქვა მან, როდესაც წერილი გახსნა, - დაბეჭდილია ბრინჯაოს ბეჭდით, რომელზედაც გასაღების თავია გამოყვანილი. აბა, ვნახოთ!

მისტერ უელერი დინჯად შეუდგა კითხვას:

„ქალაქ ბათის მსახურთა რჩეული საზოგადოება გულითადად მიესალმება მისტერ უელერს და უმორჩილესად სთხოვს, რომ მან პატივი დასდოს მათ საზოგადოებას და ეწვიოს მეგობრულ სვარეზე, რომელიც შედგება ცხვრის მოხარშული ბარკლისაგან ჩვეულებრივი გარნირით. სვარე სუფრაზე იქნება ზუსტად ათის ნახევარზე“.

ეს ბარათი ჩადებული იყო მეორე ბარათში, რომელშიც ეწერა:

„მისტერ ჯონ სმაუკერს, ჯენტლმენს, რომელსაც ჰქონდა ბედნიერება ამ რამდენიმე დღის წინათ გაეცნო მისტერ უელერი, მათი საერთო ნაცნობის, მისტერ ბენთამის სახლში, აქვს პატივი ამ ბარათთან ერთად გადმოსცეს მისტერ უელერს დაპატიჟება ვახშამზე. თუ მისტერ უელერი ინებებს და ესტუმრება მისტერ ჯონ

სმაუკერს ცხრა საათზე, მისტერ ჯონ სმაუკერს ექნება ბედნიერება, წარუდგინოს მისტერ უელერი რჩეულ საზოგადოებას“.

(ხელმოწერა) ჯონ სმაუკერი.

კონვერტზე ეწერა: (---------) „უელერს, ესკვაირს მისტერ პიკვიკისას“; მარცხენა კუთხეში კი ფრჩხილებში მიეწერათ: „შესასვლელი ეზოდან“, - ეტყობა, ეს მითითება წერილის მომტანისთვის იყო განკუთვნილი.

- ვაჰ, რა დიდი ამბითაა დაწერილი! ჩემმა მზემ, აქამდე არც გამიგონია, რომ ცხვრის მოხარშულ ბარკალს „სვარეს“ ეძახდნენ, ეს თუ ასეა, ნეტავ, შემწვარს რაღას დაარქმევენ?!

ამ საკითხის გარშემო დიდხანს როდი იტეხა თავი. იგი დაუყოვნებლივ გამოეცხადა მისტერ პიკვიკს და სთხოვა - ამ საღამოს გამათავისუფლეთო, რის ნებართვაც დაუყოვნებლივ მიიღო კიდეც.

დანიშნულ დროზე პატრონის ნებართვითა და სადარბაზო კარის გასაღებით შეიარაღებული, მისტერ უელერი ნელი ნაბიჯით გაემართა კუინ-სკვერისაკენ. მივიდა თუ არა აღნიშნულ ადგილას, შორიახლოს მისტერ ჯონ სმაუკერი იხილა, რომელსაც პუდრწაყრილი პარიკიანი თავი ფარნის ბოძისთვის მიეყრდნო და ქარვის მუნდშტუკით სიგარას ეწეოდა.

- როგორ ბრძანდებით, მისტერ უელერ? - ჰკითხა სემს ჯონ სმაუკერმა; ცალი ხელით მოხდენილად მოიხადა ქუდი, მეორე კი ნაზად დაუქნია წყალობის ნიშნად, - როგორ ბრძანდებით, სერ?

- არაფერი მიჭირს, დღითი დღე უკეთ და უკეთ ვგრძნობ თავს, - მიუგო სემმა, - თქვენ როგორ გრძნობთ თავს, ძვირფასო მეგობარო?

- ისე რა, - უპასუხა მისტერ ჯონ სმაუკერმა.

- გეტყობათ, მოგიკლავთ თავი მუშაობით და ეგ არის! - შენიშნა სემმა, - ამის მეშინოდა და... არ ვარგა ასე, ძმობილო, არ უნდა დაგჯაბნოთ მაგ თქვენმა უდრეკმა სულმა.

- მარტო ეს როდია, მისტერ უელერ, - მიუგო მისტერ ჯონ სმაუკერმა, - ეს უფრო ღვინის ბრალია. მგონი, მეტისმეტი მომივიდა.

- აი, თურმე ძაღლის თავი სად მარხია! - წამოიძახა სემმა, - ეგ მართლაც, მძიმე სენია.

- და მაინც, რა მაცდურია, მისტერ უელერ! - შენიშნა მისტერ ჯონ სმაუკერმა.

- ოღონდაც რომ, ასეა, - კვერი დაუკრა სემმა.

- რა გაეწყობა მისტერ უელერ, საზოგადოებრივი ცხოვრების ორომტრიალში რომ მოხვდება კაცი, რას იზამს! - განაცხადა მისტერ ჯონ სმაუკერმა და მძიმედ ამოიოხრა.

- მართლაც მძიმე მოვალეობაა! - თანაუგრძნო სემმა.

- მუდამ ასეა, - დაიწყო კვლავ მისტერ ჯონ სმაუკერმა, - თუ ბედმა გარგუნა საზოგადოებრივი პოსტი, უნდა ელოდე, რომ ბევრი ისეთი ცდუნება შეგხვდება, რომლის შესახებ უბრალო კაცს წარმოდგენაც არა აქვს მისტერ უელერ.

- ზუსტად იგივე ბრძანა ბიძაჩემმა, ე, მაგ საზოგადოებრივ გზას რომ გაჰყვა... სამიკიტნო გახსნა, - თქვა სემმა, - რას ვერჩი, მართალი იყო მოხუცი: იმდენი სვა, რომ სამ თვეში ფეხები გაფშიკა.

მისტერ ჯონ სმაუკერი თითქოს შეურაცხყო იმ შედარებამ, რომელიც სემმა მას და აწ გარდაცვლილ ბიძას შორის გაავლო; მაგრამ სემის სახე ისეთი გულუბრყვილო და მშვიდი იყო, რომ ისიც დამშვიდდა და ახალ მეგობარს კვლავ სანდომიანად გაუღიმა.

- მე მგონი, დროა, გზასაც გავუდგეთ, - შენიშნა მისტერ სმაუკერმა და ჩახედა სპილენძის მოწყობილობას, რომელიც ჩვეულებრივ საათისათვის განკუთვნილ გრძელი ჯიბის სიღრმეში იმალებოდა და ახლა ზემოთ იქნა ამოღებული შავი ზონრის საშუალებით, რომლის მეორე ბოლოს სპილენძისვე გასაღები ეკიდა.

- მეც ვფიქრობ, დროა, - მიუგო სემმა, - თორემ იმ სვარეს ისე გადახარშავენ, პირში ვეღარ ჩაიდებს კაცი.

- წყალს სვამთ, მისტერ უელერ? - ჰკითხა თანამგზავრმა, როცა ორივენი ჰაი-სტრიტისაკენ გაემართნენ.

- ერთხელ დავლიე, - მიუგო სემმა.

- მოგეწონათ, სერ?

- უგემური რამაა, ჩემმა მზემ, - მიუგო სემმა.

- ო! - წამოიძახა მისტერ ჯონ სმაუკერმა, - უთუოდ ის არ გეამათ, კალცის გემო რომ დასდევს?

- მაგის მე ბევრი არაფერი გამეგება, - მიუგო სემმა, - ასე მგონია, მაგ წყალს გახურებული უთოს სუნი ასდის.

- ეგ გახლავთ სწორედ კალცის გემო, მისტერ უელერ, - თითქოს დაცინვით მიუგო მისტერ ჯონ სმაუკერმა.

- თუ ასეა, ძალიან უხეირო სიტყვა ამოურჩევიათ, - შენიშნა სემმა, - იქნებ ზუსტიც იყოს, მაგრამ ქიმიაში მაინცდამაინც დიდი ბრძენი არ გახლავართ, ამიტომ მეტს ვერაფერს გეტყვით.

სემმა სტვენა წამოიწყო; უნდა მოგახსენოთ, რომ ამ არაკეთილშობილმა ბგერებმა მისტერ ჯონ სმაუკერი სასოწარკვეთილებაში ჩააგდო.

- მაპატიეთ, მისტერ უელერ, - მიმართა მას შეძრწუნებულმა სმაუკერმა, - ხელკავს ხომ არ გამიყრით?

- გმადლობთ, მეტად კეთილი ბრძანდებით, მაგრამ ასე მირჩევნია, - მიუგო სემმა. - გამოგიტყდებით, ასე ვარ მიჩვეული -

მიყვარს ხელები ჯიბეში რომ მიწყვია, თუ, რა თქმა უნდა, თქვენ არაფერი გაქვთ ამის საწინააღმდეგო?

დაასრულა თუ არა ლაპარაკი, სემმა ნათქვამი დაუყოვნებლივ მოიყვანა სისრულეში და კიდევ უფრო ხმამაღლა წამოიწყო სტვენა.

- აქეთ, აქეთ მობრძანდით, - შვებით ამოისუნთქა მისმა ახალმა მეგობარმა, როდესაც პატარა ქუჩაზე შეუხვიეს, - ახლა კი, მალე მივალთ.

- მართლა თუ?.. - უპასუხა უდარდელად სემმა. ეტყობა სულაც არ ღელავდა, რომ სადაცაა ბათის მსახურთა რჩეული საზოგადოების წინ წარდგებოდა.

- დიახ, - თქვა მისტერ ჯონ სმაუკერმა. - ყოჩაღად, ყოჩაღად იყავით, მისტერ უელერ.

- დარდი ნუ გაქვთ, - მიუგო სემმა.

- ახლა ნახავთ იქ ძალიან ლამაზი ფორმის ტანსაცმელს, მისტერ უელერ, - შენიშნა მისტერ ჯონ სმაუკერმა, - უნდა კი გაგაფრთხილოთ, რადგან აქ უცხო ბრძანდებით, შესაძლოა, ზოგიერთი ჯენტლმენი თავდაპირველად ქედმაღალი და ცივი მოგეჩვენოთ, მაგრამ, ნახავთ, მალე მოლბებიან.

- დიდ პატივს დამდებენ! - თქვა სემმა.

- არა, უნდა იცოდეთ, რომ, - განაგრძო მისტერ ჯონ სმაუკერმა მფარველური კილოთი, - უცხო ხართ და ჯერ მკაცრად მოგექცევიან, ამიტომ არ შედრკეთ!

- იმედია თავს არ წამაცლიან?..

- ო, არა! - მიუგო მისტერ ჯონ სმაუკერმა. ჯიბიდან სათუთუნე ამოიღო და თუთუნის ერთი მწიკვი მოგლიჯა, - ჩვენ საზოგადოებაში მხიარული ბიჭებია. უყვართ ხუმრობა. არ გეწყინოთ, გეთაყვა.

- ვეცდები გავუძლო მაგ თქვენ დიდებულ ხუმრობას, - მიუგო მშვიდად სემმა.

- კეთილი და პატიოსანი, - უპასუხა მისტერ ჯონ სმაუკერმა.

სათუთუნე ჯიბეში ჩაიდო და თავი ამაყად გააქნია.

- არ შეშინდეთ, მე დაგიცავთ.

ამასობაში მემწვანილის დუქანთან მივიდნენ, შიგნით ჯერ მისტერ ჯონ სმაუკერი შებრძანდა, მას ფეხდაფეხ მიჰყვა სემი, რომელიც სმაუკერის ზურგს უკან მხიარულად იმანჭებოდა და კიდევ სხვა ისეთ ნიშნებს ამჟღავნებდა, რაც უდავოდ მოწმობდა, რომ იგი საუცხოო გუნებაზე იყო.

მემწვანილის დუქანში შევიდნენ თუ არა, ქუდები იქვე პატარა დერეფანში, კიბეზე დატოვეს და ორიოდე წამში სასტუმრო ოთახში აღმოჩნდნენ. აქ მისტერ უელერს გადაეშალა თვალწინ ჭეშმარიტად თვალწარმტაცი სურათი.

ოთახის შუაგულში მიჯრით იდგა ორი მაგიდა, რომელსაც სამი თუ ოთხი სუფრა, აშკარად სხვადასხვა დროს შეძენილი და სხვადასხვა დროს გარეცხილი, ისე ეფარა სიგრძეზე, თითქოს ერთი მთლიანიაო, რამდენადაც შესაძლებელია ეს ზემოხსენებულ პირობებში განხორციელდეს. სუფრაზე ეწყო დანები და ჩანგლები შვიდ თუ რვა კაცზე. ზოგი დანის ტარი მწვანე იყო, ზოგის წითელი, ზოგის ყვითელი; ჩანგლები კი ყველა შავი იყო და ამიტომ ფერთა ასეთი შეხამება წარუშლელ შთაბეჭდილებას ტოვებდა მაყურებელზე. თეფშები იმავე რაოდენობის სტუმრებისთვის ბუხრის რიკულის უკან შრებოდა. მის წინ კი თვით სტუმრები თბებოდნენ. მათ შორის ყველაზე უფრო თვალსაჩინო პიროვნება როგორც ჩანს, გრძელკალთებიან ჟოლოსფერ ფრაკსა და ღია წითლად მოელვარე შარვალში გამოწყობილი ჩასუქებული ჯენტლმენი იყო. იგი ბუხართან ზურგით იდგა. ეტყობა ახალმოსული იყო, რადგან სამკუთხა ქუდი ჯერ ისევ თავზე ეხურა და

ხელშიც გრძელი კვერთხი ეკავა, რომელიც ჩვეულებრივ მისი პროფესიის ჯენტლმენებს დაქანებულად უჭირავთ ხოლმე ეტლის სახურავის თავზე.

- სმაუკერ, ჩემო მეგობარო, მიბოძეთ თქვენი ხელი! - წარმოთქვა სამკუთხაქუდიანმა ჯენტლმენმა.

მისტერ სმაუკერმა მარჯვენა ხელის ნეკი სამკუთხაქუდიანს ჩაუდო ხელში და დასძინა, მიხარია, ასე კარგად რომ გამოიყურებითო.

- ჰო, მეუბნებიან, საუცხოოდ გამოიყურებიო, - წარმოთქვა სამკუთხაქუდიანმა ჯენტლმენმა, - მიკვირს კია. ეს ორი კვირაა ჩემს ბებრუხუნას ვუვლი, დღეში ორი საათი მაინც. აბა, მითხარით, თუ მისი ძველი, სუმბულისფერის კაბის უამრავი შესაკრავის ჭვრეტა კაცს ჭკუაზე არ შეშლის, დაე, მთელ სამ თვეს ნუ მომცემენ ჯამაგირს!

ამის პასუხად რჩეულთა საკრებულომ გულიანად გადაიხარხარა; ერთ-ერთმა ჯენტლმენმა კი, ყვითელი ჟილეტი რომ ეცვა სახელოებზე მეეტლის შემონაკერით, მწვანეშარვლიან მეზობელს ჩასჩურჩულა - ეტყობა, ტაკლი დღეს კარგ ხასიათზეაო.

- სხვათა შორის, სმაუკერ, ჩემო კარგო, - დაიწყო მისტერ ტაკლმა, - თქვენ... - ფრაზის ბოლო მან ყურში ჩასჩურჩულა მისტერ ჯონ სმაუკერს.

- ღმერთო ჩემო, ეგ როგორ დამავიწყდა! - წამოიძახა მისტერ ჯონ სმაუკერმა, - ბატონებო, ნება მიბოძეთ წარმოგიდგინოთ ჩემი მეგობარი, მისტერ უელერი.

- მაპატიეთ, ცეცხლზე მოგეფარეთ, უელერ, - შენიშნა მისტერ ტაკლმა და შინაურულად დაუქნია თავი, - ხომ არ გცივათ, უელერ?

- ღმერთო ჩემო, - მიუგო სემმა, - მეტად მცივანა უნდა იყოს კაცი, რომ გაიყინოს, როცა თქვენ უდგახართ წინ. უთუოდ ბევრი

ნახშირი გადარჩებოდათ, შეშის ნაცვლად თქვენ რომ ჩაესვით ბუხარში სადმე საზოგადოებრივი დაწესებულების მისაღებ ოთახში.

აშკარა იყო, რომ ეს გადაკვრითი შეტევა მისტერ ტაკლის ალისფერ ლივრეას ეხებოდა. ამიტომ აღნიშნულმა ჯენტლმენმა ჯერ კოპები შეკრა, მაგრამ მერე ბუხრიდან დაიხია, ნაძალადევად გაიღიმა და გულახდილად აღიარა - ურიგოდ არაა ნათქვამიო.

- დიდ მადლობას მოგახსენებთ, ჩემზე ასეთი კარგი შეხედულების რომ ბრძანდებით, სერ, - მიუგო სემმა, - ოღონდ ნუ ვიჩქარებთ, ნელ-ნელა ვიაროთ და თანდათანობით უკეთესსაც მივაგნებთ.

ამ ადგილას საუბარი შეწყდა, რადგან ოთახში შემოვიდა ჯენტლმენი, რომელსაც ფორთოხლისფერი სამოსი ეცვა; მას თან ახლდა მეორე რჩეული, ალისფერ სერთუკსა და გრძელ, თეთრ წინდებში გამოწყობილი.

ახალმოსულებმა მისალმება მოათავეს თუ არა, მისტერ ტაკლმა შეკრებილთ შესთავაზა - დროა, ვახშამიც შემოიტანონო. ეს წინადადება ერთხმად იქნა მიღებული.

დუქნის პატრონმა და მისმა ცოლმა სტუმრებს ცივად მოხარშული ცხვრის ბარკალი, ჯონჯოლი, ხილი და კარტოფილი მოართვეს. მისტერ ტაკლმა თამადის ადგილი დაიკავა. მის პირდაპირ, მაგიდის მეორე მხარეს, ფორთოხლისფერსამოსიანი ჯენტლმენი დაბრძანდა. მემწვანილემ ტყავის თეთრი ხელთათმანები ჩაიცვა და მისტერ ტაკლს სკამს უკან ამოუდგა.

- ჰარის! - ბრძანების კილოთი გასძახა მისტერ ტაკლმა.

- გისმენთ, სერ! - ხმა გასცა მემწვანილემ.

- ხელთათმანები ჩაიცვით?

- დიახ, სერ.

- სახურავი მოხადეთ!

- მესმის, სერ.

მემწვანილემ მორჩილად შეასრულა ბრძანება და თამადას დანა მიართვა ხორცის დასაჭრელად. მაგრამ უეცრად დაამ-თქნარა.

- ეს რას ნიშნავს, სერ? - მკაცრად იკითხა მისტერ ტაკლმა.

- მომიტევეთ, სერ, - მიუგო შეცბუნებულმა მემწვანილემ, - უნებლიეთ მომივიდა, სერ... წუხელ ძალიან გვიან დავწექი, სერ.

- ახლავე მოგახსენებთ, რასაც ვფიქრობ თქვენზე, ჰარის, - ხაზგასმით წარმოთქვა მისტერ ტაკლმა, - თქვენ... პირუტყვი ხართ!

- ბატონებო, ბატონებო, - შესძახა ჰარისმა, - ნუ განმსჯით მკაცრად. მეტად დავალებული ვარ თქვენგან, ბატონებო, თქვე-ნი სულგრძელი მფარველობისათვის და აგრეთვე იმ რეკომენ-დაციისათვის, რომელსაც თქვენ მაძლევთ, როცა სადმე, სუფრა-ზე ზედმეტი მსახური დასჭირდებათ ხოლმე... იმედია, ბატონებო, კმაყოფილი ბრძანდებით ჩემი მომსახურეობით...

- არა, არა ვართ კმაყოფილი, სერ, - მიუგო მისტერ ტაკლმა, - გესმით, არა ვართ-მეთქი!

- ჩვენი აზრით თქვენ უქნარა ხართ! - წარმოთქვა ფორთოხ-ლისფერსერთუკიანმა ჯენტლმენმა.

თითოეული ამ შესამკობი ეპითეტის გაგონებაზე საცოდავი მემწვანილე მხოლოდ თავმდაბლად უკრავდა თავს. თითოეული მათგანი ტირანიისა და ჩაგვრის სულით იყო გაჟღენთილი... ორიოდე წუთის შემდეგ მისტერ ტაკლს უკვე დაჭრილი ჰქონდა ცხვრის ბარკალი.

ის იყო, შეუდგნენ ჭამას, რომ კარი ფართოდ გაიღო და ოთახ-ში კიდევ ერთი ჯენტლმენი შემოვიდა, ცისფერ სერთუკში გამოწ-ყობილი, რომელსაც თუნუქის ღილები ამშვენებდა.

- წესი დაარღვიეთ, სერ, - შენიშნა მისტერ ტაკლმა, - დაგაგვიანდათ, ბატონო, დაგაგვიანდათ.

- მერწმუნეთ, ვერაფერი გავაწყვე, - მიუგო ცისფერში გამოწყობილმა ჯენტლმენმა, - ახლა მთელ საკრებულოს მივმართავ, მან განსაჯოს. ზრდილობა მოითხოვდა, ქალს თეატრში შევხვედროდი.

- ო, თუკი ასეა, რა გაეწყობა, - შენიშნა ფორთოხლისფერსერთუკიანმა.

- დიახ, დიახ, გეფიცებით პატიოსნებას, - განაგრძო ცისფერსერთუკიანმა, - ბატონს შევპირდი, თერთმეტის ნახევარზე შევივლი თეატრში და უმცროს ქალიშვილს წამოვიყვან-მეთქი. ის კი, რომ იცოდეთ, ისეთი მშვენიერია, რომ გეფიცებით, ძალა არ მეყო უარი მეთქვა... არ მინდა ვაწყენინო ჩვენს დამსწრე საზოგადოებას, მაგრამ მშვენიერთა სქესი, ბატონებო, მშვენიერთა სქესი მართლაც წარმტაცია!

- აქ რაღაცაშია საქმე, - თქვა ტაკლმა, როდესაც ახალმოსული სემს მოუჯდა გვერდით, - ერთი-ორჯერ მეც შევნიშნე იმ ქალიშვილს, მეტისმეტად ნაზად დაეყრდნობოდა ხოლმე შენ მხარს, ეტლში ჩაჯდომის ან იქიდან ჩამოსვლის დროს.

- მაგას ნუ იტყვით, ტაკლ, - თქვა ცისფერსერთუკიანმა, - არ შეგფერით ასეთი ლაპარაკი! შესაძლოა ერთ ან ორ მეგობარს ვუთხარი კიდეც, ღმერთივით ქალია-მეთქი და რომ უკვე ორ საქორწინო წინადადებაზე უარი განაცხადა-მეთქი, თუმცა მიზეზი ჩემთვის არ არის ნათელი, მაგრამ... არა, ტაკლ, არა და არა... ისიც უცხო ხალხში არ არის კარგი, არც შეგფერით ასეთი თქმა. დიპლომატიურობაა საჭირო, ჩემო ძვირფასო მეგობარო, დიპლომატიურობა! - აქ ცისფერსერთუკიანმა ჯენტლმენმა ჰალსტუხი უფრო მეტად მოიჭირა, სერთუკის გადანაკეცები შეისწორა და კოპებშეკრულმა თამადას ცივად დაუკრა თავი, თითქოს იმის

ნიშნად, რომ მეტი კი მაქვს სათქმელი, მაგრამ, რომ მინდოდეს კიდეც, სინდისი ნებას არ მაძლევს, მოგახსენოთო.

მისტერ უელერის ყურადღება უმალვე მიიპყრო ამ ცისფერსერთუკიანმა ყმაწვილმა. ეს იყო ქერა, ჯმუხი ლაქია, როგორც ჩანდა, თავხედი და ყოყოჩა. როდესაც სემმა მის მსჯელობასაც მოუსმინა, მისი გაცნობა მოუნდა და ამიტომ ჩვეული სითამამით უმალვე საუბარში ჩაერია.

- თქვენ გაგიმარჯოთ, სერ! - წამოიძახა მან, - თქვენმა მსჯელობამ მომხიბლა პირდაპირ, დიდებულად მსჯელობთ!

ცისფერსერთუკიანმა მოწყალედ გაუღიმა, თითქოს იმის ნიშნად, რომ ასეთი ქება ბევრჯერ გამიგონია და მიჩვეული ვარო, მაგრამ ამასთანავე გულთბილად დააკვირდა სემს და გამოთქვა იმედი, უფრო ახლოს გავიცნოთ ერთმანეთი, რადგან პირმოთნეობად ნუ ჩამომართმევთ და სწორედ, მე რომ მიყვარს, ისეთი კაცი ჩანხარო.

- ძალიან კეთილი ბრძანდებით, სერ, - მიუგო სემმა, - გეტყობათ იღბლიანი კაცი უნდა იყოთ!

- რისი თქმა გსურთ? - ჰკითხა ცისფერსერთუკიანმა.

- იმ თქვენ ნაცნობ ყმაწვილ ქალს, როგორც ჩანს, ჩინებული გემოვნება აქვს, - მიუგო სემმა, - თვითონაც ვხედავ, რომ ასეა! - მისტერ უელერმა ცალი თვალი მოჭუტა და თავი ისე მეტყველად გადაიქნია, რომ თავმოყვარე ყმაწვილი დამშვიდდა.

- კაი ეშმაკი უნდა იყოთ, მისტერ უელერ, - შენიშნა მან.

- სულაც არა, - მიუგო სემმა, - ეგ თქვენი საქმეა. ეს თქვენ უფრო გეხებათ, ვიდრე მე, - ასევე უთხრა ღობესამოფარებულმა ჯენტლმენმა მეორე ჯენტლმენს, რომელსაც გააფთრებული ხარი მოსდევდა გზაზე.

- კარგით, მისტერ უელერ, - თქვა ცისფერსერთუკიანმა, - თუმცა არ დავმალავ, რომ იმ ასულს მართლაც თვალში მოუვიდა ჩემი თავაზიანი ქცევა და გარეგნობა, მისტერ უელერ.

- ეს რომ თვალში არ გეცეს, ყოვლად შეუძლებელია! - კვერი დაუკრა სემმაც.

- თქვენთანაც ხომ არაფერია ასეთი, სერ? - ჰკითხა ხოტბაშესხმულმა ჯენტლმენმა და ჟილეტის ჯიბიდან კბილის საჩიჩქნი ამოიღო.

- ზუსტად ასეთი სახით არა, - მიუგო სემმა, - სადაც მე ვმუშაობ, ქალიშვილების ჭაჭანება არაა, თორემ რას გავუშვებდი, ნაღდად გავეარშიყებოდი. ისე კი, მე რომ მკითხო, მარკიზაზე ნაკლებთან არც ღირს საქმის დაჭერა. კიდევ დაბალი წოდების ქალსაც ავიტანდი, თუ ძალიან შევუყვარდი, რა თქმა უნდა, ოღონდ ერთი პირობით - ფული ჩეჩქივით უნდა ჰქონდეს. სხვაგვარად არ იქნება.

- რა თქმა უნდა, არა, მისტერ უელერ, - კვერი დაუკრა ცისფერსერთუკიანმა, - ისე არც ღირს თავი გაიცხელო. ჩვენ ხომ ვიცით, მისტერ უელერ, საზოგადოებაში გამოსულმა ხალხმა, რომ ქალებთან კოხტა, მოხდენილი სამოსი ადრე თუ გვიან გაჭრის. ჩვენ შორის დარჩეს და ლაქიად დადგომა ამისთვისაც ღირს.

როდესაც ეს შინაურული საუბარი მოთავდა, ჭიქები ჩამოარიგეს და ყველა ჯენტლმენმა ის სასმელი შეუკვეთა, რომელიც ყველაზე უფრო უყვარდა (სასმელები მეზობელი ყავახანიდან უნდა მოეტანათ, ვიდრე დაიკეტებოდა). ცისფერსერთუკიანმა და ფორთოხლისფერსერთუკიანმა (ორივე რჩეულთა შორის რჩეულებად ითვლებოდა) ცივი, ტკბილი გროგი შეუკვეთეს; დანარჩენების საყვარელი სასმელი კი, როგორც ჩანს, შაქრითა და წყლით გაზავებული ჯინი გახლდათ. სემმაც მემწვანილეს „სინდისგარეცხილი არამზადა“ უწოდა და ფუნჯის დიდი ფიალა შეუკ-

ვეთა. პირველმაც და მეორემაც, ეტყობა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა რჩეულთა საკრებულოზე.

- ბატონებო, შევსვათ მანდილოსნების სადღეგრძელო! - აღფრთოვანებით წარმოთქვა ცისფერსერთუკიანმა, ისე, როგორც ეს ჭეშმარიტ ჯენტლმენს შეჰფერის.

- ყური დაუგდეთ, გეთაყვა! - შესძახა სემმა, - ახალგაზრდა დიასახლისებს გაუმარჯოს!

ამ დროს გაისმა ხმამაღალი შეძახილი: „წესრიგი იყოს, ბატონებო“ და მისტერ ჯონ სმაუკერმა, რომელმაც მისტერ უელერი საზოგადოებას გააცნო, სემს ხმამაღლა მიუთითა, რომ სიტყვა, რომელიც თქვენ იხმარეთ, აქ არამც და არამც არაა სახსენებელიო.

- რომელი სიტყვა, სერ? - ჰკითხა სემმა.

- „დიასახლისები“, სერ, - მიუგო მისტერ ჯონ სმაუკერმა და მრისხანედ შეკრა კოპები, - ჩვენ აქ არ ვარჩევთ, ვინაა ქალბატონი და ვინ მსახური.

- კეთილი და პატიოსანი, - დაეთანხმა სემი, - მაშინ ნება მიბოძეთ, მაგ სიტყვის ნაცვლად მათ „ძვირფასი არსებანი“ ვუწოდო, თუკი „ჯოჯოხეთის ალი“ არ განრისხდება.

მწვანეშარვლიან ჯენტლმენს თითქოს თავში გაუელვა - რამდენად დასაშვებია, რომ ჩვენს თამადას „ჯოჯოხეთის ალი“ უწოდონო, მაგრამ დროზე შეამჩნია, რომ საკრებულო მუდამ მზადაა, თავისი უფლებები უფრო დაიცვას, ვიდრე თამადას გამოექომაგოს და მწვანეშარვლიანსაც ხმა არ ამოუღია. სამკუთხაქუდიანმაც ბრაზმორეულმა ამოიხვნეშა, მაგრამ გადაწყვიტა - სჯობს გავჩუმდე, ვაითუ, უარესი დამემართოსო.

მცირე ხნის დუმილის შემდეგ ჯენტლმენმა, რომელსაც კოჭებამდე გრძელი, მოქარგული ლივრეა და თითქმის ასეთივე გრძელი ჟილეტი ეცვა (რომელიც ნაწილობრივ უთბობდა ფე-

ხებს) მაგრად მოურია თავის გროგს, მერე, თითქოს თავს ძალა დაატანა, უეცრად წამოდგა და განაცხადა - მე მინდა საკრებულოს რამდენიმე შენიშვნა გავუზიაროო, რაზედაც სამკუთხაქუდიანმა მიუგო, მთელი საზოგადოება დიდად მოხარული იქნება, მოისმინოს ყოველი სიტყვა, რომელსაც თქვენ ბრძანებთო.

- მერწმუნეთ, ბატონებო, დიდად მერიდება თქვენ წინაშე სიტყვით რომ გამოვდივარ, - წარმოთქვა გრძელლივრეიანმა, - რადგან, ჩემდა საუბედუროდ, მეეტლე გახლავართ და მხოლოდ ეს არის ახლა ამირჩიეს ამ დიდებული სვარეს პატივცემულ წევრად. მაგრამ, სხვა გზა არ მაქვს, უნდა გაგიცხადოთ ერთი სამწუხარო ამბავი. ჩვენი მეგობარი მისტერ უიფერსი (ყველამ ფორთოხლისფერსერთუკიანს შეხედა), საქმეებს განუდგა!

ამის გაგონებაზე მთელი საკრებულო გაოცდა. თითოეულმა ჯენტლმენმა თავის მეზობელს გადახედა და მერე კვლავ მეეტლეს მიაჩერდა.

- არ მიკვირს, რომ ასე გაოცდით ყველანი, ბატონებო, - განაგრძო მეეტლემ, - იმდენად ვერ გავკადნიერდები, რომ მოგახსენოთ მიზეზები ჩვენი საზოგადოებისათვის ესოდენ დიდი დანაკარგისა, მაგრამ ვთხოვ უმორჩილესად, თვით მისტერ უიფერსმა მოგახსენოთ ამის შესახებ, რომ მისმა თაყვანისმცემელმა მეგობრებმა ჭკუა ისწავლონ და მიჰბაძონ მას.

რადგან აღნიშნული წინადადება ყველამ ერთხმად მოიწონა, მისტერ უიფერსმაც საკრებულოს საჭირო განმარტება მისცა. მან განაცხადა, რომ შესაძლოა, მქონოდა კიდეც სურვილი, შემენარჩუნებინა ის ადგილი, რომელზედაც ახლა უარი განვაცხადეო. ფორმის სამოსი მეტად მდიდრული მქონდა, ოჯახში მანდილოსნებიც ანგელოზებივით კეთილნი იყვნენ და თვით სამსახურიც, არ შემიძლია ესეც არ ვაღიარო - ძალიან იოლი გახლდათ. ძირითადი მოვალეობა, რაც დამეკისრა, იმაში მდგომარეობდა,

რომ მე და კიდევ ერთი მსახური, რაც შეიძლება დიდხანს უნდა ვმდგარიყავით გამოჭიმული ვესტიბიულის ფანჯარაში... იმ მსახურმაც უკვე უარი თქვა ადგილზე. რა თქმა უნდა, პატივცემულ საზოგადოებას არ შევაწყენდი თავს მწარე და შეურაცხმყოფელი დეტალების მოყოლით, რომ ჩემგან ასე კატეგორიულად არ მოეთხოვათ განმარტება. ახლა კი მეტი გზა არ არის, უნდა გავტყდე თქვენ წინაშე და გითხრათ, რომ მაიძულებდნენ - გინდა თუ არა ცივი ხორცი ჭამეო.

ძნელია წარმოიდგინოთ ის წყრომა, რომელიც მსმენელთა გულში გამოიწვია ამ განცხადებამ. ერთი აურზაური ატყდა: ხმამაღალი შეძახილები, „ვაი, სირცხვილო“, ერეოდა მძიმე ოხვრასა და ჯავრიან სტვენას. ეს ამბავი მთელ თხუთმეტ წუთს გაგრძელდა.

მისტერ უიფერსმა იქვე დასძინა - ვაითუ, ამ წყრომის ღირსი ნაწილობრივ მეც ვიყო, იმიტომ რომ მეტად ხათრიანი კაცი ვარო. ახლა ნათლად მაგონდება, ერთხელ უარი ვეღარ ვუთხარი და მარილიანი კარაქი შევჭამეო. მოხდა კიდევ ისიც, რომ ოჯახში ვიღაც ავად გახდა და მეც ნახშირით სავსე სათლი მესამე სართულზე ავიტანეო. მაგრამ, ვფიქრობ, ახლა მეგობრების თვალში თავი არ დავიმცირე, საკუთარი შეცდომები ასე გულწრფელად რომ ვაღიარე და იმის იმედიც მაქვს, რომ ჩემი სწრაფი პასუხი იმ შეურაცხყოფაზე, რომელიც მე მომაყენეს, ნაწილობრივ მაინც აღადგენს ჩემდამი კეთილგანწყობას მეგობრებს შორის, იმ შემთხვევაშიც, თუ ჩემი საქციელით შევლახე კიდეც მათი ღირსებაო.

მისტერ უიფერსის ამ სიტყვას მთელმა საზოგადოებამ აღტაცებული ყიჟინით უპასუხა. დიდი აღფრთოვანებით შესვეს სადღეგრძელო ამ ღირსშესანიშნავი კაცისა, რაზედაც ამ უკანასკნელმა სამადლობელი წარმოთქვა და შემდგომ საკრებულოს

შესთავაზა - ახლა ჩვენი სტუმარი, მისტერ უელერი ვადღეგრძელოთ, რომლის გაცნობის ბედნიერება აქამდე არ მქონია, მაგრამ რახან იგი მისტერ ჯონ სმაუკერის მეგობარია, ამაზე უკეთესი რეკომენდაცია რაღა იქნება ჯენტლმენთა ყოველი საკრებულოსათვის, როგორიც უნდა იყოს იგი და სადაც უნდა იყოსო. ამის გამო მისტერ უელერის სადღეგრძელოს შევსვამდით როგორც წესი და რიგია, ამჟამად ჩემი მეგობრები ღვინოს რომ სვამდნენ, მაგრამ რადგან ისინი გროგს მიირთმევენ ერთფეროვნების თავიდან ასაცილებლად და ამიტომ უხერხულიც იქნება ყოველ სადღეგრძელოზე ჭიქები ბოლომდე დაცალონ, ამჟამად საზოგადოებას შევთავაზებ ისე ჩათვალოს, ვითომც ყველა წესი და რიგი დავიცავითო.

დაასრულა თუ არა მისტერ უიფერსმა სიტყვა, ყველამ თითო ყლუპი მოსვა სემის პატივსაცემად; თვით სემმა კი, საკუთარი სადღეგრძელო ორი ჭიქა ფუნჯით შესვა, რომელიც იქვე დიდი ჯამიდან გადმოასხა და მადლობის ნიშნად მოხდენილი სიტყვით მიმართა საკრებულოს.

- დიდ მადლობას მოგახსენებთ, მეგობრებო, - თქვა მან და ფუნჯი თვალის დახამხამებაში გადახუხა, - იმ ქებისათვის, რომელიც, ასეთი რჩეული საზოგადოების მიერაა ნათქვამი. იგი ადამიანს ნამდვილად თავბრუს დაახვევს. ბევრი რამ მსმენია თქვენი საკრებულოს შესახებ, მაგრამ, უნდა გამოგიტყდეთ, არ მოველოდი ასეთი კარგი ბიჭები თუ იქნებოდით, რაშიც ახლა საკუთარი თვალით დავრწმუნდი. ეჭვიც არ მეპარება, რომ თქვენ არასოდეს შელახავთ საკუთარ ღირსებას. ამ ღირსების ხილვა დიდ სიამოვნებას მგვრიდა, ჯერ კიდევ იმ დროს, როდესაც სიგრძით, აი, იმ სპილენძისთავიანი კვერცხის ნახევარიც არ ვიყავი, რომელიც ჩემს დიდად პატივცემულ მეგობარს, „ჯოჯოხეთის ალს“ აქვს. რაც შეეხება ესოდენ შემაძრწუნებელი ჩაგვრის

მსხვერპლს, გოგირდისფერი სამოსი რომ აცვია, მის შესახებაც ერთ რამეს ვიტყოდი: იმედი მაქვს, მალე იშოვის სწორედ ისეთ კარგ ადგილს, რომლის ღირსიცაა იგი და სადაც არავისთან ექნება საჩხუბარი ცივი სვარეს გამო.

სემმა გულითადად გაუღიმა დამსწრეებს და დაჯდა.

ბოლოს, როდესაც ძლივს მიჩუმდა მოწონების შეძახილები, რომელიც მისტერ უელერის სიტყვამ გამოიწვია, სტუმრები თანდათანობით დაიშალნენ.

- ნუთუ წასვლას აპირებთ, მეგობარო? - მიმართა სემ უელერმა მისტერ ჯონ სმაუკერს.

- დიახ, უნდა წავიდე, - მიუგო მისტერ სმაუკერმა, - ბენთამს შევპირდი, მოვალ-მეთქი.

- ეგ სხვა ამბავია, - შენიშნა სემმა, - თორემ, ვინ იცის, თუ მოატყუებთ, ვაითუ, თვითონ დაგითხოვოთ... თქვენც ხომ არ მიბრძანდებით, „ჯოჯოხეთის ალო“?

- მეც მივდივარ, - მიუგო სამკუთხაქუდიანმა.

- როგორ, მიდიხართ და ასე უპატრონოდ ტოვებთ ფუნჯით სავსე ჯამს? - შესძახა სემმა, - ეს ხომ სიგიჟეა! დაჯექით!

მისტერ ტაკლმა ვერ გაუძლო ცდუნებას და დამორჩილდა. გვერდზე გადადო სამკუთხა ქუდი და კვერთხი, რომელიც ხელში აიღო და განაცხადა, ერთ ჭიქასაც შევსვამ - კეთილი მეგობრობის სადღეგრძელოსო.

რადგან ცისფერსერთუკიანიც მისტერ ტაკლის ახლომახლო ცხოვრობდა, ისიც დაითანხმა, რომ დარჩენილიყო. ფუნჯი ნახევრად რომ გამოცალეს, სემმა მემწვანილეს შეუკვეთა - ლოკოკინები მოგვართვიო. მაგარი ფუნჯი და სემის საქციელი იმდენად გამამხნევებელი აღმოჩნდა, რომ თვით მისტერ ტაკლმა, ყოფილმა თამადამ, სამკუთხა ქუდითა და კვერთხით, მაგიდაზე, ლოკოკინას ცარიელ ნიჟარებს შორის მეზღვაურთა ცეკვა შეას-

რულა; ცისფერსერთუკიანმა ჯენტლმენმა კი ცეკვის შესაფერისი მუსიკა დაუკრა ფრიად უცნაურ ინსტრუმენტზე, რომელიც წარმოადგენდა სავარცხლისა და პაპილოტების ქაღალდის ერთობლიობას...

როგორც კი ჰაერზე გამოვიდნენ, მისტერ ტაკლმა უეცრად გადაწყვიტა აგერ, აქვე, ფილაქანზე გავწვებიო. სემმა გაიფიქრა, ნამდვილად უღმერთო ვიქნები მის სურვილს ხელი რომ შევუშალო და მეგობარი ნებაზე მივუშვაო. სამკუთხა ქუდი პატრონს თავზე რომ ხურებოდა, უეჭველად დაესვრებოდა, ამიტომ სემმა ტაკლს ჩამოართვა და ცისფერსერთუკიანს ჩამოაცვა თავზე. სახლამდე რომ მიიყვანა ცისფერსერთუკიანი, სადარბაზო კარს მიაყუდა და ზარი დარეკა; თვითონ კი მხიარული სტვენით გაუდგა გზას...

მეორე დღეს მისტერ პიკვიკი დილაადრიანად ადგა, თავით ფეხამდე გამოწყობილი კიბეზე ჩავიდა და მსახურს დაურეკა.

- სემ, - უთხრა მისტერ პიკვიკმა, როდესაც ზარზე სემი ეახლა, - კარი მიხურე.

მისტერ უელერმა ნათქვამი შეასრულა.

- გუშინ საღამოს, სემ, აქ ერთი უბედური შემთხვევა მოხდა, - თქვა მისტერ პიკვიკმა, - რის გამოც უინკლი ფიქრობს, რომ შესაძლებელია, მისტერ დაულერმა მას შეურაცხყოფა მიაყენოს.

- ვიცი, ქვემოთ, რომ ვიყავი, მოხუცმა დიასახლისმა მიამბო, სერ.

- ახლა მეც უნდა მოგახსენო სამწუხარო ამბავი, სემ, - განაგრძო მისტერ პიკვიკმა სევდიანად, - ეტყობა, მისტერ უინკლს შეეშინდა, შეურაცხყოფა არ მომაყენონო და ადგა და წავიდა.

- წავიდა?! - შესძახა სემმა.

- დილაადრიან წასულა ისე, რომ წინასწარ არაფერი შემატყობინა, - მიუგო მისტერ პიკვიკმა, - არც კი ვიცი, სად წავიდა.

- მერედა, რატომ არ დარჩა და ერთი კარგად არ გაუმასპინ-ძლდა იმ კაცს, სერ! - წამოიძახა სემმა გაბრაზებით, - მაგ დაულერს რომ მოერიო, რა დიდი საქმეა, სერ?

- მართალი ხარ, სემ, - მიუგო მისტერ პიკვიკმა, - რაღა დაგი-მალო და, ცოტა არ იყოს, მეც შემეპარა ეჭვი ჩვენი მეგობრის მა-მაცობასა და გამბედაობაში. მაგრამ რა გაეწყობა, ასეა თუ ისე, მისტერ უინკლი წავიდა. ახლა, გთხოვ როგორმე მომინახო და აქ მომგვარო.

- თუ არ წამომყვა, სერ? - ჰკითხა სემმა.

- ძალით წამოიყვანე, - უთხრა მისტერ პიკვიკმა.

- მერედა, ვინ წამოიყვანს ძალით? - მიუგო სემმა ღიმილით.

- ვინა და შენ, - უპასუხა მისტერ პიკვიკმა.

- ვეცდები, სერ.

ეს თქვა თუ არა, მისტერ უელერი ოთახიდან გავიდა და არ გასულა ორი წუთი, რომ მისტერ პიკვიკმა გაიგონა, როგორ მიიკეტა სადარბაზო კარი.

ორი საათიც არ იქნებოდა გასული, სემი რომ დაბრუნდა. ისე-თი მშვიდი და არხეინი გამომეტყველება აღბეჭდოდა სახეზე, თითქოს მისთვის ჩვეულებრივი რამე დაევალებინოთ. პატრონს ამბავი მოუტანა, რომ ვიღაც კაცი, რომელიც როგორც მას აუწე-რეს, უდავოდ მისტერ უინკლი უნდა ყოფილიყო, ამ დილით ბრისტოლში გაემგზავრა ოტელ „როიალიდან“ პირდაპირი მსვლელობის ეტლით.

- სემ, - წარმოთქვა მისტერ პიკვიკმა და მსახურს გულთბი-ლად ჩამოართვა ხელი. - რა კაცი ხარ, პირდაპირ არ ვიცი. უნდა დაედევნო, ჩემო სემ.

- გისმენთ, სერ, - მიუგო მისტერ უელერმა.

- როგორც კი მონახავ, უმალვე მომწერე, სემ, - უთხრა მის-ტერ პიკვიკმა, - თუ შეეცდება ხელიდან დაგისხლტეს, ერთი კარ-

გად მიბეგვე და ჩაკეტე სადმე. ამის უფლებას მე თავად გაძლევ, სემ.

- ნუ გეშინიათ, სერ, ფრთხილად ვიქნები, - მიუგო სემმა.

- ასე გადაეცი, - განაგრძო მისტერ პიკვიკმა, - რომ აღშფოთებული ვარ მისი საქციელით.

- ვეტყვი ყველაფერს, სერ, - მიუგო სემმა.

- ისიც უთხარი, - კვლავ განაგრძო მისტერ პიკვიკმა, - დაუყოვნებლივ თუ არ დაბრუნდება აქ, აი, ამ სახლში, შენთან ერთად, მაშინ ჩემთან მოუხდება მგზავრობა, რადგან მე თავად წავალ და ჩამოვიყვან!

- მაგასაც მოვახსენებ, სერ, - მიუგო სემმა.

- მონახავ თუ არა, სემ? - ჰკითხა მისტერ პიკვიკმა მსახურს და თან ამოიოხრა.

- უეჭველად მოვნახავ, სადაც უნდა იყოს, - მტკიცედ მიუგო სემმა.

- კეთილი და პატიოსანი, - დამშვიდდა მისტერ პიკვიკი, - თუ ასეა, რაც უფრო მალე გაემგზავრები, მით უკეთესია.

სათანადო ინსტრუქციებთან ერთად მისტერ პიკვიკმა მსახურს გარკვეული თანხა გადასცა და უბრძანა, დაუყოვნებლივ გამგზავრებულიყო ბრისტოლში გაქცეულის დასაჭერად.

სემმაც სამგზავრო ჩანთაში საჭირო ნივთები ჩაალაგა და წასასვლელად მოემზადა. ტალანის ბოლოს რომ ჩავიდა, შეჩერდა, შემობრუნდა და კვლავ სასტუმრო ოთახის კარში შემოყო თავი.

- სერ! - ჩურჩულით წარმოთქვა.

- რა იყო, სემ? - ჰკითხა მისტერ პიკვიკმა.

- თქვენი ინსტრუქციები ხომ სწორად გავიგე, სერ?

- მე მგონი, სწორად გაიგე, - მიუგო მისტერ პიკვიკმა.

- აი, იმის შესახებ, რომ მივბეგვო, ეს ხომ პირდაპირი მნიშვნელობით უნდა გავიგოთ, სერ? - ჰკითხა კვლავ სემმა.

- ზუსტად, - უპასუხა მისტერ პიკვიკმა, - მოიქეცი ისე, როგორც საჭიროდ ჩათვლი. შენ ახლა ჩემი სახელით უნდა იმოქმედო.

სემმა თავი დაუკრა პატრონს იმის ნიშნად, რომ ყველაფერი გავიგეო, კარი მიიხურა და მხიარულად გაუდგა გზას...

თავი XXXVIII

იმის შესახებ, თუ როგორ გაეყარა მისტერ უინკლი ვაის და შეეყარა უის

ჯენტლმენმა, უნებურად მიზეზი რომ გახდა არაჩვეულებრივი ხმაურისა და აურზაურისა (რომელმაც როიალ-კრესენტის მთელი მოსახლეობა ააფორიაქა... რის შესახებაც წინა თავში მოგახსენეთ), მშფოთვარე ღამე გაატარა და ინათა თუ არა, მიატოვა მშვიდი სავანე, სადაც ჯერ კიდევ ტკბილად ეძინათ მის მეგობრებს და... თავადაც არ იცოდა, საით გასწია. ვეჭვობ, მისი კეთილშობილი და უნაზესი გრძნობები, რომელთაც მისტერ უინკლს ეს ნაბიჯი შთააგონეს, სათანადოდ იქნეს მოწონებული და დაფასებული. „თუ ეგ დაულერი შეეცდება (რაშიც ეჭვი არ მეპარება), - მიმართა უინკლმა საკუთარ თავს, - აღასრულოს თავისი მუქარა, ესე იგი, შეურაცხყოფა მომაყენოს, მე იძულებული ვიქნები, დუელში გამოვიწვიო. მას ცოლი ჰყავს. ამ ცოლს გაგიჟებით უყვარს. მით უფრო, რომ მისი მარჩენალია. ო, ღმერთო! მე რომ ბრაზით დაბრმავებულმა ეგ კაცი მოვკლა, რა მეშველება, სინდისი ქენჯნას დამიწყებს, სიცოცხლეს გამიმწარებს“.

ამ შემაძრწუნებელმა ფიქრმა ისე იმოქმედა კაცთმოყვარე ყმაწვილზე, რომ ღელვისგან მუხლები აუცახცახდა და სახეზე საშინელი ტანჯვა აღებეჭდა. ამავე საზარელი ფიქრით შთაგონებულმა ხელი სტაცა სამგზავრო ჩანთას, ფეხაკრეფით ჩაიარა კიბე, რაც შეიძლება ჩუმად მიიხურა სადარბაზო კარი, ესოდენ რომ გააწვალა წინა ღამით და წავიდა. შემთხვევით სასტუმრო

„როიალთან“ აღმოჩნდა, იქ ეტლი დახვდა, რომელიც იმწუთას ბრისტოლში მიემგზავრებოდა. „ბრისტოლი რითაა ნეტავ სხვა ადგილზე უარესი“, - გაუელვა უინკლს თავში. არც აცია, არც აცხელა, პირდაპირ კოფოზე მოიკალათა და დანიშნულების ადგილას მიაღწია ისე სწრაფად, რამდენადაც შეუძლია იაროს ერთ წყვილ ცხენს, რომელიც ამ გზაზე დღეში ორჯერ მაინც მგზავრობს აქეთ-იქით.

სასტუმრო „ჯაგნარში“ დასახლდა. გადაწყვიტა, რომ წერილობითი ხასიათის ურთიერთობა მისტერ პიკვიკთან იმ დრომდე გადაედო, ვიდრე მისტერ დაულერს ბრაზი ოდნავ გაუნელდებოდა და ქალაქის დასათვალიერებლად გამოვიდა. ბრისტოლი უფრო ჭუჭყიანი მოეჩვენა, ვიდრე სხვა ქალაქები, რომელიც კი ოდესმე ენახა.

როდესაც დოკებისა და გემების დათვალიერება მოათავა და მთავარი ტაძარიც მოინახულა, მისტერ უინკლმა იკითხა - კლიფტონში როგორ უნდა გავიდეო; პასუხი რომ მიიღო, ნაჩვენები მიმართულებით გაემართა. მაგრამ მოხდა ერთი რამ: რადგან ბრისტოლში ქვაფენილი არც ყველაზე უფრო ფართოა და არც ყველაზე უფრო სუფთა, მისტენ უინკლსაც ამდენ მიხვეულ--მოხვეულებში გზა აებნა. იგი უნებლიეთ შეჩერდა და თვალით დაუწყო ძებნა ისეთ დუქანს, სადაც შემდგომი რჩევისა და მითითების მიღება შეიძლებოდა. ამ დროს თვალში მოხვდა ახლად შეღებილი შენობა, რომელიც ეტყობა, არცთუ ისე დიდი ხანია გადაეკეთებინათ რაღაც დუქნისა თუ საცხოვრებელი სახლის ყაიდაზე. იქვე, სასტუმრო ოთახის ფანჯრის თავზე მოფიცრულ პლაშეტზე ოქროსფერი ასოებით წარწერა „მისაღები ოთახი“ რომ არ ყოფილიყო, წითელი ფარანი, სადარბაზო კარის თაღიანი ფანჯრის ზემოთ რომ ეკიდა, მაინც აშკარად აუწყებდა ყოველ გამვლელს, რომ ეს გახლდათ მკურნალი ექიმის რეზიდენ-

ცია. მისტერ უინკლმა გაიფიქრა - უთუოდ ეს ყველაზე შესაფერი ადგილია ცნობების მისაღებადო და ამიტომ პირდაპირ დუქანში შევიდა. დახლზე ოქროსფერიარლიყებიანი ყუთები და წამლის ბოთლები ეწყო. მისტერ უინკლს იქ არავინ დახვდა, ამიტომ ეშმაკურ ხერხს მიმართა: ჯიბიდან ნახევარი კრონი ამოიღო და დახლზე დააკაკუნა - უნდოდა იმ პირთა ყურადღება მიეპყრო, ვინც, შესაძლოა, უკანა ოთახში იმყოფებოდნენ. სწრაფადვე მიხვდა, რომ სწორედ ეს უკანა ოთახი წარმოადგენდა აღნიშნული დაწესებულების წმიდათაწმიდა სამყოფელს, რადგან ამ ოთახის კარზეც იგივე წარწერა - „მისაღები ოთახი“ ეკიდა, ოღონდ ამჯერად, უთუოდ ერთფეროვნების თავიდან ასაცილებლად წარწერა თეთრი ასოებით იყო შესრულებული.

როგორც კი დახლზე ნახევარკრონიანის კაკუნი გაისმა, წამსვე მეორე ოთახში ხმაური შეწყდა, რომელიც აქამდე მკაფიოდ ისმოდა - ეტყობა, ვიღაც ქარცახით ფარიკაობდა. მეორედ დაკაკუნების შემდეგ უკანა ოთახიდან უხმოდ შემოძვრა ყმაწვილი კაცი, შესახედავად მეტად დინჯი და ბეჯითი, მწვანე სათვალითა და ვეებერთელა დავთრით ხელში; დახლის გადაღმა დადგა და კლიენტს ჰკითხა - რა გნებავთო.

- მაპატიეთ, რომ გაწუხებთ, სერ, - თქვა მისტერ უინკლმა, - თუ შეიძლება მითხარით...

- ჰა, ჰა, ჰა! - იღრიალა უცებ ბეჯითმა ყმაწვილმა, ვეებერთელა დავთარი ჰაერში აისროლა და კვლავ მარჯვედ დაიჭირა სწორედ იმწუთას, როდესაც მას დაცემისას ნამსხვრევებად უნდა ექცია დახლზე ჩამოწყობილი წამლის შუშები, - აი სეირი! ამას კი არ მოველოდი!

მართლაც არ მოელოდა: რადგან მისტერ უინკლი ისე გააოგნა მედიცინის მსახურის უცნაურმა საქციელმა, რომ ესოდენ უჩვეულო მიღებით შემცბარმა, უნებლიეთ კარისკენ დაიხია.

- ნუთუ ვერ მცნობთ? - ჰკითხა მედიცინის მსახურმა.

მისტერ უინკლმა ძლივს წაილუღლუღა - რა ვქნა, ასეთი ბედნიერება ჯერ არ მქონიაო.

- ახლა, - მხიარულად წარმოთქვა მედიცინის მსახურმა, - ახლა კი იმედი მაქვს, რომ, თუ ბედმა გამიღიმა, ბრისტოლის მოხუცი მანდილოსნების ნახევარს მაინც ვუექიმებ... ეშმაკს წაუღიხარ, დაობებულო არამზადავ, გასწი აქედან!

ასეთი წყევლით მიმართა მედიცინის ბეჯითმა მსახურმა თავის ვეებერთელა დავთარს, შემდეგ მარჯვედ ჰკრა წიხლი და დუქნის შორეულ კუნჭულში ისროლა; როდესაც მწვანე სათვალეც ჩამოიხსნა, მისტერ უინკლმა იცნო რობერტ სოიერის მოღიმარი სახე, ესკვაირისა, ბოროში გაის საავადმყოფოს ყოფილი სტუდენტისა, რომელიც ლენტ-სტრიტზე ცხოვრობდა.

- ნუთუ იმასაც იუარებთ, რომ აქ ჩემს სანახავად მოხვედით? - ჰკითხა ბობ სოიერმა მისტერ უინკლს და გულთბილად ჩამოართვა ხელი.

- სინდისს გეფიცებით, არ ვიცოდი, აქ თუ ცხოვრობდით, - გულახდილად აღიარა მისტერ უინკლმა.

- გვარი მაინც ვერ წაიკითხეთ? - შენიშნა ბობ სოიერმა და მეგობარი ქუჩის კარისკენ გაიყოლა. ზედ თეთრი ასოებით ეწერა - „სოიერი, ნოკმორფის მონაცვლე“.

- რაღაც თვალში არ მომხვდა, - ჩაილაპარაკა მისტერ უინკლმა.

- ღმერთო ჩემო, მე რომ მცოდნოდა, თქვენ იყავით, უმალ გამოვიდოდი და გადაგეხვეოდით, - თქვა ბობ სოიერმა, - სინდისს გეფიცებით, მეგონა „მეფის გადასახადი“ მოვიდა-თქო.

- რას ამბობთ! - წამოიძახა მისტერ უინკლმა.

- ნამდვილად ასე მეგონა, - განაცხადა ბობ სოიერმა, - გადავწყვიტე მეთქვა, სახლში არ ვარ-მეთქი, მაგრამ თუ თქვენ პირა-

დად გსურთ რაიმე დავალება გადმომცეთ, ეჭვი ნუ გეპარებათ, დაუყოვნებლივ მოვახსენებ საკუთარ თავს!.. საქმე ის გახლავთ, რომ ის, „მეფის გადასახადი“ პირადად არ მიცნობს; არც „სინათლის გადასახადი“ მიცნობს და არც „ფილაქნის“. ეჭვი მაქვს, რომ „საეკლესიო გადასახადი მიხვდა უკვე, ვინც ვარ და იმასაც არ დაგიმალავთ, რომ „წყალსადენი“ ნამდვილად მიცნობს - აქ რომ დავსახლდი, კბილი ამოვუღე... მობრძანდით, მობრძანდით.

ამგვარი საამო ლაქლაქით გართულმა მისტერ ბობ სოიერმა სტუმარი უკანა ოთახში შეიყვანა, სადაც მის მოსვლამდე თავს იქცევდა და გავარვარებული ქარცახით ბუხრის ლავგარდანზე ჭუჭრუტანებს აკეთებდა ბენჯამინ ალენი.

- ო! - შესძახა მისტერ უინკლმა, - აი, ბედნიერება, რომელსაც მართლაც არ მოველოდი, რა დიდებული ოთახია!

- არა უჭირს რა, - მიუგო ბობ სოიერმა, - დიდი დრო არ გასულა იმ ღირსშესანიშნავი საღამოს შემდეგ, რაც გამოცდები ჩავაბარე; ჩემმა მეგობრებმა საჭირო თანხა შემიგროვეს და მეც ეს საქმე შევისყიდე. ერთ მშვენიერ დღეს შავი კოსტიუმი ჩავიცვი, ცხვირზე სათვალე გავიკეთე და აქ მოვბრძანდი, ასე საზეიმოდ გამოწყობილი.

- უთუოდ დიდ ფულსაც აკეთებთ, - შენიშნა მისტერ უინკლმა

- დიახაც, - მიუგო ბობ სოიერმა, - ეს საქმე იმდენად სარგებლიანია, რომ რამდენიმე წლის შემდეგ მთელ შემოსავალს ღვინის ჭიქაში ჩადებთ და ზედ კინკრიჟას ფოთოლს გადააფარებთ.

- თქვენ ხუმრობთ და ჯერ მარტო წამლები რომ ავიღოთ... - წარმოთქვა უინკლმა.

- ყალბია, ჩემო ძვირფასო მეგობარო, - თქვა ბობ სოიერმა, - ყუთების ერთი ნახევარი ცარიელია, მეორე ნახევარს კი თავი არ ეხდება.

- რას ამბობთ! - უნებლიეთ დასცდა მისტერ უინკლს.

- ასეა, ასე, გეფიცებით სინდისს! - მიუგო ბობ სოიერმა, დუქანში გავიდა და ნათქვამის დასამტკიცებლად, ყალბი ყუთების მოოქრულ სახელურებს ჩააფრინდა და მაგრად გამოსწია, - მთელ ამ დუქანში ნამდვილი არაფერია, გარდა წურბლებისა და ისინიც ნახმარია, - განუმარტა ბობ სოიერმა.

- ფიქრადაც არ მომივიდოდა, რომ ასე იყო! - წამოიძახა მისტერ უინკლმა გაოცებით.

- ეჭვი არ მეპარება, - მიუგო ბობ სოიერმა, - თორემ აბა, მოჩვენებითს რაღა ფასი ექნებოდა? მაგრამ კმარა... რას მიირთმევთ?.. აი, ჩვენს მაგალითს მიჰბაძეთ... შენ, ჩემო კარგო, ერთი ხელი შეყავი მაგ ბუფეტში და პატენტირებული კუჭის მოსანელებელი გამოიღე.

მზადყოფნის ნიშნად მისტერ ბენჯამინ ალენმა მეგობარს გაუღიმა და იქვე, ბუფეტიდან, ბოთლი გამოიღო, რომელშიც ბრენდი ესხა ნახევარზე.

- წყლით არ ინებებთ, უთუოდ? - ჰკითხა სტუმარს ბობ სოიერმა.

- ბოდიშს ვიხდი, - მიუგო მისტერ უინკლმა. - ჯერ ადრეა და, თუ წინააღმდეგი არ იქნებით, წყალი გაურიეთ, გეთაყვა.

- მე რა მაქვს საწინააღმდეგო, თქვენ თუ სინდისი არ დაგიწყებთ ქენჯნას, - მიუგო ბობ სოიერმა სიცილით და თვალის დახამხამებაში სავსე ჭიქა გამოცალა, - ბენ, მოიტა ფიალა!

იმავე სანახიდან მისტერ ბენჯამინ ალენმა გამოიღო სპილენძის პატარა ფიალა, რომლითაც მასპინძელი, ეტყობა, დიდად ამაყობდა, რადგან ფიალა ძალზე „საქმიანად“ გამოიყურებოდა. როდესაც ამ ჭურჭელში წყალი ადუღდა, ერთი თუ ორი პატარა ნიჩაბი ნახშირის წყალობით, რომელიც მედიცინის მსახურმა გამოიღო სააფთიაქო კარადის უჯრიდან წარწერით - „სოდიანი

წყალი“ - მისტერ უინკლმა თავისი სასმელი შელახა - ბრენდის წყალი გაურია.

ის იყო, საუბარი გამოცოცხლდა, რომ უეცრად დუქანში ბიჭი შემოვიდა, რუხ ლივრეასა და ოქროს სირმით მოვლებული ქუდით, ყმაწვილს თავდახურული კალათა ეჭირა ხელში.

სალმის ნიშნად მისტერ ბობ სოიერმა წამოიძახა:

- ტომ, შე არამზადავ, ერთი აქ მობრძანდი!

ბიჭი მივიდა.

- ამდენ ხანს სად იყავი, მაწანწალავ, უთუოდ ყოველი ბოძის წინ ჩერდები, არა? - ჰკითხა ბობ სოიერმა.

- არა, არ ვჩერდები, - მიუგო ბიჭმა.

- ერთი გაგიბედავს! - დაემუქრა მისტერ ბობ სოიერი, - აბა, მითხარით, რომელი ავადმყოფი მიმართავს ექიმს, როდესაც ექიმის თანაშემწე მთელი დღე ქვაფენილზე კენჭაობას ან ლახტს თამაშობს? ნუთუ შენს საპატიო თანამდებობას არაფრად აგდებ, არამზადავ?.. წამალი ყველას მიუტანე?

- დიახ, სერ.

- ფხვნილი ბავშვისთვის უნდა მიგეტანა დიდ სახლში, სადაც ახალი მდგმურები გადმოვიდნენ... აბები კი, დღეში ოთხჯერ რომ უნდა მიიღოს, იმ ჭირვეული ჯენტლმენისთვის, ნიკრისის ქარი რომ ჭირს?

- დიახ, სერ.

- მაშ, ახლა, კარი მოხურე და აფთიაქს მიხედე.

- ვფიქრობ, საქმე არც ისე ცუდადაა, თქვენ რომ წეღან მარწმუნებდით, - შენიშნა მისტერ უინკლმა, ბიჭი რომ გავიდა, - ზოგიერთი წამალი უკვე გაასაღეთ კიდეც.

მისტერ ბობ სოიერმა აფთიაქში შეიხედა და როცა დარწმუნდა, იქ უცხო არავინ იყო, მისტერ უინკლისკენ გადაიხარა და ჩუმი ხმით უთხრა:

- ეგ წამლები სხვა სახლში მიაქვს.

მისტერ უინკლი გაოცდა; ბობ სოიერმა და მისმა მეგობარმა კი გულიანად გადაიხარხარეს.

- ნუთუ ვერ მიხვდით? - თქვა ბობმა, - ჩემი თანაშემწე მიდის რომელიმე სახლში, სადარბაზო კართან დარეკავს, და ზარზე მსახური რომ გამოვა, ხელში შესჩრის შეკრულას წამლებით, ყოველგვარი განმარტების გარეშე. თვითონ მოტრიალდება და მიდის. მსახურს ამანათი მიაქვს სასადილო ოთახში. ოჯახის უფროსი გახსნის შეკრულას და კითხულობს იარლიყს: „მიქსტურა უნდა მიიღოთ ძილის წინ; აბები - იმავე წესით, როგორც უწინ; გამოსავლები სითხე - ხმარება ცნობილია - სოიერი, ნოკმორფის მონაცვლე. დამზადებულია ზუსტად ექიმის რეცეპტის მიხედვით“, და სხვა ამგვარი. ოჯახის უფროსი შეკრულას მეუღლეს უჩვენებს; ახლა ქალი კითხულობს წარწერას; ამანათს მსახურებს გადასცემენ. ისინიც კითხულობენ წარწერას. ცოტა ხანში ბიჭი კვლავ იმავე სახლში მიდის და ბოდიშს იხდის: „ძალიან ვწუხვარ, მისამართი შემეშალა... იმდენი საქმე მაქვს... ქვეყნის ამანათებია... მოკითხვა მისტერ სოიერისგან. ნოკმორფის მონაცვლისგან“. - ასე დაამახსოვრდებათ ხოლმე გვარი, საექიმო პრაქტიკაში კი ესაა მთავარი. ამაზე უკეთესი რეკლამა რაღა იქნება, ჩემო კარგო! ერთი ბოთლი მაქვს, ზომით ოთხი უნცია, რომელმაც ბრისტოლში სახლების თითქმის ნახევარი შემოიარა და კიდევ ბევრსაც შემოივლის.

- აი, თურმე რა ყოფილა! - შესძახა მისტერ უინკლმა, - ბრწყინვალე გეგმაა!

- ო, ბენმა და მე ამისთანა გეგმა უკვე ათი თუ თორმეტი მოვიგონეთ, - აღფრთოვანებით მიუგო ბობ სოიერმა, - მეფარნე თვრამეტ პენსს გვართმევს კვირაში... ყოველ ღამე, მთელი ათი წუთის განმავლობაში, გაივლის თუ გამოივლის, - ჩვენს ზარს

რეკავს. ეს ჩემი ბიჭი ეკლესიაში სწორედ მაშინ შემოვარდება ხოლმე, როცა წირვა უნდა დაიწყოს. ხალხი კი ჯერ უსაქმოდ ზის, აქეთ-იქით აცეცებს თვალს. ბიჭი საჩქაროდ გამომიძახებს, თანაც სახეზე ეტყობა, რომ ძალიან შეშფოთებულია. „ღმერთო, შენ შეგვიწყალე! - ამბობს ყველა, - ეტყობა ვიღაც ავად გახდა. აგერ კაცი გამოუგზავნეს სოიერს, ნოკმორფის მონაცვლეს. დახეთ, ამ ყმაწვილს რა დიდი პრაქტიკა აქვს!“

გაუმჟღავნეს თუ არა მეგობარს რამდენიმე ასეთი პროფესიონალური საიდუმლო, ბობ სოიერი და ბენ ალენი სკამის ზურგებს მიეყრდნენ და ხარხარი მორთეს. გული რომ იჯერეს, შემთხვევით საუბარი ისეთ თემას შეეხო, რომელიც მისტერ უინკლს აინტერესებდა უშუალოდ.

ვფიქრობთ, არაერთხელ მოგახსენეთ, მკითხველო, რომ მისტერ ბენჯამინ ალენს ერთი ზნე სჭირდა: არაყს დალევდა თუ არა, უმალვე ჩვილი ბავშვივით აუჩუყდებოდა გული. რა თქმა უნდა, ამ დაავადებას ვერ ჩავთვლით რაღაც განსაკუთრებულ შემთხვევად, რადგან ჩვენ ადრეც გვქონდა საქმე ისეთ პაციენტებთან, რომელთაც იგივე სიმპტომები გამოუმჟღავნებიათ მსგავს პირობებში. ბოლო ხანებში მაინც ძალიან დასჩემდა მისტერ ალენს ეს სენი, რისი მიზეზიც, მოკლედ რომ მოგახსენოთ, შემდეგში მდგომარეობდა: აგერ სამი კვირაა, იგი მისტერ ბობ სოიერთან იყო სტუმრად. მასპინძელს სმა უყვარდა. სტუმარი მას ხათრს ვერ უტეხდა და შედეგიც ის გახლდათ, რომ მთელი ამ ხნის განმავლობაში მისტერ ალენი ხან მთვრალი იყო და თუ მთვრალი არა, შეჭიკჭიკებული მაინც.

- ჩემო ძვირფასო მეგობარო, - მიმართა სტუმარს მისტერ ბენჯამინ ალენმა, როდესაც მისტერ ბობ სოიერი მცირე ხნით აფთიაქში გავიდა - კლიენტისთვის რამდენიმე წურბელა უნდა მიეცა, - ჩემო ძვირფასო მეგობარო, მე ძალიან უბედური კაცი ვარ!

მისტერ უინკლმა გულითადი თანაგრძნობა განუცხადა ნათქვამის გამო და ჰკითხა, - იქნებ შემიძლია თქვენს დარდს რამეთი ვუშველოო.

- არა და არა, ჩემო კარგო, - თქვა ბენმა, - არაბელა თუ გახსოვთ, უინკლ? ჩემი და, უინკლ, პატარა, შავთვალება გოგონა?.. თუმცა არ ვიცი, იქნებ ვერც შეამჩნიეთ იგი, ლამაზი პატარა გოგონა... უინკლ, იქნებ ჩემი სახის ნაკვთებმა მოგაგონოთ მისი სახე.

მართალი გითხრათ, მისტერ უინკლს არც სჭირდებოდა დამხმარე საშუალებანი, რომ მომხიბლავი არაბელა მოეგონებინა. კიდევ კარგი, რომ ასეც იყო, რადგან ძმის ნაკვთები ვერამც და ვერამც ვერ აღადგენდნენ მისტერ უინკლის გონებაში დის მშვენიერ სახეს. მან რაც შეიძლება მშვიდად მიუგო, მახსოვს, როგორ არ მახსოვს შავთვალება ქალიშვილიო და იქვე დასძინა - იმედი მაქვს, ჯანმრთელად ბრძანდებაო.

- ჩვენი მეგობარი ბობი ხომ საუცხოო ყმაწვილია, უინკლ? - პასუხის ნაცვლად კითხვა დასვა მისტერ ბენ ალენმა.

- რა თქმა უნდა, - კვერი დაუკრა მისტერ უინკლმა, თუმცა გულში არაფრად ეამა, რომ ქალიშვილისა და ყმაწვილის სახელები ერთად ახსენეს.

- იცით, ერთი აზრი დამიჯდა ჭკუაში - ესენი უნდა დავნიშნო. განგებას თითქოს ერთმანეთისთვის გაუჩენია. ამქვეყნად თითქოს იმიტომ მოსულან, რომ ერთმანეთს შეეყარონ, უინკლ, - თქვა მისტერ ბენ ალენმა და ჭიქა მაგიდაზე დადგა, - ბედია, ჩემო ძვირფასო სერ, ბედი! ბობი ხუთი წლით უფროსია არაბელაზე და ორივეს დაბადების დღე აგვისტოშია.

მისტერ უინკლს ისე ძლიერ სურდა გაეგრძელებინა ამ თემაზე საუბარი, რომ არც კი გაჰკვირვებია თარიღების ესოდენ უცნაური თანხვედრა. თუმცა ეს ჭეშმარიტად გასაოცარი იყო. აც-

რემლებული თვალებით მოუყვა ბენ ალენი სტუმარს, რომ მიუხედავად იმისა, რომ თვითონ იგი ესოდენ კეთილადაა განწყობილი ბობ სოიერისადმი, დიდ პატივს სცემს და აფასებს მეგობარს, მის დას, არაბელას, იგი თვალის დასანახავადაც არ უნდა, ისე ეჯავრება.

- მგონი... - შენიშნა ბოლოს მისტერ ბენ ალენმა, - მგონი, ეს ძველი გატაცების ბრალი უნდა იყოს.

- თუ იცით, ვინ უნდა იყოს ამ გატაცების საგანი? - ჰკითხა მისტერ უინკლმა და გული აუძგერდა.

პასუხის ნაცვლად მისტერ ბენ ალენმა ქარცახს სტაცა ხელი. ვაჟკაცურად მოიქნია, რაც ძალი და ღონე ჰქონდა გონებაში წარმოდგენილ თავის ქალას უთავაზა და მეტყველი ხმით განაცხადა, ნეტავ ვიცოდე ვინ არის, მაშინ ვუჩვენებდი სეირსო.

- გეფიცებით, არ დავაყრიდი კარგ დღეს! - შესძახა მისტერ ბენ ალენმა და გაშმაგებულმა ქარცახი უფრო მძლავრად მოიქნია.

მისტერ ალენის ამ საქციელმა ისე დამამშვიდებლად იმოქმედა მისტერ უინკლზე, რომ რამდენიმე წუთის განმავლობაში მან ხმა ვეღარ ამოიღო. ბოლოს მაინც გაბედა და ჰკითხა - მის ალენი ამჟამად კენტში თუ ბრძანდებაო.

- არა, არ ბრძანდება, - ეშმაკური ღიმილით მიუგო მისტერ ბენ ალენმა და ქარცახი სკამს მიაყუდა, - მე ვფიქრობ, მისტერ უორდლის სახლი არაა შესაფერი სამყოფელი ესოდენ ჯიუტი ქალიშვილისთვის. ბუნებრივია, მოგეხსენებათ, რომ მე გახლავართ მისი მეურვე და მფარველი. რადგან მშობლები დიდი ხანია გარდაგვეცვალა. ახლა აქ მახლობლად ჩამოვიყვანე, რომ მოხუც დეიდასთან გაატაროს რამდენიმე თვე. ჩინებული ადგილია - კაცის ჭაჭანებას ვერ ნახავ. ვფიქრობ, იქ ნამდვილად განიკურნება, ისწავლის ჭკუას. თუ ამანაც არ უშველა, - ცოტა ხნით

საზღვარგარეთ წავიყვან. ვნახოთ, რა გამოვა, როგორ მოუხდება.

- ის დეიდა... ბრისტოლში ცხოვრობს? - წაილუღლუღა მისტერ უინკლმა.

- არა, ბრისტოლში არ ცხოვრობს, - მიუგო მისტერ ბობ ალენმა და ცერი მარცხნივ გაიშვირა, - აგერ იქითაა, იქით... ჩუ, ბობი მოდის. გთხოვთ, ამის შესახებ სიტყვაც არ დაგცდეთ მასთან... სიტყვაც, ჩემო ძვირფასო მეგობარო!

თუმცა ეს საუბარი მოკლე იყო, მაგრამ მისტერ უინკლის გულში მან დიდი ღელვა და შფოთი გამოიწვია. ის ადრინდელი გატაცება დიდი ხანია მოსვენებას არ აძლევდა. ახლაც ფუტკრებივით შემოესია ფიქრები; ნეტავ გატაცების საგანი მე ხომ არა ვარ? ჩემ გამო ხომ არ შეიჯავრა მშვენიერმა არაბელამ ეს მხიარული, გულღია ყმაწვილი, ბობ სოიერი... ან იქნებ, მეც მყავს ბედნიერი მეტოქე?.. არა, რადაც უნდა დამიჯდეს, უნდა ვინახულო, - გადაწყვიტა ბოლოს. უეცრად წინ დაუძლეველი დაბრკოლება გადაეღობა - ვერაფრით მიხვდა, თუ რას ნიშნავდა ბენ ალენის მითითება „იქით, იქითო“ - სამ მილს, ოცდაათსა თუ სამასს.

დიდხანს არ დასცალდა სიყვარულზე ოცნება. ბობ სოიერი დაბრუნდა თუ არა, ბიჭმა უმალვე მოართვა ხორცის ღვეზელი, რომელიც იქვე საფუნთუშედან მოიტანა და მასპინძელიც სტუმარს შეეხვეწა - დარჩით და ეს ღვეზელი გასინჯეთო. მსახური ქალი, რომელიც ერთსა და იმავე დროს მნექალის თანამდებობას ასრულებდა, სუფრის გაწყობას შეუდგა. როდესაც დანა--ჩანგლის მესამე წყვილი ბიჭის დედისგან ითხოვეს (ბობ სოიერის ოჯახური მეურნეობა ჯერ კიდევ საკმაოდ ღარიბი გახლდათ), ყველანი სუფრას შემოუსხდნენ. სადილად ლუდიც

მოიტანეს, როგორც თვით მასპინძელმა აღნიშნა, ლუდისთვის საგანგებო ტოლჩებით.

სადილის შემდეგ მისტერ ბობ სოიერმა მოითხოვა ყველაზე დიდი სანაყი, რაც კი დუქანში გააჩნდა და შეუდგა შიგ სურნელოვანი ფუნჯის შეზავებას. ჭეშმარიტი მეაფთიაქის ზუსტი თვალით წონიდა და მარჯვედ ურევდა სათანადო ნივთიერებებს. მალე ფუნჯი მზად იყო. რადგან იგი უცოლო კაცი გახლდათ, მთელ სახლში მხოლოდ ერთადერთი ჭიქა მოეპოვებოდა, რომელიც, რაღა თქმა უნდა, სტუმარს დაუთმეს. მისტერ ბენ ალენმა ჭიქის ნაცვლად ძაბრი გამოიყენა - ვიწრო თავი კორპით დაუცვა, მასპინძელმა კი ფართოპირიანი შუშის ჭურჭელი აიღო, რომელსაც ზედ რაღაც კაბალისტური ნიშნები ეწერა: მათი საშუალებით მეაფთიაქეები თხიერი წამლების რაოდენობას ზომავენ ხოლმე მიქსტურის შესაზავებლად.

როდესაც ზემოხსენებული მოსამზადებელი მუშაობა დასრულდა, ფუნჯი გასინჯეს და გამოაცხადეს - ჩინებული რამ არისო. რადგან წინასწარ იყო დათქმული, რომ მისტერ უინკლის თითო ჭიქაზე მისტერ ბენ ალენი და მისტერ ბობ სოიერი ორ--ორჯერ შეავსებდნენ ჭიქებს. სამივე გულდასმით შეუდგა დადებული პირობის შესრულებას.

სიმღერით არ უმღერიათ, რადგან მასპინძელმა პირდაპირ განაცხადა - ეგ საქმე ჩვენს პროფესიას არ შეჰფერისო; მაგრამ, უთუოდ დანაკლისის ასანაზღაურებლად, ისე ხმამაღლა ლაქლაქებდნენ და ხარხარებდნენ, რომ მათ ხმას გამვლელი ქუჩის ბოლოსაც კი გაიგონებდა. ამ საუბარსა და სიცილ-ხარხარში საღამომ საამოდ ჩაიარა, რის შედეგადაც ბევრი რამ სიბრძნე შეემატა ბობ სოიერის თანაშემწეს, რუხლივრეიან ბიჭს. მან დიდი ხანია მიატოვა მისთვის ჩვეული საქმიანობა (დახლზე თავის სახელს წერდა და იქვე შლიდა) და მთელი საღამო სასტუმრო

ოთახის მინის კარს არ მოსცილებია - ყველაფერს თავისი თვალით ხედავდა და თავისი ყურით უსმენდა.

ის იყო მისტერ ბობ სოიერის მხიარულებას აეხსნა აღვირი, მისტერ ბენ ალენს კი, ჩვეულებისამებრ, გული აუჩუყდა და ფუნჯიც თითქმის გათავდა, რომ ოთახში უეცრად ბიჭი შემოვარდა და გამოაცხადა - ვიღაც ყმაწვილი ქალი მოვიდა: მისტერ ბობ სოიერს, ნოკმორფის მონაცვლეს სასწრაფოდ ეძახიან ერთ-ერთ მახლობელ ქუჩაზეო.

ღრეობა შეწყდა. მისტერ ბობ სოიერს ოცჯერ მაინც გაუმეორეს ბიჭის ნათქვამი; როგორც იქნა, გააგებინეს. მკურნალმა უმალვე თავზე ცივი პირსახოცი შემოიხვია და ოდნავ რომ გამოფხიზლდა, მწვანე სათვალე გაიკეთა და მოვალეობის შესასრულებლად გაემგზავრა; თან სტუმარს სთხოვა, - გემუდარებით, ჩემს მოსვლამდე არსად წახვიდეთო.

როდესაც მისტერ უინკლი საბოლოოდ დარწმუნდა, რომ მისტერ ბენ ალენს აწი გონიერად ვერაფერს ჩააგონებდა, თანაც იმ თემაზე, რომელიც მას ესოდენ აღელვებდა, იგი მასპინძელს გამოეთხოვა და „ჯაგნარში“ დაბრუნდა.

სულიერმა ღელვამ და გამუდმებულმა ოცნებამ, რომელიც მის არაბელას გახსენებამ გააღვივა ყმაწვილის გულში, ნამდვილად შეუშალეს ხელი ფუნჯს, რაც უინკლს ხვდა წილად, იმ საღამოს დაეტოვებინა მასზე ისეთი კვალი, რომელსაც სხვა შემთხვევაში უეჭველად დასტოვებდა. ამიტომ ყმაწვილმა იქვე ბუფეტში კიდევ ერთი ჭიქა ბრენდი გამოსცალა, მას სოდიანი წყალი დააყოლა და სასადილო დარბაზში შევიდა. მაინცდამაინც მხიარულ გუნებაზე ვერ იყო, რადგან იმ დღეს მომხდარი ამბები გულზე მძიმე ლოდად აწვა.

ბუხრის წინ, მისტერ უინკლთან ზურგით იჯდა შავ პალტოში გამოწყობილი მაღალი ჯენტლმენი. დარბაზში მის მეტი არავინ

იყო. ამ საღამოს საკმაოდ ციოდა და შავპალტოიანმა თავისი სკამი გვერდზე გასწია, რომ ახალმოსული ცეცხლის პირას გამთბარიყო. წარმოიდგინეთ მისტერ უინკლის გაოცება, როდესაც უეცრად თვალწინ გამოეცხადა მისტერ დაულერის მძვინვარე სახე, შურისგებით აღსავსე!

მისტერ უინკლს უნდოდა ზარის სახელურს ჩაჰფრენოდა, მაგრამ, მისდა საუბედუროდ, იგი მისტერ დაულერის მხარეს ეკიდა. ვიდრე ამას მოისაზრებდა, ვაჟმა უნებლიეთ გადადგა ნაბიჯი აღნიშნული მიმართულებით და ამ მოძრაობის დანახვაზე მისტერ დაულერმა სკამიანად უკან დაიხია.

- მისტერ უინკლ, სერ! დამშვიდდით, გეთაყვა, გევედრებით არ დამარტყათ, თორემ ვერ ავიტან. დარტყმას ვერავის ვაპატიებ! არასოდეს! - წამოიძახა მისტერ დაულერმა ბევრად უფრო მშვიდად, ვიდრე მისტერ უინკლი მოელოდა ესოდენ მძვინვარე ჯენტლმენისგან.

- და... დარტყმას, სერ? - წაილუღლუღა მისტერ უინკლმა.

- დიახ, დარტყმას, სერ, - მიუგო დაულერმა, - ნუ ღელავთ, დაბრძანდით და მომისმინეთ, გეთაყვა.

- სერ, - წარმოთქვა მისტერ უინკლმა. საცოდავი თავით ფეხამდე ცახცახებდა, - ვიდრე დავთანხმდებოდე აგერ აქ, გვერდში მოგიჯდეთ და გელაპარაკოთ, გარანტია უნდა მომცეთ პატარა განმარტების სახით. წუხელის თქვენ არ იყავით, რომ დამემუქრეთ, სერ, საშინლად დამემუქრეთ, - ღელვისაგან მისტერ უინკლს მკვდრისფერი დაედო და გაჩუმდა.

- დიახ, სერ, ასე იყო, - წარმოთქვა მისტერ დაულერმა და ისიც გაფითრდა, - წარმოიდგინეთ, გარემოება მართლაც საეჭვო იყო, მაგრამ განმარტება მოვისმინე და გაირკვა ყველაფერი. დიდ, უღრმეს პატივს გცემთ მამაცობისთვის. ახლა კი მესმის,

რომ თქვენი გრძნობები წმინდაა, სინდისი უმწიკვლოა. აგერ, ინებეთ ჩემი ხელი.

- კი მაგრამ, სერ, - წამოიწყო მისტერ უინკლმა, გულში ჯერ კიდევ ყოყმანობდა - ჩამოერთმია თუ არა მოსულისთვის ხელი; ეშინოდა კიდეც - ვაითუ, ხელს იმიტომ მთხოვს, რომ დრო იხელთოს და შემომიტიოსო, - კი მაგრამ, სერ...

- ვიცი, ვიცი, რის თქმასაც აპირებთ, - სიტყვა შეაწყვეტინა დაულერმა, - რომ ფრიად ნაწყენი ბრძანდებით, შეურაცხყოფილი!.. გასაგებია, გასაგები. მეც ასე ვიგრძნობდი, მაპატიეთ, დამნაშავე ვარ... ბოდიშს ვიხდი... კვლავ მეგობრები ვიყოთ, - ამ სიტყვებით დაულერმა თითქმის ძალით სტაცა მისტერ უინკლს ხელი და გულმხურვალედ ჩამოართვა. თან განუცხადა, თქვენისთანა მამაცი კაცი იშვიათად თუ შემხვედრია ოდესმეო.

- დაბრძანდით, ჩემო მეგობარო, - სთხოვა დაულერმა, - დაბრძანდით და მომიყევით... საშინელი ვიყავი? მართლა გამოგეკიდეთ დანით? არაფერი დამიმალოთ, ყველაფერი მითხარით.

- მერწმუნეთ, სრულიად შემთხვევით მოხდა, - მიუგო მისტერ უინკლმა, რომელიც ესოდენ მოულოდნელი და უცნაური შეკითხვების გაგონებაზე ცოტა არ იყოს დაიბნა, - სრულიად შემთხვევით.

- გამახარეთ, სერ, ნამდვილად გამახარეთ, - თქვა დაულერმა, - დილით რომ გამეღვიძა, მუქარა გადამავიწყდა. პირიქით, ის ამბავი სიცილად არ მყოფნის. კეთილი გულით მოგიხსენიეთ.

- ვისთან? - ჰკითხა მისტერ უინკლმა.

- მისის დაულერთან... „თქვენ ხომ დაიფიცეთ“, - მითხრა მან. „მართალი ბრძანდებით, - ვუთხარი მეც, - ახლავე მოვიხდი ბოდიშს... სად არის?“ - ვიკითხე.

- ვინ? - ჰკითხა კვლავ მისტერ უინკლმა.

- ვინ და თქვენ! - მიუგო დაულერმა, - დაბლა ჩამოვედი. არ-სად ჩანდით. პიკვიკს შევხვდი, დანა პირს არ უხსნიდა, ნაღ-ვლიანად გაიქნია თავი. ასე მითხრა - იმედია, ძალას არ მიმარ-თავთო. მაშინ კი მივხვდი ყველაფერს. შეურაცხყოფა მოგაყე-ნეთ. თქვენც ადექით და წახვედით. შესაძლოა მეგობარიც მოიწ-ვიეთ, პისტოლეტები შეიძინეთ. „ვაჟკაცი ყოფილა! - გავიფიქრე, - თაყვანსა ვცემ-მეთქი მას“.

მისტერ უინკლი ახლა კი მიხვდა, საითაც დაბერა ქარმა. წელში გასწორდა და მეტყველად ჩაახველა.

- ბარათი დაგიტოვეთ, - განაგრძო დაულერმა, - გწერდით, რომ ვნანობ-მეთქი... მართლაც ასეა. აქ სასწრაფო საქმეზე გა-მომიძახეს. მაგრამ თქვენ ბარათით არ დაკმაყოფილდით, აქ გა-მომედევნეთ. ზეპირი განმარტება მომთხოვეთ... მართალი ბრძანდებით... კიდევ კარგი... ახლა ნათელია ყველაფერი. ჩემი საქმე უკვე მოვათავე და ხვალ უკან მივდივარ... მოდით, ერთად წავიდეთ.

რაც უფრო მეტად ირკვეოდა საქმის ვითარება, მით უფრო თვითდაჯერებულ იერს იღებდა უინკლი. ის საიდუმლოება, რო-მელიც საუბრის დასაწყისში ორივეს აწუხებდა, თანდათანობით გაიფანტა. გამოირკვა, რომ მისტერ დაულერს ისევე სძულდა დუელი, როგორც უინკლს. უფრო სწორად რომ ვთქვათ, ეს შფო-თიანი და შესახედავად მძვინვარე ჯენტლმენი გულში საშინლად მხდალი გახლდათ. როგორც კი გაიგო, რომ მისტერ უინკლი წა-ვიდა, მისმა მხდალმა სულმა გულში ისეთი შიში ჩაუნერგა, რომ დაუყოვნებლივ მანაც უინკლის მაგალითს მიჰბაძა: დროზე გაეცალა საფრთხეს, ვიდრე ვნებათაღელვა არ შენელდებოდა.

მისტერ უინკლმა საქმის ჭეშმარიტი ვითარება რომ გაიგო, მრისხანედ დაუბღვირა მისტერ დაულერს და შემდეგ, თითქოს მოწყალედ წარმოთქვა - კეთილი, ამჯერად ამით დავკმაყოფილ-

დებითო, მაგრამ ეს თქვა ისეთი ხმით, რომ მისტერ დაულერი მიხვდა - ახლა ამით რომ არ დაკმაყოფილებულიყო, საშინელ, საზარელ რამეს მოიმოქმედებდაო. ამიტომ მან სათანადოდაც დააფასა მისტერ უინკლის სულგრძელობა და გულმოწყალება - მთელი საღამო საუკუნო მეგობრობას ეფიცებოდა, რაზედაც საბოლოოდ უინკლმაც იგივე აღუთქვა. მხოლოდ ამის შემდეგ დაშორდნენ მოწინააღმდეგე მხარეები ერთმანეთს.

დაახლოებით პირველის ნახევარზე, როდესაც მისტერ უინკლი უკვე ოცი წუთის განმავლობაში პირველი ძილის სიტკბოებას ეძლეოდა, უეცრად ხმამაღალმა კაკუნმა გამოაღვიძა. მის კარზე აკაკუნებდნენ. მისტერ უინკლი საწოლზე წამოჯდა და ხმამაღლა იკითხა - ვინ არის და რა მოხდაო.

- მაპატიეთ, სერ, - მიუგო მსახური ქალის ხმამ, - აქ ვიღაც ყმაწვილია. ასე ამბობს დაუყოვნებლივ უნდა ვინახულოო.

- ყმაწვილი? - წამოიძახა მისტერ უინკლმა.

- დიახ, არ ცდება, სერ, - მიუგო ახლა მეორე ხმამ, საკეტის ჭუჭრუტანაში. - და თუ ეს მშვენიერი ყმაწვილი დაუყოვნებლივ არ შემოუშვით, ადვილი შესაძლებელია, რომ მის ფეხს უფრო ადრე დაინახავთ, ვიდრე მის სახეს, - თქვა თუ არა ეს სიტყვები, ყმაწვილმა მართლაც კარის ქვედა ფიცარს შემოჰკრა ფეხი, თითქოსდა იმისათვის, რომ უფრო მეტი ძალა და წონა მიეცა ნათქვამისთვის.

- თქვენ ხართ, სემ? - იკითხა მისტერ უინკლმა და წამოხტა საწოლიდან.

- გონებამ რომ ირწმუნოს, შეუძლებელია, დაადგინოთ კაცის ვინაობა, თუ არ შეხედეთ მას, სერ, - დინჯად მიუგო სემმა.

მისტერ უინკლს ახლა კი ეჭვი აღარ ეპარებოდა, თუ ვინ იყო ეს ყმაწვილი, როგორც კი კარი გააღო, სემუელ უელერი თვალის დახამხამებაში ოთახში გაჩნდა, კარი კვლავ მაგრად გადა-

კეტა, გასაღები ჟილეტის ჯიბეში ჩაიდო, მისტერ უინკლს თავით ფეხამდე ახედ-დახედა და წარმოთქვა:

- უცნაური კაცი ხართ, ჩემმა მზემ, სერ!

- როგორ იქცევით, სემ! - გაწყრა მისტერ უინკლი, - ამწამსვე გადით აქედან, ვაჟბატონო! ეს რას ნიშნავს, სემ?

- რას ნიშნავსო? - შეეკითხა სემი, - ყური დამიგდეთ, სერ. „ეს კი მეტისმეტია“, როგორც უსაყვედურა ერთმა ყმაწვილმა ქალმა მეფუნთუშეს, რომელმაც ღორის ხორცის ღვეზელი მიჰყიდა მას, შიგ კი ქონის მეტი არაფერი იყო... ეს რას ნიშნავს, ჰმ?! ჩინებულია, ჩემმა მზემ!

- კარი გააღეთ და გადით აქედან, სემ! - უბრძანა მისტერ უინკლმა.

- სერ, ამ ოთახიდან მაშინ გავალ, როდესაც თქვენც გაბრძანდებით ჩემთან ერთად, - მიუგო სემმა დინჯად და იქვე სკამზე ჩამოჯდა, - თუ ზურგზე აგიკიდეთ და ისე გაგიტანეთ, მაშინ მართლაც თქვენზე ადრე გავალ აქედან წამის მეოთხედით მაინც. მაგრამ, სერ, იმედი მაქვს, ამას არ ჩამადენინებთ. ამას რომ მოგახსენებთ, მე ერთი კეთილშობილი ჯენტლმენის სიტყვებს ვიმეორებ მხოლოდ. ასე მიმართა მან ლოკოკინას, როდესაც იგი გაჯიუტდა და მიუხედავად იმისა, რომ ჯენტლმენი ქინძისთავით ჩხვლეტდა, არაფრით ნიჟარიდან არ გამოძვრა. ჰოდა, ჯენტლმენსაც შეეშინდა - ვაითუ, კარის ჭრილში მომიხდეს მისი მოჭყლეტაო.

ამ სიტყვის დასასრულს, რომელიც მისთვის უჩვეულოდ გრძელი იყო, სემმა ხელები მუხლებზე დაიწყო და მისტერ უინკლს მიაჩერდა. სახეზე კი აშკარად ეწერა, რაც უნდა ქნათ, ჩემთან ვერას გახდებითო.

- დიდად თავაზიანი ყმაწვილი კი ბრძანდებით, სერ, - უსაყვედურა უინკლს მისტერ უელერმა, - ჩვენი ძვირფასი უფროსი უც-

ნაურ ხრიკებში გახვიეთ და ეს მაშინ, როცა მან მტკიცედ გადაწყვიტა ყოველივე აიტანოს პრინციპის გამო. თქვენ, თქვენ თვით დოდსონზე უარესი ყოფილხართ, სერ... რაც შეეხება ფოგს, ჩემი აზრით, თქვენთან შედარებით, ისიც წმინდა, სპეტაკი ანგელოზია! - უკანასკნელ წინადადებას რომ ამბობდა, მისტერ უელერმა მუხლებს შემოჰკრა ხელი, გულზე ხელები დაიკრიფა და ზიზღით სავსე თვალები კვლავ მისტერ უინკლს მიაპყრო - თითქოს ელოდა, დამნაშავე ახლა მაინც შეუდგება თავის მართლებასო.

- ჩემო სემ, - წარმოთქვა მისტერ უინკლმა და მსახურს ხელი გაუწოდა. ვიდრე სემი ლაპარაკობდა, საცოდავი სულ კბილებს აკაწკაწებდა სიცივით, რადგან ღამის პერანგის ამარა იდგა ოთახში, - ვერ წარმოიდგენთ, როგორ პატივს გცემთ, ასე რომ გიყვართ ჩემი საუკეთესო მეგობარი და მასწავლებელი. მერწმუნეთ, ძალიან ვნანობ, რომ კვლავ მე მივეცი საბაბი, რამაც ძალიან შეაწუხა და დაადარდიანა იგი. ვნანობ, სემ, ძალიან ვნანობ. კმარა, ნუღარ მიწყრებით...

- კეთილი, - პირქუშად დასცდა სემს, მაგრამ ხელი მაინც ჩამოართვა, - მოსანანიებელი არ გაქვთ თუ რა?.. და მე ძალიან მიხარია, რომ ნანობთ კიდეც. იცოდეთ, რომ, თუკი ძალა შემწევს, მე ჩემს პატრონს არავის დავაჩაგვრინებ. ასეა!..

- რა თქმა უნდა, სემ, - კვერი დაუკრა მისტერ უინკლმა, - ახლა წადი და გამოიძინე... ხვალ დილით კი განვაგრძოთ საუბარი.

- მაპატიეთ, სერ, მაგრამ დასაძინებლად ვერსად წავალ, - განაცხადა სემმა.

- ვერსად წახვალ?! - წამოიძახა მისტერ უინკლმა.

- ვერა, - მიუგო სემმა და თავი გააქნია, - არ შემიძლია.

- რატომ? ამაღამვე უნდა დაბრუნდე, თუ?.. - გაოცდა მისტერ უინკლი.

- არა, თუ თქვენ თავად არ ინებებთ წამოსვლას... - მიუგო სემმა, - ისე ამ ოთახიდან ფეხს არ მოვიცვლი.

- რას ამბობთ, სემ! - შესძახა მისტერ უინკლმა, - აქ მე კიდევ ორ-სამ დღეს უნდა დავრჩე. ეს კიდევ არაფერია, სემ. თქვენც უნდა დარჩეთ და დამეხმაროთ. ერთ ყმაწვილქალს უნდა შევხვდე, მის ალენს, სემ, უთუოდ გახსოვთ, ხომ? ის ქალიშვილი უნდა ვინახულო, რადაც უნდა დამიჯდეს, ვიდრე ბრისტოლიდან წავალ.

ყველა წინადადების პასუხად სემი უარის ნიშნად თავს აქნევდა და მტკიცედ ამბობდა - არ შემიძლიაო!

მაგრამ მისტერ უინკლი ისე ეხვეწებოდა და ევედრებოდა, ყაიმზე შეთანხმდნენ. სახელდობრ: სემი ახლა წავა და ოთახს კვლავ მისტერ უინკლს დაუთმობს, მაგრამ იმ პირობით, რომ გარედან ჩაკეტავს კარს და გასაღებს თან წაიღებს. რა თქმა უნდა, თავის მხრივ, მისტერ უინკლმა სიტყვა ჩამოართვა, რომ თუ ხანძარი ან სხვა რაიმე ხიფათი მოხდება, სემი დაუყოვნებლივ გაუღებს კარს. შეთანხმდნენ აგრეთვე, რომ დილაადრიანვე მისწერენ წერილს მისტერ პიკვიკს თხოვნით, რომ ნება მისცეს ორივეს, მისტერ უინკლსა და სემს, ცოტა ხნით ბრისტოლში დარჩნენ იმ მიზნის განსახორციელებლად, რომლის შესახებ უკვე მოგახსენეთ. წერილს მისტერ დაულერს გაატანენ და მასვე სთხოვენ, რომ პასუხი პირველივე ეტლით გამოუგზავნონ. თუ პასუხი დადებითი იქნება, ზემოხსენებული პირები ბრისტოლში დარჩებიან; ხოლო თუ უარი მოუვიდათ, ორივე, როგორც კი მიიღებენ წერილს, ბათში გაემგზავრება. დაბოლოს, მისტერ უინკლმა სიტყვა მისცა სემს, რომ მთელი ღამის განმავლობაში არ შეეცდება ჩუმად გაიპაროს არც ფანჯრისა, არც საკვამლე მილისა და არც რაიმე სხვა გზის საშუალებით. ეს შეთანხმება რომ დადეს, სემმა კარი გარედან გადაკეტა და წავიდა.

თითქმის კიბის ქვედა მოედნამდე ჩავიდა, რომ უეცრად შეჩერდა და ჯიბიდან გასაღები ამოიღო.

- ეჰ, როგორ დამავიწყდა, ერთი კარგად უნდა მიმებეგვა! ბატონმა ზუსტად ასე მითხრა - ეგ მოუხდებაო. რა დამემართა, მე ბრიყვს!.. მაგრამ, არა უჭირს, - დაუმატა მან და სახე გაუბრწყინდა, - ხვალაც არ იქნება გვიან.

დაიმშვიდა თუ არა ამგვარად თავი, მისტერ უელერმა გასაღები კვლავ ჯიბეში ჩაიდო, კიბე მსუბუქად ჩაირბინა, რადგან სინდისი აღარ ქენჯნიდა და მალე სასტუმროს სხვა მდგმურებს მიჰბაძა - საღათას ძილს მისცა თავი...

თავი XXXIX

მისტერ სემუელ უელერი, რომელსაც რომანტიკული ხასიათის დავალება მიანდეს, იწყებს მის განხორციელებას; თუ რა წარმატება ხვდა წილად ამ წამოწყებას, ეს შემდგომ გამოირკვევა

მეორე დღეს, დილიდან საღამომდე, სემი თვალს არ აშორებდა მისტერ უინკლს. გულში მტკიცედ გადაეწყვიტა, რომ წუთითაც არ დაეტოვებინა, ვიდრე პირველწყაროდან სათანადო ინსტრუქციებს არ მიიღებდა. რა თქმა უნდა, მისტერ უინკლს არაფრად ეჭაშნიკა ესოდენ მკაცრი თვალთვალი, მაგრამ ბედს შეურიგდა. ფიქრობდა, რომ გავილაშქრო მის წინააღმდეგ, ეს ერთგული მცველი ნამდვილად ძალით წამიყვანს ბრისტოლიდანო. მისტერ უელერმა ერთხელ გადაკვრით უთხრა, რა გაეწყობა, მოვალეობა მაიძულებს, ასეთ მკაცრ ზომებს მივმართოო. არც ჩვენ გვეპარება ეჭვი, რომ სემი სინდისის ქენჯნას ვერ გაუძლებდა და მისტერ უინკლს მართლაც გაკოჭილს ჩაიყვანდა ბათში, მაგრამ ბედზე მისტერ პიკვიკის პასუხმა მოუსწრო იმ ბარათზე, რომელიც მისტერ დაულერმა ბათს წაიღო და ამით ხელი შეუშალა განზრახულის განხორციელებას. მოკლედ რომ ვთქვათ, საღამოს რვა საათზე თვით მისტერ პიკვიკი შემობრძანდა სასტუმრო „ჯაგნარის“ სასადილო დარბაზში და თავისი პირით მოახსენა სემს, რომ სწორად მოქცეულხარ და დარაჯობა აღარაა საჭიროო.

სემს გულზე მოეშვა.

- გადავწყვიტე, ისევ თვითონ წამოვსულიყავი, - მიმართა მისტერ პიკვიკმა მისტერ უინკლს, როდესაც სემმა პალტო და კაშნე ჩამოართვა, - ვიდრე თანხმობას მოგცემდეთ სემის დახმარებაზე, მინდა დავრწმუნდე, რომ თქვენი ზრახვები ამ მანდილოსნის მიმართ ზედმიწევნით პატიოსანი და სერიოზულია.

- რა თქმა უნდა, ასეა, გეფიცებით სინდისს! - მხურვალედ მიუგო მისტერ უინკლმა.

- გახსოვდეთ, - წარმოთქვა მისტერ პიკვიკმა და თვალები გაუბრწყინდა, - ეს ქალიშვილი გავიცანით საუცხოო, სტუმართმოყვარე მეგობრის სახლში, უინკლ. დიდი უმადური კაცი იქნებით, რომ მხოლოდ გაეთამაშოთ ამ ქალიშვილს და სერიოზული კი არაფერი განიზრახოთ. იცოდეთ, სერ, მე მაგას არ დავუშვებ არასოდეს!

- მერწმუნეთ, ეგ ფიქრადაც არ მომსვლია! - კვლავ მხურვალედ მიუგო მისტერ უინკლმა, - ბევრი ვიფიქრე და ახლა ვგრძნობ, რომ მხოლოდ ეგ ქალია ჩემი სიცოცხლე და ბედნიერება!

- აი, ამას ჰქვია „მაგრადაა ჩამწვარი“, სერ, - კეთილი ღიმილით წარმოთქვა მისტერ უელერმა.

მისტერ უინკლმა ეს შენიშვნა საწყენად მიიღო, ხოლო მისტერ პიკვიკი გაუჯავრდა მსახურს, ესოდენ კეთილშობილ გრძნობას აბუჩად ნუ იგდებო. რაზეც სემმა უპასუხა: ასე არ ვიტყოდი, რომ ვიცოდე, ეგ რა ხილია, მაგრამ ასეთი იმდენია, რომ ვერც მოგახსენებთ, რომელია მათ შორის ყველაზე მეტად კეთილშობილიო.

მისტერ უინკლმა მეგობარს დაწვრილებით გადასცა ის საუბარი, რომელიც არაბელას შესახებ მისტერ ბენ ალენთან ჰქონდა. ისიც მოახსენა, რომ მიზნად დაისახა, შეხვდეს ქალიშვილს და ოფიციალურად განუცხადოს თავისი სიყვარული. არც ის დაუმა-

ლა, რომ ზემოხსენებული ბენის ბურტყუნისა და გადაკვრით ნათქვამიდან მან სათანადო დასკვნა გამოიტანა: ის ქალიშვილი სადღაც ჰყავთ ჩამწყვდეული, მაგრამ ის ადგილი აქვე მახლობლად უნდა იყოს, გორაკებს გადაღმა. ასეთი გახლდათ მისი ცოდნის, ან უფრო სწორად რომ ვთქვათ, ეჭვების მარაგი ამ საკითხის ირგვლივ.

გადაწყვიტეს, რომ მეორე დილას სემი, ზემოხსენებული არასაიმედო ეჭვებით შეიარაღებული, დასაზვერავად გაემგზავრება გორაკების მიმართულებით. მისტერ პიკვიკმა და მისტერ უინკლმა, რომელნიც ამგვარ საეჭვო ხლართებში სემივით გაწაფულნი არ იყვნენ, უფრო იოლი საქმე აირჩიეს: დღისით ქალაქში გაისეირნებენ და ვითომ შემთხვევით მისტერ ბობ სოიერთან შეივლიან იმ იმედით, რომ იქნებ კიდევ რაიმე გაიგონ ყმაწვილი ქალის ადგილსამყოფლის შესახებ.

ამგვარად, მეორე დილას სემ უელერი, რომელიც არ შეუშინდა იმ ჭეშმარიტად თავსატეხ ამოცანას, რაც მას მიანდვეს, გაუდგა გზას გორაკების მიმართულებით. იგი ჯერ ერთ ქუჩას გაჰყვა, მერე მეორეს (კინაღამ ვთქვით აღმართ-დაღმართს, მაგრამ კლიფტონის მხარეს სულ აღმართია), მაგრამ არაფერს გადაჰყრია ისეთს, რაც ოდნავ მაინც შუქს მოჰფენდა მის სახიფათო დავალებას. გამოელაპარაკა მეჯინიბეებს, რომელნიც ქუჩაში ცხენებს ასეირნებდნენ; გამოელაპარაკა ძიძებს, რომელნიც იქვე ხეივანში ბავშვებს ათამაშებდნენ. ვერც პირველებს და ვერც მეორეებს ვერ დასცინცლა ცნობა, რომელიც ოდნავ მაინც მიუნიშნებდა ესოდენ ოსტატურად წარმოებული კვლევის ობიექტს. თურმე ბევრ სახლში ცხოვრობდნენ ყმაწვილი ქალები, რომელთა შესახებ მათ შორის მცხოვრებ მსახურებს, ქალი იყო ის თუ კაცი, ეჭვი ჰქონდათ, რომ მათ ვიღაც უყვარდათ გატაცებით, ან უეჭველად შეუყვარდებოდათ, თუ ასეთი შემთხვევა მოხ-

დებოდა მათ ცხოვრებაში. ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, რადგან არც ერთი ამ ყმაწვილთაგანი არ გახლდათ მის არაბელა ალენი, სემის ცოდნამ საკითხის ირგვლივ არც იკლო და არც იმატა.

სემმა გორაკები გადაჭრა, სახეში ძლიერი ქარი უბერავდა. უნებლიეთ თავში გაუელვა, ნეტავ, ამ დალოცვილ მხარეში კაცს ქუდი აგრე სულ ორივე ხელით უნდა ეჭიროსო? ბოლოს ერთ ჩრდილიან ვაკეზე გავიდა, სადაც აქა-იქ რამდენიმე პატარა, კოპწია ვილა შენიშნა, შესახედავად მეტად მყუდრო და განმარტოებული.

ერთ-ერთი შესახვევის ბოლოს, იქვე, ჩიხში, სემმა მეჯინიბე დაინახა, რომელიც სამუშაო ბლუზა-შარვალში გამოწყობილი უსაქმურად იდგა ურიკასთან ბარით ხელში, აშკარად დარწმუნებული, დიდ საქმეს ვაკეთებო. უნდა კი მოგახსენოთ, მკითხველო, რომ იშვიათად შეხვდებით მეჯინიბეს საჯინიბოსთან, რომელიც მეტ-ნაკლებად არ იყოს შეპყრობილი ამ უცნაური სენით.

სემმა გადაწყვიტა, ამ მეჯინიბესაც გამოველაპარაკებიო. რადგან უკვე დაღლილიც იყო და იქვე ახლოს დიდი ლოდიც შენიშნა, ჩიხში გადაუხვია, ლოდზე წამოსკუპდა და თამამად მიმართა მეჯინიბეს:

- დილა მშვიდობისა, ძმობილო!

- რაღა დროის დილაა, დღე მშვიდობისა გეთქვა, - მიუგო მეჯინიბემ და სემს კუშტად გადახედა.

- აი, ეგ მართალი ბრძანე, მეგობარო, - დაეთანხმა სემი, - მეც ეგრე უნდა მეთქვა, ჩემმა მზემ. როგორა ბრძანდები?

- ვერ ვიტყვი, უკეთ ვგრძნობდე თავს მას შემდეგ, რაც შენ დაგინახე, - გაჯავრებით მიუგო მეჯინიბემ.

- მიკვირს, ჩემმა მზემ, - თქვა სემმა, - კენჭივით გამოიყურები, სახე ისეთი კეთილი გაქვს, რომ გიყურებ, გულსა და სულს უხარია.

პირქუში მეჯინიბე კიდევ უფრო მოიღუშა, მაგრამ სემს წარბიც არ შეუხრია, საქმიანად შეეკითხა მეჯინიბეს:

- შენი ბატონის გვარი უოკერი ხომ არ არის?

- არა, - მიუგო მეჯინიბემ.

- ვფიქრობ, არც ბრაუნია? - შეეკითხა კვლავ სემი.

- არა, არც ეგ გახლავს.

- არც უილსონი?

- არც ეგაა, - მიუგო მეჯინიბემ.

- ნაღდად შემეშალა, - თქვა სემმა, - მაგ შენს ბატონს არ ჰქონია ბედნიერება მიცნობდეს, მე კი მეგონა, მიცნობს-მეთქი... თუ ღმერთი გწამს, აქ ნუ დარჩები ჩემი გულისთვის, გევედრები, - წამოიძახა სემმა, როდესაც მეჯინიბემ ურიკა ეზოში შეაგორა და ალაყაფის კარს მიადგა დასახურად, - ხომ გაგიგონია: ჯერ თავი და თავიო... არ მეწყინება, ჩემმა მზემ!

- ნახევარი კრონი რომ ეჩუქებინათ, მაგ გოგრას გაგიხეთქდი, - შენიშნა პირქუშმა მეჯინიბემ და ცალი კარი მოხურა.

- ეგ პირობა არ მომდის თვალში, - მიუგო სემმა, - უფრო ძვირად დაგიჯდება ძმობილო, მთელ შენს სიცოცხლეში რაც ჯამაგირს აიღებ, ისიც არ გეყოფა. ჩემგან მოკითხვა გადაეცი შენიანებს. ასე უთხარი, სადილისათვის ნუ მომიცდიან, ნურც შემინახავენ კერძს, ვიდრე მოვიდოდე, მაინც გაცივდება.

ამის გაგონებაზე მეჯინიბე ბრაზისაგან კინაღამ დაიხრჩო. ძლივს ამოიბურტყუნა, დღეს უთუოდ ვინმე შემომელახებაო, მაგრამ ალაყაფის კარი მოიჯახუნა თუ არა, ისე გაქრა, რომ განზრახვა სისრულეში არ მოუყვანია. იმასაც კი არ მიაქცია ყურად-

ღება, რომ სემმა საგანგებოდ სთხოვა, სახსოვრად თმების კულული მაინც დამიტოვეო.

სემი კვლავ განაგრძობდა ლოდზე ჯდომას და ფიქრობდა. ნაირ-ნაირ გეგმას აწყობდა; ბოლოს გადაწყვიტა: სხვა გზა არაა, დავდგები და ბრისტოლიდან დაწყებული ყველა კარს მივუკაკუნებ ხუთი მილის მანძილზე; საშუალოდ დღეში ას ორმოცდაათიორასი კარი მაინც მომიწევს, მაგრამ რას ვიზამ, სხვა გზა არ არის, ასე მაინც იქნებ მივაგნო მის არაბელას ადგილსამყოფელსო. ამ ფიქრებში რომ იყო სემი გახვეული, სრულიად მოულოდნელად, იქვე შეხვდა იმას, ვისაც ვერ იპოვიდა, მთელი წელიწადი რომ მჯდარიყო ამ ლოდზე.

უნდა მოგახსენოთ, რომ იმ შესახვევში, სადაც სემი იჯდა, სამი თუ ოთხი ჭიშკარი გამოდიოდა. ეს ჭიშკრები ეკუთვნოდა იმავე რაოდენობის სახლებს, რომელთაც ურთიერთისაგან ბაღები ყოფდა. რადგან ეს ბაღები ფართო, გრძელი და ჩრდილიანი იყო, სახლები კარგა მანძილით იყო დაშორებული ქუჩას და ხეებს გადაღმა თითქმის არც მოჩანდა. სემი კვლავ ლოდზე იჯდა და მიშტერებოდა ნაგვის ხროვას, ჭიშკრის წინ, რომელიც იმ კარის მეზობლად იყო, სადაც მეჯინიბე შევიდა. იგი კვლავ ფიქრობდა იმ სიძნელეებსა და დაბრკოლებებზე, რომელიც ყოველ ფეხის გადადგმაზე ხვდებოდა მის წამოწყებას, რომ სწორედ ამ დროს ზემოხსენებული ჭიშკარი გაიღო და შესახვევში მსახური ქალი გამოვიდა, რომელმაც ხალიჩები გამოიტანა გასაფერთხად.

სემი ისეთ მძიმე საგონებელს მისცემოდა, რომ შესაძლოა ყმაწვილი ქალისათვის არც მიექცია ყურადღება. ან იქნებ შეეხედა და გაეფიქრა, რა კოხტა ტანი აქვსო. უცებ მის გულში რაინდულმა გრძნობამ იფეთქა. დაინახა, რომ ქალს არავინ ჰყავდა დამხმარე. საფენები კი, ეტყობა, ძალიან მძიმე იყო მისი ჰაერო-

ვანი, ნაზი სხეულისათვის. მისტერ უელერი მუდამ ჭეშმარიტი ჯენტლმენი გახლდათ, როცა საჭირო იყო, საკმაოდ მორიდებული და თავაზიანიც. როგორც კი თვალი მოჰკრა, თუ რა გასაჭირი ადგა ქალს, უმალვე ლოდიდან წამოდგა და მისკენ გაემართა.

- ჩემო კარგო, - მიმართა მან დიდი მოწიწებით, - მერწმუნეთ, მაგ კოხტა სხეულს სულ დაიმახინჯებთ, ყველა ეგ ხალიჩა თუ გაფერთხეთ. ნება მიბოძეთ, დაგეხმაროთ.

ყმაწვილი ქალი რომ გამოვიდა, თავიდან ვითომ ვერ შეამჩნია, რომ იქვე ახლოს უცხო ჯენტლმენი იჯდა და როდესაც სემი გამოელაპარაკა, შემოხედა მხოლოდ იმ მიზნით (როგორც შემდგომ ირწმუნებოდა), რომ გადაჭრით ეთქვა უარი უცხო მამაკაცის წინადადებაზე. პასუხის ნაცვლად ქალმა უეცრად უკან დაიხია და ოდნავ შეჰკივლა. სემიც გაოცებისაგან გაშეშდა: მის წინ იდგა მისი ვალენტინა, მისტერ ნაპკინზის ლამაზი მსახური მერი.

- ნუთუ თქვენა ხართ, მერი, ძვირფასო! - შესძახა მან.

- ღმერთო ჩემო, როგორ შემაშინეთ, მისტერ უელერ! - უსაყვედურა მერიმ.

ამ საყვედურზე სემმა, რამდენადაც ვიცით, სიტყვიერად არაფერი უპასუხა. დანამდვილებით მოგახსენებთ მხოლოდ ერთს, რომ ცოტა ხნით სრული სიჩუმე ჩამოვარდა, რის შემდეგაც მერიმ წამოიძახა: „ოჰ, კმარა, მისტერ უელერ!“ რამდენიმე წუთით ადრე კი სემს ქუდი დაუვარდა მიწაზე. ვფიქრობ, ამ ორი მოსაზრების შედეგად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ქალ-ვაჟმა ერთხელ ან რამდენჯერმე გადაკოცნა ერთმანეთი. მალე შეწყვეტილი საუბარი კვლავ განახლდა.

- აქ რამ მოგიყვანათ? - ჰკითხა მერიმ.

- თქვენი ნახვა მინდოდა, ჩემო ცუგრუმელა, - გულწრფელად მიუგო მისტერ უელერმა. მოვუტევოთ, მკითხველო, რომ სემის გულში ამჯერად ვნებამ სძლია სიმართლეს.

- კი, მაგრამ, საიდან გაიგეთ, რომ აქ ვცხოვრობ? - ჰკითხა მერიმ, - აბა, ვინ გეტყოდათ, რომ ადგილი გამოვიცვალე, სამუშაოდ იპსუიჩში გადმოვედი და მერე ჩემი ბატონიც აქეთ გადმოსახლდა? ვინ შეგატყობინათ, მისტერ უელერ?

- მართალსა ბრძანებ, - უპასუხა სემმა და ეშმაკურად გაიღიმა, - საქმე სწორედ ამაშია, ვინ მეტყოდა მაგ ამბავს, ჰა?!

- მისტერ მაზლმა ხომ არ გითხრათ?

- ო, არა! - უპასუხა სემმა და კუშტად გადაიქნია თავი, - მაგას არ უთქვამს.

- მაშ, მზარეულმა? - ჰკითხა მერიმ.

- ვთქვათ, მზარეულმა, - დაეთანხმა სემი.

- სიცოცხლეს ვფიცავ, ასეთი რამ არასოდეს გამიგონია, - შესძახა მერიმ.

- არც მე! - კვერი დაუკრა სემმა.

- მერი, ჩემო ცუგრუმელა, - სემის ხმა ალერსიანად აჟღერდა, - მერი, ჩემო ცუგრუმელა, მე სხვა საქმეც მაქვს, ძალიან სასწრაფო. ჩემი ბატონის ერთ-ერთი მეგობარი... მისტერ უინკლი გახსოვს?

- მწვანე ქურქს რომ იცვამდა? - ჰკითხა მერიმ, - მახსოვს, კარგად მახსოვს.

- ჰოდა, - განაგრძო სემმა, - რომ იცოდე, საცოდავი რა დღეშია, სიყვარულით დაიფერფლა კაცი. გაება ჩიტი მახეში და თავი აღარ ახსოვს.

- ღმერთო ჩემო, ეგ რა მესმის!

- დიახ, ასეა, - თქვა სემმა, - მხოლოდ ერთი რამ უშველის მას. ყმაწვილი ქალი უნდა ვნახოთ. სემმა ქალს დაწვრილებით აუწერა მისტერ უინკლის ბედშავი მდგომარეობა.

- რას ვიფიქრებდი, ამ დღეში თუ იყო, - შეეცოდა მერის.

- ნუღა იტყვი, - კვერი დაუკრა სემმა, - ფიქრადაც არავის მოსვლია და არც მოუვა მომავალში. ჰოდა, ახლა მეც ებრაელივით დავეხეტები. მაგ ებრაელის შესახებ გაგიგონია ოდესმე, ჩემო ცუგრუმელა? ეგ კაცი თურმე დროს უდგა კრიჭაში მუდამ და ჯიბრით არასოდეს იძინებდა... დავეხეტები ასე კარდაკარ და ვეძებ, ვეძებ მის არაბელა ალენს.

- მის - როგორ თქვით? - გაოცდა მერი.

- მის არაბელა ალენს, - გაიმეორა სემმა.

- ღმერთო, შენ შემიწყალე! - წამოიძახა მერიმ და ხელით სწორედ იმ ჭიშკარზე მიუთითა, პირქუშმა მეჯინიბემ რომ ჩაკეტა, - აგერ ეს სახლია! ექვსი კვირაა, რაც აქ ცხოვრობს. მაგათი უფროსი ფარეში, რომელიც დიდ ქალბატონს ემსახურება, ერთხელ დილით სამრეცხაოში შემხვდა და ყველაფერი მომიყვა.

- რას ამბობთ, ნუთუ ეს სახლია? - ჰკითხა სემმა.

- დიახ, ეგ გახლავთ, - მიუგო მერიმ.

ამ მოულოდნელმა ამბავმა ისე გააოგნა მისტერ უელერი, რომ თავბრუ დაესხა. რომ არ წაქცეულიყო, თავის მომხიბლავ მოსაუბრეს გადაეხვია და იმდენ ხანს ეფერა, ვიდრე კვლავ ძალა არ მოიკრიბა საუბრის გასაგრძელებლად.

- აბა, - თქვა ბოლოს სემმა, - თუ ეს ასეა, ამქვეყნად შეუძლებელი აღარაფერია. მაშ, აქვე ყოფილა მეზობლად. მაგასთან რაღაც დამაბარეს და მეც აგერ მთელი დღეა, ვცდილობ, როგორმე ეს დავალება გადავცე.

- ოჰ, - წამოიძახა მერიმ, - ტყუილად ეცდებით ახლა! ეს ქალიშვილი ბაღში მხოლოდ საღამოობით სეირნობს და ისიც ძა-

ლიან ცოტა ხანს. ქუჩაში კი დიდი ქალბატონის გარეშე არ გამოდის.

სემი ერთხანს ჩაფიქრდა. ბოლოს მოქმედების გეგმა შეიმუშავა: შებინდებისას დაბრუნდება, დაახლოებით იმ დროს, როდესაც მის არაბელა ბაღში დასეირნობს ხოლმე. მერი კი სემს თავისი სახლის ბაღში შეუშვებს და მიიყვანს მსხლის ხესთან, რომელიც მეზობელი ბაღის კედელთან იზრდება. სემიც ხეზე აძვრება, მის ფართო ტოტებს შორის ჩაიმალება ისე, რომ კაცი ვერ დაინახავს, ყმაწვილქალს დავალებას გადასცემს და, თუ მოახერხა, მისტერ უინკლთან შეხვედრასაც მოუწყობს მეორე საღამოს, იმავე საათს.

როდესაც მოქმედების გეგმა მერისაც გააცნო, ორივე შეუდგა ხალიჩების ბერტყვას.

უნდა მოგახსენოთ, რომ ხალიჩების გაბერტყვა არცთუ ისე უმანკო საქმიანობაა, როგორც ერთი შეხედვით შეიძლება მოგეჩვენოთ. შესაძლოა, თვით გაბერტყვა არ წარმოადგენდეს ისეთ სიძნელეს, როგორც მათი დაკეცვა და დალაგება. ბერტყვა, როდესაც ორივე მონაწილე ერთმანეთისაგან დაშორებულია იმ მანძილით, რა სიგრძისაც თვით ხალიჩაა, საკმაოდ გულუბრყვილო გასართობია, მაგრამ დაკეცვა რომ იწყება, აი, მაშინ უნდა ნახოთ: მონაწილეთა შორის მანძილი თანდათან მცირდება ჯერ ნახევარზე, მერე ერთ მეოთხედზე, მერე ერთ მერვედზე, ერთ მეთექვსმეტეზე და ბოლოს ერთ ოცდამეთორმეტეზე. მაშინ გართობა ჭეშმარიტად საფრთხედ იქცევა! ამჯერად ზუსტად ვერ გეტყვით, თუ რამდენი ხალიჩა მოკეცეს, მაგრამ იმას მთელი პასუხისმგებლობით მოგახსენებთ, რომ რამდენი ხალიჩაც მოკეცეს, სემმა იმდენჯერვე გადაკოცნა ლამაზი მერი.

მისტერ უელერმა უახლოეს ყავახანას მიაშურა და შებინდებამდე შეექცეოდა საუზმეს, შემდეგ კი კვლავ ჩიხისაკენ გაემარ-

თა. მერიმ ჭიშკარი გაუღო, ბაღში შეუშვა და სათანადო რჩევა-- დარიგებაც მისცა, რომ ფრთხილად ყოფილიყო და კისერი არ მოეტეხა. მხოლოდ ამის შემდეგ აძვრა სემი მსხლის ხეზე და შეუდგა ლოდინს.

ლოდინი იმდენ ხანს მოუხდა, რომ გულში ეჭვი შეეპარა კიდეც: ვაითუ, სულაც არაფერი მოხდესო. უეცრად ქვიშაზე მსუბუქი ნაბიჯების ხმა მოესმა. არ გასულა წუთიც, რომ სემმა თვალი მოჰკრა თვით არაბელასაც, რომელიც ჩაფიქრებული ნელა მოსეირნობდა ბაღის ბილიკზე. როდესაც ყმაწვილი ქალი მსხლის ხეს მიუახლოვდა, სემი ძალიან ფრთხილად და მორიდებით შეეცადა ეცნობებინა მისთვის თავისი ვინაობა. ამიტომ უცნაური, ხრინწიანი ხმები გამოსცა, რომელიც იმ ხნიერ ადამიანს უფრო შეჰფერის, ბავშვობიდან ქრონიკული ყელის ანთება, ხუნაგი და ყივანახველა რომ აწვალებდა ერთდროულად.

ამის გაგონებაზე ყმაწვილმა ქალმა შიშით ახედა იმ ადგილს, საიდანაც შემაძრწუნებელი ხმები მოესმა. როდესაც ხეზე, ტოტებს შორის მამაკაცი შენიშნა, რა თქმა უნდა, უფრო დაფრთხა და, ვინ იცის, ყვირილით მთელი სახლი შეეძრა, მაგრამ შიშმა თითქოს დამბლა დასცა. ღონემიხდილი სკამზე დაეშვა იქვე ხის ძირას.

სემი დაიბნა. „რაღა ვქნა, მგონი, გული წაუვიდა, - გაიფიქრა შეწუხებულმა, - ნეტავ ეგ არ იცოდნენ ყმაწვილმა ქალებმა, მაშინ წაუვათ გული, როდესაც არაფრად სჭირდებათ“. მერე ხმამაღლა დაუმატა:

- მომისმინეთ, ქალბატონო... დამშვიდდით, ქალბატონო ძვლისმტეხო, მისის უინკლ, დამშვიდდით!

განა ღირს სათქმელად, თუ რამ მოასულიერა მის არაბელა? მისტერ უინკლის ჯადოსნურმა სახელმა, საღამოს გრილმა ნიავ-

მა, თუ იმან, რომ მისტერ უელერის ხმა იცნო, მაგრამ აშკარაა, რომ ქალმა თავი ასწია და ნაზად იკითხა:

- მანდ ვინა ხართ? რა გნებავთ?

- ჩუ, - ჩამოსძახა სემმა, კედელზე გადაძვრა და სამად მოიკეცა, რომ რაც შეიძლება მცირე ადგილი დაეკავებინა, - ეს მე გახლავართ, მის, მე!

- მისტერ პიკვიკის მსახური! - მკვირცხლად შესძახა არაბელამ.

- დიახ, ის გახლავართ, მის, - მიუგო სემმა, - რომ იცოდეთ, მისტერ უინკლი რა დღეშია, მის! საშინლად იტანჯება.

- ო, რას ამბობთ! - წამოიძახა არაბელამ და კედელს მიუახლოვდა.

- წუხელ დასაბმელი თუ არ გახდებოდა, არ გვეგონა. მთელი დღე გიჟივით იყო, სულ იმას გაიძახოდა, ხვალამდე არაბელა თუ არ ვნახე, ნამდვილად დიდ ფათერაკს გადავეყრებიო. ვინ იცის, იქნებ სულაც წყალში გადავარდეს.

- ო, არა, არა, მისტერ უელერ! - თქვა არაბელამ და ხელები უმწეოდ გაასავსავა.

- ასე ამბობს, მის, - მიუგო სემმა, - ეგ კი ისეთია, რომ იცოდეთ, თავის სიტყვას არ გადავა... დიახ, ასეც მოიქცევა, მის! ძვლისმტეხი მოუყვა ყველაფერს, აი, ის, სათვალეს რომ ატარებს.

- ჩემი ძმაა უთუოდ! - შესძახა არაბელამ, რომელიც სემის ბუნდოვანი მინიშნებით მაინც მიხვდა ძვლისმტეხის ვინაობას.

- ზუსტად ვერ მოგახსენებთ, რომელია თქვენი ძმა, მის, - თქვა სემმა, - უფრო ჭუჭყიანი რომაა?

- დიახ, დიახ, მისტერ უელერ, - მიუგო არაბელამ, - მითხარით ყოველივე, გევედრებით, ჩქარა მითხარით!

- ასე იყო, ჩემო ბატონო, - დაიწყო სემმა, - მაგისაგან გაიგო ყველაფერი. ახლა ჩემი ბატონი ამბობს, რომ ამ მოკლე ხანში მისტერ უინკლი თუ არ ინახულეთ, ის ძვლისმტეხი, თქვენ რომ ამბობთ, ტვინში მიახლის იმხელა ტყვიას, რომ სამუდამოდ დაუზიანებს ამ ორგანოს, სპირტში რომ შეინახონ კიდეც.

- რაღა ვქნა, მაგას როგორღა ვუშველოთ?! - შესძახა არაბელამ.

- სჯობს, ისევ თქვენ თვითონ ინახულოთ მისტერ უინკლი, მის.

- კი მაგრამ, როგორ? სად? - თქვა არაბელამ, - მე თავად ვერ ვბედავ, მარტო ვერ გავდივარ სახლიდან. ჩემი ძმა ისეთი ბოროტი, თავზე ხელაღებული კაცია! ვიცი, განა არ ვიცი, ჩემი ნათქვამი გეუცნაურათ, მისტერ უელერ, მაგრამ ნუ დამძრახავთ, გეთაყვა. მეც ძალიან უბედური ვარ! - საცოდავი არაბელა ისე მწარედ ატირდა, რომ სემის გულში უმალვე რაინდულმა გრძნობამ იფეთქა.

- შესაძლოა, მეუცნაურა კიდეც, რომ ამგვარ საქმეებზე მე მელაპარაკებით, მის, - წარმოთქვა მან მხურვალედ, - მაგრამ ერთ რამეს კი გეტყვით... არა მარტო მზად ვარ, არამედ გულითა და სულით ვიღონებ ყოველივეს, რომ ეს საქმე კეთილად დაბოლოვდეს. მერწმუნეთ, თუ ამისათვის საჭირო გახდა, რომ ეგ ძვლისმტეხი ფანჯრიდან ვისროლოთ, დარდი ნუ გაქვთ, მაგას მე ვიზამ!

ყმაწვილი ქალისათვის რომ დაემტკიცებინა, მზადა ვარ, ნათქვამი შევასრულოო, სემმა დაუყოვნებლივ აიმკლავა სახელოები და მუშტები მოიღერა, არ შეუშინდა იმასაც კი, რომ ამასობაში შეიძლება კედლიდან ძირს მოედინა ზღართანი.

კეთილშობილი გრძნობების ამგვარი გამოვლენა ჭეშმარიტად სასიქადულო იყო, მაგრამ სემის წინადადებაზე არაბელამ

გადაჭრით განაცხადა უარი (ღმერთმა უწყის, რატომ, დანანებით გაიფიქრა სემმა). თუმცა სემი მხურვალედ ევედრებოდა მისტერ უინკლს პაემანი დაუნიშნეთო, ქალი ამაზედაც უარს ამბობდა ერთხანს; ბოლოს შეშინდა, ვაითუ, ეს საუბარი უცებ ვინმემ შეგვაწყვეტინოსო და სემს აშკარად აგრძნობინა, რომ შესაძლოა, ბაღში ჩამოვიდე ხვალ საღამოს, ოღონდ ერთი საათით უფრო გვიანო. სემი საუცხოოდ მიუხვდა ამ გადაკრულ ნათქვამს. არაბელამ ერთგულ მსახურს ჯადოსნური ღიმილი სტყორცნა და გოგმანით აჰყვა ბილიკს. მისტერ უელერმა აღტაცებისაგან ხმა ვეღარ ამოიღო, ისე მოხიბლა ქალის როგორც ხორციელმა, ისე სულიერმა მშვენებამ.

უნდა მოგახსენოთ, რომ მისტერ უელერი კედლიდან ძირს მშვიდობით ჩამოძვრა. რამდენიმე წუთში საკუთარი საქმეებიც მოაგვარა იმავე რიგისა და განხრისა. ჩქარი ნაბიჯით „ჯაგნარი-საკენ“ გაემართა. იქ მისი მეგობრები დიდ წუხილსა და ბჭობაში იყვნენ, რატომ შეაგვიანდა სემს, ვაითუ, რაიმე ფათერაკს გადააწყდაო.

- დიდი სიფრთხილე გვმართებს, - შენიშნა მისტერ პიკვიკმა, როდესაც მსახურის ნაამბობი გულისყურით მოისმინა, - ჩვენი თავი იქით იყოს, ყმაწვილი ქალის გულისათვის ფრთხილად უნდა ვიმოქმედოთ.

- ვიმოქმედოთ?! - დასცდა უინკლს.

წამით მისტერ პიკვიკის თვალებში წყრომის ალმა იფეთქა, მაგრამ უმალვე მისთვის ჩვეულმა გულმოწყალებამ შეცვალა იგი.

- დიახ, სერ! - მიუგო მან, - მეც გამოგყვებით.

- თქვენ! - შესძახა მისტერ უინკლმა.

- დიახ, მე, - მშვიდად მიუგო მისტერ პიკვიკმა, - აბა, განსაჯეთ! შესაძლოა, ეს გასაგებიცაა, ყმაწვილი ქალი რომ ამ პაემან-

ზე დათანხმდა, მაგრამ იგი მაინც წინდაუხედავად მოიქცა. კარგი იქნება, შეხვედრისას მეც თუ იქ ვიქნები. ორივეს მეგობარი გახლავართ და თანაც ასაკით მამად გეკუთვნით. თუნდაც შეგვამჩნიონ, მის სახელს ცილისწამება და ჭორი ვერასოდეს შელახავს.

ამას რომ ამბობდა, მისტერ პიკვიკს წრფელი სიხარულით თვალები უბრწყინავდა. საკუთარმა წინდახედულობამ აღტაცებაში მოიყვანა იგი. მისტერ უინკლს გული აუჩუყდა, იგრძნო, რა ფაქიზად ეკიდებოდა ამ საქმეს მისი კეთილშობილი მეგობარი და მოწიწებით ჩამოართვა ხელი.

- აუცილებლად უნდა წამობრძანდეთ, - თქვა მან.

- დიახ, წამოვალ, - თქვა მისტერ პიკვიკმა, - სემ, პალტო და თბილი კაშნე გამოიღეთ და უბრძანეთ, ხვალ საღამოს ეტლი დროზე მოვიდეს. არამც და არამც არ უნდა დავიგვიანოთ.

მორჩილების ნიშნად მისტერ უელერმა ქუდზე მიიდო ხელი და გავიდა, რომ სათანადოდ მომზადებულიყო მომავალი ექსპედიციისათვის.

მეორე დღეს ეტლი დანიშნულ დროზე ჩამოდგა სასტუმროსთან. მისტერ უელერმა თავისი ბატონი მეგობრითურთ შიგ შესვა, თვითონ კი კოფოზე დაჯდა მეეტლის გვერდით. პაემნის ადგილამდე მეოთხედი მილი რომ დარჩა, როგორც წინასწარ დათქვეს, ეტლიდან სამივე გადმოვიდა. მეეტლეს უბრძანეს, ვიდრე არ დავბრუნდებით, ფეხი არ მოიცვალოო და ფეხით დაჰყვნენ ქუჩას.

სწორედ ამ მომენტში მისტერ პიკვიკმა თავმომწონე ღიმილით გადახედა თავის თანამგზავრებს და პალტოს ჯიბიდან ღამის ფანარი ამოიღო, რომელიც საგანგებოდ ამ შემთხვევის გამო შეუძენია. იგი ამ ფანრის შესანიშნავ ღირსებებზე ელაპარაკებოდა მისტერ უინკლს მთელი გზის განმავლობაში, სანამ ფე-

ხით მიდიოდნენ, რითაც აკვირვებდნენ იმ თითო-ოროლა მგზავრს, რომელიც ქუჩაზე შემოხვდათ.

- ნამდვილად უფრო მარჯვედ ვიქნებოდი იმ ღამეს, ეს რომ თან მქონოდა. სემ, გახსოვთ ბაღში რომ შევრჩით? - თქვა მისტერ პიკვიკმა და კეთილი ღიმილით გადახედა მსახურს, რომელიც მას ფეხდაფეხ მისდევდა.

- კარგი რამაა, ჩემმა მზემ, თუ იცი, როგორ მოიხმარო, სერ, - მიუგო მისტერ უელერმა, - მაგრამ თუ არ გინდათ, რომ ვინმემ დაგინახოთ, მგონი ისევ ისა სჯობს, როცა სინათლე ჩამქრალია და არა ანთებული.

მსახურის შენიშვნაზე მისტერ პიკვიკი ეტყობა შეცბა, რადგან ფარანი საჩქაროდ ჩაიდო ჯიბეში და უბრად განაგრძო გზა.

- აქეთ, სერ, აქეთ, - თქვა სემმა, - წინ გაგიძღვებით, აი, ეს ჩიხი გახლავთ, სერ.

ჩიხში გადაუხვიეს. იქ საკმაოდ ბნელოდა. მისტერ პიკვიკმა ერთი-ორჯერ ფარანიც მოიხმარა. ფარანი სამი თითისსიმსხო, კაშკაშა სხივს ისროდა წინ, რაც მეტად აამებდა თვალს, მაგრამ ერთი ზნე სჭირდა. კაშკაშა სხივის გარშემო ყოველი საგანი უფრო მეტი სიბნელით იყო მოცული, ვიდრე მანამდე.

როდესაც დიდ ლოდთან მივიდნენ, სემმა ორივეს ურჩია: აქ ჩამოჯექით, მე კი დასაზვერად წავალ, ვნახავ, იქ მელოდება მსახური თუ არაო.

ათი წუთიც არ გასულა, რომ სემი დაბრუნდა და ბატონს მოახსენა: კარი ღიაა და ყველაფერი რიგზეაო. მისტერ პიკვიკი და მისტერ უინკლი მსახურს ფეხაკრეფით გაჰყვნენ და მალე ბაღშიც აღმოჩნდნენ. აქ სათითაოდ ყველამ მრავალჯერ წარმოთქვა „ჩუ, ჩუ!“, მაგრამ, ეტყობა, არც ერთმა არ იცოდა, ამის შემდეგ რა უნდა ექნათ.

- მის ალენი ბაღშია, მერი? - ღელვისაგან აკანკალებული ხმით ჰკითხა მისტერ უინკლმა.

- არ ვიცი, სერ, - მიუგო ლამაზმა მსახურმა, - სჯობს ამ ხეზე ახვიდეთ, სერ. მისტერ უელერი მოგეხმარებათ. მისტერ პიკვიკ-მა, თუ ინებებს, გზას ადევნოს თვალყური. მე კი ბაღის მეორე ბოლოს ვუდარაჯებ... ღმერთო, შენ შემიწყალე, ეს რაღაა?

- ყველას დაგვღუპავს ეგ დაწყევლილი ფარანი! - გაბრაზდა სემი, - სერ, რას სჩადიხართ, შეხედეთ ერთი, მაგ ფარნის შუქი პირდაპირ სახლის ფანჯრებს სცემს.

- ღმერთო ჩემო! - შესძახა მისტერ პიკვიკმა და მკვირცხლად შეტრიალდა, - გეფიცებით, თვითონაც არ ვიცი, როგორ მომივიდა.

- ახლა მეზობლად რომ სახლია, იმას ანათებთ, სერ, - შენიშნა სემმა.

- ღმერთო, შენ შემიწყალე! - აღმოხდა მისტერ პიკვიკს და კვლავ შემოტრიალდა.

- ახლა საჯინიბოს სახურავს უნათებთ. უთუოდ იფიქრებენ, რომ იქ ხანძარი გაჩნდა, - შენიშნა სემმა, - სახურავი მიუხურეთ, სერ, გესმით? ვერ მიხურავთ?

- რა უცნაური ფარანია, ჩემ დღეში ასეთი არ შემხვედრია! - შესძახა მისტერ პიკვიკმა, რომელიც აშკარად შეცბა. არ მოელოდა, რომ მისი ფარანი ასეთ დიდ ეფექტს მოახდენდა იმ არემარეში.

- ეტყობა ძლიერი რეფლექტორი აქვს.

- ასე თუ მიანათებთ, მისი ძლიერება დაგვღუპავს სწორედ, - მიუგო სემმა, როდესაც მისტერ პიკვიკმა როგორც იქნა მიხურა ფარნის სახურავი, - ჩუ, ყმაწვილი ქალის ნაბიჯები მომესმა. აბა, მისტერ უინკლ, ხეზე აძვერით, სერ.

- მოიცათ, - ჩაერია საუბარში მისტერ პიკვიკი, - ჯერ მე უნდა მოველაპარაკო. მომეშველეთ, სემ, ჯერ მე ავალ.

სემი კედელს მიეყრდნო და მოიხარა. ზურგი ფართო მოედნად აქცია.

- ფრთხილად, სერ, ჯერ ამ ყვავილის კასრს დაადგით ფეხი, - ურჩია სემმა, - ახლა კი აძვერით.

- ვაითუ, რამე გატკინოთ, სემ, - თქვა მისტერ პიკვიკმა.

- ჩემი დარდი ნუ გაქვთ, სერ, - მიუგო სემმა, - მისტერ უინკლ, ხელი მიაშველეთ, გეთაყვა. ფეხი მაგრად დამადგით, სერ, მაგრად. აი, ასე. მზადაა!

ვიდრე სემი ლაპარაკობდა, მისტერ პიკვიკმა დიდად იმარჯვა: ჭეშმარიტად იმდენი ძალა და ღონე მოიკრიბა, რაც ძნელადაა მოსალოდნელი მისი ასაკისა და წონის ჯენტლმენისაგან, კასრიდან ისკუპა და სემის ზურგზე შედგა. მისტერ უინკლი მეგობარს ფეხებში ჩაეჭიდა. სემი ნელ-ნელა გასწორდა წელში, მისტერ პიკვიკი კედლის კიდეს ჩაებღაუჭა და არ გასულა ორი წუთიც, რომ კედლის თავზე მისი სათვალე გამოჩნდა.

- ჩემო ძვირფასო, - თქვა ნაზად მისტერ პიკვიკმა, როდესაც კედლის ძირას მის არაბელას მოჰკრა თვალი.

- ნუ შეშინდებით, ჩემო ძვირფასო, ეს მე ვარ, პიკვიკი!

- გემუდარებით, ჩამობრძანდით, მისტერ პიკვიკ, - მიუგო არაბელამ, - სხვებსაც გადაეცით, რომ წავიდნენ. შიშით ლამის გული გამისკდეს... ძვირფასო, ძვირფასო მისტერ პიკვიკ, ნუღა დააყოვნებთ, თორემ ჩამოვარდებით და თავს გაიტეხთ. ნამდვილად გაიტეხთ თავს!

- ჩემზე ნუ წუხხართ, ძვირფასო, - დაამშვიდა მისტერ პიკვიკმა, - მერწმუნეთ, საშიში არაფერია. სემ, მოისვენე, ნუ ფხაკურობ! - დაუმატა მისტერ პიკვიკმა და მსახურს გადმოხედა.

- გისმენთ, სერ, - მიუგო მისტერ უელერმა, - დიდხანს კი ნუ გაჩერდებით, სერ, საკმაოდ მძიმე ბრძანდებით.

- ერთი წუთიც მაცალე, - მიუგო მისტერ პიკვიკმა, - ჩემო ძვირფასო, მინდა იცოდეთ ერთი რამ: ჩემს ყმაწვილ მეგობარს არამც და არამც არ მივცემდი ნებას, ასე უჩუმრად ენახეთ ასეთ მდგომარეობაში, თქვენ რომ ხართ, მაგრამ მას არ ჰქონდა საშუალება, სხვაგვარად მოქცეულიყო და თუ ის გტანჯავთ, ჩემო კარგო, რომ ესოდენ გაბედული ნაბიჯი არ შეჰფერის თქვენისთანა ქალიშვილს, გთხოვთ დამშვიდდეთ, მეც ხომ თქვენთან ვარ. მეტი არაფერი.

- გმადლობთ, მისტერ პიკვიკ, უღრმესად გმადლობთ, თქვენ სიკეთესა და მზრუნველობას ვერასოდეს დავივიწყებ, - მიუგო არაბელამ და ცხვირსახოცით ცრემლები მოიწმინდა. შესაძლებელია, მას მეტიც ეთქვა, რომ უეცრად მისტერ პიკვიკი გაქრა. თურმე აღელვებულმა ვერ შეამჩნია, უხეიროდ გადადგა ნაბიჯი სემის მხარეზე და მიწაზე მოადინა ზღართანი.

წუთსაც არ გაუვლია, რომ ბურთივით ახტა და მისტერ უინკლს შესძახა: „იჩქარეთ, გეთაყვა, მალე მოათავეთ პაემანი“ და თვითონ ყმაწვილივით მკვირცხლად ჩიხში გავარდა სადარაჯოდ. მისტერ უინკლი, დათქმული პაემნით აღფრთოვანებული, თვალის დახამხამებაში აძვრა ხეზე და კედელზე გადავიდა თუ არა, მხოლოდ ერთ წამს შეჩერდა, რომ სემისათვის ეთხოვა, თუ ღმერთი გწამს, ბატონს მიხედეო.

- დარდი ნუ გაქვთ, სერ, - მიუგო სემმა, - ეგ საქმე მე მომანდვეთ.

- სად არის? რას აკეთებს, სემ? - ჰკითხა მისტერ უინკლმა.

სემმა ჭიშკრისაკენ გაიხედა.

- დალოცოს ღმერთმა მისი ძველი პაჭიჭები! - შესძახა სემმა, - ფარნით ხელში ჩიხში დარაჯობს. თითქოს გაი ფოქსი გაცოც-

ხლებულა და ეგ არის! ასეთი კაცი ჩემს დღეში არ მინახავს! ეშ-მაკმა წამიღოს, თუ ეჭვი მეპარებოდეს, მისი გული ნამდვილად ოცდახუთი წლით მაინც უფრო გვიან დაიბადა, ვიდრე მისი სხეული!

ამ ქება-დიდებას მეგობრის მიმართ მისტერ უინკლმა აღარ დაუცადა, კედლიდან მეორე ბაღში ჩახტა, მშვენიერ არაბელას ფეხთ ჩაუვარდა და დიდხანს ისე მჭევრმეტყველურად ეფიცებო-და ასულს, თქვენ მიმართ ჩემი გრძნობების გულწრფელობაში არასოდეს ეჭვი არ შეგეპაროთო, რომ თვით დიადი პიკვიკიც უკეთესს ვერას იტყოდა.

ვიდრე ღია ცის ქვეშ ეს ამბები ვითარდებოდა, იმავე ჩიხში, ორი თუ სამი სახლის მოშორებით, საკუთარ ბიბლიოთეკაში ერ-თი ხანდაზმული, სიბრძნითა და ცოდნით დამძიმებული ჯენ-ტლმენი იჯდა და ფილოსოფიური ხასიათის ტრაქტატს წერდა. იქვე მაგიდაზე კარგა მოზრდილი ბოთლი ედგა და დროდადრო იქიდან თითო ჭიქა კლარეტს ისხამდა, რითაც აამებდა საკუთარ თავსაცა და საკუთარ შრომებსაც; შთაგონების მომლოდინე ხან იატაკზე გაფენილ ხალიჩას დააჩერდებოდა ხოლმე, ხან ჭერსა და კედლებს შეჰყურებდა. როდესაც ვერც ხალიჩამ, ვერც კედ-ლებმა და ვერც ჭერმა ვერაფერი შთააგონა, მკვლევარმა ახლა ფანჯარას მიაპყრო თვალი.

მოხდა ისე, რომ სწორედ ერთ-ერთი ასეთი შთაგონებითი უნაყოფობის მომენტში, ჯენტლმენი ფანჯრის გადაღმა სიბნელეს მიაშტერდა. უეცრად შეკრთა: კაშკაშა სხივმა ღამის წყვდიადი გააპო და უმალვე გაქრა. არ გასულა ორი წუთი, რომ იგივე გან-მეორდა ერთხელ და ორჯერ კი არა, ათჯერ მაინც. სწავლულმა კალამი დადო და ღრმად ჩაფიქრდა იმის შესახებ, თუ რა მიზე-ზებს უნდა გამოეწვია ბუნების ესოდენ საინტერესო მოვლენა.

აშკარაა, რომ მეტეორები არ უნდა იყოს. მეტად ახლოა მიწასთან; არც ციცინათელებია, სინათლე მეტად შორსა ჭრის; არც ტატანი, არც ფეიერვერკი. მაშ, რა უნდა იყოს? უთუოდ ბუნების რაღაც არაჩვეულებრივი საოცრება, რომელიც ჯერ კიდევ არც ერთ ბუნებისმეტყველს თვალით არ უნახავს. ახალია, სრულიად ახალი მოვლენა, რომელიც მან ახლა აღმოაჩინა. ამ აღმოჩენით უკვდავყოფს თავის სახელს, შრომას დაწერს შთამომავლობის საკეთილდღეოდ.

ამ ფიქრით გატაცებულმა სწავლულმა კვლავ კალამს სტაცა ხელი და საჩქაროდ ქაღალდზე ჩაინიშნა სხვადასხვა მონაცემი ამ საოცარი გამოვლინების შესახებ: აღნიშნა რიცხვი, დღე, საათი, წუთი და წამი. დადგება დრო და ყოველივე ეს მასალა იქცევა შედეგად, კარგა მოზრდილ სქელტანიან, ღრმამეცნიერულ ტრაქტატად, რომელიც განცვიფრებაში მოიყვანს ყოველ ბუნებისმეტყველს დედამიწის ყოველ ცივილიზებულ კუთხეში.

საკუთარი დიდებით გატაცებული სწავლული სავარძელში გადაწვა. საიდუმლო შუქი კვლავ აკიაფდა: დახტოდა ჩიხში, ქუჩის ერთი მხრიდან მეორეზე გადადიოდა, კვლავ ბრუნდებოდა, თითქოს ორბიტაზე მოძრაობდა და ეს ორბიტა არანაკლებ სრული და თავისებური იყო, ვიდრე კომეტების ორბიტებია.

სწავლული ჯენტლმენი მარტოხელა გახლდათ, არც ცოლი ჰყავდა და არც შვილები, ამიტომ ისევ მსახურს დაურეკა, რომ უცნაური მოვლენა ეჩვენებინა.

- რალფ, - წარმოთქვა სწავლულმა, - ატმოსფეროში დღეს უცნაური რამ ხდება. ასეთი მოვლენა თუ გინახავთ? - დაუმატა მან და მსახურს ფანჯრისაკენ მიუთითა. სწორედ ამ დროს შუქი გამოჩნდა.

- მინახავს, სერ.

- მერე და რას იტყოდით, რალფ?

- რას ვიტყოდი, სერ?

- დიახ, თქვენ ხომ აქ გაიზარდეთ, ამ მიდამოებში, მიზეზი მაინც რა უნდა იყოს?

სწავლული ჯენტლმენი მოწყალედ იღიმებოდა. მან წინასწარ იცოდა, თუ რას უპასუხებდა რალფი: რა თქმა უნდა, იტყვის, მიზეზს ვერ გეტყვი, არ ვიციო. ეს არის და ეს.

რალფი დაფიქრდა.

- მე მგონი, ქურდები უნდა იყვნენ, სერ, - დაყოვნებით მიუგო მან.

- ბრიყვო, გასწი აქედან! - ბრაზით წამოიძახა სწავლულმა.

- გმადლობთ, სერ, - მშვიდად მიუგო რალფმა და ოთახიდან გავიდა.

ჩვენი სწავლული ვერაფრით შერიგებოდა აზრს, რომ გენიალური ტრაქტაქტი, რომელიც მან უკვე დაგეგმა, სამუდამოდ დაღუპულიყო კაცობრიობისათვის. ეს კი უეჭველად ასე მოხდებოდა, თუ ჩანასახშივე არ ჩაახშობდა მისტერ რალფის მოსაზრებას. ამიტომ სწავლულმა მტკიცე გადაწყვეტილება მიიღო: საჭიროა, აღნიშნული მოვლენა უფრო გულდასმით და საფუძვლიანად გამოვიკვლიო დაუყოვნებლივო.

მან საჩქაროდ დაიხურა ქუდი და ბაღში ჩავიდა.

ცოტა ხნით უფრო ადრე, ვიდრე ჩვენი სწავლული ბაღში ჩავიდოდა, მისტერ პიკვიკი ქუჩაში შეუდგა სირბილს. აქეთ-იქით დარბოდა, რათა ყალბი განგაში აეტეხა, ვითომდა, აქეთ ვიღაც მოდისო. ამ სირბილში დროდადრო ფარნის სახურავს ხან აღებდა და ხან ხურავდა, რომ ქუჩის გასწვრივ თხრილში არ ჩავარდნილიყო. როგორც კი განგაშის ხმა მისტერ უინკლს მისწვდა, იგი უმალვე კედელზე გადმოძვრა, მშვენიერი არაბელა კი სახლისკენ გაიქცა. ის იყო, მოკეტეს ჭიშკარი და სამივე ფათერაკის

მაძიებელი გზას გაუდგა, რომ უეცრად გაიღო ერთ-ერთი ბაღის კარი და ვიღაცამ თავი გამოყო. სამივე შეკრთა.

- ნუ გეშინიათ, - წასჩურჩულა სემმა ბატონს. ის, რა თქმა უნდა, ყველაზე წინ მიდიოდა, - წამით ფარნის სახურავი გამოაღეთ, სერ.

მისტერ პიკვიკმა თხოვნა შეუსრულა. ფარნის შუქზე ნახევარი იარდის დაშორებით სემმა თვალი მოჰკრა მამაკაცის თავს, რომელიც ჭიშკრიდან იხედებოდა. სემმა არც აცია, არც აცხელა და უადგილოდ გამოჩრილი თავი კარგა მაგრად მიახეთქა ჭიშკარს. როდესაც ეს ჭეშმარიტად გმირული საქმე ესოდენ მსუბუქად და სწრაფად შეასრულა, მისტერ უელერმა პატრონი ზურგზე მოიკიდა და მისტერ უინკლს სირბილით გაჰყვა უკან საოცარი სისწრაფით, თუ მხედველობაში მივიღებთ მისი ტვირთის მძიმე წონას.

- სული მოითქვით, სერ? - ჰკითხა სემმა, როცა მისტერ პიკვიკი მიწაზე ჩამოსვა, - ახლა შუაში ჩადექით. ნახევარი მილიც აღარ დაგვრჩა გასარბენი. წარმოიდგინეთ, სერ, ვითომ თასი გაქვთ მოსაგები. აბა, გასწით!

ასეთი წაქეზების შედეგად მისტერ პიკვიკმა ფეხები მაგრად აამუშავა. მერწმუნეთ, გულწრფელად მოგახსენებთ, რომ შავი პაჭიჭების ჯერ არც ერთი წყვილი ისე მოხდენილად არ გაქცეულა მიწაზე, როგორც მისტერ პიკვიკის გეტრები მიქროდა იმ ღირსშესანიშნავ საღამოს.

ქუჩის ბოლოს ეტლი ელოდებოდათ. ცხენებმა კარგად დაისვენეს, გზა მშვენიერი, ლარივით სწორი იყო და თვით მეეტლეც საუცხოო გუნებაზე გახლდათ. დრო არ დაეკარგა ტყუილად, იქვე ყავახანაში დანაყრებულიყო. ცხენები სწრაფად გამოაჭენეს და ვიდრე მისტერ პიკვიკი სულს მოითქვამდა, მშვიდობით ჩამოვიდნენ სასტუმრო „ჯაგნარში“.

- ახლავე შიგნით შედით, სერ, - ურჩია ბატონს სემმა, როდესაც ეტლიდან გადმოსვა, - ამ კროსის შემდეგ ქუჩაში წუთიც არ გაჩერდეთ. მაპატიეთ, სერ, - განაგრძო სემმა და ქუდზე მიიდო ხელი, როდესაც მისტერ უინკლი ეტლიდან გადმოვიდა. - იმედია, არავითარი ადრეული გატაცება არ ყოფილა, სერ?

მისტერ უინკლმა მხურვალედ ჩამოართვა ხელი მორიდებულ მსახურს და ყურში ჩასჩურჩულა, ყველაფერი რიგზეაო. რაზედაც სემმა სამჯერ მაინც შემოირტყა ცხვირში ხელი, უთუოდ იმის ნიშნად, ყველაფერი გასაგებიაო. მერე ეშმაკურად გაიღიმა, თვალი ჩაუკრა და დიდად კმაყოფილმა ეტლის საფეხური აკეცა.

რაც შეეხება ჩვენს სწავლულს, მან მთელი სქელტანიანი წიგნი დაწერა, რომელშიც დაადგინა, რომ ის უცნაური გამოსხივება ელექტრობის მოქმედების შედეგად მოხდა. მან ეს ბრწყინვალედ დაამტკიცა იმით, რომ დაწვრილებით აღწერა, თუ როგორ იელვა ამ შუქმა მის თვალწინ, ჭიშკართან გაჰყო თუ არა თავი და როგორ იგრძნო იმწამსვე შოკი, რომელმაც თითქმის მეოთხედი საათით გააოგნა და დაარეტიანა. ამ ღრმა დასაბუთებამ დიდად აღაფრთოვანა მთელი სამეცნიერო საზოგადოება. ამის შედეგი გახლდათ ის, რომ ჩვენი სწავლული საყოველთაოდ გამოჩენილ მეცნიერად იქნა აღიარებული.

თავი XL

მისტერ პიკვიკს აცნობს ახალსა და საინტერესო სცენას ცხოვრების დიდ დრამაში

დროის დარჩენილ ნაწილში, რომელიც მისტერ პიკვიკმა ბათს გაატარა, ღირსშესანიშნავი არაფერი მომხდარა. ამასობაში სასამართლოს საზაფხულო სესია გაიხსნა. პირველსავე კვირის ბოლოს მისტერ პიკვიკი და მისი მეგობრები ლონდონში დაბრუნდნენ. რა თქმა უნდა, მისტერ პიკვიკმა სემის თანხლებით კვლავ იმ ძველ ბინას მიაშურა, სასტუმრო „ჯორჯსა და ფასკუნჯში“ რომ ეკავა.

ჩამოსვლის მეორე დილას, სწორედ იმწუთს, როდესაც ქალაქის ყველა საათი ცალ-ცალკე რეკავდა ცხრას, ერთად კი ცხრაას ოთხმოცდაცხრამეტს და სემი, ბატონის მოლოდინში, „ფასკუნჯის“ შესახვევში დასეირნობდა, სასტუმროსთან ჩამოდგა ახლად შეღებილი, შესახედავად მეტად უცნაური ეტლი, საიდანაც მკვირცხლად გადმოხტა უცნაურივე გარეგნობის ჯენტლმენი. ეტლიცა და მისი პატრონიც თითქოს ერთმანეთისათვის გაეჩინა ღმერთს. შეხედავდი თუ არა, იტყოდი: ფერი ფერსა, მადლი ღმერთსაო.

ეს ეტლი არც კებს ჰგავდა, არც სტენჰოპს, ვერ იტყოდით იმასაც, რომ ეს „დოგკარტია“ ან ურიკა, ან სასეირნო ორთვალა, ან თავწაცლილი კაბრიოლეტიო და მაინც, ცოტ-ცოტა ყველას წააგავდა: ღიაყვითლად იყო შეღებილი, ბორბლები და ხელნა კი შავი ჰქონდა. მეეტლე სპორტულად იყო ჩაცმული და ზედიზედ

დაწყობილი ბალიშების გროვაზე იჯდა. ყორანივით შავი ცხენი საკმაოდ ლამაზი იქნებოდა, ცოტა ტლანქი რომ არ ყოფილიყო, როგორც თვით ეტლი და მისი პატრონი.

სემი ეტლის პატრონს დააკვირდა. ეს იყო დაახლოებით ორმოცი წლის კაცი, შავთმიანი, საგანგებოდ დავარცხნილი ულვაშით, თავით-ფეხამდე კოპწიად ჩაცმულ-დახურული. ბევრი ძვირფასი სამკაული ეკეთა; თითოეული ნივთი სამჯერ უფრო დიდი ზომისა იყო, ვიდრე ჩვეულებრივ ატარებენ მამაკაცები, თანაც, ზემოდან სქელი პალტო ჩაეცვა. როგორც კი ჯენტლმენი ეტლიდან გადმოვიდა, მარცხენა ხელი პალტოს ერთ ჯიბეში ჩაიყო, მარჯვენა ხელით კი მეორიდან უშველებელი ცხვირსახოცი ამოიღო და ფეხსაცმელზე გადაისვა და მტვერი მოაცილა; მერე ცხვირსახოცი ხელში დაჭმუჭნა, მაგრად მოკუჭა და ამაყად ჩაიარა შესახვევში.

სემს არც ის გამოჰპარვია, რომ გზის გადაღმა მოუსვენრად სცემდა ბოლთას ვიღაც დაფლეთილ ყავისფერ პალტოში ჩაცმული მამაკაცი, რომელსაც არც ერთი ღილი არ შერჩენოდა. როდესაც უცნაური ჯენტლმენი ეტლიდან გადმოვიდა, კაცმა გზა გადაჭრა და იქვე შორიახლოს დადგა. სემი ეტყობა, მიუხვდა განზრახვას, დაასწრო, სასტუმროსაკენ გაემართა და შიგ კარებში გადაუღობა გზა.

- გზა, ყმაწვილო! - ბრძანების კილოთი წარმოთქვა სქელპალტოიანმა ჯენტლმენმა და ხელი ჰკრა, რომ გზიდან ჩამოეცილებინა.

- რას ბრძანებთ, სერ?! - მიუგო სემმა და ხურდა ერთიორად დაუბრუნა.

- მასხრობას თავი გაანებეთ, ყმაწვილო, მაგისთანა ოინები ჩემთან არ გაგივათ! - ხმა აიმაღლა სქელპალტოიანმა და ბრაზით გაფითრდა, - აქეთ, სმაუჩ!

- რა მოხდა? - წაიბურტყუნა ყავისფერპალტოიანმა კაცმა, რომელიც ჩუმად შემოიპარა მოსახვევში.

- შეხედე, თავს როგორ გავიდა! - წარმოთქვა სქელპალტოიანმა და სემს კვლავ ჰკრა ხელი.

- სისულელეს ნუ სჩადიხარ, - ჩაიბურტყუნა სმაუჩმა და სემს უფრო მძლავრად წაჰკრა.

ამ უკანასკნელმა ბიძგმა გაჭრა სწორედ ისე, როგორც მოელოდა სმაუჩი: სემი, რომელსაც სულითა და გულით სწყუროდა, სამაგიერო მიეზღო ზემოთ ხსენებული თავაზიანი მოქცევისათვის, ყავისფერპალტოიანს ჩააფრინდა მხარში და კარის სახელურს მიაკრა. ამასობაში სქელპალტოიანმა დრო იხელთა, ღია კარში გასხლტა და პირდაპირ დახლისკენ გაემართა. სემმაც არ დააყოვნა და რამდენიმე საამო ეპითეტით შეამკო მისტერ სმაუჩი და სქელპალტოიანს შეჰყვა ფეხდაფეხ.

- დილა მშვიდობისა, ჩემო ჩიტუნია, - მოურიდებლად მიმართა სქელპალტოიანმა დახლის იქით მდგომ ყმაწვილქალს, - მისტერ პიკვიკი რომელ ოთახშია, ჩემო ძვირფასო?

- მაღლა ააცილე, - მიმართა ქალმა ლაქიას პასუხის ნაცვლად, ხოლო მოლაპარაკეს ზედაც არ შეხედა.

ლაქია მაღლა ავიდა, უკან სქელპალტოიანი ჯენტლმენი გაჰყვა. მათ ფეხდაფეხ მიჰყვა სემიც. იგი უდიდეს ზიზღსა და წყრომას გამოხატავდა იმით, რომ ათასნაირად იგრიხებოდა და იმანჭებოდა, რის ყურებაც, ეტყობა, დიდ სიამოვნებას ჰგვრიდა მსახურ ქალებსა და დანარჩენ მაყურებლებს. მისტერ სმაუჩი ძირს დარჩა. მას ისეთი ხველა აუტყდა, კინაღამ დაიხრჩო.

მისტერ პიკვიკს მაგრად ეძინა, როდესაც ადრიანი სტუმარი და სემი ოთახში შევიდნენ. მათმა შემოსვლამ გამოაღვიძა მასპინძელი.

- წყალი, სემ, უნდა გავიპარსო! - გაისმა მისტერ პიკვიკის ხმა ფარდის უკან.

- სჯობს, ახლავე გაიპარსოთ, მისტერ პიკვიკ, - თქვა დაუპატიჟებელმა სტუმარმა და საწოლის თავთან ფარდა გადასწია, - მე დამავალეს, სისრულეში მოვიყვანო ბერდლ-პიკვიკის საქმის საასამართლო განაჩენი. აგერ განკარგულებაც. ეს ჩემი სადარბაზო ბარათი გახლავთ. ვფიქრობ, წინააღმდეგობას არ გამიწევთ და დაუყოვნებლივ წამომყვებით.

კანონის წარმომადგენელმა მეგობრულად დაჰკრა მისტერ პიკვიკს მხარზე ხელი, სადარბაზო ბარათი საბანზე დაუგდო და ჟილეტის ჯიბიდან კბილის ოქროს საჩიჩქნი ამოიღო.

- ჩემი გვარი ნემბი გახლავთ, - წარმოთქვა კანონის წარმომადგენელმა, როდესაც მისტერ პიკვიკმა ბალიშის ქვეშიდან სათვალე გამოიღო, თვალზე გაიკეთა და ბარათი გადაიკითხა, - ნემბი, ბელ ალეი, კოლმენ-სტრიტი.

აქ სემ უელერი, რომელსაც მთელი ამ ხნის განმავლობაში თვალი არ მოუშორებია მისტერ ნემბის ცილინდრისათვის, ჩაერია საუბარში.

- კვაკერი ბრძანდებით? - ჰკითხა სემმა.

- მაგასაც გაჩვენებთ, ვინცა ვარ, ვიდრე აქედან წავიდოდე, - მიუგო გაბრაზებულმა მოხელემ, - მერწმუნეთ ორ დღეში გასწავლით თავაზიანობას, ყმაწვილო.

- გმადლობთ, - პასუხი გასცა სემმა, - ჯერ მე გასწავლით ზრდილობას. ახლავე ქუდი მოიხადეთ!

თქვა თუ არა ეს, მისტერ უელერმა ისე ძლიერად სტყორცნა მისტერ ნემბის ცილინდრი ოთახის მეორე ბოლოს, რომ ქუდის პატრონმა კინაღამ ოქროს კბილსაჩიჩქნი გადაყლაპა.

- კარგად დაიხსომეთ, ეს მისტერ პიკვიკ! - წარმოთქვა გააფთრებულმა მოხელემ, - თქვენი მსახური თავს დამესხა თქვენსა-

ვე ოთახში, სამსახურებრივი მოვალეობის აღსრულებისას. ფიზიკური შეურაცხყოფა მომაყენა. გიხმობთ მოწმედ...

- ნურაფერში დაემოწმებით, სერ, - სიტყვა შეაწყვეტინა სემმა, - დახუჭეთ, მაგრად დახუჭეთ თვალები, სერ. აი, ამ ფანჯრიდან ვისროდი, გასაფრენი ადგილი რომ იყოს, მაგრამ რას იზამ, აქვე ფანჯარასთან მეორე სახლის სახურავია.

- სემ, - გაჯავრდა მისტერ პიკვიკი, როდესაც შეამჩნია, რომ მისი მსახური აღარა ხუმრობდა და მოხელისადმი მტრულად იყო განწყობილი, - თუ კიდევ ერთ სიტყვას იტყვით, ან ამ კაცს რამეს აწყენინებთ, ამწამსვე დაგითხოვ.

- კი, მაგრამ... - დაიწყო სემმა.

- ენას კბილი დააჭირეთ! - შეაწყვეტინა მისტერ პიკვიკმა, - ქუდი აიღეთ.

სემმა ბრძანება არ შეასრულა, რის გამოც ბატონისაგან მკაცრი საყვედური მიიღო. რადგან მოხელეს ეჩქარებოდა, ინება და თვითონ აიღო ქუდი; მერე გაბრაზებულმა სემის მიმართ მუქარის ნიაღვარი გადმოანთხია, რაც მისტერ უელერმა მშვიდად მოისმინა. მხოლოდ ერთი რამ შენიშნა: თუ ინებებს მისტერ ნემბი და კვლავ ოთახში დაიხურავს ქუდს, მაშინ მაგის ცილინდრს ცხრა მთას იქით ვისვრიო. მისტერ ნემბი მიხვდა, რომ ზემოხსენებული ოპერაცია არცთუ ისე სასიამოვნო იქნებოდა მისთვის პირადად, ამიტომ ცდუნებისათვის ზედმეტი საბაბი აღარ მიუცია და საჩქაროდ სმაუჩს უხმო. შეატყობინა, რომ დაპატიმრების ყველა ფორმალური მხარე შესრულებულია და ახლა თქვენ მოუცადეთ, ვიდრე დაპატიმრებული ჩაცმას მოათავებდესო.

ინსტრუქციების მიცემა რომ მოათავა, მისტერ ნემბი დინჯი ნაბიჯით გავიდა ოთახიდან და სამსახურში წაბრძანდა. სმაუჩმა მისტერ პიკვიკს მოახსენა: „ამდენი დრო არ არის, ჩქარა ჩაიცვითო“. სკამი კართან მიიდგა და ლოდინს შეუდგა. მისტერ პიკვიკ-

მა რომ ჩაიცვა, სემი ეტლის დასაქირავებლად გაგზავნა და არ გასულა ხუთი წუთიც, რომ სამთა საკრებულო კოლმენ-სტრიტს გაემგზავრა. ბბედზე, მგზავრობამ მცირე ხანს გასტანა, რადგან მისტერ სმაუჩი არც ბრწყინვალე მოსაუბრე გახლდათ და არც სასიამოვნო თანამგზავრი ეტლის ვიწრო ზღუდეებს შორის იმ ფიზიკური სისუსტის გამო, რომლის შესახებ ზევით მოგახსენეთ.

ეტლმა ძალიან ვიწრო, ბნელ ქუჩაზე გადაუხვია და იმ სახლის წინ გაჩერდა, რომლის ყოველ ფანჯარაზე რკინის ბადეები იყო აკრული. აღნიშნული შენობის კარს შემდეგი წარწერა ამშვენებდა: „ნემბი. ქ. ლონდონის შერიფების მოხელე“. ალაყაფის კარი გამოაღო ჯენტლმენმა, რომელიც მისტერ სმაუჩის ტყუპისცალი გეგონებოდათ, ოღონდ, უფრო ღატაკი და გაჭირვებული. მას ალაყაფის კარის გასაღები ებარა.

მისტერ პიკვიკი „სასადილო დარბაზში“ შეიყვანეს. დარბაზის ფანჯრები ქუჩაში გადიოდა, თვით დარბაზი კი ნოტიო სილისა და მყრალი თამბაქოს სუნით იყო გაჟღენთილი. მისტერ პიკვიკმა სემი მისტერ პერკერის მოსაყვანად გაგზავნა. ოთახში რომ შევიდა ვიღაც სამ უცნობს დაუკრა თავი, ბნელ კუთხეში მიჯდა და ცნობისმოყვარე თვალი თავის ახალ ამხანაგებს მიაპყრო.

ერთ-ერთი მათგანი მთლად ბავშვი იყო, ცხრამეტი თუ ოცი წლისა. ჯერ ათი საათიც არ იქნებოდა და იგი უკვე წყალნარევ ჯინს მიირთმევდა და სიგარასაც აბოლებდა. მისი შეშუპებული სახე მოწმობდა, რომ მთელი ერთი ან ორი წელია, რაც ამით ირთობდა ჭაბუკი თავს. მის პირდაპირ დაახლოებით ოცდაათი წლის, უხეში გარეგნობის ჯმუხი მამაკაცი იჯდა და ფეხსაცმლის წვერით ნაკვერჩხლებს ურევდა ბუხარში. ლოთის სახე, წიკვინა ხმა და ქცევის „მიმზიდველი“ თავისუფლება, რომელსაც ადამიანი იძენს სამიკიტნოებსა და დაბალი ხარისხის საბილიარდოებში, აშკარად მოწმობდა, რომ ეს კაცი ზემოხსენებული დაწესე-

ბულებების ხშირი სტუმარი იყო და კარგად იცნობდა ცხოვრების ამ მხარეს. მესამე კარგა ხნიერი კაცი იყო - გაცრეცილი, დაღარული სახით, ძველისძველი ნაცრისფერი კოსტიუმი ეცვა. იგი შეუსვენებლად სცემდა ბოლთას ოთახში; წამით შეჩერდებოდა, დადარდიანებულ თვალს ფანჯარას მიაპყრობდა, თითქოს ვიღაცას ელოდა და კვლავ განაგრძობდა სიარულს.

- სამართებელს გათხოვებდით დღეს, მისტერ ეირსლი, - თქვა კაცმა, რომელიც ნაკვერჩხლებს ურევდა და ყმაწვილს ჩაუკრა თვალი.

- არა, გმადლობთ, არ დამჭირდება. ერთ ან ორ საათში სულაც გავალ აქედან, - ნაჩქარევად მიუგო ხნიერმა კაცმა. კვლავ ფანჯარასთან მივიდა, მაგრამ ეტყობა გარეთ სანუგეშო ვერაფერი დაინახა, ღრმად ამოიოხრა და ოთახიდან გავიდა. ორივე ყმაწვილმა ხმამაღლა გადაიხარხარა.

- აი, სეირი თუ გინდა, ეს არის! - შენიშნა ჯენტლმენმა, რომელმაც სამართებელი შესთავაზა და რომლის გვარი, როგორც შემდგომ გამოირკვა, პრაისი იყო. აქ პრაისმა ნათქვამს გინებაც მოაყოლა და კვლავ გადაიხარხარა. მეორე ყმაწვილი, რომლის თვალში პრაისი უდიდესი გმირი იყო, რა თქმა უნდა, ხელად აჰყვა მას.

- არც კი დაიჯერებთ, - მიმართა პრაისმა მისტერ პიკვიკს, - გუშინ ერთი კვირა შესრულდა, რაც ეგ კაცი აქა ზის და ერთხელაც არ გაუპარსავს პირი. დარწმუნებულია, რომ ნახევარ საათში გაათავისუფლებენ. სულ ამას ამბობს, სახლში მივალ და იქ გავიპარსავო.

- საწყალი! - წამოიძახა მისტერ პიკვიკმა, - თუ აქვს რაიმე საშუალება, რომ დააღწიოს თავი ამ საპყრობილეს?

- რა საშუალება, რის საშუალება, - მიუგო პრაისმა, - მერწმუნეთ, ეგ ათი წლის შემდეგაც ვერ ისეირნებს ქუჩაში; ყველა მაგი-

სი საშუალება ჩალად არ ღირს. ააი, ამასაც არ მივცემდი იმ საშუალებაში! - პრაისმა თითები გაატკაცუნა და დარეკა.

- კრუკი, ერთ, ფურცელი მომეცი, - უბრძანა მისტერ პრაისმა მსახურს, რომელიც გარეგნობითა და ჩაცმულობით გაკოტრებული მესაქონლისა და გაპარტახებული ღამის მეხრის ნარევს წარმოადგენდა, - ერთი ჭიქა გროგიც მომართვი, გესმის, კრუკი? მინდა მამაჩემს წერილი მივწერო და შესახურებლად ეგ წამალივით მჭირდება; ისე მოხუცს გულს ვერ ავუჩუყებ.

ზედმეტიცაა აღვნიშნოთ, რომ გაიგონა თუ არა მეორე ყმაწვილმა ეს სიბრძნით სავსე სიტყვა, კვლავ ისეთი ხარხარი აუტყდა, რომ კინაღამ კრუნჩხვები დაემართა.

- ასე უნდა, - თქვა მისტერ პრაისმა, - გული არაფერზე გაიტეხო, ყველაფერი სისულელეა ამქვეყნად, ხომ ასეა, ყმაწვილო?

- ბრწყინვალეა! - კვერი დაუკრა ამ უკანასკნელმა.

- გეტყობა, მარჯვე კაცი ხარ, - შენიშნა პრაისმა, - ცხოვრებაში გაწაფული.

- ოღონდაც! - მიუგო ყმაწვილმა. მას მართლაც ბევრი რამ უნახავს სამიკიტნოების შემურული მინების გადაღმა.

მისტერ პიკვიკში ამ საუბარმა, მოსაუბრეთა კილომ და უხეშმა ქცევამ მხოლოდ ზიზღი გამოიწვია. დააპირა კიდეც ეთქვა, ცალკე ოთახს ხომ ვერ მომცემთო, რომ ამ დროს ოთახში კარგად ჩაცმული სამი კაცი შემოვიდა. მათ დანახვაზე უმცროსმა ყმაწვილმა სიგარა ბუხარში ისროლა, მისტერ პრაისს ჩასჩურჩულა: „ეგენი ჩემი საქმის მოსაგვარებლად მოვიდნენო“ და ოთახის მეორე ბოლოში მოსულებთან ერთად მაგიდას მიუჯდა.

საქმე არც ისე ჩქარა მოგვარდა, როგორც ყმაწვილ ჯენტლმენს ეგონა. ხანგრძლივი საუბარი გაიმართა. მისტერ პიკვიკმა უნებლიეთ მოჰკრა ყური გაჯავრებით ნათქვამ ფრაზებს თავაშვებული ცხოვრებისა და მრავალჯერ ბოძებული პატიების

შესახებ. შემდგომ ამისა, ყველაზე უფროსმა ჯენტლმენმა რამდენჯერმე დაჟინებით ახსენა უაიტკროს-სტრიტი, რის შედეგადაც ყმაწვილმა, მიუხედავად იმისა, რომ, როგორც წეღან აღვნიშნეთ, მეტად მარჯვე და ცხოვრებაში გამობრძმედილი გახლდათ, თავი მაგიდაზე ჩამოდო და მწარედ ატირდა.

მისტერ პიკვიკს დიდად ესიამოვნა, ყმაწვილმა თავი რომ დაანება ყოყოჩობას და ხმასაც დაუწია, უფრო თავაზიანი გახდა. „არც ისე თავხედი ყოფილა, მე რომ მეგონა“, - გაიფიქრა გულში. მერე დარეკა და ითხოვა, სხვა ოთახში გადამიყვანეთო. თხოვნა მალე შეუსრულეს. მოზრდილ ოთახში გადაიყვანეს, რომელშიაც მრავალი საჭირო ნივთი დახვდა: ბუფეტი, სარკიანი კარადა, მაგიდა, სკამები, დივანი, ხალიჩა და ძველისძველი გრავიურები. საუზმის მოლოდინში მას ბედნიერება ეწვია: მოისმინა მისის ნემბის დაკვრა როიალზე სართულით მაღლა.

საუზმე მოართვეს თუ არა, პერკერიც მოვიდა.

- ო, ჩემო ძვირფასო სერ, - წამოიძახა პატარა კაცმა, - დაგაბეს მაინც? არა, არა, მე არც ვნანობ ამას, უთუოდ ახლა კი მიხვდებით, რომ სულელურად მოიქეცით... უკვე გამოვიანგარიშე ყველა ხარჯი. სასამართლოს ხარჯები და ზიანის ასანაზღაურებელი ხარჯები, ერთი სიტყვით, მთელი თანხა, რომელიც აღმასრულებელ ქაღალდშია მითითებული. სჯობს, საქმე დაუყოვნებლივ მოვაგვაროთ, ნუღა დავკარგავთ დროს. მე მგონი, ნემბი უკვე სახლში უნდა იყოს. რას იტყვით, ჩემო ძვირფასო სერ, ჩეკი მე გავცე, თუ თქვენ თვითონ გამოწერთ?

პატარა კაცმა ვითომდა უდარდელად ხელები მოიფშვნიტა. ეტყობა, საქმის მოსაგვარებლად მოემზადა, მაგრამ მისტერ პიკვიკის სახეს რომ შეხედა, პასუხს მიხვდა და ნაღვლიანად გადახედა სემ უელერს.

- პერკერ, - წარმოთქვა მისტერ პიკვიკმა, - გთხოვთ, ამის შესახებ ნუღარას მეტყვით. მე მგონი, აქ დარჩენაც არ ღირს, სჯობს ამ საღამოსვე ციხეში გადამიყვანონ.

- ნუ, ნუ წახვალთ უაიტკროს-სტრიტზე, ჩემო ძვირფასო სერ! - შეევედრა პერკერი, - შეუძლებელია! წარმოუდგენელია! იქ თითო ოთახში სამოცი საწოლია, კარი კი ყოველდღიურად თექვსმეტი საათის განმავლობაშია ჩაკეტილი.

- რას იზამ, შესაძლებელი რომ ყოფილიყო, მეც მერჩივნა პატიმრობის ვადა სხვა უფრო სასიამოვნო ადგილას გამეტარებინა, - შენიშნა მისტერ პიკვიკმა, - მაგრამ, თუ არ შეიძლება, ისევ ჩემს ხვედრს შევურიგდები.

- თუ ასეა, სჯობს ისევ ფლიტის ციხეში წაბრძანდეთ, ჩემო ძვირფასო სერ, - შესთავაზა პერკერმა.

- ასე იყოს, - დაეთანხმა მისტერ პიკვიკი, - ვისაუზმებთ თუ არა, ვთხოვ იქ გადამიყვანონ.

- მოიცათ, პატივცემულო სერ. ნეტავ რა გეჩქარებათ, რომ მირბიხართ, იქ, საიდანაც ხალხი ცდილობს როგორმე თავი დააღწიოს, - თქვა პატარა ვექილმა, - ჯერ უნდა habeas corpus მივიღოთ. ოთხ საათამდე კი პალატაში ვერც ერთ მოსამართლეს ვერ ნახავ. ამ დრომდე უნდა მოიცადოთ, სერ.

- ჩინებულია, - მტკიცედ წარმოთქვა მისტერ პიკვიკმა, - მაშინ ორ საათზე დაბეგვილ კატლეტებსაც გეახლებით. ამას თქვენ გავალებთ, სემ, უთხარით, რომ დროზე მომიტანონ.

კიდევ ბევრს ეხვეწა, ბევრს ემუდარა მისტერ პერკერი მისტერ პიკვიკს, ციხეში ნუ წახვალთო, მაგრამ ამაოდ. მტკიცე გადაწყვეტილება ვერაფრით შეაცვლევინა. სუფრაზე დროზე გაჩნდა და შთაინთქა დაბეგვილი კატლეტი, შეისვა ღვინოც. ამის შემდეგ მისტერ პიკვიკმა ნახევარ საათს მაინც უცადა მისტერ ნემბის, რომელმაც უფრო ადრე ვერ მიიღო პატიმარი, რადგან

სადილად რჩეული საზოგადოება ჰყავდა მიწვეული. ბოლოს ეტ-ლი იქირავეს, შიგ მისტერ პიკვიკი ჩასვეს და ჩანსერი--ლეინისაკენ გასწიეს.

სარჯენტ-ინში ორი მოსამართლე იყო მორიგედ, სამეფო სკა-მისა და საერთო სადავო საქმეთა სასამართლოსი. ორივეს ეტ-ყობა, საქმე ყელამდის ჰქონდა, მათი კლერკების რაოდენობის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ. ეს კლერკები ქაღალდების დასტე-ბით ხელში აქეთ-იქით დარბოდნენ. ზევით-ქვევით მიქროდნენ და მარცხნივ ან მარჯვნივ ოთახებში ქრებოდნენ.

მისტერ პიკვიკის ეტლი შეჩერდა დაბალ თაღთან, რომელიც სარჯენტ-ინის შესასვლელს წარმოადგენდა. მისტერ პერკერი რამდენიმე წუთს დაყოვნდა. მეეტლესთან აწარმოებდა ფრიად მნიშვნელოვან მოლაპარაკებას ქირისა და ხურდის შესახებ; მისტერ პიკვიკი კი განზე გაუდგა ხალხის ნიაღვარს, რომელიც შენობაში შედიოდა და გამოდიოდა და ცნობისმოყვარედ დაუწ-ყო თვალიერება ადამიანთა მოდგმის ამ უცნაურ წარმომადგენ-ლებს. განსაკუთრებით ეცა თვალში სამი თუ ოთხი კაცი, კოხ-ტად, მაგრამ საკმაოდ გაცვეთილ ტანსაცმელში გამოწყობილი, რომლებიც თავაზიანად უკრავდნენ თავს ბევრ ატერნს. ეეტყო-ბა, რაღაც საქმეზე იყვნენ მოსულნი, მაგრამ რა ხასიათისა იყო ეს საქმე, მისტერ პიკვიკი ვერ მიმხვდარიყო. სამივე პიროვნება უცნაურად გამოიყურებოდა. ერთი ცარიელი ძვალი და ტყავი იყო და ოდნავ კოჭლობდა; გადახუნებული შავი კოსტიუმი ეცვა თეთრი ჰალსტუხით. მეორე ჯმუხი იყო, ტლანქი და მოუხეშავი, მასაც შავი კოსტიუმი ეცვა და კისერზე მოწითალო ყელსახვევი ეკეთა. მესამეს ლოთობისაგან შეშუპებული, მუწუკებიანი სახე ჰქონდა, დაღარული და დანაოჭებული. სამივეს ხელები ზურგზე დაეწყო და მოუსვენრად სცემდნენ ბოლთას ქუჩაში. დროდად-რო რაღაცას ჩასჩურჩულებდნენ ხოლმე ყურში ერთ-ერთ ჯენ-

ტლმენს, რომელიც იღლიაში ამოჩრილი ქაღალდების თაბახით სასამართლოში მიეშურებოდა. მისტერ პიკვიკს გაახსენდა, რომ ეს კაცები უწინაც უნახავს, როდესაც აქეთ გამოუვლია. ისინი მაშინაც ამ თაღის ქვეშ დაეხეტებოდნენ. უეცრად მის გულში სურვილმა იფეთქა, ეგებ ახლა მაინც გაიგოს, რაში მდგომარეობს ამ გახუნებულტანსაცმლიანთა საქმიანობა.

ის იყო ამ შეკითხვით უნდა მიემართა მისტერ ნემბისათვის, რომელიც ფეხს არ იცვლიდა, იქვე, ზურგს უკან, დარაჯად ედგა და თან ნეკზე წამოცმულ ოქროს ბეჭედს ლოკავდა, რომ ამ დროს მისტერ პერკერი მოვარდა. თვალი გადაავლო თუ არა სიტუაციას, მიხვდა, რომ დაყოვნება აღარ ღირდა და პირდაპირ სარჯენტ-ინის შენობაში შევიდა. მისტერ პიკვიკიც უკან გაჰყვა, მაგრამ გზაზე კოჭლმა სუბიექტმა შეაჩერა. ერთი ხელი თავაზიანად მიიდო ქუდთან, მეორით კი ხელით დაწერილი სადარბაზო ბარათი გაუწოდა. მისტერ პიკვიკს მოერიდა. არ უნდოდა ეწყენინებინა უცნობისათვის და ამიტომ ზრდილობიანად ჩამოართვა ბარათი და ჟილეტის ჯიბეში შეინახა.

- აქეთ მობრძანდით, - თქვა მისტერ პერკერმა, ერთ-ერთი ოთახის შესასვლელთან შეჩერდა და უკან მოიხედა, უნდოდა ენახა უკან მოსდევდნენ თუ არა თანამგზავრები, - შემობრძანდით, ჩემო ძვირფასო სერ... ჰელოუ, თქვენ რაღა გინდათ?

ამ შეკითხვით პატარა ვექილმა მიმართა კოჭლს, რომელიც ისე ჩუმად გამოჰყოლოდათ უკან, რომ მისტერ პიკვიკმა იგი ვერც კი შეამჩნია. პასუხად კოჭლმა კვლავ თავაზიანად მიიდო ხელი ქუდზე და მისტერ პიკვიკზე მიუთითა.

- არა, არა, - ღიმილით შენიშნა მისტერ პერკერმა, - თქვენ არ დაგვჭირდებით, მეგობარო, არ დაგვჭირდებით.

- ბოდიშს ვიხდი, სერ, - მიუგო კოჭლმა, - ამ ჯენტლმენმა ბარათი გამომართვა. იმედია, დამიქირავებთ, სერ? ჯენტლმენმა თავი დამიქნია, ხომ დამიქნიეთ თავი, სერ?

- რას ამბობთ?! ხომ არ დაგიქნევიათ თავი, პიკვიკ? შეგეშალათ, ნამდვილად შეგეშალათ, - შენიშნა მისტერ პერკერმა.

- ამ ჯენტლმენმა მართლაც მომცა თავისი სადარბაზო ბარათი, - მიუგო მისტერ პიკვიკმა და ჟილეტის ჯიბიდან ბარათი ამოიღო, - იმიტომ გამოვართვი, რომ თვითონ ჯენტლმენს ასე სურდა. გულწრფელად რომ გითხრათ, ცოტას რომ მოვიცლი, მინდოდა გადამეკითხა. მე...

პატარა ვექილმა ხმამაღლა გადაიხარხარა და იმწამსვე ბარათი კოჭლს დაუბრუნა. კოჭლი გაწყრა, მაგრამ უბრად გატრიალდა. პერკერმა პიკვიკს განუმარტა, ეს მხოლოდ თავდებიაო.

- ვინა? - ჰკითხა მისტერ პიკვიკმა.

- თავდები, - მიუგო მისტერ პერკერმა.

- თავდები?

- დიახ, თავდები, ჩემო ძვირფასო სერ. მაგისთანა აქ ექვსიოდე დადის. რა თანხის ვალიც უნდა გქონდეთ, თავდებად დაგიდგებიან და გასამრჯელოს მხოლოდ ნახევარ კრონს გამოგართმევენ. საინტერესო პროფესიაა, არა? - თქვა პერკერმა და საკუთარ თავს თუთუნის მწიკვით გაუმასპინძლდა.

- ნუთუ მართალია? სწორად გაგიგეთ თუ არა? - მისტერ პიკვიკი შეძრწუნდა, - ეგ პირები ფულს შოულობენ იმით, რომ მუშტრებს აქ ელოდებიან, ცრუთავდებად დაუდგებიან ჩვენი სახელმწიფოს მოსამართლეთა წინაშე და ამ დანაშაულებრივ საქმიანობაში კიდევ ნახევარ კრონს იღებენ?

- არა, ცრუთავდებობის შესახებ ზუსტად ვერაფერს გეტყვით, ჩემო ძვირფასო სერ, - მიუგო პაწია ვექილმა, - მეტისმეტი მოგივიდათ, ჩემო ძვირფასო სერ, მეტად მკვახე სიტყვა იხმარეთ. ეს

მხოლოდ იურიდიული ფიქციაა, ჩემო ძვირფასო სერ, ეს არის და ეს. ვექილმა მხრები აიჩეჩა და მისტერ პიკვიკს გაუღიმა. მერე თუთუნის მეორე მწიკვი აიღო და ოთახში შევიდა. იქ მოსამართლის კლერკი იჯდა.

ეს იყო დაბალჭერიანი, ჭუჭყიანი ოთახი, რომლის კედლები უკვე მოძველებული, დაჭიანებული პანელით იყო გაწყობილი. ოთახი იმდენად ბნელი იყო, რომ გარეთ, თუმცა მზიანი დღე იდგა, მაღალ საწერ მაგიდებზე უკვე დიდი სანთლები ენთო. ერთ-ერთ კედელში ფართო კარი იყო, რომელიც მოსამართლის კაბინეტში გადიოდა. კართან ვექილებისა და უფროსი კლერკების ჯგუფი შეგროვილიყო. თითოეულს სიის მიხედვით იძახებდნენ. როგორც კი კარი გაიღებოდა და ერთი ჯგუფი გამოვიდოდა, იმწამსვე მეორე ჯგუფი ეცემოდა კარს, რომ სხვებისათვის დაესწრო შესვლა. თუ დავუმატებთ იმასაც, რომ ჯენტლმენები, რომელთაც მოსამართლის ნახვა სურდათ, ხშირად წაეკინკლავებოდნენ ხოლმე იმ ჯენტლმენებს, რომელთაც მოსამართლე უკვე ინახულეს, ადვილი წარმოსადგენია, რა ჟრიამული იდგა ესოდენ ვიწროფართობიან სადგომში.

ჯენტლმენთა კინკლაობა როდი გახლდათ ერთადერთი ბგერა, რომელიც აქ მყოფი ადამიანის ყურს ხვდებოდა. ოთახის მეორე ბოლოს, ხის ტიხრის გადაღმა, ყუთზე შემდგარიყო სათვალიანი კლერკი, იგი აგროვებდა ფიცით დამტკიცებულ წერილობით ჩვენებებს, რომელნიც, თაბახებად დაწყობილი, დროდადრო მეორე კლერკს შეჰქონდა მოსამართლესთან ხელის მოსაწერად. ამჟამად ვექილის კლერკების ჯერი დამდგარიყო. საჭირო იყო მათი გატარება ფიცის ქვეშ. რა თქმა უნდა, ზნეობრივი თვალსაზრისით, უხერხულია ყველას ერთად ჩამოართვა ფიცი, სათვალიანი კლერკი სათითაოდ იძახებდა მათ. ტიხრის გადმოღმაც კლერკების მთელი ბრბო იდგა. ყოველი მათგანი

ისე თავგამოდებით ცდილობდა, რაც შეიძლება მალე გაეკვლია გზა სათვალიან კლერკამდე, რომ თეატრთან შეგროვილი ბრბო მოგაგონდებოდათ, რომელიც ცდილობს, თეატრში შევარდეს, როდესაც მისი უდიდებულესობა, მეფე-ბატონი, ესწრება წარმოდგენას. მესამე მოხელე დროდადრო ფილტვებს ავარჯიშებდა. იმ პირთა გვარებს იძახებდა, ვისაც უკვე ფიცი ჩამოართვეს, რათა დაებრუნებინა ჩვენებები, რომელსაც მოსამართლემ ხელი მოაწერა. ამათ შორისაც იმართებოდა დავა და ჩხუბი. ყოველივე ზემოაღწერილი ერთდროულად ხდებოდა და ოთახში ისეთი აურზაური იდგა, რომელიც მხოლოდ მოჭარბებული ენერგიისა და მეტად მოუსვენარ ადამიანს თუ მოუვიდოდა თვალში და ეამებოდა. ამ ოთახშივე გახლდათ კლერკების კიდევ ერთი ჯგუფი: ისინი თავიანთი ვექილების ნაცვლად მოსულიყვნენ ისეთ საქმეთა გამო, რომელთა გარჩევისას მოწინააღმდეგის ვექილის დასწრება არ არის სავალდებულო. ამჟამად ამ კლერკებს ევალებოდათ შემდეგი: დროდადრო დაიძახებდნენ ხოლმე მოწინააღმდეგე მხარის ვექილის გვარს, რათა დარწმუნებულიყვნენ, ესწრებოდა თუ არა იგი საქმის გარჩევას, თუმცა იცოდნენ, რომ არ ესწრებოდა.

აი, მაგალითად, ერთი სცენა:

იმ სკამის უკან, რომელზედაც მისტერ პიკვიკი იჯდა, კედელს მიყრდნობოდა კონტონის მსახური ბიჭი, თოთხმეტი წლისა, მას წვრილი ხმა ჰქონდა. იქვე, მის გვერდით სამოქალაქო საქმეთა კლერკი იდგა, რომელიც ბოხი ხმით ლაპარაკობდა.

შემოვიდა ერთ-ერთი კლერკი ქაღალდის დასტით ხელში და მიმოიხედა, თითქოს ვიღაცას ეძებდა.

- სმინგლი და ბლინკ! - დასჭყივლა ბიჭმა წვრილი ხმით.

- პორკინი და სნობი! - დაიღრიალა კლერკმა ბოხი ხმით.

- სტამპი და დიკინი! - აცხადებს შემოსული.

არავინ იძლევა პასუხს. ახლა მეორე კლერკი შემოვიდა. სამივემ ერთხმად დაუსახელა შემოსულს თავიანთი პატრონების გვარები. შემოსულმა თავის მხრივ კიდევ ახალი გვარი დაიძახა. შემდეგ ამისა, კიდევ ვიღაცა დაიძახებდა ახალ გვარს და ასე შემდეგ.

ამასობაში სათვალიანი ჯენტლმენი შეუსვენებლივ მუშაობს, კლერკებს სათითაოდ ართმევს ფიცს. ფიცის ფორმულას იგი სასვენი ნიშნების გარეშე ამბობს:

- წიგნი აიღეთ მარჯვენა ხელში იქ თქვენი გვარი წერია აქაც ხელს მოაწერთ თქვენ ფიცსა სდებთ რომ თქვენი ჩვენება ჭეშმარიტია ღმერთმა შეგიწყოთ ხელი თქვენგან ერთი შილინგი გვერგება ხურდა არა მაქვს...

- სემ, იმედი მაქვს, რომ ჩემი habeas corpus უკვე მზადაა? - თქვა მისტერ პიკვიკმა.

- ნეტავი, სერ, - მიუგო სემმა, - რა უზრდელები ყოფილან, ამდენ ხანს რომ გვაცდევინებენ. ერთი მაჩვენა ეგ რაღაც კორპუს--მორპუსი. ამდენ ხანს მე ნახევარ დუჟინს დავამზადებდი და ჩავაწყობდი.

ვერ გეტყვით, რა ჩასაწყობი იარაღი ეგონა მისტერ უელერს ბრძანება habeas corpus, რადგან სწორედ ამ დროს მისტერ პერკერი შემოვიდა და მისტერ პიკვიკი მოსამართლესთან შეიყვანა.

როდესაც ყოველგვარი ფორმალური წესი და რიგი შესრულდა, მისტერ პიკვიკი, როგორც ფიზიკურად არსებული პიროვნება, პოლიციის გამგებლებს ჩაჰბარდა, რომელთაც იგი ფლიტის საპყრობილის უფროსისათვის უნდა გადაეცათ. ტუსაღი იქ დაჰყოფდა იმდენ ხანს, ვიდრე მთლიანად არ აუნაზღაურებდა მისის ბერდლს შეურაცხყოფით მიყენებულ ხარჯებს და არ გადაიხდიდა სასამართლოს ხარჯებს.

- ტყუილად ნუ ელიან, ეს მალე არ იქნება, - სიცილით წარმოთქვა მისტერ პიკვიკმა, - სემ, ეტლი დაიქირავეთ, პერკერ, ჩემო ძვირფასო მეგობარო, მშვიდობით!

- თან წამოგყვებით და ვთხოვ, რომ კარგად დაგაბინაონ, - უთხრა პერკერმა.

- არა, - მიუგო მისტერ პიკვიკმა, - სჯობს, ისევ სემი წამომყვეს. ასე მირჩევნია. როგორც კი მოვეწყობი, უმალვე ბარათს მოგწერთ და მაშინ მობრძანდით. აბა, ნახვამდის!

მისტერ პიკვიკი პოლისმენის თანხლებით ჩაჯდა ეტლში, რომელიც უკვე ქვევით უცდიდა. სემი კვლავ კოფოზე წამოჯდა და ეტლი დანიშნულების ადგილას გაემგზავრა.

- დიდებული ადამიანია! - წამოიძახა პერკერმა, როდესაც წუთით შეჩერდა, რომ ხელთათმანები ჩაეცვა.

- რა საინტერესო რამ იქნებოდა, ეგ რომ გაკოტრებულიყო, სერ! - შენიშნა მისტერ ლაუტენმა, რომელიც იქვე იდგა, - რა დღეს დააყრიდა რწმუნებულებს! დაპატიმრებას თუ მოუნდომებდნენ, ეგ თვითონ მოამწყვდევდა მათ ჩიხში.

ეტყობა, პატარა ვექილს მაინცდამაინც არ ეამა, რომ მისმა კლერკმა, წმინდა პროფესიონალური თვალსაზრისით ასე შეაფასა მისტერ პიკვიკის პიროვნება, რადგან უმალვე გატრიალდა და ისე წავიდა, პასუხიც არ აღირსა თავის მოხელეს.

დაქირავებული ეტლი ფლიტ-სტრიტზე მიჯაგჯაგებდა ისე, როგორც ეს მრავალ ეტლს სჩვევია. „ცხენები უკეთ მიდიანო, - თქვა მეეტლემ, - როდესაც მათ წინ რაღაც მოძრაობს“ (ეტყობა, როცა წინ არაფერი ეღობებათ, თავქუდმოგლეჯილი გარბიან). ამჯერად ეტლი ფეხდაფეხ მიჰყვებოდა ფურგონს. შეჩერდებოდა თუ არა ფურგონი, შეჩერდებოდა ეტლიც, დაიძვრებოდა ფურგონი და ეტლიც მას მიჰბაძავდა.

მისტერ პიკვიკი პოლისმენის პირდაპირ იჯდა. ქუდმოხდილი პოლისმენი ფანჯარაში იცქირებოდა და თან მხიარულ ჰანგს უსტვენდა.

დრო ჭეშმარიტად ყველგან სასწაულს ახდენს. ამ ყოვლისშემძლე ჯენტლმენის წყალობით ეტლმა, როგორც იქნა, ნახევარი მილი გაიარა და ფლიტის საპყრობილის ალაყაფის კართან გაჩერდა.

მისტერ პიკვიკი ეტლიდან გადმოვიდა. პოლისმენი მობრუნდა, რომ დაენახა, მოსდევდა თუ არა ტუსაღი ფეხდაფეხ და რაკი დარწმუნდა, რომ ასე იყო, დაუყოვნებლივ ციხეში შეიყვანა იგი. მათ მარცხნივ მოუხვიეს და საყარაულოს კარში შევიდნენ; იქიდან კიდევ ერთი ალაყაფის კარი გაიარეს, რომელსაც ახოვანი მეციხოვნე იცავდა. ეს კარი პირდაპირ ციხის შიგნით სადგომში გადიოდა.

ვიდრე პოლისმენი ციხის მოხელეთ საბუთებს ჩააბარებდა, ოდნავ შეყოვნდნენ. მმისტერ პიკვიკს აცნობეს, რომ აქ დარჩებოდა, ვიდრე არ შეასრულებდა კანონით დადგენილ პროცედურას, რომელსაც შინაურები „პორტრეტის ჩახატვას“ უწოდებენო.

- პორტრეტის ჩახატვა? - შესძახა მისტერ პიკვიკმა.

- დიახ, თქვენს გამოსახულებას ჩახატავენ, სერ, - უპასუხა ახოვანმა მეციხოვნემ, - ამ საქმის ჩინებული ოსტატები გვყავს, ერთ წამში მზადაა, გამოსახულებაც ზუსტია. მობრძანდით, სერ, მოხერხებულად მოეწყვეთ, როგორც საკუთარ სახლში.

მისტერ პიკვიკი სავარძელში ჩაჯდა, მისტერ უელერი კი მის უკან დადგა. დაიწყო პროცედურა „პორტრეტის ჩახატვა“, რაც მდგომარეობს იმაში, რომ ფლიტის ყველა მეციხოვნე მორიგეობით გათვალიერებთ. კარგად უნდა დაგიმახსოვრონ, შემდგომ არ შეცდნენ და პატიმარი მნახველებისაგან გაარჩიონ.

- რა გაეწყობა, სემ, - თქვა მისტერ პიკვიკმა, - ოღონდ მალე მაინც მოვიდნენ ეს „მხატვრები“, ისედაც ბევრი ხალხი ირევა აქ.

- ვფიქრობ, დიდხანს არ დააყოვნებენ, - თქვა სემმა, - შეხეთ აქ ჰოლანდიური საათია, სერ.

- ვხედავ, - მიუგო მისტერ პიკვიკმა.

- აგერ გალიაც ჰკიდია ფრინველებისათვის, - განაგრძო სემმა, - აი სეირი. ბორბალი-ბორბალში, ციხე-ციხეში. ხომ ასეა, სერ?

მისტერ უელერმა ეს ფილოსოფიური ხასიათის შენიშვნა რომ მოათავა, მისტერ პიკვიკმა უეცრად შეამჩნია, რომ „მხატვრებს“ დაეწყოთ უკვე ე.წ. „ჩახატვის სეანსი“. ახოვანი მეციხოვნე, რომელმაც თავისი ცვლა მოათავა, შორიახლოს ჩამოჯდა და გაისუსა; მხოლოდ დროდადრო გადახედავდა პატიმარს, ვითომცდა შემთხვევით. აყლაყუდა, მჭლე მამაკაცი, რომელმაც პირველი მეციხოვნე შეცვალა, მისტერ პიკვიკს პირისპირ დაუდგა, ხელები სერთუკის კალთებს ამოსდო და გულდასმით ჩააჩერდა; მესამე, პირქუში გარეგნობის მამაკაცი, რომელსაც ჩაის სმა მოეთავებინა და ჯერ კიდევ კარაქიან პურს მიირთმევდა, ოთახში შემოვიდა თუ არა, მისტერ პიკვიკს მარცხნივ ამოუდგა, დოინჯი შემოიყარა და დაჟინებით მიაშტერდა. ამ სამეულს კიდევ ორი დაემატა. მთელი საკრებულო გულდასმით იმახსოვრებდა ახალი ტუსაღის სახის თითოეულ ნაკვთს. უნდა მოგახსენოთ, რომ „ჩახატვის სეანსის“ დროს მისტერ პიკვიკმა არაერთხელ შეიკრა კოპი, მაგრამ კრინტი არ დაუძრავს. არაფერი უთქვამს არც სემისათვის, რომელიც მთელი ამ ხნის განმავლობაში მისი სავარძლის უკან იდგა, მსახური ღრმა საგონებელს მისცემოდა; ფიქრობდა თავისი ბატონის ბედზე, ფიქრობდა იმაზეც, თუ როგორი გააფთრებით მივარდებოდა აქ თავმოყრილ მეციხოვნეებს, ყვე-

ლას ერთად და გულს იჯერებდა, რომ ეს დაშვებული ყოფილიყო ამ ქვეყნის წესისა და კანონის მიერ.

როგორც იქნა „ჩახატვა“ დასრულდა და მისტერ პიკვიკს აცნობეს: ახლა კი შეგიძლია, ციხეში მიბრძანდეთო.

- ღამეს სად გავათევ? - ცნობისმოყვარედ იკითხა მისტერ პიკვიკმა.

- ამ ღამის შესახებ ვერაფერს გეტყვით, - მიუგო ახოვანმა მეციხოვნემ, - ხვალ კი ვინმესთან დაგაწყვილებთ და არ მოიწყენთ. მოგეხსენებათ, სადაც უნდა იყოს, პირველი ღამე არაა მაინცადამაინც სასიამოვნო, ხვალ კი ყოველივე მოგვარდება.

ერთხანს ითათბირეს და ბოლოს მისტერ პიკვიკს მოახსენეს, ერთ-ერთი მეციხოვნე „საწოლს“ აქირავებს და თუ მოისურვებთ, ამ ღამით თავის ლოგინს თქვენ დაგითმობსო. მისტერ პიკვიკმა, რა თქმა უნდა, „დაიქირავა“ საწოლი.

- წამომყევით, ახლავე გიჩვენებთ ლოგინს, - უთხრა საწოლის პატრონმა, - მაინცდამაინც დიდი არ გახლავთ, მაგრამ ჩინებულად დაგეძინებათ. აქეთ, სერ.

ისინი ალაყაფის კარში შევიდნენ და პატარა კიბით ძირს ჩავიდნენ. დიდი გასაღებით ჩაკეტეს ალაყაფის კარი და მისტერ პიკვიკი ამიერიდან მოვალეთა ციხის პატიმარი გახდა.

თავი XLI

რა გადახდა მისტერ პიკვიკს ფლიტის საპყრობილეში; როგორი პატიმრები ნახა იქ და როგორ გაატარა პირველი ღამე

მისტერ ტომ როკერმა, ჯენტლმენმა, რომელმაც მისტერ პიკვიკი ციხეში შეიყვანა, ჩაათავა თუ არა კიბეები, მარჯვნივ მოუხვია და შევიდა ფართოდ გაღებულ რკინის ალაყაფის კარში. შემდეგ კვლავ კიბე აიარა და გავიდა გრძელ, ვიწრო და დაბალჭერიან „დერეფანში“. დერეფანს ქვის იატაკი ჰქონდა, მტვრიანი და ჭუჭყიანი და ორივე ბოლოს თითო ფანჯარა, რომელშიაც მქრქალი შუქი შემოდიოდა.

- ეს კიბე პირდაპირ დარბაზში გადის, - აცნობა მისტერ როკერმა მისტერ პიკვიკს, როდესაც მეორე კიბესთან შეჩერდა და ხელები ჯიბეში ჩაიწყო.

- ოჰ, - უნებლიეთ აღმოხდა მისტერ პიკვიკს, როდესაც ბნელ, ბინძურ კიბეს ჩახედა; უეცრად მოეჩვენა, რომ ეს კიბე ცივსა და ნესტიან აკლდამაში ჩადიოდა, - იქ უთუოდ პატარა სარდაფებია, სადაც პატიმრები ნახშირის მცირე მარაგს ინახავენ. მე ვიტყოდი, არცთუ სასიამოვნოა იქ ჩასვლა, მაგრამ მაინც მოხერხებულად მოწყობილი.

- მეც ასე მგონია, - კვერი დაუკრა მისტერ როკერმა, - იქ ბევრი ადამიანი ცხოვრობს და მაინც ეტევიან. ეს გახლავთ „ბაზარი“.

- ჩემო მეგობარო, - თქვა მისტერ პიკვიკმა, - ნუთუ იმის თქმა გინდათ, რომ ამ საზარელ მიწისქვეშეთში ადამიანები ცხოვრობენ?

- მაშ, რა გეგონათ? - მიუგო მისტერ როკერმა გაკვირვებით, - რატომ არ უნდა ვთქვა, ნეტავ?

- ცხოვრობენ, იქ ცხოვრობენ, ამ ჯურღმულში? - წამოიძახა მისტერ პიკვიკმა.

- დიახ, იქ ცხოვრობენ, იმ ჯურღმულში. იქვე იხოცებიან კიდეც ხშირად, - მიუგო მისტერ როკერმა წყრომით, - რა მოხდა მერე? ჩინებული ადგილია საცხოვრებლად, რითია ურიგო?

ამას რომ ამბობდა, მისტერ როკერმა მძვინვარედ გადახედა მისტერ პიკვიკს და ბრაზმორეულმა ჩაიბურტყუნა: ხელები და ფეხები მექავებაო. ახალმა პატიმარმა დროულად იგრძნო, აღარ ღირდა ამ თემაზე საუბრის გაგრძელება.

ამჯერად მისტერ როკერი მაღლა ავიდა ისეთივე ბინძური კიბით, როგორითაც ქვედა სართულში ჩადიოდა და რომლის შესახებაც ორივე ჯენტლმენმა ახლა მოათავეს საუბარი. მისტერ პიკვიკი და სემი ფეხდაფეხ მიჰყვნენ მოხელეს.

- აქ გახლავთ, - თქვა მისტერ როკერმა და შედგა, რომ ცოტა სული მოეთქვა. სამივენი ზედა სართულის დერეფანში გავიდნენ, რომელიც იმავე ზომისა იქნებოდა, როგორც ქვევით იყო, - ამ სართულზე სასადილო გახლავთ; ამის ზემოთ მესამე სართულია, მის ზემოთ კი უკანასკნელი... ღამეს უფროსის ოთახში გაათევთ. აქვეა, ამოდით.

ზემოხსენებული ცნობები მისტერ როკერმა სულმოუთქმელად წარმოთქვა, კიდევ ერთი კიბე აიარა და კვლავ ახალ კიბეს მიადგა.

ყველა ამ კიბეზე სინათლე სხვადასხვა ზომის ფანჯრიდან შემოდიოდა. ეს ფანჯრები მოთავსებული იყო დაბლა და გადიოდა

ქვიშით მოკირწყლულ ეზოში, რომელიც აგურის მაღალი კედლით იყო შემოვლებული. როგორც შემდგომ მისტერ როკერის ნათქვამიდან გამოირკვა, ეს ეზო ბურთის სათამაშო მოედანი იყო. იმავე ჯენტლმენის ნათქვამიდან გაიგეს, რომ ციხის იმ ნაწილში, რომელიც ფარიანგტონ-სტრიტზე გადიოდა, იყო კიდევ ერთი ეზო, უფრო პატარა. ამ ეზოს უწოდებდნენ „მოხატულ ეზოს“, რადგან მის კედლებზე ვიღაც პატიმარს დაეხატა აფრაგაშლილი გემები და კიდევ სხვა ამგვარი გამოსახულებები.

როდესაც მისტერ როკერმა პატიმარს მიაწოდა ესოდენ მნიშვნელოვანი ცნობები ციხის ღირსშესანიშნავი ადგილების შესახებ, უთუოდ უფრო იმ განზრახვით, რომ ცოდნით დამძიმებულს გული შეემსუბუქებინა და არა იმიტომ, რომ მისტერ პიკვიკი გაენათლებინა, მან დერეფნიდან პატარა ტალანში გადაუხვია და ვიწრო კარი შეაღო. გამოჩნდა ოთახი, შესახედავად არცთუ საამო, რომელშიც რვა თუ ცხრა რკინის საწოლი იდგა. მისტერ როკერი ღია კარში გაჩერდა.

- ეს ოთახია! - თქვა მან და თავმომწონედ გადახედა მისტერ პიკვიკს, - ეს ოთახი გახლავთ!

როდესაც მისტერ პიკვიკის სახეზე მოწონების ნატამალიც ვერ შენიშნა, თანაგრძნობისათვის ისევ სემ უელერს მოუბრუნდა, მაგრამ არც იმან გასცა ხმა.

- აგერ ეს ოთახია, ყმაწვილო, - გაუმეორა მისტერ როკერმა.

- ვხედავ, - მშვიდად მიუგო სემმა.

- არ მოელოდით განა ასეთ ოთახს ფარინგტონის ოტელში? - ჰკითხა მისტერ როკერმა და მოწყალედ გაუღიმა.

პასუხად მისტერ უელერმა ცალი თვალი მოხუჭა. თუ რას ნიშნავდა ეს ფანდი, დამკვირვებლის ფანტაზიამ შესაძლოა სხვადასხვანაირად ახსნას: დიახ ასეა, ან - არა, ასე არ არისო; მეც ასე მგონია, ან არ მგონია, ან კიდევ, სულაც არაფერი არა მგო-

ნიაო. ეს ფანდი რომ შეასრულა, მისტერ უელერმა კვლავ გაახილა თვალი და იკითხა: ნეტავ რომელია ის საწოლი, რომელზეც წეღან გვითხრეს, ძილისათვის საწოლი კი არა - სამოთხეაო.

- აგერ ისაა, - მიუგო მისტერ როკერმა და კუთხეში ერთ-ერთ ჩაჟანგებულ საწოლზე მიუთითა, - ეს ისეთი საწოლია, კაცს სულაც რომ არ ეძინებოდეს, შიგ ჩაწვება თუ არა, იმწამსვე დაეძინება.

- უთუოდ ასეა, - შენიშნა სემმა და უდიდესი ზიზღით გადახედა ავეჯის ზემოხსენებულ საგანს, - მე მგონი, რომ თვით ოპიუმიც კი ამასთან შედარებით ვერას გახდება.

- ოღონდაც, - კვერი დაუკრა მისტერ როკერმა.

- ვფიქრობ, - განაგრძო სემმა და ცალი თვალით პატრონს გადახედა. უნდოდა, ენახა იქნება ნანახმა და გაგონილმა ახლა მაინც შეაცვლევინოს გადაწყვეტილებაო, - ვფიქრობ, სხვა ბატონებიც, რომელთაც აქ სძინავთ, ჭეშმარიტი ჯენტლმენები გახლავთ?

- ეჭვი ნუ გეპარებათ, - მიუგო მისტერ როკერმა, - ერთ-ერთი მათგანი დღეში თორმეტ პინტა ლუდს დაცლის და ჭამის დროსაც თამბაქოს ეწევა.

- ეტყობა, რომ უმაღლესი ხარისხისა ყოფილა, - თქვა სემმა.

- დიახ, დიახ, უმაღლესი ხარისხისაა, - კვერი დაუკრა მისტერ როკერმა.

მაინც არ შედრკა მისტერ პიკვიკი. შეიხედა ოთახში თუ არა, უმალვე ღიმილით გამოუცხადა მისტერ როკერს, რომ ამ ღამეს უეჭველად ვსინჯავ მაგ ძილისმომგვრელი საწოლის მოქმედებასო; ამაზე მოხელემ თავაზიანად მიუგო, როცა მოისურვებდით, მაშინ შეგიძლიათ დაიძინოთ ყოველგვარი წინასწარი გაფრთხილებისა და სხვა ფორმალური წესების შესრულების გარეშეო.

მოხელე წავიდა და მისტერ პიკვიკი სემთან ერთად დერეფანში დარჩა.

ჩამობნელდა. აქ, სადაც დღისითაც ბნელოდა, რამდენიმე გაზის ნათურა აანთეს თითქოსდა იმის გასაგებად, რომ საღამო დადგა. რადგან ცხელოდა, დერეფნის ორთავ მხარეს მოთავსებული პაწია საკნების მცხოვრებთ კარი გამოეღოთ. გზადაგზა მისტერ პიკვიკი ცნობისმოყვარედ ათვალიერებდა ამ საკნებს. ერთ-ერთ მათგანში ოთხი თუ ხუთი ჯმუხი ყმაწვილი, რომელთაც ძლივს გაარჩევდით თამბაქოს ბოლში, ხმამაღლა იგინებოდა, ლუდს ტოლჩებით სვამდა და გაქონილი კარტის მთელი ოთხი დასტით ბანქოს თამაშობდა. გვერდით საკანში მისტერ პიკვიკმა მარტოხელა მდგმურს მოჰკრა თვალი, მოხუცს თავი ჩაერგო მაგიდაზე გაბნეულ ჭუჭყიან, დაფლეთილ ქაღალდებში, რომელნიც ჟამთა მსვლელობისაგან გაყვითლებულიყო და ნახევრად დამპალიყო. სანთელი ოდნავ ბჟუტავდა, კაცი კი გამალებით წერდა გრძელ საჩივარს, ვინ იცის, მეათედ, თუ მეასედ, ვიღაც ძალიან დიდსა და გავლენიან პირს, რომლის თვალი, სულერთია, ვერ დაინახავს სხვის უბედურებას და რომელსაც ვერაფერი მოულბობს გულს. მესამე საკანში ცოლ-ქმარი იჯდა ბავშვების მთელი ხროვით. ისინი ლოგინებს აწყობდნენ: ზოგს იატაკზე, ზოგს სკამზე, რომ ყველაზე პატარები მაინც დაეწვინათ. მეოთხე საკანში, მეხუთეში, მეექვსეში, მეშვიდეში ისევ ხმაური, ისევ ლუდი, თამბაქოს ბოლი და ბანქო.

დერეფნებშიც და, განსაკუთრებით, კიბეებზე ბევრი ადამიანი ირეოდა: ზოგი იმიტომ, რომ საკუთარ ოთახში მყუდროება ვერ ეპოვა სიცარიელის გამო და მარტოობას გაჰქცეოდა, ზოგს პირიქით, მჭიდროდ გაჭედილ ბინაში სული შეხუთოდა და გარეთ გამოსულიყო დასამშვიდებლად; უმრავლესობა კი იმიტომ, რომ მყუდროებასა და მოსვენებას ვერსად პოვებდა და აღარ იცოდა,

რა ექნა, რა ეკეთებინა. აქ ნახავდით საზოგადოების თითქმის ყველა ფენის წარმომადგენელს: ძველ ბამბაზიის ქურქში გახვეულ მუშას და გაკოტრებულ არისტოკრატს, აბრეშუმის ხალათში გახვეულს, რომელსაც კარგა ხანია სახელოები გასცვეთია. ნაირ-ნაირი ადამიანი იყო და მაინც სუყველა ერთმანეთს ჰგავდა: საოცრად მოდუნებული ტონუსი, ციხისათვის დამახასიათებელი ქედმაღლობა და თავხედური იერი, რომლის ზუსტად გადმოცემა სიტყვებით შეუძლებელია, მაგრამ უმალვე შენიშნავს ყველა, ვინც კი მოვალეთა ციხეს ინახულებს და მისტერ პიკვიკივით გულდასმითა და ინტერესით ჩაუკვირდება ადამიანთა პირველსავე ჯგუფს, რომელიც გზად შემოხვდება იქ.

- მიკვირს, სემ, - თქვა მისტერ პიკვიკმა და კიბის მოედნის მოაჯირს მიეყრდნო, - მიკვირს, სემ, მაგრამ ვალებისათვის ციხეში ჩასმა არა მგონია სასჯელი იყოს.

- არა გგონიათ? - შეეკითხა მისტერ უელერი.

- აბა, შეხედე, - მიუგო მისტერ პიკვიკმა, - ამ ვაჟბატონებს არ ეტყობათ, რომ აქ ყოფნა მაინცდამაინც აწუხებდეთ. სვამენ, თამბაქოს ეწევიან, ღრიალებენ, ბანქოს თამაშობენ.

- უბედურებაც ესაა, სერ, რომ არ აწუხებთ, - თქვა სემმა, - მათთვის ეს ჩვეული ამბავია. ყოველდღე უქმეა, ლუდი და კეგლი. ყველა ასე როდია; ზოგს ეს უსაქმური ცხოვრება გულს უწვრილებს, ლამის გააგიჟოს და ეს სწორედ ისინი გახლავთ, ვინც ვერც ლუდით გაიჟღინთება და ვერც კეგლის თამაშით შეიქცევს თავს. ასეთებს ციხეში რომ ჩაამწყვდევენ, გული უტყდებათ, საცოდავები საშინლად იტანჯებიან. რომ იცოდეთ, რა სიხარულით გადაიხდიდნენ ისინი ვალს, რომ შეეძლოთ!.. ახლავე აგიხსნით ყველაფერს, სერ. ვინც უსაქმობასაა მიჩვეული და სამიკიტნოებში დაეხეტება, იმისთანა კაცისათვის ეს მართლაც არაა სასჯელი. იმას კი, ვინც მუშაობს, როცა ამის საშუალება აქვს, ნამდვი-

ლად დიდ ზიანს აყენებს. „თანაბრად არ გამოდის“, იტყოდა ხოლმე მამაჩემი, როდესაც გროგს მოუმზადებდნენ, ნახევარს ნახევარზე. „თანაბრად არ გამოდის“, ამაშია საქმე.

- ვფიქრობ, მართალი ხართ, სემ, - დაყოვნებით მიუგო მისტერ პიკვიკმა, - მართალი ხართ, სემ.

- ამათ შორის შესაძლოა ისეთი პატიოსანი კაცი შეგვხვდეს, რომელიც ვერ შეეგუება ამ ყოფას, - დაფიქრებით განაგრძო მისტერ უელერმა, - მაგრამ ასეთები რაღაც არ მაგონდება, თუ იმ პატარა ყავისფერქურქიან კაცს არ ჩავთვლით, რომელიც პირისახეს არასოდეს იბანდა, მაგრამ ისიც შეეჩვია, ასე თუ ისე.

- ვინ არის ეგ კაცი? - ჰკითხა მისტერ პიკვიკმა.

- ეგ არავინ იცის, - მიუგო სემმა.

- რა ჩაიდინა?

- ისეთივე რამ, რაც თავის დროზე ბევრს ჩაუდენია, უფრო ცნობილსა და გავლენიან ხალხს, სერ, - მიუგო სემმა, - ხელგაშლილი ცხოვრება უყვარდა.

- ესე იგი, ფული გაფლანგა და ვალებში ჩავარდა, - თქვა მისტერ პიკვიკმა.

- დიახ, ასე დაემართა ზუსტად, სერ, - მიუგო სემმა, - შედეგიც ის გახლავთ, რომ აქ დაასახლეს. ვალი ბევრი როდი ჰქონდა, სულ ცხრა გირვანქა თუ იქნებოდა, მაგრამ მაგ თანხის დასაფარავად სასამართლო ხარჯები ხუთჯერ მეტი გამოვიდა. ასე იყო თუ ისე, უკვე ჩვიდმეტი წელია, რაც აქ ზის. სახეზე თუ ნაოჭები გაუჩნდა კიდეც, მაინც არ გამოჩნდება, იმდენი ჭუჭყი ადევს ზედ. ეგ ჭუჭყიანი სახეცა და ყავისფერი ქურქიც იგივე დარჩა, რაც ამ ჩვიდმეტი წლის წინათ ჰქონდა. უწყინარი, მშვიდი არსებაა. უწინ მუდამ ვიღაცაზე ზრუნავდა, ვიღაცასთვის შესტკიოდა გული; ბურთს თუ თამაშობდა, არასოდეს იგებდა. მუდამ ყველას უთმობდა. მეციხოვნეებსაც კი შეუყვარდათ. ყოველ საღამოს მათ

ოთახში შემოდიოდა, ელაზღანდარებოდა, უყვებოდა ათას რამეს. ერთ საღამოს, ჩვეულებისამებრ, ესტუმრა. იჯდა ერთ-ერთ მეციხოვნესთან, თავის ძველ მეგობართან, რომელიც იმ დროს მორიგე იყო. უეცრად ეუბნება: ბილ, აგერ ჩვიდმეტი წელი იქნება და ერთხელაც არ ვყოფილვარ ბაზრობაზე, ამ კედლებს გადაღმა რომაა გამართული (ადრე იქ, მართლაც, ფლიტის ბაზარი გახლდათ).

- ვიცი, განა არ ვიცი, რომ არ ყოფილხარ, - უპასუხებს მეციხოვნე და თან ჩიბუხს აბოლებს.

- ნეტავ, ერთი თვალი გადამავლებინა, ბილ, - ამბობს ის კაცი.

- შესაძლოა, ასეც იყოს, - კვერს უკრავს მეციხოვნე და კვლავ ჩიბუხს აბოლებს. თავი ისე დაიჭირა, ვითომც ვერ მიუხვდა, თუ რის თქმა სურდა პატარა კაცს.

- ბილ, - ამბობს პატარა კაცი და ღელვისგან კანკალებს, - თავში ერთი აზრი მიტრიალებს. მომეცით ნება, ვიდრე მოვკვდებოდე, ერთხელ კიდევ შევხედო ქუჩებს და თუ სიხარულით დამბლა არ დამეცემა, ხუთ წუთში აქ გავჩნდები. გინდათ, საათი დანიშნეთ!

- კი, მაგრამ, აბა, იფიქრეთ, მე რაღა დამემართება შენ რომ იქ დამბლა დაგეცეს? - ეკითხება მეციხოვნე. „ნუ გეშინიათ, ბილ, - ამბობს პატარა არსება, - თუ რამე დამემართა, უმალ სახლში მომიყვანენ. ჩემი სადარბაზო ბარათი ხომ ჯიბეში მაქვს, „#20, სასადილოს სართული“. მართლაც, ეს იყო მისი სადარბაზო ბარათი. გაიცნობდა თუ არა ვინმეს, უმალვე პაწია უბის წიგნაკიდან ამოიღებდა ფურცელს, რომელზედაც ეგ სიტყვები ეწერა „#20 სასადილოს სართული“. ამიტომ ყველა ასე ეძახდა - „#20“. მეციხოვნე ერთხანს ჩააშტერდა, მერე დინჯად ეუბნება: „#20, - ამბობს იგი, - მე გენდობი. შენ ხომ ჩემი ძველი მეგობარი ხარ, მჯერა, რომ გასაჭირში არ ჩამაგდებ“.

- არა, ჩემო მეგობარო. მერწმუნე, რომ აქ, ამ საფრის ქვეშ, ნამდვილად უკეთესი რამ მაქვს, - ამბობს პატარა კაცი და რაც შეიძლება მაგრად ირტყამს ხელს გულში. ორთავ თვალში ცრემლი უდგას. ეს კი მართლაც საოცარი რამ მოხდა, რადგან ყველას ეგონა, რომ წყალი არასოდეს შეხებია მის სახეს. კაცმა ხელი ჩამოართვა მეციხოვნეს და წავიდა.

- აღარც დაბრუნდა, - სიტყვა ჩაურთო მისტერ პიკვიკმა.

- სცდებით, სერ, - მიუგო მისტერ უელერმა, - დანიშნულ დრომდე დაბრუნდა, ორი წუთით ადრე. დაბრუნდა საშინლად განრისხებული. ლამის ბრაზმა დაახრჩო. მოუყვა მეციხოვნეს, კინაღამ ეტლმა გამჭყლიტაო, ეს რა ეშმაკია, მაგისთანას არ ვარ მიჩვეული და ნახე, ქალაქისთავს საჩივარი თუ არ მივწეროო. ძლივს დაამშვიდეს. მას აქეთ ხუთი წელია, ალაყაფის კარს იქით ცხვირი არ გაუყვია.

- ამ ხნის განმავლობაში ალბათ გარდაიცვალა კიდეც, არა? - იკითხა მისტერ პიკვიკმა.

- არა, არ მომკვდარა, სერ, - მიუგო სემმა, - ერთხელ კიდევ აიხირა. იქვე, ქუჩაზე, ახალი სამიკიტნო გახსნეს და იქ ლუდის დასალევად გავიდა. იმ სამიკიტნოში მყუდრო ადგილი მონახა და ყოველ საღამოს იქ ატარებდა. დიდხანს გაგრძელდა ასე. მუდამ დროზე კი ბრუნდებოდა, თხუთმეტი წუთით ადრე, ვიდრე ალაყაფის კარს დაკეტავდნენ. ჩინებულად მოეწყო ყველაფერი, მაგრამ ბოლოს ძალიან აიშვა თავი. დაბრუნების დრო დაავიწყდა, ან იქნებ არც გახსენებია, მოდიოდა ციხეში სულ უფრო და უფრო გვიან. ერთ საღამოს, ის იყო მისი ძველი მეგობარი ალაყაფის კარს კეტავდა, გასაღებიც კი მოატრიალა, რომ უეცრად კარს პატარა კაცი მოადგა. მოიცა, ბილ, - ეუბნება მეგობარს.

- როგორ, #20, ასე გვიან რატომ მოდიხარ? - ამბობს მეციხოვნე, - მე მეგონა, დიდი ხანია სახლში ხარ.

- არა, ჯერ არა, - ღიმილით უპასუხა პატარა კაცმა.

- აბა, ჩემო მეგობარო, იცი, რას გეტყვი, - ამბობს მეციხოვნე და კარს ნელა აღებს, - მგონი, შენ ამ ბოლო დროს ცუდ ხალხში გაერიე და ძალიან მწყინს. არ მინდა გაწყენინო, მაგრამ თუ არ შეგიძლია, წესიერ ხალხთან იმეგობრო და სახლშიც დროზე მოხვიდე, მაშინ სულაც აღარ შემოგიშვებ აქ. დამიჯერე, ეს ისეთივე ჭეშმარიტებაა, როგორიც ის, რომ მანდ დგახარ ახლა. პატარა კაცი აცახცახდა, უბრად შევიდა კარში და მას აქეთ ფეხი არ გამოუდგამს ციხის გარეთ.

როდესაც სემმა ამბის მოყოლა მოათავა, მისტერ პიკვიკი ნელი ნაბიჯით კიბეზე ჩავიდა და „მოხატულ ეზოში“ გაიარ--გამოიარა. ფიქრებში ღრმად გახვეული ერთხანს უბრად იყო, მერე მისტერ უელერს მიუბრუნდა და უთხრა: კარგა ხანია, შენი წასვლის დრო დადგაო. თანაც სთხოვა, რომ ღამე მახლობელ სამიკიტნოში გაეთია და დილით ადრიანად მისულიყო, რომ მოლაპარაკებულიყვნენ ბარგის შესახებ, რომელიც სასტუმრო „ჯორჯი და ფასკუნჯიდან“ უნდა გამოეტანათ.

რა თქმა უნდა, რომ ბატონის ბრძანებას მისტერ უელერი თავაზიანად დაემორჩილა, თუმცა, ეტყობა, გულში სხვა რამ ჰქონდა. იგი შეეცადა კიდეც და ფრთხილად, გადაკვრით შეჰბედა ბატონს: ურიგო არ იქნება, კაცმა აქვე გაათიოს ღამე, ამ ქვიშაზეო; მაგრამ შენიშნა, რომ მისტერ პიკვიკმა მის სურვილს ყური არ ათხოვა და ისევ წასვლა არჩია.

უნდა გამოგიტყდეთ, მკითხველო, რომ იმ საღამოს მისტერ პიკვიკი ცუდ ხასიათზე გახლდათ. სევდიანი და დაღვრემილი იყო, მაგრამ იმიტომ კი არა, რომ მარტო დარჩა; ციხე ხალხით იყო გაჭედილი და ერთი ბოთლი ღვინო, გაცნობის ყოველგვარი ცერემონიის გარეშე, ხელად მოუპოვებდა მეგობრებს რჩეულთა შორის. იგი, მართლაც, მარტო გრძნობდა თავს ამ უხეშ ბრბოში.

გულზე დარდი შემოაწვა, როდესაც გაახსენდა, რომ ისიც პირუტყვივით გალიაში დაამწყვდიეს და გათავისუფლების ნიშანწყალიც არსად ჩანდა. მმიუხედავად ამისა, ერთხელაც გულში არ გაუვლია, რომ დოდსონისა და ფოგის ოინებს აჰყოლოდა და სხვადასხვა მანქანით მოწყობილ ბრძანებას დამორჩილებოდა.

ასე უგუნებოდ გახლდათ იგი, როდესაც სასადილოს სართულის დერეფანში დაბრუნდა და იქ გაიარ-გამოიარა. დერეფანი აუტანლად ჭუჭყიანი იყო. თამბაქოს ბოლს ლამის დაეხრჩო კაცი; წამდაუწუმ მოისმოდა საკანთა კარის ჯახუნი (მობინადრენი შედიოდნენ და გამოდიოდნენ), ფეხების ფრატუნი, მოჩხუბართა ყაყანი.

ვიღაც ყმაწვილი ქალი პატარა ბავშვით ხელში ძლივს მილასლასებდა დერეფანში, რომელიც სიღატაკითა და შიმშილით დაუძლურებულა. თან ქმარს ესაუბრებოდა, რომელსაც ცოლის მისაღებად ციხის გარდა სხვა ადგილი არ გააჩნდა. მისტერ პიკვიკს რომ ჩაუარეს, მან შეამჩნია, რომ ქალი ტიროდა. ერთხელ კი საუბრისას ისე გამწარდა, კედელს რომ არ მიჰყუდებოდა, უთუოდ წაიქცეოდა. ქმარმა ბავშვი ჩამოართვა; საწყალი ცდილობდა, დაემშვიდებინა სასოწარკვეთილი ქალი.

ამის დანახვაზე მისტერ პიკვიკს გული ისე დაუმძიმდა, რომ ვეღარ გაუძლო და ისევ მაღლა ავიდა დასაძინებლად.

მეციხოვნეთა უფროსის ოთახი არც ავეჯით იყო მდიდარი და არც კეთილმოწყობილი (ამ მხრივ იგი ბევრად უარესი იყო, ვიდრე საავადმყოფოს რიგითი პალატა პროვინციულ ციხეში), მაგრამ ერთი დიდი უპირატესობა ჰქონდა. ამჟამად შინ არავინ იყო. მისტერ პიკვიკი რკინის საწოლზე ჩამოჯდა და ფიქრებში გაეხვია. ნნეტავ, უფროსი რამდენ ფულს გააკეთებს წლის განმავლობაში ასე თუ გააქირავა ეს ბინძური ოთახი? მან მათემატიკური სიზუსტით გამოიანგარიშა, რომ ამ ბინას დაახლოებით ისე-

თივე წლიური შემოსავალი ჰქონდა, როგორიც ერთ-ერთ პატარა ქუჩას ლონდონის გარეუბანში. მერე ბუზს დააკვირდა, რომელიც მის შარვალზე მიცოცავდა. ნნეტავ, ეს უსუფთაო ბუზი რაღამ შემოიტყუა ამ სულისშემხუთველ საპყრობილეში, როდესაც მას საშუალება აქვს, ფართო და სასიამოვნო შენობაში ინავარდოსო, - იფიქრა, იფიქრა და ბოლოს დაასკვნა, რომ უთუოდ მწერი ჭკუაზე შეირყაო. როდესაც ეს მნიშვნელოვანი საკითხიც გადაწყვიტა, იგრძნო, რომ ძილი მოერია. უმალვე ჯიბიდან ამოიღო ღამის არახჩინი, რომელიც წინდახედულად დილით ჩაედო შიგ, ნელ-ნელა გაიხადა, ლოგინში ჩაწვა და დაიძინა.

- ბრავო! ეგრე, ყირამალა დააყენე... დასჭერ და გაცურდი, სამაგიერო გადაუხადე, ზეფირ! ეშმაკმა დამწყევლოს, თუ ვტყუოდე! მოცეკვავედ ხარ გაჩენილი, ჩემმა მზემ! აბა, მიდი! ვაშა, ვაშა! - ასეთი ხმამაღალი წამოძახილები და თან ყურთასმენისწამღები ხარხარი ჩაესმა ძილში მისტერ პიკვიკს, რომელიც ნახევარი საათის ჩაძინებული თუ იქნებოდა, მაგრამ, მოგეხსენებათ, მძინარე კაცს მუდამ ჰგონია, სამი კვირა, ან ერთი თვე მაინც მეძინაო.

მოლაპარაკე გაჩუმდა თუ არა, ოთახში ისეთი ზანზარი ატყდა, რომ ფანჯრის მინები და რკინის საწოლები აჩხარუნდა. მისტერ პიკვიკი ლოგინში წამოჯდა და რამდენიმე წუთის განმავლობაში გაოგნებული შეჰყურებდა სანახაობას, რომელიც თვალწინ გადაეშალა.

ოთახის შუაგულში ვიღაც მამაკაცი, მწვანე, ფართოკალთებიან სერთუკსა, ზოლიან შარვალსა და ნაცრისფერ წინდებში გამოწყობილი, მეზღვაურთა პოპულარულ ცეკვას ასრულებდა; მასხარასავით იგრიხებოდა და იმანჭებოდა, რაც მის ჩაცმულობას სრულიად არ ეგუებოდა და უცნაურ შთაბეჭდილებას ტოვებდა მაყურებელზე. მეორე კაცი, რომელიც ამხანაგებს ლოგინში

ჩაეწვინათ, რადგან ძალზე მთვრალი იყო, ახლა საბანმოხურული წამომჯდარიყო და გრძნობით მღეროდა რომელიღაც კომიკური სიმღერის სტროფებს. მესამე ერთ-ერთ საწოლზე ჩამომჯდარიყო, ორივეს ტაშს უკრავდა და აქეზებდა იმ მხურვალე შეძახილებით, რომელმაც მისტერ პიკვიკი გამოაღვიძა.

ეს მამაკაცი გახლდათ ჩინებული ნიმუში ადამიანთა იმ ჯიშისა, რომელიც მთელ ბრწყინვალებას მხოლოდ ასეთ ადგილებში თუ გამოიჩენს. ისიც შესაძლოა, რომ ასეთებს ხანდახან საჯინიბოს ან სამიკიტნოს მახლობლად გადაეყაროთ, მაგრამ იქ როდი არიან ისინი ასე ბრწყინვალენი. ადამიანთა ეს სახეობა იფურჩქნება და ყვავის მხოლოდ ისეთ სათბურებში, რომელნიც თითქოს თვით კანონიერი მმართველობის მზრუნველ ხელს დაუწესებია ერთადერთი მიზნით, ასეთი ნერგი აშენოს და ამრავლოს.

ეს იყო მაღალი კაცი. მიწისფერ სახეს უმშვენებდა შავი თმა და ხშირი ქილვაში, რომელიც ნიკაპქვეშ ერთდებოდა. მამაკაცი ჰალსტუხს არ ატარებდა, რადგან მთელი დღე ბურთს თამაშობდა. თავზე იაფფასიანი ფრანგული ქუდი წამოედო წითელი ფუნჯით გაწყობილი, რაც კარგად ეხამებოდა მის სადა ბამბაზიის ქურქს; გრძელსა და წვრილ ფეხებზე მარილნარევი წიწაკისფერი შარვალი ეცვა, ისე ვიწროდ შეკერილი, რომ ნათლად ჩანდა დასახელებული კიდურების ჰარმონიულობა; შარვალი საბეჭურებით არ ჰქონდა დამაგრებული და ღილებზედაც აქა-იქ შეკრული, ჩასჩაჩოდა და უშნო ნაკეცებად გადმოშვებოდა ფეხსაცმელებზე, რომლის მოთელილ ქუსლებს ზემოდ თეთრი, ჭუჭყიანი წინდები მოუჩანდა. მთელ მის არსებას, თავით ფეხამდე საოცრად თავხედური იერი დაჰკრავდა, რომელიც უნდა ითქვას, ხშირად ოქროს ფასად ღირს ამ ჩვენს დალოცვილ დედამიწაზე.

ამ კაცმა პირველმა შეამჩნია, რომ მისტერ პიკვიკს გამოეღვიძა. უმალვე თვალი ჩაუკრა ზეფირს და სერიოზული კილოთი,

რომელშიც დაცინვა იგრძნობოდა, შეევედრა: ჩუმად, ჯენტლმენი არ გააღვიძოო.

ზეფირი შემოტრიალდა, ვითომ ახლა შენიშნა, რომ ჯენტლმენს გაღვიძებოდა.

- ღმერთმა დალოცოს ჯენტლმენის პატიოსანი სული და გული! - წამოიძახა ზეფირმა გაოცებით, - შეხედეთ, ჯენტლმენს არცა სძინავს. ჰმ, შექსპირი!.. როგორა ბრძანდებით, სერ? მერი და სარა როგორ არიან, სერ? მოხუცი ლედი როგორღა ბრძანდება, სერ? გახსოვთ, იმ სახლში? გემუდარებით, პირველსავე ამანათს რომ გაუგზავნით, ჩემგან დიდი მოკითხვა მისწერეთ და ისიც მოახსენეთ, რომ მოკითხვებს უფრო ადრეც გავუგზავნიდი, მაგრამ მეშინოდა, გზაში არსად დამტვრეულიყო, სერ.

- კმარა, თავი ნუ მოაბეზრეთ ჯენტლმენს თქვენი უშნო თავაზიანობით. ვერა ხედავთ, კვდება, ისე უნდა დალევა, - ეშმაკური ღიმილით თქვა ქილვაშიანმა მამაკაცმა, - რატომ იმას არ ეკითხებით, რას მიირთმევ-თქო?

- ღმერთო დიდებულო, ეგ როგორ დამავიწყდა, - მიუგო მეორემ, - რას ინებებთ, სერ? პორტვეინს მიირთმევთ თუ ხერესს, სერ? მე მგონი, ელი სჯობს ყველას. სერ... მაგრამ იქნებ პორტვეინი გნებავთ გასინჯოთ, სერ? მომანიჭეთ ბედნიერება, ეგ თქვენი არახჩინი ჩამოგართვათ, სერ.

ამ სიტყვებით მოლაპარაკემ გაოგნებულ პიკვიკს მოაძრო ჩაცმულობის ზემოაღნიშნული საგანი და იმწამსვე ჩამოაცვა თავზე მთვრალ ამხანაგს. ის კი, ღრმად დარწმუნებული იმაში, რომ სიმღერით მრავალრიცხოვან მსმენელს ატკბობს, კვლავ ამღერებდა სახუმარო სტროფებს მეტად სევდიან ჰანგზე.

როდესაც კაცს ძალით ააცლიან არახჩინს თავიდან და ჩამოაცვამენ სრულიად უცნობ ჯენტლმენს, რომელიც გარეგნულად საკმაოდ უსუფთაო ჩანს, რაც უნდა გონებამახვილური იყოს ეს

საქციელი, ადამიანის ენაზე მას აბუჩად აგდება ეწოდება. მისტერ პიკვიკმაც მხოლოდ ამგვარად გაიგო ზეფირის თავდასხმა და ამიტომ, ყოველგვარი წინასწარი გაფრთხილების გარეშე, უეცრად საწოლიდან ისკუპა და თავდამსხმელს ისე მაგრად უთაქა მკერდში მუშტი, რომ მის სუნთქვას სწორედ ის ჰაეროვნება და სიმსუბუქე გაუქრო, რომელსაც ჩვეულებრივ ზეფირის სახელს უკავშირებენ ხოლმე. მერე კვლავ ჩაიგდო ხელში თავისი არახჩინი და მამაცური იერით თავდაცვითი პოზიცია დაიკავა, თუმცა აღელვებისა და ენერგიის დახარჯვისაგან სულს ძლივს ითქვამდა.

- აბა, - დაიძახა მან, - გამოდით! ორივე, ორივე გამოდით!

ამ ზრდილობიანი მიწვევის შემდეგ, ღირსეულმა ჯენტლმენმა მუშტები წრიულად დაატრიალა, რომ ამჯერად წმინდა მეცნიერული ხერხებით დაეცა თავზარი მოწინააღმდეგეთათვის.

ვერ გეტყვით, რამ უფრო გაჭრა, მისტერ პიკვიკის მამაცობამ თუ იმ რთულმა მანევრმა, რომელიც მან შეასრულა, როდესაც მოულოდნელად ლოგინიდან წამოხტა და ეცა კაცს, რომელიც მეზღვაურთა ცეკვას ასრულებდა, მაგრამ ერთი რამ უდავოა, მან მართლაც დიდი შთაბეჭდილება მოახდინა, რადგან იმის ნაცვლად, რომ მისი მოწინააღმდეგეები საპასუხოდ თავს დასხმოდნენ და თვალის დახამხამებაში გაენადგურებინათ იგი (რაშიც მისტერ პიკვიკს ეჭვი არ ეპარებოდა), ყველა გაოცდა და გაირინდა. ერთხანს ერთმანეთს შეჰყურებდნენ გაოგნებული, მერე კი გულიანად გადაიხარხარეს.

- დახეთ, რა ყოჩაღი ყოფილა! ახლა კი ნამდვილად მომწონხართ! - წამოიძახა ზეფირმა. - თუ ღმერთი გწამთ, ისევ ლოგინში ჩახტით, თორემ ასე ქარები გაგიდგებათ. იმედია, აღარ გვიწყრებით? - დაუმატა მან ტკბილად და მოწინააღმდეგეს ჩაყვითლებული ხელი გაუწოდა.

- არა, რა თქმა უნდა, - მკვირცხლად მიუგო მისტერ პიკვიკმა. მასაც უკვე გაუარა აღგზნებამ და ახლა სიცივისაგან ფეხები უბ-ჟუოდა.

- მეც მეცით პატივი, - თქვა ქილვაშიანმა ჯენტლმენმა უხეში კილოთი და მისტერ პიკვიკს მარჯვენა ხელი გაუწოდა.

- დიდი სიამოვნებით, სერ, - წარმოთქვა მისტერ პიკვიკმა, დიდის ამბით ჩამოართვა ხელი და, გათავისუფლდა თუ არა, უმალვე ლოგინში შეძვრა.

- გვარად სმაგლი გახლავართ, სერ, - თქვა ქილვაშიანმა კაც-მა.

- ო! - ხმა გასცა მისტერ პიკვიკმა.

- მე კი მაივინზი გახლავართ, - განაცხადა თეთრწინდებიანმა.

- ფრიად მოხარული ვარ, სერ, - მიუგო მისტერ პიკვიკმა.

- ჰმ! - ჩაახველა მისტერ სმაგლმა.

- რა ბრძანეთ? - ჰკითხა მისტერ პიკვიკმა.

- არაფერი, სერ, - უპასუხა მისტერ სმაგლმა.

ზემოხსენებული საუბარი ზედმიწევნით თავაზიანად ჩატარდა. მისტერ სმაგლმა კიდეც მრავალჯერ განუცხადა მისტერ პიკვიკს, რომ დიდად პატივსა ვცემ თქვენს კეთილშობილ გრძნობებსო. ეს განცხადება აშკარად მის სასარგებლოდ ლაპარაკობდა, რადგან ერთი შეხედვით ვერც იფიქრებდით, რომ მას ამგვარი გრძნობების გაგება შეეძლო.

- კანონი იგემეთ, სერ? - დაინტერესდა მისტერ სმაგლი.

- როგორ? - შეეკითხა მისტერ პიკვიკი.

- კანონი. პორტუგელ-სტრიტზე რომაა. სასამართლო, რომე-ლიც ათავისუფლებს, მიმიხვდით უთუოდ.

- ვერა, - მიუგო მისტერ პიკვიკმა.

- იმედი გაქვთ, რომ აქედან მალე დააღწევთ თავს? - შეეკით-ხა მაივინზი.

- არა მგონია, - მიუგო მისტერ პიკვიკმა, - მე უარი განვაცხადე ხარჯების ანაზღაურებაზე, რის გამოც აქ მოვხვდი.

- მე კი ქაღალდმა დამღუპა, - აღნიშნა მისტერ სმაგლმა.

- საკანცელარიო ნივთებით ვაჭრობთ, სერ? - გულუბრყვილოდ შეეკითხა მისტერ პიკვიკი.

- საკანცელარო ნივთებით? არა, დასწყევლოს ეშმაკმა! ასეთი გლახა კი ნუ გგონივართ. არავითარი ვაჭრობა! ქაღალდი რომ ვახსენე, მე ხელწერილებს ვგულისხმობდი.

- ო, ამ სიტყვას თქვენ ასეთი მნიშვნელობით ხმარობთ? ახლა მესმის, - მიუგო მისტერ პიკვიკმა.

- ეშმაკმა დასწყევლოს! ჭეშმარიტი ჯენტლმენი მუდამ მზად უნდა იყოს ვაჟკაცურად შეხვდეს ბედის უკუღმართობას, - აღნიშნა სმაგლმა, - რა მოხდა? ვზივარ აქ, ფლიტის საპყრობილეში. ჩინებულია. რა ვუყოთ მერე? დამაკლდა რამე თუ?

- არაფერი, - თქვა მისტერ მაივინზმა.

მართალიც იყო. მისტერ სმაგლს არაფერი დაჰკლებია. პირიქით, აქ თითქოს უკეთესადაც გრძნობდა თავს. იმისათვის, რომ ციხეში მოხვედრილიყო, მან რამდენიმე ძვირფასი სამკაული შეიძინა, რომელიც დიდი ხანია პატრონებს მევახშესთან დაეგირავებინათ. რა თქმა უნდა, შეიძინა ისე, რომ ფულადი ხარჯი არ გაუღია.

- მისმინეთ, ბატონებო, - თქვა მისტერ სმაგლმა, - ყელი მიშრება. მოდით, ცხელ-ცხელი ხერესით გავისველოთ პირი. იხდის ახალმოსული, მოიტანს მაივინზი, მე კი სმაში დავეხმარები. ვფიქრობ, შრომის განაწილება სამართლიანია, სწორედ ისეთი, როგორიც ჭეშმარიტ ჯენტლმენს შეეფერება. ეშმაკმა დასწყევლოს, ხმა ამოიღეთ, ასეა თუ არა?

მისტერ პიკვიკს აღარ სურდა კვლავ ჩხუბი ამტყდარიყო. ამიტომ სიამოვნებით დათანხმდა წინადადებაზე. დაუყოვნებლივ

მისცა ფული მისტერ მაივინზს, რომელიც იმწამსვე გაემართა სასადილოში დავალების შესასრულებლად.

- ყური მიგდეთ, - ჩასჩურჩულა სმაგლმა მისტერ პიკვიკს, როგორც კი მისი მეგობარი ოთახიდან გავიდა, - რამდენი მიეცით?

- ნახევარი სოვერენი, - მიუგო მისტერ პიკვიკმა.

- ჩინებული კაცია ყველაფრით, - უთხრა მისტერ სმაგლმა, - რა მეთქმის, დიდად სასიამოვნო და თავაზიანი. ასეთი კეთილი სხვა არც კი მეგულება, მაგრამ...

ამ მისტერ სმაგლს ენა დაება და სიტყვის ნაცვლად, ეჭვით გაიქნია თავი.

- უთუოდ იმის თქმა თუ გსურს, რომ შესაძლოა, მან მიითვისოს ფული? - ჰკითხა მისტერ პიკვიკმა.

- ო, არა! მე ხომ ეგ არ მითქვამს, არ დაგავიწყდეთ, კიდევ ვიმეორებ, მე ეგ არ მითქვამს, - ხაზგასმით აღნიშნა მისტერ სმაგლმა, - მაგრამ ურიგო არ იქნებოდა, ახლა ვინმეს რომ ჩაერბინა ქვემოთ და ენახა, თავისი ნისკარტი ტოლჩაში ხომ არ ჩაყო, ან იქნებ შემთხვევით სადღაც მიკარგა ფული. ეი, თქვენ, სერ! ერთი ძირს ჩაირბინეთ და იმ ჯენტლმენს მიხედეთ, გესმით?

ამ თხოვნით სმაგლმა მორცხვ, ნერვიულ კაცუნას მიმართა. სიღატაკის და დაბეჩავებულობის დაღი აჩნდა მთელ მის გარეგნობას. საწოლზე მუდამ მოკუნტული იჯდა, ეტყობა ჯერაც ვერ შესჩვეოდა ახალ მდგომარეობას.

- ხომ იცით სადაცაა სასადილო, - უთხრა სმაგლმა, - ქვევით ჩაირბინეთ და იმ ჯენტლმენს უთხარით, იმისათვის მოვედი, რომ ტოლჩის წამოღებაში მოგეხმარო-თქო. არა, მოიცათ. აი, რას გეტყვით... ახლავე მოვიფიქრებ როგორ მოვატყუოთ, - დაუმატა სმაგლმა ეშმაკური ღიმილით.

- ნეტავ როგორ? - დაინტერესდა მისტერ პიკვიკი.

- ასე უთხარით, რომ რაც ხურდა დარჩება, სიგარები იყიდოს, დიდებული აზრია, ჩემმა მზემ! ჩაირბინეთ და ასე მოახსენეთ, გესმით? მაშინ ფული ნაღდად არ დაგეკარგებათ, სერ, - მიმართა სმაგლმა მისტერ პიკვიკს, - სიგარებს მე თვითონ მოვწევ.

ეს მანევრი ზედმიწევნით ჭკუამახვილური იყო და თანაც მთქმელმა ისე მშვენივრად შეასრულა, რომ მისტერ პიკვიკს უარის თქმა არც მოსურვებია, თანხმობა მის ნებაზე რომ ყოფილიყო დამოკიდებული.

მალე მისტერ მაივინზი დაბრუნდა. მოიტანა ტოლჩით ხერესი, რომელიც მისტერ სმაგლმა ორ პატარა, გაბზარულ ფიალაში დაასხა, თანაც წინასწარ აღნიშნა, რომ ჭეშმარიტი ჯენტლმენი (მხედველობაში თავისი თავი ჰყავდა) ასეთ შემთხვევაში არამც და არამც ძუნწი არ უნდა იყოს და არც დამცირდება მისი ღირსება, თუ თვითონ პირდაპირ ტოლჩიდან შესვამს სადღეგრძელოსო. ეჭვი რომ არ შეჰპაროდათ მის გულწრფელ სიტყვებში, მან უმალვე ნახევარი ტოლჩა სულმოუთქმელად გამოცალა და მთელი საკრებულო ერთად ადღეგრძელა.

როდესაც ამნაირად დამსწრეთა შორის სრული ურთიერთგაგება დამყარდა, მისტერ სმაგლი მსმენელთა გასართობად შეუდგა ნაირ-ნაირი რომანტიკული ამბის მოყოლას, რომელიც მას პირადად გადახდენია. თხრობისას შიგადაშიგ საინტერესო ანეკდოტებიც ჩაურთო წმინდასისხლიანი ცხენისა და მშვენიერი ებრაელი ქალის შესახებ; ორთავე, როგორც თვითონ ბრძანა, აღუწერელი სილამაზის გახლდნენ და ორივე გაერთიანებული სამეფოს მრავალი არისტოკრატისა და ბურჟუის ოცნების საგანს შეადგენდა.

დიდი ხნით ადრე, ვიდრე ზემოხსენებული ჯენტლმენი თავისი თავგადასავლის მოყოლას მოათავებდა, მისტერ მაივინზმა თავაზიანად მიანდო მორცხვ ჯენტლმენსა და მისტერ პიკვიკს, ბო-

ლომდე მოესმინათ მისტერ სმაგლის მდიდარი გამოცდილების შედეგი, თვითონ კი ლოგინში ჩაწვა და ხვრინვა ამოუშვა.

უნდა გამოგიტყდეთ, რომ ორმა ხსენებულმა ჯენტლმენმა როდი ისარგებლეს ამ საუცხოო შემთხვევით. კარგა ხანია უკვე, რაც მისტერ პიკვიკი ძილს ებრძოდა. უეცრად მოეჩვენა, რომ მთვრალმა ჯენტლმენმა კვლავ სახუმარო კუპლეტები შემოსძახა, რაზედაც მისტერ სმაგლმა წყლით სავსე დოქით ხელში მრისხანედ ანიშნა, დამსწრეთ სულაც არ სურთ ამ მუსიკის მოსმენაო. მისტერ პიკვიკმა ცდუნებას ვეღარ გაუძლო და კვლავ ჩასთვლიმა. ძილბურანში გახვეული გრძნობდა, რომ მისტერ სმაგლი კვლავ ჰყვებოდა ამბავს, რომლის არსი მდგომარეობდა იმაში, რომ იგი დაწვრილებით უხსნიდა მსმენელთ, თუ როგორ მოახერხა ერთდროულად ყალბი თამასუქი შეედგინა და ჯენტლმენი გაეცურებინა.

თავი XLII

რომელიც წინა თავისდაგვარად გვიჩვენებს, რომ ჭირში კაცი უცნაურ მეგობრებს გადაეყრება; აქვეა მოყვანილი ის ფრიად საოცარი განცხადება, რომელიც მისტერ პიკვიკმა მისტერ სემუელ უელერს მოახსენა

მეორე დილას, როდესაც მისტერ პიკვიკმა თვალი გაახილა, პირველივე საგანი, რაც თვალში მოხვდა, სემუელ უელერი გახლდათ. დაღონებული მსახური პატარა, შავ ჩემოდანზე ჩამომჯდარიყო და ახოვან სმაგლს მისჩერებოდა. სმაგლიც, რომელიც თავის საწოლზე იჯდა, ნახევრად ჩაცმული, ცდილობდა თვალით გაეხვრიტა მისტერ უელერი, რომ შეეცბუნებინა და შეეკრთო იგი. მაგრამ ამაოდ. ვამბობთ ამაოდ, რადგან სემმა, რომ იტყვიან, ერთი შეხედვით აათვალიერა თუ არა ახოვანი ჯენტლმენის ქუდი, ფეხსაცმელი, დიდი თავი და ხშირი ქილვაში, კვლავ უდიდესი სიამოვნებით მიაჩერდა სახეში. სემმა არაფრად ჩააგდო თვით მისტერ სმაგლის გრძნობები. ისე გულგრილად უცქეროდა, თითქოს მის წინ ხის ქანდაკება ან ბზით გატენილი გაი ფოქსის ფიტული ყოფილიყოს.

- რას მომაჩერდით? მიცანით თუ? - ჰკითხა მისტერ სმაგლმა და კოპები შეიკრა.

- თუ გნებავთ დავიფიცებ, სერ, - მხიარულად მიუგო სემმა.

- ასე უზრდელად რატომ ექცევით ჯენტლმენს, სერ? - უთხრა მისტერ სმაგლმა.

- როგორ გეკადრებათ, სერ, - მიუგო სემმა, - თუკი მომახსენებთ, როდის გაიღვიძებს, გუგულივით ვიჯდები.

ამ შენიშვნამ, რომელშიც სემმა მოსაუბრეს გადაჰკრა, ჯენტლმენად თავი ნუ მოგაქვს, ვიცი, რაცა ხარო, კიდევ უფრო გააცხარა მისტერ სმაგლი.

- მაივინზ! - დაიღრიალა მან.

- მზად ვარ, გემსახუროთ! - მიუგო ხსენებულმა ჯენტლმენმა თავისი ლოგინიდან.

- ეგ ვაჟბატონი ვინაა?

- ღმერთს გეფიცებით, - თქვა მაივინზმა და ოდნავ ამოყო თავი საბნის ზემოთ, - ეგ მინდოდა მეკითხა თქვენთვის. საქმეზეა მოსული?

- არა, - მიუგო მისტერ სმაგლმა.

- მაშინ კიბიდან დააგორეთ, გეთაყვა; ისიც უთხარით, რომ არ გაინძრეს, თორემ მანდ მოვალ და ჩემებურად გავუმასპინძლდები, - თქვა მისტერ მაივინზმა და კვლავ ძილს მისცა თავი.

რადგან საუბარმა აშკარად სახიფათო მიმართულებით იბრუნა პირი და უშუალოდ პიროვნებებს შეეხო, მისტერ პიკვიკმა დროზე წამოყო თავი.

- სემ, - დაუძახა მან.

- გისმენთ, სერ, - ხმა გასცა მსახურმა.

- გუშინდელს აქეთ ხომ არაფერი მომხდარა?

- მაინცდამაინც არაფერი, სერ, - მიუგო სემმა და კვლავ მისტერ სმაგლის ქილვაშს გადახედა, - უნდა მოგახსენოთ, რომ თურმე ციხის დახუთული ჰაერი ძალიან უწყობს ხელს სარეველა ბალახის გამრავლებას, თანაც განსაკუთრებით მძაღე და შხამიანი ჯიშისას. სხვა კი ყველაფერი რიგზეა.

- ახლავე ავდგები, - განაცხადა მისტერ პიკვიკმა, - სუფთა საცვალი მომეცით.

ვინ იცის, შურისგების რამდენი ზრახვა უტრიალებდა მისტერ სმაგლს თავში, რომ უეცრად თვალი მოჰკრა ჩემოდანს და დაავიწყდა ყოველივე. მისი შიგთავსის ხილვამ ბევრად უკეთესი შეხედულება შეუქმნა არა მარტო მისტერ პიკვიკზე, არამედ მის მსახურზეც, რომლის შესახებ მან დაუყოვნებლივ განაცხადა იმდენად ხმამაღლა, რომ სემს გაეგონა: ეს კაცი უცნაური ოინბაზი ყოფილა და მეც მხოლოდ ასეთები მომდის თვალშიო. რაც შეეხება თვით მისტერ პიკვიკს, ის სიყვარული, რომელიც სმაგლს გულში ჩაესახა მის მიმართ, ჭეშმარიტად უსაზღვრო და უსასრულო იყო.

- ხომ არაფერი შემიძლია გავაკეთო თქვენთვის, ძვირფასო სერ? - თავაზიანად ჰკითხა სმაგლმა მისტერ პიკვიკს.

- არა, არაფერი. დიდად გმადლობთ, - მიუგო მისტერ პიკვიკმა.

- ჭუჭყიანი საცვალი ხომ არა გაქვთ? მე ვიცნობ ერთ ჩინებულ მრეცხავს, რომელიც კვირაში ორჯერ მოდის, ჩემი საცვალი მიაქვს გასარეცხად და... რა იღბალზე, დღეს სწორედ მისი მოსვლის დღეა. ააი, ესენი ჩემს საცვალთან ერთად ხომ არ დავდო? ნუ წუხდებითო? არ გამაგონოთ! რის შეწუხება, რა შეწუხება! ეშმაკმა დასწყევლოს, თუკი ერთი ჯენტლმენი მეორეს არ დაეხმარება გასაჭირში, მაშ, რა ყოფილა ადამიანი?

მისტერ სმაგლი ნელ-ნელა ჩემოდანს მიუჩოჩდა და მის შიგთავსს კიდევ ერთხელ გადაავლო თვალი, რომელიც მხურვალე, უანგარო მეგობრობას გამოხატავდა.

- იქნებ, ძვირფასო მეგობარო, ტანსაცმელიც გაქვთ გასაბერტყი? - ჰკითხა სმაგლმა.

- არა, ნუ წუხდებით, - ბატონის ნაცვლად გასცა პასუხი სემმა, - აი, ვინმე რომ იყოს გასაბერტყი ისე, რომ მსახური არ შევაწუხოთ, ეს ბევრად უფრო სასიამოვნო იქნებოდა ორივე მხარისათ-

ვის, როგორც ბრძანა მასწავლებელმა, როდესაც მისმა მოწაფემ, ყმაწვილმა ჯენტლმენმა, გამოუცხადა, არ მინდა, რომ მსახურთუხუცესმა გამლახოსო.

- ნუთუ არაფერი გაქვთ, ამ ჩემი კალათით რომ გავატანოთ მრეცხავს?

- არაფერი, - მკვახედ მოუჭრა სემმა, - თუ არ ვცდები, ეს კალათი ისედაც პირამდე სავსეა თქვენი საცვლით.

ამის თქმაზე სემმა ისე მეტყველად გადახედა მისტერ სმაგლის საცვლის იმ ნაწილს, რომლის მიხედვით ჩვეულებრივ აფასებენ მრეცხავების ავკარგიანობას. მისტერ სმაგლი უბრად შემოტრიალდა ქუსლებზე და, დროებით მაინც, თავი დაანება ყოველგვარ ცდას, როგორმე ხელში ჩაეგდო მისტერ პიკვიკის საფულე და ტანსაცმელი. იგი ერთხანს კოპებშეკრული იდგა თავის საწოლთან, მერე კი ეზოში გაბრძანდა ბურთის სათამაშოდ. იქ განცხრომით გააბოლა სიგარა, რომელიც წინა საღამოს ლუდთან ერთად მოატანინა მაივინზს ახალი პატიმრის ხარჯზე. ეს გახლდათ მისი დილის საუზმე.

მისტერ მაივინზი, რომელსაც არც მოსაწევი ჰქონდა და ნისიად აღებული სურსათის ანგარიშიც კარგა ხანია ვალად ედო, ლოგინიდანაც არ წამოდგა; როგორც თვითონვე განაცხადა, გადაწყვიტა, „ძილში მაინც ვისაუზმებო“.

მისტერ პიკვიკმა ისაუზმა სასადილოს გვერდით პაწია ოთახში, რომელსაც შეარქვეს „კაბინეტი“. სადგომის დროებით მდგმურს სხვებთან შედარებით ერთი უპირატესობა გააჩნდა, თავისი ოთახიდან გულდასმით შეეძლო დაეგდო ყური ყოველი სიტყვისათვის, რომელიც ზემოთ აღნიშულ სასადილოში ითქმებოდა, რა თქმა უნდა, მცირე გასამრჯელოს თუ მისცემდნენ.

მისტერ პიკვიკმა სემი რაღაც საქმეზე გაგზავნა, თვითონ კი სამორიგეოსაკენ გაემართა. უნდოდა მისტერ როკერს ბინის შესახებ მოლაპარაკებოდა.

- ბინაო? - წარმოთქვა ხსენებულმა ჯენტლმენმა, როდესაც დიდი დავთარი გადაათვალიერა, - რამდენიც გნებავთ, მისტერ პიკვიკ, თქვენი საცხოვრებელი ბილეთი იქნება ოცდამეშვიდე, მესამე სართულზე.

- როგორა ბრძანეთ? - ჰკითხა მისტერ პიკვიკმა, - რა ბილეთიო?

- თქვენი საცხოვრებელი ბილეთი, - მიუგო მისტერ როკერმა, - მიხვდით?

- ვერა, - ღიმილით მიუგო მისტერ პიკვიკმა.

- კი, მაგრამ ეს ისევე ნათელია, როგორც სოლსბერის ვაკე, - შენიშნა მისტერ როკერმა, - თქვენ მიიღებთ ბილეთს ოცდამეშვიდე ოთახზე, მესამე სართულზე და ამ ოთახში მცხოვრებნი იქნებიან თქვენი თანამობინადრეები. გესმით?

მისტერ პიკვიკმა ჩაახველა.

- ერთ-ერთი მათგანი მღვდელია, - განაგრძო მისტერ როკერმა და ქაღალდის ნაგლეჯზე რაღაცა ჩაწერა, - მეორე კი ყასაბია.

- როგორა ბრძანეთ? - ჰკითხა მისტერ პიკვიკმა.

- ყასაბი, - გაიმეორა მისტერ როკერმა და მაგიდაზე დაბერტყა კალამი, რომელიც, ეტყობა, სიჯიუტის სენით იყო შეპყრობილი და არ წერდა. - ერთ დროს ყოჩაღი იყო! გახსოვთ, ნედი, ტომ მარტინი? - მიმართა მისტერ როკერმა მეორე მორიგეს, რომელიც ოცდახუთპირიანი ჯიბის დანით ფეხსაცმელს ტალახს აცლიდა.

- ჰმ, მე და არ მახსოვს! - ხაზგასმით მიუგო იმან, ვისაც ეკითხებოდნენ.

- ღმერთო დიდებულო! - წარმოთქვა მისტერ როკერმა და დინჯად გააქნია თავი, თან ფანჯარაში გაიხედა დაფიქრებულმა. გეგონებოდათ, თავისი ყმაწვილობის ერთ-ერთ წყნარსა და საამო ამბავს იხსენებსო. თითქოს გუშინ იყო, ნავმისადგომის მახლობლად, „მელია მთის ძირას“ სამიკიტნოში მტვირთავი რომ გალახა. თვალწინ დაუდგა: სანაპიროზე მოჰყავს ორ მცველს, ცემისაგან ცოტა გამოფხიზლებულა. მარჯვენა თვალის ქუთუთოსთან ძმრის პლასტირი ადევს. ის ცელქი ბულდოგი კი, მერე პატარა ბიჭი რომ დაკბინა, ფეხდაფეხ მოსდევს ცუნცულით. დრო დიდი ოინბაზია, არა, ნედი?

ჯენტლმენი, რომელსაც კვლავ კითხვით მიმართეს, ეტყობა, უბირი არსება გახლდათ. მან კითხვაზე უსიტყვოდ დაუკრა თავი. მისტერ როკერმა თავი ანება სევდიან ფიქრებს და კვლავ კალამი აიღო ხელში.

- მესამე ჯენტლმენი ვინაა? - შეეკითხა მას მისტერ პიკვიკი. უნდა მოგახსენოთ, რომ იგი სულაც არ იყო აღფრთოვანებული, როდესაც მომავალი თანამობინადრენი ამგვარად აღუწერეს და დაუხასიათეს.

- ეგ სიმპსონი ვინაა, ნედი? - ჰკითხა მისტერ როკერმა მეორე მორიგეს.

- რომელი სიმპსონი? - გაიოცა ნედიმ.

- აი ის, ოცდამეშვიდეში რომ ცხოვრობს, მესამე სართულზე, სადაც ეს ჯენტლმენიც იცხოვრებს აწი?

- ო, ისა?! - მიუგო ნედიმ, - არავინაც არაა. ოდესღაც ცხენებით ვაჭრობდა, ახლა კი გაქნილი ჯიბგირია.

- მეც ასე მეგონა, - თქვა მისტერ როკერმა, დავთარი დახურა და მისტერ პიკვიკს ქაღალდის ნაგლეჯი გადასცა, - ინებეთ ბილეთი, სერ.

მისტერ პიკვიკი შეცბა. მისი საქმე ისე სწრაფად მოათავეს, თითქოს ისიც ავეჯის ნაწილი ყოფილიყოს.

დარდიანი გულით დაბრუნდა მისტერ პიკვიკი ციხეში. გზაში სულ იმას ფიქრობდა, რა ვქნა, როგორ მოვიქცეო. ცოტა რომ დამშვიდდა, გადაწყვიტა: სამივე თანამობინადრეს გავიცნობ, გავესაუბრები და მერე ვნახოთო. ამიტომ პირდაპირ მესამე სართულზე ავიდა. ერთხანს ტალანებში იხეტიალა, მკრთალ შუქზე ძლივს არჩევდა კარებზე მიწერილ ნომრებს, ბოლოს, გზა რომ ვერ გაიგნო, დახმარებისათვის ისევ მსახურს მიმართა, რომელიც იქვე დერეფანში აგროვებდა თუნუქის ჭურჭელს.

- მეგობარო, ერთი მითხარით, სად არის ოთახი #27? - ჰკითხა მას მისტერ პიკვიკმა.

- აქედან ხუთი კარი გადათვალეთ და იქაა, - მიუგო მსახურმა, - ზედ კაცია დახატული, სახრჩობელაზე ჰკიდია და ჩიბუხს აბოლებს.

მისტერ პიკვიკმა ამ ღირსშესანიშნავი მითითებით ისარგებლა, დინჯად გაემართა დერეფანში. ვიდრე ზემოხსენებული „ჯენტლმენის პორტრეტს“ არ გადაეყარა. მიადგა თუ არა მას, სახეზე მიუკაკუნა მოკეცილი საჩვენებელი თითით ჯერ ფრთხილად, მერე კი - ხმამაღლა. როდესაც ეს ოპერაცია მრავალჯერ შეასრულა და პასუხი ვერ მიიღო, გადაწყვიტა: სჯობს, კარს გავაღებ და შიგ შევალო.

ოთახში მხოლოდ ერთი მობინადრე დახვდა, რომელიც ფანჯარაზე გადაყუდებულიყო ისე ღრმად, რომ წონასწორობას ძლივს ინარჩუნებდა. იგი მთელი ძალით ცდილობდა ზემოდან დაეფურთხებინა იმ ამხანაგის ქუდზე, რომელიც ამ დროს ეზოში იდგა. ამ საქმით გართულმა ახალმოსულს არავითარი ყურადღება არ მიაქცია. არ გასჭრა არც სიტყვამ, არც ჩახველებამ, არც ცხვირის დაცემინებამ და არც სხვა ხერხმა, რომლითაც

ჩვეულებრივ ცდილობენ ადამიანის ყურადღება მიიქციონ. მისტერ პიკვიკი ერთხანს ყოყმანობდა. მერე ფანჯარას მიუახლოვდა და გადაყუდებულ ჯენტლმენს სერთუკის კალთაზე მაგრად მოქაჩა. კაცმა სწრაფად შემოყო თავი და მხრები, თავით ფეხამდე აათვალიერა დაუპატიჟებელი სტუმარი და მერე თავაზიანად შეეკითხა, რა ეშმაკები გინდათო.

- მე მგონი, - თქვა მისტერ პიკვიკმა და ბილეთს დახედა, - მე მგონი, ეს უნდა იყოს ოცდამეშვიდე, მესამე სართულზე?

- მერე? - იკითხა ჯენტლმენმა.

- აქ იმიტომ მოვედი, რომ ეს ქაღალდი გამომატანეს, - თქვა მისტერ პიკვიკმა.

- მაჩვენეთ, - უთხრა ჯენტლმენმა.

მისტერ პიკვიკმა თხოვნა შეუსრულა. ერთხანს სიჩუმე ჩამოვარდა.

- მე მგონი, როკერს შეეძლო სხვა ბინა გამოენახა თქვენთვის, - თქვა ბოლოს მისტერ სიმპსონმა (სწორედ ეს გახლდათ ბაცაცა); იგი, ეტყობა, დიდად უკმაყოფილო იყო, რომ ახალი მდგმური შეემატათ.

მისტერ პიკვიკიც იმავეს ფიქრობდა, მაგრამ გაჩუმება არჩია.

მისტერ სიმპსონი ერთხანს დაფიქრებული იდგა. მერე ფანჯრიდან გადაყო თავი, გამწივანად დაუსტვინა და რაღაც სიტყვა რამდენჯერმე დაიძახა. მისტერ პიკვიკმა ვერ გაარჩია, რა სიტყვა იყო, მაგრამ მიხვდა, რომ ეს უთუოდ მისტერ მარტინის მეტსახელი იყო, რადგან დაძახებისთანავე ეზოში რამდენიმე ჯენტლმენმა ისეთნაირად მორთო ყვირილი „ყასაბი, ყასაბი“, როგორც ამ ფრიად სასარგებლო სოციალური ფენის წარმომადგენლები ჩვეულებრივ მზარეულებს აცნობებენ ხოლმე მოსვლას.

მისტერ პიკვიკი მალე დარწმუნდა, რომ სწორად მიმხვდარა. არ გასულა ხუთი წუთი, რომ ოთახში ქშენა-ქშენით შემოგორდა ძალიან სქელი მამაკაცი, რომელსაც ლურჯი შალის ქურქი და მრგვალცხვირა, გადასაკეციანი ჩექმები ეცვა. მას შემოჰყვა მეორე მამაკაცი, რომელსაც ზღვის კატის ბეწვის ქუდი ეხურა. შავი ღილებითა და ქინძისთავებით ყელამდე შეკრული გაქუცული სერთუკი მკვეთრად აჩენდა ტლანქ, წითურ სახეს. იგი გალოთებულ ღვთისმსახურს მიაგავდა და, მართლაც, ეს კაცი პროფესიით ოდესღაც მოძღვარი ყოფილა.

როდესაც ორივე ჯენტლმენმა მორიგეობით დახედა მისტერ პიკვიკის ბილეთს, ერთმა თქვა, ეს განგებ მოწყობილიაო. მეორემ კი განაცხადა, დარწმუნებული ვარ, ვერაგული ხრიკიაო. ეს გონივრული მოსაზრება რომ გამოთქვეს, ორთავე მისტერ პიკვიკს მიაჩერდა.

უსიამოვნო სიჩუმე ჩამოვარდა.

- რა უსიამოვნო ამბავია! თანაც ახლა, როცა ისეთი მყუდრო ლოგინები მოვიწყვეთ, - წარმოთქვა მოძღვარმა და დანანებით გადახედა სამ ჭუჭყიან ლეიბს, რომელიც ოთახის კუთხეში იდო თხელ საბანში გახვეული. დღისით ლოგინის ეს გროვა მობინადრეთ მაგიდის მაგივრობას უწევდა; ზედ ეწყო პირმოტეხილი ტაშტი, ტოლჩა და ყვავილებით მოხატული ქაშანურის სასაპნე.

- ფრიად უსიამოვნო ამბავია!

მისტერ მარტინმაც იგივე აზრი გამოთქვა, ოღონდ გამოიყენა უფრო უხეში გამოთქმა. ამას მისტერ სიმპსონმა სხაპასხუპით დააყარა მთელი რიგი შემამკობელი ზედსართავები ისე, რომ ერთი არსებითი სახელიც არ მოუხსენებია და იქვე შეუდგა ბოსტნეულის რეცხვას, რომელიც სადილისათვის შემოუტანეს.

ვიდრე ეს აზრთა გაცვლა-გამოცვლა მიმდინარეობდა, მისტერ პიკვიკმა ოთახს მოავლო თვალი. იგი საოცრად ჭუჭყიანი

იყო, შმორის სუნით აქოთებული. საგანგებოდ რომ დაგეძებნათ, ვერც ხალიჩასა და ვერც ფარდის ნაგლეჯს ვერ იპოვიდით. ოთახში კედლის კარადაც კი არ იყო, თუმცა, რომ ყოფილიყო კიდეც, შიგ შესანახი თითქმის არაფერი იყო და მაინც, რამდენადაც მცირე უნდა იყოს მოცულობით პურის ან ყველის ნარჩენი, სველი ტილოები, ხორცის ნახორხალი, დაგლეჯილი ტანსაცმელი, საცოდავად დასახიჩრებული ჭურჭელი და დამტვრეული ჩანგლები, ფრიად უსიამოვნო შთაბეჭდილებას ტოვებს ადამიანზე, როდესაც ყოველივე ეს იმ პაწია ოთახის იატაკზეა მოფანტული, რომელიც სამი უსაქმო ადამიანისათვის ერთდროულად სასტუმროცაა და საწოლი ოთახიც.

- მე ვფიქრობ, ამ საქმეს კიდევ ეშველება, - თქვა ყასაბმა დაყოვნებით, - პირგასამტეხლოს რამდენს აიღებთ?

- რა ბრძანეთ? - ჰკითხა მისტერ პიკვიკმა, - ბოდიშს ვიხდი, ვერ გაგიგეთ.

- რამდენს გამოგვართმევთ პირგასამტეხლოს, აქედან რომ მოგვშორდეთ? - გაიმეორა ყასაბმა, - ჩვეულებრივ ეს ორი შილინგი და ექვსი პენსი ღირს. გინდათ სამი?

- და ნახევარიც, - დაუმატა მოძღვარმა.

- თანახმა ვარ. კიდევ ორ-ორი პენსი შეგვხვდება თითოს, - თქვა მისტერ მარტინმა, - ახლა რაღას იტყვით? გაძლევთ პირგასამტეხლოს სამ შილინგსა და ექვს პენსს. თანახმა ხართ?

- ჰა, ზედ ხუთი ბოთლი ლუდიც! - დაუმატა მისტერ სიმპსონმა.

- რომელსაც აქვე დავლევთ, - სიტყვა ჩაურთო მოძღვარმა.

- მაშ, რას იტყვით?

- მართალი გითხრათ, მე აქაური წესების არაფერი გამეგება, - მიუგო მისტერ პიკვიკმა, - მაინც არ მესმის, ჩემგან რა გნებავთ? განა შეიძლება, რომ სხვა ბინაში ვიცხოვრო? მე მეგონა, არ შეიძლებოდა.

ამ კითხვის გაგონებაზე მისტერ მარტინმა გაოცებით გადახედა ორივე მეგობარს, მერე კი თითოეულმა მარჯვენა ცერით მარცხენა მხრის გადაღმა მიუთითა. ეს ჟესტი, რომელიც, უნდა ითქვას, მხოლოდ მიახლოებით თუ გადმოსცემს სიტყვებს „პირიქით გაიგე“. მეტად სასიამოვნო შთაბეჭდილებას ტოვებს მაყურებელზე, როდესაც მას ლედი და ჯენტლმენები მოხდენილად ასრულებენ და გამოხატავს მსუბუქ, უწყინარ დაცინვას.

- არ შეიძლება! - გაიმეორა მისტერ მარტინმა და სიბრალულით გადახედა მისტერ პიკვიკს.

- მე რომ ასე ცუდად ვიცნობდე ცხოვრებას, საკუთარი ქუდი შემომეჭმებოდა და ვინ იცის, ბაფთასაც ზედ მივაყოლებდი, - თქვა მოძღვარმა.

- მეც ასე მოვიქცეოდი, - კვერი დაუკრა მარჯვე ბაცაცამ.

მოათავეს თუ არა შესავალი სიტყვა, სამივე მობინადრემ ერთხმად აცნობა მისტერ პიკვიკს: ფლიტის საპყრობილეში ფული ისევე ფულობს, როგორც მის კედლებს გადაღმა, ფულით ციხეშიც იშოვიან ყოველივეს, რასაც კი კაცი მოისურვებს და თუ მას აქვს ფული და მზადაა დახარჯოს, საკმარისია მხოლოდ თქვას და ნახევარი საათიც არ გავა, რომ მიიღებს ცალკე ოთახს, სუფთასა და ავეჯით გაწყობილს.

ამ მოლაპარაკების შემდეგ დაინტერესებული მხარეები ურთიერთკმაყოფილნი დაშორდნენ ერთმანეთს. მისტერ პიკვიკი კვლავ სამორიგეოში ჩავიდა; სამივე ბინადარი კი სასადილოსაკენ გაემართა, ხუთი შილინგი უნდა დაეხარჯათ, რომელიც ზემოხსენებულმა ღვთისმსახურმა მისთვის ჩვეული გონიერებით წინდაწინ ისესხა სტუმრისაგან.

- დარწმუნებული ვიყავი, რომ დაბრუნდებოდით, - ღიმილით შენიშნა მისტერ როკერმა, როდესაც მისტერ პიკვიკმა მეორედ მოსვლის მიზანი განუცხადა, - ხომ გითხარით, ნედი?

უნივერსალური ჯიბის დანის ფილოსოფიურმა მპყრობელმა თანხმობის ნიშნად რაღაც დაიღმუვლა.

- ვიცოდი, განა არ ვიცოდი, რომ ცალკე ოთახს მოისურვებდით, - თქვა მისტერ როკერმა, - აბა, ვნახოთ, უთუოდ ავეჯიც დაგჭირდებათ. მე მგონი, ისევ ისა სჯობს, ჩემი დაგითმოთ ქირით. ასეა აქ დაწესებული.

- დიდი სიამოვნებით, - მიუგო მისტერ პიკვიკმა.

- სასადილოს სართულზე საუცხოო ოთახია, რომელიც კანცლერის პატიმარს უჭირავს, - განაგრძო მისტერ როკერმა. - კვირაში ერთი გირვანქა დაგიჯდებათ. საწინააღმდეგო ხომ არაფერი გაქვთ?

- არა, სრულიად არა, - მიუგო მისტერ პიკვიკმა.

- მაშ, გამომყევით, - თქვა მისტერ როკერმა და ქუდს დასტაცა ხელი, - ამ საქმეს წუთში მოვაგვარებთ. ღმერთო ჩემო, რატომ მაშინვე არ მითხარით, კარგად მომაწყვეთო?

როგორც მეციხოვნემ იწინასწარმეტყველა, საქმე მართლაც ხუთ წუთში მოგვარდა. კანცლერის სასამართლოს პატიმარმა იმდენ ხანს დაჰყო ციხეში, რომ სამუდამოდ დაკარგა ქონებაც, მეგობრებიც, ოჯახიცა და ბედნიერებაც; ერთადერთიღა შერჩა - ცალკე ოთახი. მაგრამ ახლა ძალიან უჭირდა. ლუკმაპური ენატრებოდა და ამიტომ პატიმარმა აღტაცებით მოისმინა მისტერ პიკვიკის წინადადება, მისთვის მიექირავებინა ოთახი. შეთანხმდნენ, რომ ახალი პატიმარი გახდებოდა ზემოხსენებული ბინის სრულუფლებიანი პატრონი ოც შილინგად კვირაში, ოღონდ ერთი პირობით, რომ ამ თანხიდან ძველ პატრონს უნდა გადაეხადა იმ პირთა გასასახლებელი ქირა, რომელთაც ამიერიდან ამ ოთახში გამოგზავნიდნენ საცხოვრებლად.

ვიდრე მოათავებდნენ მოლაპარაკებას, მისტერ პიკვიკი გულისტკივილით ათვალიერებდა პატიმარს. ეს იყო მაღალი, გამ-

ხდარი და ძალიან ფერმკრთალი მამაკაცი, რომელსაც ძველი, გაცვეთილი პალტო და ფეხსაცმელები ეცვა. ჩაცვენილ ლოყებს ზემოთ მოუსვენრად ელავდნენ ჭროღა თვალები; თხელი, ფითრისფერი ტუჩები ჰქონდა და წვრილი, წვეტიანი თითები. ღმერთმა შეიწყალოს ეს საცოდავი! ეეტყობა, ციხისა და სიღატაკის რკინის მარწუხებში მომწყვდეულს ამ ოცი წლის განმავლობაში სიცოცხლის ძალა დალეოდა თანდათან.

- თქვენ სადღა იცხოვრებთ, სერ? - ჰკითხა მისტერ პიკვიკმა, როდესაც პირველი კვირის ქირა იქვე, მონჯღრეულ მაგიდაზე დადო. ბინის პატრონმა კანკალით მოჰკიდა ხელი ფულს და უპასუხა: ჯერ არ ვიცი, ახლა წავალ და ვნახავ, ჩემი საწოლი სად შეიძლება, რომ დავდგაო.

- ვაითუ, სერ, რომელიმე იმ ხმაურიან, ხალხით გაჭედილ ოთახში გადაგიყვანონ, - წარმოთქვა მისტერ პიკვიკმა და თანაგრძნობის ნიშნად მოსაუბრეს ნაზად დაადო ხელი მხარზე, - გთხოვთ, ეს ოთახი კვლავ თქვენს საკუთრებად მიიჩნიოთ, როდესაც მყუდროება მოგენატრებათ, ან მეგობრები გეწვევათ სტუმრად.

- მეგობრები! - ხრინწიანი ხმით წამოიძახა პატიმარმა, - მე რომ ღრმა, ძალიან ღრმა ჭის ფსკერზე, ან დალურსმულ კუბოში ვიწვე მკვდარი, ან ვლპებოდე ბნელსა და ბინძურ არხში, ამ ციხის საძირკვლის ქვეშ, რომელშიც ირეცხება ყოველგვარი სიბინძურე, უთუოდ მაშინაც კი არ ვიქნებოდი ისე მივიწყებული, ღმერთისა და კაცისაგან ისე მიგდებული, როგორც ახლა ვარ, ამ ჯოჯოხეთში!.. მე ხომ მკვდარი ვარ ყველასათვის. ისე მოვკვდი, რომ ვერ ვიგრძენი ის სიბრალული, რომელიც წილად ხვდება ყოველ სულიერს, რომლის სულიც უფლის დიდი სამსჯავროს წინაშე წარდგა... მეგობრები მესტუმრებიან!.. ღმერთო ჩემო! აქ რომ მოვედი, სიცოცხლით სავსე ადამიანი ვიყავი. აი, ამ ციხეში

დავბერდი. როცა მოვკვდები, არ მეგულება ქვეყნად არც ერთი კაცი, რომელიც ჩემს სასიკვდილო სარეცელთან ასწევს ხელს და იტყვის: „მადლობა უფალს, რომ მშვიდობა ეღირსა!“

იგი თანდათან აღელდა, ლოყები აეფაკლა, მაგრამ გაჩუმდა თუ არა, კვლავ მკვდრისფერი დაედო. გამხმარი ხელები ერთმანეთს მოუჭირა, ნელა წამოდგა და ოთახიდან გავიდა.

- როგორ გაცეცხლდა, - ღიმილით თქვა მისტერ როკერმა, - სპილოს ხასიათი აქვთ. ხანდახან მაგრად რომ მოეკიდებათ, გააფთრდებიან ხოლმე.

გამოთქვა თუ არა ეს თანაგრძნობით სავსე შენიშვნა, მისტერ როკერი ჯარასავით დატრიალდა: ოთახში თვალის დახამხამებაში გაჩნდა ხალიჩა, ექვსი სკამი, დივანი, რომელსაც საწოლის მაგივრობა უნდა გაეწია, მაგიდა, ჩაიდანი და სხვა საჭირო ნივთები, რომელიც მისტერ პიკვიკმა მეციხოვნისაგან „ითხოვა“ ოცდაშვიდ შილინგად და ექვს პენსად კვირაში.

- ახლა მიბრძანეთ, კიდევ თუ რაიმე გნებავთ! - უთხრა მისტერ როკერმა მისტერ პიკვიკს, როდესაც დიდად კმაყოფილმა, თვალი მოავლო ოთახს და მხიარულად ააჩხარუნა მუშტში ჩახვეული ფული.

მისტერ პიკვიკი დაფიქრდა.

- აი, კიდევ რა, - უთხრა მისტერ პიკვიკმა ბოლოს, - თუ გეგულებათ აქ ისეთი კაცი, რომლის გაგზავნა-გამოგზავნა შეიძლებოდეს რაიმე დავალებით?

- ესე იგი, ქალაქში გაგზავნოთ? უთუოდ იმ პირებს გულისხმობთ, ვინც თავისუფალია? - ჰკითხა მისტერ როკერმა.

- დიახ, მხედველობაში მყავს ის პირები, რომელთაც ციხიდან შეუძლიან გავიდნენ, ესე იგი, პატიმრები არ არიან.

- დიახ, ასეთებიც გვყავს, - მიუგო მისტერ როკერმა, - ერთი უბედური მასხარაა. მისი მეგობარი „ღატაკთა მხარეს“ ზის. მას

ამისთანა საქმის შესრულება გაუხარდება კიდეც. აგერ ორი თვეა, სულ სხვადასხვა დავალებას ასრულებს. გამოგიგზავნოთ?

- ძალიან დამავალებთ, - მიუგო მისტერ პიკვიკმა, - მოიცათ, არ მინდა. თქვენ ბრძანეთ, „ღატაკთა მხარესო“? მინდა ვნახო ეგ რაღა არის. მე თვითონ წავალ იქ.

მოვალეთა ციხეში „ღატაკთა მხარე“, როგორც თვით სახელწოდებაც გვიჩვენებს, ის სამყოფელია, სადაც ყველაზე ღატაკი და გაჭირვებული მოვალენი ცხოვრობენ, პატიმარი, რომელიც ღატაკთა განყოფილებაში მოხვდება, არ იხდის არც ცალკე ოთახის ქირას და არც ოთახის „კუთხის“ ქირას. მისი გადასახადი ციხეში შესვლისას და იქიდან გამოსვლისას მეტად დაბალია; საჭმლის ულუფა კი, რომელსაც იგი უფასოდ იღებს, მეტად მცირე. ასეთი პატიმრები ულუფით მაინც რომ უზრუნველყონ, ზოგიერთმა ქველმოქმედმა მესაკუთრემ ანდერძად დატოვა პატარა თანხა, რომელიც შემდგომ ციხის მმართველობას გადაეცა. ზოგიერთებს ჯერ კიდევ ახსოვთ ის დრო, როდესაც ფლიტის ციხის კედელში რკინის გალია იყო ჩადგმული. შიგ მშიერ კაცს ჩასვამდნენ, რომელსაც ფულის მოსაგროვებლად ტოლჩა ეკავა ხელში და ნაღვლიანად გაიძახოდა: „ნუ დაივიწყებთ ღატაკ მევალეებს, ნუ დაივიწყებთ ღატაკ მევალეებს!“ ამ ტოლჩის შემოსავალს „ღატაკი მხრის“ პატიმრები იყოფდნენ და ამიტომ ამ სამარცხვინო მოვალეობასაც ისინი ასრულებდნენ.

დროთა განმავლობაში ეს ჩვეულება აღკვეთეს და გალიაც შეინახეს, მაგრამ ეს უბედურები კვლავაც გაჭირვებულად ცხოვრობენ. ჩვენი პატივცემული საზოგადოება მათ აღარ აძლევს ნებას ციხის კართან შეწყალება მოსთხოვონ გამვლელ-გამომვლელთ. რათა მომავალი თაობების აღტაცება და პატივისცემა დავიმსახუროთ, დღემდე ჩვენს კანონმდებლობაში შევინარჩუნეთ ის კეთილშობილი და უაღრესად სამართლიანი კა-

ნონი, რომლის თანახმად, მოურჯულებელ არამზადებს უფასოდ აჭმევენ და აცმევენ, ხოლო უპატრონოდ მიგდებული ღატაკი მოვალენი უფრო სასტიკად ისჯებიან, შიმშილისა და სიცივისაგან იღუპებიან ციხის მარწუხებში. არ გეგონოთ, მკითხველო, რომ მოგონილ ამბავს გიყვებოდეთ. კვირა ისე არ გავა, რომ მოვალეთა ციხეში, თუ სხვა პატიმრები არ დაეხმარნენ, ერთ-ერთი ამ ღატაკთაგანის შიმშილით დაუძლურებული სხეული არ მიჰბარდეს საფლავს.

მისტერ პიკვიკი კიბის ქვედა მოედანზე დასცილდა მისტერ როკერს და მესამე სართულის ვიწრო კიბეს აჰყვა დაფიქრებული. რაც უფრო მეტს ფიქრობდა ღატაკი მოვალეების უმწეო მდგომარეობაზე, მით უფრო ბრაზი ერეოდა. ბოლოს, ისე გაცეცხლდა, როდესაც მითითებულ ოთახში შევიდა, დაავიწყდა ის ადგილიც, სადაც იმყოფებოდა და თვით ის მიზანიც, რისთვისაც აქ მოსულიყო.

შესვლისთანავე გონზე მოვიდა და დამშვიდდა. თვალი მოჰკრა თუ არა იქ მყოფ ადამიანს, გაოცებულს ქუდი ხელიდან გაუვარდა და უბრად გაქვავდა. დიახ, გაქვავდა, რადგან...

ბუხრის წინ დაფლეთილ ტილოს ყვითელ პერანგში, უქურქოდ იჯდა მისტერ ალფრედ ჯინგლი. ხშირი აწეწილი შავი თმა, ზედ თვალებზე ჩამოსცვენოდა; სახე ტანჯვით დაღაროდა და შიმშილით დალეოდა; მისავათებული, თავს თითქოს ვეღარ იჭერდა, ხელზე დაეყრდნო და ნაღველით სავსე თვალებით ბუხარს მისჩერებოდა.

მის გვერდით კედელს მიყრდნობოდა ჯმუხი მემამულე. იგი მათრახს ურტყამდა გადასაკეციან ჩექმას, რომელიც მის მარჯვენა ფეხს ამშვენებდა; მარცხენა კი ჩექმის ნაცვლად ძველ ფეხსაცმელში ჩაეყო. ცხენები, ძაღლები, ღვინო, აი, ის მიზეზი, რის გამოც იგი ციხეში მოხვდა. დროდადრო ჩექმაზე დამაგრებული

ჩაჟანგებული დეზით ჰაერს გააპობდა, მათრახს მარჯვედ შემოჰ-კრავდა და ისეთ სიტყვებს წაიბურტყუნებდა, რომლითაც, ჩვეულებრივ, მხედარი მიმართავს ხოლმე თავის ცხენს. ეტყობა თავი კვლავ მოჯირითე ეგონა, რომელიც დოღში მიქრის გამა-ლებული. საცოდავი! მას ალბათ არასოდეს თავისი მდიდარი სა-ჯინიბოს არც ერთი საუკეთესო ცხენი არ უჭენებია ისეთი სისწრა-ფით, როგორითაც გაირბინა გზა, რომელიც აქ, ფლიტში მოსას-ვლელად დასჭირდა.

მოპირდაპირე კედელთან, ხის პატარა ყუთზე ვიღაც მოხუცი იჯდა და სასოწარკვეთილი მისჩერებოდა იატაკს. იქვე, მისი შვი-ლიშვილი, პაწია გოგონა დაფუსფუსებდა. ბალღი ათასნაირი მიამიტი ხერხით ცდილობდა პაპის ყურადღება მიექცია, მაგრამ ამაოდ. ხმა, რომელიც ოდესღაც მუსიკასავით ტკბილად ჩაესმო-და მოხუცის ყურს და თვალები, რომელიც სიცოცხლეს ერჩივნა, ახლა გრძნობებს აღარ უშლიდა და გულს აღარ უჩუყებდა. დას-ნეულებულს ხელ-ფეხი უცახცახებდა, გონება კი დამბლას დაეტ-ყვევებინა.

ოთახში კიდევ ორი თუ სამი კაცი იყო, რომელნიც ხმამაღლა ებაასებოდნენ ერთმანეთს. აქვე იყო ქალიც, ერთ-ერთი პატიმ-რის ცოლი, გამხდარი და დალეული. იგი დიდი სიყვარულით დასტრიალებდა დამჭკნარ მცენარეს, რომელსაც ეტყობოდა, რომ კვირტს ვეღარასოდეს გამოიღებდა. ასევე ფუჭი იყო ყოვე-ლი მოვალეობა, რომელსაც ეს ქალი ასრულებდა აქ.

ასეთი გახლდათ ადამიანთა საკრებულო, რომელიც თვალში მოხვდა გაოგნებულ მისტერ პიკვიკს, შევიდა თუ არა ოთახში, უეცრად ზურგს უკან კაცის ნაბიჯები მოესმა. მისტერ პიკვიკი მობრუნდა და პირისპირ შეეჩეხა ახალმოსულს, რომელშიც უმალვე შეიცნო ჯობ ტროტერი, ჭუჭყიანი, დაგლეჯილ-- დაფლეთილი და შიმშილისაგან გასავათებული.

- მისტერ პიკვიკ! - ხმამაღლა აღმოხდა ჯობს.

- ნამდვილად ისაა! - წარმოთქვა მისტერ ჯინგლმა და წამოდგა. ხელები, ჩვეულებისამებრ, შარვლის ჯიბის პირებში გაუყარა, რადგან თვით ჯიბეები დიდი ხანია ნაფლეთებად ქცეულიყო და თავმომწონედ გაიჭიმა; მაგრამ უეცრად თავი კვლავ მკერდზე ჩამოუვარდა და მძიმედ დაეშვა სკამზე.

- მართალია, - ჯინგლმა თავი დაუქნია მისტერ პიკვიკს, - უცნაური ადგილია... უცნაური ამბავი დამემართა. ახია ჩემზე... ჭეშმარიტად!

მისტერ პიკვიკს გული აუჩუყდა. საცოდავები! ეტყობა, ორივე ძალიან უბედური იყო, მან თვალი მოჰკრა, ჯინგლი ქორივით როგორ ჩააცქერდა ცხვრის ხორცის ნაჭერს, რომელიც ის იყო, ჯობმა შემოიტანა და კვლავ დარწმუნდა, რომ არ შემცდარა. ორივენი სიღატაკის პირს იყვნენ მისულნი. მისტერ პიკვიკმა მშვიდად შეხედა მისტერ ჯინგლს და თქვა:

- მინდა რაღაც გითხრათ. დერეფანში ხომ არ გამოხვალთ ორიოდე წუთით?

- რა თქმა უნდა, - მიუგო ჯინგლმა და საჩქაროდ წამოდგა, - მოგეხსენებათ, შორს აქ ვერც წავა კაცი... არც სიარულით დაიღლებით. აქაური პარკის გარშემო ეკლიანი მავთულია გაბმული. ადგილი ძალიან ლამაზია, რომანტიკულიც, თუმცა, რა გაეწყობა, მოცულობით არც ისე დიდი... ღიაა მხოლოდ მომსვლელებისათვის... ოჯახი ქალაქში ცხოვრობს... მნე ქალი საოცრად მზრუნველია... ფრიად.

- ქურქი, ქურქი რატომ არ ჩაიცვით? - ჰკითხა მისტერ პიკვიკმა, როცა კიბის თავზე გამოვიდნენ და ოთახის კარი გამოიხურეს.

- როგორა ბრძანეთ? ქურქიო? - იკითხა ჯინგლმა, - დიდი ხანია დავაგირავე ძვირფას ნათესავთან, ძია თომასთან... რას

იზამ?.. ფული მმართებდა... მოგეხსენებათ, ჭამა მინდა... ორგანიზმი მოითხოვს და სხვა.

- ვერ გავიგე, რისი თქმა გსურთ?

- რისი, ჩემო ძვირფასო სერ, წავიდა, გაქრა... უკანასკნელი ქურქი... ფაფუ! ვერა გავაწყვე რა... ერთხანს ფეხსაცმელებით ვიკვებებოდი... მთელი ორი კვირა... აბრეშუმის ქოლგაც, სახელური სპილოს ძვლისა... ერთ კვირას მეყო. დიახ, ასეა, გეფიცებით პატიოსნებას... ჰკითხეთ ჯობს... ის დაგიმოწმებთ.

- ერთი წყვილი ფეხსაცმლითა და სპილოსძვლისტარიანი ქოლგით იკვებებოდით მთელი სამი კვირის განმავლობაში? - წამოიძახა მისტერ პიკვიკმა. მას გაეგონა, რომ ასეთი რამ ხდება მხოლოდ მაშინ, როდესაც გემი იღუპება ან სხვა რაიმე დიდი უბედურება სჭირს კაცს. ამის შესახებ კონსტებლისMiscellanea-ში წაუკითხავს ოდესღაც.

- დიახ, დიახ, - თავი დაუქნია ჯინგლმა. - ყველაფერი დაგირავებულია... ქვითარი აქ მაქვს... მცირე თანხა... სულ პაწაწკინა... ამქვეყნად ყველა ავაზაკი და არამზადაა.

ამის გაგონებაზე მისტერ პიკვიკს გულზე მოეშვა.

- ოჰ! - აღმოხდა მას, - ახლა კი მივხვდი: ტანსაცმელი დაგიგირავებიათ.

- ყველაფერი... ჩემიცა და ჯობისაც... პერანგიც კი არ დავიტოვე... რა უჭირს მერე... რეცხვაში ფული აღარ დაგვეხარჯება. მალე სულ არაფერი დაგვრჩება... ჩავწვები ლოგინში და შიმშილით სულს განვუტევებ... ღატაკ პატიმრებს შორის ეს ჩვეული ამბავია... მსაჯულები ვითომ პატარას გაიკითხ-გამოიკითხავენ, საქმეს მოაკვარახჭინებენ და დაადგენენ, თავისით მოკვდაო... შემდეგ, კორონერის დასკვნა: დამარხვა უპატრონოთა სახლის ხარჯზე. იტყვიან: ჩაძაღლდა და ახია მის თავსო... გათავდა და მორჩა. ფარდა, ჩამოუშვით ფარდა...

ჯინგლმა მისთვის ჩვეული სიმკვირცხლითა და მანჭვა--გრეხით, რომელიც ვითომდა ღიმილს გამოხატავდა, აღუწერა მოსაუბრეს ესოდენ სასიამოვნო მომავალი, მაგრამ მისტერ პიკ-ვიკი უმალვე მიხვდა, რომ ეს უდარდელობა ნაძალადევი იყო. მან ალერსიანად გადახედა ახალგაზრდა კაცს და უეცრად ვაჟის თვალებზე ცრემლი შეამჩნია.

- კეთილო არსებავ, - თქვა ჯინგლმა, ხელი ჩამოართვა მის-ტერ პიკვიკს და პირი იბრუნა, - უმადური ძაღლი ვარ... სისულე-ლეა ტირილი... რა ვქნა, თავი ვერ შემიკავებია... მაციებდა... დავსუსტდი - ავად ვარ... მშია! ყველაფრის ღირსი ვარ, მაგრამ ბევრი ტანჯვა გადამხდა.

ეტყობოდა, რომ მოტყუების თავიც აღარა ჰქონდა. შიმშილი-საგან ძალა გამოლეოდა მოხეტიალე მსახიობს. დაღვრემილი ჩამოჯდა კიბეზე, თავი ხელებში ჩარგო და ბალღივით ატირდა.

- კარგით, გეყოფათ, გეთაყვათ, - მისტერ პიკვიკს გული აუჩუყდა, - მოდით, ვიფიქროთ, რითი ვუშველოთ საქმეს. ჯობ! სად ხართ?

- აქ გახლავართ, სერ, - მიუგო ჯობმა, რომელიც თვალის და-ხამხამებაში კიბეზე გაჩნდა.

როდესაც წინა თავებში ჯობ ტროტერის გარეგნობა აღვწე-რეთ, აღვნიშნეთ, რომ ასე ღრმად ჩაცვენილი თვალები ჰქონდა მაშინაც, როდესაც კარგად ცხოვრობდა. ახლა კი, ამდენი ტან-ჯვაგადატანილს, თვალები თითქოს სულ გაჰქრობოდა.

- აქ გახლავართ, სერ! - დაიძახა ჯობმა.

- აქეთ მობრძანდით, სერ! - წარმოთქვა მისტერ პიკვიკმა, რაც კი შეეძლო მკაცრად. თუმცა ოთხი მსხვილი ცრემლი იქვე ჟილეტზე ჩამოუცვივდა, - აჰა, მიიღეთ.

მიიღეთ რა? ჩვეული მნიშვნელობით თუ გავიგებთ ამ გამოთ-ქმას, ეს ნიშნავს: მიიღეთ დარტყმა. ამ შემთხვევაში კი, ამ ქვეყ-

ნის წესისა და რიგის მიხედვით, ჯობიც მოელოდა, რომ მაგარ სილას გააწნავდნენ, რადგან მისტერ პიკვიკი მოატყუა და საშინლად შეურაცხყო არამზადამ, რომელიც ახლა მის ხელში იყო. სიმართლე მოგახსენოთ? მისტერ პიკვიკის ჟილეტის ჯიბიდან რაღაც ამოცურდა და როცა ჯობ ტროტერის ხელში ჩაგორდა, გაიწკრიალა. ამ ხმამ, უნდა მოგახსენოთ, ჩვენს ძველ კეთილ მეგობარს გული სიამით აუვსო და თვალებში ნაპერწკლები აუციმციმდა. იგი სწრაფად მოტრიალდა და დერეფანს გაჰყვა.

როდესაც მისტერ პიკვიკი თავის ოთახში დაბრუნდა, იქ სემი დახვდა. იგი შუა ოთახში იდგა. ერთსა და იმავე დროს, ნაღვლიანიცა და კმაყოფილიც, ათვალიერებდა ყოველივეს; გულში მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი, რომ ბატონს აქ დიდხანს არ დატოვებდა. ამიტომ თითქოს თავი მოვალედ ჩათვალა, არამც და არამც არ მოეწონებინა და სიხარულით არ მიეღო ის, რაც მისი ბატონისათვის გაკეთდა, ითქვა ან განზრახული ჰქონდათ შეესრულებინათ მომავალში.

- მაშ, ასე, სემ, - თქვა მისტერ პიკვიკმა.

- გისმენთ, სერ, - ხმა გასცა მისტერ უელერმა.

- ხომ კარგად მომაწყვეს, სერ?

- საკმაოდ, სერ, - მიუგო სემმა და ზიზღით მოავლო ოთახს თვალი.

- მისტერ ტაპმენი და სხვა მეგობრები თუ ნახეთ?

- დიახ, სერ. ხვალ გეწვევიან. ძალიან გაუკვირდათ, როდესაც უთხრეს, რომ დღეს თქვენი ნახვა არ შეიძლება, - მიუგო სემმა.

- მომიტანეთ, რაც გითხარით?

პასუხის ნაცვლად მისტერ უელერმა მიუთითა სხვადასხვა შეკრულაზე, რომელიც კუთხეში დაეწყო.

მისტერ პიკვიკი დაფიქრდა.

- კეთილი, სემ, - თქვა მისტერ პიკვიკმა ბოლოს, - ახლა მომისმინეთ, რაღაც მინდა გითხრათ, სემ.

- გისმენთ, სერ, - მიუგო მისტერ უელერმა. - ბრძანეთ.

- ციხეში რომ მოვედი, - დაიწყო დინჯად მისტერ პიკვიკმა, - მაშინვე ვიგრძენი, რომ აქ ყმაწვილ კაცს არ შეჰფერის ყოფნა.

- და არც ხნიერს, სერ, - სიტყვა ჩაურთო მისტერ უელერმა.

- მართალს ამბობ, სემ, - დაეთანხმა მისტერ პიკვიკი, - მაგრამ, მოგეხსენებათ, ხნიერი თუ მოხვდა აქ, ეს უთუოდ დაუფიქრებლობით ან მეტისმეტი ნდობით მოუვა, ახალგაზრდები კი ხშირად უფროსების ეგოიზმის მსხვერპლნი ხდებიან. ყმაწვილკაცს, მერწმუნე, აქ არ დაედგომება. მიმიხვდით, სემ?

- არა, სერ, ვერ მიგიხვდით, - ჯიუტად მიუგო მისტერ უელერმა.

- შეეცადეთ და მიხვდებით, სემ, - თქვა მისტერ პიკვიკმა.

- ვცდილობ, სერ, - დაყოვნებით მიუგო სემმა, - მგონი მივხვდი, საიდანაც უბერავს ქარი. მე მგონი, ეს კი მეტისმეტი მოგივიდათ, როგორც ბრძანა ერთმა მეეტლემ, როდესაც ქარბუქმა თავბრუ დაახვია.

- ახლა კი ვხედავ, რომ მიმიხვდით, სემ, - თქვა მისტერ პიკვიკმა, - ყური დამიგდეთ. ჯერ ერთი, მე არ მსურს, რომ თქვენ უმიზნოდ და უსაქმოდ დაეხეტებოდეთ ასეთ ადგილას, ვინ იცის, წლობით, სემ. მეორეც, მე პირადად უგუნურად მიმაჩნია, რომ კაცმა, რომელიც მოვალეთა ციხეში ზის, მსახური იყოლიოს, - თქვა მისტერ პიკვიკმა, - უნდა დავშორდეთ ერთმანეთს, თუნდაც დროებით.

- ნუთუ დროებით, სერ? - დაცინვით ჰკითხა მისტერ უელერმა.

- დიახ, დროებით, სემ, ვიდრე აქ ვიქნები, - მიუგო მისტერ პიკვიკმა, - ჯამაგირს ისევე მიიღებთ, როგორც იღებდით აქამდე, მსახურად კი ჩემი სამივე მეგობარი სიამოვნებით აგიყვანთ,

თუნდაც ჩემი ხათრით... თუ ოდესმე მეღირსა და აქედან გამოვედი, - დაუმატა მისტერ პიკვიკმა ვითომდა მხიარულად, - სიტყვას გაძლევთ, რომ უმალვე ჩემთან გადმოგიყვანთ.

- მაშ, ახლა მეც მოგახსენებთ რაღაცას, სერ, - წარმოთქვა მისტერ უელერმა მტკიცედ, - ტყუილად ნუ ცდილობთ, არაფერი გამოგივათ! გთხოვთ, ამის შესახებ სიტყვაც აღარ გამაგონოთ!

- მე როდი გეხუმრებით, სემ, უკვე გადავწყვიტე კიდეც, მორჩა და გათავდა, - თქვა მისტერ პიკვიკმა.

- გადაწყვიტეთ, სერ? - დინჯად იკითხა მისტერ უელერმა, - კეთილი და პატიოსანი. მეც გადავწყვიტე, მორჩა და გათავდა.

ეს რომ თქვა, მისტერ უელერმა ქუდი მაგრად ჩამოიცვა თავზე და ჩქარი ნაბიჯით ოთახიდან გავიდა.

- სემ! - დაუძახა მსახურს მისტერ პიკვიკმა, - დაბრუნდით, სემ! მაგრამ სადღა იყო სემ უელერი? გრძელ დერეფანში მისი ნაბიჯის გამოძახილიც აღარ ისმოდა.

თავი XLIII

გვიჩვენებს, თუ როგორ გასაჭირში ჩავარდა მისტერ სემუელ უელერი

ლინკოლნ-ინს-ფილდში, პორტუგელ-სტრიტზე რომ არის მოთავსებული, ერთ-ერთ მაღალჭერიან ოთახში, რომელშიც მუდამ ბნელა და დახუთული ჰაერი დგას, ყოველდღე მთელი წლის განმავლობაში ნახავთ ერთ, ორ, სამ და, თუ საქმე ბევრია, ოთხ, პარიკებში გამოწყობილ ჯენტლმენს, რომლებიც მაღალ საწერ მაგიდებთან სხედან. ასეთი მაგიდები ინგლისის ყველა სასამართლოში აქვთ, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ესენი ფრანგული ლაკით არ არის გაკრიალებულნი. ამ მაგიდების მარჯვნივ სკამები დგას ბარისტერებისათვის; მარცხნივ შემოღობილი ადგილია გაკოტრებულ მოვალეთათვის. მათ წინ, ქვევით - საოცრად ჭუჭყიანი სახეებია ჩამწკრივებული. ზემოაღნიშნული ჯენტლმენები გახლავთ სასამართლოს რწმუნებულები, რომელნიც გაკოტრებულთა საქმეებს აწარმოებენ, ხოლო თვით ის დაწესებულება, სადაც ისინი სხედან, გაკოტრებულთა სასამართლოა.

ჭეშმარიტად აღნიშვნის ღირსია ამ სასამართლოს ბედი. უხსოვარი დროიდან მოყოლებული დღემდე ქალაქ ლონდონის ყველა გაკოტრებული მაწანწალა ამ დაწესებულებას თვლის მუდმივ, საიმედო თავშესაფრად. იგი მუდამ ხალხითაა გაჭედილი. ლუდისა და სპირტის ანაორთქლი ჭერს მისწვდება თუ არა, კედლებს ეფინება და სველ ღარებად ისევ ძირს წვეთავს. ყოველდღიურად აქ გაცილებით უფრო მეტ ძველ, გაცრეცილ ტანსაცმელს ნახავთ, ვიდრე ჰაუნდსდიჩზე რომ გამოაფენენ ხოლმე

გასაყიდად მთელი წლის განმავლობაში; აქვე შეგხვდებათ გაცილებით უფრო მეტი ჭუჭყიანი სახე და შეჭაღარავებული მოშვებული წვერი, ვიდრე შეუძლიათ განბანოს ყველა ტუმბომ და გაკრიჭოს ყველა დალაქმა მზის ამოსვლიდან მზის ჩასვლამდე, ტაიბურნიდან მოყოლებული, უეიტ-ჩეპელამდის.

არ გეგონოთ, რომელიმე ეს პირი აქ სამუშაოდ მოდიოდეს, ან უშუალოდ იყოს დაკავშირებული დაწესებულებასთან, რომელსაც ასე ერთგულად ესტუმრება ხოლმე ყოველდღიურად. ასე რომ ყოფილიყო, ეს გარემოება არავის გაუკვირდებოდა და მისი თავისებურების სურნელებაც უმალვე გაქრებოდა. ზოგ მათგანს, ვიდრე რწმუნებულთა სხდომა მიმდინარეობს, თითქმის სულ სძინავს; ზოგიერთს საუზმე მოაქვთ ხელსახოცში გახვეული ან ჯიბეში ჩაჩრილი. ღეჭავენ და ყურს უგდებენ ერთმანეთს; ორივეს ერთნაირ გემოს ატანენ. მათ შორის ვერ ნახავთ ვერც ერთს, რომელიც, ჭეშმარიტად იმ საქმეებით იყოს დაინტერესებული, რომელიც აქ ირჩევა. და მაინც, ასე სხედან მთელი დღე, სამსახურის პირველი წუთიდან ბოლო წუთამდე. წვიმიან ამინდში მთლად გაწუწულები მოდიან და მაშინ სასამართლოს დარბაზში ისეთი ბუღი დგას, გეგონებათ, ნესტიან სარდაფში ხართ.

კაცი თუ შემთხვევით მოხვდა აქ, შეიძლება იფიქროს, რომ ეს არის ტაძარი, რომელიც წმინდად ემსახურება „სიღატაკის ღმერთს“. ვერ ნახავთ აქ ვერც ერთ მსახურს ან შიკრიკს, რომელიც ზომით შეკერილ ტანსაცმელს ატარებდეს; მთელ დაწესებულებაში ვერ შეხვდებით ვერც ჯანმრთელ, სიცოცხლით სავსე ადამიანს; გამონაკლისს შეადგენს ერთი პატარა ჭაღარათმიანი კონსტებლი, რომელსაც თურაშაულივით მრგვალი, წითური სახე აქვს და ისიც, არაყში შენახული ალუბლის მსგავსად, დამჭკნარი ჩანს იმ ხელოვნური პროცესის შედეგად, რომელმაც

გაახევა და გააუხეშა მისი ბუნებრივი ფერ-ხორცი. თვით ბარისტერების პარიკებიც ცუდადაა დაპუდრული და არც კულულები აქვთ კარგად დახვეული.

ყველაზე უფრო საინტერესო საგანი, რომელიც ჭეშმარიტად საგანგებო დაკვირვების ღირსია, გახლავთ ატერნები, რომელნიც გადაუფარებელ მაგიდას უსხედან, რწმუნებულთა მაგიდების ცოტა ქვევით. ამ ჯენტლმენთა შორის ყველაზე უფრო შეძლებულის პროფესიონალურ მეურნეობას შეადგენს ლურჯი ტომარა და ბიჭი, წარმოშობით ებრაელი. ატერნებს არა აქვთ მუდმივი კანტორები, ამიტომ იურიდიულ ხელშეკრულებას ისინი ადგენენ ან ყავახანის დარბაზში, ანდა ციხის ეზოში. იქ ჯოგად დადიან და თავგამოდებით ცდილობენ, ერთმანეთს წაართვან კლიენტები, როგორც ეს ომნიბუსის კონდუქტორებმა იციან ხოლმე. ტანსაცმელი მუდამ გაქონილი აცვიათ და თვითონაც თითქოს ობმოკიდებული არიან. ადამიანისათვის ჩვეულ სისუსტეთაგან თუკი რაიმეში შეიძლება მათ დავდოთ ბრალი, უპირველესად ლოთობა და გაიძვერობა იქნება. ჩვეულებრივ ატერნები იქვე მახლობლად ციხის ასე ვთქვათ „გარეუბანში“ ცხოვრობენ, რომელიც სენტ-ჯორჯფილდის ობელისკიდან ერთი მილით თუ იქნება მხოლოდ დაშორებული. კანონის ეს მსახურები არც გარეგნობითა და არც ქცევით არ არიან მიმზიდველნი.

მისტერ სოლომონ პელი, განსწავლულთა ამ კორპორაციის ერთ-ერთი წარმომადგენელი, გახლდათ სქელი, უსიცოცხლო, ფერმკრთალი მამაკაცი, გამოწყობილი ხავერდისსაყელოიან სერთუკში, რომელიც უთუოდ ჟამთა მსვლელობით ქამელეონივით იცვლიდა ფერს, ხან მწვანე ჩანდა და ხან ყავისფერი. ამ კაცს ვიწრო შუბლი ჰქონდა, სახე ფართო, თავი დიდი და ცხვირი გვერდელა. თითქოს ბუნებამ შეამჩნია დაბადებისას ცუდი მიდრეკილებანი, გაბრაზდა, ცხვირში წკიპურტი ჰკრა და განგებ

გვერდზე მოუგრიხა. ასევე დარჩა ცხვირი გვერდელა, რადგან მისტერ პელს მეტად მოკლე კისერი ჰქონდა და ასთმაც აწუხებდა, იგი ჩვეულებრივ სუნთქვის დროს ზემოხსენებულ ორგანოს იყენებდა ამ სასარგებლო სამსახურისათვის. შესაძლოა, ეს ორგანო ნაწილობრივ მაინც ანაზღაურებდა იმ დანაკლისს, რომლის გამო იგი შესამკობად არ გამოადგა პატრონს.

- დარწმუნებული ვარ, რომ ვუშველი, - განაცხადა მისტერ პელმა.

- ნუთუ მართლა? - ხმა გასცა კაცმა, რომელსაც პელი არწმუნებდა რაღაცას.

- ეჭვი არ შეგეპაროთ, - მიუგო მისტერ პელმა, - მაგრამ ნუ დაივიწყებთ, მაგას სხვისთვის რომ მიემართა, ვთქვათ, რომელიმე მატყუარა, გაიძვერა შუამავლისთვის, შედეგზე მე პასუხს ვეღარ ვაგებდი.

- რას ბრძანებთ? - გაოცდა მოსაუბრე.

- მერწმუნეთ, შედეგი საეჭვო იქნებოდა, - შენიშნა კვლავ პელმა, ტუჩები მოკუმა, კოპები შეიკრა და მეტყველად გაიქნია თავი.

ადგილი, სადაც ზემოხსენებული ჯენტლმენები საუბრობდნენ, ყავახანა გახლდათ, მოვალეთა სასამართლოს პირდაპირ; თვით მამაკაცი კი, ვისაც მისტერ პელი ესაუბრებოდა, სხვა არავინ იყო, თუ არა უფროსი მისტერ უელერი. იგი საგანგებოდ მოსულიყო ამ ყავახანაში, რომ მხარი დაეჭირა და დახმარებოდა ერთ-ერთ თავის მეგობარს, რომლის საჩივარი გაკოტრების შესახებ, სწორედ ამ დღეს უნდა განეხილათ სასამართლოში. მისტერ უელერი ამჟამად მეგობრის ატერნს ესაუბრებოდა.

- ჯორჯი სადღაა? - ჰკითხა მას მოხუცმა უელერმა.

მისტერ პელმა თავით უკანა ოთახზე უჩვენა და მისტერ უელერიც უმალვე იქით გაემართა. იქ ექვსიოდე მისი კოლეგა მხურ-

ვალე შეძახილებითა და გულითადი მისალმებით შეეგება. გაკოტრებული ჯენტლმენი კი, რომელიც რისკიანმა სპეკულაციამ ამ გასაჭირში ჩააგდო (დიდ გადასარბენებზე ეტლებს ცხენებით ამარაგებდა), ეტყობა საუცხოო გუნებაზე გახლდათ და მოწოლილ დარდებს ლოკოკინებითა და ლუდით იქარწყლებდა.

მისალმებათა გაცვლა-გამოცვლა მისტერ უელერსა და მის მეგობრებს შორის ზუსტად მასონური წესების მიხედვით ჩატარდა. მასონური წესის მიხედვით უნდა ამოატრიალო მარჯვენა ხელის მაჯა და ამავე დროს ნეკი აქნიო. ერთ დროს პირადად ვიცნობდით ორ ცნობილ ტყუპ მეეტლეს (საცოდავები, კარგა ხანია, უფალს მიჰბარდნენ)... ერთმანეთი ძალიან უყვარდათ. ოცდაოთხი წლის განმავლობაში ყოველდღე ხვდებოდნენ დუვრის გზაზე და მხოლოდ ასეთნაირად ესალმებოდნენ ერთმანეთს. წარმოიდგინეთ, როდესაც ერთ-ერთი მათგანი მოკვდა, მეორე დარდს გადაჰყვა, დაჭკნა, დაილია და ბოლოს სული განუტევა.

- აბა, ჯორჯ, - მიმართა მეგობარს უფროსმა უელერმა, როდესაც პალტო გაიხადა და ჩვეული დარბაისლობით მიუჯდა სუფრას, - როგორ ხარ? ხომ ყველაფერი რიგზეა სახურავზე? შიგნითაც სავსეა, ჰა?

- გახლავს, ძმობილო, - მიუგო ჯენტლმენმა.

- რუხი ფაშატი გადაეცი ვინმეს? - გულთბილად ჰკითხა მისტერ უელერმა.

თანხმობის ნიშნად ჯორჯმა თავი დაუქნია.

- ძალიანაც კარგი, - შენიშნა მისტერ უელერმა, - ეტლი ხომ არ მიაგდე ბედის ანაბარა?

- არა, საიმედო ადგილას შევინახე, - მიუგო ჯორჯმა, ნახევარ დუჟინ გარნელს თავი წააწყვიტა და პირში გადაუძახა.

- კარგია, კარგი, - მოუწონა მისტერ უელერმა, - ხომ იცი, დაღმართში რომ მიდიხარ, მუხრუჭს ხელი არ უნდა გაუშვა. მგზავრების სია რიგზეა?

- აღწერა, სერ? - მიუგო ჯორჯის ნაცვლად მისტერ პელმა, რომელიც მიუხვდა, თუ რას გულისხმობდა მისტერ უელერი, - ისეა აღწერილი, რომ უკეთ კალმითა და მელნითაც ვერ აღწერ.

მისტერ უელერმა მოწონების ნიშნად თავი დაუქნია; შემდეგ მისტერ პელს მიუბრუნდა, ჯორჯზე მიუთითა და ჰკითხა:

- უღელს მალე მოხსნით?

- სიით მესამეა, - მიუგო მისტერ პელმა, - ვფიქრობ, რიგი ნახევარ საათში მოუწევს. ჩემს კლერკს ვუბრძანე, მოვიდეს და დროზე შეგვატყობინოს.

მისტერ უელერმა აღფრთოვანებით გადახედა წინდახედულ ატერნს და ხაზგასმით თქვა:

- სასმელს რას მიირთმევთ, სერ?

- ნუ წუხდებით, - მიუგო მისტერ პელმა, - თქვენ ძალიან... გეფიცებით სინდისს, არ მჩვევია... თანაც ასე დილაადრიან... მაშ, კარგი, სამი პენსის რომი მომიტანეთ, ჩემო კარგო.

მსახურმა ქალმა, რომელიც უფრო ადრე მიუხვდა თხოვნას, ვიდრე პელი ეტყოდა რამეს, საჩქაროდ ერთი ჭიქა რომი მოუტანა და მაგიდაზე დაუდგა.

- ბატონებო, - დაიწყო მისტერ პელმა და დამსწრეთ თვალი გადაავლო, - თქვენს მეგობარს გაუმარჯოს, ვუსურვოთ წარმატება!.. კვეხნა არ მჩვევია, ბატონებო, არც მიყვარს, მაგრამ გამოტეხილად უნდა მოგახსენოთ, რომ თქვენს მეგობარს მართლაც ბედმა გაუღიმა. მისი საქმე ისეთი კაცის ხელში მოხვდა, რომელიც... არა, არაფერს ვიტყვი. გაგიმარჯოთ, ბატონებო!

მისტერ პელმა თვალის დახამხამებაში გამოცალა ჭიქა, სიამოვნებით გააწკლაპუნა პირი და მოწყალედ გადაავლო თვა-

ლი მეეტლეებს, რომელნიც ისე გარინდებული შესცქეროდნენ, თითქოს კაცი კი არა, ღვთაება ყოფილიყოს.

- მოიცათ, - თქვა კანონის მცველმა, - რას მოგახსენებდით, ბატონებო?

- მგონი, ბრძანეთ, რომ მეორე ჭიქაზედაც არ იტყოდით უარს, სერ, - ვითომდა ხუმრობით მიუგო მოხუცმა უელერმა.

- ჰა, ჰა, ჰა! - გაეცინა მისტერ პელს, - ჩინებულია, ჩინებული. ჭკვიანი კაცი ყოფილხართ, მისტერ უელერ, საქმიანიც; ასე ადრიანად მეტისმეტი მომივა... რა ვიცი, ჩემო კარგო... მაშ, რაც არის, იყოს! კიდევ ერთი ჭიქაც, ჰმ!

ეს უკანასკნელი ბგერა, რომელიც ჩახველების შედეგად წარმოიშვა, განგებ დასცდა მისტერ პელს, რადგან ზოგიერთ მსმენელს სახეზე სიცილის აშკარა ნიშნები შეატყო.

- განსვენებულ ლორდ-კანცლერს ძალიან ვუყვარდი, ბატონებო, - მოახსენა მისტერ პელმა მეეტლეთა საკრებულოს.

- ეტყობა, კაი კაცი ყოფილა, - სიტყვა ჩაურთო მისტერ უელერმა.

- მოუსმინეთ, მოუსმინეთ, - შეაწყვეტინა მისტერ პელის კლიენტმა, - ასეთი კაცი და არ ჰყვარებოდა?

- ოღონდაც რომ ასეა, - კვერი დაუკრა ჯორჯს წითურსახიანმა მამაკაცმა, რომელსაც აქამდე ხმა არ ამოუღია და ეტყობოდა, მეტის თქმაც არ შეეძლო, - რატომაც არ უნდა ჰყვარებოდა?

მთელ საკრებულოს მოწონების ჩურჩულმა გადაუარა.

- ახლა გამახსენდა, ბატონებო, - დაიწყო კვლავ მისტერ პელმა, - ერთხელ ერთად ვსადილობდით. ორნი ვიყავით, მაგრამ ისეთი სუფრა გაეშალათ, თითქოს თორმეტ კაცს მოელოდნენ. სახელმწიფო ბეჭედი ლორდის მარჯვნივ დევს, პატარა მაგიდაზე; ჯავშანში ჩასმული, პარიკიანი მცველი კვერთხს დარაჯობს ხმალამოწვდილი. ასეა, ბატონებო, დღისით და ღამით. უეცრად

ლორდი მეუბნება: პელ, თქვენი თავმდაბლობა მეტისმეტია, პელ, ნიჭიერი კაცი ხართ. გაკოტრებულთა საქმეებში დიდად გაქნილი. კაცი არ არის, თქვენ რომ არ უშველოთ. თქვენისთანა კაცით ჩვენი ქვეყანა უნდა ამაყობდეს, აი რა, - ასე მითხრა პირდაპირ.

- მილორდ, - ვუთხარი, - ასეთი ქების ღირსი არ გახლავართ.

- ელ, - მეუბნება, - ეშმაკმა დამწყევლოს, თუ ტყუილს ვამბობდე.

- მაშ, ასე გითხრათ? - შეეკითხა მისტერ უელერი.

- დიახ, ასე მითხრა, - მიუგო პელმა.

- თუ ასეა, - განაცხადა მისტერ უელერმა, - პარლამენტს უნდა ლაგამი ამოედო მაგისთვის და გაეჩუმებინა. ვინმე ღატაკი რომ ყოფილიყო, ნამდვილად მოსცხებდნენ კიდეც.

- კი, მაგრამ, ძვირფასო მეგობარო, - შეეპასუხა მისტერ პელი, - ეგ კონფიდენციალურად მითხრა.

- როგორ? - იკითხა მისტერ უელერმა.

- კონფიდენციალურად.

მისტერ უელერი დაფიქრდა.

- თუ ასეა, - დაყოვნებით თქვა მან, - თუ თავი გაილანძღა კონფიდენტურად, რა გაეწყობა, ცოდვა დამალული სჯობს.

- რა თქმა უნდა, - კვერი დაუკრა მისტერ პელმა, - ეს განსხვავება, როგორც თქვენც შენიშნეთ, უმალვე თვალში გეცემა.

- დიახ, საქმეც ეგ არის, - დაეთანხმა მისტერ უელერი, - განაგრძეთ, სერ.

- არა, არ განვაგრძობ, სერ, - დაბალი ხმით, ხუმრობის გარეშე წარმოთქვა მისტერ პელმა, - დროზე გამახსენეთ, სერ, რომ ეს კერძო საუბარი გახლდათ უაღრესად კონფიდენციალური, ბატონებო!.. ბატონებო, მე ვექილი გახლავართ... შესაძლოა, როგორც ვექილს, დიდ პატივსაც მცემენ; ან, ვინ იცის, იქნებ არად

მაგდებენ. ბევრმა იცის ეს. მე აღარაფერს ვიტყვი მეტს. ამ ოთახში რამდენიმე კაცმა ისეთი რამ ბრძანა, რაც ჩემი ძვირფასი მეგობრის სახელს შეურაცხყოფს. მომიტევეთ, ბატონებო, მართლაცდა მეტი სიფრთხილე მმართებს. ახლა ვგრძნობ, რომ არ მქონდა უფლება, ეს შემთხვევა მომეხსენებინა მისი ნების გარეშე. გმადლობთ, სერ.

დაასრულა თუ არა ეს სიტყვა, მისტერ პელმა ჯიბეში ჩაიწყო ხელები, კოპები მრისხანედ შეიკრა, პირქუშად გადახედა დამსწრეებს და სამი პენსი ჯიბეში ააჩხრიალა.

ის იყო, ვექილმა ეს ზედმიწევნით კეთილშობილი გადაწყვეტილება მიიღო, რომ უეცრად ოთახში შემოგორდა ბიჭი და ლურჯი ტომარა, ორი განუყრელი მეგობარი. მათ მოახსენეს დამსწრეებს, უფრო სწორად რომ გითხრათ, ბიჭმა მოახსენა (რადგან ლურჯი ტომარა დუმდა), რომ უკვე დროა, საქმეს ახლა გაარჩევენო.

როგორც კი მეეტლეთა საკრებულომ გაიგო ეს ამბავი, უმალვე წამოიშალა. მეეტლეებმა ქუჩა გადაჭრეს და ბრბოს შეერივნენ; ცდილობდნენ, როგორმე სასამართლოსაკენ გაეკვლიათ გზა. ამ მოსამზადებელ ცერემონიას, ჩვეულებრივ, არანაკლებ ოცდახუთი, ოცდაათი წუთი მაინც სჭირდებოდა.

მისტერ უელერი, რომელიც, მოგეხსენებათ, ძალიან სქელი იყო, შიგ შუაგულ ბრბოში შეიჭრა იმ იმედით, რომ კართან ახლოს ამოყოფდა თავს. სამწუხაროდ, იმედი არ გაუმართლდა; ვიღაც კაცი, რომელსაც შემთხვევით ფეხზე დაადგა, გამწარდა და ქუდი თვალებზე ჩამოაფხატა. მაგრამ იმწამსვე, ეტყობა, ინანა, რომ ასე უხეშად მოიქცა. რაღაც წაიბურტყუნა, თითქოს გაოცდა კიდეც. მერე მოხუცი ძალით ვესტიბიულში შეათრია და კარგა ხნის ჭიდილის შემდეგ, როგორც იქნა, თავიდან ქუდი გადააძრო.

- სემუელ! - წამოიძახა უფროსმა უელერმა, როდესაც თვალებიდან ქუდი მოშორდა და დაინახა კაცი, რომელმაც ბრბოს გაშმაგებას გადაარჩინა.

სემმა თავი დაუკრა.

- რაღა მიჭირს, დიდად მოსიყვარულე ვაჟიშვილი მყავხარ, - შესძახა მისტერ უელერმა, - ქუდი თვალებზე რას ჩამომაცვი?

- ხომ არ დამესიზმრებოდა, რომ თქვენ იყავით, - მიუგო ვაჟიშვილმა, - ან იქნებ მძიმე თათი რომ დამადეთ, იმით გამომეცნო, ვინცა ხართ, ჰა?

- მართალი ხარ, სემი, - მიუგო უფროსმა უელერმა, მოლბა მოხუცი, - აქ რას აკეთებ, გეთაყვა? ხომ იცი, შენი ბატონი ამათთან ვერას გახდება, სემი. სამართლიან ვერდიქტს ეგენი არასდროს გამოიტანენ, სემი? უფროსმა უელერმა ისე მეტყველად გაიქნია თავი, თითქოს თვითონ ყოფილიყოს კანონის მსახური.

- დიდებული მოხუცი ხართ, ჩემმა მზემ! - შესძახა სემმა, - სულ ვერდიქტსა და ალიბზე რომ ლაპარაკობთ, ნეტავ ვინ გითხრათ ამ ვერდიქტის შესახებ?

მისტერ უელერმა სიტყვით არაფერი თქვა, მაგრამ პასუხის ნიშნად თავი კვლავ დინჯად გაიქნია.

- ნუ აქიცინებთ მაგ გოგრას, თორემ ზამბარები დაგიწყდებათ, - უთხრა სემმა ნერვიულად, - ჭკვიანად იყავით, თუ ღმერთი გწამთ... წუხელის „მარკიზ გრანბიში“ შევიარე. თქვენი ნახვა მინდოდა.

- „მარკიზა გრანბი“ თუ ნახე, სემი? - ჰკითხა უფროსმა უელერმა და ამოიოხრა.

- დიახ, ვნახე, - მიუგო სემმა.

- ნეტავ როგორ ბრძანდება ის ნაზი არსება?

- მე მგონი, ვერ უნდა იყოს კარგად, - მიუგო სემმა, - ეტყობა ხშირ-ხშირად მიირთმევს იმ ანანასის რომსა და სხვა ამგვარ

წამლებს, რომლებიც, მოგეხსენებათ, როგორ ძლიერად მოქმედებს ადამიანზე.

- მართალს ამბობ, სემი? - უღიმღამოდ იკითხა უფროსმა უელერმა.

- ჭეშმარიტებას მოგახსენებთ, - მიუგო შვილმა.

უფროსმა უელერმა ვაჟიშვილს ხელი სტაცა, მხურვალედ ჩამოართვა და ისევ გაუშვა. მისი სახე დაღვრემილობასა და შიშს კი არ მოეცვა, არამედ ნაზსა და ტკბილ იმედს. სიხარულით უკრთოდა თვალები, როდესაც დინჯად თქვა:

- არც კი ვარ მთლად დარწმუნებული, სემი. არ ვამბობ, ვაითუ, მერე იმედი გამიცრუვდეს, მაგრამ, მე მგონი იმ მოძღვარს, ჩემი ცოდვით სავსეს, ღვიძლი უნდა სტკიოდეს, ჩემო ბიჭუნა.

- რატომ, ცუდად გამოიყურება? - იკითხა სემმა.

- მკვდრისფერი ადევს, - მიუგო მამამ, - ცხვირის გარდა, რომელიც კვლავ წითლად უღვივის. მადა საოცრად წაუხდა, მაგრამ წრუპავს კი ბლომად.

რომის გახსენებაზე, ეტყობა, გუნება წაუხდა უფროს უელერს. მოიღუშა კიდეც, მაგრამ მალე გამხიარულდა. რამდენჯერმე ეშმაკურად ჩაუკრა თვალი შვილს. უნდა მოგახსენოთ, რომ ამ ხერხს მაშინ მიმართავდა, როდესაც განსაკუთრებით იყო ნასიამოვნები.

- ახლა ჩემს საქმეს მოგიყვებით, - უთხრა სემმა, - ყური დაცქვიტეთ და ნურაფერს იტყვით; მაცალეთ, ვიდრე ლაპარაკს დავამთავრებდე.

მოათავა თუ არა ეს წინასიტყვაობა, სემმა, რაც შეიძლება, მოკლედ გადასცა მშობელს უკანასკნელი, ესოდენ მნიშვნელოვანი საუბარი მისტერ პიკვიკთან.

- მაშ, მარტო დარჩა იქ, საცოდავი! - ჩაილაპარაკა უფროსმა უელერმა, - არც არავინ ჰყავს, რომ მხარი დაუჭიროს, გამოექომაგოს, სემუელ... არა, ასე არ ვარგა, სემი.

- მეც ვიცი, რომ არ ვარგა, - დაეთანხმა სემი, - თქვენ რომ არ გეთქვათ, ისედაც ვიცოდი ეგ.

- ცოცხლად შეჭამენ მაგ უბედურს, სემი! - წამოიძახა უფროსმა უელერმა.

სემმა თავი დაუქნია ნიშნად იმისა, რომ მეც ასე ვფიქრობო.

- იქ სულ ნედლი მოხვდა, სემი, - მიმართა მეტაფორულ თქმას მისტერ უელერმა, - იქიდან კი ისეთი მოხარშულ-გამოხრაკული გამოვა, რომ უახლოესი მეგობრებიც კი ვეღარ იცნობენ.

სემ უელერმა კვლავ დაუქნია თავი.

- ეს არამც და არამც არ უნდა მოხდეს, - მტკიცედ განაცხადა უფროსმა უელერმა.

- არც მოხდება! - წარმოთქვა სემმაც.

- რა თქმა უნდა, არ მოხდება, - კვერი დაუკრა მშობელმა.

- ჰო, კარგი ახლა, - თქვა სემმა, - ჩინებულად იწინასწარმეტყველეთ, ზედგამოჭრილი წითელცხვირა ნიკსონივით, რომელსაც იაფფასიან წიგნებში ხატავენ.

- ეგ ვიღაა, სემი? - დაინტერესდა უფროსი უელერი.

- ვინცაა, სულერთი არაა თქვენთვის? - მკვახედ მოუჭრა სემმა, - მეეტლე მაინც არ იყოთ.

- მაგ გვარისას ერთ მეჯინიბეს ვიცნობდი, - შენიშნა უფროსმა უელერმა ცოტა ხნის შემდეგ.

- არა, ეგ არ არის, - მიუგო სემმა, - ჩემი ნიკსონი წინასწარმეტყველი გახლდათ.

- როგორ თუ წინასწარმეტყველი? - შეეკითხა უფროსი უელერი და მკაცრად გადახედა შვილს.

- კაცი, რომელიც წინასწარ ამბობს, მომავალში რაც მოხდება. - აუხსნა სემმა.

- ნეტავ, ვიცნობდე მაგ კაცს, სემი, - ინატრა უფროსმა უელერმა, - ეგ მაინც მოჰფენდა შუქს ღვიძლის იმ ავადმყოფობას, წეღან რომ გელაპარაკე. ეჰ, ასეა თუ ისე, თუ მოკვდა ეგ ნიკსონი და თავისი დუქანი არავის გადასცა, მაგას აღარა ეშველება. განაგრძე, სემი, - დაუმატა მისტერ უელერმა და კვლავ ამოიოხრა.

- ჰოდა, ასეა, - თქვა სემმა, - წეღან ხომ იწინასწარმეტყველეთ ქადაგივით, თუ რა მოუვა ჩემს ბატონს, იქ რომ დარჩეს. მაშინ მითხარით, რაიმე საშუალება თუ იცით, როგორ ვუშველოთ?

- არავითარი, სემი, - დაყოვნებით მიუგო უფროსმა უელერმა.

- სულ არც ერთი? - შეეკითხა სემი.

- არც ერთი, - მიუგო უფროსმა უელერმა, - მოიცა, აი, ეს თუ... - სახე უეცრად სიხარულით აენთო. მან ხმა დაიდაბლა, ტუჩები ზედ შვილის ყურს მიადო და ჩასჩურჩულა: იქნებ შენი ბატონი უჩუმრად, ისე რომ მცველებმა არ გაიგონ, საკაცით გამოვიტანოთ ციხიდან, სემი, ან თუ გინდა მოხუც მანდილოსნად მოვრთოთ, სახეზე მწვანე პირბადე ჩამოვაფაროთ და ისე გავაპაროთ.

სემ უელერმა ორივე წინადადება ზიზღით უარყო და კვლავ თავისი შეკითხვა გაიმეორა - რა ვქნათ, რა ვიღონოთო.

- აბა, რა გითხრა, - წარმოთქვა მოხუცმა ჯენტლმენმა, - თუ არ გაყენებს თავისთან, სხვა გზას ვერ ვხედავ. მაგ საქმეს რა ეშველება, სემი, არ ვიცი.

- მაშ, მე გიჩვენებთ გზას, - განუცხადა სემმა, - ჯერ ერთი, ოცდახუთი გირვანქა მასესხეთ.

- კი, მაგრამ, ეგ რას უშველის? - გამოცოცხლდა მისტერ უელერი.

- მაგის დარდი ნუ გაქვთ, - მიუგო სემმა, - ვთქვათ, ხუთი წუთიც არ გავა, რომ უკან მომთხოვთ. მეც ავდგები და არ დაგიბრუნებთ თანხას; ერთი კარგად შეგიკურთხებთ კიდეც. თქვენ გაბრაზდებით, საკუთარ ვაჟს, როგორც მოვალეს, დააპატიმრებინებთ და ფლიტის ციხეში ჩაასმევინებთ. ამაზე რაღას მეტყვით, გულქვა ადამიანო?

მამა-შვილს შორის მხურვალე საუბარი გაიმართა, რომლის დროს ორივე გამუდმებით აქიცინებდა თავსა და იქნევდა ხელებს. ეს რომ მოათავა, უფროსი უელერი იქვე ქვის კიბეზე ჩამოჯდა და ისეთი ხარხარი მორთო, რომ ჭარხალივით გაწითლდა.

- კმარა, ბებერო! - წამოიძახა სემმა, რომელსაც გული მოუვიდა, რომ ამდენი დრო ფუჭად დაეკარგა, - ნეტავ, რას უზიხართ მანდ და კარის ჩაქუჩივით აქიცინებთ მაგ თავს, როდესაც ქვეყნის საქმეა გასაკეთებელი? სადა გაქვთ ფული?

- კოფოს ქვეშაა, სემი, კოფოს ქვეშ, - მიუგო უფროსმა უელერმა და სახის ნაოჭები ხელით გაიშალა, - ეს ქუდი დამიჭირე, სემი.

ამ ტვირთისაგან რომ განთავისუფლდა, მოხუცმა სქელი სხეული მარჯვედ გადახარა გვერდზე, მერე უკან გადაიზნიქა, მარჯვენა ხელი ვეებერთელა უკანა ჯიბეში ჩაიყო და როგორც იქნა, ქშენა-ქშენით ტყავის განიერი თასმით გადაჭერილი საფულე ამოათრია. ამ სათავსიდან მან ამოიღო ორი წვრილი თასმა მათრახისათვის, სამი თუ ოთხი ბალთა, პატარა ტოპრაკი ქერის ნიმუშით და ბოლოს გაქონილი ქაღალდის ფული, საიდანაც სემს საჭირო თანხა გადაუთვალა.

- ახლა კი, სემი, - თქვა მოხუცმა ჯენტლმენმა, როდესაც თასმებიც, ბალთებიც, ქერის ნიმუშიცა და თვით საფულეც კვლავ უკანა ჯიბეში ჩაუშვა, - ახლა კი, სემი, აი, რა გითხრა. ერთ ჯენ-

ტლმენს ვიცნობ, რომელიც საქმეს ხუთ წუთში მოგვიკვარახჭინებს. რომ ჰკითხო, კანონის ერთგული მცველია, ტვინი კი, ეტყობა, ბაყაყივით თავის ნაცვლად, მთელ სხეულში აქვს გაბნეული თითის წვერებამდე. ლორდ-კანცლერის პირადი მეგობარია, სემუელ. ასე რომ, თუ მოინდომა, სამუდამოდ ციხეში ჩაგალპობს.

- მაგისთანა კაცი მე არ გამომადგება, - თქვა სემმა.

- რატომ არა?

- რატომ და იმიტომ, რომ უკანონო ხრიკებით ვერას გავხდებით, - მოუჭრა სემმა, - პერპეტუუმმობილეს თუ არ ჩავთვლით, ჰაბის კორპუსი დიდებული რამაა, რაც კი ოდესმე გამოუგონებია ადამიანს. მაგაზე ბევრჯერ წამიკითხავს გაზეთებში.

- კი, მაგრამ ეგ ჩვენ რას გვიშველის? - შეეკითხა უფროსი უელერი.

- აი რას, - მიუგო სემმა, - ამ გამოგონებას დავიცავ და შესატყვისად მოვიქცევი. თუ ღმერთი გწამთ, იმ თქვენ ლორდ--კანცლერს არაფერი ჩაუფუჩუნოთ. იცოდეთ, ეგ სულაც არ მომდის თვალში. ვაითუ, პირიქით, საქმე გაგვიფუჭოს, როდესაც ციხიდან გამოსვლის დღე დადგება.

ამ პუნქტში უფროსმა უელერმა უმცროსს დაუთმო. უმალვე გამოძებნა პატივცემული სოლომონ პელი და მოახსენა, რომ მინდა დაპატიმრების ბრძანება დამიწეროთ ოცდახუთი გირვანქა ვალის გამო და სხვა სასამართლოს ხარჯების ანაზღაურების შესახებ, რათა ეს ბრძანება დაუყოვნებლივ სისრულეში მოიყვანონ ფიზიკურად არსებული პიროვნების, ვინმე სემუელ უელერის მიმართო. იქვე დასძინა მოხუცმა, რომ საჭირო ხარჯებს წინდაწინ გადაუხდით თვით სოლომონ პელსო.

ხსენებული ატერნი საუცხოო გუნებაზე გახლდათ. ის იყო, თავის კლიენტს ცხენების პასუხისგება მოახსნევინა სასამართლოს

განაჩენის საფუძველზე; ამიტომ სემსაც მოუწონა საქციელი, ვაჟკაცი ყოფილხართ, ასე თუ გყვარებია შენი ბატონიო; ისიც გაანდო, რომ მეც ზუსტად ასევე მიყვარს ჩემი მეგობარი ლორდ-კანცლერიო. აღარ დააყოვნეს, უმალვე პელმა უფროსი უელერი ტემპლში წაიყვანა, რომ ფიცით დაემტკიცებინა ჩვენება ვალის შესახებ, რომელიც ბიჭმა, ლურჯი ტომრის საშუალებით ადგილზევე გააფორმა.

ამასობაში სემი „გამართლებულ“ ჯენტლმენსაც და მის მეგობრებს წარუდგინეს როგორც ბელსევეჯელი მისტერ უელერის ერთადერთი პირმშო. მას დიდი პატივით შეხვდნენ და მიიწვიეს ნადიმზე, რომელიც ზემოხსენებული ღირსშესანიშნავი ამბის გამო გაიმართა. სემმაც მიპატიჟება უყოყმანოდ მიიღო.

უნდა მოგახსენოთ, რომ ჩვეულებრივ ამ პროფესიის ჯენტლმენები დიდის ზარ-ზეიმითა და ზედმიწევნით დარბაისლურად ატარებენ დროს, მაგრამ ამჯერად, რადგან წვეულება განსაკუთრებული შემთხვევის გამო მოეწყო, მათ ჩვეულ წესს გადაუხვიეს. შეისვა მრავალი მქუხარე, ხოტბით აღსავსე სადღეგრძელო მთავარი რწმუნებულისა და მისტერ სოლომონ პელის პატივსაცემად. მით უფრო, რომ პელმა საქმის მსვლელობისას საზოგადოების წინაშე გამოამჟღავნა თავისი შეუდარებელი ნიჭი და უნარი. ეს რომ მოათავა, სახედალაქავებულმა ჯენტლმენმა, რომელსაც კისერზე ლურჯი შარფი შემოეხვია, მონადიმეთ შესთავაზა, ვინმემ იმღეროსო. ძნელი არ არის, მიხვდეს კაცი, რომ ლაქებიანი ჯენტლმენი, რომელსაც ესოდენ სწყუროდა სიმღერის მოსმენა, თვით უნდა ყოფილიყო მომღერალი. როდესაც მას მიმართეს, შენ იმღერეო, მან ჯიუტად უარყო წინადადება და თითქოს ნაწყენიც დარჩა. ამას დიდი აყალმაყალი მოჰყვა.

- ბატონებო, - განაცხადა ბოლოს ცხენების მომმარაგებელმა, - არ მინდა დავარღვიო ამ მშვენიერი ნადიმის სიტკბოება. ამი-

ტომ მინდა ვთხოვო, იქნებ ჩვენი სტუმარი, სემუელ უელერი დათანხმდება და გვიმღერებს რამეს?

- გეფიცებით, ბატონებო, აკომპანემენტის გარეშე არ შემიძლია, - მიუგო სემმა, - თუმცა, ოღონდ მშვიდობა იყოს და ჯანდაბას ჩემი თავი, როგორც ერთმა კაცმა ბრძანა, როდესაც შუქურის დარაჯად დანიშნეს.

ასეთი შესავლის შემდეგ მისტერ უელერმა შეასრულა მშვენიერი გმირული ბალადა, რომელიც, ნებას ვაძლევთ ჩვენს თავს, ქვევით მოვიყვანოთ, რადგან მას ყველა როდი იცნობს. მკითხველს ვთხოვთ განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს შორისდებულებს, რომლებიც დართული აქვს ბოლოში მეორე და მეოთხე სტრიქონებს. ეს შორისდებულები არა მარტო საშუალებას აძლევს მომღერალს, დროზე მოითქვას სული, არამედ დიდად უწყობს ხელს თვით ლექსის რიტმის ჰარმონიულობას:

გულად ტერპინმა ჰონსლოს-ჰითზე!
 გადააქროლა ფაშატი მალი, ჰეიდა!
ეპისკოპოსის ეტლს მიმავალსა
მოულოდნელად გზად მოჰკრა თვალი, ჰეიდა!
მან კამარა ჰკრა თავის ბედაურს
და წინ წასულებს უსწორდა ხელად, ჰეიდა!
გადმოიწია უნაგირიდან
და უცხო ეტლში მსწრაფლ შეიხედა, ჰეიდა!
ეპისკოპოსმა შეიცნო იგი,
როგორც კი უცნობს მოავლო თვალი.
წამოიძახა: „ეს ხომ თავხედი ტერპინი არი“ -
ქორო: „ეს ხომ თავხედი ტერპინი არი!“
„მაგ სიტყვებს ასე უხეშად ნათქვამს

ამ ცხელი ტყვიით კვლავ ჩაგჩრი ყელში“, ჰეიდა!
და ეპისკოპოსს ტერპინი უცებ
მიუახლოვდა დამბაჩით ხელში, ჰეიდა!
მან მიუტანა დამბაჩა პირთან,
მსწრაფლ მოზიდა და დაახალა, ჰეიდა!
შეშინებულმა მეეტლემ ცხენებს
გადაჰკრა მაგრად და გააქანა, ჰეიდა!
მაგრამ გოგრაში ეწია ტყვია,
და განგმირული გზაზედვე გდია.
ქორო: „მაგრამ გოგრაში ეწია ტყვია,
და განგმირული გზაზედვე გდია“.

- მე ვფიქრობ ეს სიმღერა ლაქას სცხებს ჩვენს პროფესიას, - თქვა გაჯავრებით ლაქებიანმა ჯენტლმენმა, - გეკითხებით, რა ერქვა მაგ მეეტლეს?

- არავინ იცის, - მიუგო სემმა, - მას ჯიბეში არ ედო სადარბაზო ბარათი.

- მოგეხსენებათ, ბატონებო, მე პოლიტიკაში არ ვერევი, - განაგრძო ლაქებიანმა ჯენტლმენმა, - მაგრამ ახლა ვაცხადებ, რომ ეს სიმღერა აშკარად პოლიტიკურია, ესე იგი, ყალბია! გეუბნებით, ის მეეტლე არსად გაქცეულა. მან მამაცურად დალია სული, როგორც ჭეშმარიტ ვაჟკაცს შეჰფერის. ხმა, კრინტი! არ შემეპასუხოთ ტყუილად!

ლაქებიანი ჯენტლმენი ისე მტკიცედ და ენერგიულად ლაპარაკობდა და თანაც, თვით საკითხის ირგვლივ ისეთი ერთმანეთის საწინააღმდეგო აზრები გამოთქვა, რომ კვლავ აყალმაყალი ატყდა, რაც აშკარად ჩხუბს მოასწავებდა. ამ დროს, ბედზე, მისტერ უელერი და მისტერ პელი შემოვიდნენ ოთახში.

- ყოველივე ჩინებულად მოგვარდა, სემი, - მოახსენა შვილს მისტერ უელერმა.

- პოლიციელი აქ ოთხ საათზე მოვა, - დაუმატა მისტერ პელმა, - იმედია, ამ ხნის განმავლობაში არსად გაგვექცევით, ჰა, ჰა, ჰა, ჰა!

- იქნებ იმ დროისათვის ჩემს განრისხებულ მშობელს გული მოულბეს, - ღიმილით თქვა სემმა.

- ო, არა! - უარი სტკიცა უფროსმა უელერმა.

- გეხვეწები, ნუ დამღუპავთ, - შეევედრა შვილი.

- არაფრის დიდებით! - მიუგო ულმობელმა მშობელმა.

- ხელწერილს მოგცემთ, რომ თვეში ექვს პენსს გადაგიხდით, - შესთავაზა სემმა.

- არ მივიღებ, - მტკიცედ მიუგო უფროსმა უელერმა.

- ჰა, ჰა, ჰა! ჩინებულია, ჩინებული! - მოუწონა ორთავეს საქციელი სოლომონ პელმა და იქვე ანგარიში გამოწერა.

- სასეირო ამბავია, ჩემმა მზემ... ბენჯამინ, ეს ქვითარი გადაწერეთ, გეთაყვა! - აქ მისტერ პელმა ღიმილით უჩვენა მისტერ უელერს გამოწერილი თანხა.

- გმადლობთ, გმადლობთ, - თქვა მან, როდესაც უფროსმა უელერმა სათანადო რაოდენობის ქაღალდის გაქონილი ფული გადასცა: სამი გირვანქა და ათი შილინგი ერთი და ერთი გირვანქა და ათი შილინგი, მეორე; სულ - ხუთი გირვანქა.

- დიდად გმადლობთ, მისტერ უელერ. თქვენი შვილი ჭეშმარიტად ღირსეული ახალგაზრდაა, სერ. ასეთი ერთგულება ფრიად სასიქადულო თვისებაა ყმაწვილი კაცისათვის, ფრიად სასიქადულო! - დაუმატა მისტერ პელმა და ტკბილი ღიმილით გადახედა ფულს, რომელიც ის იყო, ჯიბეში შეინახა.

- აი, სეირი თუ გინდა, ესაა! - თქვა უფროსმა უელერმა და ჩაიხითხითა, - ღირსეულიო და მერე ვინ? წანწალა შვილი, ფულის ფანტვა რომ უყვარს.

- წანწალა კი არა, მაწანწალა, სერ, - მორიდებით შეუსწორა მისტერ პელმა.

- ნუ წუხდებით, სერ, - დინჯად მიუგო უფროსმა უელერმა, - მე ვიცი, რაცაა, სერ. როცა არ მეცოდინება, აი, მაშინ დაგეკითხებით, სერ.

ვიდრე პოლიციელი მოვიდოდა, სემმა ისეთი სიყვარული მოიხვეჭა დამსწრეთ შორის, რომ საკრებულომ ერთხმად გადაწყვიტა, ყველამ ერთად მივაცილოთ ციხემდეო. დანიშნულ დროზე ისინი გაემართნენ ფლიტისაკენ შემდეგი თანამიმდევრობით: წინ პოლიციელი მიდიოდა, უკან მოსარჩელე და მოპასუხე მიჰყვებოდნენ ხელგაყრილი; რვა ახოვანი მეეტლე კი ერთგულ მცველებად ზურგში მისდევდა მათ. სარჯენტ-ინის კართან პროცესია შეჩერდა, რომ კიდევ ერთხელ გაეგრილებინა პირი მაგარი სასმლით და როდესაც ესეც მოთავდა, ყველანი პირდაპირ ციხისაკენ გაემართნენ.

რვა ახოვანი ჯენტლმენის მხიარულებამ, რომელნიც მწკრივში ოთხ-ოთხი იდგნენ, ფლიტ-სტრიტზე ერთგვარი ხმაური გამოიწვია. ჯენტლმენები იძულებული გახდნენ, შუა გზაზე მიეტოვებინათ ერთ-ერთი მეგობარი, ლაქებიანი მეეტლე, რომელმაც გამვლელ ტვირთმზიდავს ჩხუბი აუტეხა. მეგობრები შეთანხმდნენ, დაბრუნებისას გზად გამოვუვლითო. ამ პატარა ინცინდენტის მეტი გზაში სხვა არაფერი მომხდარა.

როდესაც პროცესიამ ციხის კარს მიაღწია, მოსარჩელის მითითებით და მოპასუხის პატივსაცემად, ყველამ ერთხმად დაიძახა „ვაშაო“ და მერე თითოეულმა ახალ პატიმარს გულთბილად ჩამოართვა ხელი და დაემშვიდობა.

როდესაც სემი, წესის და რიგის მიხედვით, სამორიგეოში შეიყვანეს, მისტერ როკერის განცვიფრებას საზღვარი არ ჰქონდა. მუდამ უშფოთველი ნედიც კი დაიბნა. საქმე მალე გააფორმეს და სემიც პირდაპირ ბატონის ოთახისაკენ გაემართა. კარზე მიუკაკუნა.

- შემობრძანდით, - ხმა გასცა მისტერ პიკვიკმა.

სემი შევიდა, ქუდი მოიხადა და ბატონს მხიარულად გაუღიმა.

- სემ, ჩემო კარგო! - წამოიძახა მისტერ პიკვიკმა. მას მართლაც ძალიან ეამა თავისი ახალგაზრდა მეგობრის დანახვა, - წუხელ მგონი გაწყენინეთ, ჩემო მეგობარო, და მომიტევეთ, გეთაყვა. დადეთ ეგ ქუდი, სემ. ახლავე დაწვრილებით აგიხსნით, თუ რისი თქმაც მინდოდა გუშინ.

- არ შეიძლება, სერ, მერე რომ ამიხსნათ? - შეეკითხა მსახური.

- რატომაც არა, - მიუგო მისტერ პიკვიკმა, - მაგრამ, მითხარით, რატომ არ გინდათ, რომ ახლავე გითხრათ?

- სჯობს, მერე იყოს, სერ, - მიუგო სემმა.

- მაინც რატომ? - შეეკითხა მისტერ პიკვიკი.

- იმიტომ, რომ... - სემს ენა დაება.

- იმიტომ, რომ... - გაიმეორა მისტერ პიკვიკმა. მსახურის უცნაურმა ქცევამ ცოტა არ იყოს, გააკვირვა.

- იმიტომ, რომ, - განაგრძო სემმა, - ერთი საქმე მაქვს მოსაგვარებელი.

- რა საქმე? - დაინტერესდა მისტერ პიკვიკი.

- ო, ისეთი არაფერი, სერ, - მიუგო სემმა.

- მაშ, თუ ისეთი არაფერია, ჯერ ჩვენ ვისაუბროთ, - ღიმილით წარმოთქვა მისტერ პიკვიკმა.

- არა, სჯობს ამ საქმეს დაუყოვნებლივ მივხედო, - თქვა სემმა. თითქოს ყოყმანობდა და მალავდა რაღაცას.

მისტერ პიკვიკი გაოცდა, მაგრამ არაფერი უპასუხა.

- საქმე ისაა, - თქვა ბოლოს სემმა, ეტყობა, თავს ძალა დაატანა, - საქმე ისაა, რომ საწოლი უნდა ვიშოვო.

- საწოლი? - კვლავ გაოცდა მისტერ პიკვიკი.

- დიახ, ჩემთვის, სერ, - მიუგო სემმა, - მეც პატიმარი გახლავართ. ვალი ვერ გადავიხადე და დღეს დამაპატიმრეს.

- ვალი ვერ გადაიხადეთ? - წარმოთქვა მისტერ პიკვიკმა და მოწყვეტილივით ჩაეშვა სავარძელში.

- დიახ, სერ, - კვერი დაუკრა სემმა, - და იმ ადამიანმა, ვინც აქ ჩამსვა, დაიფიცა, რომ არ გაგათავისუფლებ, ვიდრე შენს ბატონსაც თან არ წამოიყვანო.

- ღმერთო, შენ შემიწყალე! - თქვა კვლავ მისტერ პიკვიკმა, - ეგ რაღას ნიშნავს?

- რაც გაიგონეთ, სერ, - მიუგო სემმა, - ორმოცი წელიც რომ გავიდეს, აქედან ფეხს არ მოვიცვლი. ძალიანაც მიხარია. ნიუ-გეტის ციხეც რომ ყოფილიყო, იმავეს ვიზამდი. უჰ, ეშმაკმა დასწყევლოს, როგორც იქნა, ვთქვი... საიდუმლო გაიხსნა, მორჩა და გათავდა!

ეს რომ თქვა, აღელვებულმა სემმა ქუდი იატაკზე ისროლა, დოინჯი შემოიყარა და შიგ თვალებში შეხედა ბატონს.

თავი XLIV

გვამცნობს სხვადასხვა ამბავს, რომელიც ფლიტში მოხდა; აღგვიწერს აგრეთვე მისტერ უინკლის უცნაურ საქციელს და მოგვითხრობს, ბოლოს და ბოლოს, როგორ გათავისუფლდა ციხიდან კანცლერის სასამართლოს პატიმარი

იმ სიყვარულმა და ერთგულებამ, რომელიც სემმა მის მიმართ გამოიჩინა, იმდენად აუჩუყა გული მისტერ პიკვიკს, რომ იგი არც გაუჯავრდა და არც დატუქსა მსახური იმ დაუფიქრებელი საქციელისათვის, რის გამოც ყმაწვილი მოვალეთა ციხეში მოხვდა, თანაც განუსაზღვრელი ვადით. მან მხოლოდ დაჟინებით მოსთხოვა, მევალის გვარი დამისახელეო, რაზედაც სემი არანაკლებ გაჯიუტდა და ცივი უარი სტკიცა.

- ეგ საქმეს მაინც ვერ უშველის, - კვლავ და კვლავ ამბობდა სემი, - ეგ ისეთი ბოროტი, ისეთი ღრძო, ისეთი ჯიუტი არსებაა, ცბიერი და გულქვა, რომელსაც ვერაფერი მოალბობს, როგორც ბრძანა კეთილმა მღვდელმა ერთი ჯენტლმენის შესახებ, რომელსაც წყალმანკი სჭირდა. იმ კაცმა თურმე გამოაცხადა, რომ მირჩევნია, ანდერძით ფული ისევ ჩემს ცოლს დავუტოვო, ვიდრე ეკლესიის ასაშენებლად გადავდოო.

- აბა, დაფიქრდი, სემ, - ცდილობდა დაერწმუნებინა მსახური მისტერ პიკვიკს, - თანხა არ არის დიდი და მისი გასტუმრებაც ადვილია. გადავწყვიტე, რომ ისევ ჩემთან დაგტოვოთ მსახურად და ახლა, მერწმუნეთ მეტ სარგებლობას მომიტანთ, ციხის გარეთ თუ დარჩით.

- დიდ მადლობას მოგახსენებთ, სერ, - ხუმრობის გარეშე მიუგო მისტერ უელერმა, - მაგრამ არ მინდა.

- რა არ გინდათ, სემ?

- არ მინდა თავი დავიმცირო და მოწყალება შევევედრო იმ უსინდისო მტერს.

- კი, მაგრამ მოწყალება რატომ იქნება, თუკი ფულს დაუბრუნებთ, სემ, - გაიკვირვა მისტერ პიკვიკმა.

- მაპატიეთ, სერ, - მიუგო სემმა, - სწორედ ეგ იქნებოდა უდიდესი მოწყალება, - ფული რომ ხელში ჩავუთვალოთ. ღირსი არაა. ასეა, სერ.

აქ მისტერ უელერმა შეამჩნია, რომ მისმა ბატონმა კოპი შეიკრა და გაბრაზებით მოისრისა ცხვირი. ამიტომ უმალვე შეცვალა საუბრის თემა.

- ასეა თუ ისე, არ შევცლი ჩემს გადაწყვეტილებას პრინციპის გამო, სერ, - წარმოთქვა სემმა, - თქვენც ხომ ასე მოიქეცით. მართალი გითხრათ, ახლა ორივე იმ კაცს ვგავართ, რომელმაც თავი მოიკლა და პრინციპს კი არ გადაუხვია. მაგის შესახებ, რა თქმა უნდა, გაგიგონიათ, სერ! მისტერ უელერი დადუმდა და ალმაცერად გადახედა ბატონს.

- არავითარი „რა თქმა უნდა“, სემ, - შენიშნა მისტერ პიკვიკმა და უნებურად გაეღიმა, - მაგ ჯენტლმენის შესახებ ჯერ არაფერი მსმენია.

- ნუთუ არ გაგიგონიათ, სერ? - წამოიძახა სემმა, - ძალიან მიკვირს, სერ, სახელმწიფო მოხელე გახლდათ.

- მართლა? - გაიოცა მისტერ პიკვიკმა.

- დიახ, სერ, - კვერი დაუკრა მისტერ უელერმა, - და ძალიან სასიამოვნო კაციც იყო, ზედმიწევნით ზუსტი, კეთილსინდისიერი, გონიერი; ერთ-ერთი იმ კაცთაგანი, რომელიც წვიმიან ამინდში ფეხებს რეზინის სახანძრო ვედროში ჩაჰყოფს, არ და-

მისველდესო და გულში კურდღლის ტყავების მეტს არაფერს ჩაიკრავს. იგი პრინციპის გამო აგროვებდა ფულს, პრინციპის გამო იცვლიდა პერანგს ყოველდღიურად. ნათესავებს არ ელაპარაკებოდა, ესეც პრინციპის გამო, რადგან ეშინოდა, ფული არ მომთხოვონო. ერთი სიტყვით, საუცხოო ჯენტლმენი გახლდათ, პრინციპის გამო ორ კვირაში ერთხელ იკრეჭდა თმას. რაც შეეხება ჩაცმა-დახურვას, ეკონომიის პრინციპის თანახმად, იჯარით იღებდა წელიწადში სამ კოსტიუმს, ხოლო ძველებს ისევ მაღაზიას უგზავნიდა, რადგან ზედმიწევნით ზუსტი იყო ყველაფერში, მუდამ ერთსა და იმავე ადგილას სადილობდა, იქ, სადაც თითო სულზე სადილი ერთი შილინგი და ცხრა პენსი ჯდება. სადილიდან, რა თქმა უნდა, ნამცეცსაც არ ტოვებდა, სულ ერთი შილინგისა და ცხრა პენსისას ჭამდა, როგორც ამბობდა ხოლმე ხშირად მეიხანის მეპატრონე და ცრემლებად იღვრებოდა. ჩემთვის ეგ დიდი ზარალია, - იტყოდა იგი, - რადგან დღეში ოთხპენს-ნახევარი მარტო ბუხრის გახურებაზე მეხარჯებაო. შეგეცოდებოდათ რომ შეგეხედათ, ისეთ დღეში იყო. რომ იცოდეთ, რა დიდგულზე იყო ის კლიენტი! „მომართვით „პოსტი“, ის ჯენტლმენი რომ წაიკითხავს“, - ბრძანებდა იგი ყოველდღე, როგორც კი დარბაზში შემოდგამდა ფეხს. „მიხედეთ „ტაიმსს“, თომას; მომეცით, გადავხედავ „მორნინგ ჰერალსაც“, როდესაც გათავისუფლდება; არ დაგავიწყდეთ, ჯერი დამიკავეთ „ქრონიკლზედაც“ და მომიტანეთ „ადვერტაიზერი“. მერე იჯდა გარინდებული და საათს არ აშორებდა თვალს. დანიშნულ დრომდე წუთის მეოთხედი რომ დარჩებოდა, ქუჩაში გავარდებოდა და დაუდარაჯებდა ბიჭს, რომელსაც საღამოს გაზეთი მოჰქონდა. ამ გაზეთს ისე დიდხანს კითხულობდა, გულისყურითა და ინტერესით, რომ სხვა მკითხველები ლამის გიჟდებოდნენ. განსაკუთრებით ირეოდა ერთი ფხუკიანი ჯენტლმენი; ასეთ შემთხვევაში

მაგას ლაქია ყარაულობდა, რომ გაბრაზებულს იმ კაცისათვის ხორცის საჭრელი დანა არ ესროლა თავში. ჰოდა, ჩემო ბატონო, ჩვენს ჯენტლმენს მეიხანაში მუდამ საუკეთესო ადგილი ეკავა, მთელი სამი საათის განმავლობაში, ყოველ ცისმარე დღეს. საღილის შემდეგ არაფერს სვამდა, სთვლემდა ტკბილად. მერე ყავახანაში გადავიდოდა, რომელიც იქვე მახლობელ ქუჩაზე იყო და იქ მიირთმევდა ყავით სავსე პატარა ყავადანსა და ოთხ ცალ ხავიწს. მერე სახლში მიდიოდა, კენსინგტონში და იძინებდა. ერთ საღამოს მძიმედ გახდა ავად. კაცი გაგზავნა ექიმის მოსაყვანად. ექიმი მობძანდა მწვანე კარეტით, რომელსაც მისადგამი კიბე ჰქონდა. ზუსტად ისეთი, რობინზონ კრუზომ რომ გაიკეთა თავისთვის. ამ კიბეს ექიმი თვითონვე ჩამოუშვებდა, გადმოსვლა რომ უნდოდა და შიგ რომ ჩაჯდებოდა, კვლავ შეინახავდა ისე, რომ მეეტლეს აღარ სჭირდებოდა კოფოდან ჩამოსვლა და დახმარება. ამ მეეტლემ მთელი ხალხი გააბრიყვა: აქაოდა, ძირს არ მიხდება ჩამოსვლაო. ლივრეა ერთი ეცვა, შარვალი კი სხვა. „რა მოხდა?“ - ეკითხება ექიმი. „ძალიან ავად ვარ“, - პასუხობს პაციენტი. „დღეს რა ჭამეთ?“ - ეკითხება ექიმი. - „შემწვარი ხბოს ხორცი“, - უპასუხებს პაციენტი. - „ბოლოს რა ჭამეთ?“ - ეკითხება ექიმი. „ხავიწი“, - უპასუხებს პაციენტი. - „აი, რაში ყოფილა საქმე, - ამბობს ექიმი. - ახლავე კოლოფით აბებს გამოგიგზავნით და ამიერიდან, - ამბობს ექიმი, - პირი არ დააკაროთ“. „რას არ დავაკარო? - ეკითხება პაციენტი, - აბებს?“ „არა, ხავიწს“, - პასუხობს ექიმი. „როგორ თუ! - წამოიძახა ავადმყოფმა და ლოგინში შეხტა, - თხუთმეტი წლის განმავლობაში პრინციპის გულისათვის ოთხ ხავიწს ვჭამდი დღეში“. „მაშ, ნუღარ შეჭამთ აწი, ესეც პრინციპის გულისათვის იყოს“, - ეუბნება ექიმი. „ხავიწი ძალიან მავნეა, სერ,“ - ხაზგასმით პასუხობს ექიმი. „ძალიან იაფიცაა, - ამბობს პაციენტი უფრო დაბალი ხმით, - და ძა-

ლიან ნოყიერიც. თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ ასე იაფია“. „იცოდეთ, ეგ სიიაფე თქვენ ძვირად დაგიჯდებათ, მაშინაც კი, მაგის საფასური აქით რომ გიხადონ, - ამბობს ექიმი, - ოთხი ხავიწი კაცს ერთ დღეში გაათავებს, თქვენ კი ბევრი-ბევრი, ნახევარ წელს გაძლოთ“. პაციენტი ერთხანს სახეში მისჩერებია, ფიქრობს, ფიქრობს და ბოლოს ამბობს: „დაწმუნებული ხართ, რომ ასე იქნება, სერ?“ „პატიოსან სიტყვას გაძლევთ“, - პასუხობს ექიმი. „რას იტყოდით, სერ, რამდენი ხავიწი დამჭირდებოდა, ერთბაშად რომ გამათავოს?“ - ეკითხება პაციენტი. „ზუსტად ვერ გეტყვით“, - პასუხობს ექიმი. „ნახევარი კრონის ხავიწი რომ ვიყიდო, მეყოფა?“ - ეკითხება პაციენტი. „მე მგონი, გეყოფათ“, - პასუხობს ექიმი. „სამი შილინგისა ხომ ნამდვილად მეყოფა?“ - ეკითხება პაციენტი. „რა თქმა უნდა“, - ამბობს ექიმი. „დიდად გმადლობთ, - ამბობს პაციენტი, - ღამე ნებისა“. დილით ადგა, ბუხარი დაანთო, მოატანინა სამი შილინგის ხავიწი, შეწვა, შეჭამა და ტყვია იკრა თავში.

- კი მაგრამ, ეგ რაღად ჩაიდინა? - წამოილუღლუღა მისტერ პიკვიკმა, რომელიც გაოგნებული შეაჩერდა მსახურს ამბის ტრაგიკული დასასრული რომ მოისმინა.

- რაღად ჩაიდინა? - გაიმეორა სემმა, - უნდოდა დაემტკიცებინა თავისი პრინციპის ჭეშმარიტება, რომ ხავიწი მავნე კი არა, ძალიანაც მარგებელია, თანაც ამით ისიც დაამტკიცა, რომ იცოდეთ, მე არავის ჭკუაზე არ გამივლია და არც ვივლიო.

ამგვარი ამბებით ართობდა და სიტყვას ბანზე უგდებდა მისტერ უელერი თავის ბატონს იმ საღამოს, როდესაც ფლიტის ციხეში ჩასვეს. არავითარმა ხვეწნა-მუდარამ არ გაჭრა. ბოლოს მისტერ პიკვიკმა მსახურს ნება დართო, კუთხე დაექირავებინა მელოტი ხარაზის ოთახში, რომელიც ზემო სართულის ერთ-ერთ დერეფანში იყო მოთავსებული. ამ პაწია სადგომში გადაიტანა

მისტერ უელერმა საწოლი, რომელიც მისტერ როკერისაგან იჯარით აიღო. საწოლი გაიწყო და ისე შინაურულად მოიკალათა, თითქოს ციხეში ყოფილიყოს დაბადებული და მთელ მის გვარეულობას თუ არა, წინა სამ თაობას მაინც აქვე ეცხოვროს.

- ძილის წინ მუდამ ეწევით, მხცოვანო მამალო? - ჰკითხა მისტერ უელერმა ოთახის პატრონს, როცა საწოლში ჩაწვნენ.

- დიახ, ვეწევი, ჩემო მამლაყინწა, - მიუგო ხარაზმა.

- ერთი მითხარით, რატომ გაიშალეთ ლოგინი მაინცდამაინც ამ ფიჭვის მაგიდის ქვეშ? - ჰკითხა სემმა.

- იმიტომ, რომ ვიდრე აქ მოვიდოდი, ისეთ საწოლში ვიწექი, რომელსაც ოთხივე მხარეს ბოძები ჰქონდა შეყენებული. მერე დავრწმუნდი, რომ ამისთვის მაგიდის ფეხებიც გამოდგება, - მიუგო ხარაზმა.

- ფრიად ორიგინალური გემოვნება გქონიათ, სერ, - თქვა სემმა.

- ეს ერთი მაგიდა მაქვს, - მიუგო ხარაზმა და თავი გაიქნია, - თქვენც გინდათ?.. თუ აქ ვეღარ იშოვით, იქნებ კანცელარიაში მაინც ჰქონდეთ.

სიტყვათა ზემოხსენებული გაცვლა-გამოცვლა დაიწყო მაშინ, როდესაც მისტერ უელერი თავის ლეიბზე გაიშხლართა განცხრომით ოთახის ერთ კუთხეში, ხოლო ხარაზი კი თავის ლეიბზე ოთახის მეორე კუთხეში. ოთახს ანათებდა ერთადერთი ლერწმის სანთელი და ხარაზის ჩიბუხი, რომელიც ნაკვერჩხალივით ელავდა მაგიდის ქვეშ.

ამ მოკლე საუბრის შედეგი ის გახლდათ, რომ მისტერ უელერს აშკარად თვალში მოუვიდა ოთახის პატრონი. იგი ლოგინზე წამოიწია, იდაყვს დაეყრდნო და გულდასმით შეათვალიერა ახალი ნაცნობი, რისთვისაც აქამდე არც ეცალა და არც სურვილი ჰქონდა.

ეს იყო მოხუცი კაცი, ძალიან ფერმკრთალი, ბანჯგვლიანი წვერით. ფერიცა და წვერიც ხარაზებს ჩვეულებრივ ასეთი აქვთ. მეტად უშნო, მაგრამ კეთილ სახეს თვალები ამშვენებს.ეტყობა, ისინი ოდესღაც ძალიან მხიარული და სიცოცხლით სავსე იყო, რადგან ახლაც ეშმაკურად ელავენ. მოხუცი სამოცის იქნებოდა. თუმცა, ვინ იცის, ციხემ და ამდენმა გაჭირვებამ ადრიანად დააბერა, წლები შემატა. ამიტომ გიკვირდათ, როგორღა შერჩა ამ კაცს სახეზე მხიარული და კმაყოფილი გამომეტყველება. ისე-დაც ჩია იყო, ახლა კი ლოგინში ისე მოკრუნჩხულიყო, გეგონე-ბოდათ, ფეხები არა აქვსო. პირში დიდი, წითელი ჩიბუხი ეკავა; ეწეოდა მას და კაცს შეშურდებოდა, ისე მშვიდად მისჩერებოდა სანთელს. ერთხანს ორივე დუმდა.

- დიდი ხანია, რაც აქ ხართ? - ჰკითხა სემმა.

- თორმეტი წელია, - მიუგო ხარაზმა ისე, რომ ჩიბუხი პირი-დან არ გამოუღია.

- სასამართლოს არ დაემორჩილეთ?

თანხმობის ნიშნად ხარაზმა თავი დაუქნია.

- კი, მაგრამ, - მკაცრად დასძინა სემმა, - რატომ ჯიუტობთ და თავს იღუპავთ ტყუილუბრალოდ ამ გომურში? სჯობს, დაუთმოთ, მოახსენეთ იმ ლორდ-კანცლერს, თუმცა თქვენი სასამართლო არ არის ღირსი პატივისცემის, მაგრამ დანაშაულს ვნანობ და მეტს აღარ ვიზამ-თქო.

ხარაზმა ჩიბუხი პირის ერთი კუთხისაკენ გადასწია, მხიარუ-ლად გაიღიმა, მერე ჩიბუხი ისევ შუისაკენ გადმოსწია, მაგრამ არაფერი თქვა.

- არა, მითხარით, რატომ ასე არ აკეთებთ? - დაჟინებით ჩაეკითხა სემი.

- რაო? - ხმა გასცა ხარაზმა, - გეტყობათ, ამისთანა საქმისა ბევრი არაფერი გაგეგებათ. რა გგონია, მე რამ დამღუპა?

- მე მგონი, - სემმა სანთელს ნამწვი მოაძრო, - მე მგონი, ვალი დაგედოთ?

- არასოდეს არც ერთი კაპიკი არ მისესხია, - მიუგო ხარაზმა, - სხვა მიზეზი გამონახეთ.

- მაშინ უთუოდ სახლებს ყიდულობდით, რასაც, ისე ზრდილობიანად რომ ვთქვათ, ჭკუათმყოფელი ადამიანი არ იზამს, - თქვა სემმა, - ან იქნებ სახლებს აშენებდით, რაც სამედიცინო ენით რომ ვთქვათ, ნიშნავს: სამუდამოდ დავკარგე იმედი, რომ მოვრჩებიო.

ხარაზმა კვლავ გაიქნია თავი და თქვა:

- კიდევ რამე გამონახეთ.

- იმედი მაქვს, დავის ამბავი არაა? - ეჭვით იკითხა სემმა.

- არა, არასოდეს მქონია, - მიუგო ხარაზმა, - საქმე ისაა, ჩემო ყმაწვილო, რომ დამღუპა ფულმა, რომელიც ანდერძით დასტოვეს.

- სისულელეა! - წამოიძახა სემმა, - მაგას ვინ დაგიჯერებთ? ნნეტავ, მეც მყოლოდა ეგეთი მდიდარი მტერი, რომელიც მოინდომებდა, ამნაირად დაეღუპა ჩემი თავი. მერწმუნეთ, ხელს არ შევუშლიდი.

- ო, გეტყობათ არა გჯერათ, რაც მე მოგახსენეთ, - შენიშნა ხარაზმა და მშვიდად გააბოლა ჩიბუხი, - მე რომ თქვენ ადგილას ვიყო, არც მე დავიჯერებდი და მართალი კი მოგახსენეთ.

- როგორ მოხდა? - დაინტერესდა სემი. სადღაც გულის კუნჭულში იგრძნო, რომ კაცი მართალს ამბობდა, ისეთი დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მასზე ხარაზმა.

- როგორ და ასე, - მიუგო ხარაზმა, - იმ დროს ერთ მოხუც ჯენტლმენს ვიცნობდი. წლების განმავლობაში ფეხსაცმელს ვუკერავდი; მერე მისი ღარიბი ნათესავი შევირთე. საწყალი ქალი

გარდაიცვალა, ღმერთმა დალოცოს მისი ნეტარი სული! ჰოდა, ერთხელ ამ ჯენტლმენს დამბლა დაეცა და თქვენი ჭირი წაიღო.

- სად? - ჰკითხა სემმა, რომელსაც, მთელი დღის ამბებით დაქანცულს, ძალიან ეძინებოდა.

- აბა, მე საიდან მეცოდინება, სად, - მიუგო ხარაზმა და კვლავ განცხრომით გააბოლა ჩიბუხი, - უთუოდ საიქიოს მოხვდა.

- მერე რა მოხდა?

- ჰოდა, - განაგრძო ხარაზმა, - ანდერძით მან ხუთი ათასი გირვანქა დატოვა.

- ფრიად კეთილშობილი ჯენტლმენი ყოფილა, - სიტყვა ჩაურთო სემმა.

- ნაწილი მე დამიტოვა, - განაგრძო ხარაზმა, - იმიტომ დამიტოვა, წეღან ხომ მოგახსენეთ, ცოლად მისი ნათესავი მყავდა.

- კეთილი და პატიოსანი, - ჩაიბურტყუნა სემმა.

- რადგან მას გარშემო ეხვია დისწულებისა და ძმისწულების მთელი ხროვა, რომლებმაც ფულის გულისთვის ლამის ერთმანეთი დაჭამეს, მოხუცმა მევე დამნიშნა ანდერძის აღმსრულებლად, ესე იგი, დანარჩენი ოთხი ათასიც მინდობილობით დამიტოვა, რომ თანხა ისე გამენაწილებინა შემდეგ, როგორც ანდერძში იყო მოხსენებული.

- ეს რაღას ნიშნავს, „მინდობილობით დამიტოვა?“ - შეეკითხა სემი მძინარე ხმით, - ეგ თუ ნაღდი ფული არაა, მაშ, რა ხეირია მაგათში?

- ეს იურიდიული ტერმინია მხოლოდ, - აუხსნა ხარაზმა.

- არა მგონია, ეგ შველოდეს საქმეს, - თქვა სემმა და თავი გაიქნია, - ასეთ დუქანში, აბა, ვინ ვის ენდობა, შენი ჭირიმე. განაგრძეთ, გეთაყვა.

- მაშ, ასე, - თქვა ხარაზმა, - როდესაც მინდოდა, ანდერძი დამემტკიცებინა, ძმისწულებმა და დისწულებმა, რომლებსაც გული დასწყდათ, მთელი ფული რომ მათ არ ერგოთ, caveat შექმნეს.

- ეგ რაღაა? - იკითხა სემმა.

- ესეც იურიდიული ხრიკია. ეგ ნიშნავს, რომ ვთქვათ: „შეჩერდი“!

- მესმის, - თქვა სემმა, - ჰაბის კორპუსის ნათესავი ყოფილა. მერე?

- როდესაც ეს ნათესავები დარწმუნდნენ, რომ ვერ მორიგდებიან, - განაგრძო ხარაზმა, - და, რა თქმა უნდა, ანდერძშიც ვერ შემომედავებიან, ის caveat უკან დაიბრუნეს. მეც მემკვიდრეობით დატოვებული ქონება გავანაწილე. ძლივს მოვასწარი ამის გაკეთება, რომ ერთ-ერთმა ძმისწულმა საქმე აღძრა ანდერძის გაუქმების შესახებ. გავიდა რამდენიმე თვე და საქმე გადაეცა ერთ ბებერ, ბრიყვ ჯენტლმენს, უკანა ოთახში რომ ზის, სადღაც პოლიზ-ჩერჩიარდზე. ოთხი ვექილი დაესია, დღეში თითო შედიოდა და გულს უწყალებდა. ბოლოს, საქმე რომ გაარჩიეს, განაჩენი გამოიტანეს: - ანდერძის დამწერი სრულ ჭკუაზე არ იყო და ამიტომ მე, როგორც მისი ნების აღმსრულებელი, ვალდებული ვარ დავაბრუნო მთელი თანხა და დავფარო აგრეთვე სასამართლოს ხარჯები. ეს გადაწყვეტილება გავასაჩივრე, რა თქმა უნდა. ახლა საქმე გადასცეს სამსა თუ ოთხ ჯენტლმენს, რომელნიც სულ სთვლემდნენ. მათ ეს საქმე პირველ სასამართლოზე მოისმინეს, იქ სამთავე მეკანონეებად ითვლებიან, მაგრამ ყოველდღიური სამუშაო არა აქვთ; განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ იქ მათ დოქტორებს უწოდებენ, აქ კი - დელეგატებს. არ ვიცი, გამიგეთ თუ არა. მათ თავი არ გაუცხელებიათ; უთუოდ იფიქრეს, უზრდელობა იქნება, ჩვენ რომ სასამართლოს დადგენილება შევცვალოთო და, ამიტომ მათ მოხუცი ჯენტლმენის გა-

დაწყვეტილება დაამტკიცეს. ამის შემდეგ კანცლერის სასამართლოში გადავიტანე საქმე. დღესაც იქ არის და ვინ იცის, იქნებ იქ დარჩეს სამუდამოდ. ერთ-ერთი ათასი გირვანქა, რომელიც მერგო, დიდი ხანია, ჩემს ვექილებს დავახარჯე, თვით ქონება კი, ასე ამბობენ კანონის მსახურნი და ხარჯებიც, ათი ათას გირვანქად შეაფასეს. ააი, რატომ ვზივარ ამ ციხეში. ალბათ სიკვდილამდე ასე ვიჯდები და ფეხსაცმელს ვაკერებ. ერთ-ერთმა პარიკოსანმა თქვა კიდეც, ეს საკითხი პარლამენტში უნდა დავსვათო და ალბათ ასეც მოიქცეოდა, მაგრამ ვერ იქნა, ვერ მოიცალეს, რომ ჩემთან მოსულიყვნენ. მეც, მოგეხსენებათ, ვერ მივედი მათთან... ასეთი გახლავთ საქმის ჭეშმარიტი ვითარება. არც მეტი და არც ნაკლები. ეს ამბავი ორმოცდაათმა კაცმა მაინც იცის დაწვრილებით ციხეში და ციხის გარეთაც.

ხარაზი გაჩუმდა, უნდოდა გაეგო, თუ რა შთაბეჭდილება მოახდინა მისმა ნაამბობმა სემზე, მაგრამ შენიშნა, რომ მის მოსაუბრეს ტკბილად ეძინა. მოხუცმა ამოიოხრა, ჩიბუხიდან ნაცარი დაფერთხა აუჩქარებლივ და თავზე საბანი წაიხურა. მალე ჩაეძინა.

მეორე დილას, ვიდრე სემი ხარაზის ოთახში წმენდდა ბატონის ფეხსაცმელსა და შავ პაჭიჭებს, მისტერ პიკვიკი მარტო საუზმობდა თავის ბინაზე.

უეცრად კარზე კაკუნი გაისმა.

მისტერ პიკვიკმა ვერც კი მოასწრო დაძახება, „მობრძანდითო“, რომ კარის ჭრილში გამოჩნდა წვერიანი თავი, რომელსაც ხავერდის ქუდი ამშვენებდა. ამ თავსაბურით მასპინძელმა უმალვე იცნო წინაღამის ნაცნობი, მისტერ სმაგლი.

- როგორ ბრძანდებით? - ჰკითხა მასპინძელმა, ამ ღირსშესანიშნავმა პიროვნებამ და ათჯერ მაინც დაუქნია თავი სალმის ნიშნად, - ამ დილით ხომ არავის ელით? ქვემოთ სამმა

მორთულ-მოკაზმულმა ჯენტლმენმა გიკითხათ და ქვედა სართულის ყველა კარს მიუკაკუნეს. ამისთვის კარგადაც მოხვდათ იმ მდგმურებისაგან, რომელთაც არ დაეზარათ და კარი გაუღეს.

- ღმერთო ჩემო, ეგ რა მესმის? - წამოიძახა მისტერ პიკვიკმა და წამოდგა, - ეს უთუოდ ჩემი მეგობრები არიან; მე მათ გუშინ ველოდი.

- თქვენი მეგობრები! - შესძახა სმაგლმა და მისტერ პიკვიკს ხელი სტაცა, - ხმა, კრინტი! ეშმაკმა დამწყევლოს, თუ ამ წუთიდან ისინი ჩემი მეგობრებიც არ იყვნენ. მისტერ მაივინზის მეგობრებიც. რომ იცოდეთ, რა დიდებული კაცია ეგ მუტრუკი მაივინზი; ხომ ასეა? - დაუმატა გრძნობამორეულმა სმაგლმა.

- მაგ ჯენტლმენს კარგად არ ვიცნობ, - ყოყმანით მიუგო მისტერ პიკვიკმა, - ამიტომ მე...

- მივხვდი, მივხვდი, - სიტყვა გააწყვეტინა სმაგლმა და მისტერ პიკვიკს მხარში ჩააფრინდა, - მალე, სულ მალე ახლოსაც გაიცნობთ. მერწმუნეთ, აღტაცებული დარჩებით... ეს ნამდვილი ადამიანია, სერ; ისეთი მასხარაა, რომ დრური-ლეინის თეატრშიაც გამოდგებოდა.

- მართლა? - ხმა გასცა მისტერ პიკვიკმა.

- იუპიტერს გეფიცებით, რომ ასეა! - წამოიძახა სმაგლმა, - ნეტავ ერთი ნახოთ, ურიკაში შებმულ ოთხ კატას როგორ აჯავრებს, ოთხ კატას, სერ, გეფიცებით სინდისს. არა, გესმით თუ არა, რომ სეირია! ეშმაკმა დამწყევლოს, თუ თქვენ ძალიან არ შეგიყვარდეთ ეგა, უფრო კარგად რომ გაიცნობთ. რა ნიჭიერია, რა ოხუნჯი. ერთი სისუსტე სჭირს მხოლოდ, პატარა, უმნიშვნელო, რომლის შესახებ ერთხელ უკვე მოგახსენეთ.

აქ მისტერ სმაგლმა ისე მეტყველად გააქნია თავი, რომ მისტერ პიკვიკი მიხვდა, თანაგრძნობის ნიშნად რამე უნდა ვთქვაო.

- ოო! - თქვა მან და მოუთმენლად გადახედა კარს.

- ოო! - აჰყვა მას მისტერ სმაგლი და ამოიოხრა, - მეგობრად ნუღა იკითხავთ, ისეთი მეგობარია, რომ უკეთეს ვერ ნახავს კაცი, სერ. მაგრამ ერთი ნაკლი აქვს. პაპამისის აჩრდილიც რომ მოევლინოს ამწამს, იმისგანაც ფულს ისესხებს თამასუქით.

- ნუთუ მართლა? - წამოიძახა მისტერ პიკვიკმა.

- დიახ, - დაუდასტურა მისტერ სმაგლმა, - მას რომ შეეძლოს, მეორედაც გამოიძახებდა სულს, ასე ორი-სამი თვის შემდეგ, რომ თამასუქის ვადა გაეგრძელებინა.

- ამ ჯენტლმენს მართლაც ღირსშესანიშნავი თვისებები ჰქონია, - შენიშნა მისტერ პიკვიკმა, - მაგრამ, ვიდრე ჩვენ აქ ვსაუბრობთ, ვაითუ ჩემი მეგობრები დამეძებენ ახლა და დარდით აღარ იციან, რა ქნან.

- მე მოვაცილებ მაგათ, - შესთავაზა სმაგლმა და კარისაკენ გაემართა, - ნახვამდის. ვიდრე ეგენი აქ იქნებიან, აღარ შეგაწუხებთ. ნახვამდის.

უკანასკნელი სიტყვა რომ წარმოთქვა, სმაგლი უეცრად შეჩერდა, კარი, რომელიც, ის იყო, გააღო, კვლავ მოხურა, ფეხის წვერებით მიუახლოვდა მისტერ პიკვიკს და ყურში ჩასჩურჩულა:

- კვირის ბოლომდე ნახევარ კრონს ვერ მასესხებთ?

მისტერ პიკვიკმა ღიმილი ძლივს შეიკავა. უსიტყვოდ ამოიღო ჯიბიდან ფული და მისტერ სმაგლს ჩაუდო ხელში. ამაზე ხსენებულმა ჯენტლმენმა მრავალჯერ დაუკრა თავი და ჩაუკრა თვალი იმის ნიშნად, რომ ამ საიდუმლოს არავის გავუმხელო. მერე მოტრიალდა და სამი მეგობრის მოსაყვანად წავიდა. მართლაც, არ გასულა დიდი ხანი, რომ სამივე მისტერ პიკვიკთან შემოიყვანა. აქ სმაგლმა სამჯერ ჩაახველა და ამდენჯერვე თავი დაუკრა მასპინძელს, ამით ანიშნა, რომ არ დამავიწყდება და ფულს დროზე დაგიბრუნებთო. მერე ყველას გულთბილად ჩამოართვა ხელი და წავიდა.

- ჩემო ძვირფასო მეგობრებო, - მიმართა მოსულებს მისტერ პიკვიკმა და ჯერჯერით ჩამოართვა ხელი მისტერ ტაპმენს, მისტერ უინკლსა და მისტერ სნოდგრასს, - თქვენი ნახვა ძალიან გამიხარდა.

სამივეს გული აუჩუყდა. მისტერ ტაპმენმა ნაღვლიანად გააქნია თავი, მისტერ სნოდგრასმა ჯიბიდან ცხვირსახოცი ამოიღო, მისტერ უინკლი კი ფანჯარასთან განერიდა და მძიმედ ამოიოხრა.

- დილა მშვიდობისა, ბატონებო, - მიესალმა სტუმრებს სემ უელერი, რომელიც ოთახში შემოვიდა. ხელში ფეხსაცმელები და პაჭიჭები ეკავა, - ნუ ჩამოუშვით ცხვირი, ასე თქვა ერთმა ბიჭუნამ, როდესაც მასწავლებელი გარდაეცვალა. თქვენს მობრძანებას გაუმარჯოს ამ წმინდა სამყოფელში, ბატონებო.

- ღმერთმანი, ეს კაცი თავის ჭკუაზე არაა, - განაცხადა მისტერ პიკვიკმა და თავში წამოარტყა მსახურს, როდესაც მან ჩაიმუხლა, რომ ბატონისათვის პაჭიჭები შეეკრა, - ამ ჭკუათამყოფელმა თავი დააჭერინა, რომ ჩემთან დარჩენილიყო.

- რა თქვით? - ერთხმად წამოიძახა სამივე მეგობარმა.

- დიახ, ბატონებო, - დაადასტურა სემმაც, - მე... ნუ ინძრევით, გეთაყვა, სერ... მე პატიმარი გახლავართ, ბატონებო. - მომიარა, როგორც ბრძანა ერთმა მშობიარემ.

- პატიმარი! - რატომღაც ძალიან აღელდა მისტერ უინკლი.

- ჰელო, სერ! - მიმართა მას სემმა და თავი ასწია, - რა მოხდა?

- მე იმედი მქონდა, სემ, რომ... არაფერი, არაფერი, - თითქოს ძალით დასცდა მისტერ უინკლს.

მისტერ უინკლს ისე უცნაურად ეჭირა თავი, ისე ღელავდა, ყვითლდებოდა და წითლდებოდა, რომ მისტერ პიკვიკმა უნებლიეთ თავის მეგობრებს გადახედა, იქნებ მათ მაინც ამიხსნან, რა დაემართა უინკლსო.

- ჩვენ არაფერი ვიცით, - ხმამაღლა მიუგო მისტერ ტაპმენმა ამ უსიტყვო კითხვას, - ბოლო ორ დღეს ძალიან აღელვებულია, ვერ ისვენებს. კიდევაც ვიფიქრეთ, რაიმე ცუდი ხომ არ დაემართა-მეთქი; ვკითხეთ, მაგრამ თვითონ გადაჭრით გვითხრა უარი, არაფერიაო.

- არა, არაფერი, - ჩაერია საუბარში მისტერ უინკლი და მისტერ პიკვიკს თვალებში რომ ჩახედა, ჭარხალივით გაწითლდა, - მერწმუნეთ, არაფერი მომხდარა, არაფერი, ჩემო ძვირფასო სერ. რამდენიმე დღით ქალაქიდან უნდა წავიდე, ერთი საქმე უნდა მოვაგვაროთ. მინდოდა თქვენთვის მეთხოვა, სერ, რომ ნება მიგეცათ სემისათვის, თან წამომყოლოდა.

მისტერ პიკვიკი კიდევ უფრო გაოცდა.

- მე მგონი, - ბორძიკით დასცდა მისტერ უინკლს, - მე მგონი... არც სემი იტყოდა უარს; ახლა კი ეს შეუძლებელია, რადგან დაპატიმრებულია. ისევ მარტო წავალ და ეგ იქნება.

როდესაც მისტერ უინკლმა ეს სიტყვები წარმოთქვა, მისტერ პიკვიკმა იგრძნო, რომ სემს, რომელიც პაჭიჭებს უკრავდა, თითები აუკანკალდა. მისტერ უინკლი გაჩუმდა თუ არა, სემს გადახედა. სემმაც შეხედა. ეს შეხედვა წუთიერი იყო, მაგრამ, ეტყობა, ორთავემ გაუგო ერთმანეთს.

- სემ, თქვენ რა იცით ამის შესახებ? - სწრაფად ჩაეკითხა მისტერ პიკვიკი.

- არაფერი, სერ, - უპასუხა სემმა და, ვითომ აქ არაფერიაო, გულმოდგინედ განაგრძო პაჭიჭების შეკვრა.

- მართლა არაფერია, სემ? - დაჟინებით ჩაეკითხა კვლავ მისტერ პიკვიკი.

- მე იმას მოგახსენებთ, სერ, - მიუგო სემმა, - რომ ჯერჯერობით არაფერი ვიცი. კიდევაც თუ ეჭვი მაქვს და თითქოს რაღაცას მივხვდი, - დაუმატა სემმა და კვლავ მისტერ უინკლს გადახედა, -

ვერც მივცემ ჩემს თავს ნებას, რომ ხმამაღლა ვთქვა, ვაითუ, ვცდებოდე.

- მე კი არავითარი უფლება არა მაქვს, ჩემი მეგობრის პირად საქმეში ჩავერიო, თუნდაც ეს მეგობარი ძალიან ძვირფასი და ახლობელი იყოს ჩემთვის, - კარგა ხნის დუმილის შემდეგ თქვა მისტერ პიკვიკმა, - ერთ რამეს კი მოგახსენებთ. ამ საქმის არაფერი მესმის. მორჩა, ამის შესახებ მეტს ნუღარას ვიტყვით.

გამოთქვა თუ არა ეს აზრი, მისტერ პიკვიკმა საუბრის თემა შეცვალა და მისტერ უინკლიც ცოტა დამშვიდდა.

სალაპარაკო ოთხივეს ბევრი ჰქონდა. იმდენ საკითხზე იმსჯელეს და იბაასეს, რომ დილა სწრაფად მიიწურა. სამ საათზე სემმა ცხვრის შემწვარი ბარკალი და ვეებერთელა პაშტეტი შემოიტანა, რომელიც იქვე პატარა მაგიდაზე დადო. ბოსტნეულით სავსე თეფში და ლუდით სავსე ტოლჩები სკამებსა და დივანზე დააწყო. ამის დანახვაზე ყველამ იგრძნო, რომ მზად იყვნენ ღირსეულად გასწორებოდნენ მოტანილ სანოვაგეს, მიუხედავად იმისა, რომ ხორცი იყიდეს და შეწვეს, ხოლო პაშტეტი მოამზადეს და გამოაცხვეს იქვე მახლობლად, ციხის სამზარეულოში.

ჭამა რომ მოათავეს, ერთი თუ ორი ბოთლი საუცხოო ღვინოც დააყოლეს, რომელიც მისტერ პიკვიკმა მოატანინა დოქტორზ--კომონზის მახლობელი ყავახანიდან; შესაძლოა, „ერთი თუ ორი ბოთლის“ ნაცვლად, უფრო სწორი იქნებოდა, გვეთქვა „ექვსიოდე ბოთლიო“, რადგან, როდესაც სმა მოათავეს და ჩაიც მიირთვეს, დაჰკრა ზარმა, რომელმაც აუწყა სტუმრებს, რომ მათი წასვლის დრო დამდგარიყო.

მისტერ უინკლი ხომ უცნაურად იქცეოდა დღისით, მაგრამ ახლა გრძნობამორეული, ნაწილობრივ ღვინის გავლენითაც (ექვსი ბოთლიდან ნამდვილად ერთი მას ერგო) პირქუში და სევდიანი სახით მასპინძელს მიუახლოვდა. მოიცადა, ვიდრე მის-

ტერ ტაპმენი და მისტერ სნოდგრასი უფროს მეგობარს დაემშვიდობებოდნენ, მერე მისტერ პიკვიკს ხელში ჩააფრინდა და მხურვალედ ჩამოართვა.

- ღამე ნებისა, ჩემო ძვირფასო სერ, - კბილებში გამოსცრა მისტერ უინკლმა.

- ღმერთმა წყალობა ნუ მოგაკლოთ, ჩემო კარგო, - წარმოთქვა გულჩვილმა პიკვიკმა და მეგობარს ხელი ჩამოართვა.

- დროა! - დერეფნიდან შემოესმათ მისტერ ტაპმენის ხმა.

- ახლავე წამოვალ, - ხმა გასცა მისტერ უინკლმა, - ღამე ნებისა!

- ღამე ნებისა! - მიუგო მისტერ პიკვიკმა.

ამას მოჰყვა კიდევ ერთი „ღამე ნებისა“, მერე კიდევ ერთი და მერე ექვსი „ღამე ნებისა“. მისტერ უინკლი თითქოს ფეხს ითრევდა და უცნაურად მისჩერებოდა უფროს მეგობარს.

- რა მოხდა? - შეეკითხა მისტერ პიკვიკი, როდესაც მკლავი დაეღალა, იმდენჯერ ჩამოართვა ყმაწვილმა ხელი.

- არაფერი, - მიუგო მისტერ უინკლმა.

- მაშ, ღამე ნებისა, - გაიმეორა მისტერ პიკვიკმა და ხელი გამოსწია, რომ გაეთავისუფლებინა.

- ჩემო ძვირფასო მეგობარო, ჩემო მფარველო და მწყალობელო, - წაილუღლუღა მისტერ უინკლმა და ხელში უფრო მაგრად ჩააფრინდა, - ნუ გამკიცხავთ და ნუ დამძრახავთ, როდესაც გაიგებთ, რომ მრავალი დაბრკოლებით გაშმაგებულმა...

- რა დაგემართათ ამდენ ხანს?! - კარში შემოიხედა მისტერ ტაპმენმა, - წამოდით, თორემ აქ ჩაგვკეტავენ!

- მოვდივარ, მოვდივარ, - მიუგო მისტერ უინკლმა. ძლივს მოიკრიბა ძალა და ოთახიდან გავარდა.

ვიდრე მისტერ პიკვიკი გაოგნებული გაჰყურებდა მეგობრებს, რომელნიც დერეფანში მიდიოდნენ, კიბის მოედანზე სემი გამოჩნდა და ყურში რაღაც ჩასჩურჩულა უინკლს.

- ო, მენდეთ, - ხმამაღლა წარმოთქვა ხსენებულმა ჯენტლმენმა.

- დიდად გმადლობთ, ესე იგი, არ დაგავიწყდებათ, სერ? - ჰკითხა სემმა.

- რა თქმა უნდა, არ დამავიწყდება, - მიუგო მისტერ უინკლმა.

- წარმატებას გისურვებთ, სერ, - თქვა სემმა და ქუდზე ხელი მიიდო, - სიამოვნებით წამოვიდოდი თქვენთან, სერ, მაგრამ ხომ იცით, ჯერ ბატონი და მერე სხვა.

- თქვენ მასთან რჩებით; ეს ზედმიწევნით კეთილშობილური საქციელია, ჩემო სემ, - მიუგო უინკლმა.

ამ სიტყვებით ისინი დაემშვიდობნენ ერთმანეთს კიბის ბოლოს.

- მიკვირს პირდაპირ, - წარმოთქვა მისტერ პიკვიკმა როდესაც ოთახში შემობრუნდა და მაგიდას მიუჯდა, - ნეტავ, რა განიზრახა ყმაწვილმა?

ასე იჯდა და ფიქრობდა უინკლის შესახებ, როდესაც უეცრად მეციხოვნე როკერის ხმა შემოესმა. იგი კითხულობდა, შეიძლება თუ არა, შემოვიდეო.

- მობრძანდით, - მიუგო მისტერ პიკვიკმა.

- რბილი ბალიში მოგიტანეთ, სერ, - ამცნო როკერმა, - იმ დროებითის ნაცვლად, წუხელ რომ გქონდათ.

- გმადლობთ, - მიუგო მისტერ პიკვიკმა, - ღვინოს ხომ არ ინებებთ?

- ძალიან კეთილი ბრძანდებით, სერ, - თქვა მისტერ როკერმა და ღვინით სავსე ჭიქა ჩამოართვა, - გაგიმარჯოთ, სერ.

- გულისტკივილით მოგახსენებთ, სერ, რომ ამ ბინის პატრონი წუხელ ძალიან ცუდად გახდა, - დაიწყო როკერმა, ცოტა ხნის შემდეგ ჭიქა მაგიდაზე დადგა და თავისი ქუდის სარჩულს დააშტერდა, ეტყობა, დახურვას აპირებდა.

- როგორ? კანცლერის სასამართლოს პატიმარი? - წამოიძახა მისტერ პიკვიკმა.

- მალე პატიმარიც აღარ იქნება, სერ, - მიუგო როკერმა და ქუდი ისე შეაბრუნა, რომ მკერავის წარწერა გამოჩნდა.

- რას მეუბნებით! - თქვა მისტერ პიკვიკმა, - ეგ რას ნიშნავს?

- დიდი ხანია ჭლექი სჭირს, - განუმარტა მისტერ როკერმა, - წუხელ კი სუნთქვა შეეკრა. ექიმმა ჯერ კიდევ ექვსი თვის წინ უთხრა, გადარჩებით, თუ ჰავას გამოიცვლითო.

- ღმერთო ჩემო! - წამოიძახა მისტერ პიკვიკმა, - ნუთუ კანონმა დაუშვა, რომ ეს კაცი ნახევარი წელია, ასე უპატრონოდ კვდება?

- მაგის შესახებ ვერაფერს მოგახსენებთ, - მიუგო როკერმა და ქუდს ფარფლებში ჩაჰკიდა ხელები, - ალბათ იგივე დაემართებოდა, სადაც უნდა ყოფილიყო. ამ დილით საავადმყოფოში გადავიყვანეთ. ექიმი ამბობს, კარგი კვება სჭირდება, რომ არ დასუსტდესო. ჩვენმა უფროსმა გამოუგზავნა ღვინო, ბულიონი და კიდევ ბევრი რამ, სუფრაზე რაც მორჩა. ხომ იცით, უფროსის ბრალი არაა ეგ, სერ.

- რა თქმა უნდა, - საჩქაროდ დაუკრა კვერი მისტერ პიკვიკმა.

- მე მგონი, მაგას აღარაფერი უშველის, - განაგრძო როკერმა და თავი გაიქნია, - ნედს შევთავაზე, გინდა სანაძლეო დავდოთ ორ ექვსპენსიანზე, რომ არ გადარჩება-მეთქი, მაგრამ უარი მითხრა. მართალიცაა. იცის, რომ წააგებს... დიდად გმადლობთ, სერ. ღამე მშვიდობისა, სერ.

- მოიცათ, - აღელვებით წარმოთქვა მისტერ პიკვიკმა, - საავადმყოფო სადაა?

- ზედ თქვენი ოთახის თავზეა, სერ, - მიუგო როკერმა, - თუ გნებავთ, მიგაცილებთ.

მისტერ პიკვიკმა არაფერი უპასუხა, ქუდს დასტაცა ხელი და როკერს გაჰყვა.

მეციხოვნე უბრად მიდიოდა წინ. გაიარეს კიბე, დერეფანი და ერთ-ერთ კართან შეჩერდნენ. როკერმა რაზა ასწია და ხელით ანიშნა მისტერ პიკვიკს, შემოდიო.

ეს იყო დიდი, დაბალჭერიანი ოთახი, რომელშიც რამდენიმე რკინის საწოლი იდგა. ერთ-ერთ მათგანზე აჩრდილივით ფერმკრთალი და გალეული კაცი იწვა. თავთან ეჯდა წინსაფრიანი, ჩია მოხუცი რქის სათვალით შეიარაღებული და ხმამაღლა უკითხავდა სახარებას. ეს გახლდათ ჩვენი ნაცნობი ხარაზი, „ბედნიერი“ მემკვიდრე.

ავადმყოფმა მეგობარს მხარზე შეახო ხელი, ანიშნა ნუღარ კითხულობო, ხარაზმა წიგნი დახურა და საწოლზე დადო.

- ფანჯარა გააღეთ, - სთხოვა ავადმყოფმა.

ხარაზმა თხოვნა შეუსრულა. უეცრად ოთახში ხმაური შემოიჭრა, ეკიპაჟებისა და ურიკების რაკუნი, ბორბლების რახრახი, ქალებისა და ბავშვების ჟივილ-ხივილი, დიდი ქუჩის ჩვეული ჟრიამული, მოუსვენარი, სიცოცხლით სავსე. ხანდახან ამ ზრიალში წამით გაისმოდა მხიარული კისკისი ან სიმღერის ნაწყვეტი და მერე კვლავ ინთქებოდა ფეხების ბაკუნსა და ხმების გუგუნში. ეს იყო სიცოცხლის ზღვა, რომლის ტალღები მძიმედ ეხეთქებოდა ციხის კედლებს. ეს გუგუნი მშვიდ მსმენელსაც კი სევდით აღუვსებს გულს; მით უფრო დიდ ნაღველს მოჰგვრის ადამიანს, რომელიც სულთმობრძავის სარეცელთან ზის.

- ჰაერი არ მყოფნის ამ ოთახში, - წაილუღლუღა ავადმყოფმა, - ამ წყეულმა კედლებმა მოშხამა იგი... ციხის გარეთ, როდესაც ვსეირნობდი მრავალი წლის წინათ, ჰაერი სუფთა, კრიალა იყო... მაგრამ ციხეში მოხვდება თუ არა, შანთივით გავარვარდება და სულს უხუთავს ადამიანს... ვეღარ ვსუნთქავ!

- რამდენი წელია ორთავე მაგ ჰაერს ვსუნთქავთ, - დაამშვიდა მოხუცმა ხარაზმა, - ნუ გეშინია!

ერთხანს დუმილი ჩამოვარდა.

მეციხოვნე და მისტერ პიკვიკი საწოლს მიუახლოვდნენ. ავადმყოფმა ციხის მეგობარს სტაცა ხელი და ალერსიანად მოუჭირა.

- იმედი მაქვს, - წაიჩურჩულა მან ისე ჩუმად, რომ უნებლიეთ ყველანი მისკენ დაიხარნენ, რომ გაეგოთ, თუ რას ამბობდნენ მისი გადაფითრებული ტუჩები, - იმედი მაქვს, უფალ ღმერთს არ დაავიწყდება, თუ რა საშინლად დავიტანჯე ამ დალოცვილ ქვეყანაზე... ოცი წელია, ჩემო მეგობარო, ოცი წელია, რაც ამ ჯოჯოხეთში ვცხოვრობ!.. გული ლამის ჯავრით გამისკდა, როცა ბავშვი მომიკვდა. მე ვერც კი ვაკოცე, პატარა კუბოში რომ იწვა... მას აქეთ ამ ლოთობასა და აურზაურში მუდამ ვგრძნობდი, რომ მარტო ვარ და ვიტანჯებოდი... ღმერთმა მომიტევოს ეს ჩივილი... იგი ხომ ხედავს, როგორ დავილიე თანდათან ამ ცოცხალ სამარეში.

სულთმობრძავმა გულხელი დაიკრიფა და რაღაც ჩაიბურტყუნა, რაც ვერც ერთმა ვერ გაიგონა. მალე ჩაეძინა, ნამდვილად ეძინა, რადგან დამსწრენი ხედავდნენ, როგორ იღიმებოდა ძილში.

ერთხანს სამივე ჩურჩულით ლაპარაკობდა. მერე მეციხოვნე საწოლისკენ დაიხარა, ავადმყოფს დახედა და შეცბა.

- ღმერთს გეფიცებით, გათავისუფლდა! - შესძახა მან.

დიახ, გათავისუფლდა. მაგრამ ჯერ კიდევ მაშინ, როცა ცოცხალი იყო, იმდენად ჰგავდა მკვდარს, რომ ახლა ვერც ერთმა ვერ შეამჩნია, საცოდავმა როდის განუტევა სული.

თავი XLV

აღგვიწერს მისტერ სემუელ უელერის შეხვედრას თავისი ოჯახის წევრებთან. მისტერ პიკვიკი ათვალიერებს იმ პატარა სამყაროს, სადაც იმყოფება და გადაწყვეტს, მომავალში, რაც შეიძლება, იშვიათად იქონიოს საქმე მასთან

მისტერ სემუელ უელერის ციხეში დარჩენიდან რამდენიმე დღე იყო გასული. ერთხელ, დილით, როდესაც მან ბატონის ოთახი გულმოდგინედ დაალაგა და დაინახა, რომ მისტერ პიკვიკი მყუდროდ მოკალათებულიყო წიგნებსა და ქაღალდებთან, იქაურობას გაეცალა, უნდოდა ერთი-ორი საათი თავის გემოზე გაეტარებინა. მშვენიერი დილა იყო. სემუელმა გაიფიქრა, ერთი პინტა პორტერი სუფთა ჰაერზე უფრო უკეთ გამატარებინებს დროს, ვიდრე სხვა რამ პატარა გასართობი, რაზედაც ხელი მიმიწვდებაო.

გადაწყვიტა თუ არა, პორტერი ყველაფერს აჯობებსო, ღვინის დუქნისაკენ გასწია, ლუდი იყიდა (მედუქნემ სამი დღის გაზეთიც მიაყოლა) და კეგლის სათამაშო მოედანს მიაშურა. აქ სკამზე ჩამოჯდა და დინჯად, თანამიმდევრულად იწყო დროს ტარება.

უპირველეს ყოვლისა, მან ამ გამაგრილებელი, ხალისის მომგვრელი ლუდის ერთ ყლუპს ყელში გადაუძახა, შემდეგ ფანჯარას ახედა და ლედის, რომელიც იქვე იდგა და კარტოფილს თლიდა, თვალი ჩაუკრა. შემდეგ გაზეთი გაშალა, უნდოდა ისე გადაეკეცა, რომ სასამართლო ქრონიკა წაეკითხა, მაგრამ ეს ძნელი და ფრიად გამაღიზიანებელი საქმეა, როცა ნიავი ოდნავ

მაინც ქრის. ამიტომაც, გადაკეცა თუ არა გაზეთი, მაშინვე კიდევ ერთი ყლუპი ლუდი გადაკრა, ორიოდე სტრიქონი წაიკითხა და გაჩერდა. ახლა იმ ორ კაცს გადახედა, რომლებიც მოედანზე თამაშს უკვე ათავებდნენ და დაამთავრეს თუ არა, სემმა მოწონების ნიშნად გამამხნევებლად დაიძახა: „ძალიან კარგიაო“, თანაც აქეთ-იქით მაყურებლებს გადახედა, თუ მეთანხმებიანო. ამან გამოიწვია მაღლა ფანჯრებისკენ ახედვის აუცილებლობაც. რაკი ის ახალგაზრდა ლედი ჯერ კიდევ იქ იდგა, ბოლოს და ბოლოს უბრალო თავაზიანობა მოითხოვდა, ერთხელ კიდევ თვალი ჩაეკრა მისთვის და მუნჯურად კიდევ ერთი ყლუპი ლუდით მისი სადღეგრძელო დაელია; სემი ასეც მოიქცა, მრისხანედ შეხედა პატარა ბიჭუნას, რომელიც მას თვალდაცეცებული შეჰყურებდა, შემდეგ ფეხი ფეხზე გადაიდო და ამჯერად სერიოზულად შეუდგა კითხვას.

ის იყო მოიკრიბა საჭირო ყურადღება, როდესაც მოეჩვენა, რომ სადღაც შორს, დერეფანში, ვიღაც მის სახელს იძახდა. არც შემცდარა. სახელს გაუთავებლად იმეორებდა სხვადასხვა ხმა და რამდენიმე წამში ჰაერი „უელერის“ ყვირილით აივსო.

- აქა ვარ, - იღრიალა სემმა, - რა მოხდა, რა ამბავია, ვინ მკითხულობს? ეგებ შიკრიკმა მოირბინოს, რომ შემატყობინოს, შენს აგარაკს ცეცხლი გასჩენია და იწვისო?

- დარბაზში გკითხულობენ, - აუხსნა ვიღაც კაცმა, რომელიც იქვე იდგა.

- მეგობარო, გეთაყვა, ამ გაზეთსა და ტოლჩას მიმიხედეთ, მე ახლავე მოვალ, კარგი? - შეეხვეწა სემი კაცს, - ღმერთმანი, სასამართლოში რომ მეძახდნენ, ამდენ აურზაურს არ ატეხდნენ.

ამ სიტყვებით მან თავში ნაზად წაჰკრა ხსენებულ ახალგაზრდა ჯენტლმენს, რომელმაც არაფერი იცოდა იმის შესახებ, რომ პიროვნება, რომელსაც დაეძებდნენ, მის მეზობლად იმყოფებო-

და. თან რაც ძალი და ღონე ჰქონდა, გაჰკიოდა „უელერ!“ სემმა საჩქაროდ გაიარა ეზო და კიბით დარბაზში შევიდა. პირველი, რაც აქ დაინახა, იყო მისი ძვირფასი მშობელი, რომელიც ქუდით ხელში შიდა კიბის საფეხურზე ჩამომჯდარიყო და ყოველ ნახევარ წუთში მთელი ხმით ყვიროდა „უელერ!“

- რა გაღრიალებთ! - მოუთმენლად მივარდა სემი მოხუც ჯენტლმენს, რომელმაც ერთხელ კიდევ წამოიყვირა, - გეთაყვათ, ისე გაწითლებულა, რომ გაბრაზებულ მინამბერს დამსგავსებია, რა იყო, რა მოხდა?

- ოო, აქა ხარ? მე კი გული მისკდებოდა, ვაითუ, სასეირნოდ რიჯენსი-პარკში წახვედი-მეთქი, სემი!

- რაო, ვერაფერი ვაჟკაცობაა სიძუნწის მსხვერპლის მასხარად აგდება! ჩამოდით ამ კიბიდან, აქ რას ჩამომჯდარხართ, მე აქ არ ვცხოვრობ!

- უჰ, რა სასაცილო რამეს გიჩვენებ, სემი, - დაიწყო უფროსმა უელერმა და წამოდგა.

- დადექ ერთი წუთი, უკან სულ თეთრად ხართ მოსვრილი.

- მართალია, სემი, გამიწმინდე, - თქვა უფროსმა უელერმა, როდესაც შვილმა მას ტანსაცმლის წმენდა დაუწყო, - შესაძლოა, ვინმემ პირად შეურაცხყოფად მიიჩნიოს, თუ კაცი თეთრად მოსვრილი ტანსაცმლით გაივლის, არა, სემი?

რადგანაც მისტერ უელერმა სიცილის უტყუარი ნიშნები გამოამჟღავნა, სემმა გადაწყვიტა, ამ სიცილისათვის ბოლო მოეღო.

- დაწყნარდით ერთი, თუ ღმერთი გწამთ, თქვენისთანა ახირებული ადამიანი ქვეყანაზე არ გაჩენილა. რა ამბავია, რას იფხრიწებით?

- სემი, ჩემო ბიჭიკო, - დაიწყო უფროსმა უელერმა და ოფლი მოიწმინდა, - მეშინია, სიცილის დროს დამბლა არ დამეცეს.

- თუ ასეა, თქვით რატომღა იცინით? - გაოცდა სემი, - თქვით, რა გაცინებთ?

- როგორა გგონია, სემუელ, ჩემთან ერთად ვინ ჩამოვიდა? - იკითხა უფროსმა უელერმა, ერთი ნაბიჯით დაიხია, ტუჩები მოკუმა და წარბები ასწია.

- პელი? - იკითხა სემმა.

მისტერ უელერმა თავი გაიქნია, ღაჟღაჟა ლოყები დაებერა სიცილისაგან.

- იქნებ ჭორფლიანი კაცი? - სემი ცდილობდა გამოეცნო.

მისტერ უელერმა კვლავ თავი გაიქნია.

- მაშ, ვინღაა?

- შენი დედინაცვალი, სემი, - დაიწყო მისტერ უელერმა, - და ის წითელცხვირა, ჩემო ბიჭიკო, დიახ, ის წითელცხვირა, ჰო!.. ჰო! ჰო!

ეს სიტყვები არც კი დაემთავრებინა მისტერ უელერს, რომ სიცილისაგან კრუნჩხვა დააწყებინა. სემს პირზე ღიმილმა გადაუარა და თანდათანობით მთელი სახე გაებადრა.

- ისინი მოვიდნენ და უნდათ სერიოზულად მოგელაპარაკონ, სემუელ, - უთხრა მისტერ უელერმა თვალების წმენდით, - იმ უსულგულო კრედიტორზე არაფერი წამოგცდეს, სემი.

- როგორ, განა არ იციან, ვინც არის? - გაოცდა სემი.

- წარმოდგენაც კი არა აქვთ, - მიუგო მამამ.

- სად არიან? - იკითხა სემმა და მის სახეზე მოხუცი ჯენტლმენის სახის ნაკვთების ყოველი მოძრაობა აღიბეჭდა.

- „კაბინეტში“, - მიუგო მისტერ უელერმა, - კაი დედის შვილი ხარ და წაიყვან იმ წითელცხვირას ისეთ ალაგას, სადაც დასალევი არაფერია. ვერ წაათრევ, სემუელ, ვერა. ჩვენ დღეს სიამოვნებით ვიმგზავრეთ „მარკიზიდან“, სემი, - განაგრძო მისტერ უელერმა, როდესაც დანაწევრებული მეტყველების უნარი

დაუბრუნდა, - შევუბი ეგ ბებერი ამლაყი ოთხთვალას, რომელიც შენი დედინაცვლის პირველ ქმარს ეკუთვნოდა, შიგ ჩავდგით სავარძელი იმ მოძღვარისათვის და ღმერთმა შემაჩვენოს, - წარმოთქვა მისტერ უელერმა და სახეზე უსაზღვრო ზიზღი აღებეჭდა, - ღმერთმა შემაჩვენოს ტყუილს თუ ვამბობდე, ჩვენი ჭიშკრის წინ კიბე გამოიტანეს, რომ მოძღვარი ოთხთვალაში ამძვრალიყო.

- არა ხუმრობ, ნუთუ მართლა? - აღშფოთდა სემი.

- დიახაც, რომ არა ვხუმრობთ, სემი, - უპასუხა მამამ, - ნეტავ გენახა, როგორ ებღაუჭებოდა კიბეს, თითქოს ეშინია, ექვსი ფუტის სიმაღლიდან მიწას არ დაეხეთქოს და მილიონ ატომად არ დაიშალოსო. მმაინც, როგორც იყო აფოფხდა და ბოლოს დავიძარით კიდეც. მე მგონია, ვიმეორებ, რომ, მე მგონია, სემუელ, მოსახვევებზე ეტლმა ცოტა არ იყოს დაანჯღრია კიდევაც.

- გზაში ბოძსაც ხომ არ დაეჯახეთ, ჰა? - იკითხა სემმა.

- ვშიშობ, რომ მართლაც ერთი-ორჯერ გვერდიც კი გავკარი, მთელი გზა ეტლიდან ვარდებოდა.

მოხუცმა ჯენტლმენმა თავი გაიქნია და გულიდან ჩახლეჩილი ხმა აღმოხდა. ამას ის მოჰყვა, რომ მოხუც ჯენტლმენს პირისახე გაუსივდა და უცბად ყველა ნაკვთი ისე დაებერა, რომ სემი ამ სიმპტომებმა ფრიად შეაწუხა.

მოხუცი იკრუნჩხებოდა, ათასნაირად იკლაკნებოდა, ფეხებს მიწაზე სცემდა. ბოლოს, როგორც იქნა, ხმა მოუვიდა და სემს დამშვიდება დაუწყო: - ნუ გეშინია, სემ, ნუ გეშინია. ეს მთლად უხმო სიცილია, რომლის გამოხატვასაც მე ვცდილობ.

- ტყუილა ირჯები, თავად დარწმუნდები, რომ ეს საკმაოდ სახიფათო გამოგონებაა, - მიუგო სემმა.

- მაშ, არ მოგეწონა, სემი? - იკითხა მოხუცმა ჯენტლმენმა.

- აბა, რა მოსაწონია, ოღონდაც რომ არ მომწონს, - განაცხადა სემმა.

- აბა, - თქვა მისტერ უელერმა, რომელსაც ცრემლები ჯერ კიდევ ღაპაღუპით ჩამოსდიოდა, - მართლაც, რომ მისწრება იქნებოდა ჩემთვის, რომ შემეძლოს ამ ჩვეულებას თავი გავანებო. ჯერ ერთი, რამდენი სიტყვა დაიზოგებოდა შენს დედინაცვალსა და ჩემ შორის. გარდა ამისა, ვშიშობ, ვაითუ მართალი ხარ, სემი, ამას მართლაც რომ დამბლის ძლიერი სუნი ასდის, სემუელ, ფრიად ძლიერი.

ამ საუბარმა ისინი „კაბინეტის“ კართან მიიყვანა. სემი წამით შედგა, ეშმაკურად გადახედა თავის ღირსეულ მშობელს, რომელიც მის ზურგს უკან ხითხითებდა და დაუყოვნებლივ შიგ შევიდა.

- დედინაცვალო, - დაიწყო სემმა და ლედის თავაზიანად მიესალმა, - ფრიად დავალებული გახლავარ თქვენგან, რომ მინახულეთ. მოძღვარო, როგორ ბრძანდებით?

- სემუელ! - შეშფოთდა მისის უელერი, - ეს ხომ საშინელებაა!

- სულაც არა, დედი, - მიუგო სემმა, - ეს ხომ მოძღვარია, არა?

მისტერ სტიგინზმა ხელები ზეცისკენ აღაპყრო და თვალები ისე გადაატრიალა, რომ მარტო თეთრი კი არა, ყვითელიც გამოუჩნდა, ხოლო სიტყვით კი არა უპასუხა რა.

- ეს ჯენტლმენი რამე სენით ხომ არ არის შეპყრობილი? - იკითხა სემმა და ახსნა-განმარტებისათვის დედინაცვალს გადახედა.

- კეთილი სული სევდას შეუპყრია, თქვენ რომ აქ გხედავთ, - უპასუხა მისის უელერმა.

- აი, თურმე რა ყოფილა. მე კი მეგონა, რომ მას დაავიწყდა პილპილი მოეყარა კიტრისათვის, რომელიც ამას წინათ მიირთვა. დაბრძანდით სერ, ამისათვის ჩვენ პასუხს არავის ვაგები-

ნებთ, როგორც განაცხადა ერთმა ხელმწიფემ, როდესაც ის თავის ნაზირ-ვეზირებს რაღაცისთვის ტყავს აძრობდა.

- ყმაწვილო, ვშიშობ, რომ დაპატიმრებამ ჭკუა ვერ გასწავლათ! - ზვიადად წარმოთქვა მისტერ სტიგინზმა.

- ბოდიშს ვიხდი, სერ, რა ბრძანეთ? - გამოეხმაურა სემი.

- ვხედავ, ახალგაზრდავ, რომ ამ სასჯელმა ზნე არ გამოგიცვალათ, - ხმას აუწია მისტერ სტიგინზმა.

- სერ, - მიუგო სემმა, - თქვენ ფრიად თავაზიანი ბრძანდებით, რაკი ამას მეუბნებით, სერ! დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, სუსტი ნებისყოფის კაცი არ გახლავარ, სერ! დიდი მადლობა მომიხსენებია, რომ ასეთი კარგი შეხედულება გაქვთ, სერ!

ამ დროს იქიდან, სადაც უფროსი უელერი იჯდა, მოისმა რაღაც ხმა, რომელიც უზრდელობას უფრო წააგავდა, ვიდრე სიცილს. ამის გაგონებაზე მისის უელერმა ელვის სიწრაფით გაითვალისწინა შექმნილი მდგომარეობა და უცილობელ ვალად მიიჩნია ისტერიკა გაემართა.

- უელერ, - დაუძახა მისის უელერმა (უელერი კუთხეში იჯდა) - უელერ, აქ მობრძანდი!

- დიდად გმადლობთ, ძვირფასო, - უპასუხა მისტერ უელერმა, - მე აქაც ჩინებულად ვგრძნობ თავს!

მისის უელერს ცრემლები წასკდა.

- რა იყო, დედილო, რა მოხდა? - გაოცდა სემი.

- ო, სემუელ, მამაშენმა ლამის ჭკუაზე შემშალოს! ნუთუ ვერაფერი უშველის?

- გესმით, რას ამბობს? ლედის სურს იცოდეს, გიშველით რაიმე თუ არა?

- ფრიად დავალებული გახლავარ მისის უელერისაგან თავაზიანი მოკითხვისათვის, სემი, - მიუგო მოხუცმა ჯენტლმენმა, - ვფიქრობ, ჩიბუხი მიშველიდა, ვერ გამიმართავდი, სემი?

ამის გაგონებაზე, მისის უელერმა კიდევ რამდენიმე ცრემლი გადმოაგდო, ხოლო მისტერ სტიგინზს გმინვა აღმოხდა.

- ამ ბედკრულ ჯენტლმენს კვლავ რაღაც გვრემა აუტყდა, - თქვა სემმა და მიმოიხედა, - რა გტკივათ, სერ?

- ისევ ის მტკივა, ყმაწვილო, ისევ ის, - ოხრავდა მისტერ სტიგინზი.

- მაინც რა? - გულუბრყვილოდ ჩაეკითხა სემი.

- გული მტკივა, ყმაწვილო, გული, - მიუგო მისტერ სტიგინზმა და ქოლგა ჟილეტზე მიიდო.

გაიგონა თუ არა მისის უელერმა ეს გულისამაჩუყებელი სიტყვები, თავი ვეღარ შეიკავა, ხმამაღალი ქვითინი ამოუშვა და მტკიცედ განაცხადა: ეს წითელცხვირა კაცი წმინდანიაო.

უფროსმა უელერმა გაბედა და ხმადაბლა გამოთქვა მოსაზრება, რომ მოძღვარი ორი გაერთიანებული მრევლის, შესახედად წმინდა სიმონის, ხოლო შინაგანად წმინდა უოკერის წარმომადგენელი უნდა იყოსო.

- დედილო, ვგონებ ეს სახემოღრეცილი ჯენტლმენი ამ სევდიანი სურათის ყურებამ მოაწყურა. აბა, ერთი შეხედეთ, ასე არაა, დედილო?

ღირსეულმა ლედიმ პასუხისათვის მისტერ სტიგინზს გადახედა. ხსენებულმა ჯენტლმენმა თვალები მრავალგზის გადმოკარკლა, მარჯვენა ხელი ყელში იტაცა და ისე დაიმანჭა, თითქოს რაღაცის გადაყლაპვას ცდილობსო. ამით სურდა მიეხვედრებინა, მწყურიაო.

- ვაითუ, აღელვებამ იმოქმედა, სემუელ, - დარდიანად შენიშნა მისის უელერმა.

- რა სასმელს მიირთმევთ, სერ? - შეეკითხა სემი.

- ჩემო საყვარელო პატარა მეგობარო, ყველა სასმელი ამაოა.

- სრული ჭეშმარიტებაა, სრული ჭეშმარიტება, - აღმოხდა კვნესა მისის უელერს და მოწონების ნიშნად თავი დამიქნია.

- აგრე იყოს, შეიძლება, მართლაც ასეა, სერ, - დაეთანხმა სემი, - მაგრამ მაინც რომელი ამაოება გირჩევნია? რომელი ამაოება უფრო ეფინება თქვენს გულს, სერ?

- ო, ჩემო საყვარელო პატარა მეგობარო, ზიზღსა მგვრის ყოველი მათგანი, - ქადაგებდა მისტერ სტიგინზი, - მაგრამ სხვაზე უფრო ნაკლებ შესაზიზღი ისევ რომია, თბილი რომი და სამი ნატეხი შაქარი ჭიქაზე.

- ძალიან ვწუხვარ, სერ, - მიუგო სემმა, - მაგრამ უნდა მოგახსენოთ, რომ სწორედ ეგ ამაოებაა აკრძალული ამ დაწესებულებაში, სერ.

- ო, ურჯულოთა უგულობავ! ო, არაადამიანურ მდევნელთა უწმინდურო ბოროტებავ! - ამ სიტყვებით მისტერ სტიგინზმა კვლავ თვალები გადმოკარკლა და ქოლგა გულზე მიირტყა.

სიმართლე უნდა ითქვას, ამ ღირსეული ჯენტლმენის აღშფოთება, მართლაც რომ ფრიად გულწრფელი და უთვალთმაქცო იყო.

მისის უელერმა და წითელცხვირა ჯენტლმენმა სასტიკად გააკრიტიკეს ეს არაადამიანური წესი და მის ავტორებს ათასი წყევლა-კრულვა გაუგზავნეს. ბოლოს, წითელცხვირა ჯენტლმენმა თქვა, მოდი, ისევ შემთბარი პორტვეინი ავურიოთ ცოტა წყალში, შაქარი და სანელებელი ვუყოთ და ისე დავლიოთო, ეს კუჭისთვისაც მარგებელია და სხვა სასმელებისაგან გაკეთებულ ნარევზეც უკეთესიო. სათანადო შეკვეთა მისცეს კიდეც. სასმლის მოლოდინში მისის უელერი და წითელცხვირა ჯენტლმენი უფროს უელერს გადახედავდნენ და კვნესოდნენ.

- აბა, სემი, - დაიწყო წითელცხვირამ, - იმედი მაქვს, ამ ჩვენი მხიარული სტუმრობის შემდეგ გუნება გამოგიკეთდება. რა მახ-

ვილგონივრული და ჭკუის სასწავლებელი საუბარი გვქონდა, არა, სემი?

- თქვენ ბილწი, ცოდვილი ბრძანდებით და მე არა მსურს კვლავაც მომმართოთ ამნაირი უზნეო შენიშვნებით, - მოუჭრა სემმა.

ამ საკადრისმა პასუხმა ვერ ასწავლა ჭკუა უფროს უელერს, მას მაშინვე სახე გაებადრა. ამ ულმობელმა, გულქვა საქციელმა აღაშფოთა მისის უელერი და მისტერ სტიგინზი. მათ თვალი დახუჭეს და სკამზე წინ და უკან ქანაობა დაიწყეს. მოხუცმა ჯენტლმენმა თავს ნება მისცა, გაეთამაშებინა რამდენიმე სცენა მუნჯურად და წარმოადგინა, რა სიამოვნებით გაიგდებდა ფეხქვეშ ამ ზემოხსენებულ მისტერ სტიგინზს და მიბეგვავდა, კისერს მოუგრეხდა და ცხვირსაც წაამტვრევდა. ამ წარმოდგენამ მოხუცს დიდი შვება და სულიერი კმაყოფილება მოუტანა. მოხუცი ჯენტლმენი კინაღამ „ჩავარდა“ და ცოტა დააკლდა დანაშაულზე წასწრებას, რადგანაც მოიტანეს თუ არა ნეგუსი, მისტერ სტიგინზი შეფრთხიალდა, უცებ წამოიწია და კინაღამ თავი დაარტყა მისტერ უელერის მუშტს, რომელიც მოხუც ჯენტლმენს მოეღერებინა და რამდენიმე წუთის განმავლობაში მისტერ სტიგინზის ყურთან ატრიალებდა.

- რა იყო, რას ეცი ამ ჭიქას? - შესძახა სემმა. მან საოცარი მიხვედრილობა გამოამჟღავნა ამ დროს, - ვერ ხედავ, ჯენტლმენს მოახვედრე ხელი?

- მე ხომ ძალათი არ მინდოდა, სემი, - თავს იმართლებდა მოულოდნელი შემთხვევით შემცბარი უფროსი უელერი.

- აბა, სინჯეთ და მიიღეთ ეს წამალი, სერ, - ურჩია სემმა წითელცხვირა ჯენტლმენს, რომელიც დაღვრემილი იფხანდა თავს, - რას იტყვით ამ ცხელ ამაოებაზე?

მისტერ სტიგინზს სიტყვიერი პასუხი არ გაუცია. თავად მისი საქციელი გახლდათ მეტყველი. მოძღვარმა ჭიქიდან მოსვა სასმელი, რომელიც მას სემმა მიაწოდა და ქოლგა იატაკზე დადო, მერე ისევ მოსვა და ორ-სამჯერ ხელი მუცელზე მოისვა. შემდეგ ჭიქა სულმოუთქმელად გამოცალა, ტუჩები გაილოკა და ჭიქა სემს მიაწოდა, კიდევ დამისხიო. მისის უელერმაც არ დააყოვნა, საკადრისი მიეზღო სასმლისათვის. ამ კეთილმა ლედიმ ჯერ იყო და, უარი თქვა, ერთ წვეთსაც არ დავლევო. შემდეგ ერთი პატარა წვეთი გადაყლაპა, მერე დიდი წვეთი მიაყოლა, მერე უფრო დიდი და უფრო ბევრი მიირთვა. რადგანაც მისი გრძნობები ისეთი ბუნებისანი იყვნენ, რომლებზედაც ძალუმად მოქმედებდა ცხელი სასმელები, ამიტომ ნეგუსის ყოველ წვეთს თითო კურცხალს აყოლებდა და ასე დნებოდა თანდათან, ვიდრე ბოლოს, უბედურების პათეტიკურ მწვერვალს არ მიაღწია.

უფროსი უელერი ყველა ამ ნიშანს და სიმპტომს ზიზღის მანიფესტაციით ადევნებდა თვალყურს. როდესაც მისტერ სტიგინზმა მეორე დოქი გამოცალა და ნაღვლიანად დაიწყო ოხვრა, მისტერ უელერმა მას აშკარად აგრძნობინა, ჩემ გარშემო რაც ხდება, არ მომწონსო. ამას მოხუცი ჯენტლმენი გაუგებარი ბურტყუნით გამოხატავდა, სადაც ყურისთვის ერთადერთი გასარჩევი სიტყვა „მანჭვა-გრეხა“ გახლდათ.

მოხუცმა უელერმა დიდხანს უყურა დაკვირვებით მისტერ სტიგინზსა და მეუღლეს და თავის ვაჟს ჩურჩულით უთხრა:

- სემუელ, ჩემო ბიჭიკო, აი, რას გეტყვი, ვგონებ შენს დედინაცვალსა და ამ წითელცხვირას გულ-ღვიძლში რაღაც სენი ჭირთ.

- მაინც რა? - დაინტერესდა სემი.

- რა და, - დაიწყო მოხუცმა ჯენტლმენმა ახსნა-განმარტება, - რასაც დალევენ, არ შეერგებათ ხოლმე, მაშინათვე ცხელ

წყლად იქცევა და მერე თვალთაგან გადმოედინდებათ ხოლმე. არა, დამიჯერე, ენდე ჩემს სიტყვას, სემი, მათ შიგნით რაღაც სნება სჭირთ.

მისტერ უელერმა ეს მეცნიერული შეხედულება თავის მრავალჯერ დაქნევითა და ქუფრი გამოხედვით დაადასტურა.

მისის უელერმა ამ სცენას თვალი რომ მოჰკრა, დაასკვნა, ან მე, ან მისტერ სტიგინზს გვკიცხავენო და ის იყო, დააპირა ცუდად გამხდომა, რომ მისტერ სტიგინზმა, როგორც იყო, შეძლო წამოდგომა და დამსწრე საზოგადოებას ჭკუისდამრიგებლური ქადაგება დაუწყო. ის განსაკუთრებით მისტერ სემუელს მიმართავდა: სიყვარულით და გულისამაჩუყებელი სიტყვებით აფიცებდა მტკიცედ მდგარიყო სადარაჯოზე იმ ბუნაგში, სადაც ის ბედმა ჩააგდო; თავი შეეკავებინა მლიქვნელობისა და გულზვავობისაგან და ყველაფერში მტკიცედ მიებაძა მისი, მისტერ სტიგინზის, მაგალითისათვის. თუ სემუელ უელერი ასე მოიქცეოდა, მას შეეძლო ჩაეთვალა, რომ ადრე თუ გვიან ის მივიდოდა იმ ნუგეშისმომგვრელ დასკვნამდე, რომ მსგავსად მისტერ სტიგინზისა, ის გახდებოდა ყველაზე უფრო ღირსეული და უმწიკვლო ადამიანი, ხოლო ყველა მისი ნაცნობი თუ მეგობარი დარჩებოდა ბილწ, უწმინდურ არამზადად; ამის შეგნებამ, არ შეიძლება, არ მოუტანოს უცხოველესი შვება და კმაყოფილება.

სტიგინზი აფიცებდა სემს, თავი აერიდებინა ლოთობის მანკიერებისათვის. ეს მანკიერება მან შეადარა ღორის უწმინდურ ჩვევას, აგრეთვე იმ შხამიან და მავნე ნარკოტიკებს, რომლებზედაც ამბობენ, ადამიანს გონებას ართმევსო.

როდესაც ეს წმინდა, ღირსეული წითელცხვირა ამ სიტყვებს ამბობდა, ენა საოცრად დაება და საკუთარი მჭევრმეტყველობით აღელვებულმა ბარბაცი დაიწყო. წონასწორობის დასაცავად მან სკამის ზურგს სტაცა ხელი.

მისტერ სტიგინზი აფრთხილებდა თავის მსმენელებს, ფხიზლად ყოფილიყვნენ ცრუქადაგებისა და რელიგიის უმწეო უარმყოფელების მიმართ, რომელთაც არ ჰყოფნით საიმისო ჭკუა, გადმოგცეთ თავდაპირველი დოქტრინები და არ გააჩნიათ რა გული, იგრძნონ ეს დოქტრინები, უფრო საშიში წევრები არიან საზოგადოებისა, ვიდრე ჩვეულებრივი ბოროტმოქმედები; რადგანაც ისინი გავლენას ახდენენ ყველაზე უფრო სუსტსა და უმეცარ ადამიანებზე; თესენ ზიზღსა და ბოროტებას იმის მიმართ, რაც უწმინდესად უნდა ითვლებოდეს. ისინი ნაწილობრივ სახელსაც კი უტეხენ დიდძალ სათნო, საპატიო, დარბაისელ ადამიანებს, რომლებიც მრავალ ჩინებულ სექტას უდგანან სათავეში.

მისტერ სტიგინზი დიდხანს იდგა ასე სკამის ზურგს დაყრდნობილი, ცალი თვალი დაეხუჭა, მეორეს კი ახამხამებდა, ამიტომ უნდა ვივარაუდოთ, რომ იგი ყოველივე ამაზე ფიქრობდა, მაგრამ არ ამჟღავნებდა.

როდესაც მისტერ სტიგინზი ამ სიტყვებს წარმოთქვამდა, მისის უელერი ყოველ მის წინადადებაზე ცრემლსა ღვრიდა; სემი სკამზე უკუღმა იჯდა, ხელები სკამის ზურგზე დაეწყო და ორატორს მოკრძალებით და თავაზიანად უყურებდა. ხანდახან მრავალმნიშვნელოვნად გადახედავდა მოხუც ჯენტლმენს, რომელსაც, თუმცა ამ ორატორიის დასაწყისი ძალიან მოეწონა, მაგრამ ამის მიუხედავად, შუა გზაზე მაინც ჩაეძინა.

- ყოჩაღ, ჩინებულია, - დაიძახა სემმა, როდესაც წითელცხვირამ სიტყვა დაამთავრა და დახეული ხელთათმანების ჩაცმა დაიწყო. მან ისე მაგრად ჩამოიცვა ხელთათმანები, რომ თითების სახსრებიც კი გამოუჩნდა, - ჩინებულია!

- იმედი მაქვს, თქვენ ეს სიტყვა სარგებლობას მოგიტანთ, სემუელ! - ზეიმით წარმოთქვა მისის უელერმა.

- მეც აგრე მგონია, დედილო.

- ნეტავი მამათქვენსაც მოუხდებოდეს! - ინატრა მისის უელერმა.

- გმადლობთ, ძვირფასო, - გამოეხმაურა მას უფროსი უელერი, - ჩემო საყვარელო, თავს როგორ გრძნობ?

- ურჯულო! - გაბრაზდა მისის უელერი.

- სიბნელესა შინა მყოფი ადამიანი! - დაუმატა მისტერ სტიგინზმა.

- ჩემო ღირსეულო არსებავ, - დაიწყო უფროსმა უელერმა, - თუკი თქვენი ამ ბნელით მოცული ლაპარაკის გარდა სხვა ნათელს ვერ დავინახავ, ადვილი შესაძლებელია, ჩემი დღე და სიცოცხლე ღამის მეეტლე ვიყო, ვიდრე სულ არ მოვეცლები ამ გზებს. აბა, მისის უელერ, თუკი ჩვენი ამლაყი კიდევ დიდხანს იდგება ეზოში, მას გზაში ვეღარაფერი გააჩერებს და ვაითუ, ის სავარძელი თავის მოძღვრიანად სადმე ღობეზე გადაგვიფრინდა.

მოჰკრა თუ არა ყური ასეთ ვარაუდს, ღირსეულმა მისტერ სტიგინზმა სასწრაფოდ დაავლო ხელი ქუდსა და ქოლგას. მერე განაცხადა, ახლავე წავიდეთო, რაზედაც მისის უელერმა თანხმობა განაცხადა.

სემმა ისინი ჭიშკრამდე მიაცილა და თავაზიანად გამოეთხოვა.

- ადიუ, სემუელ, - გამოეთხოვა შვილს მოხუცი ჯენტლმენი.

- რაო? - იკითხა სემმა.

- ნახვამდის, სემი, - დაემშვიდობა შვილს მოხუცი ჯენტლმენი.

- აი, თურმე საით უმიზნებ, - მიხვდა ბოლოს სემი, - ნახვამდის, ნახვამდის.

- სემი, - წასჩურჩულა შვილს მისტერ უელერმა და ფრთხილად მიმოიხედა, - გადაეცი ჩემი სალამი და პატივისცემა შენს

ბატონს. თუკი ამ საქმისას რაიმეს გადაწყვეტს, შემატყობინოს. მე და ერთმა კარგმა დურგალმა მოვიფიქრეთ, როგორ უნდა დავიხსნათ იგი ტყვეობიდან. პიანო, სემუელ, პიანო, - დაუმატა უფროსმა უელერმა, სემს გულზე ხელი დაჰკრა და ორი ნაბიჯით უკან დაიხია.

- ეგ რაღას ნიშნავს? - იკითხა სემმა.

- ფორტეპიანო, სემუელ, - მიუგო უფროსმა უელერმა უფრო მეტი იდუმალებით, - ქირით მოახერხებ იშოვო, მაგრამ ზედ დაკვრა კი არ შეიძლება, სემი.

- მერედა, რა გამოვა აქიდან? - ვერ მიხვდა სემი.

- რა და ვინმე გაგზავნოს ჩემს მეგობარ დურგალთან, სემ, - უპასუხა მისტერ უელერმა, - ახლა მაინც მიხვდი?

- ვერა, - მიუგო სემმა.

- როგორ ვერ მიხვდი, ფორტეპიანოს მექანიზმი გამოცლილი აქვს და მისტერ პიკვიკი ფეხსაცმელებიანად და ქუდიანად შიგ თავისუფლად მოთავსდება. სუნთქვაც არ გაუჭირდება, რადგან ფორტეპიანოს ფეხებში ხვრელი ექნება და შიგ ჰაერი ადვილად შევა. საჭირო იქნება მხოლოდ ამერიკაში გასამგზავრებელი ბილეთების წინასწარ შეძენა. ხომ იცი, ამერიკის მთავრობა არასგზით არ გასცემს მისტერ პიკვიკს, როდესაც გაიგებს, ფულიანი კაციაო, სემი. შენმა ბატონმაც მანამ იცხოვროს ამერიკაში, ვიდრე მისის ბერდლი სულს უფალს მიაბარებდეს, ანდა დოდსონსა და ფოგს ჩამოახრჩობდნენ. მე მგონი, სემი, ასეც მოხდება. შემდეგ ჩამოვიდეს შენი ბატონი და დაწეროს წიგნი ამერიკელებზე. შრომა ტყუილად არ ჩაუვლის, მთელ ხარჯებს აინაზღაურებს, თან ფულიც დარჩება, თუკი ამერიკელებს კარგად გაამათრახებს.

მისტერ უელერმა თავისი გეგმა ჩურჩულით და ამავე დროს ფრიად დიდი მღელვარებით გადასცა შვილს. შემდეგ თითქოს

შეშინდა ამ ღირსშესანიშნავი ცნობის მნიშვნელობა ზედმეტი ლაპარაკით არ გავაფუჭოო და მეეტლისათვის ჩვეული ჟესტით გამოეთხოვა შვილს და თვალს მოეფარა.

სემმა ძლივს მოასწრო მიეღო ჩვეულებრივი მშვიდი გამომეტყველება, რომელიც პატივცემული მშობლის საიდუმლო ინფორმაციამ საგრძნობლად დაურღვია, როდესაც მისტერ პიკვიკის ხმა მოესმა:

- სემ! - დაუძახა მას ხსენებულმა ჯენტლმენმა.

- სერ? - ხმა გასცა მისტერ უელერმა.

- ციხის დათვალიერებას ვაპირებ და მინდა თქვენც მახლდეთ, სემ. შეხედეთ, აგერ მოდის ტუსაღი, რომელსაც ჩვენ ვიცნობთ, სემ!

- რომელი, სერ? - იკითხა მისტერ უელერმა, - აი, ის ქოჩრიანი ჯენტლმენი, უცნაური პატიმარი, წინდები რომ აცვია?

- არც ერთი მათგანი, სემ! - უპასუხა მისტერ პიკვიკმა, - მე ვისზეც ვლაპარაკობ, ის თქვენი ძველი მეგობარია, სემ.

- ჩემი, სერ? - გაოცდა მისტერ უელერი.

- მე მგონი, თქვენ უნდა ჩინებულად გახსოვდეთ ეგ ჯენტლმენი, სემ, - უპასუხა მისტერ პიკვიკმა, - თუ მახსოვრობა არ გღალატობთ და ძველ ნაცნობებს ვეღარა ცნობთ. ჩუ! ხმა არ ამოიღოთ, სემ, არც ერთი სიტყვა, სემ.

როდესაც მისტერ პიკვიკი ამას ამბობდა, მათ ჯინგლი მიუახლოვდა. მას მისტერ პიკვიკის დახმარებით მევახშისაგან ნაყიდი ნახმარი ტანსაცმელი ეცვა და ნაკლებად შესაბრალისი შესახედაობა ჰქონდა, ვიდრე წინათ. თმაც შეეკრიჭა და სუფთა საცვალიც ჩაეცვა, მაგრამ ძალიან ფერმკრთალი და გამხდარი ჩანდა. ჯოხს დაყრდნობილი ძლივს მოჩანჩალებდა. ადვილი შესამჩნევი იყო, რომ ბევრი ჭირ-ვარამი ენახა, ავადმყოფობა და გაჭირვება გამოევლო და ეტყობოდა, ჯერაც დასუსტებული იყო. მის-

ტერ პიკვიკს მან მისალმების პასუხად ქუდი მოუხადა. ჩანდა, სემ უელერის დანახვას ფრიად აეღელვებინა და შეშფოთებულიყო.

ჯინგლს ფეხდაფეხ მისდევდა ჯობ ტროტერი. ამ კაცის ნაკლოვანებათა სიაში ვერ ნახავდით მეგობრის ერთგულებისა და სიყვარულის ნაკლებობას. ის ძველებურად დაკონკილი და ჭუჭყიანი იყო. მას შემდეგ, რაც პირველად შეხვდა მისტერ პიკვიკს, ჯობ ტროტერი ცოტათი მოკეთებულიყო. მან ჩვენს ძველს ღვთისნიერსა და მადლიან მეგობარს ქუდი მოუხადა და ნაწყვეტ-ნაწყვეტად ამოილუღლუღა მადლობის სიტყვები და ბოლოს წაიბურტყუნა: შიმშილით სიკვდილს გადამარჩინეთო.

- კარგია, კმარა, - მოუთმენლად შეაწყვეტინა მისტერ პიკვიკმა, - სემს გაჰყევით. მისტერ ჯინგლი, თქვენთან საქმე მაქვს. ჯობის დაუხმარებლად ვერ წამოხვალთ? - მიუბრუნდა მისტერ პიკვიკი ჯინგლს.

- რა თქმა უნდა, სერ... მზად გახლავარ... მხოლოდ ძალიან ჩქარა ნუ... მუხლები მიკანკალებს... თავიც უცნაურად მაქვს, ყველაფერი ტრიალებს... თითქოს ნამდვილი მიწისძვრა იყოს, ჭეშმარიტად.

- ხელმკლავი გამიკეთეთ, - შესთავაზა მისტერ პიკვიკმა.

- არა, არა, - უპასუხა ჯინგლმა, - ნუ წუხდებით... არა უშავს.

- რა სისულელეა, - განაცხადა მისტერ პიკვიკმა, - ხელზე დამეყრდენით, სერ, გთხოვთ.

ჯინგლი დაბნეული და აღელვებული იყო. არ იცოდა, როგორ მოქცეულიყო. მისტერ პიკვიკმა შეამჩნია ეს და საკითხი მარტივად გადაჭრა: სნეულ არტისტს მკლავში ხელი გაუყარა და უსიტყვოდ წაიყვანა თან.

მთელი ამ ხნის განმავლობაში მისტერ სემუელ უელერის სახე ენითაუწერელ, უსაზღვრო განცვიფრებას გამოხატავდა. ენაჩავარდნილი მსახური ხან ჯინგლს გადახედავდა, ხან ჯობს

მიაჩერდებოდა, ახლა ისევ ჯინგლს მიაპყრო მზერა, მერე ისევ ჯობს შეხედა. ბოლოს ჩუმად წამოიძახა: „ეჰ, ეშმაკსაც წაუღია ჩემი თავი“. ეს სიტყვები მან სულ ცოტა ოცჯერ მაინც გაიმეორა და ამ დაძაბულობის შემდეგ მეტყველების უნარი თითქმის სავსებით დაკარგა. შემდეგ ისევ თვალების ცეცება დაიწყო, ხან ერთს შეხედავდა და ხან მეორეს; პირკატანაცემი გამშრალიყო და ხმა ვერ ამოეღო.

- აბა, სემ, - მოიხედა მისტერ პიკვიკმა.

- მოვდივარ, სერ, - მიუგო მისტერ უელერმა. ის ანგარიშმიუცემლად მისდევდა თავის ბატონს და ჯერ კიდევ თვალი ვერ მოეწყვიტა ჯობ ტროტერისათვის, რომელიც უსიტყვოდ მოსდევდა მას მხარდამხარ.

ჯობი კარგა ხანს დასჩერებოდა მიწას. სემი თვალგაშტერებული უყურებდა ჯობს; ის სასეირნოდ გამოსულ ხალხს ეჯახებოდა, ხან პატარა ბავშვები ებლანდებოდნენ ფეხებში, კიბეზე ერთ-ორჯერ ფეხიც კი დაუცდა, მოაჯირებს ეხეთქებოდა; ჩანდა ვერაფერს გრძნობდა. ბოლოს ჯობმა ქურდულად შეხედა და ჰკითხა:

- როგორ ბრძანდებით, მისტერ უელერ?

- ის არის! - წამოიძახა სემმა და ეჭვმიუტანლად დაადგინა ჯობის პიროვნება, მუხლზე ხელი დაირტყა და თავისი გრძნობებისათვის რომ გამოსავალი მიეცა, ერთი მაგრად და გამყინავად დაუსტვინა.

- ჩემი მდგომარეობა შეიცვალა, სერ, - დაიჩივლა ჯობმა.

- მართლაც რომ შეცვლილა, - თქვა მისტერ უელერმა და თანამგზავრის ძონძები დაუფარავი გაკვირვებით შეათვალიერა - და უარესობისკენ წასულა. ასე განაცხადა ერთმა ჯენტლმენმა, რომელსაც ნახევარკრონიანი ფული დაუხურდავეს და ხურდაში ორი ყალბი შილინგი და ექვსი პენსი შეაჩეჩეს.

- ვაგლახ, სრული ჭეშმარიტებაა, - დაეთანხმა ჯობი და თავი გაიქნია, - ახლა უკვე რაღა დროის ტყუილებია, მისტერ უელერ! ცრემლები, - დაიწყო ჯობმა და ერთ წამს ეშმაკურად გადახედა სემს, - ცრემლები არცთუ ერთადერთი და საუკეთესო საშუალებაა ბედუკუღმართობის გამოსახატავად.

- ეგ მართალია, - მეტყველად უპასუხა სემმა.

- ცრემლები შეიძლება ცბიერი იყოს, თვალთმაქცურად გადმოედინოს ადამიანს, მისტერ უელერ, - დაუმატა ჯობმა.

- ვიცი, კარგად ვიცი, - დაეთანხმა სემი, - ზოგიერთ ადამიანს მუდამ აქვს მარაგი; დასჭირდება თუ არა, საცობს მოხდის მხოლოდ.

- დიახ, ეგეც მართალია, - დაეთანხმა თავის მხრივ ჯობიც, - მაგრამ მსგავსი ამბების გამოგონება და თამაში ძნელი საქმეა, მისტერ უელერ. თან ეს პროცესი რთული და მტკივნეულია, - ჯობმა თავისი გაყვითლებული, ჩაცვენილი ლოყები უჩვენა მოსაუბრეს, შემდეგ ჩამოძენძილი ხალათის სახელოები აიკეცა და ახლა გაძვალტყავებულ ხელებზე დაახედა: სიფრიფანა კანსა და კუნთებქვეშ ისეთი წვრილი ძვალი მოუჩანდა, ადამიანს ეგონებოდა, ხელი რომ მივაკარო, გატყდებაო.

- ეს რა დაგმართია? - იკითხა სემმა და უკან დაიხია.

- არაფერი, - მიუგო ჯობმა.

- არაფერი? - გაიმეორა სემმა.

- უკვე მრავალი კვირა გავიდა მას შემდეგ, რაც მე აღარაფერს ვაკეთებ, - თქვა ჯობმა, - და თითქმის ასევე არაფერსა ვჭამ და ვსვამ.

სემმა თანაგრძნობით გადახედა ჯობის გამხდარ სახეს და გაცვეთილ ტანსაცმელს, ხელი მკლავში ჩასჭიდა და უკან გაიყოლა ძალით.

- საით, მისტერ უელერ, სად მიმათრევთ? - იკითხა ჯობმა, მაგრამ ამაოდ ცდილობდა, თავი დაეღწია თავისი ძველი მტრის ღონიერი ხელებიდან.

- წავიდეთ, - თქვა სემმა, - წამოდით. მეტი ახსნა-განმარტება სემმა ზედმეტად ჩათვალა. ასე მიათრევდა იგი ჯობს, ვიდრე ღვინის სარდაფს მიაღწევდნენ. აქ მან მოითხოვა პორტერი, რომელიც მაშინვე მიართვეს.

- აბა, - უთხრა სემმა, - გამოცალეთ და ჭიქაც გადმოაპირქვავეთ. მინდა დავინახო, როგორ მიიღებთ წამალს.

- კი, მაგრამ, ჩემო ძვირფასო, მისტერ უელერ... - უნდოდა უარი ეთქვა ჯობს.

- ძირამდე გამოცალეთ, ძირამდე! - უბრძანა სემმა.

ამრიგად ქედმოდრეკილმა ჯობმა ჭიქა ტუჩებთან მიიტანა. ერთხელ, მხოლოდ ერთხელ შეჩერდა სულის მოსათქმელად, მაგრამ ისე, რომ ჭიქა ტუჩისათვის არ მოუცილებია და რამდენიმე წამის შემდეგ გადმოპირქვავებული ჭიქა მკლავის სიგრძეზე ეჭირა. ჭიქიდან არაფერი გადმოღვრილა, გარდა ქაფის ორიოდე წვეთისა, რომელიც ზანტად მოსწყდა ჭურჭლის კიდეს და მიწაზე დაეცა.

- კარგია, - მოუწონა სემმა, - აბა, ახლა როგორა ხართ?

- უკეთ, სერ, მგონი, მართლაც რომ უკეთ ვგრძნობ თავს! - უპასუხა ჯობმა.

- რა თქმა უნდა, უკეთ იქნებით! - დაბეჯითებით მიუგო სემმა, - ეს იმას ჰგავს, ბუშტს რომ ჰაერით გაბერავენ. უბრალო თვალითაც ვამჩნევთ, როგორ სუქდებით ამ ოპერაციის შემდეგ. რას იტყვით, კიდევ ერთი ჭიქა კარგი იქნება, არა?

- ნუ წუხდებით, საკმარისია, დიდად გმადლობთ, სერ, მაგრამ უარი უნდა ვთქვა, - უპასუხა ჯობმა.

- რას იტყოდით უფრო ნოყიერ რამეზე? - იკითხა სემმა.

- თქვენი ღირსეული ბატონის წყალობით, სერ, - მიუგო მისტერ ტროტერმა, - ჩვენ სამს რომ თხუთმეტი წუთი აკლდა, შემწვარი ბატკნის ნახევარი ბარკალი მოგვართვეს თავისი კარტოფილით.

- როგორ, ჩემმა ბატონმა იზრუნა თქვენზე? - ხაზი გაუსვა ამ გარემოებას სემმა.

- დიახ, - უპასუხა ჯობმა, - კიდევ მეტიც, მისტერ უელერ. როდესაც ჩემი ბატონი ძალიან ავად იყო, მან ჩვენ ოთახი გვიშოვა. მანამდე კი სოროში ვცხოვრობდით. ოთახის ქირასაც თქვენი ბატონი იხდიდა, სერ. ღამღამობით, როდესაც ვერავინ დაინახავდა, მოდიოდა და დაგვხედავდა.

- მისტერ უელერ, - მიმართა სემს ჯობმა და ამჯერად გულწრფელად ატირდა, - მზად ვარ, ვემსახურო ამ ჯენტლმენს, ვიდრე მის ფეხთით სული არ ამომხდება.

- აი, რა, ჩემო მეგობარო, - უპასუხა სემმა, - უნდა იმედი გაგიცრუო და მოგახსენო, რომ ეგ ოინი არასოდეს გაგივა.

ჯობ ტროტერი გაოცდა.

- დიახ, არ გაგივათ, ყმაწვილო, - მტკიცედ გაიმეორა სემმა, - რომ იცოდეთ, ჩემ გარდა მას არავინ მოემსახურება და რაკი სიტყვამ მოიტანა, სხვა საიდუმლოსაც გაგანდობთ. სემმა ლუდის ფული გადაიხადა. - არასოდეს გამიგონია, ხომ გესმით, არც წიგნებში სადმე წამიკითხავს, არც სადმე სურათებში მინახავს არც ერთი ანგელოზი, რომელსაც მოკლე შარვალი და პაჭიჭები ეცვას და, რამდენადაც მახსოვს, ანგელოზები არც სათვალეს ატარებენ (თუმცა შესაძლებელია, ასეთებიც დაიარებოდნენ ქვეყანაზე), ისმინეთ ჩემი სიტყვები, ჯობ ტროტერ! ყველაფრის მიუხედავად, ჩემი ბატონი წმინდა წყლის ანგელოზია და ქვეყნად არ მეგულება კაცი, რომელიც გაბედავს და იტყვის, რომ ის იცნობს უკეთესსა და უფრო ღირსეულ ადამიანს, ვიდრე ჩემი ბატონია.

ამ გამომწვევი სიტყვების შემდეგ მისტერ უელერმა ხურდა ფული გულის ჯიბეში შეინახა, თავისი ნათქვამი მრავალი ჟესტითა და თავის ქნევით დაადასტურა და საუბრის ობიექტის საძებნელად გაემართა.

მათ მალე იპოვეს მისტერ პიკვიკი, რომელიც დარბაისლურად ესაუბრებოდა ჯინგლს. ის არავითარ ყურადღებას არ აქცევდა ბურთის სათამაშო მოედანზე შეჯგუფულ ხალხს, თუმცა ხალხი ფრიად ჭრელი იყო და უბრალო ცნობისმოყვარეობისათვის მაინც ღირდა მათი შეხედვა.

- კარგი, - ამბობდა მისტერ პიკვიკი, როდესაც სემი და ჯობი ახლოს მოვიდნენ, - დაიცადეთ, ვიდრე მოიკეთებთ, მანამ კი მოიფიქრეთ, როდესაც მომჯობინდებით და შეძლებთ ამ ამოცანის შესრულებას, მითხარით თქვენი აზრი და შემდეგ ერთად განვსაჯოთ. ახლა კი თქვენს ოთახში წაბრძანდით. თქვენ ჯერ კიდევ სუსტად ხართ და ჰაერზე დიდხანს ყოფნა ძნელი და დამღლელია თქვენთვის.

სადღა იყო ალფრედ ჯინგლის ძველებური უდარდელობა! მისი პირქუში მხიარულებაც (ასეთნაირად გამოიყურებოდა კაცი, როდესაც მისტერ პიკვიკმა პირველად იხილა იგი ბედშავ, დუხჭირ მდგომარეობაში) უგზო-უკლოდ გამქრალიყო. ჯინგლმა უსიტყვოდ მდაბლად დაუკრა თავი მისტერ პიკვიკს, ჯობს ანიშნა, არ გამომყვეო და ნელა წალასლასდა.

- საინტერესო სანახავია, სემ, არა? - იკითხა მისტერ პიკვიკმა და სათნოდ მიმოიხედა.

- ოღონდაც, ფრიად საინტერესო, სერ, - უპასუხა სემმა, - სასწაულს ქვეყნად დასასრული არა აქვს, სერ! მოვტყუებულვარ და ძალიან მაგრადაც, თუკი ამ ჯინგლს წყლის ტუმბოსთან საქმე არა ჰქონდეს!

ფლიტის ის კედელმოვლებული ნაწილი, სადაც მისტერ პიკ-ვიკი იდგა, საკმაოდ ფართო იყო. აქ ადვილად გაკეთდებოდა ბურთის სათამაშო მოედანი. ამ მოედნის ცალ მხარეს კედელი იყო აღმართული, მეორე მხარეს კი ციხის ნაწილი, რომელიც (უფრო სწორად, ციხის ნაწილი კი არა, ის კედელი, რომელიც ციხეს ჰქონდა შემოვლებული) წმინდა პავლეს ტაძარს გადაჰყურებდა. ამ მოედანზე ნახავდით დაღლილ-დაქანცულ უამრავ მოვალეს, ზოგი იჯდა, ზოგიც უქმად დაყიალებდა. უმრავლესობა ვალის გადაუხდელობის გამო სასამართლოში გამოძახებას ელოდებოდა. სხვები სასჯელს იხდიდნენ და როგორადაც შეეძლოთ, დროს კლავდნენ. ბევრ მათგანს დაძონძილ-დაკონკილი ტანსაცმელი ეცვა. იყვნენ კოხტად ჩაცმულებიც. უმეტესი ნაწილი ჭუჭყიანი იყო, შეხვდებოდით აქა-იქ სუფთად ჩაცმულებსაც. ყველანი უმიზნოდ დაყიალ-დახეტიალებდნენ და გალიაში ჩასმულ მხეცებს ჰგავდნენ.

ფანჯრებიდან, რომლებიც ამ ეზოს და მოსეირნე ხალხს გადაჰყურებდა, ადამიანები იხედებოდნენ. ზოგიერთი ზევიდან ხმამაღლა ელაპარაკებოდა ეზოში მოსეირნე ნაცნობებს, ზოგიც ბურთს ეთამაშებოდა ეზოს მამაც მოთამაშეებს. სხვები ბურთის თამაშს უყურებდნენ და თვალს ადევნებდნენ ბიჭებს, რომლებიც თამაშის შედეგებს გაჰკიოდნენ. სამზარეულოში, რომელიც ეზოს ერთ კუთხეში იყი მოთავსებული, აქეთ-იქით დაძრწოდნენ ჭუჭყიანი, ქუსლმოქცეულფეხსაცმლიანი დედაკაცები. მეორე კუთხეში ბავშვები ყვიროდნენ, ჩხუბობდნენ და თამაშობდნენ. კეგლების კაკუნი, მოთამაშეთა ყვირილი ათას სხვა ხმაში ირეოდა და ირგვლივ ყველგან ხმაური და აურზაური იდგა. მხოლოდ ერთ პატარა, უბადრუკ ფარდულში, რამდენიმე იარდის მოშორებით, სუფევდა საშინელი სიჩუმე. იქ უძრავად იწვა და ელოდებოდა დამცინავ დაკითხვას კანცლერის პატიმრის გვამი,

რომელიც წინა ღამით გარდაცვლილიყო. გვამი! ასეთია იურიდიული ტერმინი, აღმნიშვნელი ზრუნვითა და ღელვით, სიყვარულით, იმედითა და სასოწარკვეთით აღსავსე მოუსვენარი, მშფოთვარე მასისა, რომელიც ქმნის ცოცხალ ადამიანს. აჰა, კანონმა მიიღო თავისი გვამი, ასვენია სუდარაში გახვეული ეს საშინელი მოწმე კანონის ლმობიერებისა.

- სერ, სასტვენ დუქანში ხომ არ წამობრძანდებით? - ჰკითხა მისტერ პიკვიკს ჯობ ტროტერმა.

- რაო, სადაო? - კითხვა შეუბრუნა მისტერ პიკვიკმა.

- სასტვენ დუქანში, სერ, - ჩაერია მისტერ უელერი.

- ეგ რაღა არის, სემ, იქ ჩიტებს ყიდიან? - დაინტერესდა მისტერ პიკვიკი.

- რას ბრძანებთ, სერ! - უპასუხა ჯობმა, - სასტვენ დუქანში, სერ, სასმელებს ყიდიან. მან მოკლედ განუმარტა პიკვიკს, რომ ციხეში დაწესებულია დიდი ჯარიმა იმათთვის, ვინც მაგარ სასმელს შეიტანს, რადგან ეს საქონელი ძვირად ფასობს ამ ციხეში დამწყვდეული ლედებისა და ჯენტლმენებისათვის, ამიტომ ზოგიერთი გამჭრიახი მეციხოვნე პირადი ანგარების მიზნით თვალს იხვევს და ვერ ამჩნევს იმ ორი-სამი პატიმრის მოქმედებას, რომელიც საყვარელი სასმლის, ჯინის, გაყიდვით დიდ მოგებას იღებს.

- ეს საქმიანობა, სერ, თანდათანობით მოვალეთა ყველა ციხეში დამკვიდრდა, - დააბოლოვა სიტყვა მისტერ ჯობ ტროტერმა.

- ამ პრაქტიკას ის დიდი უპირატესობა ახლავს თან, - ჩაერია საუბარში სემი, - რომ მეციხოვნეები გაფაციცებით ადევნებენ თვალყურს ამ საქმიანობას და ცდილობენ დაიჭირონ ის კონტრაბანდისტები, რომლებიც მათ ფულს არ უხდიან, თუკი ასეთები ხელში ჩაუვარდათ, გაზეთები მათ სიფხიზლისათვის ქება--

დიდებას შეასხამენ და ამით ორ კურდღელს დაიჭერენ: ერთი მხრივ ხალხს აფრთხობენ, ხელი არ მიჰყონ აღებ-მიცემობას და მეორე მხრივ, მეცხოვნეებს უხვეჭენ სახელს.

- სავსებით მართალია, მისტერ უელერ, - დაეთანხმა ჯობი.

- კი, მაგრამ, განა არასოდეს ჩხრეკენ ამ ოთახებს, რომ ნახონ, არის თუ არა სადმე დამალული სასმელები? - იკითხა მისტერ პიკვიკმა.

- რა თქმა უნდა ჩხრეკენ, სერ, - უპასუხა სემმა, - მაგრამ მეცხოვნეებმა იციან წინასწარ და აფრთხილებენ მსტვინავებს და მერე უსტვინეთ, რამდენიც გენებოთ, ვერაფერს იპოვით.

ამასობაში ჯობმა დააკაკუნა კარზე, რომელიც ერთმა თმაგაჩეჩილმა ჯენტლმენმა გააღო და როგორც კი მოსულები შიგ შევიდნენ, მან კვლავ ურდული გაუყარა და თავისთვის ჩაიცინა. ჯობმაც ჩაიცინა. სემიც ასე მოიქცა. მისტერ პიკვიკმაც გაიფიქრა, ასე უნდაო და პირს ღიმილი არ მოსცილებია.

თმაგაჩეჩილი ჯენტლმენი, ჩანდა, სრულიად კმაყოფილი იყო საქმის ასე უსიტყვო წარმართვით. მან გამოიღო საწოლქვეშ დამალული თიხის ბრტყელი დოქი, რომელშიც ორიოდე კვარტი ჩადიოდა და სამი ჭიქა ჯინით აავსო. ჯობ ტროტერმა და სემმა სწრაფად, ოსტატურად გამოცალეს ჭიქები.

- კიდევ გნებავთ? - იკითხა მსტვინავმა ჯენტლმენმა.

- საკმარისია, - უპასუხა ჯობ ტროტერმა.

მისტერ პიკვიკმა ფული გადაიხადა. კარი გაიღო და სამივე გამოვიდა. თმაგაჩეჩილმა ჯენტლმენმა თავი მეგობრულად დაუქნია მისტერ როკერს, რომელმაც შემთხვევით სწორედ მაშინ ჩაიარა კართან.

აქედან მისტერ პიკვიკი კვლავ გალერეებს ესტუმრა. მოინახულა ყველაფერი, ადიოდა და ჩადიოდა კიბეზე, ეზო ხელახლა შემოიარა. მას ეჩვენებოდა, რომ ციხის ბინადართა უმრავლესო-

ბა მაივინზებისა და სმენგლების, მღვდლების, ყასბებისა და არამზადებისაგან შედგებოდა, რომლებიც ამ სიარულში ისევ და ისევ ხვდებოდნენ გზაზე. მთელი ეს არემარე წუხილსა და მოუსვენრობას მოეცვა. ხალხი აქა-იქ შეჯგუფულიყო, აჩრდილებივით დაქროდნენ აქეთ-იქით, როგორც ეს მშფოთვარე, უსიამოვნო სიზმარში ხდება ხოლმე.

- საკმარისად ვნახე ყველაფერი, - თქვა მისტერ პიკვიკმა და თავის პატარა ოთახში სკამზე დაეშვა, - ნანახმა თავი და გული მატკინა. ამას იქით ჩემს საკუთარ ოთახში უნდა ჩავემწყვდიო, რომ ამდენი უბედურება აღარ ვნახო.

მართლაც, მისტერ პიკვიკი მტკიცედ იცავდა ამ გადაწყვეტილებას - სამი გრძელი თვის განმავლობაში მთელ დღეებს თავის ოთახში ატარებდა. მხოლოდ ღამით გამოიპარებოდა სუფთა ჰაერზე. ამ დროს სხვა პატიმრებს ეძინათ, ან კიდევ ლოთობაში ატარებდნენ დროს თავიანთ ოთახებში. მის ჯანმრთელობას დაეტყო ეს მკაცრი დატყვევება. არც მისტერ პერკერისა და მისი მეგობრების ათასჯერ გამეორებულმა თხოვნამ და არც მისტერ სემუელ უელერის უფრო ხშირმა და დამაჯერებელმა ხვეწნა-მუდარამ არ გაჭრა: მისტერ პიკვიკს ვერაფერმა შეაცვლევინა ურყევი გადაწყვეტილება.

თავი XLVI

გვიამბობს მისტერ დოდსონისა და მისტერ ფოგის გულისამაჩუყებელ და დელიკატურ საქციელზე, რომელიც არ იყო მოკლებული გონებამახვილობას

ერთ მშვენიერ დღეს, ივლისის მიწურულს, გოსუელ-სტრიტზე გამოჩნდა დაქირავებული ორთვალა ეტლი, რომლის ნომერიც თვალისთვის შეუმჩნეველი დარჩა, ისე სწრაფად მიქროდა იგი. მეეტლის გარდა, რომელიც, რა თქმა უნდა, მისთვის განკუთვნილ ადგილას იჯდა, ეტლში სამი ადამიანი შეჭეჭყილიყო. ეტლის წინსაფარს ზემოდან ორი შალი ეკიდა. ეს ორი შალი, ჩანდა, იმ ორ ანჩხლსა და ჭირვეული შესახედაობის მანდილოსანს ეკუთვნოდა, რომლებიც წინსაფარს იქით ისხდნენ. მათ შორის კი მოთავსებულიყო ჯენტლმენი, რომელსაც მარცხნივ და მარჯვნივ ეს ორი ლედი ისე აწვებოდა, რომ კაცი საოცრად დაპატარავებულიყო. ჯენტლმენი ჩლუნგი და მორჩილი ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებდა. გაბედავდა თუ არა ის უბედური ხმის ამოღებას, რომელიმე მათგანი მაშინვე სიტყვას გააწყვეტინებდა. ეს ორი ანჩხლი შესახედაობის ლედი და ჩლუნგი ჯენტლმენი მეეტლეს სხვადასხვა, ერთმანეთის საწინააღმდეგო მითითებას აძლევდნენ, თუმცა მიზანი კი ერთი ჰქონდათ, ყველას უნდოდა, ეტლი მისის ბერდლის სახლთან გაჩერებულიყო. ჩლუნგი ჯენტლმენი იმ ორი ანჩხლი შესახედაობის ლედის ჯიბრზე ამტკიცებდა, მისის ბერდლის სახლის ჭიშკარი მწვანეა და არა ყვითელიო.

- ჰეი, მეეტლევ, მწვანე ჭიშკართან გააჩერეთ! - ბრძანა ჩლუნგმა ჯენტლმენმა.

- ო, რა რეგვენია, გეთაყვა! - წამოიძახა ერთ-ერთმა ანჩხლმა ლედიმ, - მეეტლევ, ყვითელ ჭიშკართან გააჩერეთ!

ამის გაგონებაზე, მეეტლემ, რომელიც აპირებდა, ეტლი მწვანე ჭიშკართან გაეჩერებინა, ისე მაგრად მოსწია აღვირს, რომ ცხენმა უკან დაიხია და კინაღამ ეტლში შევარდა. მეეტლემ აღვირი კვლავ მოუშვა, ცხენს წინა ფეხები მიწაზე დაადგმევინა და გაჩერდა.

- სად უნდა გავაჩერო? - აღშფოთდა მეეტლე, - ჯერ ერთმანეთში მორიგდით, უმჯობესია. მე მინდა მხოლოდ ის ვიცოდე, სად გავაჩერო?

კამათი ამჯერად უფრო ცხარედ განახლდა. ცხენს ცხვირზე ბუზი დასჯდომოდა და აწუხებდა. მეეტლემ დრო იხელთა და ცხენს ცხვირ-პირში მათრახი დაუშინა საწინააღმდეგო რეაქციის გამოწვევის პრინციპის საფუძველზე.

- ხმის უმრავლესობამ გადაწყვიტა, - განაცხადა ბოლოს ერთ-ერთმა ანჩხლმა ლედიმ, - ისევ ყვითელ ჭიშკართან, მეეტლევ.

ეტლიც ისეთი ზარ-ზეიმით მიგრიალდა ყვითელ ჭიშკართან, თითქოს საკუთარი ეკიპაჟიაო, როგორც განაცხადა ერთ-ერთმა ანჩხლმა ლედიმ. მეეტლე ჩამოხტა და მანდილოსნებს მიაშურა დასახმარებლად. ამ დროს, ცოტა მოშორებით, წითელჭიშკრიანი სახლის ერთ-ერთ ფანჯარაში გამოჩნდა პატარა, მრგვალი თავი, რომელიც მისტერ ბერდლს ეკუთვნოდა.

- ოჰ, რა საზიზღარი ხარ! - აღშფოთდა ზემოხსენებული პატარა ანჩხლი ლედი და ჩლუნგ ჯენტლმენს გამანადგურებელი მზერა ესროდა.

- ჩემო კარგო, ჩემი ბრალი ხომ არ არის, - თავს იმართლებდა ჯენტლმენი.

- ბრიყვო, რეგვენო, ნუღა მელაპარაკები! - სიტყვა გააწყვეტინა ქალმა, - წითელ ჭიშკართან გაგვიჩერე, მეეტლევ! თუკი ოდესმე ქალი შეუწუხებია უღირს არსებას, რომელსაც სასახელოდ მიაჩნია და სიამოვნებას ჰგვრის პირველი შესაძლებლობისთანავე, უცხო პირთა თანდასწრებით, საკუთარი მეუღლის შეურაცხყოფა, იცოდეთ, ეს ქალი მე გახლავარ!

- გრცხვენოდეთ, რედლ! - კვერი დაუკრა მეორე პატარა მანდილოსანმა, რომელიც მისის კლაპინზი გახლდათ.

- კი, მაგრამ ასეთი რა დავაშავე? - განცვიფრდა მისტერ რედლი.

- ხმა გაკმინდე-მეთქი, ბრიყვო. იმის ხათრით მაინც გაჩერდი, რომ მე არ დამავიწყდეს ჩემი ქალობა, თორემ ისეთს გითავაზებ...

ვიდრე ცოლ-ქმარი ამ საუბრით იყო გართული, მეეტლე აღვირით ხელში, სამარცხვინოდ, ქვეითად მიუძღოდა ეტლს. ასე მიიყვანა მან ეს სამი ადამიანი წითელ ჭიშკართან, რომელიც ახალგაზრდა ბერდლს გაეღო კიდეც. მართლაც, რა უღირსი და დამამცირებელი იყო მეგობრებთან ასე გამოცხადება. გაქაფულცხენებიანი ეტლი როდი მიგრიალდა ჭიშკართან! არც მეეტლე გადმომხტარა კოფოდან და არ აუტეხია რიხიანი ბრახუნი კარზე; არც წინსაფარი მოუხსნია უკანასკნელ წუთს, რათა მანდილოსნები სიცივეს არ შეეწუხებინა და არ მიუწოდებია მათთვის შალები, როდესაც ისინი ეტლიდან გადმოხტნენ, როგორც წესია და როგორც საკუთარი ეტლის პატრონს ეკადრება. ასეთ მოსვლას მარილი აკლდა. ასეთ მგზავრობას ფეხით მოსვლა სჯობდა.

- ოჰ, ტომი, საყვარელო, საბრალო დედაშენი როგორ ბრძანდება? - მიუალერსა ტომის მისის კლაპინზმა.

- ჩინებულადაა. დედა მზადაა და სასტუმრო ოთახში გელოდებათ. მეც მზად გახლავარ, დიახ, მზად.

მისტერ ბერდლმა ხელები ჯიბეებში ჩაიწყო, კიბიდან მიწაზე გადახტა, მერე ისევ ამოხტა, მერე ისევ ჩახტა და ასე განგრძობდა ხტომას ქვევით-ზევით, ზევით-ქვევით.

- ტომი, თუ იცი, ჩვენთან ერთად კიდევ ვინმე ხომ არ მოდის? - იკითხა მისის კლაპინზმა და მოსასხამი გაისწორა.

- მისის სენტერზი მობრძანდება და მეც მოვდივარ, მეც.

- ეშმაკსაც წაუღია ეს ბიჭი, - ჩაიბურტყუნა მისის კლაპინზმა, - მარტო თავის თავზე ფიქრობს. ტომი, გეთაყვა, მოიხედე.

- რაო? - ვერ გაიგო ტომიმ.

- კიდევ ვინ მოდის ჩვენთან ერთად, ჩემო კარგო? - შემპარავად შეეკითხა ბავშვს მისის კლაპინზი.

- ვინა და მისის როჯერსი მოდის, - უპასუხა მისტერ ბერდლმა და თვალები გადმოკარკლა.

- როგორ, ის ლედი, რომელიც ოთახს ქირაობს? - წამოსცდა მისის კლაპინზს. მისტერ ბერდლმა ხელები უფრო ღრმად ჩაიყო ჯიბეში და ოცდათხუთმეტჯერ მაინც დაუქნია თავი იმის დასამტკიცებლად, რომ ის სწორედ მდგმურ ლედის გულისხმობდა და სხვას არავის.

- ღმერთო დიდებულო, ნამდვილი წვეულება ყოფილა! - წამოიძახა მისის კლაპინზმა.

- ოო, თქვენ რომ იცოდეთ, რაა კარადაში შენახული, იტყოდით, მართლაც ასეაო, - კვერი დაუკრა მისტერ ბერდლმა.

- მაინც, რა არის, ტომი? - ალერსიანად ჰკითხა მისის კლაპინზმა, - მე ხომ მეტყვი, ტომი? მე ვიცი, რომ მეტყვი.

- არა, არ გეტყვით, - თავი გაიქნია ტომიმ და ისევ კიბეზე ახტა.

- რა საძაგელი ბავშვია, - ჩაიბურტყუნა მისის კლაპინზმა, - რა უკეთური და ჯიუტი. ჩემო ტომი, უთხარი შენს საყვარელ კლაპის.

- დედამ მითხრა, არა თქვაო, - უპასუხა ბიჭმა, - მეც მომცემენ, მეც! - ამ მოლოდინით გახარებული ეს უდღეური ბავშვი გაორკეცებული ხალისით შეუდგა კვლავ ხტომას ქვევიდან - ზევით, ზევიდან - ქვევით.

ვიდრე მისის კლაპინზი ამ უმანკო ბავშვის დაკითხვას აწარმოებდა, მისტერ და მისის რედლები მეეტლესთან მგზავრობის საფასურის გამო დავობდნენ. დავა მეეტლის სასარგებლოდ დამთავრდა და მისის რედლიც ბარბაცით მიუახლოვდა დას.

- ოჰ, მერი-ენ! რა მოხდა? - შეწუხდა მისის კლაპინზი.

- რაღა რა მოხდა, თავით ფეხამდე ვცახცახებ, ბეტსი! რედლი ხომ კაცი არ არის, ყველაფერი მე უნდა ამკიდოს!

რა თქმა უნდა, ეს უსამართლობა გახლდათ უიღბლო მისტერ რედლის მიმართ. იგი მეუღლემ კამათის დაწყებისთანავე განარიდა საქმეს და მკაცრად უბრძანა ენას კბილი დააჭირეო. საბრალო მისტერ რედლს თავის მართლების შესაძლებლობაც არ გააჩნდა, რადგან მისის რედლს გულყრის ეჭვმიუტანელი ნიშნები გამოაჩნდა. სასტუმრო ოთახის ფანჯრიდან მისის ბერდლმა, მისის სენტერზმა, მდგმურმა და მდგმურის მოახლემ შეამჩნიეს თუ არა ეს, სახლიდან გამოცვივდნენ და მისის რედლი სასწრაფოდ შიგ შეიყვანეს. ქალები ერთხმად ლაპარაკობდნენ და არ იცოდნენ, როგორ გამოეხატათ თავიანთი თანაგრძნობა და ნუგეში, თითქოს მისის რედლივით უბედური დედამიწაზე აღარავინ იყო. მისის რედლი სასტუმრო ოთახში ტახტზე დააწვინეს. შემდეგ ლედი, რომელიც მეორე სართულზე ცხოვრობდა, ავარდა ზევით და შუშით ნიშადურის სპირტი მოარბენინა. მერე მისის რედლს მაგრად მოხვია ხელი კისერზე, მთელი თავისი ქალური სიკეთითა და სიბრალულით შუშა ცხვირთან მიუტანა. მისის

რედლი დიდხანს ებრძოდა ზემოხსენებულ ლედის და ბოლოს იძულებული გახდა, ეღიარებინა, თავს ნამდვილად უკეთ ვგრძნობო.

- საბრალო, - წამოიძახა მისის როჯერსმა, - ჩინებულად მესმის, რა დღეშიცაა საცოდავი.

- საბრალო! მეც, მეც მესმის, - დაუდასტურა მისის სენტერზმა. აქ ყველა ქალს ერთხმად აღმოხდა კვნესა. თითოეულმა ცალ--ცალკე განაცხადა, რომ კარგად ესმოდა ყველაფერი და გულით ებრალებოდა მისის რედლი. მდგმურის პატარა მოახლემაც კი, რომელიც სულ ცამეტი წლისა იყო და სიმაღლით სამი ფუტი თუ იქნებოდა, თავისი თანაგრძნობა ჩურჩულით გამოხატა.

- კი, მაგრამ მაინც რა მოხდა? - იკითხა მისის ბერდლმა.

- ჰო, მართლა, რა მოგივიდათ? - დაინტერესდა მისის როჯერსიც.

- რა და, გული ძალზე მომაყვანინეს, - საყვედურით განაცხადა მისის რედლმა.

ამის გაგონებაზე ქალებმა აღშფოთებით შეხედეს მისტერ რედლს.

- საქმე ის არის, - დაიწყო უიღბლო ჯენტლმენმა და წინ წარდგა, - ეტლიდან რომ გადმოვხტით, დაიწყო კამათი მეეტლესთან...

ამ სიტყვების გაგონებაზე მისმა მეუღლემ ისე გულგამყინავად დაიკივლა, რომ შემდგომი ახსნა-განმარტება დაფარა.

- ნეტავ გაჩერდებოდეთ, სანამ ამ ქალს მოვასულიერებთ, რედლ! - გაცხარდა მისის კლაპინზი, - ხომ მოგეხსენებათ, რომ სანამ აქ თავზე ადგახართ, ვერ დაწყნარდება.

დანარჩენი მანდილოსნებიც ასევე ფიქრობდნენ. ამრიგად, საბრალო მისტერ რედლი ოთახიდან გამოაგდეს და შესთავაზეს ეზოში გაისეირნეო. ის, მართლაც, სეირნობდა ეზოში დაახ-

ლოებით საათის ერთი მეოთხედის განმავლობაში. ბბოლოს, მისის ბერდლმა ზარ-ზეიმით გამოუცხადა, შემოდიო; თანაც გააფრთხილა, მეუღლეს სათუთად მოექეციო. მისის ბერდლმა ისიც დასძინა, რომ მან იცის, მისტერ რედლი უხეშს არაფერს უქადის თავის მეუღლეს, მაგრამ მერი-ენი თავს ახლა ფრიად სუსტად გრძნობსო და თუ მისტერ რედლი ფრთხილად არ იქნება, შეიძლება მას მეუღლე მოულოდნელად ხელიდან გამოეცალოს და ეს კი მთელი სიცოცხლე მწარე მოგონებად დარჩებაო.

მისტერ რედლმა ყველაფერი უდიდესი მორჩილებით მოისმინა და სასტუმრო ოთახში მამა აბრამის ბატკანივით დაბრუნდა.

- ოჰ, მისტერ როჯერს, - დაიწყო მისის ბერდლმა, - მაპატიეთ, თქვენ რომ არ გაგაცანით! მისტერ რედლი გახლავთ, ქალბატონო; ეს მისის კლაპინზი, ესეც მისის რედლი, ქალბატონო!

- რომელიც მისის კლაპინზის დაც არის, - დაუმატა მისის სენტერზმა.

- რასა ბრძანებთ? - მოწყალედ დასძინა მისის როჯერსმა, რადგან იგი მდგმური იყო, თანაც მისი მოახლე იმ დღეს ამ საზოგადოებას ემსახურებოდა, ამიტომ, ამ მდგომარეობის შესაბამისად, მას თავი უფრო ქედმაღლურად ეჭირა, ვიდრე უბრალოდ და თავისუფლად.

- რასა ბრძანებთ, - გაიმეორა მან.

მისის რედლმა მას ტკბილად გაუღიმა, მისტერ რედლმა თავი დაუკრა, ხოლო მისის კლაპინზმა განაცხადა, რომ ბედნიერია, რათა მიეცა საშუალება გასცნობოდა ისეთ ლედის, რომელზედაც ამდენი კარგი სმენია. ამ ქათინაურს ზემოხსენებული ლედი ღირსებით აღსავსე თავმდაბლობით შეხვდა.

- დარწმუნებული ვარ, მისტერ რედლ, - დაიწყო მისის ბერდლმა, - აღტაცებული ხართ იმით, რომ თქვენ და ტომი ერთა-

დერთი ჯენტლმენები ბრძანდებით ჩვენს ქალთა საზოგადოებაში და გაქვთ პატივი, ამდენ ლედის ერთად ჰემსტედს, „ესპანელამდე“ ეახლოთ? განა ასე არ უნდა იყოს, მისის როჯერს?

- რა თქმა უნდა, - დაუდასტურა მისის როჯერსმაც და ამის შემდეგ ყველა ქალმა ერთხმად წამოიძახა, - ო, რა თქმა უნდა, რა თქმა უნდაო.

- რა საკითხავია, მეც ასევე ვფიქრობ, - დაიწყო მისტერ რედლმა ხელების ფშვნეტით და გამხიარულების სუსტი სურვილი გამოამჟღავნა, - სიმართლე რომ ვთქვათ, როდესაც ეტლით მოვდიოდით, მე ვამბობდი... - ამ სიტყვების გაგონებაზე, რომლებიც ამდენ უსიამოვნო და მტკივნეულ მოგონებას იწვევდა, მისის რედლმა ცხვირსახოცი კვლავ თვალზე მიიფარა და მის გულს ნახევრად დახშული გმინვა აღმოხდა. მისის ბერდლმა ისე შეუბღვირა მისტერ რედლს, რომ აგრძნობინა უმჯობესი იქნებოდა, ხმა არ ამოგეღოო და ღირსებით სავსე კილოთი უბრძანა მისის როჯერსის მოახლეს, ღვინო მოგვართვიო.

ეს გახლდათ ნიშანი, რომ კარადიდან გამოეღოთ შენახული საუნჯე, ფორთოხლითა და ნამცხვრით სავსე ნაირ-ნაირი თეფში, ერთი ბოთლი ძველებური პორტვეინი (რომელიც ერთი შილინგი და ცხრა პენსი ღირდა), თოთხმეტ პენსად ღირებული სახელგანთქმული აღმოსავლეთინდური ხერესი; ყველაფერი ეს მდგმურის პატივსაცემად იყო მორთმეული და ყველა იქ მყოფს უსაზღვრო სიამოვნება მიანიჭა. ახლა ტომი ატყდა, უნდოდა ეთქვა საზოგადოებისათვის, რომ წეღან სტუმრებმა წვრილად გამომკითხეს, რა ამბავია სახლში და რა გაქვთ შენახული მოსართმევად კარადაშიო. ამ გარემოებამ მისის კლაპინზი დიდ საგონებელში ჩააგდო. საბედნიეროდ, ტომის ეს ცდა ძირშივე ჩაიხშო, რადგან ცოტა ადრე მან ხელი სტაცა ნახევარ ჭიქა ღვინოს

და მოსვა. ღვინო ბავშვს „სასულეში გადასცდა“ და რამდენიმე წამის განმავლობაში მისი სიცოცხლე საფრთხეში იყო.

ბოლოს, მთელი საზოგადოება დილიჟანსის საძებნელად გაემართა. დილიჟანსიც მალე მონახეს და ერთ საათში ისინი უხიფათოდ ჩავიდნენ „ესპანურ ბაღებში“, სადაც უიღბლო მისტერ რედლის პირველივე საქციელმა კინაღამ გამოიწვია მისი სათნო მეუღლის ხელახალი გულყრა. მივიდნენ თუ არა დანიშნულ ადგილას, მისტერ რედლმა ზუსტად შვიდი კაცისათვის შეუკვეთა ჩაი. თუმცა უმჯობესი იქნებოდა, როგორც ყველა ლედიმ შენიშნა, ტომის ვისიმე ფინჯნიდან დაელია ჩაი მაშინ, როდესაც ოფიციანტი მიბრუნდება და ვერას დაინახავსო. ხუმრობა საქმე კი არაა, მთელი ერთი პორცია ჩაის ეკონომია გამოვიდოდა, მაგრამ უკვე გვიანღა იყო, საქმეს ვერაფერი უშველიდა. მოიტანეს შეკვეთილი შვიდი ფინჯნითა და ლამბაქით, რასაც ამდენივე კარაქიანი პურიც მოჰყვა თან. მისის ბერდლი ერთსულოვნად დასვეს მაგიდის თავში. მხარმარჯვნით მისის როჯერსი მოთავსდა, მხარმარცხნივ მისის რედლი და დაიწყო მხიარული დროს ტარება.

- რა მშვენიერია სოფელი, - ამოიოხრა მისის როჯერსმა, - ნეტავი სულ სოფელში მამყოფა.

- ო, რა გაგაძლებინებდათ, ქალბატონო, არ მოგეწონებოდათ, - ცოტა არ იყოს, საჩქაროდ უპასუხა მას მისის ბერდლმა, რადგან თუ მხედველობაში მივიღებთ გასაქირავებელ ბინას, მისთვის სულაც არ იყო მიზანშეწონილი ასეთი განწყობილების წაქეზება და მხარის დაჭერა, - სოფელში ვერ გაძლებდით, ქალბატონო.

- მეც ასე მგონია. თქვენ ისეთი მანდილოსანი ბრძანდებით, რომელთანაც შეხვედრას და რომლის გაცნობასაც ყველა ნატ-

რობს და არა მგონია სოფელში გაძლოთ, - დაუმატა პატარა მისის კლაპინზმა.

- შესაძლებელია, ქალბატონო, შესაძლებელია, - ამოიოხრა მეორე სართულის მდგმურმა.

- მარტოხელა ადამიანებისათვის, რომელთაც არავინ ჰყავთ, რომ მათზე იზრუნოს, ან ისეთებისათვის, ვისაც უბედურება გამოუცდია, ან დარდი, ან ნაღველი აწუხებთ, ან სხვა რაიმე ამის მაგვარი გულს შემოსწოლიათ, სოფელი ჩინებულია, - თქვა მისტერ რედლმა, სიმხნევე მოიკრიბა და ირგვლივ მიმოიხედა, - სოფელი დაკოდილი სულისთვისაა, იტყვიან... რაც უნდა ეთქვა ამ უიღბლო ჯენტლმენს, ამის თქმას ყველაფერი აჯობებდა.

მისის ბერდლს, რა თქმა უნდა, მაშინვე თვალთაგან ცრემლი წასკდა და იმწუთშივე მაგიდიდან ადგომის ნებართვა ითხოვა. ამის დანახვისთანავე მისმა მგრძნობიარე შთამომავალმა სასოწარკვეთილი ღრიალი მორთო.

- აბა, ვინ დაიჯერებს, - წამოიძახა მისის რედლმა და გაწიწმატებული მიუბრუნდა მეორე სართულის მდგმურს, - აბა, ვინ დაიჯერებს, რომ ქალს შეიძლება ასეთი არგაგონილი და არნახული ქმარი ჰყავდეს, რომელსაც ძალუძს დღის განმავლობაში ყოველ წამსა და ყოველ წუთს შეურაცხყოფა მიაყენოს მანდილოსნის გრძნობებს, ჰა, ქალბატონო?

- ჩემო კარგო, - თავს იცავდა მისტერ რედლი, - მე სულაც არ მიფიქრია შეურაცხყოფის მიყენება!

- არ მიფიქრიაო, სერ? - ზიზღით გაიმეორა მეუღლემ, - წადი, გამშორდი, შენი დანახვაც კი ზარსა მცემს, პირუტყვო!

- გულს ნუ იხეთქ, გეთაყვა, მერი-ენ, - ჩაერია ლაპარაკში მისის კლაპინზი, - თავს უნდა გაუფრთხილდე, გეთაყვა. შენ კი თავს სულ არ უფრთხილდები. მოგვცილდი, რედლ, ღვთის გულისათვის, თორემ ისევ გული წაუვა.

- უმჯობესი იქნება, ეგ ჩაიც თან წაიღოთ, სერ, - დაუმატა მისის როჯერსმა და სასუნებელი ბოთლი ცხვირთან მიიტანა.

მისის სენტერზმაც, რომელიც ჩვეულების თანახმად, კარაქიან პურს მადიანად შეექცეოდა, ასეთივე აზრი გამოთქვა და მისტერ რედლიც უსიტყვოდ გასცილდა იქაურობას.

ამასობაში მისტერ ბერდლი, საკმაო მოზრდილი იმისათვის, რომ ხელში სჭეროდათ, დედამისის კალთაში მოთავსდა. ამ ოპერაციის ჩატარებისას მისი ფეხები ჩაის სინზე აღმოჩნდა და ფინჯნები და ლამბაქები ერთმანეთში აურია.

ქალების გულის წასვლა, რომელიც ასე გადამდებია და გავრცელებული მანდილოსნებს შორის, დიდხანს არ გრძელდება, მისის ბერდლმა თავისი შვილი (როდესაც ეს უკანასკნელი მას კალთაში ეჯდა რამდენჯერმე გადაკოცნა, ცოტა წაიტირა, შემდეგ მობრუნდა და დაწყნარდა. ბიჭი იატაკზე ჩამოსვა და გაიკვირვა, რა სულელი ვარ, ტყუილად რად ვღელავო და კვლავ ჩაი დაისხა.

სწორედ ამ დროს გაისმა ბორბლების გრუხუნი და მანდილოსნებმა თავი ასწიეს თუ არა, დაინახეს, რომ ბაღის ჭიშკართან დაქირავებული ეტლი გაჩერდა.

- კიდევ ვიღაც მოდის, - შენიშნა მისის სენტერზმა.

- ჯენტლმენი ყოფილა, - წარმოთქვა მისის რედლმა.

- შეხეთ, ეგ ხომ მისტერ ჯეკსონია, ფოგისა და დოდსონის კანტორაში რომ ახალგაზრდა კაცი მუშაობს, - თქვა მისის ბერდლმა, - ღმერთო დიდებულო, ნუთუ მისტერ პიკვიკმა ფული გადაიხადა?

- ან არადა, ქორწინებაზე დათანხმდა! - მიეშველა მისის კლაპინზი.

- ღმერთო ჩემო, რა ზოზინით მოდის, - შენიშნა მისის როჯერსმა, - ფეხს ვერ აუჩქარებს? სანამ მანდილოსნები ამ სიტყვებს

ამბობდნენ, მისტერ ჯეკსონი რაღაცას ეუბნებოდა შავგამაშებიან კაცს, რომელიც ეტლიდან ჩამოხტა. კაცს შავი, გაცვეთილი პალტო ეცვა და ხელში იფნის ჯოხი ეჭირა.

მისტერ ჯეკსონი თმის სწორებით გაემართა იმ ადგილისაკენ, სადაც მანდილოსნები ისხდნენ.

- რა ამბავია, ხომ არაფერი მოხდა, მისტერ ჯეკსონ? - იკითხა აფორიაქებულმა მისის ბერდლმა.

- ისეთი არაფერი, ქალბატონო, - უპასუხა მისტერ ჯეკსონმა, - როგორ ბრძანდებით, ქალბატონებო? მე უნდა ბოდიში მოგიხადოთ, რომ ასე მოულოდნელად დაგეცით თავს, მაგრამ რა გაეწყობა, კანონის ბრალია, ქალბატონებო, კანონისა!

ამრიგად, მისტერ ჯეკსონმა ბოდიში მოიხადა, გაიღიმა, საზოგადოებას მრავალმნიშვნელოვნად დაუკრა თავი და კვლავ გაისწორა თმა.

მისის როჯერსმა მისის რედლს წასჩურჩულა, რა თვალადი ახალგაზრდააო.

- მე გოსუელ-სტრიტზე გახლდით, - განაგრძო მისტერ ჯეკსონმა, - მსახურმა მითხრა, რომ აქ ყოფილხართ. მეც ეტლი ვიქირავე და აქ გეახელით. მისის ბერდლ, ახლავე ქალაქს უნდა წამობრძანდეთ!

- უჰ, - აღმოხდა მისის ბერდლს და მოულოდნელობისაგან თითქოს შეკრთა კიდეც.

- დიახ, - განაგრძო მისტერ ჯეკსონმა ტუჩების კვნეტით, - ფრიად სასწრაფო და აუცილებელი საქმეა, გადადება ან დაყოვნება არანაირად არ შეიძლება. დიახ, სწორედ ასე დამაბარა დოდსონმა და ფოგმაც. ეტლი აქ გავაჩერებინე, რომ თან წაგიყვანოთ.

- გასაოცარია, - გაიკვირვა მისის ბერდლმა. მანდილოსნებმაც კვერი დაუკრეს, მართლაც რომ საოცარიაო, მაგრამ ერთსუ-

ლოვნად გადაწყვიტეს და შეთანხმდნენ, რაღაც ფრიად მნიშვნელოვანი უნდა იყოსო, თორემ დოდსონი და ფოგი აქ კაცს არ გამოგზავნიდნენ საგანგებოდო. კიდევ დასძინეს, რომ რაკი საშური საქმეა, ახლავე გზას გაუდექითო. მართლაც, შეიძლება ადამიანმა იამაყოს იმით, რომ ასე სასწრაფოდ გამოიძახებენ ვექილები. მისის ბერდლსაც, ცოტა არ იყოს, სიამოვნებდა ის ამბავი, რომ ასე სასწრაფოდ იხმეს მისმა დამცველებმა, მით უმეტეს, ამ მოვლენას შეეძლო აეწია მისი ფასი მეორე სართულის მდგმურის თვალში. მან ჯერ გაიცინა, მერე თავი მოაჩვენა ყველას, ვითომ უკმაყოფილო ვარ და ვყოყმანობო. ბოლოს გადაწყვიტა, მგონი, საჭიროა წავიდეო.

- ნამგზავრი ბრძანდებით, იქნებ რაიმე მიირთვათ, მისტერ ჯეკსონ! - შესთავაზა მისის ბერდლმა.

- ოჰ, არა, არ მცალია, - უპასუხა მისტერ ჯეკსონმა, - ესეც არ იყოს, მეგობარი მახლავს. აამის თქმის შემდეგ გადახედა იმ კაცს, რომელსაც ხელთ იფნის ჯოხი ეპყრა.

- სთხოვეთ თქვენს მეგობარსაც, აქ მობრძანდეს, სერ, - არ ეშვებოდა მისის ბერდლი, - სთხოვეთ თქვენს მეგობარს, მობრძანდეს.

- გმადლობთ, ნუ წუხდებით, - ამბობდა ოდნავ შეშფოთებული მისტერ ჯეკსონი, - მანდილოსნებს არაა მიჩვეული და მორცხვობს. თუ რაიმე მაგარ სასმელს შეუკვეთავთ და გაუგზავნით, ის ნამდვილად არ იტყვის უარს. აი ნახეთ, თუ თქვას! დასადასტურებლად მისტერ ჯეკსონმა თითები ცხვირთან კეკლუცად დაატრიალა, რაც იმას ნიშნავდა, თუ მიხვდით, ირონიულად ვლაპარაკობო. სასწრაფოდ გაგზავნეს ოფიციანტი მორცხვ ჯენტლმენთან და მან დალია სასმელი, მისტერ ჯეკსონმაც დალია და ქალებსაც მიართვეს ჯენტლმენების ხათრით. ამის შემდეგ მისტერ ჯეკსონმა განაცხადა, წასვლის დროაო. გაიგონეს თუ

არა ეს სიტყვები, მისის სენტერზი, მისის კლაპინზი და ტომი (რომლებიც შეთანხმების შესაბამისად მისის ბერდლს უნდა გაჰ-ყოლოდნენ, ხოლო დანარჩენები კი მისტერ რედლის ანაბარა დარჩებოდნენ), ეტლში მოთავსდნენ.

- აიზეკ, - დაიძახა მისტერ ჯეკსონმა, როდესაც მისის ბერდლი ეტლში ჩასაჯდომად მოემზადა და შეხვდა კაცს, რომელსაც იფ-ნის ჯოხი ეკავა ხელში. კაცი კოფოზე იჯდა და სიგარას ეწეოდა.

- აიზეკ!

- რაო?

- ეს ქალბატონი მისის ბერდლი გახლავთ.

- ო, მე დიდი ხანია მივხვდი, - უპასუხა კაცმა.

მისის ბერდლი ეტლში ჩაჯდა, მას მიჰყვა მისტერ ჯეკსონი და ეტლიც დაიძრა.

მისის ბერდლი უნებლიეთ მისტერ ჯეკსონის მეგობრის ნათ-ქვამზე დაფიქრდა: „რა გამჭრიახი ხალხია ეს ვექილები! ღმერ-თო, შენ გვიშველე, მაშინვე ცნობენ ადამიანებს!“

- რა სამწუხარო ამბავი ატყდა ამ ჩვენი ფირმის ხარჯების შე-სახებ, არა? - თქვა მისტერ ჯეკსონმა, როდესაც მისის კლაპინზმა და მისის სენტერზმა ჩასთვლიმეს, - თქვენს ანგარიშზე მოგახსე-ნებდით.

- ძალიან სამწუხაროა, რომ ეს თანხა თქვენმა ფირმამ ვერ მიიღო, - შეწუხდა მისის ბერდლი, - კი, მაგრამ, თუკი თქვენ, ვე-ქილები, ხანდახან რისკზე მიდიხართ, მაშინ, ხომ იცით, ხანდა-ხან ზარალსაც ნახავთ.

- მე მითხრეს, რომ სასამართლო პროცესის შემდეგ, თქვენ წერილობითი ვალდებულება მიგიციათ მათთვის ხარჯების ანაზ-ღაურების შესახებ. მართალია?

- დიახ, ეს ხომ უბრალო ფორმალობაა, - მიუგო მისის ბერ-დლმა.

- ოღონდაც, - მშრალად უპასუხა მისტერ ჯეკსონმა, - მხოლოდ ფორმალობა გახლავთ.

ეტლი გზას განაგრძობდა. მისის ბერდლმაც ჩასთვლიმა. რამდენიმე ხნის შემდეგ, როდესაც ეტლი შეჩერდა, მას გაეღვიძა.

- ღმერთო დიდებულო, ფრიმენს-კორტში მოვსულვართ?

- ასე შორს არ გვჭირდებოდა მგზავრობა, - მიუგო ჯეკსონმა, - კეთილი ინებეთ და გადმობრძანდით.

მისის ბერდლი, რომელიც ჯერ ხეირიანად არც კი გამოფხიზლებულიყო, დამორჩილდა. ადგილი, სადაც ისინი ჩამოვიდნენ, საოცარი რამ იყო. მისის ბერდლის წინ უშველებელი კედელი აღმართულიყო, ამ კედელს შუა ალაგას ჭიშკარი ეკიდა. კედელს იქით, ეზოში გაზის ფარანი მოჩანდა.

- აბა, ქალბატონო, - დაიძახა კაცმა, რომელსაც ხელში იფნის ჯოხი ეჭირა და მისის სენტერზი შეანჯღრია, უნდოდა როგორმე გაეღვიძებინა, - მოვედით!

მისის სენტერზმა მეგობარი გააღვიძა და ეტლიდან გადმოხტა. მისის ბერდლი, რომელიც ცალი ხელით მისტერ ჯეკსონის მკლავს დაჰყრდნობოდა, ხოლო მეორე ხელი ტომისათვის ჩაეკიდებინა, უკვე შენობაში შესულიყო. მანდილოსნებიც გაჰყვნენ მას. ოთახი, რომელშიც ისინი შევიდნენ, შესასვლელზე უფრო უცნაური აღმოჩნდა. აუარება კაცი ირეოდა იქ. თანაც რა თვალებით უყურებდნენ ქალებს!

- სადა ვართ? - იკითხა მისის ბერდლმა და გაჩერდა.

- ერთ-ერთ საზოგადო დაწესებულებაში, - უპასუხა ჯეკსონმა და სასწრაფოდ რომელიღაც კარში შეიყვანა, თანაც თვალებს აქეთ-იქით აცეცებდა, მანდილოსნები თუ მოგვდევენო, - აბა, ფრთხილად, აიზეკ!

- ჯავრი ნუ გაქვთ, - უპასუხა იფნისჯოხიანმა კაცმა. კარი მძიმედ მიიხურა. ყველანი რამდენიმესაფეხურიან პატარა კიბეზე დაეშვნენ.

- როგორც იქნა, მოვაღწიეთ! ყველაფერი რიგზეა, სწორედ ისე, როგორც უნდა იყოს მისის ბერდლი! - წარმოთქვა მისტერ ჯეკსონმა და თავმომწონედ მიმოიხედა.

- რას ნიშნავს ყველაფერი ეს? - გულისფანცქალით იკითხა მისის ბერდლმა.

- აი, რა, - მიუგო ჯეკსონმა და განზე გაიხმო, - ნუ შეგეშინდებათ, მისის ბერდლ. ხომ მოგეხსენებათ, მისტერ დოდსონზე უფრო სათნო და გულთბილი ადამიანი, ქალბატონო, და მისტერ ფოგზე უფრო მოსიყვარულე გულის პატრონი, ქვეყანაზე არ დაიარება. მაგრამ, საქმემ მოითხოვა, ხარჯებს დაფარვა უნდა და ისინიც იძულებული გახდნენ, დაეპატიმრებინეთ. სანამ შეეძლოთ, მოგეხსენებათ, თქვენს გრძნობებს უფრთხილდებოდნენ, მაგრამ რა გაეწყობა. რა დიდი ნუგეში უნდა იყოს თქვენთვის თუნდაც ის ფიქრი, თუ რა ფაქიზად მოაგვარეს მათ ყოველივე! ეს ფლიტის ციხე გახლავთ, ქალბატონო. მშვიდობის ღამეს გისურვებთ, მისის ბერდლ! ღამე მშვიდობისა, ტომი!

ჯეკსონი იფნისჯოხიან კაცთან ერთად სასწრაფოდ გამოვიდა ოთახიდან. ვიღაც კაცმა, რომელსაც ხელში გასაღები ეჭირა, თავზარდაცემული დედაკაცი ახლა მეორე პატარა კიბესთან მიიყვანა. ეს კიბე კარისკენ მიემართებოდა. მისის ბერდლმა გულგამყინავად დაიკივლა. ტომიმ ღრიალი მორთო, მისის კლაპინზი მოიბუზა. მისის სენტერზმა უსიტყვოდ მოკურცხლა, რადგან მის წინ ცილდაწამებული მისტერ პიკვიკი აღიმართა, რომელიც საღამოს გასასეირნებლად გამოსულიყო. მას სემ უელერიც თან ახლდა. სემმა დაინახა თუ არა მისის ბერდლი, დაცინვით მოუხა-

და ქუდი. მისი ბატონი კი აღშფოთებული შეტრიალდა ქუსლებზე და გზა განაგრძო.

- ეს დედაკაცი არ შეაწუხოთ, - განუცხადა მეციხოვნემ უელერს, - იგი ახლახან მოიყვანეს.

- დააპატიმრეს?! - დაიყვირა სემმა და ქუდი სასწრაფოდ დაიხურა.

- მერედა, ვინ უჩივის? რა საქმეზე? თქვი, მეგობარო, თქვი!

- დოდსონისა და ფოგის საქმეა. დაპატიმრებულია იმიტომ, რომ წერილობითი ვალდებულება მისცა მათ ხარჯების ანაზღაურების შესახებ და მერე არ შეასრულა ეს ვალდებულება.

- ჯობ, აქეთ მოდი, ჯობ! - ამ სიტყვებით სემი დერეფაში გავარდა, - მისტერ პერკერთან გაიქეცი, ჯობ! ახლავე აქ გამიჩინე, ძალიან მჭირდება, ჯობ! ააი, სეირი! უფროსი სადა ბრძანდება?

მაგრამ პასუხი არ იყო, რადგანაც მიიღო თუ არა რწმუნება, ჯობი თავქუდმოგლეჯილი გაქანდა. მისის ბერდლს კი ამჯერად გული ნამდვილად წაუვიდა.

თავი XLVII

ეხება უმთავრესად საქმიან საკითხებს და დოდსონისა და ფოგის დროებით წარმატებას. მისტერ უინკლი ხელახლა გვევლინება უჩვეულო ვითარებაში. მისტერ პიკვიკის სათნოება სძლევს მის სიჯიუტეს

ჯობ ტროტერი თავქუდმოგლეჯილი, სულმოუთქმელად გარბოდა ჰოლბორნ-სტრიტზე. ის ხან შუა ქუჩაში მიქროდა, ხან ტროტუარზე, ხანაც წყლის სადინარ თხრილში, იმის მიხედვით, თუ როგორ იცვლებოდა წინ წასვლის შესაძლებლობანი, ან კიდევ თუ რამდენად უღობავდნენ მას გზას ქუჩაში მიმავალი კაცები, ქალები, ბავშვები, ეტლები... მიუხედავად ყოველნაირი დაბრკოლებისა, ამ შარაგზის არც ერთ მონაკვეთზე წამითაც არსად დაყოვნებულა, სანამ გრეიზ-ინს არ მიაღწია.

ამ სიჩქარის მიუხედავად, ინის შესასვლელი კარი კარგა ნახევარი საათის დაკეტილი დახვდა. ვიდრე ჯობ ტროტერი მოძებნიდა მისტერ პერკერის მრეცხავ ქალს, რომელიც თავის გათხოვილ ქალიშვილთან ერთად ცხოვრობდა (ამ ქალიშვილმა თავისი ხელისა და გულის ღირსი გახადა ვიღაც ლაქია, რომელიც გრეიზ-ინ-ლეინის უკან, რომელიღაც ქუჩის, რომელიღაც ლუდსახდელი ქარხნის მეზობლად იდგა), ციხის დაკეტვამდე რაღაც თხუთმეტიოდე წუთიღა დარჩა. ამის შემდეგ იგი იძულებული იყო, მისტერ ლაუტენი სასტუმრო „კაჭკაჭი და ჯირკვის“ სასტუმრო ოთახიდან გამოეყვანა. ძლივს მოასწრო ჯობმა ამ ოპერაცი-

ის ჩატარება და სემ უელერის დავალების გადაცემა, რომ საათმა უკვე ათჯერ ჩამოკრა.

- იცით, რა გითხრათ? - თქვა ლაუტენმა, - ახლა უკვე ძალიან გვიანაა. ციხეში ამაღამ არც კი შეგიშვებენ და ქუჩაში მოგიხდებათ ღამის გათევა, მეგობარო.

- ჩემი დარდი ნუ გაქვთ, - უპასუხა ჯობ ტროტერმა, - მე ყველგან გავათევ ღამეს. განა არ აჯობებდა ამაღამვე გვენახა მისტერ პერკერი, რომ ხვალ დილით, უპირველეს ყოვლისა, ციხეში წავსულიყავით?

- რატომ არა, შეიძლება, - ცოტა ხნის ფიქრის შემდეგ მიუგო ლაუტენმა, - სხვა რამ საქმე რომ იყოს, ჩემი სტუმრობა პერკერს აღტაცებაში არ მოიყვანდა, მაგრამ რაკი მისტერ პიკვიკის საქმეა, ვფიქრობ, შესაძლოა, კაცმა გაბედოს და კანტორის ხარჯზე ეტლი დაიქირაოს.

აირჩია თუ არა მოქმედების ეს გზა, მისტერ ლაუტენმა ქუდს ხელი დაავლო, შეკრებილ საზოგადოებას სთხოვა, მის მოსვლამდე, დროებით, თამადის მოადგილე აერჩიათ და ეტლების უახლოესი გაჩერებისკენ გასწია. მან დაიქირავა საუკეთესო ეტლი და უბრძანა, რასელ სკვერისკენ, მონტეგიუ პლეისზე წასულიყო.

მისტერ პერკერს იმ დღეს დიდი წვეულება ჰქონდა, ამას მისი ოთახის გაჩირაღდნებული ფანჯრებიც მოწმობდა. იქიდან ახალაწყობილი როიალისა და შეუწყობელი სიმღერის ხმა მოისმოდა. შესასვლელს და კიბეს შემწვარი ხორცის გამაბრუებელი სურნელება მოჰფენოდა. საქმე ის იყო, რომ ორიოდე დიდებული პროვინციელი აგენტი ერთდროულად ჩამოსულიყო და მის გამო თავი მოეყარა მცირერიცხოვან საზოგადოებას, რომელშიც შედიოდა სიცოცხლის დამზღვევი საზოგადოების მდივანი მისტერ სნიკსი, გამოჩენილი ადვოკატი მისტერ პროზი, სამი სო-

ლისიტორი, ვალაუვალობის სასამართლოს ერთ-ერთი რწმუნებული, სპეციალური პლიდერი ტემპლიდან, მისი მოწაფე, ერთი პატარათვალება თავხედი ჯენტლმენი, რომელმაც დაწერა საკმაოდ საინტერესო წიგნი ქონების გადაცემის შესახებ. წიგნი სავსე იყო სქოლიოებითა და შენიშვნებით. გარდა ამისა, იყო კიდევ რამდენიმე გამოჩენილი და დიდად სახელოვანი პიროვნება. მისტერ პერკერი მოსწყდა ამ საზოგადოებას, როდესაც ჩურჩულით მოახსენეს, კლერსი მოვიდაო.

სასადილო ოთახში მას დახვდნენ მისტერ ლაუტენი და ჯობ ტროტერი, რომლებიც ბუნდოვნად მოჩანდნენ სამზარეულოს სანთლის შუქზე და მათი გარჩევა ერთობ ძნელი საქმე იყო. ეს სანთელი მაგიდაზე დაედო ჯენტლმენს, რომელსაც მოწყალება მოეღო და დათანხმებულიყო, ევლო მოკლე ხავერდის შარვლითა და ბამბის გეტრებით იმ ჯამაგირისათვის, რომელსაც მას სამ თვეში ერთხელ უხდიდნენ და თავისი მდგომარეობის შესაბამისად ჭირივით ეზიზღებოდა კლერკები და ყველაფერი, რაც „კანტორას“ შეეხებოდა.

- აბა, ლაუტენ, - დაიწყო მისტერ პერკერმა და კარი გაიხურა, - რა მოხდა? რაიმე მნიშვნელოვანი წერილი ხომ არ მოსულა?

- არა, სერ, - მიუგო ლაუტენმა, - აი, მისტერ პიკვიკის შიკრიკი გეახლათ, სერ.

- პიკვიკისაო? - გაიმეორა პატარა კაცმა და სწრაფად მიუბრუნდა ჯობს, - რა ამბავია?

- დოდსონმა და ფოგმა ხარჯების დაუფარველობის გამო მისის ბერდლი ციხეში ჩააგდეს, სერ, - მიუგო ჯობმა.

- რას ამბობთ! - შესძახა მისტერ პერკერმა, ხელები ჯიბეში ჩაიწყო და ჭურჭლის კარადას მიეყრდნო.

- მართალს მოგახსენებთ, - განაგრძობდა ჯობი, - ჩანს, მათ სასამართლოს შემდეგ მაშინვე გამოსტყუეს მისის ბერდლს ვალდებულება სასამართლო ხარჯების დაფარვაზე.

- ეშმაკმა დალახვროს! - წამოიძახა მისტერ პერკერმა და ხელები ჯიბეებიდან ამოიღო. მარჯვენა ხელის სახსრები მრავლისმეტყველად დაირტყა მარცხენა ხელისგულზე, - ორივე ისეთი არამზადაა, რომელთა მსგავსთან არასოდეს საქმე არ მქონია.

- მე მათზე უფრო გაქნილი საქმოსნები არ მინახავს, სერ, - დაუმატა ლაუტენმა.

- გაქნილი, გაქნილი, - გაიმეორა პერკერმა, - ვერც კი გაიგებთ, საიდან მოგიდგებიან.

- მართალი ბრძანდებით, სერ, მართლაც რომ კაცი ვერ გაიგებს, - დაეთანხმა ლაუტენი.

ამის შემდეგ ორივე, პატრონიცა და კლერკიც, ერთხანს გაჩუმებულები ფიქრობდნენ, თანაც ისეთი გამოცოცხლებული სახე ჰქონდათ, თითქოს საქმე ადამიანის გონების ულამაზესსა და უბრწყინვალეს აღმოჩენას შეეხებაო. როდესაც ცოტათი გამოერკვნენ, ჯობ ტროტერმა დავალების მეორე ნაწილიც მოახსენა პერკერს.

პერკერი დაფიქრდა, თავი დაუქნია და საათი ამოიღო.

- ათ საათზე ზუსტად იქ ვიქნები, - თქვა პატარა კაცმა, - სემი სავსებით მართალია, ასე გადაეცით. ერთ ჭიქა ღვინოს ხომ არ მიირთმევთ, ლაუტენ?

- არა, გმადლობთ, სერ.

- მე მგონი, თქვენ გინდოდათ გეთქვათ, დიახო, - თქვა პატარა ჯენტლმენმა და კარადიდან სურა და ჭიქები გამოიღო. რადგანაც ლაუტენს მართლაც უნდოდა ეთქვა, დიახო, მეტი აღარაფერი თქვა და ჯობს ჩურჩულით, თუმცა გასაგონად ჰკითხა, ხომ მართლაც საოცრად ჰგავს მისტერ პერკერის პორტრეტი ორიგი-

ნალს, რომელიც ბუხრის პირდაპირ ჰკიდიაო. ჯობმაც, რა თქმა უნდა, ჰგავსო, უპასუხა. ამასობაში ჭიქები ღვინით აავსეს და ლაუტენმა დალია მისის პერკერისა და ბავშვების სადღეგრძელო, ხოლო ჯობმა მისტერ პერკერის სადღეგრძელო. მოკლედ ხავერდის შარვალსა და ბამბის გეტრებში გამოწყობილი ჯენტლმენი თავის მოვალეობად არ თვლიდა კანტორის კლერკების მომსახურებას და ამიტომ ჯიუტად არ გამოდიოდა ზარის ხმაზე, რომელიც გაბმით რეკავდა. ბოლოს ლაუტენმა და ჯობმა თვითონ გაიკვლიეს გზა კარისაკენ. ატერნმა სასტუმრო ოთახს მიაშურა, კლერკმა „კაჭკაჭსა და ჯირკვს“, ხოლო ჯობ ტროტერი კავენტ-გარდენის ბაზრისკენ წავიდა, რომ მწვანილის რომელიმე კალათში გაეთია ღამე.

მეორე დილით, დანიშნულ დროს, სრულ ათ საათზე, მადლიანმა პატარა ატერნმა დააკაკუნა მისტერ პიკვიკის კარზე, რომელიც მაშინვე გააღო სემ უელერმა.

- მისტერ პერკერი მობრძანდა, სერ, - მოახსენა სემმა მისტერ პიკვიკს, რომელიც დაფიქრებული იჯდა ფანჯარასთან, - ფრიად მოხარული გახლავარ, სერ, რომ შემთხვევით შემოიარეთ, მგონი, ჩემს ბატონს სიტყვა აქვს თქვენთან, სერ.

პერკერმა მრავალმნიშვნელოვნად გადახედა სემს, თითქოს ეუბნებოდა, ვიცი, რა უნდა ვთქვა, რომ გამომიძახეო. მან ანიშნა სემს, მომიახლოვდიო და რაღაც სასწრაფოდ წასჩურჩულა.

- როგორ, შეუძლებელია, სერ, - წამოიძახა სემმა და გაოცებულმა უკან დაიხია.

პერკერმა თავი დაუქნია და გაიღიმა.

მისტერ სემუელ უელერმა ჯერ პატარა ადვოკატს გადახედა, შემდეგ მისტერ პიკვიკს, შემდეგ ჭერს შეაცქერდა, მერე ისევ პერკერს, ჩაიცინა, გადაიხარხარა და ბოლოს ხელი დაავლო

თავის ქუდს, რომელიც ხალიჩაზე ეგდო და უსიტყვოდ გავარდა გარეთ.

- რას ნიშნავს ყველაფერი ეს? - იკითხა გაოცებულმა მისტერ პიკვიკმა, - რამ ჩააგდო სემი ამ უცნაურ მდგომარეობაში?

- არაფერია, არაფერი, - დაამშვიდა იგი პერკერმა, - აბა, ჩემო ძვირფასო სერ, ერთი ეგ სკამი მაგიდასთან მოსწიეთ, სათქმელი მაქვს თქვენთვის.

- ეს რა ქაღალდებია? - იკითხა მისტერ პიკვიკმა, როდესაც პატარა ატერნმა წითელი ზონრით შეკრული დოკუმენტების დასტა მაგიდაზე დადო.

- ეს ბერდლისა და პიკვიკის საქმის დოკუმენტები გახლავთ, - უპასუხა პერკერმა და ზონარს კბილებით დაუწყო გახსნა. მისტერ პიკვიკმა სკამი ხმაურით გაახოხა უკან, მის ზურგს მიეყრდნო, გულხელი დაიკრიფა და თავის მეგობარ ადვოკატს ისე მკაცრად გადახედა, რამდენადაც ეს საერთოდ შეეძლო მისტერ პიკვიკს.

- ამ საქმის გაგონებაც კი არ გსიამოვნებთ, არა? - იკითხა პატარა კაცმა და შეკვრის გახსნა განაგრძო.

- დიახაც რომ არ მსიამოვნებს, - გამოტყდა მისტერ პიკვიკი.

- სამწუხაროა, - განაგრძობდა პერკერი, - რადგან ჩვენი საუბარი სწორედ ამ საქმეს შეეხება.

- მე ვისურვებდი, რომ ჩვენ შორის ამ საკითხზე სიტყვა აღარასოდეს დაგვეძრა, - სასწრაფოდ მოუჭრა მისტერ პიკვიკმა.

- სისულელეა, სისულელე, ჩემო ძვირფასო სერ, - თქვა პატარა კაცმა, შეკვრა გახსნა და თვალის კუთხიდან ბასრი მზერა ესროლა მისტერ პიკვიკს, - სათქმელი უნდა ითქვას, მე სწორედ ამისთვის ვარ აქ მოსული. აბა, მზადა ხართ მოისმინოთ ის, რისი თქმაც მე მინდა, ღირსეულო სერ? საჩქარო არაფერია, შემიძლია დავიცადო, თუ მზად არ ხართ. მე თან დილის გაზეთი წამო-

ვიღე. შეგიძლიათ, ჩემი დრო, როგორც გნებავდეთ, ისე გამოიყენოთ. თქვენი მონა-მორჩილი გახლავარ! - ამ სიტყვებით პატარა ჯენტლმენმა ფეხი ფეხზე გადაიდო და ვითომ დიდად დამშვიდებულმა გაზეთის კითხვა დაიწყო.

- ჰო, კარგი, - დათანხმდა მისტერ პიკვიკი და ამოიოხრა. მმალე სახეზე ღიმილმა გადაუარა და სახე გაებადრა, - ბრძანეთ, რაც გნებავთ, ალბათ ძველი ამბავია, არა?

- საქმე ახლა ცოტათი სხვაგვარადაა, ჩემო ძვირფასო მეგობარო, ცოტათი სხვაგვარად, - უპასუხა პერკერმა, მშვიდად დაკეცა გაზეთი და კვლავ ჯიბეში ჩაიდო, - მისის ბერდლი, მაძიებელი ამ საქმეში, ამ კედლებს შორის იმყოფება.

- ეს მე ვიცი, - უპასუხა მისტერ პიკვიკმა.

- ძალიან კარგი, - მოუჭრა პერკერმა, - ალბათ ისიც მოგეხსენებათ, როგორ აღმოჩნდა აქ, რა საფუძვლით ან ვისი სარჩელით?

- დიახ, - მიუგო პიკვიკმა, - ყოველ შემთხვევაში, მე მოვისმინე სემის ანგარიში ამ საკითხზე, - ვითომდა გულგრილად განაცხადა მისტერ პიკვიკმა.

- სემის ანგარიში, უნდა მოგახსენოთ, სავსებით სწორი და მართებულია, - შენიშნა პერკერმა, - ახლა ძვირფასო სერ, მე უნდა მოგცეთ პირველი კითხვა: ეგ დედაკაცი აქ დარჩება?

- აქ დარჩება? - გაიმეორა მისტერ პიკვიკმა.

- დარჩება თუ არა აქ, ჩემო ძვირფასო სერ? - შეეკითხა კვლავ პერკერი, სკამს ზურგით მიეყრდნო და მისტერ პიკვიკს დაჟინებით დააცქერდა.

- მე რატომ მეკითხებით? - განცვიფრდა ჯენტლმენი, - ყველაფერი დოდსონსა და ფოგზეა დამოკიდებული, თქვენ ეს კარგად იცით.

- მე ეს სულაც არ ვიცი, - მტკიცედ უპასუხა პერკერმა, - ეს სულაც არ არის დამოკიდებული დოდსონსა და ფოგზე. თქვენ ორივეს ჩემზე ნაკლებად არ იცნობთ, ძვირფასო სერ! ეს დამოკიდებულია მხოლოდ და მხოლოდ და მთლიანად თქვენზე!

- ჩემზე? - წამოიძახა მისტერ პიკვიკმა, სკამიდან ნერვულად წამოხტა და შემდეგ ისევ დაჯდა.

პატარა ჯენტლმენმა სათუთუნის თავი ორჯერ დაატკაცუნა, შემდეგ გახსნა, ამოიღო კარგა ბლომად თუთუნი, სათუთუნე კვლავ დახურა და გაიმეორა:

- თქვენზე. მე ვამბობ, ძვირფასო სერ, - განაგრძო პატარა ჯენტლმენმა, რომელსაც თუთუნმა თითქოს გამბედაობა შესძინაო, - მე ვამბობ, ძვირფასო სერ, რომ იმ დედაკაცის საჩქაროდ გათავისუფლება თუ სამუდამოდ პატიმრობაში ყოფნა დამოკიდებულია მხოლოდ და მხოლოდ თქვენზე. მომისმინეთ, ძვირფასო სერ, გეთაყვა და ტყუილუბრალოდ ნუ ხარჯავთ ამდენ ენერგიას, რადგანაც ამას არაფერი სარგებლობა არ მოაქვს. მე ვამბობ, - განაგრძო პერკერმა და თავისი მოსაზრებანი თითებზე ჩამოთვალა, - მე ვამბობ, რომ თქვენ გარდა, აღარავის ძალუძს გამოიყვანოს ეგ დედაკაცი ამ ბუნაგიდან. თქვენ შეგიძლიათ გადაუხადოთ სასამართლოს ხარჯები, როგორც მოსარჩელეს, ისე მოპასუხის მაგივრადაც ფრიმენს-კორტის იმ ვეშაპებს. ახლა, გემუდარებით ნუ აღელდებით, ძვირფასო სერ.

ამ საუბრის დროს მისტერ პიკვიკს რამდენჯერმე საოცრად შეეცვალა სახე, ჩანდა, მოთმინების ფიალა ევსებოდა, მაგრამ, შეძლებისდაგვარად, თავს იკავებდა. ხოლო პერკერი, რომელმაც თავისი არგუმენტაციის ძალა თუთუნით გააძლიერა, განაგრძობდა:

- მე ვნახე ეს დედაკაცი ამ დილით. თუკი თქვენ სასამართლოს ხარჯებს გადაიხდით, მაშინ თავს დააღწევთ ზარალის

ანაზღაურებას. ამის შემდეგ, ჩემო ძვირფასო სერ, თქვენ მიიღებთ, და მე ვიცი რომ თქვენთვის ეს გაცილებით მნიშვნელოვანია, თქვენ მიიღებთ, ნებაყოფლობით, საკუთრივ მისის ბერდლის ხელმოწერილ ჩვენებას. ეს ჩვენება წერილის სახით ჩემს სახელზე იქნება მოწერილი. წერილში ნათქვამი იქნება, რომ მთელი ეს საქმე თავიდან ბოლომდე შეთითხნილი და გაზვიადებული იყო იმ ორი ადამიანის, დოდსონისა და ფოგის, მიერ, რომ მისის ბერდლი გულწრფელად ნანობს და წუხს იმ ამბავს, რომ ის წარმოადგენდა ბრმა იარაღს მათ ხელში და თქვენ ამდენი უსიამოვნება შეგამთხვიათ. ბოლოს, რომ ის (მისის ბერდლი) მემუდარება მე, ვიშუამდგომლო თქვენ წინაშე და გამოგთხოვოთ მისი შეწყნარება.

- თუკი მის ხარჯებს გადავიხდიო? - აღშფოთებით წამოიძახა მისტერ პიკვიკმა, - ჰმ, ჭეშმარიტად ძვირფასი დოკუმენტია სწორედ!

- არავითარი „თუკი“ ამ შემთხვევაში არ უნდა იყოს, ჩემო ძვირფასო სერ! - ზეიმით განაცხადა მისტერ პერკერმა, - აი, ის წერილი, რომელზედაც მოგახსენებდით. პატიოსნებას გეფიცებით, ამ დილით, 9 საათზე, სანამ აქით წამოვიდოდი, ან საშუალება მექნებოდა, მისის ბერდლს დავლაპარაკებოდი, ერთმა ქალმა მომიტანა.

მისტერ პერკერმა ქაღალდების გროვიდან წერილი ამოიღო და მისტერ პიკვიკს წინ დაუდო, მერე, მთელი ორი წუთის განმავლობაში ყნოსავდა თუთუნს ისე, რომ თვალიც არ დაუხამხამებია.

- ეს არის სულ, რისი თქმაც გსურდათ ჩემთვის? - მშვიდად შეეკითხა მისტერ პიკვიკი.

- არა, კიდევ მაქვს სათქმელი, - მიუგო პერკერმა, - ამჟამად დაბეჯითებით ვერ გეტყვით, რომ ხარჯების აღიარება, იმ საფუძ-

ვლის ხასიათი, რომელსაც ხელშეკრულება ემყარება და ის ნივთიერი საბუთები, რომელსაც შევაგროვებთ ამ საქმის ირგვლივ, ნამდვილად დაამტკიცებს, რომ აქ წინასწარ მოლაპარაკებას ჰქონდა ადგილი. ვშიშობ, რომ ვერც ამას მოვახერხებთ, რადგან ისინი ძალიან ეშმაკი ხალხია. ერთი რამე კი დაბეჯითებით შემიძლია ვთქვა: ყველა ეს ფაქტი, ერთად აღებული, საკმარისი იქნება, რომ თქვენ გაგამართლოთ ჭკუათამყოფელ ადამიანთა თვალში... ახლა, პატივცემულო სერ, თქვენ თვითონ განსაჯეთ. ეს ასორმოცდაათი გირვანქა, თუ რამდენიც უნდა იყოს, სჯობს რიცხვი დავამრგვალოთ, თქვენთვის ვითომ და არ ყოფილა, მაგის გადახდა არ გაგიჭირდებათ. მსაჯულებმა არ გადაწყვიტეს თქვენს სასარგებლოდ, არც გედავებით, რომ მათი გადაწყვეტილება უსამართლოა, მაგრამ როდესაც იგი გამოიტანეს, მათ ხომ სჯეროდათ, რომ ისინი სინდისიერად მოიქცნენ. ნამდვილად ასე სჯეროდათ და იმიტომ დაგდეს ბრალი. ახლა საშუალება გაქვთ, მეტად ხელსაყრელი პოზიცია დაიჭიროთ, რომელსაც, მერწმუნეთ, აქ რომ დარჩეთ, ვერასოდეს დაიკავებთ იმიტომ, რომ თუ აქ დარჩით, ხალხი ხომ იცით, ამას თქვენ საშინელ, აუტანელ, უგუნურ სიჯიუტედ ჩაგითვლით, პატივცემულო სერ. ან რატომ ყოყმანობთ, მე არ მესმის, თუ შეგიძლიათ დღესვე დაუბრუნდეთ თქვენს მეგობრებს, თქვენს უწინდელ საქმიანობას და გასართობებს, ჯანზე მოიკეთოთ და ბოლოს, გაათავისუფლოთ თქვენი ესოდენ ერთგული და თავდადებული მსახური, რომელიც, თქვენ თუ ასე არ მოიქეცით, სამუდამოდ აქ დარჩება და აქ ამოხდება სული. კიდევ, რაც მთავარია, თქვენ საშუალება გექნებათ, შური იძიოთ, მაგრამ ამასთანავე მტერს თქვენი სულგრძელობა დაუმტკიცოთ. მე განა არ ვიცი, რომ ასეთი შურისძიება თქვენც გეფინებათ გულს. მართლაც, განა სასიქადულო არ არის, რომ უშველოთ მანდილოსანს, თავი დააღწიოს იმ საშინელ საპყრო-

ბილეს, იმ სიღატაკისა და გარყვნილების ბუდეს, რომელსაც, ჩემი ნება რომ იყოს, მამაკაცსაც არ გავაკარებდი. ყოველივე ეს კი მით უფრო სამძიმო ასატანია ქალისათვის. ახლა გეკითხებით, პატივცემულო სერ, არა მარტო როგორც თქვენი პირადი ვექილი, არამედ როგორც თქვენი ერთგული მეგობარი, ნუთუ ხელიდან გაუშვებთ ასეთ კარგ შემთხვევას, რომ მიაღწიოთ სასურველ მიზანს და ამდენი სიკეთეც მოუტანოთ ადამიანებს? ნუთუ ის მეტად წვრილმანი მოსაზრება, სახელდობრ, ის, რომ თქვენმა ფულმა ჯიბე უნდა გაუსქელოს ორ არამზადას, ხელს შეგიშლით აღასრულოთ ეს ჭეშმარიტად სასიქადულო განზრახვა? ეს ფული იმ არამზადებს წყევლასავით მოუხდებათ, რაც უფრო მეტს იშოვიან და სხვისას ჩაიჯიბავენ, მით უფრო მეტი მოუნდებათ და მაშასადმე, მით უფრო მალე მოიტეხენ კისერს. შესაძლოა, პატივცემულო სერ, ჩემი დასაბუთება საკმაოდ ბუნდოვანია, არადამაჯერებელი, მაგრამ მე მაინც დაბეჯითებით გთხოვთ, ნუ იჩქარებთ, პასუხი მოიფიქრეთ და ისე შემატყობინეთ.

მისტერ პიკვიკმა პასუხის გაცემაც ვერ მოასწრო, მისტერ პერკერმა კი იმ თუთუნის მეოცედი ნაწილის შეყნოსვა, რაც ესოდენ გრძელი და მჭევრმეტყველური სიტყვით დაიმსახურა, რომ ტალანიდან ორივეს ჩუმი ხმები შემოესმათ და კარზე მსუბუქი კაკუნი გაისმა.

- ღმერთო ჩემო! - წამოიძახა მისტერ პიკვიკმა, რომელიც ეტყობა მეგობრის სიტყვამ ძალიან ააღელვა, - ნერვებს მიშლის ამდენი კაკუნი. ვინ არის?

- მე გახლავართ, სერ! - მიუგო სემ უელერმა და კარში შემოჰყო თავი.

- ახლა არა მცალია, სემ, - გასძახა მისტერ პიკვიკმა.

- ბოდიშს ვიხდი, სერ, - დაიწყო მისტერ უელერმა, - აქ ვიღაც მანდილოსანი გკითხულობთ, სერ. ასე ამბობს, რაღაც დიდად მნიშვნელოვანი უნდა ვუთხრაო.

- ვერავითარ მანდილოსანს ვერ მივიღებ აქ! - მტკიცედ განაცხადა მისტერ პიკვიკმა, რომელსაც იმწამსვე მისის ბერდლი წარმოუდგა თვალწინ.

- მაგას ნუ მეტყვით, სერ, - მიუგო კვლავ სემმა და თავი გაიქნია, - თქვენ რომ იცოდეთ, სერ, ვინაა აქ, სულ ახლოს, უთუოდ სხვა ჰანგზე დაუსტვენდით, როგორც სიცილით თქვა ქორმა, როდესაც იქვე მახლობლად მერცხლის ჭიკჭიკი შემოესმა.

- ვინაა, სემ? - დაინტერესდა მისტერ პიკვიკი.

- მიიღებთ, სერ? - შეეკითხა მისტერ უელერი და კარს ისე ჩაეჭიდა, თითქოს მის უკან რაღაც უცნაური ცხოველი ყოფილიყოს.

- რა გაეწყობა, მივიღებ, - თქვა მისტერ პიკვიკმა და პერკერს გადახედა.

- მაშ, ასე, გთხოვთ სცენაზე, წარმოდგენა იწყება! - დაიძახა სემმა, - შემოჰკარით გონგს, ფარდა იხსნება, შემოდის ორი შეთქმული.

ეს თქვა სემ უელერმა და კარი ფართოდ გააღო. ოთახში შემოვარდა უინკლი, ხელიხელჩაკიდებული იმ ყმაწვილ ლედისთან, რომელიც დინგლი-დელში სტუმრობისას ბეწვმოვლებულ, ყელიან ფეხსაცმელს ატარებდა, ახლა კი იასამნისფერ აბრეშუმის კაბაში გამოწყობილი კოხტა ქუდით, რომელსაც სიფრიფანა მაქმანის ვუალი ჰქონდა შემოვლებული, დარცხვენილი, შეფაკლული სახით მოჰყვებოდა ვაჟს. იგი კიდევ უფრო მომხიბლავი, მშვენიერი და წარმტაცი იყო ახლა.

- მის არაბელა ალენი! - წამოიძახა მისტერ პიკვიკმა და წამოდგა.

- არა, - მიუგო მისტერ უინკლმა და მუხლებზე დაეცა, - ეს მისის უინკლი გახლავთ. მაპატიეთ, ჩემო ძვირფასო მეგობარო, მაპატიეთ, გეთაყვა!

მისტერ პიკვიკი თვალს არ უჯერებდა და ვინ იცის, იქნებ არც დაუჯერებდა, მაგრამ ამ დროს თვალი მოჰკრა მისტერ პერკერის მოღიმარ სახეს და ცოტა მოშორებით სემს, რომელთანაც ლამაზი პირისფარეში იდგა. ორივეს ეტყობოდა, ძალიან უხაროდათ ის, რაც მათ თვალწინ ხდებოდა.

- ო, მისტერ პიკვიკ, - ტკბილი ხმით წარმოთქვა არაბელამ, რომელიც თითქოს შეწუხდა, რომ მისტერ პიკვიკი ამდენ ხანს დუმდა და ხმას არ იღებდა, - თუ მაპატიებთ ოდესმე ასეთ დაუფიქრებელ საქციელს?

მისტერ პიკვიკმა არაფერი თქვა, მაგრამ საჩქაროდ მოიხსნა სათვალე, ყმაწვილ ქალს ორივე ხელში ჩაჰკიდა ხელი და ბევრჯერ გადაკოცნა (ვგონებ, მეტიც კი მოუვიდა); მერე ცალი ხელი დაუჭირა, მისტერ უინკლს ყაჩაღანა უწოდა და უბრძანა, ფეხზე ადექიო. მისტერ უინკლი, რომელიც, უკვე რამდენიმე წამია, ქუდის ფარფლებით შეწუხებული ცხვირს ისრესდა, უსიტყვოდ დაემორჩილა უფროსი მეგობრის ბრძანებას. აქ მისტერ პიკვიკმა ვაჟს მხარზე მეგობრულად მოუთათუნა და მისტერ პერკერს გულთბილად ჩამოართვა ხელი. პაწია ვექილიც, მილოცვა არ დამაგვიანდესო, მხურვალედ შეეგება პატარძალსაც და მის ლამაზ მსახურს, გულითადად ჩამოართვა ხელი მისტერ უინკლს და სიხარულის ნიშნად თუთუნის იმოდენა მწიკვი შეიყნოსა, რომელიც ნახევარ დუჟინ მოზრდილი ცხვირის პატრონს ეყოფოდა დასაცემინებლად მთელი სიცოცხლის მანძილზე.

- ჩემო ძვირფასო, - წარმოთქვა მისტერ პიკვიკმა, - ეს როგორ მოხდა? დაბრძანდით და მიამბეთ დაწვრილებით... რა ლამაზი პატარძალი გვყავს, არა, პერკერ? - დასძინა მისტერ პიკ-

ვიკმა ისეთი სიამაყითა და აღტაცებით, თითქოს არაბელა მისი ქალიშვილი ყოფილიყოს.

- მომხიბლავი არსებაა, სერ! - მიუგო პაწია ვექილმა, - მე რომ ცოლიანი არ ვიყო, უთუოდ შემშურდებოდა თქვენი ბედი.

განაცხადა თუ არა ეს, პაწია ვექილმა, მისტერ უინკლს მკერდზე მოუღიტინა, ხსენებულმა ჯენტლმენმა იმითივე უპასუხა და ორივემ ხმამაღლა გადაიხარხარა, თუმცა, არც ისე ხმამაღლა, როგორც მისტერ სემუელ უელერმა, რომელმაც მოზღვავებული გრძნობები იმით დაიშოშმინა, რომ კარადის კარის მოფარებულში ლამაზი მსახური გადაკოცნა.

- ღმერთმანი არ ვიცი, როგორ გადაგიხადოთ მადლობა, სემ, - თქვა არაბელამ და მომხიბლავად გაუღიმა მისტერ უელერს, - არასოდეს დამავიწყდება, რა დიდი სამსახური გაგვიწიეთ იქ, კლიფტონის ბაღში.

- რა სახსენებელია, ქალბატონო, - მიუგო სემმა. - მე მხოლოდ ბუნებას დავეხმარე, როგორც უთხრა ერთმა ექიმმა იმ ბიჭის დედას, რომელსაც იმდენი სისხლი გამოუშვა, რომ ბალღი საიქიოს გაისტუმრა.

- მერი, ჩემო კარგო, დაბრძანდით, - წარმოთქვა მისტერ პიკვიკმა, - ახლა მითხარით, დიდი ხანია დაქორწინდით?

არაბელამ დარცხვენით გადახედა თავის ბატონსა და მბრძანებელს, რომელმაც უპასუხა:

- სამი დღეა.

- სამი დღე? - გაიმეორა მისტერ პიკვიკმა, - კი, მაგრამ მთელი სამი თვე რაღას უცდიდით?

- აი, ეგ მართალი ბრძანეთ! - წამოიძახა პერკერმა, - ნეტავ, ახლა რა მიზეზს მოიტანთ, საქმე ასე რომ გააჭიანურეთ. ხომ ხედავთ, პიკვიკს სწორედ ის უკვირს, რომ ამდენ ხანს დააგვიანეთ.

- საქმე ისაა, - წარმოთქვა მისტერ უინკლმა და ახალგაზრდა მეუღლეს გადახედა, რომელსაც ღელვისაგან კვლავ ლოყები აუფაკლდა, - ბელა ვერ დავითანხმე, რომ ჩუმად გამოპარულიყო სახლიდან, ხოლო შემდეგ, როცა თანხმობა მომცა, დიდხანს ვუცადეთ ხელსაყრელ შემთხვევას. მერის უნდოდა, თავის ბატონი გაეფრთხილებინა ერთი თვით ადრე, რომ წასვლას აპირებს. უმაგისოდ კი ვერას გავხდებოდით.

- პატიოსნებას გეფიცებით, გონივრულად მოქცეულხართ, - წამოიძახა მისტერ პიკვიკმა, რომელსაც კარგა ხანია უკვე, სათვალე გაეკეთებინა და ხან არაბელას შეჰყურებდა, ხან მისტერ უინკლს აცქერდებოდა; მისი სახე ისეთ დიდ სიხარულსა და კმაყოფილებას გამოხატავდა, რომელიც შეიძლება მხოლოდ ძალიან კეთილმა ადამიანმა იგრძნოს.

- თქვენს ძმას თუ შეატყობინეთ ეს ამბავი, ჩემო ძვირფასო?

- ო, არა! - მიუგო არაბელამ და უცებ მოიღუშა, - ეს ამბავი მან მხოლოდ თქვენგან უნდა გაიგოს, ძვირფასო მისტერ პიკვიკ, მხოლოდ თქვენგან. ჩემი ძმა ისეთი ფიცხია, მუდამ წინააღმდეგი იყო, რომ მე მისტერ უინკლს გავყოლოდი... თანაც ბენი თავს არ ზოგავდა, რომ მე ბობ სოიერზე გავეთხოვებინე. ახლა რომ გაიგებს, ვშიშობ, რაიმე უბედურება არ დაგვაწიოს.

- მართალსა ბრძანებს, - სერიოზულად შენიშნა პერკერმა, - ეგ საქმე ისევ თქვენ უნდა მოაგვაროთ, პატივცემულო სერ. ახალგაზრდა დასტაქრები თქვენ პატივს გცემენ, სხვას კი არც მოუსმენენ. უბედურება თავიდან უნდა ააცილოთ ახალჯვარდაწერილებს, პატივცემულო სერ. ხომ იცით ყმაწვილებს სისხლი უდუღთ! აქ პაწია ვექილმა გამოთქმული მოსაზრება კვლავ თუთუნის ახალი მწიკვით დაამოწმა და თავი გააქნია იმის ნიშნად, რომ თუ ასე არ მოიქეცით, ნამდვილად უბედურება არ აგვცდებაო.

- ჩემო კარგო, თქვენ უთუოდ დაგავიწყდათ ერთი რამ, - ტკბილად მიუგო მისტერ პიკვიკმა, - მე ხომ პატიმარი ვარ.

- არა, ეგ როგორ დამავიწყდება, ჩემო ძვირფასო სერ, - მიუგო არაბელამ, - არც არასოდეს დამვიწყებია. ხშირად მიფიქრია, თუ რა სამძიმოა თქვენთვის ასეთ საშინელ ჯოჯოხეთში ცხოვრება. იმის იმედი კი მქონდა, რომ ჩვენი ბედნიერებისათვის თქვენ მოიმოქმედებთ იმას, რასაც პირადად თქვენთვის არ გააკეთებდით. დარწმუნებული ვარ, თუ ჩემი ძმა ამ ამბავს პირადად თქვენგან გაიგებს, უეჭველად შემირიგდება. მოგეხსენებათ, მისტერ პიკვიკ, მაგაზე ახლობელი არავინ მყავს და თუ ახლა თქვენ არ გამომექომაგეთ, შეიძლება იგი სამუდამოდ დავკარგო კიდეც. განა არ ვიცი, რომ ძალიან ცუდად მოვიქეცი, ძალიან ცუდად. საბრალო არაბელამ ცხვირსახოცი მიიფარა თვალებზე და მწარედ აქვითინდა.

ცრემლების დანახვაზე მისტერ პიკვიკს საოცრად აუჩუყდა გული. როდესაც მისის უინკლმა ცრემლები შეიშრო, ალერსიანად შეევედრა და თან ტკბილი ხმით შეეცადა დაეყოლიებინა თავის თხოვნაზე, იგი საშინლად აღელდა. აღარ იცოდა, რა ექნა: ნერვულად ისრესდა ცხვირს, თავს, სათვალეს, შარვალსა და პაჭიჭებს.

მისტერ პერკერმაც არ დააყოვნა. მან ყოყმანის ამ აშკარა სიმპტომებითაც ისარგებლა (ახალგაზრდა წყვილმა თურმე დილით ინახულა ვექილი) და კანონის მსახურისათვის დამახასიათებელი სიზუსტითა და გამჭრიახობით შეუდგა იმის მტკიცებას, რომ უფროსმა უინკლმა ჯერაც არ იცის, თუ რა სერიოზული ნაბიჯი გადადგა მისმა ვაჟიშვილმა ცხოვრების გზაზე; რომ მისი ვაჟიშვილის მომავალი სავსებით დამოკიდებულია იმაზე, თუ უფროსი უინკლი კვლავ ძველებური სიყვარულით და თანაგრძნობით მოექცევა შვილს, რაც ფრიად საეჭვოდ მიაჩნია, თუკი

მას დაუმალავს ესოდენ ღირსშესანიშნავ ამბავს; მისტერ პიკ-ვიკს, თუკი ის ბრისტოლს გაემგზავრება მისტერ ალენის სანახ-ვად, ბირმინჰემშიაც შეუძლია შეიაროს, უფროს უინკლს ესტუმ-როს; ბოლოს ისიც დასძინა, რომ უფროს უინკლს უფლება აქვს, მისტერ პიკვიკი ჩათვალოს უმცროსი უინკლის მეურვედ და მრჩევლადაც კი და, მაშასადმე, მისტერ პიკვიკის უპირველესი მოვალეობაა პირადად ინახულოს ზემოხსენებული უფროსი უინ-კლი, გააცნოს საქმის ვითარება და თანაც მოახსენოს, თუ რა მონაწილეობა მიიღო ამ საქმეში პირადად მან.

ამ ხვეწნა-მუდარისა და შეგონების მნიშვნელოვან მომენტს მისტერ ტაპმენი და მისტერ სნოდგრასიც შემოესწრნენ. მათ ჯერ არაფერი გაეგოთ, ამბავი თავიდან ითქვა. გამოთქვეს მოსაზრე-ბანი. ზოგმა მხარი დაუჭირა, ზოგიც წინააღმდეგ წავიდა. მერე თითოეულმა დამსწრემ ყოველი მოსაზრება ისე გააშუქა, რო-გორც მას ესმოდა. ბოლოს მისტერ პიკვიკს, ამდენ რჩევა--დარიგებასა და სხვის მოსაზრებათა შედეგად საკუთარი გადაწ-ყვეტილებები დაავიწყდა და თავგზა აებნა. მან უბრად ჩაიკრა გულში ლამაზი არაბელა და განაცხადა: ამ მომხიბლავმა არსე-ბამ დანახვისთანვე მომაჯადოვა და თავი შემაყვარაო. აასევე თქვა, რომ იგი მზადაა, ყოველმხრივ ხელი შეუწყოს ახალგაზ-რდების ბედნიერებას და იგი ყველაფერზე თანახმა გახლავთ.

როგორც კი მისტერ პიკვიკი დათანხმდა, მისტერ უელერმა იმწამსვე ჯობ ტროტერი აფრინა ბრწყინვალე მისტერ პელთან, რათა მას შიკრიკისათვის გადაეცა შემოწმებული ხელწერილი ვალის გადახდის შესახებ. ეს საბუთი მისმა წინდახედულმა მშო-ბელმა ზემოხსენებულ დიდად განსწავლულ ჯენტლმენს დაუტო-ვა იმ განზრახვით, ვინიცობაა დასჭირდეთო. შემდეგ სემმა მთე-ლი თავისი ნაღდი ფული ერთ საქმეში დააბანდა, ოცდახუთი გა-ლონი პორტერი მოატანინა, ეზოში დაადგმევინა და პირადად

დაანაწილა იმ პატიმართა შორის, ვინც კი სასმელი მოისურვა. ესეც რომ მოათავა, „ვაშას“ ძახილით ციხის ყოველი განყოფილება შემოიარა და იმდენ ხანს გაჰკიოდა, ვიდრე ხმა არ ჩაუწყდა. მხოლოდ ამის შემდეგ დაუბრუნდა მას ჩვეული სიმშვიდე და ფილოსოფიური განწყობილება.

სამ საათზე მისტერ პიკვიკმა უკანასკნელად მოავლო თვალი თავის პატარა ოთახს და ტალანში გავიდა. აქ პატიმრები შეგროვილიყვნენ მის გასაცილებლად. ყველა ცდილობდა, ხელი ჩამოერთმია კეთილი ადამიანისათვის და მიეცილებინა იგი ალაყაფის კარამდე. აქ დიადი პიროვნება წუთით შეჩერდა, დამსწრეთ გადახედა და სახე გაუბრწყინდა: მთელ ამ გაფითრებულ, ქანცგამოლეულ ადამიანთა შორის არ ეგულებოდა არც ერთი, რომელსაც იგი არ დაეხმარა და თანაგრძნობით არ შეუმსუბუქა მძიმე ხვედრი.

- პერკერ, აი, ეს მისტერ ჯინგლი გახლავთ, გახსოვთ, მე რომ გელაპარაკეთ, - თქვა მისტერ პიკვიკმა და ბრბოდან ერთ-ერთი ყმაწვილი გამოიხმო.

- კეთილი და პატიოსანი, პატივცემულო სერ, - მიუგო პერკერმა და ჯინგლს ჩააშტერდა, - ყმაწვილო, ჩვენ ხვალ შევხვდებით. იმედია, დაიმახსოვრებთ და სათანადოდაც დააფასებთ იმას, რასაც ხვალ მოგახსენებთ, სერ.

ჯინგლმა მოწიწებით დაუკრა თავი ვექილს, თავით ფეხამდე აცახცახდა, როდესაც მისტერ პიკვიკს ჩამოართვა ხელი და წავიდა.

- ჯობს მგონი იცნობთ? - შეეკითხა მისტერ პიკვიკი პერკერს, როდესაც ხსენებული ჯენტლმენი წარუდგინა.

- ვიცნობ მაგ არამზადასაც, - კეთილი ღიმილით შენიშნა პერკერმა, - თქვენს მეგობარს მოუარეთ და ხვალ პირველი საათი-

სათვის მზად იყავით. გესმით? აბა, კიდევ რა საქმე გაქვთ მოსაგვარებელი?

- არავითარი, - მიუგო მისტერ პიკვიკმა, - სემ, თუ გადაეცით თქვენს მოხუც მობინადრეს პატარა ამანათი, რომელიც მე დაგიტოვეთ?

- გადავეცი, სერ, - მიუგო სემმა, - ბალღივით ატირდა, სერ. სულ იმას ამბობდა, რა კეთილშობილი და უხვი ბრძანდებითო. მხოლოდ ერთ რამეზე სწყდება გული საწყალს, რატომ მასაც არ დაემართა ჩქარი ჭლექი, რადგან მისი ერთადერთი მეგობარი, რომელიც დიდხანს ცხოვრობდა აქ, მაგისგან მოკვდა და სხვას კი ეგ ვეღარ ნახავს.

- საცოდავი! - ამოიოხრა მისტერ პიკვიკმა, - ღმერთი იყოს თქვენი მფარველი, მეგობრებო!

როდესაც მისტერ პიკვიკმა ეს გამოსათხოვარი სიტყვები წარმოთქვა, ბრბომ ერთხმად დაიქუხა; ატყდა ალიაქოთი: ყველა ცდილობდა ერთხელ კიდევ ჩამოერთმია მისთვის ხელი. დიადმა ადამიანმა მისტერ პერკერს მკლავში გაუყარა ხელი და ჩქარი ნაბიჯით გამოვიდა ციხიდან. ამწუთას ის უფრო სევდიანი და მოღუშული გახლდათ, ვიდრე იმ დღეს, როდესაც ციხეში პირველად შედგა ფეხი. ვინ მოთვლის კიდევ რამდენი უბედური იტანჯება იმ კედლებს გადაღმა!

ბედნიერად დაუღამდათ კომპანიას, რომელიც სასტუმრო „ჯორჯსა და ფასკუნჯში“ შეიკრიბა. ძალიან მხიარული და უდარდელი გახლდათ ის ორი კაციც, რომელიც მეორე დილას ესოდენ სტუმართმოყვარე სასტუმროდან გამოვიდა. ესენი იყვნენ მისტერ პიკვიკი და სემ უელერი. პირველი საჩქაროდ ჩასვეს სამგზავრო ეტლში, რომელსაც უკან პატარა დასაჯდომი ჰქონდა მიმაგრებული. ამ დასაჯდომზე სემმა მოიკალათა.

- სერ, - ჩასძახა მისტერ უელერმა ბატონს.

- რა იყო, სემ? - ხმა გასცა მისტერ პიკვიკმა და ფანჯრიდან გამოჰყო თავი.

- ნეტავ, ეს ცხენებიც სამ თვეს მსხდარიყვნენ ფლიტში.

- რატომ, სემ? - იკითხა ცნობისმოყვარეობით მისტერ პიკვიკმა.

- აბა, როგორ, სერ! - წამოიძახა მისტერ უელერმა და ხელები მოისრისა, - ახლა უთუოდ რაშებივით გაფრინდებოდნენ!

თავი XLVIII

მოგვითხრობს იმის შესახებ, თუ როგორ შეეცადა მისტერ პიკვიკი სემის დახმარებით მოელბო მისტერ ბენჯამინ ალენის გული და დაეშოშმინებინა მისტერ რობერტ სოიერი

ერთ საღამოს, მისტერ ბენ ალენი და მისტერ ბობ სოიერი ისხდნენ პატარა ოთახში, აფთიაქის უკან. დაკეპილი ხბოს ხორცს შეექცეოდნენ და მომავლის იმედებით თავს იქცევდნენ. ბუნებრივია, აქ საუბარი ზემოხსენეული ბობის პრაქტიკულ საქმიანობასაც შეეხო. მსჯელობდნენ იმის შესახებ, თუ რა შესაძლებლობა გააჩნდა ახალგაზრდა ექიმს მომავალში, მუდმივი შემოსავალი რომ ჰქონოდა იმ ჭეშმარიტად საპატივცემულო პროფესიის საშუალებით, რომელსაც მან შესწირა თავი.

- მე მგონი, ბენ, - შენიშნა მისტერ ბობ სოიერმა, როდესაც ამ თემაზე საუბრობდნენ, - მე მგონი, ბენ, ეს შესაძლებლობა ფრიად საეჭვოა.

- რა არის საეჭვო? - იკითხა მისტერ ბენჯამინ ალენმა, რომელმაც ყელი ჩაიწმინდა ლუდის მოზრდილი ყლუპით, - რაა საეჭვო?

- ჩემს შესაძლებლობებზე მოგახსენებდი, - მიუგო მისტერ ბობ სოიერმა.

- ო, სულ არ დამავიწყდა, - თქვა მისტერ ბენ ალენმა, - ლუდმა მიშველა, თორემ არც გამახსენდებოდა. ააბა, რა გითხრა, ბობ, მე მგონი მართლაც არაა სახარბიელო.

- მიკვირს ამ ღარიბ-ღატაკებს რომ არ ვავიწყდები, - დაყოვნებით თქვა მისტერ ბობ სოიერმა, - კარზე მიკაკუნებენ, რა დროც უნდა იყოს, დღისით თუ ღამით. იმდენ წამალს სვამენ, რომ გაგიჟდება კაცი. წურბელებზე არ ამბობენ უარს, სჭირდებათ თუ არ სჭირდებათ, მაინც ისე დაჟინებით მოითხოვენ, რომ ეგ ჟინი სხვა რამეს რომ მოახმარონ, უკეთესი იქნებოდა. გამრავლებას ნუღა იკითხავ, ბუზებივით სწრაფად მრავლდებიან! დღეში ექვსჯერ მიძახებენ, ბენ. თანაც ყველა ჩემთან მოდის.

- ძალიან სასიამოვნოა, ასე თუ გცნობენ და გაფასებენ, - დასძინა მისტერ ბენ ალენმა და დაკეპილ ხორცს თეფში მიუჩოჩა.

- ძალიან, - მიუგო ბობმა, - მაგრამ მერწმუნე, უფრო სასიამოვნო იქნებოდა, რომ ისეთი პაციენტები მცნობდნენ, რომელნიც თითო-ოროლა შილინგს მაინც გადაიხდიან. განცხადება, იცოცხლე, გავაშანშალეთ. ისეთი პრაქტიკა აქვს, რომ ავადმყოფების მიღებას ვერ აუდისო, მაგრამ ხეირი კი არაფერია.

- ბობ, - თქვა მისტერ ბენ ალენმა, დანა-ჩანგალი კვლავ მაგიდაზე დადო და მეგობარს მიაჩერდა, - ბობ, მე გეტყვი, რაც უნდა გავაკეთოთ.

- რა? - ყურები ცქვიტა მისტერ ბობ სოიერმა.

- რა და არაბელას ათასი გირვანქა რომ აქვს, ის უნდა ჩაიგდო ხელში.

- სამპროცენტიანი კონსოლები, რომელიც მის სახელზეა ჩაწერილი ინგლისის ბანკის კომპანიისა და მისი მმართველის დავთრებში, - დასძინა ბობ სოიერმა. სათქმელის ნათელსაყოფად მან საგანგებოდ მიმართა იურიდიულ ტერმინოლოგიას.

- დიახ, დიახ, - კვერი დაუკრა ბენმა, - მაგ თანხას ჩემი დაიკო მიიღებს, როდესაც სრულწლოვანი გახდება, ან გათხოვდება. სრულწლოვანი რომ გახდეს, ჯერ კიდევ ერთი წელი უკლია,

თქვენ კი, თუ ყოჩაღად მოიქცევით, ერთ თვეში მოიყვანთ ცოლს.

- არაბელა წარმტაცი, მომხიბლავი არსებაა, - ხაზგასმით აღნიშნა მისტერ ბობ სოიერმა, - რამდენადაც მე ვიცი, მას მხოლოდ ერთი ნაკლი აქვს. სამწუხაროდ, ეს ერთადერთი ნაკლი ფრიად მნიშვნელოვანია. გემოვნება არ უვარგა. არ მოვწონვარ, ბენ.

- მე კი მგონია, რომ მაგან თვითონაც არ იცის, რა მოსწონს, - დაცინვით შენიშნა მისტერ ბენ ალენმა.

- შესაძლოა, ასეც იყოს, - დაეთანხმა მისტერ ბობ სოიერი, - მაგრამ, ის კი კარგად იცის, თუ რა არ მოსწონს. ეს კი, ჩემო ბენ, ფრიად მნიშვნელოვანია.

- ნეტავ, ვიცოდე, - წარმოთქვა მისტერ ბენ ალენმა და კბილები გააკრაჭუნა. ახლა იგი უფრო ჰგავდა ველურს, რომელიც მგლის უმ ხორცს წიწკნის ხელებით, ვიდრე დინჯ ახალგაზრდა ჯენტლმენს, რომელმაც ხბოს დაკეპილი ხორცი მიირთვა დანითა და ჩანგლით, - ნეტავ, ვიცოდე, აქ ვინმე არამზადას ხომ არ უდევს ბრალი. იქნებ ის არ ასვენებს, სიყვარულს ეფიცება. მე მგონი, სადმე თუ გადავეყარე, შემომაკვდება კიდეც, ბობ.

- თუ გადავეყარე, ტყვიას შიგ შუბლში ვახლი, - გაჯავრებით დაუმატა ბობ სოიერმა და ხარბად დაეწაფა ლუდს, - თუ ეგეც არ გაჭრიდა, იმ ტყვიას ისე ამოუღებდი ტვინიდან, რომ ოპერაციის დროს მაინც მიჰბარდებოდა უფალს.

მისტერ ბენჯამენ ალენი უბრად შეჰყურებდა მეგობარს რამდენიმე წუთის განმავლობაში, მერე შეეკითხა:

- სიყვარული თუ აუხსენი, ბობ?

- არა. ვიცოდი, რომ ჩემთვის სასიკეთო პასუხს ვერ მივიღებდი, - მიუგო რობერტ სოიერმა.

- ოცდაოთხი საათიც არ გაივლის, რომ თქვენ წინადადებას მისცემთ, - მშვიდად წარმოთქვა ბენმა, - იგი თანხმობას მოგცემთ, ან მე გავიგებ უარის მიზეზს. მაშინ კი ვაგრძნობინებ, რომ ძმა ვარ და ცოტა რამ მეც მეკითხება.

- ვნახოთ, ვნახოთ, - თქვა მისტერ ბობ სოიერმა.

- დიახ, ვნახოთ, ჩემო მეგობარო! - მრისხანედ დასძინა მისტერ ბენ ალენმა. ერთხანს გაჩუმდა, მერე კი ღელვისაგან მთრთოლარე ხმით განაგრძო, - ჩემო მეგობარო, სულ ყმაწვილი იყავი, ეგ რომ შეგიყვარდა. ჯერ კიდევ სკოლაში დავდიოდით. მაშინაც, გახსოვს, რამდენს ჭირვეულობდა, იპრანჭებოდა და არაფრად აგდებდა შენს წმინდა გრძნობას. გახსოვს, სიყვარულით სავსე გულით რომ შესთავაზე ორი ბისკვიტი და ტკბილი ვაშლი, პატარა, მრგვალი შეკრულა, რვეულის ფურცელში გახვეული?

- მახსოვს, - მიუგო ბობ სოიერმა.

- მგონი, ახლოსაც არ გაიკარა? - იკითხა ბენ ალენმა.

- არა, - დაეთანხმა ბობი, - ასე მითხრა, „იმდენ ხანს ატარე ეგ შეკრულა შარვლის ჯიბეში, რომ ვაშლი უთუოდ გათბა და უგემური იქნება“.

- მეც მახსოვს, - პირქუშად წარმოთქვა მისტერ ალენმა, - მერე ისევ მე და შენ შევჭამეთ, მორიგეობით ვკბეჩდით.

ბობ სოიერი ნაღვლიანად მოიჭმუხნა და ამით მეგობარს აგრძნობინა, ეგეც არ დამვიწყებიაო.

ორივე ღრმა ფიქრებში გაეხვია.

ვიდრე ზემოხსენებულ თემაზე საუბრობდნენ მისტერ ბობ სოიერი და მისტერ ბენჯამინ ალენი, რუხლივრეიანი ბიჭი კი დადარდიანებული შეჰყურებდა შუშის კარს და ფიქრობდა: ამ სადილის გათავებას საშველი არ დაადგა და, ვაითუ, ხბოს ხორცი მე აღარ დამრჩესო, ქალაქ ბრისტოლის ქუჩებში დინჯად მი-

დიოდა მუქმწვანე ერთცხენიანი ორთვალა, რომელშიც ჩასუქებული რუხი ფაშატი იყო შებმული. ამ ეკიპაჟს მართავდა პირქუში გარეგნობის მამაკაცი, რომელსაც წელს ქვევით გრუმის ტანსაცმელი ეცვა, წელს ზევით კი მისი ჩაცმულობა მეეტლისას ჰგავდა. ასეთი ეკიპაჟები ჩვეულებრივ მოხუც, ხელმომჭირნე ქალბატონებს ჰყავთ. მართლაც, ამ ეტლში მისი სრულუფლებიანი მფლობელი, მოხუცი მანდილოსანი იჯდა.

- მარტინ! - გასძახა წინა ფანჯრიდან პირქუშ მეეტლეს მოხუცმა მანდილოსანმა.

- გისმენთ, ქალბატონო, - ხმა გასცა პირქუშმა მეეტლემ და ხელი ქუდზე მიიდო.

- მისტერ სოიერთან წამიყვანე! - ბრძანა მოხუცმა ლედიმ.

- იქ მივდივარ, - მიუგო პირქუშმა მეეტლემ.

მოხუცმა ქალბატონმა თავი დაუკრა, ეტყობა კმაყოფილი დარჩა, რომ პირქუში მეეტლე ესოდენ წინდახედული აღმოჩნდა. მეეტლემ კი ნასუქ ფაშატს მათრახი გადაუჭირა და სამთავე სულიერმა მისტერ ბობ სოიერისაკენ გასწია.

- მარტინ! - წარმოთქვა მოხუცმა ქალბატონმა, როდესაც ეტლი მისტერ ბობ სოიერის, ნოკმორფის მონაცვლის, დუქანთან გაჩერდა.

- გისმენთ, ქალბატონო, - ხმა გასცა მარტინმა.

- უთხარით ბიჭს, ცხენს მიხედოს.

- თვითონ მივხედავ, - თქვა მარტინმა და მათრახი ეტლის სახურავზე შემოდო.

- მაგის ნებას კი ვერ მოგცემ, - შენიშნა მოხუცმა ქალბატონმა, - თქვენ აუცილებლად თან უნდა წამომყვეთ. ვიდრე მოლაპარაკებას ვაწარმოებ, წუთითაც არ მომშორდეთ. გესმით?

- მესმის, ქალბატონო, - მიუგო მარტინმა.

- მაშ, რაღას ფიქრობთ?

- არაფერს.

ეს რომ თქვა, პირქუში მეეტლე, რომელიც აქამდე მარჯვენა ფეხის წვერებით ბორბალზე იდგა, ძირს ჩამოვიდა და რუხლივრეიან ბიჭს უხმო. მერე ეტლის კარი გამოაღო, საფეხური გადმოსწია, ხელთათმნიანი ხელი ეტლში შეყო და მოხუცი ქალბატონი იქიდან ისე მსუბუქად გადმოიღო, თითქოს მუყაოს კოლოფი ყოფილიყოს.

- ღმერთო ჩემო, მარტინ! - წამოიძახა მოხუცმა ქალბატონმა, - მოვედით და ახლა ისე ვღელავ, რომ სულ ვცახცახებ.

მისტერ მარტინმა ნატის ხელთათმანი მიიფარა და ჩაახველა, მაგრამ თანაგრძნობა არაფრით გამოუხატავს. მოხუცი ლედი ცოტა დამშვიდდა და ბობ სოიერის დუქნისაკენ წაცუხცუხდა. მისტერ მარტინიც მას მიჰყვა ფეხდაფეხ.

როგორც კი მოხუცი ქალბატონი დუქანში შევიდა, მისტერ ბენჯამინ ალენმა და მისტერ ბობ სოიერმა წყალნარევი ვისკი საჩქაროდ გადამალეს, რაღაც მყრალი წამალი მოაპკურეს ოთახში, რომ თამბაქოს სუნი გაექროთ და დიდი სიყვარულით შეეგებნენ სტუმარს.

- საყვარელო, ძვირფასო მამიდა! - წამოიძახა მისტერ ბენ ალენმა, - რა კარგია, რომ გვინახულეთ. ძალიან გამახარეთ. მისტერ სოიერი, მამიდა, ეს გახლავთ მისტერ ბობ სოიერი. მე რომ გელაპარაკეთ, იმის გამო... თქვენ იცით, რის გამოც, მამიდა, - აქ მისტერ ალენმა, რომელიც უკვე კარგად შექეიფიანებული გახლდათ, მხოლოდ ერთი სიტყვა წასჩურჩულა მამიდას „არაბელაო“; მაგრამ ჩურჩული ისე ხმამაღლა გამოვიდა, რომ ყველა იქ დამსწრემ გაიგონა.

- ჩემო ბენჯამინ, - ძლივს მოითქვა სული მოხუცმა ლედიმ, საცოდავი თავით ფეხამდე ცახცახებდა, - არ შეგეშინდეთ, ჩემო

კარგო, მაგრამ მე მინდა პირადად მისტერ სოიერს მოველაპარაკო. მხოლოდ ერთი წუთით, ჩემო კარგო.

- ბობ, - წარმოთქვა მისტერ ბენჯამინ ალენმა, - კაბინეტში შეიყვანთ მამიდას?

- რა თქმა უნდა, - მიუგო ბობმა მისი პროფესიის შესაფერი მშვიდი და დინჯი კილოთი, - აქეთ მობრძანდით, ქალბატონო. ნუ ღელავთ, ქალბატონო. ეჭვი ნუ გეპარებათ, ყოველივეს მალე მოვაგვარებთ... გისმენთ, ქალბატონო.

ეს რომ წარმოთქვა, მისტერ ბობ სოიერმა მოხუცი ლედი სავარძელში ჩასვა, აფთიაქის კარი მიხურა. თავისი სკამი სავარძელთან დადგა და მოემზადა მოსასმენად. გულში იმედი ჰქონდა, რომ მანდილოსნის გასაჭირი დიდ შემოსავალსა და სარგებელს მოუტანდა პირადად მას.

მოხუცმა ლედიმ იმით დაიწყო, რომ ჯერ თავი ააქიცინა, მერე კი ტირილი მორთო.

- ნერვების ბრალია, - მოწყალედ შენიშნა ბობ სოიერმა, - დღეში სამჯერ კამფარა, ღამით კი დამამშვიდებელი რაიმე უნდა მიიღოთ.

- არც კი ვიცი, როგორ დავიწყო, მისტერ სოიერ, - წაილუღლუღა მოხუცმა ლედიმ, - ეს ისეთი მტკივნეულია, საშინელია, საშინელი!

- ნურც დაიწყებთ, ქალბატონო! - მიუგო მისტერ ბობ სოიერმა, - წინასწარ ვიცი, რასაც მეტყვით. თავი გაწუხებთ.

- ძალიან მეწყინებოდა, რომ გული მაწუხებდეს, - კვნესით აღმოხდა მოხუც ლედის.

- ო, მაგ მხრივ, ნუ გეშინიათ, ქალბატონო, იქ რიგზეა ყველაფერი, - მიუგო ბობ სოიერმა, - კუჭი! კუჭია თავიდათავი.

- მისტერ სოიერ! - თითქოს შეკრთა მოხუცი ლედი.

- ეჭვიც არ მეპარება რომ ასეა, ქალბატონო, - განაგრძო ბობ-მა დამაჯერებელი კილოთი, - წამალი დროზე რომ მიგეღოთ, ეგ არ დაგემართებოდათ.

- მისტერ სოიერ, - მოხუცი ლედი, ეტყობა, უფრო აღელდა, - მისმინეთ, გეთაყვა, თქვენ რასაც ამბობთ, ეს ან დიდი თავხედო-ბაა იმ ადამიანის მიმართ, რომელიც ჩემისთანა დღეშია, ან თქვენ არ გესმით, თუ რისთვის მოვედი აქ. ჩემს საქმეს რომ რაიმე წამალი ან წინდახედულობა შველოდეს, მერწმუნეთ, ნამ-დვილად მივმართავდი ერთსაც და მეორესაც. სჯობს, ისევ ძმის-წულს მოველაპარაკო!

ლედი გაბრაზებით აწვალებდა ჩანთას.

- მოიცათ, ქალბატონო, - თქვა ბობ სოიერმა, - იქნებ, მე სწო-რად ვერ გაგიგეთ. რა მოხდა, ქალბატონო?

- ჩემი ძმისწული, მისტერ სოიერ, - თქვა მოხუცმა ლედიმ, - თქვენი მეგობრის და...

- მერე, მერე, ქალბატონო? - მოუთმენლად ჩასძახა ბობმა, რადგან მოხუცი ლედი, თუმცა ძალიან ღელავდა, სიტყვებს ძლივს ღეჭავდა და ისე ნელა ლაპარაკობდა, რომ ბობიც ლამის გულზე გასკდა, - მერე, მერე რა მოხდა?

- სამი დღის წინათ ჩემგან წავიდა, ვითომდა იმ მიზეზით, რომ ჩემი და, მეორე მამიდა ენახა. ჩემს დას დიდი პანსიონი აქვს აქ-ვე მახლობლად, იქ სადაც დიდი ტირიფნარია და მუხის ალაყა-ფის კარი, - თქვა მოხუცმა ლედიმ და ერთხანს დადუმდა, თვალ-ზე მომდგარ ცრემლებს იწმენდდა.

- ეშმაკსაც წაუღია ის ტირიფნარი, ქალბატონო! - წამოიძახა ბობმა, რომელიც ისე აღელდა, დაავიწყდა, რომ მისი პროფესი-ის კაცს ასეთი თქმა არ შეჰფეროდა, - თქვით ჩქარა! შეუკეთეთ, ქალბატონო, გემუდარებით.

- ამ დილას, - დინჯად თქვა მოხუცმა ლედიმ, - ამ დილას იგი...

- უთუოდ დაბრუნდა თქვენსას, ქალბატონო? - მკვირცხლად უკარნახა ბობმა, - დაბრუნდა?

- არა, არ დაბრუნებულა. წერილი გამომიგზავნა, - მიუგო მოხუცმა ლედიმ.

- რას გწერთ, მერე? - მოუთმენლად შეეკითხა ბობი.

- მწერს, მისტერ სოიერ, - მიუგო მოხუცმა ლედიმ, - მე მინდა, რომ თქვენ, ბენჯამინი, ფრთხილად, თანდათანობით შეაჩვიოთ ამ ამბავს... მწერს, რომ... რომ... წერილი აგერ ჯიბეში მაქვს, მისტერ სოიერ... ვაიმე, სათვალე ეტლში დამრჩენია, უმაგისოდ კი ტყუილა დროს დავკარგავთ. ვერ გიჩვენებთ იმ ადგილს, სადაც მწერს, რომ... მოკლედ, მისტერ სოიერ, მწერს, რომ გათხოვდა.

- რაო? - თქვა კი არა, იღრიალა მისტერ ბობ სოიერმა.

- გათხოვდა, - გაიმეორა მოხუცმა ლედიმ.

მისტერ ბობ სოიერმა ყური აღარ ათხოვა, კაბინეტიდან გავარდა და ხმამაღლა დაიძახა:

- ბენ, მეგობარო, გაქცეულა!

მისტერ ბენ ალენი დახლის იქით ტკბილად სთვლემდა. მუხლებში ჩაერგო თავი და ორთქმავალივით ქშინავდა. როგორც კი მის ყურს ზემოხსენებული შემაძრწუნებელი ამბავი ჩასწვდა, იგი მისტერ მარტინს ეცა და ამ უსიტყვო მსახურს შიგ ყელში ჩააფრინდა, თითქოს უნდოდა იქვე დაეხრჩო. გამწარებული ისე სწრაფად და მარჯვედ შეუდგა ამ ოპერაციას, რომ, ეტყობა, არ დაიშურა არც ენერგია და არც პროფესიონალური ოსტატობა.

მისტერ მარტინი ჩუმი არსება გახლდათ, რომელსაც მძიმე წუთებშიაც კი ხმას ვერ ამოაღებინებდით, ახლაც, რამდენიმე წუთის განმავლობაში, მშვიდი სახით უხმოდ იტანდა ზემოხსენებულ ოპერაციას, მაგრამ რაკი დარწმუნდა, რომ სულ ცოტაღა და, იგი სამუდამოდ დაკარგავდა ჯამაგირსაც, უხვ სასმელ--

საჭმელსა და სხვა ამგვარს, პროტესტის ნიშნად ერთი დაიღმუვლა და მისტერ ბენ ალენი იატაკს გააკრა. რადგან გაშმაგებული ახალგაზრდა მსახურის ყელზე შემოხვეულ შარფს ჩაებღაუჭა, ისიც მის გვერდით გაიშოტა. ორთავემ იატაკზე დაიწყეს გორაობა. უეცრად კარი გაიღო და აფთიაქში კიდევ ორი სტუმარი შემოვიდა, რომელსაც არავინ ელოდა. ესენი იყვნენ მისტერ პიკვიკი და მისტერ სემუელ უელერი.

როგორც კი მისტერ უელერმა იატაკზე მისტერ მარტინს მოჰკრა თვალი, უმალვე თავში გაუელვა აზრმა: ეს კაცი უთუოდ მისტერ ბობ სოიერმა, ნოკმორფის მონაცვლემ, დაიქირავა საგანგებოდ, რომ ექსპერიმენტის სახით ახალი, ძლიერი წამლების მოქმედება სინჯოს მასზეო; ჯერ შხამი დაალევინოს და მერე მისი საწინააღმდეგო გადააყლაპოს, დროდადრო გულყრა დამართოს და ახალი წამლის საშუალებით კვლავ მოასულიეროს, ერთი სიტყვით, ცდები ჩაატაროს, რაც ხელს შეუწყობს მედიცინის შემდგომ განვითარებას და დააკმაყოფილებს ძიების დაუცხრომელ ჟინს, რომელიც ორი ახალგაზრდა დასტაქრის გულში ანთიაო. რაკი სემმა ამგვარად განსაჯა იატაკზე გაშხლართული კაცების საქციელი, იგი ჭიდაობაში არ ჩარეულა, დადგა და არხეინად შესცქეროდა ორთავეს, თითქოს ელოდა, ეს ექსპერიმენტი რით დამთავრდებაო. ასე როდი მოიქცა მისტერ პიკვიკი. ჩვეული ენერგიით თვალის დახამხამებაში ეცა მოჭიდავეებს და ხმამაღლა შესძახა ოთახში მყოფთ: „არიქა, მიშველეთ!“

მისტერ ბობ სოიერი, რომელსაც გეგონებათ, დამბლა დაეცაო, ისე გააოგნა მეგობრის გაშმაგებამ, რომ მხოლოდ ახლა მოვიდა გონს. მისი დახმარებით მისტერ პიკვიკმა ფეხზე წამოაყენა ბენ ალენი. მალე მისტერ მარტინიც წამოდგა და აქეთ--იქით მიმოიხედა.

- მისტერ ალენ, - წარმოთქვა მისტერ პიკვიკმა, - რა დაგემართათ, სერ?

- არაფერი, სერ, - ქედმაღლურად მიუგო მისტერ ალენმა.

- რა დაემართა? - მისტერ პიკვიკმა ახლა ბობ სოიერს მიმართა, - უქეიფოდ ხომ არაა?

ბობმა პასუხის გაცემა ვერ მოასწრო, რომ მისტერ ბობ ალენი მისტერ პიკვიკს ხელში ჩაებღაუჭა და ნაღვლიანად ამოილუღლუღა:

- ჩემი და, ძვირფასო სერ, ჩემი და...

- აი თურმე რა ყოფილა! - თქვა მისტერ პიკვიკმა, - იმედია, ამ საქმეს მალე მოვაგვარებთ, ნუ ღელავთ, თქვენს დას არაფერი უჭირს, ჩინებულადაა. სწორედ იმიტომ გეახელით, რომ...

- ძალიან ვწუხვარ, რომ ესოდენ სასიამოვნო საუბარი უნდა შეგაწყვეტინოთ, როგორც ბრძანა მეფემ, როდესაც პარლამენტი დაითხოვა, - ჩაერია საუბარში მისტერ უელერი, რომელმაც, ის იყო, შუშის კარში შეიხედა. როგორც ჩანს, აქ კიდევ ერთი ექსპერიმენტი უნდა ჩატარდეს, სერ. აგერ იმ ოთახში ხალიჩაზე წევს მოხუცი მანდილოსანი და ელოდება გაკვეთას თუ დამუხტვას, ან კიდევ სხვა რაიმე გამაცოცხლებელ, წმინდა მეცნიერულ ოპერაციას.

- სულ არ დამავიწყდა? - თქვა მისტერ ბენ ალენმა, - ეგ მამიდაჩემია.

- ღმერთო ჩემო! - შესძახა მისტერ პიკვიკმა, - საცოდავი! ფრთხილად, სემ, ფრთხილად!

- ოჯახის წევრი და ასე ხვდებოდეს სტუმარს? უცნაურია ჩემმა მზემ! - შენიშნა სემმა, როდესაც ლედი სავარძელში ჩააწვინა, - ჰეი, ძვლისმტეხის მოადგილევ, ერთი სასუნებელი მარილი მოიტანე!

ამ შენიშვნით სემმა მიმართა რუხლივრეიან ბიჭს, რომელმაც ეკიპაჟი დარაჯს ჩააბარა და ოთახში შემოვიდა, რომ გაეგო, რამ გამოიწვია ამდენი აურზაური.

ამ ბიჭის, მისტერ ბობ სოიერისა და მისტერ ბენჯამინ ალენის წყალობით (საყვარელმა ძმისწულმა ჯერ ისე შეაშინა მამიდა, რომ ქალს გული წაუვიდა და ახლა კი თავს არ ზოგავდა, ნაზად უვლიდა, რომ კვლავ გონზე მოეყვანა), მოხუცი ლედი როგორც იქნა მოსულიერდა. აქ შეცბუნებული მისტერ ბენი შეეკითხა მისტერ პიკვიკს, ნეტავ, რის თქმას აპირებდით, ესოდენ სამწუხარო ამბავმა რომ შეგაწყვეტინათ სიტყვაო.

- აქ ხომ მხოლოდ შინაურებია? - იკითხა მისტერ პიკვიკმა, მეტყველად ჩაახველა და პირქუშ კაცს მიაჩერდა.

მისტერ ბობ სოიერს მხოლოდ ახლა მოაგონდა, რომ ლივრეიანი ბიჭი აქვე დგას და ყურებდაცქვეტილი მისჩერებია ყველას. ამიტომ მარჯვე დოსტაქარმა პანღური ამოჰკრა ნორჩ მეაფთიაქეს და კარს იქით გაუძახა, მერე მისტერ პიკვიკს მიუბრუნდა და უთხრა, ახლა შეგიძლიათ ბრძანოთო.

- თქვენი და, ჩემო ძვირფასო სერ, ახლა ლონდონშია, - უთხრა მისტერ პიკვიკმა მისტერ ბენჯამინ ალენს, - იგი ჯანმრთელადაა და ძალიან ბედნიერია.

- ბედნიერია და იყოს თავისთვის! - გაბრაზებით ჩაიქნია ხელი მისტერ ბენჯამინ ალენმა.

- როგორ თუ თავისთვის? მაგის ქმარს მე გავუსწორდები, სერ! - ჩაერია ბობ სოიერი, - მე გავუსწორდები: ორი ნაბიჯის მანძილზე დავაყენებ მაგ არამზადას და ტყვიას შიგ შუბლში მივარტყამ!

უნდა მოგახსენოთ, რომ ეს გამოწვევა ზედმიწევნით კეთილშობილი და სულგრძელი გახლდათ და დიდი გულისყურით მოისმინეს. ბოლოს მისტერ სოიერმა შთაბეჭდილება მაინც წაახ-

დინა: ახსენა დალურჯებული თვალი, დაჩეჩქვილი და დაბეგვილი თავები, რაც მეტად უხეშად ჟღერდა ამ დიდებული სიტყვის შესავალთან შედარებით.

- მოიცათ, სერ, - შეაწყვეტინა მისტერ პიკვიკმა, - ვიდრე შეამკობდეთ ეპითეტებით ხსენებულ ჯენტლმენს, ჯერ გაიგეთ, დამნაშავეა იგი თუ არა. ყოველივე ამის გარდა, ნურც იმას დაივიწყებთ, რომ იგი ჩემი უახლოესი მეგობარი გახლავთ.

- რაო?! - ბობ სოიერი შეცბა.

- სახელი, სახელი ბრძანეთ! - წამოიძახა ბენ ალენმა.

- მისტერ ნათანიელ უინკლი, - მიუგო მისტერ პიკვიკმა.

მისტერ ბენჯამინ ალენი ქუსლით დააწვა სათვალეს და ჩატეხა. მერე ნატეხები სამ სხვადასხვა ჯიბეში ჩაიწყო, გულხელი დაიკრიფა, ტუჩები მოიკვნიტა და მრისხანედ შეაჩერდა მისტერ პიკვიკის კეთილ სახეს.

- მაშ, თქვენ თვითონ შეუწყვეთ ხელი მათ დაქორწინებას, არა? - დაისისინა მისტერ ბენჯამინ ალენმა.

- მაგ ჯენტლმენის მსახური სულ ჩემს სახლთან დაძვრებოდა ამ ბოლო დროს, - სიტყვა ჩაურთო მოხუცმა ლედიმ, - ცდილობდა ჩემი მსახური გადაებირებინა, რომ ერთად შეეკრათ პირი ჩემს წინააღმდეგ... მარტინ!

- გისმენთ, ქალბატონო, - მიუგო პირქუშმა მსახურმა და წინ წადგა ნაბიჯი.

- ეს ხომ ის კაცია, თქვენ რომ ჩვენს ჩიხში შენიშნეთ? მაგის შესახებ მიყვებოდით ამ დილას?

მისტერ მარტინი, მოგეხსენებათ, დიდი მჭევრმეტყველი არ გახლდათ. მან ერთი შეხედა სემი უელერს, ქალბატონს თავი დაუქნია და ჩაიბურტყუნა:

- ის გახლავთ.

მისტერ უელერი თავმდაბალი კაცი იყო. მან მხიარულად გაუღიმა პირქუშ მსახურს და საზოგადოებას თავაზიანად მოახსენა, ეს კაცი მეც სადღაც მინახავს უწინო.

- ეგ ერთგული კაცი კინაღამ ხელში შემომაკვდა! - წამოიძახა მისტერ ბენ ალენმა, - მისტერ პიკვიკ, როგორ გაბედეთ და ნება დართეთ მაგ ვაჟბატონს, მონაწილეობა მიეღო ჩემი დის გატაცებაში? გთხოვთ, ბრძანოთ, სერ.

- დიახ, ბრძანეთ, სერ! - იღრიალა გამწარებულმა ბობმა.

- მზაკვრული შეთქმულებაა, - თქვა ბენ ალენმა.

- გაიძვერობაა! - დასძინა მისტერ ბობ სოიერმა.

- თაღლითობა! - სიტყვა ჩაურთო მოხუცმა მანდილოსანმა.

- თვალთმაქცობაა, - კვერი დაუკრა მარტინმაც.

- გთხოვთ მომისმინოთ, - წარმოთქვა მისტერ პიკვიკმა, როდესაც მისტერ ბენ ალენი მოცელილივით ჩაეშვა სავარძელში (რომელშიც ჩვეულებრივ სისხლჭარბ პაციენტებს სვამენ, რომ სისხლი გამოუშვან) და ცრემლები წასკდა, - ამ საქმეში, მერწმუნეთ, არავის დავხმარებივარ, მხოლოდ ერთხელ დავესწარი მათ შეხვედრას, ისიც იმიტომ, რომ იმთავითვე გამეფანტა ეჭვი, თუ შემდეგ ვინმე რამეს იტყოდა. ეს იყო და ეს. მე არც ვიცოდი, რომ ორივეს გადაუწყვეტია, ჩუმად ჯვარი დაეწერათ. არა, ეს კი იცოდეთ, - იქვე საჩქაროდ დასძინა მისტერ პიკვიკმა, - იმას როდი ვამბობ, რომ წინასწარ რომ მცოდნოდა, დავუშლიდი-მეთქი.

- გესმით, გესმით, რას ამბობს? - მიმართა დამსწრეთ მისტერ ბენჯამინ ალენმა.

- იმედია, კარგად ესმით, - წყნარად მიუგო მისტერ პიკვიკმა და მიმოიხედა, - იმედი მაქვს, კვლავაც მომისმენენ. იმის გამო, რაც მე მიამბეს, სერ, ახლა მოგახსენებთ, რომ თქვენ არავითარი უფლება არ გქონდათ, ძალით ჩაგეხშოთ თქვენი დის გრძნობა, რის გაკეთებასაც არაერთხელ შეეცადეთ თურმე. პირიქით,

მე ვიტყოდი, უფრო ნაზად და მოთმინებით უნდა მოქცეოდით, თუკი გულით გინდოდათ ობლისთვის მშობლების მაგივრობა გაგეწიათ, რომლებიც მან ბავშვობაში დაკარგა. რაც შეეხება ჩემს მეგობარს, მაგის შესახებ, აი, რას მოგახსენებთ: თქვენზე მეტი თუ არა, ნაკლები არაა არც ჭკუითა და არც ქონებით. თუ ინებებთ და, მშვიდად მოვითათბირებთ ამ საკითხზე, ხომ კარგი, თუ არა, ამ თემაზე კრინტსაც აღარ დავძრავ.

- მე მინდა რამდენიმე, სულ მოკლე შენიშვნა დავუმატო იმ პატივცემული ჯენტლმენის ნათქვამს, რომელმაც ეს არის, ახლა მოათავა ლაპარაკი, - დასძინა მისტერ უელერმა და წინ გამოვიდა, - აი, რა: ერთ-ერთმა აქ დამსწრეთაგანმა ვაჟბატონი მიწოდა...

- ეგ ჩვენს საქმეს არ ეხება, სემ, - სიტყვა გააწყვეტინა მისტერ პიკვიკმა, - გაჩუმდით, გეთაყვა.

- ამ საკითხზე არც შევჩერდები, სერ, - მიუგო სემმა, - აი, საქმე რა არის: იქნებ ჯენტლმენს ჰგონია, რომ რაიმე ძველი გატაცება იყო, მაგრამ იცოდეთ, რომ არაფერი მაგის მსგავსიც არ ყოფილა. ახალგაზრდა ლედიმ გაცნობისთანავე განაცხადა, ეგ ყმაწვილი თვალის დასანახავად მეზარებაო. ისე, რომ მაგისთვის ხელი არავის შეუშლია. იმ ქალბატონს მისტერ უინკლი თვალითაც რომ არ ენახა, მაგას მაინც არაფერი ეშველებოდა. ააი, რა მინდოდა მეთქვა, სერ. იმედია, ახლა მაინც მოისვენებს პატივცემული ჯენტლმენი.

მისტერ უელერის ესოდენ სანუგეშო შენიშვნების შემდეგ ერთხანს სიჩუმე ჩამოვარდა. მერე მისტერ ბენ ალენი წამოდგა და განაცხადა, ჩემს დღეში არაბელას აღარ ვნახავო; მისტერ ბობ სოიერმა კი არაფრად ჩააგდო სემის შეგონება და ხმამაღლა დაიფიცა, იმ არამზადას შავ დღეს დავაყრიო.

კვლავ იმატა ღელვამ, თითქოს ცეცხლი მოედო ვნებებს. ვინ იცის, მისტერ პიკვიკს კიდევ რამდენი საყვედურის, რამდენი მუქარის მოსმენა მოუხდებოდა, მაგრამ უეცრად მას ძლიერი მოკავშირე გამოუჩნდა, თვით მოხუცი მანდილოსანი გამოექომაგა მას. ეეტყობა, ლედიზე დიდად იმოქმედა იმ სიტყვებმა, რომელიც მისტერ პიკვიკმა არაბელას დასაცავად წარმოთქვა. მანდილოსანმა გაბედა და მისტერ ბენ ალენს შემდეგი, ჭეშმარიტად სანუგეშო და დამამშვიდებელი სიტყვით მიმართა: კიდევ კარგი, უარესი არ მოხდა. რაც უფრო ნაკლებს ვილაპარაკებთ ამის შესახებ, მით უფრო მალე მოგვარდება ეგ საქმეო. სინდისიც კი დაიფიცა, რომ ეს არც ისე ცუდი ამბავია, რაც მოხდა, მოხდაო. თუკი უბედურებას ვერაფრით უშველი, მაშინ სხვა რა ძალაა, უნდა მოითმინოო და სხვა. ამაზე მისტერ ბენჯამინ ალენმა უპასუხა, რომ ბოდიშს ვიხდი ძვირფასი მამიდისა და პატივცემული საზოგადოების წინაშე, მაგრამ თუ თქვენ არაფერი გაქვთ საწინააღმდეგო და ნებას მომცემთ, ჩემს ნებაზე მოვიქცე, ისევ ის მირჩევნია, მძულდეს ჩემი და, მძულდეს სიკვდილის დღემდე და მის შემდეგაცო.

როდესაც ახალგაზრდა დასტაქარმა ეს ურყევი გადაწყვეტილება ორმოცდაათჯერ მაინც გაიმეორა, მოხუცი ლედი უეცრად წელში ამაყად გასწორდა და მედიდური გამომეტყველებით ძმისწულს შეეკითხა: როდის აქეთაა, პატივს აღარ სცემ ჩემს ასაკს და მის ღირსებას? რატომ უნდა ეხვეწოს და ემუდაროს საკუთარ ძმისწულს, რომელიც ახსოვს უკვე ოცდახუთი წელია, ახსოვს სულ ჩვილიც კი, როცა მას პირში ჯერ ერთი კბილიც არ ჰქონდა, რომლის პირველი თმის ბიჭურად შეკრეჭას იგი პირადად დაესწრო და სხვა დროსაც ბევრჯერ მიუღია მონაწილეობა ამგვარ, ფრიად მნიშვნელოვან ცერემონიებში. განა ასეთი მამი-

და ღირსი არ არის, ძმისწულმაც გაუგონოს, უყვარდეს იგი და ნუგეშად ჰყავდეს, ვიდრე უფალს სულს არ მიაბარებს?

ვიდრე კეთილი ლედი ამგვარად ტუქსავდა მისტერ ბენ ალენს, მისტერ ბობ სოიერი და მისტერ პიკვიკი მეორე ოთახში კონფიდენციალურად საუბრობდნენ. ამ საუბრის დროს, როგორც ჩანაწერებშია მოხსენებული, მისტერ სოიერმა არაერთხელ მიიყუდა შავი ბოთლი პირთან, რის შედეგადაც სახეზე უდარდელი იერი გადაეკრა და თითქოს გამხიარულდა კიდეც. ბოლოს ბოთლით ხელში კვლავ აფთიაქში გავიდა და განაცხადა: მაპატიეთ, ბრიყვულად მოვიქეცი, გაუმარჯოს მისის და მისტერ უინკლებსო; მერწმუნეთ, გულში არავითარი შური არ მაქვს და აქ რომ იყვნენ, გულით და სულით მივულოცავდიო.

მისტერ ბენ ალენმა გაიგონა თუ არა ნათქვამი, დაუყოვნებლივ შავ ბოთლს სტაცა ხელი და ისე სულმოუთქმელად მიირთვა სადღეგრძელო, რომ სახე ბოთლივით გაუშავდა, რადგან სასმელი მაგარი გახლდათ. შემდეგ, შავი ბოთლი ერთხანს ხელიდან ხელში გადადიოდა, ვიდრე არ დაცარიელდა. ამას მოჰყვა იმდენი ხელის ჩამორთმევა და მილოცვა, რომ მისტერ მარტინის ქვასავით უტეხ სახეზედაც კი ღიმილი დაიღვარა.

- ახლა კი, - წარმოთქვა ბობ სოიერმა და ხელები მოიფშვნიტა, - საუცხოოდ გავატარებთ ამ საღამოს.

- ვწუხვარ ძალიან, - მიუგო მისტერ პიკვიკმა, - მაგრამ სასტუმროში უნდა მივბრუნდე დაუყოვნებლივ. კაი ხანია, არ მიმოგზაურია და ცოტა არ იყოს, დავიღალე.

- ჩაის ხომ არ მიირთმევთ, მისტერ პიკვიკ? - გულითადად შესთავაზა მოხუცმა მანდილოსანმა.

- უღრმეს მადლობას მოგახსენებთ, მაგრამ ვერ დავრჩები, - მიუგო მისტერ პიკვიკმა. ამჟამად ნამდვილი მიზეზი კი ის გახლდათ, რომ მოხუცი მანდილოსანი თანდათანობით გაუტკბა,

სულ შაქრად დაიღვარა და მისტერ პიკვიკი დაფრთხა. მისის ბერდლი გაახსენდა და თავით ფეხამდე ცივმა ოფლმა დაასხა. ისევ წასვლა არჩია.

რადგან მისტერ პიკვიკი არ დარჩა, შეთანხმდნენ, რომ მისტერ ბენ ალენი მისტერ პიკვიკთან ერთად უფროს უინკლთან გაემგზავრება მეორე დილას; ეტლი დილის ცხრა საათზე მოაკითხავდათ. მისტერ პიკვიკი ყველას დაემშვიდობა და სემუელ უელერთან ერთად სასტუმრო „ჯაგნარში“ წავიდა. უნდა მოგახსენოთ, რომ მისტერ მარტინს სახე საცოდავად მოეღრიცა, როდესაც სემს ხელი ჩამოართვა; თავაზიან ღიმილთან ერთად უნებლიეთ გინება დასცდა. ამ ნიშნების მიხედვით, იმათ, ვინც კარგად იცოდა მარტინის უცნაური ხასიათი, უმალვე დაასკვნეს, რომ ეტყობა, მას სემი თვალში მოუვიდა და ამიერიდან შეეცდება, დაუმეგობრდეს კიდეცო.

- ცალკე ოთახი დაგიქირავოთ, სერ? - შეეკითხა სემი თავის ბატონს, როდესაც სასტუმროში დაბრუნდნენ.

- არა, არ ღირს, სემ, - მიუგო მისტერ პიკვიკმა, - სადილი უკვე გეახელი სასადილოში და მალე დავიძინებ კიდეც. ერთი შეიხედეთ, სემ, სავაჭრო აგენტების დარბაზში თუა ვინმე.

მისტერ უელერი დაუყოვნებლივ გაემართა დავალების შესასრულებლად. მალე მობრუნდა და მოახსენა ბატონს, რომ იქ მხოლოდ ერთი ცალთვალა ჯენტლმენი ზის და სასტუმროს პატრონთან ერთად ბიშოპს მიირთმევსო.

- მეც მაგათთან მივალ, - თქვა მისტერ პიკვიკმა.

- უცნაური კაცი კია ეგ ცალთვალა, სერ, - განაცხადა მისტერ უელერმა და წინ გაუძღვა ბატონს, - იმდენი სისულელე ილაქლაქა, რომ სასტუმროს პატრონს ვერ გაუგია, რამე თუ უყრია თავში.

როდესაც მისტერ პიკვიკი დარბაზში შევიდა, მამაკაცი, რომელსაც სემის ზემოხსენებული შენიშვნა უშუალოდ ეხებოდა, ოთახის შორეულ კუნჭულში იჯდა, დიდ ჰოლანდიურ ჩიბუხს ეწეოდა, ერთადერთი ბრჭყვიალა თვალით მიშტერებოდა სასტუმროს პატრონს, პირმრგვალ მოხუცს, რომელიც გულღია და მხიარული კაცი ჩანდა. ეტყობოდა, ცალთვალა მოუყვა მოხუცს რაღაც საოცარ ამბავს, რადგან მისტერ პიკვიკს სასტუმროს პატრონის შეძახილები მოესმა: „არაფრით დავიჯერებდი! ასეთი რამ, აბა, ვის გაუგონია! ფიქრადაც არ მომივიდოდა, რომ ეს შესაძლებელია!“

- მზად ვარ გემსახუროთ, სერ, - მიმართა ცალთვალამ მისტერ პიკვიკს, - საუცხოო საღამოა, სერ.

- დიახ, ჩინებული საღამოა, - მიუგო მისტერ პიკვიკმა, როდესაც მსახურმა ბრენდით სავსე ხელადა და ცხელი წყალი შემოუტანა.

ვიდრე მისტერ პიკვიკი ბრენდის წყალს ურევდა, ცალთვალა დაჟინებით აკვირდებოდა მას. ბოლოს თქვა:

- მგონი, სადღაც მინახავხართ, სერ.

- არა მგონია, - მიუგო მისტერ პიკვიკმა.

- რა თქმა უნდა, თქვენ პირადად მე არ მიცნობთ, - თქვა ცალთვალამ, - სამაგიეროდ, მე თქვენს ორ მეგობარს ვიცნობ, რომელიც იტენსვილის სასტუმრო „ფარშავანგში“ ცხოვრობდნენ არჩევნების დროს.

- ნუთუ მართლა? - წამოიძახა მისტერ პიკვიკმა.

- დიახ, - კვერი დაუკრა ცალთვალამ, - ერთხელ ჩემი მეგობრის, ტომ სმარტის შესახებ ერთ ამბავს მოვყევი. თქვენც გიამბეს ამის შესახებ?

- ბევრჯერ მიამბეს, - ღიმილით მიუგო მისტერ პიკვიკმა, - ის კაცი, მგონი თქვენი ბიძა გახლდათ, არა?

- არა, ჩემი ბიძის მეგობარი იყო, - უპასუხა ცალთვალამ.

- უცნაური კაცი კი იყო ბიძათქვენი, - შენიშნა სასტუმროს პატრონმა და თავი გაიქნია.

- დიახ, დიახ, მართლაც, უცნაური გახლდათ, - დაეთანხმა ცალთვალა, - მაგ ბიძის შესახებ ერთი ამბავი ვიცი, რომელსაც, თუ გნებავთ, მოგიყვებით ახლა.

- მართლა? - წამოიძახა მისტერ პიკვიკმა, - გთხოვთ, გვიამბოთ.

ცალთვალა ვაჭრობის აგენტმა ნიგერით აივსო ჭიქა, თვალის დახამხამებაში გადახუხა, ჰოლანდიური ჩიბუხი გააბოლა და სემს გასძახა: არსად წახვიდე, თუ გინდა, შენც დაუგდე ყური, რადგან აქ საიდუმლო არაფერიაო. მერე ერთადერთი თვალი კვლავ სასტუმროს პატრონს მიაპყრო და მოჰყვა ამბავს, რომელსაც სიტყვასიტყვით შემდეგ თავში მოგახსენებთ.

თავი XLIX

რომელიც მოგვითხრობს ვაჭრობის აგენტის ბიძის თავგადასავალს

„ჩემი ბიძა, ბატონებო, - დაიწყო ვაჭრობის აგენტმა, - სიცოცხლით სავსე, მეტად სასიამოვნო, მახვილი გონების კაცი გახლდათ, ვწუხვარ, ბატონებო, რომ თქვენ არ იცნობდით მას. თუმცა არა, არ ვწუხვარ! თქვენ რომ მისი მეგობრები ყოფილიყავთ, ბუნების კანონის ძალით, დიდი ხანია საფლავს მიგაბარებდნენ, ან ცალი ფეხი მაინც გექნებოდათ სამარეში. ისხდებოდით სახლში და თვალითაც ვერავინ გნახავდათ და მაშინ არც მე მექნებოდა ბედნიერება, მესაუბრა თქვენთან ასე გულთბილად ამ მშვენიერ საღამოს... ვწუხვარ, რომ თქვენი დედები და მამები არ იცნობდნენ მას. მათ აღტაცებას საზღვარი არ ექნებოდა, განსაკუთრებით მოხიბლავდა იგი თქვენს პატივცემულ დედებს, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ. იმ ღირსებათა თაიგულიდან, რომელიც ამ კაცს გააჩნდა, თუ შეიძლება, გამოვარჩიოთ რომელიმე სხვაზე მეტად, მე შემდეგ ორზე შევჩერდები: ერთი გახლდათ ფუნჯის დამზადება, რისიც დიდი ოსტატი გახლდათ და მეორე სიმღერა. იგი შესანიშნავად მღეროდა ხოლმე ნავახშმევს. მაპატიეთ, ბატონებო, რომ სევდიანმა მოგონებებმა გამიტაცეს, მაგრამ უნდა მოგახსენოთ, განსვენებული ბიძაჩემი ჭეშმარიტად ისეთი კაცი გახლდათ, რომელსაც სააქაოში ხშირად როდი შეხვდება ადამიანი.

ბატონებო, ჩემი ბიძის დახასიათებისას, ვფიქრობ, არსებითი მნიშვნელობა აქვს ერთ გარემოებას, სახელდობრ იმას, რომ

იგი უახლოესი მეგობარი გახლდათ ტომ სმარტისა. ეს იყო აგენ-ტი ბილსონისა და სლამის, დიდი სავაჭრო ფირმისა, რომელიც კეიტეტონ-სტრიტზე მდებარეობს, სიტიში. ბიძაჩემი ტიგინსსა და ველპსთან მუშაობდა, მაგრამ კარგა ხანს იმავე გზებზე მგზავ-რობდა, სადაც ტომი დადიოდა. პირველსავე დღეს, როგორც კი გაიცნეს ერთმანეთი, ბიძაჩემს თვალში მოუვიდა ტომი, ტომს კი - ბიძაჩემი. ნახევარ საათსაც არ გაევლო, რომ სანაძლეო დადეს ახალ ქუდზე, ვინ უფრო კარგად დაამზადებდა ერთ კვარტ ფუნჯს და ვინ უფრო სწრაფად შესვამდა მას. ბიძაჩემს ფუნჯის დამზადე-ბაში ერგო პირველობა, ტომ სმარტმა კი სმაში აჯობა. ნახევარი ჩაის კოვზით გაასწრო. კიდევ თითო კვარტი დალიეს, ერთმანე-თი ადღეგრძელეს და მას აქეთ დიდად დამეგობრდნენ. მოგეხ-სენებათ, ბედს ვერსად გაექცევი, ბატონებო. შესახედავად ბიძა-ჩემი საშუალო სიმაღლის კაცზე ოდნავ დაბალი იყო, ცოტა უფ-რო სქელი, ვიდრე ადამიანთა ჯიშის რიგითი წარმომადგენელია და ოდნავ უფრო წითურიც. სახე, ბატონებო, ისეთი ჰქონდა, შე-ხედავდი თუ არა შეგიყვარდებოდა, ცოტა პანჩს წააგავდა. ოღონდ ნიკაპი და ცხვირი უფრო რიგიანი ჰქონდა. თვალებში მუდამ სიკეთე უკრთოდა, სახე მუდამ უღიმოდა. ღიმილი, ღიმი-ლი უნდა გენახათ მისი; ის კი არ იღმიჭებოდა, თითქოს პირი გა-ხევებული აქვსო, მხიარულად იღიმებოდა, სულითა და გულით. ერთხელ ორთვალიდან გადმოვარდა და თავით გზისპირა ბოძს მიეხეთქა. იქვე დაეცა დარეტიანებული; სახე ისე ჰქონდა დაკაწ-რული ბოძთან მიყრილი ხრეშით, როგორც თვითონ იტყოდა ხოლმე, მშობელი დედაც კი ვეღარ იცნობდა, საიქიოდან რომ დაბრუნებულიყო. ვფიქრობ, ბატონებო, მართლაც, ვერ იცნობ-და: ბიძაჩემი ორი წლისა და შვიდი თვის იყო, დედა რომ გარდა-ეცვალა. ადვილი შესაძლებელია, ის ხრეშიც რომ არ ყოფილი-ყო, ბიძაჩემის გადასაკეციანი ჩექმებიც გააოგნებდა მოხუც ქალ-

ბატონს, მით უფრო მისი წითური, ღაჟღაჟა სიფათი... ასე იყო თუ ისე, გზისპირა ბოძთან გადმოვარდა. როგორც შემდგომ არაერთხელ უთქვამს ბიძაჩემს, იმ კაცს მოუყოლია თურმე, რომელმაც გულშემოყრილი აიყვანა გზიდან, რომ მაშინაც ისე მხიარულად იღიმებოდა, თითქოს განგებ ჩამოვარდა, საკუთარი გულის გასახარებლად. სისხლი რომ გამოუშვეს და ოდნავ გონი დაუბრუნდა, უმალვე ლოგინში წამოჯდა და ხარხარი ატეხა; მერე ახალგაზრდა ქალი გადაკოცნა, რომელსაც ტაშტი ეკავა და ცხვრის კატლეტი მოითხოვა მჟავე კიტრით. მჟავეულის დიდი მოყვარული გახლდათ, ბატონებო, და იტყოდა ხოლმე, თუ ძმარი არ ურევია, მჟავესთან ლუდიც უფრო გემრიელიაო.

ყოველ შემოდგომით, იმ დროს, ხეებს როცა ფოთლები სცვივა, ბიძაჩემი შორს მგზავრობდა, ჩრდილოეთისაკენ დადიოდა. აგროვებდა ვალებსა და ახალ შეკვეთებს იღებდა. ლონდონიდან ედინბურგს მიდიოდა, ედინბურგიდან - გლაზგოს, გლაზგოდან კვლავ ედინბურგს, იქიდან კი მეთევზეთა გემით ლონდონს ბრუნდებოდა. ისიც უნდა მოგახსენოთ, რომ მეორედ ედინბურგში საქმეზე კი არა, ძველი მეგობრების სანახავად ჩამოივლიდა, ერთთან ისაუზმებდა, მეორესთან ცოტას წაიხემსებდა, მესამესთან ისადილებდა, მეოთხესთან ივახშმებდა. ასე იყო მთელი კვირა... გიჭამიათ თუ არა, ბატონებო, ოდესმე ნოყიერი შოტლანდიური საუზმე და დაგიყოლებიათ თუ არა ზედ ლოკოკინები, ათიოდე ბოთლი ელი და ერთი ჭიქა ვისკი? თუ გაგისინჯავთ ყოველივე ეს, დამეთანხმებით რომ კაცს ქვასავით მაგარი თავი უნდა ჰქონდეს, რომ ჯერ ამას გაუძლოს, მერე ისადილოს და შემდეგ ივახშმოს კიდეც.

ღმერთმა წყალობა ნუ მოგიშალოთ, ბატონებო, ბიძაჩემს ეგ არაფრად მიაჩნდა! ისე ყლაპავდა, თითქოს რძის ფაფას მიირთმევსო. ჩემთვის უთქვამს, რა დღეც უნდა ყოფილიყო, დანდის

მოსახლეებს უგონოდ დაათრობდა და სახლში ისე დაბრუნდებოდა, ფეხი არ შეეშლებოდა. უნდა იცოდეთ, ბატონებო, რომ მაგ დანდელებს ისეთი მაგარი თავები და ისეთი მაგარი ფუნჯი აქვთ, რომ მაგათზე მაგარს ვერსად ნახავთ, ორ პოლუსს შორის რომ ეძებოთ სანთლით. გამიგონია, ერთხელ თურმე გლაზგოს მცხოვრები და დანდელი შეეჯიბრნენ სმაში. თხუთმეტი საათის განმავლობაში ფეხი არ მოუცვლიათ, ისე სვამდნენ, მერე კი... ორივე ერთსა და იმავე წამს დაიხრჩო თურმე, თუმცა სხვა მხრივ, ბატონებო, ორივეს ყველაფერი რიგზე ჰქონდა.

ერთ საღამოს, ზუსტად ოცდაოთხი საათით ადრე, ვიდრე ლონდონს გაემგზავრებოდა გემით, ბიძაჩემი ერთ-ერთ ძველ მეგობართან ვახშმობდა, მაკ... - ვიღაცასთან (კიდევ ოთხი მარცვალია). ეგ კაცი ბეილი გახლდათ და ძველ ედინბურგში ცხოვრობდა. აქვე გახლდათ ბეილის ცოლი, სამი ქალიშვილი ბეილისა და უფროსი ვაჟიშვილი; მათ გარდა სამი თუ ოთხი ხნიერი შოტლანდიელი იყო, თმაგაჩეჩილი, ახმახი და ეშმაკი. ბეილის ოჯახმა ისინი საგანგებოდ მიიწვია, რომ ბიძაჩემისათვის პატივი ეცათ და დრო კარგად გაეტარებინათ. ვახშამი საუცხოო იყო: ორაგულის შაშხი, დაშაშხული ვირთევზა, ცხვრის თავი, ჰეგისი, რომელიც ცნობილი შოტლანდიური საჭმელი გახლავთ, ბატონებო! მაგის შესახებ ბიძაჩემს ბევრჯერ უთქვამს, სუფრაზე რომ მოიტანენ, ასე მგონია, კუპიდონის მუცელიაო. მოართვეს კიდევ ნაირ-ნაირი, ძალიან გემრიელი საჭმელები, თუმცა აღარ მახსოვს მათი სახელები. ქალიშვილები ეშხიანი და მოხდენილები იყვნენ, ბეილის ცოლი - ანგელოზივით კეთილი და სანდომიანი, ბიძაჩემიც ჩინებულ ხასიათზე გახლდათ. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მთელი საღამოს განმავლობაში ყმაწვილი ქალები კეკლუცად ხითხითებდნენ და წრიპინებდნენ, ხანში შესული მანდილოსანი გულიანად იცინოდა, ბეილი და მოხუცი კი ისე ხმამაღლა

ხარხარებდნენ, რომ ცხვირიან-ყურებიანად გაჭარხლდნენ. არ მაგონდება ახლა ზუსტად რამდენი ჭიქა ტოდი გამოცალა თითოეულმა ნავახშმევს, მაგრამ ის კი ვიცი, პირველი საათი იქნებოდა, ბეილის უფროსმა ვაჟმა სიმღერა რომ წამოიწყო: „ვილიმ ლუდი მოხარშა“. მალე გონება მანაც დაკარგა, რადგან მთელი ნახევარი საათის განმავლობაში წითელი ხის მაგიდასთან მხოლოდ იმ ვაჟისა და ბიძაჩემის თავებიღა მოჩანდა. ყველამ რომ დაიძინა, ბიძაჩემმაც იფიქრა, დროა, წავიდეო. სტუმარ-- მასპინძელი ადრიანად შეუდგნენ სმას, ჯერ შვიდიც არ იქნებოდა, რომ ბიძაჩემი დროზე მისულიყო სახლში. ბიძაჩემმა იფიქრა, ასე ერთბაშად რომ წავიდე, უთუოდ უზრდელობაში ჩამომართმევენო. ამიტომ თვითონვე აირჩია თავი თამადად, კიდევ ერთი ჭიქა ტოდი შეამზადა და წამოდგა, რომ საკუთარი თავი ედღეგრძელებინა. მართლაც, ბრწყინვალე, ქებით სავსე სიტყვა წარმოთქვა; სადღეგრძელოც დიდი აღფრთოვანებით შესვა; მაინც არავის გაეღვიძა. მაშინ მან კიდევ ერთი ჭიქა დალია, ოღონდ ამჯერად წყალი აღარ გაურევია, შეეშინდა, ვაითუ, მაწყინოსო; მერე ქუდს დასტაცა ხელი და ქუჩაში გამოვიდა.

ავდრიანი ღამე იყო. ბიძაჩემი ცას მიაჩერდა, უნდოდა გაეგო, რა ამინდი იყო მოსალოდნელი. ღრუბლები სწრაფად მიქროდნენ, ხან გადაეფარებოდნენ მთვარეს და ხან გაეცლებოდნენ, რომ ღამის მნათობს ვერცხლის შუქი დაეფრქვია დედამიწაზე; მერე ისევ თვალის დახამხამებაში შემოევლებოდნენ და გარემოც კვლავ ბნელეთში იძირებოდა. „არ გეკადრება, ჩემმა მზემ, - მიმართა ბიძაჩემმა ავდარს, თითქოს ავდრის საქციელმა პირადად შეურაცხყო იგი, - ასეთი ამინდი არაფრად გამომადგება მგზავრობაში“, - დინჯად შენიშნა ბიძაჩემმა. ცას იმდენ ხანს უყურა, რომ უეცრად თავბრუ დაესხა და კინაღამ წაიქცა. მაინც არ გაიტეხა იხტიბარი, მხიარულად განგრძო გზა.

ბეილის სახლი კენონგეიტში გახლდათ, ბიძაჩემი კი ლიტ-- უოკის ბოლოსაკენ გაემართა. მილზე მეტი ჰქონდა გასავლელი. გზის ორთავ მხარეს ცისკენ აზიდულიყო პირქუში სახლები, ჩაშავებული კედლებითა და ფანჯრებით, რომლებსაც, გეგონებოდათ, ჟამთა სრბოლაში ადამიანის თვალთა ხვედრი გაიზიარეს, ელვარება დაკარგეს და შუქი მოაკლდათო. სახლები ექვს, შვიდ და რვასართულიანი იყო. სართული სართულზე ამართულიყო ისე, როგორც ბავშვები აშენებენ ხოლმე ქაღალდის სახლებს. ისინი თალხ ჩრდილებს აჩენდნენ ქვაფენილზე და კიდევ უფრო ამუქებდნენ იქაურობას. აქა-იქ, ერთმანეთისაგან კარგა მანძილზე დაშორებული რამდენიმე ფანარი ენთო, მაგრამ ისინი მხოლოდ ვიწრო, ჭუჭყიან შესახვევებს, ჩიხებსა და მაღლა სართულებში ამავალ დაკლაკნილ საფეხურებს ანათებდნენ. ბიძაჩემი მიაბიჯებდა შუა ქუჩაში, თან გულგრილად იცქირებოდა აქეთ-იქით, როგორც ჩვეულებრივ იქცევა ადამიანი იმ შემთხვევაში, როდესაც მრავალჯერ უნახავს ყოველივე ეს და ახლა ყურადღების ღირსად არ მიაჩნია. მიდიოდა ამ უკუნეთში, ჟილეტის ჯიბეებში დიდი თითები გაეყარა და ისე ხალისიანად გაჰკიოდა სიმღერას, რომ ახალჩაძინებულ პატიოსან ბინადრებს შიშით ეღვიძებოდათ და ლოგინებში ცახცახებდნენ, ვიდრე მომღერლის ხმა შორით არ მიწყდებოდა. გულში ფიქრობდნენ, უთუოდ ვინმე მთვრალი ლაზღანდარაა და ალბათ შინ ბრუნდებაო. კვლავ თბილად გაეხვეოდნენ საბანში და ძილს მისცემდნენ თავს.

ბატონებო, უთუოდ შეამჩნევდით, როგორ დაწვრილებით აგიწერთ იმას, თუ როგორ მიდიოდა ბიძაჩემი, რანაირად ჰქონდა ჟილეტის ჯიბეებში გაყრილი თითები, რადგან, როგორც თვითონაც არაერთხელ უთქვამს (და ვფიქრობ, მართალსაც ბრძანებდა), მის თავგადასავალში გასაოცარი სხვა არაფერია, გარ-

და იმისა, რომ იმ საღამოს ბიძაჩემს არც ოცნების თავი ჰქონდა და არც რომანტიკულად იყო განწყობილი.

როგორც მოგახსენეთ, ბატონებო, ჟილეტის ჯიბეში გაყრილი თითებით მობრძანდებოდა ბიძაჩემი ქუჩის შუაგულში და თან მღეროდა. ხან სუფრულს შემოსძახებდა, ხან სატრფიალოს გააბამდა; როდესაც მოჰბეზრდებოდა ერთიცა და მეორეც, ლამაზ ჰანგს დაუსტვენდა. ასე მიდიოდა, ვიდრე ჩრდილოეთის ხიდთან არ მივიდა. ეს ხიდი ძველ ედინბურგს ახალთან აერთებს. ბიძაჩემი აქ წამით შეჩერდა და ორივე ნაპირზე ქალაქის ჩირაღდნებს შეაჩერდა. ეს ჩირაღდნები არათანაბარ გროვებად მაღლა, ვარსკვლავებივით ციმციმებდნენ ციხე-კოშკის კედლებზე კოლტონ-ჰილის სიმაღლიდან. ქვევით, ჩაბნელებულ ტაფობში ღრმა ძილს მისცემოდა მშვენიერი ქალაქი, ჰოლირუდის სასახლე და ეკლესია, რომელსაც, როგორც ამბობდა ბიძაჩემის ერთი მეგობარი კაცი, დღისითა და ღამით იცავს მოხუცი არტურის ტახტი, პირქუში და თალხი, ვით შუბლშეკრული გენია იმ უძველესი ქალაქის თავზე აზიდული, რომელსაც უხსოვარ დროიდან დარაჯობს... ვიმეორებ, ბატონებო, ბიძაჩემი აქ მხოლოდ წამით შეჩერდა და მიმოიხედა; მერე ამინდი შეაქო, რადგან ცამ დარისკენ იბრუნა პირი, თუმცა მთვარე უკვე ჩასულიყო. ბიძამ კვლავ განაგრძო სვლა მედიდური ნაბიჯით. ზედ შუა გზაზე მიდიოდა და ვინ იცის, იქნებ გულში უნდოდა კიდეც ისეთ კაცს გადაჰყროდა, რომელიც გზის პატრონობაში შეედავებოდა. მოხდა ისე, რომ ასეთი კაცი არ გამოჩნდა და ბიძაჩემიც, ჟილეტის ჯიბეებში თითებგაყრილი, მიდიოდა ისე წყნარად, თითქოს სააღდგომო ბატკანი ყოფილიყოს.

ლიტ-უოკის ბოლოს რომ ჩავიდა, უშენი მიდამოღა დარჩა გადასაჭრელი; იმის იქით ის პატარა ქუჩა იყო, რომელზედაც უნდა გაეხვია, რომ სახლამდე მისულიყო. იმ დროს ეს უშენი მიდამო

შემოღობილი გახლდათ და ერთ ბორბლების შემკეთებელ ხელოსანს ეკუთვნოდა. იმ ხელოსანს თურმე საფოსტო უწყებასთან დაუდევს ხელშეკრულება, რომ შეისყიდდა ძველ, დამტვრეულ საფოსტო ეტლებს; უნდა მოგახსენოთ, რომ ბიძაჩემი ეტლების დიდი მოყვარული გახლდათ, ძველისა და ახლისაც. ახლა, შეავლო თუ არა თვალი უშენს, უცებ მოეპრიანა, გზიდან გადაუხვია, რომ ღობის ჭუჭრუტანაში ამ ეტლებისათვის შეეხედა. მას ახსოვდა, რომ იქ თორმეტიოდე ეტლი უნდა ყოფილიყო, ძალიან ძველი და დანჯღრეული... ბატონებო, ბიძაჩემი მეტად მგრძნობიარე, მგზნებარე გულის კაცი გახლდათ. როდესაც დარწმუნდა, რომ ჭუჭრუტანაში ბევრს ვერაფერს დაინახავდა, ღობეზე გადაძვრა, ბორბლების შემაერთებელ ძველისძველ ღერძზე არხეინად წამოსკუპდა და ეტლებს შეავლო თვალი.

როგორც მოგახსენეთ, რიცხვით თორმეტიოდე იქნებოდა, ზუსტი რაოდენობა ბიძაჩემს, სამწუხაროდ, არ ახსოვდა, თუმცა რიცხვების დამახსოვრებაზე მეტად მარჯვე კაცი იყო. ასე იყო თუ ისე, ახლა თორმეტივე აქ გახლდათ ერთად შექუჩული, მიმტვრეულ-მომტვრეული და დანჯღრეული. კარი დიდი ხანია ჩამოეხსნათ და წაეღოთ. დასაჯდომებზე გადასაკრავები აეგლიჯათ, მხოლოდ აქა-იქ მოჩანდა მისი ნაფლეთები ჩაჟანგებული ლურსმნების გარშემო. არ იყო არც ფარნები, ხელნებიც კარგა ხანია გაეზიდათ, რკინის ნაწილები სულ ჩაჟანგებულიყო, საღებავი დასცვენოდა. ხის ჩონჩხების ჭურჭუტანებში ქარი ზუზუნებდა, სახურავებზე შეგროვილი წვიმა წვეთ-წვეთად ჩამოდიოდა და ძირს, ეტლის კედლებზე, სევდიანად ხმაურობდა. ეს გახლდათ მკვდარ ეტლთა დამპალი ჩონჩხები. ბნელ ღამეში, ამ უკაცურ ალაგას, ისინი ადამიანს ზარავდნენ, გულში სისხლს უყინავდნენ.

ბიძაჩემმა თავი ხელებში ჩარგო და დაფიქრდა. ფიქრობდა იმ გამრჯე, მოუსვენარ ადამიანებზე, რომლებიც ადრე ამ ეტლებით მგზავრობდნენ, ახლა კი უთუოდ ისევე მობერდნენ, როგორც მათი ეტლები; ფიქრობდა იმათზე, ვისთვისაც ამ დაჩაჩანაკებული ეტლებით, მრავალი წლის განმავლობაში, დარსა თუ ავდარში, ჩამოჰქონდათ კეთილი ამბავი, რომელსაც დიდი ხანია, მოუთმენლად ელოდნენ ისინი, ჩამოჰქონდა მათთვის ფული ან სასურველი ამანათი, ან უეცარი, თავზარდამცემი სტრიქონები ახლობლის ავადმყოფობისა ან სიკვდილის შესახებ. რა მოუთმენლად ეცემოდა კარს ყოველი შეყვარებული ვაჭარი, ვინმეს ცოლი ან ქვრივი, მოსწავლე, პატარა ბალღიც კი, ფოსტალიონის კაკუნი რომ შემოესმებოდათ! თითოეული როგორი გულისფანცქალით ელოდა ძველი ეტლის გამოჩენას! ახლა კი სად არიან ისინი, რას აკეთებენ?

ბატონებო, როგორც ბიძაჩემმა ბრძანა, ყოველივე ეს მაშინვე ვიფიქრეო, მაგრამ მე უფრო მგონია, რომ ამოიკითხა რომელიღაც წიგნში. მახსოვს, თვითონვე თქვა, ღერძზე რომ ჩამოვჯექი და ძველისძველ საფოსტო კარეტებს მივაჩერდი, ცოტა ჩავთვლიმე კიდეცო, როდესაც გამოეღვიძა, საყდრის ზარმა ყრუდ დარეკა ორჯერ. გამოტეხილად უნდა ვთქვა, რომ ბიძაჩემი აზრებს მძიმე-მძიმედ ალაგებდა და მაგდენი რომ ეფიქრა, ეჭვიც არ მეპარება, სამის ნახევრამდე მაინც მოუნდებოდა. ააი, რატომ დავასკვენი, ბატონებო, ღერძზე ჩამომჯდარს ფიქრის თავი აღარ ჰქონდა და იმწამსვე ჩაეძინა.

ასე იყო თუ ისე, საყდრის ზარმა ორჯერ დარეკა. ბიძაჩემს გაეღვიძა, თვალები მოიფშვნიტა და გაშეშდა, თვალს არ უჯერებდა!

როგორც კი საათმა ჩამორეკა, ამ უკაცურ, მიყრუებულ უბანზე ერთი აურზაური და ფაციფუცი ატყდა. ძველ ეტლებს კარები

კვლავ ეკიდა, დასაჯდომებზე კვლავ გაჩნდა გადასაკრავები, საღებავი ისევ პრიალებდა, რკინეულს ბრჭყვიალი გაჰქონდა, წინ ფარნები ენთო, კოფოზე ბალიშები და მოსასხამები ეწყო; მებარგულები პაკეტებს აწყობდნენ ყუთებში, კონდუქტორები იქვე ინახავდნენ საფოსტო ჩანთებს. მეჯინიბეები ახლად შეკეთებულ ბორბლებს რეცხავდნენ; ვიღაცები ფუსფუსებდნენ, ხელნას უდგამდნენ ეტლს. მოვიდნენ მგზავრები, ეტლის სახურავებზე დაამაგრეს ჩემოდნები, შეაბეს ცხენები; ერთი სიტყვით, აშკარა იყო, რომ სადაცაა, ყველა ეს ეტლი ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში გაემგზავრებოდა. ბბატონებო, ბიძაჩემმა გაოცებისაგან თვალები იმხელაზე გადმოკარკლა, რომ მერე სულ ის უკვირდა, კვლავ როგორღა მოვხუჭეო.

- მანდ რას აყუდებულხართ? - მოესმა უცებ ხმა და ბიძაჩემმა იგრძნო, რომ ვიღაცის ხელი შეეხო მხარზე, - თქვენთვის ერთი შიდა ადგილი მოვიტოვეთ. ჩაჯექი ჩქარა!

- ჩემთვის? - შესძახა ბიძაჩემმა და მიმოიხედა.

- დიახ, თქვენთვის.

ბატონებო, ამის გაგონებაზე ბიძაჩემი ისე განცვიფრდა, რომ ხმა ვეღარ ამოიღო. ყველაზე უცნაური ის იყო, რომ უშენზე ხალხი ბლომად დაგროვდა. თუმცა არ ჩანდა, როგორ ან საიდან გაჩნდნენ. გეგონებოდათ, პირდაპირ მიწიდან ამოდიოდნენ, ან ჰაერში ჩნდებოდნენ, ასევე სწრაფად და შეუმჩნევლად უჩინარდებოდნენ. მებარგული ბარგს ჩააწყობდა თუ არა კარეტაში და საფასურს მიიღებდა, მოტრიალდებოდა და სადღაც ქრებოდა. ის იყო, გაიფიქრებდა ბიძაჩემი, ნეტავ, სად წავიდაო, რომ მის ნაცვლად ექვსიოდე სხვა მებარგული გამოჩნდებოდა; თითოეული სამად მოკეცილი მოდიოდა, იმხელა ტვირთი მოჰქონდათ. მგზავრებს ხომ ნუღა იტყვით, საუცხოოდ იყვნენ გამოწყობილნი! გრძელი, ხალვათი უსაყელო კამზოლები ეცვათ, ფართო მანჟე-

ტებით. თავზე კი, ბატონებო, პარიკები ეხურათ, ნამდვილი, უშველებელი პარიკები, ბაფთით გაკრული ნაწნავებით. ბიძაჩემი კვლავ გაოგნებული შესჩერებოდა იქაურობას.

- გეღირსებათ ჩაჯდომა თუ არა? - შეეკითხა კვლავ მამაკაცი, რომელმაც პირველად მიმართა მას. იმ კაცს საფოსტო ეტლის კონდუქტორის სამოსი ეცვა, ფართომანჟეტებიანი კამზოლი, თავზე დიდი პარიკი ეხურა. ცალ ხელში ფარანი ეჭირა, მეორეში - ვეებერთელა ჯაზაირი, რომელიც, სავარაუდოდ, ყუთში უნდა ჩაედო.

- გეღირსებათ ჩაჯდომა თუ არა, ჯეკ მარტინ? - შეეკითხა კონდუქტორი და ფარანი შიგ სახეში მიანათა.

- ერიჰაა! - წამოიძახა ბიძაჩემმა და უნებლიეთ უკან დაიხია, - ეგ რა მიწოდეთ?

- ასე წერია მგზავრების სიაში, - მიუგო კონდუქტორმა.

- კი მაგრამ, განა იქ „მისტერ“ არ უწერია? - იკითხა ბიძაჩემმა.

ბატონებო, ბიძაჩემს მიაჩნდა, რომ დიდი თავხედობაა ვიღაც უცნობმა კონდუქტორმა უბრალოდ „ჯეკ მარტინი“ გიწოდოთ. თვით საფოსტო კანტორს რომ სცოდნოდა, არამც და არამც არ დაუშვებდა ამ შეცდომას.

- არ გახლავთ „მისტერ“, - ცივად მიუგო კონდუქტორმა.

- ბილეთის ფული გადახდილია? - დაინტერესდა ძია.

- რა თქმა უნდა, - მიუგო კონდუქტორმა.

- აი, თურმე რა ყოფილა! - შესძახა ბიძაჩემმა, - მაშ, წავიდეთ. რომელი ეტლია?

- აგერ ეს არის, - მიუგო კონდუქტორმა და ძველი მოდის ეტლზე მიუთითა წარწერით „ედინბურგი-ლონდონი“. ეტლის საფეხური ჩამოშვებული იყო, კარი - ღია.

- მოიცათ, მოიცათ! კიდევ არიან მგზავრები! გაატარეთ!

კონდუქტორს ჯერ სიტყვა არ დაემთავრებინა, რომ იქვე, ბიძაჩემთან გაჩნდა ვიღაც ყმაწვილი ჯენტლმენი, დაპუდრულპარიკიანი, გამოწყობილი ღია ცისფერ კამზოლში, რომელსაც ვერცხლისფერი სირმები და ტილოს სარჩულდადებული კალთები ჰქონდა. ტიგინი და უელპსი, ბატონებო, დაჩითული ქსოვილებითა და ჟილეტებით ვაჭრობდნენ და ბიძაჩემმაც, რაღა თქმა უნდა, უმალვე შეაფასა ახალმოსულის ტანსაცმელი. კამზოლის ქვევით მას მოკლე შარვალი, აბრეშუმის წინდებზე აკეცილი ფრიად უცნაური პაჭიჭები და ბალთებიანი ფეხსაცმელები ეცვა. მაქმანის მანჟეტები ეკეთა, თავზე სამკუთხა ქუდი ეხურა და გვერდზე გრძელი, ბოლოსაკენ წაწვეტებული დაშნა ეკიდა. ჟილეტი თეძოებზე გადმოსდიოდა, ჰალსტუხის ბოლოები კი წელამდე ეშვებოდა. იგი მედიდური იერით მიუახლოვდა კარეტას, ქუდი მოიხადა და თავის ზემოთ გაიჩერა, გაჭიმულ ხელზე კეკლუცად გამოწეული ნეკით, როგორც იცის ხოლმე პრანჭია ხალხმა, როდესაც პირთან ჩაით სავსე ფინჯანს მიიტანენ ხოლმე. ყმაწვილმა ქუსლი ქუსლს შემოჰკრა, მდაბლად დაუკრა თავი და მარცხენა ხელი გამოუწოდა. ბიძაჩემმა წინ გადადგა ნაბიჯი, რომ უცნობისათვის ჩამოერთმია ხელი, მაგრამ უეცრად შეამჩნია, რომ ყმაწვილი კაცი მას კი არ ესალმებოდა, არამედ ძველი მოდის, გრძელკორსაჟიან, მწვანე ხავერდის კაბაში გამოწყობილ ახალგაზრდა ლედის, რომელიც სწორედ იმწუთს მოადგა ეტლის საფეხურს. ქუდის ნაცვლად იმ ქალს, ბატონებო, შავი აბრეშუმის კაპიუშონი ეხურა. როდესაც ეტლში ჯდებოდა, წამით უკან მოიხედა. სწორედ მაშინ მოჰკრა თვალი ბიძაჩემმა, ასეთი ლამაზი სახე მას ნახატებზედაც არ ენახა. ლედი ეტლში რომ ჩაბრძანდა, ცალი ხელით კაბა დაიჭირა და ბიძაჩემს (აქ იგი მუდამ შეიკურთხებდა ხოლმე, როდესაც ამ ამბავს ჰყვებოდა) თავისი

თვალით რომ არ ენახა, არაფრით დაიჯერებდა, რომ ქვეყნად ასეთი კოხტა ფეხები შეიძლებოდა ჰქონოდა ქალს.

ბატონებო, როდესაც ბიძაჩემმა ქალის მშვენიერ სახეს მოჰკრა თვალი, შეამჩნია, რომ ქალმა მუდარით გადმოხედა მას, ეტყობა, იგი შეშინებული ან შეწუხებული იყო. ბიძაჩემს ისიც არ გამოეპარა, რომ ახალგაზრდა ჯენტლმენმა, მიუხედავად იმისა, რომ ძალიან კეთილშობილი გარეგნობა ჰქონდა და ზედმიწევნით თავაზიანი ჩანდა, მაგრად ჩაავლო ყმაწვილქალს ხელი და ისიც უმალვე ეტლში ჩაჯდა. მათთან ერთად მიემგზავრებოდა შესახედად მეტად უშნო მამაკაცი გადასლექილ, ყავისფერ პარიკსა და სოსანისფერ ტანსაცმელში გამოწყობილი, რომელსაც თეძოებამდე აზიდული ჩექმები ეცვა და გვერდზე მოუჯდა ყმაწვილ ქალს. ქალი შიშით კუთხეში მიიყუჟა, რათა რაც შეიძლება, შორს მჯდარიყო თავისი თანამგზავრისაგან. ბიძაჩემი უმალვე მიხვდა, რომ აქ რაღაც საშინელი საიდუმლება იმალებოდა ან, როგორც თვითონვე იტყოდა ხოლმე, რაღაც მოშლილიყო და რიგზე არ იყო. გასაკვირი მხოლოდ ის გახლავთ, ბატონებო, რომ მან უცებ გადაწყვიტა აუცილებლად დახმარებოდა ყმაწვილ ქალს, თუ გზაში რაიმე საფრთხეს გადაეყრებოდნენ.

- ელვა და სიკვდილი! - წამოიძახა ახალგაზრდა ჯენტლმენმა და დაშნაზე იტაცა ხელი, როდესაც ბიძაჩემი ეტლში ჩაჯდა.

- სისხლი და ქუხილი! - იღრიალა მეორე ჯენტლმენმა.

თქვა ეს თუ არა, მანაც დაშნა ამოაძრო და ბიძაჩემს ეცა. ბიძაჩემს იარაღი თან არ ჰქონდა, მაგრამ მაინც არ დაიბნა; უშნო ჯენტლმენს თვალის დახამხამებაში მოაძრო სამკუთხა ქუდი და მისსავე დაშნის წვერზე ჩამოაცვა, მერე თვით დაშნას ჩაებღაუჭა მაგრად.

- ზურგიდან გაურჭვეთ! - დაუყვირა უშნო ჯენტლმენმა თავის თანამგზავრს და რაც ძალი და ღონე შესწევდა, დაშნა გამოსწია, რომ მოწინააღმდეგისათვის წაერთმია.

- არ გირჩევდით! - ხმა გასცა ბიძაჩემმა და მრისხანედ ასწია ცალი ფეხი, - მაგას ტვინს ვანთხევინებ, ან თუ ტვინი არ გააჩნია, თავის ქალას ჩავუტეხ!

ბიძაჩემმა იმძლავრა, უშნო ჯენტლმენს ხელიდან გამოსტაცა დაშნა და კარეტის ფანჯრიდან ისროლა, რის შემდეგაც ახალგაზდა ჯენტლმენმა კვლავ წამოიძახა „ელვა და სიკვდილი“ და მრისხანედ ჩასჭიდა ხელი თავის დაშნის სახელურს, მაგრამ ქარქაშიდან არ ამოუღია. „უთუოდ იმიტომ, - იტყოდა ხოლმე ღიმილით ბიძაჩემი, - რომ ყმაწვილი ლედი არ შეშინებულიყო“.

- აბა, ბატონებო, - განაცხადა ბიძაჩემმა და ისე არხეინად ჩამოჯდა თავის სკამზე, ვითომც აქ არაფერიაო. - ამ მანდილოსნის წინ მე არავითარი სიკვდილი არ მინდა, არც ელვიანი და არც უელვო! რაც შეეხება სისხლსა და ქუხილს, ერთიცა და მეორეც საკმარისი იყო ამ მგზავრობისას. ამიტომ, თუ ინებებთ, ვისხდეთ ასე წყნარად, ჩვენს ადგილებზე, როგორც ეს მშვიდობიან მგზავრებს შეჰფერის... ეი, კონდუქტორო, ამ ჯენტლმენს დაშნა მიართვით!

როგორც კი ბიძაჩემმა ეს ბრძანა, ეტლის ფანჯარასთან გამოჩნდა კონდუქტორი დაშნით ხელში. მან ფარანი ასწია და დაშნა პატრონს გაუწოდა, თან გულდასმით ჩახედა ბიძაჩემს სახეში, ბიძაჩემმა კი უეცრად ფარნის შუქზე თვალი მოჰკრა ოციოდე კონდუქტორს, რომელთაც აქვე ფანჯარასთან მოეყარათ თავი. ყველანი მას შესცქეროდნენ დაჟინებით. თავის დღეში არ უნახავს მას ამდენი გადაფითრებული სახე, წითელი კამზოლი და ყურადღებით სავსე თვალები.

- ასეთი უცნაური რამ ჩემ დღეში არ მინახავს, - გაიფიქრა ბიძაჩემმა, - ნება მიბოძეთ, ქუდი დაგიბრუნოთ, სერ.

უშნო ჯენტლმენმა უბრად ჩამოართვა სამკუთხა ქუდი, ეჭვით ჩახედა ქუდის გახვრეტილ ცას და ბოლოს მედიდურად წამოიდო კინკრიხოზე, მაგრამ საუბედუროდ, აქვე ხმამაღლა დააცემინა ცხვირი და ქუდი კვლავ ძირს გადმოუვარდა.

- აბა, წავიდეთ! - დაიყვირა კონდუქტორმა, რომელსაც ფარანი ეჭირა ხელში და უკანა სკამზე აძვრა.

ეტლი დაიძრა. როდესაც ეზოდან გავიდნენ, ბიძაჩემმა შენიშნა, რომ დანარჩენი ეტლები მეეტლეებით, კონდუქტორებით, ცხენებითა და მგზავრებით იქვე უვლიდნენ წრეს საათში ხუთი მილის სიჩქარით. ბიძაჩემი ბრაზით კინაღამ დაიხრჩო, ბატონებო. მოგეხსენებათ, იგი საქმიანი კაცი გახლდათ და კარგად იცოდა, რომ წერილებითა და ამანათებით სავსე ტომრები ხუმრობა საქმე როდი იყო. მან გადაწყვიტა, როგორც კი ლონდონს ჩავიდოდა, ფოსტის უწყებისათვის შეეტყობინებინა ასეთი დაუდევრობისა და უყურადღებობის შესახებ.

ეს სხვათა შორის. ამწუთას კი მთელი ფიქრები დასტრიალებდა ყმაწვილ ლედის, რომელიც კარეტის შორეულ კუნჭულში მიყუჟულიყო. ქალს სახე არ მოუჩანდა, ზედ კაპიუშონი ჰქონდა ჩამოხურული. ღია ცისფერში გამოწყობილი ჯენტლმენი მის პირდაპირ იჯდა, სოსანისფერში გამოწყობილი კი - მის გვერდით. ორივე თვალს არ აშორებდა საბრალოს. ოდნავ შეირხეოდა თუ არა კაპიუშონი, უშნო კაცი მაშინვე დაშნას სტაცებდა ხელს, ხოლო მეორე ჯენტლმენი, რომლის სახეს ბიძაჩემი სიბნელეში ვერ არჩევდა, ბრაზით ქშენდა და ისე იჭაჭებოდა, თითქოს ქალის გადაყლაპვას ლამობსო. ამან უფრო გააღიზიანა ბიძაჩემი; გადაწყვიტა, რადაც არ უნდა დამიჯდეს, უნდა გავიგო, რაშია საქმეო. იგი მუდამ თაყვანსა სცემდა მშვენიერ თვალებს, ლამაზ სახეებს

და კოხტა ფეხებს, ერთი სიტყვით, ქალთა სქესის დიდი მოტრფიალე გახლდათ, გამოტეხილად გეტყვით და ეს სისუსტე მეცა მჭირს. გვარეულობით გადმომეცა, ბატონებო.

ათასნაირ ღონეს მიმართა ბიძაჩემმა, რომ მშვენიერი მანდილოსნის ყურადღება მიექცია, ან საუბარი გაემართა უცნობ ჯენტლმენებთან. მაგრამ ყოველივე ცდა ამაო იყო. ჯენტლმენებს არ სურდათ ლაპარაკი, ლედი კი, ეტყობა, ვერ ბედავდა. ბიძაჩემმა რამდენჯერმე გაყო თავი ფანჯარაში და ხმამაღლა შეეკითხა მეეტლეს: რა კუს ნაბიჯით მივდივართ? ხმა სულ ჩაეხრინწა, მაგრამ კაციშვილმა არ მიაქცია ყურადღება. მაშინ სკამის ზურგზე გადაწვა და ოცნებაში გაეხვია. ფიქრობდა მშვენიერ სახეებსა და კოხტა, მოხდენილ ფეხებზე. ახლა ჩინებულად აეწყო ყოველივე: წამები და წუთები ელვის სისწრაფით მიქროდნენ; აღარც იმას ეკითხებოდა თავს, თუ სად მიდიოდა, ან რად მიდიოდა, ანდა აქ როგორ მოხვდა, ასეთ უცნაურ მდგომარეობაში. თუმც ეს მართალი გითხრათ, არც აწუხებდა. იგი ჭეშმარიტად დიდბუნებოვანი კაცი გახლდათ, უყვარდა უდარდელი ცხოვრება, ხეტიალი, დროს ტარება. დიახ, ასეთი გახლდათ ბიძაჩემი, ბატონებო.

უეცრად ეტლი გაჩერდა.

- ჰელოუ! - წამოიძახა ბიძაჩემმა, - რა მოხდა, რა ამბავია?

- აქ უნდა გადმოხვიდეთ, - მიმართა მას კონდუქტორმა და ეტლის საფეხური დაუშვა.

- აქ? - წამოიძახა ბიძაჩემმა.

- დიახ, - კვერი დაუკრა კონდუქტორმა.

- სულაც არ ვაპირებ ჩამოსვლას, - მტკიცედ განაცხადა ბიძამ.

- გნებავთ, დარჩით, - მიუგო კონდუქტორმა.

- ოღონდაც, რომ დავრჩები, - განაცხადა ბიძაჩემმა.

- თქვენი ნებაა, - მიუგო კონდუქტორმა.

დანარჩენი მგზავრები გულდასმით უგდებდნენ ყურს მათ საუბარს. როდესაც დარწმუნდნენ, რომ ბიძაჩემი არ აპირებდა ჩასვლას, ყმაწვილმა ჯენტლმენმა კარისაკენ გაიწია. ალბათ, უნდოდა მანდილოსანი გადმოესვა ეტლიდან. უშნო ჯენტლმენი ამ დროს თავისი სამკუთხა ქუდის გახვრეტილ ცას ათვალიერებდა. როდესაც ლედიმ ბიძას ჩაუარა, ხელზე ხელთათმანი დაუგდო. შემდეგ სწრაფად დაიხარა მისკენ ისე ახლოს, რომ ბიძაჩემმა ზედ ცხვირთან იგრძნო ქალის მხურვალე სუნთქვა და მხოლოდ ერთი სიტყვა წასჩურჩულა: „მიშველეთ“... რაღა თქმა უნდა, ბატონებო, ბიძაჩემმაც იმწამსვე ისე მაგრად ისკუპა, ეტლი შექანდა.

- მაშ, გადაიფიქრეთ?! - შეეკითხა კონდუქტორი, როდესაც თვალი მოჰკრა ბიძაჩემს.

რამდენიმე წამის განმავლობაში ბიძაჩემი კონდუქტორს მისჩერებოდა; თან სულ ის უტრიალებდა თავში, მგონი ურიგო არ იქნება, მას მუშკეტი რომ წავართვა და დაშნიან კაცს ვესროლო, მეორეს კი კონდახით გავუმასპინძლდე, დავტაცო ქალს ხელი და აქედან მოვუსვაო. ეს გეგმა ჭკუაში არ დაუჯდა, მეტისმეტად მელოდრამატულად მოეჩვენა. ისევ ფეხდაფეხ მიჰყვა ორ უცნობ ჯენტლმენს. ისინი შევიდნენ ძველისძველ სახლში, რომლის წინ გაჩერდა კარეტა და გრძელ დერეფანში გადაუხვიეს. ბიძაჩემი მიჰყვა მათ.

ასეთი დანგრეული, პირქუში შენობა ბიძაჩემს თავის დღეში არ ენახა. ეტყობა აქ ოდესღაც დიდი სასტუმრო ყოფილა. ახლა სახურავი აქა-იქ ჩანგრეულიყო, კიბეები გაცვეთილიყო.

ოთახში, სადაც ისინი შევიდნენ, დიდი, კვამლით ჩაშავებული ბუხარი იყო, მაგრამ შიგ ცეცხლი არ ენთო. დამწვარი შეშის ფერფლი თეთრ ფიფქებად მოჰფენოდა ფსკერს, ბუხარი კი ცივი

იყო. ასევე ცივი, პირქუში და უსიცოცხლო იყო გარშემო ყველაფერი.

- ჩინებულია! - შენიშნა ბიძაჩემმა და აქეთ-იქით მიიხედ--მოიხედა, - საფოსტო ეტლი მიდის ექვს-ნახევარი მილის სიჩქარით საათში და უეცრად გაჩერდება, ეშმაკმა უწყის რამდენი ხნით, ასეთ მიყრუებულ ალაგას. არც ესაა სწორი. ამის შესახებაც მოვახსენებ, სადაც ჯერ არს. გაზეთში დავწერ!

ბიძაჩემი საკმაოდ ხმამაღლა ლაპარაკობდა, უნდოდა, ორი უცნობი ჯენტლმენიც ჩაეთრია საუბარში. არც ერთი მათგანი ყურადღებას არ აქცევდა დაუპატიჟებელ სტუმარს; სულ ერთმანეთს ეჩურჩულებოდნენ რაღაცას და დროდადრო უცნობს გადმოხედავდნენ კოპებშეკრულნი. ყმაწვილი ქალი ოთახის მეორე ბოლოს იყო. ერთხელ გაბედა და ხელით ანიშნა ბიძაჩემს, მიშველეო.

ბოლოს, ორივე ჯენტლმენი ბიძაჩემთან მივიდა და მათ შორის მეტად სერიოზული საუბარი გაიმართა.

- მეგობარო, უთუოდ თქვენ არ იცოდით, რომ ეს ოთახი სპეციალური დაკვეთითაა და ამჟამად დაკავებულია, - თქვა ღია ცისფერში გამოწყობილმა ჯენტლმენმა.

- დიახ, არ ვიცოდი, სერ, მიუგო ბიძაჩემმა, - მაგრამ, თუ სპეციალური დაკვეთით დაქირავებული ოთახი ასეთი გახლავთ, წარმომიდგენია, საერთო დარბაზი რაღა იქნება!

ეს თქვა და ბიძაჩემი მაღალზურგიან სკამზე ჩამოჯდა. მან თვალით ისე აზომა მოწინააღმდეგე, რომ ამ ზომის მიხედვით ტიგინსა და უელპს შეეძლოთ საკოსტიუმე ქსოვილი გადაეჭრათ და ერთი გოჯითაც არ შეცდებოდნენ.

- გასწით აქედან! - ერთად დასძახეს უცნობებმა და დაშნებზე იკრეს ხელი.

- როგორ ბრძანეთ? - მიამიტად შეეკითხა ბიძაჩემი, თითქოს ვერ მიხვდა მუქარას.

- ვიდრე ცოცხალი ხართ, აქედან გაგვეცალეთ! - დაუყვირა უშნო ჯენტლმენმა, სწრაფად ამოაძრო დაშნა ქარქაშიდან და ჰაერი გაკვეთა.

- სიკვდილი! - წამოიძახა ღია ცისფერში გამოწყობილმა ჯენტლმენმა. მანაც იძრო დაშნა და ორი ნაბიჯით უკან დაიხია, - სიკვდილი!

ლედიმ იკივლა.

ბიძაჩემი მამაცი ვაჟკაცი გახლდათ, უშიშარი და უდრეკი. ჯერ კიდევ ოთახში შესვლისთანავე, ვითომც გულგრილად მოავლო თვალი ავეჯს, იქნებ რაიმე ნივთი იარაღად გამომადგესო და სწორედ იმწუთს, როდესაც მოწინააღმდეგეებმა დაშნები იშიშვლეს, თვალში მოხვდა ბუხრის კუთხეში აყუდებული, ძველისძველი, ჩაჟანგებულ ქარქაშში ჩამჯდარი რაპირა. ბიძაჩემმა ერთი ისკუპა, თვალის დახამხამებაში ამოაძრო იგი ბუდიდან და მედგრად აიქნია მაღლა, თანაც ყმაწვილ ლედის გასძახა, იქით გაბრძანდითო. მერე თავისუფალი ხელით ღიაცისფერსამოსიანს სკამი ესროლა, ხოლო სოსანისფრიანს - ქარქაში; ორთავე დააბნია, დაარეტიანა და შემდეგ შეუტია.

ბატონებო, ერთ ძველისძველ ანეკდოტში, რომელიც არც ურიგოა და თან მართალსაც ჰგავს, ნათქვამია, რომ ერთ ახალგაზრდა ირლანდიელს ჰკითხეს, ვიოლინოზე თუ დაუკრავო. იმანაც უპასუხა: ეჭვიც არ მეპარება, თუმცა დანამდვილებით ვერ გეტყვით, რადგან არასოდეს მისინჯავსო. იგივე შეიძლება ითქვას ბიძაჩემისა და მისი ფარიკაობის შესახებ. იმ დღემდე მხოლოდ ერთხელ სჭერია ხელში რაპირა, როდესაც მოყვარულთა წარმოდგენაში რიჩარდ მესამეს თამაშობდა; მაშინ წინასწარ შეუთანხმდა რიჩმონდს, რომ ის არ გაუძალიანდებოდა და სა-

შუალებას მისცემდა მას, რიჩარდს, ზურგში გაეყარა დაშნა; ახლა კი, ბატონებო, ნამდვილად შეებრძოლა, თანაც ორ გამოცდილ მოფარიკავეს. ურტყამდა, ჩხვლეტდა და ჭრიდა მარჯვედ და გაბედულად, თუმცა მანამდე წარმოდგენაც არ ჰქონდა ამ ხელოვნების შესახებ... მე მგონი, ბატონებო, ეს გარემოება კიდევ ერთხელ ამტკიცებს ძველისძველი ჭეშმარიტების სიმართლეს: კაცი ნუ იტყვის, რა შემიძლია და რა არა, ვიდრე საქმეში არ გამოსცდის თავსო.

ბრძოლის დროს დიდი ხმაური ატყდა: სამივე მეომარი ერთმანეთს ლანძღავდა და აგინებდა, დაშნებს კი ერთმანეთს რომ ეკვეთებოდა, ისეთი ჭახაჭუხი გაჰქონდათ, გეგონებოდათ, ნიუპორტის ბაზრის ყველა დანა და სხვა იარაღი ეკვეთა ერთმანეთსო. როდესაც ბრძოლა გახურდა, ყმაწვილმა ქალმა, უთუოდ იმ მიზნით, რომ ბიძაჩემი შთაეგონებინა და გაემხნევებინა, კაპიუშონი გადაიძრო. გამოჩნდა ისეთი მომხიბლავი და წარმტაცი სახე, რომ ბიძაჩემი მზად იყო მისი ერთი ღიმილისათვის თუნდაც ორმოცდათ მოწინააღმდეგეს გამკლავებოდა. იგი მანამდეც გმირულად იბრძოდა, ახლა კი გააფთრდა და ვეფხვივით ეძგერა მეტოქეებს.

სწორედ ამწუთს ცისფერში გამოწყობილი ჯენტლმენი მობრუნდა, თვალი მოჰკრა ლედის სახეს და იყვირა. ბრაზმა და ეჭვმა კინაღამ დაახრჩო, გააფთრებულმა დაშნა ქალს მშვენიერ მკერდში დაუმიზნა. აქ ბიძაჩემმა ისე გულგანგმირავად დაიკივლა, რომ მთელი შენობა აზანზარდა. ლედი არ დაიბნა, მარჯვედ გადახტა განზე და ვიდრე ყმაწვილი კაცი წონასწორობას დაიბრუნებდა, ქალის მოულოდნელი ნახტომისაგან რომ დაკარგა, მანდილოსანმა თვალის დახამხამებაში გამოსტაცა მას დაშნა, ვაჟი კედლისაკენ მიაგდო, დაშნა შიგ გულში გაუყარა და მწერივით მიაკრა კედელს.

ეს ჯერ არნახული გმირობა იყო! ბიძაჩემმაც სიხარულის ყიჟინა დასცა, გაათკეცებული ძალით შეუტია მოწინააღმდეგეს, კედლისაკენ დაახევინა, რაპირა ჟილეტის შუაგულში ამოქარგულ დიდ წითელ ყვავილში გაუყარა და პირველი ჯენტლმენის გვერდით კედელს მიაკრა. ასე იდგნენ ორთავენი, ბატონებო გამწარებული იქნევდნენ ხელებსა და ფეხებს იმ სათამაშო ჯამბაზებივით, რომელთაც კანაფზე გამოსწევ და აათამაშებ. მერე, დრო რომ გავიდა, იტყოდა ხოლმე ბიძაჩემი, მტერი თუ გყავს, ეს უებარი ხერხია მის მოსაშორებლადო. მხოლოდ ერთი ნაკლი თუ აქვს ამ ხერხს, ხარჯია ბევრი, რადგან თითო დაცემულ მოწინააღმდეგეზე თითო დაშნას კარგავს კაციო.

- ეტლი, ეტლი! - წამოიძახა ლედიმ, მიირბინა ბიძაჩემთან და ყელზე შემოხვია თლილი მკლავები, - ჯერ კიდევ დროა, რომ თავს ვუშველოთ!

- თავს ვუშველოთ? - გაიმეორა ბიძაჩემმა, - ჩემო ძვირფასო, მოსაკლავი ხომ აღარავინ დარჩა!

მართალი გითხრათ, ბიძაჩემს ცოტა არ იყოს, ეწყინა კიდეც. ამდენი ბრძოლის შემდეგ ნაზი ალერსი და სიყვარული ურიგო არ იქნებოდა, თუნდაც ერთფეროვნების თავიდან ასაცილებლად.

- აქ ერთ წამსაც ვეღარ დავრჩებით, - თქვა ყმაწვილმა ქალმა, - აი ეგ (მან ცისფერში გამოწყობილ ჯენტლმენზე მიუთითა) ერთადერთი ვაჟია ძლიერი და გავლენიანი მარკიზ ფილტუვილისა.

- თუ ასეა, ჩემო ძვირფასო, ვეჭვობ, რომ მამის ტიტული მემკვიდრეობით მას დარჩეს, - შენიშნა ბიძაჩემმა და გულგრილად გადახედა ახალგაზრდა ჯენტლმენს, რომელიც როგორც უკვე მოგახსენეთ, ხოჭოსავით იყო გაკრული კედელზე, - გვარის გამგრძელებელი თქვენვე მოუსპეთ, ჩემო კარგო.

- მაგ არამზადებმა ძალით გამიტაცეს, მშობლებსა და მეგობრებს მომაშორეს, - წარმოთქვა ყმაწვილმა ქალმა და წყრომით სახე აეფაკლა, - ერთი საათის შემდეგ არცა მკითხავდა, ძალით შემირთავდა.

- რა თავხედი ყოფილა! - წამოიძახა ბიძაჩემმა და ზიზღით გადახედა ფილტუვილის მომაკვდავ მემკვიდრეს.

- უთუოდ მიხვდებოდით, - განაგრძო ყმაწვილმა ქალმა, - რომ ორივემ პირი შეკრა. იმწამსვე გამაქრობდნენ, თუ გავბედავდი და ვინმეს დახმარებას შევთხოვდი. მათმა დამქაშებმა აქ რომ გვნახონ, დაგვხოცავენ! ვინ იცის, კიდევ ორი წუთიც და გვიანაც იქნება. ჩქარა, ეტლი!

ჩადენილი გმირობისა და ღელვისგან საბრალოს უეცრად ძალა გამოელია და გულშემოყრილი ბიძაჩემის მკლავებზე მიესვენა. მანაც ხელში აიტაცა ქალი და კარისაკენ გაემართა. გარეკართან ეტლი იდგა, რომელშიაც ყორანივით შავი ცხენები ება, გრძელი ფაფრებითა და კუდებით, მაგრამ არც მეეტლე ჩანდა, არც კონდუქტორი და არც მეჯინიბე. ბატონებო, იმედია, ამით არ შეურაცხვყოფ ბიძაჩემის ხსოვნას, თუ მოგახსენებთ, რომ ცოლი არასოდეს ჰყოლია, მაგრამ ქალს უწინაც მოხვევია და მიალერსებია. დარწმუნებული ვარ, რომ მიჩვეული იყო, ყავახანის მსახური ქალებს გადაკოცნიდა ხოლმე და ერთი-ორჯერ, როგორც ნდობით აღჭურვილმა მოწმეებმა ბრძანეს, ყველას თანდასწრებით ყავახანის დიასახლისსაც გადაეხვია. მე ამას იმიტომ მოგახსენებთ, რომ მიგახვედროთ, რა საოცარი ქმნილება უნდა ყოფილიყო ეს ყმაწვილი ლედი, ასეთი წარუშლელი შთაბეჭდილება რომ მოახდინა ბიძაჩემზე. ამბობდა ხოლმე, რომ მთელ სხეულში უცნაურმა ჟრუანტელმა დაუარა და მუხლები აუკანკალდა, როდესაც ქალის გრძელი გიშრის თმა მკლავზე გადაეფინა. როცა გონს მოვიდა, მაყვალივით შავი თვალები მიაპ-

ყრო მხსნელს. ააბა, ვის ძალუძს ჯადოსნურ თვალებს უმზიროს და არ აღელდეს? პირადად მე, არ შემიძლია, ბატონებო, მე ვიცნობ ასეთ მომხიბლავ თვალებს და შიგ ჩახედვა მეშინია, ბატონებო!

- ხომ არასოდეს დამტოვებთ? - წასჩურჩულა ყმაწვილმა ლედიმ.

- არასოდეს! - მიუგო ბიძაჩემმა. ამას გულწრფელად ამბობდა, რა თქმა უნდა.

- ჩემო მშვენიერო რაინდო! - წამოიძახა ყმაწვილმა ქალმა, - ჩემო კეთილო, მამაცო რაინდო!

- ნუ ამბობთ მაგას! - გააწყვეტინა ბიძაჩემმა.

- რატომ? - შეეკითხა ყმაწვილი ქალი.

- იმიტომ, რომ თქვენ ისეთი ლამაზი ტუჩები გაქვთ, მით უფრო, მაგას როდესაც ამბობთ - მიუგო ბიძაჩემმა, - რომ... გავბედავ და გაკოცებთ!

ყმაწვილმა ქალმა ხელი ასწია, თითქოს აფრთხილებდა, ჭკვიანად იყავითო და თქვა... არა, არაფერი უთქვამს, მხოლოდ გაიღიმა. წარმოიდგინეთ ახლა, თქვენ წინ მშვენიერი ბაგეები სულ ახლოს, ეშმაკურად მოღიმარი, თანაც არავინ გიყურებს... მგონი, მხოლოდ ერთი საშუალება არსებობს, დაუმტკიცოთ მათ პატრონს თქვენი აღტაცება და იმწამსვე ჩაკოცნოთ მაგრად. ასეც მოიქცა ბიძაჩემი და ჭეშმარიტად, პატივსა ვცემ მას ამ საქციელისათვის.

- გესმით? - შეფრთხიალდა ყმაწვილი ქალი, - ბორბლების ხმა და ცხენების ფეხის ფრატუნი მესმის!

- მართალი ბრძანდებით, - დაეთანხმა ბიძაჩემი, როდესაც თვითონაც მიუგდო ყური. იგი მუდამ კარგად არჩევდა ბორბლებისა და ცხენების ნალების ხმას, მაგრამ ახლა, ეტყობა, იმდენი ეტლები და ცხენები უახლოვდებოდა შენობას, რომ ვერაფრით

მიმხვდარიყო მათ რიცხვს. ხმაურის მიხედვით გზაზე ორმოცდაათი ეტლი უნდა ყოფილიყო, თითოეულში ექვს-ექვსი საუცხოო ბედაურით.

- ეს ჩვენ მოგვდევენ! - წამოიძახა ყმაწვილმა ქალმა და გამწარებულმა ხელები მაღლა აღაპყრო, - ნამდვილად, ჩვენ მოგვდევენ! მე მხოლოდ თქვენი იმედიღა მაქვს!

ქალის მშვენიერი სახე ისევ შიშმა დაღარა და ბიძაჩემმა იმწამსვე მიიღო გადაწყვეტილება. ლედი ეტლში შესვა, სთხოვა, ნურაფრის გეშინიათო, კიდევ ერთხელ ჩაკოცნა ტუჩებში, ურჩია ფანჯარა დაეხურა, რადგან ციოდა და თვითონ კოფოზე დაჯდა.

- მოიცათ, ჩემო კარგო! - წამოიძახა ყმაწვილმა ლედიმ.

- რა მოხდა? - შეეკითხა კოფოდან ბიძაჩემი.

- რაღაც უნდა გითხრათ, - სთხოვა ყმაწვილმა ლედიმ, - მხოლოდ ერთი სიტყვა, მხოლოდ ერთი, ჩემო ძვირფასო.

- ჩამოვიდე? - შეეკითხა ბიძაჩემი.

ყმაწვილმა ქალმა არაფერი უპასუხა, მხოლოდ გაიღიმა. ო, როგორ გაიღიმა, ბატონებო! ამ ღიმილთან შედარებით პირველი რა მოსატანია. ბიძაჩემი უმალვე გადმოხტა თავისი ქანდარიდან.

- რა მოხდა, ჩემო ცუგრუმელავ? - შეეკითხა იგი და ფანჯარაში შეიხედა.

მოხდა ისე, რომ სწორედ ამწუთს მშვენიერი ასულიც ფანჯრისაკენ გადმოიხარა და ბიძაჩემი აცახცახდა - ქალი კიდევ უფრო მომხიბლავი ეჩვენა. ბატონებო, ორთავე ისე ახლოს იყვნენ ერთმანეთთან, რომ ბიძაჩემი არ შეცდებოდა იმაში, რაც გაიგონა.

- რა მოხდა, ჩემო ცუგრუმელავ? - შეეკითხა კვლავ ბიძაჩემი.

- ჩემ გარდა, სხვა ხომ არავინ გყვარებიათ? არც არავის შეიყვარებთ და არც არავის შეირთავთ? - შეეკითხა ყმაწვილი ქალი.

ბიძაჩემმა შეჰფიცა, სხვას არასოდეს შევირთავო. მაშინ ყმაწვილმა ქალმა ფანჯრის მინა ასწია და სკამის ბალიშებზე მოიკალათა. ბიძაჩემი კვლავ კოფოზე შეხტა, სადავეს მოჰკიდა ხელი, აიღო მათრახი, რომელიც იქვე ეტლის სახურავზე იდო, მთავარ ბედაურს გადაუჭირა და ცხენებიც, გრძელფაფრიანები, გრძელკუდიანები, გასხლტდნენ, გაქანდნენ საათში თხუთმეტი მილის სისწრაფით. უნდა გენახათ, როგორ მიქროდნენ!

თანდათანობით მათ უკან ხმაური და გრუხუნი უფრო გაძლიერდა. რაც უფრო სწრაფად მიქროდა ძველი ეტლი, მით უფრო სწრაფად მოსდევდნენ მდევრები. დევნაში მონაწილეობას იღებდნენ ადამიანები, ცხენები, ძაღლები! ყურთასმენის წამღები გუგუნი იდგა და ამ გუგუნში ზარივით წკრიალებდა მშვენიერი ასულის ხმა: „ჩქარა, ჩქარა“.

მიქროდნენ ღამისფრად მოსილი ხეების გასწვრივ, თითქოს მიწას ფეხს არ აკარებდნენ, მიფრინავდნენ ბუმბულივით, რომელსაც გრიგალი ერეკება. ჩაუარეს სახლებს, ჭიშკრებს, საყდრებს, თივის მაღალ ზვინებს ისეთი სისწრაფითა და ხმაურით, როგორც მთიდან გადმოხეთქილმა ნიაღვარმა იცის ხოლმე. მდევართა გუგუნი უფრო და უფრო ახლოს ისმოდა. ბიძაჩემს კვლავ ყურში ჩასწვდა ყმაწვილი ქალის გამწარებული კივილი: „ჩქარა, ჩქარა!“

ისიც მათრახს არ იშურებდა. მიქროდნენ ქაფმორეული ცხენები, მაგრამ ახლა უფრო ახლოს ისმოდა მდევართა ხმაური და ქალის კივილი: „ჩქარა, ჩქარა!“ სწორედ ამ მძიმე წუთს იყო, რომ ჩვენმა მეეტლემ, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, კოფოს ქვეშ შედგმულ ყუთს წიხლი ჰკრა და... მქრქალმა დილის შუქმა შეანათა თვალებში. ააი, იგი კვლავ ბორბლების ხელოსნის ეზოში ზის, ედინბურგის საფოსტო ეტლის კოფოზე, ნესტისა და სიცივისაგან ცახცახებს და ფეხებს აბაკუნებს, რომ გათბეს.

ბიძაჩემი კოფოდან ჩამოძვრა და იმწამსვე შეიხედა ეტლში, მშვენიერ ლედის ეძებდა, მაგრამ სადღა იყო ტურფა ასული. ამ ეტლს არც კარი ჰქონდა, არც ფანჯარა, არც დასაჯდომი, მხოლოდ ჩონჩხი იდგა შიშველ-ტიტველი.

რა თქმა უნდა, ბიძაჩემმა კარგად იცოდა, რომ აქ რაღაც საიდუმლოება იმალებოდა და სჯეროდა კიდეც, რომ ყოველივე სწორედ ისე მოხდა, როგორც წეღან მოგიყევით, ამიტომ მთელი თავისი სიცოცხლის განმავლობაში ის ფიცი არ დაურღვევია, რომელიც ტურფა ასულს მისცა. იმის გულისათვის თქვა უარი რამდენიმე ყავახანის ლამაზსა და მდიდარ დიასახლისზე და სამუდამოდ დარჩა უცოლოდ. მუდამ იგონებდა ხოლმე, რა უცნაურმა ძალამ დასძლია იგი, ღობეზე გადამძვრალიყო და თავისი თვალით ენახა ძველი საფოსტო ეტლების, ცხენების, კონდუქტორების, მეეტლებისა და მგზავრების სულები, რომლებიც ყოველღამ მოგზაურობენ ძველებურად. ბიძაჩემი იქვე დასძენდა ხოლმე, რომ თვითონ იყო ერთადერთი ცოცხალი არსება, რომელსაც ოდესმე მიუღია მონაწილეობა ასეთ მგზავრობაში. მგონი, ბატონებო, მართალიც იყო. ყოველ შემთხვევაში, პირადად მე, სხვა არავისზე გამიგია ასეთი რამ“.

- ნეტავ იმ ჩანთებში რა დააქვთ იმ ეტლების მოჩვენებებს? - შეეკითხა ყავახანის პატრონი, რომელიც თავიდან ბოლომდე ყურადღებით უსმენდა ცალთვალა ჯენტლმენს.

- რა თქმა უნდა, მკვდარი წერილები, - მიუგო ვაჭრობის აგენტმა.

- აი, თურმე რა ყოფილა! - წამოიძახა ყავახანის პატრონმა, - მე კი ფიქრადაც არ მომსვლია ეგ!

თავი L

როგორ გაემგზავრა მისტერ პიკვიკი დავალების შესასრულებლად და სრულიად შემთხვევით როგორ გამოუჩნდა ძლიერი მოკავშირე ამ საქმეში

მეორე დილას, ცხრას რომ ზუსტად თხუთმეტი წუთი აკლდა, „ჯაგნართან“ ჩამოდგა ეტლი, რომელშიც მისტერ პიკვიკმა შიდა ადგილი დაიკავა, სემ უელერმა კი - გარეთა. მეეტლეს უბრძანეს, პირდაპირ ბობ სოიერის სახლისკენ წასულიყო, რომ იქიდან მისტერ ბენჯამინ ალენი წამოეყვანათ.

როდესაც ეტლი გაჩერდა წითელფარნიან სადარბაზო კართან, რომელსაც ამშვენებდა წარწერა - „სოიერ, ნოკმორფის მონაცვლე“, მისტერ პიკვიკმა თავი გამოყო კარეტიდან და განცვიფრდა, რუხლივრეიანი ბიჭი დარაბებს ხურავდა. ამ დილაადრიან ესოდენ უჩვეულო და ზედმიწევნით არამიზანშეწონილმა მოქმედებამ უნებლიეთ მისტერ პიკვიკს გულში საშინელი ეჭვი აღუძრა. ვაითუ, ბობ სოიერს ახლო მეგობარი გარდაეცვალა, ან იქნებ თვითონ მკურნალი გაკოტრდაო, - გაიფიქრა.

- რა მოხდა? - შეეკითხა მისტერ პიკვიკი ლივრეიან ბიჭს.

- არაფერიც არ მოხდა, სერ, - მიუგო ბიჭმა და ყურთამდე გაიღიმა.

- ყველაფერი რიგზეა! - წამოიძახა ბობ სოიერმა, რომელიც კარში გამოჩნდა. ცალ ხელში პატარა ტყავის ჩანთა ეჭირა, მჭლე და გაქონილი, მეორე ხელზე კი თბილი პალტო და შალი გადაეკიდა, - მეც მოვდივარ, ჩემო მეგობარო.

- თქვენც? - უნებლიეთ გაოცდა მისტერ პიკვიკი.

- მეც, - მიუგო ბობ სოიერმა, - დიდებული ექსპედიცია გამოვა. აბა, სემ, დაიჭით! როგორც კი ამ შეძახილით მისტერ ბობ სოიერმა სემ უელერის ყურადღება მიიპყრო, უმალვე ტყავის ჩანთა გადაუგდო, რომელიც სემმა თავისი სკამის ქვეშ შეინახა. ტყავის ჩანთა რომ ამგვარად დააბინავა, მისტერ ბობ სოიერმა ბიჭის დახმარებით ძლივს ჩატენა ბოკვერა სხეული თბილ პალტოში, რომელიც ეტყობა, რამდენიმე ნომრით პატარა გახლდათ მის ზომასთან შედარებით; ეტლთან მივიდა, ფანჯარაში თავი შეყო და გულიანად გადაიხარხარა.

- ეს სიურპრიზი როგორ მოგწონს, ჰა? - წამოიძახა ბობმა და პალტოს სახელოთი თვალებზე ცრემლი შეიწმინდა.

- ჩემო ძვირფასო სერ, - ბორძიკით მიუგო მისტერ პიკვიკმა, - მართალი გითხრათ, არ მეგონა, რომ თქვენც წამოხვიდოდით.

- არ გეგონათ, მაგრამ, - მიუგო ბობ სოიერმა და მისტერ პიკვიკს პალტოს გადასაკეცზე სტაცა ხელი, - სეირი ესაა სწორედ!

- სეირი ესაა? - შეეკითხა მისტერ პიკვიკი.

- დიახ, - კვერი დაუკრა ბობმა, - ეს გახლავთ სიურპრიზი. რაც შეეხება ჩემს საექიმო პრაქტიკას, რაკი ის მე არაფრად მაგდებს, მომავალში თვითონ მიხედოს თავს.

ამგვარად ახსნა თუ არა ბობ სოიერმა მიზეზი, თუ რატომ დაახურვინა ბიჭს დარაბები, მან აფთიაქზე მიუთითა და კვლავ გულიანად გადაიხარხარა.

- ღმერთო, შენ შემიწყალე, ეს ხომ სიგიჟეა! - უკვე ხუმრობის გარეშე წამოიძახა მისტერ პიკვიკმა, - მერედა, ავადმყოფებს ვიღას უტოვებთ?

- არავის. რა მოხდა მერე? - მიუგო ბობმა, - მე მგონი, ამით კიდევაც მოვიგებ. არც ერთი მათგანი ფულს არ იხდის. გარდა ამისა, - განაგრძო ბობმა ჩურჩულით, - მაგათთვისაც ასე სჯობს.

წამლები გამომელია თითქმის, ფული კი არა მაქვს. იძულებული ვიქნები, ყველას ერთი და იგივე წამალი მივცე და მოგეხსენებათ, ყველას როდი არგებს იგი.

პასუხი იმდენად გონიერი აღმოჩნდა, რომ მისტერ პიკვიკმა ვეღარაფერი უპასუხა. ერთხანს დუმდა, მერე ყოყმანით თქვა:

- ჩემო მეგობარო, არ ვიცი, რა ვქნა. ეტლი ორადგილიანია და მე კი მისტერ ალენი უნდა წავიყვანო.

- ჩემი დარდი ნუ გაქვთ! - მიუგო ბობმა, - მაგ საქმეს ახლავ მოვაგვარებ. მე და სემი უკან მოვეწყობით, სატერფულზეც. ამ ბარათს კი, შეხეთ, აფთიაქის კარზე მივაკრავ: „სოიერ, ნოკმორფის მონაცვლე, იკითხავთ მისის კრიპსთან“, მისის კრიპსი ჩემი მსახურის დედა გახლავთ. ჰოდა, მისის კრიპსიც ეტყვის მომკითხველს: „მისტერ სოიერი ძალიან წუხს, მაგრამ ვერაფრით დაგეხმარებათ. დილაადრიან წაიყვანეს კონსილიუმზე, რომელშიც მონაწილეობას იღებენ ცნობილი ქირურგები. მათ მოითხოვეს დაჟინებით, გინდა თუ არა, ჩამოვიდესო... უმაგისოდ ვერას გახდნენ... ძალიან ძნელი ოპერაციაა“.

- საქმე ისაა, - დაუმატა ბობმა, - რომ ამ მგზავრობამ ფუჭად არ უნდა ჩაიაროს. თუ მაგის შესახებ ცნობა ერთ-ერთ ადგილობრივ გაზეთშიც დაბეჭდეს, ჩემს ბედს ძაღლი არ დაჰყეფს... აგერ ბენიც! აბა, შეძვერი!

საჩქაროდ წარმოთქვა თუ არა ეს ტირადა, მისტერ ბობ სოიერმა ფორეიტორი განზე გასწია. თავისი მეგობარი ეტლში შესვა, კარი მოხურა და საფეხური ასწია; მერე აფთიაქის კარი გადაკეტა, გასაღები ჯიბეში ჩაიდო და ბრძანა - ახლა კი გავწიოთო. ყოველივე ზემოთქმული ისე სწრაფად შეასრულა, რომ მისტერ პიკვიკმა ხმის ამოღება ვერ მოასწრო. მათ ქალაქის ქუჩები ჩაიარეს და სოფლის შარაზე გავიდნენ.

ვიდრე ეტლი ბრიუსელის ქუჩებში მიდიოდა, ხუმარა ბობს მეტად დარბაისლურად ეჭირა თავი, თვალიდან მწვანე სათვალე არ მოუხსნია, დინჯად ლაპარაკობდა; მხოლოდ შიგადაშიგ გაურევდა რაიმე ოხუნჯობას, რომ სემ უელერს მგზავრობა არ მოსწყენოდა. მერე შარაგზაზე გავიდნენ თუ არა, მკურნალმა იმწამსვე მოიცილა მწვანე სათვალეცა და დარბაისლური იერიც; უცნაური ფოკუსები წამოიწყო, რომ საგანგებოდ მიეპყრო გამვლელ-გამომვლელის ყურადღება ეტლისა და მისი მგზავრებისადმი. ამ ორინებს შორის განსაკუთრებული გახლდათ კორნეტის (სასულე საკრავის) გამოჯავრება, უნდა ითქვას, ერთობ ოსტატურად შესრულებული და ჯოხზე დამაგრებული წითელი აბრეშუმის ცხვირსახოცის დემონსტრირება, რომელსაც ბობი გამომწვევად აფრიალებდა, უთუოდ საკუთარი ღირსების დასამტკიცებლად.

- ნეტავ ვიცოდე, - შენიშნა მისტერ პიკვიკმა, რომელიც შიგნით ბენ ალენს ესაუბრებოდა მისი დისა და მისტერ უინკლის ღირსებებზე, - ნეტავ ვიცოდე, რას მოგვჩერებიან გამვლელ-გამომვლელნი?

- ეტყობა ჩვენი ცხენები და ეტლი მოსწონთ, - თავმომწონედ მიუგო ბენ ალენმა, - მე თქვენ გეტყვით, ასეთ ეტლს ყოველდღე ნახავენ თუ რა?!

- შესაძლოა, ასეც იყოს, - დაეთანხმა მისტერ პიკვიკი, - თქვენ მართალი ბრძანდებით.

ადვილი მოსალოდნელია, მისტერ პიკვიკი ამ მოსაზრებით დაკმაყოფილდებოდა, მაგრამ ამ დროს შემთხვევით ფანჯრიდან გაიხედა. უმალვე თვალში ეცა ერთი რამ: გამვლელ-გამომვლელთა თვალები როდი გამოხატავდნენ მოწიწებით აღსავსე, ჩუმ აღტაცებას, რასაც იგი მოელოდა. პირიქით, მათ გაცხოველებული საუბარი გაემართათ თავისა და ხელების სა-

შუალებით ვიღაცასთან, რომელიც ეტყობა ეტლის სახურავზე იჯდა. მხოლოდ ახლა გაუელვა თავში მისტერ პიკვიკს, ეს უთუოდ მისტერ სოიერის ოინების ბრალიაო.

- იმედია, ჩვენი ქარაფშუტა მეგობარი ჭკვიანად ზის, - წარმოთქვა მისტერ პიკვიკმა.

- რა თქმა უნდა, - დაამშვიდა ბენ ალენმა, - ბობისთანა წყნარ არსებას სანთლით რომ ეძებოთ, ვერსად ნახავთ... თუ ფხიზელია.

ამ დროს კორნეტის გამწივანი ხმა შემოესმათ, რასაც მოჰყვა ჭყივილი და აღტაცებული შეძახილები, რომელიც აშკარად „სანთლით საძებარი წყნარი არსების“, ანუ უბრალოდ რომ ვთქვათ, მისტერ ბობ სოიერის ყელიდან და ფილტვებიდან იფრქვეოდა.

მისტერ პიკვიკმა და მისტერ ბენ ალენმა მეტყველად გადახედეს ერთმანეთს. პირველმა ჯენტლმენმა ქუდი მოიხადა, ფანჯრიდან გადაყო თავი და ისე გადაწვა, რომ მისი ჟილეტი მთლიანად გარეთ აღმოჩნდა. მხოლოდ ახლა მოჰკრა მან თვალი თავის მხიარულსა და უდარდელ მეგობარს.

მისტერ ბობ სოიერი სატერფულზე კი არ იჯდა, ეტლის სახურავზე წამოსკუპებულიყო, ფეხები ფართოდ გაეშალა, სემის ქუდი გვერდზე მოეგდო, ცალ ხელში ვეებერთელა სენდვიჩი დაეჭირა, მეორეში კარგა მოზრდილი მათარა, ერთს რომ ჩაკბეჩდა, მეორეს ტუჩზე მიიყუდებდა, თანაც, ერთფეროვნების თავიდან ასაცილებლად, დროდადრო კიოდა და გამვლელ-- გამომვლელს მახვილ სიტყვას ესროდა. წითელი „დროშა“ ეტლის უკანა დასაჯდომის მოაჯირზე იყო დამაგრებული; ამ დასაჯდომზე იჯდა მისტერ სემუელ უელერი, რომელსაც ბობ სოიერის ქუდი ეხურა და მადიანად შეექცეოდა ორმაგ სენდვიჩს. სემს სიამოვნებისაგან სახე გაჰბადროდა, ეტყობოდა, ფრიად მოსწონდა და ახარებდა ყოველივე, რაც მის გარშემო ხდებოდა.

ზემოხსენებული გარემოება თავისთავად საკმარისი გახლდათ, რომ მისტერ პიკვიკს, ზრდილობისა და წესიერების ჭეშმარიტ რაინდს, ბრაზით აღვსებოდა გული, მაგრამ სწორედ ამ დროს გზაზე ხალხით გაჭედილი კარეტა შემოხვდათ. კარეტაში შიგნით და გარეთ მსხდომნი განცვიფრებულნი მიშტერებოდნენ მათი ეტლის სახურავს; ამას უნდა დავუმატოთ აღტაცებული შეძახილები ირლანდიელთა ოჯახისა, რომელიც კარგა ხანია მისტერ პიკვიკის ეტლს მოსდევდა სამოწყალოს მოლოდინში. განსაკუთრებით თავი გამოიდო ოჯახის უფროსმა. იგი ისე თავგამოდებით გაჰკიოდა, თითქოს მის წინ სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის მქონე, დიდად საზეიმო პროცესია ყოფილიყოს.

მისტერ პიკვიკს ბრაზი ყელში მოებჯინა.

- მისტერ სოიერ? - დაიძახა მან საშინლად აღშფოთებულმა, - მისტერ სოიერ, სერ!

- ჰელოუ! - მშვიდად გასცა ხმა ეტლის სახურავზე წამოსკუპულმა ჯენტლმენმა.

- ხომ არ გაგიჟდით, სერ? - გაბრაზებით ჰკითხა მისტერ პიკვიკმა.

- სულაც არა, - მიუგო ბობმა, - რა მოხდა, ვერთობი ცოტას.

- ერთობით, სერ? - წამოიძახა მისტერ პიკვიკმა, - გთხოვთ, ახლავე მოაცილოთ მანდედან ეგ სამარცხვინო წითელი ცხვირსახოცი, სერ. სემ, მოჰკიდეთ ხელი.

სემმა ვერც კი მოასწრო ხელის განძრევა, რომ მისტერ ბობ სოიერმა მკვირცხლად ჩამოხსნა ჯოხიდან წითელი ალამი, ჯიბეში ჩაიდო, თავაზიანად დაუკრა თავი მისტერ პიკვიკს, უთუოდ მორჩილების ნიშნად. მმერე თავი მოუწმინდა მათარას, შეუდგა მისი შიგთავსის გადასხმას საკუთარ ყელში. ამგვარად, მხიარულმა დასტაქარმა უსიტყვოდ აგრძნობინა მისტერ პიკ-

ვიკს, რომ თქვენი მშვიდობისა და ბედნიერების სადღეგრძელოს ვსვამო.

ეს მნიშვნელოვანი საქმე რომ მოათავა, ბობმა მათარას კორპით საგულდაგულოდ დაუცვა თავი, ალერსიანად გადახედა მისტერ პიკვიკს, სენდვიჩის უშველებელი ნაჭერი ჩაკბიჩა და მიამიტად გაიღიმა, ვითომც აქ არაფერიო.

- გესმით, სერ? - მიმართა მას მისტერ პიკვიკმა, რომლის წყრომა მისტერ ბობის ურყევმა სიმშვიდემ გაალღო, - გთხოვთ, თავი დაანებოთ მაგ პრანჭვა-გრეხას.

- კეთილი, ბატონო, - დაეთანხმა ბობი და მისტერ უელერს ქუდი გაუცვალა, - ასეთი რამ ფიქრადაც არ მომივიდოდა, მაგრამ მგზავრობამ ისე გამომაცოცხლა, რომ თავი ვეღარ შევიკავე.

- რას ჰგავს თქვენი საქციელი, სერ? - უსაყვედურა მისტერ პიკვიკმა, - ზრდილობა და წესი როგორ დაგავიწყდათ!

- ოღონდაც, რომ დამავიწყდა, - დაეთანხმა ბობი, - ახლა კი მორჩა და გათავდა, უფროსო!

ამ სიტყვების გაგონებაზე მისტერ პიკვიკი დამშვიდდა, კვლავ ეტლში შეყო თავი და შუშა ასწია. ის იყო ბენთან განაახლა საუბარი, რომელიც მისტერ ბობ სოიერის გამო შეწყვიტა, რომ უცბად შეკრთა: ფანჯარაში თვალი მოჰკრა პატარა, შავ, მოგრძო საგანს, რომელიც მოუთმენლად აკაკუნებდა სარკმლის მინაში, თითქოს დაჟინებით მოითხოვდა - ეტლში შემომიშვითო.

- ეს რაღაა? - წამოიძახა მისტერ პიკვიკმა.

- მათარაა მგონი, - შენიშნა ბენ ალენმა, რომელიც კარგა ხანია სათვალით საგანგებოდ აკვირდებოდა ზემოხსენებულ საგანს, - ეს მგონი, ბობის მათარაა.

ბენი არ შემცდარა. მისტერ ბობ სოიერმა მათარა ხელჯოხს მიამაგრა და იმით ფანჯარას უკაკუნებდა დაჟინებით.ეეტყობო-

და, გულით უნდოდა სასმელი მის მეგობრებსაც შეესვათ მშვიდი და კეთილი განწყობილების აღსადგენად.

- ახლა რაღა ვქნათ? - იკითხა მისტერ პიკვიკმა და მათარას წყრომით გადახედა, - ახლა უარესი ჩაიდინა.

- მგონი ყველას ისა სჯობია, ეს მათარა ეტლში შემოვიტანოთ, - ურჩია ბენ ალენმა, - ბობი უფრო გამწარდება, მაგ მათარას სულაც აქ რომ დავიტოვებთ, ხომ ასეა?

- მართალსა ბრძანებთ, - დაეთანხმა მისტერ პიკვიკი, - მაშ, შემოვიტანოთ?

- მე მგონი, ასე აჯობებს, - უპასუხა ბენმა.

ბენის რჩევა სავსებით ეთანხმებოდა მისტერ პიკვიკის აზრს, ამიტომ ხანდაზმულმა ჯენტლმენმა ფრთხილად დასწია ფანჯრის მინა და ხელჯოხიდან მათარა ჩამოხსნა. თვალის დახამხამებაში გაქრა ხელჯოხი და ორივეს ბობ სოიერის ხარხარი შემოესმათ.

- რა მხიარული კაცია! - შენიშნა მისტერ პიკვიკმა მათარით ხელში და თანამგზავრს გადახედა.

- ოღონდაც, - კვერი დაუკრა მისტერ ალენმა.

- გულით რომ გინდოდეს, ვერც კი გაუწყრები, - დასძინა მისტერ პიკვიკმა.

- ნამდვილად! - მიუგო ბენჯამინ ალენმა.

ვიდრე ეს საუბარი გრძელდებოდა, მისტერ პიკვიკმა თავისდა უნებურად მათარას საცობი მოხსნა.

- შიგ რა ასხია? - გულგრილად შეეკითხა ბენ ალენი.

- არ ვიცი, - ასევე გულგრილად მიუგო მისტერ პიკვიკმა, - თითქოს ფუნჯია.

- ნუთუ მართლა? - გაიოცა ბენმა.

- მე მგონი, ეგ უნდა იყოს, - მიუგო მისტერ პიკვიკმა, რომელსაც შეეშინდა, ვაითუ, სწორად ვერ გამოვიცანიო, - რა თქმა უნ-

და, ძნელია, ზუსტად გამოიცნო სასმელი, თვითონ თუ არ გასინ-ჯე.

- მერედა გასინჯეთ რა, - უთხრა ბენმა, - ურიგო არ იქნება, ვი-ცოდეთ, რა არის.

- მართლა? - ხმა გასცა მისტერ პიკვიკმა, - თუ ასე გაინტერე-სებთ, მეც არაფერი მეთქმის. გავსინჯავ და გეტყვით.

მოგეხსენებათ, მისტერ პიკვიკი ისეთი ადამიანი იყო, რომე-ლიც მუდამ მზად გახლდათ, გაეწირა თავი მეგობრის საკეთილ-დღეოდ. ამიტომ აქაც უანგაროდ შეასრულა თანამგზავრის თხოვნა, მათარა მიიყუდა და კარგა ბლომად მოსვა.

- რა არის? - ცნობისმოყვარედ შეეკითხა ბენ ალენი, რომელ-საც გული საგულეს აღარ ეტეოდა, ისე უნდოდა გაეგო, რა სასმე-ლი იყო მათარაში.

- უცნაურია! - ტუჩების ცმაცუნით წარმოთქვა მისტერ პიკვიკ-მა, - ვერაფერი გავუგე ჯერ... ოჰ! - დაუმატა მან, როდესაც სასმე-ლი მეორედ გასინჯა, - ფუნჯი გახლავთ.

მისტერ ბენ ალენმა მისტერ პიკვიკს გადახედა, მისტერ პიკ-ვიკი კი ბენ ალენს დააშტერდა. მისტერ ბენ ალენმა გაიღიმა, მისტერ პიკვიკმა კოპები შეკრა.

- ყური მიგდეთ, მეგობარო! - მკაცრად წარმოთქვა ხსენებულ-მა ხანდაზმულმა ჯენტლმენმა, - ახი არ იქნება, სულ რომ გამოვ-ცალოთ ეს მათარა?

- მეც ასე ვფიქრობ, - კვერი დაუკრა ბენ ალენმა.

- მართლა?! - შეეკითხა მისტერ პიკვიკი, - მაშ, ბობ სოიერს გაუმარჯოს!

ამ სიტყვებით დიდებულმა ადამიანმა კვლავ ბლომად მოსვა სასმელი და მათარა ბენ ალენს გადასცა. იმანაც დაუყოვნებლივ მიჰბაძა უფროსი თანამგზავრის მაგალითს. მალე ორთავეს სახე

გაუბრწყინდა, ღიმილად ექცა, ფუნჯი კი ნელ-ნელა დაილია და გაქრა.

- მართალი რომ გითხრათ, - შენიშნა მისტერ პიკვიკმა, როდესაც მათარიდან ბოლო წვეთები გამოწრუპა, - ბობის ოინები მომწონს კიდეც, ძალიან სასაცილოა!

- რა თქმა უნდა, - კვერი დაუკრა მისტერ ბენ ალენმა.

მისტერ პიკვიკისათვის რომ დაემტკიცებინა, მისი მეგობარი ბობ სოიერი, მართლაც, დიდი ხუმარა და ოინბაზი იყო, ბენ ალენი თანამგზავრს გრძლად და დაწვრილებით მოუყვა იმის შესახებ, თუ როგორ დაითრო ბობი ერთხელ ისე მაგრად, რომ ხურვება დაემართა და თავიც კი გადახოტრეს მაშინ! ამ თავშესაქცევი ამბის მოყოლა მხოლოდ მაშინ შეწყდა, როდესაც ეტლი ბერკლივის სასტუმრო „ზართან“ გაჩერდა, რომ მეეტლეს ცხენები გამოეცვალა.

- იქნებ აქ ვისადილოთ? - შეეკითხა მგზავრებს ბობი, რომელმაც ის იყო ეტლში შემოყო თავი.

- ვისადილოთ? - გაოცდა მისტერ პიკვიკი, - ჯერ ხომ თორმეტი მილი გავიარეთ. გასავლელი კიდევ ოთხმოცდაშვიდ-- ნახევარი დაგვრჩა.

- მით უფრო საჭიროა, რომ პატარა შევნაყრდეთ ხანგრძლივი და დამქანცველი მოგზაურობის წინ, - მიუგო მისტერ ბობ სოიერმა.

- კი, მაგრამ ვის გაუგონია სადილი, ისიც თორმეტის ნახევარზე? - შეეპასუხა მისტერ პიკვიკი საათს რომ დახედა.

- მართალი ბრძანდებით, - დაეთანხმა ბობი, - მოსწრებული დროა სადილისათვის კი არა, საუზმისათვის. ჰეი, სერ! საუზმე სამ კაცზე. ამწამსვე მოგვართვით! ეტლი... არა უშავს, თხუთმეტ წუთს მოიცდის. უბრძანეთ, მხოლოდ ცივი საუზმე მოგვართვან, ელის და საუკეთესო მადერის რამდენიმე ბოთლიც მოაყოლონ.

გასცა თუ არა ეს ბრძანება მარჯვედ და მკვირცხლად, ბობ სოიერმა უმალვე სასტუმროს მიაშურა, რომ საუზმის მზადებისათვის ედევნებინა თვალი. ხუთი წუთიც არ გასულა, რომ დაბრუნდა და მგზავრებს გამოუცხადა, ჩინებული რამ გააკეთესო.

საუზმე მართლაც იმ ქების ღირსი აღმოჩნდა, რომელიც ბობმა გამოთქვა მის მიმართ და ამიტომ მისტერ პიკვიკმა და მისტერ ბენ ალენმაც არ დაიშურეს ძალ-ღონე და გემრიელად შენაყრდნენ. სამივეს ერთსულოვანი მოქმედების შედეგად ელიცა და მადერაც თვალის დახამხამებაზე გაქრა, როდესაც ცხენები გამოცვალეს და მგზავრებმაც, რომლებსაც არ დაავიწყდათ, მათარა კვლავ საჩქაროდ შემზადებული ფუნჯით აევსოთ, თავიანთი ადგილები დაიკავეს, კორნეტი კვლავ გამწივანი ხმით აჟღერდა და წითელი ალამიც მხიარულად აფრიალდა ეტლის თავზე, მაგრამ ამჯერად არც ერთსა და არც მეორეს მისტერ პიკვიკის რისხვა და წყრომა არ გამოუწვევია.

სადილად ტიუკსბერის სასტუმროში გაჩერდნენ. აამჯერადაც, ბლომად შთაინთქა ელი და მადერა. ამას დაემატა პორტვეინიც. მათარა მესამედ შეივსო. ზემოხსენებულ ამგზნებ საშუალებათა მოქმედების შედეგად, მისტერ პიკვიკი და მისტერ ბენ ალენი საღათას ძილს მიეცნენ და ოცდაათი მილი ისე გაიარეს, რომ ვერც ერთმა ვერაფერი გაიგო. მისტერ ბობ სოიერი და მისტერ უელერი კი მთელი ამ ხნის განმავლობაში ორ ხმაზე მღეროდნენ.

უკვე ბნელოდა, როდესაც მისტერ პიკვიკს გამოეღვიძა და ფანჯარაში გაიხედა. გზის გასწვრივ აქა-იქ კოტეჯები მოჩანდა, ცა მოქუფრულიყო, რუხი ფერი გადაჰკვროდა ყოველ საგანს, ბილიკები აგურისა და ფერფლის მტვერს დაესერა. შორით ირეკლებოდა ბრძმედების ალისფერი დაფიონი, ადამიანთა მისადგომების ჩირაღდნები; ხშირი კვამლი ზანტად მიიზლაზნებოდა მაღალი მილებიდან და არემარეს ეფინებოდა. გზაზე ვეებერ-

თელა ფურგონები მოდიოდნენ, მძიმედ დატვირთული რკინის ღვლერჭებით ან სხვა მძიმე საპალნით. ყოველივე ეს მოწმობდა იმას, რომ სადაცაა, გამოჩნდებოდა დიდი სამრეწველო ქალაქი ბირმინგემი.

ეტლმა გრუხუნით ჩაიარა რამდენიმე ვიწრო ქუჩა. რაც უფრო უახლოვდებოდნენ ქალაქის ცენტრს, მით უფრო ყურისწამღები ბუბუნი და ხმაური მოისმოდა, რომელიც, ჩვეულებრივ, დაძაბულ მუშაობას სდევს თან. ქუჩები გაჭედილი იყო მუშა ხალხით. შრომის გუგუნი თითქმის ყოველი შენობიდან მოისმოდა. ზედა სართულების სარკმელები გაჩირაღდნებული იყო, მანქანების ბორბლების გრუხუნისაგან კი შენობათა კედლებს გაჰქონდა ზანზარი, მსხვილ სახელოსნოებსა და ფაბრიკებში ბრძმედების ცეცხლი ალისფრად ღვიოდა; მათი ალი წითლად ირეკლებდა მრავალი მილის მანძილზე. გრდემლზე ჩაქუჩის გრიალი, ორთქლის შიშინი და მანქანების გუგუნი ერთად არეული, რაღაც ველურ მუსიკას დამსგავსებოდა და იგი ქალაქის ყოველი უბნიდან მოისმოდა.

ფორეიტორი ქალაქის ფართო ქუჩებში მიაჭენებდა ცხენებს. ჩაუარეს არაერთ ლამაზ, გაჩირაღდნებულ მაღაზიას, რომელიც გზად უნდა გაიაროს ყველამ, ვინც კი „მეფის ძველ სასტუმროში“ მიდის. მისტერ პიკვიკი დიდ საგონებელში ჩავარდა, ვერაფრით გადაეწყვიტა, როგორ შეესრულებინა ესოდენ ძნელი და ფაქიზი დავალება, რომლის გამოც საგანგებოდ ესტუმრა ამ ქალაქს.

უნდა მოგახსენოთ ისიც, რომ ამ საქმის კეთილად დაგვირგვინება ხომ ისედაც ძნელი იყო, მისტერ ბობ სოიერის მხურვალე და უადგილო დახმარებამ იგი არამცთუ შეამსუბუქა, არამედ ათასჯერ გაართულა. უფრო მეტიც, მისტერ პიკვიკი მტკიცედ იყო დარწმუნებული, რომ როგორც უნდა ჰყვარებოდა ბობი, ამ დავალების შესასრულებლად არამც და არამც მას არ მოიწვევ-

და დამხმარედ. კიდევ მეტიც, ფულსაც არ დაიშურებდა, რომ ამ-ჟამად მისტერ ბობ სოიერი ცხრა მთას იქით ყოფილიყო.

მისტერ პიკვიკი პირადად არ იცნობდა უფროს მისტერ უინკლს, მაგრამ ერთი-ორჯერ წერილი მისწერა, სადაც ატყობი-ნებდა მზრუნველ მშობელს, რომ მისი ვაჟი ზედმიწევნით წე-სიერად იქცეოდა. ახლა მოხუცი მეურვე გრძნობდა, რომ ეს მისი პირველი სტუმრობა, კარგად შეჭიკჭიკებულ ბობ სოიერსა და ბენ ალენთან ერთად, ვერ იქნებოდა უებარი და საიმედო სა-შუალება, რათა უფროსი უინკლის გული მოეგო და საქმეც, რო-გორც სურდა, ისე მოეგვარებინა.

„რა გაეწყობა, - დაიმშვიდა ბოლოს თავი მისტერ პიკვიკმა, - რაც შემიძლია, იმას გავაკეთებ. უფროსი უინკლი უეჭველად ამ საღამოსვე უნდა ვინახულო, რადგან ასე შევპირდი ნეფე-- პატარძალს. დასტაქრები თუ არ მომეშვნენ და თან წამომყვნენ, ვიზიტს რაც შეიძლება მალე მოვათავებ; თანაც იმის იმედიც მაქვს, რომ ეგენიც წესიერად მოიქცევიან თავის სასიკეთოდ“.

ვიდრე მისტერ პიკვიკი ამ ფიქრებით იყო გართული, ეტლი „მეფის ძველ სასტუმროსთან“ შეჩერდა. მისტერ სემუელ უელერმა ნახევრად მძინარე, მთვრალი ბენი ძლივს გადმოათ-რია ეტლიდან. შემდეგ გადმობრძანდა მისტერ პიკვიკიც.

სამივე მგზავრი კეთილმოწყობილ ოთახში შეიყვანეს, სადაც მისტერ პიკვიკმა დაუყოვნებლივ ჰკითხა ლაქიას, მისტერ უინ-კლის სახლი ახლოა თუ არაო.

- სულ ახლოსაა, სერ, - მიუგო ლაქიამ, - აქიდან ხუთასი იარ-დიც არ იქნება, მისტერ უინკლი არხის ნავსადგურის პატრონი გახლავთ, სერ. მისი სახლი კი... არა, სერ. რას ვამბობ. ნამდვი-ლად ხუთასი იარდიც არ იქნება! ლაქიამ სანთელი ჩააქრო, მაგ-რამ არ წასულა. იქვე გაჩერდა. მან ხელახლა დაიწყო სანთლის

ანთება, რომ ამასობაში საშუალება მიეცა მისტერ პიკვიკისათვის, თუ ინებებდა, კიდევ შეჰკითხოდა რაიმეს.

- საუზმეს თუ მიირთმევთ, სერ? - შეეკითხა ისევ ლაქია. მან სანთელს უკვე კარგა ხანია მოუკიდა, მაგრამ მისტერ პიკვიკი დუმდა, - ჩაი ან იქნებ ყავა მიირთვათ, სერ? სადილი ხომ არ მოგართვათ, სერ?

- ახლა არაფერი მინდა.

- მესმის, სერ. ვახშამი შევუკვეთო, სერ?

- ჯერ არა.

- მესმის, სერ.

ჩუმი ნაბიჯით გაემართა ლაქია კარისაკენ, მაგრამ იქ კვლავ შეჩერდა. მოიხედა და შემპარავად შეეკითხა:

- მსახური ქალი თუ გნებავთ, ბატონებო?

- გამოგვიგზავნეთ, თუ გინდათ, - მიუგო მისტერ პიკვიკმა.

- თქვენ თუ გნებავთ, სერ.

- სოდიანი წყალიც მოგვიტანეთ, - თქვა ბობ სოიერმა.

- სოდიანი წყალი? ამწუთას მოგართმევთ, სერ, - ლაქიას ეტყობა გულზე მოეშვა, როგორც კი ეს პატარა დავალება მიიღო და თვალის დახამხამებაში გაქრა ოთახიდან. უნდა იცოდეთ, რომ ლაქიები არასოდეს არც დადიან და არც დარბიან! მათ აქვთ თავისებური და იდუმალი უნარი, რომელიც დანარჩენ მოკვდავთ არ ახასიათებთ, სწრაფად გაუჩინარდებიან ხოლმე ოთახიდან.

სოდიანმა წყალმა ბენ ალენი ცოტა მოასულიერა. როგორც იქნა, მეგობრებმა დაიყოლიეს და ხელ-პირი დააბანინეს, სემმა კი ტანსაცმელი გაუწმინდა; მისტერ პიკვიკი და ბობ სოიერიც შელამაზდნენ და სამთავემ, ხელიხელგაყრილმა, მისტერ უინკლის სახლისაკენ გასწიეს.

მეოთხედი მილის დაშორებით, წყნარ, კეთილმოწყობილ ქუჩაზე იდგა ძველი აგურის სახლი. სამ საფეხურს აივლიდით თუ არა, კარს მიადგებოდით, რომელზედაც სპილენძის ფირფიტა იყო მიკრული მსხვილასოებიანი წარწერით „მისტერ უინკლი“. საფეხურები თეთრად ლაპლაპებდა, აგურები წითლად ღაჟღაჟებდა, თვით სახლს კი სისუფთავით ქათქათი გაჰქონდა.

ის იყო, საათმა ათი დაჰკრა, რომ მისტერ პიკვიკი, მისტერ ბენჯამინ ალენი და მისტერ ბობ სოიერი მიადგნენ მისტერ უინკლის სახლს. დააკაკუნეს თუ არა, კოპწია მსახური ქალი გამოვიდა. სამი უცნობი მამაკაცი რომ დაინახა, შეკრთა.

- ჩემო კარგო, მისტერ უინკლი შინ ბრძანდება? - ჰკითხა ქალს მისტერ პიკვიკმა.

- ვახშამი უნდა მიირთვას, სერ, - მიუგო მსახურმა.

- გეთაყვა, ერთი ეს ბარათი გადაეცით, - წარმოთქვა მისტერ პიკვიკმა, - უთხარით, რომ ძალიან ვწუხვარ, ასე გვიან რომ ვაწუხებ, მაგრამ აუცილებლად უნდა ვინახულო დღესვე. ჩვენ ახლა ჩამოვედით.

ქალმა შიშით გადახედა მისტერ ბობ სოიერს, რომელიც ათასნაირად ემანჭებოდა, რომ როგორმე ენიშნებინა, აღტაცებული ვარ შენი სილამაზითო. ქალმა ეს თაყვანისცემა არაფრად შეიმჩნია, ტალანში შეიხედა და ცალი თვალი იქ დაკიდულ პალტოებსა და ქუდებს გადაავლო. მერე მეორე მსახურს უხმო, სთხოვა, ცოტა ხანს კართან დადექი, ვიდრე პატრონს მოვახსენებდეო. მეორე მსახურს დიდხანს არ დასჭირდა სადარაჯოზე დგომა. პირველი მსახური მაშინვე დაბრუნდა და ბოდიში მოიხადა ჯენტლმენებთან, ამდენ ხანს ქუჩაში გალოდინეთო; მერე ოთახში შეიყვანა, რომელიც, ეტყობა, კანტორა ან გასახდელი უნდა ყოფილიყო. ავეჯის მთავარი საგნები, სასარგებლოცა და დამამშვენებელიც ერთდროულად, გახლდათ მაღალი საწერი

მაგიდა, პირსაბანი, სარკე პირის გასაპარსად, ფეხსაცმელების ჩასაცმელი კაწაპი, ტაბურეტი, ოთხი სკამი, მაგიდა და ძველი საათი, რომელსაც კვირაში ერთხელ მართავდნენ. ბუხრის თავზე კარადის კარები მოჩანდა, კედლებს კი წიგნის ორი თარო, კალენდარი და რამდენიმე მტვრით სავსე დავთარი ამშვენებდა.

მსახურმა ლამპა აანთო.

- ბოდიშს ვიხდი, სერ, გარეთ რომ გაგაჩერეთ ამდენ ხანს, - თქვა მან და მისტერ პიკვიკს ალერსიანად გაუღიმა, - მე თქვენ არ გიცნობდით, აქ იმდენი მაწანწალა დაეხეტება. სულ იმაზე აქვთ თვალი, რა დაგიშაონ და რა მოგპარონ.

- თუ ღმერთი გწამთ, ბოდიშს ნუ იხდით, ჩემო კარგო, - კეთილი ღიმილით მიუგო მისტერ პიკვიკმა.

- არავითარი ბოდიში, ჩემო ცუგრუმელავ, - წამოიძახა ბობ სოიერმა, ქალისკენ ხელები გაშალა და კარის წინ ხტუნვა გამართა რომ შეეშალა მისთვის ოთახიდან გასვლა.

მაინც ვერ მოიგო ყმაწვილი ქალის გული. მან პირდაპირ განუცხადა, - აუტანელი კაცი ხართო. როდესაც ბობი მაინც არ მოეშვა და ათასგვარი ქათინაური დააფრქვია, ქალმა პაწია ხელი გაშალა და საგრძნობი კვალი აღბეჭდა ბობის წითურ სახეზე, თან ზიზღით აღსავსე აბეზარა თაყვანისმცემლის მიმართ, გაჯავრებული გავარდა ოთახიდან.

მისტერ ბობ სოიერი მაინც არ დაცხრა. რადგან ქალი გაექცა, თავშესაქცევად ახლა სხვა რამ მოიგონა. შეიხედა მაღალ საწერ მაგიდაში, გამოაღო მაგიდის უჯრები, ჩხიკინი დაუწყო კარადას, თითქოს მის გატეხას ლამობსო; შეაბრუნა კალენდარი, უფროსი უინკლის ჩექმები ფეხსაცმელებს ზემოთ წამოიცვა, გასწი-- გამოსწია ავეჯი. მისტერ პიკვიკი შეცბა, მისტერ ბობ სოიერი კი ამის დანახვაზე უფრო გამხიარულდა.

ამ დროს კარი გაიღო და ოთახში სწრაფი ნაბიჯით შემოვიდა თამბაქოსფერ კოსტიუმში გამოწყობილი პატარა მოხუცი, რომელიც პირწავარდნილი უმცროსი უინკლი გახლდათ, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ეს მელოტი იყო. მოხუცს ცალ ხელში სადარბაზო ბარათი ეჭირა, ხოლო მეორეში - ვერცხლის შანდალი.

- გამარჯობა, მისტერ პიკვიკ! - მიესალმა უფროსი უინკლი სტუმარს, შანდალი მაგიდაზე დადგა და მისტერ პიკვიკს ხელი ჩამოართვა, - იმედია, ჯანმრთელად ბრძანდებით, სერ? მოხარული ვარ, რომ გხედავთ. დაბრძანდით, მისტერ პიკვიკ, გთხოვთ, სერ, ეს ჯენტლმენი...

- ჩემი მეგობარი გახლავთ, მისტერ სოიერი, - წარმოთქვა მისტერ პიკვიკმა, - თქვენი ვაჟის მეგობარია.

- ოო! - წამოიძახა უფროსმა უინკლმა და პირქუშად გადახედა ბობს, - იმედი მაქვს, თქვენც ჯანმრთელად ბრძანდებით, სერ?

- ღმერთივით გახლავართ, სერ, - მიუგო ბობ სოიერმა.

- მეორე ჯენტლმენი კი, - განაგრძო მისტერ პიკვიკმა, - როგორც ამ წერილიდან გაიგებთ, თქვენთან რომ გამომატანეს, ძალიან ახლო ნათესავია... ბარემ გულახდილად მოგახსენებთ, თქვენი ვაჟის უახლოესი მეგობარია, გვარად ალენი გახლავთ.

- აი, ის ჯენტლმენი? - შეეკითხა მისტერ უინკლი და სადარბაზო ბარათით მიუთითა ბენ ალენზე, რომელსაც ჩასძინებოდა ისეთ პოზაში, რომ ზურგისა და პალტოს საყელოს მეტი არაფერი მოუჩანდა.

ის იყო მისტერ პიკვიკს შეკითხვაზე პასუხი უნდა გაეცა, მოეხსენებინა მისტერ ბენჯამინ ალენის სრული სახელი და წოდება; ეთქვა, თუ რა სასიქადულო ღირსებებით იყო იგი შემკული, რომ ამ დროს დაუდეგარმა ბობ სოიერმა მეგობრის გონზე მოსაყვანად ერთ უებარ ხერხს მიმართა, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, მკლავში უჩქმიტა. ბენი ღრიალით წამოვარდა. როდესაც მიხ-

ვდა, რომ მის წინ უცნობი კაცი დგას, დაუყოვნებლივ ხელში ჩააფრინდა და მთელი ხუთი წუთის განმავლობაში ბურტყუნებდა, აღტაცებული ვარ, რომ მეღირსა თქვენი გაცნობაო; ზრდილობიანად ჰკითხა, სეირნობიდან დაბრუნებული ხართ და ხომ არაფერს მიირთმევთ თუ სადილობამდე მოიცდითო. მერე ქანცმილეული დაეშვა სკამზე და თვალები უაზროდ ააპარპალა, თითქოს გონს ვერ მოსულიყო, ვინ იყო და სად იყო. მართალი გითხრათ, ასეც იყო, ბენი მართლაც ვერ მოსულიყო გონს.

მისტერ პიკვიკს შერცხვა, აღარ იცოდა, რა ექნა; მით უფრო, რომ აშკარად შეამჩნია, მეგობრის უცნაურმა, შემაძრწუნებელმა საქციელმა უფროსი უინკლი გააოგნა. მისტერ პიკვიკმა საჩქაროდ ამოიღო ჯიბიდან წერილი, მისტერ უინკლს გაუწოდა და უთხრა:

- სერ, აგერ თქვენი ვაჟიშვილის წერილი. როდესაც მის შინაარსს გაეცნობით, გაიგებთ, რომ მისი მომავალი ბედ-იღბალი თქვენს მშობლიურ სიყვარულსა და ზრუნვაზეა დამოკიდებული. გთხოვთ, მეცით პატივი, მშვიდი გულით წაიკითხეთ წერილი და მერე მოვითათბიროთ, როგორც ეს ჭეშმარიტ ჯენტლმენებს შეეფერება, თუ რამდენად მნიშვნელოვანია თქვენი შვილისათვის ეს გადაწყვეტილება. ის საშინლად ღელავს მოლოდინისგან, უთუოდ იმითაც მიხვდებით, რომ წინასწარ არც გაგაფრთხილეთ და ასე გვიან გეახელით... - მისტერ პიკვიკმა ცალი თვალით თავის თანამოგზაურებს გადახედა და დაუმატა, - ჩემთვის ესოდენ არახელსაყრელ პირობებში.

ამ ღრმააზროვანი შესავლის შემდეგ, მისტერ პიკვიკმა გაოგნებულ მშობელს ხელში ჩასჩარა შვილის აღსარება, ატლასის ოთხ ფურცელზე წვრილად დაწერილი წერილი. მერე ისევ სკამზე ჩამოჯდა და მისტერ უინკლს მიაშტერდა. სადღაც გულის კუნ-

ჭულში შიშს გრძნობდა, მაგრამ სინდისი აღარ ჰქენჯნიდა. ეს მეტად ფაქიზი და ძნელი დავალება პირნათლად შეასრულა.

ნავსადგურის ხანდაზმულმა მეპატრონემ წერილი ხელში შეატრიალა: ხან ზევიდან დახედა, ხან ქვევიდან, ხან გვერდიდან. გულდასმით გასინჯა ლუქზე აღბეჭდილი მსუქანი ბიჭუნა, შემდეგ მისტერ პიკვიკსაც გადახედა და ბოლოს მაღალ ტაბურეტზე აძვრა, ლამპა ახლოს მიიდგა, ლუქი გატეხა, წერილი გაშალა და წასაკითხად მოემზადა.

სწორედ ამ დროს, მისტერ ბობ სოიერმა, რომლის მახვილი გონება რამდენიმე წუთის განმავლობაში სთვლემდა, ისე მოპრანჭა სახე, რომ აწ განსვენებულ კლოუნს, მისტერ გრიმალდის დაემსგავსა. ბობს ეგონა, რომ მასპინძელი წერილით იყო გართული. მმაგრამ, საუბედუროდ, უფროს უინკლს ჯერ არც დაეწყო კითხვა, სწორედ იმ დროს გადმოხედა სტუმარს, როდესაც ბობი იკრიჭებოდა. მოხუცმა იქვე სამართლიანად დაასკვნა, რომ ყმაწვილი ისე იკრიჭება, უთუოდ მე დამცინისო. ამიტომ ისე მრისხანედ გადახედა ბობს, რომ საწყალს განსვენებული მისტერ გრიმალდის ღმეჭა სახეზე შეაცივდა. - მგონი, რაღაც ბრძანეთ, სერ? - დაარღვია ავსვიანი სიჩუმე უფროსმა უინკლმა.

- არა, არაფერი, სერ, - მიუგო ბობმა, რომელიც ახლა მხოლოდ ღაჟღაჟა ლოყებითღა წააგავდა კლოუნს.

- ნამდვილად არაფერი გითქვამთ, სერ? - შეეკითხა კვლავ უფროსი უინკლი.

- ღმერთო ჩემო, რა თქმა უნდა, არაფერი, სერ! - მიუგო ბობმა.

- მე კი ისე მომესმა, თითქოს რაღაცა ბრძანეთ, სერ, - გაჯავრებული კილოთი განაგრძო ჯენტლმენმა, - იქნებ მე მიყურებდით, სერ?

- ო, არა, სერ, არც გიყურებდით, - თავაზიანად მიუგო ბობმა.

- ფრიად მოხარული ვარ, რომ ასეა, სერ, - შენიშნა კოპებშეკრულმა მასპინძელმა და მედიდურად გადახედა თავლაფდასხმულ ბობს, მერე წერილი კვლავ შუქზე მიიტანა და ახლა კი ნამდვილად შეუდგა კითხვას.

მისტერ პიკვიკს თვალი არ მოუშორებია, ვიდრე მასპინძელმა პირველი გვერდის ბოლო სტრიქონი ჩაათავა და მეორე გვერდის პირველი სტრიქონის კითხვას შეუდგა; მერე მეორე გვერდის ბოლო სტრიქონიდან მესამე გვერდის პირველ სტრიქონზე გადავიდა და მესამე გვერდის ბოლო სტრიქონიდან მეოთხე გვერდის პირველ სტრიქონს მიადგა და ეს გვერდიც ბოლომდე ჩაიკითხა; მაინც ვერ მიხვდა, ეწყინა თუ ესიამოვნა შვილის დაქორწინების ამბავი მოხუცს, თუმცა მისტერ პიკვიკმა ისიც იცოდა, რომ ახალი ამბავი წერილის პირველსავე სტრიქონებში ეწერა.

მოხუცმა წერილი ბოლომდე ჩაიკითხა, გულდასმით მოკეცა, როგორც ეს საქმიან კაცს სჩვევია და სწორედ იმ დროს, როდესაც მისტერ პიკვიკი მოელოდა, ახლა იფეთქებსო, ფრთა მელანში ჩააწო და გეგონებათ, საბუღალტრო ანგარიშის ერთ-ერთ საკითხს წყვეტსო, მშვიდად შეეკითხა მისტერ პიკვიკს:

- ნათანიელის მისამართი იცით, მისტერ პიკვიკ?

- ამჟამად გახლავთ სასტუმროში „ჯორჯი და ფასკუნჯი“, - მიუგო ხსენებულმა ჯენტლმენმა.

- „ჯორჯი და ფასკუნჯი“? ეგ სადღაა?

- ჯორჯ-იარდში, ლომბერდ-სტრიტზე.

- სიტიში?

- დიახ.

მოხუცმა ჯენტლმენმა გულდასმით ჩაიწერა მისამართი კონვერტის მეორე მხარეს, წერილი მაგიდის უჯრაში ჩადო, გასაღე-

ბით გადაკეტა, ტაბურეტიდან წამოდგა. გასაღებების ასხმულა ჯიბეში შეინახა და წყნარად წარმოთქვა:

- მე მგონი, მოსათათბირებელი აღარაფერია, სერ?

- აღარაფერია, ჩემო ძვირფასო სერ?! - გაოცდა კეთილი პიკვიკი და ბრაზი ლამის ყელში მოებჯინა, - მოსათათბირებელი აღარაფერია? ნუთუ, სიტყვასაც არ იტყვით ესოდენ ღირსშესანიშნავი, დიდად სასიხარულო ამბის შესახებ, ეს ხომ თქვენი პირმშოა, უცხო ხომ არ არის? ნუთუ, დაუყოვნებლივ არ დამავალებთ, თქვენი სახელით პირადად გადავცე ჩემს ყმაწვილ მეგობარს, რომ თქვენ კვლავინდებურად გიყვართ იგი და მასთან ერთად შეხარით მის ბედნიერებას? ნუთუ, არაფერს იტყვით სანუგეშოს, რომ გული გაუკეთოთ ვაჟს და დაამშვიდოთ საცოდავი ასული, რომელიც მასთან ეძებს მყუდრო სამყოფელს? აბა, იფიქრეთ, იფიქრეთ, ჩემო ძვირფასო სერ!

- კარგი, ვიფიქრებ, - მიუგო მოხუცმა ჯენტლმენმა, - ამჟამად ვერაფერს გეტყვით... მისტერ პიკვიკ, მე საქმის კაცი გახლავართ. ფაციფუცითა და ნაჩქარევად ჯერ არც ერთი საქმე არ გამიკეთებია. რაც შეეხება ამას, მართალი გითხრათ, ეგ საქმე სულაც არ მომდის თვალში. ათასი გირვანქა არც ისე დიდი თანხაა, მისტერ პიკვიკ.

- მართალი ბრძანდებით, სერ, - ჩაერია საუბარში ბენ ალენი, რომელსაც ბუნდოვნად გაახსენდა, რომ ათასი გირვანქა მშობლებმა რომ დაუტოვეს, თვალის დახამხამებაში გააქრო, - ჭკვიანი კაცი ბრძანდებით. ბობ, ეს გაგებული კაცია, იცოდე!

- დიდად მოხარული ვარ, რომ სწორედ თქვენ დამაფასეთ, სერ, - წარმოთქვა უფროსმა უინკლმა და დაცინვით გადახედა მისტერ ბენ ალენს, რომელიც ამ დროს ღრმააზროვნად იქნევდა თავს მოწონების ნიშნად, - მისტერ პიკვიკ, საქმე შემდეგშია: როდესაც ჩემს ვაჟს ნება დავრთე მოგზაურობაზე, მინდოდა ენახა

ხალხი, გასცნობდა საზოგადოებას ამ ერთი წლის განმავლობაში (ასეც მოიქცა ის, რა თქმა უნდა, თქვენი ხელმძღვანელობითა და დახმარებით), რათა ცხოვრებაში გამოუცდელ წიწილასავით უმწეო არ ყოფილიყო. მართალი გითხრათ, ამ შედეგს არ მოველოდი. ეს მან კარგად იცის და ახლა, თუ დახმარებას არ გავუწევ, არც უნდა გაუკვირდეს. პასუხს შევატყობინებ, მისტერ პიკვიკ. ღამე მშვიდობისა, სერ. მარგარეტ, კარი გაუღეთ ჯენტლმენებს.

ამასობაში ბობ სოიერი არაერთხელ შეეცადა შეეგულიანებინა ბენ ალენი, რომ დასა და სიძეს გამოჰქომაგებოდა. მართლაც, ყოველგვარი გაფრთხილების გარეშე, ბენმა უცბად მოკლე, მაგრამ მეტად მკვეთრი და მეტყველი სიტყვა წარმოთქვა.

- სერ, - დაიწყო მან, ძილით დაბინდული თვალი მოხუცს ჯენტლმენს მიაპყრო და ენერგიულად გაიქნია მარჯვენა ხელი, - თქვენ... თქვენ..... გრცხვენოდეთ, სერ!

- ყმაწვილი ქალის ძმა ბრძანდებით და გასაკვირი არ არის, რომ გამკიცხოთ, - სიტყვა მოუჭრა უფროსმა უინკლმა, - კმარა! სიტყვაც აღარ დასძრათ, მისტერ პიკვიკ, ღამე მშვიდობისა, ბატონებო!

მოათავა თუ არა ლაპარაკი, მოხუცმა სანთელს მოჰკიდა ხელი, კარი ფართოდ გააღო და სტუმრებს თავაზიანად მიუთითა გასასვლელისაკენ.

- ინანებთ, ინანებთ, სერ, - კბილებში გამოსცრა მისტერ პიკვიკმა და თავი შეიკავა, რომ ბოღმა არ გადმოენთხია. კარგად იცოდეთ, თუ რაოდენ საბედისწერო შეიძლება ყოფილიყო ეს გაბრაზება მისი ყმაწვილი მეგობრისათვის.

- ამჟამად მე სხვა აზრი მაქვს, - მშვიდად მიუგო უფროსმა უინკლმა, - ბატონებო, ნება მიბოძეთ, კიდევ ერთხელ გისურვოთ ღამე ნებისა.

მისტერ პიკვიკი გაბრაზებული გამოვიდა ქუჩაში. მისტერ ბობ სოიერმაც, რომელსაც მოხუცი ჯენტლმენის სიმტკიცემ თავგზა აუბნია, მის მაგალითს მიჰბაძა; წამიც არ გასულა, რომ კიბეზე ჩამოგორდა ჯერ მისტერ ალენის ქუდი, ხოლო მას გორვით მალე მისი პატრონიც მოჰყვა.

გზაში სამივე დუმდა. სასტუმროში დაბრუნდნენ თუ არა, აღარ უვახშმიათ, პირდაპირ ლოგინს მიაშურეს. ჩაძინებისას მისტერ პიკვიკს ერთი ფიქრი არ ასვენებდა: რომ მცოდნოდა, უფროსი უინკლი ასეთი ჯიუტი კაცი იყო, არაფრით თავს არ ვიდებდი ესოდენ ფაქიზსა და ძნელ საქმესო.

თავი LI

რომელშიც მისტერ პიკვიკს ძველი ნაცნობი შეხვდება და ამ ბედნიერი გარემოების წყალობით მკითხველი შეიტყობს საინტერესო ფაქტს ორი დიდად განსწავლული კანონის მცველის შესახებ

დილამ, რომელიც მისტერ პიკვიკს ზუსტად რვა საათზე შემოეგება, ვერ იქნა, ვერ გაუფანტა დაღვრემილობა და გულისტკივილი, რომელიც დავალების სავალალო შედეგებმა გამოიწვიეს. ცა ტყვიისფერი იყო, მოქურუხებული, ჰაერი - ცივი და ნესტიანი, ქუჩები - სველი და ტალახიანი, კვამლი მილების თავებზე ზანტად გაჩერებულიყო, თითქოს ვაჟკაცობა არ ჰყოფნიდა მაღლა ასულიყო; წვიმაც ნელა და უხალისოდ ცრიდა, თითქოს წყალს ვერ იმეტებდა; ეზოში ყოყლოჩინა მამალი უხალისოდ ცდილობდა, ცალ ფეხზე შეენარჩუნებინა წონასწორობა; სახურავის ქვეშ თავჩაქინდრული სახედარი მწარე საგონებელს მისცემოდა, ეტყობა, თვითმკვლელობაზე ფიქრობდა. ქუჩაში ქოლგების გარდა არაფერი ჩანდა და წვიმის ხმაურისა და ხის ქოშების კაკუნის მეტი არაფერი ისმოდა.

დილის საუზმემ უხმოდ ჩაიარა. ავდარმა და წინადღის წარუმატებლობამ ბობ სოიერიც კი დაადარდიანა. როგორც თვითონვე ამბობდა, ლამის გავთავდეო კაცი. ასეთივე დღეში გახლდათ მისტერ ბენ ალენიც; იმავეს გრძნობდა მისტერ პიკვიკი.

სამივე გულგაწვრილებული ელოდებოდა გამოდარებას. მანამდე კი მგონი მეათეჯერ კითხულობდნენ ლონდონის საღამოს

გაზეთის ბოლო ნომერს, კითხულობდნენ დაჟინებით, სულმოუთქმელად, როგორც ეს მოწყენილ კაცს სჩვევია, როცა ერთ რამეს ჩააცივდება ხოლმე, ასევე დაჟინებით გადათელეს ოთახში გაფენილი ხალიჩის ყოველი გოჯი; ფანჯრიდან ხომ ისე ხშირად იხედებოდნენ, რომ ფანჯრის პატრონი კინაღამ დააჯარიმეს. ყველა თემა ათასნაირად გადაღეჭეს და ამოწურეს. ბოლოს, შუადღე რომ დადგა და არც ამინდმა და არც საქმემ პირი უკეთესობისაკენ არ იბრუნა, მისტერ პიკვიკმა ზარი დარეკა. მსახურს უხმო და ეტლი შეუკვეთა.

თუმცა მგზავრობა ატალახებულ გზებზე, როდესაც წვიმა ჯიუტად ცრის და ტალახიანი შხეფები კარეტის ღია ფანჯრებს ხვდება და თითქმის ერთნაირ ზიანს აყენებს შიგნით და გარეთ მსხდომ მგზავრებს, არცთუ ისე სახარბიელოა, მაგრამ, მოგეხსენებათ, უძრაობას მაინც მოძრაობა სჯობს, სჯობს, ავდარში მგზავრობდე, ვიდრე საათობით იჯდე დახუთულ ოთახში და უყურებდე, თუ როგორი გულისგამაწვრილებელი ერთფეროვნებით ასხამს წვიმა მოღუშულ ქუჩებსა და სახლებზე. ამიტომ იყო, რომ დაიძრა თუ არა ეტლი, ყველამ ერთხმად განაცხადა - მგზავრობა ყველაფერს სჯობს - ნეტავ, აქამდე რას ვისხედით ბაიყუშებივით იმ სასტუმროშიო.

კოვენტრიში რომ შეჩერდნენ, ცხენებს ისეთი ორთქლი ასდიოდათ, რომ მეჯინიბე აღარ მოჩანდა; ბურუსიდან მგზავრებს მხოლოდ მისი ხმა ესმოდათ. იგი ამბობდა, - იმედი მაქვს, ფილანთროპული საზოგადოება ოქროს მედლით დამაჯილდოებს იმისათვის, რომ ფორეიტორს ქუდი დროზე მოვხადეო. ამ უჩინარმა ჯენტლმენმა განაცხადა, რომ ის (ფორეიტორი) ნამდვილად დაიხრჩობოდა, რადგან ქუდიდან წურწურით ჩამოსდიოდა წყალი და საცოდავი სულს ვეღარ ითქვამდა, მაგრამ ამ დროს თურმე ეს მამაცი მეჯინიბე მიეშველა, ქუდი ჩამოაძრო და სახე

ბზის კონით შეუმშრალა. - დიდებული კაცი ყოფილა! - შენიშნა ბობ სოიერმა, პალტოს საყელო აიწია და პირი შეიფუთნა, რომ არავის სცემოდა სურნელება ბრენდის, რომელიც ის იყო, გადაყლაპა.

- ოღონდაც, - მშვიდად დაუკრა კვერი სემმა.

- თქვენ მაინცდამაინც არ გიჟდებით, მგონი? - შენიშნა ბობმა.

- აბა, რა ჭკუაა, რომ გავგიჟდე კიდეც, სერ? - თქვა სემმა.

- მართალი ბრძანდები, უტყუარი არგუმენტია, - დაეთანხმა ბობი.

- დიახ, სერ, - წარმოთქვა მისტერ უელერმა. - რაც კარგია, კარგია, როგორც ბრძანა ერთმა ახალგაზრდა არისტოკრატმა, როდესაც მას დაუნიშნეს პენსია იმისათვის, რომ დედამისის ბიძის ცოლის ბაბუამ მეფეს კაჟი მიართვა ჩიბუხის მოსაკიდებლად.

- კარგი აზრია, სემ, - მოუწონა ბობ სოიერმა.

- ამას ამბობდა მუდამ ის ახალგაზრდა არისტოკრატიც იმ დღეს, როცა პენსიას იღებდა, - დასძინა სემმა.

ერთხანს სიჩუმე ჩამოვარდა.

- გინახავთ თუ არა ოდესმე, - ჩურჩულით განაგრძო სემმა და ფორეიტორს გადახედა. - თუ გინახავთ ოდესმე, მაგ თქვენ ძვლისმტეხებთან რომ სწავლობდით, ავადმყოფი ფორეიტორი?

- არა მგონია, - მიუგო ბობ სოიერმა.

- კი მაგრამ, იქ რომ დადიოდით, ნუთუ არასოდეს შეგხვედრიათ ფორეიტორი საავადმყოფოში?

- არა, - მიუგო ბობმა, - არ შემხვედრია.

- არც ისეთ სასაფლაოზე ყოფილხართ, სადაც ფორეიტორის ძეგლი ყოფილიყოს?.. არასოდეს გინახავთ მკვდარი ფორეიტორი?

- არასოდეს, - მიუგო ბობმა.

- მართალსა ბრძანებთ! - წამოიძახა გახარებულმა სემმა, - ვერც ნახავთ ვერასოდეს! კიდევ ერთ რამეს ვერ ნახავს კაცი ვერასოდეს - მკვდარ ვირს. მკვდარი ვირი ჯერ არავის უნახავს. გარდა ერთი ჯენტლმენისა, მოკლე შავი აბრეშუმის შარვალს რომ ატარებდა. იცით რომელი? იმ ყმაწვილი ქალის ნაცნობი რომ იყო, რომელიც თხებს მწყემსავდა. მაგრამ ეგ ვირი ფრანგული ჯიშისა იყო და მაშასადამე, ნამდვილი არც იქნებოდა.

- კი მაგრამ, სად ვირი და სად ფორეიტორი? - ცნობისმოყვარედ ჩაეკითხა ბობ სოიერი.

- ყური მიგდეთ, - მიუგო სემმა, - ზოგი ძალიან ჭკვიანი და გონიერი კაცი ამტკიცებს, რომ ფორეიტორებიცა და ვირებიც უკვდავნი არიან. მაგრამ პირადად მე მაგ აზრს არ ვიზიარებ და აი, რას მოგახსენებთ: ვირებიცა და ფორეიტორებიც როგორც კი იგრძნობენ, რომ დაბერდნენ და ჯაფას ვეღარ გაუძლებენ, აიკრავენ ერთად გუდანაბადს და მიდიან სადღაც. ჩვეულებრივი ვირის წყვილეულზე თითო ფორეიტორი მოდის. მერე რა ემართებათ მათ - კაცმა არ იცის; ალბათ საიქიოს ერთად თუ ატარებენ დროს, იმიტომ, რომ სააქაოს ჯერ არავის უნახავს, რომ ან ვირი ან ფორეიტორი ოდესმე მხიარულობდეს.

სემმა ზემოხსენებული თეორიული დებულებანი სათანადო, მეტად საინტერესო, სტატისტიკური ცნობებით ნათელყო. ასე მგზავრობდნენ ერთხანს, ვიდრე დანჩერჩში არ ჩავიდნენ, სადაც მშრალი ფორეიტორი და დასვენებული ცხენები მოჰგვარეს. შემდეგი შესვენება დავენტრიში მოაწყვეს, ამის შემდეგ ტაუსტერში. წვიმა კი თანდათან მატულობდა და კოკისპირულად ასხამდა.

- მოიცათ, თუ ღმერთი გწამთ, - დაიძახა ბობ სოიერმა და ეტლის ფანჯარაში შეიხედა, როდესაც ისინი სასტუმრო „სარკინო-

ზის თავთან“ ტაუსტერში შეჩერდნენ, - მეტის გაძლება აღარ შე-მიძლია.

- ღმერთო ჩემო! - წამოიძახა მისტერ პიკვიკმა, რომელიც აქამდე ტკბილად სთვლემდა კუნჭულში, - ვაითუ, დასველდით!

- დასველდითო? - გაიმეორა ბობმა, - დავსველდი კი არა, გა-ვილუმპე. ძაფი არ შემრჩა მშრალი!

ბობი მართალს ამბობდა: წყალი წურწურით ჩამოსდიოდა კისრიდან, იდაყვებიდან და შარვლის კალთებიდან. მთელი ტან-საცმელი წყლისაგან ისე ბზინავდა, გეგონებოდათ მუშამბისაგა-ნაო შეკერილი.

- გავილუმპე, - განაგრძო ბობმა და ტანსაცმლიდან წყალი დაიბერტყა, თითქოს ნიუფაუნდლენდელის ძაღლი ყოფილიყოს, რომელიც მდინარიდან ახლა ამოძვრაო.

- მე მგონი, დღეს რომ კიდევ ვიმგზავროთ, დავიხოცებით, - შენიშნა ბენმა.

- მაგაზე ლაპარაკიც ზედმეტია, სერ, - ჩაერია საუბარში სემ უელერი, - ცოდოა ცხენებიც... აქ კარგი საწოლები აქვთ, სერ, - მიმართა სემმა ბატონს, - სუფთა და კეთილმოწყობილი. ნახევარ საათში ჩინებულ სადილს მოამზადებენ, სერ. ქათამი და ხბოს ხორცის კატლეტები, სერ. ფრანგული მუხუდო, კარტოფილი, ტორტი და კეთილი გული! ნება მომეცით, გირჩიოთ, - სერ, - დღეს აქ დარჩით. მოიქეცით, როგორც გირჩევთ, როგორც ბრძანა ერთმა ექიმმა.

სწორედ ამ დროს გამოვიდა „სარკინოზის თავის“ პატრონიც და თავად დაამოწმა მისტერ უელერის ნათქვამი, სასტუმრო მართლაც ზედმიწევნით კომფორტულია; თან იქვე პირქუშად დასძინა, აქეთ ძალიან ცუდი გზებია და შემდეგ სადგურში ცხე-ნებს მაინც ვერ გამოგიცვლიან, რადგან ამჟამად არ ჰყავთო; თანაც დაამატა, ეს ისეთი წვიმაა, რომ მთელ ღამეს არ გა-

დაიღებს, დილით კი გამოიდარებს და მშვიდობით გაემგზავრებითო. მან კიდევ სხვა მრავალი ამგვარი საბუთი მოიყვანა, რომელიც გამოცდილ სასტუმროს პატრონებს მუდამ მზადა აქვთ მგზავრის დასარწმუნებლად.

- მართალსა ბრძანებთ, - დაეთანხმა მისტერ პიკვიკი, - მაგრამ, თუ ასეა, ლონდონს წერილი უნდა გავგზავნო, რომელსაც დილაადრიანადვე პატრონს ჩააბარებენ. ეს თუ ვერ შევძელი, მაშინ ამწამსვე უნდა გავემგზავრო.

სასტუმროს პატრონი სიხარულით ცას ეწია. წერილის გაგზავნა რა დიდი საქმეა - ჯენტლმენმა შეიძლება იგი გაატანოს ან საფოსტო, ან ღამის სამგზავრო ეტლს, რომელიც ბირმინგემიდან ჩამოივლის. თუკი ჯენტლმენს სურს, რომ მისი წერილი დროზე გადაეცეს ადრესატს, კონვერტზე წააწეროს: „დაუყოვნებლივ ჩაჰბარდეს“. ეს ხერხი საუცხოოდ ჭრის; ან კიდევ წააწეროს შემდეგი: „წერილის მიმტანს გადაუხადონ ნახევარი კრონი“. ეს ხერხი ხომ პირველსაც სჯობს.

- ჩინებულია, - წარმოთქვა მისტერ პიკვიკმა, - თუ ასეა, ამ სასტუმროში გავჩერდეთ.

- ჯონ, - გასძახა მსახურს სასტუმროს პატრონმა, - „მზეში“ დაანთეთ სანთლები, ბუხარში ცეცხლი გააჩაღეთ, ჯენტლმენები ძალიან დასველდნენ! აქეთ მობრძანდით, ბატონებო!.. ფორეიტორის ჯავრი ნუ გაქვთ, სერ, რაწამსაც მეტყვით, იმწამსვე გამოგიგზავნით. ჯონ, სანთლები!

თვალის დახამხამებაში აინთო სანთლები, გაჩნდა შეშა, აგიზგიზდა ბუხარში ცეცხლი. ათი წუთიც არ გასულა, რომ ლაქიამ სუფრა გააწყო, ფარდები ჩამოუშვა. განათდა, დათბა და ყოველივე ისე შეიცვალა, თითქოს მგზავრებს წინასწარ ელოდნენ და საგანგებოდ მოემზადებინათ ყოველივე. ასეა მუდამ წესიერ, ჭეშმარიტად ინგლისურ სასტუმროებში!

მისტერ პიკვიკი ცალკე მაგიდას მიუჯდა და საჩქაროდ მისწერა მისტერ უინკლს ბარათი, რომელშიც ატყობინებდა, რომ უამინდობის გამო დაყოვნდა და მეორე დღეს აუცილებლად ჩამოვა ლონდონს. ეს ბარათი იქვე გაახვიეს სქელ ქაღალდში და მისტერ სემუელ უელერს ჩააბარეს, რომ მას შემდგომ იგი ბუფეტში დაეტოვებინა.

სემმა ბარათი სასტუმროს დიასახლისს დაუტოვა, ცოტა შეშრა სამზარეულოს ბუხართან და ის იყო წამოვიდა, ბატონისათვის ფეხსაცმელი უნდა გაეხადა, რომ უეცრად გზა ერთ-ერთ ღია კარში ჟღალთმიან ჯენტლმენს მოჰკრა თვალი, რომელიც მაგიდასთან იჯდა. წინ გაზეთების ვეებერთელა დასტა გაეშალა და ერთ-ერთ მათგანში ეტყობა მოწინავეს კითხულობდა გულდასმით; თანაც ისე დამცინავად იღიმებოდა, რომ ცხვირი თითქოს გვერდზე მოექცა, სახეც ზიზღით დაბრეცოდა.

- ჰელოუ! - შესძახა სემმა, - ეგ თმა და ეგ სახეც რაღაც მეცნობა, დიახ, სათვალეცა და ფართეფარფლიანი ქუდიც! ეშმაკმა დამწყევლოს ეს თუ იტენსვილელი არ იყოს!

სემმა განგებ ატეხა ხველა, რომ უცხო ჯენტლმენის ყურადღება მიეპყრო. ჯენტლმენი მართლაც შეკრთა, თავი ასწია სათვალითურთ და სემმა იმწამსვე იცნო მისტერ პოტის - „იტენსვილის გაზეთის“ რედაქტორის ღრმააზროვანი სახე.

- ბოდიშს ვიხდი, სერ, - თქვა სემმა და თავი დაუკრა რედაქტორს, - ჩემი ბატონიც აქ ბრძანდება, მისტერ პოტ.

- ჩუმად, ჩუმად! - დაიძახა პოტმა, ხელი სტაცა სემს, ოთახში შეათრია და კარი მაგრად მიხურა. შიშით სახე უცახცახებდა.

- რა მოხდა, სერ? - შეეკითხა სემი გაოცებით და მიმოიხედა.

- ჩემი სახელი, გეთაყვა, ჩურჩულითაც კი არ დაგცდეთ, - მიუგო პოტმა, - ეს ყვითელი ზონაა. ამ ზონის გაბრაზებულმა,

აფორიაქებულმა მოსახლეობამ რომ გაიგოს რომ მე აქ ვარ, შუაზე გამგლეჯენ!

- რას ამბობთ, სერ! - გაოცდა კვლავ სემი.

- ნამდვილად მაგათი გააფთრებული შეტევის მსხვერპლი გავხდები, - მიუგო პოტმა, - მაშ, ყმაწვილო, თქვენი ბატონი რასა იქმს, როგორ არის?

- ორ მეგობართან ერთად აქ გაათევს ღამეს. ლონდონს მიემგზავრება, - აუწყა სემმა.

- მისტერ უინკლიც მასთანაა? - კოპი შეიკრა პოტმა.

- არა, სერ. მისტერ უინკლი სახლში დარჩა, - მიუგო სემმა, - ცოლი ითხოვა.

- ცოლი ითხოვა! - აღფრთოვანებით დასცდა პოტს. ერთხანს დადუმდა, მერე პირქუშად გაიღიმა და ყრუ, შურისგებით სავსე კილოთი დაუმატა: - მოუხდება მაგას!

როდესაც ამგვარად გამოხატა საშინელი სიძულვილი და ჩუმი სიხარული დამარცხებული მტრის მიმართ, მისტერ პოტმა იკითხა - მისტერ პიკვიკის მეგობრები ლურჯები არიან თუ არაო. რა თქმა უნდა, მისტერ უელერისაგან დადებითი პასუხი მიიღო, თუმცა სემმა ისევე იცოდა ვინ-ვინ იყო, როგორც თვით პოტმა. რედაქტორს იმდენად ეამა სემის პასუხი, რომ სემმა შესთავაზა თუ არა ბატონთან წასვლა, უმალვე დათანხმდა და მისტერ პიკვიკის ოთახში გაჰყვა. იქ მას ყველა გულითადად მიეგება. იმწამსვე წამოაყენეს და მიიღეს კიდეც წინადადება, რომ ერთად ესადილათ.

სტუმარი ბუხართან დასვეს.

- რასა იქმთ იტენსვილში? - ცნობისმოყვარედ შეეკითხა მისტერ პიკვიკი, როცა მგზავრებმა სველი ჩექმები გაიხადეს და მშრალი ფეხსაცმელი ჩაიცვეს, - „დამოუკიდებელი“ კიდევ არსებობს?

- ღაფავს თავის საცოდავ სულს, სერ, - მიუგო პოტმა, - სადაცაა მიიცვლება. იმ პირთაც კი, რომელთათვის ცნობილია მისი, ჭეშმარიტად უღირსი მოღვაწეობა, იმ პირთაც კი სძულთ და ეზიზღებათ ეგ გაზეთი. მაგას თუ არსებობა ჰქვიან და არ ვიცი! იხრჩობა ტალახისა და ჭუჭყის იმ ნიაღვარში, რომელსაც თვითონვე ანთხევს, გაბრუებულია და დაბრმავებული იმ მყრალი სუნით, რომელიც მის დამპალ სხეულს ასდის. მაგ ბეჭდვის ბილწ ორგანოს ფიქრადაც არ მოსდის, რომ თანდათანობით ეშვება თვალთმაქც ჭაობში, რომელიც ვითომდა მტკიცე დასაყრდენს წარმოადგენს ჩვენი საზოგადოების მდაბიო ფენათა შორის, ნამდვილად კი, სულ მალე, თავიანად გადაყლაპავს მას და შთანთქავს სამუდამოდ.

ამ განაჩენის ყოველ სიტყვას (რომელიც მან თავისივე უკანასკნელი მოწინავედან ისესხა) პატივცემულმა რედაქტორმა მეტყველად გაუსვა ხაზი; მერე შეჩერდა, რათა სული მოეთქვა ცოტათი და მედიდურად გადახედა მისტერ ბობ სოიერს.

- თქვენ ჯერ ყმაწვილი ხართ, - დასძინა პოტმა.

მისტერ ბობ სოიერმა თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია.

- თქვენც, სერ, - მიუბრუნდა პოტი ბენ ალენს.

ბენმაც უბრად დაუმოწმა ამ ბრალდების სამართლიანობა.

- იმედი მაქვს, ბატონებო, - განაგრძო პოტმა. - თქვენ, ორივემ შეისისხლხორცეთ ლურჯების პრინციპები, რომელთაც, ვიდრე სული მიდგას, დავიცავ და ცხოვრებაში განვახორციელებ გაერთიანებული სამეფოს ხალხის წინაშე.

- უნდა მოგახსენოთ, რომ, მაინცდამაინც მაგის არაფერი გამეგება, - წარმოთქვა ბობ სოიერმა. - მე...

- ყვითლების მხარეზე ხომ არ არის ეგ, მისტერ პიკვიკ? - შეაწყვეტინა სიტყვა პოტმა და სკამი უკან დასწია, - თქვენი მეგობარი ყვითლებს ეკუთვნის, სერ?

- არა, - მიუგო ბობმა, - მგონი, ახლა შოტლანდიური ნაჭერი-ვითა ვარ - ჭრელი გახლავართ.

- ოჰო, მეყოყმანეთა ჯგუფს ეკუთვნის! - დიდი ამბით გამოაცხადა პოტმა, - სერ, მე გაჩვენებთ რვა მოწინავეს, რომელიც „ი-ტენსვილის გაზეთში“ დაიბეჭდა ამ ბოლო ხანს და დარწმუნებული ვარ, რომ მაშინ კი გარკვევით დაასაბუთებთ თქვენს შეხედულებებს ლურჯების მყარსა და უდრეკ საფუძველზე, სერ.

- ეჭვი არ მეპარება, რომ თავფეხიანად გავლურჯდები, ეგენი თუ ბოლომდე ჩავიკითხე, სერ, - მიუგო ბობმა.

მისტერ პოტმა ეჭვით გადახედა ბობ სოიერს, მერე მისტერ პიკვიკს მიუბრუნდა და უთხრა:

- თქვენ უთუოდ წაიკითხეთ ლიტერატურული წერილები, რომელიც ამ სამი თვის განმავლობაში იბეჭდებოდა „იტენსვილის გაზეთში“ და რომელთაც საყოველთაო აღტაცება დაიმსახურეს არა მარტო ჩვენთან, არამედ მთელ სამეფოში?

- უნდა მოგახსენოთ, რომ, - მისტერ პიკვიკი, ცოტა არ იყოს, დაიბნა, - ამ ბოლო ხანებში ძალიან ვიყავი დაკავებული სხვა საქმეებით და ვერ მოვიცალე, რომ გადამეკითხა ეგ საინტერესო წერილები.

- უნდა მოგეცალათ, სერ, - ცივად შენიშნა პოტმა და მკაცრად გადახედა მეგობარს.

- წავიკითხავ, უსათუოდ წავიკითხავ, - შეჰპირდა მისტერ პიკ-ვიკი.

- ეს წერილები წარმოადგენს ვრცელ და ამომწურავ რეცენზი-ას იმ წიგნის შესახებ, რომელშიც ახსნილია ჩინური მეტაფიზი-კის არსი, სერ, - აუწყა პოტმა.

- ო! - წარმოთქვა მისტერ პიკვიკმა, - უდავოდ ყველა თქვენი კალმის ნაყოფია, სერ?

- არა, ჩემმა ერთ-ერთმა თანამშრომელმა დაწერა, სერ, - თავმომწონედ უპასუხა პოტმა.

- რთული თემაა, მგონი, - შენიშნა მისტერ პიკვიკმა.

- ფრიად რთული, სერ! - ღრმააზროვნად დასძინა პოტმა, - ამ მიზნით საგანგებოდ „დაიგეშა“, თუ შეიძლება აქ ვიხმაროთ ეს ტექნიკური მაგრამ, ჩემი აზრით, ძალიან მეტყველი ტერმინი. მე თვითონ ვურჩიე, რომ ბრიტანეთის ენციკლოპედია წაეკითხა.

- ნუთუ მართლა? - თქვა მისტერ პიკვიკმა, - ფიქრადაც არ მომსვლია, რომ ესოდენ ძვირფასი შრომა შეიცავს ცნობებს ჩინური მეტაფიზიკის შესახებ.

- სერ, - განაგრძო პოტმა, ცალი ხელი მისტერ პიკვიკს დაადო მუხლზე და თავმომწონედ გაუღიმა, თითქოს ამით საკუთარი გონებრივი უპირატესობა აგრძნობინა, - ახლავე აგიხსნით, სერ, მეტაფიზიკის შესახებ მან წაიკითხა ასო „მ“-ის მწკრივი, ხოლო ჩინეთის შესახებ ასო „ჩ“-ს მწკრივი; შემდეგ კი ამოკითხული ცნობები შეაერთა და გამოვიდა „ჩინური მეტაფიზიკა“.

მისტერ პოტის სახე ჭეშმარიტად დიდების შარავანდედით იყო მოცული, როდესაც იგი მეცნიერების იმ საგანძურზე ლაპარაკობდა, რომელიც ზემოაღნიშნულ წერილებში იყო მოხსენებული. ამიტომ მისტერ პიკვიკმა ვერც კი შეჰბედა, რომ მაშინვე გაეგრძელებინა საუბარი. მხოლოდ მაშინ, როდესაც რედაქტორის სახემ ჩვეული, ქედმაღლური გამომეტყველება მიიღო, მისტერ პიკვიკმა ერთი შეკითხვა დაუსვა:

- ნება მიბოძეთ, გკითხოთ - რა დიადმა მიზანმა გაიძულათ მშობლიური ქალაქიდან ასე შორს წამოსულიყავთ?

- იმ ერთადერთმა მიზანმა, რომელიც მუდამ შთამაგონებს ჩემს დიდ მოღვაწეობაში, სერ, - წყნარი ღიმილით მიუგო პოტმა, - ეს გახლავთ ჩემი სამშობლოს კეთილდღეობა.

- უთუოდ ახლაც რაიმე საზოგადოებრივი მისია გაქვთ დაკისრებული, - აღნიშნა მისტერ პიკვიკმა.

- დიახ, სერ, - დაუმოწმა პოტმა, - მართალს ბრძანებთ! - რედაქტორი მისტერ პიკვიკისკენ დაიხარა და ყრუდ ჩასჩურჩულა: - ხვალ საღამოს ბირმინგემში ყვითელი ბალი გაიმართება.

- ღმერთო, შენ შემიწყალე! - წამოიძახა მისტერ პიკვიკმა.

- დიახ, სერ, ვახშამიც იქნება, - დაუმატა პოტმა.

- რას ამბობთ! - გაოცდა მისტერ პიკვიკი.

პოტმა მეტყველად დაუკრა თავი.

მისტერ პიკვიკი ვითომდა ძალიან გაოცდა, წვეულების ამბავი რომ გაიგო, მაგრამ იგი იმდენად ცუდად ერკვეოდა ადგილობრივ პოლიტიკაში, რომ ახლაც ნათლად ვერ წარმოედგინა, თუ რა მნიშვნელობა ჰქონდა ზემოხსენებულ ბილწსა და ვერაგ შეთქმულებას. პატივცემულმა რედაქტორმა დაუყოვნებლივ ამოიღო დასტიდან „იტენსვილის გაზეთის“ უკანასკნელი ნომერი და მეგობარს შემდეგი ნაწყვეტი წაუკითხა:

„ყვითლების ეშმაკური მზაკვრობა“

ჩვენმა ბილწმა მოწინააღმდეგემ არაერთხელ დაანთხია შხამი იმ იმედით, რომ შეელახა და ლაფში ამოესვარა ჩვენი საყოველთაოდ ცნობილი და ღირსეული წარმომადგენლის, პატივცემული მისტერ სლამკის უმწიკვლო სახელი. იმ სლამკის, რომელსაც გაცილებით ადრე, ვიდრე ის დაიკავებდა იმ დიდსა და საპასუხისმგებლო თანამდებობას, რომელიც ამჟამად უკავია, უწინასწარმეტყველეთ, რომ დადგება დღე (და ეს დღე მართლაც დადგა), როდესაც მთელი ქვეყანა მას თაყვანსა სცემს და იამაყებს იმით, რომ მისი სახით ესოდენ სასიქადულო, ზედმიწევნით კეთილშობილი დამცველი ჰყავს. ჩვენი ბილწი მეტოქე, ვამ-

ბობთ, იმდენად გაკადნიერდა, რომ სასაცილოდ აიგდო საუცხოო ნაჭედი ვედრო ნახშირისათვის, რომელიც ჩვენს დიად წარმომადგენელს მოართვეს აღფრთოვანებულმა ამომრჩევლებმა. ერთ-ერთმა არამზადამ, რომელიც მალავს თავის სახელს, წამოაყენა საზიზღარი ცილისწამება, თითქოს ამ საჩუქრისათვის შეგროვებული თანხის სამ მეოთხედზე მეტი თვით პატივცემულ სლამკის შეუტანია თავისი მსახურთუხუცესის უახლოესი მეგობრის სახელით. ნუთუ ამ ქვეწარმავალს, ამ სულმდაბალ არსებას არ ესმის - ეს რომ მართალიც იყოს, პატივცემულ სლამკის ეს საქციელი კიდევ უფრო დიადი (თუკი ეს შესაძლებელია), უფრო ბრწყინვალე შარავანდედით მოსავს? ნუთუ ამ ბრიყვს არ ესმის, რომ სლამკის ესოდენ კეთილმა სურვილმა, - აღასრულოს ამომრჩეველთა ნება - სამუდამოდ უნდა მოაჯადოოს მათი გულები, ვინც პირუტყვებივით უგუნური არ აღმოჩნდა ან სხვა სიტყვით რომ ვთქვათ, სულით არ დაეცა, ვითარცა ზემოხსენებული ჩვენი თანამედროვე. დეე იცოდეს ყველამ, თუ როგორ მზაკვრულ ეშმაკობას მიმართავენ ყვითლები! მაგრამ ეს როდი იკმარეს მათ. აქ ნამდვილი ღალატია, ცბიერი ღალატი! გაბედულად ვაცხადებთ - ახლა, როდესაც იძულებული ვართ, ვამხილოთ ეს საქმე და ქვეყნისა და მისი კონსტებლების მფარველობა ვითხოვოთ, თამამად ვაცხადებთ: ამჟამად ჩვენი მოწინააღმდეგე ჩუმად ემზადება ყვითელი ბალისათვის, რომელსაც ყვითელ ქალაქში გამართავენ, ყვითელი მოსახლეობის შუაგულში, ყვითელივე ცერემონმაისტერის ხელმძღვანელობით. ამ წვეულებას დაესწრება პარლამენტის ოთხი, ულტრაყვითელი წევრი და შესვლაც მხოლოდ ყვითელი ბილეთებით იქნება. ნუთუ, არა თრთის ჩვენი წყეული თანამედროვე? დაე, ჯავრით მოკვდეს, როდესაც ჩვენ განვუცხადებთ: „ჩვენც იქ ვიქნებით!“

- აი, სერ, - დაუმატა ქანცგამოლეულმა პოტმა და გაზეთი დაკეცა, - ამგვარი გახლავთ საქმის ვითარება.

სწორედ ამწუთს სასტუმროს პატრონმა და ლაქიამ სადილი შემოიტანეს. მისტერ პოტმა თითი მიიდო ტუჩებზე, რითაც ანიშნა მისტერ პიკვიკს, რომ აწი ჩემი სიცოცხლე თქვენს ხელშია და ფრთხილად იყავითო. მისტერ ბობ სოიერმა და მისტერ ბენჯამინ ალენმა, რომელნიც ტკბილად სთვლემდნენ, ვიდრე პატივცემული რედაქტორი ზემოაღნიშნულ ნაწყვეტს კითხულობდა: „იტენსვილის გაზეთის“ მოწინავედან, უმალვე ყურები ცქვიტეს, როგორც კი შემოესმათ ჩურჩულით ნათქვამი ჯადოსნური სიტყვა „სადილიო“. მართლაც, არ გასულა ხუთი წუთი, რომ ისინი სადილობას შეუდგნენ. ორთავე მადაზე იყო, რადგან საჭმელი კარგა ხნის მონელებული ჰქონდათ, ჯანმრთელობაც ხელს უწყობდა საჭმლის შთანთქმას და მის მონელებასაც, ლაქია კი სამივეს ეშველებოდა მადასაც, საჭმლის მონელებასა და ჯანმრთელობას.

სადილის დროს და მის შემდეგაც გაიმართა საუბარი, რომლის განმავლობაში დიადმა პოტმა შინაური ამბებიც მოახსენა მეგობრებს, სახელდობრ ის, რომ იტენსვილის ჰავა არ მოუხდა მის მეუღლეს და მან გადაწყვიტა, მოენახულებინა სხვადასხვა ცნობილი კურორტი, რათა შელახული ჯანმრთელობა აღედგინა. ამ სიტყვებით მან დელიკატურად დაფარა ის ფაქტი, რომ მისის პოტმა, რომელიც არაერთხელ დამუქრებია ქმარს, გაგეყრებიო, საბოლოოდ განახორციელა ნათქვამი. ვიღაც ერთგულ რაინდთან ერთად სამუდამოდ მიატოვა მეუღლე და სხვა მხარეს გადასახლდა; თანაც ძმის, ლეიტენანტის საშუალებით, ხელშეკრულება დაუდო ყოფილ მეუღლეს, რომლის ძალით რედაქტორის ჯამაგირისა და „იტენსვილს გაზეთის“ შემოსავლის ნახევარს მიიღებდა წლიურად.

ვიდრე დიადი პოტი ზემოხსენებულსა და კიდევ სხვა თემებზე ესაუბრებოდა მეგობრებს, თანაც ხშირ-ხშირად ჩაურთავდა ციტატებს საკუთარი ნაწარმოებებიდან, ვიღაც მკაცრი და პირქუში შესახედაობის ჯენტლმენმა კარეტის ფანჯრიდან გადმოყო თავი (ეს კარეტა ბირმინგემში მიდიოდა და დროებით სასტუმროს წინ შეჩერდა, რომ მეეტლეს ჩამოტანილი ამანათები ჩაებარებინა სასტუმროს პატრონისათვის) და იკითხა, - ღამის გასათევად თქვენთან ლოგინს თუ ვიშოვიო.

- რა თქმა უნდა, სერ, - მიუგო სასტუმროს პატრონმა.

- ნუთუ, მართლა? მართალს ამბობთ? - ისეთი კილოთი იკითხა უცნობმა, რომ ეტყობა, ბუნებით ძალიან ეჭვიანი კაცი უნდა ყოფილიყო.

- ეჭვი ნუ გეპარებათ, სერ, - მიუგო კვლავ სასტუმროს პატრონმა.

- კეთილი, - წარმოთქვა უცნობმა, - მეეტლევ, მე აქ ჩამოვალ. კონდუქტორო, ჩემი საკვოიაჟი გადმომეცით!

უცნობმა დანარჩენ მგზავრებს ღამე ნებისა უსურვა და ეტლიდან გადმოვიდა. ეს იყო დაბალი კაცი, რომელსაც შავი, გაფშეკილი თმა ჯაგარივით ედგა თავზე. მთელ მის გარეგნობას მედიდური იერი დაჰკრავდა; ქცევაზეც ეტყობოდა, მბრძანებლობას იყო ჩვეული. თავი ისე ქედმაღლურად ეჭირა, რომ აშკარად აგრძნობინებდა უბრალო მოკვდავთ საკუთარ ღირსებასა და უპირატესობას.

ხსენებული ჯენტლმენი იმ ოთახში შეიყვანეს, რომელიც თავდაპირველად სამშობლოს თავდადებული რაინდის, დიდი პოტისათვის იყო განკუთვნილი. ლაქიას გაოცებით ენა დაება, როდესაც უცნაური თანხვედრა შეამჩნია: სანთლები აანთო თუ არა, უცნობმა ქუდის სარჩულიდან გაზეთი დააძრო და შეუდგა კითხვას ისეთივე ბრაზითა და ზიზღით სავსე სახით, რომელიც ერთი

საათის წინ მისტერ პოტის დიად სახეზე შეამჩნია და შიშით კინაღამ დამბლა არ დაეცა. ლაქიამ ისიც შეამჩნია, რომ მისტერ პოტში ესოდენ ძლიერი ზიზღი გამოიწვია გაზეთმა, რომელსაც „იტენსვილის დამოუკიდებელი“ ეწოდებოდა. მაშინ, როდესაც, ამ ჯენტლმენში ბრაზმა იფეთქა „იტენსვილის გაზეთის“ კითხვისას.

- სასტუმროს პატრონს დამიძახეთ, - უბრძანა მსახურს უცნობმა.

- მესმის, სერ, - მიუგო ლაქიამ.

სასტუმროს პატრონს უხმეს.

- თქვენ ხართ სასტუმროს პატრონი? - შეეკითხა ჯენტლმენი.

- გახლავართ, სერ, - მიუგო სასტუმროს პატრონმა.

- მიცნობთ ვინცა ვარ? - ჰკითხა ჯენტლმენმა.

- არა მაქვს ასეთი ბედნიერება, სერ, - თავაზიანად მიუგო სასტუმროს პატრონმა.

- ჩემი გვარი სლერკი გახლავთ, - აუწყა ჯენტლმენმა.

სასტუმროს პატრონმა ოდნავ დაუკრა თავი.

- სლერკი, სერ, - ქედმაღლურად გაიმეორა ჯენტლმენმა, - ახლა ხომ იცით, ვინც ვარ?

სასტუმროს პატრონმა ქოჩორი მოიფხანა, ჭერს ახედა, მერე უცნობს გადახედა და ოდნავ გაიღიმა.

- მეგობარო, ხომ იცით, ვინც ვარ? - გაბრაზებით თქვა უცნობმა.

სასტუმროს პატრონს სახე დაეჭიმა, - ძალიან შეეცადა გაეხსენებინა. ბოლოს მიუგო:

- არ ვიცი, სერ.

- ო, ზეცავ! - წამოიძახა უცნობმა და მუშტი დაარტყა მაგიდას, - აი, ეს გახლავთ დიდება და სახელი!

სასტუმროს პატრონმა უნებლიეთ კარისკენ დაიხია. უცნობმა თვალით განგმირა და განაგრძო:

- აი, ეს გახლავთ მადლობა, ამდენი წლის თავდადებული შრომისათვის ჩვენი ერის საკეთილდღეოდ. აბა, სად არის მოზეიმე ხალხი, რომელთაც საგანგებოდ მოუყრიათ თავი, რათა თავის ბელადს შეეგებონ. არც ზარების რეკვა გაისმის და არც მხიარული შეძახილები. ეს რაა! ჩემი სახელიც კი არ იწვევს აღტაცებას მათ გაქვავებულ გულებში! მათი უმადურობით ლამის მელანი გაიყინოს, - აღელვებული სლერკი მოუსვენრად მიდი-მოდიოდა ოთახში. - სჯობს კაცმა ყოველივეს თავი დაანებოს!

- გროგს ხომ არ მიირთმევთ, სერ? - შესთავაზა სასტუმროს პატრონმა.

- რომი მომართვით, - მრისხანე კილოთი განუცხადა მისტერ სლერკმა. - ცეცხლი თუ გინთიათ სადმე?

- ახლავე დავანთებ, სერ, - მიუგო სასტუმროს პატრონმა.

- და ოთახიც მხოლოდ მაშინ დათბება, ძილის დრო რომ დადგება, არა? - შეაწყვეტინა სიტყვა მისტერ სლერკმა. - სამზარეულოში თუ არის ვინმე?

იქ არავინ იყო. ბუხარში ცეცხლი გიზგიზებდა. მსახურებს უკვე კარი ჩაეკეტათ და დასაძინებლად წასულიყვნენ.

- რომს დავლევ სამზარეულოს ბუხართან, - განაცხადა მისტერ სლერკმა.

ჯენტლმენმა ქუდი და გაზეთი აიღო და სასტუმროს პატრონს გაჰყვა ზემოხსენებულ სადგომში. შევიდნენ თუ არა სამზარეულოში, სტუმარი ბუხართან ჩამოჯდა, ზიზღით მიმოიხედა და დარბაისლური იერით შეუდგა რომის სმასა და გაზეთის კითხვას.

მოხდა ისე, რომ სწორედ ამწუთს სასტუმროს თავზე უთანხმოების დემონმა გადაიფრინა. შემთხვევით მან, ცნობისმოყვა-

რე თვალით სამზარეულოს სარკმელში შეიხედა და სლერკი შენიშნა, რომელსაც ბუხართან მოეკალათა, მეორე ოთახში კი ღვინით შეჭიკჭიკებულ პოტს მოკრა თვალი. ბოროტი სული თვალის დახამხამებაში უჩინრად შეიჭრა ზემოხსენებულ ოთახში, მისტერ ბობ სოიერს შეუჯდა თავში და თავისი უკეთესი ზრახვების განსახორციელებლად, ახალგაზრდა ექიმს ათქმევინა შემდეგი:

- ბუხარი სულ არ დაგვავიწყდა ყველას! ცეცხლიც გამოქრა შიგ. წვიმის შემდეგ როგორ აცივდა!

- მართალს ბრძანებთ, - კვერი დაუკრა მისტერ პიკვიკმა და სიცივისგან შეიშმუშნა.

- კარგი იქნებოდა, ერთხელ კიდევ გაგვებოლებინა ჩიბუხი სამზარეულოს ბუხრის პირას, - შესთავაზა შეკრებილთ ბობ სოიერმა, რომელსაც კვლავ არ ასვენებდა ზემოხსენებული ბოროტი სული.

- მე ვფიქრობ, ძალიან სასიამოვნო იქნება, - მიუგო მისტერ პიკვიკმა, - თქვენ რაღას იტყვით, მისტერ პოტ?

მისტერ პოტი სიამოვნებით დაეთანხმა და ოთხივე მოგზაური, თითოეული ჭიქით ხელში, სამზარეულოსაკენ გაემართა სემ უელერის მეთაურობით, რომელიც წინ მიუძღოდა გზის მაჩვენებლად.

უცნობი კვლავ გაზეთს კითხულობდა. ხმაურზე თავი ასწია და შეკრთა. შეკრთა მისტერ პოტიც.

- რა მოხდა? - ჩურჩულით შეეკითხა მეგობარს მისტერ პიკვიკი.

- ეგ ქვეწარმავალი აქ ყოფილა! - აღმოხდა პოტს.

- რომელი ქვეწარმავალი? - ჩაეკითხა მისტერ პიკვიკი და შიშით მოავლო თვალი ოთახს, რომ შემთხვევით ფეხი არ დაედგა უზარმაზარი ტარაკანასათვის ან ვეებერთელა ობობასათვის.

- ეგ ქვეწარმავალი... - ამოილუღლუღა პოტმა, მისტერ პიკვიკს სახელოში სტაცა ხელი და უცნობზე მიუთითა. - ეგ ქვეწარმავალი... ეგ სლერკია „დამოუკიდებლიდან!“

- იქნებ წავიდეთ აქედან? - ჩასჩურჩულა მისტერ პიკვიკმა.

- არაფრის გულისათვის, სერ, - მთვრალი კაცის გამბედაობით მიუგო პოტმა. - არაფრის გულისათვის!

წარმოთქვა თუ არა ეს ღირსშესანიშნავი გადაწყვეტილება, მისტერ პოტი მოპირდაპირე სკამზე ჩამოჯდა ისე, რომ მეტოქეს სახეში შეჰყურებდა, გაზეთების დასტიდან ერთ-ერთი ნომერი ამოარჩია და კითხვას შეუდგა.

რა თქმა უნდა, რომ მისტერ პოტი კითხულობდა „დამოუკიდებელს“, ხოლო მისტერ სლერკი კი „იტენსვილის გაზეთს“. ყოველი მათგანი უდიდეს ზიზღს გამოხატავდა მოწინააღმდეგის ქმნილებისადმი იმით, რომ დროდადრო ხმამაღლა იცინოდა და დამცინავად იღიმებოდა. ცოტა ხნის შემდეგ უკვე ხმამაღლა დაიწყეს საკუთარი შეხედულებების გამოთქმა ისეთი კრიტიკული ხასიათის შენიშვნების სახით, როგორიცაა: „სისულელეა!“ „სულმდაბლობაა!“ „აღმაშფოთებელია!“ „ბილწი ცილისწამებაა!“ „სიბინძურეა!“ „თაღლითობაა!“ და სხვა.

მისტერ ბობ სოიერიცა და მისტერ ბენ ალენიც აღტაცებული ადევნებდნენ თვალყურს ზემოხსენებულ სიმპტომებს, რომელიც მეტოქეობისა და სიძულვილის აშკარა მაჩვენებელია, ამ პაექრობით წაქეზებული, ორთავე განსაკუთრებულ გემოს ატანდა სიგარას, რომლის ბოლოს ღრმად ისუნთქავდნენ. როდესაც მოწინააღმდეგენი მოიქანცნენ, ბობ სოიერმა რომელიც მოგეხსენებათ, დიდი ოინბაზი გახლდათ, მეტად თავაზიანად მიმართა სლერკს:

- ნება მიბოძეთ, თქვენს გაზეთს გადავხედო, სერ, ბოლომდე როცა ჩაიკითხავთ.

- მერწმუნეთ, ამ საცოდავ ფურცელში ღირსშესანიშნავს ვერას ნახავთ, სერ, - მიუგო სლერკმა და მრისხანედ გადახედა პოტს.

- ახლავ გადმოგცემთ, აი, ამას, - თქვა პოტმა და თავი ასწია. ბრაზისაგან საშინლად გაფითრებულიყო და იმავე მიზეზით ხმაც უკანკალებდა. - ჰა, ჰა, ჰა! ნამდვილად გულიანად გაგეცინებათ მაგ ვაჟბატონის ნათავხედარს რომ წაიკითხავთ.

სიტყვები „ფურცელი“ და „ვაჟბატონი“ ორივე რედაქტორმა ხაზგასმით წარმოთქვა. ორივეს ბრაზით სახე აელეწა.

- მაგ ვერაგი კაცის ლანძღვა-გინება ჭეშმარიტად შემზარავია, - ვითომდა ბობ სოიერს მიმართა პოტმა, ხოლო მრისხანე თვალი მოწინააღმდეგეს მიაპყრო.

აქ მისტერ სლერკმა გულიანად გადაიხარხარა, გაზეთი მოკეცა ისე, რომ მეორე სვეტის კითხვას შესდგომოდა და ხმამაღლა განაცხადა - ეგ რეგვენი მართლაც სასაცილოაო.

- სინდისგარეცხილი მატყუარაა ეს ვაჟბატონი, - განაგრძო პოტმა. რედაქტორს ეტყობა ბრაზი ყელში მოებჯინა, სახეზე წითლის ნაცვლად ლურჯი გადაეკრა.

- თუ წაგიკითხავთ ოდესმე მაგ კაცის ბრიყვული ბოდვა? - შეეკითხა სლერკი ბობ სოიერს.

- არა, - მიუგო ბობმა, - რაო, არ ვარგა?

- საძაგელია საძაგელი! - წამოიძახა სლერკმა.

- ღმერთო, შენ შემიწყალე, ეს ხომ წარმოუდგენელი სიგლახეა! - იღრიალა პოტმა. ვითომდა ეს არის, ახლა ამოიკითხა გაზეთში რაღაც.

- თქვენ თუ გაუძელით მაგ სიტყვებს, რომელიც გაჟღენთილია ვერაგობისა და სიყალბის თაღლითობისა და არამზადობის შხამით, - წარმოთქვა სლერკმა და ბობს გაზეთი გაუწოდა. - იქ-

ნებ გაგეცინოთ კიდეც ამ უწიგნური ბრიყვის როშვას რომ წაიკითხავთ.

- რა ბრძანეთ, სერ? - ჰკითხა მეტოქეს გააფთრებულმა პოტ-მა.

- რა თქვენი საქმეა, სერ? - ხმა გასცა სლერკმა.

- უწიგნური ბრიყვი მიწოდეთ, სერ? - განაგრძო პოტმა.

- დიახ, არ ცდებით, სერ, - მიუგო სლერკმა, - ჩალურჯებული სიჩლუნგეც გიწოდეთ, თუკი ეს უფრო გაწყობთ. ჰა, ჰა, ჰა!

ამ შეურაცხყოფაზე მისტერ პოტმა არაფერი უპასუხა. მან ნე-ლა მოკეცა „დამოუკიდებლის“ ნომერი, იატაკზე დააგდო, ზედ ფეხით შედგა, სამჯერ დააფურთხა და ბუხარში ისროლა.

- აი, ასე, სერ, - წარმოთქვა პოტმა და ბუხრიდან დაიხია, - ასევე გავუსწორდებოდი გველს, რომელმაც ეს გაზეთი შექმნა, მე რომ მისდა საბედნიეროდ ჩემი ქვეყნის კანონებს არ ვცემდე პატივს.

- მაშ, თუ ასეა, გაუსწორდით სერ! - წამოიძახა სლერკმა და ფეხზე წამოდგა. - ასეთ შემთხვევაში იგი არასოდეს მიმართავს კანონის მფარველობას. გაუსწორდით, სერ!

- გესმით? - წამოიძახა ბობ სოიერმა.

- გამოწვევა ჩატარდა ყოველი წესისა და რიგის მიხედვით, - შენიშნა მისტერ ბენ ალენმა.

მისტერ პოტმა მეტოქეს ისეთი ზიზღით სავსე თვალით გადა-ხედა, თითქოს უნდოდა ადგილზევე გაეცამტვერებინა.

- გაუსწორდით, სერ! - იყვირა სლერკმა.

- არ მსურს, სერ! - მიუგო პოტმა.

- აი თურმე რა ყოფილა. მაშ, არ გსურთ, სერ? - დაცინვით ჩაეკითხა სლერკი. - გესმით, ბატონებო? მაგას არ სურს! მას არც ეშინია! ო, არა, მას არ სურს! ჰა, ჰა, ჰა!

- სერ, - წარმოთქვა პოტმა, რომელსაც გულზე მოხვდა მეტოქის მწარე შენიშვნა, - თქვენ შხამიანი გველი ხართ! ერთი რამ იცოდეთ: მე თქვენ მიმაჩნიხართ ადამიანად, რომელმაც თავხედი და ჭეშმარიტად სამარცხვინო საქმიანობისათვის სამუდამოდ დაკარგა საპატიო ადგილი ჩვენს საზოგადოებაში. მე თქვენ გთვლით პირადადაც და პოლიტიკური თვალსაზრისითაც მავნე ექიდნად!..

„დამოუკიდებელი“ გულზე გასივდა. აღარ მოუცადა ზემოხსენებული მამხილებელი სიტყვის დამთავრებას, ხელი სტაცა საკვოიაჟს, რომელიც სავსე იყო პატრონის მოძრავი ქონებით და რაც ძალი და ღონე შესწევდა თავში სთხლიშა პოტს სწორედ იმ წუთს, როდესაც „იტენსვილის გაზეთის“ პატივცემული რედაქტორი მიბრუნდა. საკვოიაჟი სწორედ იმ კუთხით მოხვდა თავში პოტს, სადაც დიდი ჯაგრისი იდო. სამზარეულოში ტკაცუნი გაისმა და რედაქტორი უმალვე იატაკზე გაიშხლართა.

- ბატონებო! - დაიძახა მისტერ პიკვიკმა, როდესაც პოტი წამოხტა და აქანდაზს სტაცა ხელი. - ბატონებო, რას სჩადიხართ! გონს მოდით!.. სემ!.. გთხოვთ, ბატონებო!.. სემ! გააშველეთ, თუ ღმერთი გწამთ!

ამ სიტყვებით მისტერ პიკვიკი გააფთრებულთ შორის ჩადგა... ერთი მხრივ საკვოიაჟი მოხვდა თავში, ხოლო მეორე მხრივ - აქანდაზი. შესაძლოა იტენსვილის საზოგადოებრივი აზრის წარმომადგენელნი იმდენად დააბრმავა ურთიერთსიძულვილმა, ანდა ორთავემ დროზე გაითვალისწინა, რადგან მეტად გამჭრიახი გუნების პატრონი იყვნენ, თუ რამდენად ხელსაყრელია, როდესაც ორთაბრძოლაში მესამე პირი ჩაერევა, რომელსაც მოწინააღმდეგეთა დარტყმა მოხვდება - არავინ იცის. ასე იყო თუ ისე, არც ერთმა არ მიაქცია იოტისოდენა ყურადღებაც მისტერ პიკვიკს; ორთავე ერთმანეთს საბრძოლველად იწვევდა და

ორთავე, რაც ძალი და ღონე ჰქონდათ, ერთმანეთს ურტყამდა საკვოიაჟსა და აქანდაზს. ეჭვი არ გეპარებოდეთ, მკითხველო, მისტერ პიკვიკს მაგრად მოხვდებოდა ესოდენ კეთილი ჩარევისათვის, რომ ამ დროს მისტერ უელერი არ შემოვარდნილიყო სამზარეულოში. მოესმა თუ არა ბატონის ყვირილი, ერთგულმა მსახურმა ფქვილის ცარიელ ტომარას სტაცა ხელი, თავზე წამოაცვა ძლევამოსილ პოტს და მხრებზე მაგრად შემოეხვია.

- წაართვით საკვოიაჟი მაგ გადარეულს! - დაუყვირა სემმა ბენ ალენს და ბობ სოიერს, რომელნიც მთელი ამ ხნის განმავლობაში კუსძვლისტარიანი ლანცეტებით ხელში გარს უვლიდნენ მოჩხუბართ და მზად იყვნენ პირველსავე მსხვერპლისათვის, რომელიც დაეცემოდა ბრძოლის ველზე, დაუყოვნებლივ გამოეშვათ სისხლი. - ხელი გაუშვით მაგ საკვოიაჟს, არამზადავ, თორემ თავფეხიანად შიგ ჩაგკეტავთ!

ეტყობა, მუქარამ იმოქმედა „დამოუკიდებელზე“, რომელიც ბრძოლით დაქანცული სულს ძლივს ითქვამდა. იგი უსიტყვოდ დანებდა დასტაქრებს, მისტერ უელერმა კი პოტს ტომარა გადახადა და გააფრთხილა:

- ახლავე წადით და დაიძინეთ, თორემ ორივეს ერთ საწოლში ჩაგაწვენთ, პირებს გადაგიკრავთ და მაშინ იომეთ, რამდენიც გინდათ! თქვენისთანას ერთ დუჟინს მოვერევი, ჩხუბში თუ გამომიწვიეს... თქვენ კი, სერ, აქეთ მობრძანდით, - მიმართა სემმა მისტერ პიკვიკს, ხელი მკლავში გაუყარა და თავის ოთახში წაიყვანა. სასტუმროს პატრონმა მისტერ ბობ სოიერისა და მისტერ ბენჯამინ ალენის დახმარებით, ორთავე, ურთიერთმტრულად განწყობილი რედაქტორი, თავ-თავიანთ ოთახებში დააბინავა. გზაზე ორთავე ერთმანეთს ლანძღავდა და ემუქრებოდა, მაცალეთ ხვალ სამკვდრო-სასიცოცხლოდ შეგეჭიდებითო. მაგრამ შემდეგ კარგა ხანს იფიქრეს და დაასკვნეს, უფრო მიზანშეწონი-

ლი და გონიერი იქნება, ბრძოლა ისევ პრესის ფურცლებზე განვაგრძოთო. მართლაც, არ გასულა დიდი ხანი, რომ მათ განაახლეს საომარი მოქმედება თავთავიანთ გაზეთებში. სულ მალე იტენსვილი გააოცა მათმა სიმამაცემ - გაზეთის ფურცლებზე.

მეორე დღეს, ვიდრე დანარჩენ მგზავრებს ტკბილად ეძინათ, ორივე რედაქტორმა დილადრიანვე სხვადასხვა კარეტით გასწია იტენსვილისკენ. გამოიდარა და მისტერ პიკვიკიც თავის მეგობრებთან ერთად, დაუყოვნებლივ ლონდონს გაემგზავრა.

თავი LII

მოგვითხრობს უელერის ოჯახში მომხდარი ერთი, ფრიად მნიშვნელოვანი ამბის შესახებ და წითელცხვირა სტიგინზის დინასტიის უდროო დამხობას

რადგან მისტერ პიკვიკი გრძნობდა, რომ უხერხული იყო ბობ სოიერისა და ბენ ალენის მიყვანა ახალჯვარდაწერილებთან, თუ წინასწარ არ გააფრთხილებდა მათ და თან არაბელაც ეცოდებოდა - ძმის რისხვას მსხვერპლად არ შესწიროდა. მან ახალგაზრდა დასტაქრებს განუცხადა - მე და სემი „ჯორჯსა და ფასკუნჯში“ დავბინავდებით, თქვენ კი სხვა სასტუმროში გაჩერდითო. ყმაწვილებმა სიამოვნებით მიიღეს ეს წინადადება და აღნიშნული გეგმაც დაუყოვნებლივ მოიყვანეს სისრულეში - მისტერ ბენ ალენი და მისტერ ბობ სოიერი ბოროს ერთ-ერთ განაპირა ყავახანაში გაემგზავრნენ. აქ ჯერ კიდევ სტუდენტობის დროს მათ სახელებს არაერთხელ დაუმშვენებია ანგარიშების გრძელი სია, რომელიც ბუფეტის კარზე ცარცით იყო ჩამოწერილი.

- ღმერთო ჩემო, მისტერ უელერ! - შესძახა ლამაზმა მსახურმა ქალმა, როდესაც კართან სემი შემოხვდა.

- სჯობს ისევ გეთქვა, „საყვარელო სემ“, ჩემო ცუგრუმელავ, - უსაყვედურა სემმა და ერთი ნაბიჯით ბატონს ჩამორჩა, რომ მისტერ პიკვიკს მათი საუბარი არ გაეგონა. - მერი, რა ლამაზი ხარ!

- ო, მისტერ უელერ, რა სისულელეს ამბობთ! - თქვა მერიმ, - ო... მისტერ უელერ, ნუ იზამთ ამას, თუ ღმერთი გწამთ!

- რას ნუ ვიზამ, ჩემო ცუგრუმელავ? - ჰკითხა სემმა.

- აი ამას, - მიუგო ლამაზმა მსახურმა, - თავი დამანებეთ, თუ ღმერთი გწამთ!

ამ ზრდილობიანი თხოვნის შემდეგ ლამაზმა მსახურმა ხელი ჰკრა სემს; თანაც განუცხადა - გრცხვენოდეთ, სულ დამიჭმუჭნეთ არახჩინი და კულულები ამიწეწეთო, - და რაც მთავარია, აღარ მათქმევინეთ ის, რის თქმაც მინდოდა, - დაუმატა იქვე მერიმ, - აგერ ოთხი დღეა, რაც წერილი მოვიდა თქვენს სახელზე. ნახევარი საათიც არ გასულა, თქვენ რომ წახვედით და ეს წერილი მოიტანეს. კონვერტზე პირდაპირ აწერია - „სასწრაფოა“.

- სად არის წერილი, ჩემო ცუგრუმელავ? - ჰკითხა სემმა.

- მე გადავინახე, თორემ აქამდე სადმე მიკარგავდნენ, - მიუგო მერიმ, - აგერ, ინებეთ, თუმცა არა ხართ კი ამის ღირსი.

ეს რომ წარმოთქვა, მერიმ კეკლუცად გაუღიმა სემს, ეჭვი გამოთქვა - ვაითუ, მეც დამეკარგაო და ძებნას შეუდგა - კოხტა აბრეშუმის პელერინა გადასინჯა; ბოლოს ერთ-ერთი ნაკეციდან წერილი ამოიღო და გაუწოდა სემს, რომელმაც, რა თქმა უნდა, ესოდენ სათუთად შენახული უსტარი ნაზად დაკოცნა.

- ღმერთო ჩემო! - მიამიტად წამოიძახა მერიმ და თავსაბურავი შეისწორა, - ეგ რაღად შეგიყვარდათ ასე?

პასუხად სემმა მხოლოდ თვალი ჩაუკრა, რის ღრმა მნიშვნელობის გადმოცემაც სიტყვებით შეუძლებელია, მერე მერის გვერდით ფანჯრის რაფაზე ჩამოჯდა და წერილი გახსნა.

- ჰელოუ! - წამოიძახა სემმა, - ეს რაღას ნიშნავს?

- ცუდი ამბავი ხომ არ მოგსვლიათ? - ჰკითხა მერიმ და სემს ახედა.

- ღმერთმა დალოცოს ეგ ჟუჟუნა თვალები! - წამოიძახა სემმა და თავი ასწია.

- რა დროს ჩემი თვალებია! სჯობს ეგ წერილი წაიკითხეთ, - ურჩია ლამაზმა პირისფარეშმა და კვლავ ისე ალერსიანად შეხე-

და სემს, რომ ვაჟს გული დაუდნა - კვლავ ჩაკოცნა ქალი და კითხვას შეუდგა.

„მარკიზ გრენ“. დორკინზი, ოთხშაბათი

„ჩემო ძვირფასო სემუელ, ძალიან ვწუხვარ რომ უსიამოვნო ამბავი უნდა გაცნობო შენი დედინაცვალი სასტიკად გაცივდა ამას წინათ კოკისპირულად წვიმდა ეგ კი რამდენიმე საათის განმავლობაში ბალახზე იჯდა და მოძღვარს უსმენდა სულგანაბული იმ ჩემი ცოდვით სავსემ კი საღამომდე ფეხი არ მოიცვალა იმდენი გროგი დალია რომ პირი ვეღარ გააჩერა ძლივს მოვასულიერეთ ექიმი ამბობს ჩემს მარკიზას მანამდე კი არა მერე რომ დაელია გროგი ახლაც ჯანმრთელად იქნებოდაო აქით ვეცით იქით ვეცით ბორბლები მაგრად დავუზეთეთ რომ კვლავ ფეხზე წამომდგარიყო მამაშენსაც იმედი ჰქონდა რომ გადარჩებოდა მაგრამ შვილო მოსახვევში ნამეტანი მოუვიდა გზას ასცდა და კისრისტეხით ძირს დაეშვა უფსკრულისაკენ მედიცინამ იმწამსვე მუხრუჭები მოუჭირა მაგრამ ვეღარაფერმა უშველა უკანასკნელი გადასარბენი გუშინ სადილობამდე გაიარა ექვს რომ ოცი აკლდა და ვადაზე ადრეც მივიდა რადგან ბარგი არ ჰქონდა ბევრი მამა გითვლის ახლა თუ ჩამოხვალ ჩემს სანახავად სემი ძალიან გაუხარდება მას იმიტომ რომ ობლად დავრჩი სემუელ ეგ ამბობს ასე უნდა დაწეროო მე კი ვეუბნები აღარ შეიძლება წერაო რადგან საქმეა მოსალაპარაკებელი იგი დარწმუნებულია ბატონი გამოგიშვებს რა თქმა უნდა გამოგიშვებს იმიტომ რომ კარგად ვიცნობ მის კეთილ გულს მოკითხვას გითვლით და მეც ასევე ვრჩები შენი მონამორჩილი

ტონი ველერი“.

- რა აბდაუბდა წერილია! - წამოიძახა სემმა, - ნეტავ, როგორ უნდა გავარჩიო - ხან „ის“, ხან „მე“! მამის ხელსაც არა ჰგავს. მხოლოდ ეს ხელმოწერა, ბეჭდური ასოებით რომაა, ნამდვილად მისია.

- ეტყობა, ვინმეს სთხოვა წერილი მის ნაცვლად დაეწერა და მერე თვითონ მოაწერა ხელი, - უთხრა ლამაზმა პირისფარეშმა.

- მოიცადეთ, - თქვა სემმა და ხელახლა გადაავლო თვალი წერილს; გზა-გზა ზოგიერთ ადგილს საგანგებოდ უკვირდებოდა, - სწორად მიმხვდარხარ, ჩემო კარგო. ჯენტლმენმა, რომელმაც ეს წერილი დაწერა, ჩინებულად დაალაგა ნათქვამი - შეგვატყობინა მომხდარი უბედურების შესახებ; მერე კი ყველაფერი აურ--დაურია... მართალი ბრძანდებით ჩემო მერი... - გამოარკვია თუ არა ეს საკითხიც, სემმა ხელახლა ჩაიკითხა წერილი თავიდან ბოლომდე და თითქოს მხოლოდ ახლა მიხვდა, შიგ რა უსიამოვნო ამბავს ატყობინებდნენ და შეწუხებულმა წამოიძახა:

- მაშ, მომკვდარა საცოდავი! არ იქნებოდა ურიგო დიასახლისი, მაგ მოძღვრებს რომ არ გაეგიჟებინათ... მეცოდება საბრალო!

მისტერ უელერმა ისე სერიოზულად წარმოთქვა ეს სიტყვები, რომ ლამაზმა მსახურმა თვალები დახარა და ჩაფიქრდა.

- რა გაეწყობა, - ამოიოხრა სემმა და წერილი ჯიბეში შეინახა, - რაც მოხდა, მოხდა, როგორც ბრძანა ერთმა მოხუცმა ლედიმ, რომელიც თავის ლაქიას ცოლად გაჰყვა. ამ საქმეს არაფერი ეშველება... არა, მერი? - მერიმ თავი გააქნია და ამოიოხრა.

- ჩემს მბრძანებელს შვებულება უნდა ვთხოვო, - განაცხადა სემმა.

მერიმ კვლავ ამოიოხრა - უთუოდ წერილმა აუჩუყა გული.

- ნახვამდის! - თქვა სემმა.

- გზა მშვიდობისა! - მიუგო ლამაზმა პირისფარეშმა და პირი მიიბრუნა.

- ნება მიბოძეთ, ხელი ჩამოგართვათ, - მიმართა მას სემმა.

მერიმ გაუწოდა პაწია, ფუმფულა ხელი და წამოდგა.

- მალე დავბრუნდები, - თქვა სემმა.

- სულ გზაში ხართ, - უსაყვედურა მერიმ და კვლავ პირი იბრუნა, - ჩამოსვლას ვერ ასწრებთ, რომ კვლავ მიემგზავრებით.

მისტერ უელერმა გულში ჩაიკრა ქალი და ყურში ნაზად ჩასჩურჩულა რაღაც; წუთიც არ გასულა, რომ ქალმა კვლავ თვალებში შეხედა და შესცინა. ერთმანეთს რომ დასცილდნენ, ლამაზმა მსახურმა ოთახში შეირბინა, აწეწილი თმა და არახჩინი გაისწორა და მხოლოდ მაშინ ეახლა ქალბატონს; კიბეზე რომ ადიოდა, სემს უქნევდა თავს და ალერსიანად უღიმოდა.

- ორ დღეში დავბრუნდები, სერ, - უთხრა ბატონს სემმა.

- იმდენ ხანს დარჩით, რამდენიც საჭიროდ მიიჩნიოთ, სემ, - მიუგო მისტერ პიკვიკმა, - მე გათავისუფლებთ და აწი თქვენი ნებაა.

სემმა თავი დაუკრა.

- მამას უთხარით, სემ, რომ თუკი რამით შემიძლია დავეხმარო, დიდი სიამოვნებით ვიღონებ ყოველივეს.

- გმადლობთ, სერ, - მიუგო სემმა, - აუცილებლად გადავცემ.

შვიდი საათი იქნებოდა, როდესაც სემი სამგზავრო ეტლის კოფოდან გადმოვიდა დორკინზში, „მარკიზ გრენბი“ აქედან სულ ორი ფეხის ნაბიჯზე იყო.

ცივი, მოღრუბლული საღამო იყო; პაწია ვიწრო ქუჩა კაეშანს ჰგვრიდა და მამაცი კეთილშობილი მარკიზის წითური სახე, რომელსაც ქარი უწყალოდ აჭრიალებდა და გაუთავებლად აქანავებდა, უფრო მოღუშული, სევდით სავსე გამოიყურებოდა. ყავახანაში დარაბები დახურული იყო, ფარდები ჩამოშვებული.

სემს არავინ შემოეგება, ამიტომ ჩუმად შეაღო კარი და სახლში შევიდა. როგორც კი მიმოიხედა, იმწამსვე თვალი მოჰკრა მამას.

ახალდაქვრივებული მშობელი ბუფეტის გადაღმა, მრგვალ მაგიდასთან იჯდა ბუხრის პირას; ცეცხლს ჩასჩერებოდა სევდიანად და ჩიბუხს ეწეოდა. დედინაცვალი, ეტყობა, იმ დღეს დაესაფლავებინათ, რადგან ქუდზე, რომელიც ჯერ კიდევ თავზე ეხურა, მიმაგრებული კარგა გრძელი შავი ბაფთა იატაკზე დასთრევდა.

მისტერ უელერი მძიმე ფიქრებში იყო გახვეული. სემმა რამდენჯერმე დაუძახა, მაგრამ მშობელმა ხმა არ გასცა, - კვლავ ჩიბუხს ეწეოდა ღრმად ჩაფიქრებული; თავი ასწია მხოლოდ მაშინ, როდესაც შვილმა მხარზე ხელი დაადო.

- შენა, სემი! - შესძახა მისტერ უელერმა, - საღამო მშვიდობისა.

- რამდენჯერმე დაგიძახე, მაგრამ ხმა არ გამეცით, - უთხრა სემმა და ქუდი ლურსმანზე ჩამოკიდა.

- არ გამიგონია, სემი, - მიუგო მისტერ უელერმა და კვლავ ცეცხლს მიაჩერდა, - ოცნებამ გამიტაცა.

- რამ გაგიტაცა? - ჰკითხა სემმა და ისიც იქვე მიუჯდა ბუხარს.

- ოცნებამ, სემი, - გაუმეორა უფროსმა უელერმა, - იმაზე ვფიქრობდი, სემუელ...

მისტერ უელერმა თავი გაიქნია იქით, საითაც დორკინზის სასაფლაო ეგულებოდა და სემიც მიხვდა, რომ მამამისი განსვენებულ მისის უელერს გულისხმობდა.

- აი, რას ვფიქრობდი, სემი, - განაგრძო მისტერ უელერმა სერიოზული კილოთი და ჩიბუხს ზემოდან გადმოხედა შვილს, თითქოს იმის ნიშნად, რომ რაგინდ უცნაური და საკვირველი უნდა მოგეჩვენოს ჩემი ნათქვამი, მაინც იცოდე, რომ მართალს

მოგახსენებო, - აი, რას ვფიქრობდი, სემი: ერთი სიტყვით, გული მწყდება, რომ მოკვდა.

- რას იზამ, ასეც უნდა ყოფილიყო, - ანუგეშა სემმა.

მისტერ უელერმა თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია. კვლავ ცეცხლს მიაჩერდა, ჩიბუხი გააბოლა, კვამლმა სახე დაუფარა და ჩაფიქრდა.

მცირე ხანს სიჩუმე ჩამოვარდა.

- ძალიან საგულისხმო რამ მითხრა, სემი, - წარმოთქვა მისტერ უელერმა და ხელით კვამლი გაფანტა.

- რა გითხრათ? - შეეკითხა სემი.

- ის სიტყვები, რაც მაშინ მითხრა, ავად რომ გახდა, - მიუგო მოხუცმა ჯენტლმენმა.

- რა გითხრათ მერე?

- აი, რა, უელერ! თქვა - ვაითუ, ისე ცუდად გექცეოდი... შენ ძალიან კეთილი ხარ და მეც უნდა მეზრუნა, რომ კარგად გეგრძნო თავი ამ სახლში. ახლა კი - თქვა - როდესაც გვიანღაა, მივხვდი, რომ გათხოვილ ქალს თუ სურს ღვთის მორწმუნე იყოს, უპირველესად ოჯახზე უნდა იზრუნოს, რომ მისიანები იყვნენ ბედნიერი და კმაყოფილი; და თუ დიასახლისი ეკლესიაში ან სხვაგან დადის სალოცავად და დაკისრებულ მოვალეობას თავს არიდებს, ამით, ის მხოლოდ თავის სიზარმაცესა და უქნარობას მალავს, მხოლოდ საკუთარ სურვილებსა და ჟინს ჰყვება... მეც, - თქვა, - ასე ვიქცეოდი, ვხარჯავდი დროსა და ფულს ისეთ ადამიანებზე, რომლებიც ჩემზე უკეთესები კი არა, ჩემზე უარესები იყვნენ... მაგრამ იმედი მაქვს, მე რომ მოვკვდები, შენ კვლავ ისე მომიგონებ, როგორიც ვიყავი, ვიდრე მაგ ხალხს გადავეყრებოდი, და როგორიც ნამდვილად ვარ.

- სიუზენ, - ვუთხარი. მართალი გითხრა, ჩემო სემუელ, არ მოველოდი ასეთ აღსარებას, - სიუზენ, - ვუთხარი, - ჩემთვის მუდამ

კარგი ცოლი იყავი, ამაზე ლაპარაკიც ზედმეტია. ახლა ყოჩაღად იყავი, ჩემო კარგო და აი, ნახავ, რა დღესაც დავაყრი იმ სტიგინზს. მან გამიღიმა, სემუელ, - დაუმატა მოხუცმა ჯენტლმენმა და ჩიბუხი გააბოლა, რომ ოხვრა არ დასცდენოდა, - გამიღიმა და მერე მაინც მოკვდა...

რამდენიმე წუთის განმავლობაში მოხუცი დანანებით აქნევდა თავს და ხმის ამოუღებლად ეწეოდა ჩიბუხს.

- დიახ, - დაიწყო სემმა, რომელმაც იქვე გადაწყვიტა რაიმე უბრალო, მაგრამ დიდად სანუგეშო მოსაზრება გამოეთქვა, რომ მოხუცი დაემშვიდებინა. - დიახ, მამილო, ადრე თუ გვიან, ყველა საიქიოს წავალთ.

- წავალთ, სემი, წავალთ, - კვერი დაუკრა უფროსმა უელერმა.

- განგებას ასე გაუჩენია, - განაგრძო სემმა.

- რა თქმა უნდა, - დაეთანხმა მამა და მოწონების ნიშნად თავი დაუქნია, - ეგ რომ არ იყოს, მეკუბოვეებს რა ეშველებოდათ, სემი?

ამ დებულებიდან იმდენი დასკვნა გამოდიოდა, რომ უფროსი უელერი დაიბნა. ჩიბუხი მაგიდაზე დადო და ბუხარში ნაკვერჩხლების ჩხრეკას შეუდგა.

ვიდრე მოხუცი ჯენტლმენი ამ საქმით იყო გართული, ოთახში მეტად კოპწია მზარეული შემოგოგმანდა, შავებში ჩაცმული; სემს რამდენჯერმე გაუღიმა იმის ნიშნად, რომ გიცანიო, უბრად დადგა უფროსი უელერის სკამის უკან და ნაზად ჩაახველა, - ეტყობა, პატრონს აცნობა, მოვედიო. რადგან ამ მეტყველ ნიშანს არავინ მიაქცია ყურადღება, ქალმა უფრო ხმამაღლა ჩაახველა.

- ჰელოუ, - წამოიძახა მოხუცმა და სკამი გასწია. ხელიდან ქარცახი გაუვარდა. - რა მოხდა?

- ჩაი მიირთვით, ჩემო კარგო, - ტკბილი ხმით შესთავაზა ლამაზმა მსახურმა.

- არ მინდა! - უხეშად მოუჭრა მისტერ უელერმა, - გასწით ჯანდ... - მაგრამ უცებ შეიკავა თავი და უფრო დაბალი ხმით უთხრა, - გასწით აქედან.

- ღმერთო, შენ შემიწყალე, როგორ ცვლის კაცს უბედურება! - წამოიძახა მანდილოსანმა და თვალები გადაატრალა.

- ექიმისა და სიკვდილის გარდა სწორედ ეგ თუ შეცვლის ჩემს მდგომარეობას, - ჩაიბურტყუნა მისტერ უელერმა.

- ჩემს დღეში არ მინახავს ასეთი უხეში ჯენტლმენი! - წამოიძახა კვლავ ლამაზმა მსახურმა.

- თქვენ ნუ წუხხართ, მე მომიხდება ყველაფერი, როგორც ინუგეშა თავი ერთმა მოწაფემ, რომელიც მაგრად გაროზგეს, - მიუგო მოხუცმა ჯენტლმენმა.

ლამაზმა მსახურმა თანაგრძნობის ნიშნად თავი დააქიცინა და დახმარებისთვის ახლა სემს მიმართა - განა არ სჯობს, მამამ ცოტა თავი შეიკავოს და ასე არ აჰყვეს დარდსო.

- იცით რა, მისტერ სემუელ, - თქვა ლამაზმა მსახურმა, - ჯერ კიდევ გუშინ გავაფრთხილე, მარტოობა შეგაწუხებს, მაგრამ რა გაეწყობა ყოჩაღად უნდა შევხვდეთ უბედურებას-მეთქი. ღმერთო ჩემო, ჩვენ ხომ, ყველანი, თანავუგრძნობთ; მზად ვართ ყველანაირად ვემსახუროთ... არ არსებობს ისეთი სადარდელი, რომელსაც არ ეშველებოდეს, მისტერ სემუელ... ასე მითხრა სწორედ ერთმა პატივცემულმა, ღირსეულმა ჯენტლმენმა, როდესაც ქმარი მომიკვდა.

მჭევრმეტყველმა მანდილოსანმა ხელი პირზე მიიფარა, კვლავ ჩაახველა და უფროს უელერს ნაზად გადახედა.

- რადგან თქვენი მჭევრმეტყველება ახლა არაფრად მჭირდება, ქალბატონო, გთხოვთ, დამანებოთ თავი, - გაჯავრებით უთხრა მისტერ უელერმა.

- მისმინეთ, მისტერ უელერ, - მიუგო ლამაზმა მზარეულმა, - მე ხომ თქვენთვის სიკეთის მეტი არაფერი მინდა.

- შესაძლოა ასეც იყოს, ქალბატონო, - თქვა მისტერ უელერმა, - სემუელ, თუ ღმერთი გწამს, მიაცილეთ ერთი ეს ლედი კარამდე და როცა გავა, კარი მაგრად გადაკეტე.

ამ გადაკრულმა თქმამ გაჭრა: ლამაზი მზარეული იმავე წამს ოთახიდან გავიდა და კარი მიიჯახუნა; უფროსმა უელერმა კი, რომელიც ოფლად იწურებოდა, შვებით ამოისუნთქა და სკამზე გადაწვა.

- სემი, - თქვა მან, - აქ თუ დავრჩი ერთ კვირას, მხოლოდ ერთ კვირას, ჩემო ბიჭიკო, თვალის დახამხამებას ვერ მოვასწრებ, რომ ცოლად შემართვევინებს თავს.

- რას ამბობ! - ნუთუ ასე მაგრადაა შეყვარებული? - ჰკითხა სემმა.

- შეყვარებული! - წამოიძახა მამამ, - ვერაფრით მოვიშორე! ცეცხლგამძლე კარადაში რომ ჩამსვან, ინგლისური საკეტით რომაა დაკეტილი, იქაც შემოძვრება, სემი.

- დიდებული ამბავია, ასე რომ თავს გევლებიან, - ღიმილით წარმოთქვა სემმა.

- მე ეგ არაფრად მეჭაშნიკება, სემი, - მიუგო მისტერ უელერმა და რაც ძალა და ღონე ჰქონდა კვლავ ნაკვერჩხლებს მოურია, - ეს საშინელი მდგომარეობაა, ლამის სახლიდან გამაგდონ. ის იყო შენმა დედინაცვალმა სული დალია, რომ ერთმა ბებრუხანამ მურაბა გამომიგზავნა, მეორემ კი ვეებერთელა ტოლჩით ჟელე მომართვა.

მისტერ უელერი დადუმდა, სახე ზიზღით აევსო; მერე დაუმატა:

- ეგენი ყველანი ქვრივები არიან, ყველანი, გარდა იმისა, გვირილა რომ მომიხარშა. ის ჯერ გაუთხოვარია, ორმოცდაცამეტი წლისაა.

სემმა კვლავ ეშმაკურად ჩაუკრა თვალი, მოხუცმა ჯენტლმენმა კი ისეთი გაშმაგებით დაჰკრა ცეცხლმოკიდებულ კუნძს ქარცახი, თითქოს იგი ერთ-ერთი ზემოხსენებული ქვრივის თავი ყოფილიყო.

- ერთი სიტყვით, სემი, არხეინად მხოლოდ მაშინ ვარ, როცა ეტლის კოფოზე ვზივარ.

- კი მაგრამ, რატომ? - ჰკითხა სემმა.

- იმიტომ, რომ მეეტლეს ერთი უპირატესობა აქვს, - მიუგო მისტერ უელერმა და მეტყველად გადახედა შვილს, - იმიტომ, რომ მეეტლეს შეუძლია ისეთი რამ გააკეთოს, რასაც სხვები ვერ გააკეთებენ და კაცი არ იტყვის ძვირს მაგაზე. მეეტლე შეიძლება გულთბილად ექცეოდეს თუნდაც ოთხმოც ათას ქალს და მაინც აბა, ვის მოუვა თავში, რომ მას მათი შერთვა სურს? მეეტლის მეტს ვის შეუძლია ამის თქმა, სემი?

- ვფიქრობ, მართალს ბრძანებ, - დაეთანხმა სემი.

- აი, შენი ბატონი მეეტლე რომ ყოფილიყო, - განაგრძო მისტერ უელერმა, - ნუთუ ეჭვი გეპარება, რომ ეგ მოსამართლეები ბრალდებას ვერ დაუმტკიცებდნენ? ვერას გახდებოდნენ, კიდეც რომ საქმე სასამართლოში გადაეცათ.

- რატომ მერე? - ეჭვით იკითხა სემმა.

- აი, რატომ, - მიუგო მისტერ უელერმა, - ეგ იგივეა, რაც შუა ბილიკი უცოლობასა და ცოლიანობას შორის. ეგ ყოველმა წესიერმა კაცმა იცის.

- ნუთუ მართლა! თქვენ მგონი იმის თქმა გსურთ, რომ მეეტ-ლეები ყველას უყვარს და მათ არავინ აწყენინებს? - ჰკითხა სემ-მა.

თანხმობის ნიშნად მშობელმა თავი დაუქნია.

- რატომ ხდება ასე, - განაგრძო მამამ, - მეც ვერაფერს გეტ-ყვი. აზრზე არ ვარ, თუ რატომაა, რომ „ხანგრძლივი სვლის“ მე-ეტლე ყველას ისე აყვარებს თავს, რომ ყველა ქალაქში, სადაც კი გაივლის ეტლით, მშვენიერთა სქესი სულ უკან დასდევს. ნამ-დვილად ასეა, ეჭვი არც შეგეპაროს... ეტყობა, ბუნებით მოს-დევთ „დისპანსერია“... როგორც ამბობდა საწყალი შენი დედი-ნაცვალი.

- დისპანსერი კი არა, დისპანსაცია, - გაუსწორა სემმა.

- კაი, ასე იყოს, სემ, თუ ეგ უფრო მოგწონს, - მიუგო მისტერ უელერმა, - მე მაგას მუდამ დისპანსერს ვეძახი, ასეც წერია იმ ადგილებში, სადაც უფასოდ არიგებენ წამლებს, თუკი ჭურჭელი მიიტანე.

ეს რომ თქვა, მისტერ უელერმა კვლავ თუთუნით დატენა ჩი-ბუხი, მოუკიდა და ჩაფიქრებული სახით განაგრძო:

- ჰოდა ასე, ჩემო ბიჭიკო, აქ რომ დავრჩე, უეჭველად ცოლს შემრთავენ, თუმცა სულაც არ ვაპირებ, მაგრამ იცოდე, არც იმას ვაპირებ, რომ სამუდამოდ განვუდგე ჩვენი საზოგადოების მშვე-ნიერ წევრებს. გადავწყვიტე ისევ იქ წავიდე, სადაც ხიფათი არ მელის... კვლავ „მშვენიერ ველურ ასულში“ დავსახლდები. იქაური ჰაერი ძალიან მიხდება, სემი.

- ამ ყავახანას რაღას უშვები? - ჰკითხა სემმა.

- ყავახანას, სემუელ, - მიუგო მოხუცმა ჯენტლმენმა, - მთელი თავისი ავლადიდებით გავყიდი. შენმა დედინაცვალმა სიკვდი-ლის წინ ისურვა, რომ ამ ფულიდან ორასი გირვანქა შენ სახელ-ზე დავაბანდო იმ რაღაცებში... რა ჰქვია იმათ?

- რა რაღაცებში? - ჰკითხა სემმა.

- აი, იმ რაღაცებში, სიტიში რომ მუდამ ხან ადის და ხან ჩადის.

- ომნიბუსები? - დაეხმარა სემი.

- სისულელეს ამბობ, - მიუგო მისტერ უელერმა, - აი, ისინი, მუდამ რომ ხან ასეა, ხან ისე. ეგ მერევა ხოლმე სახელმწიფო სესხთან, ბანკის ჩეკებთან და სხვა ჯანდაბასთან.

- ობლიგაციები! - მიუხვდა სემი.

- ეგაა, ეგ, - კვერი დაუკრა მისტერ უელერმა, - ობოლგაციები. ჰოდა, ამ ფულიდან ორასი გირვანქის ობოლგაციებს შენს სახელზე შევიძენ, სემუელ, ოთხ-ნახევარ პროცენტად.

- ფრიად სასიქადულოა, რომ ქალბატონმა მეც გამიხსენა, - თქვა სემმა, - და ამისთვის დიდ მადლობასაც მოგახსენებთ.

- დანარჩენი ფული ჩემს სახელზე იქნება, - განაგრძო უფროსმა უელერმა, - და როდესაც მეც უკანასკნელ გადასასვლელს გავივლი, ისიც შენ დაგრჩება, იცოდე, ჩემო ბიჭუნა, არ გაფლანგო ეგ ფული და ფრთხილადაც იყავ, რომელიმე ქვრივმა სუნით არ მიაგნოს შენს სიმდიდრეს, თორემ დაიღუპები...

როდესაც ამგვარად გააფრთხილა შვილი, მისტერ უელერმა, დამშვიდებული სახით კვლავ ჩიბუხი აიღო ხელში, ეტყობა ამ საქმიანი საუბრის შემდეგ გულზე მოეშვა.

- ვიღაც აკაკუნებს! - თქვა სემმა.

- აკაკუნოს, რამდენიც უნდა, - მშვიდად მიუგო მშობელმა.

სემი ადგილიდან არ დაძრულა. კაკუნი გამეორდა კვლავ და კვლავ, მერე ბრახუნი მოისმა. სემმა კვლავ მამას მიმართა - რატომ არ გინდა, რომ სტუმარს კარი გავუღოთო.

- ჩუმად, კრინტი არ დაძრა! - შიშით ჩასჩურჩულა მისტერ უელერმა, - ნუ აქცევ ყურადღებას.

- ვაითუ, ერთ-ერთი ქვრივია.

რადგან არც კაკუნსა და არც ბრახუნს შინაურებმა ყური არ ათხოვეს, უჩინარმა სტუმარმა პატარა პაუზის შემდეგ გაბედა, კარი ოდნავ შემოაღო და ოთახში შემოიხედა. კარის ვიწრო ჭრილში გამოჩნდა მანდილოსნის კი არა, მისტერ სტიგინზის შავი აბურძგნილი თმა და წითური სახე.

მისტერ უელერს ჩიბუხი ხელიდან გაუვარდა.

ღვთისმსახური ნელ-ნელა აღებდა კარს და ბოლოს, როდესაც ჭრილი იმდენად ფართო გახდა, რომ შიგ მისი სხეული შემოეტეოდა, ოთახში შემოძვრა და ჩუმად მიიხურა კარი. სემს მოჰკრა თუ არა თვალი მისტერ სტიგინზმა, ხელები მაღლა აღაპყრო და თვალები გადაატრიალა ნიშნად უდიდესი მწუხარებისა, რომელიც ამ ოჯახს თავს დაატყდა; მერე მაღალზურგიანი სავარძელი აიღო და ბუხართან დადგა ჩვეულ ადგილას. ნაპირზე ჩამოჯდა, ჯიბიდან ყავისფერი ცხვირსახოცი ამოიღო და სინათლის წყაროებზე მიიფარა.

ვიდრე ეს პროცედურა დასრულდებოდა, უფროსი უელერი, სავარძლის ზურგზე გადაწოლილი, მუხლებზე დაწყობილი ხელებით, განცვიფრებული შეჰყურებდა ახალმოსულს, სემიც უბრად იჯდა მამის პირისპირ და ინტერესით ელოდა, თუ რითი დასრულდებოდა ეს ღირსშესანიშნავი შეხვედრა.

მისტერ სტიგინზი ერთხანს თვალიდან არ იშორებდა ყავისფერ ცხვირსახოცს და გულამოსკვნილი კვნესოდა; მერე თითქოს დამშვიდდა, ცხვირსახოცი ჯიბეში ჩაიდო და გასწორდა, ნაკვერჩხლები აურია ბუხარში, ხელები მოისრისა და სემს გადახედა.

- ო, ჩემო ყმაწვილო მეგობარო, - ჩუმი ხმით წარმოთქვა მისტერ სტიგინზმა, - ეს რა უბედურება დაგვატყდა თავს!

სემმა ოდნავ დაუქნია თავი.

- ჯავრიანი ადამიანისათვის ეს დიდი უბედურებაა, - დაუმატა მისტერ სტიგინზმა, - ბოღმა გულს ცეცხლივით ეკიდება.

ვაჟიშვილმა გაიგონა, რომ მისტერ უელერმა რაღაც ჩაიბურტყუნა - ვაითუ, ეგ ცეცხლი მარტო გულს კი არა, ცხვირსაც წაეკიდოსო, მაგრამ მისტერ სტიგინზს ყურიც არ გაუბერტყავს.

- ხომ არ იცით, ყმაწვილო, - ჩურჩულით თქვა მისტერ სტიგინზმა და სკამი სემისკენ გადაიტანა, - განსვენებულ მანდილოსანს ემანუილისათვის ხომ არაფერი დაუტოვებია?

- ეგ ვინღაა? - იკითხა სემმა.

- ჩვენი ეკლესია გახლავთ, - აუხსნა მისტერ სტიგინზმა. - ჩვენი მრევლი, მისტერ სემუელ.

- არა, არაფერი დაუტოვებია არც მრევლისთვის და არც მისი მოძღვრისთვის! - მოუჭრა სემმა, - ძაღლებსაც კი არაფერი შეხვდა!

მისტერ სტიგინზმა ეშმაკურად გადახედა ჯერ სემს, მერე მოხუც ჯენტლმენს, რომელიც თვალდახუჭული იჯდა, თითქოს ეძინა. მერე სკამი კიდევ უფრო ახლოს მისწია სემთან და ჰკითხა:

- მეც არაფერი დამიტოვა, სემუელ?

სემმა თავი გაიქნია.

- მე მგონი, რაღაცას მაინც დამიტოვებდა, - თქვა მისტერ სტიგინზმა და გაფითრდა, - გაიხსენეთ, გეთაყვა, მისტერ სემუელ, იქნებ რაიმე პაწია სუვენირი მაინც დამიტოვა?

- იმით, რაც მან დაგიტოვათ, აგერ იმ თქვენს გახვრეტილ ქოლგასაც ვერ იყიდით, - მიუგო სემმა.

ერთხანს სიჩუმე ჩამოვარდა.

- იქნებ, - ყოყმანით განაგრძო მისტერ სტიგინზმა, - იქნებ მაგ ჯავრით სავსე ჭურჭელს გადამცა, რომ მაგან იზრუნოს ჩემზე, მისტერ სემუელ?

- აი, ეგ კი მართალი ბრძანეთ, - მიუგო სემმა, - სწორედ ახლა გახსენებდათ.

- რას ბრძანებთ! - სახე გაუბრწყინდა მისტერ სტიგინზს. - იმედი მაქვს, რომ უბედურებამ მისი გულიც მოალბო. ახლა საუცხოოდ ვიცხოვრებთ ერთად, მისტერ სემუელ. თქვენ რომ წახვალთ, მის ქონებას მე ვუპატრონებ... აი, ნახავთ... თავს შემოვევლები...

მისტერ სტიგინზმა ღრმად ამოიოხრა და დადუმდა - პასუხს ელოდა. სემმა თავი დაუქნია, უფროს უელერს კი უცნაური ბგერები აღმოხდა - კვნესის, ხვრინვის, ოხვრისა და ბუზღუნის ერთდროულად.

ამ ბგერითმა ნაერთმა ეტყობა გაამხნევა მისტერ სტიგინზი, - უთუოდ იგი სინდისის ქენჯნისა და სინანულის ნიშნად მიიჩნია. ამიტომ ცოტა წაიტირა, მხიარულად მოიფშვნიტა ხელები, გაიღიმა, კვლავ ცრემლები გადმოღვარა და ბოლოს ჩუმი ნაბიჯით მიუახლოვდა მიჩვეულ ადგილს - თაროს, კუთხეში რომ ეკიდა. იქიდან ჭიქა ჩამოიღო და შიგ ოთხი ნაჭერი შაქარი ჩაყარა; მერე თვალები კვლავ მაღლა აღაპყრო, მძიმედ ამოიოხრა, ჩუმად შეიპარა ბუფეტში, ჩამოასხა ანანასის რომი, კვლავ ბუხართან მივიდა, სადაც ჩაიდანი დუღდა, ჭიქა წყლით შეავსო, გროგს მოურია, გასინჯა, კვლავ სავარძელში ჩაჯდა, დიდი ყლუპი მოსვა, შეჩერდა და შვებით ამოისუნთქა.

მთელი ამ ხნის განმავლობაში უფროს უელერს, რომელიც ცდილობდა, მძინარედ მოეჩვენებინა თავი, ხმა არ ამოუღია, მაგრამ როდესაც სტიგინზმა სმას თავი ანება სულის მოსათქმელად, ეცა, ხელიდან ჭიქა გამოჰგლიჯა, გროგის ნარჩენი შიგ სახეში შეასხა და ჭიქა ბუხარში ისროლა. მერე პატივცემულ ღვთისმსახურს კისერში სწვდა და წიხლები დაუშინა ზურგსა და ფეხებში, თან წყევლა-კრულვაც დააყარა.

- სემ! - დაიძახა მისტერ უელერმა, - ქუდი მომაწოდე.

სემმა გრძელბაბთიანი ქუდი გაუწოდა და მოხუცმა ჯენტლმენმა სტუმარს უფრო მაგრად დაუშინა წიხლები. მერე ტალანში გაათრია და ქუჩაში გაიყვანა ისე, რომ ცემა არ შეუწყვეტია.

ჭეშმარიტად დიდებული სანახავი იყო ეს ჭიდილი! ღირსეული ღვთისმსახური ათასნაირად იკლაკნებოდა და ცახცახებდა მისტერ უელერის მაგარ მკლავებში ჩაჭერილი. მით უფრო საინტერესო იყო, გენახათ, როგორ ვაჟკაცურად დათრგუნა მისტერ უელერმა წინააღმდეგობის ყოველი ცდა, მისტერ სტიგინზს თავი ცივი წყლით სავსე გეჯაში ჩააყოფინა და იმდენ ხანს გააჩერა შიგ, რომ პატივცემულმა მოძღვარმა კინაღამ სულიც კი განუტევა.

- აი ასე! - წარმოთქვა მისტერ უელერმა, როდესაც მისტერ სტიგინზს გეჯიდან ამოაყოფინა თავი და საბოლოოდ ერთი მაგარი წიხლი უთავაზა. - ერთი გამოგიგზავნიათ რომელიმე ეგ უქნარა მოძღვარი აქა და მე ვიცი, რასაც ვუზამ: ჯერ ლაბად ვაქცევ და მერე ჩავახრჩობ!.. სემი, მიშველე ერთი, ხელი მომეცი და ბრენდი დამისხი. სული მეხუთება, შვილო!

თავი LIII

რომელიც მოგვითხრობს, თუ როგორ გავიდნენ სცენიდან მისტერ ჯინგლი და ჯობ ტროტერი; დაწვრილებით აღგვიწერს ღირსშესანიშნავ საქმიან დილას გრეიზ-სკვერში და დამთავრდება იმით, რომ მისტერ პერკერის კარზე გაისმება კაკუნი

მისტერ პიკვიკმა ფრთხილად გაუმჟღავნა არაბელას უფროს უინკლთან შეხვედრის ამბავი და მისიის მარცხით დამთავრება. თან შეევედრა, არ იდარდოთ, ყველაფერი მოგვარდებაო. არაბელა ცრემლად დაიღვარა, უფროს მეგობარს შესჩივლა, ეს როგორ დამემართა, მამა-შვილი წავაჩხუბეო.

- ჩემო ძვირფასო, - ალერსიანად უთხრა მისტერ პიკვიკმა, - ეგ რა თქვენი ბრალია. ვინ იფიქრებდა, რომ მოხუცი ჯენტლმენი ასე გაჯიუტდებოდა? დარწმუნებული ვარ, მას წარმოდგენაც არ აქვს, თუ რა დიდ სიამოვნებასაა მოკლებული.

- ო, ძვირფასო მისტერ პიკვიკ, - წამოიძახა არაბელამ, - რაღა ვქნათ, გაჯავრებამ თუ არ გადაუარა?

- მოითმინეთ ცოტა, ჩემო კარგო, ვიდრე გონს მოვიდოდეს, - მხიარულად მიუგო მისტერ პიკვიკმა.

- კი, მაგრამ ძვირფასო მისტერ პიკვიკ, ნათანიელმა რა ქნას, მამა თუ არ დაეხმარა? - შეეკითხა არაბელა.

- თუ ასეა, ჩემო კარგო, - მიუგო მისტერ პიკვიკმა, - თამამად შემიძლია ვიწინასწარმეტყველო, რომ ისეთი მეგობარიც მოიძებნება, რომელიც ცხოვრების მძიმე გზაზე სიამოვნებით გაუწევს მას დახმარებას.

მისტერ პიკვიკის გადაკვრით თქმულის შინაარსი იმდენად ნათელი იყო, რომ არაბელა იმწამსვე მიუხვდა ნათქვამს. იგი კისერზე შემოეხვია მოხუცს, ნაზად აკოცა და უფრო მწარედ აქვითინდა.

- დამშვიდდით, გეთაყვა! - წარმოთქვა მისტერ პიკვიკმა და მკლავზე მოჰკიდა ხელი, - მოვიცადოთ კიდევ რამდენიმე დღე. იქნებ წერილი მოიწეროს, ან სხვა რამე საშუალებით აცნობოს შვილს თავისი ნება. თუ არაფერი გვიპასუხა, ათიოდე გეგმა მაინც მოვიფიქრე, საქმეს რომ ვუშველოთ. ყოველი მათგანი სანუგეშოა თქვენთვის. ნუ ტირით, ნუ, ჩემო ძვირფასო!

ეს რომ თქვა, მისტერ პიკვიკმა არაბელას ნაზად მოუჭირა ხელი და კვლავ შეევედრა, ცრემლი შეიმშრალეთ მაგ ლამაზ თვალებზე, თორემ მეუღლეს დარდი გაუასკეცდებაო. მოგეხსენებათ, არაბელასთანა წყნარსა და თვინიერ არსებას ქვეყანაზე იშვიათად თუ ნახავდით. მან უმალვე ჩანთაში შეინახა ცხვირსახოცი და მისტერ უინკლი შინ რომ დაბრუნდა, მხიარული ღიმილითა და მხიარულად მოციმციმე თვალებით შეხვდა.

„მართლაცდა, სავალალოა ამ ახალგაზრდების მდგომარეობა, - ფიქრობდა მისტერ პიკვიკი, როდესაც მეორე დილას ტანზე იცვამდა, - ისევ პერკერთან წავალ და რჩევას ვთხოვ“.

მისტერ პიკვიკს კიდევ იმიტომაც ეშურებოდა გრეიზ-ინ-სკვერში მისვლა, რომ პატარა ვექილთან ფულის ანგარიშიც უნდა გაესწორებინა. საჩქაროდ ისაუზმა და განზრახული ისე მალე აღასრულა, რომ ჯერ ათი საათიც არ იყო, გრეიზ-ინთან რომ გაჩნდა. კანტორა მხოლოდ ათი წუთის შემდეგ გაიღებოდა. ჯერ არც კლერკები მოსულიყვნენ და მისტერ პიკვიკმაც ფანჯარაში დაიწყო ყურება.

ოქტომბრის ნათელი დილა იყო. ძველისძველი ჭუჭყიანი სახლებიც კი მხიარულად გამოიყურებოდა. მზის შუქზე მტვრიანი

ფანჯრები კაშკაშებდნენ. კლერკები თითო-თითოდ მოადგებოდნენ დაწესებულებების კარს, საათს ახედავდნენ და ნაბიჯს უკლებდნენ, ან ააჩქარებდნენ იმის მიხედვით, თუ რომელ საათზე იღებოდა მათი კანტორა. ისინი, ვისი კანტორაც ათის ნახევარზე იღებოდა, თავქუდმოგლეჯილი მორბოდნენ, ხოლო ჯენტლმენები, რომელნიც ათზე უნდა მოსულიყვნენ, დინჯი ნაბიჯით მოსეირნობდნენ. ათმა დაჰკრა თუ არა, კლერკები ისე სწრაფად გაეშურნენ კანტორებისაკენ, რომ თითეულს ოფლი ხვითქად გადმოსდიოდა, თანაც მომდევნო უფრო ჩქარა მორბოდა, ვიდრე წინმიმავალი. ყოველი მხრიდან ისმოდა კარების ჯახუნი, თითქოს ჯადოსნური შელოცვით ყველა ფანჯარაში თავები გამოჩნდა; მეკარეებმა თავ-თავიანთი ადგილები დაიკავეს; გაცვეთილფეხსაცმლიანი მრეცხავი ქალები სარეცხით ხელში გამორბოდნენ კანტორიდან, ფოსტალიონი ერთი სახლიდან მეორეში გარბოდა და მთელი საკანონმდებლო სკა აგუგუნდა.

- ადრიანად მობრძანებულხართ, მისტერ პიკვიკ, - ზურგს უკან მოესმა მისტერ პიკვიკს.

- ო, მისტერ ლაუტენ! - მიესალმა ხსენებულ ჯენტლმენს, როდესაც მობრუნდა და ძველი ნაცნობი დაინახა.

- უკვე ჩამოცხა, - წარმოთქვა ლაუტენმა და ჯიბიდან გასაღები ამოიღო დაცობილი პირით, რომ შიგ მტვერი არ ჩასულიყო.

- გეტყობათ, კარგად შეხურებულხართ, - ღიმილით შენიშნა მისტერ პიკვიკმა და კლერკის ჭარხალივით აწითლებულ სახეს გადახედა.

- ჩქარი ნაბიჯით მოვდიოდი, - თქვა ლაუტენმა, - პოლიგონზე რომ გადმოვედი, უკვე ათის ნახევარი იყო, რახან პატრონს დავასწარი მოსვლა, ახლა არა მიჭირს რა.

როდესაც ამგვარი მოსაზრებით ინუგეშა თავი, მისტერ ლაუტენმა გასაღებიდან საცობი ამოიღო, კარი გააღო, გასაღებ-

ში კვლავ საცობი გაუკეთა და ჯიბეში ჩაიდო; მერე ყუთიდან წერილები ამოიღო, რომელიც ფოსტალიონმა დატოვა და ოთახში შევიდა. მან მხოლოდ ახლა მიიწვია მისტერ პიკვიკი კანტორაში. კლერკმა იმწამსვე სერთუკი გაიძრო და საკმაოდ გაცვეთილი ქურქი ჩაიცვა, რომელიც მაღალი საწერი მაგიდის უჯრიდან გამოიღო. ქუდი ლურსმანზე ჩამოკიდა, უჯრიდან რამდენიმე ქაღალდის სქელი ფურცელი ამოიღო, რომელთა შორის საწერი ქაღალდები იყო ჩადებული, ყურს უკან საწერი ფრთა ამოიდო და კმაყოფილი სახით ხელები მოიფშვნიტა.

- ყველაფერი რიგზეა ახლა, მისტერ პიკვიკ, - წარმოთქვა მან, - სამუშაო კოსტიუმი მაცვია, ქაღალდები მაგიდაზეა... მოვიდეს თუნდაც ამ წუთს, თუთუნი ხომ არა გაქვთ?

- არა, - მიუგო მისტერ პიკვიკმა.

- სამწუხაროა, - შენიშნა ლაუტენმა, - მაგრამ არც ესაა დიდი ბედენა. ერთ წუთში გავიქცევი და სოდიან წყალს მოვიტან. მისტერ პიკვიკ, კარგად შემომხედეთ, თვალებზე ხომ არაფერს მამჩნევთ უცნაურს?

ჯენტლმენმა, რომელსაც კითხვით მიმართა, მისტერ ლაუტენს თვალებში ჩახედა და განაცხადა, უცნაური ვერაფერი დავინახეო.

- გამახარეთ და ეგ არის, - თქვა ლაუტენმა, - წუხელ ბევრი დავლიეთ „კუნძში“ და დღეს ცოტა ჩემს ჭკუაზე ვერა ვარ. სხვათა შორის, იცოდეთ, რომ პერკერი უკვე შეუდგა თქვენს საქმეს.

- რა საქმეს? - ჰკითხა მისტერ პიკვიკმა, - მისის ბერდლის სასამართლო ხარჯებისას?

- არა, ეგ არა, - მიუგო ლაუტენმა, - მე იმ კლიენტის შესახებ მოგახსენებთ, რომლის თამასუქები თქვენი დავალებით გამოვისყიდეთ გირვანქაზე ათ შილინგად, რათა იგი ფლიტიდან გავათავისუფლოთ და დემერარში გავგზავნოთ. - ო, თქვენ მისტერ

ჯინგლის შესახებ ბრძანებთ? - წამოიძახა მისტერ პიკვიკმა, - მართლა, როგორაა საქმე?

- ყველაფერი მოვაგვარეთ, - თქვა ლაუტენმა და ფრთის წათლას შეუდგა, - ლივერპულის აგენტმა გვაუწყა, რომ ვიდრე საქმიდან გადადგებოდით, თქვენ მას დიდი სამსახური გაუწიეთ და ახლა სიამოვნებით აიყვანს იმ კაცს თქვენი რეკომენდაციით.

- ჩინებულია, - წარმოთქვა მისტერ პიკვიკმა, - ძალიან მიხარია, რომ ასე მოხდა.

- იცით, ის მეორე, - განაგრძო ლაუტენმა და ფრთა ახალ ადგილას ჩაჭრა, - მთლად ჩერჩეტია!

- რომელი მეორე?

- იმ კაცის მსახურია, მგონი, მეგობარი, თუ რაღაც მაგის მაგვარი. იმას თქვენც იცნობთ, ტროტერია გვარად.

- ჰო! - ღიმილით შენიშნა მისტერ პიკვიკმა, - მე კი პირიქით ვფიქრობდი მის შესახებ.

- მართალი გითხრათ, პირველად მეც ასეთი შთაბეჭდილება დამრჩა, - მიუგო ლაუტენმა, - კიდევ ერთხელ ვრწმუნდები, თუ რა ადვილია შეცდეს კაცი. როგორ მოგწონთ, ისიც რომ მიბრძანდება დემერარში.

- როგორ? მაშ უარს ამბობს იმაზე, რაც აქ შესთავაზეს? - გაოცდა მისტერ პიკვიკი.

- როდესაც პერკერმა შესთავაზა კვირაში თვრამეტი შილინგი და შეჰპირდა, კიდევ მოგიმატებ, თუ წესიერად მოიქცევიო, იმან ყურიც არ ათხოვა, - უპასუხა ლაუტენმა, - პირდაპირ განაცხადა, მეორეს უნდა გავყვეო. ორივემ იმდენი ქნა, რომ მისტერ პერკერს მეორე წერილი დააწერინეს. ახლა იმ ტროტერსაც იქვე უშოვეს ადგილი, სადაც მისი მეგობარი იქნება. პერკერი ამბობს, რომ ახლა სამხრეთ უელრის კატორღაში ნამყოფი არამზადაც

კი უკეთეს ხვედრს უნდა მოელოდეს, სასამართლოს წინაშე თუ ახალ ტანსაცმელში წარდგაო.

- გიჟია, ნამდვილი გიჟი! - წარმოთქვა მისტერ პიკვიკმა და თვალები გაუბრწყინდა.

- გიჟი და მეტიც. ესე უკვე მონობას ჰგავს, - ზიზღით შენიშნა მისტერ ლაუტენმა და კვლავ ფრთას დაუწყო თლა, - ასე თქვა, ეგ ჩემი ერთადერთი მეგობარიაო, ძალიან მიყვარს და სხვა ამ-გვარი. ვინ რას ეტყვის, მეგობრობა დიდებული რამაა. მაგალი-თად, „კუნძში“ რომ შევიკრიბებით ხოლმე გროგის დასალევად, ყველა მეგობარი ვართ, ჩინებულად ვატარებთ დროს. მერე თი-თოეული თავისი სასმლის ფასს გადაიხდის და გათავდა. სიგი-ჟეა, რომ საკუთარი ინტერესები სხვის ინტერესებს შესწირო. ადამიანს ორი რამ უნდა უყვარდეს: ჯერ საკუთარი თავი და მერე ქალები. ასე ვფიქრობ მე, ჰა, ჰა, ჰა!

მისტერ ლაუტენმა სიტყვა მხიარული, სარკასტული სიცილით დააბოლოვა, რომელიც იმწამს გაუწყდა, რა წამსაც კიბიდან პერკერის ნაბიჯები შემოესმა. როგორც კი გაიგონა, პატრონი მოდისო, საოცარი სისწრაფით მაღალ ტაბურეტზე წამოსკუპდა და გულმოდგინედ შეუდგა წერას.

მისტერ პიკვიკი და მისი მეგობარი ერთმანეთს გულთბილად მიესალმნენ. ის იყო კლიენტი სავარძელში ჩაჯდა, რომ კარზე კაკუნი გაისმა და უცნობმა ხმამ იკითხა, აქ თუა ვექილიო.

- ოჰ! - წამოიძახა პერკერმა, - ეს ერთ-ერთი ჩვენი მეგობარი მაწანწალაა, თვით ჯინგლი, პატივცემულო სერ. გნებავთ მისი ნახვა?

- თქვენ რას მირჩევდით? - იკითხა მისტერ პიკვიკმა.

- მე მგონი, სჯობს, რომ ნახოთ... ჰეი, თქვენ, სერ, რა გქვიათ, მობრძანდით!

ამ „ზრდილობიან“ მიპატიჟებაზე ოთახში შემოვიდნენ ჯინგლი და ჯობი, მაგრამ მისტერ პიკვიკს რომ მოჰკრეს თვალი, შემკრთალნი შეჩერდნენ კართან.

- აბა, - მიმართა მათ პერკერმა, - ამ ჯენტლმენს ხომ იცნობთ?

- როგორ არ ვიცნობ, - მიუგო მისტერ ჯინგლმა და წინ გამოვიდა, - მისტერ პიკვიკ... დიდად გმადლობთ... სიკვდილს გადამარჩინეთ... ადამიანად მაქციეთ... არასოდეს ინანებთ, სერ.

- ძალიან მიხარია, თუ ასეა, - უპასუხა მისტერ პიკვიკმა, - ახლა ბევრად უკეთ გამოიყურებით.

- გმადლობთ, სერ... დიდი ცვლილებაა. მისი უდიდებულესობის დაწესებულება ფლიტი... ვერაფერი შვილია, უხეირო ადგილია... ფრიად! - წარმოთქვა ჯინგლმა და თავი გაიქნია.

ორივეს სუფთად და კოპწიად ეცვათ. სარივით გაჭიმული ჯობი ჯინგლის ზურგს უკან იდგა და გაშეშებული შესცქეროდა მისტერ პიკვიკს.

- ლივერპულს როდის გაემგზავრებიან? - შეეკითხა მისტერ პიკვიკი პერკერს.

- ამ საღამოს, შვიდ საათზე, სერ, - მიუგო ჯობმა და თავისი საფრიდან წინ გამოვიდა, - სამგზავრო ეტლით, სერ.

- ადგილები შეუკვეთეთ?

- დიახ, შევუკვეთეთ, სერ.

- თქვენ მტკიცედ გადაწყვიტეთ წასვლა?

- დიახ, სერ, - მიუგო ჯობმა.

- რაც შეეხება ჯინგლის ჩასაცმელ-დასახურავს, - უთხრა პერკერმა მისტერ პიკვიკს, - მე მოველაპარაკე, რომ ყოველ სამ თვეში პატარა თანხას ჯამაგირიდან გამოუქვითავენ და თუ წესიერად გადაიხდის, ერთ წელიწადში დაფარავს მის საფასურს. მე გადაჭრით ვაცხადებ პროტესტს, რომ თქვენ კიდევ რაიმე

გააკეთოთ მისთვის, თუ ვალს არ გადაგიხდით. ეს კი დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ დაიჭერს თავს და როგორ იმუშავებს.

- მართალს ბრძანებთ, - მტკიცედ განაცხადა ჯინგლმა, - ნათელი გონება... გამოცდილი ჯენტლმენი... მართალსა ბრძანებთ... სრულიად!

- თქვენგან ისედაც ბევრი სიკეთე ნახა მან. ჯერ ხომ მის მევალეს მოელაპარაკეთ, მერე მევახშესთან დაგირავებული ტანსაცმელი გამოუსყიდეთ; ციხეშიც თქვენს ხარჯზე ცხოვრობდა, ახლა კი გზის ფულიც გადაიხადეთ, - განაგრძო პერკერმა, რომელმაც ვითომდა ვერ გაიგონა ჯინგლის განცხადება, - უკვე ორმოცდაათი გირვანქა გადაყარეთ.

- არ გადაუყრია, - შეაწყვეტინა სიტყვა ჯინგლმა, - ყოველივეს გადავუხდი... ვიმუშავებ... მოვაგროვებთ ფულს... კაპიკსაც არ დავხარჯავ. ვაითუ, ციებ-ცხელებამ შემიშალოს ხელი... რას იზამ, თუ... - მისტერ ჯინგლს უეცრად ენა დაება, ქუდის ცას მუშტი ჩაჰკრა, თვალებზე ხელი გადაისვა და დაჯდა.

- მაგას იმის თქმა უნდა, - ჩაერია საუბარში ჯობი და კვლავ წინ წამოიწია, - თუ ციებ-ცხელებამ საიქიოს არ გაისტუმრა, იგი ვალს აუცილებლად გადაიხდის, მისტერ პიკვიკ. მაგის შესახებ მეც ვიზრუნებ, დარდი ნუ გაქვთ. ეჭვიც არ მეპარება, რომ დაგიბრუნებთ, სერ, თუ გნებავთ, დაგიფიცებთ...

- კარგი, კარგი, - თქვა მისტერ პიკვიკმა, რომელსაც კარგა ხანია, სურდა შეეწყვიტა საუბარი საკუთარი ქველმოქმედების შესახებ, მისტერ პერკერმა რომ წამოიწყო. ერთხანს გაჯავრებული მიშტერებოდა პატარა ვექილს, მაგრამ ის ზედაც არ უყურებდა მას, - ფრთხილად იყავით, მისტერ ჯინგლ, ნუ მიიღებთ მონაწილეობას კრიკეტის გიჟურ შეჯიბრებაში, ნუ გამოეცნაურებით სერ თომას ბლეზოს და ეჭვიც არ მეპარება, კვლავ გამოჯანმრთელდებით.

მისტერ ჯინგლი გადაკრულ ხუმრობას მიუხვდა და დარცხვენილმა გაუღიმა. მისტერ პიკვიკმა უეცრად საუბრის თემა შეცვალა.

- ხომ არ იცით, შემთხვევით, რა დაემართა თქვენს ერთ-ერთ მეგობარს, აი, მას, როჩესტერში რომ გავიცანი, ძალიან წყნარი კაცი რომ იყო?

- პირქუშ ჯიმს? - ჰკითხა ჯინგლმა.

- დიახ.

ჯინგლმა თავი გააქნია.

- დიდი გაიძვერა... უცნაური ფრიად... გენიალური შარლატანი... ჯობის ძმაა.

- ჯობის ძმაა? - შესძახა მისტერ პიკვიკმა, - თუ დაუკვირდება კაცი, მართლაც ჰგავს.

- ყველა ასე ამბობდა, რომ ძალიან ჰგავხართო, სერ, - თქვა ჯობმა და თვალებში ეშმაკურმა ნაპერწკალმა გაუელვა, - მაგრამ მე მასზე უფრო დინჯი ვიყავი მუდამ. ამერიკაში გადაიხვეწა, სერ, იმიტომ, რომ აქ ვერ მოიკიდა ფეხი, მეტად დიდ ყურადღებას აქცევდნენ. მის შესახებ არაფერი ვიცით.

- უთუოდ იმიტომაც ვერ მივიღე მისგან „ფურცელი მოთხრობისა ნამდვილი ცხოვრებიდან“. იმ დილით როჩესტერის ხიდზე რომ შემხვდა, შემპირდა, გამოგიგზავნიო. მაშინ იყო სწორედ თავის მოკვლას რომ აპირებდა, - ღიმილით თქვა მისტერ პიკვიკმა, - კითხვადაც არ ღირს, მართლა იყო იმ დღეს დადარდიანებული, თუ თავს იკატუნებდა.

- როგორც უნდა, ისეთად მოგაჩვენებთ თავს, სერ, - მიუგო ჯობმა, - გიხაროდეთ, რომ ასე იოლად გადაურჩით. ახლოს რომ გაგეცნოთ, ხიფათს ვერ... ჯობმა ჯინგლს გადახედა და ენა დაება. მერე დასძინა: ვაითუ, ხიფათს გადაჰყროდით.

- დიდად სანაქებო ნათესაობა გყოლიათ, მისტერ ტროტერ, - შენიშნა პერკერმა და დაბეჭდა წერილი, რომელიც, ის იყო, დაწერა.

- დიახ, სერ, - კვერი დაუკრა ჯობმა, - ეგ მართალი ბრძანეთ, სერ.

- იმედია, - სიცილით განაგრძო პატარა ვექილმა, - რომ თქვენ პირადად, მათ კვალს არ გაჰყვებით. ლივერპულში რომ ჩახვალთ, ეს წერილი აგენტს გადაეცით... ნება მიბოძეთ, ბატონებო, ერთი რჩევა მოგცეთ: ვესტინდოეთში წესიერად მოიქეცით. თუ ხელიდან გაუშვით ეს შემთხვევაც, ეჭვი არ მეპარება, რომ ორივეს სახრჩობელა არ აგცდებათ... ახლა წაბრძანდით, მისტერ პიკვიკმა და მე სხვა საქმეების შესახებაც უნდა მოვითათბიროთ, დრო კი გარბის.

ეს რომ სთქვა, მისტერ პერკერმა პირდაპირ კარს გახედა, უნდოდა გამოთხოვება ხანმოკლე ყოფილიყო.

მისტერ ჯინგლმაც დიდხანს არ დააყოფნა. რამდენიმე სიტყვით მადლობა გადაუხადა პატარა ვექილს სიკეთისა და დროული დახმარებისათვის, მერე თავის მფარველ ანგელოზს მოუბრუნდა და რამდენიმე წამს უბრად იდგა. თითქოს არ იცოდა, რა ეთქვა. ამ ფრიად საძნელო მდგომარეობიდან ისევ ჯობ ტროტერმა იხსნა, მადლობის ნიშნად ღრმად დაუკრა თავი მისტერ პიკვიკს, ალერსიანად მოჰკიდა ხელი მეგობარს და ოთახიდან გაიყვანა.

- ღირსეული წყვილია! - თქვა პერკერმა, როდესაც ჯინგლი და ჯობი ოთახიდან გავიდნენ და კარი მიიხურეს.

- იმედია, ღირსეულ ადამიანებად იქცევიან, - დასძინა მისტერ პიკვიკმა, - რას მეტყვით, შეიძლება მაგათი გამოსწორება?

პატარა ვექილმა ეჭვით აიჩეჩა მხრები, მაგრამ შეამჩნია თუ არა, რომ მისტერ პიკვიკს სახე მოეღრუბლა, დაუმატა:

- რა თქმა უნდა, შეიძლება. იმედია, ასეც იქნება. ახლა კი გულწრფელად ნანობენ, წარსულში რაც რამე ჩაუდენიათ, მაგრამ ვინ იცის, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ ახლა ციხეში ამდენი ტანჯვა გამოიარეს. რა იქნება მაშინ, როდესაც ტკივილი გაუნელდებათ, ამის გადაწყვეტა არც თქვენ და არც მე არ შეგვიძლია... ასეა თუ ისე, პატივცემულო სერ, - დაუმატა პერკერმა და მისტერ პიკვიკს მხარზე დაადო ხელი, - თქვენი საქციელი, იმისდა მიუხედავად, როგორი იქნება შედეგი, დიდად სასიქადულოა. დაე, ჩემზე უფრო გონიერმა ხალხმა გადაწყვიტოს, უანგარო მოწყალებაა თუ ეგოისტური თვითმოტყუება ის ფრთხილი, შორსმჭვრეტელი ქველმოქმედება, რომელიც ხშირად საიდუმლოდ რჩება, რადგან ქველმოქმედს ეშინია, თავმოყვარეობა არ შეელახოს იმით, რომ სიკეთე არ დაუფასდა ან მოტყუვდა. მაგ წყვილმა რომ ხვალვე სახლი გატეხოს, მე მაინც იმავეს ვიტყოდი.

როდესაც ეს მოსაზრება გამოთქვა, აღელვებულმა პერკერმა საწერ მაგიდასთან მიიდგა სკამი და გულდასმით მოუსმინა თავის კლიენტს, რომელმაც მოხუცი უინკლის ურყევი გადაწყვეტილების შესახებ მოახსენა.

- ერთი კვირა აცადეთ, - თქვა პერკერმა და ღრმააზროვნად გაიქნია თავი.

- თქვენ გგონიათ, იგი შეცვლის თავის გადაწყვეტილებას? - შეეკითხა მისტერ პიკვიკი.

- ვფიქრობ, რომ შეცვლის, - მიუგო პერკერმა, - თუ ეს არ მოხდა, მაშინ ყმაწვილი ქალი უნდა ჩავრიოთ ამ საქმეში. თქვენს ადგილას რომ ვყოფილიყავი, უთუოდ ამით დავიწყებდი.

პერკერმა თუთუნის მწიკვი შეიყნოსა და უცნაური ღრეჭით გამოხატა აღტაცება ყმაწვილი ქალების ჯადოსნური თვისებების წინაშე. ამ დროს წინა ოთახიდან ხმები შემოესმა.

კარზე ლაუტენმა დააკაკუნა.

- მობრძანდით! - შეეხმიანა პატარა ვექილი.

კლერკი შემოვიდა და საიდუმლო იერით მიხურა კარი.

- რა მოხდა? - იკითხა პერკერმა.

- ვიღაც გკითხულობთ, სერ.

- ვინ არის?

ლაუტენმა ირიბად გადახედა მისტერ პიკვიკს და ჩაახველა.

- ვინ მკითხულობს? რატომ პასუხს არ მაძლევთ, მისტერ ლაუტენ?

- საქმე ისაა, სერ, - წარმოთქვა ლაუტენმა, - ეს დოდსონია. ფოგიც თან ახლავს.

- ღმერთო ჩემო! - წამოიძახა პატარა ვექილმა, საათს რომ დახედა, - მე მათ თორმეტის ნახევარზე დავუნიშნე შეხვედრა, რომ თქვენი საქმე მომეთავებინა, მისტერ პიკვიკ. მე დაგიდექით თავდებად და ამიტომ გაგათავისუფლეს. ძალიან გართულდა საქმე, პატივცემულო სერ. რა ვქნათ, როგორ მოვიქცეთ? იქნებ იმ ოთახში გაბრძანდეთ?

დოდსონი და ფოგი სწორედ იმ ოთახში გახლდნენ, მისტერ პიკვიკმა კი გადაჭრით განაცხადა, აქიდან ფეხს არ მოვიცვლი, მე კი არა, მაგ დოდსონსა და ფოგს უნდა რცხვენოდეთ ჩემთან შეხვედრისო. ღელვისაგან ჭარხალივით წამოწითლდა და მისტერ პერკერს სთხოვა, ამ უკანასკნელ გარემოებას საგანგებოდ მიაქციეთ ყურადღებაო.

- ასე იყოს, პატივცემულო სერ, - მიუგო პერკერმა, - მაგრამ თქვენ თუ გგონიათ, რომ დოდსონსა და ფოგს შერცხვებათ თქვენთან, ან სხვა ვინმესთან შეხვედრა, თამამად შემიძლია, მოგახსენოთ, თქვენისთანა ოპტიმისტი ჩემს დღეში არ მინახავს... მისტერ ლაუტენ, სთხოვეთ, შემოვიდნენ.

მისტერ ლაუტენს გაეღიმა, მაგრამ არაფერი თქვა. უბრად გავიდა ოთახიდან და მალე მორიგეობით შემოიყვანა ფირმის წარმომადგენლები, ჯერ დოდსონი, მერე ფოგი.

- ვგონებ, უწინაც შეხვედრიხართ მისტერ პიკვიკს, - მიმართა პერკერმა დოდსონს და ფრთით იმ მხარეს მიუთითა, სადაც ხსენებული ჯენტლმენი იდგა.

- როგორა ბრძანდებით, მისტერ პიკვიკ? - ხმამაღლა მიესალმა მას დოდსონი.

- ო, მისტერ პიკვიკ! - წამოიძახა ფოგმა, - როგორ ბრძანდებით, სერ? იმედია, ჯანმრთელად ბრძანდებით, სერ?.. როგორც კი შეგხედეთ, გავიფიქრე, როგორ მეცნობა-მეთქი, - ღიმილით დაუმატა ფოგმა და სკამი მაგიდასთან მიიდგა.

მისტერ პიკვიკმა ოდნავ დახარა თავი მისალმების ნიშნად და როდესაც შენიშნა, ფოგმა ქაღალდების ხვეულა ამოიღო ჯიბიდან, ადგა და ფანჯარასთან მივიდა.

- ტყუილად გაგვერიდა მისტერ პიკვიკი, პერკერ, - შენიშნა ფოგმა და უფრო საამოდ გაიღიმა. მან ნელ-ნელა შემოხსნა ქაღალდების ხვეულას წითელი ზონარი, - ამ საქმეს მისტერ პიკვიკიც საუცხოოდ იცნობს. მე მგონი, ჩვენ ერთმანეთს არას დავუმალავთ, ჰა, ჰა, ჰა!

- დიახ, დიახ, - ბანი მისცა დოდსონმა, - ჰა, ჰა, ჰა!

ორივე კომპანიონმა ისე გულიანად, ისე მხიარულად და უდარდელად გადაიხარხარა, როგორც ჩვეულებრივ იცინიან ხოლმე ადამიანები, როდესაც ფულს იღებენ.

- ჩვენ მისტერ პიკვიკს ჯარიმას გადავახდევინებთ მეტისმეტი ცნობისმოყვარეობისათვის, - გაიხუმრა ფოგმა და ქაღალდები გაშალა, - სასამართლო ხარჯების ანგარიში შეადგენს ასოცდაცამეტ გირვანქას, ექვს შილინგსა და ოთხ პენსს, მისტერ პერკერ.

პერკერი და ფოგი ანგარიშების შემოწმებას შეუდგნენ, დოდსონმა კი მხიარულად მიმართა მისტერ პიკვიკს.

- ცოტა გამხდარხართ, მისტერ პიკვიკ, მას შემდეგ, რაც მე მქონდა ბედნიერება, უკანასკნელად მენახეთ.

- ადვილი შესაძლებელია, რომ ასეცაა, სერ, - მიუგო მისტერ პიკვიკმა, რომელიც წყრომით სავსე ისრებს სტყორცნიდა მარჯვე საქმოსნებს, მაგრამ ისინი ყურსაც არ იბერტყავდნენ, - მე მგონი, გავხდი. ამ ბოლო დროს არამზადები არ მასვენებდნენ, მდევნიდნენ, სერ.

პერკერმა ხმამაღლა ჩაახველა და მისტერ პიკვიკს შეეკითხა, დილის გაზეთს ხომ არ გადაათვალიერებთო. ამ თავაზიან წინადადებაზე მისტერ პიკვიკმა გადაჭრით განაცხადა უარი.

- მართალსა ბრძანებთ, - წარმოთქვა დოდსონმა, - ეჭვი არ მეპარება, რომ ფლიტში გაგაწვალეს. იქ უცნაური ხალხი ტრიალებს. რომელ ბინაში ცხოვრობდით, მისტერ პიკვიკ?

- მე ერთი ოთახი მქონდა იმ სართულზე, სადაც საერთო სასადილოა, - მიუგო დიდად შეურაცხყოფილმა ჯენტლმენმა.

- რასა ბრძანებთ! - წარმოთქვა დოდსონმა, - მე მგონი, ეგ ციხის ყველაზე მეტად კეთილმოწყობილი და სასიამოვნო ადგილია.

უთუოდ დამეთანხმებით, მკითხველო, რომ ასეთ პირობებში დოდსონის საოცარი სიმშვიდე გააოფთრებდა ყოველ ფიცხი ხასიათის კაცს. მისტერ პიკვიკი ყოველნაირად ცდილობდა ჩაეხშო ბოღმა, რომელიც ყელში მობჯენოდა, მაგრამ როდესაც მისტერ პერკერმა მთელ თანხაზე გამოწერა ჩეკი, ხოლო ფოგმა იგი საფულეში ჩაიდო, მუწუკებიან სახეზე ტკბილი ღიმილი აუთამაშდა და მკაცრმა დოდსონმაც კი კოპები გაშალა და გაიღიმჭა, მისტერ პიკვიკმა იგრძნო, რომ ბრაზით ლოყები აელეწა.

- აბა, მისტერ დოდსონ, - თქვა ფოგმა, საფულე შეინახა და ხელთათმანები ჩაიცვა, - ახლა კი თქვენს განკარგულებაში ვარ.

- კეთილი და პატიოსანი, - მიუგო დოდსონმა და წამოდგა, - მეც მზად გახლავართ.

- ბედნიერი ვარ, - დაიწყო ფოგმა, რომელიც შაქარივით დატკბა, როგორც კი ჩეკი მიიღო, - ბედნიერი ვარ, რომ საშუალება მომეცი, პირადად გამეცნო მისტერ პიკვიკი. იმედი მაქვს, ახლა თქვენ უკეთესი შეხედულებისა ბრძანდებით ჩვენ შესახებ, ვიდრე პირველი შეხვედრის შემდეგ.

- მე ვფიქრობ, მისტერ პიკვიკი ახლა უკეთ გვიცნობს, - დაემოწმა დოდსონი ისეთი კილოთი, თითქოს ვიღაცამ სასტიკად შეურაცხყო მისი ადამიანური ღირსება, - გარწმუნებთ, სერ, რომ გულში სულაც არ ვჯავრობ თქვენზე იმის გამო, მაშინ რომ გაცხარდით ფრიმენს-კორტში, კორნჰილში პირველი შეხვედრისას.

- რა თქმა უნდა, მეც არ ვჯავრობ, - მიმტევებელი კილოთი დაუკრა კვერი ფოგმაც.

- ჩვენი ქცევა, სერ, - განაგრძო დოდსონმა, - უსიტყვოდაც მოწმობს, როგორებიც ვართ, სერ. ამ საქმეს უკვე მრავალი წელი მივდევთ, მისტერ პიკვიკ და არაერთმა ღირსშესანიშნავმა კლიენტმა პატივი დაგვდო და თავისი საქმეთა წარმოება ჩვენ მოგვანდო... კარგად ბრძანდებოდეთ, სერ.

- ნახვამდის, მისტერ პიკვიკ, - თქვა ფოგმა.

მან ქოლგა იღლიის ქვეშ ამოიდო, მარჯვენა ხელთათმანი გაიძრო და შერიგების მოსურნემ ხელი გაუწოდა ბრაზით აღვსილ ჯენტლმენს. მისტერ პიკვიკმა ორივე ხელი სერთუკის ფალდებს ამოსდო და ზიზღით მიაშტერდა მარჯვე საქმოსანს.

- ლაუტენ, - დაიძახა პერკერმა, - კარი გააღეთ!

- მოიცადეთ, - წამოიძახა მისტერ პიკვიკმა, - ორიოდე სიტყვა მეც მინდა ვთქვა, პერკერ.

- პატივცემულო სერ, არ ღირს ხელახლა დავუბრუნდეთ ამ საკითხს, - შენიშნა პატარა ვექილმა. ვიდრე შეხვედრა გრძელდებოდა, მძიმე წინაგრძნობა არ ასვენებდა მას, - მისტერ პიკვიკ, გთხოვთ...

- ნუ დამიშლით თქმას, სერ! - მკვირცხლად შეაწყვეტინა სიტყვა მისტერ პიკვიკმა, - მისტერ დოდსონ, თუ არ ვცდები, ჩემ მიმართ თქვენ რამდენიმე შენიშვნა ბრძანეთ.

დოდსონი მოსაუბრეს მოუბრუნდა, მორჩილად დაუკრა თავი და გაუღიმა.

- რამდენიმე შენიშვნა ბრძანეთ ჩემ მიმართ, - გაიმეორა მისტერ პიკვიკმა, რომელსაც უცებ სული შეეხუთა, - თქვენმა კომპანიონმა კი ხელიც გამომიწოდა. ორივე მოწყალე კილოთი მელაპარაკებით, ქედმაღლურად გიჭირავთ თავი, რაც უფრო მოწმობს, რომ ორივე ისეთი ურცხვი და თავხედი ხართ, რომ თქვენგანაც კი არ მოველოდი ამას.

- რა ბრძანეთ, სერ?! -თქვა დოდსონმა.

- რა ბრძანეთ, სერ? - ბანი მისცა მას ფოგმა.

- თქვენ ჩინებულად იცით, რომ მე თქვენი ინტრიგებისა და ეშმაკობის მსხვერპლი გავხდი! - განაგრძო მისტერ პიკვიკმა, - ისიც ჩინებულად იცით, რომ მე ის უდანაშაულო ადამიანი ვარ, რომელიც თქვენ ციხეში ჩასვით და გაძარცვეთ! თქვენ არ იყავით ბერდლ-პიკვიკის საქმეში მოსარჩელის დამცველები?

- დიახ, სერ, ჩვენ გახლდით, - კვერი დაუკრა ფოგმა და შესაძლოა, უნებურად მოუვიდა, ჯიბეზე დაიკრა ხელი.

- ვხედავ, რომ სიამოვნებით იგონებთ ახლა ამ ამბავს, - თქვა მისტერ პიკვიკმა და პირველად თავის სიცოცხლეში შეეცადა დამცინავად გაეღიმა, მაგრამ ცდა უხეირო გამოდგა, - თუმცა, მე

კარგა ხანია, მინდა მოგახსენოთ ჩემი აზრი თქვენ შესახებ, მაგრამ ჩემი მეგობრის პერკერის გულისათვის, ახლაც არ ვისარგებლებდი ამ შემთხვევით, თქვენ რომ ასეთი დამცინავი კილოთი და თავხედური ფამილარობით არ გელაპარაკათ წეღან, სერ!

მისტერ პიკვიკმა და ისეთი წყრომით სავსე მზერა მიაპყრო ფოგს, რომ მან უნებლიეთ უკან დაიხია.

- ფრთხილად იყავით, სერ! - იყვირა დოდსონმა, რომელიც ოთხთა შორის ყველაზე ახოვანი იყო, მაინც ფოგის ზურგს ამოეფარა და გაფითრებული ამ საიმედო საფრიდან ელაპარაკებოდა მოწინააღმდეგეს, - ერთი გაბედოს და მოქმედებით მოგაყენოთ შეურაცხყოფა, მისტერ ფოგ! გთხოვთ, ნუ აჰყვებით მას!

- არა, არ ავყვები, - უპასუხა ფოგმა და კვლავ უკან დაიხია. მის კომპანიონს გულზე მოეშვა. მან იმწამსვე ისარგებლა მეგობრის ამ ხელსაყრელი მანევრით. საჩქაროდ მეორე ოთახისკენ გაეშურა.

- თქვენ, - განაგრძო სიტყვა მისტერ პიკვიკმა, - თავხედი, ურცხვი, ჭეშმარიტად ღირსეული წყვილი ბრძანდებით ბილწი მძარცველებისა და ცილისმწამებლების.

- ყველაფერი ბრძანეთ, სერ? - ჩაერია საუბარში პერკერი.

- მეტი რაღა უნდა ვთქვა? - მიუგო მისტერ პიკვიკმა, - ეგენი თავხედი, ურცხვი, ბილწი მძარცველები და ცილისმწამებლები არიან.

- კეთილი, სერ! - შემარიგებელი კილოთი წარმოთქვა პერკერმა, - პატივცემულო ბატონებო, მან უკვე ყველაფერი გითხრათ, რის თქმაც სურდა. გთხოვთ, ახლა წაბრძანდეთ. ლაუტენ, კარი ღიაა?

მისტერ ლაუტენმა, რომელიც ოთახის ერთ-ერთ კუთხეში მიყუჟულიყო და ჩუმად ხითხითებდა, თანხმობის ნიშნად პატრონს თავი დაუქნია.

- ჩინებულია... ნახვამდის... გთხოვთ, ბატონებო... მისტერ ლაუტენ, კარი! - დაიძახა პატარა ვექილმა, მერე დოდსონს და ფოგს საჩქაროდ გაუძღვა კარისაკენ, - აქეთ, ბატონებო, გთხოვთ, ნუღა აყოვნებთ... ღმერთო ჩემო!.. მისტერ ლაუტენ... კარი, სერ... რატომ დაგიღიათ პირი?

- სერ, თუ ინგლისის სამეფოში კანონმდებლობა არსებობს, - მიმართა მისტერ პიკვიკს დოდსონმა, როდესაც ქუდი დაიხურა, - თქვენ ამ შეურაცხყოფის გამო პასუხს აგებთ!

- თქვენ ხართ ღირსეული წყვილი თავხედი, ურცხვი...

- გახსოვდეთ, სერ, ძვირად დაგიჯდებათ ეს ნათქვამი! - წამოიძახა ახლა ფოგმა.

- ბილწი მძარცველები და ცილისმწამებლები! - განაგრძო მისტერ პიკვიკმა, რომელმაც არაფრად ჩააგდო მოწინააღმდეგის მუქარა, - მძარცველები!

როცა ვექილები კიბეზე დაეშვნენ, იღრიალა კვლავ მისტერ პიკვიკმა, ხელიდან დაუსხლტა მისტერ ლაუტენსა და პერკერს. იქვე კიბის მოედნის ფანჯრიდან გადაიხედა.

როცა მობრუნდა, სახე კვლავ მშვიდი და მოღიმარი ჰქონდა. წყნარი ნაბიჯით შემოვიდა კანტორაში და განაცხადა, გული ვიჯერე და მომეშვა, ახლა სრულიად ბედნიერი და კმაყოფილი ვარო.

პერკერმა არაფერი თქვა, ვიდრე სათუთუნე არ გამოცალა და ლაუტენი მის შესავსებად არ გაგზავნა. მერე ისეთი სიცილი წასკდა, რომ მთელ ხუთ წუთს არ გაჩერებულა. სული რომ მოითქვა, განაცხადა, ახლა წესით უნდა გავჯავრდე, მაგრამ სერიოზუ-

ლად არაფრის გაკეთება არ შემიძლია, უფრო მოგვიანებით გავ-ჯავრდებიო.

- ახლა კი, - წარმოთქვა მისტერ პიკვიკმა, - თქვენც გაგისწორებთ ანგარიშს.

- ისევე, როგორც იმათ გაუსწორდით? - წამოიძახა პერკერმა და კვლავ სიცილი წასკდა.

- არა, მთლად ისე არა, - მიუგო მისტერ პიკვიკმა, ჯიბიდან საფულე ამოიღო და პატარა ვექილს გულთბილად ჩამოართვა ხელი, - ახლა მე მხედველობაში მაქვს მხოლოდ ფულადი ანგარიშის გასწორება... თქვენგან იმდენი სიკეთე მახსოვს, რომ ამას მე ვერასოდეს გადაგიხდით და არცა მსურს, რადგან მირჩევნია, ამაში მუდამ თქვენი მოვალე დავრჩე.

ამ შესავლის შემდეგ ორივე მეგობარი რთულ გამოანგარიშებას შეუდგა. პერკერმა საბოლოო ანგარიში წარუდგინა მისტერ პიკვიკს და ამ უკანასკნელმაც დაუყოვნებლივ გადაიხადა გასამრჯელო; თანაც მრავალჯერ დასძინა, მუდამ თქვენი მეგობარი და პატივისმცემელი ვიქნებიო.

ის იყო, ანგარიში გაასწორეს, რომ უეცრად კარზე საშინელი კაკუნი გაისმა. ეს ჩვეულებრივი ორმაგი კაკუნი კი არ გახლდათ, არამედ ყურთასმენისწამღები დარტყმების უწყვეტი წყება, გეგონებოდათ, კარის ჩაქუჩს პერპეტუუმმობილეს უნარი შეეძინა, ან ადამიანს, რომელიც კარზე უკაკუნებდა, დაავიწყდა კაკუნის შეწყვეტა.

- ეშმაკმა დასწყევლოს, ეს რაღა ამბავია? - შეკრთა პაწია ვექილი.

პასუხად ჩაქუჩი უფრო მეტყველად აგუგუნდა.

- ღმერთო ჩემო! - წამოიძახა პერკერმა და ზარი დარეკა, - მთელი ინი ფეხზე დადგება. ლაუტენ, გესმით თუ არა?

- ამწუთს გავაღებ კარს, სერ, - ხმა გასცა კლერკმა მეორე ოთახიდან.

ჩაქუჩმა თითქოს ყური მოჰკრა ამ პასუხს და კიდევ უფრო ხმამაღლა აგუგუნდა.

- საშინელია, საზარელი! - წამოიძახა მისტერ პერკერმა და ყურები დაიცვა.

- სწრაფად, მისტერ ლაუტენ! - გასძახა კლერკს პაწია ვექილ-მა, - ასე თუ განაგრძო, კარის ფიცარს გახეთქს.

მისტერ ლაუტენი, რომელიც ხელს იბანდა იქვე ბნელ საკუჭ-ნაოში, კარს ეცა, გამოაღო და თვალი მოჰკრა არსებას, რომელ-საც, მკითხველო, შემდეგ თავში აღგიწერთ.

თავი LIV

მოგვითხრობს კარზე კაკუნის ზოგიერთი თავისებურების შესახებ და ეხება სხვა საკითხსაც, რომელთა შორის, ფრიად საინტერესო ამბავი მისტერ სნოდგრასისა და ერთ-ერთი ყმაწვილი ქალის შესახებ, არამც და არამც არ შეგვიძლია ჩავთვალოთ ზედმეტად ჩვენი გმირების თავგადასავალში

კარი გამოაღო თუ არა, გაოცებულ კლერკს თვალში მოხვდა არსება, რომელიც გახლდათ ძალიან მსუქანი, ლივრეაში ჩაცმული ყმაწვილი. იგი თვალდახუჭული იდგა კარის წინ დაგებულ ჭილოფზე და თითქოს ეძინა. ასეთი სქელი ახალგაზრდა კლერკს არასოდეს ენახა მოხეტიალე მსახიობთა ბალაგანებშიც კი. ამ გარემოებამ და კიდევ იმან, რომ კაცი, რომელმაც ასეთი რახუნი და აურზაური ატეხა, ახლა ესოდენ მშვიდად და არხეინად იდგა, ვითომც აქ არაფერიაო.

- რა მოხდა? - ჰკითხა გაოცებულმა კლერკმა ყმაწვილს.

უცნაურმა ყმაწვილმა არაფერი უპასუხა, მხოლოდ ადგილზე შექანდა და კლერკს მოეჩვენა, თითქოს ხვრინვაც ამოუშვა.

- ვინ ხართ, საიდან მოხვედით? - ჰკითხა კლერკმა.

მსუქანი ყმაწვილი ხმას კვლავ არ იღებდა. მძიმედ ქშინავდა და მხოლოდ ამით თუ შეატყობდით, რომ ცოცხალი იყო.

კლერკმა კითხვა სამჯერ გაიმეორა, მაგრამ პასუხი ვერ მიიღო. ის იყო, კარი უნდა მოეკეტა, რომ უეცრად უცნობმა თვალი გაახილა, რამდენჯერმე დაახამხამა, მერე ცხვირი დააცემინა

და ხელი ასწია, თითქოს კვლავ ჩაქუჩისათვის უნდა წაევლო ხელი. ბოლოს მისტერ ლაუტენს მიაშტერდა.

- რა ეშმაკებად ატეხეთ ბრახუნი? - უსაყვედურა კლერკმა.

- რა თქვით? - მძინარე ხმით იკითხა ყმაწვილმა.

- ისე არახუნებდით, მეგონა, ორმოცი მეეტლე მოადგა კარს-- მეთქი, - განუმარტა კლერკმა.

- ბატონმა ასე მიბრძანა, სულ არახუნე, ვიდრე კარს არ გაგიღებენო. ეშინოდა, ვაითუ, იქაც ჩაგეძინოსო, - აუწყა ვაჟმა.

- აქ რაზე გამოგგზავნეს? - შეეკითხა კლერკი.

- ქვემოთაა, - თქვა ყმაწვილმა.

- ვინ?

- ჩემი ბატონი. უნდა გაიგოს, შინ ხართ თუ არა.

აქ მისტერ ლაუტენმა იფიქრა, ფანჯრიდან გადავიხედავ და მე თვითონ ვნახავო. ღია ეტლში ხნიერი, წარმოსადეგი ჯენტლმენი იჯდა, რომელიც მოუთმენლად მისჩერებოდა მაღლა ფანჯრებს. ლაუტენმა ხელით ანიშნა, ამოდითო და ხნიერი ჯენტლმენიც ეტლიდან გადმოვიდა.

- იქ ეტლში შენი ბატონია? - შეეკითხა ყმაწვილს ლაუტენი.

ყმაწვილმა თავი დაუკრა თანხმობის ნიშნად. კლერკმა მეტი ვეღარაფერი ჰკითხა, რადგან ამ დროს კიბეზე მისტერ უორდლმა ამოირბინა, მისტერ ლაუტენს მიესალმა გზად და პირდაპირ მისტერ პერკერთან შევიდა.

- პიკვიკ! - შესძახა ხნიერმა ჯენტლმენმა, - ხელი გამომიწოდეთ, მეგობარო! მხოლოდ სამი დღეა, რაც გავიგე, რომ ციხეში ჩაგისვამთ თავი!.. მაგის ნება როგორ მიეცით, პერკერ?

- მე ვერაფერს გავხდი, პატივცემულო სერ, - მიუგო პერკერმა ღიმილით და სათუთუნიდან თუთუნის მწიკვი ამოიღო, - მოგეხსენებათ უთუოდ, როგორი ჯიუტიცაა.

- ვიცი, ვიცი! - კვერი დაუკრა ხნიერმა ჯენტლმენმა, - მაინც ძალიან მიხარია მისი ნახვა. მომავალში თვალს არ მოვაცილებ, სულ კუდში ვდევ.

ეს რომ წარმოთქვა, უორდლმა კიდევ ერთხელ ჩამოართვა ხელი მისტერ პიკვიკს, მერე მისტერ პერკერს და სავარძელში ჩაეშვა, - მხიარული, წითური სახე სიხარულით გაუბრწყინდა.

- აბა, - თქვა უორდლმა, - ეს რა ამბები ხდება!.. თუთუნი მომაწოდეთ, ჩემო პერკერ... რა დრო დაგვიდგა!

- რას გულისხმობთ? - ჰკითხა მისტერ პერკერმა.

- იმას მოგახსენებთ, - მიუგო უორდლმა, - რომ ყველა ქალიშვილი ჭკუაზე შეიშალა. მეტყვით უთუოდ, რომ ეს ახალი ამბავი როდია. ახალი არაა, მაგრამ ასეა.

- პატივცემულო სერ, ლონდონს უთუოდ არ ჩამობრძანდებოდით, რომ მარტო ეგ ამბავი გეთქვათ ჩვენთვის.

- არა, მარტო ამისათვის არა, რა თქმა უნდა, - მიუგო უორდლმა, - თუმცა ამ მიზეზით წამოვედი სოფლიდან. არაბელა როგორაა?

- ჩინებულად გახლავთ, - მიუგო მისტერ პიკვიკმა, - არც იმაში მეპარება ეჭვი, რომ თქვენი ნახვა ძალიან გაუხარდება.

- შავთვალა ჯადოქარი! - წამოიძახა უორდლმა, - მე თვითონ მინდოდა მისი შერთვა სულ მალე... მაინც გულით მიხარია მისი ბედნიერება.

- ვინ ჩამოგიტანათ ეს ამბავი? - ჰკითხა მისტერ პიკვიკმა.

- რა თქმა უნდა, ჯერ ჩემმა გოგონებმა გაიგეს, - მიუგო უორდლმა, - სამი დღის წინათ არაბელამ გამოუგზავნა წერილი, რომ გათხოვდა ისე, რომ მეუღლის მამამ არაფერი იცოდა და თქვენ უფროს უინკლთან წახვედით საქმის მოსაგვარებლად მაშინ, როდესაც ქორწინებაზე უარის თქმა უკვე აღარ შეიძლებოდა. მეც გადავწყვიტე, რომ სწორედ კარგი დროა, ამ საკითხებზე

ჩემს გოგონებსაც მოველაპარაკო-მეთქი. მოვახსენე კიდეც, თუ რა საშინელი და საზარელია, როდესაც ქალიშვილები თხოვდებიან ისე, რომ მშობლის დალოცვა არ მიუღიათ-მეთქი. მაგრამ... ღმერთი იყოს ჩვენი მფარველი... ნათქვამი აინუნშიაც არ ჩამიგდეს. მაგათ რა უნდა მოჰკითხო, ქორწილი ქორწილად არ მიაჩნიათ, თუ ქალი მეგობრები არ ეყოლებათ. გინდა მათთვის მისწავლებია ჭკუა და გინდა ჯოსთვის! - ხნიერ ჯენტლმენს სიცილი წასკდა. გული რომ იჯერა, განაგრძო, - ეს ყველაფერი როდია. ეს მხოლოდ კვირტებია იმ სასიყვარულო ინტრიგებისა და შეთქმულებების, რომელიც ახლა, ჩვენ თვალწინ ხდება. თურმე ჩვენ კაი ნახევარი წელია, რაც დანაღმულ ადგილებზე დავდივართ და ეს ნაღმები აფეთქდნენ კიდეც.

- რას ამბობთ! - წამოიძახა მისტერ პიკვიკმა და გაფითრდა, - ნუთუ კიდევ ვინმემ დაიწერა საიდუმლოდ ჯვარი?

- არა, - მიუგო მოხუცმა უორდლმა, - არც ასე ცუდადაა საქმე.

- მაშ, რაღაა? - შეეკითხა მისტერ პიკვიკი, - მაშ, მე მეხება?

- ვუთხრა, პერკერ? - მიმართა ვექილს უორდლმა.

- უთხარით, ჩემო ძვირფასო სერ, თქვენ თუ არაფერი გაქვთ საწინააღმდეგო, - მიუგო ვექილმა.

- დიახ, გეხებათ, - განუცხადა უორდლმა მისტერ პიკვიკს.

- რაო? - მისტერ პიკვიკი აღელდა, - როგორ?

- თქვენ ისეთი ფიცხი კაცი ხართ, რომ, მართალი გითხრათ, მეშინია თქმა, - მიუგო უორდლმა, - მაგრამ პერკერი თუ აქ, შუაში ჩაგვიჯდება, მაშინ გავბედავ და გეტყვით.

ხნიერმა ჯენტლმენმა კარი მაგრად მიხურა, პერკერის სათუთუნიდან კვლავ ერთი მწიკვი ამოიღო და შემდეგ ფარული ამბავი სააშკარაოზე გამოიტანა.

- საქმე ისაა, რომ ჩემი ქალიშვილი ბელა... ხომ იცით ბელა რომელიცაა, ტრანდლის რომ ჰყავს ცოლად...

- ვიცით, ვიცით, - მოუთმენლად შეაწყვეტინა სიტყვა მისტერ პიკვიკმა.

- მოიცადეთ, ჯერ არაფერი მითქვამს. იმას მოგახსენებდით, ჩემი ქალიშვილი ბელა... (ემილის თავი ასტკივდა, არაბელას წერილი რომ წაიკითხა და ადრე დაწვა)... ბელამ საღამოს წამოიწყო ლაპარაკი ამ ქორწინების შესახებ. რას იტყოდით ამის შესახებ, მამიკო? - მეკითხება. რა უნდა გითხრა, ჩემო ცუგრუმელა, - ვუთხარი, - მგონი, ურიგო არ უნდა იყოს-მეთქი. მახსოვს ბუხართან ვიჯექი და ფიქრებში გართული გროგს მივირთმევდი ნელ--ნელა. ვიცოდი, რომ საკმარისია, დროდადრო თითო სიტყვა ჩავურთო საუბარში, რომ იმას ვერც გააჩერებ, თვითონ ალაპარაკდება. ამიტომ ვუპასუხე ასე. ორივე ჩემი ქალიშვილი ძალიან მაგონებს მათ დედას, ჩემს მეუღლეს. ახლა, რომ ვბერდები, მიყვარს ჩემთან რომ სხედან და მხიარულად მეჭიკჭიკებიან. მათი ნაზი სახე და წკრიალა ხმები უბედნიერეს დროს მაგონებს ჩვენს ცხოვრებაში, იმწუთს მეც ისეთივე ყმაწვილი მგონია თავი, როგორც იმხანად ვიყავი. თუმცა, მაშინაც არ ვყოფილვარ ისეთი უდარდელი და უზრუნველი, როგორც ახლა ჩემი გოგონები არიან. ბელა ერთხანს დუმდა და მერე მითხრა: მამიკო, ისინი ხომ ნამდვილად იმიტომ დაქორწინდნენ, რომ ძალიან უყვარდათ ერთმანეთი?.. კი, ჩემო ცუგრუმელა, - ვუპასუხე, - მაგრამ ასეთი ქორწინება ყოველთვის როდია ძალიან ბედნიერი.

- იცოდეთ, რომ მე ამ საკითხში არ გეთანხმებით! - განაცხადა მისტერ პიკვიკმა.

- კეთილი, - თქვა უორდლმა, - ნუ დამეთანხმებით ნურაფერზე, თქვენი ჯერი რომ დადგება მაშინ, ახლა კი სიტყვას ნუ შემაწყვეტინებთ.

- ბოდიშს ვიხდი, - წარმოთქვა მისტერ პიკვიკმა.

- არაფერია, - მიუგო უორდლმა, - ძალიან ვწუხვარ, მამიკო, ასეთი ქორწინების სიკეთის არ გწამთ, მითხრა ბელამ და გაწითლდა. არა, ჩემო ცუგრუმელა, მე ასე არ მითქვამს, ვუპასუხე და ლოყაზე მოვუთათუნე ხელი ისე ნაზად, რამდენადაც ჩემისთანა უხეშ კაცს შეუძლია მოფერება. - დედაშენიც ხომ სიყვარულით გათხოვდა და შენც, მე მგონი. მე ეგ არ მქონდა მხედველობაში, - მითხრა ბელამ, საქმე ისაა, რომ ემილის შესახებ მინდა გელაპარაკოთ.

მისტერ პიკვიკი შეკრთა.

- რა მოხდა? - იკითხა უორდლმა.

- არაფერი, - მიუგო მისტერ პიკვიკმა, - გთხოვთ, განაგრძოთ.

- გრძელი ამბების მოყოლა არასოდეს მეხერხებოდა, - გამოაცხადა უორდლმა, - სულერთია, ადრე თუ გვიან ყველაფერი სააშკაროზე გამოვა. სჯობს, დროს ნუ დავკარგავთ და პირდაპირ გადმოგცემთ საქმის ვითარებას... მოკლედ რომ ვთქვათ, ბელამ როგორც იქნა, გაბედა და მითხრა, რომ ემილი ძალიან უბედურია. ჯერ კიდევ გასულ შობიდან ის და თქვენი მეგობარი სნოდგრასი წერილებს სწერდნენ თურმე ერთმანეთს და ემილიმ, რა გაეწყობა, ესეც უნდა ვაღიარო, გადაწყვიტა სახლიდან გაქცევა, როგორც მისი სკოლის მეგობარი მოიქცა. მაგრამ რადგან იცის, რომ მე ორივე ჩემი ქალიშვილი ძალიან მიყვარს, ახლა სინდისი ტანჯავს. ორივემ გადაწყვიტა, ჯერ მე დამდონ პატივი და მკითხონ, ხომ არაფერი მაქვს საწინააღმდეგო, რომ მათ, ემილიმ და თქვენმა სნოდგრასმა, ჯვარი დაიწერონ. ახლა კი, მისტერ პიკვიკ, მე კი ნუ მომაჩერდებით თვალდაჭყეტილი, არამედ მითხარით, რა ვქნათ, რა ვიღონოთ და მერწმუნეთ, დიდი მადლობელი დაგრჩებით.

- სნოდგრასი!.. შობის აქეთ!.. - გახლდათ პირველივე სიტყვები, რაც დასცდა განცვიფრებულ ჯენტლმენს.

- დიახ, გასული შობის აქეთ, - კვერი დაუკრა უორდლმა, - ეს ხომ დღესავით ნათელია! ეტყობა, სათვალე არ გვივარგა, რომ აქამდე ვერაფერი შევამჩნიეთ.

- არ მესმის, - დაფიქრებით მიუგო მისტერ პიკვიკმა, - არაფერი მესმის!

- მერე, რა ძნელი გასაგები ეგაა! - წამოიძახა ფიცხმა უორდლმა, - უფრო ახალგაზრდა რომ ყოფილიყავით, დიდი ხანია მიუხვდებოდით მაგ საიდუმლოს... გარდა ამისა, - უორდლი ერთხანს ყოყმანობდა და მერე დაუმატა: - მართალი რომ გითხრათ, აგერ ოთხი თუ ხუთი თვეა, ემილის ვეხვეწები (რა თქმა უნდა, თუ თვითონაც არაფერი აქვს საწინააღმდეგო, რადგან ძალით არაფერს გავაკეთებინებ), იმ ყმაწვილკაცს ხელს ნუ ჰკრავ-მეთქი, რომელიც, კარგა ხანია, ეარშიყება. ჩინებული ყმაწვილია, ჩვენს მეზობლად ცხოვრობს. ეჭვიც არ მეპარება, როგორც ეს ქალიშვილებს სჩვევიათ, ემილიმაც ეს ამბავი გაბერა, რომ ფასი დაედო და უფრო გაეგიჟებინა მისტერ სნოდგრასი. ამის შედეგიც ის გახლდათ, რომ ქალ-ვაჟმა დაასკვნა, ჩვენისთანა უბედური ქვეყანაზე აღარავინააო, ყველა ჩვენ გვდევნის, ქვეყანა აგვიმხედრდაო. ჰოდა, ჩემო ბატონო, ორივემ გადაწყვიტა, სხვა გზა არაა, ან უნდა ცოცხლად დავიწვათ თავი, ან ჩუმად ვიქორწინოთო. ახლა გეკითხებით, რა ვქნათ?

- რა ქენით მერე? - ჰკითხა მისტერ პიკვიკმა.

- ვინ? მე?

- დიახ. იმის თქმა მინდა, რა მოიმოქმედეთ, თქვენმა გათხოვილმა ქალიშვილმა რომ შეგატყობინათ ეს ამბავი?

- რა თქმა უნდა, მოვიქეცი ისე, როგორც უგუნური და შტერიც არ მოიქცეოდა, - მიუგო უორდლმა.

- მართალს ბრძანებთ, - სიტყვა ჩაურთო პერკერმა, რომელიც მთელი ამ საუბრის განმავლობაში საათის ძეწკვს ათამა-

შებდა, გაბრაზებით ისრესდა ცხვირს და მოუთმენლობისგან ადგილს ვერ პოულობდა.

- საშინლად გავბრაზდი. დედა ისე შევაშინე, რომ საწყალს გული წაუვიდა, - მიუგო უორდლმა.

- ჩინებულია, ჩინებული! - შენიშნა პერკერმა, - კიდევ რა ჩაიდინეთ?

- მეორე დღეს ახლოს ვერავინ გამეკარა, ცოფიანივით ვიკბინებოდი, ავაფორიაქე ყველა, - მიუგო მოხუცმა ჯენტლმენმა, - ბოლოს, ყველას სიცოცხლე რომ ჩავუშხამე და მეც არ დამადგა კაი დღე, მომბეზრდა ესეც. შემდეგ მაგლტონში ეტლი დავიქირავე, შიგ ჩემი ცხენები შევაბმევინე და ლონდონში წამოვედი, ვითომდა იმ საბაბით, ემილიმ არაბელა უნდა ინახულოს-მეთქი.

- მაშ, მის უორდლიც აქ ბრძანდება? - იკითხა მისტერ პიკვიკმა.

- რა თქმა უნდა, - მიუგო უორდლმა, - ამჟამად ოსბორნის სასტუმროშია, ედელფში, თუკი თქვენმა მარჯვე მეგობარმა არ გაიტაცა უკვე, ვიდრე აქ გესაუბრებით.

- მას შეურიგდით? - შეეკითხა პერკერი.

- სულაც არა! - მიუგო უორდლმა, - ჩემი ქალიშვილი, რაც ეს ამბავი გავიგე, სულ ტირის და სლუკუნებს. მხოლოდ წუხელის დაშოშმინდა ოდნავ. დაჯდა და წერილის წერას შეუდგა. მეც თავი მოვიკატუნე, არაფერი შევამჩნიე.

- ახლა უთუოდ გნებავთ რაიმე გირჩიოთ? - შეეკითხა პერკერი და აღელვებული უორდლს მიაჩერდა. თან ჩვეულ ამგზნებ საშუალებას მიმართა, თუთუნის რამდენიმე მწიკვით გაუმასპინძლდა თავს. მისტერ პიკვიკი დუმდა ღრმად ჩაფიქრებული.

- დიახ, თქვენი რჩევა მჭირდება, - მიუგო უორდლმა და მისტერ პიკვიკს გადახედა.

- რა თქმა უნდა, - კვერი დაუკრა ხსენებულმა ჯენტლმენმაც.

- მაშ, მისმინეთ, - წარმოთქვა პერკერმა. იგი წამოდგა და სკამი გასწია, - აი, რას გირჩევთ: ორივე ახლავე წაბრძანდით, გინდ ფეხით, გინდ ეტლით, როგორც გენებოთ. თქვენმა მასლაათმა გული გამიწვრილა. ცალკე მოითათბირეთ, რაც გნებავდეთ. მალე შევხვდებით კვლავ და თუ მანამდე ვერაფერი გადაწყვიტეთ, მაშინ მე მოგახსენებთ, როგორ უნდა მოიქცეთ.

- აი, ეს კი ნათლადაა თქმული, - შენიშნა უორდლმა, რომელმაც არ იცოდა, გაეცინა თუ გამწყრალიყო პატარა ვექილის კატეგორიულ პასუხზე.

- მოიცადეთ, ჩემო ძვირფასო სერ, - განაცხადა პერკერმა, - მე თქვენ ორივეს გაცილებით უკეთ გიცნობთ, ვიდრე თქვენ იცნობთ საკუთარ თავს, მე რას მეკითხებით? განა არ გეტყობათ, რომ ეს საკითხი ორივეს უკვე მოგვარებული გაქვთ.

გამოთქვა თუ არა თავისი მოსაზრება, პატარა ჯენტლმენმა სათუთუნე ჯერ მისტერ პიკვიკს მიარტყა მკერდში, მერე მისტერ უორდლს. სამივეს გაეცინა. განსაკუთრებით გულიანად ხარხარებდა ბოლოს ხსენებული ორი ჯენტლმენი, რომლებმაც, გაუგებარია რატომ, ერთმანეთს მაგრად ჩამოართვეს ხელი.

- დღეს ჩემთან უნდა ისადილოთ, - უთხრა უორდლმა პერკერს, რომელმაც კლიენტები კარამდე მიაცილა.

- ვერ დაგპირდებით, ჩემო ძვირფასო სერ, - მიუგო პერკერმა, - ყოველ შემთხვევაში, საღამოთი მაინც გამოგივლით.

- ხუთისთვის გელოდებით, - უთხრა უორდლმა, - ეი, ჯო!

ჯო, რა თქმა უნდა, სთვლემდა. როგორც იქნა, გამოაღვიძეს და ორივე ჯენტლმენმა მისტერ უორდლის ეტლში მოიკალათა. ამ ეტლს უკან საგანგებო დასაჯდომი ჰქონდა გაკეთებული მსუქანი ყმაწვილისთვის, რადგან ჯო ჩვეულებრივ სატერფულზე რომ მჯდარიყო, როგორც კი ჩასთვლემდა, უთუოდ გადმოვარდებოდა და დაიმტვრეოდა.

როდესაც მგზავრები სასტუმრო „ჯორჯსა და ფასკუნჯში“ ჩამოვიდნენ, მათ გაიგეს, რომ არაბელას, რომელმაც ემილისაგან მიიღო თურმე წერილი, ჩამოვედი და მინახულეო, ეტლი დაუქირავებია და პირისფარეშთან ერთად ედელფში წაბრძანებულა. უორდლსაც რაღაც საქმე ჰქონდა სიტიში. ამიტომ, სასწრაფოდ მსახური ეტლით დაუყოვნებლივ სასტუმროში გაგზავნეს და ემილის შეუთვალეს, ხუთ საათზე მოვალთ სადილადო.

მიიღო თუ არა ბოკვერამ ეს ბრძანება, მაშინვე დანიშნული ადგილისკენ გასწია. მთელი გზა ისე ტკბილად სთვლემდა, გეგონებათ ბუმბულის ნალზე ეძინა. ეტლი შეჩერდა თუ არა, წარმოიდგინეთ, თვითონვე გამოეღვიძა, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, თავი შეაჯღრია, რომ გონს მოსულიყო და დავალების შესასრულებლად ავიდა სასტუმროს მეორე სართულზე.

ვერ გეტყვით, ეტლით ამდენმა ჯაყჯაყმა შეუნჯღრია ტვინი ბოკვერას ნაცვლად იმისა, რომ წესრიგში მოეყვანა, თუ პირიქით, იმდენი ახალი აზრი გაუჩინა, რომ ბიჭს ზრდილობის წესი გადაავიწყა; ან იქნებ (არც ესაა გამორიცხული) კიბეზე რომ ადიოდა, მას კვლავ ჩაეძინა - ასე იყო თუ ისე, ერთი რამ კი უდავოა: სასტუმრო ოთახში ისე შევიდა, რომ წინასწარ არ დააკაკუნა. ყმაწვილს მაშინვე თვალში მოხვდა ვიღაც ჯენტლმენი, რომელიც გვერდს უმშვენებდა ახალგაზრდა დიასახლისს და ალერსიანად ეხვეოდა; არაბელა თავისი ლამაზი პირისფარეშით კი ოთახის მეორე ბოლოში იდგა და ვითომც ძალიან დიდი ინტერესით იყურებოდა ფანჯარაში. ეს რომ შენიშნა, გაოცებულ ბოკვერას ღმუილი აღმოხდა, ქალიშვილს - კვნესა, ყმაწვილ ჯენტლმენს - წყევლა. ყველაფერი ეს კი ერთდროულად მოხდა.

- შე უქნარავ, აქ რა გინდა? - ჰკითხა დაუპატიჟებელ სტუმარს ჯენტლმენმა.

მკითხველი უთუოდ მიხვდა, რომ ეს მისტერ სნოდგრასი გახლდათ.

- დიასახლისი.

- ჩემთან რა საქმე გაქვს ნეტავ? - შეეკითხა მსახურს ემილი და პირი მიიბრუნა, - სულელი არსება!

- ბატონი და მისტერ პიკვიკი ხუთისთვის მობრძანდებიან სადილად, - მიუგო ბოკვერამ.

- გასწი აქედან! - დაუყვირა მისტერ სნოდგრასმა და მრისხანედ შეუბღვირა გაოცებულ ყმაწვილს.

- არა, არა! - მკვირცხლად შეაწყვეტინა ემილიმ, - ძვირფასო, უნდა მირჩიო რამე!

ამის შემდეგ ემილი, მისტერ სნოდგრასი, არაბელა და მერი კუთხეში განცალკევდნენ და რამდენიმე წუთის განმავლობაში აღელვებული ჩურჩულებდნენ, ბოკვერამ კვლავ ჩასთვლიმა.

- ჯო, - თქვა ბოლოს არაბელამ და კეკლუცად გაუღიმა, - როგორ ბრძანდებით, ჯო?

- ჯო, - მიმართა ემილიმაც, - შენ ხომ კარგი, კეთილი ბიჭი ხარ. მე არასოდეს დაგივიწყებ, ჯო!

- ჯო, - ტკბილად წარმოთქვა მისტერ სნოდგრასმაც, ყმაწვილთან მივიდა და ხელზე მოჰკიდა ხელი, - მაპატიეთ, ვერ გიცანი. აგერ ხუთი შილინგი, ჯო.

- ჩემგანაც კიდევ ხუთი, ჯო, - თქვა არაბელამ, - ძველი ნაცნობობის ნიშნად! - თან კეკლუცად გაუღიმა დაუპატიჟებელ სტუმარს.

ბოკვერა, მოგეხსენებათ, მაინცდამაინც მკვირცხლად ვერ აზროვნებდა. ჯერ სულ დაიბნა, ამდენი სიკეთე რომ დააყარეს მოულოდნელად; შეწუხებულმა აქეთ-იქით გაიხედ-გამოიხედა. მერე ფართო სახეზე ასეთივე ფართო ღიმილი აუთამაშდა. შემ-

დეგ ჯიბეში ჩაიდო ხუთ-ხუთი შილინგი, ხელებიც შიგ ჩაიწყო და გადაიხარხარა.

- მგონი, გაიგო, - თქვა არაბელამ.

- ახლა ჩქარა რაიმე მივცეთ, რომ შეჭამოს, - შენიშნა ემილიმ.

ამას მოკრა ყური თუ არა, ბოკვერას კვლავ ხარხარი აუტყდა. მერიმ რაღაც ჩასჩურჩულა ქალებს, მერე ჯგუფს გამოეყო და ბოკვერას მიუბრუნდა:

- თქვენთან ერთად მინდა ვისადილო, სერ, თუ, რა თქმა უნდა, თქვენ არაფერი გაქვთ საწინააღმდეგო.

- წამოდით! - აფუსფუსდა ბოკვერა, - აქ დაბლა ისეთი საუცხოო ხორცის პაშტეტი აქვთ, რომ ჭკუაზე შეიშლება კაცი!

ეს რომ თქვა, ბოკვერა კიბეზე დაეშვა. მას მიჰყვა ლამაზი მსახურიც. სასადილოში მერიმ სილამაზით ყველა მოაჯადოვა და შური აღუძრა ყველა იქ მყოფ მსახურ ქალს.

აქ მარტო პაშტეტი როდი ჰქონდათ, რომელიც ასეთი სიყვარულით ახსენა ბოკვერამ; აქ იყო ცივად მოხარშული ხორცი, მოხარშული კარტოფილი და პორტერით სავსე ტოლჩა.

- აქ დასხედით! - მიმართა მერის ბოკვერამ, - იფ, რა კარგია! უჰ, როგორ მშია! - ხუთჯერ მაინც გაიმეორა აღტაცებით უკანასკნელი სიტყვები და მერე პატარა მაგიდას მიუჯდა. მერიმ მის პირდაპირ დაიკავა ადგილი.

- ეს გნებავთ? - ჰკითხა ბოკვერამ ქალს და დანა-ჩანგალი ისე ღრმად ჩაასო პაშტეტში, რომ მხოლოდ სახელურები მოჩანდა.

- პატარა ნაჭერი გადმომიდეთ, გეთაყვა, - მიუგო მერიმ.

ბოკვერამ მერის გადაუღო პაწია ნაჭერი, თვითონ კი დიდი დაიდო და ის იყო, ჭამას შეუდგა, რომ უეცრად წინ გადმოიწია, ხელები მუხლებზე დაიწყო და ზანტად თქვა:

- იფ, როგორი გემრიელი ხართ!

ეს სიტყვები ყმაწვილმა ისეთი აღტაცებული კილოთი წარმოთქვა, რომ ქალს შექება უნდა გახარებოდა, მაგრამ ყმაწვილი ისეთი გაშმაგებით მისჩერებოდა, რომ კომპლიმენტი მეტად ორაზროვანი ეჩვენა.

- ღმერთო ჩემო, ჯოზეფ! - წამოიძახა მერიმ ვითომც დარცხვენით, - აბა, მაგას რას ამბობთ!

ბოკვერა ნელ-ნელა გასწორდა წელში და პასუხის ნაცვლად მძიმედ ამოიხვნეშა. რამდენიმე წუთს ხმა არ ამოუღია, იჯდა დაფიქრებული. მერე პორტერი მოწრუპა, კვლავ ამოიხვნეშა და პაშტეტს მიეძალა.

კარგა ხანს ორივე დუმდა.

- რა მომხიბლავი ქალია ჩვენი მის ემილი! - თქვა მერიმ.

- მე ვიცი, ვინცაა მასზე უკეთესი, - უპასუხა ბოკვერამ.

- რას ამბობ! - წამოიძახა მერიმ.

- დიახ, დიახ, ვიცი.

- მერე იმას რა ჰქვია? - შეეკითხა მერი.

- თქვენ რა გქვიათ?

- მერი.

- ჰოდა, იმასაც მერი ჰქვია, - გამოაცხადა ბოკვერამ, - ის თქვენ ხართ.

ყმაწვილი მხიარულად გაიღმიჭა, რათა ღიმილით დაემოწმებინა კომპლიმენტი. მერე თვალები მოჭუტა და გაიღიმა.ეეტყობა, თავისებურად ეარშიყებოდა ქალს.

- ასე ნუ მელაპარაკებით, - თქვა მერიმ, - თქვენ ხომ ასე არ ფიქრობთ.

- არ ვფიქრობო? - შეეპასუხა ბოკვერა, - რა თქმა უნდა, რომ ასეც ვფიქრობ. დიახ. ყური დამიგდეთ!

- გისმენთ.

- ყოველდღე მოხვალთ ხოლმე აქ?

- არა, - მიუგო მერიმ და თავი გააქნია, - აქ მე მხოლოდ დღეს ვარ, საღამომდე. რატომ მეკითხებით?

- აუ, რა ჩინებულად ვისადილებდით ყოველდღე, აქ რომ დარჩეთ! - გრძნობით წარმოთქვა ყმაწვილმა.

- იცით, რა გითხრათ, ხანდახან მოვიდოდი ხოლმე თქვენს სანახავად, - მიუგო მერიმ და ვითომც დარცხვენით სუფრას მოუცაცუნა ხელი, - ერთ თხოვნას თუ შემისრულებთ.

ბოკვერამ ჯერ პაშტეტის დაცარიელებულ სინს გადახედა, მერე შემწვარ ხორცს მიაშტერდა. შემდეგ ჯიბიდან ნახევარი კრონი ამოიღო და მერის შეხედა, ცოტა არ იყოს შეშფოთებულმა.

- მიმიხვდით? - შეეკითხა მერი და ეშმაკურად გადახედა მის გაბერილ ლოყებს.

ვაჟმა კვლავ ნახევარ კრონს დახედა და ძლივს ამოილუღლუღა.

- ვერა.

- ჩვენს ქალბატონებს არ უნდათ, რომ თქვენ მოხუც ჯენტლმენს უთხრათ რაიმე ახალგაზრდა ჯენტლმენის შესახებ, იქ, სასტუმრო ოთახში რომ ნახეთ... მეც ძალიან გეხვეწებით.

- სულ ეგაა? - ბოკვერას ეტყობა გულზე მოეშვა; მან საჩქაროდ შეინახა ფული, - სიტყვასაც არ დავძრავ.

- საქმე ისაა, - განუმარტა მერიმ, - რომ მისტერ სნოდგრასს ძალიან უყვარს მის ემილი. მის ემილსაც ძალიან უყვარს მისტერ სნოდგრასი. ჰოდა, თქვენ თუ მოუყვებით იმ ამბავს მოხუც ბატონს, მაშინ ყველას ხელს დაგვავლებს და სოფელში გვიკრავს თავს. იქ კი ვეღარავის ნახავთ.

- არა, არაფრის გულისათვის არ ვეტყვი, - მტკიცედ განაცხადა ბოკვერამ.

- გთხოვთ, არ უთხრათ! - შეევედრა მერი, - ახლა კი დროა, მაღლა მივაკითხო, ჩემი ქალბატონი სადილისათვის უნდა გამოვაწყო.

- არ წახვიდეთ! - შეეხვეწა ბოკვერა.

- არა, უნდა წავიდე, - მიუგო მერიმ, - ნახვამდის!

ბოკვერამ სპილოს სიმკვირცხლით გაშალა ხელები, უნდოდა ქალი მკლავებში მოემწყვდია და დაეკოცნა. მოგეხსენებათ, მერი მოქნილიც რომ არ ყოფილიყო, ისედაც ადვილად დაუსხლტებოდა ზანტ ყმაწვილს. ამიტომ ვიდრე ვაჟი მოასწრებდა ხელის მოხვევას, მერიმ დრო იხელთა და გაიქცა. უთუოდ თავი რომ ენუგეშებინა, ზანტმა ყმაწვილმა კიდევ ერთი გირვანქა ხორცი შეჭამა და მაგრად ჩაეძინა.

ამასობაში მაღლა იმდენი საკითხი იყო მოსაგვარებელი, იმდენი გეგმა შესასრულებული, რომელიც ეხებოდა გატაცებასა და საიდუმლო ქორწინებას (რა თქმა უნდა, იმ შემთხვევაში, თუ მოხუცი უორდლი არ მოლბებოდა), რომ სადილობამდე ნახევარი საათიღა დარჩა, როდესაც მისტერ სნოდგრასი ქალებს გამოემშვიდობა. მანდილოსნებმა იმწამსვე ემილის საწოლ ოთახს მიაშურეს, ახალგაზრდა სატრფო კი ოთახიდან გავიდა. მან კარის მოხურვაც ვერ მოასწრო, რომ კიბეზე მოხუცი უორდლის ხმა შემოესმა. მისტერ სნოდგრასი მოაჯირზე გადაწვა და კიბის ბოლოში თვალი მოჰკრა მოხუც ჯენტლმენს, რომელსაც თან სხვა ჯენტლმენებიც ახლდნენ.

რადგან მისტერ სნოდგრასს წარმოდგენაც არ ჰქონდა, სასტუმროში ოთახები როგორ იყო განლაგებული, ყმაწვილი ისე დაიბნა, რომ იმავე ოთახს მიაშურა, საიდანაც გამოვიდა. იქ არ შეჩერებულა, პირდაპირ მეორე ოთახში გავარდა (ეს იყო მისტერ უორდლის საძინებელი) და ჩუმად მოხურა კარი სწორედ იმწუთს, როცა კიბეზე შენიშნული ჯენტლმენები სასტუმრო

ოთახში შემოვიდნენ. ესენი გახლდნენ: მისტერ უორდლი, მისტერ პიკვიკი, მისტერ ნათანიელ უინკლი და მისტერ ბენჯამინ ალენი.

„ჩემი ბედი, რომ აქ არ გადავეყარე, - ღიმილით გაიფიქრა მისტერ სნოდგრასმა და თითის წვერებზე მეორე კარისკენ გაემართა, - ეს კარი უთუოდ იმავე დერეფანში გადის და მეც მშვიდობით დავაღწევ თავს“.

მხოლოდ ერთმა მოულოდნელმა დაბრკოლებამ შეაფერხა სნოდგრასი. საქმე ისაა, რომ კარი გასაღებით გადაეკეტათ, გასაღები კი არსად ჩანდა.

- ლაქიავ, დღეს საუკეთესო ღვინო მოგვართვით! - დაიძახა მისტერ უორდლმა და ხელები სიამოვნებით მოიფშვნიტა.

- საუკეთესო რაცაა, იმას მოგართმევთ, სერ, - მიუგო ლაქიამ.

- ქალბატონებსაც მოახსენეთ, რომ მოვედით.

- გისმენთ, სერ.

მისტერ სნოდგრასს მხურვალედ სურდა, რომ ქალბატონებისათვის მისი მოსვლის შესახებაც ეცნობებინა. გაბედა კიდეც და კარის საკეტის ჭუჭრუტანაში წაიჩურჩულა: „ლაქიავ!...“ მაგრამ უეცრად თავში გაუელვა, იქნებ მსახური შეშინდეს და საშველად მეორე ლაქიაც მოიხმოსო; ესეც რომ არ იყოს, ჩემი მდგომარეობა ახლა ზუსტად ისეთივეა, როგორიც ერთი ჯენტლმენის მდგომარეობა, მეზობელ სასტუმროში რომ იდგა (ამის შესახებ დაწვრილებითი ანგარიში დღევანდელი გაზეთის დილის ნომერში გამოქვეყნდა, იმ სვეტში, რომლის სათაურია „ამბები პოლიციიდან“). მისტერ სნოდგრასი აცახცახდა, მუხლი მოეკვეთა და იქვე ჩემოდანზე ჩამოჯდა.

- პერკერს აღარ მოვუცდით, - თქვა უორდლმა, - ის ხომ ზედმეტად პუნქტუალურია. უეჭველად დროზე მოვა, თუკი აპირებს

მოსვლას, თუ არა და, ტყუილად დაველოდებით... აგერ არაბელაც.

- ჩემო დაიკო! - წამოიძახა მისტერ ბენჯამინ ალენმა და ქალი მხურვალედ ჩაიკრა გულში.

- ო, ჩემო ბენ, თამბაქოს სუნი აგდის! - წარმოთქვა არაბელამ, რომელიც ცოტა არ იყოს, დაიბნა, ძმა რომ ესოდენ ალერსიანად შეხვდა.

- ნუთუ, მართლა? - გაოცდა მისტერ ბენჯამინ ალენი, - ნუთუ, მართლა, ბელა? შესაძლოა, ასეც იყოს.

დიახ, ასეც იყო, რადგან ახალგაზრდა დასტაქარმა ახლახან მიატოვა ფრიად მხიარული და სასიამოვნო საზოგადოება, თორმეტიოდე სტუდენტი, რომლებიც პატარა ოთახში, ბუხრის პირას, ეწეოდნენ სურნელოვან თამბაქოს.

- შენი ნახვა ძალიან გამიხარდა, - განაგრძო ბენ ალენმა, - ღმერთმა დაგლოცოს, ჩემო ბელა!

- საყვარელო ბენ, - წარმოთქვა არაბელამ და ძმა გადაკოცნა, - ნუღა მომეხვევი, თორემ კაბას დამიჭმუჭნი.

მისტერ ბენ ალენს ისე აუჩუყა გული დის ნახვამ, შესმულმა ღვინომ და მაგარმა სიგარამ, რომ თვალებზე ცრემლები მოადგა.

- მე რაღას მეტყვით? - წამოიძახა უორდლმა და მკლავები გაშალა.

- ძალიან, ძალიან ბევრ რამეს, - ჩასჩურჩულა არაბელამ და მოხუცის ალერსიან მილოცვაზე თვითონაც გადაკოცნა კეთილი ჯენტლმენი, - თქვენ უწყალო, უგულო და უსულო ურჩხული ხართ!

- თქვენ კი - პაწია მეამბოხე! - ასევე ჩუმად მიუგო უორდლმა, - თქვენისთანა ქალბატონები, რომელნიც ისე თხოვდებიან, რომ არავის არაფერს ეკითხებიან, სახლში შემოსაშვები არ არიან...

სადილიც მოგვართვეს... თქვენ აქ მომიჯექით! ჯო! უყურეთ ერთი, კი არ სძინავს! - გულდაწყვეტით დასძინა უორდლმა.

ბოკვერას მართლაც არ ეძინა, თვალები ისე დაეჭყიტა, რომ გეგონებოდათ, მოჭუტვა გაუჭირდებაო; ქცევაშიც უჩვეულო სიმკვირცხლეს იჩენდა. ემილის ან არაბელას გადახედავდა თუ არა, მხიარულად იკრიჭებოდა. ერთხელ უორდლმა აშკარად შეამჩნია, მან თვალიც კი ჩაუკრა ქალიშვილებს.

ბოკვერას ეს უცნაური ქცევა გამოწვეული იყო შემდეგი გარემოებით: მან იგრძნო, რაკი ორი ზემოხსენებული ყმაწვილი ლედის ნდობა დაიმსახურა, ამიერიდან იგი პატარა კაცი აღარ იყო და საკუთარი ღირსების ამ შეგრძნებით უფრო ამაყად ეჭირა თავი. იგი მოწყალედ უღიმოდა და თვალს უკრავდა ქალებს იმის ნიშნად, ნუ გეშინიათ, თქვენი ერთგული ვარო. რადგან ერთგულებისა და თავდადების ამ უსიტყვო მტკიცებას შესაძლოა ეჭვი აღეძრა დამსწრეთა შორის, ამიტომ არაბელამ რამდენჯერმე შეუბღვირა ვაჟს და კმაყოფილება რომ ეჩვენებინა, თავი გააქნია. ბოკვერას ეგონა, უთუოდ იმას მანიშნებს, რომ ფხიზლად ვიყოო. ამის მერე უფრო დაიმანჭა და ააპარპალა თვალები.

- ჯო, - მიმართა ყმაწვილს მოხუცმა უორდლმა, თან ჯიბეებს იჩხრეკდა, - ჩემი სათუთუნე მანდ დივანზე ხომ არ დევს?

- არა, სერ, - მიუგო ბოკვერამ.

- ჰო, ახლა მომაგონდა! - წამოიძახა უორდლმა, - ამ დილას ტუალეტის მაგიდაზე დამრჩა. იქ არის, საწოლ ოთახში და მომიტანე.

ბოკვერა მეორე ოთახში გავიდა და წუთიც არ გასულა, რომ უკან მობრუნდა სათუთუნით ხელში. ყმაწვილს მკვდრისფერი ედო, ასეთი გაფითრებული ჯერ არავის უნახავს ბოკვერა.

- ბიჭო, რა დაგემართა?! - წამოიძახა უორდლმა.

- არაფერიც არ დამემართა, - შეშინებული კილოთი მიუგო ჯომ.

- ალი ხომ არ მოგეჩვენა? - შეეკითხა მოხუცი ჯენტლმენი.

- იქნებ ალმა შიგნიდან შეუკეთა? - შენიშნა ბენ ალენმა.

- მე მგონი, თქვენ მართალი ხართ, - ჩასჩურჩულა დასტაქარს უორდლმა, - მთვრალი უნდა იყოს.

მოგეხსენებათ, ბენ ალენი ზემოხსენებული სენის ისეთი ოსტატი გახლდათ, რომ მისმა შენიშვნამ მისტერ უორდლი საბოლოოდ დაარწმუნა, სწორად მივმხვდარვარო.

- თვალი გეჭიროთ, - ჩურჩულით წარმოთქვა უორდლმა, - მალე ვნახავთ, მთვრალია თუ არა.

ბიჭმა ორი სიტყვაც ვერ უთხრა მისტერ სნოდგრასს. ხსენებული ჯენტლმენი შეევედრა ჯოს, ამ ტყვეობიდან იქნებ რომელიმე ჩემმა მეგობარმა გამათავისუფლოსო; მერე სათუთუნით ხელში კინწისკვრით გამოაგდო ოთახიდან. შეეშინდა, ბიჭმა ოთახში დიდხანს რომ დაჰყოს, ვინმემ ეჭვი არ აიღოსო. ჯო ერთხანს დაფიქრდა, ტვინს იჭყლეტდა, რა ვქნაო. მერე მერის საძებნელად წავიდა.

ლამაზი მსახური სასტუმროში აღარ იყო, როგორც კი ქალბატონი გამოაწყო, შინ წავიდა. ბოკვერა უფრო შეწუხდა.

უორდლმა და ბენ ალენმა ერთმანეთს გადახედეს.

- ჯო! - წარმოთქვა უორდლმა.

- გისმენთ, სერ!

- სად იყავით ახლა?

ბოკვერამ უმწეოდ მოავლო თვალი სუფრასთან მჯდომ საზოგადოებას და ჩაიბურტყუნა, თვითონაც არ ვიციო.

- მაშ, არც შენ იცი? - შეეკითხა კვლავ უორდლი, - მისტერ პიკვიკს ყველი მიაწოდე, გეთაყვა.

მისტერ პიკვიკი, რომელიც საუცხოო გუნებაზე გახლდათ, ყველას აცინებდა და ართობდა, სწორედ ამწუთს მხიარულად ებაასებოდა ემილისა და მისტერ უინკლს. საინტერესო საუბრით გატაცებული, იგი ხშირად თავაზიანად ხრიდა თავს, გრაციოზულად იქნევდა მარცხენა ხელს, რომ ნათქვამისათვის ხაზი გაესვა და სახეგაბადრული იღიმებოდა. როდესაც ჯომ ყველი შესთავაზა, ხსენებულმა ჯენტლმენმა პატარა ნაჭერი გადმოიღო და კვლავ მიბრუნდა, რომ საუბარი გაეგრძელებინა, უეცრად ბოკვერა მისკენ დაიხარა, მხარში თითი ატაკა და საზარლად დაიმანჭა. ასეთ მანჭვა-გრეხას საშობაო პანტომიმებში თუ ნახავს კაცი.

- ღმერთო, შენ შემიწყალე, - შეკრთა მისტერ პიკვიკი, - ეს რაღაა?

მოხუც ჯენტლმენს ენა დაება, რადგან ბოკვერა სწრაფად გასწორდა წელში და თავი მოიმძინარა.

- რა მოხდა? - ჰკითხა სტუმარს უორდლმა.

- საოცარი ყმაწვილია ეგ თქვენი ჯო! - მიუგო მისტერ პიკვიკმა და შეშინებულმა ბოკვერას გადახედა, - შესაძლოა, უცნაურად მოგეჩვენოთ, მაგრამ, მგონი, მთლად ჭკუაზე არ უნდა იყოს.

- ო, მისტერ პიკვიკ, მაგას ნუ იტყვით, - ერთხმად შესძახეს ემილმა და არაბელამ.

- არა, დარწმუნებით არ მოგახსენებთ, - განაგრძო მისტერ პიკვიკმა, როდესაც სუფრაზე სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა და ყველამ ერთმანეთს გადახედა შემკრთალმა, - მაგრამ ამ ბიჭის საქციელი უნებლიეთ შიშს მოჰგვრის ადამიანს...

- ვაი! - იკივლა უცებ მისტერ პიკვიკმა და სკამზე შეხტა, - მომიტევეთ, ქალბატონებო, მაგრამ ახლა ფეხში წვეტიანი რაღაც მატაკა. მერწმუნეთ, საშიში კაცია.

- ეგ უბედური მთვრალია! - იყვირა გააფთრებულმა მისტერ უორდლმა.

- ერთი დარეკეთ ზარი! ლაქიებს უხმეთ! მთვრალია, მთვრალი ეგ არამზადა!

- არა, არა ვარ მთვრალი! - იღრიალა ბოკვერამ და მუხლებზე დაეცა, როგორც კი ბატონმა ქეჩოში ჩაავლო ხელი.

- მით უარესი, მაშ, გიჟი ყოფილხარ! ლაქიებს დამიძახეთ! - გაიმეორა მოხუცმა ჯენტლმენმა.

- არც გიჟი ვარ... ჭკვიანი ვარ! - მორთო სლუკუნი ბოკვერამ.

- ეშმაკმა დაგწყევლოს, მაშ, აბა, თქვი, რატომ შეურჭვე მისტერ პიკვიკს ფეხში წვეტიანი რაღაც? - ჰკითხა უორდლმა.

- იმიტომ, რომ არ შემომხედა, - მიუგო ყმაწვილმა, - მე კი რაღაცა მინდა ვუთხრა.

- რა უნდა უთხრა? - გაისმა ყოველი მხრიდან.

ბოკვერამ პირი დაღო და ისევ მოკუმა, შემდეგ საწოლი ოთახის კარს გადახედა, კვლავ დააღო პირი და მოკუმული თითებით ცრემლები შეიმშრალა.

- რა უნდა გეთქვა? - შეაჯანჯღარა ბიჭი მისტერ უორდლმა.

- მოიცადეთ! - ჩაერია საუბარში მისტერ პიკვიკი, - ნება მიბოძეთ, მე მოველაპარაკო... რა უნდა გეთქვა, ჩემო ბიჭიკო?

- ყურში უნდა მეთქვა, - მიუგო ბოკვერამ.

- იქნებ ყურიც წააცალო, - წამოიძახა უორდლმა, - ახლოს არ გაეკაროთ, მისტერ პიკვიკ, ნამდვილად გაცოფდა და ეგ არის. დაუძახეთ ლაქიებს, რომ ძირს ჩაიყვანონ.

ის იყო, მისტერ უინკლმა ზარის ზონარს სტაცა ხელი, რომ უეცრად გაოცების შეძახილებმა შეაჩერეს. საწოლი ოთახის კარი გაიღო და გამოჩნდა გაწითლებულ-გაჭარხლებული შეყვარებული ტყვე. მან მდაბლად დაუკრა თავი შეკრებილ საზოგადოებას.

- ჰელოუ! - მისტერ უორდლმა გაოცებისგან უკან დაიხია და ხელი შეუშვა ბოკვერას, - ეს რაღა ეშმაკია?

- იმ ოთახში ვიმალებოდი, სერ, მას აქეთ, რაც თქვენ მობრძანდით, - განუმარტა მისტერ სნოდგრასმა.

- ემილი, ჩემო კარგო, - საყვედურით მიმართა უორდლმა ქალიშვილს, - ხომ იცი, როგორ მძულს ტყუილი. ეს არ არის პატიოსანი საქციელი. შენგან ეგ არ მეკადრებოდა, შვილო!

- საყვარელო მამიკო! - წამოიძახა ემილიმ, - არაბელამ იცის... ყველამ იცის... ჯომაც კი იცის, რომ მე წარმოდგენაც არ მქონდა, ეგ თუ მანდ იმალებოდა... ოგასტეს, ხმა ამოიღეთ, თუ ღმერთი გწამთ!

მისტერ სნოდგრასი ამას ელოდა სწორედ. მან მაშინვე აუხსნა დამსწრეთ, თუ როგორ მოხვდა ამ საშინელ მდგომარეობაში. მისტერ უორდლს მხოლოდ იმიტომ დაემალა, რომ ეშინოდა, მოხუცმა ჩხუბი არ ატეხოსო. უნდოდა საწოლი ოთახიდან ტალანში გასულიყო, მაგრამ კარი დაკეტილი დახვდა და დარჩა. მდგომარეობა, რა თქმა უნდა, არაა სახარბიელო, მაგრამ აღარც ნანობს, რომ დარჩა. ახლა მას საშუალება მიეცა, მეგობრებს პირდაპირ გამოუცხადოს, თუ როგორ გულწრფელად და მხურვალედ უყვარს მისტერ უორდლის ქალიშვილი და, იმასაც მოახსენებს, რომ ემილისაც უყვარს იგი. მათ შორის თვით ოკეანე დაიღვაროს, ან მიწა გასკდეს და ათასი მილით დააშოროს ერთმანეთს, მაშინაც კი არ დაივიწყებს იმ ბედნიერ დღეებს, როდესაც პირველად... და სხვა!

ამ საზეიმო განცხადების დამთავრებისას მისტერ სნოდგრასმა კვლავ მდაბლად დაუკრა თავი საზოგადოებას და კარისკენ გაემართა.

- მოიცადეთ! - იღრიალა უორდლმა, - რატომ... თუ გწამთ...

- ღმერთი, - მიამიტად უკარნახა მისტერ პიკვიკმა, რომელსაც შეეშინდა, უარესი არ წამოსცდესო.

- თუ გწამთ ღმერთი, - გაიმეორა უორდლმა, რომელმაც უარი არ თქვა მეგობრის დახმარებაზე, - რატომ თავიდანვე არ მითხარით?

- მეც არ გამანდვეთ თქვენი საიდუმლო! - დასძინა მისტერ პიკვიკმაც.

- ღმერთო ჩემო! - მიეშველა შეყვარებულს ახალგაზრდა მკვირცხლი არაბელა, - რა საჭიროა ამდენი შეკითხვები. თქვენ არ გინდოდათ განა უფრო მდიდარი საქმრო ემილისათვის? ესეც რომ არ იყოს, თქვენ ისეთი ფიცხი, უწყალო და უგულო კაცი ხართ, ჩემ გარდა ყველას ეშინია თქვენთან დალაპარაკება... რაღას აყოვნებთ? ჩამოართვით ხელი და უბრძანეთ, სადილი მოართვან. ვერ ხედავთ, შიმშილით სული ძლივს უდგას. ისიც უთხარით, რომ ახლავე მოგვართვან ღვინოც, რადგან, თქვენ კაცი ვერ მოგეკარებათ, ვიდრე ორ ბოთლს მაინც არ გამოცლით.

ღირსეულმა მოხუცმა არაბელას ყურზე უჩქმიტა და გაუღიმა, შემდეგ თავისი ქალიშვილი გადაკოცნა და გულთბილად ჩამოართვა ხელი მისტერ სნოდგრასს.

- ერთ პუნქტში მაინც არ ცდება ეს კუდრაჭა, - მხიარულად წარმოთქვა მოხუცმა ჯენტლმენმა, - დარეკეთ, რომ ღვინო მოგვართვან.

მოართვეს ღვინო. იმწამს გამოჩნდა მისტერ პერკერიც. მისტერ სნოდგრასს ცალკე გაუშალეს სუფრა პატარა მაგიდაზე. კარგად რომ შენაყრდა, შეყვარებული ყმაწვილი ემილის მიუჯდა გვერდით, რაზედაც მოხუცი ჯენტლმენი სულაც არ გაცხარებულა.

საღამო მხიარულად გაატარეს. პაწია პერკერი ისე გამ-ხიარულდა, რომ რამდენიმე სასაცილო ანეკდოტს მოუყვა საზო-გადოებას, მერე სევდიანი რომანსიც უმღერა, რომელიც ისეთი-ვე სასაცილო აღმოჩნდა, როგორიც მისი ანეკდოტები. არაბელა განსაკუთრებით კეკლუცი და მშვენიერი იყო ამ საღამოს, მის-ტერ უორდლი - ძალიან მხიარული, მისტერ პიკვიკი - ძალიან კე-თილი, მისტერ ბენ ალენი - ძალიან მშფოთვარე, შეყვარებულნი - განაბულნი, მისტერ უინკლი - აჭიკჭიკებული, ხოლო ყველანი ბედნიერნი და მხიარულნი.

თავი LV

მისტერ სოლომონ პელი მეეტლეთა საარჩევნო კომიტეტის საშუალებით აგვარებს უფროსი უელერის საქმეს

- სემუელ, - მიმართა მისტერ უელერმა ვაჟიშვილს მეორე დილას, მეუღლე რომ დაასაფლავა, - როგორც იქნა, ვიპოვე. დარწმუნებული ვიყავი, რომ იქ იყო.

- რა იპოვეთ და სად? - შეეკითხა სემი.

- ანდერძი, შენმა დედინაცვალმა რომ დატოვა, სემი, - მიუგო მისტერ უელერმა, - იქ წერია იმ ობოლგაციების შესახებ, გუშინ რომ გითხარი.

- კი, მაგრამ განა თვითონ არ გითხრა, სადაც ედო ის ანდერძი? - შეეკითხა სემი.

- კრინტიც არ დაუძრავს, სემი, - მიუგო მისტერ უელერმა, - პატარა უთანხმოების მოგვარებას გადავყევით და მეც ვცდილობდი, გამემხნევებინა, ეგ ანდერძი კი სულ გადამავიწყდა... რომც გამხსენებოდა, მაინც არაფერს ვკითხავდი, - დასძინა მისტერ უელერმა, - განა ეს კარგი საქმეა, მომაკვდავს უვლიდე და ფულზე ეკითხებოდე? ეგ ხომ იგივეა, რომ გარეთა მგზავრი, რომელიც სახურავიდან გადმოვარდა და დაიმტვრა, შიგნით ჩასვა ეტლში, წამდაუწუმ ეკითხებოდე შეწუხებულს, როგორა ხარო და თანაც ჯიბეში ჩაუყო ხელი.

როცა მოხუცმა გამოთქმული აზრი სათანადო მაგალითით დაასურათა, საფულიდან დაჯღაბნილი, უსწორმასწორო ასოებით დაწერილი გაქონილი ქაღალდის ფურცელი ამოიღო.

- აგერ, ესაა ის საბუთი, - თქვა მისტერ უელერმა, - პატარა ჩაიდანში ვიპოვე ბუფეტის ზედა თაროზე. ჯერ კიდევ გათხოვილი რომ არ იყო, ფასიან ქაღალდებს ინახავდა იქ, სემუელ. რამდენ-ჯერ მინახავს, ანგარიში რომ ჰქონდა გადასახდელი, იმ ჩაიდანს მოხსნიდა ხოლმე თავს. საბრალო! მიკვირს, ნეტავ ყველა ჩაიდანი ამ ქაღალდებით რატომ არ გამოავსო, რადგან ბოლო ხანებში ამ სასმელს აღარ მიირთმევდა. ეგ მხოლოდ ლოთობის საწინააღმდეგო საღამოებს რომ აწყობდნენ, დასაწყისში მიირ-თმევდნენ ჩაის და მერე კი ისევ მაგარ სასმელებს მიაყოლებ-დნენ ხოლმე.

- ამ ქაღალდში რა წერია? - ჰკითხა სემმა.

- სიტყვასიტყვით ის, რაც უკვე მოგახსენე, შვილო, - მიუგო მშობელმა, - „ორასი გირვანქის რაოდენობის ობოლგაციები ჩემს გერს, სემუელს, დანარჩენი ჩემი ქონება, რამდენსაც უნდა უდრიდეს, ვუტოვებ ჩემს მეუღლეს, ტონი უელერს, რომელსაც ვნიშნავ ჩემი ანდერძის ერთადერთ აღმსრულებლად“.

- სულ ესაა? - შეეკითხა სემი.

- ესაა, შვილო, - მიუგო მისტერ უელერმა, - რადგან აქ მხო-ლოდ ჩვენ ვართ მოხსენებული, თანაც ორივესთვის ყველაფერი ახლა ნათელი და გასაგებია, ეს ქაღალდიც ცეცხლში ვისრო-ლოთ.

- რას სჩადიხართ, ჭკუაზე ხომ არ შეიშალეთ?! - იყვირა სემმა და ქაღალდს გიჟივით სტაცა ხელი, როდესაც მისმა გულუბრყვი-ლო მშობელმა ქარცახით ნაკვერჩხლები გასწი-გამოსწია, რომ ნათქვამი სისრულეში მოეყვანა, - ანდერძის ბრწყინვალე აღ-მსრულებელი ხარ რაღა!

- ვითომც ურიგო რითი ვარ? - შეეკითხა მისტერ უელერი და ქარცახით ხელში გაჯავრებული მოუტრიალდა შვილს.

- ურიგო რითი ვარ?! - წამოიძახა შვილმა, - იმით, რომ ეგ ქაღალდი ჯერ უნდა შეამოწმო, დაამტკიცო და ფიცი დადო, მაგის გარეშე ეგ რას ივარგებს!

- შენ არა ხუმრობ?..

სემმა ანდერძი ჯიბეში შეინახა საგულდაგულოდ და თვალით ანიშნა, კი არ ვხუმრობ, მართალს მოგახსენებო. მისტერ უელერი ერთხანს დუმდა.

- მაშინ, აი რას გეტყვი, - გამოუცხადა ბოლოს სემს, - ამ საქმეზე ისევ იმ ლორდ-კანცლერის გულითად მეგობარს მივმართოთ. ისევ პელმა მიხედოს, სემი. სახლაფორთო საკითხებში დიდად განსწავლულია. მოდი, ახლავე წარვადგინოთ სასამართლოში, სემუელ.

- ასეთი უტვინო კაცი ჩემს დღეში არ მინახავს! - გაცხარდა სემი, - ტვინი გამოულაყეს ამ ოლდ-ბეილითა და ალიბით! ისევ ისა სჯობს, წესიერი ტანსაცმელი ჩაიცვათ და ამ საქმეზე საგანგებოდ ქალაქში წამოხვიდეთ იმის ნაცვლად, რომ აქ ათასი სისულელე არ ილაპარაკოთ იმაზე, რისი ინჩი-ბინჩიც არ გესმით.

- ეგრე იყოს, სემი, - მიუგო მისტერ უელერმა, - ოღონდ ეგ საქმე მოვათავო და ყველაფერს გავაკეთებ. მაგრამ იცოდე, პელზე უკეთესს ამ სახლაფორთო საქმის მოსაგვარებლად ვერავის ვნახავთ.

- მე სხვას არც ვეძებ, - მიუგო სემმა, - მაშ, მზად ხართ?

- ერთ წამს დამაცადე, სემი, - თქვა მისტერ უელერმა, რომელიც ყელსახვევს იკრავდა ფანჯარასთან მიმაგრებულ პატარა სარკის წინ, - ერთ წამს დამაცადე, სემი. ჩემი ხნის რომ გახდები, შვილო, შენც გაგიჭირდება ტანსაცმლის მორგება.

- მაგის ჩაცმა თუ ასე გამიჭირდა, ეშმაკმა დასწყევლოს, სულაც არ ჩავიცვამ და ეგაა, - მიუგო ვაჟიშვილმა.

- ამას ახლა ამბობ, - დინჯად მიუგო მშობელმა, - მოიცა, რომ გასქელდები, ჭკუაც მოგემატება. სიბრძნესა და სისქეს მუდამ ერთად იძენს კაცი.

გამოთქვა თუ არა მრავალი წლის დაკვირვებისა და გამოცდილების შედეგად მიღებული ეს ბრძნული ჭეშმარიტება, მისტერ უელერმა ისე მარჯვედ მოიქნია წელი, რომ მისი სერთუკის ქვედა ღილმა დაუყოვნებლივ შეასრულა მასზე დაკისრებული მოვალეობა. ცოტა სული რომ მოითქვა, იდაყვით ქუდი გადაწმინდა და გამოაცხადა, მზად ვარო.

- ორი თავი ხომ კარგია და ოთხი კიდევ უკეთესი, სემი, - წარმოთქვა მისტერ უელერმა, როდესაც ურიკაში ჩასხდნენ და ლონდონის გზაზე გავიდნენ, - მოგეხსენება, ქონება დიდად სახარბიელოა ყველა კანონის დამცველისათვის. მოდი, ჩემი ორი მეგობარიც წავიყვანოთ თან. ეგ თუ რაიმე ოინს გაგვიკეთებს, კარგ დღეს არ დააყრიან... გინდა, აი ის ორნი წავიყვანოთ, ფლიტში რომ მოგვაცილეს... ორივეს ცხენების ცნობაში ბადალი არ ჰყავთ.

- კანონის მცველებსაც კარგად ცნობენ? - ჰკითხა სემმა.

- ხომ იცი, ვინც ცხოველებში კარგად ერკვევა, ის ყველაფერს გაართმევს თავს, - მიუგო მამამ ისეთი ავტორიტეტული კილოთი, რომ სემი ვეღარ შეეპასუხა.

ამგვარად გადაწყდა თუ არა ესოდენ მნიშვნელოვანი საკითხი, ორივემ დახმარებისთვის მიმართა ლაქებიან ჯენტლმენსა და კიდევ ორ სქელ მეეტლეს, რომელიც მისტერ უელერმა საგანგებოდ ამოარჩია სისქისა და სიბრძნის მიხედვით. როდესაც მათი თანხმობა მიიღეს, უელერები თავისი მეგობრებით პორტუგელ-- სტრიტზე გაემგზავრნენ სამიკიტნოში, საიდანაც კაცი აფრინეს მევალეთა სასამართლოში (რომელიც იქვე გზის გადაღმა იყო)

და უბრძანეს, დაუყოვნებლივ გამოეძახა იქიდან მისტერ სოლომონ პელი.

ბედზე, გაგზავნილმა კაცმა უმალვე მონახა მისტერ სოლომონ პელი. პატივცემულ კანონის მცველს საქმეები ცოტა მინელებოდა და ახლა ცივ საუზმეს შეექცეოდა მადიანად - ებერნეტის ბისკვიტსა და ძეხვს მიირთმევდა. როგორც კი შიკრიკმა მიწვევა გადასცა, ვექილმა ძეხვის ნარჩენი იმ ჯიბეში შეინახა, სადაც სხვადასხვა იურიდიული საბუთი ედო და ქუჩა ისე სწრაფად გადაირბინა, რომ თვით შიკრიკს დაასწრო მისვლა. - ბატონებო, - წარმოთქვა პელმა და ქუდი მოიხადა, - გეახელით თქვენი მომსახურებისათვის. არ გეგონოთ, გელაქუცებოდეთ, ბატონებო, თქვენ რომ არა, ქვეყნად სხვა არა კაცის გულისათვის სასამართლოდან არ წამოვიდოდი.

- იმდენი საქმე გაქვთ? - შეეკითხა სემი.

- ყელამდე! - მიუგო პელმა, - ასე მეტყოდა ხოლმე, ბატონებო, ჩემი მეგობარი, აწ განსვენებული ლორდ-კანცლერი, როდესაც ლორდთა პალატიდან გამოვიდოდა აპელაციების განხილვის შემდეგ. საბრალო კაცი! ძალიან იღლებოდა, მაგ აპელაციებისაგან ტვინი ჰქონდა გახვრეტილი. ხშირად მიფიქრია კიდეც, ეგ მოუღებს მაგას ბოლოს-მეთქი.

მისტერ პელმა დანანებით გააქნია თავი და დადუმდა. უფროსმა მისტერ უელერმა მეზობელს მუჯლუგუნი წაჰკრა, თითქოს აგრძნობინა, ამ ვექილს რა დიდებული მეგობრები ჰყავსო. მერე მისტერ პელს შეეკითხა, მითხარი, ზემოხსენებულმა მოვალეობამ ცუდად ხომ არ იმოქმედა თქვენი კეთილშობილი მეგობრის ჯანმრთელობაზეო.

- მე მგონი, მაგან დაღუპა სწორედ, - მიუგო პელმა, - დიახ, ეჭვიც არ მეპარება, რომ ასე იყო. „პელ, - არაერთხელ უთქვამს ჩემთვის, - ვერ გამიგია, ეშმაკმა დასწყევლოს, ამდენ გონებრივ

სამუშაოს როგორ აუდიხართ“. „დიახ, - ვეუბნებოდი მეც, - პატიოსან სიტყვას გაძლევთ, მე თვითონაც არ ვიცი, როგორ ავუდივარ“. „პელ, - დასძენდა იგი და ამოიოხრებდა, მერე ისე გადმომხედავდა, თითქოს შურდა ჩემი, მეგობრულად და სიყვარულით, რა თქმა უნდა, - პელ, თქვენ დიდებული ადამიანი ხართ!“ ო, როგორ მოგეწონებოდათ ყველას, რომ გცნობოდათ იგი!.. ჩემო კარგო, სამი პენსის რომი მომიტანეთ, გეთაყვა, - ჯერ კიდევ დარდიანი კილოთი მიმართა პელმა მსახურ ქალს. მერე მძიმედ ამოიოხრა, ფეხსაცმელებს დახედა, შემდეგ ჭერს მიაჩერდა. ამასობაში მოართვეს რომიც, რომელიც კანონის მცველმა თვალის დახამხამებაში გამოცალა.

- რა გაეწყობა, - წარმოთქვა პელმა, სკამი მაგიდასთან მიიდგა, - ჩემი პროფესიის კაცს უფლება არა აქვს მეგობრებზე ფიქრს გადაჰყვეს. როდესაც მას თხოვნით მიმართავს კლიენტი, კანონიერი დახმარება უნდა გაუწიოს მას. სხვათა შორის, ჯენტლმენებო, მას შემდეგ, რაც მე უკანასკნელად გნახეთ თქვენ, ერთი ფრიად სამწუხარო რამ მოხდა, რამაც ბევრი ცრემლი დაგვაღვრევინა.

როდესაც მისტერ პელმა წარმოთქვა „ცრემლი დაგვაღვრევინაო“, მან ცხვირსახოციც ამოიღო, მაგრამ ცრემლის ნაცვლად რომის წვეთი შეიწმინდა, რომელიც ზედა ტუჩზე შერჩენოდა.

- „ადვერტაიზერში“ წავიკითხე განცხადება, მისტერ უელერ, - განაგრძო პელმა, - ღმერთო ჩემო, ვინ იფიქრებდა ამას! ჯერ მხოლოდ ორმოცდათორმეტის იყო საწყალი!..

ამ სიტყვებით ვექილმა ლაქებიან ჯენტლმენს მიმართა, რადგან შემთხვევით მას შეეფეთა მისი თვალები, რის შედეგადაც ეს უკანასკნელი, რომელიც საკმაოდ გონებაჩლუნგი გახლდათ, სკამზე უცნაურად ატოკდა და დასძინა, კაცმა არ იცის, ასეთი რამეები რატომ ხდება ქვეყანაზეო. ეს გახლდათ ჭეშმარიტება, რო-

მელიც ისეთ ბრძნულ აზრს შეიცავდა, რომელიც საკამათო არ არის. ამიტომ მთქმელსაც არავინ შეჰპასუხებია.

- ამბობენ, ძალიან ლამაზი ქალი იყოო, მისტერ უელერ, - თანაგრძნობის კილოთი წარმოთქვა პელმა.

- დიახ! სერ, - მიუგო უფროსმა უელერმა, რომელსაც ეს საუბარი სულაც არ სიამოვნებდა, მაგრამ იმაშიც დარწმუნებული იყო, რომ ვექილს, რომელიც წლობით მეგობრობდა განსვენებულ ლორდ-კანცლერთან, კარგად უნდა სცოდნოდა ზრდილობიანი ქცევის წესი და რიგი, - ძალიან ლამაზი ქალი იყო, სერ, როდესაც გავიცანი. მაშინ ქვრივი გახლდათ, სერ.

- უცნაურია! - შენიშნა პელმა და ნაღვლიანი ღიმილით თვალი მოავლო დამსწრეთ, - მისის პელიც ქვრივი გახლდათ.

- გადასარევია! - სიტყვა ჩაურთო ლაქებიანმა ჯენტლმენმა.

- დიახ, უცნაური დამთხვევაა, - კვერი დაუკრა პელმა.

- უცნაური აქ არაფერია, - ჩაიბურტყუნა უფროსმა უელერმა, - ქვრივები უფრო მალე თხოვდებიან, ვიდრე გაუთხოვარი ქალები.

- მართალს ბრძანებთ, - დაეთანხმა პელი, - მართალსა ბრძანებთ, მისტერ უელერ. მისის პელი ძალიან კოხტა ქალი იყო, დიდად განათლებული, ქცევა ისეთი მომხიბვლელი ჰქონდა, რომ ყველა აღტაცებული იყო ჩვენს საზოგადოებაში. უნდა გენახათ, როგორ ცეკვავდა. ტანს ჯეირანივით მიარხევდა, გაბედულად და ამავე დროს თავისუფლად, გრაციოზულად. სრულიად უბრალოდ ეჭირა თავი. დიახ! მომიტევეთ, მისტერ სემუელ, რომ ასეთ რამეს გეკითხებით, - დაუწია ხმას ვექილმა, - თქვენი დედინაცვალი მაღალი ქალი იყო?

- არც ისე, - მიუგო სემმა.

- მისის პელი კი ტანადი ქალი იყო, - თქვა პელმა, - საუცხოო, დიდებული ქალი იყო, წარმოსადეგი, კეთილშობილი იერით. ბა-

ტონებო, შესახედად ისეთი ამაყი, რომ გეგონებოდათ, სხვის მბრძანებლად გაუჩენია განგებასო. ძალიან ვუყვარდი, მეტი რომ არ შეიძლება. კარგი ოჯახის შვილიც გახლდათ. მისი დედის ძმა, ბატონებო, გაკოტრდა, რვაასი გირვანქა დააკლდა. მაშინ საკუთარი მაღაზია ჰქონდა და სასამართლოს საკანცელარიო მოწყობილობით ვაჭრობდა.

- საქმეს ხომ არ შევუდგეთ? - იკითხა მისტერ უელერმა, რომელიც ამ საუბრის დროს მოუთმენლობის აშკარა ნიშნებს იჩენდა.

პელისათვის ეს სიტყვები ნაზი საკრავივით გაისმა. კარგა ხანია გულში იმაზე იტეხდა თავს, საქმეზე დამიძახეს თუ იმისათვის მიმიპატიჟეს, რომ ჭიქა გროგი, ან ფუნჯი, ან სხვა ამგვარი, წმინდა პროფესიონალური სასმელი შემომთავაზონო. ახლა კი, როცა დარწმუნდა, გულზე მოეშვა, სიხარულით თვალები გაუბრწყინდა, ქუდი მაგიდაზე დადო და მისტერ უელერს მიმართა:

- რა საქმე უნდა გადავწყვიტოთ? იქნებ რომელიმე ჯენტლმენი სასამართლოს უნდა წარუდგეს? ჩვენ დაჟინებით მოვითხოვთ დაპატიმრებას, რა თქმა უნდა, მეგობრული სამსახური რომ გავუწიოთ. აქ ხომ ყველანი მეგობრები ვართ?

- მომეცი ქაღალდი, სემი, - თქვა მისტერ უელერმა და შვილს ანდერძი ჩამოართვა. სემი დიდი ინტერესით ადევნებდა თვალს ყოველივეს, რაც მის გარშემო ხდებოდა, - აი, სერ, ეს უნდა დავისაკუთროთ.

- კი არ დავისაკუთროთ, დავიმტკიცოთ, ჩემო ძვირფასო სერ, - შეუსწორა პელმა.

- ჰო, ასე იყოს, - მკვახედ მიუგო მისტერ უელერმა, - დავისაკუთროთ, დავიმტკიცოთ, სულერთი არ არის? თუ თქვენ ეს არ გესმით, მაშინ სხვა კაცს გამოვნახავ, სერ, რომელიც უფრო კარგად გამიგებს.

- ნუ გამიწყრებით, გეთაყვა, მისტერ უელერ, - მორჩილად მიუგო პელმა, - მაშ, ანდერძის აღმსრულებელი ხართ? - შეეკითხა იგი, როდესაც საბუთი ჩაიკითხა.

- დიახ, სერ, - კვერი დაუკრა მისტერ უელერმა.

- ეს ჯენტლმენები, უთუოდ, მემკვიდრეები არიან? - ჰკითხა პელმა და გაიღიმა, თითქოს მოსალოცად მოემზადა.

- სემი მემკვიდრეა, - მიუგო მისტერ უელერმა, - ეს ბატონები კი ჩემი მეგობრები არიან. წამომყვნენ, რომ ნახონ, საქმე წესიერად ჩატარდება თუ არა, ასე ვთქვათ, მედიატორის როლი უნდა შეასრულონ.

- ო! - წარმოთქვა პელმა, - ჩინებულია, ჩინებული. საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, მაგრამ ვიდრე ამ საქმეს შევუდგებოდე, ხუთი გირვანქა დამჭირდება, ჰა, ჰა, ჰა!

კომიტეტმა ერთხმად დაადგინა, რომ ვექილისათვის ხუთი გირვანქა მიეცათ და მისტერ უელერმაც გასცა თანხა. ამის შემდეგ გაიმართა ხანგრძლივი თათბირი, თუმცა, კაცმა არ იცის, რაზე ბჭობდნენ. ამ ღირსშესანიშნავი თათბირის დროს მისტერ პელმა დამსწრე საზოგადოებას აშკარად დაუმტკიცა, რომ ეს საქმე სხვა ვინმესთვის რომ დაევალებინათ, არამც და არამც კეთილად არ დაამთავრებდაო იმ მიზეზთა გამო, რომელიც მან იქვე, ფრიად ბუნდოვნად, მაგრამ დამაჯერებლად, მოახსენა თავის კლიენტსა და მის მეგობრებს. როდესაც ეს მნიშვნელოვანი პუნქტი დაადგინეს, მისტერ პელმა სამი დაბეგვილი კატლეტი მოითხოვა, თან სასმელიც დააყოლა, სოდიანიცა და სპირტიანიც, რა თქმა უნდა, მემკვიდრის ხარჯზე, რის შემდეგაც მთელი კომპანია დოქტორზ-კომონზში გაემგზავრა.

მეორე დღეს მემკვიდრეები კვლავ ეწვივნენ დოქტორზ--კომონზს, რადგან ამჯერად საქმე გართულდა. ერთ-ერთი მოწმე, მეჯინიბე, ისეთი მთვრალი იყო, რომ გაუთავებლად იგინებოდა,

რითაც აღაშფოთა პროქტორიცა და სასულიერო წოდების წარმომადგენელიც.

იმავე კვირას კლიენტები კიდევ რამდენჯერმე ესტუმრნენ დოქტორზ-კომონზს, ერთხელ, სამემკვიდრეო ბაჟის გადასახდელ კანტორასაც. გარდა ამისა, დაიწერა ხელშეკრულებები საიჯარო უფლებათა და სავაჭრო საქმის გადაცემის შესახებ. ეს ხელშეკრულებები დამტკიცდა, ჩატარდა მთელი ქონების აღწერა, არაერთხელ გაიმართა საუზმეები და სადილები. მეტად სარგებლიანი საქმეებიც მოგვარდა, რის შედეგადაც იმდენი ქაღალდი დაგროვდა, რომ მისტერ სოლომონ პელი და მისი თანაშემწე, ლურჯტომრიანი ყმაწვილი, ორივე ძალიან ჩასუქდნენ. განსაკუთრებით, გამოიცვალა ყმაწვილი. ვინღა იფიქრებდა, რომ ეს იგივე ბიჭი იყო ტომრით, რომელიც ამ რამდენიმე დღის წინ პორტუგელ-სტრიტზე უსაქმოდ დახეტიალებდა.

ბოლოს, როცა ზემოხსენებული დიდად მნიშვნელოვანი საქმენი მოთავდა, დაინიშნა დღე ქონების გაყიდვისა, მისი გადაცემისა და მაკლერის, უელკინს ფლეშერის, ესკვაირის, ნახვისა. ეს მაკლერი თვით სოლომონ პელმა ურჩია კლიენტს, რომელიც სადღაც ბანკის მახლობლად ცხოვრობდა.

უდავოა, რომ ეს დიდად ღირსშესანიშნავი ამბავი გახლდათ და ამიტომაც მთელი კომპანია საგანგებოდ გამოეწყო. მისტერ უელერის ჩექმებსა და ტანსაცმელს კრიალი გაჰქონდა, ლაქებიან ჯენტლმენს სერთუკის ღილ-კილოში ფართოფოთლებიანი დიდი ყვავილი გაერჭო; მისი ორი მეგობრის სერთუკები კი მორთული იყო დაფნისა და სხვა მარადმწვანე მცენარეთა რტოებით. სამივეს სადღესასწაულო სამოსი ეცვა, სხვა სიტყვით რომ ვთქვათ, კისრამდე შეფუთნილიყვნენ და რაც ტანსაცმელი გააჩნდათ, ყველა ჩაეცვათ. ასეთი გახლდათ მეეტლეთა წარმოდგენა

სადღესასწაულო მორთულობის შესახებ მას აქეთ, რაც სამგზავრო ეტლები გამოიგონეს.

დანიშნულ საათზე მისტერ პელი მათი შეკრების ჩვეულ ადგილზე დახვდა. ვექილსაც კი ხელთათმანები და ქათქათა პერანგი ჩაეცვა, რომელიც ხშირი რეცხვისაგან საყელოსა და მანჟეტებზე გაცრეცილიყო.

- ორს თხუთმეტი წუთი აკლია, - თქვა პელმა, კედლის საათს რომ შეხედა, - ჩვენ თუ მისტერ ფლეშერთან სამის თხუთმეტ წუთზე მივალთ, სწორედ დროზეც იქნება.

- რას იტყვით, ბატონებო, თითო ჭიქა ლუდი როდი გვაწყენდა, ჰა? - შესთავაზა მეგობრებს ლაქებიანმა ჯენტლმენმა.

- არც ცივი როსტბიფი იქნებოდა ცუდი, - თქვა მეორე მეეტლემ.

- ან ლოკოკინები, - დაუმატა ახლა მეორე ჯენტლმენმა, რომელსაც მუდამ ხრინწიანი ხმა და ძალიან სქელი ფეხები ჰქონდა.

- მოიცადეთ, მოიცადეთ! - აჰყვა მათ მისტერ პელიც, - მისტერ უელერს ხომ უნდა მივულოცოთ მემკვიდრეობის დამტკიცება, ჰა, ჰა, ჰა!

- აგრე იყოს, ბატონებო, - მიუგო მათ მისტერ უელერმა, - სემი, დაურეკე ლაქიას.

სემმა ბრძანება შეასრულა. თვალის დახამხამებაში გაჩნდა პორტერიც, როსტბიფიცა და ლოკოკინებიც, რომელსაც მთელი საზოგადოება მადიანად შეექცა. თითოეულმა მათგანმა საუზმის მომზადებაში ისეთი მხურვალე მონაწილეობა მიიღო, რომ უზრდელობადაც ჩამოგვართმევენ მონაწილეთა შორის განსხვავება რომ მიგვეთითებინა, მაგრამ მაინც ვიტყვით, ყველაზე მეტი ნიჭი და უნარი ისევ ხრინწიანხმიანმა მეეტლემ გამოიჩინა, მთელი პინტა ძმარი გადაყლაპა თავის ლოკოკინებიანად.

- მისტერ პელ, სერ, - წარმოთქვა მისტერ უელერმა და ჭიქაში გროგს მოურია, როდესაც ლაქიებმა ლოკოკინების ცარიელი ნიჟარები აალაგეს და თითო ჭიქა გროგი მოართვეს კომპანიას, - მინდოდა ამ შემთხვევის გამო სადღეგრძელო მეთქვა ობოლ-გაციების შესახებ, მაგრამ სემმა ჩამჩურჩულა...

აქ მისტერ სემუელ უელერმა, რომელსაც მთელი ამ ხნის განმავლობაში ხმა არ ამოუღია, მხოლოდ მშვიდად იღიმებოდა და ლოკოკინებს ყლაპავდა, ხმამაღლა დაიძახა:

- მოუსმინეთ, მოუსმინეთ!

- ჩამჩურჩულა, - განაგრძო მშობელმა, - რომ სჯობს, ეს სადღეგრძელო თქვენ გიძღვნათ, შევსვათ თქვენი შემდგომი წარმატებისა, კეთილყოფისა და ჯანმრთელობის სადღეგრძელო და მადლობაც მოგახსენოთ ამ საქმის კეთილად დამთავრებისათვის. გაგიმარჯოთ, სერ!

- ეი, მუხრუჭები მოუჭირეთ! - ენერგიულად ჩაერია საუბარში ლაქებიანი ჯენტლმენი, - შემომხედეთ, ბატონებო!

ეს რომ თქვა, ლაქებიანი ჯენტლმენი წამოდგა, წამოდგნენ დანარჩენებიც. ლაქებიანმა ჯენტლმენმა ყველას სათითაოდ გადახედა და ნელა ასწია ხელი, რის შემდეგაც (თვით ლაქებიანის ჩათვლით) ყველამ ღრმად ჩაისუნთქა და ჭიქები ტუჩებთან მიიტანეს. წამიც არ გასულა, რომ ლაქებიანმა ჯენტლმენმა ხელი დასწია და ყველამ დაცლილი ჭიქები კვლავ მაგიდაზე დააწყო. ძნელია, ენით აღწეროს კაცმა ამ ცერემონიის ეფექტი: დარბაისლური, კეთილშობილი, საზეიმო, ჭეშმარიტად გასაოცარი და მშვენიერი.

- ბატონებო, - წარმოთქვა მისტერ პელმა, - ერთ რამეს გეტყვით მხოლოდ, ასეთი ნდობა მუდამ საამაყოა ჩემი პროფესიის კაცისათვის. სულაც არ მინდა, ბატონებო, რომ ეგოისტად ჩამთვალოთ, მაგრამ ის კი ძალიან მახარებს, მხედველობაში მაქვს

თქვენივე ინტერესები, რომ პირადად მე მომმართეთ. ეს არის და ეს. თქვენ რომ ჩვენი პროფესიის სხვა, ჭეშმარიტად უღირსი წარმომადგენელი მოგეწვიათ, ღრმად ვარ დარწმუნებული და ახლაც გარწმუნებთ, დიდი ხანია, ხიფათს გადაეყრებოდით. ნეტავ, ჩემი კეთილშობილი მეგობარიც ახლა აქ ყოფილიყო, რომ თავისი თვალით ენახა, რა დიდებულად დავაგვირგვინე ეს საქმე. რა თქმა უნდა, ეს პატივმოყვარეობამ კი არ მათქმევინა, მაგრამ ვფიქრობ... თუმცა, ბატონებო, მეტად აღარ შეგაწყენთ თავს... ბატონებო, მე მუდამ აქ ვარ, მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ ვერც აქ მნახეთ და ვერც იქ, გზის გადაღმა, აგერ ჩემი მისამართიც. როგორც თვითონვე დარწმუნდით, გასამრჯელოდ ბევრს არაფერს ვითხოვ, სამაგიეროდ, ყველა კლიენტს გადავყვები ხოლმე და იმის იმედიც მუდამ მაქვს, რომ ჩემს საქმეში ცოტა მეც გამეგება. ბატონებო, თუ შესაძლებლობა გექნებათ, რომ თქვენს მეგობრებთანაც გამიწიოთ რეკომენდაცია, დიდად მადლობელი დაგრჩებით. არც ისინი ინანებენ, როდესაც კარგად გამიცნობენ. გაგიმარჯოთ, ბატონებო!

როდესაც მისტერ სოლომონ პელმა მოზღვავებული გრძნობა ამგვარად დაიშოშმინა, ხელით დაწერილი სამი სადარბაზო ბარათი ამოიღო და მისტერ უელერის მეგობრებს დაურიგა. მერე საათს შეხედა და განაცხადა, დროა, წავიდეთო. მისტერ უელერმა ფული გადაიხადა და ანდერძის აღმსრულებელი მემკვიდრე, ვექილი და მედიატორები სითისკენ გაუდგნენ გზას.

ბირჟის მაკლერის, უილკინს ფლეშერის, ესკვიარის, კანტორა სახელმწიფო ბანკის ეზოში, მეორე სართულზე იყო მოთავსებული, სახლი კი უილკინს ფლეშერის, ესკვაირის, ბრიქსტონში გახლდათ, თემზის მეორე ნაპირზე; უილკინს ფლეშერის ცხენიანი ეტლი იქვე მახლობლად ეტლების სადგომზე იდგა. უილკინს ფლეშერის გრუმი ამჟამად უესტ-ენდში გაეგზავნა პატრონს

რაღაც დავალებით; უილკინს ფლეშერის, ესკვაირის, კლერკი სადილად წასულიყო. როდესაც პელმა და მისმა თანამგზავრებმა კანტორის კარზე მიაკაკუნეს, თვით უილკინს ფლეშერმა, ესკვაირმა, მიიპატიჟა.

- გამარჯობათ, სერ! - წარმოთქვა პელმა და მდაბლად დაუკრა თავი, - თქვენი ნებართვით, მისტერ ფლეშერ.

- დაბრძანდით. ერთი წუთით მომიცადეთ, ახლავე მოვიცლი.

- გმადლობთ, სერ, - მიუგო პელმა, - ჩვენ არ ვჩქარობთ. დაბრძანდით, მისტერ უელერ.

მისტერ უელერი სკამზე დაბრძანდა, სემი იქვე ყუთზე ჩამოჯდა, დანარჩენები სადაც მოხვდათ, იქ მოთავსდნენ და ისეთი მოწიწებით შეაჩერდნენ კალენდარსა და ორ-სამ ქაღალდს, რომელიც კედელზე გაეკრათ, თითქოს თითოეული მათგანი ბრწყინვალე ოსტატის ნამუშევარი ყოფილიყო.

- აბა, ახლა კი მზად ვარ კლარეტის ექვსიოდე ბოთლზე დაგენაძლეოთ! - განაგრძო უილკინს ფლეშერმა, ესკვაირმა, საუბარი, რომელიც მისტერ პელის მოსვლისას შეწყვიტა წამით. ამ სიტყვებით მაკლერმა მიმართა კოპწიად გამოწყობილ ახალგაზრდა ჯენტლმენს, რომელსაც ქუდი გვერდზე მარჯვენა ქილვაშზე წამოეწია, კანტორის წინ ტრიალებდა და სახაზავით ბუზებს ხოცავდა. უილკინს ფლეშერი მაღალ ტაბურეტზე შესკუპული, სკამის ორ ფეხზე ინარჩუნებდა წონასწორობას, თან ჯიბის დანით ობლატების ყუთს უმიზნებდა და მარჯვედ ურტყამდა პატარა წითელი ობლატის შუაგულში, რომელიც ყუთს ზემოდან ეკრა. ორივე ჯენტლმენს ღრმად ამოჭრილი ჟილეტები ეცვათ და ძალიან გადმოკეცილი საყელოები ეკეთათ, ფეხებზე პაწაწინა ფეხსაცმელები ეცვათ, თითებზე ვეებერთელა ბეჭდები ეკეთათ, გულზე კი პატარა საათები ეკიდათ გრძელ ძეწკვებზე, საუცხოოდ შეკერილი და სურნელოვანი ცხვირსახოცები ჰქონდათ.

- ნახევარ დუჟინზე არასოდეს ვდებ სანაძლეოს, - მიუგო ყმაწვილმა ჯენტლმენმა, - გნებავთ, დუჟინზე დავნაძლევდეთ?

- თანახმა ვარ, სიმერი! - წამოიძახა უილკინს ფლერეშმა, ესკვაირმა.

- საუკეთესო ხარისხისა, - შენიშნა პირველმა.

- რა თქმა უნდა, - კვერი დაუკრა უილკინს ფლეშერმა, ესკვაირმა.

უილკინს ფლეშერმა უმალვე სანაძლეო უბის წიგნაკში ჩაინიშნა ოქროს პატარა ფანქრით, მეორე ჯენტლმენმა კი მეორე უბის წიგნაკში ჩაინიშნა იგივე მეორე ოქროს ფანქრით.

- ამ დილით ბოფერის შესახებ იყო შენიშვნა, - თქვა მისტერ სიმერიმ, - საცოდავი! სახლიდან აგდებენ!

- გინდათ ათ გინეაზე დაგენაძლევებით, რომ ის უბედური ყელს გამოიჭრის, - თქვა უილკინს ფლეშერმა, ესკვაირმა.

- ვიღებ სანაძლეოს, - მიუგო მისტერ სიმერიმ.

- მოიცადეთ, ასეც დავთქვათ, - დაყოვნებით წარმოთქვა უილკინს ფლერეშმა, ესკვაირმა, - შესაძლოა, თავი ჩამოიხრჩოს.

- კეთილი, - მიუგო მისტერ სიმერიმ და კვლავ ამოიღო ჯიბიდან ოქროს პატარა ფანქარი, - არაფერი მაქვს საწინააღმდეგო. ასე ჩავწეროთ, თავს მოიკლავს.

- ან სიცოცხლეს გამოესალმება, - შენიშნა უილკინს ფლეშერმა, ესკვაირმა.

- დიახ, ასე იყოს, - კვერი დაუკრა მისტერ სიმერიმ და სანაძლეო ჩაინიშნა: „ფლეშერი - ათი გინეა ხუთის წინააღმდეგ, რომ ბოფერი სიცოცხლეს გამოესალმება“. ვადა რა იქნება?

- ორი კვირა, - მიუგო უილკინს ფლეშერმა, ესკვაირმა.

- არა, ეშმაკმა დასწყევლოს! - წამოიძახა მისტერ სიმერიმ და წუთით გაიხედა, რომ ბუზი მოეკლა, - ერთი კვირაც ეყოფა.

- მოდი, საშუალოდ ავიღოთ, - თქვა უილკინს ფლეშერმა, ესკვაირმა, - ათი დღე იყოს.

- კარგი, ათი დღე იყოს, - დაეთანხმა მისტერ სიმერი.

უბის წიგნაკებშიც ასე ჩაინიშნეს: ბოფერი გამოესალმება სიცოცხლეს ათი დღის განმავლობაში, თუ არა და უილკინს ფლეშერმა, ესკვაირმა, ფრენკ სიმერის, ესკვაირს, უნდა გადაუხადოს ათი გინეა და თუ ბოფერი თავს მოიკლავს აღნიშნული ვადის განმავლობაში, ფრენკ სიმერიმ, ესკვაირმა, უნდა გადაუხადოს უილკინს ფლეშერს, ესკვაირს, ხუთი გინეა.

- ძალიან მწყინს, რომ გაკოტრდა, - თქვა უილკინს ფლეშერმა, ესკვაირმა, - რა საუცხოო სადილებს გვიმართავდა!

- პორტვეინიც მუდამ საუცხოო ჰქონდა! - შენიშნა მისტერ სიმერიმ, - ხვალ მსახურთუხუცესი უნდა გავგზავნოთ აუქციონზე, რამდენიმე ბოთლი იყიდოს.

- რას ბრძანებთ! - წამოიძახა უილკინს ფლეშერმა, ესკვაირმა, - მეც ვგზავნი კაცს. გინდა ხუთ გინეაზე დაგენაძლევებით, რომ ჩემი კაცი აჯობებს თქვენსას.

- ყაბულსა ვარ.

კვლავ ოქროს პაწია ფანქრებით ორივემ ჩაინიშნეს ახალი სანაძლეო თავ-თავიანთ უბის წიგნაკში. ამასობაში მისტერ სიმერიმ ყველა ბუზი გაწყვიტა და ყველა სანაძლეო დადო, რაც კი თავში მოუვიდა. ამის მერე აღარ დააყოვნა, პირდაპირ ბირჟისკენ გასწია, რომ გაეგო, რა ხდებოდა იქ.

უილკინს ფლეშერმა, ესკვაირმა, როგორც იქნა, კეთილი ინება და მისტერ პელის ინსტრუქციები მოისმინა. მერე რამდენიმე ბლანკი შეავსო და მთელ კომპანიას შესთავაზა, ახლა ბანკში წავიდეთო, რაც დაუყოვნებლივ იქნა სისრულეში მოყვანილი. მისტერ უელერი და მისი სამი მეგობარი გაოცებით შესცქეროდნენ

ყოველივეს, რაც კი გზაზე ხვდებოდათ, მაშინ, როცა სემი სრულიად გულგრილი იყო ყველაფრისადმი.

გაიარეს ეზო, სადაც დიდი ჟრიამული იდგა, ჩაუარეს ორ მეკარესაც, რომლებსაც ეზოს ბოლოში მოთავსებულ სახანძრო ტუმბოსავით წითელი ქურთუკები ეცვათ და პირდაპირ კანტორაში შევიდნენ, სადაც უნდა დაეგვირგვინებინათ საქმე. კანტორაში მისტერ პელი და მისტერ ფლეშერი დროებით დასცილდნენ დანარჩენებს, რომლებიც ანდერძების განყოფილებაში შევიდნენ.

- ეს რა ადგილია? - ჩასჩურჩულა ლაქებიანმა ჯენტლმენმა უფროს უელერს.

- ვექილების ბიუროა, - ჩურჩულითვე მიუგო ანდერძის აღმსრულებელმა.

- ეს ჯენტლმენები ვინღა არიან... ნუთუ გგონიათ, რომ ცოცხალი არსებები?..

- აბა, მე რა ვიცი! - მიუგო მისტერ უელერმა, - მე მგონი, სწორედ ეგეთები უნდა იყვნენ. და ისინი, იქით რომ სხედან, ვინ არიან?

- კლერკები, - მიუგო სემმა.

- რატომ ჭამს ყველა ლორით დატენილ სენდვიჩებს? - ჰკითხა მშობელმა.

- უთუოდ ესეც მათ მოვალეობას შეადგენს, - მიუგო სემმა, - წესი აქვთ. მთელ დღეს მაგას უნდებიან.

მისტერ უელერი და მისი მეგობრები ძლიერ დააფიქრა ამ უცნაურმა წესმა, რომელიც ესოდენ მჭიდროდაა დაკავშირებული სამეფოს ფინანსურ სისტემასთან, მაგრამ ამ დროს პელი და უილკინს ფლეშერი, ესკვაირი, მოვიდნენ და ისინი დახლის იმ ნაწილთან მიიყვანეს, სადაც გაკრული იყო დიდი შავი დაფა... უთუოდ უელერის საქმეს კიდევ ერთი დღით მაინც გადადებ-

დნენ, ამ დროს სემი რომ არ ჩარეულიყო ფრიად ენერგიულად. მან სერთუკის კალთაზე მოქაჩა პატივცემულ მშობელს, დახლთან მიათრია და მანამ არ გაუშვა ხელი, ვიდრე მშობელმა ორ თუ სამ საბუთს არ მოაწერა ხელი და რადგან, მოგეხსენებათ, მისტერ უელერი მხოლოდ ბეჭდური ასოებით წერდა, წარმოიდგინეთ, რომ ამ საქმეს იმდენი ენერგია და დრო მოანდომა, რომ მორიგე კლერკმა სამი უშველებელი ვაშლი გათალა და შეჭამა.

რადგან უფროსი უელერი დაჟინებით მოითხოვდა, რომ ქონების კუთვნილი ნაწილი დაუყოვნებლივ გაენაღდებინათ მისთვის, ამიტომ ყველანი ბირჟისკენ გაემართნენ. აქ უილკინს ფლეშერმა, ესკვაირმა, ცოტა ხნით მიატოვა კომპანია, მაგრამ მალე დაბრუნდა. ხელში ჩეკი ჰქონდა ხუთას ოცდაათ გირვანქაზე, რომელიც სმიტის, პეინისა და სმიტის სახელზე იყო გამოწერილი. ეს თანხა მისტერ უელერს ერგებოდა იმ აქციებში, რომელიც აწ განსვენებულმა მისის უელერმა დააბანდა ბანკში. სემის ორასი გირვანქა გააფორმეს მის სახელზე და უილკინს ფლეშერმა, ესკვაირმა, გასამრჯელო მიიღო თუ არა, კანტორაში დაბრუნდა.

მისტერ უელერს ჯერ არ უნდოდა ჩეკით მხოლოდ სოვერენები აეღო, მაგრამ როდესაც მედიატორებმა დაუმტკიცეს, რომ მაშინ ტომრის ყიდვა დაგჭირდება იმისთვის, რომ ფული მშვიდობით მიიტანო სახლშიო, დათანხმდა თანხა ხუთგირვანქიანი ბანკნოტებით გაენაღდებინა.

- ჩემმა ვაჟიშვილმა, - წარმოთქვა მისტერ უელერმა, როდესაც ბანკიდან გამოვიდნენ, - მე და ჩემმა ვაჟიშვილმა, დღეს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საქმე უნდა მოვაგვაროთ. მინდა ისიც მალე მოვათავო. ამიტომ სჯობს, ისეთ ადგილას გავწიოთ, სადაც ანგარიშის გასწორებას შევძლებთ.

მალე მყუდრო ოთახიც მონახეს. ანგარიშებიც შეამოწმეს და გაანაღდეს. სემი, ცოტა არ იყოს, დააეჭვა მისტერ პელის მიერ წარმოდგენილმა ანგარიშმა და ზოგიერთი ხარჯი მედიატორებმაც არ დაამტკიცეს. მიუხედავად იმისა, რომ მისტერ პელმა ასჯერ დაიფიცა, მეტად მკაცრად მომექეცითო, ზემოხსენებული საქმიანი ოპერაცია იმდენად სარგებლიანი აღმოჩნდა მისთვის, რომ ნახევარი წლით უზრუნველყო ბინით, სუფთა საცვლითა და გემრიელი საჭმლით.

მედიატორებმა თითო ჭიქა გადაკრეს, მამა-შვილს ხელი ჩამოართვეს და წავიდნენ, რადგან იმავე საღამოს ქალაქიდან უნდა წასულიყვნენ სამგზავრო ეტლით. მისტერ სოლომონ პელიც, დარწმუნდა თუ არა, რომ საჭმელ-სასმლით აღარავინ გაუმასპინძლდებოდა, გულთბილად დაემშვიდობა ყოფილ კლიენტებს და წავიდა. მამა-შვილი მარტო დარჩა.

- აბა, სემი! - თქვა მისტერ უელერმა და საფულე ჯიბეში შეინახა, - აქ ათას ას ოთხმოცი გირვანქა მაქვს იმ ფულთან ერთად, რომელიც საიჯარო უფლების გაყიდვიდან მერგო. ახლა, ჩემო ბიჭუნავ, ჩემო სემი, პირდაპირ „ჯორჯი და ფასკუნჯისაკენ“ გავწიოთ.

თავი LVI

მისტერ პიკვიკი და სემუელ უელერი საუბრობენ მეტად სერიოზულ თემაზე; ამ საუბარში უფროსი უელერიც მონაწილეობს. უეცრად მოდის მოხუცი ჯენტლმენი, რომელსაც თამბაქოსფერი სამოსი აცვია

ფიქრებში გახვეული მისტერ პიკვიკი მაგიდასთან იჯდა მარტოდმარტო. ათასნაირი საზრუნავი უტრიალებდა თავში; ძალიან აწუხებდა ახალჯვარდაწერილების ბედი, რომლებიც მკაცრმა მშობელმა ქვეყნის ანაბარა მიატოვა. მისტერ პიკვიკი თავს იტეხდა, როგორ უზრუნველეყო ახალგაზრდები. ძალიან ეცოდებოდა ისინი, რადგან მათი მდგომარეობა ასე გაურკვეველი იყო. უეცრად კარი გაიღო და ოთახში მერი შემოვიდა. ლამაზი მსახური მაგიდას მიუახლოვდა და სწრაფად წარმოთქვა:

- მომიტევეთ, სერ, სემუელი ქვემოთ იცდის და გეკითხებათ, შეიძლება თუ არა, რომ მამამისმა გინახულოთ?

- რა თქმა უნდა, - მიუგო მისტერ პიკვიკმა.

- გმადლობთ, სერ, - თქვა მერიმ და მსუბუქი ნაბიჯით კარისაკენ გაემართა.

- სემი დიდი ხანია მელოდება? - იკითხა მისტერ პიკვიკმა.

- ო, არა, სერ, - მკვირცხლად მიუგო მერიმ, - შინ ახლა დაბრუნდა. ამბობს, რომ შვებულებას აღარასოდეს ვითხოვო.

მერი თვითონ მიხვდა, რომ უკანასკნელი ამბავი მან დიდი აღფრთოვანებით აუწყა ჯენტლმენს, ვიდრე ამას თვით ამბის შინაარსი მოითხოვდა, ან იქნებ, მან თვალი მოჰკრა კეთილ ღი-

მილს მისტერ პიკვიკის სახეზე, როდესაც ლაპარაკი დამთავრდა. ასე იყო თუ ისე, მერიმ თავი ჩაქინდრა და თავისი კოპწიად მორთული წინსაფრის კუთხეს მიაშტერდა ისეთი ყურადღებით, რასაც ამჯერად სულ არ მოითხოვდა მისი წინსაფარი.

- გადაეცით, რომ ახლავე ამოვიდნენ, - უთხრა მსახურს მისტერ პიკვიკმა.

მერი გახარებული გაიქცა ბრძანების შესასრულებლად.

მისტერ პიკვიკმა ოთახში გაიარ-გამოიარა. მარცხენა ხელით ნიკაპს ისრესდა და ეტყობოდა, რომ განსაკუთრებულ საქმეზე ფიქრობდა.

- დიახ, - წარმოთქვა ბოლოს მისტერ პიკვიკმა მორჩილად, მაგრამ სევდიანი კილოთი, - ისევ ეს სჯობს. მისი ერთგულება და სიყვარული სხვაგვარად არ დაფასდება... ნამდვილად ასე სჯობს. რა გაეწყობა, ყველა მარტოხელა მოხუცს ასეთი ბედი მოელის. გარშემო ვინცაა, დროთა განმავლობაში ახალ მეგობრებს გაიჩენს და ტოვებს მას სამუდამოდ. რა უფლება მაქვს, ვიფიქრო, რომ მე ასეთი ბედი არ მეწვევა. დიახ, ასეა, - დასძინა მისტერ პიკვიკმა უფრო მხიარული კილოთი, - ეს ძალიან ეგოისტური, სულმდაბალი საქციელი იქნებოდა. პირიქით, უნდა მიხაროდეს კიდეც, რომ საშუალება მომეცა ვიზრუნო მასზე, დავეხმარო. ჰოდა, ამით მე ბედნიერი ვარ, რა თქმა უნდა, ბედნიერი ვარ.

მისტერ პიკვიკი ფიქრებმა ისე გაიტაცა, რომ კარზე კაკუნი სამჯერ თუ ოთხჯერ გამეორდა, ვიდრე მის ყურს ჩასწვდებოდა. მოხუცი ჯენტლმენი საჩქაროდ ჩაჯდა სავარძელში, ზრუნვითა და დარდით შეკრული კოპები გაშალა და დაიძახა: მობრძანდით!

ოთახში სემ უელერი და მამამისი შემოვიდნენ.

- მიხარია, რომ ჩამოხვედით, სემ, - წარმოთქვა მისტერ პიკვიკმა, - როგორ ბრძანდებით, მისტერ უელერ?

- ჯანმრთელად... გმადლობთ, სერ, - მიუგო ქვრივმა, - იმედია, თქვენც ჯანმრთელად ბრძანდებით?

- დიახ, გმადლობთ, - მიუგო მისტერ პიკვიკმა.

- პატარა სალაპარაკო მაქვს თქვენთან, სერ, თუ არ დაგეზარებათ და ხუთ წუთს დამითმობთ, - თქვა მისტერ უელერმა.

- სიამოვნებით, - მიუგო მისტერ პიკვიკმა, - სემ, მამას სკამი მიართვი.

- გმადლობთ, სემუელ, უკვე მაქვს, - თქვა მისტერ უელერმა და სკამს მოავლო ხელი, - გადასარევი ამინდებია, სერ, - დასძინა მოხუცმა, სკამზე ჩამოჯდა და ქუდი იატაკზე დადო.

- მართლაც დიდებული ამინდია! - კვერი დაუკრა მისტერ პიკვიკმა, - სწორედ წლის დროის შესაფერი.

- დიახ, წლიური ამინდია, სერ, - მიუგო მისტერ უელერმა. მოხუცს უცებ საშინელი ხველა აუვარდა; ოდნავ რომ დამშვიდდა, სემს თვალი ჩაუკრა და რამდენჯერმე ხან მრისხანედ, ხან ვედრებით გადახედა, მაგრამ შვილმა თითქოს ვერაფერი შეამჩნიაო, ყურიც არ გაიბერტყა.

მისტერ პიკვიკმა შეატყო, რომ მოხუცს რაღაც აწუხებდა, მაგრამ არ შეიმჩნია. მშვიდად გაჭრა წიგნის ფურცელი, რომელიც მის წინ იდო და მოთმინებით ელოდა, რას ეტყოდა მისტერ უელერი.

- შენისთანა საძაგელი შვილი ჩემს დღეში არ მინახავს, სემუელ, - განაცხადა ბოლოს მისტერ უელერმა და წყრომით გადახედა ვაჟიშვილს, - ჩემს დღეში არ მინახავს!

- რა ჩაიდინა ასეთი, მისტერ უელერ? - ცნობისმოყვარეობით იკითხა მისტერ პიკვიკმა.

- აი, ახლა არაფრით არ იწყებს, სერ, - მიუგო მისტერ უელერმა, - კარგად იცის, რომ ასეთ საქმეებში ახსნა-განმარტება არ მეხერხება და მაინც ხმას არ იღებს, შტერივით მომჩერებია. განა

ვერ ხედავს, რომ მეც ძვირფას დროს გართმევთ, სერ?.. ნუთუ ერთი სიტყვით არ შეგიძლია დამეხმარო?! არა, ასე არც ერთი შვილი არ მოიქცეოდა, სემუელ, - დასძინა მისტერ უელერმა და შუბლზე ოფლი შეიწმინდა.

- არ გეკადრება ეგ, სემუელ.

- თქვენ არ ბრძანეთ, მე თვითონ ვეტყვიო?.. - უთხრა სემმა.

- შემატყვე, ადგილიდან რომ ვერ დავიძარი, - აღარ აცალა მშობელმა, - გზა ამებნა და ღობეს გადავეჩეხე. ყოველგვარი უსიამოვნება მე უნდა დამემართოს, შენ კი საშველად ხელიც არ გინდა გამომიწოდო. გრცხვენოდეს, სემუელ.

- საქმე ისაა, სერ, - დაიწყო სემმა და პატრონს ოდნავ დაუკრა თავი, - რომ ჩემმა მშობელმა ფული მიიღო...

- აი, ასე, სემუელ, ასე, შენი ჭირიმე, - მოუწონა მისტერ უელერმა, - რისთვისღა გიჯავრდებოდი წეღან, სემი. აი ასე, ჩინებულია, შვილო. სწორედ ამით უნდა დაიწყოს კაცმა. საუცხოოა, სემუელ.

ნიშნად დიდი კმაყოფილებისა, მისტერ უელერმა მრავალჯერ თავი დაუქნია შვილს და სმენად იქცა, ელოდებოდა, რას იტყოდა კიდევ სემი.

- დაჯექით, სემ, - თქვა მისტერ პიკვიკმა, როდესაც შეატყო, რომ სტუმრობა უფრო ხანგრძლივი აღმოჩნდა, ვიდრე მას ეგონა.

სემმა კვლავ თავი დაუკრა და დაჯდა. როცა შეამჩნია, რომ მამა თვალს არ აშორებდა, მშვიდად განაგრძო:

- მამაჩემმა, სერ, ხუთას ოცდაათი გირვანქა მიიღო.

- დაბალხარისხიანი კონსოლებით, - ჩუმი ხმით ჩაურთო სიტყვა უფროსმა უელერმა.

- სულერთი არ არის, დაბალი იქნება თუ მაღალი? - შეეპასუხა სემი, - ხომ ხუთას ოცდაათი გირვანქა მიიღეთ?

- სწორია, სემუელ, - კვერი დაუკრა მისტერ უელერმა.

- ამ თანხას ის ფულიც დაემატა, რაც სახლისა და საქმის გაყიდვიდან გამორჩა...

- მოგეხსენებათ, იჯარით გაცემის უფლება, ფირმა, ინვენტარი, ავეჯეულობა და სხვა, - ჩაურთო კვლავ მისტერ უელერმა.

- სულ ათას ას ოთხმოცი გირვანქა გამოვიდა, - განაგრძო სემმა.

- ნუთუ მართლა! - წარმოთქვა მისტერ პიკვიკმა, - ძალიან საასიამოვნოა. მოგილოცავთ წარმატებას, მისტერ უელერ.

- მოიცადეთ, სერ, - მიუგო მისტერ უელერმა და ვედრებით აღაპყრო ხელი, - განაგრძე, სემუელ.

- აი, ეს ფული, სერ, - ყოყმანით განაგრძო სემმა, - მამას უნდა რაიმე საიმედო საქმეში დააბანდოს. მეც ეგ მინდა იმიტომ, რომ ეს თანხა თუ ხელზე ექნება, სულ სესხად დაარიგებს, ან მთელ თანხას ცხენებზე დახარჯავს, ან სულაც საფულეს დაკარგავს... ერთი სიტყვით, ცარიელ-ტარიელი დარჩება.

- ჩინებულია, სემუელ, ჩინებული! - მოუწონა კვლავ მისტერ უელერმა ისეთი კმაყოფილი კილოთი, თითქოს სემმა მისი გონიერება და წინდახედულობა შეაქო, - ჩინებულია, შვილო.

- აი, ამ მიზეზების გამო, - განაგრძო სემმა, რომელიც აღელვებისგან ქუდის ფარფლს წიწკნიდა, - აი, ამ მიზეზების გამო, გამოიტანა მან ბანკიდან მთელი ფული და თქვენთან წამომყვა, რომ ეს გითხრათ... არა, კი არ გითხრათ, შემოგთავაზოთ... ან სხვა სიტყვით რომ ვთქვათ...

- მოგახსენოთ, - მოუთმენლად ჩაურთო სიტყვა მისტერ უელერმა, - რომ ეს ფული მე არაფრად მჭირდება! მე ხომ ყოველ ცისმარე დღეს ეტლს დავყვები და ფული სად უნდა შევინახო, ჰა? თან თუ ვატარე, ისევ კონდუქტორს უნდა ვუხადო ფული, რომ მან მოუაროს. ან ეტლის ერთადერთ ჩანთაში ჩავდო, რაც მგზავ-

რებისათვის დიდ ცდუნებას წარმოადგენს... თქვენ თუ შემინახავთ ამ თანხას, სერ, დიდად მადლობელი დაგრჩებით... - იქნებ, - აქ მისტერ უელერმა ყურში ჩასჩურჩულა მისტერ პიკვიკს, - იქნებ თქვენ დაგჭირდეთ სახარჯოდ. ერთ რამეს გეტყოდით: აქ შემინახეთ, ვიდრე არ მოვაკითხავ.

ეს რომ თქვა, მისტერ უელერმა საფულე მისტერ პიკვიკს ხელში ჩასჩარა, ქუდს დასტაცა ხელი და სწრაფად გავარდა ოთახიდან, რაც, მართალი გითხრათ, ესოდენ მსუქანი ჯენტლმენისაგან სრულიად მოულოდნელი იყო.

- შეაჩერეთ, სემ! - წამოიძახა მისტერ პიკვიკმა, - დაეწიეთ და ახლავე დააბრუნეთ! მისტერ უელერ, მოიცადეთ, თუ ღმერთი გწამთ, დაბრუნდით!

სემი მიხვდა, რომ ბატონის ბრძანება დაუყოვნებლივ უნდა შეესრულებინა. მშობელი უკვე კიბეზე ჩადიოდა, როცა შვილმა მკლავში სტაცა ხელი და მაღლა აათრია.

- ჩემო მეგობარო, - თქვა მისტერ პიკვიკმა და ხელი მოჰკიდა მოხუცს, - თქვენმა ნდობამ ჭეშმარიტად ამაღელვა.

- თქვენც ნუ ღელავთ, სერ! - ჯიუტად მიუგო მისტერ უელერმა.

- მერწმუნეთ, ჩემო მეგობარო, რომ ფული მე უფრო მეტიც მაქვს, ვიდრე მჭირდება, გაცილებით უფრო მეტი, ვიდრე ჩემი ხნის კაცს შეუძლია დახარჯოს.

- კაცმა არ იცის წინდაწინ რამდენს დახარჯავს, თუ ერთხელ მაინც არ სინჯა, - შენიშნა მისტერ უელერმა.

- შესაძლოა, მართალიც ბრძანდებით, - მიუგო მისტერ პიკვიკმა, - მაგრამ რადგან მე არავითარი სურვილი არ მაქვს, მაგდაგვარი რამ ვსინჯო, ამიტომ ვფიქრობ, არასოდეს გავკოტრდები. ძალიან გთხოვთ, მისტერ უელერ, ეგ ფული უკან წაიღეთ.

- კი ბატონო, - პირქუშად წარმოთქვა მისტერ უელერმა, - სემ, ჩემი სიტყვა დაიხსომე: მაგ ფულით სადღაც კისერს წავიტეხ!

- ნუ იზამთ მაგას! - თქვა სემმა.

მისტერ უელერი დაფიქრდა. მერე სერთუკი შეიკრა და მტკიცედ განაცხადა:

- საყარაულოს შევიძენ.

- რაო? - წამოიძახა სემმა.

- საყარაულოს, - კბილებს შორის გამოსცრა მისტერ უელერმა, - გამოეთხოვე მამას, სემუელ. რაც სიცოცხლე დამრჩენია, საყარაულოს მოვანდომებ.

ეს ისეთი საშინელი მუქარა გახლდათ და თანაც მისტერ უელერმა, რომელსაც საშინლად ატკინა გული მისტერ პიკვიკის უარმა, ეტყობა, მტკიცედ გადაწყვიტა განზრახვა უეჭველად შეესრულებინა უახლოეს დროში. კეთილშობილმა მასპინძელმა იფიქრა, იფიქრა და ბოლოს თქვა:

- ყაბულსა ვარ, მისტერ უელერ, ფულს მე დავიტოვებ და შეიძლება, თქვენზე უკეთესადაც მოვუხერხო რამე.

- აი, ეს მართალი ბრძანეთ! - მისტერ უელერს სახე გაუბრწყინდა, - რა თქმა უნდა, ამ საქმეს ჩემზე ბევრად უკეთესად მოაგვარებთ.

- კმარა, ნუღა ვილაპარაკებთ ამაზე, - წარმოთქვა მისტერ პიკვიკმა და საფულე საწერი მაგიდის უჯრაში ჩაკეტა, - კიდევ ერთხელ მინდა დიდი მადლობა მოგახსენოთ ასეთი ნდობისათვის, ჩემო ძვირფასო მეგობარო. მინდა, ერთი რჩევაც გკითხოთ.

მისტერ უელერს მთელი სხეული უცახცახებდა, თვალები უციმციმებდა ჩუმი სიცილისაგან, რომელიც მისი სტუმრობის ესოდენ წარმატებით დამთავრებამ გამოიწვია, მაგრამ როგორც კი მისტერ პიკვიკმა ახსენა, რჩევა მინდა გკითხოთო, იმავე წამს სერიოზული გახდა, წელში გასწორდა და სმენად იქცა.

- სემ, გეთაყვა, რამდენიმე წუთით დაგვტოვე, - უთხრა სემს მისტერ პიკვიკმა.

სემი ოთახიდან გავიდა.

მისტერ უელერი ბრძნული გამომეტყველებით იჯდა, მაგრამ უეცრად ისეთი რამ გაიგონა, რომ გაოცდა.

- მისტერ უელერ, - მიმართა მას მისტერ პიკვიკმა, - თქვენ, ვგონებ ქორწინების წინააღმდეგი ხართ?

მისტერ უელერმა თავი დაუქნია. შეწუხებულმა ხმა ვერც კი ამოიღო, რადგან თავში უეცრად გაუელვა, უთუოდ ვიღაც ცბიერ-მა ქვრივმა ქალმა ჩაიგდო ხელში მისტერ პიკვიკიო.

- იქნებ თვალი მოჰკარით ლამაზ ქალიშვილს, იქ, ქვემოთ?..

- დიახ, დავინახე, - მოკლედ მიუგო მისტერ უელერმა.

- რას ფიქრობთ... მოგეწონათ?.. გულახდილად მიბრძანეთ, მისტერ უელერ, როგორ მოგეწონათ?

- რა უჭირს, ოდნავ ჩასუქებულია, თუმცა კარგ ტანზე დგას, - მოახსენა მისტერ უელერმა.

- მართალს ბრძანებთ, - თქვა მისტერ პიკვიკმა, - ახლა რას მეტყვით მისი ქცევის შესახებ? როგორ იქცევა?

- საკმაოდ მომხიბვლელი ქცევა აქვს, - მიუგო მისტერ უელერმა, - მომხიბლავიცაა და დამამშვიდებელიც.

თუ რას გულისხმობდა მისტერ უელერი, დღემდე ბუნდოვანი და გაურკვეველია. თუ კილოს მიხედვით ვიმსჯელებთ, მისი სიტ-ყვები უთუოდ ქებას უფრო ნიშნავდა. ამიტომ მისტერ პიკვიკი ნათქვამით ისეთი კმაყოფილი დარჩა, თითქოს ამომწურავი პა-სუხი მიეღოს.

- მაგ ქალით ძალიან დაინტერესებული ვარ, მისტერ უელერ, - წარმოთქვა მისტერ პიკვიკმა.

მისტერ უელერმა ჩაახველა.

- ის მინდა ვთქვა, რომ მისი ბედი მაინტერესებს, - განაგრძო მისტერ პიკვიკმა, - გულით მსურს, რომ გაჭირვებას დააღწიოს თავი და ბედნიერი იყოს. ხომ გესმით?

- საუცხოოდ მესმის, - მიუგო მისტერ უელერმა, თუმცა სინამდვილეში არაფერი ესმოდა.

- ამ ყმაწვილქალს, - განაგრძო მისტერ პიკვიკმა, - თქვენი შვილი მოსწონს.

- სემუელ უელერი? - შესძახა უფროსმა უელერმა.

- დიახ, - კვერი დაუკრა მისტერ პიკვიკმა.

- გასაგებია, - მცირეოდენი პაუზის შემდეგ წარმოთქვა მისტერ უელერმა, - გასაგებია, მაგრამ სახიფათოა. სემს უთხარით, ფრთხილად იყოს.

- ვითომ რატომ? - იკითხა მისტერ პიკვიკმა.

- ფრთხილად იყოს, რომ რამე არ წამოსცდეს, - განუმარტა მისტერ უელერმა, - დიახ, ხომ შეიძლება გულუბრყვილოდ წამოსცდეს რამე და მერე პასუხი უნდა აგოს სასამართლოს წინაშე, რატომ დაარღვიე ქორწინების პირობაო. მათ კი ვერავინ გადაურჩება, მისტერ პიკვიკ... თუ დაგაჭირეს კბილი, მერე მორჩა! ხომ ვერც მიხვდები, გულში რა აქვთ და ვიდრე გაუგებ, ჩაგიჭერენ ხელში. მეც ასე შევირთე ცოლი პირველად, სერ, ამის შედეგადაც გაჩნდა სემი.

- ერთბაშად გეტყვით ყველაფერს, - მიუგო მისტერ პიკვიკმა, - მარტო იმ ქალს კი არ მოსწონს თქვენი შვილი, თქვენს შვილსაც მოსწონს ის ქალი.

- ბიჭოს! - წამოიძახა მისტერ უელერმა, - ძალიან არ გამახარეთ!

- კარგა ხანია თვალს ვადევნებ, - განაგრძო მისტერ პიკვიკმა, რომელმაც ვითომ ვერ გაიგონა მისტერ უელერის შენიშვნა, - ახლა დავრწმუნდი კიდეც, რომ ასეა. ვთქვათ, მე დავეხმარე მათ, რომ დაქორწინდებიან თუ არა, რაიმე საქმეს მოჰკიდონ ხელი, მაშინ არ გაუჭირდებათ ცხოვრება. რას იტყოდით, მისტერ უელერ?

მისტერ უელერმა ჯერ კოპები შეკრა, როდესაც იმ ადამიანის დაქორწინების წინადადება გაიგონა, რომლის ბედით ის ყველაზე მეტად იყო დაინტერესებული, მაგრამ როდესაც მისტერ პიკვიკმა დაარწმუნა და საგანგებოდ გაუსვა ხაზი იმ გარემოებას, რომ მერი ქვრივი არ არისო, თანდათან მოლბა. ჯერ ერთი, დიდ პატივს სცემდა პიკვიკს, საოცრად სჯეროდა მისი და მეორეც - თვით მერის მშვენიერმა გარეგნობამ მოხიბლა; მართალი რომ გითხრათ, რამდენჯერმე თვალიც ჩაუკრა ისე ეშმაკურად, რაც სულაც არ გამოხატავდა მშობლიურ სიყვარულსა და მზრუნველობას. ბოლოს კი გამოაცხადა, რომ მისტერ პიკვიკის სურვილს ის წინ არ აღუდგებოდა და სიამოვნებით მიიღებდა მის რჩევას, რაზედაც მისტერ პიკვიკმა არ დააყოვნა და იმწამსვე უხმო სემს.

- სემ, - მიმართა მას და ჩაახველა, - ახლა თქვენზე ვსაუბრობდით.

- დიახ, შენზე, სემუელ, - კვერი დაუკრა მისტერ უელერმაც მოწყალე კილოთი.

- ბრმა არ გახლავართ, სემ და ამიტომ კარგა ხანია შეგამჩნიეთ, რომ მისის უინკლის მსახურს მეტად ტკბილად და ალერსიანად ექცევით, - განაგრძო მისტერ პიკვიკმა.

- ხომ გესმის, სემუელ? - ჰკითხა მისტერ უელერმა შვილს დარბაისლური კილოთი.

- იმედი მაქვს, სერ, - მიმართა სემმა ბატონს, - იმედი მაქვს, რომ უწესო საქციელად არ ჩაუთვლით ახალგაზრდა კაცს, თუ იგი ოდნავ ყურადღებას იჩენს ახალგაზრდა ქალისადმი, რომელიც ლამაზიცაა და წესიერიც.

- რა თქმა უნდა, არა, - მიუგო მისტერ პიკვიკმა.

- გასაგებია, - კვერი დაუკრა მისტერ უელერმაც ალერსიანი, მაგრამ ზედმიწევნით სერიოზული კილოთი.

- მე ვფიქრობ, ეს საქციელი საძრახისი არ არის, ეს ასეც უნდა იყოს, - განაგრძო მისტერ პიკვიკმა, - მაგრამ მინდა, დაგეხმაროთ ამ საქმეში. ამიტომ ველაპარაკე კიდეც მამათქვენს და როცა დავრწმუნდი, რომ ისიც ჩემს აზრს იზიარებს...

- რადგან ქვრივი არ არის, - განმარტების სახით სიტყვა ჩაურთო მისტერ უელერმა.

- რახან ეგ ქალი ქვრივი არ არის, - ღიმილით გაიმეორა მისტერ პიკვიკმა, - მეც მინდა გაგათავისუფლოთ დაკისრებული მოვალეობისგან, რომელიც ახლა ხელ-ფეხს გიბოჭავთ და საქმით დაგიმტკიცოთ, რომ თქვენი დიდად მადლიერი ვარ ერთგულებისა და სხვა მრავალი სიკეთისათვის, რაც ჩემ მიმართ გამოიჩინეთ. ახლა საშუალება მინდა მოგცეთ, დაუყოვნებლივ შეირთოთ ის ქალი. შემოსავალსაც იმდენს მოგცემთ, რომ ოჯახი შეინახოთ. ჭეშმარიტად ვიამაყებ, სემ, - დასძინა მისტერ პიკვიკმა, რომელსაც ხმა აუკანკალდა, - ბედნიერიც ვიქნები, თუ გიშველით, რომ ფეხზე დადგებით და ოჯახს მოეკიდებით.

რამდენიმე წამით სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა; მერე სემმა ხრინწიანი ხმით, მაგრამ საკმაოდ მტკიცედ, წარმოთქვა:

- დიდად გმადლობთ, სერ, სიკეთისათვის, თქვენ ძალიან კეთილი ბრძანდებით, მაგრამ ეს არასოდეს მოხდება.

- არ მოხდება? - გაოცდა მისტერ პიკვიკი.

- სემუელ! - დინჯად დასძინა მისტერ უელერმაც.

- დიახ, გეუბნებით, რომ არ მოხდება, სერ, - სემმა ხმა აიმაღლა, - უჩემოდ თქვენ რას იზამთ, სერ?

- ჩემო კარგო, - მიუგო მისტერ პიკვიკმა, - ის ცვლილებები, რომელიც ჩემი ახლო მეგობრების ცხოვრებაში მოხდა, რა თქმა უნდა, ჩემს ცხოვრებაზეც იქონიებს გავლენას. ასეც რომ არ იყოს, ვბერდები უკვე და მყუდროება მჭირდება. ჩემი მოგზაურობაც დამთავრდა, სემ.

- მაგის რა მოგახსენოთ, სერ, - შეეპასუხა სემი, - ახლა ასე ამბობთ, მაგრამ მერე შესაძლოა გუნება-განწყობილება შეგეცვალოთ. აი, ნახეთ ასე თუ არ მოხდეს, იმიტომ, რომ გული ოცდახუთი წლის ვაჟკაცივით გაქვთ. მაშინ უჩემოდ რას იზამთ? არა, ეს არ მოხდება, სერ.

- ყოჩაღ, სემუელ, მე მგონი ბევრ მართალს ამბობ! - მოუწონა ნათქვამი მისტერ უელერმა.

- მეც დიდხანს ვიფიქრე და მერე გადავწყვიტე, სემ, - წარმოთქვა მისტერ პიკვიკმა და თავი გააქნია, - ახლა აღარ შევიცვლი აზრს. ჩემთვის ახალი ხანა დადგა, სემ, მოგზაურობა დავასრულე!

- კეთილი, სერ, - მიუგო სემმა, - მაგრამ ახლა ხომ მით უფრო დაგჭირდებათ ადამიანი, რომელიც გაგიგებთ და იზრუნებს, რომ თქვენ არაფერი დაგაკლდეთ. თუ გინდათ, იყოლიოთ ყმაწვილი უფრო მარჯვე და შარმიანი, ეს თქვენი ნებაა. მაგრამ ისიც იცოდეთ, რომ ჯამაგირითა თუ უჯამაგიროდ, დათხოვნის შესახებ გაფრთხილებითა თუ გაფრთხილების გარეშე, საჭმელ--სასმლითა თუ უმაგისოდ, ბინითა თუ უბინაოდ, რაც უნდა მოხდეს, სემ უელერი არასოდეს მოგცილდებათ. ვინც უნდა სცადოს, სულერთია, ეს მაინც არ მოხდება!

როდესაც სემმა დიდი გრძნობით წარმოთქვა ზემოხსენებული ტირადა, უფროსი უელერი წამოდგა და თითქოს დაავიწყდა დრო და ადგილი, ზრდილობის წესები, აიქნია ქუდი და სამჯერ ზედიზედ ვაშა დააგუგუნა.

- ჩემო კარგო, - წარმოთქვა მისტერ პიკვიკმა, როდესაც მისტერ უელერი კვლავ დაჯდა ცოტა არ იყოს დარცხვენილი, - ყმაწვილი ქალი ნუ გავიწყდებათ, სემ.

- მასზეც ვიფიქრე, სერ, - მიუგო სემმა, - არც ქალი დამვიწყებია. ველაპარაკე კიდეც. ავუხსენი სიტუაცია. ასე მითხრა, და-

გიცდი, ვიდრე ყველაფერს მოაგვარებო და მეც მგონია, რომ ასეც იზამს. თუ არ მოიცდის, მაშ, არ ყოფილა ისეთი ქალი, მე რომ მეგონა და უარსაც ადვილად ვეტყვი. თქვენც კარგა ხანია მიცნობთ, სერ, მე გადავწყვიტე და ჩემს გადაწყვეტილებას არც შევცვლი.

აბა, ვინ რას ეტყოდა ამის შემდეგ? მით უფრო, მისტერ პიკვიკი. ამწუთს იგი ისეთ დიდ სიხარულსა და სიამაყეს გრძნობდა გულში იმის გამო, რომ მის მოკრძალებულ მეგობრებს ასე უანგაროდ ჰყვარებიათ, რომ მსოფლიოს უდიდეს ადამიანებს, მეგობრობის ნიშნად, ათი ათასი ფიცი რომ დაედოთ მისთვის, მაშინაც უთუოდ ასეთი ბედნიერი არ იქნებოდა.

ვიდრე მისტერ პიკვიკის ოთახში ზემოხსენებული საუბარი მიმდინარეობდა, სასტუმროში შემოვიდა პაწია მოხუცი ჯენტლმენი, თამბაქოსფერ კოსტიუმში გამოწყობილი, რომელსაც თან მებარგული ახლდა პატარა ჩემოდნით ხელში. როდესაც ჯენტლმენმა ბინის საკითხი მოაგვარა, ლაქიას ჰკითხა, აქ თუ ცხოვრობს ვინმე მისის უინკლიო, რაზედაც ლაქიამ, რა თქმა უნდა, დადებითი პასუხი მისცა.

- ახლა მარტოა? - იკითხა პატარა ჯენტლმენმა.

- ვფიქრობ, მარტო უნდა იყოს, სერ, - მიუგო ლაქიამ, - თუ გნებავთ, მის პირისფარეშს დავუძახებ, სერ.

- არა, არ არის საჭირო, - სწრაფად მიუგო მოხუცმა ჯენტლმენმა, - ამიყვანეთ ქალბატონის ოთახში წინასწარი გაფრთხილების გარეშე.

- ეგ როგორ იქნება, სერ? - შეეკითხა ლაქია.

- დაყრუვდით თუ რა? - უპასუხა პატარა ჯენტლმენმა.

- არა, სერ.

- მაშ, ყური მიგდეთ. ახლა ხომ კარგად გესმით?

- დიახ, სერ.

- ჩინებულია. ამიყვანეთ მისის უინკლის ოთახში წინასწარი გაფრთხილების გარეშე.

ეს ბრძანება გასცა თუ არა, მოხუცმა ჯენტლმენმა ლაქიას ხუთი შილინგი ჩასჩარა ხელში და მეტყველი მზერით მიაჩერდა.

- არ ვიცი, სერ, - ლაქია შეყოყმანდა, - არ ვიცი, სერ, შეიძლება თუ არა...

- მაშ, თანახმა ხართ, - შეაწყვეტინა სიტყვა პაწია ჯენტლმენმა, - დროს ტყუილად ნუღარ ვკარგავთ, ახლავე წამიყვანეთ.

ჯენტლმენი ისე მშვიდად და დამაჯერებლად იქცეოდა, რომ ლაქიამ ხუთი შილინგი ჯიბეში ჩაიდო და უხმოდ აიყვანა მაღლა.

- ეს ოთახია? - ჰკითხა ჯენტლმენმა, - შეგიძლიათ, წაბრძანდეთ.

ლაქია დაემორჩილა. გზაში სულ თავს იმტრევდა, ნეტავ, ვინაა ეს კაცი და რა უნდაო. მოხუცმა ჯენტლმენმა მოიცადა, ვიდრე ლაქია ძირს არ ჩავიდა და მერე კარზე დააკაკუნა.

- მობრძანდით! - გამოსძახა არაბელამ.

- ჰმ... ხმას არა უშავს, - ჩაიბურტყუნა მოხუცმა ჯენტლმენმა, - თუმცა, ეს არაფერს ნიშნავს.

პატარა ჯენტლმენმა კარი შეაღო და ოთახში შევიდა. არაბელა რაღაცას ქსოვდა. უცნობის დანახვაზე ფეხზე წამოდგა შემკრთალი, მაგრამ ნაზი და სანდომიანი.

- დაბრძანდით, გეთაყვა, ქალბატონო, - წარმოთქვა უცნობმა და კარი მიხურა, - თუ არ ვცდები, მისის უინკლი ბრძანდებით?

არაბელამ თავი დაუკრა.

- მისის ნათანიელ უინკლი, რომელიც ბირმინგემელი მოხუცის ვაჟიშვილს გაჰყვა? - განაგრძო უცნობმა და ცნობისმოყვარე იერი აღებეჭდა სახეზე.

არაბელამ კვლავ თავი დაუკრა და შემკრთალმა მიმოიხედა, თითქოს გაიფიქრა, ვინმეს ხომ არ დავუძახო საშველადო.

- თქვენ, ვგონებ, გაკვირვებული ხართ, ქალბატონო, - შენიშნა მოხუცმა ჯენტლმენმა.

- დიახ, - გულწრფელად მიუგო არაბელამ, რომელიც საგონებელში ჩავარდა, - ნეტავ ვინაა ეს მოხუცი და რა უნდაო.

- თუ ნებას მომცემთ, ქალბატონო, დავჯდები, - თქვა უცნობმა.

ჯენტლმენი დაჯდა, ჯიბიდან სათვალის ბუდე ამოიღო, ბუდიდან სათვალე და ცხვირზე დაიკოსა.

- თქვენ მე არ მიცნობთ, ქალბატონო? - იკითხა და ისეთი დაჟინებით ჩააშტერდა არაბელას, რომ ყმაწვილი ქალი შეშინდა.

- არა, სერ, - მორცხვად მიუგო ქალმა.

- რა თქმა უნდა, არ მიცნობთ, - წარმოთქვა ჯენტლმენმა და ხელები მარცხენა ფეხს შემოხვია, - საიდან უნდა მიცნობდეთ? მაგრამ ჩემი გვარი კი კარგად იცით, ქალბატონო.

- ნუთუ მართლა? - წამოიძახა არაბელამ და რატომღაც აკანკალდა, - იქნებ მითხრათ, სერ?

- ამასაც მოესწრებით, ქალბატონო, - მიუგო უცნობმა. მოხუცი თვალს არ აშორებდა ქალს და დაჟინებით აშტერდებოდა, - დიდი ხანია, რაც გათხოვდით?

- არა, დიდი ხანი არაა, - ჩუმი ხმით წაილუღლუღა არაბელამ და საქსოვი გვერდზე გადადო. თავში ერთმა აზრმა გაუელვა და ახლაც იმ აზრმა შეაშფოთა.

- გათხოვდით ისე, რომ არც ურჩიეთ ქმარს, რომ ჯერ მშობელს მოლაპარაკებოდა, მშობელს, რომელიც, ვგონებ, არჩენს მას?

არაბელამ თვალებზე ცხვირსახოცი მიიფარა.

- გათხოვდით ისე, რომ არც კი შეეცადეთ როგორმე გაგეგოთ, თანახმაა მოხუცი თუ არა იმაზე, რაც მას, როგორც მშობელს, ძალიან უნდა აინტერესებდეს? - კვლავ ჩაეკითხა უცნობი.

- მე ამას არ უარვყოფ, სერ, - წარმოთქვა არაბელამ.

- გათხოვდით ისე, რომ საკუთარი ქონებაც არ გაგაჩნდათ საკმარისად, რომ ქმარს მხარში ამოსდგომოდით იმ დახმარების ნაცვლად, რომელსაც, როგორც თქვენთვის ცნობილია, მამა მისცემდა, მისი ნებართვით რომ შეერთო ცოლი? - განაგრძო მოხუცმა ჯენტლმენმა, - გოგო-ბიჭები ამას უანგარო სიყვარულს ეძახიან, ვიდრე თვითონ არ გაუჩნდებათ საკუთარი გოგო--ბიჭები, აი, მაშინ კი ასე აღარ ფიქრობენ, უფრო გონიერი თვალით უყურებენ ამ საქმეს.

არაბელა ცრემლებად დაიღვარა. თავს იმით იმართლებდა, რომ მეტად ახალგაზრდა და გამოუცდელი იყო, რომ მხოლოდ სიყვარულმა აიძულა ასეთი ნაბიჯი გადაედგა და რახან ადრე დაობლდა, ამ საქმეში მრჩეველიც არავინ ჰყავდა.

- ძალიან ცუდია, - წარმოთქვა მოხუცმა ჯენტლმენმა უფრო ლმობიერი კილოთი, - ძალიან ცუდია... სისულელეა, მეტად რომანტიკული, ქარაფშუტა საქციელია.

- ეს მე ვარ დამნაშავე, მხოლოდ მე, სერ, - ტირილით მიუგო საცოდავმა არაბელამ.

- სისულელეა! - გაიმეორა კვლავ მოხუცმა ჯენტლმენმა, - აბა, რა თქვენი ბრალია, რომ მას შეუყვარდით... თუმცა, - დასძინა მოხუცმა და ეშმაკურად გადახედა არაბელას, - მართლაც, თქვენი ბრალია. რომ დაგინახავდათ, აბა, როგორ არ შეგიყვარებდათ.

პატარა კომპლიმენტმა თუ უცნაურმა კილომ, რომლითაც მოხუცმა ის-ის იყო წარმოთქვა, იმ გარემოებამ, რომ უცნობი მოლბა თუ ყოველივემ ერთად, სასწაული მოახდინა. თვალცრემლიანმა არაბელამ გაიღიმა.

- თქვენი მეუღლე სადაა? - მკვახედ ჰკითხა ქალს ახალმოსულმა.

- ახლავე უნდა მოვიდეს, სერ, - მიუგო არაბელამ, - ძლივს გავაგდე სასეირნოდ. მამისგან ამბავი არ მოსდის და ძალიან დარდობს.

- დარდობს თუ? - შეეკითხა მოხუცი ჯენტლმენი, - ახია მასზე!

- ვფიქრობ, ის ჩემ გამო უფრო დარდობს, - დასძინა არაბელამ, - მე კი, სერ, მის გამო მეწვება გული. სულ ჩემი ბრალია, ამ დღეში რომ ჩავარდა.

- ამის დარდი ნუ გაქვთ, ჩემო ძვირფასო, - წარმოთქვა მოხუცმა ჯენტლმენმა, - ახია, ძალიან მიხარია, ძალიან...

ის იყო, მოხუცმა ჯენტლმენმა ეს სიტყვები თქვა, რომ კიბეზე ფეხის ხმა გაისმა, რომელიც უცნობმაც და არაბელამაც თითქმის ერთდროულად იცნო. პატარა ჯენტლმენი ჯერ გაფითრდა, მერე დამშვიდდა და ფეხზე წამოდგა, როდესაც მისტერ უინკლი შემოვიდა ოთახში.

- მამა! - შესძახა მისტერ უინკლმა და გაოცებულმა უკან დაიხია.

- გახლავართ, სერ, - მიუგო მოხუცმა ჯენტლმენმა, - აბა, სერ, რას მეტყვით?

მისტერ უინკლი დუმდა.

- იმედია, გრცხვენიათ მაინც, სერ? - ჰკითხა შვილს მოხუცმა ჯენტლმენმა.

მისტერ უინკლი კვლავ დუმდა.

- გრცხვენიათ, თუ არა? - კვლავ იკითხა მოხუცმა.

- არა, სერ, - მიუგო მისტერ უინკლმა და ხელი მოჰკიდა არაბელას, - არ მრცხვენია. სამარცხვინო არაფერი ჩამიდენია.

- რას ბრძანებთ! - დაცინვის კილოთი შესძახა მშობელმა.

- ძალიან ვწუხვარ, თუ ჩემმა საქციელმა გული გაგიცივათ ჩემ მიმართ, სერ, - წარმოთქვა მისტერ უინკლმა, - მაგრამ ისიც უნ-

და მოგახსენოთ, რომ სამარცხვინო აქ არაფერია, თუ მე ამ ქალ-ბატონს მივიჩნევ ცოლად და თქვენ კი შვილად მიიღებთ.

- მომეცით ხელი!.. - წამოიძახა მოხუცმა ჯენტლმენმა, - მა-კოცეთ, ჩემო ცუგრუმელავ, მშვენიერი რძალი მყოლია!

რამდენიმე ხნის შემდეგ მისტერ უინკლი წავიდა მისტერ პიკ-ვიკის მოსაყვანად და როდესაც ორივე ერთად დაბრუნდნენ, ხსენებული ჯენტლმენი მამას წარუდგინა. ახალგაცნობილებმა მხურვალედ ჩამოართვეს ხელი ერთმანეთს.

- მისტერ პიკვიკ, დიდ მადლობას გწირავთ იმ სიკეთისათვის, რომელიც ამ ხნის განმავლობაში არ დააკელით ჩემს შვილს, - წარმოთქვა მისტერ უინკლმა მისთვის ჩვეული პირდაპირობით, - მოგეხსენებათ, ფიცხი კაცი გახლავართ. ჩემსას რომ იყავით, არ მოველოდი ამ ამბავს, გაჯავრებული ვიყავი. ახლა თვითონვე შევამოწმე ყოველივე და კმაყოფილიც გახლავართ. კიდევ ვის-მეს ხომ არ მოვუხადო ბოდიში, მისტერ პიკვიკ?

- არა, არავის, - მიუგო პიკვიკმა, - თქვენ გააკეთეთ სწორედ ის, რაც მე მაკლდა, რომ სრულიად ბედნიერი ვყოფილიყავი!

მოხუცებმა კვლავ ჩამოართვეს ერთმანეთს ხელი, მრავალი ქათინაური უთხრეს ერთმანეთს და ამ ქათინაურებს ერთი იშ-ვიათი ღირსება გააჩნდა - ყველა ძალიან გულწრფელად იყო ნათქვამი.

სემმა შვილის ვალი მოიხადა. მამა სასტუმრო „მშვენიერ ვე-ლურ ქალამდე“ მიაცილა და როცა იქიდან დაბრუნდა, იმავე მო-სახვევში ბოკვერას გადაეყარა. ყმაწვილს ბარათი მიჰქონდა ემილი უორდლის დავალებით.

- ყური დამიგდეთ, რა გითხრათ, - ალაქლაქდა ჯო, - რა ლამა-ზი ქალია მერი! გადამრია კაცი!

მისტერ უელერმა სიტყვით არაფერი უპასუხა. ეტყობოდა, არაფრად ეჭაშნიკა ბოკვერას თავმომწონე ლაქლაქი. ამიტომ

სემი ჯერ სახეში ჩააშტერდა მას, მერე კისერში სწვდა, მოსახვევის კუთხემდე მიიყვანა და გამომშვიდობების ნიშნად კარგა მაგრად უთავაზა წიხლი. მხოლოდ ამის შემდეგ, ფრიად კმაყოფილი, სტვენა-სტვენით გაემართა შინისაკენ.

თავი LVII

რომელშიც პიკვიკის კლუბი სამუდამოდ იხურება და რომელიც ყველასდა სასიხარულოდ მთავრდება

მთელი კვირის განმავლობაში მას შემდეგ, რაც მისტერ უინკლი გამარჯვებული დაბრუნდა ბირმინგემიდან, მისტერ პიკვიკი და სემ უელერი დილიდან საღამომდე შინ არ იყვნენ: ისინი მხოლოდ სადილობისას ბრუნდებოდნენ ისეთი საიდუმლოებით სავსე იერით, რაც არც ერთსა და არც მეორეს არ სჩვეოდა. ეტყობა რაღაც სერიოზული და ფრიად მნიშვნელოვანი იყო მოსალოდნელი, მაგრამ ნაირ-ნაირი მოსაზრება, გამოთქმული სხვადასხვა პირთა მიერ იმის შესახებ, თუ რა ხასიათის იქნებოდა, ან რას შეეხებოდა ეს ამბები - არ იყო არც საიმედო და არც დამარწმუნებელი. ზოგიერთი (მათ შორის გახლდათ მისტერ ტაპმენიც) ფიქრობდა, რომ მისტერ პიკვიკი ცოლს ირთავს, მაგრამ მანდილოსნები გადაჭრით უარყოფდნენ ამ მოსაზრებას. სხვები ამბობდნენ, შორეული მოგზაურობა განიზრახა და ამჟამად იმისთვის ემზადებაო, მაგრამ ეს მოსაზრებაც წყალში ჩაუყარა თვით სემმა, რადგან საგანგებოდაც დაჰკითხეს იგი და ერთგულმა მსახურმა პირდაპირ განაცხადა - ხეტიალს უკვე ბოლო მოეღოო. ბოლოს, როდესაც ექვსი დღის უნაყოფო და ფუჭი ფიქრის შედეგად ყველა ლამის ჭკუაზე შეირყა, ერთხმად შეთანხმდნენ, რომ თვით მისტერ პიკვიკისათვის მიემართათ განმარტებისთვის - თვითონ აუხსნას მიზეზი, თუ რატომ მიივიწყა და შეიძულა ძველი, ერთგული მეგობრები ამ ბოლო დროს.

სწორედ ამიტომ, მისტერ უორდლმა, მთელი კომპანია სადილად ედელფში დაპატიჟა და როდესაც ბოთლებმა ორჯერ შემოუარეს სუფრას, პირდაპირ საქმეს შეუდგა.

- ჩვენ ყველას გვსურს მხოლოდ გავიგოთ, - დაიწყო ხნიერმა მასპინძელმა, - უნებლიეთ რაიმე ხომ არ გაწყენინეთ, რომ ასე მიგვატოვეთ ამ ბოლო დროს და მარტო დასეირნობთ?

- პირდაპირ საოცარია! - მიუგო მისტერ პიკვიკმა, - მეც სწორედ დღეს ვაპირებდი ამეხსნა ამის მიზეზი. ერთ ჭიქასაც თუ დამისხამთ, დაუყოვნებლივ დავაკმაყოფილებ თქვენს ცნობისმოყვარეობას.

ბოთლებმა თვალის დახამხამებაში შემოიარეს სუფრა. მისტერ პიკვიკმაც მხიარული ღიმილით გადახედა მეგობრებს და დაპირებულ განმარტებას შეუდგა.

- ის ამბები რომლებიც ამ ჩვენს შინაურულ წრეში განხორციელდა, - დაიწყო მისტერ პიკვიკმა, - მხედველობაში მაქვს ერთი ქორწინება, რომელიც უკვე მოხდა და მეორე ქორწინება, რომელიც მალე მოხდება - აი, ამ ამბებმა და ცვლილებებმა, რომელიც ამ ამბებთანაა დაკავშირებული, მეც მაფიქრებინა, რომ დროა, მეც ვიზრუნო მომავალზე. გადავწყვიტე ლამაზსა და მყუდრო ადგილას დავსახლდე, ლონდონის მახლობლად. ვნახე სახლი, რომელიც ყველა ჩემს მოთხოვნას აკმაყოფილებდა და დავიქირავე, ავეჯითაც გავაწყვე. ახლა სამზადისი მოთავებულია და უმალვე იქ დავსახლდები, იმ ტკბილი იმედით, რომ კიდევ მრავალ წელს ვიცოცხლებ იმ წყნარსა და განმარტოებულ ადგილას. გავიხარებ, როცა მეგობრები მესტუმრებიან და სიკვდილის შემდეგ მათაც არ დავავიწყდები.

მისტერ პიკვიკი წამით დადუმდა. სუფრაზე აღელვებული ჩურჩული გაისმა.

- სახლს, რომელიც მე დავიქირავე, პატარა ბაღი აქვს, - განაგრძო მისტერ პიკვიკმა, - იგი დალიჩშია, ლონდონის მახლობლად. ფრიად კეთილმოწყობილია, კოხტა და კოპწია, ნახავთ და თავად გასინჯეთ. სემიც ჩემთან დასახლდება. პერკერის რეკომენდაციით დავიქირავე მნეც, ძალიან მოხუცებული და რამდენიმე მსახურიც, რომლებიც, როგორც მნემ მთხოვა, დასჭირდება სახლის მოსავლელად... ერთი რამ მინდა გთხოვოთ: ნება მიბოძეთ ჩემი სამყოფელი ვაკურთხო - ის ცერემონია, რომელიც ამ მოკლე ხანში უნდა შედგეს და რომელსაც მე დიდი ინტერესით მოველი - ჩემს სახლში მინდა გადავიხადო. ამით იმისი თქმა მინდა, რომ თუ ჩემს ძვირფას მეგობარს, უორდლს საწინააღმდეგო არაფერი აქვს, მისი ქალიშვილის ქორწილს ჩემს ახალ სახლში გადავიხდი სწორედ იმ დღეს, რა დღესაც მე იქ გადავსახლდები... ახალგაზრდების ბედნიერება, - გულთბილად დაუმატა მისტერ პიკვიკმა, - მუდამ დიდი სიხარულია ჩემთვის. გულიანად მოვილხენ, თუ ის ჩემი ახალი ბინა-სადგომი მოწმე იქნება ჩემთვის ყველაზე უფრო ძვირფასი მეგობრების ბედნიერებისა.

მისტერ პიკვიკი კვლავ დადუმდა. ემილი და არაბელა ხმამაღლა სლუკუნებდნენ.

- მე პირადად და წერილობითაც ვაუწყე კლუბის წევრებს ჩემი განზრახვის შესახებ, - განაგრძო მისტერ პიკვიკმა, - იმ ხნის განმავლობაში, ვიდრე ჩვენ ამდენს ვმოგზაურობდით, კლუბის წევრებს შორის მძიმე უთანხმოებას ჰქონდა ადგილი... და მერე, მე რომ თავმჯდომარეობიდან გადავდექი, იგი სულაც დაიშალა. პიკვიკის კლუბი აღარ არსებობს... მე არასოდეს ვინანებ, რომ ამ ორი წლის განმავლობაში ვხვდებოდი ნაირ-ნაირ ხალხს, ვეცნობოდი მათ ადათ-ჩვეულებებს, თუმცა, ჩემს ხანში ახალ შთაბეჭდილებათა ძიება, შესაძლოა, ვინმემ ქარაფშუტობაში ჩამო-

მართვას. თითქმის მთელი ჩემი სიცოცხლე შევწირე საქმეებსა და იმის დევნას, რომ გავმდიდრებულიყავი. ახლა ჩემ წინ ისეთი რამ გაიხსნა, რის შესახებაც წარმოდგენა არ მქონდა - იმედია, ყოველივე ეს ჩემს გონებას კიდევ უფრო გაანათლებს და კვლავაც ჭკუას შემმატებს. სიკეთე თუ ბევრს არ ახსოვს ჩემგან, ბოროტება მით უფრო ნაკლებს ემახსოვრება. იმის იმედიც მაქვს, რომ მთელი ჩემი თავგადასავალი სიბერის ჟამს სასიამოვნო მოგონებად დამრჩება. ღმერთმა ხელი მოგიმართოთ და მისი წყალობა ნუ მოგიშალოთ ნურც ერთს!

ეს რომ თქვა, მისტერ პიკვიკმა აკანკალებული ხელით თავისი ჭიქა შეავსო, ერთბაშად გამოცალა და როცა მეგობრები წამოდგნენ და ერთხმად დიდი აღფრთოვანებით შესვეს მისი სადღეგრძელო, მისტერ პიკვიკს თვალებზე ცრემლები მოადგა.

მისტერ სნოგრასის ქორწილს ბევრი სამზადისი არ დასჭირვებია. რადგან მას დედ-მამა არ ჰყავდა და ვიდრე სრულწლოვანი გახდებოდა, მისი ერთადერთი მეურვე და მოამაგე მისტერ პიკვიკი გახლდათ, ხსენებულმა მხცოვანმა ჯენტლმენმა ჩინებულად იცოდა, რაც გააჩნდა ყმაწვილს და რის იმედად უნდა ყოფილიყო მომავალშიც. ორივე საკითხის გარშემო მან დაწვრილებით მოახსენა ყოველივე მისტერ უორდლს. კეთილი მასპინძელი აშკარად დაკმაყოფილდა წარდგენილი ანგარიშით, თუმცა ამწუთს ანგარიში, როგორიც უნდა ყოფილიყო, იგი ყველაფერზე თანახმა იქნებოდა, რადგან ძალიან მხიარულ გუნებაზე გახლდათ. ემილისაც კარგი მზითევი მისცეს. ამიტომ ორივე მხარე შეთანხმდა, რომ ქორწილს სამი დღის შემდეგ გადაიხდიდნენ. ასეთი აჩქარების შედეგად კინაღამ ჭკუაზე შეიშალა ოთხი მკერავი - სამი ქალი და ერთი კაცი.

მოხუცმა უორდლმა იმავე დღეს შეაბმევინა ეტლი და დედის ჩამოსაყვანად სოფელში გაემგზავრა. როდესაც მან ჩვეული

დაუფიქრებლობით მოხუც დედას ერთბაშად გაუმჟღავნა ახალი ამბავი, მხცოვან მანდილოსანს გული წაუვიდა, მაგრამ მალე მობრუნდა. მსახურს უბრძანა - ფარჩის კაბა და თავშალი ჩამილაგეთო. მერე მოჰყვა, თუ როგორ გაათხოვა განსვენებულმა ლედი ტოლიმგლაუერმა უფროსი ქალიშვილი. თხრობა სამ საათს გაგრძელდა და მოხუცს ჯერ ნახევარიც არ ჰქონდა ნათქვამი.

ლონდონში დიდი მზადების შესახებ, რა თქმა უნდა, მისის ტრანდლისთვისაც უნდა შეეტყობინებინათ. მაგრამ ახალგაზრდა ქალი ფეხმძიმედ იყო და ეშინოდათ სასიხარულო ამბავმა ცუდად არ იმოქმედოსო. ამიტომ ისევ მისტერ ტრანდლის მიანდვეს, რომ ეს დავალება ცოლისთვის ფრთხილად შეეტყობინებინა. შინაურები ტყუილად შეშინდნენ. მისის ტრანდლმა მაშინვე მაგლტონში კაცი გაგზავნა და ახალი ქუდი და შავი ატლასის კაბა შეუკვეთა. აგრეთვე განაცხადა, რომ ქორწილსაც უეჭველად დავესწრებიო. მისტერ ტრანდლმა იმავე წამს ექიმს უხმო, ექიმმა კი განაცხადა, მისის ტრანდლმა უთუოდ ჩემზე უკეთ იცის შეძლებს თუ არა წასვლასო. მისის ტრანდლმა მიუგო, რომ ჩინებულად გრძნობს თავს და უეჭველად წავა ლონდონში. მაშინ ექიმმა, რომელიც ფრიად გონიერი და წინდახედული კაცი გახლდათ და რომელიც კარგად უვლიდა სხვებსაც და თავისი თავიც არ ავიწყდებოდა, თქვა, რომ ახალგაზრდა დიასახლისი სახლში რომ დარჩეს, უფრო იღელვებს და ავნებს თავს, ამიტომ სჯობს ისევ წავიდესო. ჰოდა, მისის ტრანდლი წავიდა კიდეც, ექიმმა კი ათიოდე წამალი გამოუგზავნა, თან მითითება დაურთო, რომ მისის ტრანდლს ათივე გზაში დაელია.

ამ ფუსფუსისა და აურზაურის დროს უორდლს დაავალეს, ორი წერილი გადაეცა ორი ახალგაზრდა ლედისთვის, რომლებიც პატარძლის დობილები უნდა ყოფილიყვნენ. წერილები

მიიღეს თუ არა, ორივე საოცრად შეწუხდა, რადგან არაფერი ჰქონდათ თურმე „ჩასაცმელ-დასახური“, რომელიც ესოდენ ღირსშესანიშნავი ცერემონიისათვის გამოადგებოდათ; თანაც დროც აღარ ითმენდა, რომ ახალი სამოსი შეეკერათ - გარეგმოება, რომელიც გულში უფრო უხაროდათ და არ სწყინდათ ზემოხსენებული ყმაწვილი ქალების პატივცემულ მამებს. ქალიშვილებმა მაინც გადააკეთებინეს ძველი კაბები და ახალი კოპწია ქუდები შეუკვეთეს. მართლაც, ქორწილის დღეს ისინი ისეთი ლამაზები იყვნენ, რომ მათ ნახვას არაფერი სჯობდა, ხოლო საქორწინო ცერემონიის ჩატარებისას სათანადო მომენტებში ისე ნაზად თრთოდნენ და ღვრიდნენ ცრემლს, რომ მაყურებლები აღტაცებაში მოიყვანეს.

არავინ იცის, როგორ ჩავიდა ლონდონში ორი ღარიბი ნათესავი - ფეხით მიჩანჩალდნენ, ეტლის სატერფულზე იმგზავრეს, ვიღაცამ სამოწყალოდ ფურგონზე დასვა თუ რიგრიგობით ხელით მიჰქონდათ ერთმანეთი. ასე იყო, თუ ისე, ორივემ უორდლს დაასწრო ჩასვლა... და ქორწილის დღეს პირველი სტუმრებიც, რომელთაც მისტერ პიკვიკს კარს მიუკაკუნეს, ეს ორი ღარიბი პირმცინარი ნათესავი გახლდათ, ქათქათა საყელოებით.

მასპინძელმა, რა თქმა უნდა, ისინი გულთბილად მიიღო, რადგან, მოგეხსენებათ, კაცი მდიდარი იყო თუ ღარიბი, მისტერ პიკვიკისათვის სულერთი იყო. ახალი მსახურები მარჯვედ ემსახურებოდნენ სტუმრებს. სემიც ძალიან მხიარულ გუნებაზე გახლდათ, ტურფა მერის კი ისეთი კოხტა ფეხსაცმელი ეცვა და ისეთი ლამაზი იყო, რომ კაცი თვალს ვერ მოაშორებდა.

საქმრო, რომელიც ბოლო ორ დღეს მისტერ პიკვიკის სახლში ცხოვრობდა წესის მიხედვით საცოლის შესაგებებლად გაემგზავრა დალიჩის ეკლესიაში. მას ახლდა მისტერ პიკვიკი, ბენ

ალენი, ბობ სოიერი და მისტერ ტაპმენი. სემ უელერს, რომელიც ეტლის სატერფულზე გამოჭიმულიყო, ახალთახალი მდიდრულად მორთულ-მოკაზმული ლივრეა ეცვა. ეს სამოსი საგანგებოდ ამ დღისათვის შეუკერეს; ღილკილოში მოუჩანდა თეთრი აბრეშუმის ბაფთა, რომელიც სატრფომ უსახსოვრა.

დანიშნულ ადგილას მათ დახვდნენ უორდლები, უინკლი, საცოლე, მისი დობილები და ტრანდლი მეუღლესთან ერთად. როცა საქორწინო ცერემონია დამთავრდა, ეტლებმა კვლავ მისტერ პიკვიკის სახლისკენ გასწიეს, სადაც საუზმე მოემზადებინათ და სადაც პერკერი ელოდათ.

აქ სწრაფად გაიფანტა სევდის ის პატარა ღრუბელიც, რომელიც ეს არის ახლა ჩატარებულმა ცერემონიამ გამოიწვია. ყველას სიხარულით უბრწყინავდა სახე, ყოველი მხრიდან მოისმოდა მხოლოდ მილოცვები და ქათინაურები. ყველაფერი განსაკუთრებით ლამაზი იყო: პატარა ყვავილნარი სახლის წინ, საკმაოდ მოზრდილი ბაღი სახლის უკან, პაწია სათბური; სასადილო, სასტუმრო, საწოლი ოთახები, თუთუნის მოსაწევი ოთახი; განსაკუთრებით საამო იყო კაბინეტი. აქ ნახავდით ოქროსჩარჩოიან სურათებს, რბილ სავარძლებს, ძველებურ ინკრუსტირებულ ლარნაკებს, ორიგინალურ მაგიდებსა და მრავლად წიგნებს. დიდი, ნათელი ფანჯარა გადაჰყურებდა ნაირფერ ყვავილნარს, შორით მოჩანდა ნახევრად ხეებში ჩამალული კოპწია კოტეჯები. ერთი სიტყვით, ყველაფერი ლამაზი, კოხტა და მოხერხებული იყო. ყოველი საგანი მოწმობდა, რომ მათ პატრონს მეტად ფაქიზი და დახვეწილი გემოვნება ჰქონდა. სტუმრები ისეთი აღტაცებულნი იყვნენ ნანახით, რომ ვერც კი გაერკვიათ, რა უფრო იყო მოწონების ღირსი.

კაბინეტის შუაგულში იდგა თვით მისტერ პიკვიკი. მის გაბადრულ სახეზე ისეთი კეთილი ღიმილი ბრწყინავდა, რომლის მომ-

ხიბლავ ძალას ვერ გაუძლებდა ვერც ერთი კაცი, ვერც ქალი და ვერც ბავშვი. დამსწრეთა შორის იგი დღეს უბედნიერესი კაცი გახლდათ; კვლავ და კვლავ ართმევდა ხელს ყველას და როდესაც ხელები გაუთავისუფლდებოდა, სიამოვნებით იფშვნეტდა მათ; ყოველ შეძახილზე, რომელიც ცნობისმოყვარეობას ან აღტაცებას გამოხატავდა, იგი დროულად ეხმაურებოდა და ხალისიანი ქცევით ყველას ამხიარულებდა.

საუზმე მოართვეს. მისტერ პიკვიკმა მხცოვანი მანდილოსანი (რომელიც დამსწრეთ კვლავ და კვლავ ლედი ტოლიმგლაუერის ამბავს უყვებოდა) სუფრის თავში დასვა, უორდლი დედის პირდაპირ დაჯდა; მეგობრები მაგიდის ორივე მხარეს დაბრძანდნენ. სემი პატრონის სკამს უკან დადგა. შეწყდა ლაპარაკი, სიცილ--კისკისი. მისტერ პიკვიკმა ლოცვა წარმოთქვა, ერთ წამს დადუმდა, თვალი გადაავლო ყველას - ბედნიერი ცრემლები ღაპაღუპით ჩამოსდიოდა მსუქან ღაწვებზე.

დაე, ასეთ საამო და ბედნიერ წუთს დავშორდეთ სამუდამოდ ჩვენს ძველ მეგობარს. ასეთი წუთები ბევრი როდია. ისინი ატკბობენ და ამშვენიერებენ ჩვენს წარმავალ ცხოვრებას. ამ დალოცვილ დედამიწაზე მრავლადაა მუქი ჩრდილები, მაგრამ მათ შორის კაშკაშებს და ბრწყინავს მზის ნათელიც. ზოგიერთი ადამიანი, ღამურას ან ჭოტის მსგავსად ღამის წყვდიადში უფრო კარგად ხედავს, ვიდრე დღის სინათლეზე. ჩვენ მხედველობის ასეთი ორგანოები არ გაგვაჩნია, და ამიტომ გვირჩევნია სამუდამოდ გამოვეთხოვოთ კეთილ მეგობრებს, რომელთაც მარტოობის მრავალი მძიმე წუთი შეგვიმსუბუქეს ისეთ დროს, როდესაც მათ უხვად უნათებდა მზის კაშკაშა შუქი...

ასეთი გახლავთ ხვედრი ადამიანთა უმეტესობისა, რომლებიც განგებას გაუჩენია. ყმაწვილობის ჟამს ისინი ჭეშმარიტ ერთგულ მეგობრებს იძენენ და მერე კვლავ კარგავენ მათ იმავე

განგების ძალით. ასეთივეა ხვედრი ყველა მწერლისა ან მემატიანისა - ისინი წარმოდგენით ქმნიან მეგობრებს და კვლავაც კარგავენ მათ, არა განგების ძალით, არამედ შემოქმედის კანონების თანახმად. მაგრამ ეს კიდევ ცოტაა: მკითხველი მათგან მოითხოვს ზუსტ ანგარიშს - რა ბედი ეწია თითოეულ მის გმირს.

ჩვენც ამ წვეულებასა თუ კანონს ვემორჩილებით, თუმცა ეს არც ისე საამო და სასიამოვნოა. ქვემოთ მოგახსენებთ ზოგიერთ ბიოგრაფიულ ცნობებს იმ პირთა შესახებ, რომლებიც მისტერ პიკვიკს ესტუმრნენ ქორწილის დღეს.

მისტერ უინკლი და მისი მეუღლე კარგა ხანია, შეურიგდნენ უფროს უინკლს და მალე ახალ სახლშიც დასახლდნენ, რომელიც მხოლოდ ნახევარი მილით იყო დაშორებული მისტერ პიკვიკის კარ-მიდამოს.

მისტერ უინკლი სიტიში მსახურობს, მამამისის აგენტად თუ კორესპონდენტად. ახლა ჩვეულებრივ ინგლისელს რომ შეეფერება, ისეთ კოსტიუმს ატარებს და გარეგნულადაც ყველაფრით ჩამოჰგავს ჭეშმარიტ ცივილიზებულ ქრისტიანს.

მისტერ სნოდგრასი მეუღლითურთ დინგლი-დელის ბინადარი გახდა. აქ მათ პატარა ფერმა შეიძინეს და მეურნეობას მიჰყვეს ხელი, უფრო თავშექცევის და არა გამდიდრების მიზნით.

მისტერ სნოდგრასს ხანდახან კვლავ პოეტური ჭმუნვა და სევდა არ ასვენებს. იგი ამჟამადაც ითვლება დიდ მგოსნად ახლო მეგობრებსა და ნაცნობებს შორის, თუმცა მართალი გითხრათ, დანამდვილებით ახლაც არ ვიცით დაუწერია თუ არა მას ოდესმე თუნდაც ერთი სტრიქონი. ქვეყნად ბევრია სახელმოხვეჭილი ადამიანი, ლიტერატორი, ფილოსოფოსი და სხვა, რომელთა რეპუტაცია მხოლოდ ამგვარ საფუძველს ეყრდნობა.

მისტერ ტაპმენმა რიჩმონდში დაიქირავა ბინა, სადაც ცხოვრობს მას აქეთ, რაც მისი უახლოესი მეგობრები დაქორწინდნენ,

ხოლო მისტერ პიკვიკი სამუდამოდ დაბინავდა თავის მყუდრო სამყოფელში. ზაფხულის თვეებში იგი ტერასაზე დასეირნობს, ახალგაზრდულად გამოიყურება და არც არშიყობას იშლის (რითაც მრავალი ხნიერი და მარტოხელა მანდილოსნის აღტაცება დაიმსახურა). მაგრამ აღარავისთვის უთხოვია, ცოლად გამომყევიო.

მისტერ ბობ სოიერი ჯერ „გაზეთში“ მოხვდა და მერე ბენგალიაში ამოყო თავი. მას გაჰყვა მისტერ ბენჯამინ ალენიც. ოსტინდოეთის კომპანიამ ორივე ჯენტლმენი დასტაქრების თანამდებობაზე დანიშნა. ორივეს თოთხმეტჯერ მაინც სჭირდათ ტროპიკული ციებ-ცხელება, მერე სასმელზე ხელი აიღეს და ახლა ჩინებულად ცხოვრობენ.

მისის ბერდლი კვლავ ოთახებს აქირავებს; თანაც მხოლოდ უცოლო სასიამოვნო ჯენტლმენებზე და კარგ ქირასაც ართმევს თითოეულს; მაგრამ არც ერთზე საქორწინო პირობის დარღვევის საჩივარი არ შეუტანია სასამართლოში. მისი ვექილები დოდსონი და ფოგი, კვლავ თავის მომგებიან საქმიანობას მისდევენ, კარგ გასამრჯელოსაც იღებენ და მრავალჯერ მოიხვეჭეს სახელი მარჯვე და მარიფათიან საქმეში.

უფროს უელერს მთელი წლის განმავლობაში დაჰყავდა ეტლი, მაგრამ ნიკრისის ქარებით დაავადდა და სამსახურს თავი მიანება. მისი მემკვიდრეობით მიღებული თანხა მისტერ პიკვიკმა ისე მოხერხებულად დააბანდა, რომ ახლა მოხუც უელერს დამოუკიდებელი ქონება აქვს და ჩინებულ სახლში ცხოვრობს შუტერზ-ჰილის მახლობლად. მას ხშირად მოაქვს თავი იმით, რომ მისტერ პიკვიკთან მეგობრობს და კვლავაც საშინლად სძულს ქვრივი ქალები.

მისტერ პიკვიკი თავის ახალ სახლში ცხოვრობს. თავისუფალ დროს იმას ანდომებს, რომ წესრიგში მოჰყავს საკუთარი მოგ-

ზაურობათა ჩანაწერები, რომლებიც შემდგომში ერთ დროს ესოდენ ცნობილი კლუბის მდივანს გადასცა; ხან ყურს უგდებს სემ უელერს, რომელიც ხმამაღლა კითხულობს და დროდადრო შენიშვნებს გამოთქვამს წაკითხულის შესახებ. ეს სხარტი შენიშვნები მუდამ დიდ სიამოვნებას ჰგვრის მისტერ პიკვიკს. ერთ დროს მას ხშირად აწუხებდნენ ხან მისტერ სნოდგრასი, ხან მისტერ უინკლი და ხან მისტერ ტრანდლი - შვილები მოგვინათლეო, მაგრამ ახლა უკვე მიეჩვია და ამ მოვალეობასაც კეთილსინდისიერად ასრულებს. სიკეთემ, რომელიც მან ჯინგლისა და ტროტერის მიმართ გამოიჩინა, გაუმართლა. დროთა განმავლობაში ორივე საზოგადოების ღირსეული წევრი გახდა, თუმცა გადაჭრით განაცხადეს უარი დაბრუნებულიყვნენ იმ ქვეყანაში, სადაც ესოდენ ხშირად იქცნენ ცდუნების ტყვეებად.

* * *

გადის წლები... მისტერ პიკვიკიც ხანდახან ავადმყოფობს, მაგრამ მაინც არ დაუკარგავს ყმაწვილური ხალისი და სულიერი სიმტკიცე. მას ხშირად მოჰკრავთ თვალს დალიჩის სამხატვრო გალერეაში. უყვარს სეირნობაც ლამაზი ბუნების წიაღში. მას ყველა ადგილობრივი იცნობს და დიდი მოწიწებით ესალმება. ბავშვებს ხომ გაგიჟებით უყვართ; ბავშვებს კი არა, მთელი მოსახლეობა აღმერთებს მას...

* * *

ყოველ წელს მისტერ პიკვიკი ესწრება შობის ტრადიციულ დღესასწაულს მისტერ უორდლის მამულში. რა თქმა უნდა, სადაც უნდა წავიდეს იგი, მას მუდამ თან ახლავს ერთგული სემი.

ბატონსა და მსახურს ძალიან უყვართ ერთმანეთი და ამ სიყვა-
რულს სიკვდილის მეტი ვერაფერი გააქრობს...